

ძველი საქართველო

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო
საზოგადოების კრებული

ტომი II

ა. თაყაიშვილის რედაქციით

ტფილისი 1911—1913

ДРЕВНЯЯ ГРУЗИЯ

Сборникъ Грузинскаго Общества Истории и Этнографии

ТОМЪ II

Подъ редакцію Е. ТАКАЙШВИЛИ

L'ANCIENNE GEORGIE

Mémoires de la Société géorgienne d'histoire et d'ethnographie

TOME II

Sous la rédaction de M. E. Takaychvili

TIFLIS 1911—1913

ელექტრო-მბეჭდავი სპირიდონ ლო- | Электротипографія Спиридона Ло-
საბერიძისა, მოსკოვის ქ. № 5. | саберидзе, Москва № 5.

კველი საქართველო

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო
სასოციალურების კრებული

ტომი II

ე. თაყაიშვილის კლავატორით

ტფილისი 1913

ДРЕВНЯЯ ГРУЗИЯ

Сборникъ Грузинскаго Общества Исторіи и Этнографіи

ТОМЪ II

Подъ редакцію Е. ТАКАЙШВИЛИ

L'ANCIENNE GEORGIE

Mémoires de la Société géorgienne d'histoire et d'ethnographie

TOME II

Sous la rédaction de M. E. Takatchvili

TIFLIS 1913

ელექტრო-მბეჭდავი სპირიდონ ლო-საბერიძისა, მოსკოვის ქ. № 5. | Электро-печатня Спиридона Ло-саберидзе, Моск. ул., № 5.



თ 1599
13

შინაარსი გეოგრაფიისა

განყოფილება პირველი

ნიკროლოგები (სურათებით)

1. ძღვ. შიქელ თამარაშვილი (2—8).
2. დავით ზაქარაძის ძე სარაჯიშვილი (8—12).
3. ნიკოლოზ ბესარიონის ძე დოდობერიძე (12 -- 20).

განყოფილება მეორე

რეპერატივი და გამოკლებანი

1. ს. გორგაძე: წერილები საქართველოს ისტორიიდან. ნაწილი მეორე. თავი II: ადრეიდან შირიანამდე (გვ. 1—42):

მეფეები: მიქრდატ I და ფარსმან I. ფარსმანის ძმა და შვილი სომხეთში მეფდებიან.—აზორიკი ანუ მიქრდატ II.—ამხასპ I და ფარსმან II ქველი.—როკი და ლადამი.—ფარსმან III და ამხასპ II.—კოლხიდა, ივერია და ალბანია პტოლომეის მოწმობით.—რევ-მართალი.—რევიდან ასფაგურამდე 268 წლიდან 297 წლამდე.—ნიზიბინის ხელშეკრულება.—ლევ მამა მირიანისა.—მირიანის მეფობის თარიღები.—რეზიუმე.

თავი III: საქართველო IV და V საუკუნეში ქრ. შემდეგ (გვ. 42—84):

მირიან მეფე და ქრისტიანობის გამარჯვება საქართველოში.—ბაკურ II და თრდატი.—საურმაგ II და ვარაზ-ბაკურ.—ბაკურ III, ფარ-

სმან IV, მიჰრდატ IV, არჩილ I და მიჰრდატ V.—ვახტანგ I: მისი ვინაობა და მეფობის თარიღები; პოლიტიკური და საეკლესიო მოღვაწეობა; გარდაცვალება.

2. **თავისუფალი სვანია.** მოკლე განხილვა სვანური გრამატიკისა (85—98). დამატებანი; სვანური ანდაზები (98—99). სვანური გამოცანები (99—100).

3. **მღ. ზ. კარბელაშვილი.** ამილახვართა საგვარეულოს ისტორიული გუჯრები (101—138).

4. **თათარხან დადიშკელაიანი.** შენიშენა შესახებ სიტყვისა „დასტაგისა“ (139—144).

განყოფილება მესამე

სალექსიკონო და საისტორიო მასალანი

1. **ეპისკოპოსი კირიონი.** სალექსიკონო მასალა (1—27).

2. **ე. თაყაიშვილი.** საისტორიო მასაღანი:

1) რას შეიცავდა ვგრედ წოდებული აფხაზეთის ისტორია ბაგრატ მეფისა, რომლითაც უსარგებლნია იერუსალიმის პატრიარხს დოსითეოსს თავის იერუსალიმის პატრიარხთა ისტორიაში (28—54).

2) „მოკლე ცნობები საქართველოს ისტორიიდან“ და შენიშენები ამ ცნობების შესახებ (54—66).

3) ჟ.მ-გულანი № 381 „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა“ და ისტორიული მინაწერები მისი კვინკლოსისა (67—72).

4) ჟამ-გულანი № 342 „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა“ და ისტორიული მინაწერები მისი კვინკლოსისა (73—79).

5) მეფის გიორგის ძის დავით ბატონიშვილის ხელით დაწერილი კრანოლოგიური ნუსჰა (79—80).

განყოფილება მეოთხე

მ თ ნ მ გ რ ა ფ ი ა

ეთნოგრაფიული წერილები:

1. ნაკო ჩიძაკაძე. თავისუფალი სვანეთი:
 - I. გეოგრაფიული ცნობანი (1—4).
 - II. ანთროპოლოგიური ცნობანი (5—7).
 - III. სახლი და მისი ავეჯეულობა (7—11).
 - IV. ტანისამოსი (11—13).
 - V. სასმელ-საქმელი (13—15).
 - VI. ყოფა-ცხოვრება. რა გვარ საქმეს უფრო მისდევნ (15—18).
 - VII. ოჯახის ზნე-ჩვეულებანი და სხვა და სხვა ეროვნული თვისებანი (18—24).
 - VIII. სარწმუნოება (24—26), უქმეები (26—28).
 - IX. ზნე-ჩვეულება თავისუფალი სვანებისა (28—33):
 - ა) კატხტაბაკ ანუ კონჩხობ (28—29).
 - ბ) მიცვალებულის სულის გადმოსვენება სამშობლოში (30—31).
 - გ) ადგომ (31).
 - დ) ლიმპარიელ (31—32).
 - ე) უფლიშიერ (32—33).
 - X. ზეპირ-გადმოცემები, გაგონილი თავისუფალ სვანეთში:
 - ა) ქუთაისის გადაწვა სვანებისაგან (33—34).
 - ბ) გიორგი რუსის დაქვრა და ბაწრით ჩათრევა თბილისამდინ (34—35).
 - გ) ღვთის-მშობლის და მღვეის ჩხუბი (35).
 - დ) იჯარის აღება ოსებისაგან (ნამდვილი ამბავი. 35).
2. თ. მაგმაძე. ზეპირთქმულებანი იმერეთის მეფის სოლომონ დიდის დროიდან:
 - I. ხრესილის ომი (36—42).
 - II. რუხის ომი (42—46).

3. კ. დ. მადლანშვილი. ხალხური გადმოცემა თამარ მეფის ცხოვრებიდან:

I. შუქურვარსკვლავის შეპყრობა (47—48).

II. თამარ მეფის საფლავი (48—50).

4. მ. ჯანაშვილი. საინგილო.

I. საზოგადო განხილვა (51—93). II. სახლ-კარ-მამული (94—105). III. მინდორ-ველი (105—111). IV. აბრეშუმის მოყვანა მრეწველობა (112—129). V. შინაური ყოფა ცხოვრება (დაბადებითგან სიკვდილამდე): 1. შობა და აღზრდა (129—136). 2. ნიშნობა და ქორწინების სამზადისი (136—143). 3. ქორწილი (143—150). 4. ქორწილის ბოლო (150—157). 5. გარდაცვალების წესები (157—165). 6. გორი (საიქიო) (165—170). 7. ცრუმორწმუნეობანი (170—175). 8. დღეობები და გაყრა (175—181). VI. ინგილოური ზღაპრები და თქმულობანი: 1. კოსალა და მელა (181—183). 2. ბერ-გელ (183—184). 3. კატა და ლომ (184—186). 4. ქაჩალ (187—189). 5. წიკობ და გელ (189—190). 6. ლოყმან ჰაქიმ (190—191). 7. დედინაცოლ და ქალები (191—194). 8. წარაბაკანა (194—196). 9. პარ რაჰმი ენი ნაცოდნ კაც (196—199). 10. ნადირ პატრონ (199—201). 11. ოღუზებ—ფანკაცა კაცები (201—203). 12. ოორ ზეზუბეჯ (203—206). 13. ყიზყალა (ქალის ციხე) (206—208). 14. კახეთი დერია (ზღუჭუ) (208—209). 15. ძეძვის ბუჩქი ორ სამარეს შუა (209—211). 16. მოლა მასრადინა და მისი იგავ-არაკები (211—218). 17. თამარ დედოფალი და ალექსანდრე მაკედონელი (218—221). VII. ინგილოთა ლოლათი ანუ კილო-კავი და მისი გრამატიკა (221—238). VIII. ინგილოური ლექსიკონი (238—276). IX. შესწორებანი დამატებანი წინა სტატიისა (350—352).

5. გაყა-ფშაგელა. ფშაგელი და მისი წუთი-სოფელი (277—349):

I. ავადმყოფობა. II. სიკვდილი. III. სულის მკითხვეთან. ფშაგელის მეურნეობა. IV. მონადირე. V. ხამთარში და გაზაფხულზე; ხალარჯაობა და რიგი. VI. ნიშნობა. VII. ქალის გატაცება. VIII. გატაცე-

ბულის დაბრუნება. IX. ქორწილი. X. ქორწილის დაშლა. XI. ფშაური სიმღერები და ანდაზები.—

ამ მოთხრობის შეცდომათა გასწორება, გვ. 319.

განყოფილება მეხუთე

ქ თ ნ მ გ რ ა უ ი ა

ს ა ხ ა ლ ხ ო კ ო ე წ ი ა :

1. თუშური ლექსები შეკრებილნი ივანე ბუჭურაულიის მიერ.

თუში (გვ. 1); თუშის ქალი (1); ვაჟაკობა (3); თუშეთის გმირები (3); თუშეთის წმინდანები (4); თუშის ხმალი (4); თუშის ცხენი (5); წოწრეს პაპა (6); განა ქოთილაირე (6); კოჭაურ შველაიძე (6); მიქელ ხალიაიძე (7); გორგი თილიძე (7); თორღვა (8); მარხვა გაბრიძის ამბავი (9); ლანიში ბორძიკიძის ამბავი (9); ნაკუდა გამარიძის მოკვლა (10); გიგის ლაგაზის გმირობა (10); მეფე ერეკლეს სიკვდილი (12); ბახტრიონის აღება თუშთაგან (12); ზეზვა გაფრინდაული (15); თუშების ბრძოლა ლეკებთან (23); თუშების შეტაკება შირაქში კარელებთან და თათრებთან (48); ჩილოს წახდენა მტერთანგან (51); ვერხოვანის ციხე (52); ტყვე ქალის მოთქმა (52), ფხიკლიას მიერ ტყვე ქალის გათავისუფლება (53); ნანოზე მგელოძის ამბავი (53); ჯამრული (54); შამილისაგან ყვარელის აღება (54); თუშები რუსთა ლაშქრობაში (55); მეცხვარის ყოფა-ცხოვრება (57); ჯაფრიანი გული (60); ჩქარს მდინარეზე ჩივილი (61); მიცვალებულის გლოვა (61); მე-17 გვერდზე დაბეჭდილ ლექსის ვარიანტები, ჩაწერილი ხევისურეთში და სოფელ დილომში (62).

2. ხალხური ლექსები შეკრებილი 1883—1887 წლებში გარეთ-კახეთში, სოფ. პატარძეულში ზ. გ. ბიჯანის შვილის მიერ:

ისტორიული ლექსები: ბატონიშვილს ერეკლესა (63); მეფე ერეკლეს უთქვამს (63); ჩვენი ბატონი ერეკლე (63); ზაალ თუმანიშვილი (63); დათუნი ბოსტაშვილი (64). ბატონ-ყმობის გადავარდნისა (65). საგმირო ლექსები: შალვისი, ანუ შავლეგოსი (65); წადი ჰკითხე დიაკვანსა (66). საოჯახო ლექსები (66). ში-

VIII

ნაურ და გარეულ პირუტყვებზე (69). ნადირობისა (71). სუფრული (72). მუშური (73). სალოცავი ადგილები და მათი ძალა (74); ლექსები და ანდაზები სხვა-და-სხვა მხრის ხალხზე (74). სხვა-და-სხვა წოდებაზე (76); ოჩხარი (77). წელიწადის დრონი (78). სატრფიალო ლექსები (78); აფორიზმები (81). ნარევი (83).

3. ანდაზები და სიტყვის მასალა შეკრებილი 1883—1887 წლებში გარეთ-გახეთში, სოფ. ჰატარძელში ზ. გ. ბილანიშვილის მიერ (86).

4. სამეურნეო ანდაზები (109).

5. ანდაზები ამინდსა და დროზე (113).

6. ზემო-რაჭული ლექსები სიმღერები, შეკრებილი ავრასიონ ჭაფარიძის მიერ: 1. დიდგორსა დასხდენ დიდი ვეზირნი (114); 2. მაღლა მთას მოდგა (115); 3. აღდგომის სიმღერა (115); 4. ქალსა ვისმე ერქვა შრუშანა (116).

7. ჩაღხურა ლექსები, შეკრებილი სამეცხეთოში ვინმე მესხის მიერ: 1. მოდი ვნახოთ ვენახი (117); 2. ამირანის ლექსი (119).

8. ალ. სარაჯიშვილი: აგარული სიმღერა კახეთის დარბეჯაზე (121).

9. დ. კარიჭაშვილი და ივ. ბუჭურაული: თუშურს ლექსებში ნახძარის სიტყვების განმარტება (122—129).

შესწორება-შენიშვნა

მესამე განყოფილებაში, გვ. 63, ტექსტში სწერია: „და დაჯდა შემოდგომად მისსა (დავით აღმაშენებლისა) შვილი მისი ზურაბ მეფედ და დემეტრე დაიპირა ყოველი სამეფო“. აქ ჩვენ ზურაბი და დემეტრე ორ სხვა და სხვა პირათ მივიღეთ, მაგრამ ესლა უმჯობესად მიგვაჩნია აქ ერთი პირი ვიგულისხმეთ და სიტყვა ზურაბი ეპიტეტათ მივიღოთ დიმიტრისა, ესე იგი დიმიტრი სწორი და მსგავსი იყო ზურაბისა (შაჰნამეს გმირისა); ისე, როგორც შავთელის შედარებით მამა მისი დავითი როსტომს უდრიდა გმირობით.

Предисловіе.

Второй томъ „*Ирвиней Грузіи*“ заключасть въ себѣ пять отдѣловъ.

Въ I отдѣлѣ помѣщены некрологи о священникѣ Михаилѣ Тамарашвили (1858—1910), о Давидѣ Захарьевичѣ Сараджевѣ (1848—1911) и о Николаѣ Виссаріоновичѣ Гогоберидзе (1838—1911).

Священникъ Михаилъ Тамарашвили, болѣе извѣстный подъ именемъ Микаеля Тамарти, былъ грузино-католикъ, родомъ изъ города Ахалцха, получилъ первоначальное образованіе въ Константинополѣ въ школѣ священника Петра Харисчарашвили и подъ его руководствомъ, затѣмъ побывалъ въ Испаніи и, будучи уже священникомъ, окончилъ образованіе въ Парижѣ; имѣлъ степень доктора богословія. Всю свою жизнь М. Тамарати посвятилъ изученію исторіи католичества въ Грузіи. Съ этою цѣлью онъ впервые собралъ и обнаружилъ цѣнныя матеріалы, хранящіеся въ архивахъ италіанскихъ городовъ. Въ этомъ его главная заслуга. Главныя его сочиненія суть: 1. *L'église Géorgienne des origines jusqu'à nos jours*. Rome. 1910; 2. Исторія католичества среди грузинъ съ присоединеніемъ подлинныхъ документовъ съ поясненіями, съ XIII по XX вѣкъ, на грузинскомъ языкѣ. Тифлисъ. 1902; 3. Отвѣтъ армянскимъ писателямъ, которые отрицаютъ существованіе грузинъ-католиковъ, на грузинскомъ языкѣ. Тифлисъ. 1904 г.

Давидъ Захарьевичъ Сараджевъ былъ потомокъ старыхъ тифлисскихъ мокалаковъ (гражданъ). Учился сначала въ С.-Петербургскомъ университетѣ, но потомъ поѣхалъ въ Германію и кончилъ курсъ въ Гейдельбергскомъ университетѣ со степенью доктора химіи. Человѣкъ высокообразованный, предприимчивый и энергичный, Д. З. Сараджевъ очень много

потрудился надъ развитіемъ отечественной индустріи въ Кавказскомъ краѣ. Въ 1888 году онъ устроилъ въ Тифлисѣ первый коньячный заводъ въ Россіи и тѣмъ далъ толчокъ къ открытію другихъ подобныхъ заводовъ въ Закавказьѣ. Приобрѣвъ солидное состояніе, онъ щедрою рукою приходилъ на помощь при жизни всѣмъ благотворительнымъ учрежденіямъ и тратилъ на стипендіи для учащихся грузинъ въ разныхъ учебныхъ заведеніяхъ около 20 тысячъ рублей въ годъ. Умирая, онъ завѣщалъ для той же цѣли 150 тысячъ рублей, столько же оставилъ для постройки грузинскаго музея. Родному городу Тифлису завѣщалъ свой богато обставленный домъ для устройства въ немъ картинной галереи. Выполненіе другихъ своихъ просвѣщенныхъ желаній поручилъ своей супругѣ Екатеринѣ Ивановнѣ Сараджевой.

Николай Виссаріоновичъ Гогоберидзе происходилъ изъ грузинскихъ дворянъ Кутаисской губерніи, кончилъ курсъ на историко-филологическомъ факультетѣ С.-Петербургскаго университета и былъ однимъ изъ видныхъ грузинскихъ дѣятелей. Человѣкъ высокообразованный, джентльменъ и патріотъ, съ трезвымъ взглядомъ на вещи, онъ служилъ на различныхъ поприщахъ. Былъ преподавателемъ I гимназій въ Тифлисѣ, инспекторомъ школъ Общества возстановленія христіанства на Кавказѣ, членомъ суда и старшимъ нотаріусомъ въ Кутаисѣ. Н. В. Гогоберидзе принималъ дѣятельное участіе въ созданіи и оборудованіи грузинской типографіи въ Тифлисѣ, въ изданіи грузинскихъ газетъ и журналовъ, въ введеніи судебныхъ реформъ и городского положенія на Кавказѣ. Былъ предсѣдателемъ Кутаисскаго Михайловскаго Дворянскаго Земельнаго Банка. Потомъ занялся марганцевымъ дѣломъ и очень много способствовалъ развитію этой промышленности на Кавказѣ. Издалъ на свой счетъ на грузинскомъ языкѣ исторію Грузіи М. Броссе, помогалъ учащейся молодежи и вообще отличался щедрою благотворительностью. Весь свой капиталъ болѣе 60 тысячъ рублей деньгами и процентными бумагами онъ завѣщалъ «Обществу распространенія грамотности среди грузинскаго населенія» и «Грузинскому обществу исторіи и этнографіи».

Во II отдѣлѣ помѣщены рефераты, читанные на общихъ собраніяхъ Общества. Изъ нихъ статья С. Горгадзе: *Очерки по исторіи Грузіи, часть II, глава II и III*, служитъ продолженіемъ труда, помѣщеннаго въ I томѣ *Древней Грузіи*.

Авторъ даетъ по возможности критическій очеркъ наиболѣе темнаго періода грузинской исторіи отъ I до V вѣка нашей эры, стараясь освѣтить скудныя свѣдѣнія грузинскихъ лѣтописей извѣстіями иностранныхъ писателей.

Статья Вольнаго Свана (псевдонимъ): *Краткій очеркъ сванской грамматики*, знакомитъ вкратцѣ съ особенностями грамматики сванскаго языка и отмѣчаетъ нѣкоторыя явленія, неизвѣстныя у другихъ изслѣдователей. Въ концѣ добавлены 22 пословицы и 9 загадокъ на сванскомъ языкѣ. Авторъ природный сванъ, извѣстный своими трудами о Сваніи на грузинскомъ языкѣ.

Статья свящ. П. Карбелова: *Фамильные историческіе гуджары (акты) Амилахваровыхъ*, уясняетъ дѣятельность лицъ этого могущественнаго рода въ исторіи Грузіи, начиная съ конца XIV вѣка до 1724 года. вмѣстѣ съ этимъ авторъ даетъ и краткій очеркъ исторіи Грузіи за тотъ же періодъ времени. Авторъ опирается въ своихъ изысканіяхъ главнымъ образомъ на фамильные акты Зедгинидзе-Амилахваровыхъ, которые будутъ напечатаны въ одномъ изъ слѣдующихъ томовъ „Древностей Грузинскихъ“.

Замѣтка покойнаго Татархана Дадишкеліани относительно значенія слова *დასაგი* — *дасгаги* помѣщается редакціею единственно потому, чтобы дать возможность желающимъ провѣрить, дѣйствительно ли употребляется это слово въ Сваніи и въ верхней Имеретіи, какъ утверждаетъ авторъ, въ первой для обозначенія рѣзной четырехугольной палочки, служащей печатью для прикладыванія къ выпеченному хлѣбу (клише этой палочки, присланной авторомъ въ Общество, прилагается въ концѣ статьи), а во второй — въ значеніи *шлюза*. По существу редакція не раздѣляетъ мнѣнія автора, принявшаго *дасгаги* за одно слово, тогда какъ въ текстѣ *Обращенія Грузіи въ христіанство* оно означаетъ два слова *да* и *стаги*, какъ вѣрно объяснилъ профессоръ Н. Марръ. Первое слово *да* означаетъ союзъ *и*, а второе *стаги* или *стаки*, по объясненію Н. Марра, означаетъ *свѣжій побѣгъ, виноградную лозу* *). Авторъ замѣтки Т. Дадишкеліани не соглашается съ этимъ мнѣніемъ.

*) См. Записки Император. Русск. Археологическаго Общ. Т. IX, стр. 192—195.

Въ III отдѣлѣ помѣщены: *Матеріалы для грузинскаго словаря, собранныя епископомъ Киріономъ, и матеріалы для исторіи Грузіи* Е. Такайшвили. Епископъ Киріонъ собралъ много словъ, которыхъ нѣтъ въ печатномъ грузинскомъ лексиконѣ. Обнародованіе подобныхъ матеріаловъ дастъ возможность современемъ пополнить въ должной степени грузинскій лексиконъ.

Пять статей Е. Такайшвили даютъ новые, неизвѣстные до сихъ поръ, матеріалы для грузинской исторіи. Въ первой статьѣ: „Что заключала въ себѣ такъ называемая *Исторія Абхазіи царя Баграта*, которою пользовался іерусалимскій патріархъ Досиѳея для своей *Исторіи іерусалимскихъ патріарховъ*“, авторъ приводитъ грузинскій текстъ каталога абхазскихъ царей, который былъ извѣстенъ патріарху Досиѳею, но который считался утеряннымъ въ грузинской литературѣ, и доказываетъ, что никакой другой пространной исторіи царя Баграта не было въ рукахъ у Досиѳея. Свѣдѣнія патріарха Досиѳея представляютъ изъ себя буквальный переводъ съ грузинскаго, безъ всякаго сокращенія, каталога абхазскихъ царей, составленнаго грузинскимъ царемъ Багратомъ III. Это тотъ Баграть, который соединилъ Абхазію и Грузію въ одно государство и сдѣлался грузино-абхазскимъ царемъ. Воцарившись въ Абхазіи въ 978 году, Баграть составилъ и обнародовалъ во всеобщее свѣдѣніе перечень абхазскихъ царей до его воцаренія съ указаніемъ, начиная съ Леона I-го, сколько лѣтъ каждый изъ нихъ царствовалъ. Этотъ актъ хранился въ царскомъ казнохранилищѣ въ городѣ Кутаисѣ до царя Константина II (+ 1414) и пришелъ въ ветхость. Константинъ приказалъ переписать его и въ этомъ видѣ сохранился, конечно, въ копіи до насъ. Все это очевидно изъ напечатаннаго текста, который извлеченъ издателемъ изъ одной рукописи второй половины XVIII вѣка, составляющей сборникъ разныхъ статей, числомъ до 77. Авторъ даетъ описаніе рукописи и попутно выясняетъ, что прозвище извѣстнаго грузинскаго философа Іоанна Петрицонскаго *Чирчимели* образовано отъ названія мѣстечка *Чирчими* въ области Самцхе, откуда былъ родомъ Іоаннъ. Кромѣ того, на основаніи этой рукописи выясняется болѣе точная хронологія рожденія и смерти царей и царевичей, начиная съ Ираклія II-го.

Изъ той же рукописи извлечены издателемъ: „*Краткія свѣдѣнія изъ грузинской исторіи*“, составленныя неизвѣстнымъ

лицомъ, какъ самъ заявляетъ, на основаніи найденной имъ „*Жизни царей*“. Эти „Краткія свѣдѣнія“ даютъ имена нѣкоторыхъ царей, неизвѣстныхъ изъ лѣтописи Картлисъ-Цховреба, исправляютъ хронологію и сообщаютъ нѣкоторые новые факты изъ грузинской исторіи. Они же послужили источникомъ для исторіи Грузіи царевича Вахушта и для пополненія Картлисъ-Цховреба комиссіи царя Вахтанга VI-го.

Двѣ слѣдующія статьи Е. Такайшвили заключаютъ въ себѣ тексты историческихъ приписокъ къ пасхальнымъ цикламъ, помѣщеннымъ въ рукописяхъ Грузинскаго общества исторіи и этнографіи №№ 381 и 342. Это своего рода Пасхальныя хроники, очень часто встрѣчаемыя въ грузинскихъ рукописяхъ. Первая хроника обнимаетъ событія съ 1512 по 1803 годъ, вторая съ 1388 по 1656-й годъ.

Въ послѣдней пятой статьѣ Е. Такайшвили приводитъ текстъ собственноручныхъ записей царевича Давида, сына послѣдняго грузинскаго царя Георгія XII, сохранившихся въ рукописи исторіи Квинта Курція, принадлежащей библіотекѣ Общества грамотности № 394. Въ этихъ записяхъ царевичъ даетъ перечень 13 военныхъ событій, въ которыхъ онъ принималъ участие.

Въ IV отдѣлѣ помѣщены обширныя этнографическія статьи объ окраинахъ Грузіи, Сваніи, Саингило и Пшавіи. Первая статья принадлежитъ Нико Чимакадзе, который долгое время былъ сельскимъ учителемъ въ Сваніи и имѣлъ возможность хорошо изучить жизнь, бытъ и обычаи свановъ.

Вторая статья, еще болѣе подробная, принадлежитъ природному ингилойцу М. Джанашвили, извѣстному грузиновѣду. Подробно касаясь всѣхъ сторонъ жизни, быта и обычаевъ ингилойцевъ, авторъ даетъ въ концѣ очеркъ грамматики ингилойскаго нарѣчія и прилагаетъ къ статьѣ ингилойскій лексиконъ.

Третья статья принадлежитъ выдающемуся грузинскому поэту изъ природныхъ пшавовъ Важа-Пшавела (псевдонимъ). Редакція заказала ему, какъ лучшему знатоку пшавской жизни, описать нравы и обычаи пшавовъ. Поэтъ мастерски выполнилъ порученіе, придавъ статьѣ форму поэтическаго разсказа и изобразивъ въ яркихъ чертахъ жизнь, нравы, обычаи, занятія и міросозерцаніе пшавовъ. Въ концѣ статьи приложены 46 пшавскихъ народныхъ стихотвореній и 167 пословицъ. Кромѣ

того, въ этомъ IV отдѣлѣ помѣщены народныя преданія изъ жизни царицы Тамары, сообщенныя К. Д. Магаловымъ, и устныя сказанія изъ временъ имеретинскаго царя Соломона I Великаго, записанныя Т. Магмадзе (псевдонимъ). Болѣе подробное содержаніе этого отдѣла видно будетъ изъ приведеннаго ниже оглавленія.

Послѣдній V отдѣлъ весь занятъ народною словесностью. Тутъ помѣщены: 1. *Тушинскія стихотворенія*, собранныя природнымъ тушиномъ Иваномъ Букураули. Всего 94 стихотворенія. Нѣкоторыя стихотворенія сопровождаются комментаріями самого собирателя. Разъясненія словъ, встрѣчающихся въ этихъ стихотвореніяхъ, составлены Д. Каричашвили при помощи самого Ивана Букураули и помѣщены въ концѣ отдѣла. 2. *Народныя стихотворенія, пословицы, поговорки и афоризмы*, собранныя во Внѣшней Кахетіи, въ сел. Патардзеули З. Г. Биланишвили въ 1883—1887 годахъ. Всего 179 стихотвореній и афоризмовъ и 585 пословицъ и поговорокъ. Этотъ отдѣлъ народныхъ стихотвореній и поговорокъ отличается рѣдкимъ подборомъ и въ высшей степени цѣнны. 3. *Народныя стихотворенія—пѣсни*, собранныя Афросіономъ Джапаридзе въ *Верхней Радчѣ*. Всего 4 стихотворенія. 4. *Народныя стихотворенія, собранныя въ Месхетіи* (въ Ахалцихскомъ уѣздѣ) священникомъ Иваномъ Гварамадзе. Всего два стихотворенія. 5. *Аварская пѣсня о набѣгѣ на Кахетію*, переводъ Ал. Сараджева. Болѣе подробное содержаніе этого отдѣла см. ниже въ оглавленіи.

Е. Такайшвили.

Содержаніе II тома.

Отдѣль I.

Некрологи:

(Съ портретами)

1. *Свящ. Михаилъ Тамарашвили* (1858—1910).
2. *Давидъ Захарьевичъ Сараджевъ* (1848—1911).
3. *Николай Виссарионовичъ Гогоберидзе* (1838—1911).

Отдѣль II.

Резфераты и изслѣдованія.

1. *С. Горгадзе*: Очерки по исторіи Грузіи. Часть вторая. Глава II. Отъ Адеркія до Миріана (стр. 1—42):
Цари: Мирдатъ I и Фарсманъ I. Братъ Фарсмана и его сынъ воцаряются въ Арменіи.—Азоркъ или Мирдатъ II.—Амазаспъ I и Фарсманъ II Доблестный.—Рокъ и Гадамъ.—Фарсманъ III и Амазаспъ II.—Колхида, Иверія и Албанія по свидѣтельству Птоломея.—Ревъ Справедливый.—Отъ Рева до Асфагура. Отъ 265 до 297 года. Договоръ въ Низибѣ.—Левъ, отецъ Миріана.—Годы царствованія Миріана.—Заключеніе.
Глава III: Грузія въ IV и V вѣкахъ по Р. Х. (стр. 42—84).
Царь Миріанъ и торжество христіанства въ Грузіи.—Бакуръ II и Трдатъ.—Саурмагъ II и Варазь-Бакуръ.—Бакуръ III, Фарсманъ IV, Мирдатъ IV, Арчилъ I и Мирдатъ V.—Вахангъ I: личность его и годы царствованія; политическая и церковная его дѣятельность; кончина.
2. *Вольный Сванъ (псевдонимъ)*: Краткій очеркъ сванской

грамматики (стр. 85—98). Приложенія: Сванскія пословицы (98—99). Сванскія загадки (99—100).

3. *Свящ. П. Карбеловъ*: Семейные историческіе гуджары (акты) Амилахваровыхъ (101—144).
4. *Татарханъ Дадишкелани*: Замѣтка относительно слова *დაბჯგო*—«дастаги» (139—144).

Отдѣлъ III.

Матеріалы для грузинскаго словаря и грузинской исторіи.

1. *Епископъ Кирионъ*: Матеріалы для грузинскаго словаря (1—27).
2. *Е. Такайшвили*: Матеріалы для исторіи Грузин:
 1. Что заключала въ себѣ такъ называемая Исторія Абхазіи царя Баграта, которою пользовался іерусалимскій патріархъ Досиѳей для своей Исторіи іерусалимскихъ патріарховъ (28—54).
 2. Краткія свѣдѣнія изъ грузинской исторіи и замѣтки относительно этихъ свѣдѣній (54—66).
 3. Жамъ-гулани № 381 библіотеки Грузинскаго общества исторіи и этнографіи и историческія приписки его кинклосо (пасхальнаго цикла 66—73).
 4. Жамъ-гулани № 342 библіотеки Грузинскаго общества исторіи и этнографіи и историческія приписки его кинклосо (73—79).
 - 5) Хронологическія записи царевича Давида, сына послѣдняго грузинскаго царя Георгія XII.

Отдѣлъ IV.

Этнографія

Этнографическія статьи:

1. *Нико Чимакадзе*: Вольная Сванія:
 - I. Географическія свѣдѣнія (1—4).
 - II. Антропологическія свѣдѣнія (5—7),
 - III. Домъ и его обстановка (7—11).
 - IV. Одежда (11—13).
 - V. Пища и питье (13—15).

- VI. Житье-бытье. Какими дѣлами больше заняты (15—18).
- VII. Семейныя привычки и различныя національныя свойства (18—24).
- VIII. Вѣрованіе (24—26) и праздники (26—28).
- IX. Нравы и обычаи вольныхъ свановъ (28—33):
1. Катхтабакъ или кончхообъ (28—29).
 2. Переселеніе души изъ чужого края на родину (30—31).
 3. Адгомъ (31).
 4. Лимпаріель (31—32).
 5. Уилишіеръ (32—33).
- X. Устные сказанія, собранныя въ Вольной Сваніи:
1. Сожженіе Куганса сванами (33—43).
 2. Плѣненіе Георгія Руса, перваго мужа царицы Тамары и доставленіе его въ Тифлисъ (34—35).
 3. Борьба дива съ Божьею Матерью (35).
 4. Сваны берутъ аренду съ осетинъ (быль—35).
2. *Т. Магладзе* (псевдонимъ): Устные сказанія изъ временъ имеретинскаго царя Соломона I Великаго:
- I. Хресильская битва (36—42).
 - II. Рухская битва (92—46).
3. *К. Д. Магаловъ*: Народныя преданія изъ жизни царицы Тамары:
1. Плѣненіе Зарницы (47—48). 2. Могила царицы Тамары (48—50).
4. *М. Джанашвили*: Саннгило:
- I. Общій обзоръ (51—93). II. Домъ, дворъ, садъ и огородъ (94—105). III. Поля и нивы (105—111). IV. Шелководство (112—129). V. Домашніе нравы и обычаи (съ рожденія до смерти):
 1. Рожденіе и воспитаніе (129—136). 2. Обрученіе и приготовленіе къ свадьбѣ (136—143). 3. Свадьба (143—150). 4. Конецъ свадьбы (150—157). 5. Обычаи, касающіеся смерти (157—165). 6. Загробная жизнь (165—170). 7. Суевѣрія (170—175). 8. Праздники и раздѣлъ (175—181). VI. Ингилойскія сказки и сказанія: 1. Дятель и лисица (181—183). 2. Старый волкъ (183—184). 3. Кошка и левъ (184—186). 4. Плѣшивый человекъ (187—189). 5. Козлята и волкъ (189—190). 6. Врачъ Локманъ (190—191). 7. Мачеха и падчерицы (191—194). 8. Кра-

пивникъ (194—196). 9. Человѣкъ, знающій всѣ языки (196—199). 10. Хозяинъ звѣрей (199—201). 11. Огузы—великаны (201—203). 12. Два сосѣда (203—206). 13. Кизъ-кала (Дѣвичья крѣпость—206—208). 14. Кахетія—море (208—209). 15. Колючій кустарникъ между двухъ могилъ (209—211). 16. Мулла Масрадинъ и его анекдоты (218—221). 17. Царица Тамара и Александръ Македонскій (218—221). VII. Ингилойское нарѣчіе и его грамматика (221—238). VIII. Ингилойскій лексиконъ (238—276). IX. Исправленія и дополненія къ статьѣ Саингило (350—352).

5. *Важа-Пшавела*: (псевдонимъ): Пшавецъ и его земная жизнь (277—349).

I. Болѣзнь. II. Смерть. III. Гадальщица душъ. Сельско-хозяйственныя работы пшавца. IV. Охотникъ. V. Зимую и лѣтомъ. Вознесеніе и поминки. VI. Обрученіе. VII. Похищеніе невѣсты. VIII. Возвратъ похищенной. IX. Свадьба. X. Конецъ свадьбы. XI. Пшавскія пѣсни—стихотворенія и пословицы.

Отдѣлъ V.

Этнографія.

Народная словесность.

1. *Тушинскія стихотворенія, собранныя Ивановъ Букураули*:

Тушинъ (стр. 1); тушинка (1); храбрость (3); тушинскіе герои (3); тушинскіе святыя (4); тушинская шашка (4); тушинскій конь (5); дѣлъ Цоцре (6). Гана Котилайре (6); Кочауръ Швелаидзе (6); Микель Халайдзе (7); Георгій Тилидзе (7); Торгва (8); рассказъ о Мархвѣ Габридзе (9); рассказъ о Ганиши Бордзикидзе (9); убійство Накуды Гамаридзе (10); геройство Гиги Лагаза (10); смерть царя Ираклія (12); взятіе крѣпости Бахтріона тушинами (12); Зезва Гафриндаули (15); борьба тушинъ съ лезгинами (23); стычка тушинъ въ Ширакъ съ джарцами и съ татарами (48); разореніе селенія Чиго непріятелями (51); Верхованская крѣпость (52); плачь плѣнницы (52); освобожденіе плѣнницы Фхикліемъ (53); рассказъ о Нанозѣ Мгелодзе (53);

Джамрули (54); опустошеніе сел. Кварели Шамилемъ (54); участіе тушинъ въ русскихъ походахъ (55); жизнь пастуха овецъ (57); печальное сердце (60); быстротекущій ручей (61); трауръ по усопшемъ (61); варианты стихотворенія, напечатанаго на 17-ой страницѣ (62).

2. *Народныя стихотворенія, собранныя во Внѣшней Кахетіи, въ сел. Патардзеули, З. Г. Биланишвили въ 1883—1887 годахъ.*

Историческія стихотворенія: царевичъ Ираклій (63); царь Ираклій сказалъ (63); нашъ царь Ираклій (63); Зааль Тумановъ (63); Датуна Босташвили (64). О прекращеніи крѣпостничества (65).

Героическія стихотворенія: Шалва или Шалвлегъ (65); Ступай спроси діакона (66). Стихотворенія, касающіяся семьи (66). О домашнихъ и дикихъ животныхъ (69). Объ охотѣ (71). Застольныя пѣсни (72). Пѣсни рабочихъ (73). Священныя мѣста и ихъ сила (74). Стихотворенія и пословицы о разныхъ народахъ (74) и о разныхъ сословіяхъ (76). Очхари (77); Времена года (78). Любовныя стихотворенія (78). Афоризмы (81). Смѣсь (83).

3. *Пословицы и матеріалы для языка, собранныя во Внѣшней Кахетіи, въ сел. Патардзеули, З. Г. Биланишвили въ 1883—1887 годахъ* (86).

4. Пословицы, касающіяся сельскаго хозяйства (109).

5. Пословицы о погодѣ и временахъ (113).

6. *Народныя стихотворенія—пѣсни, собранныя Афросіономъ Джапаридзе въ Верхней Радчѣ:*

1. Въ Дидгорѣ сѣли великіе визири (114);

2. Къ вершинѣ горы подступили (115);

3. Пасхальная пѣсня (115);

4. Нѣкая женщина называлась Шрушана (116).

7. *Народныя стихотворенія, собранныя въ Месхетіи (въ Ахалцихскомъ уездѣ) Винме Месхи (священникомъ Иваномъ Гварамдзе):*

1. Давай посмотримъ виноградную лозу (117). Пѣснь объ Амиранѣ (119).

8. *Аварская пѣсня о набѣгѣ на Кахетію, переводъ Ал. Сабадзева* (121).

9. *Разъясненія словъ, встрѣчающихся въ тушинскихъ стихотвореніяхъ Д. Каричашвили и Ив. Букураули* (122—129).

Préface.

Le deuxième volume de l' Ancienne Géorgie contient cinq sections.

Dans la première sont placées les nécrologies, consacrées au prêtre Michel Tamarachvili (1858—1911), à David Zakhariévitch Saradjève (1848—1911) et à Nicolas Vissarionovitch Gogoberidzé (1838—1911).

Le prêtre *Michel Tamarachvili* connu plutôt sous le nom de Mikaël Tamarati, né dans la ville d'Akhaltzikh, reçut sa première éducation à Constantinople, à l'école du prêtre Kharistcharachvili, sous la direction de ce dernier, ensuite il visita l' Espagne et, étant déjà prêtre, il finit ses études à Paris, avec le titre de docteur en théologie. Michel Tamarachvili consacra toute sa vie à l'étude du catholicisme en Géorgie. Dans ce but, il recueillit le premier des documents précieux, qui sont conservés dans les archives des villes italiennes. C'est en cela que consiste son principal mérite.

Ses oeuvres les plus remarquables sont: „L'église géorgienne depuis l'origine jusqu'à nos jours. Rome. 1910“. 2) „L'histoire du catholicisme parmi les Géorgiens“ avec le supplément des documents authentiques suivis de commentaires à partir du XIII-ème siècle jusqu' au XX siècle, en géorgien, Tiflis 1902. 3) „La réponse aux écrivains arméniens qui nient l'existence des Géorgiens--catholiques“, en géorgien. Tiflis. 1904.

David Zakhariévitch Saradjève est le descendant des vieux mokalaks (bourgeois) de Tiflis. Il fit ses études d'abord à l'université de Saint Pétersbourg, mais ensuite il alla en Allemagne et y finit l'université avec le titre de docteur en chimie. Homme très instruit, entreprenant et énergique, D. Z. Saradjève contribua beaucoup au développement de l'industrie au Caucase. En 1888

Il organisa la première usine de cognac et donna ainsi l'exemple pour la construction d'autres usines semblables en Transcaucasie. Après avoir acquis une fortune assez considérable, il venait largement au secours de tous les établissements philanthropiques et dépensait environ vingt mille roubles par an pour la bourse des étudiants-géorgiens. En mourant, il a légué dans ce but plus de 150 mille roubles, et il a laissé la même somme pour la construction du musée géorgien. Il a légué à la ville de Tiflis, sa ville natale, sa maison richement meublée pour y faire une galerie de peinture. Il confia l'accomplissement de sa volonté à son épouse Catherine Ivanovna Saradjève.

Nicolas Vissarionovitch Gogobéridzé descendait de la noblesse géorgienne du gouvernement de Koutaïs. Il finit ses études à la faculté philologique de l'université de Saint-Petersbourg et ensuite il devint l'un des plus éminents patriotes. Homme très instruit, gentleman et jugeant les affaires avec justesse, il suivit plusieurs carrières. Il a été maître au premier gymnase de Tiflis, inspecteur des écoles de la société du rétablissement du christianisme au Caucase, membre de la Cour d'assises et notaire supérieur à Koutaïs. Nicolas Vissarionovitch prit une part active à la création de la typographie géorgienne à Tiflis, à l'édition de journaux géorgiens, à l'introduction des réformes judiciaires et à l'élaboration du règlement municipal au Caucase. Il a été président de la Banque de la Noblesse de Koutaïs. Ensuite il s'occupa de l'affaire du minerai de manganèse et contribua beaucoup au développement de cette industrie au Caucase. Il a édité à ses frais l'histoire de la Géorgie de M. Brosset, en géorgien, aidait la jeunesse étudiante et se distinguait par une large philanthropie. Tout son capital plus de 60 mille roubles en argent et en valeurs fut légué à la Société de la propagation de l'instruction parmi la population géorgienne et à la Société géorgienne d'histoire et d'éthnographie.

Dans la deuxième section sont placées des conférences, lues aux réunions générales de la Société, dont l'article de S. Gorgadzé: «L'aperçu de l'histoire de la Géorgie, partie II, chapitre II et III, sert de suite à l'oeuvre, placée dans le premier volume de l'ancienne Géorgie. L'auteur donne l'aperçu critique de la période la plus obscure de l'histoire de la Géorgie depuis le 1-er siècle jusqu'au cinquième siècle de notre ère, en tâchant d'éclaircir les notions obscures des annales géorgiennes par les nouvelles d'écrivains étrangers.

L'article du Libre Svane (pseudonyme): «L'aperçu abrégé de la grammaire svane» nous donne des renseignements abrégés sur les particularités de la grammaire de la langue svane et marque quelques phénomènes, inconnus d'autres savants. A la fin sont ajoutés 22 proverbes et 9 énigmes en langue de Svanétie. L'auteur est svane d'origine, connu par ses travaux concernant la Svanétie, en langue géorgienne.

L'article du prêtre P. Karbeloff: «Les goudjars historiques de la famille Amilakhvari, explique l'activité des personnes de cette puissante famille dans l'histoire de la Géorgie, depuis la fin du XIV-e siècle jusqu'à 1724. Outre cela, l'auteur donne l'aperçu abrégé de l'histoire de Géorgie pour la même période. L'auteur s'appuie dans ses recherches principalement sur les actes de la famille Zédgini-dzé-Amilakhvari, qui seront imprimés dans un des volumes suivants des «Antiquités géorgiennes».

L'article du feu Tatarthane Dadichkéliani sur la valeur du mot *d a s t a g u i* est placé par la rédaction pour donner aux personnes qui le désirent la possibilité de vérifier si ce mot s'emploie réellement en Svanétie et dans la Haute Imérétie, comme l'affirme l'auteur, dans le premier pays pour signifier une baguette carrée ciselée, qui sert de sceau pour l'apposer au pain cuit (le cliché de cette baguette est joint à la fin de l'article), et dans le second dans le sens d'écluse. Au fond, la rédaction ne partage pas l'opinion de l'auteur, qui avait pris *dastague* pour un mot, tandis que dans le texte de *Conversion de la Géorgie au christianisme*, il signifie deux mots *da* et *stagu*, comme l'a bien expliqué le professeur N. Marr. Le premier mot *da* signifie la conjonction *et*, et le deuxième mot *stagu* ou *staki*, selon l'explication de N. Marr, signifie une jeune pousse, une vigne *). L'auteur de cet article T. Dadichkéliani n'est pas d'accord avec cette opinion.

Dans la III section sont placés les *Matériaux pour le dictionnaire géorgien* recueillis par l'évêque Kirion, et les *matériaux pour l'histoire de Géorgie* par E. Takachvili. L'évêque Kirion a recueilli beaucoup de mots que nous ne trouvons pas dans le lexique géorgien imprimé. La

*) Voir les Mémoires de la Société Impériale russe d'Archéologie, v. IX p. 192—195.

publication des matériaux semblables donnera la possibilité avec le temps de compléter dans une certaine mesure le lexique géorgien.

Cinq articles d'E. Takaïchvili donnent de nouveaux matériaux pour l'histoire de Géorgie, inconnus jusqu'à présent. Dans le premier article: «Que renfermait l'histoire de l'Abkhasie du roi Bagrat dont se servait le patriarche Dosithée pour l'histoire des Patriarches de Jérusalem», l'auteur cite le texte géorgien du catalogue des rois d'Abkhasie, qui était connu au patriarche Dosithée, mais qu'on croyait perdu pour la littérature géorgienne, et prouve que nulle autre histoire complète du roi Bagrat n'était entre les mains de Dosithée. Les renseignements du patriarche Dosithée représentent la traduction littérale du géorgien sans aucune abréviation du catalogue des rois d'Abkhasie, composé par le roi géorgien Bagrat III. C'est le même Bagrat, qui avait réuni l'Abkhasie et la Géorgie en un seul royaume, et devint roi géorgien-abkhasien. Devenu roi en Abkhasie, en 978, Bagrat composa et publia la liste des rois d'Abkhasie, jusqu'à son avènement au trône, avec indication, à partir de Léon I, combien d'années chacun d'eux avait régné. Cet acte était conservé dans le trésor du roi à Koutaïs jusqu'au roi Constantin (+ 1714) et était devenu vieux. Constantin ordonna de le copier et dans cet état il s'est conservé en copie jusqu'à nos jours. Tout cela ressort du texte imprimé, qui est extrait par l'éditeur d'un manuscrit de la deuxième moitié du XVIII^e siècle, qui compose un recueil d'articles différents, au nombre de 77. L'auteur nous donne la description du manuscrit et explique avec cela que le surnom du célèbre philosophe géorgien Jean Petritzonéli Tchirtchiméli est formé du surnom du district Tchirtchimi dans l'arrondissement de Samtzhé, d'où Jean est issu. Outre cela, grâce à ce manuscrit devient plus claire et plus exacte la chronologie de la naissance et de la mort des rois et des princes héritiers, à partir du roi Irakli II.

De ce même manuscrit sont tirés par l'auteur: «Les notions abrégées de l'histoire de Géorgie» composée par une personne inconnue, comme il le déclare lui-même, grâce au manuscrit «La vie des rois», trouvé par lui-même. «Les notions abrégées» donnent les noms de quelques rois, inconnus dans le manuscrit Kartlis-Tzkhovréba, corrigent la chronologie et communiquent quelques nouveaux faits de l'histoire géorgienne. Ils servirent aussi de sources à l'histoire de Géorgie du prince héritier

Vakhouchte et pour le complément de Khartlis-Tzkhovreba de la commission du roi Vakhtang VI.

Deux articles suivants d'Euthime Takaïchvili contiennent les textes des apostilles historiques aux cycles de Pâques placés dans les manuscrits de la Société géorgienne d'histoire et d'éthnographie n° n° 381 et 342. Ce sont des chroniques de Pâques, qui se rencontrent souvent dans les manuscrits géorgiens. La première chronique embrasse les événements depuis 1512 jusqu'à 1803, la dernière depuis 1388 jusqu'à 1656.

Dans son cinquième et dernier article E. Takaïchvili cite le texte d'inscriptions personnelles de l'héritier du dernier roi Georges XII David, conservés dans le manuscrit de l'histoire de Quinte-Curce, qui appartient à la bibliothèque de la société de l'instruction n° 394. Dans ces inscriptions le prince héritier donne la liste de 13 événements de guerre, auxquels il prit part.

Dans la quatrième section sont placés les articles d'éthnographie concernant la Svanétie, le Saïnguilo et la Pchavie. Le premier article appartient à Niko Tchimakadzé, qui fut longtemps précepteur de village en Svanétie et avait la possibilité de bien étudier la vie, les moeurs et les coutumes des Svanes. Le deuxième article, plus étendu, appartient à l'inguilo naturel M. Djana-chvili, l'historien bien connu pour sa connaissance approfondie de la Géorgie.

En examinant en détail tous les côtés de la vie, des moeurs et des coutumes des inguilos l'auteur donne à la fin un aperçu de la grammaire de l'idiome inguilo et joint le lexique inguilo.

Le troisième article appartient à l'éminent poète géorgien originaire de Pchavie Vaja-Pchavéla (pseudonyme). La rédaction lui a confié comme au meilleur connaisseur de la vie des Pchaves, la mission de décrire les moeurs et les coutumes des Pchaves. Le poète a accompli la tâche en maître en donnant à l'article la forme d'un récit poétique, en représentant la vie, les moeurs et les coutumes, les occupations et la manière de voir des Pchaves dans les couleurs brillantes. A la fin de l'article sont joints 46 poésies populaires pchaves et 167 proverbes. Outre cela dans cette IV-ème section sont placées les traditions populaires de la vie de la reine Tamare communiquées par K. D. Magaloff, et les récits oraux des temps du roi d'Imérétie Solomon le Grand, recueillis par T. Magmadzé (pseudonyme). On verra le contenu plus détaillé de cette section dans l'index placé plus loin.

La dernière et cinquième section est occupée entièrement par la littérature populaire: 1) les poésies des Touches, recueillies par le Touche d'origine Jean Boukouraouli, en tout 94 poésies. Quelques poésies sont accompagnées de commentaires. Les explications des mots, qui se rencontrent dans ces poésies, sont faites par D. Karitchachvili, à l'aide du même Jean Boukouraouli, et sont placées à la fin de la section.

2. Les poésies populaires, proverbes, dictons et aphorismes, recueillis dans la Kakhétie extérieure, au village Patardzéouli, par Z. G. Bilanachvili en 1883 --1887. En tout 179 poésies et aphorismes et 585 proverbes et dictons.

Cette section de poésies populaires et des dictons se distingue par un choix rare et très précieux.

3. Les poésies —chansons populaires recueillies par Aphrossion Djaparidzé dans la Haute Ratcha. En tout 4 poésies.

4. Les poésies populaires, recueillies en Meskhétie (le district d'Akbaltzikh) par le prêtre Ivan Gvaramadzé. En tout deux poésies.

5. La chanson avaro ayant pour sujet l'invasion en Kakhétie, traduction d'A. Saradjève. Le contenu plus détaillé de cette section voir plus loin dans la table des matières.

E. Takaïchvili.

Table des matières du II volume.

Section première.

Nécrologies.

(avec portraits)

1. Le prêtre Michel Tamarachvili (1858--1910).
2. David Zakhariévitch Saradjève (1848--1911).
3. Nicolas Vissarionovitch Gogobéridzé (1838--1911).

Section II

Rapports et recherches.

1. S. Gorgadzé: Aperçu de l'histoire de Géorgie. Deuxième partie. Chapitre II: Depuis Aderki jusqu'à Miriane (p. 1—42). Rois: Mirdat I et Farsman I. Le frère de Farsman et son fils montent sur le trône en Arménie.—Azork ou Mirdat II. Amaspe I et Farsman II le Glorieux. Rok et Ghadam.—Farsman III et Amaspe II.—Colchiide, Ibérie et Albanie selon le témoignage de Ptolomée. Rev le juste.—Depuis Rev jusqu'à Asfagoure. De 265 jusqu'à 297. —Traité de Nisibe.—Léon, père de Miriane.—Les dates du règne de Miriane.—Conclusion.

Chapitre III: Géorgie au IV et au V siècles après J. C. (page 42—84):

Roi Miriane et le triomphe du christianisme en Géorgie.—Bakour II et Trdat.—Saourmague II et Varaze-Bakour.—Bakour III, Farsman IV, Mirdat IV, Artchil I et Mirdat V.—Vakhtang I: sa personnalité et les dates de son règne, son activité politique et ecclésiastique; sa mort.

2. Le Svane libre (pseudonyme): Aperçu abrégé de la grammaire svane (p. 85—98). Appendices: proverbes svanes (p. 98—99), énigmes svanes (p. 99—100).

3. Prêtre P. Karbéloff: les goudjars (actes) historiques de la famille Amilakhvari (p. 101—144).

4. Tatar Khan Dadichkéliani: Remarque concernant le mot «დასტაგო» - dastagui (139—144).

Section III

Matériaux pour le dictionnaire géorgien et l'histoire de Géorgie.

1. Evêque Kirion: Les matériaux pour le dictionnaire géorgien (p. 1—27).

2. E. Takatchvili: Matériaux pour l'histoire de Géorgie:

1. Ce que contenait «L'histoire d'Abkhasie du roi Bagrat», dont profita le patriarche de Jérusalem Dosithée pour son Histoire des patriarches de Jérusalem (p. 28—54).

2. Notions abrégées de l'histoire de Géorgie et remarques concernant ces notions (p. 54—66).

3. Jame-Goulani n° 381 de la bibliothèque de la Société géorgienne d'histoire et d'éthnographie et les apostilles historiques de son kinklos (cycle de Pâques p. 66—73).

4. Jame-Goulani n° 342 de la bibliothèque géorgienne de la Société d'histoire et d'éthnographie et les apostilles historiques de son kinklos (p. 73—79).

5. Les notes chronologiques du prince héritier David fils du dernier roi géorgien Georges XII.

Section IV

Ethnographie.

1. Niko Tchimakadzé: Svanétie libre.
 1. Notions géographiques (p. 1—4).
 2. » anthropologiques (p. 5—7).
 3. Habitation et ameublement (p. 7—11).
 4. Habillement (p. 11—13).
 5. Nourriture et boisson (p. 13—15).
 6. Vie et moeurs. Des quelles affaires sont-ils davantage occupés?
 7. Habitudes et divers traits nationaux (p. 18—24).
 8. Croyances (p. 26—26) et fêtes (p. 26—28).
 9. Moeurs et coutumes des svanes libres (p. 28—33).
 - a) Katkhtabac ou kontchkhob (p. 28—29).
 - b) Retour de l'âme d'un pays étranger au pays natal (p. 30—31).
 - c) Adgome (p. 31).
 - d) Limpariel (p. 31—32).
 - e) Ouplichière (p. 32—33).
 10. Traditions et légendes recueillies dans la Svanétie libre.
 - a) Koutaïs incendié par les Svanes libres (p. 33—34).
 - b) Capture de Georges Russe, premier mari de la reine Tamare et son renvoi à Tiflis (p. 34—35)
 - c) La lutte du dive avec la sainte Vierge (p. 35).
 - d) Les Svanes prennent la tribut de l'Ossétie (événement, p. 35).

2. T. Magmadzé (pseudonyme): Récits oraux des temps du roi d'Imérétie Solomon le Grand:
 - a) Bataille de Khrésil (p. 36—42).
 - b) Bataille de Roukh (p. 42—46).
3. K. D. Magaloff: traditions populaires de la vie de la reine Tamare:
 - a) capture de l'étoile Venus (p. 47—48).
 - b) tombeau de la reine Tamare (p. 48—50).
4. M. Djanachvili: Sainguilo (pays des Inguilos).
 1. Aperçu général (p. 51—93).
 2. Habitation, cour, verger et potager (94—105).
 3. Champs et prairies (p. 105—111).
 4. Sériciculture (p. 112—129).
 5. Moeurs et coutumes (depuis la naissance jusqu'à la mort):
 - a) naissance et éducation (p. 129—136).
 - b) fiançailles et préparatifs pour la noce (p. 136—143).
 - c) Noce (p. 143—150);
 - d) fin de la noce (p. 150—157);
 - e) coutumes funéraires (p. 157—165);
 6. La vie d'outre-tombe (p. 165—170);
 7. Superstitions (170—175).
 8. Fêtes et partages (175—181).
- VI. Contes et légendes inguilos:
 1. Le pivert et le renard (p. 181—183).
 2. Le vieux loup (p. 183—184).
 3. Le chat et le lion (p. 184—186).
 4. L'homme chauve (p. 187—189).
 5. Les chevreux et le loup (p. 189—190).
 6. Le médecin Lokmann (p. 190—191).
 7. La belle-mère et les belles-filles (p. 191—194).
 8. Le roitelet (p. 194—196).
 9. L'homme qui sait toutes les langues (p. 196—199).
 10. Le maître de bêtes féroces (p. 199—201).
 11. Les géants Ogouz (p. 201—203).
 12. Deux voisins (p. 203—206).
 13. Kize-Kala (forteresse de la vierge (p. 206—208).
 14. Kakhétie—la mer (p. 208—209).
 15. Le buisson épineux entre deux tombeaux (209—211.)

16. Moulla-Masradine et ses anecdotes (p. 218—221).

17. La reine Tamare et Alexandre de Macédoine
(p. 218—221).

VII. Idiome inguilo et sa grammaire (p. 221—238).

VIII. Lexique inguilo (p. 238—276).

IX. Corrections et compléments concernant l'article Sainguilo
(p. 350—352).

5. Vaja-Pchavela (pseudonyme): Pchave et sa vie terrestre (p. 277—340).

I Maladie. II Mort. III Devineresse. Les travaux ruraux du pchave. IV Chasseur. V En hiver et en été; Ascension et Messe de requiem. VI Fiançailles. VII Enlèvement de la fiancée. VIII Retour de l'enlevée. IX Noces. X Fin de la noce. XI Chansons de pchaves—poésies et proverbes.

Section V.

Littérature populaire.

1. Poésies des touches, recueillies par Jean Boukouraouli. Le Touche (p. 1); femme touche (p. 1); courage (p. 3); les héros touches (p. 3); les saints des Touches (p. 4); le sabre (p. 4); le cheval touche (p. 5); le grand-père Tzotzré (p. 6); Gana Kotilaïdzé (p. 6); Kotchaour Chvélaïdzé (p. 6) Mikhel Khalaidzé (p. 7); Guiorgui Tilidzé (p. 7); Thorgva (p. 8); l'histoire de Markhva Gabridzé (p. 9); le récit concernant Ganichi Bordzikidzé (p. 9); le massacre de Nakoudi Gamaridzé (p. 10); l'héroïsme de Guigui Laguazi (p. 10); la mort du roi Irakli (p. 12); la prise de la forteresse de Bakhtriou par les Touches (p. 12); Zezva Gaf-rindaouli (p. 15); la lutte des Touches avec les Lezguines (p. 23); le conflit des Touches à Chirak avec les Djars et les Tartares (p. 48); la destruction du village Tchigo par les ennemis (p. 51); la forteresse de Verkhovane (p. 52); les pleurs de la captive (p. 52); la délivrance de la captive par Pkhiklia (p. 53); récit de Nanz Mguélodzé (p. 53); Djamrouli (p. 54); la dévastation du village Kvaréli par Chamil (p. 54); la part des Touches dans les campagnes des Russes (p. 55); la vie du berger (p. 57); le coeur triste (p. 60); le ruisseau rapide (p. 61); le deuil (p. 61); la variante de la poésie imprimée à la page 17 (p. 62)

2. Poésies populaires recueillies en Kakhétie extérieure, au village Patardzéouli, par Z. G. Bilanachwili an 1883—1887 (p. 86).

2. Poésies hystoriques: le prince héritier Irakli (p. 63); le roi Irakli a dit (p. 63); notre roi Irakli (p. 63); Zaal Toumanichvili (p. 63); Datouna Bostaschwili (p. 64); fin du servage (p. 65).

Poésies héroïques: Chalva ou Chavleg (p. 66).

Poésies concernant une famille (p. 66).

Les animaux domestiques et bêtes sauvages (p. 69); la chasse (p. 71); les chansons de convives (p. 72); les chansons des ouvriers (p. 73); les saints lieux et leur force (p. 74); poésies et proverbes qui se rapportent aux diverses nations (p. 74); et aux diverses classes de la société (p. 76); otchkari (p. 77); les saisons (p. 78); les chansons d'amour (p. 78); aphorismes (p. 81); faits divers (p. 83).

3. Proverbes et matériaux pour la langue recueillis dans la Kakhétie extérieure, au village de Patardzéouli, par S. G. Bilanachvili en 1883—1887 (p. 86).

4. Proverbes qui se rapportent à l'économie rurale (p. 109).

5. Proverbes qui se rapportent au temps et aux saisons (p. 113).

6. Poésies, chansons populaires, recueillies par Aphrossion Djaparidzé dans la Haute Ratcha:

1. A Didgor les grands vizirs s'étaient assis (p. 114).

2. Ils ont atteint le faite de la montagne (p. 115).

3. Chansons de Pâques (p. 115).

4. Une femme s'appelait Chrouchane (p. 116).

7. Chansons populaires en Mesklétie (district d'Akhaltzikh) par Vinné Meskhi (le prêtre Ivan Gvaramadzé):

1. Allons voir le cep (117);

2. Chanson d'Amiran (p. 119).

8. Chanson avare qui raconte l'invasion sur la Kakhétie, traduction d'Alexandre Saradjève (p. 121).

9. Explication des mots qui se rencontrent dans les poésies touchées de D. Karitchachvili et de Jean Boukouraouli.

განყოფილება პირველი

ნ ე კ რ ო ლ ო გ ე ბ ი

† მღვდელი მიქელ თამარაშვილი

(1858—1911)

შარშან ზაფხულს მოულოდნელად და ტრადიკულად გამოესაღმა წუთი-სოფელს ჩვენი თანამემამულე და მხნე მკვლევარი საქართველოს წარსულის ცნობებისა, ისტორიკოსი მამა მიქელ თამარაშვილი. მამა მიქელი კათოლიკე იყო სარწმუნოებით, რომში იღვწოდა ბოლოს სამეცნიერო საისტორიო ღვაწლითა. ზაფხულის აუტანელ სიცხის გამო აკარაკად გასული, რომს ახლო სტოპორობდა სანთა-მარინელას დაბაში. მასთან იყო მისი განუყრელი მეგობარი მღვ. აგვისტო. ზსკვლავებურს ზღვის ზინად ბანაობდნენ მოძღვარნი თვისის შევირდები-თურთ. უცბად ამინდი შეიცვალა, ზღვამ დეფა დაიწყო და ზვირთის ზვირთზედ ისროდა. ამ დროს გაისმა ხმა განწირულების, შეეღის ძახილისა. ცხადი იყო, ვიღაც ზღვაში მობანაგეთაგანი იღრჩობოდა. მოძღვარნი აღელდნენ, შეეშინდათ, ჩვენი შევირდი სომ არ არისო. უცებ მოისკლისეს ერთი რომელი ხელოსანი, სხელად გაბრიელი, რომელიც წუთის წინად მათთან ერთად იყო. ის თურმე იღრჩობო-და, ის ჩაეხვია აღელვებულ ზღვის ზვირთებს და განწირულის ხმით ინგუწებოდა შეკლას. მამა აგვისტოს გულმა ვერ მოუთმინა და გადა-ვარდა გაშმაგებულ ზღვაში მოყვასის საშველად. მაგრამ, როცა იმა-საც გაუჭირდა, მამა მიქელიც აღიძრა სიბრალელის გრძობით და გადაეშველა მეგობარს. ამ დროს მენაკენიც გაჩნდნენ. მაგრამ გვიან-და იყო. ორივე მოძღვარი ემსხვერპლა შეუბრალებელ სტიქიონს. გა-დანჩა სიკვდილს მენაკეთა წუალობით მხოლოდ ხელოსანი გაბრიელი.

ასე გასწირა თავი კაცთ-მოყვარების, მეგობრობისა და სიბრა-ლელის გრძობით გატაცებულმა მამა მიქელ თამარაშვილმა და მით მწუნარებით აავსო ჩვენი ერი, ის შეგნებული მისი ნაწილი, რომელ-საც კარგად ესმის, რადენ მცირეა ჩვენში რიცხვი მცოდნე და მე-ცნიერ კაცთა საზოგადოდ და ისტორიისა და წარსულის ბეჯითად მკვლევართა კერძოდ და, მაშასადამე, რადენ ძნელია უდროოდ და-

კარგვა ასეთის მუშაკისა. ერთად-ერთი ნუგეში მისთა თანამემამულეთათვის ამ სამწუხარო გარემოებათა შორის ის-და იყო მხოლოდ, რომ მამა თამარაშვილმა გამოიჩინა დიდებული გრძობა კაცთ-მოყვარეობისა და თავი დასდო მოყვასისათვის; რომ არც მღვდლის სამოსელმა, არც ძველის-ძველ ამბების მკვლევარობამ და მტვრიან არქივებში ჩხრეკა-ძიებამ არ გამოფიტა მისი ზნეობრივი არსება, არ დაშრიტა მის გულში წყარო მადლიანობისა და ადამიანის სიბრალეულისა, როგორც უმეტრებით ჰგონებენ ამას ზოგიერთნი, არამედ ასე ბრწყინვალედ, ასე გმირულად შეასრულა მან მოვალეობა ადამიანისა, მოძღვრება ქრისტიკისი და ანდერძი მამა-პაპათა.

მიქელ თამარაშვილი (ერის კაცობაში ალექსანდრე) დაიბადა 1858 წელს ახალ-ციხეში. ძმები და დები საკმაოდ ჰყვანდნენ, ხოლო დედ-მამა ღარიბნი, მაგრამ პატიოსანნი და კეთილნი მეოჯახენი იყვნენ. პირველ-დასწყისი სწავლა მიქელმა მიიღო სამრევლო სკოლაში აწ განსვენებულ და ცნობილ მამა იოანე მესხისაგან (გვარამაძე). სწავლამ ახალგაზდა მიქელი ძალიან გაიტაცა, ხოლო ეკლესიაში სიარულმა, წირვა-ლოცვის მოსმენამა და საღმრთო წერილის გაცნობამ ადაგზნო მის გულში ღვთის-მოყვარეობა და დიდი სურვილი კეთილისა, ღვთის სათნო უოფა-ქცევისა. სამწუხაროდ, მიქელს მამა ადრე მოუკვდა, ჯერ როცა 15 წლისა იყო, და ობლობამ აიძულა ხელობას რასმე დასდგომოდა. თავის ძმით გრიგოლით ქუთაისს გადავიდა უფროს ძმა სოლომონთან და ეწეოდა თავის ხელობას. შემდეგ ეს ორნი ძმანი კვლავ ქართლში დაბრუნდნენ, ხაშურში გამართეს სახელოსნო თუნქსაცმელების კერვისა და ისე კარგად აწარმოვეს თავისი საქმე, რომ მცირეოდენი თანხაც გაიჩინეს. ამ თანხით დაბრუნდნენ ახალციხეს და ახლა იქ განაგრძეს კეთილი და პატიოსანი მუშაკობა. წიგნების კითხვას, ხშირად ლოცვას და ღვთის-ვედრებას უფრო მეტის გულ-მხურვალეობით ეძლეოდა თანდათან ახალგაზდა მიქელი, მოშორებული უოველ-გვარ კართობასა და დროს ამაოდ კარგვას ტოლამხანაგებში. ბოლოს გადასწყვიტა ბერად აღკვეცა და მიტოვება მსოფლიო ზრუნვისა. ძმამ დაუშალა, მაგრამ დაშლა ძმისა არ შეიშინა. როგორც იყო, მთახერხა კონსტანტინეპოლს მისულა 1878 წ., უკვე ოცის წლისამ და იქაურ ქართველ კათოლიკოსა მონასტრის და-



მიხეილ თამარაშვილი

მასწავლებელს მღვ. ჰეტრე ხარისჯარაშვილს მივმართავ. მამა ჰეტრემ შეიწყინარა ახალგაზდა კაცი, მიიღო მოსწავლედ და უერადღეობითა და მზრუნველობით მთარგუნებდა. ბერად აღკვეცილი მიქელ ახალ კაცად კარდიქმნა, სუდიერად დამშვიდდა, რაკი ნატურა თვისი აისრულა და გოგონებების მხნეობით შეუდგა სწავლას: სწავლობდა ქართულს, ლათინურს, ფრანგულს. მალე სხვებთან ერთად წარიგზავნა საბერძნეთის მთავრობის მოწვევით კანსაგითარებლად ესპანის. იქ მიქელმა დაჭყო ორს წელიწადს. შემდეგ უკან დაბრუნდა კოსტანტინეპოლს დედა-მონასტერში და აქ მიქელ მღვდლად აკურთხეს. მღვდლად კურთხევამ კიდევ გახარა მიქელი და თან დააღწია კიდევ. ჭეშმარიტის მღვდლობის მტვირთველს დიდი მომზადება და სწავლა ეჭირვება. მიქელმა და მისმა ამხანაგმა მღვ. იოსებ მერაბამ ბერის სთხოვეს მამა ხარისჯარაშვილს, გაგვიზავნე საფრანგეთს სწავლის განსაკრძობად. ბერის თხოვნისა და მუდარის შემდეგ აურთულდა თხოვნა მიქელს და გასტუმრებულ იქმნა ჰარისს, საცა განთქმულ წმ. ლაზარეს სასულიერო სასწავლებელში იქმნა მიღებული. აქედან მალე ისევ კოსტანტინეპოლში დაბრუნეს, ხოლო იქედან საქართველოში გადავიდა. მაშინ ქართველ კათოლიკეთა მდგომარეობა საქართველოში ვერ იყო სასურველ უოთაში და მიქელ თამარაშვილს გულისთა და სულით სწეურთადა სამსახური თვისთა თანამორწმუნეთა სასარგებლოდ, მაგრამ აქ ამ დროს კათოლიკეთა სასულიერო უწყებების უფროსად იყო პრელატი ორლოვსკი, რომელმაც მალე შეატყო ახალგაზდა ბერს, რა აზრების მიმდევარიც იყო და ან რა მამულიშვილური გრძობა უფულოდა გულშია. ამიტომ არავითარი გზა არ მისცა და არაფრით ხელი არ აღეშერა. მალე გამოეცხადეს კიდევ, ტოლიისი უნდა დასტოვო. მეტი რა დონე იყო; მამა მიქელმა ისევ ახალციხეს მიაშურა; აქ დაუფიქრდა, როგორც თავის გარემოებას, ისე ქართველ კათოლიკეთა შევიწროების საქმეს და მიხვდა, რომ რაღაც მანქნებით უნდათ მოსპონ ქართველი კათოლიკობა, გაჭრან მათი ვინაობა, უარ-ჭეონ საზოგადოდ არსებობა ქართველ კათოლიკობისა. ამ გარემოებამ მეტად დააღწია მამა მიქელი და აიძულა დროად ჩახეხნა თავისს გულსა და გონებაში, აეწინ-დაეწინა თავისი ძალ-ღონე, მომზადება, სამეცნიერო ავლა-დაღება. მამა მიქელი მისვდა, რომ ბრძოლა იყო

საჭირო. ბრძოლა მედგარი, მაგრამ თან მეცნიერული, დამყარებული საბუთებზედ, კვლევა-ძიებაზედ.

მამა მიქელმა გადასწვიტა კვლავ ეკრძაში წასვლა და უკეთ მომზადება, უკეთი შეიარაღება სამეცნიერო აბჯარ-საჭურველითა. თქმა ადვილია, საქმე კი ძნელია. უფულოდ, უსაღსროდ, უცხო ქვეყანაში უცხო კაცს რითი რა უნდა მოეხერხებინა? მაგრამ მამა მიქელისთვის დაბრკოლება არ არსებობდა. მან გმირულად სძლია ყოველს დაბრკოლებას, შეუდგა კვლავ სწავლას; საზოგადო სწავლაში საკმაოდ დახელოვნებულმა, თელილოსოფიში უკვე გაწვრთნილმა, საღვთის-მეტყველო საგნებს მიანერო უურადლება და იმდენად წარმატებით შეიგნო ეს მეცნიერება, რომ ღვთის-მეტყველებაში დოქტორის ხარისხით იქმნა დაჯილდოვებული. მალე, ესე იგი 1891 წელს, დაიბეჭდა მისი საკმაოდ ვრცელი წერილიცა ერთს ფრანგულს გაზეთში კათოლიკეთა შევიწროებაზედ საქართველოში. ამ წერილმა დიდი უურადლება მიიქცია ეკრძისა, რომელმაც ახლა კაცო ზირველად, რომ არსებობასაც კი უარ-ჰყოფდნენ საქართველოში ქართველ კათოლიკეებისა. ვინც არიან, ისინი ქართველი კათოლიკენი კი არ არიან, სომხის კათოლიკენი არიანო, სომხის ეროვნებისნიო. რასკვირველია; უარის მყოფელთ ზირის დასყოფად გაზეთში დაბეჭდილი წერილი არ კმაროდა, საჭირო იყო საბუთები, მრავლად საბუთები და კიდევ საბუთები, საბუთები ისტორიული, უეჭველი, ბრძათა თვალის აშინლველი. და აი აქედან იწყება მამა მიქელის თავ-გამოდებული, თავ-განწირული სამეცნიერო მოღვაწეობა ყოფლად ძნელსა და აუტანელს გარემოებაში. მამა მიქელმა უსაღსროდ, სიღარიბითა და გაჭირვებით მოვლო ეკრძის ტენტრები, გაიცნო არქივები ვათიკანისა, ჰროპაგანდისა, კახუცინებისა და სხვათა საისტორიო საუნჯენი, შეუდგა შრომას, მასალის მოგროვებას, სისტემატიზაციას და ამ შრომის ნყოფი იყო შესანიშნავი მისი წიგნი „ისტორია კათოლიკობისა საქართველოში“. ეს წიგნი დიდის ზომისაა, 420 ფურცელი და შეიცავს აურებელს საისტორიო მასალას. ამ წიგნში მოთავსებული მასალისა და საბუთების წყალობით, ნათლად ჰხელავთ, რა მდგომარეობაში იყო საქართველო და რა ჭირსა და უბედურებას განიცდიდა, მეცამეტე საუკუნიდან დაწყებული მეცხრამეტემდე. მიწერ-მოწერა სხვა და სხვა კათოლიკე მისიონერთა და

რომისა, რომისა და საქართველოს მეფე-კათალიკოზთა, მთავართა და წარჩინებულთა კაცთა, მოთავსებული ამ წიგნში, ცხადად ჰქმნობს, რა ეოფაში იყო, ქართველ კათალიკეთა გარდა, თვით საქართველოს ცხოვრებაცა. ეს ძვირფასი წიგნი სხელფანმა მამულიშვილმა და დიდმა ქველმოქმედმა ნეტარ-ხსენებულმა სტეფანე ზუბალაშვილმა დაჭბეჭდა და თავის ხარჯით 1903 წელს.

მეორე საინტერესო, თუმცა არა იმდენად ძვირფასი, თხზულება მამა მიქელის იყო „ზასუნად სომხის მწერლებს, რომელნიც უარ-ჰყოფენ ქართველ კათალიკობას“. ეს წიგნი დაიბეჭდა 1904 წელს და დიდი აურ-ზაური ასტეხა, მაგრამ არა ისე ჩვენი, როგორც ევროპაში. წიგნის წინააღმდეგ ამხედრდნენ მეტად მეხითარისტები გენტიკისა. იქამდე გამწვავდა საქმე, რომ ჰანმა ზასუნის საგებად მიიწვია ავტორი, რომელმაც ეოველივე ბრალდება თავიდან აიურა. დავა-საჩივარი მის სასარგებლოდ გათავდა და, დასჯის მაგიურ, მამა მიქელმა მოიხფა ჰატივის-ცემა და მფარველობა ჰანა ჰიოსი და რომის წმიდა ტახტისა. მალე ამ ორ შრომას მოჰყვა მესამე, ფრანგულად დაწერილი, ისიც ფრიად საინტერესო, მრავალის შესანიშნავის მხატვრობითა და სურათით შემკული: „ისტორია საქართველოს ეკკლეზიისა“. ევროპაში ახლა უფრო სტეკიატა უურები და დიდის ცნობის-მოყვარეობითა და ინტერესით მიეკება, რადგან ფრანგული ევლეკან კარკად იცინ იქ, მეტადრე მეცნიერთა და მკვლეურთა. ეს წიგნი დაიბეჭდა 1910 წელს, საკმაოდ მოზდილია, in octavo და შეიცავს 700 გვერდს. მოკლე ხანში 50-ზედ მეტი რეცენზია დაიბეჭდა ამ წიგნის შესაქებ-შესამკობლად ევროპის ურხნალ-გაზეთებში. უმთავრესი აზრი ამ რეცენზიებისა ის იყო, რომ ეს წიგნი „ახალი ისტორიული გამოცხადება და აღმოჩენაა“. მრავალი მილოცვის წერილი მიუვიდა ავტორს, ხოლო ჰანმა ჰიო მე-X-მ, რომის კარდინალის მერდიელ ვაღის ჰირით, შეუთვალა სამოციქულო კურთხევა, „როგორც ჯილდო მაგ თქვენის შრომისათვისა“, სწერდა განსვენებულს მიქელ თამარაშვილს კარდინალი.

ასე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მღვდელი მიქელ თამარაშვილი სასარგებლოდ ქვეყნისა და მეცნიერებისა და სწორედ იმ დროს, როდესაც სახელი მისი გაითქვა, როდესაც ცონება მისი უადრესად

დაბრძენდა, საბუთები და მასალა აუარებელი მოუგროვდა ახალ-ახალ გამოკვლევათათვის ჯერ ისევე ჯან-ღონით საფსეს; სწორედ მაშინ გვიმუნხლდა ბედმა და განრისხებულმა სტიქიონმა გააქრო ჩვენთვის ესოდენ ძვირფასი სიტყვები ჩვენის წარსულის მკვლევარისა.

საუკუნოდ იყოს ხსენება მისი!

გრ. ყიფშიძე.

† დავით სარაჯიშვილი

(1848—1911)

წლეუანდელი წელი ჩვენს ხაზოგადო ცხოვრებაში უბედურ წელიწადად უნდა ჩაითვალოს, მით რომ დავითს იხუთი უღარო მოღვაწე, როგორც იყო დავით სარაჯიშვილი.

დავით მუქაბუღის სოფლაგრის შვილი იყო, ემაწვილობითვე ეპირათის და წესიერს ცხოვრებას დაჩვეული. გიმნაზიაში სწავლობდა კარგად და, კურსის დასრულების შემდეგ, 1866 წ. შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტში, საბუნების-მეტეველო ფაკულტეტზე. მაგრამ არც უნივერსიტეტის სწავლა და არც მაშინდელი სტუდენტობის ცხოვრება მათის ნიგილისტობით დავითს არ მოსწონებია და მეორე წელსვე წასულა გერმანის.

გერმანიის უნივერსიტეტების თავისუფალმა სწავლამა და ცხოვრებამ ისე წაუღო გული დავითს, რომ ცამეტი წელიწადი გაატარა სტუდენტობაში. გერმანიის სტუდენტების ჩვეულებისამებრ გადადიოდა ერთის უნივერსიტეტიდან მეორეში, სადაც უკეთესი პროფესორი ეგულებოდა, და ასე მოიარა რამდენიმე უმადლესი სასწავლებელი გერმანიასა და საფრანგეთში. სწავლობდა ბუნების-მეტეველებს, სოფლის მეურნეობას და ჰოლიტიკურ ეკონომიას.

სამშობლოში დაბრუნებიდან ორის წლის შემდეგ დავითმა შეირთო ივანე ფორაქაშვილის ასული ეკატერინე, რომელიც შეიქნა მისს თავდადებულ და ერთგულ მეუღლედ და მეგობრად სამარის კარმდე. მათი ცოლ-ქმრობა, თუმცა უშვილო, მშვიდობიანი და ბედნიერი იყო.

დავით გვიან გამოვიდა მოქმედების სარბიელზე. ოცდა თექვს-



D. V. Capadja

მეტის წლის სრული ვაჟები იყო, რაცა მიხედვით ხელი მრეწველობას და ვაჭარში არეის ქარხანა შეიძინა. მას აქეთ მისი ცხოვრება განუწყვეტელს და დაუღალავს შრომად გადაიქცა. არეის ხდას მოჭველა ღიკორის და მერე კონიაკის დაყენება. კონიაკის დაყენება რუსეთში პირველად დაფითმა შემოიღო და გაუყვლია გზა ამ ახალს მრეწველობას, რომელიც ახლა ისე დაგრძელდა და გადავიდა.

წლითი-წლად დაფითის მრეწველობა მატულობდა; მისმა ნაწარმობებმა მოიპოვა მთელს რუსეთში ბაზარი, მოსდო ქვეყანას დაფით სარაჯიშვილის სახელი და შესძინა ჰატრონს სიმდიდრე ჰერ არ კონილი და არ ნახული ქართველობაში.

დაფითის სიმდიდრის მოკებაში ბედს დიდი წილი არ ედო. არც ხანიათით და არც ზრდილობით დაფით ბედის-მეცადე არ იყო, და ბედიც ყოველთვის არა სწულაობდა. ერთ დროს დაფით ისეთს გაჭირებაში ჩავარდა, რომ კინაღამ გაკოტრდა, მაგრამ ისევე თავისის მხეობითა და შრომით თავი გამოიტანა და კვლავ წარმართა საქმი. მაგრამ დაფითის ბუნების სიდიდე მისის ღრვლათის სიმრავლით რელი კაიზომება.

ჩვენ რომ მარტო მის სიმდიდრის ზრდას თვალი ვაღვიწყოთ, გვეტონება თითქმის დაფითს ანგარების მეტი არა ასულდგომილება რა. მაგრამ მოკების წყურვილთნ ერთად დაფითს თანდაყოლილი ქქონდა სამშობლოს ტრთოალი, და ეს გრძობა იზრდებოდა მისს გულში მით უფრო, რაც ქონება ემტებოდა.

სამშობლოს სიყვარული დაფითის გულში დაუმტებულ ტატხლად ღვიოდა და ჯხენის მაგიერ გულს უწვავდა, იმიტომ რომ სამშობლოს აწმყოში მხლად ჭირსა და უკუღმართობას სედავდა და მამავალშიც სანუკემის არათერს მოელოდა. სამშობლოს ბუდი მარად მისი დარდი და საზრუნავი იყო, მისი გადამკიდე თუქტი. ყოველთვის, უგელკან და უგელასთან სასუბროდ ესა ქქონდა: რა ეშველება ჩვენს საქართველოსა?

ჩვენ, თავის მოუვასთ, დაფით გეტანავდა სამშობლოს მარტო ჭირსა და ნაკლებ ჯაპარაკით. რაც უნდა ნიშანი გაუმჯობესებისა გვეჩვენებინა, ან რაც უნდა იშულებო გამობრუნებისა დაგვეხეობინა, ის უწულად დარდვევდა ჩვენს საბუთებს და სასტოლოდ

აიგდება ჩვენს უსაფუძვლო იმედებს. გულნაკლული და ილაჟ-გა-წვეტილნი წამოვიძახებდით ხალხი: „მაშ თუ ჩვენი საქმე ეკრე უიმედოდ უოფილა, ის-და დაგვრჩენია, ავიღოთ დანა და ევლი გამოვიჭრათ!“ მაგრამ დავით მაშინვე დაგვასწრობდა: „აი ქართველი კაცი,—ან უსაფუძვლო იმედი, ან უკიდურესი სულმოკლეობა და სასოწარკვეთილება. კაცს თუ სპტივიარი ამოუჩნდა, თავზე ხელი კი არ უნდა აიდოს, წამალი უნდა ექებოს, რომ თავი მოიჩინოს“.

ეს წამლის ძებნა დავითს თანდათან დაუცხრომელს წუურვილად გადაექცა. მარტო თავისიანებს კი არა, უცხოელებსაც,—მეცნიერი იქნებოდა თუ უქმი ტურისტები,—დავით გამოჭკითხავდა იმათს აზრს საქართველოს მდგომარეობაზე, თვალში თვალს გაუერიდა და სულ-განახული ელოდა ზსუნს,—ეკების უცხოს თვალი უკეთ ხედიდეს საით არის ჩვენი ხსნა!

თვითონ დავით იმ აზრისა იყო, რომ ახლანდელს კარემობაში საქართველოს მოცხროველებს მხოლოდ მისის ეკონომიურის ძალეობის გაძლიერებით შეიძლება. ამისათვის საჭირო იყო ჯერ ზირადად უველა ქართველის თანხრობისა და უნერგიის გაძლიანება, მერე შეერთებული შრომა კოლხერაციებით, და ბოლოს სახელმწიფო დახმარების მოხვევა. დავითს გულს უკლავდა, რომ უველა ეს თვისება და ღონისძიება ქართველებს გვაკლია და ვერც შეგვიგნია მათის შეძენის საჭიროება. იმას სთულდა მეტადრე ჩვენი ინტელიგენციის ღიბიკალობა, რომელიც ერიდება მთავრობის დახმარებას და ეს ბუტილობა თავისს ჰოლიტიკად გაუხდია. დავით უოველთვის თვალწინ გვიუენებდა სომხების მაგალითს, რომელნიც თავიანთის მხნეობით, შრომით, უირათით და ჰოლიტიკით უველგან გვეოობნიან. ასეთი ქება სომხებისა, ზოგჯერ გადაჭარბებული, ძალიან არ მოსწონდა მის მეგობარს ილიას და გამწურაფს არა ერთხელ წამოუძახნია ცხარე კამათში: „საკვირველია, ამ სახლში მამულიშვილობით თითქო თავი მოაქვთო და სომხის ქების მეტი კი აქ არა ისმის რა!“

დავითის აზრით, ჩვენი ძალი და ღონე უოვლის ჰირველად ჩვენს ეკონომიურს წარმატებას უნდა მოყახმაროთ, რადგან უიმისოდ იმ მტირე რასმე სულიერს კულტურასაც, რომელიც წარსულ საუკუნობში შევიძინეთ, მკვიდრი საფუძველი არ ექნება და ისიც ჩინთქმის

და გაქრება ჩვენს ნივთიერს და სულიერს სიღატაკეში, და ჩვენც, ეკონომიურად სუსტნი, დავმარცხდებით არსებობის ბრძოლაში და ან გავწელებით, ან გადავგვარდებით.

თუმცა ეკონომიურს წარმატებას ასეთი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ვითის თვალში, მაგრამ მის მისაწევს ღონისძიებად ქველმოქმედება კი არ უნდა უოფილიყო, არამედ შრომა და საქმიანობა. „კომერციულს საქმეს კომერციული ნიადაგი უნდა ჰქონდესო“, იტყვოდა ხოლმე დავით, როდესაც ერთს რასმე ფანტასტიურს პროექტს გადაუშლიდნენ და შემწეობას სთხოვდნენ.

ამიტომაც მისი ქველმოქმედება მხოლოდ ჩვენის სულიერის საჭიროების შესავსებად იყო მიმართული. დავით უხვად და გულისანად გასცემდა, როცა სწავლისათვის ან განმანათლებელის დაწესებულებისათვის მოსთხოვდნენ ხოლმე შემწეობას. სიცოცხლეშიაც ასე იქცეოდა დავით და სიკვდილის შემდეგაც უველა თავისი მონაკები იმავე საქმეს უხადებდა.

სწორედ ასეთი ქველმოქმედება საჭირო ჩვენთვის ჩვენს ნივთიერს სიღარიბეში და განათლების წუურვილში. და ამ ნაციონალურის საჭიროების შეგება და მის შესავსებად სრულის თავის ქონების შეწირვა არის ის ღვაწლი, რომელიც მიუძღვის დავითს საქართველოს წინაშე და რომელმაც მოუპოვა მას საერო სიუყარული და საუკუნო ხსენება. ჩვენ, ვინც ჰირადად ვიცნობდით დავითს, ის გვიხიბლავდა თავისის ჰატონისებით, ჭკუით, ზრდილობით, სიუხვით, თვალ-ტანადობით. მაგრამ ის საერო თაყვანისცემა, რომელიც გამოცხადდა მის სიკვდილის შემდეგ, მხოლოდ მით აიხსნება, რომ ქართველების თვალში დავით იყო სანატრული გმირი ჩვენის დროის. მისმა ცხოვრებამ და მოქალაქეობამ ცხადივ დაგვანახვა, რომ მხოლოდ დავითისთანა კაცებს შეუძლიანთ გვიხსნას ახლანდელ გაჭირებულ მდგომარეობიდან, მხოლოდ მაგისთანებს შეუძლიანთ გამოაცოცხლონ საქართველო.

კერძოდ ჩვენი საისტორიო და საუთნოგრაფიო საზოგადოებაც მადლიერი უნდა იყოს დავითისა და მარადის ჰატონის სცემდეს მისს ხსენებს. დავით გულის თანუგრძობდა ჩვენის საზოგადოების მიზანს და მის დაარსებიდანვე უხვი შემწეობა გაუზინა.

თავისის გამჭრისის და პრაქტიკულის ჭკუით დაფითმა მამინვე შეიგნო ქართულის მუზეუმის საჭიროება, მეტადვე ესლანდელ დროს, როცა ჩვენის გულგრილობითა და უთაურობით იხრწნება ყოველი ძეგლი და ნაშთი ჩვენის უწინდელის კულტურისა, და ახალი ეკონომიურის ზირობების გამო ჰქრება ყოველი ნიშან-წყალი ეთნოგრაფიულის განსხვავებისა.

დავითს სიცოცხლეშივე სწადა აგო მუზეუმის შენობა. მიიმედ ავადმეთი, ლოგინად ჩავარდნილი მუდამ მაგაზე ლაშარაკობდა და გეგმებს არჩევდა. გრძნობდა, რომ სიკვდილი არ დაცლიდა მისი გულის-ხადების ასრულებასა და თავის ანდერძში უხვად წილი დაუდო.

დავითის ანდერძით უნდა გაიყიდოს მისი ექვსი დიდი მამული, ოცდაათი ათას თუმნამდე ღირებული, და შემოსულის თულიდან ნახევარი სტიჰენდიების თონდად გადაიდოს, ნახევარი მუზეუმის აშენების მოხმარდეს.


ამას იქით ქართული მუზეუმის არსებობა უზრუნველყოფილია. ეს იქნება ღირსეული ძეგლი ჩვენის სასიქადულო მამულისშვილისა.

აღ. სარაჯიშვილი.

† ნიკოლოზ ბესარიონის ძე ლოლობერიძე.

(1838—1911)

ნიკოლოზ ლოლობერიძე დაიბადა ქალაქ ქუთაისში 1838 წელს. ის იყო მეორე ვაჟი ბესარიონ ლოლობერიძისა. ბესარიონი თავის დროის შესაფერად განათლებული და განვითარებული კაცი იყო, სასულიერო სემინარიაში იყო ნასწავლი და დანიშნული იყო მდივნად იმერეთის ეპისკოპოსისა. აგრეთვე ის იყო მდივანბეკად ძველ სასამართლოში. ამ შეგნებულმა ადამიანმა უგულა თავის შვილებს კარგი განათლება მისცა. ბესარიონს ცოლად ჰქრავდა ეკატერინე აბაშიძის ქალი. ჰირველ დაწეებითი სწავლა ნიკოლოზმა ოჯახში შიიღო დედის ხელმძღვანელობით, მაგრამ დედა ადრე გადაეცვალა, ნიკოლოზი ცხრა წლის იყო, როდესაც დედა დაკარგა. ამ დროს ის მიაბარეს ქუთაი-



ნიკოლოზ ლოლობერიძე

სას ახალ გახსნილ სსწავლებლებში. სოლო შემდეგ კადრებზე რეფორმის გეგმვაში, რომელიც დასრულდა 1857 წელს. რეფორმაში ბესარიონი ცხოვრობდა იმ დროში განთქმულ დავის მხარეში, სადაც მის აღმზრდელად იყო ჩვენში კარგად ცნობილი ისტორიის მსწავლებელი და სპირიტუალური მოღვაწე დ. ზაქარია. გეგმვის კერძოს დასრულების შემდეგ ნიკოლოზი კამეგზურა პეტროპოლის და შევიდა ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, რომელიც დასრულდა 1861 წელს.

პეტროპოლისში უფროს დროს ნიკოლოზი თვალსაზრისით სტუდენტი იყო, ერთი კულტურული და პრაქტიკული მუშაობა იმ პერიოდული წრისა, რომელიც ბაზის დაარსდა პეტროპოლისში. იმ დროს ნიკოლოზის ამხანაგები და კარგი მეგობრები იყვნენ შემდეგ ცნობილი ზენი და რუსების მოღვაწეები: ილია ჭავჭავაძე, დიმიტრი უფიანი, ნიკოლოზ უბაძე, ბესარიონ ლომოპოლიძე, განთქმული კრიტიკოსი დიმიტრი უფიანი, დ. შანტლევანი, მესხინაძე სპირიტუალური მოღვაწე და წიგნების გამომცემი, ან თუმცა დიმიტრი სპირიტუალური თანდისა, და სპირიტუალური, ცნობილი მედიკოსი. მისი უნივერსიტეტში სტუდენტის გეგმვის დიდი დროებით არ იღებდნენ, მთავარი მუშაობები უნდა დაეწყოთ. ნიკოლოზი კულტურულ მსწავლებელი და ხელმძღვანელი იყო უფროსი პეტროპოლისში ახალ მოსულ პირთზე ახალგაზრდასა, რომელსაც უნივერსიტეტში შესვლა უნდა. ესევე ჩვენში ცოცხალი არიან ბევრი მოღვაწეები, რომლებიც ნიკოლოზ ლომოპოლიძეს მოუმზადებია უნივერსიტეტში შესასვლელად. თვის მთავარი მუშაობის ამგის დადგენა და სპირიტუალური სპირიტუალური იმ თვითი გახდა ნიკოლოზის ცხოვრების მიზნად.

ნიკოლოზ ლომოპოლიძემ უნივერსიტეტის კურსი იხე კარგად გაათავა და ნიჭი გამოიჩინა, რომ მის შემდეგ უნივერსიტეტში დარჩენა და პროფესორობისთვის მომზადება, მაგრამ უფრო სპირიტუალური სპირიტუალური არის და დაბრუნდა რეფორმაში, განზრახვა ქონდა და უმთავრესად საღვთის განათლების სპირიტუალური და დაინახა მსწავლებელად კოორდინაციის და დათმობის ენის რეფორმის გეგმვაში, სადაც დაჭრა სამი წელიწადი. შემდეგ დიმიტრი ბეკაძესთან ერთად დაინახა ინსპექტორად კავასიაში ქრისტიანობის აღმდგენელ სპირიტუალური

კადრების სკოლებისა. ამ ხანებში ნიკოლოზ დოღობერიძე, დ. ბაქრაძე და გიორგი წერეთელი ერთად მოგზაურობდნენ შთებში, ცდილობდნენ გაეგრძელებინათ სკოლები და ეცნობოდნენ ხალხის უსწრებულს.

ამავე ხანებში ნიკოლოზ დოღობერიძემ, დიმიტრი ბაქრაძემ, სტეფანე მელიქიშვილმა და ვახტანგ თულაშვილმა ტფილისში ქართული სტამბა დააარსეს, სადაც ქართული წიგნები და ჟურნალ-გაზეთები იბეჭდებოდა. ქართული სტამბის დაარსებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენთვის. ამან ჩაუყარა საფუძველი ახალი ლიტერატურის აღორძინებას, ქართული წიგნების და ჟურნალ-გაზეთების გავრცელებას. ეს იმ დროისთვის რთული და ძნელი საქმე იყო, დიდ შრომას და გარჯას თხოვლობდა და ნიკოლოზი ამ საქმის ერთი უმთავრესი სულის ჩამდგმელი იყო. სტამბასთან ერთად დააარსეს ქართული გაზეთი „დროება“. შრიფტი გენიდან გამოიწერეს და დიდი ხალხით და იმედით ეპყრობოდნენ ამ ახალ საქმეს. ხშირად სტამბაში ათევედნენ დამეს, რომ მოესწროთ გაზეთის თავის დროზე გამოშვება. ამ მოღვაწეობამ გასტანა 1868 წლის 19 თებერვლამდის. ამ დროს სასამართლოს რეფორმა მოახდინეს ჩვენში. ყველას დიდი იმედი ჰქონდა ახალი სასამართლოებისა და ნიკოლოზმაც სასამართლოში სამსახური ირჩია. ის დაინიშნა მამრიგებულ მოსამართლის თანაშემწედ ტფილისის მაზრაში, აქედან ქუთაისის მაზრის მამრიგებულ მოსამართლედ გადაიყვანეს და შემდეგ ქუთაისის ოლქის სუდის წევრობა მისცეს. ერთხანად სამსახურს თავი დაანება და ნათესავ ვეჭილად ჩარიცხა, მაგრამ ეს ხელობა მის ხასიათს არ ეწყობოდა და ხელმოკრედ შევიდა სასამართლოში და დაინიშნა უფროს ნოტარიუსად ქუთაისის საოლქო სუდისა. შემდეგ, როდესაც ცნობილი მოღვაწე ბესარიონ დოღობერიძე გარდაიცვალა, ნიკოლოზ დოღობერიძე ამორჩეულ იქმნა ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის მმართველად. ამ თანამდებობაში დაჰყო ორი საარჩევნო ვადა და შემდეგ თავის ნებით დატოვა ეს ადგილი, კენჭი აღარ უყრია. ცოტა ხნის შესვენების შემდეგ მან დაიწყო საკუთარ მამულში ს. რვანში შავი ქვის დამუშავება. შირველ ხანებში ის მარტო ეკსპარტიორი, გამზიდველი იყო შავი ქვისა და კერძაში. შემდეგ შეიძინა მღვიმეში შავის ქვის ადგილები და

თვითონ ამუშავებდა და გზავნიდა საზღვარს კარეთ და რუსეთში შავ ქვას. ამ თერთმეტი წლის განმავლობაში, როდესაც ის აწარმოებდა შავი ქვის საქმეს, მან შეიძინა ის ფული, რომელიც უნდერძა წერაკითხვის გამავრცელებელ და საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას.

ამ მშრალი ნუსხით თანამდებობათა და საქმეთა არ განისაზღვრება ნიკოლოზ დოდობერიძის მოქმედება და მნიშვნელობა ჩვენს ცხოვრებაში: ნიკოლოზ დოდობერიძე იყო გულწრფელი მოსარჩლე უოველ გვარ ჩვენი საქმისა. არ უოფილა არც ერთი საზოგადო საქმე, რომელშიაც ნიკოლოზ დოდობერიძეს არ მიეღოს მხურვალე მონაწილეობა, არ უოფილიყოს მხურვალე მოჭირნახულე ჩვენ ქართველებისათვის სსსარგებლო საქმისა. რომელი საზოგადო საქმე გინდათ დაასახელოთ, რომ ნიკოლოზ დოდობერიძეს არ სჭეროდეს ერთი უმთავრესი ადგილი, არ შეეტანოს თავის წვლილი ამ საქმეში, არ მოჭვიდებოდეს გულმხურვალედ, არ ამოეჩინოს შესაძლებელი დახმარება? თავად-აზნაურობის საქმეში, ბანკების საქმეში, ქალაქის თვითმართველობის შემოდებაში, სწავლა-განათლების საქმეში, ყურნაღაზუბეთების დაარსებაში, შავი ქვის მრეწველობის საქმეში მას უოველთვის ერთი უმთავრესი ადგილი ეჭირა, მისი ჭკუით და გამტადილებით ვეველ სასარგებლოდა, მის სიტუვას და საქმეს დიდი ფასი ჭქონდა.

მის დროს ქუთაისში გუბერნატორად იყო გრაფი ლევაშოვი, არისტოკრატი და დაახლოვებული ჰირი დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძისა. ეს ლევაშოვი წაავდა თ. მუშჩერსკის გმირს რომანში: „Одинъ изъ нашихъ Бисмарковъ“. მან მოინდომა აზნაურების კენჭის ურამი ჩარევა, არჩევა თავისი კანდიდატისა გუბერნიის მარშლად და თავად ალექსანდრე მიქელაძის გადაყენება, რაც კიდეც მოახერხა. მთავრის განკარგულებით ალექსანდრე არ იქმნა დამტკიცებული, ხოლო მის თანამდებობას ასრულებდა თავადი ავიაშილი, ქუთაისის მარხის წინამძღოლი. დიდი შეჯახება, დიდი მითქმამოთქმა იყო ამის შესახებ ქუთაისში. კობახიძის მეთაურობდენ ნიკოლოზ დოდობერიძე და მისი ძმა გიორგი. ამ უკანასკნელს ოფიციალური საუვედურიც მოუვიდა ამის შესახებ მთავრობისაგან. ამ ოპო-

ზიციას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ დროს ჩვენი ცხოვრებისათვის. ეს იყო პირველი საზოგადოებრივი ძალის გამოჩენა იმერეთში, პირველი ეროვნული კანდიდატის წამოყენება წინააღმდეგ გუბერნატორის ურმობილი მონისა. ძალა აღმართს ხნავსო, მოგესვენებთ, ოპოზიციამ თავისი ვერ გაიტანა, მისი კანდიდატი არ დამტკიცეს, მაგრამ ზნეობრივი გამარჯვება მანც მას ღარჩა, თვით არჩევანში გუბერნატორის კანდიდატმა ვერ გაიმარჯვა. ამას მოჰყვა ბევრი ჯეჯემოვის უკვანო საქმის გამოძღვანება და ჯეჯემოვი ოდესში გადაიყვანეს და შემდეგ სამსახურიდან დაითხოვეს.

ჭუთაისში უოფნის დროს ნიკოლოზ დოდოპერიძემ დიდი მონაწილეობა მიიღო ქალაქის თვითმართველობის შემოღებაში და ქალაქის საქმეებში. სხვათა შორის მან დამტკიცებინა ვეტერბურკში უოფნის დროს საურთიერთო ნდობის კრედიტის საზოგადოება ჭუთაისში და არჩეულ იქმნა ამ ბანკის პირველ თავმჯდომარედ ერთი წლის ვადით უსასუიდელოდ. როდესაც ბანკი ჩაყენა კლავატოში, შემდეგ დაანება თავი. ნიკოლოზ დოდოპერიძე იყო აგრეთვე ხაზინადრად ჭუთაისის უფასო ქალების სკოლისა. მონაწილეობას იღებდა ჭუთაისში სათავად-აზნაურთ სკოლის დაარსებაში, და იყო წევრი ამ სკოლის სამხრუნველო კომიტეტისა, რომლის თავმჯდომარეობას ასრულებდა მისი და მასავითვე განათლებული, სათნოიანი და საზოგადო საქმის მოტირნახული ანა ბესარიონის ასული მუსხელაშვილისა.

ჭურნალ-გაზეთების დაარსებაშიაც ნიკოლოზ დოდოპერიძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის. გარდა სტამბის გაღებისა და გაზეთ „დროების“ დაარსებისა, მან მონაწილეობა მიიღო „საქართველოს მოამბის“ დაარსებაში. ამ ბოლო დროსაც, როდესაც აღ. ჯაბადაძე, ე. თაყაიშვილი, იოსებ ბაქრაძემ და სხვებმა ჭურნალ „მოამბის“ დაარსება განიზრახეს „ქართულ გამომცემელ საზოგადოებასთან“, ნების ასაღებად ნიკოლოზ დოდოპერიძეს მიმართეს. ამ დროს ძლიერ ძნელად და იშვიათად აქვეუდუნ ნებართვას ჭურნალ-გაზეთის გამომცემისას და, თუ არ ნიკოლოზ დოდოპერიძის დახმარება, შეუძლებელი იყო ნებართვის აღება. მან თავის სახელზე აიღო ნებართვა და შემდეგ გადასცა რედაქტორობა დამაარსებლების მიერ არჩეულ პირს ალექსანდრე მირიანის ძეს ტყონისა.

მწერლობაში ნიკოლოზ დიდობერიძეს ეკუთვნის სხვა და სხვა კორესპონდენციები და სტატიები ჩვენ პერიოდულ გამოცემებში. სხვათა შორის ის სწერდა სხვა და სხვა ევროპიულ სახელმწიფოთა კონსტიტუციების შესახებ, ასტრონომიის შესახებ, ბაბიის მოქმედების შესახებ და სხვ.

მაჩი ბრასეს გადაცვალების შემდეგ მან გამოსთხოვა მის შვიდს ლავრენტი ბრასეს ხელთნაწერი რუსულად დაწერილი საქართველოს ისტორიისა, გადაათარგმნინა მის ძმას სიმონ ბესარიონის ძეს ლადობერიძეს ქართულად და მთარგმნელის მიერ დამატებული შენიშვნებით გამოსცა თავის ხარჯით ორ წიგნად, რითაც არა მცირედი სამსახური გაუწია ქართულ ისტორიოგრაფიას. მთელი გამოცემა მან შესწირა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას.

ნიკოლოზ დიდობერიძე ბევრი პირადი დიხსებით იყო შემოკბილი. ის იყო დიხვი, განათლებული, ღმობიერი, ჭკუა დამჯღარი, მეტის-მეტი ზრდილობიანი, ზედმიწევნით პატიოსანი და შრომის მოყვარე. ჩვენბური კაცი უმეტეს შემთხვევაში ფანტაზიის მიმდევარია, ნიკოლოზ დიდობერიძეს ფანტაზია ნაკლებათ ჰქონდა განვითარებული. მასში ინტელექტი სჭარბობდა. ეს მისი ხელიც იყო და დიხსებაც. ის ასჯერ გაზომავდა და ერთჯერ გადასჭრიდა. ის პრაკტიკის კაცი იყო, უგულაფერს ჭკუის თვალსაზრით გადასწევტდა. ოცნებას და ფანტაზიას არ გაჰყვებოდა. რა საქმეშიაც უოფილა, უგულა კარგად შეუსწავლია, უგულა პატიოსნად და ჯეროვანად შეუსრულებია. ამისთანა კაცის საზოგადო საქმის სათავეში უოფნა უგულასათვის სასურველი უნდა უოფილიყო. მაგრამ, ამოიჩიეს თუ არა ქუთაისის ბანკის თავმჯდომარედ, იმ თავითვე განხდა ოპოზიცია, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა პატიოსანს და დიხსს მოღვაწეს. წარმოედგენელა, თუ რამდენი ღანძღვა, რამდენი ციხეა და ცილის წამება გადაიტანა განხვევებულმა ბანკის გამგელ უოფნის დროს. შემდეგ, როდესაც მან თავის ნებოთ თავი ღანძება ბანკის გამგეობას, ხომ უგულამ კარგად დაფინანსუთ, როგორ კაცებს ჩაუყარდათ ხელში ბანკის სუბ-ბედი და რა მდგომარეობაში ჩააყენეს ეს მკვდარ ნიადაგზე დამუარებული ერთად-ერთი საფინანსო დაწესებულება დასავლეთ საქართველოისა. ბოლოს დროს მისმა მოწინააღმდე-

კეებმაც დაინახეს თავის შეცდომა და შეიგნეს, თუ ვინ ვისზე გასცვალებს, მაგრამ გვიანდა იყო. წამხდარი ბანკის საქმე დღემდისაც არ გამოკეთებულა.

დაახება თავი ბანკს და მიჰყო ხელი შავი ქვის საქმეს. აქაც თავისებური უნარი და საქმიანობა გამოიჩინა ნიკოლოზ ღოდობერიძემ. შავი ქვის მრწველობას ევროპული ხასიათი მისცა. მთელ ამ დიდ საქმეში არ უოთილა არც ერთი პირი, რომელსაც ასეთი გავლენა ჰქონებოდა, როგორც ჰქონდა ნიკოლოზ ღოდობერიძეს. მან ეს გავლენა დაიმსახურა თავისი ნიჭით, საქმის ცოდნით და პატიოსნობით. ამიტომაც იყო, რომ შავი ქვის მრეწველთა კრება დიდად აფასებდა ნიკოლოზ ღოდობერიძეს და, როგორც ბ-ნმა გიორგი ზდანოვიჩმა გამოხატა სამძიმრის დეპეშაში, სარგებლობდა მისი გამოცდილებით და რჩევით.

ბოლოს დროს ნიკოლოზ ღოდობერიძე დაიღალა ბევრის შრომით, ნერვები აუშალა, დაავადდებოდა და მიანება თავი შავი ქვის საქმეს. სულ სამი ათასი მანეთით დაიწყო საქმე და თერთმეტის წლის განმავლობაში ასე ათასი მანეთის ქონება შეიძინა. აქაც დამატებდა, რომ ის რასაც ხელს მოჰქვიდებდა, ყველას კარგად შეისწავლიდა, მუყაითად მოკვიდებოდა და საქმიანობას და უნარს გამოიჩენდა. თვითონ ბევრჯერ უთქვამს, ჟანმრთელობას რომ დაეცალებინა მისთვის და ეს საქმე განეგრძო, ორ-სამ იმდენ იუფეს მოიკებდა.

განხლდა თუ არა შავი ქვის საქმე, მაშინვე გადასწვიტა ნახევარი თავის ქონებისა დაეტოვებინა საზოგადო საქმისათვის და ნახევარი თავის ნათესავეებისათვის. ამ თორმეტობდე წლის წინეთ მიიწვია ტფილისში თავის მეგობრები ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, ნ. ცხვედაძე, იაკობ ისარლოვი, ექვთიმე თაყაიშვილი და არტურ ლეისტი, განუცხადა მათ თავისი სურვილი და მათთან აზრის გაზიარებით გამოიმუშავა დახლოებით ის განაწილება საქველმოქმედოდ დატოვებული თანხისა, რომელიც მისი ანდერძით დადასტურდა დღეს. ამ კრებაზე ილია ჭავჭავაძე იმ აზრისა იყო, რომ განსვენებულს მთელი თანხა დაეტოვებინა მხოლოდ ჩუენი ისტორიის კვლევა-ძიებისათვის, რომ ამ თანხის სარგებელით შესაძლებელი უოთილიყო ერთი კაცის უზრუნველ-ყოფა მატერიალურად, რომელიც სპეციალურ-

რად ამ დარგში იმუშავებდა. მაგრამ, რაკი მამის სპეციალური ორგანიზაცია ამ საქმისათვის ჩვენ არ გვექონდა, ამ აზრის განხორციელება სხვებმა ვერ სცნეს საუკეთესო საქმედ. შემდეგ, როდესაც საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება დაარსდა, განსვენებულმა ამ საზოგადოებასაც დაუღო წილი თავის ანდერძში. თავის ნათესავეს ჭაუტოვა უძრავი ქონება ქალაქ ქუთაისში, რომელიც გაათავისუფლა პრიკაზის ვალისაგან. თვითონ ცხოვრობდა შეძენილის თანხის სასტუმროში. ამ სასტუმროში არა თუ თვითონ ცხოვრობდა, არამედ ზრდიდა თავის ხარჯით თავის დარჩობი ნათესავეს, უნიშნავდა სტიპენდიებს არა ნათესავთაც და ეზმარებოდა ყველა ჩვენ საზოგადო დაწესებულებას. ამიტომაც იყო, რომ ნიკოლოზ დოლობერიძე, ყველაფერში წინ-დახედული და ზომიერი, ძლიერ ზომიერად ცხოვრობდა, ეშინოდა, საზოგადო საქმისათვის გადადებული თანხა არ შემოქმედებოდა. მისი ცხოვრება სტუდენტური იყო. თავის დღეში ერთი ჰატარა ოთახის მეტი არა სჭერია არსად სასტუმროში, იშვიათად თუ ჩაჯდებოდა ეტლიში. ასი ათასი მანათის ქონება არც ისეთი დიდი სიმდიდრეა, რომ კაცს მდიდარი კაცის სახელი გაუფარდეს, მაგრამ ნიკოლოზ დოლობერიძეს მდიდარი კაცის სახელი ჰქონდა, რადგან ჩვენში ყველა ღარიბია და მათხორცობა სირცხვილად არ მიაჩნიათ, ყველა ფუფუნს სთხოვდა. ნათესავი და არა ნათესავი, ნაცნობი და უცნობი მოსვენებას არ აძლევენ. ეს იყო მიზეზი, რომ ამ ბოლოს დროს ის სულ საძვარს გარეთ ცხოვრობდა. ხშირად იტყოდა ხოლმე განსვენებულს, სამშობლოში ყოფნას და თქვენთან აზრის გაზიარებას და ბასს რა მიჩვენია, მაგრამ ძლიერ მაწუხებენ მთხოვნელები, დღე ერთია და ათი ფულის მთხოვნელი მოვაო, ასე ჰკონათ მილიონის ჰატრონი ვარო, მე გული ჩვილი მაქვს, ყველასთვის უარის თქმა შეძლება და, თუ ყველას ვაძლიე, საზოგადოებას რაღა დაუტოვოო, ჩემ ჯანმრთელო ბაზერ ძლიერ მოქმედობს ეს ამბავიო. ბოლოს დროს, თითქმის გულმა უკრძნო, რომ დიდი დღე აღარ ჰქონდა და ჩვეულებისამებრ ზამთარი აღარ დარჩა საზღვარს გარედ, ტფილისში დაბრუნდა და, თუმცა ჯანსაღად ჩნდა, მაგრამ დიდი ხანი აღარ უცოცხლია, 27 დეკემბერს 1911 წელს კარდაიწვალა ქალაქ ტფილისში, სასტუმრო

თრანსტში. როგორც წინარი და მშვიდობიანი ადამიანი იყო, ისე მშვიდობიანი და უტანჯველი იყო მისი კარდაცვალებაც. საღამოს სტუმრად იყო ნიკოლოზ ერისთვისის, სახლში რომ დაბრუნდა, მცირე ვახშამი ჭამა, შემდეგ დაძინა და ეს ძილი საუკუნო ძილად გადაუქცა, აღარ გაუღვიძია.

საზღვარ კარედ უფინის დროს ბერძენებს ახალგაზდა მოსწავლეს დაემართა, ხელი შეუწყო, საშუალება მისცა. ნიკოლოზში ჰსტრითრული გრძნობა ძლიერ იყო განვითარებული, უფველი ჩვენი სასაკუთო ამბავი მისთვის აღდგომა იყო. თვალ-ყურს აღევნებდა ჩვენ ცხოვრებას, სინარულით ეკებებოდა უფველ ახალგაზდას, რომელიც რაიმე ნიჭს და უნარს გამოიჩენდა, უსათუოდ მონახავდა მას, გაეცნობოდა, ხელს გაუწყობდა, გაამხნეებდა. უფველ ამსთან გასაკვირადი თვისება ჰქონდა ერთი კიდევ ნიკოლოზ ღოღობერიძეს: მისი გაცნობა, მისთან მუსაიფი, მისთან დაახლოება საუცხოო კარგად მოქმედებდა უფველზე. ის დიდ გაუღუნას ანდენდა თქვენზე თავის ჰირადობით. თქვენ გრძნობდით სიახლოვეს სრული, ჭეშმარიტი კაცისას და გრძნობდით დიდს კმაყოფილებას, დიდს იმედს ჩვენს უიმედო ცხოვრებაში და მოგაკონდებოდათ სიტყვები:

Не бездарна та природа,
 Не погибъ еще тотъ край,
 Гдѣ выходить изъ народа
 • Столько славныхъ, то и знай,
 Столько добрыхъ, благородныхъ,
 Сильныхъ, любящихъ душой
 Посреди глупыхъ, холодныхъ
 И напыщенныхъ собой!

განყოფილება მეორე

რეფერატები და გამოკვლევანი

წერილები საქართველოს ისტორიიდან.

ნაწილი მეორე.

II

ადერკიდან მირიანამდე.

(წაკითხულია საზოგადო კრებაზე 1908 წელს, 18 ნოემბერს).

1. ადერკის შემდეგ ივერიის ტახტი დაიჭირა ქართამმა, ანუ ქარაამმა, რომელსაც კლასიკური მწერლები „მიტრიდატის“ სახელით იცნობენ. როგორც წინა წერილში გავარკვეეთ, ეს უნდა მომხდარიყო არა უგვიანეს 30 წლისა ქრ. შემდეგ¹⁾. ქართველ მეფეთა შორის ეს პირველად გვხვდება სახელი მიტრიდატი (იგივე მიჭრდატი). ამიტომ ამ მეფეს ჩვენ ვუწოდებთ ქართამ-მიტრიდატს, ანუ მიჭრდატ I-ელს.

მიჭრდატ I-ელის შესახებ რომელიმე მწერლები შემდეგს ცნობებს იძლევიან.

35 წლის მახლობლათ რომის იმპერატორმა ტიბერიუსმა ივერიის მეფეს მიტრიდატს სომხეთის დაპყრობა მიანდოთ, — ამბობს ტაციტი²⁾. ხოლო დიონ კასიოსი ამავე ამბავს უფრო ვრცლათ მოგვითხრობს. „ამავე დროის (ე. ი. 35 წლის) მახლობლათა, — სწერს იგი, — ჰართიის მეფემ არტაბანმა სომხეთში, არტაქსის სიკვდილის შემდეგ, თავისი შვილი არსაკი გაამეფა; რადგან ამ საქმეს ტიბერიუსის მხრით არავითარი სასჯელი არ მოყოლია, არტაბანი შეეცადა კახადოკიაც ხელში ჩაეკდოთ. მაგრამ ამავე დროს თავის ქვეშევრდომ ჰართელებს ისე თავხედურათ დაუწყო მოპყრობა, რომ ზოგიერთნი მათგანნი განუდგენ თავის მეფეს და მოციქულის ჰირით სთხოვეს

¹⁾ იხ. „ძველი საქართველო“ ტ. I: „ადერკი მეფე და ეგრეთ წოდებული ორ-მეფობა ძველ ივერიაში“.

²⁾ Annales VI, 32 (Ганъ Извѣстія... I, стр 115).

ტიბერიუსს: მეუფე დაგვინიშნეთ. ტიბერიუსმა ჰართელებს გაუგზავნა ...ტირიდატი, რომელიც სამეფო გვარის ჩამომავალი იყო. ხოლო, რომ ტირიდატს უფრო ადვილათ მიეღო სამეფო უფლება, ტიბერიუსმა ივერიის მეუფეს მიტრიდატს წერილობითი ბრძანება გაუგზავნა—სომხეთს შესესოდა, რათა ჰართიის მეფე არტაბანს იძულებული გამსდარიყო შვილის საშველად გამოლაშქრებულიყო (სომხეთში), და, ამგვარათ, საკუთარი ქვეყანა (ჰართია) დროებით დაეტოვებია (რითაც, ალბათ, ტირიდატი ისარგებლებდა და არტაბანის უკმაყოფილო ჰართელების დახმარებით სულ ადვილათ დაიჭერდა ჰართიის ტახტს). მართლაც ასე მოხდა; მაგრამ ტირიდატი დიდხანს არ მჯდარა (ჰართიის) ტახტზე: არტაბანმა მოიხმარა სკვითები და გაუჭირველათ განდევნა იგი. ასეთი ამბები მოხდა ჰართიაშიც,—დასძენს ისტორიკოსი ³⁾).

როგორც ტაციტის მოწმობიდან სჩანს, არტაბანის შვილი არსაკი, რომელიც სომხეთში მეფობდა, იმავე 35 წელს მოუკლავთ; იმავე წელს მომკვდარა ივერიის მეფე მიტრიდატ I-იც ⁴⁾. ამას შემდეგ ივერიაში გამეფებულა მიტრიდატის შვილი „ფარსმან“, ანუ ჩვენი წყაროების ფარსმან I-ლი, ხოლო სომხეთში—იმავე მიტრიდატის მეორე შვილი, ანუ ფარსმან I-ლის ძმა—მიტრიდატი ⁵⁾.

ამ გვარათ, უფველ ეჭვს გარეშეა, რომ ივერიის მეუფეს მიტრიდატ I-ლს უმეფნია 35 წლამდე, როდესაც ივერიის ტახტი დაუჭერია მის შვილს ფარსმან I-ლს.

2. თავისი მეფობის პირველსავე წელს (35 წ.) ფარსმანმა შეჭურა დიდძალი ჯარი ივერიელებისა, შეესია სომხეთს და დაიპყრო ქალაქი არტაქსატა, ანუ არტაშატი (რომელიც იმ დროს სომხეთის დედა-ქალაქად ითვლებოდა და მდებარეობდა არაქსის მარცხენა ნაპირას). ეს რომ არტაბანმა გაიგო, მოუწოდა თავის შვილს ოროდს, დაავალა მის მაგიერ შური ეძიებია, მისცა ჰართელთა ლაშქარი და კაცი აფრინა უცხოელ ჯართა დასაქირავებლად. ფარსმანიც, თავის

³⁾ Латышевъ—Извѣстія... I, стр. 621, стрк. 28—50.

⁴⁾ Ганъ—Извѣстія... I, стр. 115.

⁵⁾ Латышевъ—loc. cit. стр. 622, стрк. 1—4.

მხრივ, შეუერთდა ალბანელებს და მოუწოდა სარმატებს, რომელიც ა-
გან ზოგი ფარსმანს დაექირავა და ზოგიც მის მოწინააღმდეგე ზარ-
თელებსა და სომხებს. მაგრამ ფარსმანმა მოწინააღმდეგე გზა გადაუჭრა ამ
უკანასკნელთა მოკავშირე სარმატებსა და სომხებს, რის გამოც ორ-
დი და ზართიის ჯარი, რომელიც უმთავრესად ცხენოსანთაგან შეს-
დგებოდა, განმარტალებული დარჩენ. ამით ისარგებლა ფარსმანმა,
რომელსაც, ცხენოსანს გარდა, დიდძალი ქვევითი ჯარიც ჰქუფდა, და
ორიდი ზირდაზირს ომში გამოიწვია. ორდის იმედი ჰქონდა, სომეხ-
თა და დაქირავებულ სარმატების ჯარს შეერთებოდა და, ამიტომ,
სტდილობდა მანამდე ფარსმანს ზირდაზირ ომში არ გაჰყოლოდა. ამის
გამო ფარსმანი იძულებული შეიქნა ზარტიზანული ბრძოლისათვის
მიემართა:

დღეს რომ უცრათ ზართიელთა ბანაკს დაეცემოდა, ხვალ სა-
ძოვარ ადგილებს ჩაიგდებდა ხელში, ზეგ მთელს ბანაკს ჯარს შემო-
არტყამდა, თითქოს ალუა შემთავლო, და უოგელ დონეს ხმარობდა
მტერი შეევიწროებია და გაებრაზებია. მართლაც ამ ხერხმა გასჭრა
და მოთმინებიდან გამოსულმა ზართელებმა გადასწევიტეს ფარსმანის
ჯარსა და მის მოკავშირეებს საბოლოოთ შემოძოვებოდენ. ჯარმა
ორივე მხრით იწყო მზადება. აღმოსავლეთის ხალხთა ჩვეულებისა-
მებრ, ორდამა მიმართა ტრახახსა და თავის ქებას; მან მოაგონა თა-
ვის ჯარს არშაკიდების სახელი, მათი სამეფოს დიდებულება, და შე-
უდარა იგი მათი მოწინააღმდეგეების, ივერიელთა მოჯამაგირების
„სიმდაბლეს“. ამავე დროს ფარსმანი თავის ჯარს შემდგომის სიტყვი-
ბით ამხნეებდა: „ჩვენ არასოდეს არ ვუოფილვართ ზართელთა ხელ-
ში, და, ამიტომ, რამდენათც უფრო მედგრათ ვიბრძოლებთ დღეს,
მით უფრო მეტს სახელს მოვიზოებთ გამარჯვებით; ხოლო თუ მტერს
ზურგს ვუჩვენებთ, სირცხვილი და დაღუპვა არ აგვცდება. შეხედეთ
აქ ამ ჩვენს მრისხანე რაზმთა წეობას და იქ, ოქრო-ვერცხლით მო-
სილეს, მიდიელების (=ზართების) ლაშქარს! აქ ვაჟაკებია, იქ კი—
საშოვარიო!“

გაიმართა ბრძოლა. სარმატებმა მალე უკუაგდეს მშვილდ-ისარი
და ზართელებს ზირდაზირ ხმლით მიმართეს. ამათ მიჰყვნენ ივერიე-
ლები და ალბანელები. დაიწყო ჩვეულებრივი შეხლა-შეტაკება და

უკან დახევა. აქ ცხენოსანი ჯარი ქვეითებსა სთელავს, იქ ქვეითი რაზმში ქვეითებს აწვება და შედგრათ არღვევს. უკვე ივერიელებმა და ალბანელებმა დაუწყეს ჰართელებს დატყვევება და ცხენიდან ჩამოგდება. შეირყა ოროდის ლაშქარი. მაგრამ ჯერ კიდევ ძნელი სათქმელი იყო, თუ ვის სსარგებლოთ გადაწოდებოდა ომი. სწორეთ ამ დროს ფარსმანი და ოროდი შეერივნ ბრძოლაში, მამაცთ მიესმარენ, ფთხალები გაამხნევეს, და, იცვინეს თუ არა ერთმანეთი ტანისამოსით, მსწრაფელ გაქაჩნენ ერთმანეთისაკენ შუბების სროლით. ფარსმანმა ისეთი სიცხარით მიაგლო ცხენი მოწინააღმდეგეზე, რომ იმ წამსვე კაუხვრიტა მუზარადი, მაგრამ მოქნევა ვეღარ განიმეორა, რადგან გაჭენებულმა ცხენმა მსწრაფელ გაქაჩა ქვემოთ, ხოლო ოროდი თავისმა რაზმებმა დაფარეს. უეცრათ გავრცელდა ტყუილი ხმა, ოროდი მოკლესო, და ჰართებმა ზირი იბრუნეს. ასე დათავდა ოროდისა და ფარსმანის შეტაკება. ამას შემდეგ არტახანი კიდევ შეეცადა, სომხეთი ხელში ჩაეგდო, მაგრამ ვეღარაფერი გააწყო, რადგან ივერიელებს რომაელები ჰქცამაგობდენ⁶⁾.

სწორეთ ამ დროს უნდა ეკუთვნოდეს ფარსმანის ძმის მიტრიდატის სსარმხეთში გამეფება, რასაც დიონ კასიოსი მოიხსენებს, როცა ამბობს: „სომხეთი მიიღო მითრიდატმა, როგორცა ჰგავს, შვილმა მითრიდატ ივერიელისამ და ამის მომდევნო მეფის ფარსმან ივერიელის ძმამა“⁷⁾. ეს მოხდა იმპერატორ ტიბერიუსის მეფობაში. ხოლო, როცა რომის ტახტი გაიოს (=კაი) კალიგულამ დაიჭირა (37—41 წწ.), მან ამ მიტრიდატს რაღაც ორზირობა შეამჩნია, რომში დაიბარა და ბორკილი დააღვა⁸⁾, ხოლო მცირე

⁶⁾ Ганъ—Извѣстiя... I, стр. 115—117.

⁷⁾ Латышевъ—Извѣстiя... I, стр. 622, стрк. 1—4.

⁸⁾ Ibidem, стр. 622, стрк. 10—13. აქ მიტრიდატი შეედომით (დიონ კასიოსის) „ივერიის“ მეფედაა წოდებული, მაგრამ, როგორც თანამედროვე ტაციტის მოწმობიდანა სჩანს, ეს იყო „მიტრიდატი მეფე სომხეთისა, გაიოს კეისრის მიერ რომში გაწვეული“ და არა მეფე ივერიისა, სადაც ამ დროს ფარსმანი მეფობდა. ნახ. Ганъ—Извѣстiя I, стр. 117. стрк. 13—14 ქვემოდან.

სომხეთი მისცა ვიღაც კოტიოსს⁹⁾. ეს იყო 39 წელს ქრ. შემდეგ¹⁰⁾. მალე გაიოს კალიგულა შეთქმულობის მსხვერპლი შეიქნა, და მისი ადგილი დაიკავა მისმა ბიძამ კლავდიოსმა (41—54 წწ.¹¹⁾. ტაციტის მოწმობით, ამან გაათავისუფლა სომხეთის მეფე: მიტრიდატი ბორკილისკან და ურჩია, ფარსმანის დახმარებით, კვლავ დაეჭირა სომხეთის ტახტი¹²⁾. ამ დროს ჰართიის სამეფოში დიდი განხეთქილება იყო და, ამის გამო, მიტრიდატს მშვენიერი შემთხვევა ეძლეოდა, რომელი ჯარის დახმარებით სომხეთი დაეჭირა. მართალია, მიტრიდატის მოპარობა დროებით მცირე სომხეთის მეფე კოტიოსმა შეაჩერა, მაგრამ, როცა ამ უკანასკნელმა კეისრისკან წერილი მიიღო, იძულებული გახდა თავისი განზრახვები დაეტოვინა, და მიტრიდატმა დაუბრკოლებლათ დაიკავა სომხეთი; თუმცა თავისი სსსტოკი მართველობით მალე თავი შეასულა ქვეშევრდომებს¹³⁾. ამას დაერთო ფარსმანთან განხეთქილებაც.

აი თვით ამ განხეთქილების მოკლე ისტორია, როგორც მას იგივე ტაციტი გადმოგვცემს. მოგვიყვას უკლებლივ, რადგან ეს ისტორია მრავალ მხრივას ჩვენთვის საყურადღებო, როგორც დამახასიათებელი იმ დროის მეფეთა ზნე-ჩვეულებისა და, მეორე მხრით, როგორც მაჩვენებელი იმისა, თუ რამდენათ სტაბილურად ადგილობრივი შემატანენი, როცა ფარსმანის დროინდელ ივერიას სომხეთის ქვეშევრდომ სამთავროდ სთავლიან და თვით ივერისსაც ორმეფობით დასუსტებულ სამეფოდ წარმოადგენენ. ტაციტის მოთხრობა გვიმტკიცებს, რომ ამ დროს ივერია არა თუ ორმეფობით დასუსტებული არ იყო და არც სომხეთს „ემორჩილებოდა“, პირიქით, იმდენათ ძლიერი და გაფლენიანი იყო, რომაელების დახმარებით, რომ სომხეთში ზედიზედ ქართველი დინასტიის ორი წარმომადგენელი ჰქაუდა გამეფებული და ჰართიის სამეფოსაც კი საგონებულში აგდებდა.

⁹⁾ Латышевъ—Извѣстія... I, стр. 622, стрк. 5—6

¹⁰⁾ Ibidem. примѣчаніе—1-ое.

¹¹⁾ Веберъ—Всеобщ. Исторія т. I. стр. 653.

¹²⁾ Ганъ—Извѣстія... I, стр. 117 შეად. ზემოთ სხოლიო 8.

¹³⁾ Ганъ—Извѣстія... I, стр. 117—118.

„იმ დროს ზართიანს განაგებდა ბერძენი ხასის შვილი ვოლოკოზ I-ლი, რომელმაც სამეფო ტახტი თავისი ძმების თანხმობით დაიჭირა; ივერიელებს ჰყავდათ ფარსმანი, მემკვიდრეობის ძალით; ხოლო სომხეთს მართავდა მისი ძმა მიტრიდატი, რომელსაც ჩვენ, რომაელები ვეხმარებოდით“. ასე იწიუებს თავის მოთხრობას ტაციტი. „ფარსმანს ჰყავდაო, — განაგრძობს იგი, — ვაჟი რადამისტი, მშვენიერი ტანადი, აზა-ჩვეულებრივის ძალის მქონე, უოველგვარს სჯერო ვარჯიშობაში დახელოვნებული და ყველა მეზობელ ერებში სახელ-განთქმულიო. რადამისტი ისე ხშირათ და დაუთუარავათ სჩიოდა. ხოლმე, მამიჩემის მოხუცებულობისა გამო ივერია უმნიშვნელო სამეფოდ რჩებაო, რომ ყველას კარგათ ჰქონდა შეტყობილი მისი დაფარული სურვილები. მსტყვან ფარსმანს ეშინოდა ამ გავლენიანის და ხალხისთვის საუვარელ ახალგაზდა კაცისა და სცდილობდა სხვა მხრისაკენ მიექცია მისი უურადლება; იგი უთითებდა რადამისტს სომხეთზე, ეუბნებოდა — ერთ დროს მე თავითონ გავდებე იქიდან ზართულები და სამეფე მიტრიდატს ჩავაბარეო, მაგრამ ურჩევდა: აშკარა ძალადობას ნუ მიმართავ, ანამედ მოხერხებული დრო შეუჩინე და მოულოდნელათ თავს დაესხიო. მართლაც, რადამისტი დაადგა ეშმაკობას: განკებ მამასთან ვითომ განხეთქილება ჩამოაგდო, მივიდა თავის ბიძა მიტრიდატთან, შესჩივლა — ჩემი დედინაცვლის მტრობას ვეღარ გავუძელიო, და სთხოვა თავშესაფარი მიეცა. მიტრიდატმა შეისმინა თავისი ძმის-წულის თხოვნა, შევიდა მისს გაჭირვებულს მდგომარეობაში (მით უმეტეს, რომ რადამისტს ცოლად მისი ქალი ზენობია ჰყავდა, ხოლო მიტრიდატს — რადამისტის და, ე. ი. თავისი ძმის-წული), მოეთუერა, დაუყვავა და ისე მიიღო, როგორც ღვიძლი შვილი. მაგრამ სასტიკათ მოტყუვდა. რადამისტმა ისარგებლა მიტრიდატის გულწრთული ნდობით, გამართა საიდუმლო ინტრიგები და სომხის კარის-კაცები ასაჯახებლად მოამზადა. შემდეგ, ვითომდა შესარვიგებლათ, თავის მამასთან დაბრუნდა და უოველივე ნამოქმედარი აცნობა, თანაც ეუბნებოდა: საქმე იმ ზომასზეა მიუყვანილი, რომ ახლათ იარაღის შეტი აღარათუერია საჭიროო. ფარსმანს დიდხანს აღარ უფიქრნია: მიზეზად ის მოიღვა, რომ, როდესაც აღბანელებს ვეომებოდი, რომაელებს დახმარება ვთხოვე, მაგრამ ჩემმა ძმამ, მიტრიდატ-

მა, ხელი შევიშალა; ამ შეურაცხყოფას მე მას ვერ ვაპატიებ და შუკს მისი საშეფოს დაქტევიით ვიძიებ. მართლაც, თავის შვილს გაატანა დიდძალი ჯარი და გაისტურია მიტრიდატის წინააღმდეგ. რადამისტი მოულოდნელათ შეესია მიტრიდატის სამეფოებულს და თავზარი დასცა თვით მიტრიდატს, რომელმაც ვაკეებში ველარ გაბედა დარჩენა და გორნიის სიმაგრეს შეათარა თავი, სადაც ამ დროს რომაელების გარნიზონი იდგა ზრეფექტის ზოლლიონისა და ასისთავის (ტენტურიონის) კასპერის უფროსობით. სამძარს მაშინებსა და ციხის ალების წესს ბარბაროსები სრულიად არ იცნობდენ, რომაელებს კი ეს საქმე საუცხოოთ ჰქონდათ შესწავლილი, რის გამოც რადამისტი, რამდენისაჲ უსარგებლო და უმნიშვნელო იერიშის შემდეგ, იძულებული გახდა ქალაქისათვის ალყა შემოეკრეა. როცა დარწმუნდა, რომ ძალით ვერას განდებოდა, ფულით მოისყიდა ვერცხლის-მოყვარე ზრეფექტი (=ზოლლიონი), თუმცა კასპერი (ასისთავი) აფიცებდა მას და სთხოვდა: ნუ დაღუპავ მეფეს (მიტრიდატს) და ფულის გულისთვის ნუ წაართმევ სომხეთს, რომელიც რომაელებისაგან აქვს ნაბოძებო. მაგრამ ამ სიტყვების წინააღმდეგ ზოლლიონი საბუთად მუდამ მტერთა სიმრავლეს ასახელებდა, რადამისტი კი — თავის მამის ბრძანებას. მაშინ კასპერიმ სთხოვა მათ ცოტა-ხნობით რამი შეეჩერებოთ და, როცა თხოვნა აუსრულეს, ივერიაში გასწია ფარასმანისაკენ, რათა რმის მოსზობაზე დაეთანხმებინა იგი, ხოლო თუ მიზანს ვერ მიაღწევდა, სირიის გამგე ტიტო უმიდი კვადრატისთვის ეცნობებინა ეგვიპტერი, რაც სომხეთში ხდებოდა“¹⁴).

„წავიდა, თუ არა ასისთავი, ზრეფექტმა, თითქოს მძიმე მუთვალურისაგან განთავისუფლდაო, დაუწყო მიტრიდატს რჩევა—შერიგების პირობები მიეღო. ძმებო,—არწმუნებდა იგი მეფეს,—ერთმანეთში მშვიდობიანათ უნდა ცხოვრობდენ, მით უმეტეს, რომ ფარასმანი შენზე უფროსიაო; არ უნდა დაივიწყო აკრეთვე, რომ შენი ცოლი ფარასმანის ქალია, ხოლო რადამისტისა სიმამრი ხარო; ივერიელები ესლა უწინდელზე უფრო ძლიერნი არიან, სომხების გაჟტანლობა და მოღალატობა კი ეგვიპტისგან ცნობილიაო; ჩვენ დავგრ-

¹⁴) Ганъ—Извѣстія... I, стр. 118—120.

ჩენია მხოლოდ ციხე, სანოვაგე სრულიად შეშორებულია, ყოყმანიც აღარ შეიძლება, უმჯობესია ომს თავი დაანებო და ხელი მოაწერო ზავის ზირობებს, რომელნიც სისხლის ღვრას მოსწობენ. მიტრიდატი ყოყმანობდა, იგი არ ენდობოდა ზრუეექტის რჩევას, რადგან იტნობდა როგორც ანგარების მოყვარე კაცს და თანაც კარგათ ახსოვდა შეურაცხყოფა, რომელიც ერთხელ ზრუეექტმა მეფის ერთ-ერთ ხასას მიაყენა“.

„ამსობაში კასპური მივიდა ფარასმანთან და მოსთხოვა, ივერიელებს გორნიის ციხისათვის ალყა მოეხსნათ. ფარასმანი სიტყვიით თითქოს დათანხმდა, მაგრამ საიდუმლოთ რადამისტთან კაცი აფრინა და შეუთვალა, რაც შეიძლება ალყა დაეჩქარებია. ზოლლიონს კიდევ მიუმატეს ფული ღალატისათვის, და იმანაც ჩუმთ მოიყიდა ჯარისკაცები, ჩააცონა ზავი მოეთხოვათ, ხოლო, თუ უარს მიიღებდენ, მუქარით ემძიმებინათ—ციხიდან გავალოთ. საღდათები მართლაც ასე მოქცენ, და მიტრიდატი იძულებული გახდა აუცილებლობას დამორჩილებოდა: მან დანიშნა დღე და ადგილი ზავზე მოსალაზმარაკებათ და ციხიდან გამოვიდა“¹⁵).

„დანიშნულ დღეს და ალაგას რადამისტიც გამოცხადდა თავის ბიძასთან, გადაეხვია მას, თავის თავს შეიღწა უწოდებდა, ხოლო მიტრიდატს თავის მამასა და სიმამრს, ეფიცებოდა: შენს წინააღმდეგ არც რკინას ვიხმარ და არც საწამლავსაო, და ამ ტკბილ სიტყვებით გაიტაცა იგი მახლობელს ტყეში, სადაც მას ვითომც ნაბრძანები უნდა ქქონებოდეს მსხვერპლის შეწირვის სამზადისი, რათა ზავის ზირობანი დმერთების წინაშე ეოფილიყო დამტკიცებული. მეფეებს ჩვეულება აქვთ, როცა ხელ-შეკრულობას („ДОГОВОРЪ“) ახდენენ, მარჯვენა მკლავს ერთმანეთს მკლავში გამოსდებენ და ცერებს ერთმანეთზე მაგრათ მიანსაკვავენ¹⁶). როცა ცერების ბოლოებში სისხლი საკმაოთ მოგროვდება, ოდნავ უჩხვლეტენ და მეფეები ერთმანეთს რამდენსავე წვეთს სისხლს გამოსწეწნაან; ამაში გამოიხა-

¹⁵) Ibidem, стр. 120.

¹⁶) საყურადღებოა, რომ ქართული სიტყვა „ხელ-შეკრულობა“ პირდაპირი გამომხატველია ტაციტის მიერ აწერილი ჩვეულებისა.

ტება საიდუმლოება ხელშეკრულებისა, რომელიც სისხლით თითქოს იწმინდება, კურთხევას ღებულობს. რადამისტს ამ ჩვეულების შემასრულებელი პირი წინდაწინვე მოსყიდული ჰყოლებოდა და, როცა მან ჩვეულების აღსრულება დაიწყო, უეცრათ, თითქოს რაღაცას ფეხი წამოკრა, დაეცა, მიტრიდატს მუხლებში ხელი წაატანა და წააქცია. ხალხიც ამას უცდიდა, მივარდა მიტრიდატს, შეუყარა ფეხებში ბოროკილი და ასე სამარცხვინოთ წაიყვანა სასჯელის მოსახდელათ. უბრალო ხალხმა, რომელიც ეველახე მეტათ იყო შევიწროებული მის მეფობაში, მიტრიდატს ლანძღვა და ცემა დაუწყო, თუმცა აღმოჩნდნენ ისეთი პირებიც, რომელნიც ძლიერ შეაწუხა ბედის ასეთმა ცვალებადობამ. ცოლი და მცირე-წლოვანი შვილები უკან მისდევდნენ მიტრიდატს; მათი მოთქმა არე-მარეს აურუებდა. ივინი სხვადასხვა ეტლებში ჩასვეს და ელოდნენ ფარასმანის ბრძანების შესრულებას. ფარასმანისაგან მოვიდა ბრძანება ორივე ცოლ-ქმარი სიკვდილით დაესაჯნათ. რადამისტმა დაიცვა თავისი სიტყვა, მიტრიდატისადმი მიცემული, მაგრამ მამის ბრძანებაც მტკიცეთ შეასრულა: მან არ მოაკვლევინა და და ბიძა არც რკინით, არც საწამლაოთ, არამედ მიწაზე დააწვინა, ზემოდან აურებული ტანსაცმელი დააურევინა და მოკუდა. მიტრიდატის ვაჟებმა გაბედეს მშობლების ტირილი და სიკვდილით დაისაჯენ¹⁷⁾.

„რომაელებმა რადამისტს მფარველობაზე უარი უთხრეს და ფარასმანს შეუთვალეს—სომხეთიდან ჯარი და თავისი შვილი გაუყვანა“. მაგრამ, როგორცა სჩანს, რადამისტს ეს ბრძანება არ შეუსრულებია, ასე რომ 52 წლის მახლობლათ პართიის მეფეს ვოლოგეზ I-დს მასთან შეტაკება მოუხდა. მან შეჭურა დიდძალი ჯარი და გამოემართა სომხეთისკენ, რათა რადამისტი განედევნა და მის ნაცვლად თავისი ძმა ტირადატი დაენიშნა. ვოლოგეზის ჯარი იმდენათ მომზადებული აღმოჩნდა, რომ ივერიელებმა უბრძოლველათ მიატოვეს ქქ. არტაქსატა და ტიგრანოტურტი. „მაგრამ ცივმა ზამთარმა, საკვების უქონლობამ და სნეულებამ, რომელიც ამის გამო გაჩნდა

17) Ibidem, стр. 120—121.

ჯარში, — უოველმავე ამან ვოლოკეზი აიძულა — დაწეებული საქმე მი-
ეტოვებია“.

„გავიდა თუ არა ვოლოკეზი სომხეთიდან, რადამისტი კვლავ
შეესია ამ მხარეს, რომელზედაც ძლიერ გაბრახებული იყო ლაღატის
გამო. მართალია, სომხები მიჩვეული იყვნენ ბრმა მორჩილებას, მაგ-
რამ აქ კი მოთმინების ფიალა აღევსოთ და იარაღით ხელში შე-
მოერთებენ მეფის სასახლეს“. რადამისტმა მხოლოდ გაქცევით უშვე-
ლა თავს. მან თან გაიყოლია თავისი ორსული ცოლი ზენობია, რომ-
ელმაც დიდხანს ვეღარ შესძლო ცხენოსნობა და შეეგდრა ქმარს,
მტრის ხელში ცოცხალი არ ჩაეგდო. რადამისტმა ვეღარ გაუძლო
ცოლის ტანჯვას, აიუფნა ხელში, ჩასცა გვერდში მასვლი და საკუ-
თარის ხელით გაატანა არაქსის ტალღებს, რათა მისი სხეული
სხვას არავის ჩავარდნოდა ხელში; თვითონ კი ივერიისკენ გასწია.
ამასობაში ზენობია წყალმა ნაპირზე გამოაგდო, სადაც იმ დროს ვი-
დაც მწვემსები იმყოფებოდნენ. აღმოჩნდა, რომ ზენობიას ჭრილობა
სასიკვდილო არ ყოფილიყო; მწვემსებმა შეამჩნიეს, რომ იგი კიდევ
სუნთქავდა; ტანისამოსზე შეატუვეს — უბრალო ჩამომავლობისა არ უნდა
იყოსო, შეუხვიეს ჭრილობა და, რაც კი გაეწყობოდათ, სოფლური
წამლობა არ დაუკლიათ. „შემდეგ, როცა გაიგეს მისი ვინაობა და
თავგადასავალი, მიიყვანეს ქალაქ არტაქსატაში და იქიდან საზოგადო
ხარჯით გაუგზავნეს იგი სომხეთის ახალ მეფეს ტირიდატს. ტი-
რიდატმა ზენობია ძლიერ ზრდილობიანათ მიიღო და ისე მოეპურა,
როგორც დედოფალს“.

ამას შემდეგ რადამისტმა კიდევ რამოდენჯერმე დაიჭირა სომ-
ხეთის ტახტი, მაგრამ იმდენჯერვე განდევნილ იქნა იქიდან. დასას-
რულ, 55 წლის დამლევის, ჰართელებმა საბოლოოთ დაიპყრეს სომ-
ხეთი და რადამისტიც იძულებული გახდა სომხეთზე ხელი აეღო.
უკანასკნელ, 59 წელს, „ფარასმანმა მოჰკლა თავისი შვილი რად-
ამისტი, ვითომ როგორც მოღალატე, და მით ერთგულობა დაუმტკი-
ცა რომაელებს“¹⁸⁾.

ამას შემდეგ ფარასმან I-ლის შესახებ ჩვენ აღარ ვიცით რა.

¹⁸⁾ Ibidem, стр. 121—123.

მხოლოდ მცხეთის მახლობლად ნაწილი ქვის ბერძნული წარწერა გვარ-
წმუნებს, რომ 75 წელს ფარსმანი უკვე ცოცხალი აღარ უნდა უო-
ფილიყო, რადგან ამ წელის წარწერა ივერიის მეფედ ასახელებს „ფა-
რსმანის შვილს“ მიტრიდატს, და თან გვიჩვენებს, რომ უკანასკნე-
ლი თანამედროვე უოფილა რომის იმპერატორის ვესპასიანესი (70—
79 წ.). ამიტომ, ვგონებთ, ძლიერ დაშორებული არ ვიქნებით სი-
ნამდვიდეს, უკეთუ ფარსმან I-ლის მეფობის დასასრულად მე-70
წელს დავსდებთ.

ამგვართ, ფარსმან პირველს, ჩვენის ქრონოლოგიით, უნდა
ემთუნა 35—70 წლებს შორის ქრ. შემდეგ, და არა 72-დან 87
წლამდე, როგორც ეს ჩვენს ისტორიაში დღემდე იყო მიღებული¹⁹⁾.

3. ფარსმანის მომდევნო მეფეს ქართული წყაროები „აზორკ“-ს
ანუ „არსოკ“-ს ეძახის²⁰⁾; უცხოელებში კი იგი ცნობილი უოფილა
„მიტრიდატის“ სახელით; მაშასადამე იგი უნდა ჩათვალოს მიტრი-
დატ მე-11-ედ.

ამ მეფის შესახებ „ქართლის მოქცევის“ ქრონიკა, სახელის
მეტს, არავითარ ცნობას არ იძლევა. „ქართლის ცხოვრება“ კი ბერს
ლანარაკობს, მაგრამ, როგორც წინა წერილში გამოვარკვეეთ, მთელი
ეს მასალა ჩვენს შემატყანეს ამოღებული ჰქონია სომხის ისტორი-
კოსთა ზღაპარ-თქმულებიდან²¹⁾, რის გამოც იძულებული ვართ აღ-
ნიშნულ მასლას გვერდი ავუაროთ და ჩვენი გამოკვლევა მიჭრდატ
მე-11-ის შესახებ ჯერ-ჯერობით იმ ცნობებით შევზღუდოთ, რო-
მელთაც მცხეთის ქვის წარწერა იძლევა. აი ამ წარწერის თარგმანი:
,,იმპერატორმა, კეისარმა ვესპასიანემ, აგუსტოსმა, დიდმა მღვდელ-
მთავარმა, მეშვიდეჯერ ტრიბუნის უფლებით შემოსილმა, ტრიუმფა-
ტორმა მეთონმეტეჯერ, კონსულმა ექვსჯერ და არჩეულმა მეშვიდე-
ჯერ, სამშობლოს მამამ და ცენზორმა; და იმპერატორმა, ტიტე კე-

¹⁹⁾ ვახუშტი—საქ. ისტორ., გვ. 46.—ჩვენის ფიქრით, ამ ფარს-
მანის დროს უნდა ეკუთვნოდეს ქრისტეს მოციქულების ქადაგება დასავლეთ
საქართველოში 50 წლის მახლობლად ქრ. შემდეგ.

²⁰⁾ ქ.-ცხოვრ. I, გვ. 62.—სამ. ისტ. ქრონ., გვ. 10.

²¹⁾ იხ. წინა წერილი სხოლიოები 53—60.

ისრმა, ავგუსტოსის ძემ, ტრიბუნის უფლებით მეხუთეჯერ შემოსილმა, ცენზორმა; და დომიციანე კეისრმა, ავგუსტოსის ძემ, სამჯერ კონსულმა და მეოთხეჯერ არჩეულმა—ივერთა მეფეს მიტრიდატს, მეფის ფარსმანის ძეს, კეისრისა და რომაელი ხალხის მეგობარს, აღუშენეს ციხე“²²).

როგორც ამ წარწერიდან სჩანს, მიტრიდატ II-ის მეფობაში საქართველოსა და რომის შორის მეგობრული განწყობილება უოფილა, რის ნიშნადაც რომის იმპერატორებს: ვესპასიანეს, ტიტუსს და დომიციანეს მიტრიდატისათვის ციხეც კი აუშენებიათ.

ამავე წარწერაზე ვამყარებთ მიჭრდატ II-ის გარდაცვალების თარიღსაც, რომელადაც ჩვენ მიგვაჩნია დომიციანე იმპერატორის მეფობის უკანასკნელი ანუ 96 წელი ქრ. შემდეგ, რადგანაც, როგორც წარწერიდან სჩანს, მიტრიდატი თანამედროვე უოფილა რომის კეისრისა: ვესპასიანესი (7—79 წ.), ტიტუსი (79—81 წ.) და დომიციანესი (81—96 წ.). მასსადავე ჩვენი თარიღი განსხვავდება დღემდე მიღებული თარიღისაგან (103 წ.) მხოლოდ შვიდის წლით, რაც სრულიად უმნიშვნელო განსხვავებად უნდა ჩაითვალოს²³).

ამრიგათ, 70-დან 96 წლამდე საქართველოს, ტანტს განაგებდა მეფე მიტრიდატ მე-II, ანუ ჩვენი წყაროების არსაკ II, რომლის დროსაც ივერიას დასავლეთის მხრივ რომის იმპერატორებისაგან ჰქონდა ზურგი გამაგრებული. მასსადავე სრული საბუთი გვაქვს დავასკვნათ, რომ არსაკ-მიჭრდატ მე-II-ის მეფობაშიაც ივერიის წინანდელი ძალა და მნიშვნელობა წინა აზიის ერთა შორის კიდევ უფრო უნდა გაზრდილიყო და გაფართოებულიყო და არა დასუსტებულ-დაჩაგრულიყო, როგორც ეს ჩვენს მემატეიანეს ჰგონია.

4. არსაკ-მიჭრდატის შემდეგ ივერიაში გამეფებულა ამზასპი ანუ, როგორც მას ქრონიკა უწოდებს, „ამაზასპი“²⁴). ამ მეფის შესახებ არცერთი ჩვენი წყარო დაწვრილებითს ცნობას არ იძლევა.

²²) Гавъ—Извѣстія... I, стр. 114. ეს ქვა ნაპოვნია 1867 წ. მაისის თვეში.

²³) ვახუშტი—ისტორია... გვ. 47.

²⁴) ქ.-ცხოვრება I, გვ. 67.—სამი ისტ. ქრონიკა, გვ. 10.

მას არც უცხოეთის მწერლები იცნობენ. ვახუშტი ბატონიშვილი ამ-
ხასის მეფობას დასდებს 103—113 წლებ შარის²⁵⁾ და ჩვენც
არა გვაქვს საბუთი, ამ უკანასკნელ თარიღს ძლიერ დავშორდეთ; მხო-
ლოდ ამხასის მეფობის დასასრულს დავსდებთ არა 113-ს, არამედ
116 წელს, რადგან რომელი მწერლები ამხასის მომდევნო მეფეს
ფარსმან მე-II-ეს აღრიანე იმპერატორის (117—138 წ.) თანამედ-
როვედ სთვლიან; მაშასადამე შორს არ ვიქნებით სინამდვილეზე, უკე-
თუ ამ ფარსმანის მეფობის დასაწყისად და, მაშასადამე, მისი წინა-
მოადგილის ამხასის მეფობის დასასრულად 116 წელს ჩავოვლით.

5. ამხასის შემდეგ ქართლ-კახეთის ტახტი დაიჭირა ფარსმან-
ქველმა, რომელსაც უცხოეთის მწერლები, სახელდობრ დიონ კასიოს
კოკკეიანი (დაბ. 150 წლის მახლობლად ქრ. შემდეგ), „ფარსმან
მე-II-ის“ სახელით იცნობენ²⁶⁾. ამავე მეფეს იხსენიებს მისივე თა-
ნამედროვე მწერალი ფლავიოს არიანი, რომელიც 131—137 წლებს
შორის კაპადოკიას განაგებდა იმპერატორის ლეგატის („Legatus
Augusti pro praetore“) სახელით²⁷⁾.

ყოველსავე იმაში, რასაც ამ მეფის შესახებ ჩვენი მატანიე მო-
კვითხრობს, ისტორიული სინამდვილის ნიშან-წყალი ატყუია მხო-
ლოდ შემდეგს ოთხს ცნობას: ა) თვით ფარსმანის სიმხნე-ახოვანებას
ანუ „ქველობას“, ბ) მის გვერდით მთავარ-სარდლის ინსტიტუტის
არსებობას, რომელიც იმავე დროს სამოქალაქო უფლებითაც ყოფილა
აღჭურვილი, გ) სპარსეთთან ბრძოლას ტახტის გამო და დ) ფარ-
სმანის ხელში სამეგრელო-ეგრისის ანუ კოლხიდის ყოფნას²⁸⁾. ოთხ-
სავე ამ ცნობას შეგვიძლია იმ დროინდელ მწერალთა თხზულებებში
მოფუძებნოთ საკმაო საფუძველი და გამართლება.

სახელდობრ, ფარსმანის სიქველესა და სპარსელებთან ბრძო-
ლას დიონ კასიოს კოკკეიანი შემდეგნაირათ აგვიწერს:

²⁵⁾ ვახუშტი—ისტორია... გვ. 48.

²⁶⁾ Ганъ—Изыѣстія. . I, стр. 173. შეად. Латышевъ, loc. cit. стр. 622.

²⁷⁾ Латышевъ loc. cit. стр. 222, стрк. 34—35.

²⁸⁾ ქ.-ცხოვრ. I, გვ. 67. 68. 67—69. 69.

„ივერიის მეფემ ფარსმან II-ემ განაზრახა ალანები (მეორე რუდაქციით „ალბანები“) ანუ მასსაგეტები, ზართების სამფლობელოს დასცემოდენ, და ამ მიზნით თავის სამეფოზე გამოატარა ისინი. ეს ბარბაროსები უმთავრესათ მიდიას შეესივნ, შეესივნ აგრეთვე სომხეთს და კახაღაკიასაც, ერთი სიტყვით, მათ ძლიერ შეარყიეს მიდია (=სპარსეთის ნაწილი) და უკან გამობრუნდენ მხოლოდ მას შემდეგ, როცა ზართიის მეფემ ვოლოგეზ მე-III-მ ქრთამით მოისუიდა ივინი და როცა საქმეში კახაღაკიის მმართველი ფლავიოს არჩიანი ჩაერია. როცა ზართებმა ფარსმანის ვერაგობა შეიტყვეს, რომში მოციქულები გაგზავნეს იმპერატორთან საჩივლედად. ამავე დროს ფარსმანიც რომს გაემგზავრა ცოლიანათ. იქ მან ისეთის წარმატებით დაიგვა თავი იმპერატორ ანდრიანისა და სენატის წინაშე, რომ სრულად გამართლებულ იქნა, ხოლო იმპერატორმა მას სამფლობელოები გაუფართოვა და თვით მასაც შეუდღითურთ არა-ჩვეულებრივი ზატვი მიაკონება დართო კაპიტოლში მსხვერპლი შეეწირათ, და ფარსმანის ცხენიანი ქანდაკება მარსის მინდორზე დასდგა“.

ეს მოხდა 138 წელს ქრ. შემდეგ. ხოლო იმავე დიონ-კასიოსის მეორე რუდაქცია დასძენს, რომ მარსის მინდორზე ადრიანე იმპერატორმა ურადღებით ინახულა „სამხედრო ვარჯიშობანი ფარსმანისა, მისი ვაჟისა და სხვა წარჩინებულ (πρωτων=ЗНАТНЬИШИХЪ) ივერიელებისა“²⁹). ამას ელი სპარტიანი უმატებს: „ადრიანე იმპერატორი არც ერთს მეფეს არ უგზავნიდა იმდენს საჩუქრებს, როგორც ივერთა მეფეს (ფარსმანს), რომელსაც, სხვა დიდებულ საჩუქართა შორის, მან გაუგზავნა სპილო და 500 კაციისაგან შემდგარი სამეფო ამაღა“³⁰).

მთავარ-სარდლოს ინსტიტუტის შესახებ „ქართლის ცხოვრება“ გვაძლევს შემდეგს ცნობას:

„ხოლო იყო მაშინ სპასპეტი ფარსმან-ქველისა ეგრეთვე ქვე“

²⁹) Ганъ — Известія... I, стр. 173—174. შეად. Латышевъ — Известія... I, стр. 622, стр. 20—35. განის თარგმანს ჩვენ ლატიშევის თანახმად ვასწორებთ.

³⁰) Ганъ — Известія... I, стр. 174.

ლი და გოლიათი, სახელით ფარნავაზ. ესე ფარნავაზ ძუძუს-მტე იყო ფარსმანისი, სარწმუნო, ერთგული და მისანდობელი. იგი დაადგინა შიდა-ქალაქს... და უოვლადვე იყვის ფარნავაზ-სპასპეტი ქალაქსა შინა; ხოლო მეფე ფარსმან-ქველი იარებოდის და განაგებდის სამეფოსა მისსა³¹⁾. ამ თქმულებას სავსებით ეთანხმება სტრაბონის ცნობა იმაზე, რომ ივერიაში მეფის გვერდით იდგა მისი მეორე პირი, რომელსაც იმავე სამეფო საგვარეულოდან ირჩევდენ და რომელიც ამის დროს მთავარ-სარდლობდა, ხოლო მშვიდობიანობის დროს მთავარ-მოსამართლის მოვალეობას ასრულებდა³²⁾. სამწუხაროთ, მატანე ამ მშენიერს ცნობას ეკრეთ წოდებულს ორ-მეფობასთან აკავშირებს, რითაც, რა თქმა უნდა, მას ძლიერ უკარგავს ფასს; მაგრამ თავის-თავად თვით ეს ცნობა იმდენათ რეალური შინაარსისაა (რამდენადაც იგი სტრაბონის მოწმობას ეთანხმება), რომ არ შეიძლება შემატანეს ხელთ კარგი ძველი წყარო ან ზეპირ-გადმოცემა არა ჰქონოდა; მხოლოდ, როგორცა სჩანს, ამ წყაროთი მას თავისუბურათ უსარგებლბია და ორ-მეფობის ზღაპრით დაუმახინჯებია იგი.

რაც შეეხება ფარსმან მე-II-ის ხელში სამეგრელო-ევრისის ყოფნას, ამას ჩვენ ვტყობილობთ „ქართლის ცხოვრების“ იმ ადგილიდან, სადაც ნათქვამია, რომ, როდესაც, ფარსმანის გარდაცვალების შემდეგ, ქართლში სპარსელები შემოვიდნენ და დაიპყრეს იგი, მაშინ „მეგრელინი დადგეს ერთგულებასა ფარსმანის ძისასა“, ე. ი. ნაკულისხმევია, რომ თვით ფარსმანის დროსაც მეგრელები ივერიის მეფის ხელში ყოფილან³³⁾.

მცირეოდენს ზარალებს ამ ცნობისას ჩვენ ვპოუბთ ზემოთ დასახელებულის თვლიბის არჩიანის მოწმობაში. ამ არჩიანმა, კახაბაკიაში მმართველად ყოფნის დროს, 134 წელს შავი-ზღვის აღმოსავლეთის ნაპირები ინახულა დიოსკურიამდე ანუ ეხლანდელ სოხუმამდე;

31) ქ.-ცხოვრება I, გვ. 68.

32) Страбонъ—Географія... кн. XI, гл. 3, § 6.—Джавახовъ—loc. cit., стр. 8 и 67.

33) ქ.-ცხოვრება I, გვ. 70.

ამ მკვლევარობის შესახებ მან მოხსენება წარუდგინა იმპერატორს ადრიანეს, სადაც მოკლეთ აღნიშნულია მის მიერ ნანახი კოლხიდის წვრილი თემები, მდინარეები და ქალაქები ტრანზიზონიდან დიოსკურიამდე. როგორც მოხსენებიდან სჩანს, კოლხიდა არჩიანის დრას დასახლებული ყოფილა შემდეგი თემებით: საკუთრივ კოლხებით, დრილოებით, მაკრონებით (შეორე რედაქც. „მახელოებით“), ზიდრიტებით, ლაზებით, აფსილოებით, ავასგებით და სანიგებით, ან უკეთ, სევანებით; ამ თემთა შორის ოთხს უკანასკნელს საკუთარი მუყეები ჰყოლიათ (არჩიანს ამ მუყეების სახელებიც ჩამოთვლილი აქვს), რომელთაც სამეფო გვირგვინი რომის იმპერატორისაგან ჰქონებოდათ მიღებული; დრილები კი უკვე გამოსული ყოფილან რომაელთა მორჩილებიდან; საკუთრივ კოლხებისა და მაკრონების შესახებ მოხსენებიდან არა სჩანს, რომ იგინი რომაელების ხელქვეშ ყოფილიყვნ; ხოლო ზიდრიტებზე შირდაშირ, ნათქვამია, რომ იგინი ამ დრას ფარსმანის ხელქვეშ იყვნენ („подвластны Фарасману“), ე. ი. სჩანს, ეგრის-კოლხიდის ერთი ნაწილი 134 წელს უკვე ფარსმანს ანუ ფარსმან-ქველს სჭერია³⁴). მაგრამ, როგორც დიონ კასიოსი მოწმობს, ოთხი წლის შემდეგ, სახელდობრ 138 წელს, ადრიანემ კიდევ გაათართოვა ფარსმანის სამეფო³⁵). ვკანებთ, დიდ შეცდომას არ ჩავიდნეთ, უკეთუ დაფასვნით, რომ ეს გათართობა კოლხიდის მხრივ უნდა მომხდარიყო, თუმცა გადაჭრით არ შეგვიძლია ვუჩვენოთ, თუ სახელდობრ კოლხიდის რომელი თემები უნდა გადასულიყო ამ დრას ფარსმან-ქველის მფლობელობაში. ჰიპოტეტიურათ კი საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამ თემთა შორის უნდა ყოფილიყვნ უმეფოდ დარჩენილი დრილოები, რომელთა თავგასულობაც, როგორც არჩიანის მოხსენებიდან სჩანს, რომაელებს უკმაყოფილების მეტს ღრას სძენდათ და, მამსადაჟე, რომაელებისათვის ამ ხალხის თავიდან მოშორება სანამოფნოც უნდა ყოფილიყო. შესაძლოა ფარსმანის ხელში გადასულიყოს ის თემიც, რომელიც ცინე-შორაშანს

³⁴) Латышев—Извѣстія... I, стр 222; შეად. Ганъ loc. cit. стр. 149—150.

³⁵) Ганъ—loc. cit., стр. 174.

(Sarapanis) ზემოდ, ესლანდელს შორაპნისა და სანხერის მაზრებში, ცხოვრობდა, ივერიის დასავლეთით³⁶). მაშასადამე, რომაელებს უნდა დარჩენოდათ: შავი-ზღვის-პირის ეგველა ქალაქები, სვანები, ავასტები, აფსილები, ლაზები, შესაძლოა, საკუთრივ კოლხები „მაკრონებით“ ანუ მახელანებითურთ.

როგორც ჩვენი ახალგაზდა მეგლეკარის ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევებიდან სჩანს, თარსმან მე-II-ის დროს ივერიელთა შორის პირველათ უჩინია თავი ეგრეთ წოდებულს „აზნაურობას“, როგორც შეიძლება, მრავალრიცხოვანთა და მეფის სამსახურით წარჩინებულ გვართა წოდებას. ამას ამტკიცებს დიონ-კასსიოს კოკკეიანის ზემოთ აღნიშნული მოწმობა, სადაც ნათქვამია, რომ მარსის მიზდორზე იმპერატორმა ტრაიანემ ინახულა „სამხედრო ვარჯიშობანი თარსმანისა და სხვა წარჩინებულ ივერიელებისა“. სიტყვის „წარჩინებულ“-ის ალგას ბერძნულათ ზის სიტყვა „πρώται“ ანუ „πρώτοι“, რომელიც აღნიშნავს „პირველს“, „წარჩინებულს“ (= „первые, знатные“) და რომელიც ქართულ სახარებაში (მარკოზ. VI, 21) ნათარგმნია სიტყვით „აზნაურნი“. რაც შეეხება

³⁶) ამ თემს კლასიკური მწერლები „ამარანტი“-ს სახელით იცნობენ. სახელდობრ სტეფანე ბიზანტიელი (V საუკ. ქრ. შემდეგ), თავის გეოგრაფიულს ლექსიკონში ამ ხალხზე ამბობს: „*Амарантии— колхидское племя, изъ страны котораго течеть Фазисъ*“ (*Литышевъ* loc. cit., стр. 254; შეად. *Ганъ* loc. cit. стр. 200). სწორეთ ამასვე ამბობს ფაზისის შესახებ აპოლონი როდოსელიც, მე-III საუკუნის მეორე ნახევარში ქრ. წინ: „*Библиотека изъ далекихъ Амарантскихъ горъ, она (р. Фазисъ) впадаетъ въ море*“ (*Ганъ* loc. cit. стр. 45. *Литышевъ* loc. cit. стр. 413). ხოლო სტრაბონი გვარწმუნებს, რომ ის მთები, საიდანაც ფაზისის შორაპანში ჩამოდრნარე წტოები გაძოდიან, ივერიის ზემოთ არიან გადაჭიმულიო (*Географія, вн. XI, гл. 3, § 4*). ცხადია, აქ სურამის მთის ის ფერდობები იგულისხმება, რომელნიც მთელს ზემო იმერეთს ანუ შორაპნისა და სანხერის მაზრებს ჰფარავენ.—შესაძლოა თვით სიტყვა „ამარანტი“-ც ჩვენი „იმერეთი“-ს გადამახინჯება იყოს...

ამ მკვლევარობის შესახებ მან მოხსენება წარუდგინა იმპერატორს ადრიანეს, სადაც მოკლეთ აღნიშნულია მის მიერ ნახაზი კოლხიდის წვრილი თემები, მდინარეები და ქალაქები ტრანზიზონიდან დიოსკურიამდე. როგორც მოხსენებიდან სჩანს, კოლხიდა არრიანის დროს დასახლებული ყოფილა შემდეგი თემებით: საკუთრივ კოლხებით, დრილებით, მაკრონებით (შეორე რედაქც. „მახელანებით“), ზიდრიტებით, ლაზებით, აფსილებით, ავასგებით და სანიგებით, ან უკეთ, სვანებით; ამ თემთა შორის ოთხს უკანასკნელს საკუთარი მეთევები ჰყოლიათ (არრიანს ამ მეთევების სახელებიც ჩამოთვლილი აქვს), რომელთაც სამეფო გვირგვინი რომის იმპერატორისაგან ჰქონებოდათ მიღებული; დრილები კი უკვე გამოსული ყოფილან რომაელთა მორჩილებიდან; საკუთრივ კოლხებისა და მაკრონების შესახებ მოხსენებიდან არა სჩანს, რომ იგინი რომაელების ხელქვეშ ყოფილიყვნ; ხოლო ზიდრიტებზე პირდაპირ, ნათქვამია, რომ იგინი ამ დროს ფარსმანის ხელქვეშ იყვნენ („подвластны Фарасману“), ე. ი. სჩანს, ეგრის-კოლხიდის ერთი ნაწილი 134 წელს უკვე ფარსმანს ანუ ფარსმან-ქველას სჭერია³⁴). მაგრამ, როგორც დიონ კასსიოსი მოწმობს, ოთხი წლის შემდეგ, სახელდობრ 138 წელს, ადრიანემ კიდევ გაათავართოვა ფარსმანის სამეფო³⁵). ვგონებთ, დიდ შეცდომას არ ჩავიდნეთ, უკეთუ დავასკვნით, რომ ეს გათავართობა კოლხიდის მხრივ უნდა მომხდარიყო, თუმცა გადაჭრით არ შეგვიძლია ვუჩვენოთ, თუ სახელდობრ კოლხიდის რომელი თემები უნდა გადასულიყო ამ დროს ფარსმან-ქველის მფლობელობაში. ჰიპოტეტიურათ კი საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამ თემთა შორის უნდა ყოფილიყვნ უმეფოდ დარჩენილი დრილები, რომელთა თავგასულობაც, როგორც არრიანის მოხსენებიდან სჩანს, რომაელებს უკმაყოფილების მეტს ღრსას სძენდათ და, მაშასადამე, რომაელებისათვის ამ ხალხის თავიდან მოშორება სისამოვნოც უნდა ყოფილიყო. შესაძლოა ფარსმანის ხელში გადასულიყოს ის თემიც, რომელიც ციხე-შორაზანს

³⁴) Латышев—Извѣстія... I, стр 222; შვად. Ганъ loc. cit. стр. 149—150.

³⁵) Ганъ—loc. cit., стр. 174.

(Sarapanis) ზემოდ, ესდინდელს შორაპნისა და სანხერის მარებში, ცხოვრობდა, ივერიის დასავლეთით³⁶). მაშასადამე, რომაელებს უნდა დარჩენოდათ: შავი-ზღვის-პირის ევკლა ქალაქები, სვანები, ავასგები, აფსილები, ლაზები, შესაძლოა, საკუთრივ კოლხები „მკრონებით“ ანუ მახლანებითაურთ.

როგორც ჩვენი ახალგაზდა მკვლევარის ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევებიდან სჩანს, ფარსმან მე-II-ის დროს ივერიელთა შორის პირველათა უჩინია თავი ეგრეთ წოდებულს „აზნაურობას“, როგორც შეიძლება, მრავალ-რიცხოვანთა და მეფის სამსახურით წარჩინებულ გვართა წოდებს. ამას ამტკიცებს დიონ-კასსიოს კოკკეიანის ზემოთ აღნიშნული მოწმობა, სადაც ნათქვამია, რომ მარსის მინდორზე იმპერატორმა ტრაიანემ ინახულა „სამხედრო ვარჯიშობანი ფარსმანისა და სხვა წარჩინებულ ივერიელებისა“. სიტყვის „წარჩინებულ“-ის ალგას ბერძნულათ ზის სიტყვა „πρωτοι“ ანუ „πρωτοι“, რომელიც აღნიშნავს „პირველს“, „წარჩინებულს“ (= „первые, знатные“) და რომელიც ქართულ სახარებაში (მარკოზ. VI, 21) ნათარგმნია სიტყვით „აზნაურნი“. რაც შეეხება

³⁶) ამ თემს კლასიკური მწერლები „ამარანტი“-ს სახელით იცნობენ. სახელდობრ სტეფანე ბიზანტიელი (V საუკ. ქრ. შემდეგ), თავის გეოგრაფიულს ლექსიკონში ამ ხალხზე ამბობს: „*Амаранты — колхидское племя, изъ страны котораго течеть Фазисъ*“ (*Латъшевъ loc. cit., стр. 254*; შეად. *Ганъ loc. cit. стр. 200*). სწორეთ ამასვე ამბობს ფაზისის შესახებ აპოლონი როდოსელიც, მე-III საუკუნის მეორე ნახევარში ქრ. წინ: „*Вътекающая изъ далекихъ Амарантскихъ горъ, она (р. Фазисъ) впадаетъ въ море*“ (*Ганъ loc. cit. стр. 45. Латъшевъ loc. cit. стр. 413*). ხოლო სტრაბონი გვარწმუნებს, რომ ის მთები, საიდანაც ფაზისის შორაპანში ჩამოდინარე წოდები გადოდიან, ივერიის ზემოთ არიან გადაჭიმულიო (*Географія, т. VI, гл. 3, § 4*). ცხადია, აქ სურამის მთის ის ფერდობები იგულისხმება, რომელიც მთელს ზემო იმერეთს ანუ შორაპნისა და სანხერის მარებს ჰფარავენ.— შესაძლოა თვით სიტყვა „ამარანტი“-ც ჩვენი „იმერეთი“-ს გადამაზინჯება იყოს...

ამ უკანასკნელ სიტყვას, რომელიც სპარსულ-სომხური ძირისაა (= „აზნ“), იგი აღნიშნავს „გვარი-შვილს“, „გვაროვანს“ (= „პოდოვითყ“), ანუ რიცხვითა, შეძლებითა და სამსახურით გამორჩენილს ანუ „წარჩინებულს“ (= „знатный“). როგორც ფარსმან მე-II-ისა და წინამორბედების ისტორიიდან სჩანს, ჰირველსა და მეორე საუკუნეში ქრ. შემდეგ ივერიაში ცენტრალურს უფლებას სავაზო ძლიერებამდე მიუღწევია. ამიტომ სრულიად ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს, რომ წინეთ მხოლოდ სიდიდითა (= რიცხვითა) და შეძლებით ცნობილი გვარები ამ დროს უკვე „სამსახურითაც“ დაწინაურებულიყვნენ, ე. ი. გამხდარიყვნენ არა მხოლოდ „გვართა აზნურნი“, არამედ „მსახურეულნიც“ (= „служилые“). თქმულის ძალით ვგონებთ, სამართლიანათ იქცევა ბ-ნი ი. ჯავახიშვილი, როდესაც ამბობს: ქართული „საწოდებრიო ტერმინოლოგიის ანალიზი გვიჩვენებს, რომ სრულიად საჭირო არ არის საქართველოში სოციალური უთანასწორობის წარმოშობის მიზეზი უცხო ქვეყნების გავლენაში ვეძიოთ“³⁷).

დაგვიჩანს გამოსარკვევი ფარსმან-ქველის გარდაცვალების თარიღი. ვახუშტის ანგარიშით ფარსმანის მეუობა უნდა დასრულებულიყო 129 წელს ქრ. შემდეგ³⁸). მაგრამ, როგორც დიონ კასსიოსი მოწმობს, ეს მეფე 138 წელსაც კი ცოცხალი უთთვლად და რომში მარსის მინდორზე ვარჯიშით აღრიანე-იმპერატორი აღტაცებაში მოუგვანია. სჩანს, იმ დროს იგი ძლიერ ხნეიერი არ უნდა ყოფილიყო. ამიტომ, ვგონებთ, შორს არ ვიქნებით სინამდვილეზე, უკეთუ ფარსმან მე-II-ის სიკვდილის თარიღს დავდებთ, სულ მცირე, მე-140 წელს ქრ. შემდეგ. მაშასადამე, ფარსმან-ქველის მეუობას ჩვენ ვანგარიშობთ 116—140 წლებს შორის ქრ. დაბადებიდან.

6. ფარსმან-ქველით თავდება „ქართლის-ცხოვრებაში“ ეგრეთ წოდებული „ორ-მეუობის“ ხანა. ამას შემდეგ მატანე იხსენიებს მხოლოდ ერთ მეფეს, ფარსმანის ძეს აღამს. მაგრამ მატანეს არ

³⁷) *И. Джавахадзе*—Госуд. строй древн. Грузии и др. Арменія. т. I, стр. 60. შეად. მთლათ გვ. 56—61.

³⁸) ვახუშტი—ისტორია... გვ. 49.

ეთანხმება „ქართლის-მოქცევის“ ქრონიკა, რომელიც ფარსმან-ქველდის შემდეგ კიდევ უჩვენებს ერთ წყვილს მეფეს: როკ-სა და მირ-ლატს, და მხოლოდ მათ შემდეგ აღნიშნავს ერთს მეფეს „ლადამს“, რომელიც, ალბათ, უნდა უდრიდეს მატიანის ადამს³⁹⁾.

უკვე წინა წერილში შევნიშნეთ, რომ ეს „მირდატი“, როგორც ცრუ მეორე სამეფოს წარმომადგენელი („მცხეთის მეფე“), ქართველ მეფეთა სიიდან უნდა გამოირიცხულ იქნას. დარჩება, მაშასადამე, როკ, რომელსაც ივერიის ტახტი სჭერია ფარსმან-ქველასა და ლადამს ანუ ადამს შუა. სხვა საქრონოლოგიო მასალის უქონლობის გამო, ამ როკ-ის მეუობას ჩვენ დავსდებთ 140—146 წლებს შორის, ე. ი. იმ წლამდე, როდესაც, ვახუშტის ქრონოლოგიით, ვითომც ადამის დედის, დანანს, მართველობა უნდა დათავებულიყო⁴⁰⁾.

რაც შეეხება ლადამს ანუ ადამს, ამის მეუობაზე მატიანე ამბობს, ვითომც იგი „სამს წელს“ გაგრძელებულიყოს; ქრონიკა მოწმობს, რომ ლადამი მხოლოდ ოცს დღეს მეუობდა⁴¹⁾. და ჩვენც უზიარატესობას ქრონიკის ცნობას ვაძლევთ, რადგან ამ ქრონიკის ხელნაწერი დედანი მე-X საუკუნიდანაა დაცული (=მატბერდის კრებული), ხოლო „ქართლის-ცხოვრების“ უძველესი ხელნაწერი დედანი მე-XV საუკუნეზე ადრე არ მოგვეპოება (მარიამ დედოფლის ვარიანტი); რაც შეეხება ეგრეთ წოდებულს „Chronique Arménienne“-ს, რომელიც არსებითათ იგივე შემოკლებული ქართლის-ცხოვრებაა, მასში ადამ-მეფის ხანგრძლივობის შესახებ, მართალია, იგივეა ნათქვამი, რაც მატიანეში, მაგრამ, როგორც შინაარსიდან სჩანს, ამ „ქრონიკის“ ქართული დედნის უკანასკნელი რედაქცია მხოლოდ მე-XII საუკუნეში ყოფილა შედგენილი⁴²⁾. მაშასადამე, უზიარატესობა ისევ „ქართლის-მოქცევის“ მატბერდისეულ ქრონიკას უნდა მიეცეს. თქმულის მიხედვით, ადამის ანუ ლადამის მეუობას ჩვენ მივაწერთ

³⁹⁾ ქ.-ცხოვრება I, გვ. 71.—სამი ისტ. ქრონიკა, გვ. 10.

⁴⁰⁾ ვახუშტი—ისტორია... გვ. 50—51.

⁴¹⁾ სამი ისტ. ქრონიკა, გვ. 10.

⁴²⁾ ეს ქრონიკა დავით აღმაშენებლის მეფობით თავდება († 1125 წ.)
=Addit., p. 57—61.

იმავე 146 წელს, როდესაც როკ II-ის მეფობა უნდა დასრულებულიყო.

7. სწამ დადამის მომდევნო მეფეების შესახებ ვიტყვოდეთ რასმე, საჭიროდ ვრაცხთ შევნიშნოთ, რომ თარსმან მე-II-ის შემდეგ მირიან I-ზე რომაელ-ბერძენი მწერლები არც ერთს ქართველ მეფეს არ იხსენიებენ. ამიტომ იძულებული ვართ, როგორც თარსმანის, ისე დადამის მომდევნო მეფეთა ცხოვრების ქრონოლოგია მხოლოდ იმ მასალების კრიტიკულ შესწავლასზე დავამყაროთ, რომელთაც ადგილობრივი წყაროები იძლევა.

„ქართლის-მოქცევის“ მოწმობით დადამიდან მირიანამდე, რომლის მეფობის დასაწყისად ჩვენ 300 წელი მიგვაჩნია⁴³), შემდეგი რვა ზირი მეფობდა: თარსმან III, ამაზასპ II, რევ-მართალი, ვახე, ბაკურ I, მირდატ (=მიტრიდატ III), ასფაგურ და ლევ⁴⁴). „ქართლის-ცხოვრებას“ ამავე მეფეებს ჩამოთვლის, გარდა ლევისა, რომელსაც იგი არ იცნობს.

კერძოდ, თარსმან მე-III-ის შესახებ ჩვენი მატთანე მოგვითხრობს, ვითამც იგი ერთის წლისა დარჩენილეს მამამისს ადამს ანუ დადამს, რის გამოც სამეფოს გამგეობა დროებით, ვიდრე თარსმანი წამოიზრდებოდა, მისს ბებიას, ე. ი. დადამის დედასა და თარსმან-ქველის ცოლს, ლადანას ეტვირთებოდა⁴⁵). თუ მოვიგონებთ სტრახონის გეოგრაფიის იმ ალაკს, სადაც ივერიელთა ტახტის-მემკვიდრეობის წესზეა ლაზარაკი (=ტახტს სამეფო გვარეულობის უუუუ-ცესი წევრი იჭერდა), ძლიერ გაგვიჭირდება მატანის აღნიშნულ თქმულებას დავეთანხმდეთ. მაგრამ, როგორც ზემოთ დავინახეთ, სტრახონის შემდეგ თვით კლასიკურ მწერალთა მოწმობით ივერიაში ბევრი რამ შეიცვალა. მაგალითად, თითქმის უგელა მეფენი, რომელთაც ეს მწერლები თარსმან მე-II-დე იხსენიებენ, თავის წინა-მოადგილეთა შეილებად არიან წოდებული, რაც ცხადათ ამტკიცებს იმ აზრს,

⁴³) იხ. ამ წერილის ბოლოში; შეადარე ჩვენი „საქართველოს ეკლესია და მისი დასაწყისი“ („მომამბე“, 1905 წ. №№ III—V).

⁴⁴) სამი ისტ. ქრონიკა, გვ. 11.

⁴⁵) ქ.-ცხოვრება I, გვ. 71.

რომ რომელია გაგულების წყალობით ივერიაში ტახტის-მემკვიდრეობის ძველი წესი უოველთვის სასუსებით აღარ უოფილა დაცული: ქართველი მეფეები ცდილან ტახტის-მემკვიდრეობა ჰირდაზირ ხაზზე მოეწყოთ. ამიტომ დიდათ გასაკვირალი არაა, რომ დამამის შემდეგ სამეფო ტახტი ჰირდაზირ მის შვილზე გადასულიყო, თუნდ ეს უკანასკნელი მცირე-წლოვანიც უოფილიყო. ამას რამდენათმე ამტკიცებს შემდეგი მოსაზრებაც. როგორც ზემოთ შევნიშნეთ, ამ დროს საქართველოში უკვე დაწეებული იყო ეგრეთ წოდებული „აზნაურობა“, ე. ი. ძლიერისა და გაგულებიანი გვარების სახელმწიფო სამსახურში დაწინაურება, ზოლიტიკურ საქმეებში განსაკუთრებული მნიშვნელობის მოპოება. მეორე მხრით, ვნახეთ აგრეთვე, რომ ფარსმან მე-III-ის დროს ცენტრალური ანუ სამეფო უფლების ძლიერებამ ივერიაში საკმაოთ დიდი ნაბიჯი წარსდგა წინ, რაც, უეჭველია, შემწეული ვერ დარჩებოდა ახლად თებ-ადგმულის არისტოკრატისათვის, რომელიც, რა თქმა უნდა, მალე იძულებული გახდებოდა ამ ცენტრალური უფლების ძლიერება თავისათვის რაც შეიძლება ნაკლებ მანებელი და მეტათ მარგებელი გაეხდა. ამას კი, ჩვეულებრივ, გაბატონებული წოდება მაშინ უფრო ადვილათ აღწევს, როცა ტახტზე ნაკლებ საშიში სამეფო ჰირია წამოსკუბებული. ამიტომ ჩვენ გვგონია, რომ თვით დამამის მხლოდ „ოცი დლით“ მეფობა და მის ნაცვლად მისი მცირე-წლოვანი ძის ფარსმან მე-III-ის მეფედ გამოცხადება, ბებიის რეგენტობით, ჰირდაზირ აზნაურთა წოდების საქმე უნდა უოფილიყო.

როგორც იმავე „ქართლის-ცხოვრებიდან“ სჩანს, აზნაურთა წოდებას ფარსმან მე-III-ის მეფობაში იმდენათ ძლიერი გაგულება მოუპოებია ზოლიტიკურ სფერაში, რომ, როდესაც ფარსმანის მემკვიდრეს ამზას მე-IV-ის მათი ალაგმვა მოუწადინებია, აზნაურებს იგი სამეფო ტახტიდან ჩამოუგდიათ და მის ნაცვლათ სომხეთიდან რეკავრზაუნებიანი მოუწვევათ. ამ უკანასკნელ ფაქტს მატიაზე ასე აგვიწერს:

„შემდგომად ამისსა (გარეშე მტერთა, ოსთა, დამარცხებისა) შეექმნა (ამზასს) სილადე, და იწყო მესისხლეობად, და მოსწყვიტნა მრავალნი წარჩინებულნი. ამისთვის მოიძულა იგი ერმან ქართ-

ღისმან: განუდგენ ერისთავნი დასავლეთისანი ხუთნი, ორნი ერისთავნი, ეგრისისანი, ერთი ოძრხისა, ერთი კლარჯეთისა, ერთი წუნდისა; ეზრახნეს სომეხთა მეფესა და ითხოვეს ძე მისი მეფედ, რამეთუ დისწული იყო ამზასპისი. მაშინ სომეხთა მეფე ძალითა მრავლითა წარმოემართა ქართლად... და ეზრახა ოვსთაცა, რომელნი სიხარულით წარმოვიდეს, რამეთუ მესისხლე იყო ამზასპ მათი... იძლია ამზასპ და იფლტოდა სპა მისი; და დაიპურეს ქართლი, და მოკლეს ამზასპ, და მოსრეს სპა მისი. და დაუტევა სომეხთა მეფემან ძე თვისი მეფედ ქართლსა, დისწული ამზასპისი, სახელითა რევ“⁴⁶).

ამგვარათ, ცენტრალური უფლებებისა და „წარჩინებულთა“ წოდების შეჯახებამ გამოიწვია ის, რომ ივერიის ტახტი დაიჭირა არშაკუნიანთა დინასტიის პირველმა წარმომადგენელმა საქართველოში. სამართლიანათ ჰეონებს ჩვენნი ისტორიკოსი ს. ბარათაშვილი, რომ ეს ფაქტი უნდა მომხდარიყო სომხეთის მეფის ვალარშაკ ანუ ვოლოგეზ არშაკუნიანის დროს⁴⁷), რომელიც სენ-მარტენის ქრონოლოგიით განაგებდა სომხეთს 178-დან 198 წლამდე⁴⁸) და რომელიც ცნობილია სომხეთის ისტორიაში როგორც თავდადებული მებრძოლი კავკასიის ჩრდილო ხალხებისა⁴⁹). სწორეთ ამავე დროს რომში მეფობდა გარუენილი და ზნეობა-დაცემული იმპერატორი კომმოდო (180—192 წწ.), რომლის მეფობიდანაც დაიწყო რომის დაცემა⁵⁰). რამდენათაც ამ იმპერატორის წინამოდგილე, მარკ ავრელიუსი (161—180 წ.), და მომდევნო სევერი (193—211 წ.), საშიში იევენ ჰართელ არშაკიდებისათვის წინა აზიის დასავლეთ საზღვრებზე, იმდენათ თვითონ იგი სრულიად უმწეო იყო და თავის ქვე-

⁴⁶) ქ.-ცხოვრება I, გვ. 73.

⁴⁷) ს. ბარათაშვილი—საქ. ისტორ. II, გვ. 137.

⁴⁸) S.-Martin—Mémoires hist. et géogr. sur l'Arménie. t. I, p. 412.

⁴⁹) Ibidem, p. 301—302;—შუალ. Ист. Арм. Хоренского, стр. 112—113.

⁵⁰) Веберъ—Всеобщ. Исторія, т. I, стр. 685.

შევრდომებზე ზნეობრივს გაუყენას მოკლებული; როცა კომმოდის რომში გლადიატორებსა და გარეულ მხეცებთან ბრძოლით იყოლიებდა თავს, მისი გვარდიის უფროსი მისივე სახელით მუსრს ავლებდა რომის მოქალაქეებს, რასაც ზედ დაერთო სასტიკი ჭირი და შიმშილობა⁵¹⁾. ერთი სიტყვით, კომმოდის თორმეტწლოვანი მეფობის პერიოდი სწორეთ საუკეთესო დრო იყო, რათა არშაკუნიანთა დინასტიის წარმომადგენელს ივერიის ტახტზე მოკვიდებია თუხი.

ყოველისავე თქმულის ძალით რევის მეფობას ჩვენ დავსდებთ არა 186 და 213 წლებ შორის, როგორც ეს დღემდე იყო მიღებული⁵²⁾, არამედ 182—190 წ. ქრისტეს შემდეგ. ამგვარათ დადამიდან რევაიმდე დარჩება 182—146=36 წელი. რადგან ჩვენი წყაროები არაერთად საქრონოლოგიო მასალას არ იძლევა, იძულებული ვართ ფარსმან მე-III-სა და ამზასხ მე-II-ის 36 წელი გაუყოთ თანაწორათ, ე. ი. პირველის მეფობა დავსდეთ 146-სა და 146+18 ანუ 164 წლებს შორის, ხოლო მეორესი—164-იდან 164+18 ანუ 182 წლამდე.

ამ სხნით, ჩვენის ქრონოლოგიით, დადამის შემდეგ ივერიის ტახტს განაგებენ შემდეგი მეფეები:

- ა) ფარსმან III—146—164 წ.
- ბ) ამზასხ II —164—182 წ.
- და გ) რევა-მართალი—182—190 წ.

8. ამ მეფეთა შორის მეითხველის ურადლებას მივაქცევთ ფარსმან მე-III-ისა და ამზასხ მე-II-ის მეფობის ხანას, რადგან სწორეთ მათ დროს ცნობრობდა ცნობილი მწერალი კლავდიოს პტოლომეი⁵³⁾, რომელმაც, სტრაბონის მსგავსად, დაგვიტოვა ბერძნულს ენაზე კალხიდიისა, ივერიისა და ალბანიის მოკლე გეოგრაფიული აღ-

⁵¹⁾ Веберъ—loc. cit. стр. 667—668. 686.

⁵²⁾ ვახუშტი—ისტორია... გვ. 52.

⁵³⁾ ცნობრობდა ზოგიერთების აზრით 120-იდან 170 წლამდე ქრ. შემდეგ, ხოლო სხვების ცნობით იგი იყო თანამედროვე იმპერატორის მარკ ავრელიუსისა (161—180 წ.). შეად. Ганъ—Извѣстия I, стр. 166 — Датышевъ loc. cit., стр. 228.

წერს ქარტიურთ. ეს აწერილობა იმდენათ საინტერესოა, რომ არ შეგვიძლია, აქვე არ მოვიყვანოთ იგი; თანაც ვუცდებით ჰტოლომების ცნობები სხვა მწერალთა იმ დროისავე შესახები ცნობებით შევავსოთ.

ა) კოლხიდა. ძველი კოლხიდა ამ დროს უკვე საკმაოდ შევიწროებული უფიქლა. სახელდობრ მისი სამხრეთის საზღვარი სტრამბონის დროს თუ ტრამპონამდე აღწევდა, ჰტოლომების დროს ჩრდილოეთისაკენ დაუწვია და ფაზისის ჩასართავამდე მოსულა; სახელდობრ, ესწინდელი ფოთიდან რომ მტკვრის სათავემდე პირდაპირი ხაზი გავავლოთ, ეს იქნება მაშინდელი კოლხიდის სამხრეთის საზღვარი. დასავლეთით მას ედო შავი ზღვა მდ. კორაქსის (=კაპეტის წყალი) ჩასართავამდე; ჩრდილოეთით—სარმატია, მდ. კორაქსისა და კავკასიონის ქედის გასწვრივ; ხოლო აღმოსავლეთით—ივერია, სურამის ანუ ლიხის მთის გასწვრივ. მთელი ეს მიდამო ჰტოლომების დროს დასახლებული უფიქლა შემდეგი უმთავრესი თემებით: შავი ზღვის პირი სჭერიათ ლაზებს, მათ ზემოთ სახლებუდან მანრალები, ამათ აღმოსავლეთით სურამის მთებისკენ ეგრეთ წოდებული ეკრეტიკის პროვინცია, რომელიც, ჩვენის ფიქრით, უნდა უდრიდეს სხვა მწერლების „ამარანტა“-ს, ანუ ზემო-იმერეთს; ჩრდილოეთის კუნჭული კოლხიდისა მდ. კორაქსისა და კავკასიონის მთებისაკენ სჭერიათ სვანო-კოლხებს ანუ სვანებს. შავი ზღვის პირად შესანიშნავი უფიქლან შემდეგი ქალაქები: დიოსკურიდა (=სოხუმი), სივანეუმი, ნეაპოლი, ეია და ფასისი (=ფოთი). თვით კოლხიდის შიგნით კი ჰტოლომების დროს ცნობილი უფიქლა შემდეგი ქალაქები და სოფლები: მეხლესი, მადია, სარაკა (=სარაზანი, შორაზანი), სურიონი და ზადრიისი⁶⁴).

⁶⁴) Латышевъ—Извѣстiя... т. I, стр. 240—241 —საკირთო მიგვაჩნია აქ მოვიყვანოთ არჩიანის ცნობები ქალ. ფაზისის ციხისა და მახლობლათ მდებარე სამლოცველოს შესახებ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ იმ დროს, რომელსაც აღნიშნული ცნობა შეეხება, მთელი შავი ზღვის პირის ქალაქები და, მაშასადამე, ეს სამლოცველოც ბერძენთა ახალშენების ხელში იყო, ან უკეთ, თვით ბერძენებისაგანვე იყო დასახ-

ბ) ივერიას—დასავლეთით ედო კოლხიდა, ჩრდილოეთით—სარმატია კავკასიონის ქედის გასწვრივ, აღმოსავლეთით ალბანია, ხოლო სამხრეთით, მტკვრის გასწვრივ, დიდი სომხეთი. აქ პტოლომეის აღნიშნული აქვს მხოლოდ შემდეგი სოფლები და ქალაქები: სოფ. ლუბიონი, აგინა, უასედა, უარიკა, სურა (ჩვენის ფიქრით, შემოკლებული *Seusamora* ანუ წიწამური), არტანისა (რომელიც არმაზის ჩრდილოეთითაა მთებისკენ ნაჩვენები), მესტლეტა (*Mestleta*), ზალისა და არმაკტიკა (=არმაზ-ქალაქი), რომელიც პტოლომეის ქარტით დიდი სომხეთის საზღვარზე ძვეს, მტკვრის პირად⁵⁵). სხანს, ამზას მუ-II-ის მეფობაში და ფარსმან მუ-III-ის მცარე-წლოვანობის დროს ჩვენს მეზობელ სომხეთს ივერიის კარგადიდი ნაწილი ჩაუგდია ხელში. ამასვე ვამჩნევთ აღმოსავლეთის მხრითაც, სადაც ალბანიის საზღვარი მდ. ალაზანს ბევრითაა გადმოცილებული⁵⁶).

გ) რაც შეეხება ალბანიას, აქ პტოლომეის იმდენი გეოგრაფიული სახელები და ქალაქები აქვს ნაჩვენები, რომ ძლიერ საუკვოდ მიგვაჩნია მათი სინამდვილე, რადგან, როგორც სტრაბონი მოწმობს, მის დროს ეს ქვეყანა ნახევრათ ველური ხალხით იყო დასახლებული, უფრო მეტათ მეჯვრეობის განვითარებას უწყობდა ხელს,—უოვლად შეუძლებელია, რაღაც 150-იოდ წლის განმავლობაში ეს

ლებული და აშენებული — ფაზისის ციხე ყოფილა ფრიად მაგარი და მიუღვამელი; მისი კედლები და კოშკები გამომწვარი აგურით ყოფილა აშენებული; ხოლო კედელს ირგვლივ ზედი-ზედ ორი ფართე თხრილი ჰქონია შემოვლებული; თვით არიანს აქ კიდევ მესამე თხრილიც მიუმატებია. ციხეზე დადგმული ყოფილა სამხედრო მაშინები, ხოლო მცველად მას 400 რჩეული მეომარი ჰყოლია.—რიონის მარცხენა ნაპირას, ზღვიდან შესავლის ახლოს; ბერძნებს დადგმული ჰქონებიათ დედამერთის რეიას ქანდაკება, ქნართ ხელში; ხოლო ამ ძეგლის კვარცხლებეის მახლობლათ გამოქანდაკებული ლომები მდგარან.—*Латышевъ, loc. cit., стр. 220—221.*

⁵⁵) Ibidem, стр. 241—242.

⁵⁶) Ibidem, стр. 243, стр. 32—35. შეად. ბოლოში ქარტაც.

უკუღებო მხარე ერთბაშად ქალაქებით მოფენილიყოს. აღნიშნულ გეოგრაფიულ სხეულებში ბევრი ისეთია, რომელიც დღესაც კი, თითქმის, იმავე სახითაა დაცული კახეთსა და შაქათლის ოლქში; მაგრამ თვით ჰტოლომეის ქარტაზე ეს დაბა-ქალაქები სადღაც შორს, კასპის ზღვის მახლობლათ არის ნაჩვენები. შესაძლოა ეს გარემოება იმიტო აიხსნებოდეს, რომ დღევანდელი კახელების წინაპარნი ჰტოლომეის დროს შორს, თითქმის კასპის ზღვამდე უოფილან გავრცელებული, ხოლო, როცა ახალ-ახალ ხალხთა შემოსევის იგინი დასავლეთისაკენ გამოურეკია, ნაცნობი გეოგრაფიული სხეულები თან წამოუღიათ და ახალ საცხოვრებელ მიწა-წყელისათვის გადაუციათ. მოგვეყვას ეს, ჩვენთვის საყურადღებო, სახელ-წოდებანი: ქალაქი ტელიაბა (=თელავი?), მდ. გერრა (=იორი?), ქალაქი გელდა (=შიდა?!), მდ. კესია (=კისის-წყალი?), ხაბალა (ქაბალი?), თიანა (=თიანეთი?), თილობის (=თბილისი?) და სხვანი⁵⁷. საყურადღებოა, აგრეთვე, რომ ალბანელების მეზობლათ, აღმოსავლეთით, კასპის ზღვის გასწვრივ („ВДОЛЬ Каспійскаго моря“), ჰტოლომეის მოხსენებული ყავს უღები, ხოლო კავკასიონის მთის კალთებში, ალბანელების ჩრდილო-აღმოსავლეთით — დიდურები (=დიდო), ტუსკები (=თუშები?) და სანარები (=წანარები?)⁵⁸. უოველ ეტვის გარეშა, რომ ჰტოლომეიმდე ბევრს ნამდვილს ადგილობრივს გეოგრაფიულს სახელწოდებას მიუღწევია, მაგრამ რამდენათ ეთანხმება ამ ნომენკლატურას მის მიერ ქარტაზე გრადუსებითა და მინუტებით აღნუსხული მათი ადგილ-მდებარეობა, ამის გამორკვევა კი ჩვენს ძალ-ღონეს აღემატება.

ამით ვათავებთ ამ საგანზე საუბარს და გადავიდვართ რვე-მართალის მეფობის განხილვაზე.

9. რვეი იწყებს ჩვენში ეგრეთ წოდებულს არშაკუნთანთა დინასტიას. ამას მოწმობს ჩვენს მატთანში დაცული გარდმოცემა; ამას

⁵⁷) Латышевъ—loc. cit. стр. 242—243 (=Ганъ, loc. cit. стр. 169—170).

⁵⁸) Латышевъ—loc. cit. стр. 239, стрк. 30—37 (=Ганъ, стр. 167—168).

არ ეწინააღმდეგება, როგორც ზემოთ დავინახეთ, არც მაშინდელი ისტორიული გარემოებანი.

„ქართლის-ცხოვრება“ გვარწმუნებს, ვითომც რევს ჰირველათ შემოეტანოს საქართველოში აფროდიტის (=ვენერა, სიუვარულის ღმერთ-ქალი; უდრის ირანულს ანაჰიდას) კულტი⁶⁹). მაგრამ, როგორც ვიცით, აღნიშნული კულტი, მხოლოდ სხვა სახელით (ანაიდა, ანაიტიდა), საქართველოს, სომხეთსა, კავკასიასა და მიდიაში უკვე ძველის დროიდან არსებობდა (სტრაბონის მოწმობით). მაშასადამე რევს ამ კულტის შემოტანა აღარ უნდა დასჭირვებოდა.

სამაგიეროთ, ძლიერ ახლოა სინამდვილეზე ის ცნობა, რომელსაც ჩვენი მატიაზე რევის დროს ივერიაში აღამიანთა მსხვერპლის მოსპობის შესახებ იძლევა. როგორც ვიცით, სტრაბონის დროს, ეს ჩვეულება ჩვენს მეზობლათ მდებარე აღბანიაში განსაკუთრებულის უურადლებით სარგებლობდა. ადვილ შესაძლოა, რომ იგი ჩვენს მთიულეებშიაც უოფილიურს რევის დრომდე დარჩენილი. როგორც სჩანს, ამ მეფეს ეს ჩვეულება თავის სამთელბელოში ოფიციალურათ აღუკრძალავს და მის ნაცვლად ეველგან შემოუღია მხოლოდ „ცხვრისა და ზრახის შეწირვა“⁶⁹).

10. რევ-მართლის გარდაცვალების შემდეგ (ჩვენის ანგარიშით 190 წლიდან), საქართველოს ტახტზე ისხდენ ზედი-ზედ შემდეგი მეფეები: ვაჩე, ბაკურ I და მირდატ ანუ მიჰტრდატ მე-III. არც ერთის ამთგანის შესახებ ჩვენი ისტორიული წყაროები არავითარს დეტალურ ცნობას არ იძლევა. არა თუ მათი მეფობის ხანგრძლივობა, მათი თანამედროვე უცხოეთის მეფეებიც კი არ არიან მატიაზე აღნიშნულნი, რის გამოც უოვლად შეუძლებელია თვითთული მათგანის მეფობის თარიღი სისწორით დაადგინოს კაცმა. ამიტომ, სხანამ ამ მეფეთა ცხოვრების თარიღებზე ვიტუოდეთ რასმე, ჯერ მათი მომდევნო მეფის ასთაგურის მეფობაზე გადავალთ, რადგან იქ მატიაზე იძლევა რამოდენსამე სინქრონოლოგიურს ცნობას, რომლის შემწეო-

⁶⁹) ქ.-ცხოვრება I, გვ. 74, სტრიქ. 2—4.

⁶⁹) იქვე გვ. 74, სტრიქ. 6—11.

ბითაც შესძლოა დაახლოვებით მინც გარკვეულ იქნას ჯერ თვით ასთაგურის და მერე მისი წინამოადგილე მეფეების ქრონოლოგია.

სახელდობრ, ასთაგურის შესახებ „ქართლის-ცხოვრება“ ამბობს:

„ამისა-ზე მეფე იქმნა სპარსეთს ქასრუ-ანუშირვან სასანიანი, რომელმან მოსრნა მეფენი აჟღალიანი, რომელ ცნობების არადაშირობით, ვითარცა წერილ არს ცხოვრებასა სპარსთასა. ხოლო სომხითს მეფე იქმნა კოსაროს“⁶¹).

სამართლიანად შენიშნავს ჩვენი ისტორიკოსი დიმ. ბაქრაძე, რომ აქ მოხსენებული მეფენი სპარსეთისა და სომხეთისა არიან: შირველი—არდაშირ ანუ არტაქსერქს სასანიანი, რომელმაც სპარსეთში დაამყარა თავისი დინასტია; ხოლო მერე—სომხეთის მეფე ხოსრო დიდი⁶²). შირველი მეფობდა 226-იდან 238 წლამდე ქრ. შემდეგ⁶³), ხოლო მერე—198—232 წლებს შორის⁶⁴).

ვახუშტი ბატონიშვილის ქრონოლოგიით, ასთაგურს უნდა ემეფებინა 262-დან 265 წლამდე. მაგრამ, როგორც ეტყობა, ჩვენს მეცნიერს ბატონიშვილს ძლიერ სუსტი წარმოდგენა ჰქონია არდაშირ სასანიანისა და სომხეთის მეფის ხოსრო I-ის მეფობათა თარიღის შესახებ. ჩვენ კი გვგონია, რომ ასთაგურის მეფობა 262 წელზე ბევრათ უფრო ადრე უნდა დაწყებულიყო. მატიანის თანახმად, ასთაგურის გამეფება უნდა ეკუთვნოდეს არდაშირ სასანიანის გამეფების (226 წ.) წინა წლებს, რადგან მატიანის თქმით არდაშირის გამეფების დროს ასთაგური უკვე მეფე ყოფილა საქართველოში. თქმულის ძალით ვგონებთ, ძლიერ შორს არ ვიქნებით სინამდვილეზე, უკეთუ ასთაგურის მეფობის დასაწყისს დავსდებთ 224 წლის მახლობლად, ხოლო მის დასასრულს,—სხვა მასალების უქონლობის გამო,—იმავე 265 წელს.

ამას შემდეგ, რამოდენათე საშვალეა გვეძლევა ასთაგურის წი-

⁶¹) ქ.-ცხოვრება I, გვ. 75.

⁶²) ვახუშტი—ისტორია... გვ. 53—54—სხოლიო 1.

⁶³) Bouillet — Atlas Universelle. გამოც. 1861 წ. ტ. II, გვ. 1379.

⁶⁴) S.-Martin—Mémoires hist. sur l'Arménie. t. I, p. 412.

ნამოადგილეთა მეფობის ქრონოლოგია მცირეოდენის დახლოებით მაინც გაფარკვეით. მაგრამ, რადგან ხელთ სხვა არაფითარი საქრონოლოგია მასალა არა გვაქვს, იძულებული ვართ აქც იგივე საშუალება ვიხმაროთ, რომლითაც ზემოთ ფარსმან მე-III-ისა და ამჟამს მე-IV-ის მეფობათა თარიღის გარკვევის დროს ვისარგებლეთ. ჩვენის ანგარიშის თანახმით რეგ-მართალმა დასრულა მეფობა 190 წელს ქრ. შემდეგ; მაშასადამე, აქედან—ასფაგურის გამეფებამდე უნდა გასულიყო 225—190=34 წელი, რომლის განმავლობაშიც ივერიის ტახტზე გამოცვდილა სამი მეფე: ვახე, ბაკურ I და მირდატ III.—ვახუშტის ქრონოლოგიით ამ მეფეთა შორის ყველაზე უფრო მეტს ხანს უმეფნია ვახეს (18 წელი). უკეთუ ამის მიხედვით ვახეს იმდენსავე 18 წელს დაუთმობთ, დაგვრჩება 16 წელი, რომელიც შემდეგ თანასწორათ უნდა გაუთფილ იქნას ბაკურსა და მირდატს შორის. ამგვარათ, რეგ-მართალიდან ასფაგურამდე ჩვენ მივიღებთ შემდეგს მეფეთა სიას:

ვახე — — 190—208 წ.
 ბაკურ I — 208—216 წ.
 მირდატ III — 216—224 წ.
 და ასფაგურ — 224—265 წ.

11. ახლა, რაკი ამ ოთხი მეფის დახლოებითი ქრონოლოგია მაინც დავადგინეთ, შეგვიძლია მოკლეთ მათს მოღვაწეობას ან მათ დროინდელ ფაქტებს გავცნოთ, რამდენათაც არსებული მასალა ნებას გვაძლევს.

როგორც ზემოთ შევნიშნეთ, „ქართლის-ცხოვრება“ ვახესა, ბაკურისა და მირდატის შესახებ არაფითარს დეტალურ ცნობას არ იძლევა, თუ, რასაკვირველია, საურადღებო ცნობად არ ჩავთვლით ჩვენი მემატანიის ჩვეულებრივს დამატებას, ვითომც მირდატი ბაკურის „ძე“ უოთფილიუოს, ბაკური—ვახესი და ვახე—რეგ-მართალი-სა⁶⁵). მაგრამ ჩვენ ვიცნობთ ჩვენი მემატანიის მწიგნობრულ-სქოლასტიურს მეთოდს, რომლის წულობითაც იგი თითქმის ყველა ჩვენი ძველი მეფეების შემევიდრეობას პირდაპირს ხაზზე აწეობს. ამო-

⁶⁵) ქ.-ცხოვრება I, გვ. 74.

ტომ ზემოაღნიშნულს მის დამატებას (რომელსაც ქართლის-მოქცევა არ იცნობს) მხოლოდ იმ შემთხვევაში შეგვიძლია დავუკრწიშნოთ უკრიტიკოთ, უკეთუ ამას იმ დროინდელი მსოფლიო ისტორიის ფაქტების შედარებით შესწავლა არ შეუშლის ხელს.

ვაჩესა და ბაკურის დროს (რასაკვირველია, ჩვენის ქრონოლოგიით), რომში იმპერატორად იჯდა სუპტიმიუს სევერი (193—211 წწ.), რომელმაც, დამარცხა რა თავისი შინაური მეტოქეები (დასავლეთში — ალბინი და აღმოსავლეთში — ნიგერი), სასტიკათ დასჯა ქალ. ბიზანტია და შემდეგ იმპერიის საზღვრები მესოპოტამიის შემოერთებით გააგრძელა, რომელიც პართიის არშაკიდებს წაართვა⁶⁶). სევერის შემდეგ რომის ტახტი დაიჭირა მისმავე შვილმა ანტონინ კარაკალამ (211—217 წ.), რომელიც აღმოსავლეთის შესახებ მტკიცეთ ადგა თავის მამის პოლიტიკას. კერძოთ, მამინდელი სომხეთის მეფე მან, დიონ კასიოსის მოწმობით, გაიწვია თავისთან, მესოპოტამიაში, და დაატყვევა; ამასთანავე იგი ცდილობდა მთელი სომხეთი რომის უბრალო პროვინციად გადაეკეთებია⁶⁷). მართალია, ზართელ არშაკიდებისგან ზურგ-გამაგრებულმა სომხის არისტოკრატებმა დატყვევებული მეფის ნაცვლად სხვა ახალი (ტირიდატი) აირჩია, მაგრამ ამ ახალმა მეფემ რომაელთა მხედრობას ვერ გაუძლო და იძულებული გახდა ზართიაში გაქცეულიყო თავის თანამოგვარე ვოლოგუზ მე-IV-თან, რომელმაც, განმეორებული მოთხოვნის შემდეგ, იგი ანტონინ კარაკალას გადასცა. ანტონინის შემდეგ (218 წელს) მისი მომდევნო იმპერატორის მაკრინის დროს, ზართიასთან ხელშეკრულების ძალით, სომხეთი კვლავ რომის სავასსალოდ დარჩა⁶⁸).

ერთი სიტუვით, უოველ ეჭვს გარეშეა, რომ მესამე საუკუნის პირველ მეოთხედში არც სომხისა და არც ზართიის (სზარსეთის) არშაკიდებს წინა აზიაში (და მაშასადამე, ჩვენს ამიერ-კავკასიაშიაც) ადარავითარი პოლიტიკური ძალა და მნიშვნელობა არა ჰქონიათ; აქ

⁶⁶) Веберъ—Всеобщ. Ист. I, стр. 686.

⁶⁷) Халатьянъ—Арм. Аршакиды, стр. 127—128.

⁶⁸) А. Аннинский—Древн. Арм. Историка..., стр. 41. Одесса. 1899 г.

მბრძანებელი და ტონის მიმცემი იგივე რომი გამხდარა, რომლის ძლიერებაც აღმოსავლეთში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მხოლოდ კომპოდის დროს შეირყა ცოტა ხნობით. ამიტომ ძნელი დასაჯერებელია ამ უკანასკნელის მეფობაში ივერიის ტახტზედ ასულს სომხეთის არშაკიდთა ჩამომავალ დინასტიას მტკიცეთ მოეკიდებიოს ფეხი ივერიაში. ჩვენ გვგონია, რომ კოლხიდის მფლობელნი და ივერიის უზენაესი მფარველნი რომის იმპერატორები მე-III საუკუნის პირველი მეოთხედის ვერ მოითმენდენ, მათ მფარველობის ქვეშ მყოფს ივერიაში მათსავით მტოქე არშაკიდთა წარმომადგენელს მოეკიდებია მტკიცეთ ფეხი საშეფო ტახტზე. უოფლისავე თქმულის ძალით, უმჯობესი იქნება ვიფიქროთ, რომ მე-III საუკუნის დასაწყისში ახლად გამეფებულს არშაკიდთა დინასტიას საქართველოში კვლავ ძველი ქართული დინასტიისთვისვე უნდა დაეამო ადგილი. ეს უნდა მომხდარიყო ჩვენის ფიქრით ვაჩუხ გარდაცვალების შემდეგ, ანუ 208 წელს, ე. ი. ბაკურ I-დან ივერიის ტახტზე ისევ ძველი ნაციონალური დინასტია უნდა გამეფებულიყო. ამას არ ეწინააღმდეგება უუძველესი ქართული ქრონიკა „მოქცევა ქართლის“, სადაც ბაკურ I-ის ჩამომავლობაზე, წინააღმდეგ მრავალ-მეტყველ „ქართლის-ცხოვრებისა“, არათერნი არაა ნათქვამი⁶⁹).

ამრიგათ, ჩვენ ვადგვივართ იმ აზრს, რომ არშაკიდების დინასტიას ჩვენში თითქმის გამეფებისთანავე უნდა მოღებოდა ბოლო, სახელდობრ მას უნდა სტეროდა მხოლოდ ორი მეფობის პერიოდი (რევისა და ვახსი), ე. ი. 182—208 წლები, ანუ 22 წელიწადი. მას შემდეგ კი ივერიის ტახტზე უნდა ასულიყო ბაკურ I-ლი, ჩამომავალი ძველი საშეფო საგვარეულოსი და არა „ძე ვაჩუ არშაკუნინისა“, როგორც ეს ჩვენს მწიგნობარ მემატთანესა ჭგონია. მაგრამ, შესაძლებელია, ჩვენი მემატანე თვით რევის არშაკუნინობაშიაც სცდებოდეს; შესაძლოა რევი ეოფილიყოს მხოლოდ თანამედროვე სომხის მეფის ვაღარშისა (178—198 წ.) და არა მისი „ძე“, როგორც მატანე გვარწმუნებს. მაშინ, რა თქმა უნდა ზემოთ აღვნიშნული 22 წელიც ადგილობრივს დინასტიას უნდა გადაეცეს, ე. ი. თვით

⁶⁹) სამი ისტ. ქრონიკა, გვ. 11, სტრიქ. 2.

რევი და ვახეც იმავე ნაციონალური დინასტიის წარმომადგენლებად უნდა ჩაითვალოს, რომელსაც მათი წინამორბედი და მომდევნო მეფეები ეკუთვნოდნენ. ამ უკანასკნელ აზრს არ ეწინააღმდეგება არც უძველესი ჩვენი ქრონიკა, სადაც რევისა და ვახეს ჩამომავლობაზე არაფერი არაა ნათქვამი, და არც სომხეთ-რომის მაშინდელი ორტოფი ურთიერთობა. როგორც უნდა იყოს, ის კი ეთველ ეპის გარეშეა, რომ მე-III საუკუნის პირველ მეოხედში არშაჰუნიანებს ჩვენს მეზობლად აღარავითარი ძალა და პოლიტიკური მნიშვნელობა აღარ ჰქონათ. მაშასადამე ივერიაშიაც ეთველი საქმის ტონის მიმცემად ამ დროს რომის იმპერიას უნდა ჩაითვალოს და არა სხვა რომელიმე სახელმწიფო, ან ისეთი უმნიშვნელო სამეფო, როგორც მაშინ, კლასიკურ მწერალთა მოწმობით, არმენია ანუ სომხეთი უოფილა.

12. ბაკურის შემდეგ ტახტი დაიჭირა მირდატმა ანუ მაჭრდატ მე-III-მ, რომელიც ჩვენის ქრონოლოგიით მეფობდა 216 - 224 წელს. ამის მეფობის ხანა ფრიად შესანიშნავი ეპოქაა წინა აზიის ცხოვრებაში. ჯერ შინაურმა განხეთქილებამ და შემდეგ ძველი აქემენიდების ჩამომავლის, არდაშირ სასანიის ძის, მოხერხებულმა ინტრიგებმა საბოლოოთ ძირი გამოუთხარა პართულ არშაკიდების ძლიერებას, სამუდამოთ მოსპო მათი დინასტიის ბატონობა სპარსეთში და მის ნაცვლათ ნიადგი მოუმზადა ეგრეთ წოდებულის სასანიანთა დინასტიის გამეფებას, რის შემდეგაც რომს სრულიად ახალი და სპიში მეტოქე გაუჩნდა აღმოსავლეთში.

13. მირდატის შემკვიდრე ასფაგური ახლათ ასული იყო სა-მეფო ტახტზე, როდესაც სპარსეთში უკანასკნელ არშაკიდის არტაბან მე-IV-ის წინააღმდეგ არდაშირ ანუ არტაქსერქს სასანიის ძემ სასტიკი აჯანყება მოახდინა, მოუღო მას ბოლო და მის ნაცვლათ თავისი თავი გამოაცხადა სპარსეთის მეფედ (226 წ. ქრ. შემდეგ). ასე დაარსდა სპარსეთში სასანიანთა დინასტია, რომელმაც თავისი სახელი არდაშირის მამისაკან მიიღო⁷⁰).

არდაშირი თავის თავს სთვლიდა ჩამომავლად და კანონიერ შემკვიდრედ უკანასკნელის აქემენიდი მეფის დარიოზ III კოდომანისა, რომ-

⁷⁰) Веберъ — Всеобщ. История I, стр. 687—688.

მელიც ალექსანდრე მაკედონელმა ჩამოაგდო სამეფო ტახტიდან, ხოლო არშაკიდები ამ ტახტის უზურპატორებად მიაჩნდა; ალექსანდრე მაკედონელიდან მის დრომდე გასულს თითქმის ხუთს საუკუნეს უცქერდა როგორც დროებიის ზაყს სპარსეთისა და საბერძნეთ-რომის იმპერიას შორის; მის მიზანს შეადგენდა: ტახტის უზურპატორთა მოსპობა და სპარსეთის დარღობის დროინდელ საზღვართა აღდგენა. ზირველ შემთხვევაში იგი მუსრს ავლებდა არშაკიდებს, მეორე შემთხვევაში ომს უცხადებდა რომის იმპერიას.

გამეფებისათანავე არდაშირი შეესია სომხეთს, სადაც ამ დროს ხოსრო I-ლი (ანუ „ქართლის-ცხოვრების“ კოსაროსი) მეფობდა. მაგრამ, როგორც დიონ კასიოსი მოწმობს, სომხებმა მეზობელი ერების დახმარებით მალე უკუაქციეს მისი ჯარი¹¹⁾. უეჭველია ჩვენი მატთანე ამ დროს გულისხმობს, როდესაც ამბობს, რომ არდაშირთან მებრძოლ სომხეთის მეფეს „კოსაროსს“ (= ხოსრო I) დიდი შემწეობა გაუწია „ასთაგურ ქართველთა მეფემაც“, სახელდობრ: „ამას ასთაგურ განუხვნა კარნი კავკასიანთანი და გამოიევანნა ოგსნი, ლეგონი და ხაზარნი, და მოვიდეს კასურუ მეფესა თანა სომეხთასა, ბრძოლად სპარსთა; და... ეწყო... მეფე სპარსთა; და აოტეს იგი და მოსრეს სპა მისიო“¹²⁾.

მაგრამ როგორც იმ დროინდელი მწერლები და ჩვენი მატთანეც მოწმობს, ეს მხოლოდ დასაწყისი ყოფილა სპარსეთთან ბრძოლისა. სომხეთში ზირველ დამარცხების შემდეგ, არდაშირმა კვლავ შეჰკრიბა დიდძალი ჯარი, შემოვიდა მესოპოტამიასა და სირიაში, შემდეგ შეესია კახადოკიას და, ამგვართ, ომი გამოუცხადა რომის იმპერიას (230 წ.). ეს ომი გაგრძელდა ოთხს წელს, შემდეგ კიდევ განმეორდა არდაშირისავე სიცოცხლეში († 238 წ.) და დასრულდა იმით, რომ სპარსელებმა საბოლოოთ დაიკავეს მესოპოტამია და სირია; სომხეთის დაპყრობის შესახებ კი ისტორიკოსები არას ამბობენ¹³⁾. ამას სავსებით ეთანხმება ადგილობრივი წყაროებიც, რომელ-

¹¹⁾ Аннинский—Арм. История... стр. 41.

¹²⁾ ქ.-ცხოვრება I, გვ. 75.

¹³⁾ Аннинский—loc. cit. стр. 42—43.

ნიც ცოტა მეტსაც ამბობენ; სახელდობრ, იგინი მოგვიყვანებენ, ვითომც სომხეთისა და ქართველ-კავკასიელთა ჯარებს ჰირიქით დაეწყოთ სპირ-სპირათ „შესვლა სპარსეთს და ოხრება სპარსეთისა“⁷⁴), რაც, რა თქმა უნდა, გაზვიადებულ ამბად უნდა ჩათვალოს.

არდაშირის შემდეგ სპარსეთის ტახტზე ავიდა მისი შვილი საფორ I-ლი (238--272 წ.). ასთაგურის მეფობის მეორე ნახევარი ამის დროს ეკუთვნის. საფორმა მალე რომს სომხეთიც წაართვა და თავის სამეფოს შეუერთა, რის გამოც სომხეთის მეფე ტირიდატ II იძულებული გახდა რომაელებთან გაქცეულიყო (252 წ.), ხოლო მისმა შვილებმა სპარსელების მხარე დაიჭირეს⁷⁵). არსაიდან არა სჩანს, ვითომც ასთაგურსაც რომში გაქცევა დასჭირვებოდაც; ჰირიქით, კლასიკურ მწერალთა მოთხრობით, როდესაც რომის იმპერატორი ვალერიანის საფორმა ვერაკულის მოტყუებით შეიპყრო და დაატუსადა (260 წელს), „ივერიელებმა, ალბანელებმა და თაფრო-სკვიტებმა საფორის წერილიც კი არ მიიღეს; სამაგიეროთ, მათ თვითონ მისწერეს რომელ სარდლებს და აღუთქვეს ჯარების მიშველება იმპერატორის ვალერიანის ტყვეობიდან განსათავისუფლებლად“⁷⁶). ცხადია, მაშასადამე, რომ იმ დროს არც ივერია და არც ალბანია, ეს მუდამ განუერეღვი ტყუბები, (მაშასადამე, არც კოლხიდა) სპარსეთის ხელში არ ყოფილან; არამედ, როგორც მანამდე, ახლაც იმავე რომის მეგობრობას და მფარველობას შეჰქედლებიან.

14. ამასობაში დაესრულა ჩვენი ასთაგურის მეფობაც (265 წ.). საფორ I-ის გარდაცვალების შემდეგ (272 წ.), როდესაც იმპერატორმა აგრელიანმა (270—275 წ.) სპარსელებს მამაცური ომი გამოუცხადა და ჰალმირის სამეფო დაამხო (აქ მაშინ მშვენიერი ზინობია დედოფლობდა), სომხებმაც ისევ რომაელების მხარე დაიჭირეს; ხოლო ათი წლის შემდეგ (282 წ.) რომის იმპერატორმა კარმა ტახტზედ ასვლისათნავე გამოუცხადა სპარსელებს ომი, დაიპყრო სომხეთი, აღადგინა აქ ძველი წეს-წესობილება, თითქმის უწინააღმდეგოთ

⁷⁴) ქ.-ცხოვრება I, გვ. 75—76.

⁷⁵) Аннинский loc. cit., стр. 43.

⁷⁶) იულ. კაპიტოლინი (=Ганъ—Извѣстія... I, стр. 175).

დაიჭირა მესობოტამია (რადგან სპარსეთში ამ დროს შინური არეულობა იყო) და აიღო სელევკია და კტეზიფონი (სადაც არაბებმა შემდეგში ქ. ბაღდადი ააშენეს)⁷⁷). ხოლო 284 წელს საიმპერატორო ტახტი დაიჭირა დიოკლეტიანემ, რომელმაც 296—297 წლებში, თავისი თანამოადგილის გალერიუსის ხელით, სისტემატ დაამარცხა სპარსეთის მეფე ნარსე და ქალ. ნიზიბისში ხელშეკრულობა დაუწერა, რომლის ძალითაც იმპერიის საზღვრად გამოცხადებულ იქნა მდ. ტიგრი, რომსავე დაჩა სომხეთის რამოდენიმე პროვინცია (მაგალ. ძველი კარდუხი, სოფენა, არზანიხა და სხვ.), სვავტრო ქალაქად აღიარეს მდ. ტიგრის დასავლეთად მდებარე ქალაქი ნიზიბისი და, დასასრულ, დამტკიცებულ იქნა ვასსალური დამოკიდებულება ივერიისა რომის იმპერიაზე, სახელდობრ ჩვენი მეფეები ვალდებული გახდნენ რომის იმპერატორებისგან მიეღოთ „ნიშნები თავისის უზენაესი უფლების“ („царю иверійскому получать знаки своей верховной власти отъ римлянъ“)⁷⁸).

ასეთი იყო რომ-სპარსეთის ურთიერთობა და ივერიის საერთაშორისო მდგომარეობა ასთავურის შემდეგ (285 წლიდან) მესამე საუკუნის უკანასკნელ წლებამდე. ნიზიბისის ხელშეკრულობის მიერ აღსარებული წესი ქართველ მეფეთა დადგენისა, როგორც რომელიმე მამატაიანენი გვარწმუნებენ, 338 წლამდე ძალაში ყოფილა, ასე რომ თვით 333 წლის, რომისათვის სამარცხვინო, ხელშეკრულობასაც კი უცვლელად დაუტოვებია ეს წესი ივერიის შესახებ⁷⁹).

ვინ იყო ამ დროს ივერიის მეფე?

15. „ქართლის-ცხოვრება“ და მისი ბრძანა მიმყოფი ჩვენი ისტორიკოსები გვარწმუნებენ, ვითომც ასთავურის შემდეგ 342 წლამდე ჩვენის წელთ-აღრიცხვისა საქართველოში მეფედ მჭადარიუს პირ-

⁷⁷) Аннинскій—loc. cit. стр. 45.

⁷⁸) პეტრე მაგისტროსი (=იხ. „Византийскіе исторіи“, перев. съ греческаго Спир. Дестуниса. С.-Петербургъ. 1860 года; стр. 303—304).

⁷⁹) ამაზე იხ. ჩვენი „საქართველ. ეკლ. და მისი დასაწყისი“ („მოამბე“ 1905 წ. № 3, გვ. 8).

ველი ქართველი „სასანიანი“ „ქე არდაშირისა“ და, მასსადა-
ბე, ძმა სპარსეთის მეფის საფორ I-ლასა, სახელით მირიან⁸⁰).

მაგრამ, როგორც ჩვენ სხვა გამოკვლევებისაგან შეგვიჩინა⁸¹),
ეს თქმულება შესწინარებული არ არის და, აი, რატომ:

ა) უოვლად შეუძლებელია, რომის მომხრესა და შემდეგში რომის
იმპერატორთა საფასსადა ივერიის ასთაგურის შემდეგ მეფე სპარსე-
თის სასანიანებისაგან გამოეთხოვოს, და ისიც თვით საფორ-მეფის
ძმა, იმ საფორისა, რომელსაც, იული კაპიტოლინის მოწმობით,
260 წელს ივერიელებმა სასტიკი შეურაცხყოფა მიუყენეს. შემატანე
კი გვარწმუნების. ვითომც ივერიელებს დიდის ამბითა და ხეწნა-მუდა-
რით მიემართათ სპარსეთის მეფისათვის: გვიშეველ რამე, უკანას-
კნელი არშაკიდი (ასთაგური, ვითომ) გარდაგვეცვალა, მას ვაჟი შემ-
კვიდრე არ დარჩენია და მოიღე ჩვენზე წუალობა—სამეფო კაცი გვი-
ბოძეო⁸²). მაგრამ, იქნებ, გვითხრას ვინმე: შესაძლოა, ქართვე-
ლებს თვითონ არ გამოეთხოვათ სპარსეთისაგან სამეფო პირი, არა-
მედ თვით სპარსეთის მეფეს გაებატონებინოს იქ თავისივე დინს-
ტიის რომელიმე წევრი ან ერთ-ერთი სპარსელი არისტოკრატია.
შესაძლოა ვეკლათური მხოლოდ იმდენათ, რამდენათაც მას გარემო-
ბა უწოდებს ხელს; მაგალითად, როგორც ზემოთ ვხანეთ, სასანი-
ებმა დაიპყრეს სომხეთი და რამოდენისამე ხნით კიდევაც გააშეფეს
იქ თავისი მომხრე პირები. მაგრამ არსადან არა სჩანს, ვითომც არ-
დაშეზს ან საფორს ივერია ან მისი მეზობელი ალბანია დაუპყროს;
მასსადამე ზემო-აღნიშნულს შესაძლებლობას საფუძველი ეტლება.

ბ) შედარებითი შესწავლა „ქართლის-ცხოვრების“ იმ ადგილი-
სა, რომელიც მირიანის ჩამომავლობას შეეხება და რამოდენათმე მს-
თანაა შეკავშირებული, ნათლათ გვიმტკიცებს, რომ თუ მთლათ არა,

⁸⁰) ქ.-ცხოვრ. I, გვ. 80 — ვახუშტის „ისტორია...“ გვ. 53.—
ს. ბარათაშვილის „ისტორია“ რვ. I, გვ. 150—152.— დიძ. ბაქრაძე
„ისტორია“, გვ. 135—140.

⁸¹) იხ. ჩენი „საქ. ეკლ. და მისი დასაწყისი“ („მოამბე“ 1905 წ.-
№ 3, გვ. 19—37).

⁸²) ქ.-ცხოვრება I, გვ. 78—79.

უდიდესი ნაწილი მაინც ამ მოთხრობისა მოსე ქორენელის „ისტორიის“ გავლენითაა დაწერილი (მაგ. მოთხრობა კუსაროსისა და ანაკ-ზე); კერძოთ, მირიანის ჩამომავლობის შტო (=მატიანით იგი იყო შვილი არდაშირისა, პირველის სსსანიდ მეფისა, და ძმა მეორესი, საფორისა) ძლიერ ახლო გვაგონებს იმავე მოსე ქორენელის ზღაპარს, სომხეთის ვითომ პირველ არშაკიდის ვაღარშაკის შესახებ, სადაც უკანასკნელი სპარსეთის პირველ არშაკიდის არშაკ-დიდის ძმადაა გამოუკანლი⁸³). უოველ ეჭვს გარეშეა, რომ მატიანის მოთხრობა მირიანის ჩამომავლობის შესახებ თვით მემატიანის მწიგნობრულ-სქოლასტიური ტენდენციითაა დამახინჯებული და ცრუ დეტალებით შევსებული. ამას ცხადათ ამტკიცებს შემდეგი ორი გარემოება:

გ) ვახუშტი ბატონიშვილი, მატიანის თანახმათ, გვარწმუნებს, ვითომც მირიანი 342 წელს გარდაცვლილიყოს; თვათ მირიანის თანამედროვე ამიან მარცელინი კი (დაიბ. 330 წ. ქრ. შემდეგ) ცხადათ გვეუბნება, რომ ივერიის მეფე „მერიანი“ 361 წელსაც ცოცხალი იყო⁸⁴). მაშასადამე, თუ ჩვენს მატიანეს დავუშვარეთ, აღმოჩნდება, რომ მირიანს თითქმის 100 წელს უმეფენია (265 წლიდან 361 წლამდე). მაგრამ განა დასაჯერებელია მეფობის ასეთი ხანგრძლივობა?!

დ) დასასრულ, უუძველესი ქართული ქრონიკა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ პირდაპირ გვეუბნება, რომ ასფაგურის შემდეგ ივერიაში გამეფებულა არა „მირიან არდაშირის ძე სსსანიანი“, არამედ „ლევ,

⁸³) ქართლ.-ცხოვრ. I, გვ. 76—80. შეად. მოსე ქორენელის „Исторія Арменіи“, стр. 63; ხოლო ამისი გარჩევა ნახ. Халатьянъ — „Армянскіе Аршакиды“, стр. 5—35.

⁸⁴) Ганъ —Извѣстія... I, стр. 181.—გ. ხალათიანის აზრით ამიან მარცელინის „Merianos“-ი (=„მერიანეს“) წარმოადგენს იმავე „Merihanos“-ს (=„მერიანეს“-ს), ანუ Mirhan-ს გინა Mirian-ს; მხოლოდ ვატიკანის ვარიანტში გადამწერს ასო b და h მათი მსგავსებისა გამო ერთმანეთში აურევია, რისი მაგალითიც იმავე ვარიანტში სხვაც ბევრი ყოფილა. (Халатьянъ—Арм. Арш., стр. 267, примѣчаніе 2-ое).

მამაჲ მირიანისი“⁸⁵); რითაც ნათლად მტკიცდება, რომ არც მირიანისი უოთეილა სპარსეთის მეფის-წული და არც მამა მისი უოთეილა სპარსიანთა ინტერესების წარმომადგენელი საქართველოს ტახტზე; ამასთანავე აღვილდება იმ ხანგრძლივი პერიოდის ამოვსება, რომელსაც ასტუგურის გარდაცვალებასა (265 წ.) და მირიანის მეფობის დასასრულს შორის უნდა გაველო; ამ უკანასკნელს, მარტვილის მიხედვით, ჩვენ ვანგარიშობთ არა უკვიანეს 362 წლისა ქრ. შემდეგ; ხოლო მირიანის მეფობის დასაწყისად ჩვენ მიგვაჩნია ნაზიბისის ხელშეკრულების მახლობელი დრო, დაახლოებით მე-300 წელი ქრ. შემდეგ.

ვახუშტი ბატონიშვილის ანგარიშით მირიანის მეფობა 77 წელს უდრის. მაგრამ შესაძლოა აქ თავს იფარავდეს არა მეფობის ხანგრძლივობა, არამედ მირიანის სიცოცხლისა, ე. ი. მირიანი უნდა გადაცვილიყო 77 წლისა; მათიანე მირიანს გამეფების დროს მცირე-წლოვანად სთვლის; ვთქვათ, ეს ცნობა მართალია; ცხადია, მირიანისი სახელმწიფოს გამტკობას 15 წლამდე ვერ იტვირთებდა; მაშასადამე მას უნდა ემეფინოს არა უმეტეს 62 წლისა, ე. ი. იგი უნდა გამეფებულიყო 362—62=300 წელს ქრ. შემდეგ. ამგვართ, ლევს დარჩება 35-წლოვანი მეფობა, 265-დან 300 წლამდე ქრ. შემდეგ, ე. ი. სწორეთ ის ხანა, როდესაც საბოლოოთ დაკანონდა ვასალური დამოკიდებულება ივერიისა რომის იმპერიაზე, ან, უკეთ რომ ვთქვათ, მანამდე მხოლოდ უზენაეს მთარგველობის სახით არსებული განწყობილება რომისა ივერიასთან ნამდვილ სიუზერენიტეტად გადაიქცა—ივერია განდა რომის სავსალო, მსგავსად კოლხიდისა, რომელიც ამავე მდგომარეობაში თითქმის ჰომეხის დროიდან იმყოფებოდა. მაგრამ, როგორც ეტყობა, ეს ვასალური დამოკიდებულება კოლხიდა-ივერიისა რომის იმპერატორებზე მხოლოდ შემდეგს ორს ვაღებულებაში გამოიხატებოდა: ა) ამ ორი მხრის მეფეებს არ შეეძლოთ თავი მეფედ გამოეცხადებინათ, სინამ რომის იმპერატორისაგან „უზენაესი უფლების სარგებლებს“ (= „украшенія [верховной] власти“) არ მიიღებდენ და ბ) ამას გარდა აღნიშნული მეფეები ვაღებულები

⁸⁵) თ. ჟორდანიია „ქრონიკები“ წ. I, გვ. 18—19. შეად. ე. თაყაიშვილი—სამი ისტ. ქრონიკა, გვ. 11 და 16.

იუვენ თავ-თავიანთი ქვეშევრდომებით უსასეიდლოთ დაეცვათ რომის იმპერიის საზღვრები მათ მეზობლათ მცხოვრებ ჩრდილო ხალხუბისგან ⁸⁶).

16. განვლილი ხანა (30—300 წ.) ფრიად საინტერესო დროს წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის წარსულ ცხოვრებაში. ამიტომ ურიგო არ იქნება მოკლეთ მაინც ავსუსხოთ უველათერი, რაც-რამ ახალი შექმინა ჩვენი ქვეყნის ვითარებას ამ პერიოდში წინა პერიოდთან შედარებით:

ა) ტერიტორიალურათ ქართველთა მიწა-წყალი ამ პერიოდის განმავლობაშიაც სამ უმთავრეს სამფლობელოდ იყო გაყოფილი: კოლხიდად, ივერიად და ალბანიად. მათ შორის მხოლოდ ორმა პირველმა განიცადა მცირეოდენი ცვლილება საზღვრებისა, სახელდობრ: მე-II საუკუნეში კოლხიდის ზოგიერთი პროვინციები ივერიის მეფის ხელში გადავიდა. საკუთრივ კოლხიდაში რამოდენიმე პატარა-პატარა სამეფო მოიპოებოდა: ლაზებისა, აფსილებისა, ავაზგებისა და სვანებისა. შესამჩნევათ იმატა ქალაქების რიცხვმა, განსაკუთრებით ალბანიაში, სადაც მე-II საუკუნის მეორე ნახევარში ცნობილი იყო შემდეგი ქალაქების სახელები: ტულაბა, ხაბაღა, გელდა, თიანჯა და თიღბის, რომლებშიაც, ალბათ, თავს უნდა იფარავდეს დღევანდელი ქალაქებისა და სოფლების სახელები: თელავი, ქაბაღი, შიღდა, თიანეთი და თბილისი. ივერიის ქალაქებს მიემატა ქალაქები: არტანისი, მესტლეტა (= „მცხეთა“?) და ზაღისი, სოფელი ლუბიონი და სხვანი; ხოლო კოლხიდას შეეძინა შემდეგი სოფელ-ქალაქები: სიგანუმი და ნეაპოლი (ორივე შავი-ზღვის პირად), მეხლესი, მადია, სურიონი და ზადრისი. ზღვის პირის ქალაქთა შორის კოლხიდაში ფაზისი (ფოთი) საუცხოო სიმაგრეს წარმოადგენდა, რომელსაც მუდამ სდარაჯობდა 400 რომაელი მეომარი.

⁸⁶) ასეთსავე მდგომარეობაში დარჩენილან კერძოთ კოლხიდის მკვიდრნი, რომელთაც შემდეგ საერთოდ ლაზები ეწოდათ, თითქმის მე-VI საუკუნემდე ქრ. შემდეგ. ამაზე იხ. Прокопія Кесарійскаго. — „Исторія війнъ римлянъ съ персами, вандалами и готами“. Перев. Сп. Дестуниса. Спб. 1862 г. т. I, стр. 217.

ბ) სრულიად ახალი ადგილი დაიჭირა ქართველების ქვეყანამ სურთაშორისო დამოკიდებულებათა სფეროში. განვლილი პერიოდის დასაწყისში კოლხიდა რომის იმპერიაზე იყო ვასალურათ დამოკიდებულნი, ხოლო ივერია და ზოგჯერ ალბანიაც რომის იმპერატორთა მეგობრული განწყობილებით სარგებლობდა. ივერიის მეფეებს ზურგი ჰქონდათ რომის იმპერატორთაგან გამაგრებული და ხშირათ, მათის დახმარებით, თავზარს სცემდნენ თავის მოსამზღვრე სამეფოებს; კერძოთ, სომხეთში ერთხანათ ისეთი ძლიერი გავლენა მოიპოეს ივერიის მეფეებმა, რომ იქ მეფეებსაც კი თავისი სავარეულოდან ნიშნავდნენ (მიტრიდატი და რადამისტი). რომთან ივერიის განწყობილება პირველ ხანათ უბრალო მეგობრული კავშირით გამოიხატებოდა, რის ნიშნაც რომის იმპერატორები დახმარებას უწევდნენ ივერიის მეფეებს მეზობელ ერებთან ბრძოლაში, აქა-იქ ციხეებსაც უშენებდნენ რომაულის სისტემით (მცხეთის ქვის წარწერა) და სხვ.; პერიოდის დასასრულს კი ეს სამეგობრო კავშირი ივერიისათვის ვასალურ დამოკიდებულებად გადაიქცა: ნაზიზისის ხელშეკრულების ძალით (297 წ.) კოლხიდის წვრილ მეფეთა მსგავსად ივერიის მეფეებიც ვალდებული გახდნენ სამეფო ნიშნები რომის იმპერატორისაგან მიეღოთ და იმპერიის ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვრები ველურ ხალხთა შემოსევისაგან დაეცვათ.

გ) მცირეოდენი ცვლილება პოლიტიკური წყობილების მხრივაც გამოცხადდა ივერიაში. როგორც ვთქვით, ივერიის მეფეები ამ პერიოდის დასაწყისში დამოუკიდებელნი იყვნენ, პერიოდის დამლევეს კი რომის იმპერატორთა ვასალები შეიქნენ. ამას გარდა, მას შემდეგ, რაც რომმა ჩვენს მხარეში საკმაო გავლენა მოიპოვა, ივერიაში რამოდენათმე შეცვლილა ტახტის მემკვიდრეობის წესიც, სახელდობრ: წინეთ თუ გარდაცვალებული მეფის ნაცვლად იმავე სავარეულოდან უუხუცესი წევრი ირჩეოდა, ამ პერიოდში არა იშვიათათ შვილი იჭერს მამის ტახტს (მიჭრდატ I-ლის შემდეგ ფარსმან I-ლი, ამის შემდეგ მისი შვილი მიჭრდატ II, ლევის შემდეგ მისი შვილი მირიან და სხვ.), სხვანაირათ რომ ვთქვათ, ტახტის მემკვიდრეობა თანდათან პირდაპირ საზზე მოწყობილა. ამას გარდა, როგორც ფარსმან I-ლისა და ფარსმან მე-II-ის ისტორია გვიჩვენებს, აღნიშნულ

პერიოდში ივერიის მეფეებს ჰკუთნებით არა მარტო უზენაესი მბრძანებლობა, არამედ ომში მთავარ-სარდლობაც და საერთაშორისო საქმეებში ზირდაპირი მონაწილეობის უფლება, თუმცა ამასთანავე, როგორც სჩანს, არ გაუქმებულა ეგრეთ წოდებული მთავარ-სარდალ-მსაჯულთ-უხუცესის (მეფის მეორე პირის) თანამდებობა და სამღვდელთების მონაწილეობა მეზობელ მეფეებთან ხელშეკრულების საქმეში (რადამისტი და სომხეთის მეფე მიტრიდატი).

დ) ამ პერიოდში ერთი ახალი რამ ქართველი ერის სოციალურ წყობილებასაც შეეძინა, სახელდობრ უწინდელ თავისუფალ გვართა შორის (მესამე წოდებაში) მე-II საუკუნიდან უკვე ცხადათ თავი იჩინეს, ეგრეთ წოდებულმა, წარჩინებულმა გვარებმა ანუ „აზნაურობამ“; სხვაწინაშე რომ ვთქვათ, ქონებისა და ძალის მიხედვით, ქართველი ერის უუდიდესი ნაწილი („თავისუფალი ერი“) ორ უთანასწორო კლასად გაიყო: წარჩინებულად და უჩინოდ, ანუ აზნაურად და უაზნოდ. წარჩინებული გვარები მეფესთან უფრო ახლო იდგნენ და, რა თქმა უნდა, პოლიტიკურ ცხოვრებაშიაც უმეტესი გავლენით სარგებლობდნენ; „უაზნონი“ კი იზიგრობდნენ და სახელმწიფოს მართვა-გამგეობიდან თანდათან იდეგნებოდნენ. სხვა მხრივ კი სოციალური წყობილება, ვითქმობთ, იმავე მდგომარეობაში უნდა დარჩენილიყო, რომელშიაც წინა პერიოდში იმყოფებოდა.

ე) დასასრულ, მცირეოდენი ცვლილება დაეტოვა ქართველთა სარწმუნოებასაც. უკვე პირველი საუკუნიდან, ქრისტიან მონაწილეების ინიციატივით, თანდათან იწყო გავრცელება ქართველთა შორის ახალმა მოძღვრებამ, რომლის გავლენითაც შესამჩნევათ გაკეთილშობილურდა ძველი წარმართული ზნეობა (ადამიანთა მსხვერპლის მოსპობა რვეის მიერ). ამგვართ, თანდათან შემზადდა ნიადაგი ახალი მოძღვრების, ახალი რელიგიის შესათვისებლად. უეჭველი იყო, რომ ძველმა სარწმუნოებამ თავისი დრო მოსკამა და ახალი სარწმუნოებისათვის უნდა დაეთმო ადგილი. მაგრამ ეს მხოლოდ შედეგს პერიოდში მოხდა.

თვით ამ პერიოდის დამლევს კი, როცა ივერია-კოლხიდა რომის სავასლოდ გამოაცხადეს (297 წ.), ამგვარს რასმე აზრადაც კი ვერაფერს წარმოიდგენდა, რადგან სწორედ იმ დროს რომის ტანტს ქრისტიანობის მღვანელი დიოკლეტიანე განაკებდა. მაგრამ, როცა

რომის ტახტზე ქრისტიანობის მფარველი იმპერატორები ავიდნენ და ქრისტიანობა სხელმწიფო რელიგიად გამოაცხადეს, რომზე დამოკიდებულ სომხეთსა და ივერიაშიაც იგივე მოძღვრება ნება-დართულ და სავალდებულო სარწმუნოებად იქცა (ამაზე იხ. ჩვენი „საქართ. ეკლესია და მისი დასაწყისი“ ჟურნ. „მომამბეში“ 1905 წ. №№ III, IV, V). ამგვარათ, წინა პერიოდის დასასრულს შემზადებულმა საერთაშორისო-პოლიტიკურმა ვითარებამ საქართველოში ნიადაგი მოუმზადა ახალი სარწმუნოების გამარჯვებას შემდეგს პერიოდში. ამ უკანასკნელმა გარემოებამ უმეტესათ გაამწვავა რომისა და სპარსეთის ურთიერთობა, და ჩვენი ქვეყანა, სომხეთთან ერთათ, მათი პოლიტიკურისა და სარწმუნოებრივი ანტაგონიზმის სარბიელად განადა.

ასე დამზადდა ჩვენი ისტორიის შემდეგი პერიოდი.

III

საქართველო მეოთხე და მეხუთე საუკუნეში.

ქრ. შემდეგ *).

1. როგორც წინა წერილში გავარკვეეთ, 300 წლის მახლობლათ, ქრ. შემდეგ ივერიის ტახტზე ავიდა ლევ-მეფის ძე მირიანნი ანუ მირიანნი, რომელმაც, ნაზიბისის ხელ-შეკრულობის ძალით, სამეფო ნიშნები რომის იმპერატორის დიოკლეტიანესგან მიიღო. ამ მეფეს იცნობენ რომაელი მწერლებიც Meribanes-ის ანუ Merihanes-ის სახელით; მაგალითად ამიან მარცელინი, რომელიც თანამედროვე იყო მირიანისა, გადმოგვცემს, რომ 361 წელს ივერიის მეფე „მერიანნი“ (= „მერიჰანი“) ცოცხალი იყო¹⁾. ამ საბუთის ძალით, ვგონებთ, შორს არ ვიქნებით სიმართლეზე, უკეთუ მირიან-

*) ამ მე-III წერილის 1, 2, 3, 4, 5 და 6 მუხლები წაკითხულია საზოგადო კრებაზე 1909 წ. 1 ნოემბერს.

¹⁾ იხ. Ганъ—Иванѣтія... I, стр. 181. შეად. Г. Халатьянъ—„Армянск. аршакиды“... стр. 267, примѣч. 2-ое.

ნის მეფობას დაესდებთ 300—362 წელს ქრ. შემდეგ. მართალია, 62 წლის მეფობა ხანგრძლივია, მაგრამ არც ისე ხანგრძლივი და დაუფერებელია, როგორც დღემდე მიღებულია ქრონოლოგიით იყო²⁾.

საჭიროდ არ მიგვაჩნია მირიანის ჩამომავლობასა და ვინაობაზე ბევრი ვილაზარაკით, რადგან ეს სვანის, შეძლების დაგვარათ, უკვე გარკვეული გვაქვს როგორც წინა წერილში, აგრეთვე ცალკე შრომაში: „საქართველოს ეკლესია და მისი დასაწყისი“. მირიანი არც სპარსელი უოფილა და არც არავითარი მეგობრული განწყობილება ჰქონია სპარსეთთან: იგი იყო ქართველი მეფის შვილი და რომის ვასალი. ამიტომ, ჩვენის თქმით, მირიანის ცხოვრებიდან საშუალოდ უნდა ამოიშალოს მატანის უეფლა ის ადგილი, რომელიც გვარწმუნებს, ვითომც მირიანი სპარსეთის მეფის ძე უოფილიუოს და თავისი სამეფოს ნახევარი სპარსეთის მეფისაგან ჰქონებოდაც ნახუქარი³⁾. მსგავსადვე უნდა გამოირიცხოს მირიანის ცხოვრებიდან ის თქმულებაც, ვითომც მირიანის პირველი ცოლი უოფილიუოს ასთაგურ-მეფის ასული—აბეშურა⁴⁾. ეს თქმულება განგებ შეთხზულია მემატანესაგან, რადგან, მისი აზრით, მირიანი სპარსელი იყო და, მაშასადამე, თუ არა ამ გზით, სხვა მხრივ ძნელი უნდა უოფილიუო მირიანის დაკავშირება ქართველ სამეფო სახლთან. ჩვენ კი უუძველესი ქართული ქრონიკიდან ვიცით, რომ მირიანი ქართველი მეფის „ლევის ძე“ იყო და, მაშასადამე, ადგილობრივს დინასტიასთან მის დასაკავშირებლად მემატანის მიერ შეთხზული ამბავი აღარ გვესაჭიროება.

2. სამაგიეროთ იმ დროინდელ ისტორიულ გარემოებათა საწინააღმდეგოს არას წარმოადგენს შემდეგი ორი თქმულება ჩვენი მატანისა:

²⁾ ვახუშტის ანგარიშით მირიანი მეფობდა 265—342 წელს, ე. ი. 77 წელს. იხ. ვახუშტი—საქართველოს ისტორია, გვ. 54, ტფილისი, 1885 წ.

³⁾ იხ. „ქ.-ცხოვრ.“ გამოც. ზ. კიკინაძის ტ. I, გვ. 79—80.

⁴⁾ იქვე გვ. 81—შეად. გვ. 77—79.

ა) „მეფობდა... მირიან... ქართლს, სომხითს, რანს, ჰერეთს, მოვკანს და ეგრისს“^{ა)};

ბ) „და მოიყვანა (მირიანმა) ცოლი საბერძნეთით-პონტოთ, ასული ულიოტარისი, სხელით ნანა“^{ბ)}.

პირველი თქმულებიდან ვტყობილობთ, რომ მირიანის დროს ქართველთა მონაქების საზღვრები შავი ზღვიდან კასპის ზღვამდე და კავკასიონის უმთავრეს ქედიდან მტკვრისა და არაქსის წყალგამყოფ მალლობებამდე ყოფილა გავრცელებული. უკანასკნელი აზრი განსაკუთრებით მეორე ალაგას აქვს შემატინეს უფრო ნათლათ გამოხატული. აქიდანვე ვტყობილობთ, რომ აღნიშნული საზღვრები საქართველოსთვის მიუთვინებია რომის იმპერატორს კონსტანტინე დიდს, თანახმად მირიანის თხოვნისა. როგორც ვიცით, 297 წლიდან სომხეთი და „იუერია“ (ქართლი და ჰერეთი) რომის სავასსაღობები შეიქნა. რომისავე ხელში იყო კოლხიდაც ანუ „ეგრისი“. ზომიერის დროიდან რომის გავლენა გავრცელებული იყო „აღბანიაზედაც“ (= „მოვკანი“ და „რანი“). ამიტომ სრულიად ბუნებრივად მიგვაჩნია და საწინააღმდეგოს არას ვხედავთ იმაში, რომ ჩვენი წელთაღრიცხვის მე-IV საუკუნის პირველ მეოთხედშიაც ქართველის ტომით დასახლებული აუზები მტკვრისა, ჭორხისა, რიონისა და ენგურისა კვლავ ერთის სკიპტრის ქვეშ შეერთებულიყოს, რომის სიუზერენობითა და ხელმძღვანელობით. ამას სავსებით ეთანხმება „ქართლის-ცხოვრების“ თქმულება: „წარგზავნა (მირიანმა) მოციქულნი წინაშე კონსტანტინე მეფისა და ითხოვა მისგან მშვიდობა და აღუთქვა მას მსახურება და მოწყვედა სპარსთა; სთნდა კონსტანტინეს... და აღიღო შვილი მირიანისა მძევლად... და დაამოყურნა თრდატ (სომხეთის მეფე) და მირიან, და ამზახუნა; ... უჩინა საზღვარი ესრეთ: რომელთა ქვეყანათა მდინარენი დიან სამხრით (სამხრეთისაკენ) და მიერთვიან რახსსა (არაქსსა), ესე ქვეყანანი თრდატის (სომხეთის მეფის) კერძად დაეკანა; და რომელსა ქვეყანასა მდინარენი ჩრდილოთ (ჩრდილოეთისაკენ) დიან და მიერ-

^{ა)} იქვე გვ. 81. შუალ. გვ. 85.

^{ბ)} ქ.-ცხოვრ. I, გვ. 81.

თვიან მტკვარსა, მირიანის კერძად დაყარნა...⁷⁾ მეფობდა მირიან ქართლს, რანს, ჰერეთს და მოფაგანს, და აქვნდა ეგრისიცა ეგრის წელამდე“⁸⁾).

მსგავსათვე ბუნებრივია მატეანის მეორე ცნობაც მირიანის მიერ რომის პროვინციიდან—„პონტოდან“ ცოლის მოყვანის შესახებ. ადვილ გასაკებია, რომ რომის იმპერიის ვასალი „ბარბარსი“ მეფე შეეცდებოდა ოჯახურათაც კულტურულ რომს დაახლოებოდა. თვით ამ დედოფლის სახელიც „ნანა“ (=იგივე „ნონნა“) პირდაპირ გვიჩვენებს, რომ მირიანის მეუღლე პონტო-კაპადოკიიდან უოფილა, სადაც ეს სახელი ძლიერ იყო გავრცელებული მე-IV და მე-V საუკუნეში⁹⁾. ამიტომ ძლიერ ადვილ გამოსაცნობია, თუ რით აიხსნება ის კარემოება, რომ ჩვენში უმაღლესი წრის წარმომადგენელთა შორის წმ. ნინოს ქადაგებას ვეველაზე უწინ ნანა-დედოფალი დაემორჩილა: შესაძლოა იგი ქრისტიანობასთან თავის სამშობლოშივე უოფილიუოს გაცნობილი; საფიქრებელია, ბევრ სხვა ქალთა მსგავსათ, იქვე; საიდუმლო ქრისტიანეც უოფილიუოს. ამითვე აიხსნება ის გულწრფელი უურადლება, რომლითაც მირიანის მეუღლე მცხეთაში ქრისტიანობის მქადაგებელს კაპადოკიელს „ტუვე-ქალს“ (=ნინოს) მოეპყრო: კაპადოკია ერთი უახლოესი მეზობელი პროვინცია იყო იმ პონტისა, საიდანაც მატეანის თქმით ნანა-დედოფალი ჩამომაფლობდა.

⁷⁾ ჩვენის ფიქრით ეს უნდა მომხდარიყო 318—323 წლებ შორის, ე. ი. მას შემდეგ, რაც კონსტანტინე იმპერატორმა აღმოსავლეთის პროვინციებზედაც ძლიერი გავლენა მოიპოვა, რასაც შედეგად მოჰყვა სომხეთის მეფის თრდატის მოქცევა (318 წლის მახლობლათ); 323 წელი კი მაჩვენებელია მირიანის მიერ საქართველოში ქრისტიანობის ნება-დართულ სარწმუნოებად გამოცხადებისა.

⁸⁾ ქ-ცხოვრება I, გვ. 85.

⁹⁾ „ნანა“ ერქვა, მაგალ., წმ. გრიგოლ ღვთის-მეტყველის დედასა და ძმისწულს; ამავე სახელის მცირეოდენს შეცვლას წარმოადგენს თვით „ნინო“-ც. იხ. პროფ. ე. ბოლოტოვის აზრი „Хр. Чтение“ за 1898 г. апрѣль; журн. совѣта академіи, стр. 263 და შენიშვნა იმავე გვერდზე.

3. ამგვარათ ჩვენ თანდათან ვუახლოვდებით იმ ფაქტს, რომელიც მირიანის მეუბობაში ცენტრალურს მოვლენას წარმოადგენს. ვგულისხმობთ მირიანის მიერ ქრისტიანობის გამოცხადებას ნება-დართულ სარწმუნოებად. ეს საგანი ჩვენ უკვე ცალკე წერილში გვაქვს გამოჩვენებული და აქ მის დაწვრილებითს განხილვას ადარ გამოვიდგებით. მოვიტანთ მხოლოდ უმთავრეს დასკვნათ, რომელთაც იმ გამოკვლევაში მივაღწიეთ.

დიოკლეტიანის დევნულობით (303 წელს) შეშფოთებულმა ქრისტიანობამ სიამოვნებით ამოისუნთქა, როდესაც რომის იმპერიის დასავლეთის ერთ-ერთს ტახტზე ქრისტიანთა მწალობელი და გულით ქრისტიანი კონსტანტინე დიდი ავიდა (306 წ.).

კონსტანტინეს გამეფება ახალი ხანის მომასწავებელი იყო არა მარტო რომის ქრისტიანთა მდგომარეობაში, არამედ მთელ კაცობრიობის ცხოვრებაშიაც.

ქრისტიანთა დახმარებით მილვიის ხიდთან მაქსენციზე გამარჯვებამ (28 ოქტომბერს 312 წელს) კონსტანტინეს ნახევარი იმპერია მოუპოვა და მისი გული კიდევ უფრო გადახარა ქრისტიანებისაკენ. ამას შედეგად მოჰყვა მილანის ედიქტი (13 ივნისს 313 წელს), რომელმაც ქრისტიანობა უფლების მხრივ ძველ წარმართულ სარწმუნოებას გაუთანასწორა და ქრისტიანთა ეკლესიებს წართმეული ქონება დაუბრუნა.

ამავე დროს აღმოსავლეთის პროვინციებში კონსტანტინეს თანამმართველად ითვლებოდა მისი სიძე (დის ქმარი) ლიცინი, რომელიც, შეთანხმების ძალით, 313 წელს იმავე პოლიტიკას ადგა, რომელსაც კონსტანტინე. მაგრამ მალე მათი თანხმობა დაირღვა და ლიცინიმაც ქრისტიანთა შესახებ თავისი პოლიტიკა შესცვალა: დაუწომათ შევიწროება და სამსახურიდან დათხოვნა. ამას დაერთო სხვა უძლიერესი მოტივებიც და უკვე 314 წელს ლიცინისა და კონსტანტინეს შორის სასტიკი ომი ასტუდა, რომელიც დათავდა 323 წელს, 3 ივლისს და 18 სექტემბერს, ლიცინის სრული დამარცხებით¹⁰⁾.

¹⁰⁾ იხ. Г. Гельмольдтъ—, „Исторія челоѳчества“, т. IV, стр. 465—466. Спб. 1903 г.

ეს ბრძოლა ჭეშმარიტათ ორი სარწმუნოებისა და ორის სხვა-და-სხვა საზოგადოების ბრძოლა იყო—წარსულისა და მომავლის. გაიმარჯვა კონსტანტინემ და მასთან ერთათ ჯვარმაც გაიმარჯვა: ქრისტიანობა სახელმწიფოებრივ სარწმუნოებად გამოაცხადეს.

ამავე დროს სავალდებულო სარწმუნოებად აღიარეს ქრისტიანობა სომხის ერშიაც, თრდატ III-ის მეფობაში, 318 წლის მახლობლათ¹¹).

ასეთი იყო ქრისტიანობის გარეგანი მდგომარეობა მე-IV საუკუნის ზირველ მეოთხედში რომის იმპერიისა და სომხეთის მკვიდრთა შორის; ასეთს მდგომარეობაში იმყოფებოდა ქრისტიანობა ჩვენს მეზობლათ სწორეთ იმ დროს, როდესაც სომხეთიცა და საქართველოც ორივე რომის იმპერატორთა სავასსალოდ ითვლებოდა. და დღეს, ვგონებთ, უველასათვის ეჭვს გარეშე უნდა იყოს ის უტყუარი შეშმარიტება, რომ როგორც სომხეთში, ისე საქართველოშიაც ქრისტიანობის ნება-დართულ სარწმუნოებად გამოცხადება შედეგი იყო არა იმ სასწაულებისა, რომლებიც ჩვენს მატიახესა და „მამათა-ცხოვრებაშია“ მოთხრობილი, არამედ იმ რეალურ პოლიტიკურ ურთიერთობისა, რომელიც მე-III საუკუნის დამლევიდან (297 წლიდან) რომის იმპერიასა და სომხეთ-საქართველოს შორის დამყარდა და რომელსაც საქართველოს შესახებ 338 წლამდე არ დაუკარგავს ძალა და მნიშვნელობა¹²).

მაგრამ ამ გარეგან პოლიტიკურ მიზეზის გარდა, ჩვენს ერში ქრისტიანობის გამარჯვებას ხელი შეუწყო ერთმა შინაგანმა, სოციალურმა მიზეზმაც. ეს მიზეზი იყო მეორე საუკუნიდან გაძლიერებული ეკონომიური და უფლებბრივი უთანასწორობა ჩვენს

¹¹) Аннинский — Ист. Арм. Церкви Кишиневъ. 1900 г. стр. 11. ხოლო გუგო ვინკლერის ქრონოლოგიით სომხეთში ქრისტიანობა გამოაცხადეს სახელმწიფო სარწმუნოებად 323 წელს, ე. ი. იმავე წელს, როცა ჩვენის ანგარიშით ეს ჩვენი მოხდა (იხ. Гельмольдъ — Исторія Человѣчества, т. III, стр. 274, изд. 1904 г. Спб.).

¹²) იხ. წინა წერილი და ჩვენი შრომა „საქ. ეკლესია და მისი დასაწყისი“ („მომამბე“ 1905 წ. № 8, გვ. 8).

ერის თავისუფალ „გვართა“ შორის, ძველი გვაროვნული თანაწილობის შერევა და მის ნაცვლათ ბატონ-უმური ურთიერთობის თანდათან განვითარება¹³⁾. ამ პროცესმა ძირი გამოუთხარა ჩვენი ხალხის ძველს წარმართულ-ხატრიარქალურს სოფელმხედველობას, რომელიც გვაროვნულ-სამამსახლისო წყობილებაზე იყო დაშვებული, წარმოშობა მთელი კლასი ეკონომიურათ და უფლებრივათ დაჩაგრულათა და მით ფართო ნიადაგი მოუშვადა ახალ სარწმუნოებრივ-სოციალური მოძღვრების შეთვისებას, რომელიც თავისი ჩამომავლობით, უმთავრესათ, უფლებრივ და ეკონომიურათ დაჩაგრულის ხალხის (,„ტვირთ-მძიმეთა და მასეკლათა“) შესაფერი იყო. ხალხი ხედავდა, რომ ირგვლივ თანდათან ირღვეოდა ძველი გვაროვნულ-მამსახლისური თავისუფალი ცხოვრება, ირღვეოდა საერთო-გვაროვნული საკუთრება და მათ ადგილს იჭერდა სასტიკი მჩაგვრელობა და კერძო საკუთრება; ხედავდა, რომ იღუპებოდა ყველაფერი, რაც მანამდე ცხოვრების საფუძვლად და ხელუხლებელ წმიდათა-წმიდად მიაჩნდა, ხსნაკი არსათ იყო... და, აი, სწორეთ ამ დროს გაისმა მეზობელ ქვეყნებში და თვით დასავლეთ საქართველოშიაც ზირველ-ქრისტიანეთა ძლიერი ხმა, სახარების ღმობიერი მოწოდება ზნეობრივის თანასწორობისა და ქონებრივის ერთობისადმი. ძნელი დასაჯერებელია, ამ მოწოდებას ქართველ ხალხში მიმდევარი არ გასჩენოდა და, მართლაც, სხვა-და-სხვა წყაროებიდან ვტყობილობთ, რომ უკვე მე-II და, განსაკუთრებით, მე-III საუკუნეში ქართველთა შორის ქრისტეს მიმდევარი (უმეტესათ სამხრეთსა და დასავლეთ საქართველოში) იშვიათს მოვლენას არ წარმოადგენდა¹⁴⁾, ხოლო მე-IV საუკუნის ზირველ მეოთხედში, როგორც წმ. ნინოს ცხოვრების აღწერა გვიჩვენებს, ქრისტიანობამ თვით მირიან-მეთვის კარზედაც გაიჩინა მთელი გუნდი საიდუმლო მიმდევართა (ხანა დედოფალი და ნინოს მოწაფე-ქალები).

ამგვართ, ორ მეზობელ სახელმწიფოში—რომსა და სომხეთ-

¹³⁾ იხ. წინა წერილი.

¹⁴⁾ იხ. „საქ. ეკლ. და მისი დასაწყისი“ სხოლიო მე-6, 7, 8, 9, 10, 12, 13, 14. („მოამბე“ 1905 წ. № III, გვ. 4—7).

ში—ჯგერის ძღვეა-მოსილი ძღვეიერება¹⁵), ხოლო შინ, საკუთარ ქვე-
შევრდომთა შორის, საკმაო რიცხვი ახალი მოძღვრების მიმდევარ-
თა,—ასეთი იყო ისტორიული გარემოებანი, რომლებშიაც მირიან-
მეთეს წილად ზედა მბრძანებლობა და მართვა-გამგეობა საქართველო-
სა შივი ზღვიდან თითქმის კასპის ზღვამდე.

ახლა ვიკითხოთ: მას შემდეგ, რაც კონსტანტინემ ქრისტიანობა ნება-დართულ სარწმუნოებად გამოაცხადა და „ჯგერის სახელით“
ორი თავისი უუძლიერესი მეტოქე (მაქსენცი და ლიციანი) დაამხო
(312—323 წ.; მას შემდეგ, რაც რომის ვასსაღმა სომხეთის მე-
ფემ, თრდატ მე-III-ემ, უარჯუო მამა-პაპური წარმართული სარწმუ-
ნოება და წმ. გრიგოლ ჰართელის აღფრთოცანებული ქდაგების მიმ-
დევარი შეიქნა,—ქართველთა მეუეს, რომელიც აგრეთვე რომის ვას-
საღად ითვლებოდა, განა შეეძლო მისი დროის ზოგადს მიმდინარე-
ობას არ დამორჩილებოდა, თავისი ერის სარწმუნოებრივ და სსზო-
გადობრივ მოთხოვნებთათვის იმ დროის შესაფერი პასუხი არ
გაეცა და სასტიკს ისტორიულს აუცილებლობას არ გასწორებოდა?
განა შეეძლო ქრისტიანობა ნება-დართულ სარწმუნოებად არ აღეა-
რებია?..

როგორც ჩვენი და უცხოეთის ისტორიკოსები მოწმობენ¹⁶),
მირიანს კარგათ შეუგნია თავისი დროის საზოგადო ტენდენცია და

¹⁵) ამავე დროს ქრისტიანობას სპარსეთშიაც ჰქონდა ფეხი მოკი-
ლებული; იქ მის ცენტრს წარმოადგენდა ტიგრის პირად მდებარე ქ. სე-
ლევკია-კტეზიფონი (=შემდეგში არაბების მიერ ბაღდადად
წოდებული) იხ. Гельмольтъ—Истор. челоѳчества, т. IV, изд.
1903 г. стр. 204.

¹⁶) იხ. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ (=სამი ისტ. ქრ., გვ 15—16);
„ქ-ცხოვრ“ I, გვ. 120; ქართულ წყაროებს გარდა ქართველთა მოქ-
ცევას მოგვითხრობენ ბერძენ-რომაელთა მწერლები: რუფინი (340—420
წ.), სოკრატი, სოზომენი, თეოდორიტი კირელი და სომხის ისტორიკო-
სი მოსე ქორენელი. იხ. А. Хахиновъ—Источники по введ. х ва
въ Грузи и Исторія Арменіи Моисея Хоренскаго. Спб. 1893 г.
стр. 132—133.

ქრისტიანობა ნება-დართულ და სვალდებულო სარწმუნოებად გამო-
უცხადებია.

ეს უნდა მომხდარიყო, ჩვენის გამოანგარიშებით, სწორეთ იმა-
ვე წელს, როცა კონსტანტინემ თავისი უკანასკნელი მეტოქე, აღმოს-
ავლეთის პროვინციების გამგე, ლიცინი, დაამხო და ქრისტიანობას
მოუხედა საბოლოო გამარჯვება, ე. ი. 323 წელს ქრ. დაბადებიდან¹⁷⁾.

მირიანს ამ შემთხვევაში ხელს უწყობდა საკუთარი მეუღლე ნა-
ნა-დედოფალი და ამ უკანასკნელის თანამემამულე კაბადოკიელი „ტუვე-
ქალი“ ნინო. 323 წლის მეორე ნახევარში მირიანმა შეჭყარა თა-
ვისი ქვეშევრდომნი და წინადადება მისცა—ქრისტიანობა მიეღოთ.
ამავე დროს დედოფალი და ნინო ქალებში მოქმედობდნენ და ჩაატო-
ნებდნენ რჯულის გამოცემის საჭიროებას. „ტუვე-ქალის“ წინადადე-
ბით იმავე წელს შეუდგენ ჰატარა ტაძრის აშენებას სატახტო ქალა-
ქის (არმაზის) მხლობლათ, მტკვრის მარცხენა ნაპირას, სადაც მცხე-
თის ციხე და მეფის ბაღი იყო გაშენებული და სადაც შემოხიზნული
ებრაელები ცხოვრობდნენ ამ მზადებაში გაიარა მე-324 წელმა და
მე-325 წლის ზირველმა ნახევარმა. იმავე ტუვე-ქალის წინადადებით
მირიანმა დაესაჩუქრა კონსტანტინე-იმპერატორთან, რომე-
ლიც იმ დროს აღმოსავლეთის პროვინციებში იმყოფებოდა, და
სთხოვა სამღვდლოება. კონსტანტინემ სიამოვნებით მოისმინა ქარ-
თველთა მოქცევის ამბავი და სთხოვა აღმოსავლეთის უფროს მღვდელ-
მთავარს, ანტიოქიის ეპისკოპოსს ევსტათის, — რომელიც იმავე წელს
იმპერატორისავე წინადადებით თავმჯდომარეობდა ჰირველ მსოფლიო
კრებას ქალ. ნიკეაში და რომლის ჰირველობაც მთელს აღმოსავლეთ-
ში იმავე კრებისაგან იყო დაკანონებული, — ახლად მოქცეულ ქართვე-
ლებისათვის სამღვდლოება გაეგზავნა. ევსტათიმ აირჩია ეპისკოპოსი
იოანე, მღვდელი იაკობ, ერთი დიაკონი და გამოგზავნა საქართვე-
ლოში. ამას შემდეგ ეკლესიურათ საქართველო განდ. დამოკიდებული
ანტიოქიის ჰატრიარქზე*).

¹⁷⁾ ამაზე ვრცლათ იხ. „საქ. ეკლ და მისი დასაწყისი“ თავი
მე-III („მოამბე“ 1905 წ. № IV, გვ 1—24).

*) იხ. იგივე შრომა, თავი მე-IV: „პირველი იერარქია“.

ანტიოქიის ჰატრიარქის მიერ გამოგზავნილი სამღვდლოება შემოვიდა ივერიის სატახტო ქალაქში 326 წლის დამდეგს, შეუდგა მზადებას და რამდენისაჲმ ხნის შემდეგ კიდევაც მონათლა მეფე, მისი საგვარეულო, სატახტო ქალაქის მცხოვრებლები და ბარის ქართველები.

რადგან დასავლეთსა და სამხრეთ საქართველოში ქრისტიანობა უკვე საკმაოდ ფეხ-მოკიდებული იყო, წმ. ნინომ და სამღვდლოებამ მთელი თავისი უურადლება მთიულეთსა და აღმოსავლეთის საქართველოს მიანჲერეს. შესდგა მისსიონერთა ჯგუფი: წმ. ნინოსა, მღვდ. იაკობისა და ერთი ერისთავისაგან. ამ გუნდმა მოიარა მთელი მთიულეთი და კახეთი, ხოლო მოსე ქორენელის მოწმობით წმ. ნინომ იქადაგა თვით კასპის ზღვამდე ეგრეთ წოდებულ კასპებამდე, რომელნიც კიპერტის რუქით საღიანის მახლობლათ ცხოვრობდენ¹⁸⁾, და კასპის-კარებამდე (დარუბანდამდე)¹⁹⁾. როგორც ჩვენი მატიანე გადმოგვცემს, ამ მისსიას ალაგ-ალაგ სამხედრო ძალისათვისაც მიუმართავს („მცირეთ წარმართა მახუილი“), ზოგან ხარკი „დაუმძიმებია“ და ამგვარის რეზრესიებით მიუღებინებია ახალი სარწმუნოება ჯიუტი წარმართებისათვის, თუმიცა ჰირადათ წმ. ნინო იმ აზრისა ეოფილა, რომ ძალდატანებას სარწმუნოების საქმეში არავითარი აღგილი არ უნდა ჰქონდეს²⁰⁾.

ამას შემდეგ წმ. ნინოს დიდხანს აღარ უცოცხლია: ხანგრძლივმა და მძიმე შრომამ მოსტეხა მისი ჯანმთელობა; იგი დასნეულდა და, როცა უკან გამობრუნებულმა მოაღწია დაბოლოებამდე (== „ბოდინა“), აქ გარდაიცვალა, ჩვენი ანგარიშით, 330—334 წლებ შორის ქრ. შემდეგ²¹⁾. მირიანმა დიდის ჰატივით დასაფლავა მისი გვამი აჭყე, ბოდბეში, და მის საფლავზე აგო ჰატარა ეკლესია.

¹⁸⁾ იხ. დამატება მოსე ჯანაშვილის „საქართველოს ისტორიისა“ 1906 წ. ამოღებულია კიპერტის „Atlas antiquus“-იდან.

¹⁹⁾ იხ. მოსე ქორენელის—История Армении, стр. 133.

²⁰⁾ ქართლ.-ცხოვრება I, გვ. 134.

²¹⁾ „ქართლის-ცხოვრების“ მოწმობით I, გვ. 136) მირიანის მოქვეიდან ნინოს გარდაცვალებამდე გაიარა (14—7=) 7 წელმა, ხოლო

4. ამას შემდეგ არ გაუვლია დიდ ხანს, რომ გარდაიცვალა კონსტანტინე იმპერატორი (22 მაისს 337 წელს). მისი ადგილი აღმოსავლეთში დაიჭირა მისმავე შვილმა კონსტანტიმ (337—361 წ.). ამ კონსტანტინის დროს კვლავ ასტუდა ძველი ბრძოლა რომისა და სპარსეთის შორის. მას შემდეგ, რაც რომის იმპერიაში ქრისტიანობა სახელმწიფოებრივ სარწმუნოებად გამოაცხადეს, სპარსეთმა შესცვალა თავისი პოლიტიკა ამ სარწმუნოების მიმართ და თავის ქვეშევრდომ ქრისტიანებს სასტიკი დევნა აუტეხა. სპარსეთის მეფეთა თვალში ამას შემდეგ ქრისტიანობა რომის ემბლემად იქცა და, როგორც აგეთი, მათის მხრით სასტიკი დევნულების საგანი შეიქნა. ამ დროს რომის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა მთელი ამიერ-კავკასია, მცირე და დიდი სომხეთი, შუამდინარე და ტიგრის აღმოსავლეთად მდებარე კორდუენა (ძველი კარდუქი ანუ ეხლანდელი ქურთის-ტანი). სპარსეთის მეფემ საფორ მე-II-ემ (309—380 წ.) ისარგებლა რომში სასახლის არეულობით და 338 წელს აუტეხა ბრძოლა კონსტანტინის. ამ ბრძოლაში გასტანა თითქმის 12 წელს და შესწავდა 350 წელს²²). ბრძოლა კვლავ განახლდა 359 წელს და გასტანა 361 წლამდე. ამ უკანასკნელ წელს იმპერატორმა კონსტანტიმ, თანამედროვე ამჟამინდარტელის მონაწილეთ, დიდძალი ფული და საჩუქარი დასარჯა, რათა ერთგულებაში ჰყოლებოდა მეფეები სომხეთისა, ივერიისა და აგრეთვე ტიგრის აღმოსავლეთ ქვეყნების სატრავები. კერძოდ, სომხეთის მეფეს არშაკსა და ივერიის მეფე მერბანს (= მირიანს) მან გამოუგზავნა ძვირფასი ტანისამოსი და სხვა-და-სხვა გვარი საჩუქრები, რადგან კარგათ დარწმუნებული იყო, რომ, უკეთუ ამ მმართველებს სპარსეთის მეფე გადიბირებდა, რომაელების საქმეებს დიდი

„ქართლის-მოქცევით“ 8 წელმა (15—7; იხ. „სამი ისტ. ქრონიკა“, გვ. 15 და 20). მირიანი კი მოიქცა, ჩვენის ანგარიშით, 323 წელს, ხოლო მოინათლა 326 წელს; მაშასადამე წმ. ნინოს გარდაცვალება უნდა მომხდარიყო არა უადრეს 330-ისა და არა უგვიანეს 334 წლისა ქრ. შემდეგ.

²²) И. Ертовъ—Ист. вост.-римск. или конст. имперіи. СПб. 1837 г. часть I, стр. 62—64.

ზიანი მიეცემოდა²³). მაგრამ კონსტანტი ამავე წელს გარდაიცვალა (კილიკიაში, ტარსის მახლობლად) და სიმეურატორო ტახტი დაიჭირა იულიანე-იმპერატორმა. ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა მირიან-მეფემ (362 წ.) და საქართველოს ტახტზე ავიდა ბაკურ მე-III.

5. აქ საჭიროდ მიგვაჩნია ცოტა ხნით შევჩერდეთ და ამ მეფის ვინაობა გამოვარკვიოთ.

„ქართლის-მოქცევის“ მოწმობით ბაკური იყო ძე მირიანის ძის რვეისა: „...და მოკვდა მირიან მეფე... და დაჯდა მეფედ ბაკურ, ძე რვეისი“²⁴). „ქართლის-ცხოვრება“ კი გვარწმუნებს, ვითომც ბაკური მირიანის შვილი ყოფილიყო. მაგრამ ჩვენ უკვე არა ერთგზის შეკვინიშნავს, თუ რამდენათ საეჭვო დირსების მასალას წარმოადგენს ამ მატიანის გენეალოგიური ცნობანი ჩვენი მეფეების შესახებ, და ამიტომ ამ შემთხვევაშიაც უპირატესობას „ქართლის-მოქცევის“ ცნობას ვაძლევთ.

მართალია, ძველის წესით სამეფო ტახტი მეფის გვარეულობის უუხუცეს წევრს უნდა დაეჭირა, მაგრამ მას შემდეგ, რაც საქართველო რომის სავსისალო გახდა, შესაძლებელია რომის იმპერატორები ამ წესს აღარ დამორჩილებოდენ და თავის სავსისალო საქართველოში ის დაენიშნათ მეფედ, ვინც მათი ინტერესებისათვის უფრო ხელსაყრელი იქნებოდა. ეს მით უფრო სარწმუნოა, რომ ბაკური, რომ გორც მატიანიდან სჩანს, ბავშვობისას რომში მძევლად ყოფილა და იქ მიუღია აღზრდა-განათლება.

ბაკური მხნეთ შეუდგა ქრისტიანობის გამტკიცების საქმეს. სხვათა შორის წილიანში ააგო ჰატარა ეკლესია და ხელი შეუწყო მთიულთა და რანულთა შორის ქრისტიანობის გავრცელებას²⁵). ამის მეფობაში იულიანე-იმპერატორმა კვლავ აუტყუა ომი სპარსეთის მეფეს საფორს; ამ ომის დროს იულიანეს უდალატა სომხეთის მეფემ არშაკმა; თვითონ იულიანე კი ომში დაიჭრა და გარდაიცვალა (363 წ.

²³) К. Ганъ—Извѣстія др. греч. и римск. писателей о Кавкастѣ; т. I, Тифлисъ, 1884 г. стр. 181.

²⁴) სამი ისტ. ქრონიკა, გვ. 21—22.

²⁵) იქვე გვ. 23.—„ქ.-ცხოვრება“ I, გვ. 139—140.

იგლისის დამლევის) ²⁾). რომის ტახტზე ავიდა სიმპერატორო გვარ-
დიის მთავარ-სარდალი იობიანი, რომელიც იძულებული გახდა სპარ-
სეთთან სამარცხვინო ხელშეკრულება მოეწერა (363 წელს). ამ ხელ-
შეკრულების ძალით რომის იმპერიამ დაჰკარგა: კორდუენა, ქ. ნი-
ზიბისი, სინგარი და მურის-ციხე, დაჰკარგა აგრეთვე სომხეთზე გავ-
ლენა ²⁷⁾).

ამგვარათი ბაკურ მე-II-ის დროს საქართველოს საზღვრებს თან-
დათან მოუახლოვდა სპარსეთის გავლენა, თუმცა ფაქტიურათ მთელი
საქართველო ჯერ კიდევ რომის სფეროსადაც წარმოადგენდა. ერთი
წლის შემდეგ (364 წ.) მოულოდნელათ გარდაიცვალა იობიანი-იმპე-
რატორი. ამავე წელს, დღემდე უცნობ მიზეზისა გამო, ბაკურ მე-II
დასტოვა საქართველოს ტახტი და სამუდამოთ გადასახლდა ბიზან-
ტიის იმპერიაში ²⁸⁾). ხოლო მისი ადგილი დაიჭირა მისმავე ძმამ
თრდატმა და არა „მირდატმა“, როგორც „ქარიდის-ცხოვრების“
შემდგენელს ჰგონია ²⁹⁾).

6. თრდატი შეუდგა ქრისტიანობის განმტკიცებას და ხალხის
კულტურულათ განვითარების საქმეს: ნეკრესში ეკლესია ააშენა, ხო-

²⁷⁾ Ертовъ—Истор. вост.-римск. имперіи, ч. I, стр. 110—126.

²⁸⁾ Ibidem, стр. 130.

²⁹⁾ ჩვენი წყაროები გვარწმუნებენ, თითქოს ბაკური II საქართვე-
ლოშივე გარდაცვლილიყოს, მაგრამ ბიზანტიელ ისტორიკოსთა ნაწე-
რებიდან ვტყობილობთ, რომ ეს ბაკური ბიზანტიაში გადასახლებულა,
სადაც იგი 380 წლის მახლობლათ გაუცენია ბიზანტიელ ისტორიკოსს
რუფინს (340—420 წ.) და მისგან შეუტყვია ქართველთა მოქცევის ამ-
ბავი; 394 წელს ბაკური მოკლულა ტირანს ევგენიოზთან ბრძოლაში
(იხ. Lebeau—Hist. du Bas-Empire t. III, p. 337 n. 2; V,
45, 46, 53). იხ. ამავე საგანზე ჩვენი შრომა: „საქ. ეკლ. და მისი
დასაწყისი“ (= „მოამბე“ 1905 წ. № III, 30 და 36).

²⁹⁾ ბაკურის შემდეგ „ქ.-ცხოვრება“ ასახელებს „მირდატს“, ხო-
ლო „ქ.-მოქცევა“— თრდატს. რომ მათიანის „მირდატი“ იგივე
„თრდატია“, ამაზე იხ. ვრცლათ ჩვენი შრომა: „საქ. ეკლ. და მისი
დასაწყისი“ (= „მოამბე“ 1903 წ. № III, გვ. 33—34) —ნუსხა ხუ-

ლო რუსთავში არხი (= „რუა“) გაიყვანა და რუსთავის ეკკლესიის საფუძველი ჩაჰყარა. ამის დროს სომხეთისა და საქართველოს ეკლესიათა შორის ახლო-შეკობრობა არსებობდა: საეკლესიო იერარქიის კანდიდატები ხშირათ სომხის ეპისკოპოსთა ხელმძღვანელობით იღებდნენ განათლებას. მაგალითად, როცა თრდატის მეფობაში მცხეთის კათედრა დაიცვალა, ქართველებმა კანდიდატად (საეპისკოპოსოდ) სომეხთ კათალიკოზის ნერსეს I-ლის (364—374 წ.) დიაკვნად ნამყოფი იობი წამოაყენეს²⁰), რომელმაც, მართლაც, მიიღო ეს ადგილი, უეჭველია, ანტიოქიის მთავარ-ეპისკოპოსის ნებართვითა და ლოცვა-კურთხევით.

ცურში და მხედრულში ჩქარა წერის დროს გადბმული მარცვალი „ქ“ და ასო „მ“ ადვილათ შეიძლება ერთმანეთში აირიოს, საკმაოა ქ-ს ზემოთი ნაწილი წაფხიკოს, ან პირ-იქით, მ-ს შუა წელში მცირეოდენი რამ ხაზი მიებას, რაც ხელნაწერ წიგნებში ხშირი მოვლენაა; სწორეთ ამის გამო მემატიანეს ან უკეთ მატიანის ნაგვიანევეს რედაქტორს ერთმანეთში აურევეია სიტყვები, და „თრდატი“ მიუღია „მირდატად“. მაგრამ სხვა წყაროებში ამოუკითხავს, რომ ქართველებს „თრდატ მეფე“ ჰყოლიათო; აქ კი სრულებით დაბნეულა იგი, აუღია და ერთი და იგივე პირი (=თრდატი) ორ პირად წარმოუდგენია: „მირდატად“ და „თრდატად“, რომელთაგან პირველი ბაკურ მე-II-ის შემდეგ მოუთავსებია, ხოლო „თარდატი“—ვარაზ-ბაკურის შემდეგ (ქ.-ცხ. I, გვ. 147); უძველესი ქართული ქრონიკა კი ნათლათ გვეუბნება, რომ „თრდატ მეფე“ მეფობდა ვარაზ-ბაკურის წინ და არა მის შემდეგ (იხ. სამი ისტ. ქრონიკა, გვ. 23—25).

²⁰) იხ. სამი ისტ. ქრონიკა, გვ. 23.—„ქართლის-ცხოვრების“ ნაგვიანევეს რედაქტორს კი ეს ცნობა ისე გაუგია, თითქოს იობი ჩამომავლობითაც კი „სომეხი“ ყოფილიყოს (ქ.-ცხ. I, გვ. 140), რასაც სრულებით არ ამართლებს შატბერდული ქრონიკის ტექსტი, საიდანაც ვტყობილობთ მხოლოდ, რომ იობი იყო „ნერსე სომეხთა კათალიკოსისა დიაკონი“ და არა „სომეხო“.

თრდატ-მეფემ სულ ოთხ წელს მართა საქართველო და გარდაიცვალა 368 წლის დამდეგს³¹).

7. თრდატის გარდაცვალების შემდეგ, ნიზიბისის ხელშეკრულების ძალით, რომელსაც 368 წელს საქართველოს ტახტზე მეფედ დამტკიცეს „საერომაკი“ ანუ საურმაგ II, რომელსაც ძლიერ მცირე ხანს მოუხდა სრულიად საქართველოს ტახტის გამგეობა. თანამედროვე ამჟინ მარცელინის მოწმობით, იმავე 368 წელს საქართველოს შემოესია სპარსეთის მეფის საფორის (შაბურის) ჯარი, საურმაგი საქართველოდან განდევნა და მის ნაცვლად მეფედ გამოაცხადა იმავე სამეფო გვარის წევრი „ას-ზაკური“ ანუ ჩვენს წყაროების ვარაზ-ბაკური³²).

ამგვართ, ერთი წლის განმავლობაში საქართველოს ტახტზე ორი მეფე გამოიცვალა, რომელთაგან საურმაგს ნახევარ წელსაც არ შეხვედრია დამოუკიდებელი მეფობა. ალბათ ამით უნდა აიხსნებოდეს, რომ ჩვენს ქრონიკასა და მარტიანეს, რომელნიც უმთავრესათ აღმოსავლეთის საქართველოს მეფეებზე მოგვითხრობენ (საურმაგს კი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ამას შემდეგ დასავლეთის საქართველო მიუღია), მისი სახელი არ შეუნახავს. რაც შეეხება „ას-ზაკურს“, ანუ ვარაზ-ბაკურს, რომ იგი მართლაც სპარსეთის მეფის პოლიტიკის წარმომადგენელი და მომხრე ყოფილა, ამას ქართული წყაროებიც ეთანხმება³³). იმავე წყაროებიდან ვტყობილობთ, რომ ვარაზ-ბაკურის დროიდან, მარცელინის თანახმად, სპარსეთის მეფეებს კვლავ მოუ-

³¹) თრდატის მეფობის დასასრულს ჩვენ დავსდებით 368 წელს, რადგან იმავე წელს თანამედროვე მარცელინი ორს ქართველ მეფეს: საერომაკსა და ას-ზაკურს (=ვარაზ-ბაკურს) იხსენიებს. იხ. Ганъ—Извѣстія... I, стр. 185.

³²) Ганъ—Извѣстія .. I, стр. 185.—შეად „სამი ისტ. ქრ.“, გვ. 23.

³³) „ქართლის-ცხოვრებით“ ვარაზ-ბაკური გულით იყო ქრისტიანობის წინააღმდეგი და, ალბათ, ცეცხლის-თაყვანისმცემლობის მომხრე. იხ. მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 114. შეად. „Chronique Arm.“ (Brosset—Addit. et elairciss... p. 33).

ზოგიერთ გავლენა საქართველოს ტერიტორიაზე: „მისზვევე (ე. ი. ვარაზ-ბაკურის დროს) სპარსთა მეფისა მარზანანნი შემოვიდეს სივნიეთა“, ამბობს შატბერდული ქრონიკა⁵⁴); ხოლო მატინე მოგვითხრობს: სპარსეთის მხედართ-მთავარი შემოვიდა ჯერ სომხეთს და შერე ქართლს, და გამაგრდა იმ ადგილას, სადაც შემდეგში ციხე ტფილისი ააშენესა⁵⁵).

საქართველოდან განდევნილმა სურმაგმა რომის იმპერატორს მიმართა, მიიღო მისგან 12 ლეგიონი ჯარი, ტერენტის წინამძღოლობით, და გამოემართა საქართველოსაკენ. როცა მტკვარს მიუახლოვდა, ვარაზ-ბაკურმა მოციქული მიაგება და წინადადება მისცა: რადგან ნათესავეები ვართ, მოდი საშეუო ორად გავიყოთ და მეგობრულათ ვიმეფოთო. ვარაზ-ბაკურს ამით სურდა არც ტახტი დაეკარგა და სპარსელების მომხრედაც დარჩენილიყო, რადგან მისი ერთი შვილი, ულტრა, სპარსეთის მეფეს მძევლად ჰყავდა და მამს ეშინოდა, საფორმა ჯავრი იმაზე არ ამოიყაროსო. ვარაზ-ბაკურის წინადადება რომაელებმაც მოიწონეს. ამის გამო საქართველო ორ ნაწილად გაჰყვეს: აღმოსავლეთის ნაწილი ვარაზ-ბაკურს დარჩა, ხოლო დასავლეთისა—სურმაგს. მარცეკლინის სიტყვით, საზღვრად მათ შორის მტკვარი დაიღო⁵⁶). ჩვენის თქმით აქ უნდა იგულისხმებოდეს მტკვარის ზემოთი წელი, სათავიდან ბორჯომის ხეობამდე; ხოლო ბორჯომის ხეობიდან საზღვრად უნდა ყოფილიყო სურამის მთა კავკასიონის ქედამდე. სხვანაირათ რომ ვთქვათ, სურმაგს უნდა დარჩენოდეს მთელი დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის საქართველო, ხოლო ვარაზ-ბაკურს—საკუთრივ აღმოსავლეთის საქართველო, ე. ი. კოლა, არტანი, ერუშეთი, ჯავახეთი, ეხლანდელი ბორჩალოს, გორის, დუშეთისა და ტფილისის მხარეები და კახეთი. რანი და მოვაკანი კი. ე. ი. აღბანია, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ამ დროს უკვე ქართველი მეფეების ხელში აღარ უნდა ყოფილიყო.

ამ სახით, მირიანის დროს შეერთებული საქართველო 368 წელს

⁵⁴) სამი ისტ ქრონ., გვ. 24.

⁵⁵) მარიამის ვარიანტი, გვ. 114.

⁵⁶) Гавъ—loc. cit., стр 187.

კვლავ ორ სამეფოდ გაიყო: მას ჩამოშორდა რან-მოვაკანი ანუ აღბანიაც. რამდენიმე ხნით აღმოსავლეთის საქართველო სპარსეთის გავლენას დაემორჩილა მაგრამ 379 წელს გარდაიცვალა სომხეთისა და ივერიის სულთამხუთაგი საფორ II და ორმავე სამეფომ თავისუფლათ ამოიხუნთქა. ამას შემდეგ თვით სპარსეთში დაიწყო შინაური არეულობა (ტახტის გამო), რამაც თითქმის 389 წლამდე გასტანა: სამი მეფე ზედი-ზედ (არდაშირ II—379—383 წ.; საფორ III—383—388 წ.; ვაჰრან IV—388—389 წ.) ქვეშევრდომებმა დახოცეს. ამან დიდათ დასუსტა სპარსეთი და ღონისძიება მოუხზო ჩვენს ქვეყნის საქმეებში ჩარეულიყო. ამ გარემოებამ აღმოსავლეთის საქართველო კვლავ დაუხლტოვა ბიზანტიას. მაგალითად, ვიცით, რომ თეოდოსე დიდის კეისრობაში (378—395 წ.) ამ იმპერატორის ლაშქარში იბრძოდნენ ივერიისა და კოლხიდის რაზმებიც, საკუთარი სარდლის წინამძღოლობით, თეოდოსეს მეტოქის აბროგასტის წინააღმდეგ³⁷. მშვიდობიანათ ჩაიარა საქართველოსათვის არკადის კეისრობის ხანამ (395—408 წ.) და სპარსეთის მეფის იუზდიგერდ I-ლის მეფობამაც (399—420 წ.). მართალია, ამ უკანასკნელმა ბოლოს დრკს თავის სამეფოში დევნა დაუწყო ქრისტიანებს, რის გამო ბიზანტიასთან შეტაკებაც მოუხდა, მაგრამ ამ ბრძოლიდან მინც ბიზანტია გამოვიდა გამარჯვებული; ამიტომ, შეგვიძლია გადაჭრით ვთქვათ, რომ იუზდიგერდ I-ლის მეფობაშიაც სპარსეთს არავითარი გავლენა არ უნდა ჰქონოდა აღმოსავლეთის საქართველოზე. იუზდიგერდის მიერ დაწვებული ომი ბიზანტიასთან განახლდა 422 წელს მისმა შემკვიდრემ ვაჰრან მე-V-ემ (420—438 წ.). ეს ომი დათავდა იმავე 422 წელს³⁸). აი, სწორეთ ამ დროს კეეოფნის ის თქმულება, რომელსაც ჩვენ ვკითხულობთ ვარაზ-ბაკურის შესახებ მისი შვილის ჰეტრე მათეუმის „ცხოვრებაში“, სახელდობრ: როცა ბი-

³⁷) Ертовъ—Ист. вост.-римск. или конст. имперіи. Спб. 1837 г. ч. I, стр. 196—197.

³⁸) Прокопій Кесарійскій—Ист. войнъ римлянъ съ персами.. пер. Сп. Дестуниса. Спб. 1862 г., стр. 12—13 —Гельмольсть—Ист. челов. III, стр. 263.

ზანტის კეისარმა თეოდოსე მცირემ (408—450 წ.) შეიტყო, სპარსეთის მეფე სამრად ემზადებო, ვარაზ-ბაკურს ერთგულების ნიშნად მსევალი მოსთხოვა; ვარაზ-ბაკურმა შესრულა კეისრის წინადადება და მსევლად გაუგზავნა კონსტანტინოპოლში თავისი 12 წლის ვაჟი მურვანოზი, რომელიც სამუდამოთ დარჩა ბიზანტიაში, შემდეგ ბერადც შედგა და ათლოს დროს მაიუმის ეპისკოპოსად კურთხნა³⁹⁾. საეკლესიო ისტორიაში იგი ცნობილია წმ. პეტრე-ქართველს სახელით. როგორც ამ წმიდანის „ცხოვრების“ გამომცემელი ბ-ნი ნიკ. მაროი შენიშნავს, მურვანოზის შესვლა კონსტანტინოპოლში უნდა მომხდარიყო 424 წლის მახლობლათ⁴⁰⁾. ამის მიხედვით, ვარაზ-ბაკურის მეუბის დასასრულს ჩვენ დავსდებთ 424 წლის მახლობლათ, სახელდობრ 425 წელს, და არა 394 წელს, როგორც შეცდომით დღემდე იყო მიღებული⁴¹⁾.

8. ვარაზ-ბაკურის შემდეგ შატბერდული ქრონიკა იხსენიებს ბაკურს⁴²⁾; ეს არის ბაკურ მე-III. ამავე მეფეს იცნობენ სომხის ისტორიკოსებიც: მოსე ქორენელი და ქორიუნი. კერძოთ მოსე ქორენელი მოგვითხრობს, ვითომც ამ ბაკურის დროს ივერიაში შემოსულიყოს სომხის ცნობილი ბერი-მოდგაწე შესრობი და, ქართველი ეპისკოპოსის მოსესი და ვილაც ჯავახის დახმარებით, „მოეწყოს ქართული ანბანი“⁴³⁾. თუ როგორ უნდა გვესმოდეს ეს ადგილი,

³⁹⁾ Н. Марръ—Житіе Петра Ивера... Спб. 1896 г., стр. 3 и сл.—

⁴⁰⁾ Ibidem, стр. XXXVII.

⁴¹⁾ ვახუშტი—საქ. ისტ., გვ. 79 —ვახუშტი ცდებოდა, როცა მას ეგონა, ვითომც ვარაზ-ბაკური გარდაცვლილიყოს თეოდოსე დიდის კეისრობაში. პეტრე-ქართველის „ცხოვრებაში“ კი ცხადათ სჩანს, რომ ვარაზ-ბაკური თეოდოსე მცირის დროსაც ერთხანათ ცოცხალი ყოფილა.

⁴²⁾ სამი ისტ. ქრ. გვ. 25.

⁴³⁾ Исторія Арменіи Моис. Хоренскаго, стр. 192—193. შეად ქორიუნის „Biographie de Mesrob“ (Langlois—Collect. des histor... Paris. 1869 წ. ტომი II, გვ. 12).

ამის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი ჩვენი „წერილების“ პირველ ნაწილში⁴⁴⁾; აქ კი ეს მოწმობა ჩვენ გვანტერესებს, რამდენათაც მისი შემწობით შესლება გვეძლევა ბაკურის მეფობის თარიღები დაახლოებით მაინც გაფარკვით. სახელდობრ, როგორც მოსე ქორენელის მოთხრობიდან სჩანს, აწერილი ამბის დროს კიდევ ცოცხალი უნდა ეოფილიყო სომეხთა კათალიკოზი სააჰაკ დიდი, რომელიც სენ-მარტენის სიით 428 წლამდე განაგებდა სომხეთის ეკლესიას⁴⁵⁾. ამიტომ, ვგონებ, ძალიან შორს არ ვიქნებით სინამდვილეზე, უკეთუ ბაკურ მე-III-ის მეფობის დასასრულს დავსდებთ იმავე 428 წლის მახლობლათ.

ამგვარათ ბაკურ მე-III-ის მეფობას ჩვენ დავსდებთ დაახლოებით 425—428 წლებს შორის ქრ. შემდეგ. მეტათ ცუდი დრო იყო ეს ხანა საქართველოსა და განსაკუთრებით სომხეთის ცხოვრებაში. სპარსეთის მეფემ ვაჰრან მე-V-ემ 428 წლის მახლობლათ ბოლო მოუღო სომხეთის დამოუკიდებლობას⁴⁶⁾. როგორც სჩანს, სპარსეთს საქართველოშიაც მოუპოვებია კვლავ გავლენა, რის გამოც ბაკურ მე-III-ეს დასწირების არმაზში ცეცხლის-მსახურების განახლება „სპარსთა შიშისათვის“⁴⁷⁾.

9. ბაკურ მე-III-ის შემდეგ ქართლის ტახტზე ავიდა თარსმან მე-IV, რომელიც, მატიახის თქმით, „მცირედ ჟამ მეუობდა“⁴⁸⁾. ვახუშტის ქრონოლოგიითაც ეს მეფე მხოლოდ სამ წელს მეუობდა. სხვა მასალების უქონლობის გამო, ჩვენც მის მეფობას დავსდებთ 428—430 წლებს შორის.—მატიახის თქმით, თარსმანს ბიზანტიის მხარე დაუჭერია და სპარსეთისათვის ხარკის ძლევა ამოუკვეთია; ქართლში ეკლესიები განუახლებია, ზოგიც ახლათ აუშენებია, მკრამ უღმობეღ სიკვდილს მალე შეუწვევტია მისი ნაყოფიერი მოღვაწეობა.

⁴⁴⁾ იხ ჩვენი „წერილები საქართველო ისტორ.“ ნაწილი I, თავი II.

⁴⁵⁾ S.-Martin—*Mémoires hist. et géogr. sur l'Arménie*. Paris. p. 437.

⁴⁶⁾ S.-Marten—*loc. cit.*, p. 320.

⁴⁷⁾ სამი ისტორ. ქრონიკა, გვ. 26.

⁴⁸⁾ მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 116.

10. ფარსმანის შემდეგ გამოედა მიპრდატ მე-IV, რომელმაც, დღემდე მიღებულია ქრონოლოგიით, იმეფა ორს წელს; ჩვენც საბუთი არა გვაქვს ეს ხანმოკლე მეფობა დიდათ გავზარდოთ. ამიტომ მიპრდატ მე-IV-ის მეფობას ჩვენ დავსდებთ 430—432 წლებს შორის ქრ. შემდეგ. „ქართლის-ცხოვრება“ ამ მეფეს სთვლის ურწმუნოდ და ღვთის უშიშარ აღმინანდ, რომელიც თავს არ უხრია არც ბიზანტიის კეისარს, არც სპარსეთის მეფეს, რისაც დიდი ზიანი მოუტანა, როგორც თავის ქვეყნას, ისე თავის თავს: იგი ტუვედ ჩაუვარდა ხელში სპარსელებს და სამშობლოს გარეთ დაღია სული“).

11. მიპრდატ მე-IV-ის შემდეგ ვახტანგ I-ლამდე ჩვენი წყაროები ასახელებენ კიდევ ორ მეფეს: არჩილ I-ლსა და მიპრდატ მე-V-ეს. როგორც შვითხეული ქვემოთ დანახავს, ვახტანგ I-ლის მეფობის დასაწყისს ჩვენ ვსდებთ 450 წლის მასწავლებლათ ამის საბუთებს იქვე წარმოვადგენთ). მასწავლამე არჩილსა და მიპრდატ მე-V-ეს დარჩებათ ერთათ 450—432=18 წელი. რადგან სხვა არავითარი საქრონოლოგია ცნობა არ მოგვეპოება, იძულებული ვართ „ქართლის-ცხოვრების“ იმ ადგილს დავეყაროთ, სადაც მირდატის შესახებ ნათქვამია, რომ მას მეფობაში მიეცა ჰირველათ ქალი, ოთხი წლის შემდეგ—ვაჟი, ვახტანგი, ხოლო როცა ეს უკანასკნელი შვიდის წლისა იყო, მიპრდატი გარდაიცვალა“). ამგვართ მიპრდატს უნდა ემეფენა არა უმცირეს 12 წლისა. მასწავლამე არჩილს დარჩება 6 წელიწადი. ამის მიხედვით ამ ორი მეფის მმართველობის დაახლოებითი ქრონოლოგია იქნება შემდეგი:

არჩილ I — 432—438 წ.

მიპრდატ V — 438—450 წ.

არჩილ I-ლის შესახებ მატინეში შემდეგი საუურადლებო ცნობა მოგვეპოება. როცა არჩილი გამოედა, მამინ საქართველოს აღმოსავლეთის საზღვარს მდინ. ბერდუჯი (ბორჩხლო) და აღაზანი შეადგენდა, რომელთ აღმოსავლეთით იწუებოდა რანი და მოვკანი ანუ აღაზანია. ამ ჰროფინციებს იმ დროს სპარსეთის ერისთავი ბარზაბოდი.

*) მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 116.

*) მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 121—122.

განაკება; ამავე ერისთავს ემორჩილებოდა მთელი ქართლი და კახეთიც. არჩილმა „მოირთო ძალი საბერძნეთით“ და სპარსეთის ერისთავს ომი გამოუცხადა. ერისთავმაც შეჰყარა რან-მოგაკანისა და ადარბადაგანის (ადერბეიჯანის) ჯარი და მოეკება არჩილს ბერდუჯის ნახორზე. ეს ომი სპარსთა დამარცხებით დასრულდა, რასაც შედეგად მოჰყვა ზავი და დამზახლება არჩილსა და ბარზაბოდს შორის: არჩილმა, მშვიდობის განსამტკიცებლად, თავის ვაჟს მიჰრდატს ცოლად მოჰგვარა ბარზაბოდის ქალი საგდუხტი¹⁾. ამასთანავე ჰირობა დასდევს: ბარზაბოდს თავის სამფლობელოში ხელი არ ეხლო ქრისტიანებისათვის, ხოლო არჩილს.—თავისაში ცეცხლ-თაუფანისმცემელთათვის. ამის შედეგი იყო ქრისტიანობასთან ერთად ცეცხლის-თაუფანისმცემლობის გაძლიერება აღმოსავლეთ საქართველოში (მთავარი მოგვი ახუ „მობედან-მობედი“ — გლობოქორ²⁾). აი სწორეთ ამის შესახებ შენიშნავს შატბერდული ქრონიკა, რომ არჩილის დროს „აზნურთა სტეფან წმიდაჲ აღაშენეს არაგუს ზედა და მოგუნი მოგუეთს მოგობდეს ცეცხლისა მსახურებსა ზედა“³⁾. ცხადია, არჩილი იძულებული ყოფილა თანაბარი მფარველობა გაეწია როგორც ქრისტიანობისა, ისე მაზდეანობისათვის. როგორც ვხედავთ, ქართლ-კახეთის მეფის ნოლიტიკა არჩილის დროსაც იკეთივე ორგოფი ხასიათისა ყოფილა, როგორც ბაჟურ მე-III-ის დროს იყო.

12. ამასობაში გარდაიცვალა არჩილ მეფე (438 წ.) და გამეფდა მისი შვილი მიჰრდატ მე-V (438—450 წ.). იმავე წელს სპარსეთის ტახტი დაიჭირა იუზდიგერდ მე-II-მ (438—457 წ.). ამ მეფემ ბევრი ზიანი მოუტანა სომხეთსა და აღმოსავლეთს საქართველოს. მისი განზრახვა იყო მთელი სომხეთი, ივერია და ალბანია ბიზანტიის გავლენისგან სამუდამოთ გამოეგლიჯა; ამიტომ გადასწევიტა, ამ ქვეყნებში ქრისტიანობა ამოეფხურა და მის ნაცვლათ ცეცხლ-თაუფანისმცემლობა სახელმწიფო რელიგიად გაეხადა. ამ აზრით მან ჯერ სომ-

¹⁾ მარიამ დედოფლის ვარიანტი „ქ.-ცხ.“, გვ. 117—120.

²⁾ ამაზე იხილეთ დავ. კარიჭაშვილის წერილი: „ვინ იყო მობიდან ეპისკოპოსი“ („მოამბე“ 1901 წ. № III, გვ. 1—15).

³⁾ სამი ისტ. ქრონიკა, გვ. 27.

ხებს დაუწყო შევიწროება: მოახდინა სომხეთის აღწერა და ხარკი მო-
უმატა; ამას არ დასჯერდა და სომხეთის შინაურ მართვა-გამგეობაშიაც
იწყო ჩარევა: მამასახლისების დამტკიცების დროს ჩვეულებრივ წესს
(რომელიც უფროსობაზე იყო დამყარებული) არღვევდა და ქრისტი-
ანობის უარყოფილ ჰირებს ნიშნავდა. ბოლოს სომხეთსა, ქართლ-
კახეთსა და აღმოსავლეთში ბრძანების წერილები დაგზავნა და სამივე ქვე-
ყნიდან მოწინავე გვართა თავი-კაცები დაიბარა; ქართლიდან, სხვათა
შორის, წავიდა ზატიაში არშუშა; ამ თავ-კაცებს იეზიდოვანმა უგელას
ცეცხლის-თაყვანისმცემლობა მიადებია; არშუშას გარდა, უგელანი მთ-
სავე ქვეყანაში დაიხარო და თან მოგვები გააყოლა; არშუშა კი თა-
ვისთან დაანარჩუნა. ეკონომიურმა, უფლებრივმა და სარწმუნოებრივმა
შევიწროებამ სომხები მოთმინებიდან გამოიყვანა და აჯანყა. სომხის
ისტორიკოსთა მოწმობით, ეს აჯანყება უნდა მომხდარიყო იეზიდო-
ვანების მეფობის მე-4 ანუ მე-12 წელს, ე. ი. 442 და 450 წლებს
შორის, მაშასადამე იმ დროს, როცა, ჩვენის აზრით, ქართლ-
კახეთის ტახტზე მიჭრდატეხილი იჯდა. რადგან ამ დროს სპარსეთის
მეფე ჭუნ-ჭუტუტაღიტებთან ომში იყო გართული (სპარსეთის აღმო-
საგლეჯად), თავდაპირველად სომხეთის აჯანყების საქმე კარგათ მი-
დიოდა, მაგრამ შემდეგ მანც სპარსელებმა გაიმარჯვეს; უკანასკნელ
ბრძოლაში ბევრი დიდებული სომეხი დაიხოცა, სხვათა შორის ვარ-
დან მამიკონიანც⁵¹).

ამასობაში დაესრულა ქართლის მეფის მიჭრდატეხილი მე-1-ის მე-
ფობა და ტახტი დაჩნა მის მცირე-წლოვან შვილს ვახტანგს. ეს
არის ვახტანგ I-ლი.

13. აქ საჭიროა შევიწერდეთ და ვახტანგის ვინაობა და მეფე-
ობის თარიღები გამოვარკვაოთ.

ვახტანგ მეფეს ამ სახელით იცნობენ: წმ. შუშანიკის „ცხოვრე-

⁵¹) ელიშე და ლაზარე ფარპელი. იხ. ივ. ჯავახიშვილის: „ქარ-
თველ ერის ისტორია“ ნაწ. I, გვ. 140—141, თფილისი, 1908 წ.;
А. Аннинский — Арм. историяи, какъ историч. источн., стр.
114—116.

ბის-ბოლო-მინაწერი *), შატბერდული ქრონიკა, „ქართლის-ცხოვრება“ და სომხის ისტორიკოსი ლაზარე ფარაბელი. ამ წყაროებში ჩვენთვის დიდად საგულისხმოა უკანასკნელის მოწმობა, რადგან ლაზარე ფარაბელი თანამედროვე იყო იმ ამბებისა, რომელთაც აღწერს; ამასთანავე იგი ივერიაშიაც იყო გაზრდილი⁵⁵). მათ მიერ შენახულ ძვირფას ცნობათა მიხედვით შესაძლო ხდება შემოწმება ქართული წყაროების ნაკვირვალ თქმულებათა ვახტანგის შესახებ და, ამასთანავე, მტკიცდება, რომ ზოგიერთი ისტორიკოსის მიერ დღემდე „საზღაპრად“ მიჩნეული ზიარებები ვახტანგ მეფისა სრული ისტორიული სინამდვილე: ვახტანგ-მეტე ხამდვილად ცხოვრობდა მე-V საუკუნის მეორე ნახევარში, როგორც მეფე ივერიისა, ე. ი. ქართლისა და კახეთისა. ზღაპრულია მხოლოდ ის გაზვიადებული ბუმბერაზული გმირობა, რომელსაც ვახტანგს „ქართლის-ცხოვრება“ მიაწერს და ეპიტეტი „გორგასლანი“, რომელსაც თანამედროვე ლაზარე ფარაბელი არ იცნობს. ეს ეპიტეტი, ალბათ, შემდეგს დროში უნდა იყოს შეთხზული ხალხის ფანტაზიით.

„ქართლის-ცხოვრება“ ვახტანგს სავლის თანამედროვედ ბიზანტიის კეისრის „ლეონ დიდისა“⁵⁶), სპარსეთის მეფის „ჰუმბოდიისა“⁵⁷), რომელიც სპარსეთში იეზდიგერდ მე-III-ის შემდეგ მეფობდა მცირე ხანს (457—458 წელს) და საბერძნეთის კეისრის

*) იხ. მიხ. საბინინი—საქართველოს სამოთხე, გვ. 192, ტექსტის უკანასკნელი 9 სტრიქონი, სადაც მოხსენებული არიან „ვახტანგ-გორგასლანი“, კირიონ კათალიკოზი და თამარ დედოფალი. ცხადია, ეს მინაწერი მე-XIII საუკუნის პირველ მეოთხედზე აღრე არ შეიძლება იყოს შედგენილი.

⁵⁵) ლაზარე ფარაბელი ცხოვრობდა მე-V საუკუნის დამლევს და მე-VI საუკუნის დამდეგს. Langlois—Collection... t. II, p. 255—257.

⁵⁶) მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 136, სტრიქ. I. ლეონი კეისრობდა 457—474 წელს.

⁵⁷) „ქ.-ცხოვრ.“ ნაწ. I, გვ. 168. შეად. „Chronique Armen.“ (Brosset—Addit... p. 37).

„ზენონის“⁵⁸), რომელსაც ტახტი ორჯერ ეჭირა: პირველათ 474—475 წ. და მეორეთ—477—491 წელს. ამ სინქრონოლოგიურ ცნობებს სავსებით ეთანხმება ლაზარე ფარაჟელი, რომლის მოწმობითაც ვახტანგი იყო თანამედროვე სპარსეთის მეფის პეროზის ანუ ბეროზის (459—484 წ.) და სომხის ცნობილ მოღვაწის ვაჰან მაშიკონიანისა, რომელმაც სომხეთის მარზბანობა მიიღო 485 წლის მასლობლათ⁵⁹). მართალია, შემდეგს მოთხრობაში „ქართლისცხოვრება“ იხსენიებს ზედი-ზედ სპარსეთის ორ მეფეს, რომელთაც „ხვასროს“ ეძახის⁶⁰), მაგრამ, როგორც სჩანს, ამ ადგილის ნაგვიანეეს რედაქტორს (ან ავტორს) ძლიერ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონია სპარსეთის მეფეთა ვინაობაზე, რადგან ორი ხოსრო სპარსეთში მეფობდა არა მე-V საუკუნეში, არამედ მე-VI საუკუნეში, სახელდობრ: ხოსრო I-ლი 531—579 წელს და ხოსრო მე-II—590—628 წელს. ცხადია, ჭურმიზდისა (457—448 წ.) და ლეონ კეისრის (457—474 წლ.), გინდ პეროზის (459—484 წ.) თანამედროვე ვახტანგს (რომელიც მე-V საუკუნის 80-იან წლებში, როგორც ლაზარე ფარაჟელის მოთხრობიდან სჩანს, უკვე ახალგაზდა

⁵⁸) ქ.-ცხოვრ. I, გვ. 209.

⁵⁹) Langlois—Collection... t. II, p. 335—337.

⁶⁰) მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 139, 162, 165, 167, 176, 180. ამ ათიოდე წლის წინათ ბ-ნმა მ. ჯანაშვილმა სწორეთ ამ საეპეო ადგილზე დაამყარა თავისი ახალი ქრონოლოგია ვახტანგ მეფისა (იხ. „მოამბე“ 1899 წ. № III: „ვახტანგ გორგასალი“). ერთი წლის შემდეგ ჩვენ მას საპასუხო წერილი ვუძღვენით, რომელშიაც ნათელ-ვყავით იმ არგუმენტების შეუსაბამობა და უვარგისობა, რომლებზედაც ბ-ნი ჯანაშვილი ემყარებოდა (იხ. აკაკის „კრებული“ 1900 წ. № III—IV—ჩვენი ღია წერილი „ბატონ მოსე ჯანაშვილს“, გვ. 113—130). თავისი გამოკვლევის უმთავრესი დასკვნანი ბ-მა ჯანაშვილმა თავის „საქართველოს ისტორიის“ პირველ ტომშიაც შეიტანა; მაგრამ არსებითად არავითარი ახალი საბუთი არ წარმოუდგენია. ამიტომ, რაც ვთქვით ჩვენს ღია წერილში მისი არგუმენტების შესახებ, ახლაც იგივე შევიძლია გავიმეოროთ.

ადარ უნდა ეოფილიყო) არ შეეძლო ხოსრო მე-III-ის დროს (590 წელს), ე. ი. თითქმის 110 წლის შემდეგ, კიდევ მეფედ ეოფილიყო. ამას გარდა, ჰურმიზდის შემდეგ სპარსეთში გამეფდა, როგორც ვიციით, არა ხოსრო, არამედ ჯერ ჰეროზი (459—484 წ.), შემდეგ ვაღარში (484—488 წ.) და ბოლოს კობადი ანუ კავადი (ჯერ 488—497 წელს და მერე 499—531 წელს).

ეოფლისავე თქმულის ძალით, ვახტანგის მეფობის თარიღების გასარჩევად ჩვენ უზირატესობას ვაძლევთ ლაზარე ფარშაპელის მოწმობას და „ქართლის-ცხოვრებიდან“ ამოვიღებთ მხოლოდ იმ ადგილებს, რომელნიც ამ მოწმობას და ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებიან. ამგვარ ადგილებად უნდა ჩაითვალოს, ჩვენის ფიქრით, ის ორი საქრონოლოგიო ცნობა, სადაც ნათქვამია, რომ ვახტანგი გარდაცვალდა სამოცი წლისა იმ დროს, როდესაც სპარსეთი ბიზანტიას ეომებოდაო⁶¹). ამ უკანასკნელ ფაქტს კი ადგილი ჰქონდა არა 499 წ., რომელიც დღემდე მიღებული იყო ვახტანგის გარდაცვალების თარიღად, არამედ ცოტა უფრო გვიან. სახელდობრ, სპარსეთის მეფემ კობადმა ბიზანტიას ომი გამოუცხადა 502 წელს; ეს ომი დასრულდა 504 წელს შვიდის წლის ზავით⁶²). როგორც „ქართლის-ცხოვრება“ გადმოგვცემს, ვახტანგს ამ ბრძოლაში ბერძნების მხარი დაუჭერია, დაჭრილა და მალე კიდევაც გარდაცვლილა⁶³). ამიტომ, ვგონებთ, შორს არ ვიქნებით სინამდვილეზე, უკეთუ ვახტანგის გარდაცვალების თარიღად დავსდებთ 503 წელს. ამ დროს, როგორც „ქართლის-ცხოვრება“ ამბობს, ვახტანგი „დღეთა მიწევნილ იყო ვითარ სამოცისა წლისა“; მაშასადამე მისი დაბადება უნდა ეკუთვნოდეს 503—60=443 წელს; ხოლო მისი დაობლება და გამეფუ-

⁶¹) მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 180.—, „Chronique Armenienne“, p. 45.

⁶²) პროკოპი კესარიელი—Исторія войнъ римлянъ съ персами. . перев Сп. Дестуниса. Спб. 1862 г., т. I, стр. 31—45 და იქვე შენიშვნები მე-10 და მე-18.

⁶³) მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 183.

ბა, იმავე „ქართლის-ცხოვრების“ თანხმით, მეშვიდე წელს⁶⁴), ე. ი. 450 წელს.

ამგვარათ ვახტანგ I-ლის მეუობას ჩვენ დავსდებთ 450—503 წელს ქრ. შემდეგ და არა 446—499 წელს, როგორც დღემდე იყო მიღებული.

14. ახლა შეგვიძლია თვით ვახტანგ-მეფის დროისა და მოღვაწეობის განხილვას შეუდგეთ. ვეცდებით, ჩვენს მოთხრობაში მატანიდან ადგილი არ მივცეთ არც ერთს ეპიზოდს, რომელიც მსოფლიო ისტორიის ფაქტებს არ ეთანხმება, ან წმინდა ზღაპრული ხასიათი აქვს⁶⁵). სწამებოდა, რომელიც მსოფლიო ისტორიის ფაქტებს არ ეთანხმდება. ჩვენს მოთხრობას ბერძნულისა და სომხური წყაროებიდან შევავსებთ.

ძლიერ ცუდ დროს მოუხდა მცირე-წლოვანს ვახტანგს სამეფო ტახტზედ ასვლა (450 წელს). საქართველო იმ დროს სამწუხარო სურათს წარმოადგენდა: მირიანის დროინდელ სამეფოდანი დახდილად იყო დარჩენილი. აღმოსავლეთით საქართველოს სამეფოს მოკლევადი ქვეყნად მთელი აღბანია, ხოლო დასავლეთით მას

⁶⁴) მარიამის ვარიანტი, გვ. 122, სტრიქ. 2.

⁶⁵) ზღაპრულ ხასიათს ატარებს ჩვენის ფიქრით: თქმულება 15—16 წლის ვახტანგის ბუმბერაზულ ბრძოლაზე ოსებსა და პაქანიკებთან (მარიამის ვარიანტი, გვ. 125—133), ნამდვილი საარაკო თქმულება შესახებ ვახტანგის გამარჯვებისა სპარსელებზე და ბრძოლისა სინდეთ-აბაშეთ-ინდოეთში (იქვე გვ. 159—176).—ზღაპრულად უნდა ჩაითვალოს, აგრეთვე, ვახტანგის ბრძოლა და გამარჯვება ბიზანტიელებზე („ბერძნებზე“) და ვითომ შედეგი ამ გამარჯვებისა—დასავლეთის საქართველოს შემოერთება (იქვე გვ. 135—158); როგორც ვიცით, 368 წლიდან მოკიდებული დასავლეთის საქართველო ცალკე სამეფოს შეადგენდა, რომელსაც საკუთარი მეფეები განაგებდნენ ბიზანტიის კეისართა ზეხელმწიფების ქვეშ. მაგრამ უფრო ვრცლათ ამ საგანზე ქვემოთ გვექნება საუბარი, საიდანაც მკითხველი ნათლად დაინახავს, რომ მე-V საუკუნის მეორე ნახევარში დასავლეთის საქართველო ცალკე სამეფოს წარმოადგენდა.

ადარ კუთვნიდა იმიერ საქართველო, რომელსაც მაშინ ბერძნები ლაზიკას ეძახდნენ. ლაზიკა ცალკე სამეფოს შეადგენდა ბიზანტიის კუისართა ზეხელმწიფების ქვეშ. თვით ქართლსა და კახეთში სპარსეთის შაჰის მიერ დადგენილი იყო ზატაიხმად სპარსეთის მომხრე, ქრისტიანობის უარყოფელი და ცეცხლის თაყვანის-მცემელი, ქართველი ერისთავი ვასქენი (ზემოთ დასახელებულის არშუშას ძე), ქმარი შუშანიკის⁶⁶). ალბანის განაკებდა სპარსეთის მეფის ზირდაზირი წარმომადგენელი ბარზაბოდ-ერისთავი, რომლის სიკვდილის შემდეგ მისი ადგილი დაიჭირა მისმავე შვილმა ვარაზ-ბაკურმა⁶⁷). ხოლო ლაზიკაში იჭდა საკუთარი მეფე, რომელსაც ბერძნის ისტორიკოსები გუბაზ I-ლს ეძახიან⁶⁸).

ასეთი იყო საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა ვახტანგის მეფობის დასაწყისში. უნუგუშო იყო მაშინ ქართლ-კახეთის მდგომარეობა სარწმუნოებრივის მხრითაც. აქ ცეცხლ-თაყვანისმცემლობა გამძვინვარებით ებრძოდა ქრისტიანობას: მთავარ-მოხელე ბინქარ მცხეთის უბანში (მოგვეთაში) იყო დაბინავებული და ქართველთა შორის საკმაოთ ჰყავდა მიმდევრები⁶⁹).

ერთი სიტყვით, სპარსეთის გავლენა თანდათან მაგრათ ეხვეოდა ივერიას და შორეულს ლაზიკაშიაც იწვევდა პოლიტიკურს რეჟისს. მაგალითად, 456 წელს ლაზებმა გუბაზ I-ლის თათნობით ბიზანტიის წინააღმდეგ აჯანყება მოახდინეს: სცდილობდნენ სრულიად განთავისუფლებულიყვნენ მათი ზეხელმწიფებისაგან. როცა ამ ამბით გაბრაზებულმა ბიზანტიის მთავრობამ მათ წინააღმდეგ დიდი ლაშქ-

⁶⁶) რომ ვასქენი და შუშანიკი ვახტანგის თანამედროვენი იყვენ და არა ბაკურ მე-V-ისა, როგორც „ქართლის-ცხოვრება“ გვარწმუნებს, — ეს ცხადდება თვით შუშანიკის „ცხოვრებიდან“ („საქართველოს სამოთხე“ საბინინისა. გვ. 192) და თანამედროვე ლაზარე ფარაბელის ისტორიიდან (Langlois—Collection... II. p. 326).

⁶⁷) მარიამის ვარიანტი „ქ.-ცხ.“, გვ. 122—123.

⁶⁸) Brosset—Addit. et éclairciss... p. 83—84.—ივ. ჯავახიშვილი—ქართველ ერის ისტორია, ნაწ. I, გვ. 142.

⁶⁹) მარიამ დედოფლის ვარიანტი „ქ.-ცხ.“, გვ. 123.

რის გამოგზავნა დააპირა, ლაზებმა სპარსეთის მეფე ჰეროზთან (459—484 წ.) მოციქულები გაგზავნეს: ბიზანტიელების წინააღმდეგ დაგვეხმარეო. მაგრამ, რადგან სპარსეთის მეფე იმ დროს ჰუნსებთან ბრძოლაში იყო გართული, ლაზებს უარი შეუთვალა; უკანასკნელნი იძულებული განდენ ბიზანტიას მშვიდობიანათ მორიგებოდენ: გუბაზმა კეისარს მოციქულები ახლა ამ საგანზე მოსლაპარაკებლად, შემდეგ თავითონაც გაემგზავრა კონსტანტინოპოლში (465 წლის შემდეგ), ინახულა ლეონ იმპერატორი (457—474 წ.) და თავისი მჭერმეტყველობით ისე მოხიბლა ბიზანტიის მთავრობა, რომ თავისი ქვეყანა განსაცდელს გადაარჩინა⁷⁰).

ამავე დროს ჩრდილო-კავკასიიდან ჰუნების ერთმა ტომმა (სარაგურებმა) იგრის ხეობით ქართლ-კახეთზე გადმოიარა, ქვეყანა აიკლო და აქედან სპარსეთს შეესია. სპარსეთის მთავრობა დიდათ შეშინდა და ბიზანტიას წინადადება მისცა: რადგან ჰუნები თქვენთვისაც საშიში არიან, ან ფუღით ან ლაშქრით დამუხმარეო; მაგრამ ბიზანტიიდან არა-სანუგეშო პასუხი მიიღო: თავისი საზღვრები უოველმა სახელმწიფომ თავითონ უნდა დაცვა⁷¹).

ამ უოფაში მიდიოდა ვახტანგის მეფობის პირველი ნახევარი. ამავე ხანას ეკუთვნის ერთი ფრიად საყურადღებო შემთხვევა, რომე-

⁷⁰) Гавъ—Извѣстія... I, 215—216. Латышевъ—Извѣстія... I, стр. 840, 841. 842 (=ივ. ჯავახიშვილი—ქართველ ერის ისტორია I, 142—143).—შეიძლება ამ გუბაზის აჯანყება იყოს დამახინჯებულათ გადმოცემული „ქ.-ცხოვრების“ თქმულებაში შესახებ ვახტანგის ომისა ბერძნებთან (მარიამის ვარიანტი, გვ. 138—158). აღვილ შესაძლებელია, გუბაზ I-ლისთვის ამ აჯანყებაში ვახტანგის ჯარსაც გაეწიოს დახმარება.

⁷¹) Гавъ—loc. cit., стр. 216. Латышевъ—loc. cit., стр. 843—844 (=ივ. ჯავახიშვილი—იგივე თხზულება, გვ. 143).—შეიძლება ეს ჰუნების შემოსევა და მათთან ბრძოლა იყოს დამახინჯებულათ გადმოცემული ჩვენი მატეანის მიერ, როცა უკანასკნელი მოგვითხრობს ოსების შემოსევაზე და შემდეგ ვახტანგის ბრძოლაზე ოსებთან და პაქანიკებთან (მარიამის ვარიანტი გვ. 123—124; 125—135).

დიც შესანიშნავათ ახსიათებს ქართლ-კახეთის იმდროინდელს პოლიტიკურსა და სარწმუნოებრივს მდგომარეობას. ვგულისხმობთ წმ. შუშნიკის წამებას მისივე ქმრის ვასქენისაგან. ეს ამბავი ვრცლათ მოთხრობილია წმ. შუშნიკის „მარტვილობაში“, რომელიც მისსავე მოძღვარს იაკობს აღუწერია. ეს წყარო ვასქენს ჰერეთის პიტიახმად აღიარებს⁷²⁾. ვასქენმა გამოიცვალა სარწმუნოება, რითაც დიდათ მოიგო სპარსეთის მეფის პეროზის გული. ეს, რომ შუშნიკმა შეიტყო, დასტოვა ქმრის სახლი და აღარ ისურვა მისთან ცხოვრება. ამით შურაცხულობა ვასქენმა ჯერ ჰტკემა თავისი ცოლი, შემდეგ საპერობილეში ჩააგდო, სადაც შუშნიკმა სრულს ექვს წელს დაჰყო კიდევ და მეშვიდე წელს კარდაიცვალა⁷³⁾. როგორც შუშნიკის „ცხოვრების“ ერთი უუძველესი (X სუკ.) ვარიანტის დასწეისიდან სჩანს, ვასქენი სპარსეთში წასულა და რჯული გამოუცვლია „მერვესა წელსა სპარსთა მეფისას“ (სუკლეისო მუზეუმის ხელნაწერი № 95, გვ. 743, სვრული 1, სტრიქონი 1—4). ცხადია, ეს მეფე ვერ იქნებოდა ჰორმუზდი, რომელმაც მარტო ორ წელს იმეფა (457—458 წ.); მაშასადამე იგი უნდა იყოს პეროზი (459—484 წ.); სჩანს, ვასქენს რჯული გამოუცვლია 458+8=466 წელს; როგორც მოთხრობიდან სჩანს, შუშნიკის წამებაც იმავე წელს დაწებულა; გაგრძელებულა ექვს წელს, ხოლო მეშვიდე წელს შუშნიკი კარდაცვლილა („საქ. სამოთხე“, გვ. 189, ბოლოდან მე-2 სტრიქონი). მაშასადამე შუშნიკის კარდაცვალების წლად უნდა მივიდეთ 465+7=472 წელი და არა 458 წელი, როგორც დღემდე ანგარიშობდნენ.

15. ამგვარს პირობებში გაიარა ვახტანგის მეფობის პირველმა ნახევარმა. ვახტანგი შიშითა და შურით აღეგნებდა თავს ვასქენის თანდათან გაძლიერებას. ამიტომ გადასწყვიტა ეს საშიში მეტოქე თავიდან მოეშორებია. მან ისარგებლა იმ მომენტით, როცა სპარსეთის მეფე ჰუნნებთან ბრძოლაში იყო გართული. მიზგუზად ვასქენის წინააღმდეგ მის მიერ შუშნიკის წამება გამოიყენა, შეესია ჯარით

⁷²⁾ საქართველოს სამოთხე, გვ. 182.

⁷³⁾ იქვე გვ. 183. 185. 189. 191—192.

ვასქენის სამთავროს, შეიპყრო იგი და სიკვდილით დასაჯა⁷⁴⁾. ლაზარე ფარნელის მოწმობით ეს ამბავი მომხდარა „ვეროზის მეფობის ოცდა მეხუთე წელს“⁷⁵⁾, მაშასადამე 483 წელს ქრ. შემდეგ.

ამგვარათ დაიწყო ვახტანგის მეფობის მეორე ნახევარი. ვასქენის დასჯა წინამორბედი იყო სპარსეთის წინააღმდეგ აჯანყებისა. მალე ქართველებს სომხებიც მიემხრენ ვაჰან მამიკონიანის წინამძღოლობით და გადასწევიტეს სამუდამოთ მოეშორებიათ სსსსინათა ბატონობის უღელი. ვახტანგს იმედი ჰქონდა, ჰუნებს მიიმხრობდა სპარსელების წინააღმდეგ, მაგრამ იმედი გაუტრუგდა: ჰუნებმა დაპირება არ შეუსრულეს. ამასობაში საქართველოს სპარსელთა დიდძალი ჯარი მოადგა. სომეხთა და ქართლ-კახელთა შეერთებული ლაშქარი, რომელიც აქამდე მთებში იყო შეთარებული, ბარად ჩამოვიდა მტერთან საბრძოლველად. სამწუხაროთ, თვით სომხის ლაშქარში აღმოჩნდნენ ისუტები, რომელნიც საიდუმლოთ მიდიოდნენ მტრის ბანაკში და სპარსეთის სარდალს ეუბნებოდნენ: ჩვენ ჩვენის ნებით კი არ წამოვსუფავართ სპარსელებთან საომრად, არამედ ვაჰან მამიკონიანმა წამოგვიყვანაო. ამგვარი დალატის წყალობით, მეორე დღეს, ბრძოლის დროს, შეერთებულმა ლაშქარმა ვეღარ გაუძლო ძლიერს მტერს, შედრკა და დამარცხებული სომხები და ქართველები აქეთ-იქით გაიფანტნენ; ვახტანგმა ტყვეობას თავი დაანწია. ამ გამარჯვების შემდეგ სპარსეთის მეფემ სომხეთში მეოფის სპარსელთა ჯარის მთავარ-სარდალს ჰაზარაგუსტს ბრძანება გამოუგზავნა (484 წელს): შედი საქართველოში და ვახტანგ მეფე ან მოჰკალი, ან დაატყვევე, ან სამეფოდან განდევნეო. შემოვიდა თუ არა საქართველოში ჰაზარაგუსტი, ბევრი ქართველი იმ წამსვე გამოცხადდა მასთან და ერთგულობა შეჰფიცა; ზოგიც ჰაზარაგუსტმა შაჰის წყალობისა და ჯილდოს აღთქმით მოისუიდა. როცა ვახტანგმა ნახა, რომ თვით შინაურები დალატობდნენ, დასტო-

⁷⁴⁾ იქვე, გვ. 192.

⁷⁵⁾ Langlois—Collection... t. II, p. 325—326: „Vakhthank assasina le perfid prince Vazken, la vengt cinquieme année du roi Bérose“.

ვა ივერიის საზღვრები და დროებით დასავლეთ საქართველოში ვადავიდა⁷⁶⁾.

აღბათ ამ დროს (483—484 წ.) უნდა ეკეთებინათ სპარსელების მიერ წმ. რაქდენის წამება, რომელიც ჩამომავლობით სპარსული იყო, ვანტანგის ცოლს ახლდა, ქრისტიანობა ჰქონდა მიღებული და ვანტანგთან ერთად მედგრათ ებრძოდა სპარსელებს. სპარსელებმა იგი შეიპყრეს, სკლზე მიატყდეს და შემდეგ ისრებით დახვრიტეს⁷⁷⁾.

16. ვანტანგისა და ქართველების ბედზე იმავე 484 წელს მოიკლა ჭუნებთან ბრძოლაში სპარსეთის მეფე ჰეროზი და ტახტზე ავიდა ვალარში (484—488 წ.), რომელმაც მოწყალება მოიღო ვაჰან მაშიკონიანზე და დაუმტკიცა (485 წელს) სომხეთის მარზპანობა⁷⁸⁾. მანვე ნება მისცა სომხებს თავისუფლად აღეკრებინათ ქრისტიანული სარწმუნოება⁷⁹⁾. როგორც სჩანს, ამ მშვიდობიანობის დროით უსარგებლნია ვანტანგ მეფეს და დაბრუნებულა თავის სამეფოში; მაგრამ იძულებული გამხდარა კვლავ სპარსეთის მეფის ვალარშის გავლენას დამორჩილებოდა⁸⁰⁾. მართალია, ვალარშს დიდხანს არ უმეფენია: 488 წელს სპარსელებმა იგი ტახტიდან ჩამოაგდეს და მის მაგიერ კობადი ანუ კავადი დასვეს; მაგრამ, ქართლ-კახეთის დამოკიდებულება სპარსეთზე ამით არსებითათ არ შეცვლილა; პირიქით, კობადმა ისარგებლა ბიზანტიის იმპერატორის ანასტასის სო

⁷⁶⁾ ლაზარე ფარპელის თანახმად. Langlois—Collection... t. II, pp. 325—345. შეად. ივ. ჯავახიშვილის—„ქართველ ერის ისტორია“, ნაწ. I, გვ. 144—145.—აღბათ ეს ბრძოლა უნდა ჰქონდეს დამახინჯებულიად გადმოცემული „ქართლის-ცხოვრებას“ (მარიამის ვარიანტი, გვ. 159 და შემდეგნი).

⁷⁷⁾ საქართვ. სამოთხე, გვ. 171—173. 177—178.

⁷⁸⁾ Langlois—op. cit. p. 365.—S.-Martin—Memoires... p. 329.

⁷⁹⁾ S.-Martine—Memoires... p. 329.

⁸⁰⁾ Brosset—Add. et. éclairciss... p. 80.

სუსტით *) და ლაზიკაც თავის სავსალოდ გაიხდა: ლაზიკის მეუემ დამნაზმა (დემნამ) სამეფო ნიშნები კობადისკან მიიღო ⁸¹).

სწორეთ ამ დროს უნდა ეკუთვნოდეს ის ფაქტი, რომელსაც შატბერდული ქრონიკა ასე ლაკონურათ გადმოგვცემს: „მაშინ წარიყვანეს ვახტანგი სპარსთა, და შემდგომად რამდენისამე ჟამისა მოიქცა“ ⁸²). ადვილ შესძლოა სპარსეთის მეფეს ომებში გამოცდილი თავისი ვასალი მეფე ვახტანგი საკუთარის ლაშქრით ჰუნებთან სპარძოვლად გაეწვიოს სპარსეთში რამდენისამე ხნით. შესძლოა ეს ამბავი იყოს „ქართლის-ცხოვრებაში“ დამახინჯებულიად გადმოცემული იქ, სადაც მოთხრობილია ვახტანგის ბუმბერაზული ლაშქრობა ინდოეთ-სინდეთ-აბაშეთში ⁸³).

17. როგორც სჩანს, ვახტანგს დიდხანს არ შეხვედრია უცხოეთში ეოფნა. „შემდგომად რამდენისამე ჟამისა“ იგი ისევე დაუბრუნდა სამშობლოს. აი სწორეთ ამ ხანას ეკუთვნის ჩვენს საეკლესიო მართვა-გამგეობის საქმეში მცირეოდენი ნაბიჯის გადადგმა დამოუკიდებლობისადმი—კათალიკოსობის დაარსება. შატბერდული ქრონიკით ეს ამბავი მომხდარა „ქართლის მოქცევითგან რა (170) წელს“ ⁸⁴), ე. ი. ჩვენის ანგარიშით (323 ან 326+170=) 493—496 წლებს შორის ქრ. შემდეგ.

ეს ფაქტი საქართველოს მაშინდელის სარწმუნოებრივისა და საერთაშორისო მდგომარეობის პირდაპირ შედეგად უნდა ჩაითვალოს.

*) ანასტასე-იმპერატორის მეფობა განსაკუთრებით 492—494 წლებში იყო შერყეული, როცა თვით კონსტანტინოპოლსა, მცირე აზიასა და ანტიოქიაში სასტიკი აჯანყება სწარმოებდა ზენონ იმპერატორის ძმის ლონგინოზის მეთაურობით, რომელსაც აზრად ჰქონდა ბიზანტიის ტახტზე გამეფებულიყო. (Ерговъ—op. cit., т. II, стр. 21—22. შეად. Lebeau—Hist. du Bas-Empire, t. VII, p. 228—234).

⁸¹) Dubois de Montpéroux — Vyayage... II (=ალ. ჭყონია—„ისტორ ნარკვევი“, გვ. 334—335).

⁸²) სამი ისტორ. ქრონიკა, გვ. 28.

⁸³) მარიამის ვარიანტი, გვ. 168—180.

⁸⁴) სამი ისტ. ქრონიკა, გვ. 29.

როგორც ვიცით, ქალკედონის მსოფლიო კრების შემდეგ (451 წ.) მთელი აღმოსავლეთის ეკლესია მონოთეზიტურმა (ანტი-ქალკედონურმა) მოძრაობამ შეარყია. ამ მოძრაობამ განსაკუთრებით ანტიოქიის სპატრიარქოს და სომხეთის ეკლესიაში იზინა თავი, რომლებთანაც საქართველოს ეკლესიას იმ დროს მჭიდრო კავშირი ჰქონდა: პირველზე იგი დამოკიდებული იყო იერარქიულად, მეორესთან ძმური მეზობლური განწყობილებით სარგებლობდა. ანტიოქიის სპატრიარქო კათედრაზე ზედი-ზედ იცვლებოდენ მართლ-მადიდებელი და მონოთეზიტი პატრიარქები: ქართველებმა აღარ იცოდნენ, რომელ ერთს მიმართულებას დასდგომოდნენ? დღეს რომ მონოთეზიტობა მიეღოთ, შესაძლოა ხვალ ანტიოქიაში მართლ-მადიდებელი (ქალკედონიტი) პატრიარქი დამჯდარიყო და ქართველებისათვის ადგილობრივი იერარქიის და მიმართულების გამოცვლა მოეთხოვა; ან, პირიქით, თუ ვინიცობა მართლ-მადიდებლობას დაადგებოდნენ, შეიძლება ხვალ ანტიოქიაში მონოთეზიტი პატრიარქი აეყვანათ კათედრაზე, და ქართველებსაც კვლავ მიმართულების და ადგილობრივი იერარქიის გამოცვლა დასჭირდებოდათ. ამას კარდა, თვით ეს მუდმივი არეულობა ანტიოქიის სპატრიარქოში თავისთავადაც სრულიად უკარგავდა ანტიოქიის პატრიარქს ავტორიტეტს ქართველი ხალხის თავაში. უოველივე ეს აიძულებდა ქართველებს საკუთარს დამოუკიდებელ იერარქიაზე ეფიქრათ, სხვაწარხათ რომ ვთქვამთ, თავის ეკლესიაშიაც ისეთივე მდგომარეობა შეექმნათ, როგორც მათ მეზობელ სომხთა ეკლესიაში უკვე კი ხანია არსებობდა. საჭირო ხდებოდა კათალიკოზობის დასრება.—მეორე მხრით, ამასვე არა ნაკლებ მოითხოვდა საქართველოს მაშინდელი საერთაშორისო მდგომარეობა—მისი განწყობილება სპარსეთის სამეფოსთან. სახელდობრ, მას შემდეგ, რაც ვახტანგ მეფის და ვაჟან მამიკონიანის ცდამ სპარსელების წინააღმდეგ ამათ ჩაიარა, სპარსეთის ბატონობამ სომხეთს და საქართველოში, როგორც ვიცით, უმაღლეს ხარისხამდე მიაღწია. ამ ფაქტმა, განსაკუთრებით, მაშინ იზინა თავი, როცა სპარსეთის ტახტზე კობადი ავიდა, რომლის დროსაც, როგორც ვნახეთ, თვით დასავლეთის საქართველოც სპარსეთისავე უზენაეს მფარველობაში გადავიდა. სპარსეთის მეფე, მართალია, აღარა სთხოვდა სომხებს და ქართველებს ქრისტიანობა უარ-

ეფთ, მაგრამ, ცხადია, ამასთანავე იგი ვერ მითითებდა საქართველო ეკლესიურათ ბიზანტიის ქვეშევრდომს ანტიოქიაზე ყოფილიყო და-მთკიდებელი, საიდანაც მოვლენილი სამღვდელთება, ეკლესიური კავ-შირის სახელით, თავისუფლათ იცავდა და ახორციელებდა საქართველოში ბიზანტიის იმპერატორთა პოლიტიკურ ინტერესებს. საქარ-თველოს მეფის წინაშე თვით ცხოვრებისაგან შემდეგი კითხვა იყო წამოყენებული: თუ გსურს სპარსეთის რისხვა აცილო და შაჰის თვალში ნდობა მოიპოვო, სრულიად გასწვიტე კავშირი ან იმდენათ მაინც ჩამაშორე შენი ეკლესია საბერძნეთ-ანტიოქიის ოფიციალურ ეკლესიას, რომ ანტიოქიიდან წარმოგზავნილ სამღვდელთებს აღარ შეეძლოს, საწმუნოების სახელით, ქართველ ხალხში ბიზანტიის კე-ისართა ინტერესები დაიცვას და გაატაროს. როგორც სჩანს, ვახ-ტანგ-მეფეს კარგათ შეუგნია ამ საკითხის ძალა-მნიშვნელობა და ბი-ზანტიიდან გამოუთხოვია ჩვენი ეკლესიისათვის პირველი კათალიკო-სი: „ხოლო მეფემან (ვახტანგ) წარავლინა მოციქული საბერძნეთა და ითხოვა მეფისაგან და პატრიარქისაგან კათალიკოზი“...⁸⁵) მა-ტთანე დასძენს, რომ თვით საკათალიკოზო კანდიდატიც ვახტანგმა წარუდგინა იმპერატორსათ, სახელდობრ— პეტრე მღვდელი⁸⁶).

როგორც მატთანე და შატბერდული ქრონიკა გადმოგვცემს, ბი-ზანტიის იმპერატორს („საბერძნეთის მეფეს“) დაუბრკოლებლათ აუ-სრულებია ვახტანგ მეფის თხოვნა: „ხოლო მან (საბერძნეთის მე-ფემ) მოსცა პეტრეს კათალიკოზი“⁸⁷. მატთანის განმარტებით, ეკ-ლესიურათ ეს საქმე დაუკანონებია ანტიოქიის პატრიარქს, რომელ-თანაც იმპერატორს წარუგზავნია პეტრე მღვდელი და ვახტანგის დე-სპანები⁸⁸).

⁸⁵) სამი ისტ. ქრონიკა, გვ. 29—30.

⁸⁶) მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 178.

⁸⁷) სამი ისტ. ქრონ. გვ. 29—30.

⁸⁸) მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 178: „ხოლო ანტიოქელმან პატრიარქმან ყო ეგრე, ვითარცა მიუმცნეს“.—ანტიოქიაში მაშინ პატ-რიარქად იჯდა პეტრე II „წმიდა“ ანუ „სხვა“ (ე. ი. არა პეტრე I კნათე, მწვალებელი); ეს პეტრე II პატრიარქობდა, პორფირი უსპენსკის

ეს ცნობა სავსებით ეთანხმება ბიზანტიის იმპერატორის მაშინდელ მდგომარეობას: ბიზანტიაში იმ დროს იმპერატორად იჯდა ანასტასი (491—518 წ.), რომლის კეისრობაშიც, სახელდობრ 492—494 წელს, ე. ი. სწორეთ იმ დროს, როდესაც, ჩვენის წყაროებით, ვახტანგმა კათალიკოზობის შესახებ შუამდგომლობა აღძრა, თვით კონსტანტინოპოლში, მცირე აზიასა და ანტიოქიაში სასტიკი აჯანყება სწამოებდა ზენონ იმპერატორის ძმის ლონგინოზის მეთაურობით, რომელსაც აზრად ჰქონდა ბიზანტიის ტახტზე გამეფებულყოფა⁸⁹). ცხადია, ამგვარს პირობებში მეოფე იმპერატორი ყოველგვარს შორსმჭვრეტელობას მოკლებული უნდა ყოფილიყო, რომ ერთმორწმუნე ივერთა მეუის ვახტანგისთვის სამართლიანი თხოვნა გაეწილებია და მით სამუდამოთ ჩაეტყუა ხიდი ივერიასა და ბიზანტიას შორის. ამგვართ, ბიზანტიის ცენტრალური მთავრობის სისუსტემ ხელი შეუწყო ჩვენში კათალიკოზობის დაარსებას; სწორეთ ისე, რომ გორც სპარსთა ბატონობამ დაჩქარა ეს პროცესი.

მაგრამ არ უნდა გავაზვიადოთ თვით ამ ფაქტის—კათალიკოზობის დაარსების—მნიშვნელობა. ძალიან სცდებიან ის მკვლევარნი, რომელნიც, ზღ. იოსელიანის მსგავსათ, ფიქრობენ, ვითომც კათალიკოზობის დაარსებისთან ერთათ საქართველოს ეკლესიას მიეღოს „უველა უფლებანი დამოუკიდებლობისა ანუ ავტოკეფალობისა“⁹⁰). ზღატონ იოსელიანი ამ თავის აზრს ანტიოქიის პატრიარქის თეოდორე ვალსამონის (XII სუკ.) სიტყვებზე ამყარებდა. მაგრამ, როგორც დღეს უკვე მრავალი ფაქტით და ისტორიული საბუთით დამტკიცებულია, ვალსამონის მოწმობა შეეხება არა ანტიოქიის პატრი-

ქრონოლოგიით, 493—495 წელს (Еписк. Порфирій—Список антиох. патриарховъ. Кіевъ. 1876 г, стр. 55—56=Отдѣльн. оттискъ изъ ж. „Тр. Кіевск. Дух. Акад.“ за 1875 и 1876 гг.).

⁸⁹) Ерговъ—op. cit. т II, стр. 21—22. კერძოთ ისაგრიელების აჯანყებაზე ლონგინოზის მეთაურობით იხ. Lebeau—Hist. du Bas-Empire, t. VП, p. 228—234.

⁹⁰) П. Иоселиани—Кр. ист. груз. церквн. Спб. 1843 г., стр. 35 и 143—144.

არქს ჰეტრე I-ის, გინდ მე-II-ს, რომელნიც მე-V საუკუნეში ცხოვრობდენ, არამედ ჰეტრე მე-III-ს (1053—1057 წ.), რომლის დროსაც საქართველოს ეკლესია სრულიად განთავისუფლდა ანტიოქიის ჰატრიარქთა დამოკიდებულებისაგან⁹¹).

მაშ რა უფლება მიიღო ჩვენმა ეკლესიამ ვახტანგ I-ლის დროს? როგორც ამ საგნის სპეციალური შესწავლა გვიჩვენებს, ვახტანგის დროს საქართველოს ეკლესიას მიუღია მხოლოდ კათალიკოსი და შინაგანი საქმეების მართვა-გამგეობაში თავისუფლება; გარკვეულათ კი ანტიოქიისავე ჰატრიარქის ხელ-ქვეშე დარჩენილა. მაშ კალისტრატე ცინცაძის საფუძვლიანი გამოკვლევით კათოლიკოზობის დაარსების შემდეგ ეს დამოკიდებულება შემდეგს ოთხს მუხლში გამიხატებოდა: ა) კათოლიკოზის ხელდასახმა სწარმოებდა ანტიოქიაში; ბ) საქართველოს ეკლესია წმ. მირონს იღებდა ანტიოქიიდან, რისთვისაც საკმაო სასუიდელს იხდიდა ანტიოქიის კათედრის სასარგებლოდ; გ) საქართველოში მუდამყამ ცხოვრობდა ანტიოქიის ჰატრიარქის ილუმენი, რომელიც ჰკრეუდა შემოსაველს იმ სოფლებიდან, რომელნიც ქართველ მეფე-აზნაურთაგან ანტიოქიის კათედრას ჰქონდა შეწირული; დ) ამას გარდა კათალიკოსი და უკველა მღვდელმთავარი ფლდებულდი იყო წირვა-ლოცვის დროს ანტიოქიის პატრიარქი მოეხსენებია⁹²).

⁹¹) იხ. Свящ. Кал. Циннадзе — „Автокефалия церкви грузинской“ стр. 4—5 და 31.—შეად ჩვენი წერილი „Автокефальность груз. Церкви“ (ж. „Духовн. В. груз. экзархата“ за 1905 г. №№ 21—22, стр. 40—43).

⁹²) მ. ცინცაძის აზრი ამ საგნის შესახებ გაფანტულია მთელს მის გამოკვლევაში (loc. cit., стр. 51—57 58. 21—22 და სხვ.). შეად. ჩვენი ბიბლიოგრაფიული შენიშვნა ამ წიგნის შესახებ („Дух. В. Г. მ.“ за 1906 г. № 1—2, стр. 38), სადაც თავმოყრილი გვაქვს მამა ცინცაძის აზრები ამ საგანზე. იქვე (გვ. 41—47) მრავალი საბუთით დარღვეული გვაქვს იმავე ავტორის შემტდარი აზრი, ვითომც მე-IV—V საუკუნეში საქართველოს ეკლესია პონტის სამიტროპოლიტოზე ყოფილიყოს დამოკიდებული.

ამრიგათ ვახტანგის დროს ჩვენმა ეკლესიამ მიიღო მხოლოდ კათალიკოსი და შინაგანი გამგეობის დამოუკიდებლობა; გარეგნულათ იგი მაინც დამოკიდებული დარჩა ანტიოქიის კათედრაზე. მაგრამ იმ დროს საქართველოს ეკლესიისათვის ამ ნახევარ თავისუფლებასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: იგი მოასწავებდა, რომ აღრე თუ გვიან ჩვენი ეკლესია სრულიად განთავისუფლდებოდა უცხოეთის დამოკიდებულები-საგან. მე-V საუკუნის დამლევეს კი მხოლოდ პირველი ნაბიჯი იქმნა გადადგმული სრული დამოუკიდებლობისადმი.

18. „ქართლის-ცხოვრება“ გვარწმუნებს, ვითომც ჰეტრე კათალიკოსთან ერთათ საქართველოს ეკლესიას ანტიოქიიდან მიეღოს 12-ოდე სხვა ეპისკოპოსიც. როგორც მატეანის მოთხრობიდან სჩანს, ვახტანგს ამ 12 ეპისკოპოსთაგან, თუ უგულისთვის არა, ზოგიერთებისთვის მაინც პირველად უნდა დაეარსებინა კათედრები და, მაშასადამე, ეპარქიებიც⁹³). უმჯობესი იქნება ვიფიქროთ, რომ, მსოფლიო ეკლესიის ჩვეულებისამებრ, საქართველოში ვახტანგამდეც უნდა ყოფილიყო არა თუ თორმეტი, ამაზე ორჯერ მეტი რიცხვი ეპისკოპოსებისა. ამ აზრს არ ეწინააღმდეგება შატბერდული ქრონიკა, სადაც მცხეთის მღვდელ-მთავრები, გარდა პირველისა (იოანესი), ეგუქანი „მთავარ-ეპისკოპოსებად“ იწოდებიან⁹⁴): ცხადია, მცხეთის მღვდელ-მთავრებს „მთავარ-ეპისკოპოსს“ ვერ უწოდებდენ, თუ მათს ხელ-ქვეშე უბრალო ეპისკოპოსებიც არ ყოფილიყვნენ. მართალია ქრონიკა და მატეანე კათალიკოსობის დაარსებამდე არც ერთს უბრალო ეპისკოპოსს არ ასახელებს, მაგრამ რომ იგინი ჩვენში წინათაც ყოფილან, ამას ცხადათ ამტკიცებს წმ. შუშანიკის „ცხოვრება“ და სომხური წყაროები. შუშანიკის წამებას სავი ეპისკოპოსი დასწრებია (აფოცი, იოანე და სამოელ)⁹⁵); ხოლო სომხის ისტორიკოსთაგან მოსე ქორენელი პირდაპირ მოწმობს, რომ ივერიის მეფის ბაკურის დროს (425—428 წ.), როცა შატბერდული ქრონიკით მცხეთაში ელია

⁹³) მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 178—179.

⁹⁴) სამი ისტ. ქრონიკა, გვ. 22—28. ამავე საგანზე შეად. მ. კ. ცინცაძის „Автнк. церкви грузинской“, с.р. 42—43.

⁹⁵) საქართველოს სამოთხე, გვ. 183 და 186.

მთავარ-ეპისკოპოსობდა ⁹⁶), მესრობს დახმარება გაუწია ქართველმა ეპისკოპოსმა მოსემაო ⁹⁷): ცხადია, ჩვენ აქ საქმე გვაქვს ორ სხვადასხვა თანამდებობის პირთან: ერთია მთავარ-ეპისკოპოსი (ელია), ხოლო მეორე—უბრალო ეპისკოპოსი (მოსე).

19. რაგორც მატანეში, ისე შატბერდულ ქრონიკაში პირველ კათალიკოზად წოდებულია პეტრე: „...და აღაშენა ქუემაჲ ეკლესიაჲ ვახტანგ მეფემან და დასვა პეტრს^ს კათალიკოზი; ...ხოლო პირველი კათალიკოზი იყო პეტრს^ს“ ⁹⁸). უკანასკნელ დრომდე ამ ცნობის სინამდვილეზე ეჭვი არავის შეუტანია. მხოლოდ ამ ორი წლის წინად ბ.ნმა ივ. ჭავჭავაძემ გამოაქვეყნა თავისი გამოკვლევა: „Исторія церковнаго разрыва между Грузіей и Арменіей въ началѣ VIII вѣка“, სადაც გამოსთქვა აზრი, რომ მცხეთის პირველი კათალიკოზი იყო არა პეტრე, არამედ სამოელი ⁹⁹). ამ აზრს ხატოვცემული მკვლევარი ამყარებს წმ. შუმანიკის „ცხოვრების“, საბინინის მიერ გამოცემული ვარიანტის, ერთ ადგილზე, სადაც ნათქვამია, რომ წმ. მოწამის სანახავად მისი სიტოცხლის უკანასკნელ წუთებში, სხვათა შორის, „მოვიდა თავი იგი ეპისკოპოსთა სამოელ პირველი, კათალიკოზი და ითანე ეპისკოპოზი“ ¹⁰⁰). წმ. შუმანიკის „ცხოვრების“ ეს ადგილი, რასაკვირველია, დღემდეც ცნობილი იყო ჩვენს მკვლევართა შორის, მაგრამ იგი უგელას ისე ესმოდა, რომ აქ ლაშარაკია სამოელ პირველზე და არა პირველ კათალიკოზზე. სხვათა შორის სწორეთ ასე აქვს გაგებული აღნიშნული ადგილი წმ. შუმანიკის „ცხოვრების“ გამომცემელს მიხ. საბინინს, რომელიც „პირველს“ შემდეგ მძიმეს სვამს („სამოელ პირველი, კათალიკოზი“), რითაც, ალბათ, მას სურს აღნიშნოს, რომ

⁹⁶) სამი ისტ. ქრონიკა, გვ. 25.

⁹⁷) Ист. Арменіи Моисея Хоренскаго, стр. 192—193

⁹⁸) სამი ისტ. ქრონიკა, გვ. 29—30.

⁹⁹) Ив. Джаваховъ—Исторія церковн. разрыва... Спб. 1908 г. (=Извѣст. Импер. Акад. Наукъ, 1908 г., стр. 511—512).

¹⁰⁰) მიხ. საბინინი—საქართველოს სამოთხე. პეტერბ. 1882 წ., გვ. 191.

აქ სამოელ I-ზეა ლაზარაკი და არა პირველ კათალიკოსზე; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მიიმსეს „სამოელის“ შემდეგ დასვამდა („სამოელ, პირველი კათალიკოსი“). მართალია, თანამედროვე ჰუნქტუაციას ამ საკითხის გადასაწყვეტად მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ძველად ან სრულებით არაფითარ ჰუნქტუაციას არა ხმარობდენ, ან ნიშანი ეოველი სიტყვის შემდეგ ისმოდა, რაც დღევანდელ მკვლევარს თავისუფლებას აძლევს ნიშნები იმის კვლობაზე დასვას, თუ როგორ ესმის თვით მას ესა თუ ის ადგილი.

მაგრამ არის რამდენიმე გარემოება, რომელიც საბუთს გვაძლევს ვითყროთ, რომ პირველი კათალიკოსის ვინაობის შესახებ დღემდე არსებული აზრი უფრო ახლო უნდა იდგეს სინამდვილეზე, ვინც ის, რომელსაც ბ-ნი ჯავახიშვილი იძლევა. აი ეს გარემოებანი:

ა) როგორც ვთქვით, ბ-ნი ჯავახიშვილი მ. საბინინის მიერ გამოცემულ ვარიანტს ემუარება. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ საბინინის გამოცემა ქართველ წმიდათა ცხოვრებისა („საქართველოს სამოთხე“) კრიტიკული გამოცემა არ არის. როგორც მისი წინასიტყვაობიდან სჩანს, იგი წარმოადგენს ამონაკრებს სხვა-და-სხვა ხელნაწერთაგან¹⁰¹), მაგრამ არსად ნახელები არ არის, თუ სახელდობრ რომელი ადგილი რომელი საუკუნის ხელნაწერიდანაა ამოღებული. ამ გამოცემისათვის მასალების შეგროვება საბინინს შეგირდობის დროს დაუწვია („ოდეს ვსწავლობდი კლ. გიმნაზიას შინა, ტფილისს“) და, როგორც ეტყობა, მისი მიზანი უოთელა არა მამათა ცხოვრების უუძველესი სახის აღდგენა, არამედ, რაც შეიძლება, „სრული და ვრცელი“ კრებულის მოცემა. ამ გარემოებით იგი კიდევ ამაუბს, რადგან თრ ადგილას იმეორებს (გვ. ა, ბ), რომ „წიგნისა ამის მუთრე არცა დაბეჭდილი, არცა ხელნაწერი არა სადა იპოების, ესრე ვრცელი და სრული, ვითარ ეს წიგნი“¹⁰²). ეს გარემოება კი საბუთს გვაძლევს ვითყროთ, რომ საბინინის გამოცემაში ბევრი ისეთი ნაგვიანგათ ჩამატებული გლობსა და ცნობა უნდა მოიპოვებოდეს,

¹⁰¹) იხ. იქვე „წინასიტყვაობა“, გვ. ა—ბ.

¹⁰²) ხაზ-გასმული ჩვენ მიერაა.

რომელსაც ავით შუშანიკის, გინდ მისი „ცხოვრების“ ავტორის უპოქასთან არაფითარი კავშირი არ უნდა ჰქონდეს.

ბ) მართლაც, საბინინის მიერ გამოცემულ ვარიანტში შუშანიკის „ცხოვრებას“ მოსდევს ერთი მინაწერი¹⁰³⁾, რომელშიც მოხსენებული არიან: „მეუფე აბნაზთა და საქართველოთა ვახტანგ-გორგასლანი“, „კათალიკოზი კირიონ“ (მე-VI საუკუნის მეორე ნახევრისა) და „წმ. დედოფალი თამარ“ (1184—1213 წ.). ცხადია, ამ ბოლო-მინაწერის შედგენა უნდა მომხდარიყო არა უადრეს მე-XIII საუკუნისა. მაშასადამე უუძველეს ეს ვარიანტებში ეს ბოლო-მინაწერი არ უნდა მოიპოვებოდა. მართლაც, ჩვენ ვიცნობთ წმ. შუშანიკის „ცხოვრების“ სამს სრულს ხელნაწერ ვარიანტს (საეკლესიო მუზეუმის თფილისში, ხელნაწ. №№ 130, 170 და 176), და არც ერთში ეს ბოლო მინაწერი არ მოიპოვება¹⁰⁴⁾. ეს გარემოება კი ცხადთა ცვი-ჩვენებს, თუ როგორი სიფრთხილით უნდა მოექცეს მკვლევარი საბინინის გამოცემის იმ ადგილებს, რომელნიც მართლ მის გამოცემაში მოიპოვებინ და სხვა ხელნაწერ ვარიანტებში კი არა სჩანან. იგივე გარემოება ნათელჰყოფს, რომ წმ. შუშანიკის „ცხოვრების“ ზემოაღნიშნულ სამს ხელნაწერ ვარიანტში (№№ 130, 170, 176) ჩვენ უნდა ვიგულისხმეთ მე-XIII საუკუნეზე ბევრათ უფრო ადრინდელი დეანი.

გ) და აი, სწორეთ, არც ერთს ამ ხელნაწერ ვარიანტში არ მოიპოვება ის ორი სიტყვა: „პირველი კათალიკოზი“, რომლებზედაც ბ-ნი ჯავახიშვილი ამყარებს თავის დასკვნას პირველი კათალიკოზის ვინაობის შესახებ. სამსავე ვარიანტში აღნიშნული ადგილი ასე იკითხება: „... შემდგომად (შდ) ჯოჯიკისა მოიწია თავი (თვი)

¹⁰³⁾ საქ. სამოთხე, გვ. 192.

¹⁰⁴⁾ საეკლესიო მუზეუმში არის, აგრეთვე, ფრიად შესანიშნავი ვარიანტი წმ. შუშანიკის „ცხოვრებისა“, რომელიც მე-X საუკუნეშია გადაწერილი ტყაზე (ხელნაწ. № 95), მაგრამ ამ ვარიანტის სწორეთ უკანასკნელი ფურცლები დაკარგულია. დანარჩენში კი ეს ვარიანტიც ზემოაღნიშნულის სამის ვარიანტისაგან თითქმის არაფრით არ განსხვავდება.

იგი ეპისკოპოსთჳ სამოელ დჳ იოჳნე (იწე) ეპისკოპოსი...“¹⁰⁵). არ-სად სამოელ „ზირვეღის“ დჳ მით უმეტეს „ზირვეღი კათალიკოზის“ ხსენებჳც არ არის. რას ნიშნავს ეს? ცხადია მხოლოდ იმას, რომ სჰბინინის გამოცემის „ზირვეღი კათალიკოზი“ ნაკვიანვეათ ჩამატებუ-ღი გლოსსჳ დჳ, როგორც ჰგეთი, ჰირვეღი კათალიკოსის ვინაობის გამოსარკვევად ვერ გამოდგება. როგორც ხელნაწერებიდან სჩანს, შუ-შანიკის „ცხოვრების“ აღნიშნულს ადგილს სამოელი წოდებუღია „ეპისკოპოსთჳ თჳვად“ („თი იგი ეპისკოპოსთჳ“), მაგრამ ეს სი-ტყუჳ არ წარმოადგენს „კათალიკოსის“ ექვივალენტს, არამედ იგი ნიშნავს, ჰგრეთვე, მთავარ-ეპისკოპოსსჳც. ეს მით უფრო სარწმუ-ნოჳ, რომ იმავე „ცხოვრების“ ევეღა ხელნაწერს დჳ სჰბინინის ვა-რიატშიჳც ცოტჳ უფრო ადრე იგივე სამოელი დჳ იოჳნე ერთად არიან მოხსენებუღი, მაგრამ სამოელი წოდებუღია მხოლოდ „ეპის-კოპოსად“¹⁰⁶). ცხადია, შუშანიკის წამების დასაწყისში სამოელი უბრალო ეპისკოპოსი უნდა ყოფილიყო, ხოლო შუშანიკის გარდაცვა-ლების წელს (ნ წლის შემდეგ) იგი უკვე მთავარ-ეპისკოპოსის („თა-ვი ეპისკოპოსიჳ“ ისე როგორც სიტყუჳ „ერის-თავი“ დჳ „ერის-მთავარი“) ღირსებით ყოფილა მოსიღი. ამაზე მეტი დასკვნის გა-მოტანჳ აღნიშნული ადგილიდან, ჩვენის ფიქრით, სინამდვილეს ძლიერ დავაშორებს, რადგან ეს იქნება „ცხოვრების“ კრიტიკულათ დაღ-გენიღის ტექსტიდან იმისი ამოკითხვჳ, რაც იქ არ არის. სამაგიე-როთ, ჩვენ მიერ წამოყენებუღი განმარტება ამ ადგილისჳ ნათელ ჰყოფს სჰკითხს თვით „ცხოვრების“ შედგენის თარიღის შესახებ.

¹⁰⁵) იხ. საეკლ. მუხეუმის ხელნაწერი № 170, გვ. 128, სვრელი მე-2, ბოლოდან სტრიქონი 3—5.—შეად. ხელნაწერი № 130, გვ. 182, სვრ. 1, ჰემოდან სტრიქონი 18—21 დჳ № 176, გვ. 214, სვრ 2, სტრ. 10—12.—ჩვენთის ღიღი მნიშვნელობჳ ექნებოღა იმავე მუხეუმის ხელნაწერს № 95, რომელიც მე-X საუუუნეშიჳ გაღწერიღი, მაგრამ სა-მწუხაროთ, ამ ხელნაწერს სწორეთ ის რვეული აკლია, სადაც აღნიშნული ადგილი უნდა ყოფილიყო.—შეად. „წ.-კ. საზოგ.“ ხელნაწერი № 3637.

¹⁰⁶) იხ. საეკლ. მუხ. ხელნაწ. № 95, გვ. 743, სვრ. 1, სტრ. 1—4; შეად. №№ 130, 170, 176; „სჰქართვ. სამოთხე“, გვ. 186: „ვა-იძულე ჰამაღი, რომელი მოედღენა სამოელს ეპისკოპოსსჳ დჳ იოჳნეს“.

სახელდობრ, ცხადია, „ცხოვრება“ იმ დროს არის შედგენილი, როცა სამოელი ჯერ კიდევ არ უოთილა ნაკურთხი კათალიკოსად, წინამდებებ შემთხვევაში, მოსალოდნელია, რომ ავტორი მას კათალიკოზობით მოიხსენიებდა, რადგან, როგორც ეტეობა, ავტორის სურვილია განადიდოს შუშანიკის სახელი, — და ამიტომ ამბობს, რომ უკანასკნელ დღეებში წმ. მონაქვე თვით ისეთმა სასულიერო პირმა ინახულა, როგორც სამოელ მთავარ-ეპისკოპოსი იყო *). როგორც მატინიდან და შატბერდული ქრონიკიდან ვტეობილობთ, სამოელი თანამედროვე იყო პეტრე I კათალიკოსისა, მხოლოდ მცხეთის საკათალიკოსო კათედრა მიიღო ამ უკანასკნელისა და ვანტანგის გარდაცვალების შემდეგ¹⁰⁷), ე. ი. ჩვენი ანგარიშის თანახმად, არა უადრეს მე-VI საუკუნის დასაწყისისა (503 წლის). მასსადაც შუშანიკის „ცხოვრება“ უნდა იყოს შედგენილი მე-1 საუკუნის დასასრულამდე. როგორც „ცხოვრებიდან“ სჩანს, მისი ავტორია შუშანიკის მოძღვარი „ხუტესი იაკობ“¹⁰⁸).

უოვლისავე თქმულის ძალით, ჩვენ მტკიცედ ვადგივართ იმ აზრს, რომ მცხეთის პირველი კათალიკოზი იყო პეტრე I-ლი და არა სამოელი, რომელმაც, მატინისა და შატბერდული ქრონიკის მოწმობით, კათედრა პეტრე I-ლის შემდეგ დაიჭირა.

20. როგორც მოსალოდნელი იყო, სათხოვრის დაკმაოთიღეუბამ დიდი მადლობა გამოიწვია ქართველებსა და მათს მეფეში ბიზანტიის მიმართ: ქართველების სიმზატია კვლავ „საბერძნეთისაკენ“ გადაინარა. ამას ხელი შეუწყო შემდეგმა გარემოებამაც: 497 წელს

*) შესაძლოა სამოელი იმ დროს, როცა შუშანიკი აწამეს, პერეთის (ალბანიის) ეპისკოპოსთა თავი, ე. ი. მთავარ-ეპისკოპოსი ყოფილიყოს, რადგან „ცხოვრებაში“ მოქმედება პერეთისა და ქართლის საზღვარზე სწარმოებს („საზღვართა ქართლისათა, ქვეყანასა მას პერეთისასა... დაბასა, რომელსა სახელი ერქვა ცურტაეთ“). იხ. საქ. სამოთხე, გვ. 182). პეტრე I-ლამდე კი ქართლში მთავარ-ეპისკოპოსად იყო მიქაელ (მარიამის ვარიანტი, გვ. 178; სამი ისტ. ქრონიკა, გვ. 28).

¹⁰⁷) მარიამ დედოფლის ვარიანტი „ქ.-ცხ.“, გვ. 186; „სამი ისტ. ქრონიკა“, გვ. 29—30.

¹⁰⁸) საქ. სამოთხე, გვ. 182, 183, 186 და სხვანი.

სპარსეთის მეფე კობადი სპარსელმა დიდებულებმა ტახტიდან ჩამოაგდეს და ციხეში ჩასვეს, სადაც იგი 499 წლამდე დარჩა¹⁰⁹). ამ არეულობის დროს, როგორც ეტყობა, ვახტანგს კვლავ გაუმტკიცებია კავშირი ბიზანტიასთან. სამწუხაროთ კობადის ბედი სულ სხვაგვარადაც დატრიალდა, სხედდობრ ცოლის მეტადინეობით, იგი განთავისუფლებულ იქნა და კვლავ დაიბრუნა სამეფო ტახტი. გამაგრდა თუ არა შერეულ ტახტზე, კობადმა 502 წელს შეჭვარა დიდძალი ჯარი და მიმართა ბიზანტიის იმპერიის საზღვრებს, შემოესია სომხეთს, გაძარცვა იგი და შუა ზამთარში ალყა შემოარტყა შუამდინარის ქალაქს ამიდან¹¹⁰). ჩვენი წყაროებით, სპარსეთის მბრძანებელმა ვახტანგს მოსთხოვა, სპარსეთის მხარე დაეჭირა, მაგრამ, რადგან უარი მიიღო, თავის დაშქრის ერთი ნაწილი საქართველოს საზღვრებს შემოუსია. ამ ჯარს შეეგება ვახტანგი, მაგრამ ომში დაიჭრა და გარდაიცვალა¹¹¹), როგორც ზემოთ გავარკვეეთ, 503 წელს. სპარსეთისა და ბიზანტიის ომი კი დათავდა 504 წელს, შვიდი წლის ხანით.

ასე დასრულდა ვახტანგ I-ლის ხანგრძლივი და მღელვარებით აღსავსე მეფობა. ამას შემდეგ სპარსელები უფრო გაძლიერდნენ საქართველოს ტერიტორიაზე. მაგრამ ამის შესახებ—სხვა დროს¹¹²).

ს. გორგაძე.

¹⁰⁹) Justi—Herrschaft der Sassaniden, გვ. 531—532 (=ივ. ჯავახიშვილი—ქართველ ერის ისტორია, გვ. 146).

¹¹⁰) Прокопія Кесарійскаго—Ист. войнъ римлянъ съ персами... Перев. Дестуниса, т. I. стр. 31—45, სადაც ეს ომი ვრცლათ არის აწერილი.

¹¹¹) მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 180—185. ომის წინ ვახტანგი თფილისის ქალაქს ამაგრებდა, რომელიც მისმა მემკვიდრემ უკვე სატახტო ქალაქად გამოაცხადა (იქვე გვ. 186), რაც ჩვენის ანგარიშით უნდა მომხდარიყო 503 წლის მახლობლათ.

¹¹²) ამ წერილის მე-7—20 მუხლები წაკითხულია საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საზოგადო კრებაზე 1910 წელს, მარტის 4-ს. იხ. ოქმი № 31.

მოკლე მანხილვა სვანური მრამატიკისა.

სვანურის ენის ხმების გამოსახატავათ საჭიროა ეხლანდელს ქართულს ანბანს მიემატოს: რბილი „წ“, მაგარი „ჭ“, ნახევარ ხმოვანი „ც“, რომელიც ანტონ კათალიკოზმა უკვე შემოიღო თავის გრამატიკაში, და მოკლე „ა“. ამათ მაგიერ სხვა ასრების ხმარება სვანურში სრულიად სცვლის სიტყვის მნიშვნელობას, რასაც ქვემოთ მოყვანილ მაგალითებიდგან ცხადათ დავინახავთ.

ზემოთ ჩამოთვლილი ასრები სვანურის ეოველ სიტყვის ნაწილში გვხვდება.

რ ბ ი ლ ი წ :

მაღატ—სიუვარული, სახ. არსებითი.	წმჟირე—დამისველა.
მაღწტ—მიუვარს, ზირველი ზირი.	ამწიჭე—დამხატიჟა.
მაკათე—ხამება, ნდამა.	წმწიჭე—დამიხატიჟა.
მაკწთ - მხამს, მწადს.	სკამ—უარი.
ამდაგრა—მომკდომია.	სკწმ—სკამი.
წმდაგრა—მომიკლავს.	ამბწრ—დამბანა.
ამჟირე—დამასველა.	წმბწრ—მომაკლდა.

ხმა (ასო) „ე“.

ეს ხმა ხანდისხან ერთსა და იმავე სიტყვაში ორჯერ და სამჯერ გვხვდება. მაგალ. სხვადასხვა ადგილას:

ბერგენენ—ბრკა-ბრუგი.	ისუი—იკეთებს.
მეწენ—საჭირება.	ეგემ—დგამს.
ენსი—ჩქარი.	იგემ—იდგამს.
ესუი—აკეთებს.	ლაღქემედ—მივუმატოთ (ეხლა).

ლაქქიმედ—მივეუშტებთ (შემდეგ).
 ალბურედ*)—მოვაკლოთ.
 ალბირედ—მოვაკლებთ.
 ლიბეულე—გაბურვავ.
 ლიბეულე—გაბერილი.
 ლიფეეთე—განჩხლება.
 ლიფეეთე—ანჩხლი.

ლიფხააღდე—გაბნევა.
 ლიფხააღდე—გაბნეული.
 უსკეღა—უტეგნელი.
 მიკლი—მიკლია.
 მკელი—კოჭლი.
 მიი—წამიღებს რამეს.
 მეი—წამლები.

ხმა Ⴞ უოველ სიტუვის ნაწილში გვხვდება. იგი იმდენად მაგარია ჩვეულებრივ ასო ხარზე, რამდენადაც ეს უკანასკნელი ასო ხანზე თანამედროვე მწერლობაში. მაგ ხმების ერთი-მეორის ნაცვლად ხმარება სვანურში სიტუვის მნიშვნელობას სცვლის. მაგალ.:

ჰჰნ—ხარი. ლიხნი—მიშეება.
 ხჰნ—ხანი, დრო. ლიჰერჰჰლ—ვედრება, ხეჰნა.
 ლიჰნი—ხენა. ლიხერჰლ—გადაკიდება, გაჯავრება.

ხმა ა აუტილებულია სვანურში; თუ იგი თავის ადგილას არ არის ნახმარი, მნიშვნელობა სიტუვისა იცვლება. მაგალ.:

ხვიირი—ვიქნები.
 ხვიირი—ვიწერები.
 ხვაი—მიმაქვს.
 ხვაა—ბევრი და სხვ.

სვანურში სიტუვა ბოლოვდება ხმოვან ან უხმო ასოთი. როცა სიტუვა ხმოვანით თავდება და მისი მომდევნო სიტუვაც ხმოვანითვე იწყება, მაშინ ჰირველი ხმოვანი ჰქრება, იკარგება. მაგალ.:

1. მ' ესდერი შვანთე (ნაცვლად მი ესდერი).
2. აჰუ' ანსჰ ღერთემ (ნაცვლად აჰუი ანსახ).
3. მ' რჰან (ნაცვლად მი რჰან).
4. მ' ვხელაშ (ნაცვლად მი ახელაშ).
5. მ' რთღირ (მი რთღირ).
6. ს' ახესე (სი ახესე).
7. ს' ათხჰ (სი ათხა).

*) ალბურედ რომ დავსწეროთ გამოვა „დავაზნელეთ“.

8. ს' ოთმზზირ (სი ოთმზზირ).

9. ს' ათესუ (სი ათესუ¹⁾).

მ' ამეჩუ მარ' ოტურ, სრული ფორმა იქნება: მი ამეჩუ მარე ოტურ. მე აქ კაცი დავტოვე²⁾. ამ მაგალითში გამოშვებულია ნაცვალ სახელის დაბოლოება „ი“ და კაცის—მარე—დაბოლოება „ე“. აქ სვანურს ენაში იგივე კანონია, რაც ბერძნულში ესრეთ წოდებული „ელიზია“.

სვანურში ზოგიერთ სიტყვებში ისმის ურუ ენი „ქ“, რომელიც უდრის ფრანგულ eu; იგი იხმარება მაგალ. სიტყვებში:

ლეშ—ლოში,

ლეშ—ლორი და სხვ.

სვანურში გრამატიკული სქესი არ არის, ბრუნვები კი არის:

- ბრუნვები. სახელობითი 1.
- სახელობითი 2.
- ნათესაობითი
- მიცემითი
- მოქმედებითი

მიცემით ბრუნვად უნდა ჩაითვალოს დაბოლოებანი „დ“, „თე“ და „მუჟე“. მაგალ.: ახად ქუთაშშდ, წავიდა ქუთაისსად³⁾, — ქუთაშშთე — ქუთაისისკე. — ქუთაშშმუჟე — ქუთაისსამდე, (შიგ არ შესულა ქუთაისში).

წოდებით ბრუნვას, თუ არ აზრით, ფორმით ვერ განასხვავებ სახელობით ბრუნვისაგან მოქმედებითი ბრუნვაც თითქმის დღემდე ვერ გამაგრებულა თავის ფორმაში, ისე რუგვანია.

ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოება არის „ი“⁴⁾, „ა“, „შ“, „იშ“, „ეშ“, და „ნ“. ეს უკანასკნელი მაშინ იხმარება, როცა თანდებული „ქა“, ესე იგი გარდა, გვხვდება. მაგალითები:

1) მე მივიღივარ სვანეთში; 2) ასე გააჩინა ღმერთმა; 3) მე მოვხანი; 4) მე დავთესე; 5) მე დავსწერე; 6) შენ გააკეთე; 7) შენ წაიღე; 8) შენ დალოცე; 9) შენ გაარიგე

2) ერვ(ი) ეშდ, სე მეშდ. ოცი, ოც და ათი.

3) ძველ მწერლობაში ხმარობდნენ: კაპერანუშმად, იერუსალიმად, ქუთაისად და სხვ.

4) მადშიდნა, დიდნა, სუმნა, ნაწიფნა, ბემნა, ეს დაბოლოება როცა სახელ. ბრუნვას რბილი წ აქვს: დოქწწუ, მაქწწუნუ

კარვა—კარვანში, ხის ჭურჭელია.
 მარე—მარეში, კატის.
 მათე—მათეში, მათესი.
 მანო—მანეში, მანოსი—სახელია.
 დიარენ*)-ქა—პურის გარდა.

მიცემითი ბრუნვის ჩვეულებრივი დაბოლოება არის ს, თუმცა სხვა ასოებიც გხვდება. მაგალითად:

კარვას—ხის ჭურჭელს.
 მარა—(ს)—კატს.
 მათეს—მათეს.
 თეს—თვალს.
 თაუს—ჯოხს.

მეორე სახელობითი ბრუნვის დაბოლოებანი არიან „მ“ და „დ“.
 მაგალითად:

მარემ—კანმა.
 დომდულდ—მთვარემ.

მოქმედებითი ბრუნვა ბოლოვდება მკ ან შ, მაგალითად:

ჰანშე—ხარია.
 მერნილშე—ცელით.
 ჩანკშე—ცხენით.
 შიეშ—ხელით.
 ჭეშხეშ—თეხით.

რ ი ც ხ ვ ა. რიცხვი სვანურში სამია:

მხოლოდობითი, ორობითი და მრავლობითი.

ორობითი რიცხვი ბოლოვდება ასო ა-ნზე, მაგალითად:

ლახება—ძმები (ორი).
 ლავდილა—დეები (ორი).
 ლაჩვა—სიძეები (ორი).

ამ რიცხვის სიტყვები იბრუნვიან მხოლოდობით რიცხვში.

*) ზოგიერთი ზმნა და თანდებული თხოულობს მოქმედებით ბრუნვაში დაბოლოებას ასო „ნ“-ზე: ურჯული სვაპინ გოშია. მარან-ქა, თხვი-მუნ-ქა, ლეჯან-ქა, ლითინ-ქა, გვიშგენ-ქა, ქაიშუნ-ქა, ჭყვიარენ-ქა.

სვანური ენა მრავლობით რიცხვში იღებს დაბოლოებას ლ, რ, ა, უ და ე. ეს უკანასკნელი სამი დაბოლოება არც ერთს ავტორს, რომელთაც სვანურზე რაიმე უწერიათ, არა აქვთ ნახსენები.

- მაგალითები: მარწწლ—კაცები.
 დაშწწლ—დაშნები.
 ლახვბწწლ—მძები.
 ლაფდეღწწლ—ღები.
 მეკმწრ—ხეები.
 ლაღრარ - წიგნები.
 ღვაჟწრ—ვაჟები.
 ზურაღწრ—ქალები.

- ა. მეჭმა—მთიბავნი. მეღღლა—მწეუმსები.
 მეთა—მკეღნი. მეჯგვა—მეჯგვეები.
 მეწნა—მხვნეღნი. მეთხვარა—მონადირენი.
 მექჩა—შეშის მჭრეღნი. მეზქა—შეშის მამტანი.
 მეღცა—წყლის მზიდვეღნი. მებერვა—შებარკენი.
 მექვთააშა.
 მერჭა—
 მეზნა—
 მეზვნა—

ვინც წასულიყვნენ ქუთაისს, რაჭას, სამეგრელოს და ხონს სავაჭროთ, ან რამეთ.

- უ. ლღეგწწლუ — მანდიღოსნები
 ძასსგარუ — მოძულენი
 მალტარუ — მოყვარულნი.
 ლღღკარუ — მკვდრები.
 ლუქჩუ — დაჭრიღნი.
 მამზარუ — მამღრები.
 მადარუ — მშივრები.
 მათნარუ — მწეურვალები.
 ე. (ყიბეში) რუჩეგინარუ *) — ზემოთი რუჩეგინები.
 ლუქმაღუ — დამხრჩვალნი.
 (უშგუღას მანუ) ღვაჟარუ — ახლგაზრდა ვაჟკაცნი.

*) დაბოლოება ე გეხვდება ხალხურ სიმღერებში.

სვანურში არის განდიდებითი და კნინობითი სახელები. მაგალ.:

განდიდებითი:	კნინობითი:
ნაღწურა—დიდი დევი.	მარალ—კაცუნია.
ნაწნურა—დიდი ხარი.	დაშდულდ—დათუნია.
ნათურა—დიდი ფური.	რწკულდ—პატარა უურდკელი.
ნადუშურა—დიდი ჯიხვი.	ციცულდ—ციცუნია.
მურყვამა—დიდი კოშკი.	წელთოდ—ვირიკელა.

ნ ა ც ვ ა ლ - ს ა ხ ე ლ ი :

პირიფნებითი:	მი—მე.	ნა—ჩვენ.
	სი—შენ.	სგა—თქვენ.
	ეჯი, აჯა*)—იგი, ის.	ეჯიარ—ისინი.
კუთნილებითი:	მიშკვი—ჩემი.	ნიშკვი—ჩვენი.
	ისკვი—შენი.	ისკვი—თქვენი.
	ეჩიშ—მისი.	ეჯიარეშ—იმათი
კითხვითი:	მარ—ვინ?	
	მვა—რა?	

განუსაზღვრელი: ერვალე—რომელიდაც.
ხედავალე— —

თ ვ ი ს ე ბ ი თ ი ს ა ხ ე ლ ი :

თვისებითი სახელს აქვს შედარებითი და აღმატებითი ხარისხები. შედარებითი ხარისხისათვის საჭიროა თავში მიემატოს თვისებითი სახელს მარცვალი „ხო“, აღმატებით ხარისხისათვის „მა“. მაგალითად:

თვეთე—თეთრი.
ხოთთევა—უფრო თეთრი.
მათთევა—უუთეთრესი.
კელთხი—მადლი.
ხოკლათხა—უმადლესი.
მაკლათხე—უუმადლესი, ძლიერ მადლი.

*) გურული: ეგი, აგი.

მუსტინ—მწარე.

ხომსტუნა — უმწარესი.

მამსტუნე—უუმწარესი.

ადმატებითი ხარისხი აწერილობითაც კეთდება, მაგალითად: ჩინ ხომა თვეთნე—ყველაზე უფრო თეთრი; ხომა წერნი—უფრო წითელი; გუნ, ღაიდ, ჰუნდურდ წერნი—ძლიან, ერთობ წითელი; ჩინ-მანენე—ყველაზე უკეთესი.

ბრუნვებში თავისუბითი სახელი ეთანხმება სახელ ანსუბითს.

რ ი ც ხ ვ ი თ ი ს ა ხ ე ლ ი :

სვანური თვალს ათამდე ქართულს უდრის, შემდეგ კი განსხვავებულია. მაგალ.:

ემდეშხვი—ათ-ერთი 11.

ემდერვი—ათ-ორი 12.

ემდუსგვა—ათ-ექვსი 16.

ერგემდ—ორიათი 20.

ერგემდ ი ოხვიმდ—ორი ათი და ხუთი 25.

სემემდ—სამი ათი 30.

იშგვიდემდ—შვიდი ათი 70.

ხხარანშდ ი ხხარა—ცხრა ათი და ცხრა 99.

აშირ—ასი 100.

სამეგრელოსთან დაახლოებულ სვანეთში ოცამდე ისრე სთვლიან, რაკარც ზემოთ არის ნახვენები, ხოლო შემდეგ კი ცვლილება არის და უახლოვდება ქართულ-მეგრულ თვლას. მაგალითად:

ერგემდ ი ემდ—ოცი და ათი

ერგემდ ი ემდოხვიმდ—ოცი და თუთხმეტი.

ურინ ერგემდ—ორჯულ ოცი 40.

სემ ერგემდ ი ემდ იშგვიდ—სამჯერ ოცი და ათ-შვიდი 77.

ოშთხვინ—ერგემდ ი ემდ—ოთხჯერ ოცი და ათი 90.

რიგითი რიცხვითი სახელი იხმარება ათამდე, მერმე აღარა.

მაგალითად: მერმე—მეორე.

მესმე—მესამე.

მეშთხვე—მეოთხე.

მეგრე—მერვე.

მეგრე—მეტრე.

მეგრე—მეტე.

ზ მ ნ ა.

სვანურში ეველა ნაწილებზე ძნელი გამოსარკვევია ზმნა. მისი ზედმიწევნით შესწავლა და გამოკვლევება, დარწმუნებული ვარ, ცვლილებას მოახდენს ქართულს გრამატიკაში. აქ მარტო მის უმთავრეს კანონებს შევეხები.

სვანურში არის საზღვრებითი, ნატვრითი, განუსაზღვრელი, სათუო, ბრძანებითი და დაწეებითი კილო; ექვსი დრო: აწმუო, სამი წარსული და ორი მომავალი. დაწეებით კილოში სჩანს ერთ გზისი და მრავალ გზისი სახე. შემწეობით ზმნას აქვს დრო და კილო.

მაგალ. ღირე—განუსაზღვრელი.

praes.

- | | |
|--------------------|-----------------------|
| 1) ხვი—ვარ (ecmb). | 1) ხვიდ, ღვიდ — ვართ. |
| 2) ხი—ხარ. | 2) ხიდ — ხართ. |
| 3) ღვი—არის. | 3) ღვიხ — არიან. |

Imperf.

- | | |
|-----------------|-----------------------|
| 1) ხვწს—ვიყავი. | ხვწსდ, ღვწსდ—ვიყავით. |
| 2) ხწს—იყავი. | ხწსდ—იყავით. |
| 3) ღწს—იყო. | ღწსხ—იყვენ. |

fut. I.

- | | |
|--------------------|----------------------------|
| 1) ხვიირი—ვიქნები. | ხვიირიდ, ღვიირიდ—ვიქნებით. |
| 2) ხირი—იქნები. | ხირიდ—იქნებით. |
| 3) იირი—იქნება. | იირიხ—იქნებიან. |

Imperat.

- | | |
|-------------|--------------|
| ხწს—იყავ. | ხწსდ—იყავით. |
| ღესეს—იყოს. | ღესესხ—იყონ. |

ს ა თ უ ო კ ი ლ ო .

- 1) ხვირეულ—ვიქნებოდი. ხვირეულდ, ლირეულდ,
- 2) ხირეულ—იქნებოდი. ხირეულდ,
- 3) ირეულ—იქნებოდა. ირეულხ.

ნატვრითი კილოსთავის საჭიროთა მიუმატოს ნაწილაკი ვ ან უვ უოვეულ ზევეით მოუვანილ დროთა ჰირებს.

ლ ი რ დ ე .

ღმნა ლირდე—უოთა, არსებობა.

praes.

- | | |
|------------|----------------|
| ხვწრი—ვარ. | ხვწრიდ, ლწრიდ, |
| ხწრი ხარ. | ხწრიდ ხართ. |
| წრი—არის. | წრიხ—არიახ. |

Imperf.

- 1) ხვარდას—ვიყავი. ხვარდად, ლარდად.
- 2) ხარდას—იყავ.
- 3) არდა - იყო. არდახ.

plusquamperf.

- 1) მიჩდწწ ვუოთილვარ. გვიჩდწწ(ნი).
- 2) ჭვიჩდწწ უოთილხარ. ჭვიჩდწწხ.
- 3) ხოჩდწწ უოთილა. ხოჩდწწხ.

perf.

- 1) ლუმარდ ხვი—ვუოთილვარ.
- 2) ლუმარდ ხი—უოთილხარ.
- 3) ლუმარდ ლი—უოთილა ის.

fut I.

- 1) ხვირდი—ვიქნები. ხვირდიდ, (ღირდიდ).
- 2) ხირდი . იქნები. ხირდიდ.
- 3) ირდი—იქნება. ირდიხ.

Imperat.

ხარდა(ს).	სარდად—იუავით.
არდეს—იუოს.	არდეს—იუონ.

მიმთხვრის ზმნისა ლიქმე, ლიქმწწლი.

- | | |
|---------------------|---------------------|
| 1) ხვარქმე—ვთიბავ. | ხვარქმედ (ლარქმედ). |
| 2) ხვარქმე—სთიბავ. | ხვარქმედ. |
| 3) ხვარქმე—სთიბავს. | ხვარქმეს. |

Imperf.

- | | |
|------------------------|------------|
| 1) ხვარქმწწს—ვთიბავდი. | ხვარქმწად. |
| 2) ხვარქმწს—სთიბავდი. | ხვარქმწად. |
| 3) ხვარქმწა—სთიბავდა. | ხვარქმწას. |

plusquamperfect.

- | | |
|-----------------------|-------------|
| 1) მიქმწწწს—მითიბავს. | მიქმწწწსწს. |
| 2) მიქმწწწს—გითიბავს. | მიქმწწწსწს. |
| 3) ხოქმწწწს—უთიბავს. | ხოქმწწწსწს. |

fut. I.

- | | |
|----------------|--------------------------|
| 1) ხვარქმუნნი. | ხვარქმუნნიდ, ლარქმუნნიდ. |
| 2) ხვარქმუნნი. | ხვარქმუნნიდ. |
| 3) ხვარქმუნნი. | ხვარქმუნნის. |

fut. II.

- | | |
|----------------------|--------------------|
| 1) ლთქემი—მოვთიბავ. | ლთქემიდ, ლარქემიდ. |
| 2) ლთქემი—მოთიბავ. | ლთქემიდ. |
| 3) ლარქემი—მოთიბავს. | ლარქემის. |

ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ი .

ლთქემ—მოთიბე.	ლთქემედ.
ლარქემას.	ლარქემას.

ნ ა ტ ვ რ ი თ ი .

praes.

- 1) ხვარქმე ვ—ნეტავ ვთიბავდე.

Imperf.

1) ხვაჭმას უგ--ნეტავ შეთიბა.

plusquamperf.

1, მიჭმუნ. უგ--ნეტავ გეთიბა.

fut. II.

ოთჭემ უგ--ნეტავ დაფთიბო.

praes.

დიჭმუნლი.

- 1) ხვაჭმალდი - ფთიბავ ბეგრჯერ. ხვაჭმალდი, ლაჭ.
- 2) ხაჭმალდი—სთიბავ — ხაჭმალდი.
- 3) აჭმალდი—სთიბავს — აჭმალდის.

Imperf.

- 1) ხვაჭმალდას—ფთიბავდი ბეგრჯერ. ხვაჭმალდად.
- 2) ხაჭმალდას — სთიბავდი. ხაჭმალდად.
- 3) აჭმალდა—სთიბავდა. აჭმალდას.

plusquamperfect.

- 1) მიჭმალა(ან) შითიბავს. ნიჭმალან, გვიჭმალან.
- 2) ჯიჭმალა(ან) გითიბავს. ჯიჭმალან.
- 3) ხოჭმალა(ან)—უთიბავს. ხოჭმალანს.

perf.

- 1) ოთჭამუნლ — დაფთიბე. ოთჭამალედ, აღჭამალედ.
- 2) ათჭამუნლ—დათიბე. ათჭამალედ.
- 3) აღჭამუნლე — დათიბა. აღჭამალენ.

fut I.

- 1) ოთჭამალდი. ოთჭამალდიდ.
- 2) ათჭამალდი. ათჭამალდიდ.
- 3) აღჭამალდი. აღჭამალდის.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. სვანური ფმნები შეიძლება კაცმა ცაჭუოს ოთხ წებად.

1 წებბ. ამ წებბს ეკუთვნის ფმნანი, რომელთა მიმცხრის

დროს მხოლ. რიცხვის მესამე ზირში ჩნდება ხმა „ღ“, მაგალ.: ცსუი¹⁾, ზთრე²⁾, ღრში³⁾.

2 წეება. ამ წეებაში მიმოხრის დროს ორივე რიცხვში რჩება ის ხმა, რომელიც დგას განმაპიროვნებელ ხმის შემდეგ მხოლ. რიცხვის ზირველ ზირში. მაგალ.: ხვამდა; ხვათრე; ხვიზი და სხვანი.

3 წეება. სრულიად არ იხრებიან მხოლოდობით რიცხვში, მაგალითად: ფიტე, ხოსგდი, ფიშკე, შენაფე, შუული, ტუული, კანკიე და სხვანი.

4 წეება. მეორე და მესამე ზირს მხოლოდობ. რიცხვში ერთი და იგივე დაბოლოება აქვს. მაგალ.: სი ღერი, ეჭა ღერი.

სვანურში არიან ისეთი ზმნები, რომელთა მნიშვნელობა ქართულათა ზირდაპირ არ გადაითარგმნება. მაგალ.: მარ ქართულად ითარგმნება სხვადსხვანაირად: უნდა, ყოფილა, შეიძლება; უფრო კი მის შინაარსს გამოხატავს რუსული „НАДЕЖАТЬ“. მაგალ.: მი მარ ქორლეტეში—მე უნდა სახლი ავაშენო. მი დეშ მარ ლანდ—მე ვერ მუფენის საზრდო. ათხონას შვანს ხოლამდ ხარ—ამ დროს სვანეთს გლახათ, ცუდათ აქვს (საქმე).

ზ მ ნ ი ს ზ ე დ ა .

ეს სიტყვის ნაწილი უგელაზე უფრო ახლო დარჩენილა ქართულთან დაბოლოების მიხედვით, მაგალ., თვეთნად, მეშხად⁴⁾, უდგარად—უგვდავად, წერნიდ—წითლად და სხვ.

კ ა ვ შ ი რ ი .

კავშირად იხმარებიან ი და დე, რომელიც უდრიან ქართულ „და“-ს და ც-ს, ამას გარდა „დე“ უდრის კიდევ ქართულს არც-ს მაგალ., რაჭ ი ლწხუმი აღცუელინ, რაჭა და ლეჩხუმი წაჩხუბუ-ლან. დე ღვეარ ხვი, დე ღვდგარ—არც ცოცხალი ვარ და არც მკვდარი.

1) ცსუი—აკეთებს. 2) ზთრე—სვამს 3) ღრში—აგებს. 4) მეშხად—შავად.

დასასრულ აღვნიშნავ განსხვავებას ქართულისა და სვანურის გრამატიკის კანონებში, რომელიც შევამჩნიე ჩემი გამოკვლევის დროს.

- 1) ქართულში არ იხმარებიან რბილი წ, ჳ, მაგარი ჭ.
- 2) შემწეობით ზმნას უფრო ვრცლად შეუნახავს თავისი ფორმები სვანურში, ვინემ ქართულში.
- 3) სვანურში ცხადად სჩანს pl. quamperfect. და ორი დრო მომავალში, ქართულში კი არა.
- 4) სვანურში ნატურითი კილოს თავისი მაჩვენებელი ნაწილაკი აქვს „უგ“*), როგორც ბერძნულში „αυ“, ქართულში კი არა.
- 5) სვანურში არის ესრედ წოდებული „ელიზია“.
- 6) სვანურში არის რუსული „дѣйричаствіе“-ს მსგავსი ფორმა, ქართულში კი არა, მაგალ.: ლაყურუმ ხვაცგენი, лежиа раз-казываю, ლასგურუმ ხვადრი—судя пишу, ლახუმ ხვიცნაალ—иди смѣюсь.
- 7) სვანურში არის ისეთი ზმნის მიმოხრის ფორმა, რომელიც ქართულში არ გვხვდება და არც პირდაპირ გადაითარგმნება, მაგალითად: მამბერ—არა მსურს, მეცოდები, რომ მოგაკალო. მამუნენე—მსურს გაჭმო, მახალაღენე—მსურს სიარული. თუმცა სიტყვა მსურს სვანურად არის მაკუ.
- 8) ზიწველი ზირი ნაცვალ სახელთა მრავლობითი რიცხვისა სვანურში ორნაირია: ხვარიდ, ლაირიდ, ეს ქართულში არ არის.
- 9) სვანურ გახუსაზღვრელ კილოში სჩანს მრავალგზითი და ერთგზითი სახე ზმნისა, მაგალ.: ლიჭმინე¹⁾, ლიჭმინიელი²⁾, ლიტრე³⁾, ლიტრრაალი⁴⁾, ეს ქართულში არ არის.
- 10) სვანურ ზმნაში გამოიხატება ცოტა მოქმედებაც და ამისათვის აქვს საკუთარი ფორმა, მაგალითად ხვამმალი—ვმუშაობ ცოტათი, ხვათაალი—ცოტათი ვმკი, ხვაჭმააღდას—ცოტათი ვთიბავდი, ხვაფცხააღნი—ცოტათი დაფუარცხავ და სხვ.

*) შეიძლება შემოკლებული ნეტა - ვარსეს.

1) ლიჭმინე—ხვეტა. 2) ლიჭმინიელი—ბევრჯელ ხვეტა. 3) ლიტრე—ანთება. 4) ლიტრრაალი—ბევრჯელ ანთება.

11) სვანურში არის ესრეთ წოდებული **увеличительныя и уменьшительныя имена**, ქართულში არა.

12) უარყოფითი უ სვანურში სიტყვის ბოლოშიაც გვხვდება.

თავისუფალი სვანი.

სვანური ანდაზები და ზაზოცანები

(თავისუფალი სვანის შეკრებილი)

ა ნ დ ა ზ ე ბ ი

1) აშირ მუშნავიშდ ვშხე მუხვრ(ა) ოხსწრა—ას მშენებელს (თურ-მე) ერთმა მრღვეველმა აჯობა.

2) თანწდ თანადს დემ ხეხვა, მარე მარა აადუ—მთა მთას არ შეხვდება, კაცი კაცს კი.

3) საყდრი მუშნავიდ შიწრ ოთჟკორახს საყდრის ამშენებლის-თვის ხელები მოუჭრიათ.

4) მუგვს ნამურთაღაისგა ნისკანტ ათჟვიცხ—მტრედს სიმარ-თლისათვის(?) ნისკარტი მოსჭრეს.

5) მასდ ძუდვათე აღსენელი, ქწმ(ა) ესერ ხეერი—მელაის ზღვა-ში ჩაუთსამს, მომატება ექნებაო.

6) ქორა მეკვშანდო, უორარ ესერ ერეეს ოთცეუნაღა—სახლის გატების მერე კარები ვითომ ვიღაცას დაუგეტია.

7) ლათწმედისგა ბახს ლუვარდ ლიშთხე(ი) ოთბინა—ქებაში მღვდელს ცოცხლად დამარხვა დაუწეია.

8) კვწოლ ლაქმათე ამხედლი, ტუფ ეჩე ოთცვირა—შატარა კვერნა მოსატებად წასულა, ტყავი იქ დაუტოვებია.

9) ერსკწნს, მა ტვიბს ვა აღთწნელი, აჯ ტვიბს დავრ(ა) ოხ-ცხწანა¹)—არჩეს, რა ხეობაშიაც დაბადებულა, იმ ხეობაში სიკვდილი აურჩევია.

ზმნა პირდაპირ არ ითარგმნება.

10) ღაგრა სურ შაჟ ქამელი ხონა—სიჟუდიღს გარდა უგელა კამოლუელი სჯობია (კარგია).

11) ერვი თხებში მეკვეშე უშხვან ხინილდას—ერი თავ გატეხილი ერთურთს შესჩიოდა.

12) ღამთილი უგელა ხაჟს(წ), ერე მითლა ღი—სამთილო იმიტომ ქუჭია, რამ ვიწროა¹⁾.

13) მადლაჟელი ღუღუღ დას ხომა—შემშდიღისათვის ძაღლის ხორცი არავის უჭმია.

14) შგვირ ხნკვბას ხომკურ—სირცხვილი შუბლს რცხენია.

15) შგვირ ი ჟახე ივას ღემწან ღი—სირცხვილი და სხელი კვადამ²⁾ უთფილა.

16) ხოლეში ი ხონი მიტანდ (მეტხნად) მარე³⁾ ხაკუ—ავის და კარგის შემტეობად კაცი უნდა.

17) ქონს ხონა ჟელ-ი ღემ ვწფე—სახლში კარგი ძაღლიც არ იკბინება.

18) ღგელიქ ესერ დაჯღეს ღახგანა მატუი ღამგომღ—ცხვარი თურმე თხას შიადგა მატულის სათხოვრად.

19) ღიღმანხვში ღემ მხაკურ, ღიღმანწე ადგატე—მტრობით ვერა რა უქნა, მოკეთობით დაღუბა⁴⁾.

20) ჩიმი ნამკახუნ იქვი—უგელაზე რამე სასარკებლო ითქმის.

21) ღირღეს ნაურდი ხონა—უთფას უეთფობა სჯობია (შირღანირ—კარგია).

22) თემიშ ესერ კვამს ოხვაქვისგნა, გვიმიში ჭწრწეს—თვალს თურმე კვამღმა ათქმეენა, გუღს არაჟმა.

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

1) მწ ზუმს ხაჯღე, ეჯ ზუმს ამშე—რა ზომს დაარტყამ, იმ ზომს მუშაობს. (სატესი).

¹⁾ ლითლე—მოპირება, მითლა—ვიწროობა.

²⁾ „ივას“ ან ივა—ადამუნლო ნიშნავს დასაბამითგან. პირდაპირ ღვა-ადამიღგან.

³⁾ აღბაცე პირდაპირ ნიშნავს—გადახარა.

⁴⁾ ამ სიტყვაში „ა“ გძლად გამოითქმის.

2) ვოთშის ღახებწლ ღიხ, მაგ ამჟუხ, ჰამამ ამჟუ გარ ხაარ (მეშკილ, გაზ, კვართხ, ქვალბ). — ოთხნი ძმანი არიან, უგელანი მუშაობენ, მდღობა მარტო ერთს „აქეს“¹⁾ (მჭედელი, გაზი, კვერი, გრდელი).

3) ეშდესგვა ღახებლ ღიხ, ეს ხოჩმად ხაარხ, ეს ხოლამდ, ჩიგარ იშწლხ (შდქწრ) — თექვსმეტნი ძმანი არიან, ხან კარგად აქვთ, ხან გლახათ, ყოველთვის იბრძვიან (კბილები). (ზმნა „იშწლხ“ ხელჩართულ ბრძოლას ნიშნავს).

4) გვიშგვე მდღლატის ღუქწწლდ ი ღაფაშგვედ (თვეუ) — ჩვენს მდღლატეს ვკოტნით და ხელს უსობთ (თოფი). (ზმნა „ღაფაშგვე“ ზირდაზირ არ ითარგმნება).

5) ათას დარჯუ ხოტო ყოტყი, დე ისკა ღიძის წრ ხეჭვდიელ, დე ქა (ღიძის) (გარჯ ი უღმშწრ) — ათასი დარჯუ უყენია კარზე, არც შიგ შესვლას ვინმე ჰკითხავს, არც გარე (გამოსვლას) (ხას და უღვაშები).

6) ამჟუ ნაპუს მიჩა დვრეუდ ჰე ჩუ ღახშხვინნე, ამირ ნაპუ ხეუსი (ღვტრე) — ერთ ღუკმას მის დრომდე თუ შეინახავ, ასი ღუკმას გამოფა (კვერცხი).

7) ამ გვწრ ხოლა მა ირი, ამჟუ ღადელ ქვეყანას თხუმ ხაკუჭუნე (დაკრა) — რა გვარ გლახა უნდა იქმნეს, ერთ დღეს ქვეყანას თავს შუატუობინებს (სიკვდილი).

8) ღდღვწრ ღი, ხაუა ერვი, ქვეყანას ასწლვე — მკვდარია, ჰუვას ორი, ქვეყანას არჩენს — ჰკვებავს (უღელი და ორი ხარი).

9) ძირ ზესუი, ნესგაქა ფური, კაცხ მუღვე (აღაბ, ღინწწლ, თანაფ) — ძირი ნუღლი, შუა ხმელი, წვერო ჰუვავის (აღება, დიდი მარხვა, ადღკომა).

¹⁾ სვანური „ხაარ“ თლათ „აქეს“ არ ნიშნავს, მაგრამ სხვა შესაფერი სიტყვა ვერ ვიპოვე.

ამილახვართა საგვარეულოს ისტორიული გუჯრები.

(ვუძღვნი თავ. გიორგი ოთარის ძე ამილახვარს).

I

თამარ მეუის შემდეგ (1212 წ.) აზიის ჩრდილოეთ მხარეს გაძლიერდა მონგოლთა სახელგანთავსი მბრძანებელი ჩინგიზ ხანი და ოცობადე წლის განმავლობაში მთელი აზია დაიმორჩილა. რუსეთი და მალაზხეთიც კი ვერ გადურჩნენ მისს ბატონობას. მაგრამ ასი წელიწადიც არ გასულა რომ ჩინგიზის უზარმაზარი სამეფო დაუძღურდა ისევ უცხო, როგორც გაძლიერდა, რაკი მისს შემკვიდრეებს შუღლი გამოეკრიათ. 1336 წ. დაიბადა თემურლანგი, 1366 წ. გამეფდა და თავის საცხოვრებელ სატახტო ქალაქად სამარყანდი აირჩია. აქედგან იწყო ზედი-ზედ ლაშქრობა სხვა-და-სხვა მხარეს და რამდენიმე წლის შემდეგ არამც თუ თავის ჰაზის სამეფო აღადგინა, ჰირიქით, გაცილებით გადააჭარბა. ჩინეთის დიდი კედლიდგან ხმელთა შუა ზღვამდე ევლას ქვეყნები დაიმორჩილა: ეგვიპტე, ინდოეთი, სპარსეთი, რუსეთი და სხ. ერთიანად დაიმონა და რაც კი წინ დაუხვდა შეუბრძლავად მიანგრ-მონაგრია. თემურლანგის ამ ძლევა-მოსილ ლაშქრობათა ვერც საქართველო გადურჩა: ჩვიდმეტე წლის განმავლობაში თემურლანგი შვიდჯერ შემოესია საქართველოს და შითელ-მოთელა, დავა-დაბუკა, მაგრამ საუბოდ თავი ვერ დაადებინა. ბაკრატ V (1360—1395 წ.) და გიორგი VII (1395—1407 წ.) თავგანწირულებით უმკლავდებოდნენ თემურლანგს და ბეჯჯრედ თავი და ბედი აწყვედინეს¹⁾. იმ დროს ჩუენი მემატიახე იერემიასავით დასტირის აცხრებულ სამშობლოსა და თვალზედ ცრემლი არ აშრება.

¹⁾ თავის სიკვდილის წინ (19 იანვარს 1405 წ.) თემურლანგმა საქვეყნოდ გამოაცხადა თავრიზში—„მთელი აზია დავიმორჩილე, ყველანი ვიყმე საქართველოს გარდა; ჩემი ძალ-ღონე საქართველოს შევალე და ჩემის გუნებისად ვერ დავიმონავე, საუბოდ თავი ვერ დავადებინეო“. და-ვისი ღებულება.

აი ამ გაუთავებელ ომებში ბევრი ძველი საგვარეულო ერთიანად „გარდაეღინდა“, ამოსწყდა, შეტადრე. თავად-აზნაურებისა.

ლანგთემურმა თან ჩაიყოლა საფლავში თავისი სამეფოს დიდება და ძლიერება. მისი შემკვიდრენი წაეკიდნენ ერთმანეთს და დამცირდნენ. ამ დროს მცირე აზიაში გამოჩნდნენ თურქები და მალე გამოილაშქრეს ჭკობის ხეობისაკენ. მათი ჰოლიტიკა შეტად დაუნდობელი იყო. იგინი ჯერ მტრობასა და შელეს ჩამოაკდებდნენ ხოლმე კლარჯეთის მთავრებს შორის, ერთმანეთს წაჩხუბებდნენ და შინაურის ბრძოლით დაქანცულებს თითო-თითოდ იმორჩილებდნენ. ოსმალებმა შიბირეს სამცხე-საათაბაგოს მრავალი თავად-აზნაურნი, სამდედლონი და ბოლოს თვით ათაბაგებიც; ხოლო ვინც არ დაემორჩილა, აიყარნენ და ქართლში ჩამოვიდნენ: თანასკერტულ-ციციშვილები, დიასმიძენი, ავალისშვილები, კავკასისძენი, ზეგდგინისძენი და სხ.

გორის სამოურაოს ქართლში დიდხანს ჰმატრობდა აბულეთ ძაგანის ძის გვარი, მაგრამ ლანგთემურის შემოსევათა ჟამში „გარდაეღინდა“ და ამ სამოურაოს ზედსიძობით დაეპატრონა ხიმშია ზეგდგინისძე 1398—1404 წ.წ., რასაკვირველია, მეფე გიორგის ნებართვით.

II

ლანგთემური რომე შეეჭვებულ შემოსია ქართლსა (1400 წ.) დაიბანჯა მუხრანში და აქედგან გაუსია დიდი, თარქში ქართლის მთავარს (მოურავს): „ჯანბეგისა“ და ადო „გურჯიბეგის ციხე“²⁾, „იყო ვინმე მთავარი და დიდად წარჩინებული ქართლსა შინა სახელით ჯანბეგე; ამ ჯანბეგისა მამულსა ჩუდგა ლანგთემურ და ადოხრა, დაწვა და დაქცა. და მოუვიდა იციცა და შეურბოდა, და იყო ხანსა რადენსამე შინა მუნ. და მთვლეს სრულად ქართლად და მოახრეს და დაწვეს. ხოლო რაჟამს მოუვიდა ჯანბეგ, აღიყარა

²⁾ იხ. ვახუშტი. ისტ. 1888 წ. გვ. 295, შენიშუ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ „წარჩინებული ქართლსა, შინა ჯანბეგისა“, არის ზეგდგინისძე, ჰმა შიშიახი. ხოლო ციხე „გურჯიბეგისა“—ან გორის ციხე, ან ცხვილთა ციხე.

და წარვიდა და მივიდა სადაცა ჰქონდა ბარგი და სამძიმარი თვისი“³⁾.

ზევედგინისძეოთა ჩამოსვლამდე ქართლში მთავრობდა აბულეთ ძანის ძის გვარი, რომელიც ისტორიულ აღრეულობათა და ლანგთაემურის მძვინვარების გამო „გარდავლინდა“ და, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, მისი ადგილი დაიჭირა ზედსიძეობით საათაბაგოდამ ჩამოსულმა ხიმშია ზევედგინისძემ, რომელიც წინათ აბაზაძე მარაღელის მამულ-დედულს ჰმპატრონობდა და ახლა კი მეფე გიორგი VIII-ემ „აბულეთის ძედ“ და (1398—1405 წ.წ.) გორის მოურავად დაადგინა⁴⁾. მეფე გიორგი VIII ოსმალებმა მოკლეს 1407 წ. ამ დროს მეფე გიორგის ძმა კონსტანტინე იმერეთის ერისთავად იყო, შორილამ უეურებდა ოსმალთა გაძლიერებას, რაკი გიორგისთან შუფთი მოუხდა⁵⁾ და ამის გამო ხან სამცხეში იყო, ხან იმერეთში. მოკლეს თუ არა გიორგი, კონსტანტინე გადმოვიდა და გამეფდა. 17 წლის გიორგის ძე ალექსანდრე კი იძულებული იყო სამცხეში გაქცეულიყო ერთგული თავად-აზნაურით და იქ ივანე ათაბაგთან შეეფარებინა თავი. სამცხეში ალექსანდრემ ხუთი წელიწადი გაატარა „ღარიბობასა შინა“. კონსტანტინემ დაამდაბნა ალექსანდრეს ერთგულება გორის მოურავობა ჩამოართვა ხიმშიას და უბოძა მამისას. მიჰყო ხელი და საეკლესიო მჭურვები თავად-აზნაურობას დაურთა — ოღონდ ჩემნი ერთგულნი იუფითო⁶⁾. ამის გამო სამღვდელთა კრება მოხდა, ამხილა და ძალა დაატანა კონსტანტინეს და მამულები დააბრუნებისა ეკლესიებისათვის.

კონსტანტინე შეებრძოლა 1412 წ. სამცხეში შემოსულ ოსმალებს და მოკლულ იქმნა ჩაფადანში. ალექსანდრე ჩამოვიდა ქარილში

³⁾ იხ. ქ.-ცხ. I, გვ. 464.

⁴⁾ ამის სამაძღობელად ხიმშიამ და მისმა მეუღლემ ესნიამ და მათმა შვილმა ამირინდომ მცხეთის სვეტი-ცხოვლის ტაძარს შესწირეს ს. ძაგნაკორნათა 1405 წ. იხ. გუჯარი № 1.

⁵⁾ ბაგრატიის დროსვე, 1393 წლიდგან კონსტანტინე იყო ერისთავად იმერეთში; ბაგრატი რომ მიიკვალა 1395 წ. კონსტანტინემ მიითვისა მეფობა იმერეთისა და გიორგის არ ემორჩილებოდა

⁶⁾ მეფე კონსტანტინე ორჯელ იყო ურდოში თემურლანგის მემკვიდრეებთან, სხვათა შორის თან ჰხლებიან ნეკისძენი. იხ. ქრონ. უორდ. 239 გვ.

და მეფეთ ეკურთხა. ამ დროდგან იწყება ისტორიული ცხოვრება ზევედგინისძეთა. ალექსანდრემ დაამდაბნა კონსტანტინეს ერთგულები, გადაეცა საქართველოდგან ბარათაშვილები—აბაში, გუგუნა და დავით. ამ მიზეზითვე ორჯულ ჩამოართვა თბილელობა იოანეს კათალიკოზმა იოანემ⁷⁾.

ახალგაზდა ალექსანდრეს დახლოებულები დაბაზის ერნი მეტად გონიერი კაცები გამოდგნენ, ხოლო ქართველ დედთა შორის სასწელოვანის ბებიის რუსას ჩაგნებით სასარგებლო ზოლიტიკას დაადგა. გაიერთგულა ქართლის ძლიერი თავად-აზნაურობა მოყვრობით, ხათელშირობობით, ზურ-მარილით და სამეფოში მშვიდობიანობის დამყარებით ზურგი მოიმაგრა. გამეფების უმაღ გორის მოურაობა ჩამოართვა მამისას და უბოძა ხიმშიასძეს ავთანდილს, ხოლო თავას მოლაგეთ-ხუცობა⁸⁾. ოციოდე წლის განმავლობაში თემურლანგისა და ოსმალებისაგან ათხრებული სამეფო განაახლა და კვლავ სული მოაძრუნებინა.

ალექსანდრემ შეერთო იმერეთის ერისთავის დიმიტრის დაჟთამარი⁹⁾, გადავიდა დასავლეთს საქართველოში და შავს ზღვას აქეთი დაიმორჩილა და ქუთაისში ეკურთხა მეფედ დიდის დიდებითა, იმერეთის ერისთავად დაადგინა იმერთა მეფის გიორგის († 1393 წ.) ძე დიმიტრი და მასთანავე დაუტევა თვისი უფროსი ძე ვანტანგი¹⁰⁾. ამ

⁷⁾ იხ. ქრონიკ 238 გვ.

⁸⁾ მამისა არის წინაპარი თ. გურამისშვილებისა და ამ დროდგანვე იწყება დიდი დავა მამისას შთამომავლობასა და ავთანდილ-თაყას შვილებს შორის, როგორც გუჯრებიდგან ვცნობთ. 1429 წ. ალექსანდრე მეფემ უბოძა ქალი(?) ნასისხლად ავთანდილს და თაყას—კასპი, იგოეთი და ნადარბაზევი ციხითა, მონასტრითა, აზნაურითა, გლეხითა, ყანითა, ვენახითა და სხ. თაყა და ავთანდილი არიან წინაპარნი თთ ამილახვრებისა.

⁹⁾ სომხის მეისტორიეს თომა მეძაბოცის სიტყვით, ალექსანდრემ შეერთო ყარაბაღის (სიუნის) ერისთავის ბეშქენ ორბელიანის ქალი. 1414 წ. ალექსანდრეს ჰყვანდა ორი შვილი—ვანტანგი და დიმიტრი. ამას ეთანხმება ბროსესც იხ. ბროსეს ისტ. 229 გვ., მაგრამ უტყუარნი სოგელ-გუჯარნი არღვევენ სომხის მეისტორიეს ესრეთს ცნობასა.

¹⁰⁾ თაყა ხიმშიას ძე ზევედგინისძე ქვისლი იყო ვანტანგისა. თაყამ

დროს გაძლიერებულ ოსმალთა ჩავარებით მოვალაქე თავად-აზნაურთა წაქეზებით ათაბაგი ივანე გაუორგულდა ალექსანდრე მეფეს და კახტის თავს შეებრძოლა, მაგრამ იძლია და მეფეს ჩუგარდა ტყვედ ხელში; მაგრამ მეფემ შეიწყალა და მალე გაათავისუფლა და ათაბაგობა არ მოუშალა. სამწუხაროდ ამ ბრძოლაში ალექსანდრე დაიჭრა, დასნეულდა და დიდხანს იავადა. ბოლოს, 144 წ. ბერად შედგა და 1446 წ. გარდაიცვალა. შედგა თუ არა ბერად ალექსანდრე მეფე, ქუთაისში შეიკრეს ბატონიშვილს ვახტანგს მიუხედავად ერისთავის დიმიტრის ძე ბაკრატი და გამოაძეგა იმერეთიდან. ამ დღიდან დაწყებული სიკვდილამდე ბაკრატიმ არ მოიშალა მტრობა და ქიშხობა ქართლის მეფისა და საქართველოს განაწილებისა და დაქუცმაცების მიზეზი შეიქმნა 1461 წლიდან. ბაკრატი ამ სამარცხვინო საქმეში გაიერთგულა ყვარყვარე ათაბაგი (აღბუღას ბიძა) და მოსვენებას არ აძლევდნენ გიორგი მეფეს. ხოლო „ყვარყვარე იყო ფრიად მცბიერი, მანკიერი და მეშფოთე“. ბაკრატი და ყვარყვარემ ჯაფისხეობის ოსები გაუორგულეს ქართლის მეფეს და აკლებინებდნენ ქართლსა. ამ გაჭირვებაში ჩავარდნილი, გიორგი მეფე ჯერ ოსებს შეუხდა (ჯაფის ხეობაში) და დაამშვიდა¹¹). ამ დაშქრობის დროს, ყვარყვარეს წინამძღოლობით

„...შმაკის საცთურით“ გაუშვა ცოლი (უშვილობისა გამო?) და სხვა მამქანი შეირთო, ვირშელის ასული. ამიტომ ვახტანგმა ქუთაისში გადაიყვანა და ტყვედ ჰყვანდა გამეფებამდე. ვახტანგის შემდეგ თავა მოიკლა თათრებთან ბრძოლაში.

¹¹) ამ ბრძოლაში ზევდგინისძე ამილანორნი თან ახლდნენ გიორგი მეფეს. ამით ისარგებლეს ბაკრატი და ყვარყვარემ და ზახორის პატრონს, რეხის ხეობაზედ, დახნელ დახნელს ააკლებინეს ამილანორების ციხე-დარბაზი ს. სხვილოში, სადაც ერთის ოჯახიდან არაეინ გადარჩა ერთის კოჭლის ქალის მეტი. მშვიდობის ჩამოგდების გულისათვის გიორგი მეფემ ის კოჭლი ქალი შერთო გვარამს მამისას ძეს და სხვილოსის მამულიც მისცა, რაკი ამ დროს გიორგი მეფეს შეაბეზლეს ავთანდილ და თავა ზევდგინისძენი და ბოლოს, როცა თავი იმართლეს. მეფემ შეირიგა და საფიტრის წიგნიც მისცა ავთანდილს და ამირინდოს და ზევდგინს და ჩამორთმეული მამულ-დედულიც ისევ დაუბრუნა მეფემ 1453 წ. (იხ. ქრონიკ. 286 გვ. და გუჯ. №). აქ საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ ისტორიული ლეგენდა დღემდე დაშთომილი რეხის ხეობაში; რომელიც

ოსმალნი მოუხდნენ აღბუღა აიხბაგს. ამიტომ გიორგი მეფე გაეშურა მისაშველელად. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ოსმალნი იძლიერნენ, აიყარნენ და გაუდგნენ თავის გზას. ამ დროს ჯავახეთში მეფე გიორგი, რომ ბანაკად იღგა აღბუღასთან ერთად, მანკიერმა ყვარყვავ-

ცხად ჰყოფს ღაზნელების და ამილახვრების მოსისხლედ გადაკიდების საბაბსა. „იყო გმირი ჯანიბეგი ს. სხვილოში. მეფემ გაისტუმრა იგი სამასი დარჩეული ვაჟაკით თემურლანგის წინააღმდეგ. ჯანიბეგს დაუგვიანდა და სანამ მოვიდოდა, იმისი დაჲ თამარი ზახორის ბატონმა ღაზნელმა ითხოვა ცოლათ. როცა ჯანიბეგი მოვიდა, უსანეთობას ერისთავის ნადიმზე პირველათ ნახა თავისი სიძე ღაზნელ ღაზნელი და არ გამოემცნაურა, თითქოს გულს კლებულობდა, რომ იმის დაუკითხავად შეირთო მისი დაჲ. ნადიმზედ ქალის ავკარგიანობაზედ ჩამოვარდა სიტყვა, აქვს თამარი. ჯანიბეგმა წამოიძახა—აბა თუ მაგისთანა საქებური ქალია, გამოჩნდება. მე ამ საღამოსვე ვახშმათ იმის ბეჭედს მოგართმევთო. ჯანიბეგმა მოკურცხლა ზახორისაკენ და ვახშმათ თამარის ზურმუხტის ნიშნის ბეჭედი მიართვა მონადიმეებს. ღაზნელს ფერმა გადაჰკრა, ბეჭედმა შესცინა, და ხმის ამოუღებლივ ადგა სუფრიდგან და გაუდგა გზას უმთვარო ბნელ ღამეში. მახლობელ სოფელში (ისროლისხევი?) შეიცადა სანამ ინათებდა. ინათა თუ არა, გასწია შინსაკენ. კაშკაში მზე კარგა მალლა წამოსდგომოდა კაბაურსა და არმაზსა, თამარი მდ. რეხულის ნაპირს კაკლების ქვეშ დასეირნობდა. იქვე სასახლეში გამდელი ლომისეული მოახლებიანათ. ფუსფუსებდა. მობძანდა ღაზნელი, ცხენი ბიჰს მისცა და გასწია თამარისაკენ. პირ-მღიზარე თამარი მიეგება ქმარსა. და: „ელი აღშფოთებულნი მივიდა, იძრო ხმალი და თამარი მხარ-ილლივ გადაკაფა შუაზედ. მივარდა ღრიალით, თმა-გაწეწილი ლომისეული—„შე ჩემი ცოდვით საესევე ეს რა ჰქენიო?“ ღაზნელმა სასახლისაკენ გასწია. შეიქნა წივილკივილი. მოსცივდა მეზობლობა და ელდა ეცათ. ღაზნელმა დაუძახა ლომისეულსა და მოურავსა, ამოიღო ბეჭედი და შეუტია: „ვისზე გამცვალა როსკიჰმა, ეს ბეჭედი ვის უბოძაო?“ ლომისეულმა შემოიკრა და შემოიკრა თავში ხელი და თმის გლეჯით შეჰტრიალა: „შე ურჯულოვ, ის ხო ჩემი გაზდილი ჯანიბეგიაო!“ ახლა მისვდა ღაზნელი, მაგრამ გვიანდა იყო. ამის შემდეგ ორასი წელიწადი მოსისხლედ გადაიკიდნენ ამილახვრები და ღაზნელები და ბოლოს ამილახვრებმა აკი ამოწყვეტეს ღაზნელები“. ეს ლეგენდა სიმართლესთან, ახლდა. ჩვენის ფიქრით 1393 წ. 1402 წლამდე მდ. არაქსის პირზედ, ნახევანს ზევით აღინჯის ციხე ხელთეჭიდა გიორგი მეფეს და თავისი მცველები ჰყვანდა შეყენებული (იხ. ქართ. ცხ. I, გვ. 467, 468).

რემ: მოლალატენი. შეუჩინა მეფეს მოსკლავად (1449 წ.). ერთმა მოლალატემ № ჭუკასშიღმა. საიდუმლო განდო ავთანდილის ძეს. იფთამის ზეგდინის ძეს ფიცს ქვეშ—ანაფისთვის ეთქვა. იფთამმა მან შინვე მეფეს გაუმფლავა, მაგრამ მეფემ შორს დაიტყრა: „ჩემნი ძმანი რაგორ მილალატებენ“. მაშინ იფთამი შეეგებრა მეფეს: „ნება მიბოძე შენს კარავში მე დავსწვევ ამაღამ და შენ შორიდგან უფურე, თუ რა მახდეს“. მეფემ ნება მისცა. იმ ღამეს მართლაც მოლალატენი ფეხნაკრეთით შეიპარნენ მეფის კარავში და „მწოფედ დაკოლეს (იფთამი), სიკვდილის უღამოდეს და რაგორცა ეს (შეიტყვეს?) ზეგდინისძე არისო, ადარ მოკლეს“...

მეფემ „ნასისხლად“ მღვიმე და სამთავისი უბოძა სასაფლაოდ, ახალციხე, სამოცი კაცი ესახლა, და ხუთი დახატული ჩანდანი, მოწეობილი.

თუმცა გიორგი მეფეს დაშქარი ძალიან დაუზარადად ამ ომებში¹²⁾, მაგრამ: თრიოდე წყლიწადში ახანაზეთი წართვა თამალებს, ჩვიდა და აჯანყებული კახეთი და ქ. უბალა (კახალი) დაიმორჩილა.

ათაბაგი აღბუღა მიიტყალა 1451 წ. და გიორგი მეფემ „ქვეყნის დასამშვიდებლად“ აათაბაგად დაადგინა უვარუვარე. მეფე გიორგი, რომ შინ და გარეთ ებრძოდა სამეფოს მტრებსა, შინაურ საქმეებს განაკებდა მისი ძმა დიმიტრი, მაგრამ, საუბედუროდ, იგი მალე მიიტყალა, 1453 წ. ორის წლის შემდეგ 1455 მიიტყალა ამათი ბიძაც დედის ძმა, იმერეთის ერისთავი დიმიტრი და იმერეთის ერისთავად მეფემ დაადგინა ბაკრატი. იგი გაკადნიერდა უვარუვარე აათაბაგის დახმარებით და მეფობა მთინდომა, ბოლოს ქართლის სამეფოსაც წამოატანა ხელი. მოთმინებიდგან გამოსული გიორგი მეფე გადავიდა იმერეთში, გააქუჯა მთებისაკენ ბაკრატი და იმერეთი სრულად დაიმორჩილა, ქუთაისში თავისი ერთგულნი ჩაყენა. ბაკრატი ჯერ უვარუვარეს შეესიზნა 1462 წლამდე, მერე შეურიგდა მეფეს და ქუთაისში სტროფრებდა უვარუვარეს მახერხებით, რაკი უვარუვარე შეუჩნდა ბაკრატსა—„გადადი იმერეთში და მეფედ ეკურთხეო“. თან

¹²⁾ თამალებთან ბრძოლაში „დაიხოცა და დაიკოლა მარტო ზეგდინისძე-ამილახორთა გვარის კაცი შვი და ერთიც ტყვედ შეჩინა“.

გიორგი მეფეს ეუფებოდა — „მე შენი ერთგული ვარა“¹³⁾. ბაგრატიმა კი მიიმხრო ერისთავები — დადიან-გურიელი; აბხაზეთისა შერვაშიძე; სვანეთისა — გელაფანი — „მომეხმარეთ მეფედ ვეკურთხო და თავისუფლება მიიღეთ“. შეჭფიცეს ერთმანეთს. გაიგო თუ არა გიორგი მეფემ; შეჭყარა ჯარი ვეარეყარესკან დამედებულმა, და გადავიდა იმერეთში. ხოლო ვეარეყარემ იღუმალ მოიწვია ადრიბეჟანის ხანი უზუნ-ასანი 1462 წ. და იმერეთში გაუშვირა ხელი ბაგრატის საშეკლად, თითონ კი ფეხი არ მოიტვალა. ს ჩიხორში მოხდა დიდი ბრძოლა. მეფე გიორგი იძლია¹⁴⁾ აქ, და ბაგრატს შეუსრულდა დიდის ხნის წადილი, ამ ომში ბაგრატს ხელში ჩაეყარდა ტყვედ სულამა ზეგდგინისძე. გამარჯვებულმა ბაგრატმა და ვეარეყარემ თავისუფლად ამოსუნთქეს. უზუნ-ასანის ჯარმა გადმოიარა, მოათხრეს ქართლი 1463 წ. და აიკლეს მეფე გიორგის საგანძური, ჩაიარეს სომხითაზე და მივიდნენ შინ.

ამ დროს გიორგი მეფემ სამცხე-საათაბაგო დამორჩილა და ვეარეყარე გააძევა იმერეთისაკენ. დიდს საგონებელში ჩაყარდა გიორგი მეფე. ამ დროდგან „სამი წელიწადი იარა ცხენით“ გუარამ ზეგდგინისძემ ამისას ძემ, ვეარეყარესთან და ბაგრატთან, როგორმე შეკრიგებინა გიორგი მეფესთან, მაგრამ ვერას გახდა.

13) ყვარყვარეს მოქმედებას ასე აგვიწერს ჩვენი მემატრიანე: „...ათაბაგმან ყვარყვარე შემდეგ გაათაბაგებისა იწყო ქვეგამხედველობა მეფისა გიორგისა. ამისათვის ეზრახა ბაგრატს ფარულად, რათა განდგეს და აღუთქვას დადიან-გურიელსა განთავისუფლება და მწე ეყოს იგი ბაგრატსა. სთნდა ბაგრატს განზრახვა ესე და ჰყოფდა ვგრეთ. ამითვის მოსცეს დადიან-გურიელმან, აფხაზთა და სვანთა პირი მტკიცე მეფედ ყოფისა იმერეთს. მაშინ პაემანითა ამით განდგა ბაგრატ და დაიპყრა იმერეთი, ვინადგან მეციხოვნენი მეფისანი არა ეკრძალოდენ ბაგრატსა, რამეთუ ბიძა იყო მეფისა (დედის ძმისწული) და სათნო, გამოასხნა (ქუთაისის ციხიდგან) ყოველნი და დაიპყრა თვით და შეაყენა მეციხოვნე გუშაგნი თვისნი“. ქ-ცხ. II, 154, 185 გვ.

14) „ბაგრატ ქუთათისსა გაილაშქრა... მეფე: შევიბენით... მოგვიხდა... ჩემი ძმა... (ულამა) კელთ დარჩათ... მე: მეფისას: ვიყავ: და; დმერთმან: იპრიანა: გიორგი: მეფე: მე: წამოვიყვანე და ოც: და: ოთხი შუბი: და: ისარი: და: კრმალი: მესო: ისეთმან: წამოვიყვანე“... ასე გვიამბობს გურამ ზეგდგინისძე თავის გარჯილობასა ამ ომში.

სამცხედგან რომ ქართლში ჩამოვიდა გიორგი მეფე, ბაგრატი გადმოვიდა იმერეთიდან და ისევ ევარევიანე გაბატონა.

ოსმალებმა 1453 წ. კონსტანტინეპოლი აიღეს, 1457 წ. ტრანზონი. მათმა მეზობლობამ ევარევიანე და ბაგრატი ვერ დააყოვნა, რომ მალე ჯერი იმათ მიადგებოდათ კარზედ.

ჩინორის ომმა ზევედგინისძე-ამილახორთა გვარი ორად გაჰყო. ამიტომ გიორგი მეფემ ჩამოართვა მამულ-დედუღი ბაგრატის მამხრეებს მამისსშვილებს და უბძანებს გურამს— „თუ, რაცა აზნაურშვილები დარჩა კელთა (ბაგრატს) გამოაშვებინებ—კარგია, თუარემ არცა ერთსა არ გაგიშვებო“. ამის გამო ზაალი დაიჭირა გიორგი მეფემ.

ბაგრატი გაძლიერდა და შეუდგა ქართლის დაზურთხასა. იწყოთავად-აზნაურთა გადაბირება. სულამა ზევედგინისძის შვილი სიაოში ისიძა, თავისი დაა გაიანე მიათხოვა¹⁵). მეორე დაა ელენე მიათხოვა სიაოშის განაყოფს ამირინდო ამილახორს-ზევედგინისძეს; შემდეგ ამირინდომ თავისი ასული ელენე მიათხოვა „მოლარეთხუცესს სარგისს მეციცისძეს († 1531. V II/31). ამიტომ ზევედგინისძეთა საგვარეულო ორ მოზირდაზირე ბანაკად გაჰყო, როგორც ზევეთა მოვისსენეთ.

1465 წ. გიორგი მეფე ხელს იგდო ტყვედ აიაბაგმა ევარევიანემ. ამის გამო ბაგრატს მიემხრნენ ზევედგინისძე-ამილახორნი—გურამი, დავით, ზაალი და სულამა, ერთგულეობა შეჰფიცეს და გორის ციხე ჩააბარეს, მთელი ქართლიც მალე დაუმორჩილეს. ამ ოთხ ძმათაგან დავითი ქართლის ტახტის შემკვიდრეს უფრო ერთგულობდა და ბაგრატს როგორცა განზე უდგებოდა. ამიტომ გურამი ეუბნება დავითს— „თუ ბაგრატს არ ეემობი ჩვენი ემა და მამულ-დედუ-

¹⁵) ამა გაიანემ განაახლა სამთავისის ტაძარი, უზუნ-ასანისაგან აკლებული 1477—1478 წწ. გაიანე მოლოზნად შედგა 1508 წ., რადგან სიაოში წინა წელიწადს მიიცვალა. სულ ორიოდ წლის შემდეგ გარდაიცვალა († 1510 წ.), გაიანეს ძმაც იმერთა მეფე ალექსანდრეც, რომელსაც იმ დროს ქართლი ეჭირა, გორი კი მხოლოდ 1509 წ. 6 აგვისტოს აიღო: რა თქმა უნდა გაიანეს ბიძები და მათი განაყოფები იმ დროს ბატონობდნენ ქართლში. ალექსანდრეს შემდეგ კი ქართლი დაიჭირა დავით მეფემ და ისევ ამილახორი თაყა გაბატონდა ქართლში. და გორში.

დი ერთიან ხელიდგან გამოგვეტყუებო“. მეტი რა ღონე ჰქონდა დავითსა, ემთ ბაგრატს.

ამ დროს გიორგი მეფის შმიწიული ბატონიშვილი კონსტანტინე, დიმიტრი მეფის ძე, მეფედ დაჯდა ტფილისში და დანარჩენ სამეფოს განაკება და ხელს უშლიდა ბაგრატს დანარჩენი ქართლის დაპყრობისათვის.

1466 წ. მოკვდა ყვარუფარე და დაჯდა თუ არა მისი ძე ბააღურ ათაბაგად, მაშინვე გაათავისუფლა მეფე გიორგი და ქართლში ჩამოჰყვა ჯარით. ჩამოვიდა თუ არა მეფე გიორგი, დაიმორჩილა კახეთიც ამის გამო ბაგრატ იმერეთში გადავიდა, ხოლო კახბატონი დიდოეთში. გიორგი მეფე მალე მიიღვალა 1469 წ. გამეულა კონსტანტინე, დიმიტრის ძე (და არა გიორგის ძე, როგორც შეგნობით სწერს ვახუშტი). ხოლო ამისი დედა, დედოფალი გულქან გარდაიცვალა 1471 წ. კონსტანტინეს მეფედ კურთხევას ათაბაგი ბააღურ ბაგრატის ჩაგონებით არ დაესწრო. ამით განარბული ბაგრატი ჩამოვიდა ქართლში და დაიმორჩილა. კონსტანტინეს ეჭირა ქსანი, არაგვი, კახეთი, სომხით-საბარათიანო და ქართლი გორამდე.

1477 წ. მოვიდა უზუნ-ასან ეკენი. მეფე კონსტანტინე მივიდა ეკენთან და მორჩილება გამოუცხადა. ამიტომ უზუნ-ასანმა პატრივი სცა, აიკლო ბაგრატის ერთგული ქართლის თავად-აზნაურნი, ბაგრატმა ამ დროს ქართლის თავად-აზნაურებს „დიდი მალი შეაკლო“, მიანება თავი ქართლს და მოჰკურცხლა რაჭისაკენ, აქ დასნეულდა და 1478 წ. დამდეგს მიიღვალა. გორის ციხეში კი დაამყოფა სულამაზუჯდგინისძე¹⁶). კონსტანტინე გაძლიერდა, ჩავიდა და იმერეთი დაიმორჩილა. უზუნ-ასანი მუხრანში იდგა და აქედგან ქართლი დაიპყრო გორის ციხიანათ და კონსტანტინეს ჩააბარა. სულამაზ კი დაატყვევა¹⁷). ავადმყოფი გაბრუნდა სპარსეთისაკენ 1478 წ. შემოდგომა-

¹⁶) დავით ზევიდგინისძე და ზოგიერთნი ქართლის თავად-აზნაურნი თან გადაიყოლა ქართლში—არ მილალატონო.

¹⁷) გუარამმა დაიხსნა სულამაზა და „თავისი კრმლით ნაშოვნნი ხუთასი თანგა ერთხელ გაიღო, რეასი თანგა ერთხელ და ცხრასი თანგა ერთხელ“, რადგან მათი მამული სრულიად აოხრებული იყო და ევრას გამოიღებდა.

ზედ და შვირე ხანში მოკვდა. კონსტანტინე უფრო გაძლიერდა, შთე-
ლი ქართლი ერთიანად დაიმორჩილა და ამის შემდეგ განდევნა ორ-
გულნი თვისნი. 1479 წ. გურამის ძმები ერთიანად გადაეცა ქართ-
ლიდგან. გურამ შეუხვეწა ძმებით კახატონს ალექსანდრეს და არაგვს
გაღმა ხერკში დაბინადრუნ. აქედგან ედავებოდნენ ამილახვრებს ქსნის
გაღმა-გამოღმა მამულს¹⁸⁾.

კონსტანტინე მეფე გადავიდა იმერეთში დადიანის თანსლებით
და დაიპყრო სრულად, შეაყენა ქუთაისის ციხეში თავისი შინსდო
კაცნი, 1479 წ. შეიყარა ჭკრით, იახლა თან დადიანი და მიუხდა
ათაბაგს მანუჩარს და დაიმორჩილა 1481 წ. ამ ბრძოლაში მოკვდა
ახლგაზდა, 26 წ. ამირინდო ზევდგინისძე ამილახორი, გაძევებული
ქართლიდგან სამი წლის წინათ, იგი იმყოფებოდა კავკასისძის სახლ-
ში ცოლ-შვილით¹⁹⁾.

იმერეთში არგვ-დარეკამ აიძულა მეფე კონსტანტინე ხელმეორედ
შინდომოდა ათაბაგს მანუჩარს 1483 წ., სადაც იგი იძლიეა. ამის
გამა ალექსანდრე ბაგრატიის ძე ჩამოვიდა ლეჩხუმ-სვანეთიდგან და იწ-
ყო იმერეთში მეფობა.

მეფე კონსტანტინემ იმერეთი ხელმეორედ დაიმორჩილა 1487
წ. 1489 წელს სპარსელები შემოესივნენ ქართლს და ტფილისი აი-
ღეს. ამიტომ კონსტანტინე გადმოვიდა იმერეთიდან, განდევნა თა-
თარნი. ამ დროს ალექსანდრე ბაგრატიის ძე ჩამოვიდა რაჭა-ლეჩხუ-
მიდან და გამოეფა იმერეთში. 1490 წ. ხელახლა მოუხდნენ ქართლს
სპარსელები, მაგრამ კონსტანტინემ შეიძლო მათი მოკერება. ამ გა-
ნუწევებულ ომებში ზევდგინისძე-ამილახორნი თავგანწირულად იბრ-
ძოდნენ ორივე მხარეს. მამისას²⁰⁾ შთამომავალნი გაიფანტნენ და
კონსტანტინე მეფის წინააღმდეგ აქეზებდნენ და აბრძობებდნენ იმე-

¹⁸⁾ ამ დროს (1477 წ.) გურამის ბიძა მეჯინიბეთ ხუცესი (ბაგ-
რატი მეფისა) მამისა ღრმად მოხუცებული იყო და შვილი არა ჰყვანდა;
ამიტომ თავისი წილ-კერძი მამულ-დედული უანდერძა თავის ძმისწულს
ზაქარიასა კათალიკოზის დავითის შეკითხვით (იხ. გუჯარი №), რაკი
ს. წიწამუზი და მიდამონი სვეტიცხოვლისათვის იყო წინათვე შეწირული.

¹⁹⁾ იხ. საეკლ. მუხეუმ. ხელნაწ. № 144.

²⁰⁾ მამისას ქალი თინათინ იყო მეუღლე ათაბაგის ძის სფრიდონისა.

რეთს, სმცხე-სსათაბაგოს და კახეთს. ამის შემდეგ საერო კრების რჩევის გამო 1490 წ. კონსტანტინემ ხელი აიღო ბრძოლაზე და მშვიდობიანად იწყო შეფობა²¹), და 1505 წ. გამეფდა ძე მისი დავით მშვიდი. იმერეთის მეფე ალექსანდრე ბაგრატიის ძე გადმოვიდა ქართლში და აიღო გორი 1508 წ., აგვისტოს 6, მაგრამ ერსაის წლის შემდეგ თურქნი შემოესივნენ იმერეთს და აიკლეს გელათი, მოწამეთა და სხ. სუფრები, 1509 წ. 23 ნოემბერს ალექსანდრე მეფე გაეშურა მისაშველებლად და მალე გარდაიცვალა მწუხარებისგან 1510 წ. 1 აპრილს. გორი ისევ დავითმა აიღო. ამ დროს კახატონი ალექსანდრე მოკლა მისმა შვილმა ავ-გიორგიმ და ძმას— დიმიტრის თვალები დასთხარა 1511 წ. რამდენჯერმე მოუხდა ქართლს მამისს ზეგდგინისძის შვილების და სხ. წინძოფლით და გორს ქვევით ტოვილისმდე დაიმორჩილა²²). რაკი არ დაწუნარდნენ ავ-გიორგი და მისი ერთგული გუარამ ზეგდგინისძის მოძმენი, დავით მეფემ აიღო და სადაო „სამუხრანო“ თავის ძმას ბაგრატს მისცა 1512 წ. სუფელისწულოდ. ბაგრატმა 1513 წ. შეიპყრა ძალისის ხევში ავ-გიორგი და ქანდის ციხეში მოუღო ბოლო. ამავე დროს მუხრან-ბატონმა ბაგრატმა მოინდომა დაებოლოვებინა დავა ამილახვარ თავისთან 1513 წ. მოიწვიეს სპატიო კაცნი და ალაგობრივ გამოიძიეს სადაო საქმე სამთავის-ოკმის საზღვრისა გამო. ამილახვარ თავს „ოცო მოფიცარი კაცი შეაკდეს“ და ჩაიარეს ბრინჯის ხევზედ ჩანგილარადედე. მაგრამ არ იქნა ბოლო ვერ მოუღეს ამ საქმეს; ამიტომ 1539—1549 წლებში ხელახლა მოიწვიეს და დასხეს ბრჭენი: მეფე ლუარ-

²¹) კონსტანტინეს მეფობაში საბოლოოდ დაიმკვიდრეს ავთანდილ-თაყა ამილახვრების შვილებმა გორის მოურაობა და საამილახვრო. ამიტომ ლაზნელ-ლაზნელისძემ თაყას უანდერძა თავისი მთა-ბარი და საყმო, ჩვენის ფიქრით „ნასისხლად“.

²²) რაკი ქართლში მეფე კონსტანტინეს შვილების ერთგულნი ამილახორნი, ავთანდილ-თაყას შვილები დამკვიდრდნენ და საამილახვრო დანიაკუთრეს, მამისას შვილები შეეხიზნენ კახ-ბატონს. იგინი ედავებოდნენ ამილახვრებს ქსნის ორივე მხარეს. მთა-ბარს—სამუხრანოს. თაყამ რომ გუარამის შვილები ვეღარ მოიშორა თავიდგან, ადგა და ს. ოკამი მთა-ბარით ბრინჯის ხევეს დაყოლებდა ჩანგილარამდე მისცა აზნაურს გულბათ ნასიძეს, ბრინჯის ხევეს ზევით კი სამთავისს ეკუთვნოდა.

საბ, მისი ბიძა ტფილელი დომენტი, ჰატრონი ვახტანგ (ბაგრატიის ძე, მუხრან ბატონი), ციციშვილი ბადურ, თაყაიშვილი როინ, მახაბელი ქობულ და სოლდაშვილი ქობულ. ამ დროს ბაგრატი († 1539 წ.) და თაყა აღარ იუვენ ცოცხალნი, მათი შვილები— ერეკლე მუხრანბატონი და ბარძიმ თაყას ძე ამილახვარიდა დაობდნენ.

III

აღექსანდრეს შემდეგ გაშეფდა მისი ძე ბაგრატი; ორი წელიწადი არ გავიდა რომ ბაგრატი წაეჩხუბა თავის ძმას ვახტანგს, რომელიც გადმოვიდა ქართლში და ს. მოხისში დაბინავდა²³), მოუხდა ბაგრატი და ფიცხელი ბრძოლის შემდეგ სძლია ვახტანგს, შეირიგა და გადაიყვანა იან. 1526 წ. დავით მეფე მიიცვალა და მისი ძმა გიორგი გაშეფდა. ქვეყნის დასამშვიდებლად გიორგი მეფე დაემოყვრა ბაგრატი მეფეს და მისი ასული თამარ შერთო 25 მარტს თავის ძმისწულს ლუარსაბს, დავით მეფის ძეს და დაუთმო ბაგრატს არადეთის წყალ გაღმა აღი, სურამი და სხ. კახბატონმა ლევანმა შეირთო მამია გურიელის ასული თინათინ 1519 წ., რომელთანაც ეელა ორი შვილი—აღექსანდრე 1527 წ. და შემდეგ იესე. შემდეგ ლევანმა გაუშვა თინათინი და შეირთო შამხლის ქალი დადისტინიდან, რომელმაც უშვა ექვსი შვილი: გიორგი, ელიმურზა, ვახტანგ, სოსრო, ნესტან-დარეჯანი და ელენე.

ამ დროდგან ქართლში გაძლიერდა ამილახორი ბარძიმ, თაყას ძე, ძმებით. ბარძიმის ცოლი თამარი იყო დიასამიძის ასული და ამა მოყვრობით უფრო გამაგრებული ჰქონდა ზურგი. ამიტომ ბარძიმის ქალი თინათინ შემდეგში შეირთო კახბატონმა აღექსანდრე ლევანის ძემ; ხოლო ლევანის ქალი ნესტან დარეჯან ითხოვა სიმონ მეფემ, ლუარსაბის ძემ. ამ დამოყვრებამ თითქმის სამუდამოთ დააუძღურა და მოსპო გურამ ზევედგინის ძის შთამომავალთა მხრივ დავა ამილახვრებთან.

²³) ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვახტანგს წარმოუძღვნენ მოხისში ქართლიდან განდევნილი თავად-აზნაურნი, მათ რიცხვში გურამის შვილებიც ქართლის ასარევად, დავით მეფის სამტროდ.

რაკი ქართლს იკლებდა სწარსეთის უკენა, ჯერ ლუარსაბ მეფემ მასცა ბარსიმ ამილახორს საფიცრას წიგნი 1532—1545 წლებში, შერე იმერთა მეფე გიორგიმ 1548—1550 წ., ბოლოს ლუარსაბის ძემ დაუთხანმა 1568—1570 წ. ამა საფიცრის წიგნს თან მოჰყვას დამოუკრებაც: დაუთხანის ძემ, ბატონის შვილმა ბაგრატმა, შეირთო ბარსიმის ქალი ანნა. დიდი ზარალი მოუტანა ქართლ-კახეთს კასან-ტონების დამოუკრებამ ქართლის მეფეს და ამილახორთან. ამას შემდეგ დაფინახვო.

ძველი ბინადრობა ქართლის ერისთავის ჰაბუღეთ-ძაგანისძეების რეხის ხეობა იყო. აქ ქ. რეხის²⁴⁾ ნაქალაქევი საკორინთლოსა და ლეგ-მასუთს შუა დღესაც მგზავრის ურადლებას იქცევს. მათი დიდი მაგარი ციხე იყო სხვილოსისა, ს. ჭალის აღმოსაფლეთით მდლას მეფის გორის მთის სამხრეთისაკენ დაჟაკებაზედ²⁵⁾. აქ ამ ციხის გარშე-

²⁴⁾ აქ, ქ. რეხის მიდამოებში მოხდა საშინელი ბრძოლა 840 წ. ბაგრატ კუროპალატი წმ. აშოთის ძე († 826 წ.) მიუხდა აქ გამაგრებულს საპაკას ტფილისის ამირს, მაგრამ ვერა დააკლო რა. იხ. ქ.-ცხ. I, 190 გვ.

²⁵⁾ ეს ციხე აღშენებულია უძველეს დრო-ჟამში. ამის შესახებ გვაქვს ხალხში შენახული ლეგენდა, ჯერ ისევ წარმართობის დროინდელი: ქართლის ერისთავი მჯდარა სურამში უძველეს დროიდგანვე. ერთხელ მოუწებებია რეხულისა და ქსნის შუა ჩანადირება. მოსწონებია ადგილ-მდებარეობა სხვილოსის ციხის მიდამოებისა და აღუშენებია დღევანდელი ციხე, მთელი ქართლის გლეხ-კაცობას თურმე ამუშავებდა და აზიდვინებდა ქვასა და კირსა. ერთხელ ნადირობის შემდეგ ნაქეიფარმა ერისთავმა მოინდომა თავის გასათხოვარ ქალთან დაწოლა, გაგზავნა მოურავი მოსაყვანად. მოურავმა ერისთავის ქალის ტანისამოსი ჩააცვა სხვა ქალს და მიჰგვარა გარყვნილს ერისთავს, რომელმაც მეორე დღეს შეიტყო მოურავის მოხერხება, მოუწონა და სხვილოსის მოურაობა უბოძა. ცხვილოსის ციხის პატრონნი იყვნენ „დაჩი და იოანე ძმანი სხვილოსელნი“, რომელნიც 980—992 წლებში მიემხრნენ კვირიკე კახთა ქორიკოზსა, წინააღმდეგ აფხაზთა მეფის გიორგისა (შეუბრალებლობისათვის), და კახეთი ხელახლა დაუმორჩილეს. იხ. ქ.-ცხ. I, 203 გვ.

მა უწინ XVII საუკუნემდე ძველის ძველად გაშენებული იყო მდიდარი სოფელი სხვალო, რომელიც ახრებულ იქმნა შაჰბაზის და როსტომის გამეფების დროს. ამავე დროს ახრებულ იქმნა იქვე მახლობლად ჰატარა სოფლები: გეთანთ კარი, ხუცთანთ კარი, სომეხთუხანი²⁶), დორიეთი, ბენისი, ფუნგირი, ლეგმაშეთი და სხ., რომელთა არსებობა ოდესმე დღეს აღნიშნულია კაკლის ხეებით, ხილნარით და საყდრებით. სხვილას ციხე ფრიად შესანიშნავი ციხეა, როგორც ადგილ-მდებარეობით, ისე თვით შენობითაც. სიგრძე ოთხმეტრი მეტრი აქვს, სიგანე ოცდა ხუთი, სიმაღლე ორმოცდა ოთხი. თავსა და ბოლოს სიგანეზედ ამაღლებული საომარი ოთხკუთხი კოშკები აქვს. სიგრძეზედ ქანგურები და სასროლი ფარაკები. შესავალი კარები დასავლეთის მხრივ აქვს—სამხრეთ-დასავლეთის კუთხესთან. კარებს დიდი უზარმაზარი ქვა უძევს და მის ქვეშ წყლის მილია გამოყვანილი შიგნიდან. მთლად ციხე რიყის მსხვილი ქვით არის ნაშენი, მხოლოდ შიგა და შიგ და კუთხეების ყოფლება უშეკლებელი კლდის ქვებისა დატანებული სიგანე-სიმაღლე-სისქე ზოგი ქვისა ორ ადღს აღემატება. შიგ ციხეში კარების გადასავალში მიწის ბანიანი მარანი უოფილა, მარნის ჩრდილოეთით ორი საუდარია ზედი-ზედ დადგმული—დაბლა წმ. გიორგისა, მაღლა წმ. თეოდორისა. დაბლა საუდრის შესავალ კარის თავზედ დატანებული აქვს მჭადა-ქვა ხუცური ასომთავრულის წარწერით, რომელიც სრულიად გადასულია და აღარა

²⁶) 1447 წ. მახლობელ დროში ამირინდო ამილახორმა წამოასვენა „ჯვარი პატროსანი“ ს. წიწამურის ჯვარის საყდრიდან. წეროვნის მიხედვით მოეწივნენ მამისას შვილები და „მცხეთიანნი“. ამ დროს ტფილისიდან მომავალნი ახალგორელი სომეხნი-ვაჭარნი მოეშველნენ ამირინდოს და მოასვენეს „ცხვილოში“, სადაც განახლა ძველი საყდარი და აღაშენა მშვენიერი კამარა ქმნილი სამრეკლო. აქ დაასვენა ჯვარი. მამულის სივიწროისა გამო ახალგორელი ოციოდე კომლი სომეხი მოიყვანა ამირინდომ და დაასახლა აქ, ცალკე მურვალეების სამხრეთ-აღმოსავლეთის ფერდობზედ. მას აქეთ დღემდე ამ ნასოფლარს ეწოდება „სომეხთუბანი“, ხოლო ახალგორელი სომეხნი ლოცულობენ ჯვარპატროსანს და ყოველთა წმიდათა კვირა დღეს ყოველ წლიმოდინ ურმებით და ცხენებით, წინ გაფრიალებული დროშით.

იკითხება რა. საუბრების მანქანობად ჩრდილოეთით რამდენიმე ქვეით-კირით ამოშენებული უზარმაზარი ხარკები იყო ჰურის შესანახათ. საუბრის დასავლეთით მშენებური წყარო ამოჩანს სამი ადლის სიღრმე ორმოში. ამ ჭის ჩრდილოეთით იქვე ოთხ-კუთხე სვეტი ამოშენებული, ოთხივე მხრიდან კონტა ბუნებები აქვს დატანებული და ოთხივე ბუნებს ერთი საბოლოო აქვს მალა აყვანილი. საუბრები და ეს სვეტი XVII სუკ. დამდეგს უნდა იყოს გაკეთებული, ან გაანგებებული. სიგრიძეზედ შიგნიდან კედლებს ბაქნები აქვს დატანებული მსროლელთა დასადგომათ. მალა დასავლეთის კედელზედ ქარის წისქვილი ყოფილა ძველადგანვე გამართული ჰურის საფქველად გაჭირვების დროს. აღმოსავლეთ კედლის ძირში შიგნიდან დახვსებული თელის ხე ამოსულა უკანასკნელ საუკუნეში, ამ თელის მანქანობად ამ ორმოცის წლის წინად ორი თანე სჩანდა კიდევ. თავსა ბოლოს გაჯით გალესილი ოთახებია გამართული სულ 16, ბუნებებით, სანათურებით და განჯინებით; დაბლა ოთახებიდან მალა ოთახებსში ასობრძობია დატანებული. სამხრეთით აქვს მისვლადი გზა ამ ციხეს საამო „მურვალეზედ“, საიდგანაც მთელი რეხის მშენებური ხეობა თვალ წინ არის გადაშლილი. თვით მალა ციხის თავისა და ბოლოს კომპებიდან მთელი ქართლი—სათარხნო, საციციანო, საერისთო ხელის გუდივით გადაშლილია. როცა მოწმენდილია ცა, მშენებურად სჩანს ტფილისი, სურამი, არაკვისა და მტკვრის ხეობა. „მურვალეები“ წარმოადგენს ბუნებრივს სიმაცრეს, საიდგანაც აღმოსავლეთ-სამხრეთ-დასავლეთისკენ დგომის რისხვას დასცემს ციხეზედ მიმავალს მტკრს. ჩრდილოეთით მალა უდგას სხვილოისის ციხე, ასე მაცარს მიუვალს ადგილს, ერთათ-ერთი გზა აქვს ციხეში სამხრეთიდან, „მურვალეებიდან“, ამომავალი. ციხე ჩრდილოეთით, დასავლეთ-აღმოსავლეთით სრულიად მიუვალა. დასავლეთის და აღმოსავლეთის მხრიდან ციხის კედლებს აყოლებული აქვს მტკიცე ბურჯები. მთელი დასავლეთის კედელი სიგრიძე-სიმალეზედ მნახველის უურადღებანს იპურობს: მეტად დასახინებულა ზარბაზნების ტუვიისკან: ზოგან ქვა არის გულამოკლეჯილი-ჩანაჭუჭუბული, ზოგან კარუჭდულია. ციხის სამხრეთის მალა აწვდილი ოთხკუთხე კომპის წვერი ასე ოთხი-ხუთი ადლის სიმალეზედ ამოშენებულია თოვლივით

თეთრი კირით²⁷). ციხის დასავლეთით დაქანებული ფერდობი ტყიანია. „მურვალეებიდან“ ჩამომავალი გზა ამ ტყიან ფერდობზედ ჩამოდის და დაბლა ამოჩუხჩუხებს კამკამი „ჯანაურა“, მეტად კემოვანი და მარკებელი წყარო²⁸). აქედან ციხეს რომ შეხედავთ, ქუდი გადმოგივარდებათ თავიდან. „ჯანაურადან“ დასავლეთისაკენ გადმოხვალთ დაბლა და აქ დაგხვდებათ დიდი ნასროფარი „გალაფები“. ამ ნასროფარის შუაგულს დანგრეულ ვრცელ კალაფანში სდგას ძველი ტაძარი „ჯვარბატოსნისა“, მის სამხრეთით მშვენიერი ორ-სასროფლიანი სამრეკლო, აგურის თაღებ-შეკრული: დაბლა კარგა მოზრდილი ოთახია, რომელშიაც ღამის-მთვევლნი მლოცავნი და მწვემსები შეეფარებიან ხოლმე ავდარში და სიციფეში. საუდარი წარმოადგენს უძველეს ბასილიკას. წინათ მშვენიერის ქვის ღომთენით და კრამიტით იყო დახურული და ამ ოცობდე წლის წინათ თადი ისევ მთელი იყო, ამ ხანში კი თადი ჩამოწვა და დღეს მხოლოდ ქვითკირის კანკელიდაა მთელი და საკურთხევლის თადი. ჩვენ ვხანკეთ რამდენიმე ძველებური კრამიტი ამ საუდარისა. ამ კრამიტებზედ ხუცური ასომთავრული წარწერა მოიხსენიებს „აღნიას“²⁹). ჩვენ ვიცით, რომ აღნიას იყო ამილახარი. თლილის ქვის ტრანეზი კედელზედ არის მიდგმული. მასსაკენ კანკელის ქვის თაროები, ზედ ხატები ესვენა. დასავლის კარის მარცხნივ თაროზედ ამოჭრილი იყო ოთხკუთხი ხვრელი, „ჯვარა ზატოსნისა“ კვარცხლბეკი, ანუ ჩასადგმელი. აქ ესვენა წმ. ნინოს

27) არის უმდვიე თქმულება, დღემდე დარჩენილი, რომ ყიზილბაშები ებრძოდნენ გივის ამილახარს (1744—1745 წ.) ღეროს დღეს ეს კოშკი ზარბაზნებით მოანგრისო. იმ ღამეს დაწველეს ძროხა-ფურკამეჩები და წყლის მაგიერ რძით არეული კირით მოადგეს მონგრეული კოშკი. რძე რომ დააკლდათ, მაწოვარმა ქალებმა გამოიწველეს ძუძუები და გამოწველილი რძე გაურიეს კირშიო. იმ ღამეს ასე აშენებული კოშკი დილამდე ისე გაშრა და განმტყიდა, რომ მეორე დღეს ზარბაზნებმა ველარა დააკლეს-რაო. ამავე დროს გივმა ჩაუგზავნა საიდუმლოდ სპარსთა მეზარბაზნეს გმირი ალექსა ბუდალაშვილი, ოცდა ათი თუმანი თეთრი ფული გაუგზავნა—„ზარბაზანი ან დაბლა დაუმიზნე ციხეს, ან მაღლა გადააცილეო“, რაკი მაღლა ქონგუროები ვერ უძლებდნენ ყუმბარებსა.

28) ამბობენ, ციხიდან მილით არის ჩამოყვანილიო.

29) ორი ამისთანა კრამიტი დღეს დაცულია საეკლესიო მუზეუმში.

მიერ ერთი ოთხ ჯვართაგანი „ჯვარ ჰატიოსანი“³⁰) 1656—1660 წლებამდე, დღეს ასვენია ს. ჭალი ღვთის-მშობლისშობის ქვითკირის საუდარში³¹).

ამ ძველი საუდრის და ნასოფლარის ჩრდილოეთით ასიოდე საუენზედ დაცემულს ვაკე ადგილზედ მიაღებით „ძველს გალავნებს“, რომელსაც რამდენიმე დღიური მიწა უჭირავს. გალავნებს კუთხეებში სომარი დიდი კოშკები აქვს დატანებული. დასავლეთის მხრივ კედლის შუაზედ ალაუთის კარი აქვს. გალავნების შუაგულზედ სდგას XV საუკუნის ციხე-დარბაზი ამილახორისა, დღეს ერთიანად დანგრეული. ამ გალავნების ჩრდილო-დასავლეთის კუთხიდან ოცი საუენის მანძილზედ ბუნქებში არის ქვითკირის ოთხკუთხი დაკიბული ტახტი სიგრძე-სიგანით დაახლოებით 8×10 არშინი³²). აქედან დაეშვა ვრცელი ფერდობები ნახნაფ-ნათესით აჭრელებული. გზა-გზა მკზავრი ნახავს „გეთაანთ წყაროს“, „ფსიტაურა წყაროს“. გალავნიდან სამი ვერსტის მანძილზედ დასავლეთით მდ. რეხულის ხეობაში გაშენებულია XV^{II} საუკ. დამდეგს ს. ჭალა ძველის ციხე-გალავნებით. აქ უძველესნი მცხოვრებნი გლეხნი—გეთაშვილები, ბაზლიძეები, ტერტერაშვილები, ბუდალაშვილები, ჭესაშვილები, ჩიმახიძეები, საჩაღლები და სხ. ცხვილას ციხის მიდამოებიდან არიან ჩამოსახლებულნი.

IV

1502 წლიდან იმერთა მეფე წელში გაიშალა და ქართლის მეფე კონსტანტინე რომ მოხუცებისაგან დაუძღურებული დაიკვლას, მოაკონდა ძველი ანგარიშები და ხუთი-ექვსის წლის განმავლობაში ნელ-ნელა დაიჭირა ქართლი და ბოლოს 1509 წლის დამდეგს გორიც დაიჭირა. ჩვენა ვეგონია, რომ „ზარიყის ქრონიკის“ ცნობა 1519 წლის ქვეშე—„გორის ჯვარი აქა გელათს მოასვენეს“—ათის

³⁰) ამბობენ, ამილახორები ამ ტახტიდან აძლევენ სამართალსა და სხვა ბრძანებებს თავის საბრძანებელში.

³¹) 1752 წ. აღაშენა ამირინდო ავთანდილის ძე ამილახორმა.

³²) ჯვარპატიოსანზედ შემდეგ გვექნება სრული მოთხრობა.

წლით, აუ შეტით არა, სტუეის, რადგან ამ დროს შეფე ბაკრატსა და დავითს შორის მშვიდობიანობა იყო, ერთმანეთის შეგობრობდნენ. მართალია შეფე ბაკრატი მოუხდა თავისს ძმას ვახტანგს ს. მოხისში მეოფეს (ქართლში) და სძლო 1510 წლის ივნისის 3, მაგრამ დავით შეფემ შეარიგა ივინი და გაისტუმრა იმერეთში³³). „გორის ჯვრის გადატანა გელათში კი მართალია, მაგრამ როდის? ჩვენ ვიცით, რომ იმერთა მეფის ალექსანდრეს მამიდა გაიანე იყო ამილახორის სიაოშის (სიმონის) მეუღლე. სიაოში იყო შვილის შვილი მამისა ზეგდგინიძისა ძე სულამასი და მომხრე (როგორც სიძე) იმერთა მეფეებისა. მამისა ზეგდგინის ძეს ვხედავთ გორში 1475 წ., როდესაც ქართლი მართლა იმერთა მეფეს ბაკრატს ეჭირა³⁴) და მამისა და მისი მეუღლე გულქან³⁵) სწირავენ შიომღვიმეს ვენახს სოფ. ახატანში, (საგურამოში). 1504 წ. მამის მცხეთის კათალიკოზს დორთეოსს შეწირულ აგარაკთა გამო აღაზის გარდახდას ავალებს. რამდენიმე წლის შემდეგ მამისას შვილის-შვილს სიაოშს (ბერობაში სიმონ) ვხედავთ ამილახორად და მისი მეუღლე, მამიდა იმერთა მეფის ალექსანდრესი გაიანე ახლებენ სამთავისის დუთაების ტაძარსა 1508 წ.³⁶). ამიტომ „გორის ჯვრის გადმოსვენებას“ გელათში ჩვენ ვათვლით 1510 წ., როდესაც ალექსანდრემ გორი დაიჭირა და გიორგობისთვის 23 ჩინთა შემოსევისა გამო საჩქაროდ გადავიდა იმერეთში, თან წაასვენა „გორის ჯვარიც“ და გარდაიცვალა 1 აპრილს 1511 წ. მოკვდა თუ არა ალექსანდრე გორი და მთლად ქართლი დავითმა დაიბურა მაშინვე და ამილახორობა უბოძა თავას³⁷). ხოლო 1526 წ. დავით მეფის ძემ ლუარსაბმა შეირთო იმერთა მეფის ბაკრატის ასული თამარი. 1513 წლიდან თაყას შთამომავლობა სამუდამოდ დამკვიდრ-

³³) იხ. ქრონიკები II, ჟორდან. გვ. 327 და ქ.-ცხ. II, გვ. 188. გორის ჯვრის წარწერა (1415—1420 წ.) იხ. შემდეგ.

³⁴) იხ. ქრონიკები II, 297 და 320 გვ.

³⁵) ამათი ქალი თინათინ იყო მეუღლე ათაბაგის სფრიდონის ძისა. იქვე, გვ. 321.

³⁶) იხ. წარწერა შემდეგ.

³⁷) იხ. ქრონიკ. II, გვ. 332.

და ქართლში, გორის ჯვარიც გადმოსვენეს გორში. 1511 წ. ამილახვარმა თავამ გადმოიბირა, მეფე დავითის შეკითხვით, ქისიუელი აზნაური გუდუამე ნასიძე, მოიყვანა და უბოძა ს. ოკამი ბრინჯის ხევიდგან ჩანგილარის საზღვრამდის. ამის შემდეგ გურამის შვილებთან მოისპო მამაზავეული დავა. 1505 წ. მეფობდა ქართლში დავით კონსტანტინეს ძე „კაცი ამობიერი, მშვიდი და უშფოთველი“.

იმერთა მეფე ალექსანდრემ რომ 1510 წლის შემოდგომაზედ გორი აიღო, დარბაისლებმა მოახსენეს დავითს (მათში თავა ზედგინიძემაც) ეს ამბავი და დავითმა ასე უპასუხა: „მიეგებინ მეშფოთეთა შუთით“. მართლაც გორში გაბატონებულს ალექსანდრეს მოერთო ამბავი გიორგობისთვის გასულს—„იმერეთს ჩინები შემოესივნენ და იკლებენ“. ალექსანდრე მაშინვე გაეშურა იმერეთისაკენ, მაგრამ ჩინებმა გაასწრეს და ალექსანდრე მწუნარებისაგან მალევე კარდაიცვალა (1 აპრილს 1511 წ.). დავითმა მაშინვე დაიბრუნა ქართლი და გორში თავა დასვა ამილახვართა და მოურავათ. 1521 წ. დავით მეფე შეურიგდა კახბატონს ლევანს მუხრანში სახელგანთნის მამია გურიელის შუამავლობით -- „ჰევეს ზავი და განჩინეს საზღვარი და სიყვარული ურთიერთა, მტრობა და მოყვრობა ერთბამად მტერთა და მოყვარეთა ზედა, უძღვნეს ურთიერთა და წარვიდეს თვის-თვისად“³⁸). შემდეგში ესე ზავი უფრო განგრძელდა და განმტკიცდა საქართველოს მეფეთა და მთავართა შორის. კახბატონმა ლევანმა შეირთო 1519 წ. მამია გურიელის ქალი თინათინი³⁹); დავით მეფის ძემ ლუარსაბმა ათხოვა იმერთა მეფის ბაკრატის ასული თამარ 1526 წ.⁴⁰). შემდეგ ლუარსაბის ძემ სიმონმა რომ კახბატონის ლევანის ქალი ნესტანდარეჯანი შეირთო. მართლაც ამილახვართა და დაზნელებს შორის ისევე ძველი სიმდურავი და მტრობა ხშირად ხდებოდა, მაგრამ ორივე მხარე თითქოს ცდილობდნენ შერიკებას და შურისძიების მოსწობას. 1514 წ. მახლობელ დროს უშვილოდ დაბერებულმა დაზნეულმა თავისი ვაჟი და მამული თავის უანდერძა (იხ. გუჯარებში).

³⁸) იხ. ქ.-ცხ. II, 18—19.

³⁹) იხ. იქვე 115 გვ.

⁴⁰) იხ. ქრონიკები II, 357 გვ.

ესრეთმა შეუეთა დამოუყვრებამ უფრო ფრთები შეაკვეცა ამილახორთა და გურამისშვილებას შორის ძალმომრეობასა, მაგრამ სამაგაეროდ გამოტყვერა ახალი საბაბი და თითქმის ასის წლის განმავლობაში არ იქნა, ქართლში მშვიდობა აღარ ჩამოვარდა. ამ ბრძოლაში ამილახვარი ბარძიმი (ქოიარ) იყო ჩარეული, მეტადრე ალექსანდრეს გამეფების შემდეგ (1574 წ.). თინათინ დედოფალისკან კახბატონს ლევანს ჰყვანდა ორი ვაჟი ალექსანდრე (1527 წ.) და იესე. ამას შემდეგ ლევანმა გაუშო თინათინი⁴¹⁾ და დაღისტნის მთავრის შამხალის ქალი მოიყვანა და ხსნად დაისკა. ამისგან ეყოლა გიორგი, ნესტანდარეჯანი, ელიმურზა, ვახტანგ და ხოსრო. კახბატონმა ლევანმა ნესტანდარეჯანი მიათხოვა სიმონს, ქართლის მეფეს 1558 წ. ააგას მხრივ ალექსანდრემ შემდეგში დაიმოყვრა სიმონის ძმა გათათრებუდი დაუთხან⁴²⁾. ხოლო ალექსანდრე ლევანის ძემ ითხოვა ბარძიმ ამილახორის ქალი თინათინი ლევანის დაუკითხავად. ლევანს კახბატონად უნდოდა ერთ-ერთი შამხალის ქალისკან შობილი გიორგი († 1561 წ.), ვახტანგ, ელიმურზა, ან ხოსრო, ამიტომ ალექსანდრე, როგორც პირველი უფლასწეული, სძულდა სიმონ მეფესაც და მამასაც. ამას შემდეგ უფრო ცხადათ დავინახავთ. ბარძიმ ამილახვარმა თვისი მეორე ქალი ანა მიათხოვა დაუთხანის შვილს ბაგრატ მირზას, რა თქმა უნდა სიმონის ჯაბრზედ. მეთექვსმეტე საუკუნის დამდეგს ამილახვართა საგვარეულო ფრიად გამრავლებული იყო⁴³⁾.

⁴¹⁾ ამიტომ თინათინ დედოფალი განშორდა სამეფო სახლსა და თავის შვილებით დაბინავდა ახლად აღშენებულს შუამთის მონასტერში. იხ. ქ.-ცხ. II, 109 გვ.

⁴²⁾ იხ. ქ.-ცხ. II, გვ. 27, 109.

⁴³⁾ სინამთის წმ. ეკატერინეს მონასტერი ქარიველებისა იყო XI საუკუნითგან. ამ მონასტრის ხელნაწერთა შორის არის ქართული ზადიკი № 54 ბოლოში აღაპებით; აღაპებში, სხვათა შორის, მოხსენებულნი არიან: „სულსა ზედგინიძესა დოლარსნალ ყოფილსა დამიანეს და მათსა მემცხედრესა თუმან ყოფილსა თეკლეს, მათთა ძეთა —ჯანიბეგს, ზავრადს, მერაბს, გორზამს, ფილიმონს, მამისასა, ქაიხოსროს“. ამის შემდეგ იხსენიებიან—შერგილ დადიანი და მისი მეუღლე ნათელა, ათაბაგნი—ივანე და ალბულა, დადიანი—ვამეყი და მისი მეუღლე მარხი. 130 მ. ქრონიკ. II.

ვიდრე ლევან მეფე ცოცხალი იყო, ალექსანდრეც და ბარძიმიც ალაგმულნი იყვნენ. უიზილბაშებთან ბრძოლაში უოველთვის შველდა ლევან მეფე თავისი სიძეს სიმონ მეფეს. ციხედიდის ომში შიომღვიმის გამოღმა ძეგვთან 1559 წ. ლევანმა მოაშველა თავისი ძე გიორგი კახეთის ჯარით. ამ ომში დაიხრცნენ ცხრა ძმანი ამილახვარნი ⁴⁴), აქვე მოიკლა გიორგი ბატონიშვილიც.

ლევან მეფე ღრმად მოხუცებული იყო და ჯერ ისევ მისი სიცოცხლის დროსვე ალექსანდრემ თავისი თავი მეფედ გამოაცხადა და თელავის მიდამოებში იწყო ბატონობა. მიიცვალა თუ არა ლევანი, მაშინვე ელიმურზა გამეფდა და თავის ძმებით განაკებდა კახეთს. ხოლო ალექსანდრე ეკურთხა მეფეთ ბოდბეში. მისმა ძმებმა, შამხლის ქადის ნაშობებმა ხოსრომ, ელიმურზამ და ვახტანგმა და ძმისწულებმა შემოიყარეს ჯარი ჯ განემზადნენ საბრძოლველად თორღას. ალექსანდრეს მოეშველნენ ბარძიმი ამილახვარი და ქსნის ერისთავი ელიზბარ ქართლის ჯარით, აგრეთვე კათატრებული დაუთხან მეფე, ძმა სიმონისა. მოხდა საშინელი სისხლის ღვრა თორღის ციხის გარემო, ალავერდის მახლობლად. ამ ბრძოლაში დაიხრცნენ სამნივე ძმანი — ელიმურზა, ხოსრო და ვახტანგ. გაემარჯვა ალექსანდრეს ⁴⁵). ამ დროს დეგემირი სიმონ მეფე ალამუტის ციხეში იყო ტყვეთ სპარსეთში.

1569 წ. სიმონ მეფე შეიპყრეს სპარსელებმა კახაბერ უორღას შვილის შემწეობით და ალამუტის ციხეში დაატყვევეს. გაამეფეს დაუთხანი. ამ დროს სიმონის მეუღლე დედოფალი ნესტანდარეჯანი კავთისხევეში იდგა მტირალი ქმრის ტყვეობისათვის. 1573 წ. ბარძიმი ამილახვარი და ელიზბარ ერისთავი მიუხდნენ დედოფალს და ერთიანად აიკლეს სიმონ მეფის საცხოვრებელი ⁴⁶). ასეთი სამარ-

⁴⁴) იგინი დასაფლავეს ერთს სამარეში შიომღვიმის დიდს ნიძინების ტაძარში დასაველეთის კარებს წინ. მათი საფლავი აღნიშნული იყო 1904 წლამდე, როდესაც ახალი იატაკი დააგეს და დღეს აღარა ეტყობა რა, მაგრამ იმედს არ ვკარგავთ, რომ ან ყოვლად სამღვდელთა ლეონიდი და ან ამილახვარნი აღნიშნავენ (აიმე ძველით ცხრა გმირთა საუკუნო სავანესა. იხ. ქ.-ცხ. II, 26 გვ.

⁴⁵) იხ. ქ.-ცხ. II, 109 გვ.

⁴⁶) იქვე 27 გვ.

ცხვინო საქმე ჩაიღინა ბარძიშმა დაუთხან-ალექსანდრეს სიამოვნებისათვის, რაკი ბარძიშის ქალი ანა შეირთო დაუთხანის შვილმა ბაკრატ მირზამ († 1619 წ.) და დაემოყვრა ამილახორს და ალექსანდრეს სიმონის ჯაბრზედ.

მეტად სულმდაბალი კაცი იყო ბარძიში ქოიარ. სამცხეს უხდებოდნენ ოსმალნი და განუწყვეტელი ბრძოლა იყო. ამ დროს იგი მიეკება ლალა ფაშას არტაანში, წამოუძღვა და ორი ციხე ააღებინა 1577 წ. 2 აგვისტოს, რაკი დიასმიძეების სიძე იყო, და შერე ხომ გორის ციხეც დაატერინა, რა თქმა უნდა სიმონის ჯაბრზედ. 1578 წ. ღვინობისთვეში სვიმონ მეფე მოვიდა ტყვეობიდან⁴⁷⁾ და ხელახლა გამოვიდა. დაპატიმრა ვახტანგ მუხრანბატონი 21 ნოემბერს და კეხვის ციხეში დააწყვედია, ამილახურის ბარძიშის და ოსმალების მეგობრობისათვის, შეიპყრა ბარძიშიც, ჩამოართვა გორის მოურათბა და სულხან თურმანიძეს უბოძა, ჩამოართვა აზნაურები და სახსოვად დაიტერა. შეშინებული ელიზბარ ერისთავი მოვიდა და ევედრა დედოფალსა დანაშაულის მიტევაებას, რაც რამ დედოფლის საქონელი წაეღოთ, მთლათ მთართვა ხელუხლებლივ და ნასისხლად მიართვა მეჭუდა და ახალგორი. ამატოვა სიმონმა ბარძიშსაც დანაშაული და ნასისხლად გამართვეს კასპი და კარბი და ვახტანგიც შეიწყალა. არ იქნა, ვერ მოისვენა ალექსანდრე კახბატონმა და იფიქრა მითომ ბარძიშ-ელისბარის ჯაგრის ამოყრა: იკადრა საქმე საძრახ-საგმობი — შეიკრიბა ჯარი და იდუმალ მიუხდა 1579 წ. თებერვალში დიღომში მეფეს სვიმონ მეფეს, სპარსთა მებრძოლს იმ უამად. სვიმონ მეფე გაურიდა, რაკი ჯარი არა ჰქუანდა, ხოლო ამით გათამამებულმა ალექსანდრემ აიკლო სვიმონის სახლი და დედოფალსა ნესტანდარეჯანს, დასა თვისსა, შეურაცხყოფა მიაყენა „ვითარცა ავაზაკმან მრისხანემან“⁴⁸⁾. არხეინად აიარა ალექსანდრემ მცხეთა, გავიდა ავჭალისკენ და გლდან-მამკოდაზედ გადავიდა მარტყოფის თავს და ს. ჭობორტში დაბინავდა ჯარით, და ამით ხელახლა გაურკველა სვიმონ მეფეს ერისთავი ელისბარ, მუხრანბატონი და

⁴⁷⁾ დაუთხანი სტამბოლში გაიქცა და იქ მოკვდა. ქ.-ცხ. გვ. 29.

⁴⁸⁾ იქვე 29 გვ.

ამილახვარი ბარძიშ. მასინ „სვიმონ მეფემან შეიოიკრიბნა სჰანი და მოუთხრა ჭობორტში გამაგრებულს ალექსანდრეს: „ჰქმენ საქმე უშვერი, რამეთუ თუტა ექმნა სხვასა, ჟერ იო შენკან ძიებად შურისა, აწ განემზადე სვაღისად ბრძოლად, რამეთუ ვიძიებ შურსა“.

მიუხედავად მეორე დღეს სვიმონი, „იქმნა ბრძოლა ძლიერი, გასჭრა სამართალმან ღვთისამან და ივლტოდა ალექსანდრე და შეიპყრა უოველნი წარჩინებულნი კახეთისანი“⁴⁹) და ადიდო ალაფი მისი, წარმოვიდა და მოიყვანა კახნი მცხეთას და აფუცნა უოველნი იგინი: „ღმერთმან ნურას ჟამს მისცეს ძლევა კახთა ქართველთა ზედა“. ამის შემდეგ სვიმონ მეფემ დასაჩუქრა უველანი და მშვიდობით განუტევა. ამიტომ სვიმონ მეფე უფრო გაძლიერდა: დამარცხა მუხრანში ოსმალოს ჯარით გამაგრებული სინან ფაშა 1581 წელს, შემდეგ 1582 წ. დამარცხა ლილოს ბოლოზედ ტფილისიდან გამოსულნი ოსმალთა ჯარი, აიღო ღორის ციხე, ტფილისი 1583 წ. და ოსმალთაგან განთავისუფლა ქართლი, მერე მიადგა და სამშვიდდეს ციხე აიღო, ხატის სოფელთან დამარცხა ჩვეულებრ ოსმალნი, მალე დბანისის ციხეც აიღო. ამის შემდეგ ალექსანდრე და ბარძიშ ამილახვარი მორბილდნენ და დარწმუნდნენ, რომ სვიმონთან კინკლაობა მეტად სასიფათო იო და თავი მოუნარეს.

ამის შემდეგ სვიმონ მეფე რამდენჯერმე გადავიდა სამცხეში და მიეშველა სიძეს მანუჩარ ათაბაგს, ზედ მოსუული ოსმალები ამოწვეიტა და გაანადგურა, სადაც კი მოახელა. მთელი სიღვრცხლე სვიმონმა შეაღია ოსმალ-უიზილბაშთა გაძევებასა ქართლიდან და მათს ბატონობის შემუსვრასა და აი ამ დროს კახბატონი ალექსანდრე, ბარძიშ ამილახვარი და ერისთავი ელისბარ არ ასვენებენ ამ საოცარ სულგრძელს გვირს მეფესა და ხელს უშლიან. პირიქით, ალექსანდრე და ბარძიშ ამილახვარი ჰმეკობრობენ ოსმალებს სვიმონ მეფის სამტროდ და გორის ციხე ჩააბარეს. ამაზედ სამარცხვინო საქმე ამილახვართა საგვარეულოს არ ახსოვს თავის ისტორიაში. სვიმონ მეფემ ბოლოს აიღო ღორისა და გორის ციხეებიც 1599 წ. უკანასკნელ სვიმონ მეფე შეიპყრეს ოსმალთა და სტამბოლში წაიყვანეს ტყვეთ, სადაც მიიღვა-ლა 1600 წ.

⁴⁹) იხ. ქრონიკები II, 416 გვ. და ქ.-ცხ. II, გვ. 29.

V

მეთხოუმეტე საუკუნის მეორე ნახევარში ქართლის სამეფო შეიკრუა და მის შემდეგ ველარ იქნა მისი დაწესება. კახ-ბატონის ალექსანდრეს, ბარძიმ ამილახორის, ვახტანგ მუხრან-ბატონის, ელიზბარ ქსნის-ერისთავის და სხ. უკუდმართმა მოქმედებამ ჯერ ოსმალები გააძლიერა ქართლში და სამცხე დაუმორჩილა, მერე სპარსეთი, და გაანადგურებინა ქართლი ზოლიტიკურადაც და ქონებრივადც. შემდეგი ორი საუკუნის განმავლობაში ზემოთ ჩამოთვლილ მოღალატეთა ზოგიერთმა შეილებმა და შეილისშვილებმა განაგრძეს თავის მამა-ზანათა სამარცხვინო საქმეები და ქართლ-კახეთი გააბედნიერეს ჯერ 1783 წ. ივლისის 20 და მერე 1801 წ. 12 სექტემბრის ოქმებით. იმ ორი საუკუნის განმავლობაში ერთი მოღალატე ათასს მამულისათვის თავდადებულს დუზავდა და მტრის გავლენას მტკიცედ აკიდებინებდა თუბს საქართველოში. მოღალატენი გარბოდნენ და გამობრუნდნენ სპარსეთისაკენ, რუსეთისაკენ და ოსმალეთისაკენ. ამ გაჭირვებაში, მართალია თითო-ორი ჩინებული მამულიშვილიც აღმობრწინებოდა ხოლმე, მაგრამ რა გამოვიდა: მისს გაწეულს შრომასა და ამაგს მისივე სახლისკაცი ანიაგებდა და დუზავდა ქვეყანასა. 12 მარტს 1605 წ. კახეთში თორღის სასახლეში¹⁾ საშინელი და შემადრწუნებელი საცოდაობა დატრიალდა: შაჰაბაზის კარზედ აღზრდილმა და გაათარებულმა ბატონიშვილმა კონსტანტინემ გაშლილ სუთრაზედ მოკლა 78 წლის მოსუცი მამა კახ-ბატონი მეფე ალექსანდრე და თავისი ძმა ბატონიშვილი გიორგი, და თვით გამეფდა. ეს არ იკმარა, თავის უფროსის ძმის დავითის ქვრივის ქეთევან დედოფლის ცოლათ შერთვა მოინდომა. ქეთევანმა ცივი უარი გამოუცხადა, შეაჩვენა და დასწეველა. კახეთის საუკეთესო თავად-აზნაურნი მიემხრნენ ქეთევანს, ხოლო კონსტანტინეს შემოეხვივნენ სამშობლო ქვეყნის მოღალატენი

¹⁾ ქ. თორღა სამეფო ციხე-დარბაზით მდებარებდა ჭიაურსა და ბელაქანს ასწვრივ, ჭიაურიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით ასე ათი ვერსის მანძილზედ მდ. მაზიმიანის მარჯვენა ნაპირზედ. დღეს თორღის ნანგრევებს ეწოდება „მოწამის ციხე“.

და გაშიდგუენი. ამიტომ კახეთი ორ მონისხლე ბანაკად გაიყო. ქეთევანმა შეატყობინა ქართლის მეფეს გიორგის თავისი გაჭირვება. მეფე გიორგიმ ამილახორი ჰპაუხა მოაშველა დანიშნულ დროზედ ორი ათასის ცხენოსანი ჯარით. ენკენისთვის დამლევეს გამოვიდა კონსტანტინე სპარსეთის ჯარით ბრძოლის ველზედ, მივიდა ქეთევან დედოფალიც. შემარჯუნედ დაუდგა ჰპაუხა ამილახორი ქართლის ჯარით და იმის მხარეს გამოვიდა რამდენიმე კაცით კონსტანტინე — „ეგება ჩემკენ გადმოვიუენო და მოსაკლავათ არ გამიმეტოსო“¹⁾, მაგრამ, შენც არ მომიკვდე: ჰპაუხა მიუძღვა დავით ჯანდიერსა, თამაზსა და ბებურ ვახანაძეს, ჰკრა შუბი კონსტანტინეს და გადმოუძახა ცხენიდან. მაშინ მისცვივდნენ ვახანაძეები, მოსჭრეს თავი და ქეთევან დედოფალს დაუხალეს წინ. მაშინ მიესია ქეთევან დედოფლის ჯარი სპარსეთისას და ღვთის რისხვა დასცა.

ათი წელიწადიც არ გავიდა, რომ ქართლ-კახეთის პოლიტიკური ცხოვრება ძირიან-ფესვიანად შეიცვალა. გიორგი მეფე მალე გარდაიცვალა (1605 წ.), ლუარსაბ მეფე შაჰაბაზმა დაატყვევა და ბოლოს აწამა, ხოლო თეიმურაზი გააძევა ჯერ იმერეთში, მერე ოსმალეთში და 1616 წ. თავისი გაზრდილი და გათათრებული ბაგრატ მირზა გაამეფა ქართლში. მოვიდა თუ არა, ბაგრატმა ჰპაუხა დაჩაგრა და დაამდაბლა. ბაგრატის მეუღლე, დედოფალი ანა ანდრეაფარის, ფარემუზის ძე ამილახორის (მოიკლა ციხედიდის ომში 1560 წ.) ქალი იყო. შაჰაბაზის კარზედ რომ ბაგრატ მირზას გაძლიერება ნახა ლუარსაბ მეფემ, 1608 და 1609 წ. ორი წყალობის ოქმი უბოძა ანა დედოფლის ძმებს ბარძიმს და დემეტრეს და ეფერებოდა, მაგრამ ამაოდ. ანა დედოფლის ძმისწული ანდრეაფარ ბარძიმის ძე (პატარაობაშივე გაჭევა თან მამიდას) იქვე შაჰაბაზის კარზედ იზრდებოდა გათათრებული და ჰპაუხა ამილახორს ძირს უთხრიდნენ. შაჰაბაზმა ანდრეაფარს უბოძა ამილახორობა 1614 წ. და გამთავრებულა ქართლისკენ. ანდრეაფარს იქვე შერთო შაჰაბაზმა ცოლი, თავის ქა-

¹⁾ კონსტანტინეს დედა დედოფალი თინათინი († 1593 წ.) პაპუნას ალალი ბიძაშვილი იყო. თინათინის მამა ბარძიმ (ქოიარ) ამილახორი და პაპუნას მამა იოთამი ძმები იყვნენ.

ღას ზუბიედა ბეკუმის და ისახან ყორჩიბაშის ასული, ხოლო მერე ქალი ჭანანუმ შერთო ბაგრატ მიწას შვილს სიმონს. 1615 წ. დაძვეს ლუარსაბ და თეიმურაზ მეფენი შეიფიცნენ და შაჰაბაზის წინააღმდეგ ზირობა შეჰკრეს. ამ დროს გაიზარნენ ნუგზარ და იესე ერისთავნი, ანდუყაფარ ამილახორი, ფეშანგი ფალავანდიშვილი, ალაიანგი ხერხეულიძე და ექვთან მიფიდნენ, ამილახორობას ისევე ზაზუნამ მოკიდა ხელა. ბაგრატის სიკვდილის შემდეგ 1619 წ. ქართლის მკუთბა სიმონს უბოძა შაჰაბაზმა და გამოისტუმრა დიდის ამბით. ამილახორობა უბოძა შაჰაბაზმა ანდუყაფარს. ქართლში რა მოვიდნენ ქორწილი აქ გარდაიხადეს—სიმონმა ტიფლისში, ანდუყაფარმა ცხვილქოსს გადასწვინა. მთელი ქართლის თავად-აზნაურობა ჰყვანდა დანატიელები და ერთი კვირა საკადრისად უმსზინძლდებოდა. დიდი ხარჯი გასწია ანდუყაფარმა, ძლიან ეცადა ქართლის თავად-აზნაურობისათვის თავი შეეკარებინა, სახლის კაცებს შეჰკრიგებოდა, მაგრამ თითონვე კარგათ ატეობდა, რომ შეტად უგუნებო ქორწილი იყო, ამილახორის შვილები უეკლანი დაღურემილნი და დამარებულნი იყვნენ. დარწმუნდა, რომ ცხვილქოსს გადასწვინების ციხე-დარბაზში არ ედგომებოდა, მიჰყო ხელი და დღევანდელ ს. ჭალაში აიშენა ციხე-დარბაზი¹⁾ და თავის ყმებიანათ ჩამოიბარგა. მას აქეთ გაშენდა ს. ჭალა სამთავისის მახლობლად ჩრდილოეთისაკენ, სადაც ვახუშტი ბატონიშვილის დროს უბოძა იყო „შენობა დიდი სასახლეთა და ციხე გადავანთა“. რაკი XV¹¹ საუკუნეში ამილახორთა გვარი ოთხის ძმისკან ოთხ ოჯახად დანაწილდა. ს. ჭალაშიაც სულ ოთხი გადავანი გაშენდა შუა სოფელში—**გივიანთი, თაყაანთი, ავთანდილიანთი და ოთარიანთი**, კუთხეებში საყარაულთა და საომარი კოშკებით. ციხე-დარბაზის მახლობლად აღაშენა ვრცელი მშვენიერი აბანო, მისი მოხ-

¹⁾ ეს ციხე-დარბაზი ამ ათიოდე წლის წინათ დაანგრიეს. იგი იყო ოთარიანთ გადავანის სამხრეთ-დასავლეთის კუთხის მხარეს. მის მახლობლად, ჩრდილო-დასავლეთით იყო თაყა ამილახორისაგან (1513—1515 წწ.) აღშენებული გადავანი, რომლის საძირკველი აქა-იქადა ეტყობა. ამ გადავანის თავ-მონგრეული კოშკი დღეს კარბელაანთ ეკუთვნით, გადაკეთებული მარნათ ზედ ოთახით.

დენილი აუზები და კამარა დაქნილი თადები მხახველს აკვირებენ სუცხოვრის ხელთნებით და სიღამაზით. იგი მთლად ხელუხლებელი მდგომარეობის დღეს მესხიანთ „აბანოს ბაღში“. ამ აბანოში ანდუჟაფარმა ჩამოიყვანა ცხვილოდგან ჟანაურას წყარო მიღებით. ამ ორმოცობადე წლის წინად ხენის დროს კიდევ ზოულობდნენ ხოლმე წყლის მიღებსა.

ანდუჟაფარის სწარსულიდამ მოსვლამდე (1620 წ.) ამილახორად იჯდა იმისი ბიძაშვილი ჰაზუნა იოთამის ძე. მეფე სიმონ ბაგრატიის ძე მოვიდა თუ არა, ჰაზუნა გადააყენა და ამილახორობა ანდუჟაფარს უბოძა ეგენის ბრძანებით და ეგენის რაჟამიც მოუტანა და სიმონმა ბოქაულო-ხუცესის ქაიხოსროს ხელით ჩაბარა ანდუჟაფარს სამილახორო ემა და მამული. სწარსთაგან ასე ზურგ გამაგრებულს ანდუჟაფარს აბა ვიდა დაუდგებოდა წინ? მეფე სიმონი ჯერ მამიდაშვილი იყო, მერე ქვის-ლი. თავის სახლის-კაცებს ბუხათ აღარავის აკლებდა და მეტის-მეტად გაძლიერდა რეხის ხეობაზედ. ჩააყენა ცხვილოს ციხეში სწარსთა მცხისოფნე ჯარი და ამტუტებდა მეზობლებს. არაფრად აკლებდა ანდუჟაფარს ზახორის ბატონი დაზნელ დაზნელი და სდაც კი მის ერთგულ კაცებს მოახელებდა, მუსკს ავლებდა, უბრებდა და იკლებდა. ანდუჟაფარი უფრო იმიტომ იყო გაათურებული, რომ ჯერ იყო და მეფე ბაგრატი და დედოფალი ანა, ანდუჟაფარის მამიდა, ვერა ბედავდნენ ტფილისში და ქართლში ეცხოვრნათ რაკი არავინ არ აღიარებდა მეფეთ და არაფრად აკლებდნენ. და ახლად კიდევ სიმონ მეფეს და დედოფალს ჟანბანუმს ისრევე ეკიდებოდნენ ქართველები. თითონ ანდუჟაფარი ხომ თვალის დასანახავად ეჯავრებოდათ უველას გათათრებისა და სწარსულების მომხრეობისა გამო. მიჰყო ხელი დაბეზდებთან და გაიძვერობას: ვისიც ჯავრი სჭირდა, მამინვე შეტულობინებდა მეფე ბაგრატს და სწარსუთში ეგენის კარზედ გაგზავნიებდა.

ჰაზუნა ამილახორი დაბლა ცხვილოს გაღავნებში სცხოვრობდა თავისთვის და ელოდებოდა მოსწრებულ დროს. ეს დროც მადე დადგა. 1623 წ. დამდგეს სწარსუთიდან მოვიდნენ მოურავი სააკაძე და ზურაბ ერისთავი სწარსუთის ჯარებით. ამათ მუხრანში მოიღაზარაკეს და შეჭვიტეს ერთმანეთს მოეშორებინათ თავიდან შაკაბაზის ბატონობა და სწარსუთის ჯარები გაეწვიტათ. ამათი შეთქმულობის

ჩამძლედი და დამღუპველი მხოლოდ გათათრებული ანდრეასი ამი-
ლახორი იყო და ამის გამო ვერ გაანდგეს მას ესე საიდუმლო. ამი-
ტომ ჰანუნას რჩევით დაზნელ დაზნედიც გაგზავნეს სადამო ჟამს
ანდრეასის შესაზნობათ. მეორე დღით გათენებისას დაზნელმა
ანდრეასი თავის ცოლით მოაუყვანა საფურცლეში და მუხრან-ბატონ-
ნის ციხედარბაზში დაამწყვდია ყარაულ ქვეშ და მეორე-მესამე დღესვე
გაისტუმრეს ჯ უაზბეგის მახლობლად, გუდამაყრის თავში დაატყუაღეს
მიუგულ არშის ციხეში¹⁾, სადაც ანდრეასი თითქმის სამი წელიწადი
გაატარა.

მარაბდის ომის შემდეგ, 1624 წ. ზურაბ ერისთავმა დაარღვია
ზირობა და ფიცი: გზა მისცა თავის საერისთავოდ დაუთხანის შვილს
ხოსრო მირზას (შემდეგ როსტომ მეფეს) სპარსეთის ჯარით აველო
და გაენთავისუფლებინა ანდრეასი. მოურავის ჩაგონებით ზურაბმა
ჩამოგლის ნება აღარ მისცა—საყმთ შემოწმებულად და თავისი ძმები
გიორგი და დათუნა დაუყენა წინ. ამ გაჭირებაში გახარებულმა ანდრე-
ასმა უშველა სპარსებს: გადმოუძღვა ღომისის მთაზედ ქსნის ხე-
ობისაკენ, მაგრამ აქ მოურავმა შეუკრა გზები და ორი კვირა მდინარე
ქსანი სპარსთა სისხლით შეღებილი აღინა. აქაც ანდრეასმა უშვე-
ლა დანარჩენ ხოსრო მირზას ჯარს: ერთს დამეს გაიყვანა იგინი
ქსანში და ს. ახმაჯზედ წითლის წყაროსაკენ გადუძღვა, მიიყვანა და
ცხვილოს ციხის დაბლა დააბინა. ხელმეორეთ გაშალა ფრთები ანდრე-
ასმა და გაუქროლ-გამოქროლა ვისი ჯავრიც კი სჭირდა. მოიმხრო
ქსნის ერისთავი იესე და ერთ დამეს აუხდნენ სპარსების და ქსნის-
ხეველთა ჯარებით დაზნელ დაზნედიც და მძინარეს თავს დაესხნენ.
მიუკიდეს ცეცხლი დაზნელის კარ-მიდამოს და ერთიანად გადაწვეს;
იქვე მადლა ციხეში გამაგრებულს დაზნელს შემოაყარეს ცეცხლი და
შიგ ამოწვეს, ქვა-ქვაზედ არა გაუმეეს რა, მხოლოდ ერთი ოთხ-
კუთხი შავად გარუყული დაზნელის ციხე-და დგას დღეს ფეხზედ და
საცოდავთ გადმოტყუერებს სიცოცხლით სავსე რეხულას და მის გადმა-
გამოდმა მთა-გორებს.

¹⁾ დღემდე დარჩენილია ხალხში ლექსი:

„ყმაწვილო, არშის ციხესა, არ შენისთანა ყმა უნდა,
ჩავეს ჩამტანი აბჯართა, ამომტანელი სხვა უნდა!..“

შორე დღეს ანდუეაფარმა ეველა მახლობელ სოფლებს ჩამოუარა და აიკლო და შიშის ზარი დასცა. წამოდო თან მათი სალოცავები და ცხვილოს ჯვარპატიოსანში დასვენა¹⁾. დღესაც ბევრია გავერანებული ნასოფლარი, მაშინ აკლებული. დაზნელის მაშელ-დედული შუაზედ გაიყვეს ანდუეაფარმა და იესე ერისთავმა. ერთი წელიწადიც არ გავიდა, რომ ანდუეაფარმა იასე ერისთავს შეაჩენინა კაცები და ჰაზუნა ამილახვარი მოაკვლევინა, თუმცა სვიმონ მეფემ საფიცრის წიგნი მისცა ჰაზუნას შვილს იოთამს. ჰაზუნას მეუღლემ თამარ ბატონისშვილმა (სიმონ მეფის ასული იყო) თავისი შვილები — ჰაატა, ბეჟანი და იოთამი ეგენთან გაისტუმრა თვალ-ცრემლიანმა — ესენიც არ დამიხობდნო. ანდუეაფარმა გააბატონა ქართლში სიმონი და სპარსთა ჯარი ხელახლა ჩაუენა ცხვილოს ციხეში და გორში. აქედგან უვლენდა ღვთის რისხვას ქართლებს ანდუეაფარი და შეიქმნა სპარსთა პოლიტიკის ადმასრულებელი და მათი ყურმოჭრილი ემა. სად იყო, სად არა, ჰაზუნას მუხთაღათ მოკვლით გულ-ჩათუთქული მოურავი სააკაძე გაჩნდა სამცხედამ ჯარით 1625 წ. დამლევს, აიღო გორის ციხე და სპარსთა ჯარი ამოჟღიბა. გაიგო თუ არა გორის ადება, ანდუეაფარი საჩქაროდ აიბარკა და მოკურცხლა ტფილისისაკენ და ციხეში შევიდა თავის ქვისლ მეფე სვიმონთან. ჩამოვლასე მცხეთაში ანდუეაფარი მიბრუნდა სვეტიცხოველში, რაც რამ მოახელა, გაძარცვა და დეკანოზი ბევრი სტანჯა — მომიტანე დამალული საქანელი, თორემ გაგათათრებო. ერთი კვირაც არ გავიდა, რომ ციხეში მეოთმა ანდუეაფარმა უცაბედათ ფეხი წამოჭკრა ლანძვისა და კლდეზედ გადაიჩეხა ანბოების მხრივ. ამიტომ დედის დაბარებით იოთამი მოვიდა სპარსეთიდან და იწყო ამილახვრობა თეიმურაზის რჩევით 1626 წ. შაჰაბაზ ეგენიც მალე მოკვდა 1629 წ.

ამის შემდეგ თეიმურაზი და სვიმონი დაჩნენ ერთმანეთის მოპირდაპირეთ. თეიმურაზმა ქართლი დაიჭირა და სიმონი ტფილის-

*) დღეს იმ სალოცავთაგან ს. ქალის ჯვარ-პატიოსანში ასვენია: არმაზის ჯვარი, წირის მაცხოვრის ჯვარი, ანმაჯის წმ. გიორგის ჯვარი, წმ. გრიგოლის ჯვარი და ქვაბისმანის ღიღი ღვთისმშობლის ძვირფასი ხატი, კეზრის ჯვარი და სხ.

ში იყო გამომწვევდელი. მოურავი სააკაძე კსმდეთში გადაკარგა. ქართლში დარჩა უხსნათო ზურაბ ერისთავი. თეიმურაზ მეფემ ჰაზუნას შვილს იოთამს დაურტკიცა ამილახორობა და საფიცრის წიგნიც მისცა 1630 და 1631 წ. სვიმონმა მალე მოიცა ძალა და სამილახვროში მოიკიდა ფეხი, ბოლოს თეიმურაზს ქართლზედ ხელი ადებინა და თავის მხრივ იოთამს მისცა საფიცრის წიგნი. გაჯაურებულმა „თეიმურაზ მეფემ თავისი ქალი და სიძე ზურაბ ერისთავი და მისივე ევა ჩერქეზი გიორგი მოლაღატეთ შეუყენა და მძინარე ბატონი სვიმონ ცხვილას (ციხეში) დააკვლევინა“ 1629 წ. დამდეგს. ქართლში სომხით-საბარათიანობი ისევ თეიმურაზი გამეფდა. შაჰსუფი ეყენმა რომ გაიგო, „მწვედ იწინა, კახბატონს გაუწერა“. აიღო და ქართლის მეფობა ეყენმა მისცა მეფის დაუთხანის შვილს ხოსრო მირზას 1630 წ., რომელიც მოვიდა ქართლში 1632 წ. შემოდგომაზედ და გამეფდა, როსტომი დაირქვა სახელად. როსტომმა თან მოიყვანა სპარსეთიდან მრავალი ქართველობა და მათში ბეჟან ჰაზუნას ძე მილახორის შვილიც. აიღო მინგრეულ-მონგრეული გორის ციხე და უიზილბაშის ჯარს გაუყო-მიუზომა, სამს თვეზედ ააშენებინა და შიგ თავის მისხნდო კაცნი ჩააყენა. ამილახორობა ბეჟანს უბოძა 1633 წ. მარტის 26, თეიმურაზის დაეყენებული იოთამი კი გადააყენა. ამ დროს ქათალიკოზად იყო ქრისტეფორე ურდობეგის ძე ამილახვარი. შემდეგს 1634 წ. იოთამის დედა თამარ ბატონიშვილი მივიდა როსტომთან, შეეხვეწა ახლად მოყვანილს დედოფალს, დადიანის ქალს მარიამს და იოთამი შეარიგა და საფიცრის წიგნიც მიაცემინა. ამიტომ როსტომმა უწყალობა იოთამს ვახტანგ ბატონიშვილისეული ნაუმევი და კერძი აზნაურიშვილი უზნაძე და სხ. ვეულა ესე და სხ. წყალობა მეფე როსტომმა დამართა იოთამს თეიმურაზის საფიცრის და წყალობის წიგნების საწინააღმდეგოდ. იოთამმა მაინც თავი ვერ დაუდო როსტომსა და კათალიკოზის ევდემოს დაისამიძის¹⁾ მეთაურობით 1638 წ. შე-

¹⁾ ევდემოს კათალიკოზის ძმის ლუარსაბ დასამიძის ასული ელენე იყო მეუღლე თეიმურაზ მეფის ძის დავითისა, დედა მეფის ერეკლე I, (ნაზარალიხანისა).

ითქვნენ ზაალ ერისთავი¹⁾, იოთამ ამილახორი, ნოდარ ციციშვილი, გიორგი გოჩაშვილი და ქართლის მეფეთ თეიმურაზი მოიხატავენ. ამიტომ თეიმურაზ მეფემ განუხლა საფიცრის წიგნი. 1642 წ. როსტომმა დაამარცხა თეიმურაზის მომხრენი და გაფანტა. ევდემოს კათალიკოზი ჯერ ციხეში დაამწყვდია, მერე აბანოების მხრივ მადლაკლდეზედ გადმოაგდებინა, „დაესხა ღამე იოთამ ამილახორსა, ჰგვემაიგი და განუტევა ფიცით და შემუსრა ციხე ცხვილოსი და სხ. ვიეთნიმე განაძო და ზოგნი უმკვიდრო ჰყო, არამედ „იოთამ ჟამად მჭვრეტი—ჟამ ივეის ბატონ თეიმურაზის თანა და ჟამ როსტომის თანა“. დიდხანს ვეღარ იცოცხლა იოთამმა ამ შეურაცხების შემდეგ. როსტომმა ამილახორობა უბოძა იოთამის უფროსს ძეს ანდუყაფარს, შემოარტყა ხმალი და დროშა მისცა, დაუმტკიცა ძველი მამულ-დედულის წყალობის წიგნები.

ანდუყაფარი მიიცვალა 1656 წ. და მისს ძმას გივს დაუმტკიცა ამილახორობა და გორის მორაობა. როსტომ მეფის სიკვდილის შემდგომ 1658 წ. სპარსეთის ექენმა მის შვილობილს ვახტანგ მუხრანბატონის ძეს უბოძა მეფობა. ჯერ ისევ 1652 წ. იშვილა როსტომმა მუხრანბატონის თეიმურაზის ძე ვახტანგი და გაისტუმრა ექენტან—მემკვიდრეთ დამიმტკიცეო. ვახტანგ მეფემ იმერეთი და კახეთი დაიმორჩილა 1660—1661 წლებში და თვისი ძე არჩილი გაამეფა. მაშინ სულთანმა უსაყვადურა ექენს—რათა შლი ზავსაო? ექენმა მოსთხოვა ვახტანგს—„იმერეთს თავი დაანებე და არჩილი ჩემთან გამოგზავნეო“. მეტი რა დონე იყო, გაუგზავნა არჩილი და თან გაატანა იოთამის ძე გივი ამილახორი ძღვნითა. 1662 წ. ახლა თეიმურაზ მეფე გაისტუმრა ექენტან და ისევ გივი გაატანა თან. 1667 წ. ვახტანგ მეფემ თავისი ქალი თამარი ამილახორს გივს იოთამის ძეს მიათხოვა²⁾. ამ დამოყვრებამ ოციოდე წელიწადს მშვიდობა ჩამოაგდო ქართლში. 1676 წ. სეკდემბრის 22 მიიცვალა კათალიკოზი დომენტი და

¹⁾ ზაალ ერისთავის ასული ანახანუმ იყო იოთამის რძალი, უფროსის შვილის ანდუყაფარის მეუღლე. ზაალ ერისთავი მოკლეს ძმისწულეებმა 1660 წ. 9 მაისს, კვირა დღეს. იხ. ქ.-ცხ. 51 გვ. 3. კ.

²⁾ იხ. მზითვის სია.

მეფემან გიორგი მეფის ვახტანგის ძემ დაადგინა კათალიკოზათ მთავარ-ეპისკოპოსი ნიკოლოზ რუსთველი, ძმა გივი ამილახორისა. ყოველ გასაჭირ საქმეში გივი ამილახორი იყო მეფეთა წრფელი მოსამსახურე ღ ერთგული ქვეყნისა. 1687 წ. დამლევს კახბატონმა მეფე ერეკლემ ქართლი დაიჭირა ექენის ბრძანებით, ამ დროს გიორგი მეფეს შიომ თუმანიშვილმა პირველმა უღალატა და ერეკლესთან მივიდა. თუმცა სახლის კაცები (გივი) ბევრს აუყვდრიდნენ, მაგრამ შიომს თავის საკუთარი პირადი სარგო და ბედნიერება მთელს ქვეყანას ერჩინა. შიომმა ქართლის ჭირ-ვარამი უგელაფერი დაწვრილებით იცოდა და მისის ჩაცონებით ერეკლემ დაამდაბლა და მიწასთან გაასწორა გიორგი მეფის ერთგულნი, უგელაზედ უმეტეს კი სპასპეტი თამაზ ორბელიანი და „მიეგო თხემსავე სიბოროტე; მერმე კვალად უძვირესი. კვალად ამილახორი გივი და დავით ერისთავი, ამოთან მუხრან-ბატონი“¹⁾.

ერეკლემ ჩამოართო (1689 წ.) ამილახორობა გივის და უბოძა იოთამს, დემეტრე ყორჩიბაშის ძეს, რომელიც თავის ძმებით (ავთანდილ, რევაზ) შიომ თუმანიშვილის ჩაცონებით ერეკლეს მიემხრო. ამიტომ გიორგი მეფე გაკრიდა ერეკლეს და ჯერ რაჭაში გადავიდა, მერე ახალციხეში. აქ საღიბ ფაშამ დიდის ჰატვიით ისტუმრა და ს. ომორაში (ზიკილია?) დააბინა ცოლ-შვილით. აქედგან გიორგი მეფე ცდილობდა ქართლში გაბატონებას. ამის გამო ერეკლე მეფემ დააბეზდა ექენთან. ექენმა სთხოვა სულთანს „ჩვენში შეგობრობა არის და საღიბ ფაშა გიორგი მეფეს რათ ინახავს?“ ამის გამო სულთანის ბრძანებით სულიმ ფაშამ ჯერ შეაუიწროვა გიორგი მეფე, მერე შემოერთვა გარს ჯარით, დაჰატიმრა და ახალციხეში მოიყვანა. აქედგან სპარსეთში უპირებდა გაგზავნას ექენთან, მაგრამ იენგიჩარებმა არ დაანებეს. ამ დროს „ვინათგან უპატიო იყვნენ ქართლისა თავადნი ერეკლე მეფისაგან, ამისათვის ეზრახოდნენ მეფესა გიორგის, რათა მივიდეს ქართლს და დადგან სული თვისი და ამისთვის აღუთქმიდენ ფიცითა დიდითა და კვალად უგლინებდნენ მრავალსა საგანძურსა მე-

¹⁾ იხ. ქ.-ცხ II, გვ. 61.

ფესა აშოთან მუხრან ბატონი, გივი ამილახორი¹⁾ და ნიკოლოზ არ-
ნიმანდრიტი მადლაძე, რათა მით დაუეოს პირი ოსმალთა ანგარათა
და ვერცხლის მოყვარეთა“. აი ამ დროს (1690—1691 წ.წ.) გი-
ვი ამილახორი დაიარებოდა ქართლ-კახეთში ერეკლეს სამტრეთ და
უორგულებდა მოემეებს, გიორგი მეფის სახელით უველას წყალობას
ჰპირდებოდა და საფიცრის წიგნებს აძლევდა. რაკი საღიმ ფაშა ახალ-
ციხისა ხელიდგან არ უშეებდა გიორგი მეფეს, გივი ამილახორმა
წარუეღინა თვისნი საპატოო აზნაურშეიღნი ბიძინა და თამაზ ყან-
ჩაენი, ტარსაიჭაშვილი თამაზ, მადრანელი დათუნა, ბასილაშვილი
ჰაატა— „მობანდი და ქართლი დაიჭირეო“. ასწერა ქართლის ლაშქარი
დავთრით²⁾ და დანიშნულ დღეს თავი მოუყარა ცხვილს ციხის და-

1) გიორგი მეფე ქრთამით იერთგულებდა სელიმ ფაშის კარის კა-
ცებსა და იენგიჩარებს. ამიტომ გივის მეუღლეს, თამარ ბატონიშვილს,
თავის დას, მეფე დაესხა ფულს. თამარმა დიდძალი ქონება გაუგზავნა.
ამ ფულში მეფემ უბოძა თავის დას სამი აზნაურიშვილი თავის ყმითა და
მამულითა—ილღუზიშვილი, ბედინაშვილი და ცალქალამანიძე.

2) ამ ფრიად საინტერესო დავთარს თავი აკლია, ზედი-ზედ დაწე-
ბებულია ფურცელი. სიგრძით ათი არშინი იქნება, დაწებებულზედ ყველ-
გან აზის ბეჭედი—„გივი“. აქ ჩამოთვლილია საამილახორს სოფლები და
ამ სოფლებში რომელ მებატონეს რამდენი კომლი ყმა ჰყავს, და რამდე-
ნი მოლაშქრე უნდა გამოსულიყო თოფით, შუბით და სხ. აღნიშნულ
სოფლებში 840 კომლია: კასპი—66 კომლი ამილახორის ყმა, 133 მო-
ლაშქრე, აქვე 4 ბოგანო, აქვე 3 კომლი ლელუაშვილი ყმა და სხ., იგო-
ეთი, ფუნაგირი, სამთავისი, ქალა, ოკამი, ახმაჯი, ბოლი, ქალაქი (დღეს
ძეძენარია და ახალქალაქებს ეძახიან), რეკა, ცხვილო, გერითა, წინუბა-
ნი, რენე, ახალდაბა, ზახორი, წუბენი, წირი, წოლდი, მძოვრეთი, გო-
რი, კოდისწყარო, ორჭოშანი, ხურვალეთი, ბერშოეთი, ყური. ზემოყუ-
რი, საშვები, ნაწრეტი, ავაზანი, სობისი, ქვემოსობისი, მოხისი. ჯოხი-
სი, ღრომი, ახრისი, თორტიზა, მეჯვრისხევი, უსისტყე, ნადარბაზევი,
ქინძარა, ნასპარსევი, ჯეჯიკური, ტყვირეთი, ღრდულეთი, გარეჯვარი,
კვარხითი, ცხინურისი, აბრევი, ზეგარდა, წინაგარა, მთავარანგლოზი.
ძევერა.

ბლა კალაფნებში, რადგან გორში გამაგრებული იყო ერეკლეს ერთ-გული იოთამ დემეტრეს ძე ამილახორი.

გივის გატყავნილი აზნაურშვილნი მესხთა დახმარებით ზოგი ციხეში შეიპარნენ, დანარჩენები ციხის დაბლა ღამე დაკაზმული ცხენებით ელოდნენ მეფესა და მისს მხლებლებსა. შიგ ციხეში დოღენჯი ხმალად ეწეოდა თავდარიგსა. შეღამდა თუ არა, მეფე გიორგი თოკით ჩამოეშვა ციხიდან და მხლებულებიც თან ჩამოჰყვნენ. მოასხდნენ ცხენებს და გასწიეს ოშორასსაკენ. აქედან წამოიყვანეს დედოფალი ხვარაშან შვილებით და ძმისწულებით, ლევანის მუდლყ თინათინ და მისი ძენი—ქაიხოსრო, ვახტანგ, დომენტი, იესე, სიმონ და თეიმურაზ, —იმ ღამესვე სადგურში ჩამოვიდნენ და აქ დასადგურეს. თითონ კი მეორე ღამეს გამოემართნენ და მამლის უივილისას ირაყრაჟა თუ არა ბერძეთს მოატანეს. აქ ციხის თავმა ბასილა გლარჯაძემ გაუღო ციხის კარი და მეფე გიორგის მიულოცა მშვიდობით მობრძანება¹⁾. აქედან მეფე გიორგი გადმოვიდა ს. ჭალაში გივთან, რამათ ნახვა და იქნა სიხარული დიდი“. გიორგი მეფის ჩამოსვლა ახლციხიდან და ქართლში ხელახლა გამეფება 1691 წ. ივლისში მოხდა. ჭალიდან თიანეთში გადავიდა, სადაც მოეგებნენ არაგვის ერისთავი გიორგი და შმა მისი მდივანბეგი ბარძიმი. აქედან ჩავიდა გიორგი მეფე და კოჯორზედ დაბინავდა. ერეკლესკან გადაეცემებულნი—გივი ისევ ამილახორათ დაადგინა და მისი ძმა ნიკოლოზი—კათალიკოზათ. რაკი იოთამ ამილახორი არა სცხრებოდა და ქართლს იკლუბდა, გიორგიმ გაატანა გივს ძმისწული თვისი ქაიხოსრო გორს²⁾. იოთამი არ დამორჩილდა გიორგი მეფესა, მივიდა ერეკლესთან ტფილისში და გაურა მოითხოვა. ერეკლემაც შემოიკრიბა დარბაისელები იმერთა მეფის ალექსანდრეს თანადსწრებით, და 15 მარტს 1692 წ. მთარიგა ერთმანეთთან, გაურა არ მოახდინა (იხ. განჩინება). შიომთუმანიშვილის ჩაგონებით ახლა რევაზის შვილები ოთარ და ავთანდილ გაუორგულდნენ გიორგი მეფეს, რისთვისაც მეფემ ჩამოართვა ყმა და მამული და გააძევა საამილახვროდამ.

¹⁾ ნაამბობი მოხუჯის ნინია ლვინაძისა ს. კოდისწყაროში 1874 წ. იხ. ქ.-ცხ II, გვ. 61, 172 და 310.

²⁾ იქვე 65 გვ

ორის წლის შემდეგ ერეკლე იხვე დაიჭირა ქართლი. გივი იძულებული იყო გადასულიყო რაჭაში შოშიტა ერისთავთან, სადაც გივის მეუღლე თამარ ბატონიშვილი (დაჟ გიორგი მეფისა) მიიცვალა 15 მარტს 1695 წ. მალე გაემგზავრა გიორგი მეფე სპარსეთში. გივი კი დარჩა რაჭაში და აქ მწუხარებაში მეოთხე გარდაიცვალა 1700 წ. ამ დროდგან აირია უარესად ამილახორთა დიდი ოჯახი, დაიკარგა ძველებური უმცროს-უფროსობა, ერთმანეთის გაკონება, ხათრი და თავაზა, გაჭირვებაში ერთმანეთის ჰიერი და მიშველება. ერეკლე ქართლი რომ ხელახლა დაიმორჩილა, ამილახორობა ისევ იოთამის უბოძა, გივი კი დვალეთს—რაჭაში გადავიდა. იოთამის შემდეგ ერეკლე ამილახორობა უბოძა ვთანდილს რევაზის ძეს.

გიორგი მეფე ჩავიდა თუ არა ეკენთან, მოიბრუნა ეკენის გული და ხელ-ხელა საქმე გაიკეთა. ეკენმა ერეკლეს მოსწერა—„ქართლი გიორგის მივეცი და შენ კახეთს დასჯერდიო“. ამის გამო ერეკლე ეკენთან წავიდა 1703 წ. ამავე წელს 15 ივლისს¹⁾ ეკენის ბრძანებით ლევან ბატონიშვილი მოვიდა. ლევანმა მაშინვე ჩამოართვა ვთანდილს ამილახორობა და უბოძა ანდრუჟაურს, გივის ძეს—მაჰმადიანს, რომელც ტფილისიდან ჭაღისაკენ ნადირობით მიმავალი თონთხელის მახლობლათ გადმოფარდა ცხენიდან და კისერი მოიტუხა. მაშინ ამილახორობა ლევანმა უბოძა მის ძმას გიორგის. თხუთმეტი თვის შემდეგ, 1704 წ. ენკენისთვის 26 მეფე ლევანი ისევ სპარსეთში გაემგზავრა და თავის მოადგილეთ, ქართლის განმგებლათ თავისი შვილი ვახტანგი დაუტყვა. ვახტანგმა ბრძნულად განაგო სამეფო საქმეები და მოწუაღუ თავლით იყო გივი ამილახორის შვილებზედ. გიორგი ამილახორის ძმა ვახტანგი თავის სახლთხუცესად დანიშნა. მეფე ლევანი მიიცვალა 1709 წ. და ქართლის მეფობა ეკენმა უბოძა ქაიხოსროს. 1711 წ. დვინობისთვის 26 უანდაარში მიიცვალა მეფე ქაიხოსრო. ეს სამწუხარო ამბავი ეკენმა გაუმჟღავნა ვახტანგს და ქართლის მეფობაც დაუმტკიცა. ჩვეულებიანებურ ვახტანგი წავიდა ეკენთან მადლობის გადასახდელათ 1712 წ. აპრილის 23 და თავის მოადგილეთ სვიმონ ბატონიშვილი, თავის ძმა, დაუ-

¹⁾ 20 ივლისს შემოვიდა ტფილისში. ქ.-ცხ. 320 გვ.

ტყვა. სვიმონი ვახტანგის სამტრეთ მოქმედებდა და უეწთან დაახლო-
 ზდა — მაჰმადიანებს აწუხებსო, უორანი ცეცხლში დაწვაო. თან გი-
 ორგი ერისთავმა და სიმონმა სთხოვეს უეწს — ვახტანგი არ გვინდა
 მეფეთ, იესე გამოგზავნეო. იესე სპარსეთში წაიყვანა ლევანმა, მამამ,
 1704 წ. და მასუკან იქ იყო გათათრებული. უეწმა მისცა მეფობა
 იესეს და გამოგზავნა. 1714 წ. ოქტ. 10 მოსულმა ტფილისში
 იესემ გიორგის ჩამოართვა ამილახორობა და ისევე ავთანდილს უბოძა.
 1715 წ. ლეკის ჯარი გამოვიდა ქიზიუის ბოლოზუდ და, უარაიანუდ
 მტკვარში გასულთა აიკლეს ხუნანი (ბორჩალო), საიდგანაც იესესგან
 გაგზავნილი ჯარით ორბელიანი ლუარსაბ სპასპეტი დამარცხებული
 გამოაქციეს. ამიტომ იესემ „წარავლინა ამილახორი ავთანდილ ზემო-
 ქართლითა (ჯარითა), ესე მივიდა საგარეჯოს, არამედ ესეცა მოიქცა
 უქმი“). 1716 წ. ვახტანგი დაიხლოვა უეწმა, ჩამოართვა მეფობა
 იესეს და უბოძა ბაქარს, ვახტანგის ძეს. ესე გადმოვიდა რაჭიდან
 ტფილისში 17 სექტემბერს 1716 წ. ჩამოართვა ამილახორობა ავ-
 თანდილს და უბოძა გიორგის. 1722 წ. ტაბახმელაზუდ ლეკებთან
 ბრძოლაში მოიკლა სახლთხუცესი ვახტანგ გივის ძე ამილახვარი
 „სრული უოვლითავე“. ვახტანგი უზმინიდან წამოსული 7 აგვისტოს
 1719 წ. მოვიდა ტფილისში. კახნი მოუხდნენ ვახტანგს ტფილის-
 ში თაბორის მთის გარემო და ამ ომში მოიკლა ამილახორი გიორ-
 გი 1723 წ.

ამ დროდგან ვახტანგს მოსდიან ელჩები რუსთა იმპერატო-
 რის ჰეტრე დიდისგან და სრულიად აირია კიდევ ქართლის სამე-
 ფო საქმეები. სულთანსა და უეწს გაუგებარი არ დარჩათ ვახტანგის
 მიწერ-მოწერა ჰეტრე დიდთან და იგინიც შეუდგნენ თავის საქმეს:
 გაუწერნენ ვახტანგს და 1724 წ. იძულებული იყო რუსეთში გადა-
 სახლებულიყო ცოლ-შვილითა და დიდძალი მხლებლებით — 1400 სუ-
 ლი, ბევრი მათგანი ცოლ-შვილიანათ. რაჭიდგან დიდგორზუდ გადა-
 ვადნენ უბარდოში, რუსუდან დედოფლის სამშობლოში აგვისტოს
 დამდგეს. აქედგან 31 აგვისტოს სოლალში მისულმა ვახტანგ მეფემ
 ჯვარის-ციხიდან ჰეტრე იმპერატორთან გაგზავნა ამილახვარი ვახტანგ

1) იხ. ქ.-ცხ. II, 79 გვ.

ავთანდილის ძე წერილით¹⁾). იგი მივიდა ჰეტერბურგში 5 ნოემბერს და მეორე დღესვე ინახულა ჰეტრე დიდმა ამ დროს მეფეს თან ახლდნენ გიორგი და ეგგენ ავთანდილის ძე ამილახვრები, ვახტანგის უმცროსი ძმები. სენატმა მოისმინა ვახტანგ მეფის წერილი და პასუხი გამოატანეს. ნოემბრის დამლევს ამილახვარი ვახტანგი მოეკება მეფეს ასტრახანში. ვახტანგ მეფის რუსეთში გადასვლის შემდეგ ქართლსა და კახეთს ოსმალნი დაეპატრონნენ და ამ დროდგან თავი იჩინა ანდუყაფარის ძე გივმა ამილახვარმა, რომელიც კარგა ხანს ზირველობდა ქართლში და დიდი გავლენა ჰქონდა ქართლის ბედ-იღბალზედ ოსმალ-სპარსთა ბატონობის დროს, მაგრამ ამის შესახებ სხვა დროს.

მლ. 3. კარბელაშვილი

¹⁾ ვახტანგ ავთანდილის ძე ამილახვარი პატარაობიდანვე არჩილ მეფეს გადაჰყვა და ათიოდე წელიწადი მოსკოვში იყო, რუსული ენა კარგად იცოდა.

შენიშვნა შესახებ სიტყვისა—«დასტავისა»*)

„ქართლის მოქცევაში“¹⁾ გვითხულობთ: „ხოლო სარკინეს ქალაქსა ებრძოლა²⁾ ათ-ერთმეტ თთულ, და დადგა სარკინეს დასაველით კერძო, და დასცა ვენახი, და რუჲ გამოიღო ქსნით, და დასხნა კაცი მერუგენი დასტავითა რუჲსაჲთა, და ჰრქჳან ადგილსა მას

*) **რედაქციისაგან:** აწ განსვენებულმა ცნობილმა მამულიშვილმა თავადმა თათარხან დადიშკელიანმან საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმს გამოუგზავნა პატარა ხის ნივთი, მოგძო და ოთხ კუთხედი; ორ გვერდზე ლამაზი ჩუქურთმა აქვს ბაწრის მსგავსი და ორ გვერდზე ჩალრმავებულია, თავში ოთხი პატარა სვეტი უხის, ბოლო პრტყელი აქვს ჯვარედინის ხაზებით (ნახატვი ამ ნივთისა ნამდვილის ნახევარი ზომით და აგრეთვე ნახატვები თავისა და ბოლოსი სრულის ზომით იხილე ქვემოთ). თათარხანმა წერილით გვაცნობა, ამ ნივთს ქვემო სვანეთში **დასტაზი** ჰქვიაო და ქალები დღესაც ხმარობენ პურის დასაბეჭდავთო. შემდეგ მივიღეთ ეს პატარა შენიშვნა სიტყვა **დასტაზის** მნიშვნელობის შესახებ „ქართლის მოქცევაში“. ვბეჭდავთ ამ შენიშვნას, რომ ამით საშუალება მივსცეთ მსურველთ, შეამოწმონ, მართლა იხმარება ქვემო სვანეთში და შორაპნის მაზრაში სიტყვა **დასტაზი** და თუ იხმარება, რა მნიშვნელობით. ჩვენ კი ჩვენდა თავად არ ვეთანხმებით განსვენებულს ავტორს იმ ფრაზების განმარტებაში ქართლის მოქცევისა და ქართლის ცხოვრებისა, სადაც ვითომც სიტყვა **დასტაზი** იყოს ხმარებული და სადაც გვხვდება სიტყვა **ნასტაზისი**: ავტორს არ მიუქცევია ყურადღება, რომ ნაჩვენებ ფრაზაში **დასტაზი** ერთი სიტყვა არ არის, არამედ ორი: **და სტაზი**. და მთელი ფრაზა, როგორც სამართლიანათ განმარტა ნ. მარჩმა, უნდა წავიკითხოთ ასე: **და სტაზითა რუჲსაჲთა დაჰ(ა)რქჳიან ადგილსა მას ნასტაზისი**. ადგილისთვის **ნასტაზისი** დაურქმევიათ იმის გამო, რომ იქ წინეთ **სტაზი** ყოფილა. რომ **დასტაზი** ერთი სიტყვა ყოფილიყოს, ადგილს ქართულის გრამატიკის კანონით უნდა დარქმეოდა **ნადასტაზისი** და არა **ნასტაზისი**. ამას გარდა საბა სულხან ორბელიანის ლექსიკონში ცნობილია სიტყვა **სტაზი** და არა **დასტაზი**. **სტაზი** საბას განმარტებით ნიშნავს **რუჲს სათავეს**. ნ. მარჩი არ ეთანხმება საბას ამ სიტყვიან განმარტებაში და გვამცნევს, რომ ეს სიტყვა წარმოსდგება

ნასტავისი.—და მერმე გამოიღო სარკინე: თუთ დაყარეს და მეოტ იქმნეს“.

„ქართლის ცხოვრება“³⁾ ამაზედ ამბობს, რომ სარკინეს ციხე-ქალაქს შტერმა მჭიდროდ ალუა შემთარტუა, და „ვერა-სადით განერა ერთიცა კაცი“ და ამით „სარკინელთა შესჭირდა... იწეეს ფარულად კლდეს კაფა, და განხვრიტეს კლდე იგი, რომელი რბილ იყო და ადვილად სახვრეტელი, და გაკრბეს ხვრელსა მას სარკინელნი დამე და შეიფლტოდეს კავკასიად, დაუტევეს ცალიერადი ქალაქი“.

აქ ზემოდ აღნიშნული გაუგებარი სიტყვის—**დასტავის** ასახსნელად ჰატივეცემულმა პროფესორმა მარამა სტატია⁴⁾ დაწერა, რომლითაც გვარწმუნებს, რომ სიტყვების: **დასტავის** და **ნასტავისის** ძირი—სტავი—არისო სპარსული სიტყვა „სტაკ“, რომელიც ნიშნავსო: **ბაბილოს**, **ახალ შტოს** და, საკუთრად, **ვაზს**, **ვენახსო** და ამიტომ „ქართლ. მოქცევის“ ტექსტის სიტყვებს —**დასტავს რუისა** სთარგმნის რუსულად **виноградникъ, орошаемый каналами**, ე. ი. ვენახი, მორწყული რუებითა*).

სპარსული სიტყვიდან **სტაკ** (ქართლის ცხოვრებაში ადგილის სახელი **ნასტავისი**-ა და ეს ფორმა უფრო ძველ და ნამდვილ ფორმათ მიაჩნია მარამს, ასე რომ ძველათ ჩვენამდის მოღწეულ ქართლის მოქცევის **სტაბი**-ს მაგიერ მარამის აზრით უნდა ყოფილიყო სიტყვა **სტაკი**), რომელიც ნიშნავს ახალ ნერგს, შტოს და კერძოდ ვენახს, ვაზს. შეიძლება სვანეთში და იმერეთში იხმარებოდას სიტყვა **დასტავი** თავისი მნიშვნელობით, მაგრამ ქართლის მოქცევაში კი სიტყვა **სტაბი**-ა ნახმარი.

ე. თ.

1) ექვთ. თაყაიშვილი—სამი ისტორ. ქრონიკა, ქართლ. მოქცევის მე-3 გვერდი.

2) აქ საუბარი არის ალექსანდრე მაკედონელზე.

3) ნაწილი I, გვერდი 27.

4) Отдѣльн. оттискъ изъ Запис. Восточ. отдѣл. И. Р. А. общества; т. IX, стр. 192—195.

*) ნ. მარამი ასე სთარგმნის სომეხთ მწერლის აგათანგელის ისტორიაში ნახმარ სიტყვას **როტასტაკ**.

ე. თ.

დასმტკიცებლად თავის აზრის; ჰატივეცემული მეცნიერი ადგილად გასაგებს ქართულს სიტყვებსაც თავისებურად კითხულობს და სთარგმნის: დასცა ვენახი ნიშნავსო: დანერგა, აღაშენა ვენახიო; და რუ გამოიღო ქსნიო — ქსნით გამოიყვანა სარწყავი წყაღიო.

ერთის სიტყვით, თუ ჰროფესორი მარკის სიტყვების ახსნას მივიღებთ, მაშინ „ქართლის-მოქცევის“ მოთხრობა შესახებ ბრძოლისა, რომელიც მომხდარა სარკინეს ციხე-ქალაქთან ანაირად უნდა გავიგოთ: „სარკინესა ქალაქსა მტერი ებრძოლა თერთმეტი თვე; თვითონ მტერი დაუბანაკა სარკინეს დასაფლეთით, და დანერგა უურძნის ვაზები, და გამოიყვანა ქსნიო სარწყავი წყაღი, და დააყენა კანნი მცველნი („კანნი მერუგენი“) ვენახითა რუისა, და მას ადგილსა (შემდეგში) დაერქვა ნასტაგისი. მერმე სარკინელთა თვით დატოვეს თავისი ციხე-ქალაქი და გაიქცენ, და ცარიელი ქალაქი დაიჩინა მტერმა“.

ჩვენ ასეთი ახსნის თანახმა არა ვართ შემდეგის მოსაზრების და საბუთების გამო: ფიგლატ-ფაღასარის (1120—1080 წ. ქ. წინ) დიდი ომების დროიდან უკანასკნელი ჰორტ-არტურთან ბრძოლამდის სამხედრო ისტორიამ არ იცის იმისთანა შემთხვევა, რომ ვენახის აშენებით და სარწყავი წყლის გამოყვანით ალფა-შემორტყმულნი მეციხოვნეები იძულებული უოფილიყვნენ თავისი ნებით თავისი ციხესიმაგრეები მიეტოვათ. წინააღმდეგ ამისა, იგივე ისტორია მოწმობს, რომ მომხდომი მტერი (наступающий неприятель) უოველთვის სცდილობს დამხობას, აოხრობას და დაპურობას იმ საგნებისა, რომლებითაც სარკებლობს დამხლური მტერი (обироняющийся неприятель). აბა რა ადგილი აქვს ბრძოლის დროს, და კიდევ მარტო 11 თვის განმავლობაში, ვენახის აღშენებას და სარწყავ წყლების გაყვანას? *)

*) აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ქართლის მოქცევაში და ქართლის ცხოვრებაში ალექსანდრე მაკედონელი ქართველების მტერათ კი არ არის გამოყვანილი, არამედ მოყვარეთ. ის მტრობს ქართველების მტრებს ბუნთურქებს, განაძეებს მათ საქართველოდან, ანთავისუფლებს ქართველებს, უდგენს მათ მეფეს, სწმენდს ზნე და ჩვეულებას ქართველებისას, ამყარებს ახალ სჯულს, მზის, მთვარის, ვარსკვლავების და ერთი უხილავი ღმერთის თაყვანისცემას და სხვა. ამიტომ გასაკვირალი აღარ უნდა იყოს, თუ

გარდა ამისა სიტუვა დასცა არ ნიშნავს გაკეთებას, აღშენებას რამესს. სიტუვას—დასცა.—მაშინ იტუვიან, როცა ვინმემ რამე ქვე წააქცია, დაამხო, ანუ ააოხრა.

ჩვენ არ ვეთანხმებით აგრეთვე ბ-ნ მარსს სიტუვების ახსნაში: **რუჲ გამოილო ქსნით**. ზმნა—**გამოილო**—რა აზრით არის ნათქვამი? ჩვენს ტექსტში გამოილო ნათქვამია რუისათვისაც და მთელი ციხე-ქალაქისათვისაც („და მერე გამოილო სარკინე“). აქეთგან სჩანს, რომ—**რუჲ გამოილო**—სრულიად არ ნიშნავს, რომ სარწუჯი წყალი გამოიყვანა. ტექსტის აზრით, რომელიც სრულიად მარტივია და რომლისაც აღსნას ჩვენ ქვემოთ ვცდებით, ზმნა „გამოილო“, ამ შემთხვევაში, ნახმარია სიტუვების მაგიერად: **დაიპურო, დაიკავა** (ОБЛАДѢТЬ, ЗАНЯТЬ). მხოლოდ ამ აზრით „გამოილო“ ითქმება რუზედაც და ციხეზედაც.

რომ **დასტაგი** არ ნიშნავს ვენახს, ეს ცხადია შემდეგი სიტუვებიდან: „დასხნა კაცნი მერუვენი დასტაგითა რუისთა“. თუ **დასტაგი** ვენახთ ვიგულისხმეთ მარსავით, მაშინ გამოდის, რომ დაუენეს კაცები მცველნი **ვენახით რუისა**. ამისთანა უაზრო ფრაზას, რომელი ქართული ენის მცოდნე დასწერდა და უმეტესად შატბერდის კრებულის გადამწერი მე-X საუკუნეში?

სიტუვების: **დასტაგითა რუისათა**, გრამატიკული კავშირი ზირდაზირ გვიჩვენებს, რომ **დასტაგი** ეწოდება რამე **სანიშანოს, კუთვნილებას რუებისა და არა ვენახს**. ენგურის ხეობის სვანეთის დასავლეთის სოფლებში ახლაც ხმარობენ **სტაგიდან** ქმნილ სიტუვებს: **და-სტაგ=დასტაგი, ლა-სტაგ-ი=სა-სტაგ-ისი, ლი-სტა-გი=და-სტაგ-ვა, ნა-სტაგ-ვ=ნა-სტაგევი** და სხვა.

სვანური და ქართული ენების ჰრეფიკებით და სუფიკსებით დაწერილი სიტუვებიდან სჩანს, რომ **სტაგი** რამე საგნის სანიშანოს—კუთვნილებას შეადგენს; მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ უოველ სა-

მან სარკინეს მახლობლათ, სადაც ბანაკათ იდგა, რუც გამოიყვანა და ვენახიც განუშენა ქართველებს. ყველა ამას ქართველებისთვის ჩადიოდა და არა ალყა შემოვრტყმული ბუნთურქებისათვის. ე. თ.

განს იავესებური დასტავი აქვს. ერთი ამნაირი დასტავი¹⁾ ამ 1909 წ. სექტემბერში მე ვახელ ჩვენ საზოგადოებას.

რუის დასტავი რა უნდაყო ფილიყო?—თავდაპირველად—რუის თავში გაკეთებული წელის გადასაშობ-გადმოსაშობი (ШЛЮЗЪ). რომ „ქართლის მოქცევა“ ამნაირ დასტავს ასსენებს, ამის უეჭველად დამტკიცებელი ის არის, რომ შორაზნის მზრახში და სხვა იმერეთის კუთხეებში, სადაც ჭერ არ არის დავიწყებული ძველი სახელწოდება, წისქვილას წელის გადასაშობ-გადმოსაშობ ფიცარს, ანუ გათლილ ქვას უწოდებენ დასტავს.

აქეაგან „ქართლის მოქცევის“ და „ქართ. ცხოვრების“ მოთხრობას ერთის მეორეზე ზედ დამატებით ადგილი გასაკებია, რადგანაც სარკინეზედ დამცემი მტრის სამხედრო მოქმედება დალაგებით აწერილია, ასე რომ მარტო აზრით შესაძლოა მივხვდეთ გაუგებარი ჩვენთვის სიტყვების მნიშვნელობა. ძველად და ახლაც უმთავრესი ციხე-სიმაგრეების გარდა, მათთან მოშორებით, მათ გარემოში, რამოდენიმე შწყვიად, მოაწყობენ ხოლმე სადარნოებს (укрѣпленія). ამ სადარნოებს უნდა შემოეკავათ თავდაპირველად სახმარი წყაროები, თუ იგინი ციხე-ქალაქის გარეშე მომდინარეობდენ, ბოსტნები, ვენახები, სადაც იუენენ, და სახნავ-სათიბები, თუ რომ ციხე-ქალაქის გუშავი (ГОРНИЦОНЪ) მრავალი იყო. ამნაირად მოწყობილი ყოფილა სარკინეს ციხე-ქალაქის არე-მარეც. როცა სარკინე ქალაქი სხვა ქალაქებსაგვით უომრად არ დაემორჩილა, მოერიშე მტერი მთავარი სარდლით მის დასაყლით დაბანაკდა²⁾, სხვა ჯარები გარეშე სადარნოებს მოახვია („გარემოადგინა“), ააოხრა ვენახი სარკინელებისა, დაიპყრა („გამოიდო“) ქსნით რუი, რომლითაც სარკებლობდენ სარკინელები, და ამ რუის დასტავი იან (У ШЛЮЗА), ადგილზედ, რომელსაც შემდეგში და-

1) ჩემგან გამოგზავნილ დასტავს ახლა ხმარობენ მხოლოდ დასავლეთ-სვანეთის სოფლებში; სხვაგან მე არ მინახავს, და ხმარობენ მარტო ორ დღეს წელიწადში გამოცხობილი ჰურის დასაბეჭდავად, მსგავსად სეფისკვერისა. თ. დ.


2) უთუოდ ამ ადგილს მაშინ უფრო საბრძოლველი მნიშვნელობა ჰქონდა. ყოველთვის მთავარი ჯარი მთავარი სარდლით ამისთანა ადგილებზედ ბანაკდებიან. თ. დ.

ერქვა ნასტაგისი, დააყენა ვარაულები („დასხნა კაცნი შერუეენი“), და თანდათან, თერთმეტი თვის განმავლობაში, ალყა (БЛОКАДА) მტერმა ისე გააძლიერა, რომ „ვერა-სადით განურა ერთიცა კაცი“ და ამნაირი სამხედრო მოქმედებით შევიწროებულნი სარკინელები იძულებულნი გახდნენ, რომ თვითონ დაეტოვებიათ თავისი ციხე-სიმაგრე („თვით დაურეს და მეოტ იქმნეს“), და ამის შემდეგ მტერმა დაიპყრო („კამოიღო“) უკაცური სარკინე („დაუტევეს ცაღიერადი ქალაქი“).

ჩვენის აზრით, ამნაირია სარკინეს ქალაქთან ბრძოლის შესახებ მოთხრობა შემატანიებისა.



ნამდვილის ნახევარი



ნამდვილის ზომისა



ნამდვილის ზომისა

თათარხან დადიშკელიანი

1909 წ. 2 ოქტომბერს. სვანეთი. სოფ. ეცერი.

განყოფილება მესამე

ს ა ლ ე ქ ს ი კ ო ნ ო

რ

ს ა ი ს ტ ო რ ი ო მ ა ს ა ლ ა ნ ი

სა ლ მ ქ ს ი კ ო ნ ო მ ზ მ ა ს ა ლ ა

(შეკრებილი ეპისკოპოზ კირიონის მიერ).

ა

აბალე? — აბა? [ქონლისა.
 აბარება — საშენებლად აუვანა სა-
 აბდა-უბდა რომეა უთავბოლოდ.
 აბნევა ნემსის აგება.
 აბოეტი ევეეჩი.
 აბრაგანი დახეთქება.
 აბრუ სახელი, ნდობა.
 აგანგალა საუმაწვილო თამაშო-
 ბაა. დედას ამოიარჩევენ, რო-
 მელიც ქამრით უჩვენებს ცხო-
 ველის, ან თრინეულის ზომას.
 ვინც გამოიცინობს ქამრით გა-
 მოუდგება სხეებს.
 ადესა ეურძენია იზაბელა.
 ადიდებსი ადიდებს სული ჩემის
 თქმა (საეკ. წიგნ.).
 ადრაბაგი ფანჯარა.
 ავარა უბინაო, მოხეტიალე.
 ავტოკეფალია თვით-მოთავე, და-
 მოუკიდებელი ეკკლესია.
 აზართიანება წაქეზება, აჯანყება.
 აზგამო ძაღლის გაგდება შინიდან.
 ათათა ძაღლის გაგდება.
 ათათება აკვანში მწოლიარე ბაგ-
 შვისთვის ხელების ახსნა.

ათეული
 ათეშგაშა საცეცხლე, მანგალი.
 აინინა კერში ქართველთა, რომე-
 ლი აღმართა მეტეშ საუმარგ-
 მა (ქარ. ცხ. I, გვ. 33).
 აკილო მოჭრილი ტოტი ვაზისა
 ორ მტევნიანი.
 აკონვა კონათ შეკვრა.
 ალა-ალა
 ალალი ეტევიან ბავშვს, როდე-
 საც ლუკმა დაადგება ეელზედ.
 ალალი ალი, რომელიც ბავშვებს
 იტაცებდა. [დაწვა.
 ალანძვა წვადის შეტრუსა, ალით
 ალაწოდა მაღალი, ტანწრილი.
 ალახი დაღმართში ურმის შესამა-
 გრებელი.
 ალეში ანარჩევი ხილი.
 ალერსი ჰერანგის ამხანაგი.
 ალთა-ბალთა უთავბოლოთ ლა-
 შარაკი.
 ალილო შობის დამის მილოცვა,
 ხალხური ჰიმნი. [რე.
 ალჩუ სათამაშო კოჭის მეოთხე მსა-
 ალხანა
 ამალიკი ქართველი ებრაელები
 უწოდებენ სომხებს.

ამირანი ზღაპრული გმირი, რომელიც მიმჭვალულია კავკასიონის კლდეზედ.

ამლაკი ჭრელი ცხენი.

ამოთაქვა ამოფარდნა, ამოწვევა.

ამოქაქანება სულის მობრუნება, დასვენება.

ამოყაქვა ამოდება ჯიბიდან

ანა არა.

ანდრიაული შავი ურძენია.

ანამ მისათველი: სუთანამ, ექვსანამ, ათანამ და სს.

ანანი არ არის.

ანგალი გასწორ-გასწორ მოსიარულე, თავქეიფა.

აოდვა სინესტისკან უანის გაშუშვა, გაშაყება.

აპაპაპა არ იქნება, არ შეიძლება.

აპა, აპაში წასვლა გასვირნება, სტუმრად წასვლა.

აპანტალა აზრილის მონაგები, სიტუვა გადაკვრით — ნაბიჭვარი. აზრილი — აზანტალა.

აპლაკვა ფეხების აშვერა.

არჟანი (არაჟანი) რქე რომ მოიგდებს თეთრად ნაღების მოხდის შემდეგ.

არმაზი ქართველთა კერზი, აღმართული მუყე ფარნაოზისკან, რომელიც იყო სპილენძის; ეტვა ჯაჭვი ოქროსი და თავზედ ეხურა ჩაფხუტი ოქროსი, სამხრენი და თვალნი იყვ-

ნენ ზურმუხტისა და ბივრითისა და ხელში ეხურა ხმალი ელვარე და ბრწინვალე (ქართ. ცხ. ნ. I, გვ. 32, 74).

არტახი ბავშვს რომ აკვანში ჩაწვენენ გადაუჭერენ ხოლმე.

ასკიკუტუ ხტუნვით თამაშობა, სირბილი.

ასომთავრული მსხვილი საეკლესიო ანბანი.

ასფერულა (Asperula) მცენარე.

Асперула см. ЭНИ. СЛОВ.

ატენური ურძენია.

ატორლილება ადევნება.

ატუ ძაღლის დასევა.

აფხაზური ცეკვაობა; მწვადი.

აფხატება აცოცება კლდეზედ, კედელზედ.

აღუ ბავშვებს ეუბნებიან ალერსით.

აჟალო უფითელი მიწა.

აჟლაჟულა მადლი კაცი.

აშენება ურმისა ურმის გაკეთება.

აჩია ვირი.

აჩუა ცხენი.

ახში მინც.

ბ

ბაბა ჰური.

ბადრი ძმა ზღაპრული ვარამანისა და უსუფისა. [ველია.

ბათლახი, უარაბათლახი ფრინ-

ბათქაში არეულ ქვიშა-ვირით გამოდევნა.

- ბაიბანა** სოფლის განაწირა ადგი-
ბაკაკა ბატკანი. [ლი.]
ბალლი ბავშვი.
ბანდალი აქა-იქ მივლა-მოვლა.
ბანდუში ბოძებდ დასადები ხის
 ნაკერი სიმაღლის მოსამატე-
 ბლად.
ბარდაბარ, ბარიბარში ქვით,
 სწორ და სწორ.
ბარდა მცენარე ცულის ზირას მა-
 გვარი.
ბარდი დიჭ-სე-ბალახნარი.
ბარდი კიკინი თხათა.
ბარტყუნი ფეხებით ბრასყენი.
ბასმა ბრძანების ქაღალდი.
ბასილა სახალწლოდ გამოცხობი-
 ლა კაცის სახე (ფიგურა).
ბატიბუტი დახალული სიმინდი.
ბატუა დიდდელა.
ბაუა ბავშვი.
ბალარა მცირე ტყე.
ბალდადი სამშობლო, მშვენიერი
 გაშლილი ადგილი ჭაერ-წყლით
 შემკული.
ბალდადი აბრეშუმის თავის მო-
 სასვევი.
ბაუბაუ დევი ცხრა-თავიანი დევი.
ბაუილო გადასარგავი ზატარა ხე-
 ნილი.
ბაშაგი უფლება ღარიბთა ღარიბ-
 ნილ თავთაგების შეკრებისა
 მომკის შემდეგ.
ბაჩანა
- ბაჩაჩა, ბაჩუა** დაბალი ტანის სა-
 ქანელი. [ნაკერი.]
ბაცანკალი თავ-ქვეშ დასადები ხის
ბაწარი აილო—როდესაც მიდი-
 დან გაბმულად არაუი დაიწ-
 კებს დენას.
ბაჯაჯლანა შიშხი, უსახური, და-
 ბალი ტანისა.
ბაჯუჯა ფეხებზედ ბუმბულ გა-
 მოსული ქათამი.
ბელი-ბელი ბევრი.
ბერთხილა სე, რომელიც იხამს
 თნილისავით ნაყოფს.
ბერიკაობა ეკელიერში გადაცემს
 სხვადასხვა ცხოველების ტუ-
 ვებს და თამაშობენ.
ბერკეტი დიდი კეტი.
ბერყენა გარეული ზნტის გვარია.
ბეკი კერში, გაუტყენარი, შეუზოფა-
ბეჩავი საბრლო, საწყალი. [რი.]
ბეცი ახლოს კარკად ვერ. მხედვე-
ბეწეწინა ერთი ბეწო. [ლი.]
ბეხრეკი დაბერებელი, ძალა-გამო-
 ლეული.
ბეჯითი მუყაითი, მოცადინე.
ბითუში როდესაც ხანი არა აქვს
 გაფიცრულს, ან კედელს—
 კარფანჯარა (ერთ კედელი), ან
 ერთიანთ ცაღესილი.
ბიკონი კვარი.
ბირკი, ბიკა მცენარის ეკლიანი
 ბუბუნდო, ტანისამოსს რომ
 ეკრება.

ბლანდვა საპირისა და საჩხულის
ერთად აბლანდვა შესაკერად.

ბლითი კვერი თეთრი ჰურისა,
ბლონდი ლეჩხაქი. [БУСЛИКЪ.

ბობოლა ერთდოში ჩამოკიდებული
ხაჭრით ამსილი ჰატარა ჰარ-
კი, რომელსაც შვიდი ფთა
ურჭვია და დიდმარხვის კვი-
რებში თითო-თითოს გამო-
ძირებენ ხოლმე.

ბობოლა დიდი ვინმე. [დება.

ბოგინება ცხოვრება, ფეხის მოკი-
ბოლოთრია ბზე-თივის საზიდი
მთის ურემი.

ბორანი წყალზედ გადასასვლელი
გადაბმული ხავეები.

ბორძიკი ცხენის სიარულის ხა-
კლულეფანება.

ბოჩი ქართველთა კერში.

ბოხი სქელი ხმა.

ბოჯგი დაბალი ბოძი.

ბრაგვანი ძირს დაცემა.

ბრელო ბუჩო, თივას რომ სცვივა.

ბუა, ბუაი ამ სიტყვებით ბავ-
შეებს ამინებენ.

ბუგანი ადგილი, სადაც საქონელი
ერთად დაეკრება ხოლმე.

ბუდნა-ბუდნა ჭკუფ-ჭკუფი.

ბუერი თეთრი ურძენისა

ბუზულაკი ბზიკი.

ბუთქი გადაკაფილ ხეზედ ამო-
ღი ტოტები.

ბუქნაჭოტი ჰატარა ჭოტი.

ბულაყი ჰატარა წყარო.

ბულბულა ყვავილია, მთაში იცის.

ბუნთურქნი აწინდელი დიდოკლე-
ბი (ვანუშტ. გეოგრ. გვ. 328).

ბურაო ხის გასახვრეტი, ან ჰრთ-
კის ამოსაძრობი.

ბურაო სტაქანი დიდი სტაქანი.

ბურახი სიმინდისგან ანუ ქერის-
გან გამოხდილი სსმელი.

ბურსა თოვლიანი ნისლი.

ბურქოიანი დოში შუაგულში გა-
ფუჭებული, დამზალი.

ბუტყუნა ცხვირში მოლახარაკე
ბუყბუყი მუცელში ხმაურობა, მცო-
რე გვერმა.

ბუჩო ჩაღახულა.

ბუძუნძლო ხესვის ანუ კიტრის
გული, რომელშიც ახვევია
თესლი.

ბლინძვა თავის მოტანა, ამრეზა.

ბლლაძა ჩავიტანე სისწრაფით
ჩაველი.

ბ

გაბნევა ნემსისა ნემსის გაურა,
გამაგრება.

გაგა ძაღლის გარეთ გაგდება.

გაგანი ხმაურობა.

გადაბირება თავის მხარეზედ გა-

გადაბუგვა გადაწვა. [დაუვანა.

გადალოცვა ქორწილში ან ქე-
ლესში ფულით შეწევნა.

გადამცნილი გადაგვარებული.

- გადაფუჩიჩება** უგულისყურით წა-
კითხვა, ფურცლების გადაშლა.
- გადაღრძობილი** დროს გადასუ-
ლი, დასნეულებული.
- გადაულურწვა** გადაკვრა.
- გადაშვლება** გადახდევინება, თა-
ვიდან ქუდის ახდა.
- გადაშხურლება** მათრახით ან სხ-
ხრით გადაკვრა.
- გადაჭერა** მათრახით ან სხხრით
გადაკვრა.
- გადახუხვა** გადაკვრა, დაღეჭა.
- გადაღვრინული** ცხვირ - გაჭედე-
ტილი, ხესტოებ განიერი
ცხვირი.
- გავარვარებული** ძალზედ გახუ-
რებული თონე.
- გაზვა, დაგაზვა** დაკაწვრა, ხა-
დირთ ხაბებია.
- გათავნიერება** თავნისა და მოტე-
ბის გათანასწორება.
- გათეთრება** საქმისა გაკეთება,
გაჩარხვა.
- გათვლა, გაითვალა** თავისი გა-
მოიანგარიშა.
- გათრეულა** ჰირველი დღიური გუ-
თნის გამართვის დროს, რთ-
მელიც გუთნის დედას ეკუთ-
ვნი.
- გათხლეშა** გარტემა. [ვნის.
- გათხორცვა** გაყვანვა წულისა.
- გაიმ** ქართველთა კერში ვერცხლი-
სა, რომელი აღმართა აზომ.
(ქართ. ცხოვ. I, 28).
- გაკრულვილი კაკალი.** წებო
მოშორებული კაკალი.
- გალალვა** კარეკვა.
- გალახული ღვინო** გზისგან გა-
ტეხილი, ძალა - გამოლეული
ღვინო. [სარეცხისა.
- გალივლივება** წყალში გაფლება
- გამარჯვებული დღიური** კარგი
გუთნეულის დღიური.
- გამოზზინება** ზერანგის ამხანაგის
ჩაძრობა.
- გამოკემსვა** გამოხემსვა, გამოკერ-
გამოლასტული შშიერი. [ვა.
- გამომარყუშება** თოკის რგოლად
გამონასკვა ბოლოში (წვერში).
- გამორჩენა** შემოსავალი, დარჩენა.
- გამოტვინება, -ული** ჭკუა გა-
მოლეული, ჭკუა თხელი.
- გამოჩერჩეტებული** გამოსუდე-
ლებული, უტვინო.
- გამოჭეჭვა** გამოწოვა.
- გამოხურდავება** წერილზედ და-
ხურდავება.
- განარცხვა, განარცხული** სა-
ქონლის და ფრინველების ტან-
ში გახსნა, გაფადართება.
- განერა**
- განმარჯობა:**
- განცემ** გაცემა.
- განცვიფრება** გაკვირვება.
- განწურომა** გაწურომა.
- გაპა-კუცვა** ხელების გაშლა.
- გაპოხვა** ქანის ან დუშის წასმა.
- გაჟუჟვა** გაჟღეტა.

- გარდაბოსი** შვილი ქართლოსისა, გმირი, აღმაშენებელი გარდაბანისა (ქართ. ცხ. I, გვ. 19).
- გასახლვა, გასახლე** მკლავების გაურა სახლებში, მკლავები გაუყარე სახლებს.
- გატიკნული** გამაძღარი, გაბერილი.
- გატეცა** გატეხა.
- გატვრინვა** განაზვა, განუძევა, გაუჩნდა, გარინდვა.
- გაქირცვნა** კანის გაძრობა, გალფხვრა.
- გაქლესილი** გახეხილი, ზირში მსქებარი.
- გალნიოშება** აწეწა საქმისა, გაუთავებლობა დაწეებული საქმისა.
- გაჭყიპვა** ბევრი სასმლის დაღევა.
- გაჩიოსი** გმირი, შვილი ქართლოსისა, აღმაშენებელი განიანისა (ქართ. ცხ. I, გვ. 19-20).
- გაცი** ქართველთა კერპი ვერცხლისა, რომელიც აღმართა აზომ (ქართ. ცხ. I, გვ. 28).
- გაძეილი** გატენილი.
- გაწყალბული** ხმარებისგან დაღუული, გაცვეთილი.
- გაჭარვა** სინესტისგან მოსავლის გაფუჭება.
- გაჭეკნილი** გატენილი.
- გაჭიჭებული** დაბერებული, აბოლებული მწვანელი.
- გაჭყიპვა** ექლთამდე ავსება.
- გახიწვნა** სახლის გალაგება.
- გახვლეა** გაძრობა, გატყუება.
- გეზი** კვალი, სუნის აღება ძაღლისგან.
- გენა** აღერსი ბავშვებისა.
- გველ-კუი** ზატარა კუ მკებნავი.
- გვიბძანე** სიმღერაა.
- გზის გათავაზება** გაცილება.
- გლიმი** კრინტი.
- გმინვა** ტანჯვა.
- გნაცი** ძაღი, ღონე.
- გნიასი** უივილ-ნივილი, ხმაურობა.
- გოგვა, მოგოგავს** ჩქარი ნაბიჯით სიარული.
- გოგონა** ზატარა გოგო.
- გოგორა, გოგორობა** ცვრევა.
- გოგუცი** ზატარა გოგო.
- გოთაობა** გოთა ჯოხია მოკაუჭებული, რომლითაც რიკსა სცემენ.
- გორგოლა** ზატარა თვალი ურმისა, გინა გუთნისა.
- გორგოლაჭი** საბავშვო ურმის თვალი.
- გორგომიჭველა** მთელი ლებების ჩურჩხელა.
- გორდა** თახახი ხისა.
- გორზავალი** ხის ფეხი.
- გოროხი** გამხმარი ტალახი.
- გორხანა** საფლავი.
- გრიჭა** მაგარი თიხა.
- გულის აჩუყება** ცრემლების მოსვლა.

გულის გადმოქანება შეშინება.
გულის ძმარვა გულის წვა.

გულუბრყვილობა გულწრფე-
ლობა.

გუფთა-ბოზბაში ცხერის ხორ-
ცის წვენი, რომელშიაც და-
კეპილი და დასოროსლებული
(დაკუნდავებული) ხორცია.

დ

დაბნევა დუგმ სა დუგმის და-
კერება.

დაბოლოვება რადესაც ურმის
ბოლო დასძლევეს და თავს
მალა აიწვეს.

დაბოხებული დაბერებული, ხმა-
დასქელებული.

დაბუხული ფრთა-ჩამოურილი.

დაბუხული დაძრული უინვისკან.

დაბუჩინება დაურდომა, დანაბრება.

დაგაზვა დაკაწვრა, დაკლევა.

დაგუგუნება ბუხრის შეკეთება
ცეცხლისა.

დაგშამათოს დაწვევლა რჯულ-
დადა დედა. [გადამდგართა.

დავახშმება მთვარისა მთვარე
რომ ვახშმის შემდეგ ამოვა.

დაკარწახება ტანსაცმელის აწევა.

დაკოჟრებული გამაგრებული ან
ადამიანის ტანზედ ან ხეზედ,
დაბეგვილი.

დალაბანდი დოლი.

დამალი უელის ჩამოსვლა.

დამპალი გაფუჭებული, აწოდე-
ბული.

დანაბრება დაურდომა.

დანანა კერზე ქართველთა, რომე-
ლიც აღმართა შეუქმსაუმაღ-
მა (ქართ. ცხ. I, გვ. 33).

დანდობა, დაინდო დამკება, და-
მაკა.

დანდრაზა სქელი ადამიანი.

დაოსება დაქანცვა, დასუსტება.

დაჟარული დაზარული.

დაჩანი სადაც მდინარეში აეკეზი
იმალება.

დატკრეცილი დაწითლებული ლო-
უები.

დაფაშრება გამომცხვარი ჰურის
გამომხობა.

დაფერცხვა დედლის დევნა.

დაფოლება ფასის და ღირსების
დაკლება.

დაფორიაქება დაბოხობა.

დაქოქა (დაქოქვა) მომართვა.

დალაზული დაკაწრული.

დაღვრემილი დარღინი, თავ-
ჩაღუნული.

დაყილება, ყიალი უთავბო-
ლოთ სიარული.

დაყოინება დაცხრომა.

დაყრდომა დანაბრება.

დაყურსებული გადამღნარი ვერ-
ცხლი.

დაშნა, დაშანი ხმალი.

დაშარტვა მაკრა შეკვრა.

დაჩოთინება ხელის დარევა, ჯობნა.

დაცინცვლა დატყუება, მოტყუება.
დაძახვა შემოძახვა სიმღერისა.

დაწრწის უთავბოლოდ დადის.
დახე დახედე. [ბა.

დახლა-ბურთი საბავშვო თამაშო-
დახლაკნილი ბრუდე, ანა სწორე.

დედანი გუთნის ფთის უკანა ნა-
წილი.

დეკნა, დეკეული ახალი ძრახა.
დეღამა ყველის ამოსადებად რომ
რძეს შეადელებენ.

დიამბეგო სიმღერაა. [ბათი.

დიდი შაბათი გნების კვირის შა-
დიდრაჯობა დიდ-დიდის გაყო-
ლა, მათი მიბაძვა.

დიდ-ხუთშაბათი გნების კვირის
დოდო გოგო. [ხუთშაბათი.

დოზანა
დოლა ურქო საქანელი.

დორანი იღბალი, ბედი. [სხვ.).

დოყ-დოყი ნორჩი (მწვანელი და
დოშტოროლა ჩილიკას რომ და-

აგდებენ მიწაზედ გასაკრავად
დრემლა ცხვრის განაჯალი, ცურ-
დრკუ მზაკვარი. [ცლი.

დრუზვა, ვდრუზე დარტყმა, და-
ვარტყი.

დუბელა მზისგან გამთბარი წყალი.
დუბეში ნარდში ორჯერ ხუთიანი.

დუუი ბნელიანს რომ მოსდას ხოლ-
მე ფურთხი.

დუთკო აბურცებელი, დასიებუ-
ლი თითი.

დუფანჯი ნარდში ორჯერ ხუთიანი.

2

ებო ერბო.
ელეთ-მელეთი მეტი მეტი სურ-
ელთი ერთი. [ვილი.

ელმოლა სტკიოდა.
ეტი ნაწილი ვენახისა.

ექანი მუხარი.
ექიო როგორ ანა! დახს!

3

ვაგანი ვარცლი. [ვობა.
ვანაჩრობა მეტა სახსრის უქან-
ვარანგი ზამთრის თბილი ღამე.

ვარიკელა კურდღლის მოზრდი-
ლი ბაჭა.

ვარსამატი (ქართ. ცხ. I, გვ. 49).
ვახრაკი წყარო.

ვეეზართელა ძალიან დიდი.
ვირგლა გაუთლელი, დიდი ტა-
[ნიანი.

ზ

ზაალა წაილო შემაწუსა, საქმე
გამიჭირა.

ზადენი ქართველთა კერძი, რო-
მელი აღმართა მეფემ ვარ-
ნაჯომ (ქართ. ცხ. I, გვ. 34).

ზამათი დიდი თოვლი და წვიმე-
ბა, თოვლ-ჭყანძი.

ზამინი შესამაგრებელი ბოძი.

ზედადგრობა საუმწეილო თამაშობა.
ზახრუმა, ზახრუმალა
ზედახროვა თავის მოურა ერთად.
ზეით-ქვეითად ყოფნა როდესაც კაცი უქეიფობს და ღოგინათ კი არ არის ჩავარდნილი.
ზემქვერეტი დაუგვირვებელი კაცი.
ზი! ზი! ძაღლის გაბრაზება.
ზიზია ახალი, კარგი.
ზინათი სიმდიდრე.
ზოსტერი სარტყელი.
ზუზი მალაღი, აწოწილი.
ზურგულეზა

თ

თაგვობა ასკილით თაგვების გარეკვა სახლიდან უგელიერში.
თავანკარა ზირველი რამ, წმინდა, სუფთა.
თავრიელი საქალაქნე თავის კანისა.
თავწვერა თავის ნათქვამი, კერზი.
თავხე რაზედაც კოჭები აწევიან.
თათარი ქართველებმა ზირველად უწოდეს ეს სახელი მონღოლებს (ქარ. ცხ. I, გვ. 344).
თათარი-ხნათ როცა ხორცი მონარშვაში შევა, სანქაროთ მონათები ხელეები. [ხარშვა.
თალია ერთი თამაშობა ხარდზედ, ჭანდრაკზედ.
თამელი მაგარი ხეა, რომელსაც ღერძად ხმარობენ.

თანგი—ები უერძნის საწური ნავის გასამაგრებელი ძირის ხეები.
თაობა რომელიც დღე ახეული.
თარბე (თაიბე?) კხლანდელი ის-პანია. [კროიკები.
თარგი გამოსაჭრელი მინუშები, ვითასაკი თაბხის თავზედ დასადგმელად რგვლად მოხევეული ტილო.
თაფი სათამაშო კოჭის ზურგი.
თალარი დიდი ქვეერი საწინახლის მილთან. [ძირები.
თეგი გათიბული ბალახის მისხვილი
თემელიანი კეთილ-საიმედო.
თეო ცხვრის ბინის გარშემო ალაგი, სადაც ძაღლები დარაჯობენ.
თერხვი ძირიელი ქარიშხალი.
თვალ-ბუტყუცა
თვალის კვრა თვალი ეცა.
თვალის მოტყუილება მცირე ძილი, წაძინება.
თვალსაზრისი
თვალსაჩინო
თვალის ცემა თვალი ეცა, თვალი ქვრეს.
თიბვისა სიმღერა, რომელსაც ამბობენ თიბვის დროს.
თიქმა-თიქმა გაქცევ სულ დატოლი თვალი. [გლეჯამ.
თონთლე შემოუსვლედი, რბილი.
თორნე (ქვაბი) მღვიმე, გამონაკეთი კლდეში.

თოფური აღაურდა.
 თოქშ გაჩერდი, ვირს ეტყვიან.
 თოხნისა სიმღერა, რომელსაც ამ-
 ბობენ თოხნის დროს.
 თრეულა ერთგვარი სიმღერაა.
 თქეში გამდნარი თოფლი.
 თხლის შეკამანდი მჭავე შეჭა-
 თხორი [მანდი თხლისა.
 თხრილობანი ძველი ნაშთების
 თხუნელა [თხრა.

ი

იავნანა უმღერიან წითელით ავად-
 მოფეს.
 იამინობა მშვიდობა, სიწუნარე.
 იანი (წასვლა იანი)
 იბნა გარეუნილი, ჭაკი.
 იღრი შეხედულობა [თონეში.
 ითაფა მიკრული გუნდის ჩაფარდნა
 იუჭნება მდიდრდება, სარჩოს
 იძენს.
 ინწუბა წუმზე ღორის ჩასწოლი.
 იქეშა ღორი დამაკლა.
 იღნალი ქალაქისავით სავაჭრო დაბა.
 იჩეჩება იქეჩება, იშეუშნება.

კ

კაბდო ზატარა ნაჭერი მიწა.
 კაკა ხილი.
 კაკანა აკვანი.
 კაკანათი ძუის მახე ჩიტების და-
 კაპოეტი მწვანე ქვა. [საჭერი.
 კარნახობა ДИКТОВКА.

კატა პირს მეცა სახტათ დავრჩი,
 შევეკრთი.

კაჩო ბოძში შერჭმული ზალო ჩა-
 მოსაკიდებლად.

კაცუნა ზატარა კაცი.

კახოსი გმირი, შვილი ქართლო-
 სისა (ქართ. ცხ. I, 19).

კბილის შევერა დამე გარეთ
 დარჩენილი საქონელი ნადირ-
 მა რომ არ წაახდინოს სავარ-
 ცხელს კბილებს შეუკრამენ და
 შეულოცამენ.

კედარო ქვეყანა, მხარე.

კეკემალულა ბავშვების თამაშო-
 ბა, ერთი თვალს ხეჭამს და
 სხვები იმალებიან.

კენჩხო თავის სარქველი.

კენჭაობა ხუთი კენჭით თამაშობა.

კერეტანა კერატი.

კეწ-კეწი ახალი, უხმარებელი.

კვალობაზედ წილადობაზედ, მი-
 ხედულობაზედ.

კვანწი თამაშობა, ცეკვაობა.

კვანჭილა, კვანჭლ ანი კოჭლი.

კვევერა ზატარა ვვერი.

კვეცო კვერცხი.

კვენსამე ჭირიშე. [ძარღვიანი.

კვრივი ჩასხმული კაცი, მხარ-
 კიკა ღოყაზედ ხელის მოცატუნება.

კიკინი უურებთან ჩამოშვებული თმა.

კილი ჩენხო.

კინწი მოხწყდა დაიძინა, დათვრა.

კირა ასფალტი.

კისკისი სიცილი ქაღებისა წმინდა
კიჭი კბილი. [ხმით.

კლოჩები ტიტველა ბარკლები.

კნაწანი გაგვნეტა.

კობიკი ქაღაქური ქამრის ბუშტი.

კოდა წუროსედ დადგმული უძი-
რო კასრი.

კოთხუნჯი გონჯი, უხეირო.

კოკონაჭია ჭიაგოკონობა.

კოკოტა რგვალი ნივთი.

კონჩინა ქაღალდის თამაშობაა.

კობიტი შავი ფული, ხის სახე-
კობიხო [ლიც არის.

კოჟანდარი ნახოლარა შვილი.

კოჟრი, დაკოჟრება ხელებზედ
ბებურების ამოსვლა.

კოტა ШИПЪ.

კოტაკი ჰატარა გორაკი.

კოტიობა იგივე ქართლული ლა-
ხარობა, კოტიობა მხოლოდ
ავღარში იციან, რომ გამოი-
დართს.

კოტიტი თითები მოკლე თითები.

კრასაული ღვინის სასმისი ბერ-
თათვის დღესასწაულებში.

კრივი მუშტით შეტაკება.

კროკო ზაფრანა.

კრუნჩხი გაცხეების შემდეგ ერ-
თად დახროებული თავთაქები.

კუმი ქაღს რომ წესიერად არ ექმ-
ნება ასო, ქაღაბიჭა.

კუმხალი უურძნის მტევნის კლე-
ტოსზედ გამოსხმულები.

კუნაპეტი ძალიან შავი, ბნელი ღამე.

კუნტულა ჰატარა ჩურჩხულა.

კუპრიელი საქაღამნე ძველი რუმ-
ბისა.

კურკამძვარა ჭანჭურის გვარია.

კუტალი ხის ლიტრა ლუღიანი.

კუტი ფლაფი

კუძენი უურძენი.

კუჭვანა შენახვა, დამაღვა.

კუხოსი გმირი, ძე ქართლასისა
(ქართ. ცხოვ. I, გვ. 19).

ლ

ლაბიერი ბანის ზეით რამდენიმე
რიგი კედლისა გარშემო.

ლათაია ზღაპარი, არაკი.

ლამუნი, ელამუნება ტრფია-
ლაპრი მუხა. [ღება, აფერსი.

ლაჟუჟი ცოტათი მომუჟა.

ლაკარტანა გათხელებული ადამი-
ანი, ჩამომხმარი.

ლართხა თხელი კაცი. [ზედ.

ლაფა ტკბილი დასასხმელი საჭმელ-
ლაფათა ლაფაშის დასაკრავი ჩა-
ლით გაუსილი ბალიში.

ლაქლაქი უბრალოდ ღაპარაკი,
უბეღობა.

ლახტობა ეველეიერში ლახტით
თამაში. [ღება.

ლელეჩი როდესაც ცხელი გაცივ-
ლელევერდი მოქნილი სახრე.

ლიცლიცი ძალიან სამსე.

ლოდა დიდი ბაღია.

ლოდაკი მომცრო ბაღია.
ლოფლოფი უნაჭუჭო კვერცხი,
რომელსაც ზოგჯერ დასდებს
ხოლმე ქათამი.

ლოღვნა ზარმაცად ჭამა.
ლუტი უსახლკარო, უქონელი.
ლუყუარტი ღვინო მამბალი
ლუყურტი [ღვინო.

მ

მაზალო კოხტა, სასამოვნო.
მამაკალია წვრილი თეთრი ლო-
ბიო, გრძელ-ზარკებიანი; ორ-
ჯერ ისხამს.

მანეული ვაზის შესუყელი წნელი.

მარაგინი თბილი ღამე.

მარტია კაჭკაჭის ბარტუა.

მარქათა შოღტი ტყავი.

მარქათა ტივის ხეები, რომლე-
ბიც მოთენებულადა აქვთ ტი-
ვებს მობმული გვერდებზედ.

მარქათა შოღტი ტყავი (ზღაპ-
რებში გვხვდება).

მასტაკი მირონის მოხარშვისთვის
ხმარობენ. [ველი.

მარჩენელი შემსახველი, მზრუნ-
მასმორი ღითონის მანგალი ცე-
ცხლისათვის.

მატანტალა მარტის მონაკები,
უსაქმოდ მოსიარული: მარტი
— მატანტალა.

მატყუა მაჭანკალი.

მაქნისი ვარგისი. [ცაუოლა.

მაღალ ფარდებში დიდ-დიდას
მაღია თვალთმაქცობის სწავლა.

მაყრული საქორწილო სიმღერა
მაყრებისა. [ბული.

მაშარაბი ხილის წვენი მოღლე-

მაწიფრობა უყათიანობა.

მაჩანჩალა

მაკატელა ენა კაჭლა.

მელეური ფეტვის ათეული.

მერტყვილი ქუსლი.

მეტიჩარა არა მკითხე მიახმე.

მზგეფსი როდესაც ოთხშაბათ-ზა-
რასკებს ხსნილია (СПЛИШНЯ).

მზეუჭვრიტა ლილიფარა, ნინოფი.

მზის გადაწვერა მზის ჩასვლის
მოახლოება.

მიატანა დაწია. [მოკიდება.

მიზეზ-მიზეზ მიზეზიანობა, ჩა-

მიზეზზე დაბუზულად სიარული.

მიკიოტი შავი ფრინველია.

მიკოსება მიკვრა, მიწებება.

მიპრიანა შემეწია იღბალმა.

მისხის-მისხი შორეული ნათესავის
ნათესავი.

მიქვავება, არა მიაქვავეა რა —
არა აქვს რა, მიაქვავე — მი-

მიჩქმალვა მიმალვა. [უგდე.

მიკყამალაყი ვისერზედ გადაბრუ-
ნება. [ფობა.

მოარული გადამდები ავადმყოფ-
მოგუდული ღვინო უჭაჭოდ და-
ყენებული.

მოიდა მოვიდა.
მოკვინტლა მოჯადოება.
მოკურცხლვა მოსიურწვა, გაქცევა.
მოღეული შინაური ფრინველი რომ კვერცხის დებს დასტოებს.
მოლი გაზაფხულის პირველი მწვანე ბალახი [ტელეზა*].
მოლოპრა ხის კანის გაძრობა, მომცვრევა რთვლის შემდეგ გენახში შერჩენილი უერძის
მოყურვა [ძებნა].
მოღუშება მოღრუბლვა.
მოჩხირული წამოზდილი.
მოჩხრეკა თონისა თონეში ცეცხლის გახრეკა.
მოცადი (საქონელი) — წკრილ-ფეხი საშენებელი საქონელი.
მოცი შთის შავი მოცხარაი.
მოდურწვა მოკურცხლვა, გაქცევა.
მოხმურული მოღრუბლული.
მოხრაკული მოხრაკული.
მოპტორიკი ჯანსაღი, საქონწინო.
მოჯარვა კარების მოხურვა.
მოჯარი ადიდებულ მდინარეს რომ მოაქვს მოგლეჯილი ხე.
მუმლი მუხასა ქართული სამხედრო მარშია.
მურაკი კვრინხი.
მურვაყიანი ღვინო წმინდა ღვინო, გაუსავებული.

მუშაკი უშრომელი.
მუწუწი რამეს სიუფარული: ღვიძნისა, ქალისა.
მუჭური ჩუკუნება.
მცხეთოსი შვილი ქართველთა მათ-მოთაგრისა, აღმშენებელი მცხეთისა (ქ.-ცხ. I, გვ. 19).
მძევალი ლაყი კვერცხი საბუდრისა.
მწერი ერთ გვარი თევზისა
მწიფობის თვე ღვინობის თვე.
მკალ-პურა სიმინდის და პურის ფქვილის ნაცხობი.

5

ნავროტი საძოვარი ბალახი.
ნაირი ჩვენ წინაშადა სახელი
ნალფანა ძველი ნახშირი.
ნალფანა ცხენის ძველი ნაღისა-გან გაკეთებული ნაღები ხარკამბეისთავის.
ნამქერი ქარაგან მიურილი თოვლი.
ნამჯოზი ყნის ძარი, რაც დარჩება მომკის შემდეგ.
ნანდობი მონდობილი.
ნანი აკრის სიმღერა.
ნანოფირი მზეუტგრიტა, ნინოფი.
ნაპატვიარი წინთა გაპატვიებული, სსუქ დაურილი.
ნაჟური რაც შეგდებულ წყაღს გაუვასავს.
ნასმურტლი ცომის მოხეღის შემოდან ეძახიან რამე საგნის მოხარულე.

*) გურიაში მოლოპრას ქათვის შვის ღროს.

მდეგ ხელებიდან მოშორებუ-
 ლი მიკრობილი ცომი.
ნატეხარი ჭურჭლის ნატეხი.
ნაღვან-ნადაგი ნაშრომი, შეძენი-
ნაყარ-ნუყარი ანარჩევი. [ლი.
ნაშე შლამი. [ხატი.
ნაწილოვანი ხატი ნაწილებიანი
ნაჭყაპურტები შინაგნეულების
 (ნაწლაგების) დაურეკინება.
ნახალი დახალული.
ნება ნელა.
ნესტი სისველე სახლში.
ნუკბარი ახალი ხილი, სასიამოვ-
ნუნუ ღვინო. [ნო რამ.
ნწალი წყალი.

მ

ოლა მოკვამაგირის საწოლი ადგი-
 ლი ბოსელში*.)
ოდორგელა ხეპრე, გაუთლელი,
 მოუხეშავი.
ოკრო-ბოკრო ოღრ-ჩოღრ.
ოლი ორი. [ამბობენ.
ორი ყრა, სამი ყრა - უფარზედ
ორკოპე კოგრის ხაზარი.
ორმოლობა საბავშვო თამაშობა.
ორპირი გალობა ორ გუნდათ
 სიმღერა.
ორტოტად ორად შეკეცილი თო-
 კი, ქამარი. [ტოტი.
ორუეველი წყვილად წასული ორი

ორშიმო უელიანი კოგრა, რომ-
 ლითაც საწახსლიდან ღვინოს
 იღებენ.
ორხელა უღლის გუთანნი.
ოქოქა უღელი ხართი სამუშაო
 გუთანნი.
ოქახოსი ძე მცხეთასისა, მან
 აღაშენა ოძრხე (ქარ. ცხოვ.
 I, გვ. 20).
ოხითა ტროზარი.

პ

პანავია მღვდელ-მთავრის გულზედ
 საკიდი ხატი.
პაპაპა! რა კარგია!
პაპუი ოხელი თოვლი. [ყვნილი.
პაუარნი ღოთი, გაქსუბული, გარ-
პარასევი ხატიოსანთა ჟვართა ჭა-
 კში გამოცხადება და სასწა-
 ულები (ქ.-ცხ. I, გვ. 169).
პარპაშობა დიდების მიბაძვა, ამ-
 ხარტავნული ცხოვრება.
პარტალი თეთრი ყურძენი დიდ
 მტევანსა, ზევიდან ჟანგისავით
 მოკიდებული აქვს.
პაჩი კოცნა.
პელაგონი, პელელო ზღვა.
პილი ზირა.
პირის კითხვა გამოკითხვა, ზი-
 რობის გაკება.
პირკატა მეცა სახტად დაფრჩი.

*) იმერეთში და გურიაში ოლა კარგი საბატონო სახლია.
 რედ.

პირ - მუცელ - მიდგმული მალე
 დასწალი ქალი.
 პირღნიოში უბაღია, ლაზარაკში
 თაუდაუჭერელი.
 პირშავი უზირული კაცი.
 პოზანი სალი ხილი.
 პოსლიკა თაუ მოტეფუხილი.
 პრაწა-პრუწი

უ

უამთა მკვრეტი ღროსა და გა-
 რეოკების მიმხედველი.
 უვალმატი სხვა და სხვა ბაღახი არე-
 უოქო ცუდი ღვინო. [ული.
 ურუუ დაბუეებული ასო.
 ურიაშული
 უუუვა ჟლეტა.

რ

რათა ხანია რამდენი ხანია.
 რამე-რუმე სხვა და სხვა ნიუთე-
 ბი, ამბები.
 რეგმა ნაკადული, ხილთი.
 რთვლისა სიმღერა ეურსნის მო-
 გრეივის დროს.
 რიკი არკაზიანი, რომელსაც ცხესს
 უკეთებენ, რომ ნახირში არ
 ირბინოს.
 რისხება, დარისხება დღესასწა-
 ულის წინა საღამოს ზარის
 ხამარეკა, რომ უქმე არ გა-
 სტეხან.
 როდინი და მისი როკი
 როკიკი ჯამბიგირი, სასეიდელი.

რუბი თექესმეტი ფარა.
 რუხ-რუხი ღირის ღრუტენი.
 რჩოლი წსელის ჰატარა რგოლი.
 რცხალი დასვენებული მიწა.

ს

საავათო გადადებული სარჩო თა-
 ვის მოსარჩენათ, საუბედურ-
 დღეთო.
 საბედო ბედისგან მონიჭებული.
 საგერისტო ზედაშე, შენახული
 გერისტობისთვის.
 საგერო ზედაშე გერის დღესასწა-
 ულისთვის.
 სადაგი დღე უბრლო დღე.
 სადევარი სათეფზათ დაწვეტი-
 ლი ტოტის სიგრძე.
 საზუზარი ფაქიზად სახმარი.
 სათახვე საღც სცხოვრობენ თა-
 ეენი, თახენი (რირუხ).
 სათული ჰატარა ცუდი, ნაჯახი.
 სათხრილავი ეარის გარეთ და-
 ტობებული მიწა ეარის შეს-
 კეთებლად.
 საკოკე სახედარზედ გადაკადული
 სამ კაზიანი ხისა, რომელი-
 შიაც კაკესსა სდგამენ.
 საკუარლილიანები — ხეკსურები
 უწოდებენ რუსებს.
 სალაფავი თახფეთათვის სკ-
 მელი წყალში გახსნილ სი-
 მინდის ფქვილისა.
 სალხინო მუხლი არსულ ქაღს

- დალოცამენ ხოდმე: „ღმერთ-
მა საღვინო მუხლი მოგაურე-
ვინოსა“.
- სამერცხლე** ეაგარზედ გასასუღე-
ლი კარები.
- სამკვედრო** კვედრის სამარხი ფული.
- სამღვთო** აშქრები გადაიხდიან ხო-
ლმე და სოფლად გლეხებიც.
- სანა** აღშენებული.
- სანაურე** საჯდომი, ნაწული.
- სარისტა** მოხერხება, გამჭრიახო-
ბა, გამოცდილება.
- სარმა** თეხის გამოკვრა ჭიდაობაში.
- სარკისობა** სარკის წმ. გიორგობა.
- სასტი** ბრძანება.
- სასულე** სარკმელი, ფორტოჩკა.
- სასუსნავი** შესაჭმელი რამ, უფ-
რო ტუბილეული.
- სატალახო** წასვლის დროს რომ
ღვინოს დააღვეინებენ სტუ-
მარს.
- საშიობო** ზედაშე, შენახული შიოს
დღესასწაულისთვის.
- საყენებელი** სოფლები, რომლებ-
საც ღერძი უჭირავთ.
- საცივი** წყარო.
- საცივი** მუავე წვნით შემზადებუ-
ლი საჭმელი (ფრინველი).
- საწიფელო** ცოტ-ცოტა საფეკვის
სახლიკაცი [დაფეკა.
- საჯოხე** ხბო ან ძროხა, რომელ-
საც აძლევენ საქონლის მო-
ზიარეს საჩუქრად.
- სიავი** ტაშტი, თასი.
- სიბანი** მარჯვენა ბეჭი ცხვრისა ორი
წიბოთი ჯ თირკმელებია, რა-
მელსაც მღვთავნი მღვდელს
სიმბოლო ნიშანი. [აძლევენ.
- სინაგოგა** ებრაელთა სალოცავი.
- სირი** რიგი.
- სირონი** სამანი.
- სირსტი** ქუდის ქვეშ დასახური.
- სირჩა** გასეკება.
- სისხამ** დილით რიურაუზედ.
- სიყრმის შვილი** უფროსი ვაჟი,
ზირველი შვილი, თაჯანკარა.
- სიცვილი** სირცხვილი.
- სკნირიანი** მუსტაფი. [ჭამა.
- სლაფვა** ოთხთეხისგან სალაფავის
სუბათ სუმბუქად ჭამა ახალ გას-
სნილებაზედ.
- სუზანი** ლურჯი სუფრა.
- სუნდური** ღობე-ფორეში დატო-
ბული სარწყავი წულის გასა-
სუფრული სიმღერაა. [ვალი.
- სუხსური** დიდი იხვი.
- სხვენი** გადახურული ბანი.
- სხირტლი** ნერვის სარის ანასხენი.

ბ

- ტატი** ბავშვების ფეხის ადგმა, სხ-
რმაცად ფეხის გადადგმა.
- ტაბლა** მიცვალებულთა მოსახსენე-
ბლად მომზადებული.
- ტავარნა** ურმის თვალზედ მიკრო-
ბილი ტალახი.

ტანტალო ბურთაობაში გაქცევა.
ტამაზლუხი საშენებელი საქონელი.
 [ნი კიბე.
ტანტრა დასადგმელი ოთხ ფენი-
ტაპტაპა შეუგნებელი მოუხეშავი.
ტაპ-ტაპ დედალს ეტყვიან და ჩა-
ტარაკუჭა შეტიჩარა. [ჯდება.
ტარიგი სეფისკვერიდან ამოჭრი-
 ლი კრაფი.
ტატანი, დაუტატანა
ტაფამწვარი ერთკვერცხი.
ტერეფა სნეული საკლავი ურიებში.
ტინგიცი ჭკვა საკლები, ხეპრე.
ტკრიაცი სიცილი.
ტლო ხელმარტო ბიჭი.
ტლოკები ტიტველა ბარძაყები.
ტლუკი ფინთი, სულელი.
ტოლუმბაში თამადა. [ლი.
ტოპვა წყაღში ან ტალახში სიარუ-
ტორვა, დატორვა—დაწიხვლა.
ტორიკაობა
ტორლიალი ადევნება.
ტრახკანა ბატის ფთისგან გაკე-
 თებული საბავშვო თოფი.
ტრუბუცა ცუდლუტი, გაქნილი.
ტუკი სამ კვირტზედ გასხლული
 ვაზი.
ტუშა ერთგვარი ჭანჭური, რო-
 შელიც მიტყუებულ ხილსის-
ტუუჭი ქაღის ასო. [ხამს.

უ
უიმე?! ვაიმე?!
უკინე, მიკინა, უკბინე, მიკბინა.
უმარტისოდ უდროით დაშაკებუ-
 ლი საქონელი.
უმარკველი საკვერებელი.
უნიათო უმოსაზრო, ძალა გამო-
 ლეული.
უუმაჟური *)
ურდუმი სუფავე.
ურმანი დაბურული ჭკუვალი ტყე.
ურმული სიმღერას.
უსანათო ღარიბ-ღატაკი.
უსანეთობა **)
უსუფი ძმა ზღაპრული გმირის
 უარამანისა.
უტნალარი ერთგვარი ცურაობა.
უფლოსი ქე მცხეთოსისა, რო-
 შელმან ალაშენა უფლის ციხე
 და ურბნისი (ქ.-ცხ. I, გვ. 20).
ულელა ოცი დღის ნახნავი გა-
 ზაფხულისა.
ულრანი ხშირი, გაუვადი ტყე.
უჩინმაჩინის ქული — ქული, რო-
 შელიც უჩინაჟადა ჭხდის კაცს.
უჩმახი
უჩმაჩური უხეირო კაცი.
უძლები ორსული.
უჯიათი ჯიბერი

*) ავი სული, რომელიც კაცს ახლობს ძილში. რედ.
 **) უსანეთის ეკლესიის დღეობა გორის მაზრაში, მეჯვრის-ხევის
 მახლობლად. რედ.

ფ

ფაფუ დაიკარგა. [ლალდი.
ფათა კონჩინას თამაშობაში 2ნ ქა-
ფალანგის კარები ჰატარა კარე-
 ბი ალუფაფის კარებში, ან მის
 გვერდზედ.
ფანფალაკი — რაზუნაღ ღირდი-
 ტია გუთნისა.
ფანქარი კალმის ტარი.
ფარა-ფარა დაგლეჯილი ტანსაც-
ფართი-ფურთი [მელი.
ფაუხა კოჭლი.
ფაშრღება პური მალე ხმება.
ფაზური ნიშანი, რომელსაც შუაბა-
 მენ სოღმე შინაურ ფრინველს.
ფაზური ბავშვის ფეხსაცმელი რბი-
ფაცი ხელი. [ლი ტუფისა.
ფაცქი თხლად დაწნული ღობე, ანუ
ფეიქარა ობობა. [საბძელი.
ფეტვის მქადი ფეტვის ფქვი-
 ლისგან გამაცხობილი წი-
 თელ მჭადა.
ფეფები ფეხები.
ფეხზედ მოხდა, მოვიხადე -
 ავადმყოფობის ატანა ფეხზედ.
ფეხაკრეფით უხმაუროთ სიარუ-
ფეხუცვლელად*) [ლი.
ფთილა ბაშბის დახვევა თიითის
 ტარზედ სამეითხათო.
ფიფია ღობიო, წვნიანი სკუმელი.
ფილთა-ქვა

ფისო კატა.
ფიფინა დაირის საყვარუნებელი.
ფიქა
ფლანი ესა და ეს.
ფოლორცი ჰატარა ჩავარდნილი
 ადგილი.
ფოლოცი ქალი სუმბუქი უფთა-
 ქცევის ქალი.
ფრანი ფრიალა, ჰუერში აშვებული
 ოთხკუთხი ქაღალდი, რომელ-
ფრე წყარო. [საც კუდი აბია.
ფსონი აუეგანელი სათამაშო ქა-
 ლაღები, რომლებიც დამრი-
ფსტა [კებელს დარჩება.
ფუა ხაშხაში.
ფურჩი ნაკლუდეგანება.
ფსტლობა სიმინდის ტარების
 მომტვრევა.
ფუფალა უფალი, ღმერთი.
ფუფუა ტკივილი, ნატკენი.
ფუჩეჩა სიმინდის მამიყვან ხალხს
 უწოდებენ.
ფუჩინა ხბო, ძროხა.
ფქილი უვაფილის მტვერი.
ფშენეტი ჰარაშოკი.
ფხოქნა ხელით ან ფოცხით მო-
 ფხოჭვა დედამიწისა.

ძ

ქალადო უსათანადო დომეჭამანდი.
ქალღველი ქართველი.

*) დაუძვრელად ადგილიდან. რედ.

ქანქური ტუეილ უბრალოდ ტანის რხევა.

ქარატა ჭიქის კრიალოსანი.

ქარაშოტი დიდი ქარი, ქარიშხალი.

ქარბუქი ქარი თოვლით.

ქართლოსი მამათ-მთავარი ქართველთა, რომლის საფლავს ქ. ანთონში თაყვანს სცემდნენ ქართველნი (ქართ. ცხ. I, გვ. 19).

ქარი დიდი აქვს ათას თუმანს.

ქასური გაჭკრა დაქუცობა დაუწყო, თავი მოუქონა.

ქაფიანი ორნახადი არაუი.

ქაში ფეტვის ფაფა რძით.

ქვანარშია ქუნწი.

ქაჯან! - ქალური აღერსი.

ქილი მონასტრის განყოფილება (სკიტი).

ქინდვრა თაყს ჰქინდრამს.

ქობინო სარეცხის სატეველა.

ქონგური გადავინის ანუ კომპეების წვეტიანი კბილები.

ქუბი გასუქებული ღორი.

ქულკანა სიმინდის მჭადი.

ქურდ ბაცაცა წვრილი ნივთების მზარავი.

ქუქა — დედას ეტევიან და ჩაფდება.

ქუქი, ჩაქუქდა ჩაჭდა.

ქუტუნა გოჭი.

ქუშუტუნი ბერვა.

ლ

ლადვრა უელის გამოჭრა, დაკვლა.

ლალა-ლულა ეკლიან-ქვიანი ადგილი.

ლდინი, ლდინამდის ჩაჭყვა

ლენძელა ფესვებ ტკბილი მცენარეა და სჭამენ.

ლვიტიკელა (იმერლებს უძახიან).

ლნავილი უხეირო სიმღერა, ლაზარაკი.

ლრიანცელი

ლუნწი წუწურაქი, კრიკანგი.

ლურლუტი გულჩოხრობილი კაცი, ქვეშ-ქვეშა.

ლჯოლი გვერსე გახდილი კბილი.

ყ

ყაბაზი მუხურე.

ყაბათ განზე, სალუკათად, ფართოდ.

ყადიმი ნადაგი მიწის, მაგარი მიწა.

ყავრული უფრის სახურავი.

ყავ-ყავი კაცი მუფირადა, უბალია, მოდავიდანაბე.

ყათარი რამდენიმე კვალი გადარგული მცენარეებისა.

ყაიდა, ამ ყაიდაზედ ამ გვარად, ესრეთ.

ყაირი საქონლის ნაღების გაცეკოთილი ღურსმუბის გამოცვლა.

ყალია ღორის ხორცის წყნის ჩიხირთმა.

ყალბანი გარემოცვა მტრის სი-
ყამა ხანჯალი. [მაგრისა.

ყაბუაპი უფითელი ფრინველია, თუ
პირ-გამოურეცხელი კაცი და-
სძლია, პირი აუურთლდება.

ყარამანი ზღაპრული გმირის სს-
სელია.

ყარყანი წყლის ანუ ღვინის მს-
ღალ ეელიანი ჭურჭელი.

ყასავათი უაირათი.

ყაფანი

ყაყიტა

ყეყე უეუეი, აბოეტი.

ყვანა ჭინოვა.

ყვარლია ყვავის ბარტყი

ყიალი უთავბოლოდ სიარული.

ყიფი რბილი, დუნე.

ყინწი მოსწყდა ძალა გამოელია.

ყიყლიყო მამლის ყივილი.

ყლაქანი დაუღეჭავად გადაულაპა.

ყმებოლა იეუებოლა.

ყმენდა დიდი ლუკმების ჩქარ-ჩქა-
რა უღაპა.

ყორლანი სამანი.

ყორყი მსხვილი კენჭები.

ყოყოჩი

ყოჩი მოჭიდავე ცხვარი.

ყრა ორი ყრა, სამი ყრა ყვარი.

ყრუჩუნა ერუ.

ყურთაგლეჯა თამაშობა ბავშვე-

ყურთუკი გერმა. [ბისა.

ყურყურა თაჭის საკბილო, ადვი-
ლად მოსატყუებელი.

ყური სისუსხე (ზამთარს უუნი მს-
სტყდა).

ყურწაგდებული დაუღეჯარი.

შ

შავი ორშაბათი დიდმარხვის
პირველი კვირის ორშაბათი.

შავ-კაკალა—ამ მცენარის ხაყ-
ფი საოფლეს წამალია.

შავლეგი მხიარული სიმღერაა.

შავტრუხა შავგვრემანი, შავი.

შაითანი ეშმაკი.

შალთა რკინის სამარგლი ბოსტ-
ნისა.

შარი ამაღლებული მიწა ბოსტან-
ში, რომელზედაც რაგზედ
გადარგულია მცენარეები.

შეგებება დახვედრა.

შევსვათ წითელ-წითელი—ცი-
ციანთ სიმღერაა.

შეთოხვლა შეჭმა, გადაულაპა.

შეკაზმვა ლობიოს შენელება.

შემობერვა მუცლისა საჭმლი-
საგან.

შემორაგული შემოღობილი, შე-
მოზღუდული.

შემოხლა ორი ნივთის ერთმა-
ნეთზედ მირტყმა.

შენაგარი მძიმე გამწყვეი საქონელი.

შეოკება

შერეკილი ჭკუასეგ შემწილი.

შერწყული ფლავი

შექსუება შელევა.

შეშუტი უფეელ გვარი გასსეიდი
 საქონლის გამოუღეულობა.
შეჩუროთვა ძალით შეღება, დაცობა.
შექანა შესკმა.
შიავი წერტილებით მოხახულობა.
შიგ გაწირვა თესლის საღკრა სა-
 შეიღოსსაში.
შიშლო შიშეულ-ტიტველი.
შლაპანი
შლეგიანი თაფ-განწირული.
შოლტი ტყავი საქალამხეებსა და-
 კრიდი გაღად ტყავი.
შუაგი ხეივანი.
შში გაჩერდი ცხენს ეტევიან, შე-
შხივი წელის საქანი. [ღექ].
შხიშხიბი შიშხინი.

ჩ

ჩაბასილება თაფში ჩანტყმა.
ჩაბახური წელის საქანელი.
ჩაბურიება ტირილისგან ბაფშივი
 რომ ვეღარ ამოაუნსაქავს.
ჩაილურის წყალი — ჩაილური
 სოფელია და მშვენიერი წყა-
 რთა აქვს.
ჩაკენჭვა ამბის შიტანა.
ჩაკვლობა გაჯდობა ლაქისა, გა-
 დაკიდება.
ჩაკვლა მწოდირეს მოკვლა.
ჩაკოკლოზინება ჩაგემრიელება.
ჩალფაჩუნა უხეირო, მოუხერხე-
 ბელი, დაჩაგრული.
ჩამუმღვა ჩაფერფლა.

ჩატიტვა დაწეეულა.
ჩაცეცხლვა გადაკვრა.
ჩაწიკწიკება წიკწიკით წერა.
ჩახუნა კაჭლი.
ჩახხაკრავი ზაჭიჭებზედ შემოსა-
 ჭირები ჩაფარიში.
ჩერო ჩრდილი, ჩის ქვეშ.
ჩეჩქი მოჭრილი სიმინდის ძირი.
ჩიკრიკელა ზატარა კაცი.
ჩილიკაჯოხობა ჯოხითა და ჩი-
 ლიკით თამაში.
ჩინალე გენატვალე, თაფშეშოგე-
 ხეიე. [ში].
ჩიუი-პიუები ფაშვის ნაჭრები ხაშ-
ჩიტი ახალ გავლეუბულ ჩურჩხელას
 ღვენთი (წვეთი) რამ ჩამა-
 ვარდება ხოლმე.
ჩიტის პური მცენარეა.
ჩიტოფაფობა ეველიერში ფაფას
 წანცხებუნ ჩაფოტემსზედ და
 ჩიტებს დაუდგამენ.
ჩიჩქვი ხორცი ხორჩი საქანლის
 ხორცი, რომელიც ძაღე იხა-
 რშება.
ჩიხოლა კძელი დაბამბული ახა-
 ლუხი დედაკაცებისა.
ჩიხორა იუზკა. [ბული].
ჩილუტი დაფუეებული, დასუსტე-
ჩოკინა ზატარა ჩოჩორი.
ჩოლფოთი მოღუნებული.
ჩოლხი გაცხავების შემდეგ ცხავ-
 ში დაჩიქნილი გაუღეწავი
 თავთავები.

ჩორთის ჩამოგდება უთანხმოების, მტრობის ჩამოგდება.
ჩორუმცა წვევლაა.
ჩორჩორინა წსელის ჰეტარა რგო-
ჩოფურა ნაუფავილარი. [ლი.
ჩოქელა სიმინდი დაბალი სი-
 მინდი.

ჩოქშ გაჩერდი. ვირს ეტყვიან.
ჩუკუნება ОНАНИЗМЪ.
ჩუმა ქვაბი ჩუმთ არუის გამთ-
 სახდედი ქვაბი.
ჩურგენ თამაშობაში კოჭების მო-
 ტაცება.
ჩური თოშს და ეინულს რომ მი-
 აურის ერთად.
ჩქეფი გამდნარი თაყლა.
ჩხა მაჭრელი ცოტი ვაზისა ბეკურ
 მტყუენიანი.

ჩხა ნაჯახის ჩამოსაყიდები გუთან-
 ხედ.
ჩხინკელა ღორის განაყალი.

ც

ცანგალა გოგონა სთაშაშა სი-
 მღურა.
ცაცუნი ხელებით აფაყური, შე-
 ხება.
ცახი ცოცხი ან ფინხი, რაზუდაც
 აბრეშუმის ჭია შარკებს აბამს.
ცია, ციცია ცეცხლი.
ციკი ღელის ასოს გამოძეურილი
 ნაწილი.
ციმციმთ ფთხილად აწვეა სავნისა.

ცირა გასათხოვარი ქალი.
ცისმარე ღღე უოველ ღღე.
ციცირი გარეული ქათამი.
ცორინე — მოდიო, მოგრაყლიო.
 აგანგალაში ხმარობენ.
ცრემლვა გაზაფხულზედ გასს-
 ლულ ვაზს რომ ცრემლი სა-
 მოსდის.
ცრუპენტელა სიცრუის მოქმე-
 ლი, მკვებნარა.
ცუგო ძაღლი.
ცუვრუმელა ჰეტარა ტანის მა-
 რილიანი ქაღუ.
ცუცნა-კუცნა ჰეტარა.
ცხონდა გარდაიცვალა.
ცხრა ძველი თელა: ერთი ცხრა,
 ორი ცხრა და სხვ.

ძ

ძაან ძაღლიან, ძლიურ.
ძანჯაუი ავღრიანობა გაჩაიხსულ-
 შუმოდგომასხედ.
ძაღლოთ ოღენა მრავალი.
ძგიღე სართული.
ძელქვა ხუა (შუქმ. თ. 30, მ. 37).
ძერაოზა სანაგშუგო თამაშობაა.
ძირკვი ხის ფესვები.
ძიძგილი ქათმების ხხუბი.
ძიძგი-ძიძგი ქათმების წაქეხება
 ხხუბის დროს.
ძიძიბები წვრილი მუწუკები, აბუ-
 რცულეები.

წ

წ—ამ ხმას ბავშვები ჩაურთავენ სიტყვის ეკელა მარცვლის შემდეგ წინა ხმოვანი ასოს მითატეობთ: **შეწენაწა** (შენა), **ქუწუდიწი** (ქუდი), **აწაბაწონაწო** (აბანა) და სხვ. **კაწანკეწედიწი** (კანკედი); აუ სიტყვა უხმო ასოზედ ბოლოვდება, მაშინ ის უხმო ასოც შეემატება, მაგ. **მიწიყვაწარსწარ** = მიყვარხარ; **მიწოვაწალ** = მივალ; **შეწენთაწან** = შენთან; **აწარნიწილ** = არნილ; ორი უხმო ემატება: **ყაწასტაწანგ** = ვასტანგ.

წაგზება დაგკლებს, წაგკლებს.

წაკულაკი შწვანე ნუში.

წალიკა ბალახია, აუ დაჩენქვილი დაიღო ფეხზედ, კანს ააბურცებს.

წამგზავრება გამგზავრება.

წანაშვა, წანაშული წალამუა, წალამუელი.

წანდილი ხორბლის ძეჭმანდი.

წაპწა ეურძნის კურკები.

წაწლობა ფშავლებში ქალ-ვაჟების ტრფივადი.

წედა გამომწვარი შირიმის ქვა, რომელითაც ეკვლეხისის განიერი თაღები გადაჭყაბთ.

წეროს თოვლი უკანასკნელი თოვლი წეროების მოსვლის წინათ.

წვერი ღვინისა ზირს რამ შუშხამს.

წვერეტა, გამოწრუტა

წია, წიაწია წიწილა.

წიალი თრევა, ტარება.

წითელი პარასკები ვნების კვირის ზარასკები.

წინამო მაწაკი კავები, ყახსადი.

წიოწობა ვინც თამაშობას წაატებს იმას სირბილით ამოუსუნოქებლივ ააქმეუენებს **ოწიო** და **ვიწიოწო**.

წიპრანა ზატარა ჩიტია.

წკაპანი

წოპწოპა წვეტანისი.

წოწიალი უთავბოლოთ სიარული.

წოწოქა ჭრინტკელი.

წმახვნა გლეხს, თაგს ვლებს, ტრფივდება.

წრუბელა ურმის უბეს აკრავს დერძთან

წრუტვა, გამოწრუტა, გამოწრუტვა ძირამდის დაღევა.

წუწიანი თვალ-ცრემლიანისი.

წუწურაქი კრიფანგი, ლუნწი.

ჭ

ჭადა თხილის უკავილი.

ჭანჭლები ევერები.

ჭახა-ჭუხი

ჭრაჭაჭრუჭი

ჭერეხი

ჭი თანხობაა, ზოგჯერ იხმარება

კითხვაში: შენი ქალი მივა ჭი
საუღარზედ?

კინქა*) ავი, მავნი, ადი. [კე.

კიკინა მომბეზრებელი მოღაპარა-
კრიანტელა ტყემლის წყისგან და
მწვანელებისგან გაკეთებული
მუავე წვნიანი.

ჭრიხვი მართვე შინაურთა ფრინ-
ველთა მოფარიებული.

ჭუკი ინდაურის წიწილა.

ჭუჭუკი დაბლის ხმით საუბარი

ქულვა ფსმა.

ჭუჭუნა საქონლის ჭირი.

ჭყუტა უხეირო, მუავე ხილი.

ბ

ბაბაკი ბარგი. [ხახვით.

ბავიწი ფქვილის ფაფა ქონით და

ხათა ხათაბლა, განსაცდელი.

ხაკა ფეხნილი ნახშირი, ნახშირის
ნაკავი.

ხალთა ტომარა გუდისა**).

ხაო საქონლის ავადმოყოფობა, რა-
მელიც ზირში ეკლებიწავითა
გამოაურის.

ხარალი ხის ქერქი, რომლითაც
ვაზს ახვევენ.

ხარხო მუავე წვნიანი ხორცისა ასუ
ფრინველისა ღამითა.

ხახხასი

ხაშალი ხე გულ დამშალი ხე.

ხაჭილა ჭრელი ტანსაცმელი.

ხევა ხეში მიმდინარე წყალი, ხე-
ვის მდინარე.

ხელად ამ წამს, ეხლავე.

ხელკული გუთნის ნაწილი, რა-
მელზედაც ხელი უფლიათ.

ხელის მიწვდენა შემწეობის მი-
ცემა.

ხენჭოფო კიბოს მაკარი ზურგი
ანუ კანი.

ხეპრე გაუთლელი, უჭკუო.

ხეტიალი უთავბაღოდ სიარული.

ხეში, ხეშის სარტყელი ტი-
ლას სარტყელი.

ხვართქლა ბალახის თეთრ ევაგი-
ლებიანი.

ხვიანდაგი წვრილად დახუეული
თხელი ტყავი, ტყავის ძაფი.

ხვრეპა ХЛЕРПАТЪ.

ხვრიშა მსხვილად დაიჭყული მ-
რილი.

ხითხითი სიცილი.

ხირია ურია, გღია.

*) გურულათ კინქა. რედ.

**) გურიაში ხალთა ბეწვიანი ტყავის არის, წინეთ ავღარში კა-
ყიან თოფს ჩამოაცმიდენ ჩახმახისკენ, კარგს დარში უკან ჩამოიკიდებდენ
გურულს ტანისამოსზე კუდივით. ეხლა ხალთას აღარ ატარებენ, მაგრამ
ხშირათ იტყვიან: ხელი ხალთას! ესე იგი არ გაბედო და არ შეეხო ჩემს
ხალთას, ჩემს საგანს, ჩემს ნივთს, ჩემს პირადობას. რედ.

ხისტაკი ირბი ჩადებუდი ნაჭერი.
ხიჩატელს არა აბია რა ხილს არა ასნია, უხილობა.
ხიჩი-ხიჩი ეედის გამოჭრა, დაველა.
ხიწიწი დუმის და დორის სისუქნის გამოდნობის შემდეგ დარჩენილი ნახრაკები.
ხიხია ფინთი, განაჟადი.
ხოკერი *) ბაღმწარას ქერქისგან გაკეთებული სახიდე.
ხორსი ჩახმანის მოსაშლელი.
ხოტბო ნაკავ ნარევი (ხარჯიანი) ხორბალი.
ხოჭიჭი—რაზედაც ბავშვს დაწვევენ სანამ აკვანში ჩაწვენენ.
ხრწილი
ხუობა უცხოობა, წყენა.
ხურგი გროვა გამოყრილი სარისა.
ხუსტარი წერილი.
ხუსხუსი მცირე სირბილი, მოკლე ნაბიჯით. [რანდა.
ხუშტარა (თუ ხუსტარა?) ჰატარა
ხუსულა ჰატარა ქონი.

ჯ

ჯაათი ჯიბრი.
ჯავახოსი ძე მცხეთოს გმირისა (ქ.-ცხ. I, გვ. 20).
ჯალლი ცხავში დარჩენილი გაუღეწავი თავთავეები.

ჯამფილა რკოს ბუდე.
ჯანლი ნისლი.
ჯართუზანა მხიარულობა, აინუნში არაფერის ჩადება.
ჯაურა ჰატარა ძირი თივა.
ჯაქი შამანი.
ჯაყვა ჰატარა დანა.
ჯიელი ახლგაზდა.
ჯიდა ხიშტი, შუბი თოფისა.
ჯიკა ახალი ეველის ფაფა.
ჯირკუტანა კუნძი, დაბალი და სქელი კაცი.
ჯიქა ძალიან დაქანებული დაღმარ-
ჯიქი ცური. [თი.
ჯლოყინი ჯლოყინით კიოხკა, ლაზარაკი.
ჯორცხენა კერძო ვირი.
ჯოჩი ჯოხი.
ჯუგამი მუნათი, ევედრება.
ჯუკუტი, კუტი-კუტი — კრუნს უძახიან ხოლმე.
ჯურდანი ქის ფულის შესანახი.
ჯუჯულა ქათამი.

პ

პაი-პარად საქაროდ, როგორმე.
პამ — გიკუნ, გიკინამ.
პამრობა путешествие по мы-
პოოდე დახ. [тарствамъ.
პოპუნა მკის სიმღერა.
პოროველა გუთნის სიმღერა.

*) გურულათ ხოკრა, ხოკრაჲ. რედ.

რას შეიცავდა ეგრეთ წოდებული აფხაზეთის ისტორია ბაგრატ მეფისა, რომლითაც უსარგებლნია იერუსალიმის პატრიარხს დოსითეოსს თავის იერუსალიმის პატრიარხთა ისტორიაში*).

დოსითეოსი ნოტარა დაიბადა 1641 წელს, 1-ლ შაისს, არახოში, ზელეზნესში, დიაკონათ ეკურთხა 1657 წელს და მსახურებდა იერუსალიმის პატრიარხს პაისის კანსტანტინეპოლში. პაისისთან ერთად მან შემოიარა შავი ზღვის მხარეები და მდინარე დუნაის მიდამოები შემოწირულების შესაკრებათ. ზაისი გადაიცვალა 1660 წელს, რომლის შემდეგ იერუსალიმის პატრიარხათ აირჩიეს ნექტარი. ნექტარის არჩევასში დიდი მონაწილეობა მიიღო დოსითეოსმა. ნექტარიმ დოსითეოსი აკურთხა კესარიის მიტროპოლიტათ და ანდობდა მას მრავალ საქმეებს ასასრულებლათ. 1669 წელს დოსითეოსი აკურთხეს იერუსალიმის პატრიარხათ. დოსითეოსი იყო ძრიელ მხნე და მსათან დიდათ განათლებული კაცი. მან დიდი ღვაწლი დასდო არა თუ იერუსალიმის სპატრიარხოს, არამედ საზოგადოთ მართლმადიდებელ სარწმუნოებას და მთელ აღმოსავლეთს. იმ დროს იერუსალიმში ქრისტიკის საფლავს დიდი ვალი ედვა—83,000 გრასამდის. საჭირო იყო ამ ფულის შეკროვება და წმიდა საფლავის გამოხსნა. ამიტომ დოსითეოსმა დაიწყო მოგზაურობა შორეულს სამართლმადიდებლო მხარეებში. მან თიასქმის სახეგარი თავის სიცოცხლე მოგზაურობაში გაატარა. ეს საუცხოვო მხნეობის ადამიანი ყვედაფერს ასწრობდა: კიდევ მოგზაურობდა, ფულებსაც კრებდა, მრავალ სხვა და სხვა თხზულებებს სწერდა, სასტიკ ბრძოლას უწევდა ლათინებს და სომხებს, რომელნიც წმიდა ადგილებს აცდიდენ ხელიდან მართლმადიდებლებს; ხან

*) წაკითხული იყო საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებაზე 18 თებერვალს 1912 წ.

ემურებოდა კოსტანტინეპოლში და ადრიანოპოლში, რომ თავიდან აეცილებია ცილისწამებანი, ხან ესწრობოდა სხვა და სხვა კრებებს და უოველი სასულიერო საგნის გადაწვევაში ზირველი ადგილი ეჭირა. სადაც თვით ვერ მივიდოდა, წერილებით და ეპისტოლებით ჰქონდა გაფლენა. სხვათა შორის რჩევას აძლევდა რუსეთის ხელმწიფეს ჰეტრე დიდს საეკლესიო რეფორმების შექმნაში. მის დროს შესდგა იერუსალიმის კრება 1672 წლისა, რომელმაც გამოიმუშავა სამართლმადიდებლო სჯულის აღსარება, რომელსაც დღემდისაც დიდათ აფასებს მართლმადიდებელთა ეკლესია. დოსითეოსმა დიდი ზატრივი დაიმსახურა და გადაიცვალა კოსტანტინეპოლში 7 თებერვალს 1707 წელს*).

ზატრიარს დოსითეოსმა მრავალი თხზულება დასტოვა, მათ შორის ზირველი ადგილი უჭირავს „იერუსალიმის ზატრიარხის ისტორია“-ს, რომლის ბერძნული ტექსტი დაიბეჭდა ბუხარესტში 1715 წელს. დოსითეოსი ორჯერ იყო საქართველოში, კარგად იცოდა მდგომარეობა ქართველთა სამეფოებისა და ქართველთა შეუკებისა, ხშირი მიწერ-მოწერა ჰქონდა მეფეებთან და მოაჯრებთან, ხან ფულს სთხოვდა მათ, ხან ამხსენებდა, ხან დარიგებას აძლევდა სჯულის შესახებ. ამ მიწერ-მოწერიდან ჯერ-ჯერობით ხუთი წერილია ცნობილი. მათი რუსული თარგმანი დაბეჭდილია „Духовный Вѣстникъ“-ში ზლატონ იოსელიანის მიერ 1866 წელს. თარგმანი ეკუთვნის არქიმანდრიტ ზორფირი უსპენსკის.

ზირველი წერილი დაწერილია ადრიანოპოლში 1699 წელს, მარტში. ამ წერილში ვრცლათ მოთხრობილია ისტორია ქართველთა ჯვარის მონასტრისა იერუსალიმის მახლობლათ, აუ როგორ იყო დავაღიანებული და შევიწროებული თათრებისაგან. დოსითეოსს გამოუყიდა მონასტერი და მისი მამულები, გაუსტუმრებია უველა ვალები, გაუთავისუფლებია დაკირავებული ნივთები და ავეჯი. დოსითეოსი სთხოვს ქართველებს და ქართველ მეფეებს გადასწვეიტონ ეს ვალი 94,000 ზანსტრი.

*) იხ. Православная богословская энциклопедія подъ редакціей А. П. Лопухина, т. V. стр. 27.

მეორე წერილი მიმართულია მეფე ერეკლე ჰირველისადმი ანუ ჩაზარ-ალი-ხანისადმი, რომელმაც მუსულმანობა მიიღო სპარსეთში 1676 წლის ახლა ხანებში, გადაიცვალა 1710 წელს. ამ წერილში დოსითეოსი მოგვითხრობს, თუ როგორი დიდი გავლენა ჰქონდათ ქართველებს და ქართველ მეფეებს თათრებზე და ეგვიპტის მამული-უკებზე, როგორ არა ერთხელ გადაარჩინეს მათ იერუსალიმის ეკლესიები თათრების აკლემისგან, როგორ უვლიდნენ და ამდიდრებდნენ ამ ეკლესიებს ქართველი მეფეები ვახტანგ გურგასალიდან დაწყებული და შემდეგი მეფეები ბაგრატონთა შთამომავლობისა. მოაკანებს ერეკლეს, თუ როგორ ესტუმრა ჰაჰა მისს მეფე თეიმურაზ I-ს თეოფანე ჰატრიარხი, როგორ კარგათ მიიღო მან ჰატრიარხი, როგორ გაუმსპინძლდა და მისცა დიდი ფული, რომლითაც ჰატრიარხმა გაისტუმრა ვალი ჯვარის მონასტრისა. ამცნევს, რომ მისი დედის განსვენებულის ელენეს ხელით(?) მან ერთხელ გამოუგზავნა ისპაჰანიდან ჯვარის მონასტრს 1667 ჰიასტრი, მეორეხელ 1000 ჰიასტრი და მისმა კაცებმაც გამოუგზავნეს ფულები და ნივთები, ამიტომ დოსითეოსი სთხოვს ერეკლე ჰირველს, კვლავ არ დაიფიწოს იერუსალიმი, გამოუგზავნოს შემოწირულობა არა თუ მარტო მოსახსენებლათ, არამედ რომელიმე ქართველთ მონასტრის გასახლებლათ, ისე როგორც ქსნის ერისთავმა არხიმანდრიტმა იოსებმა, თანამედროვემ დოსითეოსისამ, განახლა მონასტერი წმიდათა თეოდორეთა, ელენე დედოფალმა, ლეონ დადიანის მეუღლემ (1611—1657), განახლა წმიდა ნიკოლოზის საფანე; ჯვარის მონასტერი განახლა და მოახატვინა თვით ლეონ დადიანმა, აბრაამის მონასტერი ძირიანათ აღადგინა გიორგი აბაშიძემ. ამის მსგავსი რამე შენც გააკეთეო, დასძენს დოსითეოსი. ამასთანავე ჰატრიარხი დოსითეოსი უჩივის ჯვარის მამის წინამძღვარს გაბრიელს, რომელიც განაწესა ნიკოლოზ კათალიკოსმა ამილახვარმა, გივის ძმამ (კათალიკოსთ აკურთხეს დომენტის შემდეგ 1675 წ.). არ არის კმაყოფილი შემდეგი წინამძღვარის არსენისაც, რომელიც გამოუცვლია კათალიკოსს იოანე დიასმძიქს. ესენი არ იყვნენ სათნოიანი ადამიანები და ვალში ჩააკდეს მონასტერი და სხვ.

მესამე წერილი გამოგზავნილია ადრიანოპოლიდან სექტემბერში 1701 წლისა. დოსითეოსი სწერს იმერეთის და აფხაზეთის კათალი-

კოხს გიორგის, ნუ დაუშლი და ნუბა დართუ, რამ გიორგი ლიპარტიანმა (ჩიქოვანმა, ეხლანდელი დადიანების წინაპარმა) შეირთას გიორგი აბაშიძის ქალი თამარით, თუმცა სამარი ლიპარტიანის ნათლული იყო. დოსითეოსი სწერს, გიორგი ლიპარტიანს მარტო პირანი უცხია თამარისათვისა და წელითა მომხათლელი მას სხვა ჰქელათა, აშიტომ თამარის ცოლათა შერთვას ნუ დაუშლი, რომ ეს ორი სხელი, აბაშიძე და ლიპარტიანი, ერთმანეთში მშვიდობით იყვნენა. ამასთანავე დოსითეოსი სთხოვს კათალიკოსს მოახდინოს საეკლესიო კრება და აუკრძალოს ეგელას ტყვის გაყიდვა.

მეოთხე წერილი გამოცხადებულია 1706 წელს იენისში ვახტანგ მეექვსისადმი. წერილში გრცლათ მოახრობილია ისტორია და მდგომარეობა ჯვარის მონასტრისა, კათალიკოსის დომენტი II-ის (1660—1675) მოგზაურობა იერუსალიმში და სხვა. ბოლას ვახტანგს ზასუხს აძლევს შეკითხვაზე, თუ როგორ მოიქცეს ვახტანგი: სპარსეთის შაჰი მას სთხოვს ტყვეებს; არ გაუგზავნოს, შაჰი აახროებს საქართველოს, და გაუგზავნოს, ტყვეებს ამაჰმადიანებს შაჰი და შით ცოდაში ვარდება მეფე. დოსითეოსი ასეთ რჩევას აძლევს: შეტი ჯანი არ არის, უნდა გაუგზავნო, მაგრამ შეტ ერთგულებას ნუ გამოიჩენ ამ გაგზავნაშია, იმდენი გაუგზავნე, რამ ნაკლების გაგზავნა აღარ შეიძლებაღესო ამასთანავე დოსითეოსი სთხოვს ვახტანგს, ლათინთა მღვდლები განსძევოს ტფილისიდან. ლათინები ბეგრათ უფრო მავნე არიან მრალმადიდებულთათვის, ვიდრე სომხები.

მეხუთე წერილი წარმოადგენს ზირობის სიგელს, რომელსაც დოსითეოსი აძლევს მთელ საქართველოს. ეს სიგელი დაწერილია კასტანტინუპოლში 1706 წელს, ივლისში. აქ დოსითეოსი მოგვიითხრობს, რომ ჯვარის მონასტერი და ეგელა სხვა ქართველთა მონასტრები დაჟაღიანებულები იყვნენ და მიტოვებულნი 1) წლის განმავლობაში და კინაღამ თლათ არ დაინგრენო. ლათინებს და სომხებს უნდოდათ მათი შექნა მევაღეებისაგან, მაგრამ ჩვენ სამმა ზირი შეკარითო, ესე იგი, შე დოსითეოსმა, მეფე გიორგიმ და მისმა ძმამ ბატონმა ლევანმან. ჩემი იყო შრომა და მათი ფულებითა. ეგელა მონასტრები ამოჟიგეთო, ჯალიდან გაკათაჟისუილეთ და ქართველებს ჩაკაბარეთო. ეს მონასტრები არიან: ჯვარისა, წმინდა ნიკოლოზისა,

წმიდასა თეოდორეთა, წმ. ვასილისა, წმ. ანნასი და წმიდა გიორგი-
სა ებრაელების უბანში. ამ მონასტრების სრული უფალნი ივერიელე-
ბი არიანო, არავის ნება არა აქვს გაედაოს და მათ საქმეში ჩაერიო-
სო. ეველს ვალი და ხარჯი მათი გადაწვევტილიაო. ბერძნის ჰატრი-
არხს მათზე არავითარი უფლება არა აქვს ძმობისა და ერთობის მე-
ტიო. შემდეგ წეველა არის, ვინც ეს განჩინება და ჰირობა შე-
ცვალასო.

თუმცა დოსითეოსი მომხრე ჯ მეგობარი იყო ქართველებისა, მაგრამ
აუთ იხსენიებს ერთ შესანიშნავ ქართველ მოღვაწეს იმ დროისს. ეს
მოღვაწე არის ნიკოლოზ ანუ, ბერობაში, ნიკიფორე ჩოლაყაშვილი, ომან
სოლაყაშვილის შვილი. ნიკოლოზი ძრეულ განათლებული კაცი იყო.
იცოდა შვიდი უცხო ენა, მოგზაურობდა ევროპაში, აზიაში და აფ-
რიკაში. სხვათა შორის ის იყო ოსმალეთში, ავსტრიაში, გერმანია-
ში, შვეიცარიაში, ვენციაში, რომში, ისპანიაში, საფრანგეთში და ინგ-
ლისში. როდესაც ბერათ შესდგა, წინამძღვარი იყო მცხეთისა და
მეტეხის ეკლესიისა ტოფლისში, მოძღვართ-მოძღვრად ითვლებო-
და კახეთისა, მერმე არქიმანდრიტათ იყო კოცხერის მონასტერში სა-
მეკრელოში, ლეკან დადიანის დროს, და იქაც დიდი ჰატივი და სახელი
დაამსახურა. შემდეგ წინამძღვარი იყო იერუსალიმში ჭვარის მონ-
ასტრისა და გოლგოთისა. თეიმურაზ I დიდათ აფასებდა ამ ჭკვი-
ანს, გამოცდილს და მამულისათვის ერთგულ ქართველს და გზა-
ნიდა მას სხვა და სხვა ქვეყნებში ელჩად. სხვათა შორის ის სამ-
ჯერ იყო გაგზავნილი რუსეთში მეფე მიხეილ თეოდორეს ძესთან
და თორმეტჯერ სხვა სახელმწიფოებში დიპლომატიური მინდობი-
ლობით და უფელაფის კარგათ ასრულებდა თავის მოვალეობას.
1635 წელს ნიკიფორე მიტროპოლიტათ უნდა ეკურთხებინათ. ნი-
კიფორემ ითხოვა, რომ მისთვის ნება მიეცათ იერუსალიმში წასვ-
ლისა და იქ კურთხევისა, მაგრამ თეიმურაზ მეფემ სთხოვა დაჩინი-
ლიყო, რადგანაც ასეთი სასარგებლო კაცის მოშორება მისთვის იმ
დროს მძიმე იყო. როდესაც ბოლო დროს ნიკიფორე წავიდა იერუ-
სალიმში და იქ დაინავდა (1643—1648 წწ.), დიდი ჰატივი, სი-
ყვარული და გულენა დაამსახურა. ის ისე დაიხლოვა და შეიყვარა
იერუსალიმის ჰატრიარხმა **თეოფანემ**, რომ მან ნიკიფორე თავის

მოადგილეთ დანიშნა სიკვდილის წინ 1645 წ. მაგრამ სხვა ბერძნის სამღვდელეობა ვერ შეურიგდა აზრს, რომ მათ ჰატრიარხათ ქართველი ჰყოლოდათ და ნიკიფორე არ დაამტკიცეს ჰატრიარხად.

დოსითეოსი ამბობს, რომ ჯვარის მონასტრის დავალიანება ნიკიფორეს და მისი დაუენებელი მოადგილეების ბრალია, ის თრანგთა შორის მოგზაურობდაო, გარეგანათ იყო მარტო ბერიო, თორემ ისე ამპარტავანი და ბორცტი კაცი იყოო.

ჩვენ კი დანამდვილებით ვიცით, რომ ნიკიფორეს მოღვაწეობა იერუსალიმში ძრეულ თვალსაჩინო იყო. მან, სხვათა შორის, მოახატინა და გაამშვენა ჯვარის მონასტერი 1643 წელს.

საზოგადოთ ჯვარის მონასტერი ძრეულ მგვიდრათ შეაკეთა და გაამშვენებია ნიკიფორემ და შემდეგ დაბრუნდა საქართველოში¹⁾. ბოლო დროს რომში იყო. იქ, როგორც ამბობენ, კათალიკოსობა მიიღო და იქვე გადაიცვალა ნიკიფორე ირბახად წოდებული. ჯერ კიდევ, როდესაც პირველათ იყო რომში 1627—1628 წლებში, იმეცადინა და იქ პირველათ ქართული ასკებით დაიბეჭდა 1629 წ. ქართულ-იტალიანური ლექსიკონი და ლოცვანი. ლექსიკონი შედგენილი იყო სტუფენე პალანის მიერ ნიკიფორე ირბახის დახმარებით²⁾.

როგორც მოვიხსენიეთ ჰატრიარხი დოსითეოსი ორჯერ იყო საქართველოში. პირველათ 1658—1659 წლებში იერუსალიმის ჰატრიარხის პაისის თანამხლებელათ და მეორეთ 1681—1683 წლებში, როდესაც თვითონ იყო ჰატრიარხათ¹⁾. დოსითეოსი ბევრ ცნობებს კვაძლევს საქართველოს შესახებ თავის „იერუსალიმის ჰატრიარხთა ისტორიაში“. ეს ცნობები საუკეთესო მასაღაა სარწმუნოების და ზნეობის შესასწავლათ საქართველოს ხალხისა მე-XVII საუკუნეში. ამ თხზულებას ბროსსემ დიდი ხანია მიაქცია ურადლება და 1839

¹⁾ იხ. Цагарели. Памятники грузинской старины въ Святой землѣ и на Синаѣ 66—100.

²⁾ იხ. მღვდელი მიხაილ თამარაშვილის: „ისტორია კათალიკოსობისა ქართველთა შორის“ და „L'Église Géorgienne“. ამ ორ წიგნში შეკრებილია დიდი მასალა ნიკიფორე ირბახის მოღვაწეობის შესახებ დასავლეთ ევროპაში და შესახებ მისი განწყობილებისა კათოლიკებისადმი. უკანასკნელ შრომაში პორტრეტიც არის ნიკიფორესი.

წელს ერთად შეკრიბა და ფრანგულად გამოაქვეყნა დოსითეოსის ცნობები საქართველოს შესახებ¹⁾. დიდ ყურადღებას აქცევს და ბევრ ცნობებს გვაძლევს დოსითეოსი საქართველოს ისტორიის შესახებ და აგრეთვე შესახებ ისტორიისა საქართველოს მოსაძღვრე ხალხებისა. ჩვენ ამ უმად გვანტერესებს ცნობები აფხაზეთის ისტორიის შესახებ. დოსითეოსს მოკვებს შთამომავლობითი სია აფხაზეთის მეფეებისა და ზოგიერთის შესახებ უჩვენებს, თუ რამდენი წელი იმეფა. ამასთანავე დოსითეოსი დასძენს, რომ მან ეს ცნობები ამოსწერა ბაგრატ მეფის მიერ შედგენილის „აფხაზეთის ისტორიისაგან“. დღემდის ჩვენ არავითარი ცნობა არა გვქონდა ამ ისტორიის ქართული დედნის შესახებ. უველა მკვლევარი მწუხარებას აცხადებდა, რომ „აფხაზეთის ისტორია ბაგრატისა“ დაკარგულა, ანუ ჯერ არ აღმოჩენილა.

მაგალითად, ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე ვახუშტი ბატონიშვილის ისტორიის წინასიტყვაობაში ჩამოკვეთილის რა საქართველოს ისტორიის წყაროებს, სხვათა შორის, დასძენს:

„ზემოხსენებულ ცნობათა გარდა ჩვენამდე მოუღწევია სხვა ცნობათაც ძველ ქართულ წყაროებზე, რომელნიც არ ვიცით, სადა აბოებიან, კერძო სასლებში თუ მონასტრების წიგთ-საცავებში. მაგალითებრ, სადა არის ბაგრატ მეფისაგან მე-X საუკუნეში შედგენილი „აფხაზეთის ისტორია“, საიდანაც იერუსალიმის ჰატრიარქს დოსითეოსს მე-XVII საუკუნეში ადგილობრივ გამოუკრეფია თავის ცნობები და რომელნიც აქა იქ ქართლის ცხოვრების ცნობათაგან განსხვავდებიან!“

ეხლა ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, ეს ისტორია, თუ ეს ისტორიად ჩაითვლება, ხელში გვაქვს, ესე იგი ხელში გვაქვს ქართული ტექსტი იმისი, რასაც დოსითეოსი უწოდებს „აფხაზეთის ისტორიის ბაგრატ მეფისა“ და რითაც მას სავსებით უსარგებლობია.

ჩვენ ვიპოვეთ ერთი ხელთნაწერი, რომელიც წარმოადგენს კრებულს სხვა და სხვა ნაწერებისს, უმეტეს შემთხვევაში საეკლესიო ხასიათისს.

¹⁾ De l'état religieux et politique de la Géorgie jusqu'au XVII siècle, par M. Brosset. Bull. Scient. t. V 1839.

ცნობები ხელთნაწერის შესახებ.

კრებული სხვა და სხვა ნაწერების, 8,5 × 22 სანტ., ხის შავ ტყავ გადარულ ედაში, შესდგება სხვა და სხვა ერთთა შეკრულ რვეულებისაგან. უმეტესი ნაწილი რვეულებისა ერთი პირისაგან არის გადაწერილი, მაგრამ არა ერთ დროს, არამედ სხვა და სხვა წლებში, დაახლოებით 1763 წლიდან 1793 წლამდის. ასე რომ მთელი კრებული ეგუთვნის მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარს. შიგა და შიგ მოიბოჟება სხვა ხელათ ნაწერი რვეულებიც. უმეტესი ნაწილი ნაწერია ნუსხა მხედრულის ხელით, ორი რვეული ნაწერია ნუსხა ხუცურით. უმეტესი ნაწილი რვეულებისა, როგორც ხჩანს, გადაწერილია მღვდელ-მონასტონის **გერმანეს** მიერ. შეიცავს შემდეგ სტატიებს:

1. **ათნი მცნებანი**, რომელნი მიეცნეს მოსეს ღთის მხილველსა, თითოთა ღისათა წერაღნი, რნი თანა გვამს უთა ქანეთა დამარხვად: უბირველესი სათნობანი; მადლნი სულისა წმიდისანი; საიდუმლონი წისა ეკლესიისანი; მსოფლიონი კრებანი; შეიღნი მთმაკვდინებელნი ცოდვანი; ცოდვანი, რომელნი აღძრვენ ღა რისხუად; სულისა წმიდისა მიმართ წინააღმდეგომნი ცოდვანი; ცხრანი ნეტარებანი; მეორედ მოსლვას კიახვა უნისაგან უთა კაცთა. სულ ჩამოთვლილნი სტატიები შეიცავენ ორ ფურცელს.

2. თთჳწსა იანვარსა კს **ცხოვრება** წისა და საკვირველთ მოქმედისა **ტიმოთესი**.

3. ცხოვრება სიმეონ (სწ) შესვეტისა.

4. სვინაქსარისაგან სიტყვანი სულთა სარკებელნი. ბოლოს სხვა და სხვა რეცხებები თავების დაფროთხობის შესახებ და სხვა- ეს სტატია შეიცავს ცალკე რვეულს.

5. ხრონოლოგიისაგან ამოღებული სიტყვები, ხუცური ხელით ნაწერი თავში და შემდეგ მხედრულათ. ცალკე რვეული.

6. ცხოვრება წისა სპირიდონისა.

7. ცნობები ქართველ მთარგმნელების შესახებ: იოანე გრძელისძე, იოანე მამა ეფთვიმისა (წმიდა ეფთვიმი ქეს აქეთ ჟბ, 92(?) ბაკრატ ბაკრატონის მეფობასა), არსენი ნინოწმინდელ ეპისკოპოსი, დიონის იოანე ხახულელი და ოქროპირი, ნეტარი ბერი გრიგოლ ახ-

ლი აბრაჰამ. ზაქარია შირდატის ძე (შირდატის ძე?), არსენი, გიორგი (გიორგი შუენებული, ქვეს აქეთ 68(?), გიორგი მთაწმინდელი, იოანე ჰეტრიკ უოფილი, გიორგი ოლთისელი, სტეფანე, დიდი ილარიონ თვალი, მოძღვარი გიორგისა, ბასილი ბაკრატიის ძე ხახულს მუოფი, ჰეტრიწი .ფილოსოფოსი, ეფრემ მცირე, თეოფილე, არსენი იუდათოელი და იოანე ტაიჭის ძე. ესე ოთხნივე დაჯიოთ აღმაშენებელის ჟამს იყვნენ.

8. შვიდი ხარისხი მღვდელობისა.

9. ცნობები ქვეყნის ზომების შესახებ, ზღვის და ხმელეთისა.

10. ლეკენდა შაჰბაზის ჯადო ცოლის შესახებ.

11. სახელები წინასწარმეტყველებისა, მოციქულთა, მამათ-მთავართა, იესო ქრისტეს 70 მოწაფეთა, ცნობები თუ რამდენი იტოცხლეს მამათ-მთავართა, თორმეტ ბურჯთა ვარსკვლავთა სახელები.

12. ქართლის ცხოვრებაში ნახმარების გეოგრაფიულის სახელების ახსნა თანხმად ქართლის ცხოვრების შენიშვნებისა¹⁾.

13. ცნობები მსოფლიო კრებათა შესახებ.

14. ანა დედოფლის საფლავის წარწერა, ანუ დასაწერად გამზადებული ეპიტაფია, რომელიც აქვე მოგვყავს:

[წარწერა] ანა²⁾ დედოფლის საფლავისა (ლოცვამან ანა).

მიწითნო წერთ, გეტყვი მიწამე უტყვი.

სძლად მაგო მაგმან მტილსა სადავითოსა:

მიტნო თან კორცად. ირაკლი მეფე პანკრატით.

ოთხ წელ საზრომნოდ. ყვავნა დიდუფლობამან,

ათ ცხრამეტ წლისა. დამწიხნა ძვალთ განმზიშვლემან:.

დავყვავილონდი. ვარდი მეცა სიტყვითი.

ცხედარსა ზედა. სოლომონითურსა.

¹⁾ ასეთი განმარტებანი სამეგრელოს თავადის ვარიანტიდან იხილე ჩემს გამოცემაში: *Описание рукописей общества грамотности*, т. I, стр. 425—426.

²⁾ ანა იყო ზაალ აბაშიძის ასული, მეორე ცოლი მეფის ირაკლი მეორისა, რომელზედაც ირაკლიმ იქორწინა 1745 წელს. ანა გადაიცვალა ექვს თუ შვიდ დეკემბერს 1749 წელს და დამარხულია მცხეთაში. ანა იყო ღვთა გიორგი მეთორმეტისა. ეს ეპიტაფია თავის ნიშნებით მოგვყავს.

ვრცელ დალიტმობა. ვსცვალე სიჩო ახლადობაჲ.

არ ემოწყალა უწყალოს მცა მიწა მიწას.

ორად განმწვალა. მაველა მცვალა გლახაკად.

მომსხლა მყის მყისად მკლელობისა მენამან.

აჰა მირონთა. წუთხნი ემონაცვალნეს.

ცვლილ მარგალიტნი. შავთა ჭიქათა ბნელად.

ესრეთ მარღვია. მოწყალა ხატი მბადისა.

და დამაკვეთა მტვერსა შერთული მტვერი:.

უემოთა¹⁾ ლმობითა გემოქენები ყოველთა დამკვერტელთა შენდობის ყოფად არა რაჲ ესე. რომელი ვიყავ ანნა ასული აბა(შ)იძისა. ხოლო სძალი ქართველთ მეფის ცხებულის თეიმურაზისა. და სატრფო ფერცხალი ირაკლი კახთა მეფისა, ხოლო დიდებაჲ ჩემი აჰა დაშრტა და ერთ კორცობა ჩვენი აჰა იცვალა²⁾).

15. სწავლანი სახარების თარგმნიდან და სწავლანი მაქსიმე აღმსარებელისა. თავში ამ უკანასკნელს ასეთი წარწერა აქვს:

უდაბნოში რომ ვიყავი წელსა ქენით ჩლოვ, აგვისტოს, ერთათ შეკრებულის წიგნებიდან ამოვსწერე.

აქედან სჩანს, რომ უმეტესი ნაწილი ამ წიგნში მოქცეულ წერილებთა გადაწერილია 1776 წელს.

16. უდაბნოს სქელის მეტაფორასიდან ამოღებული ცნობები.

17. ოთხისა მიზეზისათვის არა მისცემენ ერსა სისხლსა და კორცსა ლათინნი. ამას თავში უწერია: ამას ლათინნი ასე იტყვიან, სადაც მინახავს, არ შეიწყენარება.

18. წიგნი აღსარებისა. ცალკე რეუელი.

19. თქმული წის მამისა ჩვენისა იწე ოქროზირისა. თავი: დაღაცათუ უწი დღენი ცხოვრებისა შენისანი ცოდვასა შინა წარკადენ.

¹⁾ აქედან დაწყებული ეს ეპიტაფია ცოტა შეცვლით ბროსესაც მოჰყავს სასაფლაოს წარწერიდან (იხ. Bapp. I, p. 23). მოგვყავს აქ წარწერა ბროსეს მოგზაურობიდან:

ქ. უემოთა ლმობითა გექენებით ყოველთა და მკვერტელთა შენდობისა ყოფად არა რაჲ ესე, რომელი ოდესმე ვიყავ ანნა, ასული აბა-შიძისა, ხოლო სძალი ქართველთა მეფისა ცხებულის თეიმურაზისა და სატრფო ფერცხალი ირაკლი კახთა მეფისა. არამედ ჩემთვის დიდება ესე ყოველივე აჰა დაშრტა, დეკენბერსა ვ. ქრისტეს აჰათ ქკსა. ჩლმთ.

²⁾ დედანში სწერია: იწვალა.

უკანასკნელს დღეს მდებარე რა იყო ცხედასა ზა და მიახლებულ სიკვდილად, მაშინცა შეინანე.

20. სწავლანი სათნოებათა ზედა.

21. სწავლანი წათა მამათანი.

22. კრების წიგნისაგან კირილესისა ამონაწერები.

23. წათა შორის მამისა ჩვენისა იწე სინის მთისა. წინამძღუ-რისა მოძღვრებითა განთქმულისა, რაი შეუთხზს, აღსწერს სწავლათა სამათ კიბოანთა თქმობათა შა მრავალ კეთილ ფერათა (ამონაწერები).

24. სწავლა მღვდელთ-მთავართაგან ახლად დადგინებულთა მღვდელთა მიმართ, რათა უთა მღვდელთა აქნდეს აღწერილი ქარტა-სა ზედა მცნება ესე (გამოკრებულნი სწავლანი სჯულის კანონისაგან).

25. კითხვა-მიგება სასულიერო ხასიათისა.

26. სხვა და სხვა საქრისტიანო სწავლანი და მოძღვრებანი: რა უნდა იცოდეს იმან, ვისაც ნათლის-ღების შვილობა უნდა; ათნი მცნე-ბანი; კეთილი საქმენი; ცნობები წლის და დღის მარხვათა და ხსნილ-თა შესახებ; დღესასწაულთა შესახებ ცნობანი; საკაღუნდარო ცნობები, რომელიდგანაც სჩანს, რომ ხელთნაწერი გადაწერილია 1774 წელს. ამ წელს ქკნი უაა(?), დასაბამითგან ჩსზბ: ქქეს აქეთ: ჩდოდ: ზედ-ნადები კე.

27. უარყოფილთ ქრისტიანეთა და კად მოქცეულთა განწესე-ბული, თუ ვითარ ჯერ არს შეწყენარება. სწავლა.

28. მზვარობობისათჳს და ამზარტავანებისა, თქმული წის ევაგრისა მზვარობობისათჳს.

29. სიტუვანი წისა მამისა კასიანესი და სხვათა მამათა.

30. იბაკონი წისა დის-მშობლისანი.

31. სიმეოლო სარწმუნოების შესახებ განმარტებანი. ამას თავ-ში უწერია: ერთი წიგნი იყო რუსეთს დაბეჭდილი ქართულს ენა-ზედ თავს ეწერნეს... (სხვა წაჭრილია).

32. თქმული ბრძენთაგან სწავლისათვის შვილთასა.

33. სწავლანი წისა მაქსიმე აღმსარებელისა და იოანე ოქრო-ზირისა.

34. ლოცვა სავედრებელი უკანასკნელი სულთა და კორცთა გან-ყრისა.

35. წესი გამორჩევის და კელ-დასხმის მღუდელ-მთავრობითისა.

36. ხარისხნი ნათესაობისა: ცოლ-ქმართა ნათესავნი.

37. იოანესკან სინელის სამათნი გვარნი აღსავადთაებრ თქმულნი.

38. ვითარ ჯერ არს აღსარებათა თქმა წე მოძღვრისა მოწაფისა მიერ, რისა კიდე შეუძლებელ არს ცხოვრება: სხვა და სხვა ცოდვანი.

39. სარწმუნოება შემოკლებით აღწერილი ტფილელ მიტროპოლიტის ნიკოლოზის მიერ. რომელსაც გენებოს სწავდა ამით მიიღონ. დასწყისი: კით.: რა არის სჯული? მიგება: მოსკეს ათნი მცნებანი.

40. კითხვა-მიგება აღსარებისა, თუ ვითარ ჯერ არს. და განმარტება აღსარებისა დაწერილი დავით ბატონიშვილის მიერ 1793 წელსა ქკს უზა, თებერვალს იმ. ამ დავითის ნუსხიდან არის გადმოწერილი ეს ნუსხა. და შემდეგ აღსარებანი სხვა და სხვა მამათა და განმარტებანი ანუ შემოკლებული ღვთის-მეტყველება. ამას აქვს ასეთი შენიშვნა ბატონიშვილის დავითისა: ამისთვის მეცა საჭიროდ აღმიჩნდა შემეცნებად ამისა ერთა ჩნთა და აღვსწერე განმარტება აღსარებისა ამის რადენ ძალ ედგა უძღურებასა ჩემსა და უკეთუ ჰყოლოთ რამე ცთომად, ვითხოვ მოტოვებასა, ვინაშთგან ჯერეთ ჰსასაკითა სწავლისათა ვარ გამოუცდელ და არა თუ მხოლოდ ამით, ად შინათცა (ჟამითაცა). საქართველოს მეფის ირაკლი მეორისა ჰირმშოს ძის გის ჰირმშო ძე დავით. სრულ იქმნა წელსა ქკსსა, ჩლეგ. ს ქართლსა ქკს უზა. თებე. იბ.

41. სხვა და სხვა მოკლე ამონაწერები, შენიშვნანი და განმარტებანი სხარების ფრაზებისა: რა არის: „მზეს აღდგა კარავი თვისი, და თავადი ვა და სხნი“; გულის წურომისათვის; განმარტებანი, თუ რა საგანია ნიკოკოსკობი, ატმოსფერა, რეტორიკა, თეორეტიკა და სხვა. უკანასკნელ ფურცლის თავში სწერია: წას მონასტერს მიველდთ კარეჰსჯას, თებერვალს, თ, (ქკს), უაე (1777), ერთი ხონოლრაფი არის, მთქმელს არ აცხადებს, შეადგილს არის, დიდის კონტანტინეს ქვემო (მოყვანილია ამონაწერები ხონოლრაფიდან). აქვე არის რამბიკონნი თქმული წისა ენე ოქრობირისა

42. რქა ცხოვრებისა. დასწყისი: სოლომონ ლექსთა სირათა

კალამ მშვემე. ბოლოს უწერია: ძლითა დ'ისათა სრულ ვეფე წიგნი ესე მეფობასა ირაკლი მეორისსა მე სოლომონ, ოდეს ვიეფე წლისა ოცდა ერთისა წელთა... თთვეს დეკემბერსა. ამას ქვემოთ სწერია: ზანდუკი წიგნისა ამის, რომელსა ეწოდების რქა ცხთვრებისა: სულისა წმინდისათს; ნათლის დებისათს; ზიარებისათს; განწმედელისათს; იოსების ქაღწულებისათს.

43. იოანე პეტრიწის ნაქუსნი, კავშირის ბოლოს დართუნნი, განცალკევებული რეუელი. მიუძღვის ასეთი წინასიტყვაობა:

სათანაღო უწუებად შენდა ამას მკითხულდო, რ'ელ ნაქუსნი ესე რ'ელსა ჰსჭერეტ, ი'ნეს მიერ არს თქმული, ქართულისა ძილდოქ'სისა, რ'ელსა ნართულებ ზედ ეწოდა პეტრიწი. სიმკაცრით გამოძიებისთს წერიდთასა, რ'ელსა ჰყოფდა: რ'ი იყო ნათესავით ქართულელი, სანახებთაგან სამცხესა, დაბით კირკიმით¹); ხ' სხუა ვინაობა ანუ სადაობა მისი არა საცნაურ ჩ'ნდა. მხოლოდ ესე გუჩ'უწუების, რ'ელ ათინას იყო წურთილი, და ზედ მიწევნით მეცნენ სიბრძნეთა მუნებურთა, ვ'ა წამებენ ნაქუსნი მისნი, რ'ნი მრავლითა სიბრძნითა სავსედ იხილულბიან და ენა დღეობითა კეთილ კელთუნურად, რ'ელთაგანი ერთი არს ესე კავშირი მის მიერ გარდმოცნებული ელდინთა ენისაგან ქართულთა გამსა, თს მიერ აკსნითა. ვ'ა აღმოცვირობს: რ'ელისა სიკეთე ფ'დ არს: და ესე ნაქუსი ბოლოს დაუდვიესუე შ'დ კავშირისა, რ'ელი ესე აწ აღიწერა ცალ კერძ კიდე მისგან, კელითა უგლახაკესისა ხუცეს-მონაზონისა გერმანე უდაბნოურთაგანისა, უ'ა მას ოდეს სასწავლოთა შ'ა ვიქცეოდი კელსა ქუჩ'შე ნეკრესის ეპისკოპოსისა მოძღურისა და უ'ა ჩემისა უსამღედელთესისა დონითეოსისა: ქაღაქ-სოფელსა თელავს: ქ'ეს შ'დ ჩლოგ.

დასწუისი: იოანე პეტრიწისა. (ეს ასომთავრულის გრეხილით სწერია).

(ჩ)ტუნ შორისიშე მიდმო სხუა რ'ელსა გულის შორისად მჭობლად ვიტუვთ, ვითარ ვინაშე საწონი საწონელთად, და ვითარ ქუა, რომლის მიერ განურჩევენ. სიკეთეთა ოქროსა: ესე სახედ დაჰსდუა

¹) ეხლა ცხადია, რომ იოანეს წოდება ყოფილა კირკიმელი და არა კიმკიმელი. აგრეთვე ცხადია, თუ საიდან წარმოსდგა ეს წოდება.

და მიჩუტნ შორისა მმეჟმან ჩქუტნმან ღთნ: შორის მღებარეობით სიტუჟა, და ნუ გარემოსილი და ორღანებრივი...

ბოლო:

ს მამინ ნიშნად (ნიშნებად, წოდებულთა ძველთა ადგილთა რათ-
მე გზისათა, დასხმიდეს და ამათ ზედა წარსწერდეს საძიებულთა რათ-
მე და ამას ამისთვის ჰყოფდეს, თანად რა უწოდდის მოგზაურმან რა-
ოდენობა გზისა და წარმკითხუტლსა ზედ წარნაწერისსა.

44. სწავლა ერთ ღვთაებისა და სამების შესახებ.

45. ღვთაების აღვიარება, აკლია 36 თავი, დარჩენილი 37—190.

46. განჩინებაჲ და მსჯავრი სამოციქულოჲ ზემოდას საქართუ-
ტლომას მამათ მთავრისა ანტონის მრ, და ეპისკოპოსთა. სამეუფო-
სა ქალაქსა ტფილისს, ჰალატსა საკათალიკოსოსა შეკრებულთაგან,
ზაქარისთს ხუცისა, და ვიეთთამე მიმდგომთა მისთა, ცხლად დამ-
თრგოზნოტლთა სჯოჯლთა საღმრთოთა: და მამთა კანონისათა:

ეს ზაქარია განუკუთითათ მღვდელობისაგან და შეუზგენებიათ,
რადგანაც ანტონი I კათალიკოსს მწვალებელი უწოდა, შეჩვენებულთა
აგრეთვე და განკუთილი დიაკონობისაგან შვილი მისი იოსებ და მ-
წათე მისი ისაკ. ხელს აწერენ განჩინებას:

ანტონი წყალობითა ღისათა მდაბალი არხი-ეპისკოპოსი, კათა-
ლიკოსი მცხეთისა, სამეუფოდას ქალაქისა და უისა ზემოდას საქარ-
თუტლომას:

მდაბალი მიტროპოლიტი სამთავროდას და გორისა კირილე.

მდაბალი მთავარ-ეპისკოპოსი ბესარიონ.

მდაბალი მიტროპოლიტი ტფილისისა ქრისტეფორე.

მდაბალი მღვდელმთავარი ნინოწმიდისა საბა წავსწერ.

მდაბალი მღვდელმთავარი რუისისა გერმანე.

მდაბალი ეპისკოპოსი მანგლისისა ნიკოლოზ.

47. სხვა და სხვა სულიერნი სწავლანი. ერთ ადგილს უწერია:
ნეზმა (ნიკოლოზმა) იქადაგა ქკს უნდ (=1766 წ.) კორციელის
კვირიაკეს მოჭუჟანილია ქადაგება.

48. სხვა და სხვა ცნობები, არაკები, განმარტებანი და თთვე-
ნიდამ ამოწერილი ცნობები.

49. განწესება ზანაშვიდისა და წირვის წესებისა სხვა და სხვა დღეს. ერთ ადგილას სწერია:

ამა ქკნს 1777 წელს რომ შობა ორშაბათს არის, ამის წინას ზარასკევს ათორმეტისათვის დაეწერათ. აქვე ცნობები მეფეების და ბატონიშვილების დაბადების და გადაცვალების დღეებზედ:

ყოფლისა საქართველს **მეფის ირაკლის** დღე დაბადებისა **ოკდომბერს 8**, სერგის და ბაქოს ზატრიაჩნისა.

დარეჯან დედოფლის შობის დღე **ივლისს: 6**:

ბატონიშვილის გ'ისა დაბადება **ოკდომბერს: 1)**

ამისი მეუღლის **მარიამის** დაბადების დღე (არ არის ნაჩვენები²⁾).

ლეონისა, ფებერვალსა ა: ლეონის მიცვალება **ფებერვალს 9**, მეზეგრის ზარასკევს. ამათი მეუღლის ნინასი **ნ'ნბრის: 10**: დაბადებისა³⁾).

იულონისა (არ არის ნაჩვენები⁴⁾).

ვანტანგ ბატონიშვილის შობის დღე **ივნისის 11**⁵⁾.

თეიმურაზისა, რომელ იქმნა საქართველს ზატრიაჩს, მეფის ირაკლის ძე **ანტონი 1788**: ამის შობის დღე **იანვარს 12**⁶⁾.

მირიანის დაბადება: **აგვისტოს 13**⁷⁾.

1) დაბადების დღეები და თვეები ირაკლი მეორისა, მისი მესამე მეუღლის დარეჯანისა და შვილის გიორგისა არ არიან აღნიშნულნი ბროსეს გენეალოგიურ ტაბულაში (H. G. II, 2, p. 638—636). ზემო ნაჩვენები თარიღები ამ ნაკლს ავსებენ.

2) მარიამის დაბადების დღედ ცნობილია 9 აპრილი (ibid. p. 636).

3) ირაკლის ძის ლეონის დაბადებას პაპუნა ორბელიანი უჩვენებს თებერვალში, 1756 წ., მაგრამ რიცხვი თვისა არ მოჰყავს. მიცვალება მართლა 5 თებერვალს იყო 1781 წ. (ibid.).

4) ირაკლის ძის იულონის დაბადებას ბროსეს უჩვენებს 4 ივნისს 1760 წ. (ibid.).

5) ეს თარიღი არ არის ცნობილი, წელი ნაჩვენებია 1761 (ibid.).

6) დაიბადა 1760 წელს, კათალიკოსათ ეკურთხა 1788 წ შობის დღე ცნობილი არ. იყო (ibid.).

7) არ არის ნაჩვენები.

ალექსანდრესი (არ არის ჩაჩვენები¹).

ფარნავაზისა (არ არის ჩაჩვენები²).

ნეტარსენებულისა მეფის თეიმურაზის მიცვალება იანვრის 3³).

ბატონიშვილის ვახტანგის მიცვალება თებერვალს 4⁴):

იოანეს გლახას მიცვალება აგვისტოს დ:

თინიას მიცვალება: იანვრის კვ.

ზაქარიას დაბადება იანვრის კვ. ამისი ნინიასი — ივლისს ა:

დათუასი — სექდ: ე, ილიასი — აპრილს 5⁵).

უწმინდესის დის მარიამის მიცვალების დღე ივლისს კვ, მარიამ მაგდალინელას დღეს.

მეორეს დის ანასტასიას მიცვალების დღე აგვისტოს დ: შვიდთ ურმათ ეფესელთ⁶).

აქვე უწერია: ქკს უბ (1792): ნოემბერს ლ, ანტონი ნეტარმან უწმინდესმა წირვას უკან ემთხვევნენ ტრახეზსა 3⁷ დ კრებულდი და მერმე თვითან და გაბძანდა. დკნ ტკხენ: და თვით კხრს დი ჩნი, მწიგნობარმან: ან მდით თაყნის...

50. განგება მცირისა მწუხრისათვის.

51. ღოცვა ქარწილის ღამისა.

52. კურთხევა შეგირდასა.

¹) ბატონიშვილი ალექსანდრე, ირაკლი II ძე, გადაიცივალა სპარსეთში 1844 წ. მისი დაბადების დღე არც სხვა წყაროებშია მოხსენებული. აღნიშნულია მხოლოდ, რომ 1800 წელს ის იყო 29 წლის (ibid.).

²) არც ამ ფარნავაზის, ირაკლის ძის, დაბადების დღეა ცნობილი. 1800 წ. ის იყო 25 წლის (ibid.).

³) თეიმურაზ II მიცვალება სხვა ცნობით 8 იანვარს იყო 1762 წ. (ibid.).

⁴) აქ ლაპარაკი უნდა იყოს ირაკლი მეორის შვილზედ, ვახტანგზე, რომელსაც ცოლათ ყავდა კოსტანტინე მუხრან ბატონის ქალი ქეთევანი. ეს ვახტანგი გადაიცივალა 1756 წ. 18 თუ 20 წლისა. მისი გადაცივალუბის დღე ცნობილი არ იყო (ibid.).

⁵) ამ სამს პარაგრაფში მოხსენებულნი პირნი არ ვიცით, ვინ არიან.

⁶) მარიამ და ანასტასია უნდა იყვნენ იესე მეფის ქალები, ანტონ I კათალიკოსის დები. მათი გადაცივალუბის დღეები და წელი ბროსეს ტაბულაში აღნიშნულნი არ არიან (ibid., p. 628).

53. დაუჯდომელი, რომლის სათაური არის: ითარგმნა აკათის-ტო ესე (რომელ არს დაუჯდომელი) ქართულსა ენასა ზედა, მღვდელ მონაზონისა ურისა გავრიილ მთაწმინდელისაგან და ქართულ სიტყუობასა ზ'ა შეწუბობილ იქმნა ღუწითა და შრომითა გიორგი ნათლის ძისათა:

54. გალობანი წ'ისა ნინასი ლიტანიად.

55. დაუჯდომელი ჯ'ისა ბერძელისაგან თარგმნილი ქართულად.

56. ჰარაკლისი სავედრებელი ღირსისა მამისა ჩ'ნისა ღ'თ გა-რეჰსჯელისა.

57. თხრავანი ღვთისა მიმართ ანუ განზრახვანი, რომელს სა-თაური აქვს: ზაქარიაჲმ ე'დ უღირსჲმ ხუცეს-მოძღვარჲმ, ხ' სქე-სით ვ'ემე გაბონჲმ უფერადოთ ლექსთა მიერ მდაბიურთა ენათა ზ'ა ადგწერე ექვს ნაწილედად თხრავა ესე ღ'ე მიმართ.

58. სხვა და სხვა ლოცვანი. ესე ლოცვა სიკვდილს წარმოგი-უენებს თუაღთა წ'ე.

59. წმიდათა შორის მამისა ბასილი მთავარეპისკოპოსისა კე-სარია-კაზადუკისა მოთხრობაჲ ეკლესიებრივი და საიდუმლოებითი. ცალკე რვეული, დაწერილია ხუცურათ წვრილი ხუსხს ხელით.

60. ფსალმუნის თარგმანი.

61. სწავლანი გამოკრებულნი სიბრძნისაგან და იკავთა სოლო-მონისთა, ისო ზირაქისთა, სამოციქულოსა და კათოლიკისაგან. ცალ-კე რვეული.

62. კანონები გამოკრებულნი ვახტანგ მეფის სამართლის წიგ-ნისაგან და ლეონ ბატონიშვილის და ვახტანგ ბატონიშვილის მთებ-ში დადებული განჩინებანი. ბატონიშვილის ვახტანგის განაჩენი დად-ებულია მკათათვის კე, ქ'კს უო (=1782 წ.*).

63. ზნეობრივი სწავლანი საღმთო წერილიდან გამოკრებილნი.

*) ლეონ ბატონიშვილის და ვახტანგ ბატონიშვილის მიერ მთებში დადებული განჩინებანი დაბეჭდილია ჩვენ მიერ საქართველოს სიძველენის I ტომში № 194, გვ. 203—208. ტექსტი არაფრით არ განირჩევა ჩვენ-ნი დაბეჭდილი ტექსტისაგან, ხოლო აქ განჩინების თარიღათ ნაჩვენებია მკათათვის 25 რიცხვი 1782 წ., ხოლო ჩვენს გამოცემაში ოკტომბრის 14 იმავე წლისა.

ამას შემდეგ ჩაკერებულია ერთი ფურცელი ირაკლის დროს და-ბეჭდილის წიგნის სათაურისა, რომელზედაც სამებაა გამოხატული და ირგვლივ აწერია: სამებაო წმიდაო აღიდე მადიდებელი შენი ბეჭდისა ამის მეორედ განმასხვებელი მეფე სრულიად საქართველთა ირაკლი.

64. თქმული გრიგორი ნოსელისა მკათარმეტისა თავისათს გამოძიებას საუნჯისათს ბუნებისა და სიტყუელ ბუნებითი სიცილისათს და ტირილისა.

65. იამბიკონი ლოცვამან ანხასა ზ^ა სახელსა ზ^ა თქმული მდაბლისა არქიდიაკონ მონაზონისა კირილესი. პატარა განცალკევებული რვეული.

66. სხვანი იამბიკონი ანტონ I კათალიკოზისა ცალკე რვეულზე.

67. ბოლოს უწერია:

განგედ, ჟ ირაკლი მეფეო ჰანკრატითო, ლოცვისა მ^რთ, რ^ლ დ^{ის}ა მიმართ არს განსლგაჲ; დადეგ ვ^ა დასჯილი წ^ე მსაჯულისა და დ^{ის}ა, რ^ა წყალობისა მისისა ვაზსა ზ^ა მოისთქუნე შენდობისა ტუ-ვანნი, ჟ ქ^ეს მიერ ქ^მლ სიტყუო, ამინ.

შენ ხარ ვენაკი, ახლად აღუგებული,
ნორჩი კეთილი, ედემს შინა ნერგული,
აღვა სუნნელი, სამოთხეს აღმოსრული,
დ^თნ შეგამყო, ვერაფერ კჯობს ქებული,
და თავით თვისით მზე ხარ განბრწყინებული.

68. კანონი ნიკიისა. იბ. და სხვა საეკლესიო კანონები. ჩამოთვლა მსაჯულთა იერუსალიმისთა და მეფეთა იუდიანთა. რა ჯერ არს და რა არა ჯერ არს ეპისკოპოზისათს.

69. ვითარება ნათესავ-უნათესოვანესი. ქართველი და გეოგრაფიული სახელების ახსნანი.

70. ეგფული, რომელ აღწერეს წ^თა წინასწარმეტყველთა და მამათმთავართა უ^თა მოციქულთა მდ^ლდელთ-მოძღვართა. რათა არა მივიდოდეს მორწმუნენი კაცნი კითხვად და არცა*) მისანს ქერის მურელთათანა. უკეთუ იკითხვიდეთ, ვითაც მთვარემან მოგცეს, ეგრეთ იკითხვიდეთ, მამანო და ძმანო. დასაწყისი: ერთსა მთვარესა დღე-ყოველ იკითხე, ორსა ჰ^ლ ჟამს იკითხე, სამს ნუ იკითხავ.

*) დედანში სწერია: რასაც.

მკელი საქართველო

71. კაღანდრა. სამეცნიერო წელიწადისა, თუ ვითარნი იყვნენ ზედნადებნი. სამთვარიო მართალი და ჭეშმარიტი, კელის გაგნისა სამთვარეო.

72. საეტლო მართალი და ჭეშმარიტი.

73. სიტყვანი მეცნიერებისნი ფილასოფოსთა ბრძენთა გამოკრებული.

74. მოთხრობა შიშველ-მართალთა და კსენება მათი.

75. ძერისა და ქუხილისა, ელვისა და ცის სარტყელის გამოჩენისა. კაღანდრა თქმული ეზრა წინასწარმეტყველისა.

76. ცნობები აფხაზთა მეფეების შესახებ, ანუ ეგრეთ წოდებული აფხაზეთის ისტორია ბაგრატიისა.

77. მოკლე ცნობები საქართველოს ისტორიიდან. მოკვეყვს აქ სრულათ ორი უკანასკნელი სტატია.

ეგრეთ წოდებული აფხაზეთის ისტორია ბაგრატი მეფისა ¹⁾.

„ქ. სახელითა მდ¹ათა მე კოსტანტინე მეფემან, ძემან სულკურთხეულის ბაგრატი აფხაზთა მეფისამან: ვნაჲ საჭურჭლესა ქუთათის ქუთათის მდივანი. მეფეთა შინა ეწერა სახელები მეფეთა და დაძველებულ იყო. და ახლად გარდავაწერინე:

პ¹ი მეფე აფხაზეთისა იყო ანოს: მეორე შვილი მისი დოზარ: მესამე შვილი მისი ისტინე: მეოთხე შვილი მისი ფინიკტიოს: მეხუთე შვილი მისი ბარუკ. მეექვსე შვილი მისი დიმიტრი: მეშვიდე შვილი მისი თეოდოსი²⁾: მერვე შვილი მისი კოსტანტი: მეცხრე შვილი მისი თეოდორე: მათე შვილი მისი კოსტანტინე: მეათერთმეტე ძმა მისი ლეონ: რ¹ნ (რომელმან) დაყო მეფობასა შინა თქსსა წელიწადი ორმოცდახუთი: მათორმეტე (შვილი მისი) თეოდოსი: რ¹ლნ დაყო მეფობასა შინა თქსსა წელიწადი ოცდაშვიდი: მ(ე)ათისმეტე ძმა მისი დემეტრე. მეფობდა ოცდა თექვსმეტ წელ: მათოთხმეტე ძმა მათი გიორგი მეფობდა, რომელს საუფლისწულოდ აღწუთი ჰქონდა:

¹⁾ ორ-ორ წერტილს დედნისას ვტოვებთ, სხვა ნიშნებს ვასწორებთ.
²⁾ დედანში სწერია შეცდომით: დეოდოსი.

და ამისთვის ეწოდა მას გიორგი აღწუფელი: ამან იმეფა შვიდ წელ: მეთხუთმეტე შვილი დემეტრესი ბაგრატი. მეფობდა თორმეტ წელ: მეათექვსმეტე შვილი (მისი) კოსტანტი. მეფობდა ოცდაცხრამეტ წელ: მეათშვიდმეტე შვილი მისი გიორგი. მეფობდა ორმოცდახუთ წელ: მეათურამეტე შვილი მისი ლეონ. მეფობდა ათ წელ: მეათცხრამეტე ძმა მისი დიმიტრი. მეფობდა რვა წელ: მეოცე ძმა მისი თეოდოსი თვალ-დამწვარი. მეფობდა სამ წელ. და ამასა შდ ინება ღთნ და დავიწყარ მე ქჷანა (ქვეყანა) აფხაზეთისა, დედული ჩემი, **ბაგრატი** ბაგრატიანისა, ძემან სულ-კურთხეულისა **გურგენისამან**, და ასულის წულმან **გიორგი** აფხაზეთ მეფისამან: და თუ მე წადენთა წელთა დაყოფ მეფობასა ჩემსა, ეს ღნ უწყის“:

შემდეგ მიმატებულია:

„ნ (ხოლო) მეფობდა ესე ბაგრატი ოცდა ათექვსმეტ წელ და შდ (შემდგომად) იმისსა მეფობდა (შვილი მისი) გიორგი ათცამეტ წელ და ხუთ თვე“.

ეს სტატია განიყოფება სამ ნაწილად. პირველი შეიცავს შესავალს, რომელიც ეკუთვნის **კოსტანტინე** მეფეს, ძეს **ბაგრატი** აფხაზეთა მეფისას. შესავალი გვამცნევს, რომ ხუცხა აფხაზეთა მეფისა დაცული უოფილა ქეთისის საჭურჭლეში მდებარე ქუთათის **მღივანში**, მაგრამ ამ **მღივანში** მოქცეული მეფეთა სია¹⁾ ჟამთა ვითარე-

¹⁾ ჩვენ არ ვღებულობთ თავის თავზედ სიტყვა **მღივნის** სრულს განმარტებას. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ტექსტის აზრით აქ **მღივანი** უნდა ნიშნავდეს სახელმწიფო დავთარს, რომელშიაც შეტანილი უნდა ყოფილიყვნენ ყოველგვარი სახელმწიფო აქტები, განჩინებანი, განწყებანი და სხვა და სხვა ცნობები. მე-XVII და მე-XVIII საუკუნეობიდან ჩვენამდის მოაღწიეს ეგრეთ წოდებულმა **სამღივნო წიგნებმა**, რომლებშიაც აუარებელი ცნობებია შეტანილი, მაგალითათ, როგორ უნდა დაიწეროს სიგელი, როგორ უნდა მიეწეროს მეფეთა, დედოფალთა, ბატონიშვილთა, კათალიკოსთა, ეპისკოპოსთა, ერისთავთა, დიდებულთა, სწორამხანაგთა. როგორ უნდა დაიწეროს მზითვის სია, განჩინებანი, საფლავის წარწერანი, ციხის და ეკლესიების წარწერანი და სხვა. მაგრამ ამგვარი სამღივნო წიგნები კერძო ხასიათის არიან, პრაქტიკულის მიზნით შედგენილნი, როგორც რუსული ПИСЬМОВНИК-ები, სახელმძღვანელოთ მღივანთა და მწერალთა. სახელმწიფო მღივანი კი სხვა ხასიათის დავთარი ყოფილა სახელმწიფო მნიშვნელობისა და ამიტომ სახელმწიფო საკურტლეში ყოფილა შენახული.

ბის გამო დაძველებულა და კოსტანტინე მეფეს გადაუწერინებია. ვინ უნდა იყოს ეს კოსტანტინე მეფე, ძე ბაგრატ აფხაზთა მეფისა? ჩვენის აზრით აქ ხსენებული კონსტანტინე არის მეფე კონსტანტინე II, ძე ბაგრატ მე-IV-ისა დიდისა, რომელიც მიღებულის ცნობით გადაიცვალა 1414 წელს.

მეორე ნაწილი შეიცავს თვით ნუსხას აფხაზთა მეფეებისს. ნუსხა შეუდგენია, ანუ უკეთ ვსთქვათ, გამოუქვეყნებია, როგორც ბოლოში მოხსენებულა, ბაგრატ ბაგრატიონისს, გურგენის ძეს და ასულის წულს გიორგი აფხაზთა მეფისს. ეს ბაგრატი, რაღა თქმა უნდა, არის მეფე ბაგრატ III (980—1014), რომელმაც შეაერთა და ერთ სამეფოთ გახადა აფხაზეთი და ქართლი. ამ ბაგრატიდან იწყება განსაკუთრებული სიძლიერე საქართველოს სამეფოსი. ეს იყო ძე გურგენისა, რომელიც ცნობილია სუმბატის ისტორიაში მეფეთ მეფის წოდებით. გურგენს ცოლად ჰყავდა აფხაზეთის მეფის გიორგი II-ის ქალი გურანდუხტ (+ 1008), მაშასადამე ბაგრატ III ასულის წულაა გიორგი აფხაზთა მეფისა და აფხაზეთი მისი დედუღია, ანუ დედუღეთი. აქედან სჩანს, რასაც ბაგრატი მოგვითხრობს თავის თავზე ნუსხის ბოლოში, მართალა. მიღებულის ქრონოლოგიით ბაგრატი გამეფდა აფხაზეთში 980 წელს, ხოლო ქართლში 985 წელს. ძველ დროში მისრეთში, ბაბილონში, ასურეთში და სხვა ქვეყნებში ჩვეულებათ იყო, როდესაც ახალი დინასტია თუ შთამომავლობა აღვიდოდა ტახტზედ, განცალკევებულს აქტში ანუ წარწერაში მოიყვანდა სიას მისი წინამოადგილეებისს მომავალთა საურადადებოთ. ასე მოქცეულა ბაგრატ მესამეც. მას შეუკრებია ცნობები თავის წინამოადგილეების შესახებ აფხაზეთში და შეუნახავს მომავალთათვის. მაგრამ, რასაკვირველია, ეს ისტორია არ არის, არამედ აქტია, მანიფესტია, რომელითაც ის გვამცნევს მის მიერ კანონიერად გამეფებას თავის დედუღეთში, ესე იგი აფხაზეთის სამეფოში, და იხსენიებს უკვლავ თავის წინამოადგილეებს. ეს აქტი ანუ მანიფესტი მეათე საუკუნეში ქუთათის მდივანში შეტანილი შენახული ყოფილა ქუთაისის სამეფო არხივში, ანუ საჭურჭლეში, და რადგანაც დროთა ვითარების გამო დაძველებულა, მეფე კოსტანტინე მეორეს განუახლებია, ანუ გადაუწერინებია მეთუთხმეტე საუკუნის დამდეგს და ამგვარათ მოღწეულა ჩვე-

ნამდის. რომ აქტი, ანუ ნუსხა მართლაც ბაგრატ მესამის მიერ არის ზირველათ შედგენილი და გამოქვეყნებული, ამას ცხად უოფს ბაგრატის სიტყვები: „ინება დმერთმან და დაფიზუარ მე ქვეყანა აფხაზეთისა, დედული ჩემი, ბაგრატ ბაგრატონიანმა, ქემან სულ კურთხეულის გურგენისამან და ასულისწულმან გიორგი აფხაზთა მეფისამან, და თუ მე რადენთა წელთა დაფუთუ მეფობასა ჩემსა, ეს დმერთმან უწეის“.

უკანასკნელი ნაწილი სტატიისა, რომელიც შეიცავს ცნობას, თუ რამდენი წელი იმეფა ბაგრატ მესამემ და მისმა შვილმა გიორგი ზირველმა, მიმატებულია შემდეგ დროში თანხმად ქართლის ცხოვრების ცნობებისა.

აფხაზეთის ისტორიის შესახებ ცნობები ჩვენ მოგვეპოვება ქართლის ცხოვრებაში. ქართულს ენაზედ ძველათ უოფილა „აფხაზეთის ცხოვრება“, ანუ „ცხოვრება აფხაზთა მეფეთა“, რომელიდგან, უნდა ვითუქროთ, შეტანილია ქართლის ცხოვრებაში ბევრი ცნობები აფხაზეთის ისტორიის შესახებ. ამ აზრს ცხად ჰყოფს ერთი ადგილი მარიამ დედოფლის ქართლის ცხოვრების, სადაც მოთხრობილია ბრძოლა აფხაზთა მეფის კოსტანტინე I შვილებისა, გიორგი II-ისა და ბაგრატისა, რომელიც გათავდა გიორგის გამეფებით (923—958). აქ ვკითხულობთ: „და იყო მათ შორის ბრძოლა ფიცხელი, რომელი თვთუეულად შპო(ო) ცხოვრებასა მათსა“¹⁾. მხლად ჩვენ არ ვიცით, ვისი შედგენილია ეს „აფხაზეთის ცხოვრება“, რომელსაც ჩვენამდის არ მოუდწევია. ამდენხანს გვეგონა, რომ ბაგრატ III არის ავტორი აფხაზთა ისტორიისა და ეს ისტორია ვითომ ხელში ჰქონებოდა ეს იერუსალიმის ჰატრიარქს დოსითეოსს და მისგან გამოეკრიბოს ცნობები აფხაზეთის მეფეების შესახებ. მაგრამ ეს აზრი არ მართლდება. შეიძლება ბაგრატ III მართლაც იყოს ავტორი ვრცელის აფხაზეთის ისტორიისა, მაგრამ ჩვენ თამამათ შეგვიღია ვთქვათ, რომ დოსითეოსს ეს ვრცელი ისტორია არ ჰქონია ხელში. ის, რასაც დოსითეოსი „ბაგრატის აფხაზთა ისტორიას“ ეძახის, არის ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი ნუსხა აფხაზთა მეფეებისა, რომელიც მართ-

¹⁾ მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 228.

და შედგენილი და გამოქვეყნებულია ბაგრატ მე-III-ის მიერ შეათე საუკუნეში. დოსითეოსის ცნობები აფხაზეთის ისტორიის შესახებ შეიცავენ სრულს თარგმანს იმ ნუსხისა, რომლის ქართული ტექსტი ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ. ხოლო რამოდენიმე საკუთარი სახელი შეცვლით არის მოყვანილი დოსითეოსის ნუსხაში, ისე როგორც ჩვენ ქართულს ნუსხაშიც მოიპოვება შეცვლილები ზოგიერთ სახელების გადმოცემაში. უცხოელი ქართულის ენის უცოდინარობის გამო და აგრეთვე თავის ენის ანბანის საშუალებით უოველთვის სისწორით ვერ გადმოგვცემს ქართულ სახელებს. ამით აიხსნება მცირეოდენი განხვავება საკუთარ სახელების გადმოცემაში. ამას გარდა, როდესაც ერთი და იგივე სახელი ბერძნულად სხვანაირათ გამოითქმის ვიდრე ქართულად, დოსითეოსს, რასაკვირველია, ბერძნულის თორმით მოჰყავს სახელი და არა ქართულის. ამ მიზეზების გამო ისტორიკოსმა მაგიერ დოსითეოსის ნუსხაში გვხვდება იუსტინეანე (3); თინაქტიოსის მაგიერ თინაქტიოს (4); დიმიტრის მაგიერ დემეტრე (6, 19); კოსტანტინეს მაგიერ კოსტანტი (10), ასეთივე თორმა ნახმარია ორჯერ ჩვენს ნუსხაშიც (8, 16), ბაგრატის მაგიერ ჰანკრას (15, 22). თორმა ჰანკრატი ქართულშიაც იხმარება, ხშირად შეგვხვდება ხოლმე ქართულ წყაროებში ჰანკრატოვანი ბაგრატოვანის მაგიერ. უფრო თავაღსაჩინო განხვავებას წარმოადგენს დოსითეოსის კაპარუჯი ჩვენი ნუსხის ბარუჯის მაგიერ (5). ამას გარდა დოსითეოსის ნუსხაში ერთი მუთით მეტია ნაჩვენები, ვიდრე ჩვენსაში. ეს არის ანტარნასე-დავითი (21), რომელიც ქართულის გამოთქმით იქნება ადარნასე-დავითი, და რომელიც შვილის შვილია კოსტანტინე III-სა და მეფობს ბაგრატ მეორის წინ¹⁾. ამ ანტარნასე-დავითის არც მამა ცნობილი ნუსხაში და არც დედის სახელი, არც ის არის ნაჩვენები, თუ რამდენი წელი იმეფა. ამით აშკარათ ირღვევა გეგმა ნუსხისა²⁾. ბაგრატ მეორე

¹⁾ აქ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს ბაგრატი აფხაზთა ისტორიის სიაში მეორეა და ქართლისაში მესამე.

²⁾ ადარნასე-დავითი ქართულ წყაროებში ცნობილი არ არის, ცნობილია მხოლოდ ადარნასე, ძე იოანესი, რომელიც მოკლა 887 წელს მისმა ბიძაშვილმა ბაგრატ I და გამეფდა აფხაზეთში (Additions, p. 175).



რის¹⁾ შემდეგ დოსითეოსის ნუსხით მეუობს დროთა 12 წელს, ჩვენი ნუსხით კი გიორგი III. ეს ცნობები შემდეგ არის მიმატებული, როგორც ზემოთ ვუჩვენეთ, ხოლო ჩვენი ნუსხის ცნობა მართალია და დოსითეოსის შემცდარი. აგრეთვე შემცდართ უნდა ჩათვალოს დოსითეოსის ცნობა, ვითომც ბაგრატ II-ს მეუობა დაეწიოს 992 წ. ზოგიერთი სიტყვები ჩვენს ნუსხაში გამომჟღავნდება, მაგალითად, მეთორმეტე მეუფის თეოდოსის წინ გამომჟღავნებულია სიტყვები „შვიდი მისი“ და მეთექვსმეტე მეუფის კოსტანტინეს წინ გამომჟღავნებულია სიტყვა „მისი“. ეს სიტყვები ჩვენ მიუმატეთ დოსითეოსის ნუსხის მიხედვით და ჩავსვით ფრჩხილებში. თავის მხრით დოსითეოსის ნუსხაში არ არის აღნიშნული, თუ რამდენი წელი იმეფა გიორგი I ადწუთუჟმა. დიმიტრი მუსაშე მეუობს 26 წელს, ჩვენი ნუსხით კი 36 წ. ერთი სიტყვით, ეს ორი ნუსხა წარმოგვიდგენენ ვარიანტებს ერთი მეორისს და ერთი მეორეს ავსებენ. მოგვყავს აქ შესადარებლად ნუსხა ჩვენი დედნისა და დოსითეოსისა. ხოლო აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ბერძნული ტექსტი დოსითეოსის „იერუსალიმის ჰატრიარხთა ისტორიისა“ ჩვენ ტფილისში ვერ ვიპოვნეთ²⁾ და ნუსხა მოგვყავს ბრასეს თარგმანიდან, რომელიც Additions - შია მოყვანილი (გვ. 173). ესევე ნუსხა არის წიგნში, რომელსაც ჰქვია РУКОВОДСТВО КЪ ПОЗНАНИЮ Кавказа М. С. КН. I (გვ. 26 — 27), მაგრამ აქც ცნობები ამოღებულია არა ზირდაზირ დოსითეოსის წიგნიდან, არამედ ბრასეს თარგმანიდან, რომელიც მოთავსებულია Bullet. Scient.-ში t. V.

1) ამ ბაგრატის შესახებ ბროსე შენიშნავს: Cousin d'Antarnas; etait-il aussi fils de George? ჩვენს ნუსხაში, როგორც დავინახეთ, ბაგრატ II თვითონ მოგვითხრობს, თუ ვინ არის ის.

2) ჩვენ მივმართეთ თხოვნით პატივცემულს პრივატ-დოცენტს ი. ჯავახიშვილს, მოენახა პეტერბურგში ეს თხზულება და მოეწოდებინა ჩვენთვის ბერძნული ტექსტი, მაგრამ წიგნი არ აღმოჩნდა არც სამეცნიერო აკადემიაში და არც საჯარო ბიბლიოთეკაში.



ჩვენი ნუსხა:

1. ანოს.
2. ლოზარ.
3. ისტვინე.
4. ფინიკტიოს.
5. ბარუკ.
6. დიმიტრი I.
7. თეოდოსი I.
8. კოსტანტი I.
9. თეოდორე.



დოსითეოსის ნუსხა:

1. ანოს.
2. ლოზარ.
3. იუსტინიანე.
4. ფილიკტოს.
5. კაპარუკი.
6. დემეტრე I.
7. თეოდოსი I.
8. კოსტანტი I.
9. თეოდორე.



ვინაიდან აღნიშნულია, თუ რამდენი წელი უმეტესა თითოეულს მეფეს ლეონ I-დან დაწყებული, ამიტომ ადგილი გამოსანგარიშებულა, თუ რომელ წლებში მეფობდა დასჯილებით თითოეული მეფე ამ ნუსხისა. ხოლო უნდა ვიცოდეთ დანმდვილებით, რომელ წელს გამოედრა აფხაზეთში ბაგრატ II (ქართლის ბაგრატ III). მიღებულის ქრონოლოგიით მისი მეფობა იწყება 980 წელს, მაგრამ ეს საუკუნოა: ჩვენ ვიცით, რომ ბაგრატი გადაიხვეა 1014 წელს¹). მან იმეფა ჩვენი ნუსხის მიხედვით 36 წელი. ამას ეთანხმება სომხური ქრონიკაც. მაშასადამე ის გამოეუბნულა 978 წელს (1014—36=978). ამ წლის სინამდვილეს ამტკიცებს თარიღი შიორს დაწერილი მამთა ცხოვრებისა, რომელიც გადაწერილია „ინდიკტიონსა ბაგრატის მეფობისა კე, დასაბამითგანთა წელთა ხქზ, ქს სკბ“ (Цагарели. Свѣдѣнія о пам. груз. писъм. вып. I, стр. 83). ქრონიკონი უდრის 1002 წ., დასაბამითგან წელნი უდრიან ქართულის სათვალავით 1003 წ. (6607—5604=1003). თუ ამ უკანასკნელს გამოვაკლებთ 25 ინდიკტიონს, მივიღებთ 978 წელს, როგორც დასაწყისს ბაგრატ II-ის მეფობისა აფხაზეთში. ამიტომ ბაგრატის მეფობის დასაწყისათ ჩვენ ვიღებთ 978 წელს და ამის მიხედვით სხვების მეფობის დრო იქნება:

ლეონ I (746—791).

თეოდოსი II (791—818).

დემეტრე II (818—854).

გიორგი I (854—861).

ბაგრატ I (861—873).

კოსტანტი III (873—912).

გიორგი II (912—957).

ლეონ II (957—967).

დიმიტრი III (967—975).

თეოდოსი III (975—978).

ბაგრატ II (978—1014).

აფხაზეთი წინეთ ლაზიკის ნაწილს შეადგენდა და ლაზიკასთან ერთად კარგა ხანს იყო ბიზანტიელების სამფლობელო. 550 წლის ახლო ხანში, იუსტინიანე მეფის დროს, აფხაზეთი აუჯანყდენ ბიზან-

¹) იხ. Три Хроника, стр. 161.

ტყელებს და თავიანთი მეფეებმა აიჩიეს, აღმოსავლეთ აფხაზეთში ოფსიდრე და დასავლეთში სკეპტინა, მაგრამ ბიზანტიელებმა ეს ამბობება შალე ჩაქრეს. ჰოკოპი კესარიელის თქმით, აფხაზეთმა ქრისტიანობა მიიღეს ამავე იუსტინიანეს დროს (529 წ.), მანამდის კი წარმართნი იყვნენ და უფრო ხეების თაყვანის მცემელები. ჩვენს ხუროთმოძღვრებაში მოხსენებულნი ჰოკოპი მეფენი უნდა იყვნენ ბიზანტიელების მიერ დადგენილნი მმართველნი ანუ ერისთავნი აფხაზეთისა და არა მეფენი. ამითი სხვებზე ბერძნულაა. ქართულის წყაროებიდან ჩვენ ვიცით, რომ აფხაზეთის ერისთავს ლეონ I-ს დამკვიდრებული ჰქონდა კეისრისაგან სურისთაოდ აფხაზეთი კლისურადან დიდის ხაზარეთის მდინარემდე. ამ ლეონის ძმისწულმან, ლეონ მეორემ დაიხმარა ხაზარები, უგუ-უდგა ბერძნებს ანუ ბიზანტიელებს, დაიჭირა მთელი ეკრისი ლიხის მთამდე და თავის თავი გამაცხსნა მეფედ აფხაზეთს 788 წელს. აქედან დაწყებული ქართულ წყაროებში ჩვენ მოგვუბოვება უფრო დაწვრილებითი ცნობები აფხაზეთის ისტორიის შესახებ, რომელნიც შეტანილნი უნდა იყვნენ ქართლის ცხოვრებაში იმ „აფხაზეთის ანუ აფხაზეთს მეფეთა ცხოვრებიდან“, რომელიც ზემოთ აღვნიშნეთ და რომელიც შეიძლება სადმე აღმოჩნდეს. მანამდის იმით უნდა ვინუგეშოთ, რომ გამოირკვა რას წარმოადგენდა ეგრეთ წოდებული „აფხაზეთის ისტორია ბაკრატ მეფისა“, რომელსაც იხსენიებს იერუსალიმის ჰატრიარხი დოსითეოსი.

II

«მოკლე ცნობები საქართველოს ისტორიიდან» და შენიშვნები ამ ცნობების შესახებ.

უკანასკნელ ორ გვერდ ნახევარს ზემო განხილული ხელთნაწერისა შეიცავენ მოკლე ცნობები საქართველოს ისტორიიდან. ამ სტატიას არაერთგვაროვანი არა აქვს დედანში. მუხლებათ დაყოფა ჩვენ გვეგუთვნის. სტატიას იწვევს ქრონოლოგიურის ცნობებით. მერვე სუკუნეში დროს აღსანიშნავად მიღებულია რიცხვი დასაბამითგან სო-

ფელისა ალექსანდრიელის სათვალავით, ან ნაჩვენებია წელიწადი ქრისტეს ამადლებითგან. ასეთივე სისტემა მიღებული ქართლის მოქცევაშიც და ჩვენის აზრით ეს ცნობები ამოღებულია ქართლის მოქცევიდან, ანუ მისი ვარიანტიდან, პირდაპირ ანუ სხვა წყაროების საშუალებით (იხ. მუხ. 1—4). მერვე საუკუნიდან ანუ უკეთ ვსთქვათ ბაგრატიონების გვარის გაბატონებიდან საქართველოში, იწყება წელთა აღრიცხვა ქართული ქრონიკონით. ასეთივე სისტემა მიღებული ქართლის ცხოვრებაშიც. ცნობები ჩვენი წყაროსი იწყება ქართლის მოქცევიდან ნინოს მიერ მეოთხე საუკუნეში და თავდება რუსუდან მეფის სიკვდილით მეცამეტე საუკუნეში. პირველის შეხედვით კაცს ეგონება, თითქმის ეს ცნობები გამოკრებილი იყოს ქართლის ცხოვრებიდან, ხოლო თუ კარგად განვიხილავთ ფაქტებს, დაფრწმუნდებით, რომ ბევრი ცნობები, განსაკუთრებით ქრონოლოგიური, ჩვენი ტექსტის ცალიდან არის შეტანილი ქართლის ცხოვრებაში. ამავე წყაროთი უსარკებლნია ბატონიშვილს ვახუშტის თავის ისტორიის შედგენის დროს (იხ. მუხ. 22, 23, 25), ასე რომ ეს ჩვენი ტექსტი ისტორიული ცნობებისა არის ერთი წყაროთაგანი როგორც ვახუშტის ისტორიისა, ისე ვახტანგის რედაქციის ქართლის ცხოვრების ვარიანტებისა. ქრონოლოგიური ცნობები დაფით აღმაშენებელიდან რუსუდან დედოფლამდის ორჯერ არის მოყვანილი, პირველად მოკლეთ, შემდეგ უფრო ვრცლად. თარიღები ერთი და იმავე ფაქტებისა ამ ორ ნაწილში სხვა და სხვაა. ეს იმის მომასწავლებელია, რომ შემდგენელს სხვა და სხვა წყარო ჰქონია ხელში და ამ წყაროების ცნობები შეუსწორებლად მოუყვანია.

ბევრ საინტერესო ცნობებს გვაძლევს ეს ახალი წყარო ჩვენი ისტორიისა. ამაში მოხსენებულია სრულიად უცნობი მეფე, ზურაბ მეფე, დავით აღმაშენებლის შვილი, ჯ დასტინელი მეფენი დაფით ჯ მეფისედებ რუსუდან დედოფლის შემდეგ (მუხ. 29 და 31). საინტერესოა აგრეთვე ცნობები ანის აღებაზე დაფით აღმაშენებლის მიერ ჯ ანის საკათედრო ტაძრის აშენებაზე და ხელმეორედ კურთხევაზე (მუხ. 22). წინეთაც იყო შენიშნული, რომ ეს საყდარი ქართულ-ბიზანტიურ ტაძარს უფრო ჰგავს, ვიდრე სომხურს, რომ ეს მართლმადიდებელი ანუ ხალკედონიტა ტაძარი იყო და ანა სომეხთ-გრიგორიანთა. მაგრამ რაკი ამშენებული

ტაძრის დედოფალი კატრინი¹⁾ სომხის ქალათ მიაჩნდათ, ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ სომხის ქალს, სომეხთ-გრიგორიანის სარწმუნოებისას, მართლ-მადიდებელთათვის აუშენებოც ტაძარი. ესეა ირკვევა, რომ ეს დედოფალი ბერძენთა მეფის ასული უოფილა და მასსადამე მართლ-მადიდებელი და, რაღა თქმა უნდა, მართლ-მადიდებელთათვის აუშენებდა ეკლესიას. ამ ცნობას უფრო კარგად გამოიყენებს პროფესორი ნ. მარტი, რომელსაც ანისის სიძველენი ზედმიწევნით შესწავლილი აქვს, და ამიტომ ამაზედ ბევრს აღარ შეგჩრდებით.

ძრიელ საურთაღლებოა აგრეთვე ცნობა, რომ ბაგრატიონთ დინასტია საქართველოში იწეობა „მეთაფმეტე მოქცეულს ქორთნიკონსა შინა“, ესე იგი 780 წლიდან და აგრეთვე ის, რომ პირველ ბაგრატიონთ საქართველოში ნაჩვენებია ადარნასე. ამ ხუთიოდე წლის წინადა, როდესაც ტფილისში კავკასიის შესწავლის კურსები დაარსდა, ჩვენ წავიკითხეთ საჯარო ლექცია ქართული წელთა თვლის და ბაგრატიონთ გამეფების შესახებ საქართველოში. ჩვენი დასკვნა ასეთი იყო: 780 წლამდის საქართველოში წელთა აღრიცხვა იყო დასაბამითგან სოფლისა და ქრისტეს დაბადებითგან ანუ ამაღლებითგან. ამას გარდა წელთა რაოდენობას უჩვენებდენ კიდევ რომელიმე თვალსაჩინო მოკლებიდან საქართველოს ისტორიაში, მაგალითად ქართლის მოქცევიდან, ვახტანგ გურგასალის მეუობიდან, სვეტი ცხოველის აღშენებიდან, შირიან მეფის გადაცვალებიდან და სხვა. დასაბამითგან სოფლისა ქრისტეს დაბადებამდის პირველად მიღებული იყო ალექსანდრიის თარიღი 5500 წელი, შემდეგ მიიღეს ბერძენების სათვალავი 5508 წ., ხოლო 780 წლითგან იწეეს წელთა აღრიცხვა ქორთნიკონის

¹⁾ ვახუშტით კატრინიკა (გვ. 183). სომხური წარწერით ტაძარზედ კატრინიდე (Эминъ. Армянскія надписи въ Карсѣ и Ани, 1881 г. Москва, стр. 11). წარწერაში 1010 წლისა ეს დედოფალი, გავიკ I ცოლი, სივნიეთის მეფის ვასაკის ასულათ იხსენიება (ibid). ვარდან დიდიც სივნიეთის პატრონის ასულათ ხადის, ხოლო მათე ედესელის აზრით ის იყო ქართველთა მეფის გურგენის ასული (Бакрадзе. Кавказъ въ древнихъ памятникахъ христіанства, стр. 28).

საშუალებით. რატომ ამ წელიდან იწეეს ქორნიკონით თვლა და არა სხვა წელიდან? ეჭვი არ არის ამ წელს რაიმე თვალსაჩინო მოვლენა უნდა უოთოლიყო საქართველოს ისტორიაში. ანუ მათდა, რომელთაც დაიწეეს ამ წელიდან თვლა ქართული წელთ-აღრიცხვისა, ეს წელი ფრიად მნიშვნელოვანი უნდა უოთოლიყო. ჩვენ გვგონია, რომ ქორნიკონით წლების აღნიშვნა ბაგრატიონებმა შემოიღეს და 780 წელი არის დასაწყისი ბაგრატიონების ბატონობის საქართველოში და ამიტომ უძველეს საფუძვლად ეს წელი ქართულ წელთ-აღრიცხვას. მართალია, სუმბატის ისტორიაში და ვახტანგის რედაქციის ქართლის ცხოვრებაში, ბაგრატიონების დინასტია იწეება გურამ კურაპალატიდან (575—600), მაგრამ ეს მართალი არ არის. უძველესი ჩვენი ისტორიული წყაროები ქართლის მოქცევა და მარიამ დედოფლის ქართლის ცხოვრება მას და მის შემდეგ ერისთავებს აშოტის მამის ადარნასემდის ბაგრატიონთა არ იცნობენ. ისტორიკოსს სუმბატს თავისს ბაგრატიონთა ისტორიაში სურდა გაუდიდებინა ბაგრატიონები როგორც შთამომავლობით, ისე ხანგრძლივი მეფობით საქართველოში. ამიტომაც მან ეს დინასტია შთამომავლობით დაუკავშირა დავით წინასწარმეტყველს და პირველი ერისთავი-კურაპალატი ქართლის გურამ ჩასთავა ბაგრატიონად და აქედან დაიწყო მათი ბატონობის ისტორია საქართველოში¹⁾. ეს ტენდენციური თქმულება სუმბატის ისტორიისა შეიტანა ქართლის ცხოვრებაში ვახტანგის რედაქციამ სუმბატისავე ისტორიიდან. ჩვენი წყარო ნათლად უჩვენებს, რომ ბაგრატიონთ შტო საქართველოში იწეება ადარნასედან და მისი შვილის აშოტ კურაპალატიდან, ქართულის ქორნიკონის მეცამეტე მოქცევიდან, ესე იგი 780 წელიდან. რაკი ქართველებმა ქორნიკონით სათვალავი 780 წელიდან დაიწეეს, უნდა გამოყანგარიშებისათ, რამდენი მოქცევა იქნებოდა დასაბამიდან სოფლის 780 წლამდის. ერთი მოქცევა ქორნიკონისა ანუ ციკლი შეიცავს 532 წელს. ბერძნები დასაბამიდან ქრისტეს მოსვლამდე ანგარიშობენ, როგორც დავინახეთ,

1) აქ უნდა შევნიშნოთ, რომ თქმულება დავით წინასწარმეტყველისგან მომდინარეობისა, როგორც ეტყობა, წინეთაც ყოფილა გავრცელებული ბაგრატიონთ გვარეულობაში.

5508 წელს, თუ ამ რიცხვს მიუმატებთ 780 წელს, მივიღებთ 6288 წელს, მაგრამ ეს რიცხვი არ იყოფება უნაკლულად 532 წელზედ. ხოლო თუ ბერძნულ სათვლას 5508 წელს კიდევ მივუმატებთ 96 წელს, მაშასადამე დასაბამითგან სოფლის ვიანგარიშებთ 5604 წელს, და ამ წელს მივუმატებთ 780 წ., იქნება 6384 წ. თუ ამას გავუოთთ 532 წელზე, გამოვა 12 მოქტევა. ესე იგი ამ სათვლავით დასაბამითგან სოფლის 780 წლამდის ქრისტეს შემდეგ 532-ნი ქრონიკონი მოქტეულა 12-ჯერ და 780 წლიდან იწყება მე-13 მოქტევა. ეს არის მიზეზი, თუ ქართველები რათ ანგარიშობენ დასაბამითგან ქრისტემდის 5604 წელს და არა 5508 წელს, როგორც ბერძნები, ანუ 5500 წელს, როგორც ალექსანდრიის სათვლავის მიმდევარნი. ერთი სიტყვით ქართველები იძულებული გახდნენ დასაბამითგან სოფლის ქრისტეს მოსვლამდე ბერძნული სათვლავისთვის 96 წელი მიემატებიათ, რომ შემთხვევით მოქტევა დაემთავრებინათ 780 წელს ქრისტეს შემდეგ. მაგრამ იმ დროს ბერძნული სათვლავი მიღებული და გავრცელებული იყო საქართველოში და, რომ შეცდომაში არ შეეყვანათ მკითხველნი, ხელთაწერების გადამწერნი ხშირად უჩვენებდნენ, ბერძნული სათვლავით მოჭყავთ მათ წელთ აღრიცხვა თუ ქართულით. უმეტეს შემთხვევაში ორივეს უჩვენებენ. ამგვარად, ჩვენ გვგონია, ქრონიკონით სათვლავი შემოიღეს ბაგრატონებმა და ამ სახით წელთა აღრიცხვა დაიწყო 780 წლიდან. ეს წელი შეიძლება იყოს აღარანსეს გადაცვალების და აშოტ კურაპალატის ბატონობის დასაწყისი, თუმცა მიღებული ქრონოლოგიით აღარანსე გადაიცვალა 779 წელს და აშოტმა დაიწყო ბატონობა 786 წელს, მაგრამ ეს საეჭვო უნდა იყოს. საუურადღებოა ის ფაქტიც, რომ ზირველად ქრონიკონი ნახმარია სუმბატის ისტორიაში აშოტ კურაპალატის გადაცვალების აღსანიშნად, რომელიც მოკლე ექმნა სუმბატის ისტორიით „დასაბამითგან წელთა ხელ (6430), ქრონიკონისა მათცამეტედ მოქტეულსა შინა მე, თუქსა იანგარსა ოცდა ცხრასა“ (მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 345). დასაბამითგან 6430 წელი ქართულის სათვლავით და მე-46 ქრონიკონი მეცამეტე მოქტევის უდრია 826 წელს ქრისტეს შემდეგ, რომელიც ეთანხმება ახლად დაბეჭდილის ჩვენი წყაროს თარიღს. ამგვარად, ჩვენის აზ-

რით ქართველთა სთავადაცავე ქართველებმა შემოიღეს აშოტ კურაპალატის დროს და საუფუძვლად მას დაუდგეს პირველი წელი აშოტის გაბატონებისა საქართველოში, რომელიც უნდა მომხდარიყოს 780 წელს ქრისტეს შემდეგ¹⁾. სხვა წერილად განმარტებას მკითხველი შენიშვნებში ამოიკითხავს. აქ დავსძენთ მხოლოდ, რომ ეს ახალი წყარო ჩვენი ისტორიის ძრეულ საუფუძვლად და საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის. მოგვყავს, აქ ტექსტი:

1. ქ: დასაბამითგან ქეს მოსვლამდის წელნი იყვნეს ხუთი ათას და ხუთას და ოცდა ექვს²⁾:

2. ქართლი მოიქცა ნინოს ქადაგებითა ქს ამადლებითგან სამას ოცდა თვრამეტ წელს: დასაბამითგან წელთა ხუთი³⁾ ათას რვას ოცდა ათვრამეტთა⁴⁾. და წნ ნინო დაყო ქართლსა (წელი) ათ-თოთხმეტით⁵⁾: და ამასვე უა იყო დიდი კოსტანტინე ბერძენთა მუფვე და თრდატ სომეხთ მეფე წის გრიგოლის მიერ მოიქცა⁶⁾:

3. ხ (ხოლო) მირიანითგან ვე (ვიდრე) ვახტანგის მეოთხის შვილის ფარსმანისამდე⁷⁾ გადახდეს წელი ორასნი. და მეფენი ათორმეტნი⁸⁾:

¹⁾ აქ მოხსენებული საკითხის შესახებ სხვა დროს უფრო დაწვრილებით გვექნება საუბარი.

²⁾ დასაბამითგან ქრისტეს მოსვლამდის ბერძნების ანგარიშით არის 5508 წელიწადი, ქართულის ანგარიშით 5604, ალექსანდრიის თარიღით 5500 წელი. ეს უკანასკნელი ანგარიში გვხვდება წმინდა ნინოს ცხოვრებაში (იხილე ჩემი Три хроники. Обращение Грузии въ христианство, стр. 74, прим. 2). ხოლო 5526 წელი კი სხვა წყაროებში არ შეგვხვდებოდა და ეს თარიღი შეცდომით უნდა ჩაითვალოს.

³⁾ დედანში შეცდომით სწერია: (ხ) უით.

⁴⁾ ეს თარიღი ქართლის ცხოვრებით ნინოს მიცვალების არის და არა ქართლის მოქცევის. ვიმჩნობ რომ გამოვაკლოთ 5838-ს, დარჩება დასაბამითგან ქრისტეს მოსვლამდის 5500 წელი, ესე იგი ალექსანდრიული თარიღი, რომელიც მიღებულია წმინდა ნინოს ცხოვრებაში.

⁵⁾ ეგრევეა ქართლის ცხოვრებაშიც. ხოლო ქართლის მოქცევით გამოდის 15 წელიწადი.

⁶⁾ ეს ცნობებიც ეთანხმება ქართლის მოქცევას ღ ქართლის ცხოვრებას.

⁷⁾ დედანში შეცდომით სწერია: ფარსადანისამდე.

⁸⁾ ეს თარიღი ეთანხმება ქართლის ცხოვრებას (იხ. სამი ისტორიული ხრონიკა, გვ. 32, შენ. 2).

4. და ამის უკან მოვიდა იწე შუამდინარედი: რქსა ეწოდების იწე ზედაძნელი¹⁾:

5. დასაბამითგან წელთა: ხრდ: ამდონს იყო მოჰმად ბოროტი²⁾:

6. და შდ (შემდგომად) მისსა დისწუღმან მისმან ერთ მურგან წარუღო ეი ქენა (ყოველი ქვეყანა). რქსა (რომლისა) მიერ იწამნეს აფხაზეთს დთ (დავით) და კოსტანტინე.

7. და ამის შდ გამონდა დთ (დავით) წნდისა (წინასწარმეტყველისა) ტომი სახელით ადარნასე, დისწული ბრმისა (ბარამისა), რნი (რომელი) ეზრახა შვილთა ვახტანგ გორგასანდისათა: და აქ იწყო ტომებმან დთ (დავით) წწენისმან (წინასწარმეტყველისმან), რქ (რომელ) არიან ბაგრატიონნი:

8. ხ (ხოლო) იწუეს მეუობა ბაგრატიონთა ქკსა მეთასმეტედ მოქცეულსა შინა³⁾. და მოიკლა დიდი აშოტ ქრონიკონსა ორმოცდა მეექვსესა მეგრელთაგან⁴⁾:

9. ბაგრატი გურგენის შვილისა დღეთა, რქნ (რომელმან) ერთსამეფო ჰყო აფხაზეთი და ტნი (ტანი) იყო ეფთჳიმე მთაწმიდელი თარგმანი ქვეყნით ტაოელი: ქკსა ორას ოცდა თოთხმეტსა⁵⁾.

¹⁾ ეს ეთანხმება ქართლის მოქცევის და ქართლის ცხოვრების ცნობას.

²⁾ ეს წელი 6160 დასაბამითგან უდრის ბერძნულის სათვალავით 652 წელს ქრისტეს შემდეგ (6160—5508—652).

³⁾ მეთათამეტე მოქცევა ქორონიკონისა იწყება 780 წელს. ეს ცნობა ჰეშმარიტია, ბაგრატიონთ დინასტია საქართველოში, ჩვენის აზრით, მერვე საუკუნიდან იწყება და ყველა ცნობა სუმბატის ისტორიისა, ვითომც ბაგრატიდების დინასტია საქართველოში იწყებოდეს გურამ კურაპალატიდან მეექვსე საუკუნეში, ტუნდციურია. ბაგრატიონთა დინასტია ადარნასედან იწყება. 780 წელი უნდა იყოს დასაწყისი აშოტ კურაპალატის მფლობელობისა.

⁴⁾ ქორონიკონი უდრის 826 წელს და ეთანხმება სუმბატის ისტორიის და ქართლის ცხოვრების ცნობებს. სიტყვა „მეგრელთაგან“ მოიპოვება მხოლოდ ბარათაშვილის და ბროსეს ვარიანტში. სუმბატის ისტორიაში ეს არ არის.

⁵⁾ ქორონიკონი უდრის 1014 წ. ეს ბაგრატი მესამის სიკვდილის წელია, რომელმაც მართლა შეაერთა აფხაზეთი, ტაო და ქართლი.

10. და ამისა შდ იყო ბაგრატ სევესტოსი: ქკსა ორას ორმოცდა თორმეტს: რქლისა (რომლისა) ჟამთა შინა იყო თარგმანი გი (გიორგი) მთაწმიდელი¹⁾:

11. და ამის შდ დიდის დავითის დღეთა იუზუნეს თარგმანი წიგნ-
თანი ეურემ მცირე და თეოფილე, არსენი იუფთოელი და იოვანე
ტაიჭის ძე:

12. ხ (ხოლო) ესე დავით მეფე წწეისა (წინასწარმეტყველისა)
დავითისი სამეცნა მეთურამეტე შვილი იყო²⁾:

13. ხ (ხოლო) ქკს მსდგა მეთურამეტედ მოქცეულსა ქკსა
შინა იყო: და მოჰამად მეთორმეტედ მოქცეულსა³⁾.

14. და გამოიღო დიდმან დთ (დავით) მეფემან ტბილისი ქკს.
სამას ორმოცდა ხუთს⁴⁾:

15. და შდ (შემდგომად) მისსა (იყო) დიმიტრი სამას სამოცდა
თექვსმეტს⁵⁾:

16. შდ (შემდგომად) მისსა გიორგი⁶⁾.

17. ოთხსსა თამარ დაჟდა მეფედ⁷⁾: და დაებადა მას ლაშა
გიორგი: ქკსა ოთხსს თორმეტს⁸⁾:

¹⁾ ბაგრატ სევესტოსი არის ბაგრატ IV (1027—1072). ქორონიკონი უდრის 1032 წ.

²⁾ ესევეა ქართლის ცხოვრებაშიც, იხილე ბროსეს გამოცემა, გვ. 236.

³⁾ მეთურამეტე მოქცევა იწყება 284 წელს ქრისტეს წინ და თავდება 248 წელს ქრისტეს შემდეგ. მეთორმეტე იწყება 248 წელს ქრისტეს შემდეგ და თავდება 780 წელს.

⁴⁾ ქორონიკონი უდრის 1125 წ., ხოლო ქართლის ცხოვრების ცნობით ეს იყო 342 ქორონიკონს, ესე იგი 1122 წ. (იხილე ქართ. ცხ. ბროსეს გამოცემა, გვ. 150—მარიამ დედ. ვარიანტი, გვ. 308. H. G. I, p. 367, n. 3).

⁵⁾ ქორონიკონი უდრის 1156 წელს. მიღებულია ქრონოლოგიით დიმიტრი I, ძე დავითისი, გადაიცვალა 1154 წ.

⁶⁾ იგულისხმება გიორგი III, თამარის მამა (1156—1184).

⁷⁾ ოთხსსი ქორონიკონი უდრის 1180 წ., ცნობილის ქრონოლოგიით თამარ გამეფდა 1184 წ.

⁸⁾ ქორონიკონი უდრის 1192 წ.

18. და მოკდა გიორგი მეფე ბ გვარსა¹⁾ იანჭრისას ათწრამეტს დღეს. ოთხშაბათს. ქკს ოთხს ორმოცდა ორსა²⁾:

19. ცოტა რამ მეფეთა ცხოვრება ვახვე. და მას ზა (ზელა) ღაფწერე ქართუდთა ქკსა. სუთას ოცდა ორმოცი წელიწადი ერთი მოქცევა იქნება: და მას უკან ახალი დაიწყებს³⁾:

20. ამას წინანდელს მოქცევას: ქკსა სამას ოცდა შვიდმეტს: აღმაშენებულმან წაუღო თათართა ღორის ციხე⁴⁾:

21. ამავე ქკსა სამას ორმოცდა ერთს წაუღო მანვე აღმაშენებულმან თბილისის ქალაქი თათართა, რლ (რომელ) ვახტანგ გორგასლის უკან თათართა ქქონდა⁵⁾:

22. ამავე ქკსა სამას ორმოცდა სამს წაუღო მანვე აღმაშენებულმან ანის ქალაქი ართვანისანთა. და მოსწევითნა იგინი⁶⁾: რლთა (რომელთა) დიდი საუდარი ანისი შიძეთად შოკეზაზა და ქენეთა სისხლითა იგი საუდარი და ქალაქი მოკრწოთ. იმუქათა ღთის მოყვარემან ღთ (ღავით) აღმაშენებულმან. მოლათა და ღარიშანთა სისხლითა ახლავე მან მორწოთ, საუდარი იგი ახლად მონათლა, რი (რომელი) აღეშენა ბერძენთა ასულს დედოფალს კატრინიტეს. და იქი ესაუღავა: მივიდეს მეფე და კზი (კათალიკოზი), კპისკოპოსნი და ერთობილნი დაშქარნი დედოფლისა საუღავსა. ახლად წესი აუგეს და თვითან მეფემან სამჯერ საუღავთა ჩასძახნა: „გიონ (გინაროდენ) შენ დედოფალ, რ (რომეთუ) იკსა ღნ საუდარი ში (შენი) უსჯულოთა კელთაგან“: ამასა ზედან მეუდარმან საუღავით კმა ამოიღო და

¹⁾ ესე იგი მეორე ამა გვარისა, მაგრამ ეს მეორე კი არ არის, არამედ მეოთხე.

²⁾ ქორონიკონი უდრის 1222 წ., მიღებულის ქრონოლოგიით გიორგი ლაშა მიიცვალა 1223 წ.

³⁾ ეს შენიშვნა მართალია, ქორონიკონის ციკლი შეიცავს 532 წელს. როდესაც ერთი მოქცევა გათავდება, ახალი დაიწყება.

⁴⁾ ქორონიკონი უდრის 1117 წ. ქართლის ცხოვრებით ლორე აიღო დავითმა 1118 წ. (Ibid. გვ. 246, H. G. I 360).

⁵⁾ ქორონიკონი უდრის 1121 წ. (ამის შესახებ იხილე ზემოთ, გვ. 61, შენიშვნა 4).

⁶⁾ ქორონიკონი უდრის 1223 წ.

დ'თს მადლი მისცა: გუგევირდა მეფეს და ერთობილ ერთა¹⁾. გა-
მოვიდა ხანი. გარდაკდა დ'თ (დავით) აღმაშენებელი ამიერ სოფ-
ლით.

23. და დაჯდა შ'დ (შემდგომად) მისსა შვილი მისი ზურაბ მე-
ფედ²⁾. და დემეტრე დაიჭინა უ'ი (ყოფელი) სამეფო. ამსვე ქ'კსა
სამას ორმოცდა ხუთს მთესდა დმანისს. წაუღო ციხე. და ამოსწყვიტ-
ნა ყარსს უღუდიანი: ამის ზედა მოესდა საღუს უაენი ანის ქადაქსა.
მოადგა აქათ დემეტრე მეფე, მოვიდა. შეიბნეს. ნუბითა დ'ათა მე-
ფეს გაემარჯვა. დაკონა და ამოსწყვიტნა³⁾: და ამვე ქ'კსა ტო ამ-
დონს შიიცივალა დიმიტრი მეფე⁴⁾:

¹⁾ ამგვარივე ცნობები ანის ტაძრის შესახებ მოჰყავს ვახუშტის თავის
ისტორიაში ცოტა შეცვლით და შემოკლებით. ექვს გარეშეა, ვახუშტის
ასეთივე ტექსტი ჰქონია ხელში, როგორც ჩვენი დედანია, ასე რომ ეხლა
ირკვევა წყარო, საიდანაც ვახუშტის ამოულია ეს ცნობა (იხ. ვახუშტის
ისტორია, ბაქრაძის გამოცემა, გვ. 182—183). ვახუშტიდან უნდა ჰქონ-
დეს ამოღებული ამგვარივე ცნობა მურავიოვის თავისს *Грузія и Арме-
ნია*-ში (ნაწილი II, გვ. 269). ანის აღებაზე და ეკლესიის განწმენდაზე და
მეორედ კურთხევაზე მოგვითხრობს აგრეთვე მათე ედესელი (*Additions*,
p. 130—131).

²⁾ დავითის შვილი იყო დიმიტრი, ზურაბს ქართული წყაროები
არ იცნობენ.

³⁾ ქორონიკონი უდრის 1125 წ. ამ წელს გადაიკვალა დავით აღ-
მაშენებელი, გამეფდა დიმიტრი, აიღო დმანისი და ამოსწყვიტა ყარსს
უღუდიანი. ეს ცნობები არ მოიპოვება ბროსეს გამოცემულს ქართლის
ცხოვრებაში (გვ. 263—264), არც მარიამ დედოფლის ვარიანტში (გვ.
334), მაგრამ მოყვანილია ერთ უძველეს ვახტანგის რედაქციის ქართლის
ცხოვრების ხელთნაწერში, რომელიც მ. ჯანაშვილმა გადმოსცა წერა-
კითხვის საზოგადოებას, № 4730 (იხ. ჩემი *Описание рукописей Об-
щества грамотности*, т. II, стр. 117). ესევე ცნობები მოიპოვება ვა-
ხუშტის ისტორიაშიც (გვ. 187). უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ცნობები
ჩვენის ტექსტის ცალიდან არის შეტანილი როგორც ვახტანგის რედაქ-
ციის ქართლის ცხოვრებაში, ისე ვახუშტის ისტორიაში.

⁴⁾ ქორონიკონი უდრის 1150 წ. (ვახუშტიც ამ წელს უჩვენებს).
მიღებულის ქრონოლოგიით დიმიტრი გადაიკვალა 1154 წელს.

24. და დაჯდა მეფედ შვილი მისი დ'თ (დავით). განგებისგან მეტი დღე არ ედგა. წლის გათავებაზედ იგიც მოკ'და (მოკუდა¹):

25. და დაჯდა მეფედ დიდი გიორგი, რ'წნ (რომელმან) ვარძია ადაშენა²). გააყენა საზღვართა მისთათა უ'ნი (ყოველნი) მებრძოლნი მისნი: გამაგრა უ'ნი (ყოველი) სამეფონი: და ადაშენა საყდარნი. ამას-ვე ქ'კსა: ტოზ. ამდონს და მოუგდა³) ელკეზ უენი ანისს, ოცდაათს დღეს გარს ადგა. აქათ მიუგდა გ'ნი (გიორგი) მეფე. შეება და გააქცივა და მოსწყვიტნა ნებიტა დ'ათა: ამავე ქ'კსა ტუდ⁴): სამას ოთხმოცდა თოთხმეტსა: მიიცვალა დიდი გ'ნი (გიორგი⁵):

26. და დაჯდა მეფედ შვილი მისი თამარ მეფე. მრავალ ჯერ მო(უ)კედეს თათარნი. ვერა რათ აზიანეს ნებიტა დ'ათა: მიეტა ამას შვილი ლაშა გიორგი: დიდი სიხარული შეიქნა ლაშქართა შინა. გამოვიდა ხანი: ქ'კს უ'ია: ამდონს მიიცვალა თამარ მეფე⁶).

27. და დაჯდა მეფედ ლაშა გ'ნი (გიორგი): გაუძახა ლაშქარნი

1) ცნობა, რომ დავით მეფემ ერთი წელი იმეფა, მოიპოვება მხოლოდ ერთ ვახტანგის რედაქციის ქართლის ცხოვრებაში № 4730, რომელზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი (Описание рукоп. т. II, стр. 117—118). სხვა ქართლის ცხოვრების ვარიანტებით და ვახუშტის ისტორიით დავით მეფობს ექვს თვე (ქარ. ცხ. გვ. 264. ვახუშტის ისტორია, გვ. 188).

2) ამით მტკიცდება ქართლის ცხოვრების ცნობა, რომ ვარძია აუშენებია გიორგი მეფეს. ხოლო თამარის დროს დაასრულეს, გააფართოეს და უმატეს შენობათა (იხ. მარიამის ვარიანტი, გვ. 494).

3) დედანში სწერია: მოკ'და (მოკუდა?).

4) დედანში შეცდომით სწერია: ტ'დ. შემდეგ ეს ქორონიკონი სიტყვებით სწერია სწორათ.

5) ქორონიკონი უდრის 1174. ამ წელს უჩვენებს ვახუშტი ბატონიშვილიც. ეტაობა ვახუშტის ბევრი თავისი ქრონოლოგიური ცნობები ამ ჩვენს წყაროს ასლიდან ამოულია. მიღებული ქრონოლოგიით თამარი გამეფდა 1184 წ. ზემოთ (გვ. 61, შენ. 7) თამარის გამეფება და მაშასადამე გიორგი მეფის სიკვდილი ნაჩვენებია 1180 წ.

6) ქორონიკონი უდრის 1191 წელს. ხოლო თამარი უფრო გვიან გადაიცვალა, მიღებული ქრონოლოგიით 1212 წ.

და მოსწყვიტნა მრავალნი ქაღაქნი ვიდრე არჱემის კარამდი. ქკს უკზ. შიიტყაჲა ჲაშა გიორგი¹).

28. და დაჲდა მეფედ რუსუდან და ვერა კარგად დააწყო სამეფონი. მისსა ყა (ყამსა) შიგან გამოჩნდა ნიშანი აღმოსავლეთს ბოლოიანი ნათელი ვარსკლავი: და კიდეტ ამოსწყდენ სამეფონი: ქკს უნა: ამაჲ თარიღში მოკდა რუსუდან მეფე²): მოუხდა თარუხ თოჲდა, ამოსწყვიდნა სრულად სამეფონი: და არავინ ჰყვა გამგლები.

29. ამ დროს აღასტნეღისა შვილი დთ (დავით) მეფე მივიდა ჯენს წე (წინაშე) მეფობისა გამოსათხოვნად. და ვე (ვიდრე) იქით მოუბრუნდებოდა, მოუხდეს თათარნი და სრულად სამცხის სახლნი გარდაჲდნეს³).

¹) ქორონიკონი უღრის 1207 წელს, ხოლო მიღებული ქორონოლოგიით გიორგი ჲაშა გადაიცვალა 1223 წ. ზემოთ (გვ. 62, შენ. 2) უფრო სწორი თარიღია ნაჩვენები გიორგი ჲაშის გადაცვლებისა.

²) ქორონიკონი უღრის 231 წელს. ვახუშტი უჩვენებს 1237 წ. ბროსეს ანგარიშით რუსუდან გადაიცვალა 1248—1249 წლებში.

³) ზემოხსენებული ქორონიკონი და მთელი ეს ხუთი სტრიქონი სიტყვა-სიტყვით მოყვანილია ბარათაშვილის და ბროსეს ვარიანტებში ქართლის ცხოვრებისა და ეჭვს გარეშეა, რომ ამ ჩვენი წყაროს ტექსტის ცალიდან არის ამოღებული. ამ ამონაწერს ბარათაშვილის ვარიანტში ასეთი ცნობა მიუძღვის; ეს ამბავი სხვა ქორონიკონში ვიძიეთ იმიტომ ასრე დავსწერეთ (იხ. მარიამ დედოფლის ვარიანტი, ჩემი განოცემა, გვ. 622, შენ. 7)

ალასტანი მდებარეობს ჯავახეთში ჩრდილო-დასავლეთ კერძო ახალქალაქისა, ვარეჲან და გოკიას შორის, გოკიის წყალზედ (ვახუშტის რუკით), ხოლო რუსული რუკით ჩობარეთის წყალზედ, რომელიც შვერთვის ჯავახეთის მტკვარს (ვახუშტის რუკით), ანუ ახალქალაქის წყალს რუსული რუკით. ეტყობა მონგოლების დროს ერთი შტო ბაგრატიონთა გამეფებულა ალასტანში, მაგრამ მათ შესახებ ცნობები ქართლის ცხოვრებაში არ მოგვეპოვება. ეს პირველი მაგალითია, რომ ქართლის ცხოვრებაში გვხვდება ალასტანელ მეფის სახელი, მაგრამ, როგორც დავინახეთ, ესეც მერმეა შეტანილი ვახტანგის რედაქციის ქართლის ცხოვრებაში და შეტანილია ჩვენი წყაროს ასლიდან. სხვა ალასტანელ მეფეთ შესახებ იხილე ქვემოთ (გვ. 66, შენ. 8).

30. ამავე კვან უნა: ქკს მოუკდეს ფრანგნი ბერძენთა ჭკოს-
ტანტინეპოლი წაუღეს¹). ამავე ქკს უღგ. ქკს დაიტირეს ფრანგთა
იწლიმის (იელუსალიმის) სახლი²). და დიდი სიხარული შეიქნა სწდ
(სრულიად) საქწნოშიგან (საქრისტეანოშიგან):

31. ჰწნი (პირველნი) მეფენი ესენი არიან. ამათ უკან მელქი-
სედეგ დაჯდა³):

¹) ქორონიკონი უდრის 1198 წელს. ეს ეთანხმება პირველ ჯვარო-
სანთა ომიანობას (1196—1199). ჯვარონები თუმცა წიეკრიბნენ კოსტან-
ტინეპოლში, მაგრამ კოსტანტინეპოლი კი არ აუღიათ: არამედ დაიტი-
რეს მცირე აზია, ედესა, ანტიოქია და იერუსალიმი. კოსტანტინეპო-
ლის დაპყრობა ჯვაროსანთა მიერ იყო მეოთხე ომის დროს 1204 წ.

²) ქორონიკონი უდრის 1213 წ. იერუსალიმი დაიტირეს ჯვაროსან-
თა, რომელთაც ჩვენი წყარო ფრანგებს უწოდებს, როგორც ყველა კა-
თოლიკე საწმუნოების მიმდევართ, 1199 წელს.

³) მელქისედეგი უნდა ეკუთვნოდეს ალასტნელ მეფეთა შტოს. მელ-
ქისედეგ მეფეს ქართლის ცხოვრება და სხვა ჩვენი წყაროები არ იცნო-
ბენ. მხოლოდ მელქისედეგ მეფე მოხსენებულა სინას მთის სულთა მა-
ტიანეში, რომელიც სრულიად გადმოუწერიათ ნ. მარს და ი. ჯავახი-
შვილს. ამ შრომიდან ამონაწერი ცნობები ალასტნელ მეფეთა შესახებ
გადმოგვცა ჩვენ სარგის კაკაბაძემ, რომელსაც მადლობას ვუძღვნით. აი
ეს ცნობები:

„ალასტნელი გწი დიდი და მათთა ძეთა გწნოს ღწნ.“

სულსა მეფის მელქისედეგისა და მათთა ძე (სიე) გწნოს ღწნ.“

სულსა მეფის ანდრონიკეს და მ(ა)თთა ძეთა გწნოს ღწნ.“

ჯვარის მონასტრის ალაპებში წერებულა პირველ იანვარს ქვე შ:

„ამ(ა)სვე დღესა აღბი მფთ მეფისა მელქისედეგისა“.

მეფე გიორგი და ანდრონიკეს შესახებ ამონაწერებს ჩვენ ვპოუ-
ლობთ ა. ცაგარლის შრომაშიც, Памятники грузин. старины на Свя-
той землѣ и на Синаѣ, стр. 219—220, ამრიგათ:

„სულსა მეფისა ალასხნელისა (უნდა იყოს ალასტნელისა) გიორგი
დიდისა და მათთა ძეთა განუსვენოს და შეუნდოს ღწნ.“

სულსა მეფის ანდრონიკეს და მათთა ძეთა გწნ შწნ ღწნ.“

თუმცა ზემო მოყვანილ ამონაწერებში მელქისედეგ და ანდრონიკე
ალასტნელ მეფეებათ არ იხსენიებიან, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, ესენიც
ალასტნელები არიან. აქ მოხსენებულს ანდრონიკე მეფეს უნდა ეკუთვნო-
დეს ჩვენ მიერ ნაპოვნი და დაბეჭდილი სიგელი 1348 წლისა, მიცემული

III

ჯამ-გულანი № 381 „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა“ და ისტორიული მინაწერები მისი კენკლოსისა.

ხელთნაწერი ჯამ-გულანი საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა № 381, ზომით 21,5 X 15 სანტიმეტრი, დაწერილია ქაღალდზე ნუსხა ხუცურის ხელით, ედა აღარ აქვს, წიგნი სრულიად დაშლილია, ფურცლები და რგეულები არეული, ბევრგან ფურცლები შეწებებულია სინესტიისგან, ბევრგან სანახევროდ არის შენახული. აკლია თავში ორი რგეული (16 გვერდიანი).

ხელ-ნაწერის სამოცდამეორე რგეულში ორ უკანასკნელ ფურცელზე სწერია:

„მე ცოდვილს დიაკონს **დოს** (დავითს) **ბაბუხადიას** დამიწერია წირვის ჟამნი მისის შედეგანათ: მწუხრის და სერობის: ხადილიანი: თუწნი ოთხ ჟამნზე ვამოწმეთ: რაც ჩვენგან გეწეობო-

წითლოსან ქვენიფნაველისადმი. სიგელი დაწერილია მეცხრე ინდიკტიონს ანდრონიკეს მეფობისას, მაშასადამე ანდრონიკე გამეფებულა 1339 წელს (იხ. საქართველოს სიძველენი, ტ. II, გვ. 11—12). ა. ცაგარლის ამონაწერიდან სჩანს, რომ ანდრონიკე მეფეს ჰყოლია შვილი გიორგი. ამ ცნობას ამართლებს ერთი გუჯარი 1435 წლისა, რომელშიაც მოხსენებულია, რომ ლორის ციხის აღების დროს 1431 წელს მოუკლავთ ავარიანებს ანდრონიკეს შვილი ალასტნელი გიორგი: „ამა უსჯულოთა ა(გარის) ნათესაეთა ანდრონიკეს შვილი ალასტნელი გ'გი მოუკლავს და მრავალნი ქრისტიანენი წამებითა აღუსრულებიან“ (თ. ყორდანი. ქრონიკები. ტ. II, გვ. 242). აქ გიორგი ალასტნელი ჯერ მეფედ არ იხსენიება და ეს ეთანხმება ზემო ნაჩვენებ ჩვენ ცნობას, რომ ის გამეფდა 1339 წ. ამრიგად ალასტნელ მეფეთა შორის ეხლა ცნობილია დავით მეფე და მელქისედეგ მეცამეტე საუკუნეში, ანდრონიკე მეოთხმეტე საუკუნეში და აგრეთვე ცნობილია მეფე გიორგი, რომლის დრო მეფობისა დანამდვილებით არ ვიცით. სინას მთის სულთა მატრიანეში ის მოხსენებულია დავით აღმაშენებელის შემდეგ. შეიძლება, ეს იყოს პირველი ალასტნელი მეფე.

და, საცადი არ დაგვიკლია: . სადღესსწლო: . სკნბრრითგან ვე (ვიდრე) მისამდის, ღნ უწყის, დიდად არობას ვეცადეთ, ამასთნ რამე ცისკრის სხრბე საწწლო ბოლოს ეწერა. ამისთნ ბატონს ბე- ვრი არობა მოვასხნე, ბატონმა ასე მიბრძანა: რავარც მაგამიდ ეწერ- რას, ისე დასწერეთ, შნ უკანონო იევა. აწ ვინაც მკითხველმნ ანუ მწერალმნ ჰბოთ, ცისკრის სხრბეს წდგმეს ბოლოს დასწერ- დით, სწწლოს სტქრნის ზეთ, ოხითას წრდგმეს (წარდგომის) ზეთ დასწერდით. რდც ამ ჟამებში და სადღესსწლოშიდ ეწერა, არ დაგვიკლია და სხმსგნაც ბევი ვეცადეთ და ვამოწმეთ, მრთლის გლოთ სიმრთლე მოვიჭირვეთ: აწ, ვინც იკითხვიდეთ და ან იბ- მარდეთ, ღთი თქნს სსფეს გნნათლებს და ხათლს მოგინიჭებს, ჩნ თნ შნდობმს ბრძანებდით. ვინც მოგვიხსენოთ, თქნც მო- გიხნოს ღნ ან: . ორი ათორმეტი შობისა და წელ კხვის მათის ფსალმუნებთანთ და ორი იამბიკონი, ესეები მე ტდღულს ღთს დია- კონს დამიწერია“: .

ავგისტოს ბოლოში დედნის ხელით სწერია: „მისის აქეთ ვე აქამომდე მე დამიწერია იე (იოანე) პტრიქეს ო (უფალო) ჩნო (ხეხნო): .

რვას სეკლემბერს ბოლოს სწერია დედნის ხელით:

„ღო და მისო უბიწოდ მშობელო და ათორმეტნო საუფლნო წნო მიქაელა და გბრლ მთვრანგზნო წნო და აცამეტნო გუნდ- ნო ანგზნო და მოწამეთა მთაგრნო მხნეო მკედარო ძლრო და არა- ვისგნ ძლელო გი (გიორგი), მცველ და მფარველ ექმენით ორთა- ვე შა ცხრბმსა მხეიძე ფირანს და მეუღლეს მისსა მარებს და მოიხსნე სსფელსა შენსა ან ან და კსნ (კირიელეისონ)“: .

პირველ იანვრის გვერდზე სწერია დედნის ხელით:

„ღთო და მისო მშობელო აცხენე მხეიძე ფირან ან“: .

სამოცდამეთოთხმეტე რვეულის მეშვიდე გვერდზე სწერია დედ- ნის ხელით:

„ქ. ღო შე იე პატრიძე ან და კსნ (კირიელეისონ): . ღო ნუ წწწემედ“: .

სხვა და სხვა ადგილას ტექსტის ხელით კიდევ არიან მინწერები: ღო შეიწაღე ფდ ცოდვილი მკეიძე ფირან.

ღ'ო შ'ე ც'ი ი'ე:

ამის უცებად მხსრეკელს ითანეს (ი'ეს) პატარიძეს შეუნდოს დმერთმან.

ღ'ო შ'ე ფ'დ ც'დელი ი'ე ღ'ნი:.

დმერთო მოიკსენე სსუფეველსა შენსა მხეიძე ფირან ა'ნ და კ'სონ. ვინც შენდობაჲ უბრძანოთ თ'ქნცა შეკინდოს ღ'ნ ა'ნ:

ეს მარხვა ზატკიო სწორა დასწერათ მინდოდა, მაგრამ პატონ-მა ფირან მიბრძანა რაჲცა ლაზრობ დიდს შაბათამდი ოხითა იბაკოჲ უნდოდეს, ლაზრობის შაბათისთვის დასწერეთ. ნაადღგომეგს ოხითა იბაკოჲ. ადღგომის სხარების ბოლოს დამიწერ'ოჲ, უფაღნო ჩემნო:.

ამ მინაწერებიდან სჩანს: ჩვენი ჟამ-გუჲანი კადუწერია დიაკონს დავით ბაბუხადიას და იოანე პატარიძეს ფირან მხეიძის ბრძანებით.

სულ დაცულია 84 რვეული და ოთხი ფურცელი. თავში, რო-გორც მოვიხსენიეთ, აკლია ორი რვეული. ოცდამეცხრამეტე რვეულს აკლია ოთხი ფურცელი. ორმოცდა მეექვსე რვეულს აკლია ექვსი ფურცელი. არ არის 47 და 48 რვეულები. უკანასკნელ რვეულის დარჩენილია სამი ფურცელი, რომლის პირველ გვერდზე სწერია დედ-ნის ხელით: „ღ'ო შ'ე ც'დელი მხეიძე ფირან ა'ნ კ'სნ“.

ერთ თავისუფალ ადგეს სწერია მხედრულად:

„საკეღესიო სხმარი წმიდა ესე გუჲანი უბრწინებაჲესის თავადის შაიოკის ჩხეიძის როსტომის არის საოხად სულისა მისისა“.

მხედრულათ შემდეგის დროის ხელით კიდევ სწერია სხვა და სხვა ადგილს:

დმერთო შეიწყაღე ციხის თავი ქაიხოსრო¹⁾.

დმერთო შეიწყაღე სვიმონ ცქიტიშვილი.

შეაში მოქცეული ჰქონია კინკლოსი ისტორიულის წარწერებით.

ეს კინკლოსიც ესლა დაზიანებულია და თავის ადგილზე აღარ არის. თავში აკლია ფურცლები მე-200 ქორთნიკონამდის. უმეტესი ნაწი-ლი მინაწერებისა ტექსტის ხელით არის ნაწერი, უმცირესი შემდე-

1) ეს ქაიხოსრო გვარათ აგიაშვილი უნდა იყოს. მისი გადაცვალე-ბა იხსენიება კინკლოსის მინაწერში ქვემოთ 1793 წ.

გი დროის ხელით, ზოგჯერ მხედრულათ. ტექსტის ხელით მინაწერები თავდება 1703 წლით. ეს გარემოება გვიჩვენებს, რომ მთელი ხელთნაწერი გადაწერილია მე-XVIII საუკუნის დამდეგს. შემდეგი დროის მინაწერები თავდება 1803 წლით. სულ კინკლოსი შეიცავს ცნობებს 1512 წლიდან 1803 წლამდის. მაშასადამე კეუთვიან მეთოთხმეტე მოქცევას, ხოლო ერთი თარიღი გელათის აღშენების კეუთვის მეცამეტე მოქცევას და უჩვენებს 1057 წელს, ესე იგი ბაგრატ IV მეფობას, თუმცა გელათის აღშენების დაწყებას მიაწერს არა ბაგრატ IV, არამედ დავით აღმაშენებელს, რომელიც იმ დროს არ ცხოვრობდა. უმეტესი ფაქტები ამ კინკლოსისა ესება დასავლეთ საქართველოს ისტორიას და ჩვეულებრივ: თ სხვა კინკლოსებშიც იმეორება¹⁾, ზოგი ცნობები კი ახალია.

ქკს: ს.—1512. ამა ქკნსა ხუანთქარმან გელათი და ქუთათის(ი) დაწუა.

სხ.—1519. ამა ქკნსა დაჯდა გელათს ეზისკობზოზად სუერლიძე (საუფარელიძე) მ(ე)ლქ[ისედეკ].

სო,ხ.—1057. ამა ქკნსა დ'თს (დავითს) აღმაშენებელს გელათი დაუწუა და ქკნი მობრუნებულა.

სო,ტ.—1591. ამა ქკნსა შეებენ მეფე როსტომ (და) დადიანი მეფეს სუმონს და იმერელს და ოდიშარს გაემარჯვა ამავე ქკნს:.

¹⁾ ასეთივე მინაწერები ჩვენ შევკრიბეთ სტატიებში: 1) „Историческія приписки двухъ кинклосовъ и хронологическій перечень событий по нѣкоторымъ другимъ источникамъ“, XXI вып. Сборника матеріаловъ для описанія мѣстностей и племенъ Кавказа. 2) „Кончатскій „жамъ-гулани“ и историческія приписки его кинклоса“, XXIX вып. (Сборника. 3) «Хроника Эристовскаго Акаѳиста», ibid. 4) «Акаѳистъ креста и корониконы», Описаніе рукописей грузинскаго общества грамотности, т. II, стр. 655—658. უმეტესი ნაწილი ფაქტებისა ჩვენი კინკლოსისა ნაჩვენებია აგრეთვე სხვა ხელნაწერის კინკლოსში, რომელიც ჩვენ დავსტამბეთ და განვმარტეთ ზემო აღნიშნულ სტატიაში „Историческія приписки двухъ кинклосовъ“ და ამიტომ საჭიროთ არ მიგვაჩნია აქ ხელმეორეთ განვმარტოთ.

644.—1604. ამა ქვანს მიიცვალა მეფე როსტომ¹⁾.

645.—1623. ამა ქვანს ღებუნეს: თ: შეიბენ გოჭოურას მეფე გიორგი და ლეონ დადიანი. დადიანს გაემარჯვა.

646.—1625. ამა ქვანს შეიღმა მამია გურიელი მოკლა.

647.—1637. ამა ქვანს მიიცვალა მეფე გიორგი.

648.—1654. ამა ქვანს მიიცვალა მამუკა ბატონიშვილი. დადიანმა ლეონ დაშ(ა)ვა და მუნ აღესრულა დარჩენილი.

649.—1657. ამა ქვანს მიიცვალა დადიანი ლეონ. და გაბატონა მეფე ალექს(ა)ნდრეშ დადიანი ვამეყ. და ჭილაძე, მიქ(ე)ლ(ა)ძე დადიანმა და ოდიშარმა მეფეს მოსცეს ძმის სისხლშიღ.

650.—1659. ამა ქვანს შემეება მეფეს ალექსანდრეს დადიანი ღებარ და ქიხოსრო გურიელი. ფართ-ფაშას ურ(უ)მნი ახლდენ და ქართველი ბატონის ს(ა)ხლით (sic) უხუცესი ციციშვილი და ქ(ა)რთვ(ე)ლი ლაშქარი გუზრც ახლდენ ბანძს. მეფეს ალექსანდრეს გაემარჯვა.

651.—1661. ამა ქვანს მიიცვალა მეფე ალექს(ა)ნდრე და ძე მისი ბ(ა)გრატ მეფედ დაჯდა.

652.—1668. ამა ქვანს ფაშამ ჩამოიფანა კახი ბატონის ქალი დარჩნ(sic) დედოფალი, გაბატონეს, მაგრამ ქუთათის ლეონუშვებ(მა) მოკლეს. ისევ ბატონს დარჩა მეფობ(ა)ღ.

653.—1672: ამა ქვანს დაესხა მეფეს ბატონს ქუთათის ასან ფაშა. მეფე კელთ დარჩა და იმერეთი და ოდიში ააოხრა. ქუეანად (ქუე) ვერ დაიჭირა და ისევ მეფე გააბ(ა)ტონ(sic).

654.—1674. ამა ქვანს შემოადგენ ქუთათის ციხეს მეფე ბატონს და იმერელნი. ქ(ა)რთვ(ე)ლთ ეჭირა. აღებით აიღეს, მაგრამ მოშალეს ღ[ხედვა მისი² ციხე ე]ინც მოშალა, ქუთათისი დასწევს და ქალაქი აღაოკრეს...³⁾.

655.—1679. ამა ქვანს ჩამოვიდა იმერეთის დასაჭირვად მეფე არჩილ.

¹⁾ იგულისხმება იმერეთის მეფე როსტომ.

²⁾ ეს, რაც ფრჩხილებშია, გადასულია, ამიტომ ჩვენი კითხვა საეპეოა.

³⁾ აქ ორი სიტყვა გადასულია.

ԲԿԸ.—1703. ამ ქვანს ჩამოვიდა აზრუმის ფაშა: საბეკას ციხე: ჭალატის ციხე, შორაზნის ციხე დაქციეს, მრ(ა)ვალი ქუეყანა დაწვეს, დაკაფეს და ახრეს:.

ԲԿՐ —1710. ამ ქვანს გაემარჯვა მეფე გიორგის ფარცხან-ნაუნებს დადიანსა და რაჭის ბატონზედ და ვაკის ბატონზედ¹⁾).

Օ.—1712. ამ ქორნიკონსა გაემარჯვა ჩხარს მეფე გიორგის:

Օ.Կ.—1732. ამ ქორნიკონსა მეფე ალექსანდრეს თავის ძმა შემოებ, დადიანი, ერისთავი, აბაშიძე თანა ახლდა, მეფე ალექსანდრეს გაემარჯვა ჩიხორს. დადიანი დაიჩინეს: თუეს (თ^ა) დეკენბერსა კ^ბ:.

Օ.Կ.Ի.—1757. ამ ქორნიკონს იქმნა ხრესილს ომი, თათრებ(ი)ს ვეზირის ჯარს ახლდენ ერისთავი და აბაშიძე, წულუკიძე და მეფეს შამოებენ და გაემარჯვა მეფე სოლომონს: აბაშიძე მოკლეს, ერისთავი კაქციეს, წულუკიძე დაიჩინეს, ქემბა და ბაშალა მოკლეს. სხვაჲ უნგრეთო მოკლეს და დაიჩინეს: დეკემბერსა: იდ: დღეს კვრიაკეს¹⁾:

Օ.Կ.Ի.Բ.—1778²⁾. ქ. ამ ქორნიკონს მიიცვალა დედოფალი მარიამ დიდი მეფის: სოლომონის (მეუღლე).

Օ.Օ.Կ.—1784. ამ ქორნიკონსა: მიიცვალა: ნეფე სოლომონ.

Օ.Ս.Ը.—1793. ამ ქორნიკონსა მიცვალა სარდალ-ქეშიკთ უხუცესი ციხისთავი აკიაშვილი ქაიხოსრო.

Օ.Ս.Կ.—1794. ამ ქორნიკონს მიცვალა (sic) მეფე დავით.

Օ.Ս.Կ.—1797. ამ ქორნიკონსა მიცვალა მეფე ერეკლე.

Օ.Կ.Ը.—1803. ამ ქორნიკონს მიიცვალა დადიანი გრიგოლ. ბოლოს უწერია ხუცურათ იმ ხელათ, რა ხელათაც მანაწერები სწერია:

რ^ა და^ს თვდეს თ^ვსვე დაიწვე, სადა ქანწინი უზის:.

ეს. ქრ^წნები: მე დამაწერია ი^ეს:.

ამას ქვემოთ კიდევ ხუცურათ:

ქ^ე დ^ე შ^ე ი^ე ზატარიძე ა^ნ და კ^სნ: ღ^ე ნე წ^რსწემედ:.

¹⁾ სხვა მერმენდელის ხელით და მელნით არის დაწერილი ხუცურად.

²⁾ აქედგან იწყება მინაწერები მხედრულის ხელით.

IV

უამ-გულანი № 342 „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა“ და ისტორიული მინაწერები მიხი კვინკლოსისა.

უამ-გულანი № 342 შემოწირული ვასილ არჩილის ძის ციცი-შვილის მიერ, 28 X 19 სანტ., დაწერილია მტკიცე ქაღალდზე ნუსხა ხუცურის ხელით და შუას პელნით. წითლური სათაურები, სტრიქონები და ასოები ბევრია; ტექსტი ნაწერა ერთ სვეტად და ზის ფერადებით დახატულ ოთხკუთხედში. თითო გვერდზე 33 სტრიქონია. უდა აქვს ხისა შუკ ტუკუ გადაკრული და ზედ უგაფილებია ჩაკუტუნით გამახატული, შეიცავს სულ 640 ფურცელს. თავში 23 ფურცელი მეთვრამეტე საუკუნის ხელათ არის მიმატებული და ნაწერია წერილი ნუსხა მხედრულის ხელათ ორ სვეტად. ამავე ხელით მიმატებულია შემდეგ 608—621 ფურცლები. აქ ტექსტი ნაწერა ერთ სვეტად. ბოლოს დართული აქვს კვინკლოსი; მაგრამ კვინკლოსს აკლია „ტმზ“ შემდეგი ქრონოლოგია, ესე იგი 185 ქრონოლოგია. ტექსტი მიმატებული ასე იწყება თავში: ფსნი დთასი. ნტრს კტი რი არა მივიდა ზრახვასა ულთასა. ძველი ტექსტი ესლა იწყება მესამე რვეულიდან (რვეულში რვა ფურცელია) ამ სიტყვებით: აღსდ რდ ძლისგნ ესე ღცვნი წრთქუნს შუადმას უწინარეს:

მე-იბ რვეულის ბოლოს მხედრული მინაწერი აქვს 1770 წლისა:

ქ. დო სიტკობებითა შენითა მოხსენე გრიგორ: ქქს უღს.

მე-ივ რვეულიდან იწყებიან იბაკონნი, სათაურით:

იბაკონი წინა დისმშდისანი რდ არს დაუჯდომელნი, ს ბერძულად იკათისტოს ეწოდების.

მე-კდ რვეულით თავლებიან იბაკონნი შენიშვნით:

აქა დასრულდა ოხითა იბაკონი წლისნი. თავითგან იწყე:

მე-კე რვეულიდან იწყება გულანი სათაურით:

თა დეკემბერსა კდ წინა დღე ქქს შბისა.

ს ესრეთ იქმნას წესი უმთ ღოცვისა: კანკელსა წინაშე დაასუტნოს ხატი.

მე-231 ფურცლის მეორე გვერდზე სწერია ტექსტის ხელით:

წმიდანო ღმერთნი ამა წთა ჟამ-გულანთა მიემთხვნეთ მო-
იკსენებდით: ჰ უბადრუკსა არა წა მწიკულებანმა, მემსიძვმა, უძღებმა,
მემრუშემმა, მზრხველმა, მემრუღემ¹⁾, მსმენელმა. მე მწლო მტრი
სწლის ჩმისა, სასაკელი და შებირღული. მე უღრსი ეთა ცღვლთგნი
და ავთა მიმბაძველი და კარგთა მოსუღე, მე სასო წარკუჭთიღმა და
არა კთლდ მოღწემა, მე ცღვლთა უნ(ა)რჩეველესმა და უნანულმა ფღ
ცოდვიღმა ფანასკერტელმა ციცისშვიღმა სარდარის-ხალატ-უხუცის
ხანუნას ძემან ზაად და თა მცხედრემან ჩნმან ასულმან ამირეჯობი-
სამან ბატონმან მარიამ ვიგ(უ)ღუთ და ვიგულისმოღვინეთ და აფგ-
წეინეთ წა ესე და სლთა განმანათლებელი უნაკულლო და უირთ
აღსრულებული ჟაზულითა და დახ(ა)ტრთა ესე ჟამ-გულანი ს(უ)ღის
ჩნისა საოხად და ძეთა ჩნთა სადღეგრძელოდ და სასურველისა ჩნი-
სა მშობლისა სასულიეროდ და მოსაკსენებლად ქართველთ მეფის დის
დედის-იმედის საოხად. შემოგწირეთ მცირე ესე შეს(ა)წირავი შენ
საძინელსა და ცათა უმადლესსა ვედრებისა ღის მშობელსა. ვინცა და
რამ(ა)ნცა კაცმან ესე გამოგწიროს ანუ დიდთა ანუ მცირეთა, გინა მეფე-
თა, გინა ეფისკოპოსთა, ანუ ადამის ნათესავთა, ანუ ტუუჭლობისაგან და-
კსნილი არ მოგართუას ჩნთა ცოდვათათხმცა განიკითხვს მას მეო-
რედ მოსლფასა და ნურათამცა ნუ იქნების კსნა სწლისა მისისა დღე-
სა მას დიდსა განკითხვასა. ხ დამამტკიცებულნი ამისნი ღწ აკურთ-
ხნეს. დაიწერა წიგნი ესე ქსსა: ტმთ:-

აქედგან სჩანს, რომ წიგნი გადაწერილია **1661** წელს.

ამს შემდეგ მე-232 ფურცლიდან ანუ მე-კდ რვეულიდან იწეე-
ბა დასდებულნი ადგომისნი და რვა კმა და თავდება 318 ფურც-
ლით, რომლის ბოლოს ტექსტის ხელით სწერია:

სრულ იქმნა რვა კმა ესე კვრასლი და ერთი მრთელი შჯდე-
ული ეოვლითურთ უკლები ბრასნებითა ციხისშვილის ზაადისითა,
აკმაროს ღწ სიგრძესა შა დღეთასა. კელითა ჩემ ცოდვიღისა ათა-
ნასესითა. ახლად მოსწავლე ვიყავ და თუ რაჲმე დამეშავებინოს, ნუ
მწეევთ, უფაღნო ჩემნო, გვეედრები:-

¹⁾ დედანში წერებულა: მემრუცლემა.

მე-223 ფურცლის ბოლოს verso ტექსტის ხელით სწერია: ღთო და ხ(ა)ტო ცხ(ო)ველო მშჯღობასა და დღეგრძელობასა კარგად უოფას შინა აკმარეთ წმიდანი ესე წიგნი: ცოდვანი მათნი შეუნდვენ ღთ: ზაალს ციციშვილს ან:-

მე-254 ფურცლის ბოლოს აშიაზე ტექსტის ხელით:

ჱ ღთ ადიდენ ჰატონი ზაალ ციციშვილი.

ამას შემდეგ მე-320 ფურცლიდან იწყება საკალობელები საუფლოთა დღესასწაულთანი და საჩინოთა წთა დღეთა თვსცა გინდეს.

მე-409 ფურცლიდან ანუ კზ რვეულიდან იწყება სხვა დასდებელები ამ სათაურით:

ესე დასდებელები და კალობანი, რომლისცა მოცაქულისათვის გინდეს, მისთვსცა ითქმიან სიტუჯსა ქცევითა, კარნა სადაცა ჩიტის თუაღი ჟღეს, სახელს მას ადგილსა იტუოდი (იტუღდი):-

შემდეგი ნაწილი ხელთნაწერისა ნაწერია იესუს მიერ, რაც სჩანს მე-509 ფურცლის ბოლოს მინაწერიდან:

ჱ შე ფღ ცი იესე ამა შბთ კკის მწერალი ან:- (აქამდის ხუცურათ არის ნაწერი შემდეგ მხედრულათ). რაც: ოდენ: ძალ მეღვა: სიკეთესა: და: სიმართლესა: და: რიგს: გეცადე: უწეის: ღთნ: უცებად: წერისთვის: ნუ: მწევეთ: ღთსათს გბი ონო ჩმნო. (უკანსკნელი ოთხი სიტუჯა ხუცურათ სწერია).

მე-622 ფურცლიდან იწყება „განმარტებაჲ საიდუმლოთა კათოლიკე კვლეისისა და სხს მეტუესლებაჲ წესთა მისთა განწესებულეი წისა ბასილისა და წისა მაქსიმესი და სხათა მამათა“.

შემდეგ მოყვანილია „კითხვა-მიკებანი“ სხვა და სხვა მათა.

ხელთნაწერი შემკობილია ფერადებით დახატული სურათებით. სურათებს უჭირავს ოცდა ოთხი ფურცელი, მაგრამ ზოგ ფურცლებზე თორმეტ-თორმეტი სურათია, ზოგზე ოთხ-ოთხი და სხვა. სურათებს წარწერა აქვს ბერძნულად და ხუცურად. ხუცური წარწერა მდარე ხელათ არის და ეტუობა მერმეა მიწერილი.

მე-113 ფურცელის შემდეგ დახატულები არიან წელთამდის: მამა ანტონი, ეფთჳმი, სპა, ონოფრე, ათანასი, არსენი, იოსაფატი, მარკოზ, იოანე დამასკელი, ზოსიმე, ზაფლე, ეფთროსინე.

მე-120 შემდეგ: წმიდა მოწამე სეფასტიოს (წამება), ჰავლეს წამება, დენოს(?) არიოპაგელი, მამა ანზოს(?) წამება.

მე-128 შემდეგ ოთხი სურათი წმიდა ეკატერინეს წამების.

მე-148 შემდეგ—სურათი წათა ორმეოცთა სეფასტიას წამებულთა.

მე-155 შემდეგ: კოსტანტინე და ელენე, კოზმან და დამიანე (წელთამდის).

მე-319 შემდეგ: წმიდა ბასილი, იოანე აქროპირი, გრიგოლი, ათანასი, კვირილე, ნიკოლოზ, სპირიდონ, ანდრია, პოლიკარპოს, გრიგოლ, სილიბისტრო.

მე-336 შემდეგ: წამებანი დიმიტრისი, მინასი, ეგნატესი, ელევთესი.

მე-353 შემდეგ—შობა.

მე-358 შემდეგ: წამებანი სტეფანესი, ანა, აზარია და მისინისა, ვალასი, ჰავლე მოციქულისა.

მე-359 შემდეგ ნათლისღება.

მე-369 შემდეგ ხარება.

მე-374 შემდეგ წმიდის გიორგის წამებანი (ოთხი სურათი).

მე-396 შემდეგ ფერის ცვალება.

მე-399 შემდეგ უფელად წმიდის მიცვალება.

მე-409 შემდეგ მიკაქმა.

მე-414 შემდეგ: ელია, ელისე, ჰანტელეიმონ, ტვირიფონ.

მე-419 შემდეგ: გიორგი, დიმიტრი, თეოდორე, პროკოპი, ნიკიტა, ევსტათი, გაიანე, თეოფისტე, მინა, კვირილე, არტემი.

მე-424 შემდეგ: ჰარასკირა, მარინა, ანასტასია, თეკლა, ანასტასია, ეკატერინა, კვირიკე (კ'კე), მინადორა, მიტროდორა, ნიკოდორა, ბარბარა, იულიტა.

მე-496 ფურცელზე: ლაზარეს აღდგენა.

მე-544-ზე: ფერხთხანა, სერობა, (ქრისტემ) ბრძანს თვალი აღუხილა, სამარტკელი.

მე-547-ზე ჯვარცმა.

მე-608 შემდეგ გვერდის განხილვა თომას შიერ.

მე-609 შემდეგ აღამის ჯოჯოხეთიდან გამოყვანა.

მე-645 ფურცლიდან იწყება კვინკლასის ისტორიულ წარწერებით, მაგრამ, როგორც მოვიხსენიეთ, კვინკლასის სრული არ არის. მოგვეყვას მინაწერები, რომელნიც შერჩენილან და რომელნიც ერთ და იმავე ტექსტის ხელით არიან ნაწერნი: ქრონოლოგიური ცნობები იწყება 1388 წლიდან და თავდება 1656 წლით.

ქგ^ნს:

0, 1¹—1388¹⁾. აქა მზე დაბნულა.

ტ¹წ—1423. დაწეებ(ა)ჲ ბერძენთა ქორონიკ(ო)ნისა²⁾.

ქ¹წ—1429. აქა სარკინოზობ(ა) შეიქნა³⁾.

ტ¹წ—1439. აქა კოსტანტინე მეფე გარდაიცვალა⁴⁾.

ტ¹წ—1444. აქა კოსტანტინეზოლი დაიჭირეს ოთმანიანთა და სრულ (სრ^ლ) საბერძნეთი⁵⁾:-

ტ¹წ—1463. აქა ქართვე(ე)ლთ მეფე თავრეზს (თერეზს) გაილაშქრა (გლ^შქრა) და თემურა აკრა.

ქ¹წ—1474. აქა გიორგი (გ¹ი) მეფე გარდაიცვალა.

¹⁾ ჩვენ ქორონიკონის რიცხვს ვუმატებთ მეთოთხმეტე მოქცევის დასაწყისს, მაგრამ შეუძლებელია გადაჭრით თქმა, რომელ მოქცევის ქორონიკონზეა აქ საუბარი.

²⁾ ეს უნდა ეკუთვნოდეს მე-XII მოქცევას და უდრიდეს 359 წელს (248+111=359), მაგრამ აქ შეცდომაა ორი წლით, ვინაიდან იულიანეს კალენდარი იწყება 361 წლიდან. უნდა იყოს ქორონიკონი რიგ, და ამგვარი ქორონიკონი მართლა გვხვდება სხვა ქართულს წყაროში (იხ. თ. ეორდანი, ქრონიკები, I, გვ. 83).

³⁾ თუ ეს ქორონიკონი მეცამეტე მოქცევას ეკუთვნეთ, რაც უფრო საგულისხმოა, გამოვა 897 წ., მაგრამ გადაჭრით არც აქ ითქმის, რომელ მოქცევას ეკუთვნის ეს ქორონიკონი.

⁴⁾ აქაც ძნელია გადაჭრით თქმა, რომელ მოქცევას უნდა ეკუთვნოთ ეს ქორონიკონი, მეცამეტეს თუ მეთოთხმეტეს. თუ მეცამეტეს ეკუთვნებთ, მაშინ ეს იქნება კოსტანტინე აფხაზთა მეფის სიკვდილი 907 წელი. ვახუშტი ამ კოსტანტინეს სიკვდილს უჩვენებს 906 წელს.

⁵⁾ აქედან დაწყებული ყველა ქორონიკონები ეკუთვნიან მეთოთხმეტე მოქცევას და აღნუსხვილი ფაქტები ცნობილია სხვა ამგვარი წყაროებიდან და ამიტომ განმარტებას არ გამოვუდგებთ. ეს და სხვა ამგვარი მრავალი ქრონოლოგიური ცნობები მოყვანილნი არიან თ. ეორდანიას ქრონიკებშიც.

ნყ¹—1535. აქა ამა ქორთნიკონსა არის დასაბამითგან წელნი შუღა(sic) ათას ოცდა ორი ვიდრე აქამოდღე²:-

ნყ²—1536. აქა მ(ურ)ჴ(ა)ხე(თ)ს შეიბნეს:-

ნყ³—1539. აქა სომეხნი შეიშ(ა)ღნეს და თვედროობის კურა ჴამეს:-

ნ¹—1543. აქა ხუნთქრის ფაშები მოვიდეს რიცხვთ ოცდა ორი ათასი: და სრულიად (სრ¹ ლად) ტაო ამოსწევიდეს:- მოუკდა ბაგრატი მეფე ქარაღაქს, გაიმარჯვა, ამოსწევიდნა მრავალნი (მრ¹ ვლნი):-

ნ²—1550. აქა ტაოს ქუეყანაჲ (ქე¹ნა) დაიჭირეს ურუმთა:-

ნ³—1553. აქა არტანუჯი წაართვეს (წრ¹თვეს).

ნ⁴—1554. აქა დიასამიძე და ვახუშტი დაიჭირა ვე(ე)ნმან:-

ნ⁵—1555. აქა დიდის მეფეთ მეფის ასული მარიაჲ ეთ-
თილი მარინე მიიტვალა:-

ნ⁶—1566. აქა დიდი ჟამი შეიქმნა.

ნ⁷—1573. აქა უიზილბაშთ ოცხე ამოსწევიდეს:-

ნ⁸—1575. აქა ბატონი ქაინოსრო ფაშის მი(ი)ცვ(ა)ლა.

ნ⁹—1579. აქა ლალ(ა) ფაშაჲ (ფშ¹ა) გამოვიდა.

ნ¹⁰—1581. აქა სინა ფაშაჲ გამოვიდა.

ნ¹¹—1584. აქა ო(თ)მანიანთ ბატონს მანუჩარს ულაღატეს და „გაქცივნა“:-

ნ¹²—1600. აქა მიიტვალა ბატონიშვილი ბატონი როდამ:.
და ამასვე წელსა მეფე სვიმონ დაიჭირეს:-

ნ¹³—1603. აქა მიიტვალა დიდი აიაბაგის ასული ბატონი თეოდორაჲ:.

ნ¹⁴—1633. აქა მეფის ლუარს(ა)ბის შვილი(ს) შვილი როს-
ტომ მეფე მოვიდა.

ნ¹⁵—1635. აქა სომეხნი შეიშ(ა)ღნეს მეორედ.

ნ¹⁶—1637. აქა ხუნთქარი (ხ¹ნთქარი) გამოვიდა და ერევანი (ერევნი) აიღო: და მასვე წელსა შასეჲ წა(ა)რთვა:-

¹) ამას წინ ერთი ფურცელი ქორთნიკონის ცხრილს აკლია.

²) ეს არ ეთანხმება ქორთნიკონს: 7022 წ. უდრის ბერძნული სა-
თვალავით 1514 წელს (7022—5508=1514).

ԲՆԸ—1643. აქა შსწეე უენი (უნი) მიიცვალა.

ԲՆԿ—1645. აქა გურიელის შვილი ოტია მიიცვალა:

ԲՆԾ—1656. აქა სვეტის ცხოვლის (ცხვლის) გუნბ(ა)თი
დაიქცა.

V

მეფის გიორგის ძის დავით ბატონიშვილის ხელით დაწერილი ქრონოლოგიური ნუსხა.

ეს ნუსხა მოთავსებულია კვინტოს კურციოს წიგნის ხელთ-ნა-
წერის ბოლოს წერა-კითხვის გამაგრებულ საზოგადოებისა № 394,
რომელიც კუთვნიება დავით ბატონიშვილს¹⁾. ნუსხა შეიცავს სულ
13 ქრონოლოგიურ ცნობას (მუხლებად დაყოფა ჩვენ გვეკუთვნის). აქ
დავით მოკვითხრობს იმ ომების შესახებ, რომლებშიც მას მონაწი-
ლეობა მიუღია. ცნობები იწყება 1785 წლიდან და თავდება 1798
წლით. ნაწერია თვით დავით ბატონიშვილის ხელით.

1. ომარხანმა რომ აღიღო ახტალა, მე ვიყავ წლის ით, წელ-
სა ჩღუე, თვესა სექტემბერსა: კ: ხოლო—ვანანა ოკდონბრის ღ, დღე-
სა ჰარასკევსა. დავით (ჩართულად).

2. წელსა 1789, დღესა სამშაბათსა, ვსძღუე ქარელში დიდსა
ჟარსა ლეკთასა სამგზის, ივლისის 9. ჰირველი ჩემი ჟარის თავობა
ეს იყო.

3. ამავე წელსა დავარბიე უარსი, რწლიცა დიდ(დ)იღითა ალა-
ფითა მოვიქეცით, და ვსძღუეთ ფრიად (ფრ) მცირეთ მხედრობათა
მათ. ამავე დღეს მოკვდა კელთაგან ჩემთა ბიგი-იშოებუკ და თიქნი-
რელისანი დღესა სამშაბათსა, ოკდონბრის 16. და სანი-ბეგიც მოვჰკალ.

4. წელსა 1791 ლეკის ჟარზედ გავიმარჯვე თიანეთს, დღესა
ხუთშაბათსა, აგუსტოს 1.

¹⁾ ამ ხელთ-ნაწერის შესახებ ცნობები იხილე ჩემს წიგნში «Описаніе рукописей Общества грамотности», т. II, стр. 817—818.

ნყ¹—1535. აქა ამა ქორონიკონსა არის დასაბამითგან წელნი შუდა(sic) ათას ოცდა ორი ვიდრე აქამომდე²):

ნყ²—1536. აქა მ(ურ)ჯ(ა)ნე(თ)ს შეიბნეს:-

ნყ³—1539. აქა სომეხნი შეიშ(ა)ლნეს და თვედღობის კურს ჭამეს:-

ნ¹—1543. აქა ხუანთქრის ფაშაები მოვიდეს რიცხვთ ოცდა ორი ათასი: და სრულიად (სრ¹ლად) ტაო ამოსწევიდეს:- მოუკდა ბაგრატ მეფე ქარაღაქს, გაიმარჯვა, ამოსწევიდა მრავალნი (მრ¹ვლნი):-

ნ²—1550. აქა ტაოს ქუეყანაჲ (ქე¹ნა) დაიჭირეს ურუმთა:-

ნ³—1553. აქა არტანუჯი წაართვეს (წრ¹თვეს).

ნ⁴—1554. აქა დიასამიძე და ვახუშტი დაიჭირა ეე(ე)ნმან:-

ნ⁵—1555. აქა დიდის მეფეთ მეფის ასული მარიაჲ ყოფილი მარინე მიიცვალა:-

ნ⁶—1566. აქა დიდი ჟამი შეიქმნა.

ნ⁷—1573. აქა უიზილბაშთ ოცხე ამოსწევიდეს:-

ნ⁸—1575. აქა ბატონი ქაიხოსრო უაზმის მი(ი)ცე(ა)ლა.

ნ⁹—1579. აქა ლალ(ა) ფაშაჲ (ფშ¹ა) გამოვიდა.

ნ¹⁰—1581. აქა სინა ფაშაჲ გამოვიდა.

ნ¹¹—1584. აქა ო(თ)მანიანთ ბატონს მანუჩარს უღალატეს და კააქცივნა:.

ნ¹²—1600. აქა მიიცვალა ბატონიშვილი ბატონი როდამ: და ამსვე წელსა მეფე სვიმონ დაიჭირეს:-

ნ¹³—1603. აქა მიიცვალა დიდი აიაბაგის ასული ბატონი თეოდორაჲ:.

რ¹—1633. აქა მეფის ღუარს(ა)ბის შვილი(ს) შვილი როსტომ მეფე მოვიდა.

რ²—1635. აქა სომეხნი შეიშ(ა)ლნეს მეორედ.

რ³—1637. აქა ხუანთქარი (ხ¹ნთქრი) გამოვიდა და ერევანი (ერეენი) აიღო: და მსვე წელსა შასეჲ წა(ა)რთვა:-

1) ამას წინ ერთი ფურცელი ქორონიკონის ცხრილს აკლია.

2) ეს არ ეთანხმება ქორონიკონს: 7022 წ. უდრის ბერძნული სათვალავით 1514 წელს (7022—5508=1514).

Р'БЗ—1643. აქ შანუფ უენი (უნი) მიიცვალა.

Р'БМ—1645. აქ გურიელის შვილი ოტია მიიცვალა.

Р'БВ—1656. აქ სვეტის ცხოვლის (ცხვლის) გუნბ(ა)თი დაიქცა.

V

მეფის გიორგის ძის დავით ბატონიშვილის ხელით დაწერილი ქრონოლოგიური ნუსხა.

ეს ნუსხა მოთავსებულია კვინტოს კურტიოს წიგნის ხელთ-ნაწერის ბოლოს წერა-კითხვის გამაგრებელ საზოგადოების № 394, რომელიც კუთვნიან დავით ბატონიშვილს¹⁾. ნუსხა შეიცავს სულ 13 ქრონოლოგიურ ცნობას (მუხლებად დაყოფა ჩვენ გვეუთვინის). აქ დავით მოგვითხრობს იმ ამების შესახებ, რომლებშიც მას მონაწილეობა მიუღია. ცნობები იწყება 1785 წლიდან და თავდება 1798 წლით. ნაწერია თვით დავით ბატონიშვილის ხელით.

1. ამარხანმა რომ ადიდო ახტალა, მე ვიუჟ წლისით, წელსა ჩღჷე, თვესა სეკღენბერსა: კ: ხოლო—ვანა ოკდონბრის ღ, დღესა ჰარასკეჷსა. დავით (ხართულად).

2. წელსა 1789, დღესა სამშაბათსა, ვსძღე ქარელში დიდსა ჯარსა ღკეთასა სამგზის, ივლისის 9. პირველი ჩემი ჯარის თავობა ეს იყო.

3. ამავე წელსა დავარბიე უარსი, რღიცა დიდ(ღ)იღათა ალაფითა მოვიქეცით, და ვსძღეთ ფრიად (ფღ) მცირეთ მხედრობათა მათ. ამავე დღეს მოკვდა კელთაგან ჩემთა ბიგი-იშიუბუკ და თიქნარეჯისანი დღესა სამშაბათსა, ოკდონბრის 16. და სანი-ბეგიც მოვჷკალ.

4. წელსა 1791 ღკის ჯარზედ გავიმარჯვე თიხეთს, დღესა ხეთშაბათსა, აგვსტოს 1.

¹⁾ ამ ხელთ-ნაწერის შესახებ ცნობები იხილე ჩემს წიგნში «Описание рукописей Общества грамотности», т. II, стр. 817—818.

5. ამავე წელს, სექტემბრის 8, ჩინებული გამარჯვება მამინდა ილტობუდ ჩვენ მცირეთა ფრიადას (ფ^დსა) ძალსა ზედა ლეკთას, დღეს კვირიაკესა.

6. ამავე წელს, ნოემბერს 26, ფადარსა და ბაიაშთლოს დაუჭკარი, და საუცხოო გამარჯვებაც მოგზნდა ამ დღეს სამგზის.

7. წელს 1795 მოვიდა აღამაჰმთხან და შემუსრა ტფილისი და სძლო მეფესა. თუმცადა წინას დღეს ვსძლეთ იმის ჩარზაჩას ჩინებულად.

8. წელს 1795 ყარაიაზედ ჩინებული ძლევა მოგ(ვი)ნდა დეკემბრის ე, დღეს ხუთშაბათსა, ლეკის ჯარსა ზედა, ფრიად ჩინებული, ჩვენ მცირეთა და შუჭირგებულთა დარღვევისათჳს ტფილისისა. ამავე თვისა 12 მოვიდნენ რუსნი.

9. ბრძანებითა მეფისათა წარვედით განჯას და ადვიდევით ქაღაჩი და ციხეს მოვადევით აზრილის 3 დღესა, ხუთშაბათს.

10. წელს 1796, მაისის 10 დღესა, შაფათს, ჩინებული და უწარჩინებულესი გამარჯვება მოგზნდა ციხისა ჯარზედა.

11. კვალად (კ^დ) მაისის 16 კარგი გამარჯვება მოგზნდა და არზუმანცა მოვჭკალით. და ვიდრე ბატონის ჩამოსვლამდე თექვსმეტ ომი მოგზნდა, თექვსმეტ ჯერვე ვსძლეთ განჯულთა.

12. ამავე წელს, აქავ დგომაში, აქლამეჭ ავიალათე ბაიანად წოდებული სოფელი, აზრილისს სამს, და ფრიადი ტყვე და საქონელი ვიშოვეთ.

13. წელს 1798, ბრძანებითა მეფისა გიორგისათა, წარვედ ყარსს, და ავიალათეთ, და გაუქცივე ოსმალთ შეერილობა და ვსძლე აღიბეგს ესრეთ ჩინებულად, რომელ (რ^დ) ყაუხნიც გავაგდებინეთ, ნოემბრის 11 იყო, დღესა ხუთშაბათსა:

ე. თაყაიშვილი

განყოფილება შერთხე

ეთნოგრაფია:

ეთნოგრაფიული წერილები

გეოგრაფიული ცნობანა.

ენგურის სთავის ხეობა, რომელიც განიეთება ორ ნაწილად უღვირის ხეობით, უჭირავს თავისუფალ სვანეთს. თავისუფალი სვანეთი შესდგება შვიდი საზოგადოებისგან და შეადგენს აღმოსავლეთის ნაწილს სვანეთის საბოქაულოსს. ირგვლივ ბუმბერაზი მთები აკრავს, რომელთა უმეტესი ნაწილი ზამთარ-ზაფხულ თაფლითა არის დაფარული. საუცხოვო სურათს წარმოადგენს, როცა ამ მთების წვერვალოებს ანათებს ჩამავალი ან ამომავალი მზის სხივები...

თავისუფალ სვანეთს საზღვრავს შემდეგი ადგილები: აღმოსავლეთით—კავკასიის ქედის ტოტი, რომელსაც სვანები ეძახიან „უორილაშს“ და რომლის წვერვალოებში შესანიშნავი არიან: ტვიბერი, ქარეთა და თეთნულდი; ჩრდილოეთით—თვით კავკასიის უმთავრესი ქედი, რომელზედაც თავისუფალის სვანეთის მხრით საუცხოვოთ არის ამართული უშბას ორთავიანი წვერი; დასავლეთით საზღვრავს სადადიშქელიანო სვანეთი, რომელიც იყოფა თავისუფალის სვანეთისგან „ბაღის“ ტყიანი მთით; ხოლო სამხრეთით—კავკასიის ქედის უმთავრესი ტოტი, რომელიც ჩამოწალილია ენგურის და ცხენის წყლის ხეობებს შუა და რომლის წვერვალოებში შესანიშნავი არიან: ლაჭილა, ლასილი, მუშური, ლატვარი და გორვაში. როგორც ზემოთ ვსთქვი, თავისუფალ სვანეთში აქვს სთავე მდინარე ენგურს და იწეება რაოდენიმე ადგილს, მაგალითად: უშკულში, მუჟალში და მესტიაში. აი ამ ხატარა ნაკადულების ხეობებში აქვთ თავი შეფარებული თავისუფალ სვანებს. თავისუფალის სვანეთის მდებარება მთა-გორაკიანია, მისი

*) ამ სტატიას ვბეჭდავთ მცირეოდენის შესწორებით და ივანე თეოდორეს ძის ნიჟარაძის შენიშვნებით. რედაქტორი.

მთა-გორები ერთის მხრით უერთდებიან თოვლიან და თვალ-აუწვდენელ მთებს, ხოლო მეორე მხრით დაუურებენ გაშმაგებულ ენგურს, თითქმის დასციინიანო, ის კი, მდ. ენგური, გაშმაგებით ებრძვის აქეთ-იქით კლდის ნაპირებს; მაგრამ უოველივე მისი შრომა ამათა და ის ისევ გაშმაგებული და გაბრაზებული ქვევია და ქვევით მიეშურება, სანამდის არ მიაღწევს და არ შეუერთდება მასსავით მრისხანე და მჭუხარე შავს ზღვას. თავისუფალ სვანეთში 8(1)-მდე მოსახლეა, რომელთაცან 7(1)-მდე აზნაურნი და სასულიერო წოდებისა არიან, თავადები კი თავისუფალ სვანეთში არ არიან. თავისუფალ სვანეთში შემდეგი შვიდი საზოგადოებაა: უშკელის, კალის, იფარის, მულახის, მესტიის, ლენჯურის და ლატალის. უპირველესი ადგილი მცხოვრებთა რიცხვის შეხედვით უჭირავს მულახის საზოგადოებას, მერმე იფარისას და ლატალისას, რომლებშიაც ასზე მეტი მოსახლენი არიან. თვითუფლი საზოგადოება შესდგება რადენისამე სოფლისაცან, თვითუფლი სოფელში ერთი ან ორი გვარისა ცხოვრობს და სახლები, როგორც ქალაქში, ახლო-ახლო აქვთ დადგმული. თავისუფალ სვანეთში გარეშე ტომისა არავინ არ სცხოვრობს გარდა მოსამსახურე ზირებისა, რომელთა უმთავრესი რიცხვი იმერლებს და მეგრელებს ეკუთვნის.

ბუნებით თავისუფალი სვანეთი ბევრ ნაწილათ იყოფა. აქ არის ისეთი ადგილები, მიუხედავთ იმისა, რომ სვანეთს ერთობ მადალი ადგილი (5000 რუსული ფუტი) უჭირავს, რომელნიც მშვენიერ მოსავალს იძლევიან. აქ მოდის სიმინდი, ლობიო, ერთ-გვარი გოგრა (კვახი), შემოდგომის ზური და სხვა; ხოლო არის ისეთი ადგილებიც, სადაც ქერისა და ცერცვის მეტი არა მოდის რა და ისიც ერთობ ნაკლებათ. საერთოდ სვანებს ერთობ ცოტა აქვთ სახნავ-სათესი ადგილები და საუბედურთთ ნიადაგიც ერთობ მწირია. აი ამისათვის თუ სვანმა უოველ ორ წელში ერთხელ მანც არ მონაკლა თავისი საყანე, ისრე არაფერს მოსავალს არ მისცემს. ჭავა ხმელი და ცივია, როგორც მშვენიის მთის ადგილებს; ზამთრობით სიცივე 25" აღის და ხანდისხან ზედმეტ-ზედაც. ქარი, რადგან მთები უფარებს, ძლიერ იშვიათად იცის, მხოლოდ დეკემბერში და იანვარში იცის ხანდისხან. ერთი სიტყვით ჭავარი აქ ერთობ სადი და მშვენიერია.

ჩრდილოეთით კავკასიის ქედს გადაღმა კალთებზე სცხოვრებენ

უბარდოელები და ოსები, სიდაც სვანები ზაფხულობით სათიბავათ მიდიან და სიდიგანაც კარგა ძალი ფუული მოაქვთ; ხშირათ ფულის მაგიერ ჰირუტევი გადმოჰყავთ. ზამთრობით სვანი, თუ კი შეუძლია ცოტათი მანაც მუშაობა და სულ მთლათ უძლეური არ არის, მიეშურება იმერეთ-სამეგრელოში სამუშაოთ, სიდაც ხუთ-ექვს თვეს ატარებს და ძვირათ შეხვდები მუშას-სვანს, რომ შინ დაბრუნებულმა ხუთი თუმანი მანაც არ მოიტანოს. ისინი მიდიან ოცობით და ორმოცობით და სხვამ ვეგლა ერთ ადგილას სამუშაოს არ იშოვის, ისე არ გაჩერდებიან: თითქმის ორ მუსამედ დროს ცუდად ხეციალში ატარებენ. ამ უკანასკნელ დროში ცოტათი თუ ბევრათ შეიგნეს ცხოვრების აუკარგი და უფრო გულ-მოდგინეთ ჰკიდებენ ახლა საქმეს ხელს, მაგრამ მანაც სვანი თავის სიზარმაცით ბევრით განირჩევა თავის მონათესავე ქართველებისაგან. ეს სიზარმაცე სვანს ბუნებით თან დაუოლილი აქვს. ის ბავშვობიდან ზანტი, ზარმაცი ეოველსავე საქმეში და მოხუცეში არის. ძვირად შეხვდები სვანს, რომ რაიმე საქმე შენს გემოზე გაგიკეთოს. ამისათვის არის, რომ იმერეთ-სამეგრელოში სვანს დღიურათ არ გაურიგდებიან, არამედ ნარდად; იციან კარგათ, რომ თუ დღიურად გაურიგდი სვანს, ერთი დღის საქმეს ერთ კვირას არ გაათავებს. უმეტეს დროს სვანი თამბაქოს წვევაში და ლაზ-დანდარობაში ატარებს. აქ დიდი და ჰატარა ჩიბუხს ეწვევა, ხშირათ ქალებსაც შეხვდებიან, რომ ჩიბუხით ჰირში მიეშურება სიდაც. საზოგადოთ სხვა ტომის და სარწმუნოების ხალხს ზიზღით უყურებენ და ამისათვის ძვირია აქ სხვა ტომის ხალხი. რაც შეეხება ქართველობას, ესენი ხომ სისსლითაც და სარწმუნოებითაც მონათესავეა მათი, რაც კარგათ იციან სვანებმა. ხშირად გაიგონებთ მოხუცისაგან: „ჩვენ ქართველები ვართ“!.. თავისუფალ სვანეთში თითქმის ვეგლა მამაკაცმა იცის ქართული და გარკვევითაც ლაზარაკობენ ქართულ ენაზე, მხოლოდ ქართულ ზმნას ხმას „ხ“-ს უმატებენ, მაგალითად: „მე წავად ცაგერს და ვივიდის დვინოს“... რას უნდა მივაწეროთ ესეთი დამახინჯება ქართული ზმნისა, არ ვიცი სწორედ და მიუხედავად მისა, რომ მე კარგა ხანს გცხოვრობდი თავისუფალ სვანეთში და ამის გამოსაკვლევათ ბევრიც ვიშრომე, მანაც ვერ მივაღწიე საწადელ მიზანს. დიდად სურდადლებო იქნება, რომ ჩვენი ლინგვისტიკი ამას

ურადღებს შიქცევდნენ და გამოიკვლევდნენ რიგინათ*). აქ უნდა შევნიშნო, რომ სვანური ენა, ჩემის აზრით, უფრო საინტერესოა მკერულ ენაზე ქართველებისათვის, რადგან პირველი უფრო უხსლოვდება ძველ ქართულ ენას და თითქმის ქართულის ძირი სვანურ ენაში უფრო ადვილი საპოვნელია. მცხოვრები იყოფა სამ წოდებათ: თავადი (სვანურათ ვარკ), აზნაური და გლეხი. თავადები თავისუფალ სვანეთში არ არიან; არიან რაოდენიმე მოსახლე აზნაური, რომელთაც თავისი მნიშვნელობა დიდი ხანია დაკარგული აქვთ და ბევრით არაფრით განიჩქევიან გლეხებისაგან. განსხვავება მხოლოდ სისხლის ადუბაშია, მაგალითად: თუ აზნაური მოკლეს, შერიკების დროს მკვლეული იხდის ორი გლეხის სისხლს. სხვათაგან გლეხი და აზნაური ერთია და მთავრობასაც ერთნაირად უყვს მიღებული, რადგან არც ერთი აზნაურთაგანი დამტკიცებული არ არის თავის წოდებაში. საერთოდ უნდა აღვნიშნო, რომ აქ არის ისეთი გვარები, რომლებსაც შევხვდებით საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეში, მაგალითად: ჩარკვიანი, ჯათარიძე, დევიდარიანი, ქურდიანი, იესელიანი, ყიფიანი (ეს გვარები აზნაურებისა), შარვაშიძე, რატინი, კორძია, ნიჭარაძე და სხვა მრავალი. სვანებს გვარი, რომელიც „ქ“-ზე თავდება, უფრო მოსწონთ და ხშირად თავის გვარს „ქს“ უმატებენ. გვარს და გვარიშიელობას ერთობ უურადღებს აქცევენ. ახალ-მოსულის მოსამსახურე პირისას პირველად გვარს იკითხავენ და მერმე რა კაცის შვილიაო, ან ვისი შთამომავლობაა და სადაურიაო. ხშირათ სვანი გვაროვნობას სცემს ჰატიფს და არა პირად კაცობას, რადგან მათი აზრით პირად-კაცობა წარმავალია, ხოლო გვარიშიელობა კი მუდმივია.

*) სვანურ ენაში მესამე პირის დაბოლოვება მრავლობითი რიცხვისა არის „ხ“, რომელიც უდრის ქართულს „ნ“. და ამ სვანურ დაბოლოვებას უმატებენ ქართული ლაპარაკის დროს ქართულ სიტყვებს, მაგალითათ „წავიდახ“=წავიდნენ; „იმათ სთქვახ“=იმათ სთქვეს. მრავლობით რიცხვის მესამე პირის ანალოგიით ესევე „ხ“ იხმარება მხოლოდობით რიცხვის მესამე პირის დაბოლოვებაშიც. ხოლო სხვა პირების დაბოლოვებაში ეს „ხ“ არ იხმარება და თუ ამას ზოგიერთნი ხმარობენ. ეს ქართული ენის უვიცობას ნიშნავს სვანების შეხედულობითაც.

II

საზოგადოებრივი ცხოვრება.

შეხვედრებით სავსე ახალი, მოსული მხარ-თეძობები და გამ-
ბედავი გამომეტყველებებისა, მხოლოდ ტანისმოსის და ტანის უსუფ-
თაობა სიბრალულს გამოიწვევს კაცის თვალში. სიმადლით სამ ნაწი-
ლად იყოფებიან სვანები: მადლის, სმადლის და დაბლის ტანისა. სმ-
ადლის ტანის უფრო ბევრია, მერმე დაბლის და მერმე კი მადლის
ტანის ხალხი. მსხვილს და მსუქანს კაცს აქ ერთობ ძვირად შეხვე-
დით, აგრეთვე ერთობ ძვირია მეტის-მეტი მჭლე კაცი. რაც შეეხე-
ბა სვანების ფიზიკურ ძალას, უნდა ვსთქვათ, რომ ისინი, როგორც
მთიელები საერთოდ, ბუნებას დაუჯილდოებია დიდი ფიზიკური
ძალით და ჯანმრთელობით. აქ ძვირად შეხვედრით რაიმე ავადმყოფო-
ბას გარდა ხურგებისა, რომელიც წარმოსდგება გაცივებისგან. ხში-
რად კვდება ღრმად მოხუცებული კაცი ან ქალი, რომელიც არაერთხელ
ავადმყოფობით არ ეთფილა ავად. უადგილო არ იქნება ჩემის აზრით,
რომ აქვე შევნიშნოთ თავისუფალის სვანების ფიზიკურ ვარჯიშობაზე.
საერთოდ ფიზიკურ ვარჯიშობას ეკუთვნიან სხვა-და-სხვა თამაშობანი.
თავისუფალ სვანების ერთ უმთავრეს და უფრო გავრცელებულ თამა-
შობას შეადგენს ჭიდაობა, როგორც აღმინახებისა, აგრეთვე ცხოველე-
ბისა, მერმე კი ცეკვა და ფერხული. ფიზიკური განსხვავება მამაკა-
ცებისა და დედაკაცებისა ბევრში არ გამოიხატება, რადგან, როგორც
მამაკაცები, ისრე დედაკაცები უფროსავე ფიზიკურ მუშაობაში თანას-
წორათ ღებულბენ მონაწილეობას, მაგალითად: ქალები თხზნიან,
მკიან, ეხმარებიან მკაში, მთაქეთ შემა მარხილებით ტყიდგან და სხვა
მრავალი... გარდა ამისა ოჯახში საქმის გაკეთება ქალებს აწევს კი-
სერზე და მამაკაცები კი არაფერს აკეთებენ შინ, თითქმის შემსაც
არ აზობენ. როცა მამაკაცი ჩრდილში წამოწოლილია და ჩიბუნს
აზობებს, დედაკაცი მაშინ თფლში იწურება. დილით სვანებმა საერ-
თთ გვიან იციან ადგომა. ადგებიან თუ არა, ჭერ სუწმელს გაიკე-
თებენ; ისადილებენ დილის ცხრა-ათ საათზე და მერმე კადიან სამუ-
შაოთ, სადაც ქალებიც მიუყვებიან, და არა ნაკლებ მამაკაცებისა მუშა-

ობენ. სლამოზე ადრე ბრუნდებიან შინ. ადვილი წარმოსადგენია ზემო ნათქვამის მიხედვით, თუ რა ვდენათ ზარმაცია სვანი მუშაობაში.

ხშირად თავისუფალ სვანეთში შეხვედები დამახინჯებულ ადამიანებს. ასეთი დამახინჯებულნი ორ-გვარნი არიან: ბუნებით დამახინჯებულნი და კაცის ხელით დამახინჯებულნი, ე. ი. ხელაფურათ შერმე დამახინჯებულნი. ბუნებით დამახინჯებულთ ეკუთვნიან ჩიყვიანები, რომელთა რიცხვი ბევრია სვანეთში. მომეტებული ნაწილი ჩიყვიანების რეგენები (ИДИОТЫ) არიან. ამ სხეულობას რაღაც დიდი კავშირი აქვს ადამიანის ფსიხოლოგიასთან. 1903 წელს ამის გამოსაკვლევათ იყო სვანეთში დოქტორი მედიცინისა ბ. თრბელი, რომელმაც თავისი ექსპურსია სისრულეში მოიყვანა. როგორც კავიკე, მას უკვე ამის შესახებ რუსულ ენაზე წიგნაკი გამოუშვია, სადაც მეცნიერულად ხსნის ჩიყვის მიზეზებს და მის გავლენას ადამიანის გონებაზე. უფრო ხშირად ადამიანის ხელით არიან დამახინჯებულნი ახალ-გაზრდები და შუა-კაცები. ეს ხდება ამ გვარად: როცა სვანს რაიმე ინტერესი აქვს მეორესთან, მაშინ ის ეძებს შესაფერ დროს და გარემოებას, რომ ჩაუსაფრდეს სადმე გზაში, ან ტყეში და აგრე ელოდება სანამ არ გამოივლის მისი მსხვერპლი, ხოლო როცა გამოივლის, ესვრის ფარულათ თოფს და თვითონ გარბის ტყეში, ან წამოეპარება და ხანჯლით დასჭრის. ხშირად ქორწილში ან ტირილში, როცა დათვრება, ეძებს მიზეზს სვანი და, თუ ვისმე აუტუნა ჩხუბი, მაშინვე ხანჯალს ჩაკრავს ან სახეში და ან მუცელში. ერთის სიტყვით, აქ ბევრს ნახეთ—ან სახე აქვს დაჩეხილი ცუდათ, ან უური აქვს მოჭრილი, ან ხელი, ან ცხვირი და სხვა. ზოგს ჭრილობის გამო ფეხი ან ხელი აქვს გაჩერებული.

საზოგადოთ სვანი ბევრათ განიჩევა სხვა მთიელებისაგან. თავი საშვალე ზომისა და მრგვალი, წეობიერი და გამბედავი გამოეტყველების პირის სახე, ცხვირი სწორი და ცოტა მოგრძო, თვალუბი შავი და ზოგს თაველის ფერი, თმა შავი, ან მოშავო წაბლის ფერი აქვთ საერთოდ თავისუფალ სვანებს. ძლიერ ძვირად შეხვედებით ისეთ პირს, რომელსაც თმა ქერა ჰქონდეს და იმავე დროს შავი თვალეები ჰქონდეს. თვალის სინათლე ერთობ კარგი აქვთ და შორაც შედავენ საგანს; მიუხედავად ამისა ზამთრობით ხშირად თვალეებს იტვი-

ვებენ, რის მიზეზებიც, ჩემის აზრით უნდა იყოს: მზის სხივების თამაში გაეინულ თოვლზე და კვამლიან სახლში ცხოვრება. სმენა საშუალო აქვთ. მუშიკადური გრძნობა არ არის განვითარებული და ისევე იმ საუბურზე სდგას, რომელზედაც უთქვამს ამ ასის წლის წინათ. საკრავ იარაღებში უნდა აღვნიშნოთ ჩანგი და ჭინური, რომლებზედაც ამდერებს სვანი თავის მოწყენილ და ერთხმოვან სიმღერებს, რაშიაც ის გვიმღერის ან ბრძოლას მტერთან, ან ბრძოლას თვით ბუნებასთან და ან მონადირის გაჭირვებას. სვანები ლაპარაკობენ ბოხის ხმით; იშვიათი შემთხვევაა, რომ სვანი წერიალას ხმით ლაპარაკობდეს. თვით ქალებიც ბოხის ხმით ლაპარაკობენ, ასრე რომ ხშირია შემთხვევა, როცა მამაკაცი სიმღერაში პირველ ხმას ამბობს და ქალი კი ბანს ეუბნება. საერთოდ თავისუფალმა სვანებმა დინჯი და ხელი ლაპარაკი იციან. სიარულიც დინჯი იციან. სვანი ძნელად აუჩქარებს სიარულს; ხოლო როცა მიდის, მდლა-მდლა ადგამს ფეხებს. ეს მით აიხსნება, რომ სვანეთს ჯერ ერთი მდებარეობა მთა-გორიანი აქვს და მეორეთ—გზაში ბევრი ქვები ჰქვია, რაც სიარულს ძლიერ უშლის კაცს.

III

სახლი და მისი ავეჯეულობა.

როგორც ზემოთა ვსთქვი, სახლები ერთობ ახლო-ახლო იციან, როგორც ქალაქში. ექვსი-შვიდი მოსახლე და ხანდისხან უფრო მეტიც, ერთი გვარისა, სახლდებიან ერთად ახლო-ახლო. თვითვე მოსახლეს შემოვლელი აქვს პატარა ეზოზე, რომელიც ზომით 40 კვადრატულ საყენს არ აღემატება, ქვითკირის სქელი და მაგარი გალავანი. გალავანს სამი ან ორი საყენი სიმაღლე აქვს. შესაფალოთ უტოვებენ პატარა და ვიწრო კარს, რომელშიდაც ძლივს გადის სვანური მარხილი. კარი არის გაკეთებული სქელი და მაგარი ფიფრისაგან და იკეტება შიგნიდან ურდულით. შეხვალთ თუ არა ეზოში, რომელსაც სვანები „კალოს“ ეძახიან, რადგან აქ ლეწვენ პურსა და ქერს, თქვენ დაინახავთ ქვითკირის ორ-სარაულიან სახლს. მეორე სართულის წინა კარიდან გადმოუჩერებს ეზოს სქელი ფიფრებისაგან მოკებული აივანი,

რომელსაც სვანები „ტერეფანს“ ეძახიან და რომელზედაც ახმობენ ჰურს, ფეტვს, ჭერს, ცერცვს და სხვას. სახლის შენობა არის აგებულად ქვისაგან და ძლიერ ძვირად ნახავთ ხის სახლს. სახლი გარედგან შელესილია და მერმე კირით შეთეთრებული. ხანდისხან კედლებში გარედგან ატანებენ ხარის, აჩჩვის, ჯიხვის და თხის რქებს შხოსთვის და სილამაზისთვის. ჩემის აზრით კი, ეს არამც თუ არ ამშვენებს, არამედ უფრო აუშინებებს. სახურავს ეაგრისას ხმარობენ, ხოლო ღურსმის სიძვირის გამო გადაჭედვა არ იციან. ჭარმა რომ არ გადაუროს გადაჭედელი უფარი, ამისათვის ქვებს აწობენ ზევიდგან უფარს. ზოგან, მგაღიდად სოფელ კალაში, სადაც ასპიდის ქვაა ბუფრი, ასპიდის ქვით ხურავენ სახლს. სახლის გვერდზე სდგას კოშკი, რომელსაც სიგრძე და განი თრ-თრი საყენი აქვთ, ერთის სიტყვით, კვადრატი აქვს საფუძველი, ხოლო სიმაღლე კოშკისა შეიდიდგან ათ საყენამდის აღის. ახლა ამ კოშკებს არ აშენებენ, რადგან აღარ არის საჭირო და კარგა ხანია ამ კოშკებმა დაკარგეს თავისი მნიშვნელობა. ეს კოშკები მაშინ იყო საჭირო, როცა მტრობა და შუღლი იყო გაშეუებული. ამ ზატარა კოშკებში იმალებოდა ოჯახი მტრის შემოსევის დროს, ან სხვა გაჭირების დროს და ამ კოშკიდგან იგერებდა საბრძოლველათ მოსულ მტერს. ზოგი ასეთი კოშკი უზატრონობის და მოუვლელობის გამო იქცევა და ზოგიც უჩვეულად დაქცეულია. ცოტა სახლზე მოცილებით სდგას ზევიდგან გადახურული შენობა, რომელსაც „ცალმაგს“ ეძახიან. ცალმაგში შემას აწობენ ზამთრისთვის და სხვა დანიშნულება ცალმაგს არ აქვს.

სვანის სახლს აქვს ფიცრის კარი, რომელიც შიგნიდგან ურდულით იკეტება. შეხვალთ აუ არა ამ კარში, თქვენ წარმოგიდგებათ თვალ-წინ ბნელი ზატარა ოთახი, რომელსაც იატაკი მიწისა აქვს. ეს ოთახი სივრცით ორს ოთხ-კუთხ საყენზე მეტი არ არის. ამ ოთახიდგან განის კარებით გახვალთ თვით საცხოვრებელ ოთახში, რომელიც წინა ოთახზე მეტათ არ არის განათებული, მიუხედავათ მისა, რომ მას აქვს რაღდენსამე ადგილას სინათლისათვის გამოჭრილი ანაგი კედლებში. ამ საკმელებიდგან შემოსული სინათლე არ არის საკმარისი ამ ვუებურთელა ოთახისათვის. საცხოვრებელ ოთახს თავის ელფერი ადევს და უოველთვის კაირჩევა სხვა ოთახებისაგან.

ამ საცხოვრებელი ოთახის შუა ადგილას არის კერა. კერისათვის ცოტა ამოღრმავებულია მიწა; ზევიდგან ერთობ დიდი რკინის ოთხფეხი ადგას, რომელზედაც სძევს ფართო და თხელი ასპიდის ქვა. ამ ასპიდის ქვას ახურებენ, როცა საჭიროა, და აცხობენ პურს. იქვე ახლოს ჰკიდია ჭაჭვის საქვაბური; ცოტა მოშორებით ჩამოკიდებულია რკინის ტაფა, რომელზედაც ღამე წვრილად დაჭრილ კვარს აურიან და ანთებენ ოთახის გასანათებლათ. ამ ტაფას სვანები „ლამტორაღ“-ს ეძახიან. კერას ირგვლივ შემოწვობილია გრძელი სკამები და შინ გაკეთებული სვარძლები, რომლებიც კარგი საჯდომია. კედლებზე ხის კაკვებია (კაკვები) ჩამოკიდებული ხორცის და სხვა რაიმე ნივთის ჩამოსაკიდებლათ. კუთხეში დიდი და ჰატარა კიდობნები აწვევია, რომლებშიაც ან პურის, ან ქერის მარცვლებს და ან ტანისამოსს და სხვა ნივთებს ინახავენ. ერთ კუთხეში მიშენებულია ერთობ ჰატარა ოთახი, ზომით არა უმეტეს ერთის კუბიკურის საყენისა; ამ ოთახში ინახვენ არაყს. ცოტა მოცილებით კერიდგან ლოჯინისათვის აქვთ ტახტები, რომლებზედაც ქვეშ აივა უგიათ, ხოლო ზევიდგან ღამე აიას-ნაირათ დაკერებულ ჩოხას ან ახალუხს იხურავენ. ზოგი შეძლებულთაგანი საბანს უიდულობს ლეჩხუმში, ან ქუთაისში და მიაქვს სახლში და იმას იხურავს. ამ საცხოვრებელ ოთახში ყველაზე უფრო საყურადღებო და მეტი ადგილიც უჭირავს პირუტყვებისათვის გაკეთებულ ბაგას. ორ კედელზე სიგრიძის-თაგობამდის გადატიხრულია პირუტყვისათვის ბაგა. ბაგას ერთის კედრით აქვს შესვლა; თივის და ბზის ჩასაყარი ადგილი მალა. აქვს ისრე, რომ პირუტყვი თუ არა ადგომილი, ისე თივას ვერ მოკიდებს შირს. აგრეთვე დაწოლილ პირუტყვს ვერ შეხედავს კაცი. თვითვე პირუტყვს ცალკე ეძლევა საკვები. კერას თავზე ასპიდის ფიცრის ჭერი აქვს ბევრს გაკეთებული. ეს იმისათვის, რომ ცუცხლი არ გაუჩნდეს მალა, რადგან ოთახის სიმაღლე ძვირათ აღემატება სამ არშინ ნახევარს. რადგან ბუხარი არ იციან, ჭვარტლით არის სახლი გამურული. შემოსვლად კარებთან რომ ჰატარა ოთახია, იქიდგან კიბით ავა კაცი ზედა სართულში, რომელსაც დარბაზს ეძახიან და სადაც ზაფხულდობით თვით სცხოვრობენ სვანები, ხოლო ზამთრობით ინახავენ თივას. ამ დარბაზიდგან, როგორც ზემოთა ვსთქვი, გამოვა კაცი აივანზე. ისევ ჰატარა შესა-

ვალის ოთახიდან გვერდის კარებით შედის კაცი ციხეში. ციხე შეს-
დგება ხუთი სართულისაგან; თვითავე სართულს აქვს არა უმეტეს
25 კვადრეტი არშინისა და სიმაღლე ხუთი არშინი. ეოველ სართულ-
ში სდგას ხის კიბე, რომლის საშკაღებიათაც შეკიდლიათ ახვიდეო
ზედა სართულებში; ქვედა სართულის ოთახს არ აქვს ფანჯარა, ხოლო
მეხუთე ზედა სართულს ეოვლის მხრიდან აქვს ჰატარ-ჰატარა ფან-
ჯარები. აი აქედან ესროდა სვანი შინ მოსულ მტერს და სხამთაგია
არ მოკვდებოდა, არ დაეთხოვებოდა, რადგანც მშვენივრათ იცოდა მან,
რაც მოელოდა... ღარიბის და შდიდრის სახლი ბევრით არაფრით
განიჩრევა; სიმიდრე მიწის (სახნავის), ჰირუტყვის და სხვა ნივთე-
ბის ქონებით გამოიხატება. ახლა ვინც იშენებს სახლს, ის ეზოებს
გაღვანს არ ავლებს და კმაყოფილდება მით, რომ ან ყორეს და ან
ღობეს შემთავლებს.

სოფახო ნივთებში უნდა აღვნიშნოთ „ოხრო“, რომელსაც
ხმარობენ წყლის მოსატანათ და შესანახათ და რომელიც კეთდება
ხისაგან. მიუხედავად იმისა, რომ ჰიგიენურათ მანებელია ოხროში
შენახული წყალი, ის ერთობ პრაქტიკულია: ერთი რომ ვაგდახ არა
სტელება, მეორე მითი, რომ შიგ ზამთრობით აბილია წყალი და
ზაფხულობით ერთობ ცივი. საინების მაგიერ ხმარობენ ჯამბებს, ხო-
ლო სტაქნების მაგიერ კათხებს. საერთოთ თიხის ტურტული აქ ერ-
თობ ძვირია, რადგან ოსტატი არ არის; საჩხუბარ იარაღებს ეკუთვნიან:
თოფი (კაჟიანი), თელითა, ბერდანა, ლეკური, ხანჯალი და ლივერკე-
რი. კაჟიანი თოფი ხშირია და დიდი ფასიც აქვს. ზოგი კაჟიანი თო-
ფი ფასობს სამასიდან ხუთას მანეთამდის; ფასი თოფისა მის თვი-
სებაზედ არის დამოკიდებული და არა შემკობაზე. აქ ოჯახს ძვირათ
შეხვდებით, რომ კაჟიანი თოფი არ ჰქონდეს, რადგან ის მტერს გარ-
და ნადირთან საბრძოლველათაც ესაჭიროებათ*). თელითა თოფი აკერ-

*) 1904 წელს მარტის პირველ რიცხვებში სვანეთის ბოქაული
თავადი გარდაფხაძე უცხადებდა ლატალის საზოგადოებას იარაღის ტა-
რების აკრძალვას უმაღლესი მთავრობისაგან. როცა მან დაიწყო ქუთა-
ისის გუბერნატორის განკარგულების კითხვა და შუაზე არ იყო ჩასული,
რომ ხალხმა შექმნა ზრიალი და გაეშურა ყვირილით და კვილით იქავე
მახლობელ სათიბებისაკენ, სადაც პირუტყვები ბალახობდნენ და შიგ ჩა-

აკერ შემოიღეს სანადიროთ ჰატარა ფრინველებზე. თათებს ბერდნის სისტემისას შოულობენ მალუღათ და ხმარობენ ნადირისთვის. ხმალს ძვირათ ატარებენ თავისუფალ სვანეთში, ხოლო ხანჯალი ეველას აქვს. აქ შვიდის წლის ბავშვიდგან 10 წლის მოხუცამდე ეველას ჰკიდია ხანჯალი. უხანჯლოთ კარზე არ გამოვა სვანი.

ამ უკანასკნელ დროში უმადლესმა მოაფრობამ აუერძალა სვანებს იარაღის ტარება, რაც ძლიერ საწყენათ დარჩა ხალხს, თუმცა ზოლიციისათვის არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. ჩემის აზრით, მოაფრობა რომ მიექცევდეს მათ მდგომარეობას ურადლებას და თათების ტარების ნებას მისცემდეს ტყეში, კარგი იქნება, რადგან აქაურ უდაბურ ტყეში ხშირია ნადირი.

IV

ტ ა ნ ის ა მ ო ს ი.

მამაკაცები ჩოხა-ახალუხს ატარებენ. ახალგაზრდები, რომელნიც სამეგრელო-იმერეთში დადიან სამუშაოთ, იქ ეიდულობენ შეკერილ ჩოხას და ახალუხს და მოაქვთ შინ. ხოლო ბავშვები და მოხუცები, რომელნიც გადადმა ვერ მიდიან, შინ იკურავენ. საერთოდ ტანისამოსი მოკლე უფეროთ, რადგან უფრო ეპარუვებათ. თავზე ხურავთ ნაბდის ქუდი, რომელსაც სვანეთში ამზადებენ. ფეხზე ქალამნები აცვიათ: ზამთარ ბაღნიანი და ზაფხულ უბაღნი და შეღებილი. ქალამნს შიგნით წინდის მაგიერ ზამთრობით ატანებენ მთის თივას, რომელსაც „წერქოს“ ეძახიან, რაც ერთობ თბილია. კუნთებზე ზამთარ-ზაფხულ ზაიჭებს ატარებენ და მუხლებზე სამუხლეები აქვსთ. ზამთრობით მამაკაცი ან ნაბადს იცვამს ტანზე და ან ცხვირის ტყავისაგან შეკერილ ქურქს.

დედაკაცები კი იცმენ კაბას და კაბის ზედა ტანს. საშინაოთ დედაკაცებს აცვიათ ჰერანგი, ზევიდგან ქურქი და მოკლე კაბა. აი ეს

რევიდგან ათამდე დამშეული მგლები და ირჩევდნენ სამსხვერპლოებს. გაიგონეს თუ არა ყვირილი, ოთხმა მგელმა მოიგლო გვერდზე თითო ღორი და დანარჩენები კი ხელ-ცარიელათ გაემუზრნენ ტყისაკენ. აი ფაქტი, როგორ მომზადებული უნდა იყოს სვანი ნადირთან საომრათ თავის სახლში.

ავტ.

არის მათი ავლადიდება. თუგზე მამაკაცივით ქალამებს ხმარობენ; ხოლო საგარეო ტანისამოსს ქალებისსს შეადგენს: კაბა, კაბის ზედა-ტანი, უვითელი თავსაფარი, სუთთა წადები (თუ შექლება აქვს, მოსირმავს და გულზე დაიკიდებს ვერცხლის ჩაფრასტებს). საერთოდ უვითელი და წითელი ფერის მატერია უფრო მოსწონთ. ეს მიზი-ღულება ფერისა დედათა სქესს უფრო ეტეობა, ვიდრე მამაკაცებს, მორთავს უფრო დედათა სქესი ეტანება. მორთულობას ეკუთვნის: ჩაფრასტები, სარტყელი და ბეჭდები. ჩაფრასტები გაკეთებულია ვერცხლის ჰატარ-ჰატარა ნაჭრებისაგან, რომელნიც ვერცხლისვე ქვეკვით-არის გადამუდნი ერთმანეთზე; ჩაფრასტებს იკეთებენ გულზე. ეს ფრავს მთელ მკერდს*). კარგი ჩაფრასტები ღირს 12—15 თუმნამდე. ქამარიც ვერცხლისა და შესდგება ჰატარ-ჰატარა ნაჭრებისაგან, რომლებ-ზედაც სხვა-და-სხვა სახეების გამოყვანილი. ფასათ სარტყელი 8—12 თუმნამდე ღირს. ბეჭდებიც ვერცხლისა აქვსთ, რომლებსაც აქაური ვერცხლის მჭედელი აკეთებს. თითო ბეჭედი თითო აბაზად, ან ხუთს შურად ღირს.

ახლა და ახლა თანდათან შემოდის ახალი ფორმები. როგორც ზემოთა ვსთქვი, სვანები მიდიან იმერეთ-სამეგრელოში სამუშაოთ და, შინ როცა ბრუნდებიან, მოაქვსთ ოჯახში ძველი კაბები და სხვა ტან-საცმელები, რომელთაგან იღებენ ფორმას. აგრეთვე ცოტა მაგალითს არ აძლევენ სადადიშკელიანო სვანეთში მცხოვრები დადიშკელიანების ოჯახები და მოსამსახურე ჰირების ოჯახობანი. მამაკაცები თმას იზარსავენ და ერთობ ღიდს არ უშვებენ, იტოვებენ მხოლოდ საშვალთ თმას. დედაკაცები კი უშვებენ თმას. თმისათვის არავითარ საღებავს არა ხმარობენ: ან კი რა საჭიროა, როცა ეგვლას შავი თმა აქვს და თითქმის ერთობ გვიანაც უთეთრდებათ თმა. ხშირია სამოცის, სამოცდა-ათის წლის ქალი, რომელსაც სიარული არ შეუძლია და თმა შავი აქვს ნახშირივით. ეს ერთობ საყურადღებოა...

დედაკაცები სილამაზისათვის ფერ-უმარდის არა ხმარობენ და არც არის მათთვის საჭირო, რადგან სილამაზით და უშხით რიგზე არიან ბუნებისაგან დაჯილდოვებულნი, რომ თავის უსუფთაობით და სიბინძურით არ იფუჭებდნენ თავს...

*) ფშაველები ჩაფრასტს „შიბ“-ს ეძახიან. რედ.

V

სასმელ-საჭმელი.

საჭმელად ქერის ზურსა ხმარობენ უფრო ხშირად, ხოლო დღესასწაულებზე და სტუმართან ზურსა ხმარობენ; აკრთავე სჭამენ დრო-გამოშვებით მჭადსა, ფეტვის (შავი) მჭადსა და შერიის ფაფას, რომელსაც „ბეკენს“ ეძახიან. ეს უგანასკნელი ყოველ სოფელში არ მოდის სიცივის გამო. ამგვართ აცხობენ ზურს: ჰატარა კოდი (ვარცხლი) აქვთ, რომელშიაც სტოვებენ საფურს; იმისი შეჭმა სირცხვილია. უკეთუ ვინმე შეჭამა, იმას სიკვდილამდე საგინებლათ „საფურსაი“-ს ეძახიან, რაც ერთობ სსსირცხვია. აი ამ სსსაფურს კოდში მოზუელენ ზურსა ან ქერსა და როცა აფუფდება, მშინ შეუნთებენ კურას ცეცხლს და აცხობენ გახურებულ ასხიდის ქვაზე. ხანდისხან შეატრიალებენ, რომ ცალი გვერდი არ დაიწვას. როცა გამოაცხობენ ეველასათვის, მერმე დასხდებიან ჭმად ეველანი ერთად. საერთოდ, თუ რაიმე დღესასწაული არ არის, უბრალო დღეებში თვითთულის ზირისათვის ცხვება თითო კვერი. იმ კვერის მეტს ვახშობამდის არ მისცემენ, გინდ ეუოს და გინდ არა. შეჭამადი ძვირათ იცინან. ხოლო დღესასწაულებში თვითთუელ ზირს სამ-სამი ზურის კვერი მიეცემა და ხორცი ბევრი, რავდენიც უნდა. ჭამა დღეში ორჯელ იცინან, ერთი დილას, ასე დაახლოებით დილის ცხრა საათზე, რომელსაც სადილს ეძახიან და მეორე საღამოს.—ღამის ათ საათზე, რომელსაც ვახშამს ეძახიან. სხვა დროს ჭამა აქ არ იცინან. უნდა შევნიშნოთ, რომ მგზავრი, თუ ვახშამს ან სადილს არ მოუსწრო, ისრე ლუგმა ზურს ვერ იშოვის, რადგან თვითთულის ზირისათვის ოჯახში ცხვება თითო კვერი ზურისა, ან ქერისა, რომელიც არავის არ გადარჩება. საკმაზე-ში მარტივი უფრო გავრცელებულია, რომელიც ერთობ ძვირია თავისუფალ სვანეთში, მარტივი მოაქვთ ქუთაისიდან ზაფხულობით. მარტივს გარდა სხვა მადნეულობის ხმარება, მაგალითად — გვარჯილისა, შაბისა და სხვის არ იცინან. შემწვარს ხორცს მოხარშული ურჩევენათ და თუ ნამეტნავად არ მოხარშეს, ისრე არ სჭამენ. მოხარშულ ხორცს ამოიღებენ, დასჭრიან ნაჭერ-ნაჭერთ და დაურიგებენ ეველას თავ-

თავის ნაწილს. ამასთანავე დაურეგდება დანაყოფი მარლი. ჰურის მოზელა, გამოცხობა ქალის საქმეა ოჯახში, ხოლო ხორცეულობის გაკეთება მამაკაცის საქმეა. სწორდოს იმზადებენ შემოდგომაზე: ჰურს, ქერს, ცერცეს, ფეტვს და მერის ლეწვენ და დასუფთავებულ კაკლას იხსნავენ კიდობნებში. დღესასწაულებზე იციან ხორცის შემდეგ მოტანა კუხატის, ხაჭაპურისა და მოხარბული ეველისა. კუხატს ამგვარათ ამზადებენ: ხორცს სჭრიან ნაჭერ-ნაჭერათ, სამარისს მარლს უზმენ და იმას ჩაურთავენ ჰურში და ასრე აცხობენ. ხაჭაპურიც მაგრე მზადდება, მხოლოდ ეველია ხორცის მაგიერ შიგ. მოხარბულ ეველს ურევენ ფქვილს და ისრე ზელენ; მერმე ამას კიდევ ხარშვენ და ბაწრებივით სწნავენ, ან ისრე აგრძელებენ და აწეობენ სუფრასზე. ზათხულობით, როცა ძროხები კარგათ იწვევლიან, აკეთებენ მწონს და იმას სჭამენ. ზირუტევეთაგან უფრო ხშირათ იველის ხარი და ღორი, მერმე კი თხა.

ბოსტნეულობაში აქ გავრცელებულია: ჭარხალი, ქართი*), ხახვი და ქინძი. სხვებს ისრე არ ეტანებიან. ახლა და ახლა შემოიღეს ლახანის თესვა, რომელიც მშენიერ მოსავალს იძლევა. თესვენ აგრეთვე ქართოფილსაც. ქართოფილი ძლიერ დიდ მოსავალს იძლევა, მაგრამ საუბედროთ ქართოფილის თესვა გავრცელებული არ არის ეველგან. სჯამათ თესვენ კანათს, რომლისაგანაც ბაწრებსა და ძაფებს აკეთებენ საქსავათ ჰერანგებისათვის, ხოლო თესლიდგან შეჭამადს, რომელსაც ტირილში და მარხვაში ხმარობენ. ზოგიერთ საზოგადოებებში სთესვენ ღობიოს და კვანძს. კვანძი კარგათ მოდის და მწიფდება, მიუხედავათ იმისა, რომ თავისუფალი სვანეთი ერთობ მთა და ცივი ადგილია. უადგილო არ იქნება აქ ადენიშნო აგრეთვე ზოგიერთი ბალახები, რომლებიც მთებში იზრდებიან და რომლებსაც დიდი და ჰატარა განურჩევლათ ძლიერ ეტანება, მიუხედავათ იმისა, რომ ამ ბალახებს მომწარო გემო აქვს და ცოტა მერალი სუნიც. ესენი სხვაგან არ მინახავს და ამისათვის იძულებული ვარ სვანურათ

*) ქართი ლახანის, ანუ კომბოსტოს ჯიშის ფხალია, მხოლოდ თავს არ შეიკრავს კომბოსტოსავით და ფოთლები გაშლილი აქვს, გურიში ამას კეერა-ფხალს ეძახიან.

აღვნიშნო: ღე, ბურღვი, ჰარდოლი, კუცი, ღუსუღეცირი და მუნი-
ხვარი. აგრეთვე ბევრია ინდის ნყოფი (МАЛИНА).

ხეხილებში ხარობს ჯაშღი, მსხალი, ქლიავი, ბალი და ალუბალი.
სხვა ხეხილი ვერ ხეირობს. ესენიც ერთობ წვრილი და ცოტა მოშწარო
გემოსია. სასმელათ არაჟს ხმარობენ სტუმართან და დღესასწაულებში,
ისრე წყალს სვამენ. არაჟს აკეთებენ ქერისგან. სიმთვრალე ხში-
რია, როცა დღესასწაულები აქვთ სვანებს და ან სხვა რაიმე შესანიშ-
ნავი დღე: ან ტირილი და ან ქორწილი. მხოლოცა უნდა შევნიშნათ,
რომ არაჟს 18 წლამდე არ ასმევენ და საზოგადოთ არც აძლებენ
სმას არაჟის. ეს მშვენიერ ჩვეულებათ უნდა ჩაიყვადოს თავისუფალ
სვანეთში. მოხუცი ქალები სვამენ არაჟს, ხოლო ახალგაზდა არა
სვამს. ყოველთვის უფროსი ხნით ან საზატიო სტუმარი დაღვეს
არაჟს უწინ სადილზე და დაილოცება: ჯერ დმერთს ახსენებს, მერ-
მე მასწინძქელს დალოცავს, შემდეგ კი ეველა იქ მყოფს. სადღეგრძე-
ლოები ცალ-ცალკე არ იციან. ეველას სადღეგრძელოს ერთად სვამენ.
არაჟს გარდა სვამენ რანგსა, რომელიც უფრო ძვირია. რანგს*) საფე-
ლისგან აკეთებენ.

როგორც სემოთა ვსაქვი, სვანი უმეტეს დროს თამბაქოს წე-
ვაში ატარებს. თითქმის თამბაქოს წევა რადაც ქებათ მიანინათ. წე-
ვენ ქალებიც, რომლებიც ღეჭავენ კეუსაც. ამ კეუს ქალები ავიათონ
ზოულობენ ტყეში ნაძვისა და ფიჭვის ხეებზე.

VI

ყოფა-ცხოვრება. — რა გვარ საქმეს უფრო მისდევენ.

თავისუფალი სვანები ერთ ადგილას არიან დამყარებულნი და სხვა
ზოგიერთი მთიელებივით ბინას არ იცვლიან. ისინი მისდევენ ხვნა-
თესვას, შინაურის ზირუტევის მოშენებას და დრო-გამოშვებით ნადი-
რობას. ხვნა-თესვას აქ ზირველი ადგილი უჭირავს. მომეტებულათ
აქ სთესვენ ქერსა, მერმე ზურსა, სიმინდსა, შერისას, ფეტვსა, ცერ-
ცვსა და სხვას. ყოველიფერს სთესავენ შუა აზრილამდის, ხოლო ფეტვს
სთესვენ მისში. რაც შეესება ზოგიერთ საზოგადოებს, მაგალითად

*) რანგი თაფლ-ნარკვი არაჟია, ან თაფლ-ნარკვი წყალი. ი. ნ.

უშეულის და კალას, იქ ერთობ გვიან ითესება, რადგან გაზაფხული ერთობ გვიან დგება. ამ მხრით ყველაზე საუკეთესო მდგომარეობაშია ლატალის საზოგადოება, სადაცა შუა აზრილამდის ყოველიფერის თესვა გათავებულია, ხოლო კვირიკობისთვის (მკათათვის) დამლევს მომკიდია ყველაფერი. საქრთოთ უნდა აღვნიშნოთ, რომ თვითველ საზოგადოებაში სხვა-და-სხვა დროს იწყება ხვნა-თესვა და სხვა-და-სხვა დროს თავდება მკაც; მაგალითად, უშეულის საზოგადოებაში ითესება მასში, ხოლო მკიან მარიამობისთვის უკანასკნელს და ენკენისთვის ჰირველ რიცხვებში. თოვლი დიდხანს არ დნება თავისუფალ სვანეთში და ამისთვის, სადაც დათესვა უნდათ, იმ ადგილს მიწას აყრიან, რაც მალე აღნობს და აზარებს თოვლს. ხშირათ უნდა იღვარდეს და სხვა უბრალო ბაღახი მოერევა, ამისთვის მასში ქალები ხელით წმენდენ ყანებს. ყანას აქ ჭია არ უჩნდება და არც კალია ესევა, მხოლოთ სეტყვა აუუტებს და ხანდისხან თოვლიც მოუსწრებს, რაც დიდ ზარალს აძლევს ყანებს. მაგალითათ, 1903-ს წელში მარიამობისთვის ჰირველს ჩახეარში მოვიდა უშეულის და კალის საზოგადოებაში ერთის მტკავულის სისქე თოვლი, რამაც სულ განადგურა ყანები. საქრთოთ ყოველ ჭირსახელს მკიან, მხოლოთ ცერცვას გლეჯენ, ისიც აღაგ-აღაგ, თორემ იმსაჯ მკიან. ერთს და იმავე ყანაში ყოველ-წლითით ერთსა და იმსვე არ სთესვენ; სათესს ცვლიან ხშირათ. ხვნი კავ-სახნისით, რომელშიაც უბმენ ერთ უდედ ხარს, ხოლო ბელტების დასამტვრევათ ხმარობენ თახებს და მერმე კი, რომ ნათესი მოასუფთავონ, ხმარობენ თახებს და ბოლოს კი ფარცხს. საქრთოთ უნდა შევნიშნოთ, რომ თავისუფალ სვანეთში მშენიერი ხვნა-თესვა იციან, თუმცა, უნდა ვსჯათ ამისთანავე, რომ ერთობ ხელა მუშაობენ. მიწას, როგორც ზემოთ მაქვს ნათქვამი, თუ მერე-მერე წელიწადს ნაკელი არ მოაყარეს, ისე მოსავალს ერთობ ნაკლებს იძლევა. ბოსტნის და ბაღის მოშენებას აქ არ მისდევენ და აი ეს არის უმთავრესი მიზეზი, რომ კაცი აქ ძვირათ შეხვდება სუფრამე ხილს, გარდა გარეულის მსხლისა და ვაშლისა, რომლებსაც შემოდგომამე კრეფენ ტყეში. ამ მხრით სვანები ერთობ დაუდევრები არიან. სოფლათ სრულებით ვერ ნახავთ ხეხილს, თუ არა სკოლის ან მღვდლის ეზოში.

შინაურის ზირუტეების მოშენებასაც მასდევენ თავისუფალ სვანეთში. აქ უყვს შეძლებულ ოჯახს: ორი-სამი უღელი ხარი, შვიდი-რვა ძროხა, ორმოც-სამოცი თხა, ერთი ან ორი ცხენი, ათამდე ცხვარი და ამდენივე ღორი. ქათამს და ბატს ძვირათ შეხვდებით აქ; თუმცა თითო-ორიჯა ქათამი უოველ ოჯახში ჰყავთ, მაგრამ მათ გამრავლებას და მოშენებას არ აქცევენ უურადლებას. საქონელი მარტის დამლევიდან მწითობისთვის (ღვინობისთვის) დამლევაზე იკვებება კარეთ სათიბებში ან მთაში, ხოლო დანარჩენ დროს დაბმულია სახლში, სადაც ზომით ეძლევა საჭმელი. არ შემოიძლია ვსთქვა, რომ საჭმელი აკლდებოდეს ზირუტეებს, ხოლო მოუფლედობის და უსუფთაობის გამო ზირუტეები ერთობ სუსტდება ზამთრობით და ხშირათ ძლივს გააქვს სული გაზაფხულამდე. ცხვრის მოშენებას ისე არ მისდევენ, მხოლოდ იჭერენ რაოდენსამე სულს მატყლისათვის. მუფუტკრეობა აქ არ არის გავრცელებული.

რადგან თავისუფალ სვანეთს ირგვლივ აკრავს დიდი და თოვლიანი მთები, რომელნიც საყსუა არჩვით, ჯიხვით და სხვა კარეულის ნადირით, ამისთვის ბევრი მისდევს ნადირობას. სანადიროთ ხმარობენ კაჭიანს თოფს. წინათ უფრო გავრცელებული უოფილა ნადირობა; ახლა იმისთანა მონადირეები არ არიან. მოკლეულის ჯიხვის რქებს ინახავენ ანგარიშისათვის, აგრეთვე მონადირე თოფზედაც ინიშნავს რავდენი მსხვილი ნადირი მოუკლავს. ჯგუფ-ჯგუფათ ნადირობა არ იცინ, მხოლოდ ორი-სამი კაცი შეამხანაგდება და მიდის სანადიროთ.

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, სვანები მიდიან სამუშაოთ იმერეთში, სამეგრელოში, ოსეთში და რუსეთში. იმერეთში და სამეგრელოში მიდიან ზამთრობით და რჩებიან ადღკომამდის. იქ ისინი ბარავენ სავენახებს, იღებენ თხრილებს, ტყესა სჭრიან და აკეთებენ ღობებს. სხვა არავითარი სამუშაო არა აქვთ რა სოფლათ, თუ დიდი ზამთარი არ იქმნა, ხოლო დიდ ზამთრობაში სახლებსა თოვლავენ. გარდა ამისა, ისინი ხშირათ მუშაობენ შეშის და ხის სახერხავ ქარხნებში, სადაც კარგ ფულსა შოულობენ. რუსეთისაკენ მიემგზავრებიან მაისის შუა რიცხვებში სათიბავათ, საიდანაც წინათ კარგი ძალი ფული მოჰქონდათ, მაგრამ ახლა, რადგან სხვა-და-სხვა გვარი სათიბავი მანქანები იქნა შემოღებული, სვანების მუშაობა შემცირდა რუსეთში

(ჩრდილოეთ-კავკასია მაქვს სახეში, განსაკუთრებით თერგის ოლქი). იქიდგან დაბრუნებულნი ოსეთში მუშაობენ შუა კვირკობისთვიდგან ენკენისთვის დამღევამდის და მერმე ბრუნდებიან შინ და რჩებიან შემოდგომის გასულამდე.

თავისუფალ სვანეთში გაცვლა-გამოცვლას გავრცელებული; როცა რასმე უიღულობენ, სამაგიერო ნივთს, ადგილს ან ჰირტუეგს აძლევენ. ზაფხულში ზოგი შეძლებული სვანი უიღულობს ხარებს ოსეთში, ასუქებს მთაზე და ენკენისთვეში ცატკრში (ლექხუმშია) გამოჰყავს გასასყიდლათ ენკენობაზე. სხვათრიგ არა გამოაქვთ რა გასასყიდლათ. სვანეთში შემოაქვთ სავაჭროები, მაგ.: ფართალი, ღვინო, თუთუნი და სხვა-და-სხვა გვარი სავაჭროიმანობები. სავაჭროები შემოაქვთ თვით სვანებს ახლა, ხოლო ჰირველათ აქ ვაჭრობა ხელთ ჰქონდათ სომხებს და ლახამულელ სვანებს, რომლებიც, სვანების სიტყვით, ურიების ჩამომავალნი არიან. ფართალს არშინობით უიღულობენ, ხოლო სხვა სავაჭროებს თვალადათ; არავითარი საზომავი არ იციან. სვანებმა თვლა ათუელი იციან, მაგ.: ათი—სვანურათ იეშდ, ოცი—იერვეშდ (შემოკლებულია იორიეშდ=ორი ათი). საერთოდ ანგარიშის ნიჭი არ აქვთ სვანებს; აქ ძვირათ შეხვდებით სვანს, რომ ათასზე მეტი დათვლა იცოდეს; მიმატება-გამოკლებაც სუსტათ იციან.

VII

ოჯახის ზნე-ჩვეულებანი და სხვა ეროვნული თვისებანი.

უბრველესი ადგილი ოჯახის ზნე-ჩვეულობაში უჭირავს სიუვარულს. სიუვარული მამაკაცთა და დედაკაცთა შორის ერთობ გავრცელებულია; მაგრამ ეს სიუვარული ქმარსა და ცოლს შუა ისრე გავრცელებული არ არის. ქალები უფრო სხვებს ეტანებიან და კაცებიც ამასვე სჩადიან. გასათხოვარი ქალი ძვირათ შეინახავს თავის უბიწოებას გათხოვებამდის. ასეთ შემთხვევას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ქალს, როცა მომწითებული შეიქნება, თუ მანამდის არ არის დანიშნული, ნიშნავს ვინმე ახალ-გაზრდა. აი, ამ დანიშნვის შემდეგ არც ქალს შეუძლია სხვას გაჰყუეს და არც კაცს შეუძლია სხვა ითხოვოს, რადგან ესეთი შემთხვევა დიდ შულს და მტრობას იწვევს. საერ-

თათ უნდა აღვნიშნოთ, რომ გარყვნილობა ერთობ გავრცელებულია. დედაკაცებს იმდენი ჰატვიგი არ აქვს, რამდენიც მამაკაცებს; დედაკაცი სრული მონაა მამაკაცისა. ეს შით უნდა აინსნას, რომ სცოლას მამაკაცი უიღულობს, რისთვისაც იხდის სამს მანეთამდე ღირებულებს: ან მიწით, ან ჰირუტევიით, ან სხვა რაიმე ნივთეულობით. ცოლის ჰატვისნებას და უმანკობას ბევრათ არ აფასებენ; თუ თვით არ წაესწრო ქმარი ცოლის უჰატვისნობას სხვა კაცთან, ისრე კიდეც რომ გაიგოს, არაფრათ აგდებს და თითქმის მთქმელზე უფრო ჭყარი მოსდის, ვიდრე თავის ცოლზე. აქაიქ შეხვდება კაცი, რომ სვანს რი ცოლი უავდეს: ერთი მათგანი კანონიერია, ხოლო მეორე უკანონო. ხშირად კანონიერ ცოლს გააგდებს სვანი, რისთვისაც ცოლის ნათესავებთან მტრობა აქვს ამის გამო, და მოჭყავს სხვა. სვანებს ძლიერ ეზარებათ, ჭყარ-დაუწერელად დარჩენა; ამიტომ როცა მღვდელს არ შეუძლიან კანონით ჭყარი დასწეროს, ისინი მიდიან ძველ ჰანებთან და ისინი სწერენ ჭყარს... ცოლის სუიდეა ახლაც უცვლელათ არის შენახული ხალხში. სასიძომ უსათუოდ უნდა ჩუტანოს სცოლას დედ-მამას სასუიდელო. ხშირად იციან ის, რომ თითო წლის ბავშვებს დანიშვნენ ქალისა და ვაჟის მშობლები ერთი-ერთმანეთის თანხმობით, რისთვისაც სასუიდელსაც მიიღებს ქალის მშობელი. მოვლენ თუ არა დანიშნულები სრულს ასაკობაში, თუ მოეწონათ ერთმანეთი, შეუდლდებიან კანონიერათ თუ არა და, რომელიმე მათგანი სტოვებს მეორეს, რისთვისაც დატოვებულის მშობლები და ნათესავები შეურაცხყოფას არ ითმენენ და მოპირდაპირის სისხლით მოიბანენ ხოლმე. ამას მოჭყეება მოსისხლე მტრობა, რის გამოც არა ერთი და რი წვერი მოპირდაპირე მხარეებისა უნდა გამოეთხოვოს წუთი-სოთუელს. ისიც ხშირია, რომ კანონიერათ ჭყარ-დაწერილ ცოლს ართმევს უფრო ძლიერი სუსტს ქმარს, რისთვისაც უკანასკნელი სისხლს იძიებს და მანამდის არ დასტხრება, სანამ ან მოპირდაპირეს, ან მის რომელსამე ნათესავს არ მოჭყლავს. უკანონო ცოლი ისრე ხშირია, რომ მთავრობა იძულებული გახდა ამ სამი-ოთხის წლის წინათ დაენიშნა კომისია, რომელსაც საქმე რიგზე უნდა გამოეძიებია და კანონიერი ცოლები, რომლებიც ძალათ წართმეული უავდა ქმრის, უნდა დაებრუნებიათ თავ-თავიანთ კანონიერ ქმრებისათვის; მაგრამ კომისიამ თავისი მოქ-

მედებს სისრულეში ვერ მოიყვანა, ხოლო საქმე უფრო გამწვავა, რადგან გამოძიების დროს გაახსენა მოწინააღმდეგე მხარეებს თავთავიანთი შეუღლი და მტრობა. მე არ შეუუდგები ქორწინების სრული ისტორიის აღწერას, მხოლოდ აღვნიშნავ იმ დღეს, როცა ქორწინების ღზინი ხდება.

სასიძოსკან ქალის მშობლები იღებენ „ნაჭვლას“ *), რომელიც დამოკიდებულია სასიძოს ოჯახის სიმდიდრეზე; მაგალითად, თუ სიძის ოჯახობა მდიდარია, ის აძლევს: ორ ნაღჯომ **) ენას, ერთ უღელ ხარს, ძროხას და სხვა რაიმე წვრილმანს; ხოლო თუ ღარიბია, შეძლების დავგართ იხდის ნაჭვლას. დღიდან ნაჭვლასის მიცემის ორი წელი გადის ქორწილამდის და ხანდისხან უფრო მეტი. ქორწილის დღეს თვით ახლად დაკავშირებული მზახლები იჩიევენ. ამ დღისათვის ქალის ნათესავები პატიუბენ სამოც-ოთხმოც ქალსა და კაცს ნათესავებსა და მეგობრებს შორის. ქორწილი იწყება საღამოზე. ამ მოპატიუბულ ხალხს იმ დამეს ქალის მშობლები გაუმასპინძლებიან; ამ მზახულებში არც სიძე და არც მისი ნათესავები არ იღებენ მონაწილეობას. შუა დამეს რომ გადასტილდება, სიძისკან მოადის თორმეტი რჩეული კაცი, რომელთაც უნდა წაიყვანონ სასძლო. ამ ახალ-მოსულს თორმეტი კაცს ცალკე აჯდუნენ სტოლთან და პატივის სცემენ: მასპინძელი ცდილობს რაც შეიძლება მომეტებული პატივი სცეს მათ და დაათროს არაუით. დაახლოებით ნაშუადღევს მუსამე საათზე დგებიან სუფრიდან და მიუახთ ქალი სასიძოსთან, ამათთან მიუყება რადენიმე ქალის მშობლების სტუმარიც. გზაში სიმღერით, თამაშით მიდიან; ალაგ-ალაგ შეჩერდებიან, ფერხულს მართავენ და თოფებს ისწრიან. სასიძოს ოჯახში ორი ამოდენა სტუმარი (ნათესავები და მეზობლები სიძის) ხდება. ქალის მშობლები ამ დროსთვის წინ უგზავნიან მარხილით პურს, ხორცს და არაყს იმდენს, რომ იმ დამეს ვახშმათ და მეორე დღეს სადილთაც ეუოს უყვას. უკეთუ ამ ორს ჯერზე ქალის მშობლების გამოგზავნილი სასმელ-

*) ნაჭვლას იმ სასყიდელს ეძახიან, რომელსაც სასიძო აძლევს სასძლოს მშობლებს. ავტ.

**) ნაღჯომი მიწის ზომაა და უდრის ვარაუდით ას ორმოც ოთხკუთხ საყენს. ავტ.

საჭმელი დააკლდათ, დიდი სირცხვილია ქალის მშობლებისა და მუდამ ამას წამოსძახებენ ჩხუბისა და უკმაყოფილების დროს. ამ ორის ჯერის შემდეგ უოველივე ხარჯი სიძისა არის. ღვინის გრძელდება ორისაში დღე და მერმე კი იშლება. სიძე ღვინის დროს მსახურებს, რომ სტუმართ არაფერი დააკლდეთ და მით სირცხვილი არ სჭამოს. ამ დღიდგან ერთის ან ორის თვის შემდეგ ჯვარს იწერენ კეკელისაში, სადაც დაესწრება ორი ან სამი კაცი. საერთოდ ქორწილი შემოდგომაზე იციან და გასტანს შობის კვირამდე. ისინი არ ერიდებიან მარხვას. ვინც შემოდგომაზე ვერ ასწრობს, ის იანვარში და თებერვლის ზირველ რიცხვებში იხდის. ხშირად იციან ქორწილზე, სიმთვრალის გამო, ჩხუბი და სხვა უკმაყოფილება.

ვინაიდან თავისუფალ სვანეთში ქალები გათხოვებამდის არ იხანახანებენ თავის უბიწოებას, იმისათვის რომ შეიღი არ ეყოლოთ, ხმარობენ სხვა-და-სხვა ზომებს; ხშირათ სვამენ ისეთ წამალს, რომელიც სამუდამოთ უსძობს ნაყოფს. ფეხ-მძიმე ქალს გარეგანის ნიშნებით ხშირათ ატყობენ ვაჟი ეყოლება, თუ ქალი: თუ ქალი გაწითლებულია ფეხ-მძიმობის დროს—იმ შემთხვევაში ქალი შეეძინება და თუ გაფითრებული და ფერმიხდილია—მაშინ კი ვაჟი. მშობიარობის დროს ქალს ცალკე ოთახში აწვენენ, ხშირათ დარბაზში, სადაც თივას იხანახვენ ან და სხვა ადგილას; მშობიარობის დროს არ ესწრება ქმარი. აქ მხოლოდ ორი ან ერთი ან ორი გამოცდილი ქალი, რომელსაც შეგვიძლია ვუწოდოთ ბებია. ქალი რომ განთავისუფლდება, მოუწოდებენ მღვდელს და სახლს აკურთხებიან. მშობიარობის დღიდგან სამი-ოთხის დღის შემდეგ ქალი დგება ლოგინიდგან და მუშაობს საოჯახო საქმეებს. ორმოცის დღის შემდეგ სვანი მიდის მოძღვართან და აკითხებს გასწმენდ წიგნს. ტანისამოსის უსუფთაობის და სიბინძურის გამო, ხშირათ მშობიარობის შემდეგ ქალს უჩნდება ანთება (подильная горячка), რის გამოც ბევრი იხრება. მშობიარობის დროს ავთმყოფს ბევრი არაფერი მოვლა აქვს, თითქმის მშობიარის საჭმელიც არ განსხვავდება კარგათ მყოფისაგან. ბავშს სახელს არქმევენ ან ბაბუისას და ან სხვა რომელიმე მანლობელის ნათესავისას. დედა ან ძიძა ბავშს აწოვებს ძუძუს ორ წლამდე; აქ ბევრათ არ არჩე-

ვენ დედის და ძიძის ძუძუს. ბავშვები იმავე ტანსაცმელს ხმარობენ, რასაც დიდები.

ასაკობის დროს ერთობ განხიზვებულია ქალ-ვაჟთა შორის არშეყოფილობა. უფრო შესაფერ და თავისუფალ დროს ქალ-ვაჟნი გაზაფხულზე და ზაფხულში ჰოულობენ ტყეში, სადაც ან მწყესათ არიან, ან სათიბავათ და ან სხვა რამე საქმეზე. ვაჟები ხმარობენ რაღაც წამლებს, ვითომდა ქალების გულის მოსაჯადოებელს. როცა ქალიშვილს პირველათ მოსდის თვიური ანუ რიგი, მაშინ იმას შინ არ აყენებენ და გზავნიან ისეთ შენობაში, სადაც ადამიანი არა სცხოვრობს. როცა თვიური (რიგი) გაივლის, ნაკურთხის წყლით ასხურებენ და მერმე უშვებენ სახლში. ამას იმისათვის შვრებიან, რომ ამ დროს ქალებს, როგორც უწმინდურს ისე უყურებენ. აგრეთვე ეცქევიან გათხოვილ ქალებს.

თავისუფალ სვანეთში ყოფილა წინათ ჩვეულებათ ახალ-დაბადებულის ქალის მოკვლა, რისთვისაც, მათის რწმენით, შემდეგში ღმერთი ვაჟს მისცემდათ. ამ საზიზღარმა ჩვეულებამ იკლო თან-და-თან, მას აქეთ რაც მართლმადიდებლობის აღმადგენელმა საზოგადოებამ დანიშნა კანონიერი მღვდლები (მანამდის ჰაპები იყო) და ესლა ამ უკანასკნელ დროს თითქმის სრულიათ მოკლო ბოლო, მხოლოდ აქაიქ მიყრუებულ ადგილას კიდევ ასრულებენ თურმე, მაგრამ ძლიერ თარულათ, რომ მთავრობამ არ გაუკოს... მშობლები ზრუნავენ თავ-თავიანთ შვილებისთვის, მანამ ისინი სრული წლოვანები არ შეიქნებიან, ხოლო მერმე, თუმცა მშობლების მორჩილნი არიან, მაგრამ მტკრთან და მოყვარესთან ისეთი ხმა აქვთ, როგორც სხვა უფროსებს. შვილი სრული მორჩილია თავის მშობლებისა, მან უტყველათ და სიტყვის შეუბრუნებლათ უნდა შეასრულოს მშობლების ბრძანება. დედ-მამა შვილებს ერთხანით უყვართ, ხოლო შემთხვევას, რომ დედას უფრო მეტათ ჰატყვას სცემენ. რაც უფრო მეტად მოხუცნი არიან მშობლები, მით უფრო ჰატყვას სცემენ, რადგან ემინიანთ, არ დასწყევლონ; მშობლების წვეულებას და ღოცვას დიდო მნიშვნელობა აქვს. ნათესაობა და მოყვრობა, თუმცა იცინან, მაგრამ ქორწინების დროს მათ არავითარ მიზეზს არ აძლევენ, თუ მთლათ მახლობელი მკვიდრი ნათესავი არ არის, მაგალითათ, ერთი ძმა ქალს აძლევენ,

ხოლო მეორე ძმის თავის ძმის სიძის და მოჭყავს ცოლათ და სხვა ამ გვარათ.

რაც შეეხება მხიარულებას და მოწეუნას, სვანი ორშივე მგრძობიარეა და ადვილათაც ამტანი; არ ვიცი, ეს მგრძობიარობა გარეგნულია, თუ ბუნებრივი, ხოლო ეს აშკარაა, რომ, როცა სვანს ვინმე მოუკვდება, ის, სანამ მკვდარს დასაფლავებდეს, ერთობ სწუნს და ტირის, ხოლო როცა დასაფლავებს, მეორე დღეს მწუნარების ნიშანი გამქრალია. როგორც სიცილი, ისრე ცრემლი ადვილათ მოსდის სვანს მის სურვილისამებრ. როცა ერთი მეორეს შეხვდება ან ღზინში ან გზაში, თუ ორის-სამის დღის ერთმანეთის უნახავნი არიან, ჰკოცნიან ერთმანერთს. აგრეთვე იქცევიან, როცა ერთმანერთს ეთხევიან ან კოცნა და ხელის მოხვევა ქალსა და კაცს შორის არამც თუ არ არის აკრძალული, არამედ უფრო გაფრცელებულია. საუცხოვო სურათს წარმოადგენს, როცა ან ტირილი, ან ქორწილი, ან სხვა რაიმე წვეულობა თავდება: მთვრალი კაცები ეხვევიან ქალებსა და კოცნიან, სანამ არ მოსწყინდებათ. ხშირათ ორჯერ-სამჯერ მიუბრუნდებიან ერთმანერთს საკოცნავათ, თითქოს ეზარებოდესთ ერთმანერთის დაშორებას; ქმარი, ძმა, ან სხვა რომელიმე ნათესავი იქვე ახლოს დგას და უუერებს, როგორ კოცნის სხვა, მხოლოთ ხანდისხან დაუძახებს: „წამოდი აწი, დაგვაგვიანდაო!“ და მეტი არაფერი...

სვანს ძლიერ უჭირს კითხვის შეგნება ხოლო. მისი გონება ერთობ ნელა ვითარდება. მას ადვილათ შეუძლია მოციმინოსთ გრძელი და გაჭიანურებული ბასი, თუმცა, როცა რასმე ვერ მიხვდება, ჩაურთავს კითხვებს, რომ უფრო კარგათ გაიცოს. მესხიერება არ აქვთ რიგზე განვითარებული: ისინი გვიან იხსომებენ და ამ დასხომებულს დიდხანს ინახვენ. სვანმა ერთი თუ შეიგნო რაიმე, მერმე არ დააფიწვდება. ერთი სიტყვით, ბუნებას ნიჭით დაუჭილდოვებია სვანი, მაგრამ ის თავის ტაღანტს, ბორბტის მონისა არ იუოს, მიწაში ფლავს და არ ავარჯიშებს. სკოლაში ნამყოფის ბავშვის გონება უფრო მკვირცხლია, ვიდრე ისრე ბავშვისა (თუმცა ჰინველს ბევრი არაფერი გამოუტანია სკოლიდან).

კერძი კაცობა—მეგობრობა გაფრცელებულია თავისუფალ სვანეთში. მეგობარს შესაფერ ჰსტივის სცემენ, გაჭირების დროს დახმარე-

ბას უჩენენ და სხვა. დობილობა და ძმობილობა ხშირი არ არის სვანეთში და თუ არიან ძმობილები და დობილები, ისინიც ვერ ინახავენ ჰატიოსნათ დობილობას და ძმობილობას. დედობილობა, მამობილობა და შვილობილობა ერთობ ხშირია, მაგრამ ვერც ეს არის ჰატიოსნათ შენახული. სახელათ მიაჩნიათ ახალ-გათხოვილ ქალებს, რომ ახალ-გაზრდა უმაწვინელი შვილობილათ მოიკიდოს; ამას იკვების ის თავის ტოლებში, რომ მე ესეთი და ესეთი ჯიული შვილობილი მუყოსო. საზოგადოთ რავდენათაც ხალხი განათლებულია და განვითარებული გონებრივით, იმდენათ არშიუობა და სხვა მისი შედეგი უფრო ცავრცელებულია; ხოლო ხალხი რავდენათაც სწავლა-განათლებაში ჩამორჩენილია, იმდენათ არშიუობა ფარულია და ქალების გათხოვებაში მათი უმანკობა დაცულია წმინდათ. წინააღმდეგ მოვლენას წარმადგენს ამის მხრით თავისუფალი სვანეთი. აქ ქალების გათხოვებაში მათი უმანკობა არ არის ჰატიოსნათ დაცული: ხშირად ქალიშვილი ქალი თავის მეძაბაში ისრე აშკარაა, რომ დიდათ არ გაიჩივს როსკიპის და „დიდის ოჯახის“ ქალებისაგან. ეს ერთი შესამჩნევი ნაკლულებია სვანეთის ქალებისა.

VIII

ს ა რ წ მ უ ნ ო ე ბ ა .

ორმოცის წლის წინათ, სანამ მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება იუესს მოიღვამდა თავისუფალ სვანეთში და დანიშნავდა კანონიერ მღვდლებს და მედავითნეებს, აქ იყვნენ ადგილობრივი ჰაპები, რომელნიც ასრულებდნენ მღვდელ-მოქმედებას. ხშირად ჰაპებს მხოლოთ რაოდენიმე ლოცვა და თავისებური წირვის წესი ჰქონდათ გაზეპირებული და მეტი არა გაეკებოდათ რა. რა იყო სახარება ან საღმრთო წერილი, ბევრის მათგანისათვის წარმოუდგენელი იყო. აი ასეთი პირები განაკებდნენ თავისუფალის სვანეთის ბელ-ილბაღს და ისინი ეპატრონებოდნენ იმ ჰატარ-ჰატარა კოხტა ეკლესიებს, რომელთა სიმრავლეს მკზავრი განცვიფრებაში მოჰყავს და რომელთა აღმაშენებლათ თამარ დედოფალს რაცხვენ... ადგილი წარმოსადგენია, თუ როგორნი იქნებოდნენ სარწმუნო-

ნობის და ზნეობის მხრით ადგილობრივი მკვიდრნი ამ გვარ მწუქესთ-
მთავართ ხელში. როდესაც თვით ჰაპებს არ ჰქონდათ ხეირიანი წარ-
მოდგენა ღვთაებაზე, ხალხს რა წარმოდგენა ექნებოდა,—ეს უგელა-
სათვის აშკარაა. აი ამის დასასაბუთებლათ მოვიყვან ერთს მაგალითს
ნეტარ-ხსენებულის გაბრიელ ეპისკოპოსის ცხოვრებიდან. პირველათ
როცა განსვენებული სარევიზიოთ მოვიდა და წვირმისში იყო (იფა-
რის საზოგადოებაშია), მოისურვა ჰარაკლისის გადახდა; საუდრის სი-
პატარავის გამო, ჰარაკლისს გარეთ იხდიდნენ. ამ დროს ერთის მე-
დავითნის რჩევით ჰაპები შესულან და წირვას დადგომიან. მათი შე-
წუთობილი ჯალობა ეპისკოპოსის მკალობლებს ხელს უშლიდა და ამისა-
თვის განსვენებულმა სთხოვა ბლადოჩინს, აწ განსვენებულს იოს. ვა-
წაძეს, რომ გაეჩუმებინა ჰაპები. მან მათ გასაჩუმებლათ უოველივე
დონისძიება იხმარა, მაგრამ ჰასუხათ აი ეს მიიღო ჰაპებისგან: „თუ
თქვენი ლოცვა მოსწონს თქვენს ღმერთს, ჩვენი ლოცვა არ მოეწო-
ნება ჩვენ ღმერთებს, თუ როგორ გგონიათ?“ ჰაპებმა განაგრძეს
თავისი წირვა და მღვდელთ-მთავარმაც კათავა ჰარაკლისი. ნაშუად-
ღევს გაბრიელმა მიიწვია სალაჰარაკოთ ჰაპები, მაგრამ, რადგან უკა-
ნასკნელებმა ქართული ხეირიანათ არ იცოდნენ, ამისათვის სთხოვეს
თავად თენგიზ დადიშკელიანს თარჯიმანობა გაეწია, რაც თავადმა ჰა-
ტიოსნათ აღასრულა. განსვენებულმა ეპისკოპოსმა უთხრა: „რადგან
თქვენ ბევრი გიმსახურიათ და დიდი შრომა მიგიძღვით, მე ვთხოვ მთავ-
რობას, რომ ჰენსია დაგინიშნონ, თქვენ კი თავი დაანებეთ სამსახურს
და აცალეთ ახალს მღვდლებს ღვთის მსახურება“. ამაზე იმათ აი
რა მიუგეს: „ჩვენ ჯერ კარგათ შეგვიძლია და არც ჩვენი ღმერთები
წუნობენ ჩვენს სამსახურს და რაზე დავანებოთ თავი... ჩვენ არ
გვინდა თქვენი ჰენსია“. განსვენებული გაბრიელი ზეზე წამოიჭრა
და ჰკითხა: „რავდენია თქვენის ფიქრით ღმერთით?“ იმათ თითებზე
დაუწიეს თვლა: „ღამარია (ქალწული მარამი), მაცხოვარ, ჯგირაკ
(წმინდა გიორგი), ლეგურკა (წმინდა კვირიკე)“ და სხვანი... ამ ჰა-
სუხით განსვენებული დიდ-ხანს იყო განცვიფრებული, თითქოს გონს
ვერ მოსულიყო; ბოლოს აი რა უთხრა ჰაპებს: „ამ წუთში თვით
მთავარ-ანგელოზი გაბრიელი რომ მოვიდოდეს და მახარებდეს თქვენ

ცხონდებითო, მე ამ ხელებს იმ წამსვე მოვიჭრიო“... მაგრამ ამად იყო უოველივე სჯაბასი ჰანებთან.

აი, აქედან აშკარაა, თუ როგორ ესმოდათ სვანებს ქრისტიანობა გასულ საუკუნის მესამე წლებში, ხოლო დღეს ხალხმა ბევრით წინ წაიწია სარწმუნოებაში... აქ ახლა უოველ საზოგადოებაში არი ან ერთი ეკლესიის შტატია. აგრეთვე ქრისტიანობის აღმადგენელმა საზოგადოებამ გახსნა ექვსიოდე სამრევლო სკოლა, რომელმაც შესაფერი სამსახური გაუწია დღემდე სვანეთს...

თქმულებებში წმინდანებზე მხოლოდ ერთს ადვინიშნავ, რომელიც უფრო საუკრადღებოა. როდესაც მაცხოვარი ქვეყნად დადიოდა, ღარიბ-ღატაკს ეწეოდა და მრავალს სასწაულს შერებოდა, მან მოისურვა სვანეთში მოგზაურობა და სვანების მოქცევა; მაგრამ, როცა ლენტეხის საზოგადოებაში (ქვემო სვანეთში) შემოვიდა და დაინახა, რომ ცუდი გზებია, მობრუნდა, დაჰკრა ფეხი და წავიდა უკან. ახლაც უზენებენ იმ ადგილს, სადაც მაცხოვარმა ფეხი დაჰკრა; ეს ადგილი შემოკავებულა ლენტეხის საზოგადოებაში და ჰატარა ხატი ასვენია იქ.

უ ქ მ ე ე ბ ი :

შეშხვამ (ახალ წლის წინა დღე).

ზომხა (ახალ წლის დღე).

კვიძატ (ახალ წლის მეორე დღეს).

ადგომ (5 იანვარს).

განცხდაბ (განცხადება, ნათლის-ღება).

ჯოდი ჭამ (გრძელი დღეა—ნათლის-ღების შემდეგ პირველ ორ-შათს).

სიმნობ (მირქმა უფლისა).

მეისარაბ (ღიმვარის წინა დღე).

ღიმვარი (მეზვერეს და ფარისეველის კვირა).

ხვალმი (ხველის ღონის დღე, უძღების შათით). უველა ოჯახიდან გარეთ წავა ამ დღეს და შერებს აცხობენ, მამლებს კლავენ და მოხარშავენ და მერმე ჭამენ და ღონუღობენ, რომ ხველა არ დაუ-მართოს.

ველეიერ (ვეელიერი). არაყს სმენ და კვერცხს და ვეელს სჭამენ; ამ დროს ჩამოილოცავენ ვეელა წმინდანის კაკლესიებზე.

ფხუარუ (პირველი დიდ-მარხვის კვირა). სმენ არაყს და მშრალს ჰურს სჭამენ; მაცხვარზე ლოცულობენ.

ლითოდური (თევდორობა დიდ-მარხვის პირველი შაბათი). ლოცულობენ წმიდა თევდორზე; ბავშვები თქვილს ან გამომცხვარ ჰურს აგროვებენ და ჭამენ.

ხარაბ (ხარება 24 მარტი). ლოცულობენ ღვთისმშობელზე. თუ დასამუენი აქვთ, ამ დღეს მუნიან, მახებს და სხვას აკეთებენ.

ბაიამიშლადელ (ბაიობის კვირა— ბზობა). დიდი უქმია და ლოცვა იცინ ოჯახში.

თანფა ცააშ (დიდი ხუთშაბათი). ამ დღეს ვეელა ლოცულობს და უღაპარაკოთ ქალი ართავს და მერმე შეებაში ვეელს ფეხებზე და ხელებზე შავ ძათს; აღდგომას ვეელა ამ ძათს იხსნის და გადა-
აგლებს.

ჭერია მიშ (ეშმაკის კვირა; ვნების კვირა).

გირიანიტეშ გებიშ (ურიების ჰარასკევი).

ხონრა თანაფ (თანაბ სახრაბ) აღდგომა.

ლიჯერი დეშთიშ (გურთხევის ორშაბათი).

უფლიშ (თომას კვირა).

ხოშა თანიფ (დიდი აღდგომა). ეს უქმე გრძელდება თითქმის-
ამაღლებამდის.

ქაშეათობ (ქაშეეთობა) მენელ-საცხებლის კვირა. წმიდა გიორ-
გის კაკლესიაში დღესასწაულობენ; ამ დღეს ქეიფობენ.

ანღლაბ (ამაღლება). დიდი უქმეა.

ჭვინიშმოხსნაბ (სულის მოხსენება). იცინ სოფლათ, ვისაც კი-
ანალი მიცვალებული ჰქვას.

ჭულაშ (უოველთა წმიდათა კვირიაკე). ამ დროს ქეიფობენ და-
თოფებს ისვრიან.

პარზოლდაშ (პეტრე-პავლობა).

ახანახე (იფლისის პირველ რიცხვებში, თიზვის დღეობა), რა-
დროსაც თიზვას დაიწებენ, სვანი ჯერ დიდ ღვინის იხდის და მერე-
იწებებს თიზვას.

ელიობ (ელიობა, 20 ივლისი). ხარებს ჰკლავენ, სადაც ილიას ეკლესიაა და მსხვერპლათ სწირავენ; მთაში მანამ ამას არ მოიქედებენ თიბვას არ იწებენ.

ფერიცვალობ (ფერისცვალება).

ლიძრე (მარიობა). ამ დროს უგეგან სსსაფლავოებზე საკურთხი იცინ.

თავის კვეთა (ივანეს თავის მოკვეთა 29 მარამ.). დიდი მარხვა და უქმე.

ლაშარაა ლიფდგალ (ღვთის-მშობლის დაბადება). ფეტვის მოსავლის ლოცვა (ხონა მუხაკ).

ხალა მუკახ (ჯვართ-ამაღლება). მარხვა.

ბარბლამ (ბარბალობა) მთავარ-ანგელოზის ლოცვა. არაგინ დაუძახებს.

ტაძრობ (ტაძრათ მიუვანება).

შობ ქრისტემ (ქრისტეს შობა).

IX

ზნე-ჩვეულება თავისუფალის სვანებისა.

ა. კათხტაბაკ ანუ კონჩხობ.

კათხტაბაკობა ანუ კონჩხობობა არის დადებული მიცვალებულის სულის მოსახსენებლათ და იცინ შემოდგომაზე. ნამეტურ უფრო სშირია ქრისტეშობისთვის მარხვის წინ ადებების მიწურულს ორს კვირაში. მთელს ზაფხულს ასუქებს სვანი კათხტაბაკობისთვის ხარს. უკეთ თვით არა ჰყავს ხარი, მაშინ მეზობლისგან უნდა იუილოს და, თუ უიღვა არ შეუძლია, უნდა ისესხოს ხარი. კათხტაბაკობაზე ზოგი თითო ხარსა ჰკლავს, ზოგი კი ორსა; ეს დამოკიდებულია ოჯახის შეძლებაზე. ერთს მშვენიერს დღეს, ღვთის და მეზობლების შემწეობით, წამოაქცევს გასუქებულ ხარს, დაჰკლავს, დასჭრის ასო-ასოთ და მოხარშავს მთლად. ხარის მოსახარშავათ აქვთ სვანებს დიდი სშიღენძის ქვაბი, რომელშიაც რაც უნდა დიდი ხარი იყოს; მაინც ჩავა. ალაგ-ალაგ ისეთ ქვაბებს შეხვდებით, რომელშიაც ორი ხარი თამამათ ზადის. ხარს გარდა ჰკლავს სამ-ოთხ დროს. ამ დღისთვის ამზადებს

არაყსა და ჰურს. მთელმა სოფელმა იცის წინათვე ვისას და როდის არის კათხტაბაკობა. ამ დღეს ეგელა, დიდი და ჰატარა, მიეშურება იმ ოჯახისაკენ, სადაც კათხტაბაკობაა. ქალებს და კაცებს მიაქვთ თან კათხები, კალის ჯამები ან და თუნუქის ტოლჩები, ვისაც ეს უკანასკნელი აქვს. მიდის და მიდის ხალხი დიდიდგან მოკიდებული შუადღემდის. ეგელა დიდ ამბავშია, როცა ოჯახში შევლენ, ვითომ რასმე ვაკეთებთო, ხან ქვაბისაკენ გარბიან, რომელშიაც ხორცი იხარშება, ხან ცეცხლს შემას უკეთებენ, ხან კი სუფრას აქეთ-იქით დაარბენინებენ. ვინ ასწერს რა არ ხდება ამ დროს! ეგელა საქმობს და არც ერთი არაფერს აკეთებს. აბა ახლა შევიხედოთ, რა ხდება მასშინძლის სახლში. შემოაქვთ გრძელ-გრძელი სუფრები და იქ აწეობენ ეგელას ახლომხლო. მერმე შემოაქვთ საუკეთესო ნაჭრები მოხარშული ხორცისა და აწეობენ სუფრაზე. რას არ აწეობენ სუფრაზე! ვინ მოსთვლის რადა-რა არ არის დაწეობილი ზედი! არეულია ერთმანეთში ჰურები, ხაჭაპურები, ფეტვის მჭადები, ეგელი სხვა-და-სხვა ნაირათ გაკეთებული, ხორცეულობა ხარისა, ღორისა და ქათმისა, ვაშლი და მსხალი, ჯოხებზე სხვა-და-სხვა ფორმაზე დაწეობილი და სხვა რაც კი შეუძლია იშოვოს სვანმა ამ დღისათვის. ერთი სიტყვით, ხუთი-ექვსი სუფრა სავსეა ყოველიფრით. სუფრის ბოლოს სვანების საპატო სვამზე წამოკეპულია რაღაც არა ჩვეულებრივი არსება. როცა კარგათ დაუვირდებით, დაინახავთ რომ მოგრძო კრივისათვის ჩუტმეფათ ჩოხა-ახალუხი, დაუნურავთ ქუდი და წამოუსკუპებიათ ამ საპატო ადგილზე. იქვე ახლო აუღია კაჟიანი თოფი, ურომლისოდაც სვანი არ გაივლის არსად, მუჯურო, ქამარ-ხანჯალი და ჩოხა-ახალუხი; ეგელა ეს ეკუთვნის იმ მიცვალებულს, რომლის სულის მოსახსენებლათაც არის გამართული ეს კათხტაბაკობა ანუ კონჩხობობა. მოაწევს თუ არა ეგელაფერი რიგზე, მოუწოდებენ მღვდელს. უკეთუ მღვდელი არ არის შინ, მაშინ დაუძახებენ მეღავითნეს და თუ ეს უკანასკნელიც არ არის შინ, მაშინ მეზობლის მრევლიდგან უნდა მოიყვანონ მღვდელი ან მისი მეღავითნე. უღვდლოთ ან უმეღავითნოთ არ შეიძლება, რომ სუფრას მოუსხდნენ და ჰური სჭამონ. თუ მღვდელია, მაშინ ის მცირე ჰანაშვიდს გადაიხდის, თუ მეღავითნეა, მაშინ ის „ამინ, დიდება შენდა“-თი დაიწებს და „არამედ გვიხსენ ჩვენ

ბორცისგან“—ით გაათავებს. ღოცვების შემდეგ მღვდელი იქნება .თუ მისი მედავითნე, აიღებს ერთს კათხა არაყს და მიცვალებულის შესანდობელს დაღვეს. მას მიბაძვენ დანარჩენნიც და მერმე დროებით დაიშლებიან. ამ დროს შლიან ყველასათვის სუფრას და როცა მორჩებიან, მოიხატეუბენ ყველას. ყველა რიკ-რიკზე მიუჯდება სუფრას და დაიწეებენ ჭმას. ამ დროს მსხინძლის ოჯახობა ან მეზობლები დაატარებენ დიდს კათხებით არაყს, რომელიც ამხიარულებს გუფს მათსა. ადვილი შესძლებულია რომელიმე პირი დათვრეს და ჩხუბიც ასტეხოს, რაც ხშირია თავისუფალ სვანეთში. ტანისამოსი მიცვალებულისა მიაქვს მღვდელს ან მედავითნეს. როცა ჭმას გაათავებენ, დაიშლებიან და მიდიან თავთავიანთ სახლში. ამით თავდება კათხაბაკობა ანუ კონჩხობობა.

ბ. მიცვალებულის სულის გადმოსვენება სამშობლოში.

წინათ ძლიერ ძვირათ ნახავდა კაცი სვანს გარეშე ქვეყნებში ან სამუშაოთ ან სხვა რამე საქმეზე. ისრე მოკვდებოდა სვანი ხშირათ, რომ არ ენახა თავისი მეზობლები—ლეჩხუმელები, მეგრელები და რსები. ან კი როგორ გაბედავდა, როცა კაცი ერთი სოფელიდან მურორეში ველარ გადადიოდა მტრების შიშის გამო. ახლა კი თან და თან იწეეს გარე მხარეებში სიარული. შემოდგომამზე წამოიკიდებს სვანი თავის გუფსა და ნიჩაბს მხარზე, ჩაიღებს ბილეთს უბეში და მიემგზავრება ან იმერეთში, ან სამეგრელოში და ან აფხაზეთში სამუშაოთ. ზაფხულობით კი თერგის ოლქში მიდის სამუშაოთ, მაგ. სათიბავათ. აი ამ მოგზაურობის დროს კვდება რომელიმე სვანი. რადგან სვანებს ძლიერ უყვართ თავისი სამშობლო, ამისათვის ცდილობენ, რომ არც მიცვალებულის გვამი დატოვონ უცხო ქვეყანაში. თუ შოახერხეს და მთავრობის ნებართვით წამოიღეს გვამი, ხომ კარგი, რისთვისაც არ დაზოგავენ არც თუფს და არც სხვა რასმე, რაც კი გაანია სვანს. თუ მთავრობამ რამე მიზეზის გამო არ დართო ნება, მაშინ ქურდულათ, ღამით უნდა მოსთხარონ საფლავი, მოიხარონ გვამი და გამოუდგენ თავიანთ გზას. ხშირათ, როგორც გამოტანია სვანებისგან, უოფილა ისეთი შემთხვევა, რომ თავისი მიცვალებულის

მაგიერ მოუთხრიათ სხვა ვიღაც და შეცდომით მოუტანიათ სვანეთში. უკეთუ ვერც მოპარვა მოახერხეს, მაშინ უნდა მიმართონ უკანასკნელს და უკიდურეს საშუალებას, ე. ი. უნდა გადმოსვენონ მიცვალებულის სული თავის სამშობლოში. ამისათვის გაემგზავრება ორი კაცი: ერთს მიაქვს ჭიანური, მეორეს მიუყვს მამალი და მივლენ იმ ადგილს, სადაც გადიცვალა სვანი, რომლის სულის გადმოსვენებასაც ახირებენ. იქ დაიწებენ სიარულს. ერთი უკრავს ჭიანურს, მეორე, რომელსაც მამალი უჭირავს ხელში, უკან მიჰყვება. აგრე დადიან ისინი, სასამდის მამალი არ დაიუიფლებს. როცა მამალი დაიუიფლებს, რაც ნიშნავს მიცვალებულის სულის ჰოვნას, მაშინ ის, რომელიც ჭიანურს უკრავს, გამოუძღვება ჭიანურის კვრით წინ და მოდიან თავის სახლისაკენ. ხშირათ სულის მიქებულნი სამი-ოთხი დღე დადიან და მამლის უივიდს ელიან. მამლის სიჩუმე სულის არ ჰოვნას ნიშნავს. ნაპოვნს და სამშობლოში გადმოსვენებულ სულს მარხვენ იმ წესით და რიგით, რა წესითაც მარხვენ სხვა მიცვალებულებს. ეს ჩვეულება თან და თან ისპობა ახლდა.

გ. ა დ გ ო მ.

ეს სიტყვა ქართული ზმნისაგან „ადგომა“ წარმოსდგება და თავის მნიშვნელობას სვანურ ენაშიაც ინახავს. ამ სიტყვით ისინი იგულისხმებენ მიცვალებულის ადგომას. ამისათვის არის შეწირული ერთი დღე—სახელდობრ ნათლილების წინა დღე, და ამ დღეს სვანურათ „ადგომ“-ს უწოდებენ. ამ დღეს არაფერს მუშაობს, უველა რაღაცა საქმეშია და ხშირათ იხსენებენ თავ-თავიანთ მიცვალებულებს. საღამოზე უველა ოჯახში აკეთებენ კორკოტს და, როცა მოუსხდებიან სუფრას, ჯერ გაიხსენებენ მიცვალებულებს და მერმე დაიწებენ ჭამას. სვანების რწმუნებით, ამ დროს ადგებიან უველა მიცვალებულები, მოდიან თავ-თავის ნათესავებთან და მათთან ერთად სჭამენ კორკოტს.

დ. ლ ი მ პ ა რ ი ე ლ.

ეს სიტყვა სვანურია და ნიშნავს ანთებულ ჟინჟღილს, რომელსაც უოველ სოფლებში ანთებენ. ეს დღესასწაული მოძრავია. თავი-

სუფალ სვანეთში ღიმიარული იციან უველიერის ორი კვირით წინ, ე. ი. მეზვერისა და ფარისეველის კვირაში. ამ კვირისათვის დაკლავენ ერთ დიდ გასუქებულ ბურვას, გამობდიან არაყს, დაამზადებენ ზურს და მომზადებენ ერთის მახლობელის მეზობლის ოჯახობას, რომელიც შემდეგ ამ წლისთვის ვაღდებულა მიიზტიკოს ეს ოჯახი. დიდი და ზატარა მოწვეულის ოჯახისა მიდის დანიშნულ ადგილას და ჭარს და სვამს რავდენიც შეეძლება. სამი დღე ასრე უნდა გაუმასხინებდეს თავის მეზობელს და მერმე კი გაისტუმრებს თავის სხლისაკენ. ამ სამ დღეში დიდი ზატივის ცემა იციან, როგორც თავიანთების საერთოთ, ისრე გარეშეებისა. ხორცი, ზური და არაუი უველას ბევრი აქვს და მაშინ იჩენენ სტუმართ-მოყვარეობას. ჩხუბიც ხშირია ამ დროს, რადგან არაყს ნამეტურ ეტანებიან მაშინ სიცივის გამო და მთვრალი კაცი სულ უბრალო მიზეზს აჩენს და იმაზე სტეხს ერთ აუღ-მაუღს. ღიმიარულს მიუყვება ზატარ-ზატარა დღესასწაულები, რომელნიც მკითხველისათვის იმდენათ საინტერესონი არ იქნებიან.

ე. უფლიშვიტი.

დიდ-თანაფის, ე. ი. ხალ-კვირის შემდეგ, ზირველ ორშაბათს „უფლიშვიტს“ ეძახიან. უფლიშვიტს სულ სხვა-დასხვა ნაირათ დღესასწაულობენ უოველ სოფელში. ამ დღესასწაულს იხდიან ორი, ან სამი ან და ოთხი მოსახლე ერთად: ერთ წელიწადს რომ ერთისას იქმნება გაღანდილი, მეორე წელიწადს მეორისას და მესამისას... ის, რომლისასაც იქმნება გაღანდილი, შემოდგომაზე ჩამობოჭავს ზურს იმ მეზობლებისაკან, რომელნიც მისას იქმნებიან უფლიშვიტზე; თითო კაცის სულზე თითო კარვა ზურს აიღებს. მთელი შემოდგომის და ზამთრის განმავლობაში საგანგებოთ ასუქებს ერთ ხარს, რომელიც ორშაბათობით არ მუშაობს. დიდ-თანაფობის, ე. ი. ხალ-კვირის ორშაბათს წამოაქცევენ და დაკვლენ ამ ხარს, მერმე მოხარშვენ და ჭამენ. ამ დღისათვის ის მეზობლები, რომელნიც მონაწილენი არიან, დაუზატიკებლათ მოდიან დიდი და ზატარა. ზირველს სამს დღეს დიდი ამბავი აქვთ; ბავშვები ამ დღეებში სასწაულე-

ბელში არ მიდიან. თვით მშობლები წინდაწინ სთხოვენ ამის შესახებ მასწავლებელს და მასწავლებელი იძულებულია დააკმაყოფილოს. სამი დღის შემდეგ ისევ დაიწვიებენ მუშაობას დრო-გამოშვებით, ხოლო დიდას სადილისათვის და საღამოს ვახშმისათვის იურიან თავს იმავე ოჯახში. ასრე გავრცელება სანამ იმ დაკლული ხარის ხორცი არ დაილევა. ხან შეხვდება ორ პატარა ოჯახს უფლებიერი კაცისა, რომელიც გრძელდება თითქმის ერთი თვე. ჩხუბი და უწესობა ამ დღესასწაულზედაც ხშირია, რადგან არაყი ბლომით აქვთ.

შობასა და აღდგომას იმდენი პატივი არ აქვს, რა დღეებზე ამ ზემო-აღწერილს დღესასწაულებს. აღდგომას სვანები თანაფს ეძახიან, ხოლო ახალ-კვირას, როცა უფლებიერს იხდიან, დიდ-თანაფს ანუ დიდ აღდგომას.

X

ზეპირ-გადმოცემები, გაცონილი თავისუფალ სვანეთში.

ა. ქუთაისის გადაწვა სვანებისაგან.

ძველ დროში, როცა თავისუფალი სვანეთი განთქმული იყო ომში და მეფეს არ ემორჩილებოდა, სვანები რაღაც მიზეზით დაემდურნენ იმერეთის მეფეს და გამოეცხადეს ომი. მამასახლისებმა მოუწოდეს რაც შემოძრია და ომში გამოსადეგი კაცი იყო და ერთის მამასახლისის წინამძღოლობით გაემგზავრენ იმერეთისაკენ. ლატყარის მთაზე რომ ავიდნენ, უფროსმა უბრძანა მოეტანა თვითვე კაცს თითო ქვა და დაეკლათ ერთ ადგილს, უკან დაბრუნებისას აგრეთვე უნდა მოქცეულიყვნენ და მით გაიგებდნენ, თუ რა დღე იქნა მათი-კაცი დააკლდათ ომში. სვანებმა გაიარეს ლეჩხუმი, გაუფრინეს რიონის ხეობას და თავს დაეცნენ ქუთაისს და ცეცხლი წაუკიდეს. შემდეგ ქვემო იმერეთის სოფლებში ბეგარა აიღეს, გამოიარეს ხონი, მთხილჯი და მიადგნენ ცხენის წყალს იმ ადგილას, სადაც ახლა ბომბუას ხილია. რადგან მაშინ ხილი არ იყო, ვაზისაგან გააკეთეს ბონდი, რისთვისაც ახლაც ამ ხიდს ჰქვიათ ბომბუას ხილი. გასვლის დროს ხილმა ვეღარ გაუძლო, გაწედა, ზოგი წყალში ჩაცვივდა და დაიხრჩო, ზოგი კი იქითა ნაპირას დარჩა, წყალში ვეღარ გამოვიდა და იქვე დასახლდა.

ამიტომ არის, რომ ზოგიერთ გვარს ქვემო-იმერეთიდან შესწირი მოაქვს სვანეთში. რადგან სვანებს ბევრი დააკლდა, ამისთვის დადიანს ჩხუბი ვეღარ გაუბედეს და უკან დაბრუნდენ. როცა ლატფარზე ამოვიდნენ, ისევ მოიტანეს თითო ქვა, დაუარეს ერთ ადგილას და შეხედეს, რომ ძლიერ ცოტანი დაბრუნებულან შინ, რამაც ძლიან დააღონა როგორც უფროსი, ისე სხვები. ახლაც არის ორს ადგილს მოკროვილი ქვები; ერთ ადგილს უფრო ბლომით ურია, მეორეზე უფრო ნაკლებათ. ეს ზეპირ-გადმოცემა, უკეთუ სინამდვილეს მოკლებულია არ არის და მეტის-მეტად გადაჭარბებული, ჩემის აზრით უნდა ეკუთნოდეს მეჩვიდმეტე საუკუნეს.

ბ. გიორგი რუსის დაქერა და ბაწრით ჩათრევა თბილისამდინ.

თამარი მოატყუილეს და უცნობს ხელმწიფის შვილზე გიორგიზე ჯვარი დასწერეს. მართალია, გიორგი რუსი ხელმწიფის შვილი იყო, მაგრამ ცუდი ჩვეულება ჰქონდა: არაჟს და ღვინოს სვამდა ბლომით და სიმთვრალის დროს თამარს აწუხებდა. დიდხანს უთმინა გულკეთილმა თამარმა, ბოლოს გიორგი რუსი რომ ზომას გადასცდა, გააგდო თფილისიდან. ეს გიორგიმ იუკადრისა და საბერძნეთში გავიდა, იქ ბერძნები ააჯანუა ქართველების წინააღმდეგ, მოკრიბა ჯარი დასაფლეთ-საქართველოში და უბირებდა მთელ საქართველოს აოხრებას, რასაკვირველია სვანეთსაც, რადგან სვანეთი მაშინ საქართველოს სამეფოს ეკუთვნოდა. თამარმა აღარ აცალა ბევრი, წინ შეხვდა თავის ჯარით და სულ ამოწვევითა გიორგის ჯარი. მაშინ გიორგიმ უშველა თავს, გამოიქცა სვანეთისაკენ და ამოვიდა უშკულში (გზა კარგად იცოდა, რადგან თამარს ორი საზაფხულად სსახლე ქონდა უშკულში, სადაც გიორგიც მოდიოდა უწინ ზაფხულდობით). უშკულიდან ოსებში აპირებდა გადასვლას და მერმე რუსეთისაკენ გაქცევას; მაგრამ უშკულს ბედმა. უშკულელებმა გაიგეს თუ არა გიორგის გაქცევა, გამოედევნენ უკან და შუა გზაზე ოსეთსა და უშკულს შუა დიჭირეს. ჩახბეს ღვლეჩვი და ისრე ჩაათრიეს თბილისამდინ, იქ თამარ მეფეს

გადასცეს და უკან დაბრუნდნენ. მას შემდეგ აღარ იცინა რა დაემართა გიორგის.

გ. ღვთის მშობლის და მღევის ჩხუბი.

უშუულის ღამარია (ღვთის მშობელსა ჰქვინან) მეტის მეტად ღამაზი იყო. ძლიერ მოეწონა მღევს ღამარია და მობინდომა მისი შერთვა, მაგრამ ღამარია არ დათანხმდა და მღევს უარი უთხრა. სიტყვით რომ ვერა გაახერხა რა, მღევმა მობინდომა ძალით დამორჩილება ღამარიასი. ამისათვის აირჩია ერთი ვიწრო ადგილი ენგურის ხეობაში ს. კალასა და უშუულის შუა, ამოაშენა ქვითაგირით და მით ენგურს მიმდინარეობა შეუწყვიტა; წყალი იმდენი დაგუბდა, რომ უშუულამდის აიწია და სულ დაფარა ვაკე ადგილები. სოფელი ძლიერ შეწუხდა, რადგან სულ წაუფლკა წყალმა უანები. ამაზე ღამარიას გული მოუვიდა და გამოუშვა ვერძი, რომელსაც კალის ლეგურკამ (წმიდა კვირიკემ) თავის ვერძიც მიაშველა. ორივენი დაეჯახნენ ქვითაგირს და გაანგრიეს. ახლაც უჩვენებენ ამ ქვითაგირის ნაშენებს სვანები. მეც ვნახე ჩემის თვალით, მაგრამ ახლაც არ მივსულვარ, რადგან ვერ მივუღებ და, შორიდგან რომ შევხედე, მართლა ქვითაგირის ნაშენი მეგონა.

დ. იჯარის აღება ოსებისგან. (ნამდვილი ამბავი).

წარსულის საუკუნის მესამეტე წლების შემდეგ მუღახის სამამასახლისომ მობინდომა იჯარის აღება ოსებისგან, რადგან რუსების გაბატონების გამო, ოცი წელი იქნებოდა ოსებისგან იჯარა არ აუღოთ. შეიკრიბნენ მარჯვე ბიჭები და გაუდგნენ გზას. როცა მთა გადაიარეს და მიუახლოვდნენ სათიბებს, სადაც ოსებს ჯოგები და კარგები ჰქონდათ, ჩასაფრდნენ ტყეში და დაუწვეს ღოდინი დაღამებას. როცა დაღამდა, ოსებმა ჯოგები კარგების ახლო მორკეეს და თავითონ კარგებში შევიდნენ დასაძინებლათ. ცოტა რომ მიუძინათ, ორთლი სვანი მიაღდა თითო კარავს თოფების სროლით და უვირილით; ოსები ჯერ გონზე ვერ მოვიდნენ, როცა გამოეღვიძათ, შიშისაგან გარე გამოსვლას ვერა ბედავდნენ. ამისობაში რადღენიმე სვანმა გამოირკვა

ჯოგები და გაუდგა გზას; დანარჩენებიც უკან გამოეყვნენ. როცა მიწინარდა ხმაურობა და თოფის სროლა, ოსები გონს მოვიდნენ, მიხვდნენ რაშია იყო საქმე და გამოუდგნენ უკან სვანებს. მაგრამ ვერაფერი დაატოვებინეს. სვანებმა შეორე დღეს ჩამორკვეს აუარებელი ჯოგი თავის სოფელში და დიდ ნადიმსა და ღვინის მიეტნენ. ამასე ოსებმა იჩივლეს კავკასის სსსამართლოში, რადგან ისინი თურგის ოლქისა არიან. დიდხანს იყო გამოძიება და საქმის გარჩევა, მაგრამ საქმეს მაინც ბოლო არ მიეტა. ამასობაში სვანების იდებლათ დაიწვა თურგის ოლქის სსსამართლო და იმასთან ერთად ამ საქმის ქაღალდებიც. მას აქეთ ეს საქმე არ აღძრულა. ახლაც არიან ის ჰირონი, რომელნიც მონაწილეობას ღებულაბდენ ამ საქმეში.

ნიკო ჩიმაკაძე.

1905 წ.

გ ე ბ ი რ თ ი მ . უ ლ მ ბ ა ნ ი

იმერეთის მეფის სოლომონ დიდის დროიდან.

I. ხრესილის ომი.

ოსმალეთის ხონთქრებმა გადაწვეიტეს საბოლოოთ დაემორჩილებინათ იმერეთი, სანამ ეს სამეფო მოასწრებდა რუსეთთან მჭიდრო კავშირის შეკვრას. ამ სათუო დროს იმერეთში მეტობდა სოლომონ ჰირველი, სამშობლოს წინაშე სამსახურისათვის „დიდათ“ წოდებული, ნიჭიერი სარდალი, მოხერხებული გამგე (ადმინისტრატორი) და შორს გამჭვრეტი ჰოლიტიკოსი. როცა ახალციხის სერასკირს მოუვიდა ბძანება, რომ დიდძლის ენგიჩარის დაშქარით შესეოდა იმერეთს და სრულიათ დაეპურო, სოლომონ მეფემ შეიგნო, რომ ეს ომიანობა იყო მისი სამეფოს ბედის და უბედობის გადაწყვეტი, მთელი სამეფო ფეხზე დააყენა, შემოწათ ვინც ვარგოდა, ყველანი თოფ-იარაღში ჩასსა და დანარჩენი მცხოვრებლები განიზნა რაჭა-ლეჩხუმის მთებ-

ში. მთავარი ჯარი, რომელშიაც იყვნენ თავიანთი მხედრობით ოდიშის მთავარი, ცოლის ძმა მეფისა, და გურიელი კრისთავითურთ დახანაჟა ქუთაისს ზემოთ, ოკრიბაში, სოფელს ხრესილს, იქ, სადაც ორმოციოდე ქტევა ვაკეს ირგვლივ ტუით შემოსილი მთები შემოტემა. დასვლეთით და აღმოსავლეთით ამ მთებში ბუნებას დაუტანებია თითო ხევი—კარები—ას-ასიოდე მხარის სიგანე, ერთი ქუთაისის მხრით და მეორეც სწორისაკენ. აი აქ უზირებდა სოლომონი სერასკირს შეტუეუბას და ბედის გადამწვევტი ომით შებმას, რომ ან თვით დაღუპულიყო, ან მტერი გაეწვევტა ისე, რომ მთხრობელიც არ გაეშვა შინ. სამეფო საზღვრებზე—ზეკარს, სალაშქროს, კაკას ხიდზე, ხანის მთაში და ხევში მეფე შეხვდა მტერს მხოლოდ თარეშული ომით. ჰატარ-ჰატარა გუნდებთ დაყოფილი იმერეთის მხედრობა ხან აქ დაეცემოდა თავს ოსმალოს ბანაკს, ხან იქ, მოუკლავდენ რამდენსამე კაცს და, თვითონ კი თითქმის უვნებლნი მოჩვენებასავით იმ წამსვე ქრებოდენ უგზო-უკვლათ. ოსმალების ჯარს შეუმჩნეველათ აკლდებოდა მეომარი-მეომარზე, მარა, ერთ თვალ-უწვდენელ ჩეთეთ¹⁾ დარაზმული, მანც მიდიოდა თანდათან წინ, და იმერლები კი იხევიდენ უკან. მდ. ყვირილასზე ფონში გასვლის შემდეგ სერასკირს ერთი იმერელიც არ გადადებია წინ: მოთარეშენი თითქო გაწვიდენ.

ქუთაისი უომრათ დაიკავა მტერმა. სერასკირმა მოინდომა ქუთაისში ფეხას მოდგმა. მას უნდოდა ქუთაისი ოსმალების ცინე-ქალაქთ გადაექცია, აქედან განეგო, სათვალდათვალთ ვითომ დამარჩილებული, ზეკანი და ქვემო-იმერეთი, გაეტეხა გურია და ოდიში, და რაჭა-ლეჩხუმის და ზემო-იმერეთის დაპურობას კი მერმე შედგომოდა.

სერასკირი თავისთვის კაი ჭკუაზე იყო, მარა არ მოუსვენეს მისმა დამჭაშებმა, ყველაზე უფრო კი — ლევან აბაშიძემ, არგვეთის მებატონემ და სამშობლოს მოღალატემ.

ეს აბაშიძე თავის თავს არგვეთის მთაურათ სთვლიდა. მეფე კი

¹⁾ ჩეთე ჰქვია ოთხ-კუთხათ დარაზმულ მხედრობას, კარრეს. ლაშქარი ასე დარაზმდება მხოლოდ დიდ გაჭივრების დროს.

მარტო მეპატონე თავადის ქერქში აუენებდა მას, და გარეშე ამისა სძალობის ნებას არ აძლევდა. ეს იყო მიზეზი, რომ ჰირველ შემთხვევისათნავე აბაშიძემ თავი დაუკრა მტერს, აღუთქვა სამშობლოს დაპყრობაში შემწობა და სამაგიეროთ ჩამოართვა სიტყვა, რომ სა-მეფოს დაპყრობის შემდეგ მას დანიშნავდენ არგვეთის დამოუკიდებელ მთავრათ და იმერეთის გამგეთ. სერასკირის განზრახვა კი ბოლოს უღებდა მის ოცნებას მთავრათ და იმერეთის გამგეთ განდომისას. ამიტომაც ყველაზე უფრო ის შეუჩნდა სერასკირს: „სდიე მეტეს, სანამ მირბის! მისი ერთგულები ახლა წელ-მოწვევტიდნი არიან... მეფის ლაშქარი, რომ გკონიათ, იმაზე უფრო მოშლილია; მთებში მიტომ იმალებიან, რომ ვაკეში თქვენი ეშინიათ, დიდი ზავთი აქვს ახლა ოსმალოს იმერეთში! მერწმუნე, სერასკირო, დაეწიე შენს გაქცეულს მეფეს, შეები და ხელში ჩიგდებ მასაც და მის ერთგულ მთავრებსაც! ერთ დღეს შესძენ ხონთქარს მთელს იმერეთს გურია-ოდიშინათ! თუ ხონთქარის ერთგული ხარ, ახლა გაქვს დრო მისი ხმალი მოჭვირო! შენ თუ გეშინია, მე წავუძღვები შენს ლაშქარს ჩემი ერთგული მარგველებით“!..

აბაშიძეს ბანს აძლევდენ სერასკირის ფაშები და ბეგები. ფრთხილი სარდალი დაიყოფიეს ნებას. ოსმალოს ჯარი გაემართა ოკრიბისაკენ გოდოგინის გზით. გზის მარჯვენებლათ უავდათ ლევან აბაშიძე და მისი ერთგული მარგველები.

მტერი გაება დაკეზულ მხეში: სამშობლოს მოლაღატემ, ანგარებით გონება-დანეულმა და თავქედობით თვალ-დამდგარმა, ოსმალოს ლაშქარი გაიყვანა სწორეთ იმ მთებ შუა მოქცეულ ვაკეზე, სადაც კაი-დიდი ხნიდან მომარაკებული იყო მეფე სოლომონი. ზურგის ჯარის უკანასკნელს ენგიჩარს გაულილი ჰქონდა ამ მთებ შუა შესავალი (დასავლეთის) ბუნებითი კარი, და წინა რაზმი ის იყო გადიოდა აღმოსავლეთით გასავალ ხევში, რომ მთებიდან ირგვლივ, როგორც ერთი ლუდიდან, ისე გაფარდა რამდენიმე ათასი თოფი... ბეგრი ვაჟაბი, მოცული ბალახსავით, ჩაკეცა მტრის რაზმებში, წინა რაზმმა მიაშურა უკანს, უკან ეტკერა მოწინავეს... აირია ლაშქარი! მთებიდან მოდიოდა ტყვიების სეტყვა და სანამ ოსმალები გონს მოვიდოდენ, მათი სისქე ძალზე შეთხელდა. რამდენჯერმე სცადეს გაქ-

ცევა, მარა გზა უოგელი მხრით შეერული ჰქონდათ სოლომონისაგან. იარაღის დაუკის და დამორჩილების მეტი საღსარი არ ჰქონდათ თს-მალებს, მარა ეს გულშიც არ გაუფლიათ, იმდენათ დიდი იყო მათი სავაჟვაცო ამხარტაგნება. თითოეულმა ენგიჩარმა თითქმის უთქმელათ, თავის გულში გადაწევიტა ცოცხალი არ დანებებოდა იმერელს, და რაც შეიძლებოდა ძვირათ დაესვა მისთვის თავისი სიცოცხლე. ახაში-ძის რჩევით სერასკირმა მიუშვა ჯარი იერიშით სწორეთ იმ ადგილს, სადაც წარმოუდგენელი იყო ჭკუათა მუოფელი კაციისათვის. ის იყო უმაღლესი გორა იმ მიდამოში და ჰქონდა ერთობ დაქანებული, ბურ-ქნარითა და იქა-აქ ხეებით შემოსილი კალთები. მწვერვალზე ბძინდე-ბოდა თვით მეფე თავისს ამალით.

მეფის ამაღას შეადგენდენ „დიდი ნომარი“ (ვეტერანები; კაცები, ათასნარი გაჭივრების ქარ-ცეცხლში გამოვლიდნი, ომებში მონათლულნი და ბრძოლის ველზე აღზრდიდნი. არც ერთი სამხედრო უცაბედობა, სხვებისთვის გასაოცარი, მათთვის საკვირველს არას მოასწავებდა, მარა ამ კადნიერმა იერიშმა, სასიკვდილოთ განწირულთაგან თავზე ხელალებით მიტანილმა, ისინიც კი წამისათ შეაცბუნა და გააშტერა. პირველათ გავარდა მეფის თოფი და შემდეგ იქნეს ამალის შშხანებმა. ოსმალთ რაზმს აკლდებოდა იმდენივე მეომარი, რამდენი თოფიც სოლომონის მეომრებისაგან იცლებოდა, რადგანაც ისინი ესროდენ შტერს ნიშანში ამოღებით, სასროლ მანძილზე, ზევიდან ქვევით. ოსმალნი მაინც შეუმდრკალათ აღიოდენ მთის ფერდობზე, მოცეული რაზმის წილ ჩნდებოდა სხვა, ახალი რაზმი. ისინი ეძებდენ სიკვდილს და ჰპოებდენ კიდევ! მათს სიმრავლეს ვერ აღიოდდა, ვერ უთავნდებოდა მეფის ამაღის ტუფები. რამდენსამე ათიოდე წამს შემდეგ ოსმალნი მაინც აფოფხდენ მთაზე და ხელჩართულით დაეკიენ მეფის მხლეთ.

ამ დროს, ერთი ვიდაც ოკრიბული „გლეხი“, გვანათ ბრეგვადე, ზორობა ტანადი და დიდი ხმის მექონი ავიდა უზარ-მაზარ მუხაზე და გრკვირვასავით გადმოძახა მთელს იმ არე-მარეს, რამდენჯერმე განმეორებით:

— „გამარჯვას იმერეთის მეფემ, წახთა თათარი!“ ამ გადმოძახ-

ხეობა გამხსნევა მამულის დამცველნი და შეაძრწუნა მტერი. მეფეს დანარჩენი ჯარი მოეშველეს ამ სხიფათო ადგილს.

მათ მიშველებაშდის მეფის დროშა ხელთ იგდეს აბაშიძის მარ-გველებმა, რომლებსაც, როგორც იმერლებს, ქართველთავე ეცვათ, იმ აურ-ზაურში მეფის მცველებმა თავისიანებში ვერ გააჩნიეს და ახლან მიუშვეს დროშასთან. იგდეს თუ არა ხელთ დროშა, იმ წამსვე გადას-ცეს იგი აბაშიძეს და იმან კი მიაართვა იგი სერასკირს, რომელიც უკვე დალატს წამებდა სამშობლოს მოლაღატეს.

— „ჩემს თამარს მივცემ ცოლათ, ვინც იმ დროშას გამომი-ტანს!“ გასძახა თავის ჯარს სოლომონმა.

საუკეთესო ვაჟკაცი ჭაბუკები—ცალკე სახელის და ცალკე ფის-უთქმელი ჯილდოს შოვნით გატაცებულნი შეეჯიბრენ ერთმანეთს სა-არაკო მამაცობით და თავგადადებით შეიჭრენ მტრის ჯარის შუა-გულში.

სულ მოკლე ხანში დროშა მართავა მეფეს გურიის ერისთავმა¹⁾.

ბრეგვაძე კი მუხიდან სულ გასძახოდა:

— „გამარჯვა იმერეთის მეფემ, წახთა თათარი!“

ღევან აბაშიძე ცხენ-და-ცხენ თოფით მივიდა იმ მუხსთან და დაუწყო ხის კატარს ცქერა—უთუოთ იმისათვის, რომ ბრეგვაძე მო-ეკლა. ბრეგვაძემ უმაღ დანახა აბაშიძე, იცნო და, რა კი იცოდა, რომ ქვეყნის მოლაღატე იყო, დაასწრო, ჰკრა თოფი თავის ქალაში და იქვე სული გაათუნობინა.

ერთმა ოდიშელ მხედართაცანმა, გვართ ლოლუამ, შეიპურა თვით სერასკირი და მიჰგვარა მეფეს²⁾.

სერასკირის ცოცხლათ შეპურობამ გული გაუტეხა დანარჩენს ენ-გიჩარების ჯარს და იარაღი დაურევიანა.

გამარჯვება იყო სრული, დიდ-მნიშვნელოვანი, მთელი დასავლეთის საქართველოს აღმაერთოვანებელი.

მეფე დაბანდა თავის კარვის წინ. დაშქარმა იწყო მეფის წი-ნაშე მისალოცავათ დენა რიგ-რიგათ. ოდიშისა და გურიის მთავრე-ბის შემდეგ მიულოცეს შიდა-იმერლებმა, შემდეგ გურულებმა და

¹⁾ გაგონილი სოფრომ ხუნდაძისაგან.

²⁾ გაგონილი რაფიელ ერისთავისაგან.

ოდისარებმა. ეგელას მოჭყყავდა მათ მიერ შეპერობილი მხარ-გაკრული ტყვეები, მოჭქონდა ნაშოვნი იარაღები, ბაირაღები და სხვ.

ბრძოლის ველზედვე გადინაღეს სამადლობელი ჰარაკლისი. ჰარაკლისის შემდეგ მეფემ კაიხსენა და მოიკითხა თავადი როსტომ ნიჯარაძე.

ეს როსტომ ნიჯარაძე უოფილა მეფის სუფარული კაცი, და იმ მშვენიერის კაცების დროს გამოსარჩევი თვალ-ტანადი იყო თურმე. მშვიდობიანის ხასიათისას და ზნისას იმისთანა თვალეები ჰქონია, რომ დამითაც ისე ხედავდა თურმე, როგორც დღე. მარა ერთი ისეთი თვისებაც ჭირვებია, რომ მაშინდელ დროში თითოთ სარჩებულები უოფილა: ნამეტანი მფრთხალი თურმე იყო.

ხრესილის მთელი ომი ისე გათავდა, რომ ის სადღაც ტყეში იმალებოდა, მეფის ამაღის ზურგს უკან.

კარის კაცებმა, როგორც იქნა, მოძებნეს გამოიფვანეს შეშინებული როსტომი ტყიდან და წარუდგინეს მეფეს.

— არა გრცხვენია, როსტომ, ასეთს ომში შენი თავი გვერდით არ მახლდა?! უთხრა მას მეფემ.

როსტომმა თავი ჩაღუნა.

მეფემ მიიბრუნა ნაწიები სახე და გასცა ბძანება მიეუფანათ მის წინაშე ის ბრეგვაძე, მუხიდან რომ ბრძოლის ველს გასძახოდა. ბძანება შეისვე ასრულეს.

— ბრეგვაძე! შენმა დღევანდელმა ძახილმა ბევრს ვაჟკაცს გაუმხნევა გული. ამიტომ მიბოძებია შენთვის, შეილთა და მომავალთა შენთათვის ჩემი ტახტის აზნაურობა. ახლა კი ეს ამისრულე: ადი იმავე მუხაზე და გადასძახე:

— „გაიმარჯვა საქრისტიანომ აგარიანებზე, აღივსო უოველი ქრისტეს მოსავი მხედარი სახელითა და დიდებით, თავსლათი დაესხა მარტო როსტომ ნიჯარაძეს“!)

ბრეგვაძემ ისე გულმოდგინეთ შეასრულა მეფის ბძანება, რომ, ამბობენ, ბევრს ს. საწირეშიაც ესმოდა.

1) იაკინთე ყოფიანისაგან გაგონილი.

მწარეთ შეწუხებულს როსტომს მიუახლოვდა მასშინ სიმონ წიკეთელი და უთხრა:

თქვე დალოცვილებო, რათ მოგდგამი ნიჯარაძეებს ასე, რომ უოვეჯთვის:

იჯგომებით ღზინში

და იბღუნებით ჭირში?!

როსტომს მასუხი არ გაუცია...

II. რ უ ხ ი ს ო მ ი .

მეუე სოლომონ დიდს ოდიშის მთავარმა, მისმა ცოლის ძმამ, თავისი უწარჩინებულესი დარბაისლები აახლა და მოახსენა:

— თქვენს სამეფოს, ჩემი სამთავროის საზღვრებზე, მოაწვა მთელი ახალციხის, ჯიქეთის და ალანის ლაშქრებით ქელეშ-ბეი შარვაშიძე და შთანთქმის გვიპირებს. დამითარეთ, რადგანაც მარტო ჩემი სამთავროს ძალა არ იკმარებს მტრის დასახვედრათ.

მეუემ დაუხანებლათ გასცა ბძანება, რომ ყველა სადროშოების ჯარები საქართთ ამხედრებულიყვნენ და ს. ბანძას მოეყარათ თავი. ოდიშის მთავარს კი შეუთვალა, მტერს ჩემს მოსვლამდი, თუ შეიძლო, ნუ შეებმი; სანამ მე მოვიდოდე, ხმა დაჭურე, რომ მე ოსმალეთს ვუპირებ შესევას და შენს შევლას არ ვუთქრობო.

მეუემ მოთხოვა გურიელსაც, რომ დასწრაფებით მოეკრიბა ჯარი და ბანძას მისულოო შიდა-იმერეთის ლაშქართან შესაერთებლათ. მთავარმა შესრულა ეს მოთხოვნილება. გურიის ჯარის ბაირალტრათ იყო ებალურელი აზნაური ჭყონია, რომელიც, რიონში ფონათ გასვლის დროს, შინ გაიპარა. ამ საქციელისათვის გურიელმა ჩამოართვა მას მიწა-წყალი, უმები და სიგელით მიუბოძა გამახურელ ჭყონიას, რომელზედაც გადავიდა ბაირალტრობა ებალურელის გაპარვის სათანავე¹!

ბანძიდან მეუე თვით წარუძღვა ჯარს და ერთი ასმით მივიდა რუხის ციხემდი. მეუის ბაირალტრათ იყო საჩინოელი როსტომ ლორ-

¹) თავადის გრიგოლ დავითის ძის გურიელის ნ-ამბობი.

თქიფანიძე¹⁾). მეფის ასე მოუფლდნელათ მოვლინებამ ზარი დასცა სამტრთო მოსულებს და ქელეშ-ბეგმა გამართა მეფესთან სამშვიდობო მოლაპარაკება. ეს არ იამათ ოდიშის მთავრის კარის კაცებს. მათ ეშინოდათ, რომ ამ მორიგების შემდეგ მეფე მეტის-მეტათ არ გაძლიერებულყო. მეფესთან დაზავებული შარვაშიძე მათთვის საშიში იქნებოდა. უცუბო ქელეშ-ბეგის ბანაკიდან გავარდა ზარბაზანი და უმბარა დაეცა მეფის კარავს ახლო.

ოდიშარებმა მოახსენეს მეფეს, რომ აფხაზებმა დროის მოსაგებათ გამართეს სამშვიდობო მოლაპარაკება, ესლა მოასწერეს დამარცხება და დალატით მოინდომეს თქვენი მოკვლა, თორემ რათ უნდა ესროლათ ზარბაზანი მოლაპარაკების გათავებამდით!

ახსახების თქმულებით ის ზარბაზანი დადიანის შეუიღულმა კაცმა გაასროლინათ. ასე იყო, თუ არ იყო, რაკი ოდიშართა ნათქვამი სიმართლეს ძალიან ჰგავდა, მეფე ერწმუნა მათ და უბძანა სარდლებს დაეკრათ ბუკი და დაეწყოთ ომი.

ამ ომში სოლომონის ლაშქარში უველასზე უფრო თავი იჩინა სიმამაცითა და თავდარიგანობით თ. გიორგი წულუკიძემ, ქელეშ-ბეგის ჯარში კი—ვისმავუ ძმამ—ბექირ-ბეიმ. იმ დროინდელი ჰოეტი ბესიკი (გაბაშვილი) ასე აკვიწებს ბექირ-ბეის რუხის ომზე და წერილს ლექსში:

„...მათგან მხოლოდ ერთსა ვაქებ:
 „წითლათ მოსილს, გულად სპილას,—
 „თავი სრულად გარდაგო,
 „არვის ჰრიდებს, ვინც ეცლილს;
 „მხედარია უებარი,
 „ხშირათ იცვლის ისრის კილას,
 „ჰქარის ვისაცა, მიწად დასცის,
 „შუამსგავსის სასიკვდილს“²⁾...

ხრესილის ომში გამარჯვებით გაამსუბუღელი იმერეთის ლაშქარი დიდი რიხით მივიდა დაკავშირებულ მტრებზე იერიშით. გურულებს

1) თ-ლის ასლან წულუკიძისაგან გაგონილი.

2) მამია გურიელისაგან გაგონილი.

და ზემო იმერლებს შესვლათ ჯიქალანების გუნდთან შეტაკება. მთების ლაღი შვილები მამაცურათ იბრძოდნენ, მარა ბოლოს მაინც იძულებული გახდნენ ებრუნებინათ ზურგი და გაქცეულიყვნენ რაზმ-არევით და კვალ-შემდით. თვით აბხაზების ლაშქარი კი ურყევად ბურჯათ იდგა და თავ-გამოდებით ეჩხებოდა ოდიშართ და ქვემო-იმერლებს. ჯიქალანთა გაქცევის შემდეგ მეფე მიიჭრა თავის მთავარ-სარდალთან:

— ქაიხოსრო (წერეთელი) ეს რა ამბავია? ხონთქრის ლაშქრის გამწევეტს აბხაზები უნდა გიჭირებდეს საქმეს?!

— ბატონო, თქვენი რისხვა მქონდეს, თუ ბექირ-ბეი შარვაშიძე ერთ სხონთქროს ლაშქრათ არა ღირდეს! ის რომ არ იყოს, ომი დიდი ხანი მოგებულაი გვექნებოდა!

ამ სატყვეებს შემდეგ მეფემ დურბინდით მტრის ჯარში დაუწყო ძებნა ბექირ-ბეის და როგორც კი მოჰკრა თვალი, მისივე შეუტია.

იგივე ბესიკი ასე აგვიწერს ამ რაინდულს ეპიზოდს:

„მეფემ იმ ერმას შეუტია, შეუძახა ხმითა ხაფით!

ჩვენ კი შიშმა აგვიტაცა... „საშენა“! მივადახეთ!

და ერთმანეთს წავჩურჩულეთ: „ვაჟ, თუ მისგან გავილახეთ“! ¹⁾

მეფემ და ბექირ-ბეიმ ერთმანეთს ხმაღის მოსაქნევზე ჩაუტენეს ცხენები, თვალი თვალს გაუყარეს, მარა ერთმანეთისათვის არც ხმალი მოუქნევიათ, არც არა უფნიათ რა.

მერმე კეითხათ სოლომონისა და ბექირ-ბეისათვის თუ რატომ გაუშვეს ერთმანეთი უფნები. მეფეს ებძახებინა:

— ანასოდეს არ შემხვედრია ბექირ-ბეისთანა ვაჟკაცი. იმ წუთს, როცა მან რუხის ომში ცხენი ჩამომიჭენა, ისეთი ზავითანი იყო მისი ვაჟკაცური გაბედულება, რომ საუცხოვოთ მომეწონა და მომესურვა მისი დაახლოება და სამშობლოსათვის გამოყენება. ვიფიქრე, დღეს თუ სამშობლოს ჭირისუფალთ ხელს უშლის, ხვალ იმავე სამშობლოსგე მცველათ გამოდგება. ამიტომაც შემბრადდა მისი სიურმე და ვუღარ გავიმეტე გასაფუტებლათ! შემეშართა, არა მგონია, უმარცხოთ გადავჩინილიყავ.

¹⁾ მამია გურიელისაგანვე გაგონილი.

ბეჭდის-ბეჭდის ეთქვა:

— ხმლის მოსაქნევზე რომ მივუხლოვდი მეფეს, უფროს-უმცროსობის რიგისამებრ, ჯერ მისგან ველოდი ხმლის ჰირველს მოქნევს... არც მან ინება შემოტევა, და მეც ისე გამლალა თვალთ, რომ აზრადაც არ მომსვლია ჰირ-იქით შემეხება¹⁾...

მეფის შეტაკების დამნაშავე იმერთა ლაშქარს აუჩქროლდა სისხლი და ერთხელ კიდევ მიიტანა აბსაზეზე იერიში. თოფმა ადგილი დაუთმო ხმალსა და სეტევას (ხანჯალს). ომი ომს აღარა ჰგავდა: ბრძოლის ველი გადაიქცა საყსობით, სადაც კაცი კაცს საქონელსა ვით ეუღს უდადრავდა, კისერს და თავს სჭრიდა, შიგნავდა. სისხლის დვარები შეერთებენ ენგურს და მისი ტალღები შედებენ წითლათ...

გამარჯვება დარჩა მეფეს. აბსაზემ მიატოვეს ბრძოლის ველი, მარა ბეჭდის-ბეჭდის სიმამაცემ და სამხედრო საზრისმა გადაარჩინა იგი აწიოკებს: მისი უკან დახევა არ ჰგავდა გაქცევას, სამთავრო დროშა და მეტი წილი ზარბაზნებისა გადაარჩინა.

ნამეფს, ბრძოლის ველზედვე მეფეს ეახლენ კარავში მთავრები, სარდლები და ლაშქრები რიგ-რიგათ, გამარჯვების მისალოცათ და ნაშოვნის მისართმევათ. მეფე გამობძანდა კარვიდან და სავარძელზე დაბძანდა. სახლთ-უხუცესმა დახია უკან მისალოცავათ მოსულნი, დატოვა ფართო ადგილი მეფის ირგვლივ და დაიწყო ცერემონია მილოცვისა.

უცნუ შეიქნა ჩოჩქოლი. წრე მხედართა გაირდვა და გამოჩნდა როსტომ ნიჭარაძე. მას მოჰყავდა მხარ-გაკრული ტყვე—მალაღი, ბრკე, მხარ-მკერდ განიერი, სადა იარად „ჩაკიბული“, აბსაურათ უბაღას მონახური. მიუახლოვდა თუ არა მეფეს, როსტომმა დაუჩოქა, მიულოცა გამარჯვება, გაუგორა ფეხთ ქვეშ ტყვეა—„თქვენ მტერს გუღშიო!“ დაუოლა, და მიაართვა მეფეს ტყვე.

— ერთია, მარა ოც სხვების დაჭერილ აბსაზეთ ღირს. შეხედეთ თქვენი მოწყალე თვალით, რა მოსული ვაჟუცია!—როსტომ მიფრთხილია, როსტომი საბერაო, —მოკახსენებდენ ჩემი მტერ-მო-

1) გიორგი მიხეილის ძის შარვაშიძისაგან გაგონილი.

უგრები და აჭა... მეტ გავისვარე კაცის სისხლით ხელი! ძლივს გადამირჩა ბექირ-ბეი, ამ წუწკმა იზატოვა — შეხედა თავის ტუვეს — მარა, არათურია, თუ შეგხვდი კიდევ სადმე... იმედია... უფრო გამოცდილათ მოვიქცევი. დღეს პირველათ ამოვიღე ხმალი ქარქაშიდან. ნუ დამსრახავთ, მოწუალო ბატონო!..

— წინ წამოდეგ, შე ქეტანიო! დაუბღვირა ტუვეს, რომლისაც უფრო ახლო ჩვენება უნდოდა მეფისათვის, და თოფის კონდახი ჩაჭკრა ფერდში. მხარ გაკრულმა მორთო ღრიალი:

— ვაჟე, დიდებულო მეფე! მომკლას ამ შეჩვენებულმა!.. ახობაძე ვარ ბატონო, ქვიტირელი!.. რა მიგავს ახსანს... ვა.. იი... მთხოვა ერთს წამს მეფესთან მიმეფვი მხარ-გაკრული, ვითომ ტუვე ხარო... უღელ ხარს დამიბრდა. . რა ვიცოდი მე საცოდავმა, თუ ტუელირხს ჩამიქცევდა... ოოჰ!..')

მეფემ შერისხა როსტომი, იმიტომ კი არა, რამე ომში არ შესულა, არამედ მოტუვილებისათვის.

იქვე არჩილ ბატონიშვილმა სთხოვა მეფეს როსტომის თავი.

— მაგის (როსტომის) სიფრთხაღემ შეიძლება სხვაც გაიტაცოს, რაკი თქვენი სიუვარული არ აკლდება, და ეს ქვეყანას არ მოუხდება. ექვს თვეში გავამაძებ მაგას, თქვენი რისხვა ნუ შექნება²⁾.

მეფემ შეისმინა არჩილის თხოვნა და, თუმცა როსტომს სიმწრის ცრემლები მოადგა თვალზე, მაინც გასცა ბძანება ჩაერიცხათ იგი არჩილის საბატონიშვილო თავადათ.

თ. მაგმაძე.

1) თავადი იასონ წულუკიძისაგან გაგონილი.

2) იაკ. ყიფიანისაგან გაგონილი.

ხალხური გადმოცემა

თამარ მეფის ცხოვრებიდან.

ნაამბობი ქართლის სოფელ ვანთიდან გადასახლებულის და ბორჩალოს მაზრაში. სოფ. წერაქეში, დასახლებულის სამოცი წლის მართა ბიბილაურის მიერ.

შუქურ ვარსკვლავის შეპურობა.

როდესაც თამარ მეფემ შუქურ ვარსკვლავი (ცისკარი) დაიჭირა და უთში დაამწყვდია, საქართველოში ზამთარი სრულებით ამოიკვეთა, იმიტომ რომ ზამთარი შუქურ ვარსკვლავის ძალით მოდიოდა. ზამთრის ამოკვეთის შემდეგ, თამარ მეფე რომ ბაღდადში მიბძინდებოდა მონასტრის ასაშენებლად, მოახლეს ჩაბარა უუაი შუქურ ვარსკვლავითა და უბძანა: „არამც და არამც ეს უუთი არ გაადო, თორემ მოუკლავს არ გაგიშვებო“.

მონასტერს ჭერი-და აკლდა, რომ მოახლემ უუთს ახადა. თამარ მეფის საბძინებელი მაშინვე გაბწეინდა. შუქურ ვარსკვლავი უუთიდან ამოფრინდა და ზეცას გაფრინდა. თამარ მეფეს კალატოზებმა მოახსენეს: „დიდებულთ მეფეთა მონასტრისთვის დამზადებულ ქვას ჭირხლი მოჭკიდებია, გეღარ ვეწევიით“.

ბაღდადში ჭირხლი მაშინ მოდიოდა ხოლმე, როდესაც საქართველოში ზამთარი დადგებოდა. თამარ მეფე მიხვდა, რომ ზამთრის მოსვლის მიზეზი უთუოდ შუქურ ვარსკვლავის გამგება იქნებოდა. ძრიელ შეწუხდა, სიმწუხარით თავში ორივე ხელი შემოიკრა. იმ წამსვე წეეული მთიხმო, ღვთის ნაკურთხი ლაგამი ზირში ამოუდო, შებძინდა ზედ და გამოსწია საქართველოსკენ. იაღბუზის მინდვრებთან მოვიდა თუ არა, დაინახა თოვლით გადალესილი იაღბუზის მთები, სდაც მეფესა ჭჭონდა სამუდამოთ საცხოვრებელი სასახლე. გასწია ზირდაზირ თავის ბინისკენ, მაგრამ ძრიელმა ქარ-ბუქმა საშინლად შე-

აწუხა, ვეღარ მივიდა, ძალა-უნებურათ უკან დაბრუნდა და ვარძიის მონასტერში წაბძნდა. იქ კარდაიცვალა თამარ მეფე და იქ ასაფლავია.

თამარ მეფის საფლავი

თამარ მეფის სილამაზე ბევრს დიდებულს უძგერებდა გულსა, ბევრსა ჰსურდა მისი ცოლად შერთვა. მათ შორის ოსმალს დიდი ფაშაც იყო. ერთხელ ოსმალს დიდმა ფაშამ შემოუთვალა თამარ მეფეს: „უთუოდ ცოლად უნდა გამაშეგო“. თამარ მეფე ძრიელ განზრახვას და უარი შეუთვალა. ფაშამ უარის თქმა იწეინა და თამარ მეფეს შემოუთვალა: „თუ ცოცხალი ვერ გიხილე, სიკვდილს შემდეგ უთუოდ ამოვიღებ სამარადის შესს გვამს და დავატყვევებო“.

თამარ მეფე დაფიქრდა, ვაი თუ მართლა მიცვალების შემდეგ ჩემი გვამი იმ ურჯულს ხელში ჩაუვარდესო. ბევრი ფიქრის შემდეგ შეუდგა ვარძიის მონასტრის აშენებას, მონასტერი რომ დასსრულა, გაათლევინა სამი ბოძი და უბძანა მხლებლებს: „როდესაც ჩემი აღსსრულის დღე მოვიდეს და კარდავიცვალა, ამ მონასტერში მიწის ზირად დამსაფლავეთ და ეს სამი ბოძი ამ მონასტერს მაშინ შეუდგითო“.

თამარ მეფე კარდაიცვალა. კარის კაცებმა მეფის ანდერძი შესსრულეს. ჯერ დასაფლავეს მონასტერში უნიშნოდ და მერე ის სამი დამზადებული ბოძი მონასტრის ჭერს შეუდგეს.

ფაშამ გაიგო თუ არა თამარ მეფის კარდაცვალება, მაშინვე აუარებელის ჯარით შემოესია საქართველს და ზირდაზირ ვარძიის მონასტერს მიადგა. დაიბარა მაშინვე კარის-კაცები და ჰკითხა: „სად ასაფლავია თამარ მეფეო?“ ერთი კარის კაცი ფაშას გამოუტყდა და მოახსენა:

— აი ამ მონასტერშია დასაფლავებული.

— რა ნიშანი აქვს საფლავსაო?

— ნიშნად სამი ბოძი აქვს დადგმული.

შევიდა ფაშა მონასტერში, ნახა სამი ბოძი და შედგა: არ იცოდა, რომელი ბოძისთვის მოკვიდნა ხელი, რომელი ბოძი გადმოექცია და ამოკლდა სამარადის თამარის გვამი. ბევრი ფიქრის შემდეგ ფაშა

პირველ ბოძს მიადგა და დაუწყო ნგრევა. ბოძმა ხმა ამაღლა და ფაშას უთხრა:

-- მე ტუფილად მანგრევე, აგე იმ მეორე ბოძის ქვეშ არის თამარ დასაფლავებული!

ფაშამ პირველ ბოძს თავი დაანება და მიადგა მეორე ბოძს დასანგრევად. მეორე ბოძმაც ასე უთხრა:

— აქ არ დასაფლავია თამარ მეფე, აგე იმ მესამე ბოძის ქვეშ არისო. მესამე ბოძმაც აგრევე უთხრა და პირველზე ანიშნა.

გაუგვირდა ფაშას, ღმერთს დიდება შესწირა და სთქვა:

— ცოცხალიც დიდებული და ძლიერი იყავ და მიცვალებულნიც არა ჰქარგავ შენს დიდებასა და ძლიერებასაო.

ღმერთს თავუანნი სცა და სთხოვა შეცოდების შენდობა. მერე მთელი ღამის ნამუშევარი და ნაბრძოლი მონასტრიდან გამოვიდა და თავის გზას გაუდგა.

* *

ცნობილი თამარ მეფის ეპიტაფია მართა ბიბლიაურმა ასე გადმოცა:

თამარ დედოფალი ვიყავ სახელი დიდი გავიგდე,
ირან-თეირანს ხმალი ვკარ, ხმელეთი შიგნით მოვიგდე,
და ამ საქმისა ჩამდენმა ცხრა ადგილი ტილო წავიდე...

.

ლექსი დიდი ყოფილა და აღარ მახსოვსო.

* *

ჩემ შენიშვნაზედ რომ, როგორც ზოგიერთ წყაროებიდანა სჩანს, თამარ მეფე გელათის მონასტერშია დასაფლავებული მეტქი, მართა ბიბლიაურმა მიჰასუსა:

— იმისთანა დიდებულის საფლავი, როგორიც თამარ მეფე იყო, ვისაც ემორჩილებოდნენ წეროები, მერცხლები და სხვა ფრინველნი და მისის ბძანებით მოჰქონდათ: მერცხლას ქვიშა და წეროს ქვა, და იმისთანა მიუვალ მთა-კლდეზედ აშენებდა ეკლესიებს, მონასტრებს და ციხეებს; ვისაც წყეული რაშადა ჰყვანდა, პირში ღვთისგან ნაკურთხ ლაკამ ამოდებულად, და ზედ მჯდომი დაჰქროდა, — ამ წამს რომ აქა ყოფილიყო, მეორე წამს ბაღდადს გაჩნდებოდა, - და ვისაც რამდე-

ნიც მთელ საქართველოში მონასტრები, კვლესიები და ციხეები აუშენებია იმის საფასური ვარძიის მონასტერზედ დაუხარჯავს, და რამდენიც წედიწადში დღეა, იმდენი სუნაკი აუშენებია ვარძიის მონასტრის გარშემო, ის დაკარგული უნდა გეგანდეს?! სწორეთ არ უნდა იცოდნენ სად ასაფლავია? შე დაწმუნებული ვარ მამიჩემისაგან და მწამს კიდევ, განაგრძო მართამ, რომ თამარ მეფე ვარძიის მონასტერში ასაფლავია. თამარმა იმის ნიშნად, რომ აქ, ვარძიის მონასტერში ვარ დასაფლავებულიო, ტაძარში დაახატვინა თავისი სურათი.

კ. დ. მაღალაშვილი.

1899 წ., ენკენისთვის 21.

საზოგადო განხილვა¹⁾.

ადგილ-მდებარეობა. ჰავა. მცენარეულობა. პირუტყვი. ფრინველი. მდინარეები. სამკურნალო წყლები. მადნეულობა. გზები. მცხოვრებნი. წმ. ნინო. თომა მოციქულის მოწაფის ელისეს მოსვლა გიშს. შაკიხ (შაკი=ნუხი)—წუქეთ-ელისენის სამწყსო. ქრისტიანობა მირიანის დროს. წმ. არჩილ მეფე. კახთა მთავრები და მეფეები. ლეკების ჩამოსახლება და ბატონობა. ქარის რესპუბლიკა და მისი წეს-წყობილება. ელისოს სასულთნო. ანტონ კათალიკოზის ნაამბობი ამ ძირობის შესახებ. წამებულნი. თათრობა. ქართველთა კულტურა. ძველი ნაშთები. ცხოვრება—ბრძოლა. ქრისტიანობის აშკარათ აღვიარება. კვლავ გადადგომა. ინგილოთა რიცხვი და სოფლები. უმთავრესი დაბა-ქალაქები. მოღვაწენი. ელისოს სულთნების შთამომავლობა. ზოგიერთ სახელის განმარტება.

საინგილო შიგნით-კახეთას ნაწილია და, მაშასადამე, მდებარებს მდინ. ალაზნის ხეობაში. დღეს მას შეადგენს სიღნაღისა და ნუხის მაზრების და აგრეთვე დადისტანის მომიჯნავე ზაქათაღის მაზრა, რომელსაც ჩრდ.-აღმ. მხრით აჭყუდებია კავკასიონი, დას.-სამხ. მხრით კი შემორტყმიან ალაზანი და შავი-მთა, ნაწევეტა სიღნაღზე

¹⁾ ზაქათალის მაზრის (საინგილოს საზოგადოდ) შესასწავლად საკმაოდ მასალა მოიპოვება სხვა და სხვა თხზულებებში, რომელთაგან აქ, დიმიტრი ჯანაშვილისა, ი. ს. ელიაშვილისა, ზ. გულიანაშვილისა და ზ. ედილაშვილის ფასიან ნაწერებს გარდა, დავასახელებთ კიდევ ზოგიერთს. ესენია: დ. ბაქრაძის „*Замѣтки о Закавказскомъ округѣ*“ (ადგილობრივს გეოგრ. საზ. მე-*XIV* წ., გამოც. 1), წერილები ფონპლოტოსი (*Сборн. свѣд. о Кавк. горцахъ*, VI გამოც.), ი. ლინევიჩისა (იქვე, მე-*VI* გამოც.), პასერბსკისა, ზისერმანისა „*Двадцать пять лѣтъ на Кавказѣ*“ (ორი წიგნი), აგრეთვე თხზ. ბროსესი, ბუტკოვისა, ბატონიშვილის დავითისა, ანტონი კათალიკოზის შემუარები (ჯერ დაუბეჭდავი სრულად), მასალები არქეოგრ. კომ. ოქმებში, ქართლ. ცხ., ვახუშტის გეოგრაფია და სხ.

მომამზად ცივ-გომბორის კვერნაქისა. სიგრძე მისი უდრის 73.78 ოთხკუთხ მისს ანუ 3571.34 ოთხკ. ვერსს. აღაზნიდამ კავკასიონის ძირობამდე ველი ხან იშლება, ფართოვდება და ხან ვიწროვდება, ასე რომ ამ მდინარითგან ხსენებულ მთის ძირობამდე ზოგან 30—40-ოდე და ზოგან 20—25-ოდე ვერსი ძლივს იქნება. სიმაღლე და სიღაბლე ადგილისა განსაცვიფრებელია: ერთის მხრით, აღაზნის ჩავარდნილ ხრამამდე დაქანებული ველი და, მეორეს მხრით, კავკასიონის წყალთა გამყოფი უმაღლესი მწვერვალი! ამისთანა ადგილ-მდებარეობის გამო ნაირ-ნაირია ჭვავც: იგი ცხელია და ხაშშიანი აღაზნის ხრამის მიდამოს, ხოლო გრილი, ცივი და სუდი აღმართ-აღმართ კავკასიონის მწვერვალამდე.

ადგილისა და ჭვავის მიხედვით ირჩევა მცენარეულობაც, ზირუტეუეულობაც და ფრინველიც. ატამი, ლეღვი, ბოწეული, წაბლი, ურძენი და მათებრი თბილი ქვეყნის მცენარეულობა ზეგანებსა და აღმართებზე ვერ ხარბობენ და უფრო მაღლა, მწვერვალებზე ხომ სხვა მცენარეულობაც ვერ უძლებს ზამთრის სუსხს, იქაურ მიმდემ აუღებელს თოვლსა და ეინვას. ამგვარადვე კამეჩეულობა, ხოხობი, ფუტკარი, ჰარკის ჭია და სხ., რაც აღაზნის ჭმორდები, ილევა, სწყდება.

აღაზნისა და კავკასიონის შორისი მთელი ველი, — სიგანით 20—40 და სიგრძით 80-მდე ვერსი, — წარმოადგენს ერთს განუწევებელს მუხისა, რცხილისა, წითლისა, ნაკენჩისა, წაბლ-თხილ-სხალ ნარევ ტეესა და ჭალებს, რომელთა შორის აქა-იქ მხოლოდ მოჩანს სოფლები, სათესი მიწდგრები და აგრეთვე რიეები კავკასიონიდან აღაზანში ჩამომდინარე ხეებისა.

უდიდესი მდინარეებია ქურმუხი, მუხახის-წყალი, ჭარის-წყალი, მაწახ-კატეხის წყალი, ბეჯაქნის წყალი და მაწის-წყალი (მაზიმ-ჩაი). ეველა ამ წყლებს უჭერიათ დიდი და ღრმა ღელები კავკასიონისა, დაქანებულად დაბლა მორბიან, მოშხუვიან, გაზაფხულსა და, სოფოგადოდ, დიდი წვიმების დროს მეტად ღელდებიან, მოხუვიან საზარლად, მთაგორებენ უზარმაზარ ქვებს, ანგრევენ არე-მარეს, აფუტებენ სოფლებს და, ხშირად, რიუედ აქცევენ ნათესებსა და მობიბინე ნათუფერებს. ამ მხრივ მეტად დიდი ზარალი მოაქვს ქურმუხს—კაკში, ჭარის-წყალს—თაღასა და ჭარში და კატეხის-წყალს—მაწახ-კა-

ტეში. ვერც გოდორ-ურემ და ვერც სხვა დონისძიებამ ამ წყლები დადი ზვირთები ვერ შეიკაფა და უოველ წლივ მათი ისეც უშველებელად ვრცელი რივე იზრდება, განიერდება, ფართოვდება. მაგიურად, უამწყლებოდ აქაური მთის ძირობის მოსახლეობა გზას ვერ წავიდოდა, რადგან სხვა წყაროების უქონლობის გამო ვერც არას მორწყავდა და ვერც არას დაღვედა. ალაზნის ზირებისკენ კი ბევრია წყაროები, მაგრამ მათი წყალი მოდის ჭაობებიდამ, დამზალ ადგილებიდან, ჩვეულებრივ—თბილია, ჭიანი, მოშავო ფერი დაჰკრავს, რის გამო შავ-წყალს ეძახიან. წყლის ამგვარ თვისების გამო მთელს ალაზნის-პირა ადგილებსაც ეძახიან უარასავს (=შავს). უარასავსელები ზაფხულდობით სსმეულად რჩებენ მთიდგან მომდინარე ხეების წყალს და არა უაფი-ჩაისს, რომელშიაც წყალი გროვდება ჭაობებიდამ გამონაყონ წყაროებით.

სამკურნალო წყლებიც არ აკლია მაზრას. ქერმუხის ხეობაში ჰამამ-დერას (აბანოს ხეობაში), ელისოდგან 10 ვერსის მანძილზე არის თბილი წყალი—ჰამამი (აბანო). მის ახლოს მოხ-ბულადი, აფიბეკლას ქვემო ცივი სამკ. აბანო უაინათმა. აქვე იზოვება აკრეთვე მდინები სპილენძისა (ბელაქანში), რკინისა (იქვე), ტყვიისა (მუხანში), ვერცხლისა (იქვე). ამ და სხვა მადნეულობათ უჩვენებენ აკრეთვე ელისოს, უუმს და სხ.

მაზრას ამ პირით (მაზიმ-ჩაი ლაკოდებსა და ბელაქანს შორის) იმ პირადის (უანი-უობი კაკსა და ნუხს შორის) გადასჭრის ფართო გზატკეცილი, ორივე მხრით შემორგული კაკლის ხეებით. მეტად საამურია მგზავრობა ამ გზაზე, მეტადრე ზაფხულის ჰამანაქებაში, როდესაც გზის მთელი მანძილი ერთ უზარმაზარ საჩრდილობელს წარმოადგენს. ეს შეენიერი გზა გაიყვანეს თვით მცხოვრებლებმა 1870 წლებში მაზრის უფროსის ბ. მ. შელკოვნიკოვის ხელმძღვანელობით. უწინ საფოსტო გზას სულ სხვა მიმართულება ჰქონდა: ნუკრიანიდამ (სიღნაღის უბანია) მოდიოდა დედოფლის-წყაროს (თუქურმიშას), იქიდან ჩამოდიოდა ალაზნის მარჯვენა კიდეზე, გადიოდა ალმალის ხიდზე და მიდიოდა ქალაქ ნუხს. ახლა კი ფოსტა სიღნაღის მაზრის სადგურ წნორ-ჭიაურ-ლაკოდებიდამ შემოდის საინგილოში და აქ ხვდება მას სადგურები ბელაქანი, ზაქათადა, გულუგი (=ვარდიანი) და კაკი (=კასი).

1886 წელს მაზრაში იყო 74.449 მცხოვრები. მათგან 39.948 მამაკაცი (53.60%) და 34.501 დედა-კაცი (46.40%); გვარტომობით: 40.225 ლეკი, 21,090 თათარი (მულაღი), 12.430 ქართველი, 521 სომეხი, 167 რუსი, 8 ჰოლანდიელი და 8 ურია.

უწინ მთელი ეს ძირობა, მთელი ეს კუთხე ეჭირა ქართველობას. გზა აქეთ ჰქონდა წმ. ნინოს, ვიდრე შეუბრუნდებოდა ქველდაბას და მიიძინებდა ბოდბეში. წმ. გიორგი, ვით საქართველოს დანაშთენ 365 ადგილების წმ. გიორგი, ნინოს დროებითგანვე შეიქმნა საერო გმირად, მაგალითად უშიშარ რაინდობისა და ბრძოლისა საერთო თავისუფლებისათვის. აქაური ეკლესია წმ. ნინოს უნდა დაეშუარებინოს ელისეს მიერ განთესილ თესლზე და, ვფიქრობთ, რომ ამ მოციქულის სახელი დღევანდლამდე შერჩენია აქაურ ელისენს (ელისენი—აღიბათის სამთურავო) და ელისოს (ერთხანს სამთავრო დაბად იყო).

ელისე, როგორც მოწმობს კალანტკაძეაწი, იყო თომა მოციქულის მოწაფე. მეფე სანატრუკმა რომ აწამა თომა, ელისე დაბრუნდა იერუსალიმს; აქ იგი ეპისკოპოსად აკურთხა უფლის ძმამ იაკობმა, რომელიც იყო ზირგელი ეპისკოპოსი იერუსალიმისა. იგი სპარსეთით, სომხეთის მიუკარებლათ „ИЗВѢСТІИ Арменіи“¹⁾, მივიდა მსკუტებში და დაიწყო ქადაგება ჩოღას ანუ ჩოღას—ჩურულს, ე. ი. დარუბანდის არქიმარეს, იქიდან ჩამოვიდა უღოს (საუღოს) სამის მოწაფით, რომელთაგან ერთი მოჰკლეს მისმავე ნათესაებმა და ორნი კი თვითონვე გაეცალნენ მოძღვარს. მარტოდ დარჩენილი ელისე მივიდა გიშს (ნუხიდგან კაკისკენ 8—10 ვერსის მანძილზე), ააშენა ეკლესია, დასაბამი უკვლავ აქაურ ეკლესიათა. საუურადღებო კიდევ ის არის, რომ ამავე მსკუტების (მსაკეთების) სახელი გვხვდება იმ მთიელების სიაში, რომელთა ქვეყანაშიაც შევიდა წმ. ნინო და უქადაგაო ქრისტეს სჯული. მაგრამ ეს სჯული, როგორც წინათაც გვითქვამს, სამოციქულო ხანაში განმტკიცებული ვერ იქნებოდა. ჭკრისეუ მირიანი უანდერძებდა თავისს შვილს: კერპობა და კერპთაყვანისმცემლობა კავკასიაში მალე არ გადავარდებოა, საცა ნახო ასეთი

¹⁾ კალანტკაძეაწი. *Исторія Агванъ*, გვ. 6.

კერძები, იგინი დასწვი, ნაცრათ აქციე და მათი ნაცარ-ტუტა შესვი იმათ, რომელთაც ამ კერძების დამზობას იგლოვებენო. შემდეგ მეფე არჩილი რომ მოვიდა წუქეთს (საინგილოს), აქ ააშენა კასრის საუდა-რი და აკრეთვე ქალაქი ნუხ-ხატისი, აქაურები მაშინ იუვნენ წარ-მართნი და მხეცის ბუნებისანი და არჩილმა იძულებით მონათლა იგი-ნი. და ამ დროითგან აქ დაწესდა კათედრა გიშელისა, რომელიც მწესიდა შაკიხს (მაქს=ნუხს), წუქეთს და ელისენს. ქალკილონის მსოფლიო კრების დადგენილება გიშელეზმაც არ მიიღეს და ერი მართლმადიდებლად მოაქცია მხოლოდ დინარ დედოფალმა მეათე საუ-კუნეში.

ესე იყო მეშვიდე საუკუნის გასულს და ამ დროს წუქეთი, ხუნ-ძახი და თუშეთი ებარა ერთს მმართველს— აბუხვასროს, რომელსაც მეფე არჩილმა წინანდელი თანამდებობა („ერისთაობა თუშთა, ხუნძთა და უოგელთა წარმართთა მის მთისთა“) დაუმტკიცა.

მკრამ არაბების შემოსევამ დაასუსტა საქართველოს მეფის ძა-ლა და აფხაზეთის ერისთავის განდგომის (786 წ.) წლის თავზე განდგა კახეთის ერისთავი გრიგოლიც და მის შემდეგ 1800 წლამ-დე მხოლოდ დრო-გამოშვებით მოსზობილს დამოუკიდებელი არსებო-ბა კახეთისა, რომლის აღმოსავლეთი მიჯნა ებჯინებოდა საუდას მთებს (ნუხის მაზრა), საცა იყო სამოსამზღვრე ციხე ყაბალა, მკარი და ძლიერი. აღაზან გაღმა მხრის (საინგილოს საზოგადოდ) სამმართვე-ლო აღვილებად შეიქმნენ ბუჯაქანი, მაჭი (მაწიხი, ჭარი), კაკი (შემ-დეგ ელისენი (აწ ალიასთი) და გიში (აწ ქიში და ნუხი). აქაურ მე-ფეებს ზოგჯერ დიდი ძლიერებაც შეუძენიათ, მეტადრე კვირიკეებს და ახსართანებს. ერთ ახსართაგანის ციხე დღესაც არსებობს მაწის-წყლის ხეობაში ჯაგოღების თავს, თოღას, და მის ამბავს გადმოკ-ვტემს ციხისავე ქვა-სვეტის ასომთავრული გრძელი წარწერა, სამწუ-ხაროდ, საკმაოდ დაზიანებული.

1117 წელს წუქეთს მთავრობდენ ასამ და შოთა გრიგოლის-ძენი. ამავე წელს დავით აღმაშენებელი მოვიდა გიშს და განუხს, და-იჭირა ყაბალა. მე-XIII ს. აქ მთავრობდა შოთა კუბრი.

გიორგი ბრწყინვალის (1318—1346) და მის მამადგენო მე-ფეების დროს აქ ქართველობა და ქრისტიანობა ძლიერი იყო. აგი-

მურაზ ბატონიშვილის ცნობით, ლანგთემურამდე (გამოჩნდა 1384 წ.) მხლობელი ლეკები ისევ ქრისტიანები იყვნენ და სცვიდნენ ენასა ქართულსა. მხოლოდ მან დაუდგინა მოლანი და არაბული წერა შემოიღო, ქართული ენა და წერა კი აღკრძალა. მაგრამ მაინც ენა ქართული კიდევ დაშთაო ანწუნელ ლეკებში და ამ ენაზე დღესაც ლაპარაკობენო. ლეკეთში ძველად ნაშენი საუდრები და მონასტრები არიანო, ზოგი თლილის ქვისა. ბევრი მათგან მეჩითებად გადააკეთესო და სხვები ოხრად შეთენიანნო. მეფე ალექსანდრემ (1414—1442) მოლანი გარეკაო და ლეკნი ჰირველსავე წესს დაუბრუნაო. ლევან მეფემ (1520—1574) დადისტნის შამხლის ქალი შეირთო ცოლად და ლეკები დასახლა ჭარის უბან ფიფინეთში 1549 წელს (ქ. ცხ., 107). გიორგი მეფემ გაღმამხარში წინანდელ საერისთავების მაგიერ დაადგინა მოურავები ელისენს, წუქეთს და ჭიაურს. ლეკები მოვალენი იყვნენ კახეთის მეფეებისთვის ზათხულობით ყინული ეზიდნათ. ეს იყო მათზე გაკვეთილი ხარკი.

გარემოება იცვალა: საქართველოს დაუძინებელ მტერმა შაჰ-აბაზმა 1587 წელს კახეთის მეფე ალექსანდრეს ჩამოართო კაკ-ელისენი, წინანდელი მოურავი ვახანიშვილი¹) გაამაჰმადიანა, სახელად უწოდა ალიბეგი და ეს ალიბეგი დაადგინა აქ სულტანად. ამიტომაც მას ეწოდა აგრეთვე ალისულტანი. ასეა ეს ვახუშტის სიტყვით, მაგრამ იმავე 1587 წელს უახანის ბრძანებაში სწერია: კაკის ბატონის ქართველის გურამოდლის შვილების მამული მიფუბოძე საქართველოს მეფე სვიმონს (1558—1600), ხოლო აწ ამავე მამულს ვუბრუნებ გურამოდლის შვილებს. მისი ფირმანი 1620 წლითგან: „ძველი დროითგანვე გურამოდლის კუთვნილ მამულს ამიერიტგან ვუბოძებ გურამოდლის შვილებს ზაალებეს და კისუბეს. ამათ საბატონოს გლეხნი, საცა უნდა იყვნენ იგინი, ისევ დაბრუნდნენ თავიანთ მამულებში, ემსახურონ მათ და დაემორჩილნენ, ვითარცა ემორჩილებოდნენ თვით გურამიშვილს“.

ქართველთა მპერობელობას დადისტნელთა თვალში სახელი გაუტუტა აგრეთვე იმანაც, რომ გამაჰმადიანებულ კოსტანტინე ბატონი-

¹) 1674 წელს დავით ვახანიშვილს მეფე არჩილმა დაუმტკიცა სოფ. შალაური (ფურცელაძე. Груз дворян. грамоты, გვ. 8).

შეიღმა, მისუღმა საინგილოს სოფელ ბაზარს შავ-აბაზის ჯარით, მოიწვია აქ თვისი მამა და ძმა, დალატით დახტა იგინი (1605 წ.) და თავისი რძლის ქეთევანის შერთვა ცოლად მოინდომა.

ლეკები ცხადად ხელავდნენ საქართველოს სიძაბუნეს, ქურდულად ჩამოდიოდნენ და იკლებდნენ კახეთს. მათ დასაშინებლად მეფე თეიმურაზმა დადისტანში შეგზავნა (1612 წ.) თავისი სარდალი ქაიხოსრო ომანიშვილი. ლეკებმა, დაინახეს რა ქართველთ ლაშქარი თავიანთ მთებში, შეშინდნენ და დაშოშინდნენ.

მაგრამ შავ-აბაზს არ ეძინა. 1615—1616 წ. მან ლეკებს შეუთვალა: მოვიდვიარ საქართველოს ასაკლებად და თქვენც გიბრძანებთ დაჰკარით მანდუღჯანო.

მართლაც უახი მოვიდა. აიგლო და აათორიაქა. კახეთი, ხალხი ზოგი გაუღიტა, ზოგი აჰყარა და დედაბუდიანად სპარსეთს გადასახლდა; ქართველობა მთელს გადამხარს ლაგოდებს იქით სოფელ ვართაშენამდე დარჩა მხოლოდ კაკ-ელისენს და თითო-ოროლაც აქა-იქ კიდევ.

დაცარიელებული ქვეყანა გაივსო ლეკობით. ბელაქანი და ჭარი იქცა დედაბუდე დადისტანელთა ბელადებისა და ავაზაკებისა. მათ შველოდნენ ურადაჯის ხანებიც, რომელთაც უახი ნიშნავდა კახეთის უწინდელ მეფეების მაგიერ. ქართველებმა ვეღარ მოითმინეს მათი ავაზაკობა, და განიზრახეს (1688 წ.) დარბევა ჭარისა. ეს დაწეობილობა ჩაიშალა თამაზ სპასეტის დალატით და დუშია მოურავის უკუდგომით. მაგრამ მეტი გზა აღარ იყო, კახელებმა იერიში მიიტანეს ჭარზე (1695 წ.), აიღეს, დაიმორჩილეს, აღათუთ აივსნენ, გამარჯვებით კი ვერ ისარგებლეს: იქ გამაგრების მაგიერ ნაწილ-ნაწილ დაბრუნება იწეეს. დანარჩენებს ლეკები მოულოდნელად დაეცნენ, დაამარცხეს და ნატევენავიც დააურევინეს. (ინგილო ხუციშვილის ხელნაწერის წარწერა ამ დამარცხებას მიაკუთვნებს 1698 წ.).

ინგილოებისთვის მეტად უბედური იყო 1706 წელიწადი. ურადაჯში განცხრებოდა კახეთის მეფე იმანუელიხანი და საინგილოს კი არბუდნენ ჭარელები. მერე თვით აღაზან გაღმა ქიზიუსაც რომ დაუწეეს რბევა, იმანუელიმ მოიუგანა კახ-თუშ-თუშავ-ხეკესურნი, დადგა ვარდიანს (აწ გულუგი) და ჯარი შეუსია ჩარდახს და ააოხრებინა გა-

რემო ვიდრე კავკასიონის მწვერვალამდე. ვიდრე ჯარი დაუბრუნდებოდა, თვით მეფე იდგა ვარდიანის ბანაკში და ერთობოდა ქოს-დაბდაბოუკის დაყვებით. უდარდელ მეფე იმანუელის მიუხედავად ჭარკელთა რაზმი და შეება. მეფის ამაღლა შემინდა და გამოიქცა. თუშებმა თვით მეფეც გამოიტაცეს და ძლივს მოაბრძინეს უარაღაჯოს. ამისთანა მარცხმა მეფის დანარჩენ ჯარსაც თავზარი დასცა. იგინიც იფლტნენ და გამოასწიეს ჭარიდამ. გამარჯვებამ ათურთოფანს ლეკობა. იგინი მკვიდრად გაბატონდნენ საინგილოში. მათ შიშით იმანუელიანის უარაღაჯს ვეღარ დადგა, აიყარა და თელავს წავიდა (იხ. ჩუენი „საქარ. ისტ.“, გვ. 382).

1739 წელს ჭარი მოსწვა და აახრა თეიმურაზ მეფემ, მაგრამ ესეთი მისდომ-მონდომი უფრო აბრახებდა ლეკობას.

1750 წ. ჭარკელებმა გამოგზავნეს ტფილისში თავისი ქეთხუდები და აგრეთვე ელისოს სულტანი მამუღ-ხანი და ითხოვეს ერეკლე-თეიმურაზისაგან შერიგება. დათანხმდნენ. მეფეებმა მხოველად დაიტოვეს მამუღ-ხანი. ქეთხუდები რომ დაბრუნდნენ, ჭარ-ბელაქნელებმა უგუგავს თავისივე თხონა და დიდის ლაშქრით შემოებრძოლენ ქიზიუს. მეფეები წავიდნენ, ეცნენ. ლეკები ალაზანს გავიდნენ და ეკრიზე გამაგრდნენ. ერეკლემ გადავიდა და შეებრძოლა. გაიმარჯვა მეფემ. 700 ლეკი დახოცა და დატყვევა და 1500 ცხენიც გამოიკა. თავზარი დაეცათ ლეკებს, მაგრამ ამ მარცხის მაგიერი მიაგეს ერეკლეს ჭარკელებმა მეორე წელიწადსვე. ერეკლემ განიზრახა თვით ჭარში შესვლა. ხუხის ხანი აჯიხლახანი თავის შვილის ალაქიშის შირით ერთგულებას უცხადებდა. ერეკლემ ალაზანზე ხიდის გაღება რომ იწყეო, აჯიხლახანმა შემოუთვალა მეც ჭარკელებთანა და კაკის სულტანთან ერთად დაგიხდებიო. ერეკლემ იწყინა და აჯიხლახანისკენ წავიდა და ეკრიზე შეება ჭარ-კაკ-ხუხის კავშირს. ერეკლეს ძალიან გაემარჯვა. მაგრამ აჯიხლახანის დამალული ჯარი რომ მოესია, მოკავშირე ხანებმა უღალატეს ერეკლეს. ქართველები გამოიქცნენ და ძლივს გამოასწრეს ალაზანს. ბევრი დაიღუპა წყალსა თუ ბრძოლაში. ლეკებს უფრო შესხათ ფრთები. ამის შემდეგ 10 და 20 ათასობით ილაშქრებდნენ და ახრებდნენ ჩუენს ქვეყანას. ეველა ამას ზედ მოკვეთა აღამამუღ-

ხანის შემოსევა და ტფილისის აოხრება. ჭარ-ბელაქანი სრულიად განმტკიცდა.

საქართველოს ცარცვა-რბევამ ჭარელ ლეკების მიერ 1¹/₂ საუკუნეს გასტანა დაახლოებით. 1803 წელს რუსის ჯარი ციციანოვმა შეუსია ჭარელებს. მაშინ კაკის სულთანად იყო აღი-სულტანი. 17 აბრილს იმავე წელს ჭარის რესპუბლიკამ და აღი-სულტანმა რუსის ქვე-შეგდომობა მიიღეს და დაიხარკეს თავი: ჰირობისამებრ, 1-ლ აგვისტოდამ 1 ნოემბრამდის უოველ წლივ ხარკად გაიგვეთეს 1100 ლიტრა აბრეშუმი (მაშინ ლიტრა აბრეშუმი ღირდა 12 მან.). ჰირობა დაუღეს ახალ მთავრობას, რომ დადისტნელ ბელადებსა და მეომრებს ბინას არ მისცემენ და აქედან არ გაატარებენ საქართველოს დასარბევად და აღიბათის (ელისენის) ინგილოებს არ დაუშლიან თავისუფლად აღასრულონ თავისი საქრისტიანო წეს-ჩვეულებანი. მიუხედავად ამისა, იმავე წელიწადს რესპუბლიკამ თავისი ჰირობა დაარღვია. ციციანოვმა გაგზავნა ჯარი გულაიაკოვის წინამძღოლობით. ლეკები დამარცხდნენ, თუმცა გულაიაკოვი კი მოკლეს ფიცხელ ბრძოლის დროს. (მისი საფლავი ზაქათალის ციხეშია, ეკლესიის გვერდით). 1830 წელს ლეკებმა კიდევ სცადეს ურჩობა და ხარკის ძლევა აღვეთეს. დელვა იმავე წელს დაცხრო მთავარ-მართებელ ჰასკევიჩმა და მერე შეუდგა ციხის აგებას და უწოდა მას ახალი ზაქათალა (აწინდელი ზაქათალა). იმავე წლის 2¹ ივნისის თარიღით გამოსულ უმაღლეს ბრძანების თანახმად დაარსდა სალეკოს საკარდონო სამანი (ლეზგინსკაია კორდონნაია ღინია) და აგრეთვე ჭარ-ბელაქნის ოლქი; ამას მიეწერა აგრეთვე ელისოს სასულთნო. დაუტოვეს თავისი სამართალი—შარიათი, მაგრამ იმ ჰირობით, რომ მათი ამოჩეული კაცების გადაწვეტილება დაემტკიცებინა მთავრობის წარმომადგენელს. 1831 წ. ჭარელები კიდევ აჯანყდნენ და ამის გამო მათ ჩამოართვეს მათი კუთვნილი რაიები (ინგილოები და მულალები) და ამ უკანასკნელების თანასწორად იგინიც დახარკეს.

ელისოს სულტანი ჭარელების მოძრაობა-ამბოხებაში მონაწილეობას არ იღებდა და ამის გამო რუსები მის შინაურ საქმეებში არ ერეოდნენ, თუმცა, როგორც ვთქვით, მისი სასულთნო ჭარ-ბელაქნის საოლქოს მიაკუთვნეს. ამ დროს სულთანად იყო აღი-სულტანი, რომ-

მელსაც გენერლის ჩინი მიებოძა. მან ითხოვა მთავრობისაგან თავადის ხარისხი. თხოვნა არ შეიწყენარეს. ამის გამო 1844 წელს ეს დანიელ სულტანი („ბატონი“ ინგილოურად) განუდგა რუსეთს და შამილს მიემხრო და მრავალ სხვა ბეგებიერთვით მასთან გაიქცა დანისტანს. მთავრობამ სასულთნო გააუქმა და შეუერთა იგი ჭარ-ბელაქნის ოლქს „ელისოს ნაწილი“-ს ზედ წოდებით. სასულთნოს უფლებიანი მყოფი უვლას მიწები და აგრეთვე მასთან ერთად გაქცეულ ბეგების მამულები სახაზინოდ გამოაცხადეს. შემდეგში ზოგმა შეინახა და ამისთანებს მამულები ისევ დაუბრუნეს. ზოგი რამ ეწეალობდა აგრეთვე დანიელ ბეგის შთამომავლებს ელისოსა, ალათემურსა და სხ. დღეს სულტნის წარმომადგენლად ითვლება ხალილ-ბეგი, რომელსაც ლამაზი სასახლე აქვს ელისოს და ბლამა შეილები ჰყავს. ელისოს სულთნების სრულს სიას მათდამი ბოძებულ ფირმანებითურთ ვბეჭდავთ ქვემოთ, ამ თავის დასასრულს.

1826 წ. კოცებუ ჭარის შესახებ გადმოგვცემს შემდეგ საუბრადღებო ცნობებს: „ქვეყანა, რომელსაც ჰქვია ჭარი, ეკუთვნის 5 საზოგადოებას—ჰარისას, ბელაქნისას, თალიისას, მუნახისას და ჯინიხისას. ესენი მფლობელი საზოგადოებანია და სხვანი—ამათ ქვეშევრდომნი. მფლობელი სულ ლეკანია—მპრობელი, ხოლო ქვეშევრდომნი—დაპრობილი სოფლები ინგილოებისა და მულალებისა. ქვეშევრდომი სოფლები ხარკს აძლევენ იმ საზოგადოებას, რომელსაც ეკუთვნიან. ჭარი, ზაქათალა და გოგამი ერთი მფლობელი საზოგადოებაა და მასში 1200 კომლი მოსახლეა, ხოლო მას ეკუთვნის 20 სოფელი. კატხი და მაწეხი არც ერთ საზოგადოებას არ ეკუთვნიან და ამათ თვითონ არა ჰყავთ ქვეშევრდომი სოფლები. მთის ძირბაზე მოსახლე მფლობელ ლეკებმა, დანიურეს-რა ალანის-პირა მიწები, დაარსეს ფედერაციულ რესპუბლიკისებრი მმართველობა, რომელშიც მამასხლისის ღირსებას საკმაო მნიშვნელობა მიენიჭა: ყოველ სოფელში ყოველ წლივ ირჩევენ ერთს მამასხლისის იმ გვარადამ, რომელსაც შემვიდრებით ამის უფლება აქვს. საქმე, რომელიც შეეხება უვლას საზოგადოებათ, ირჩევა საერთო კრებაზე ცის ქვეშ ადამს, რომელიც მუნახის ახლთა. ყოველ არჩეულ მამასხლისს ეძლევა 30 ცხენოსანი (იასული) და ესენი მის განკარგულებას ახარე-

ბენ დანიშნულებისამებრ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად. პოლიტიკურ უფლების მინიჭებას მამასახლისთათვის დროებითი მნიშვნელობა აქვს და დამოკიდებულია ხალხისაგან. მამასახლისთა უოგელ წლიურ არჩევით ცხადათ ჩანს ხალხის მპყრობელობის სიბრწყინვალე. უმაღლესს სამართალში ერთის წლით არჩეული მამასახლისები თანამდებობის აღსრულებას შეუდგებიან ხოლმე ისე არა, თუ არა ხალხის დასტურით.

ინგილოებსა და მულალებს არავითარი მონაწილეობა არა აქვთ თავისუფალ საზოგადოებათა საქმეებში.

ხუთ საზოგადოებათაგან უველასზე ძლიერი და გავლენიანია ჭარისა. მის დაუდასტურებლად ელისოს სულთნებიც მათდა მემკვიდრეობით კუთვნილ სასულთნოს მართვა-გამგეობას ხელს ვერ მოჭკიდებენ ხოლმე. და თვით ნუხის ხანებიც, ხშირად, თავიანთ დამტკიცებას მოედიან ჭარიდგან.

ჭარელთ თავგასულობა იქამდე მისულიყო, რომ მათ ელისოს სულთნებს წაართვეს მათი კუთვნილი სოფლები ეორაღანი, შოთავარი და ბაბალო“.

ჯერ ხნობით ვგმაყოფილდებით ამ მოკლე ცნობებით. უფრო დაწვრილებითი მოთხრობა ცალკე გამოკვლევის საქმეა და მოითხოვს დიდს დროს, ადგილობრივ არქივებისა და სხვ. წყაროების გულდასმით გამოკვლევას. მხოლოდ არ შემიძლია აქ არ ჩავუერთო ანტონი კათალიკოზის მიერ 1757 წ. შეკრებილი ცნობები შესახებ კაკ-ელი-სენისა, ნუხისა, ჭარ-ბელაქნისა, ხუნძახისა და თუშ-ფშავ-ხევსურეთისა.

ანტონი II-ის ნაამბობი 1757 წელს¹⁾.

აღწერა შაქისა.

შაქის ხანი, რომლისა ჰამას ჭაჭი ჩაღაბი ერქვა, და ამ ჭაჭი ჩაღაბის მამა სომხის ხუცესი იყო, და თვითონ ჭაჭი ჩაღაბი გარდაქ-

¹⁾ ხელნაწერი „საქართველოს მეფეთა შთამოება“ გადმოგვცა დიდად პატივცემულმა ნიკოლოზ დავითის ძე ერისთავმა. მასში მრავალი საინტერესო ცნობაა არა თუ საქართველოს, არამედ მაშინდელ ყველა სახანოების და სამელიქოების შესახებაც. იგი დაუწერია ავტორს ყიზილარის კამენდანტის ივან ფროუნდორფის ბრძანებით. მისი პირველი ნაწილი (საქართ. მეფეების შესახებ) დაბეჭდილია „ივერიაში“ (1880 წ., № 111).

ცუფლ იყო მავშადიანობისა ზედა და ვერცხობითა რამელითამე დაიჭირა ადგილი იგი ჭაჭი ხალხბიან. ძველადგან ადგილი ესე კახეთის სა-
 მეთოს ნაწილი უთუილა და ძლით წარმეყვით მავშადიანთაგან დრო-
 თა მავშაზ ზირველისა სპარსეთის კელმწიფისათა. ამის შინა მსახლო-
 ბელთა არიან მრავალნი ქრისტიანნი: სომეხნი—ცხადად და ქართულ-
 ნი—თუარუდად მავშადიანთა შიშიათა. ძეს ქვეყანა ესე შირვანისა შე-
 მოდევნებით იალბუზის კალთის ქვეშე და კახეთის დასწორებით მი-
 დევნებითა. მთად იალბუზი აქვს და ბაჩიცი აქვს, რომელიცა კახეთ-
 ზედ აღმოსავლეთ კერძო ძეს. შემდგებელი არის თაფისაგ ქვეყანაში
 სამის ათასის მეომრის კაცის გამოყვანისა. დღევანდელადის ხევისა და
 იმამში დიდი მტერობა იყო, ხანდახან და ოდესმე შიშობა და შე-
 რიგება იყო.

აღწერა აღისულოტინისა, ქარელთი და იმ ძირობისა.

აღი-სულოტინი, რომელიც ძველად კახეთის მეფის ერთი მთავარ-
 რი არის და კახის სულოტად სახელდებულნი და დროთა ჟამთა მავშაზ
 ზირველისათა გამავშადიანებულნი და გამდგარი კახეთის სამეფოსაგან.
 და ესეც აღმოსავლეთ ძეს კახეთზე. ჯინიხის ხეობა, თაფის ხეობა,
 ჭარის ხეობა, ბეჭაქნის ხეობა—ესენი უბატონნი არიან და ამით
 ხალხი კაკის რაიათი თარაქამა, რომელშიაც იმეობიან მცირენი ქრის-
 ტიანნი: ზოგნი მართლ-მადიდებულნი თუარუდათ და ზოგნი სომეხ-
 ნი არიან განცხადებულად. ძველად ეს ადგილები სულ კახეთის სამე-
 ფოს ნაწილები არიან და ამ მახლობელს ჟამებში მრავალჯერ უმსა-
 ხურნათ კახეთის მეშატონეთათვის; და ესე ადგილები, ახორებული
 მავშაზ ზირველის დროთ და ამ ახორებულს ადგილებზედ ზოგი თა-
 თარი თუთონ დაუსხლებია მავშაზს და ზოგნი ლეკნი თუთონ გად-
 მოსახლებულან და დაშენებულან. ამათ დაღისტინის იალბუზზედ უუ-
 დიათ ზურგი და ძლიც იმათგან აქვსთ. შიგა და შიგ ის ქვეყნები
 ხან შემორიგებულნი არიან საქართველოს მეფესთან და ხან აშლილნი.
 შამხიდიამ ბეჭაქნამდის მრავალჯერ საქართველოს მტრობაზედ ერთ-
 ნი უთუილან. დაღისტინის ძალს გარდა შეუძლიათ ამ ძირობისა მეომ-
 რის კაცის გამოყვანა ხუთის-ექვსის ათასისა. ესენი სულ კახეთის მი-
 წაში სახლობენ, და ქისიუისა ესრეთ ახლო მეზობელნი არიან, რომე

სოფლითი სოფელამდი ზოგი ოცდა ათი ვერსი არის და ზოგი ოცდა ხუთისა. და არს ქვეყნის ესე ძნელად შესასვლელი, ტყიანი, მრავალ წყლიანი და მტკარი.

აღწერა ხუნძახისა.

კუნძახის მთავარი, რომელიც არის დაღისტანში, და არს ქვეყნის ამისი მთის ადგილი. თავის უმე შემარი გამოფა ათასხუთასი და როდესაც მოინდომებს, დაღისტანში იშოვნის თხუთმეტს-თექვსმეტს ათასს კაცს. და არს კახეთზედ აღმოსავალსა და ჩრდილოს საშუაღ. ძველად კახეთის მეფის ერისთავი უოფილა; ჟამთა ფითარებისაგან და მამუდინანთ ძალისაგან სსჭა ადგილებიც მრავალი ჩამორთმევით კახეთსა და ესეც მიღებია. ესენი წინა ხანებში ხან შემორიკებული იყო საქართველოს მეფეს ირაკლისთან და ხან არა. მსუგან დიდი მტრობა მოინდომა ჩვენზედა, დაღისტანის ჯარით მოვიდა უეცრათ და ქართლში ერთს ციხეს შემოადგა; შევებენით და დიდად დამარცხდა საქართველოს მეფის ირაკლი მეორისაგან ძლითა ღუთისათა, და მრავალნი ამოწუნენ. მეორეს წელიწადზედ კიდევ შური იძია საქართველოზედ და მეფეს ირაკლიზედ, და მეორედ წამოვიდა კიდევ დაღისტანის ოცდა ორი ათასი ლეკით და რაც კახეთის მეზობლები იყვნენ შირვანს ზეით ანუ განჯელნი, ამათაც ძალი მოსცეს, ჰაჯი ჩალბის შვილი და აღის-სულტანი თითონ იუუნენ, ჭარელნი, თაღელნი და სრულად იმ ძირობის კაცნი, — ესენიც იქნებოდნენ ათი ათასი კაცი. და კახეთის ერთს ციხეს¹⁾ შემოადგნენ სანამდის მეფე ირაკლი ჯარს

¹⁾ აქ დედანში (გვ. 45) ავტორი შენიშნავს: „ციხე ესე არს ალაზანს მდინარეს გაღმა, რომელ არს სახელით ყვარელი“. — ყვარელის ბრძოლა ქართლის ცხოვრებით მოხდა 1755 წელს. ომში მონაწილეობას იღებდნენ დაღისტანის მთავარი ომარ-ხანი, ნუხის ხანი ალაქიში, კაკის სულტანი მაჰმად-ხანი და ჯარ-ბელაქნელი; მთელ ამ კავშირს 20.000 მებრძოლი ჰყვანდა. შემოერთნენ ციხეს. ერთ მუჰა მეციხოვნეთ შემოაკლდათ სურსათი და ტყვია-წამალი. 130 ქართველ ვაჰაკმა თავს იღო მეციხოვნეთა მიშველება. ერეკლეს ნებართვით ესენი გმირულად მიუხტნენ მტერს, გაარღვიეს მისი რაზმები და საჭირო ტყვია-წამლით შეცივიდნენ ციხეში. ერეკლემაც უხერხა მოსეულ მტრებს: გაგზავნა თავისი ლაშქარი ქარს და გადააწვეინა იქაურობა. ბელაქნელ-ქარელნი გაბრუნდნენ თავიანთ სარჩო-საბადებელის საშველად. მათ მიჰყვნენ დანარჩენებიც.

შემოიყრია, მეუფის მისვლამდის წინათვე ჯარი მიეშველა მეუფის ირაკლისკან, და ციხილამ მრავალი კაცი ამოუწვდათ და სირცხვილუენნი გაბრუნდნენ. შემდგომად შემორიგება მოინდომა მეუფის ირაკლისკან და შერიგება მოხდა და მცირე რამე ჯამაგირი მიეტა მეუფის ირაკლისკან. კახეთის სამზღურადამ ოთხის დღის სავალი გზა არის. თუმიცა აფითონ ეს ხუნძახის მთავარი შემორიგებულა არის, მაგრამ იმას რაც კაცი ჭეუას, ისინი კი ქურდულად მტრობენ ქართლსა და კახეთსა.

აღწერა დიდო, ქისტისა, ღლილუისა, ზურზუკისა, ფშავ-ხევსურისა და ხევისა.

კიდევ კახეთის სამეფოს ნაწილი, რომელნიც კახეთზედ ჩრდილთს კერძო არიან—ოთხი თემი: დიდოეთი, ქისტი, ღლილვი და ზურზუკი ლეკთაგან მიგვხმან და გაუმაჭმადიანებიათ; ახლა ცდილთბენ და სურისთ რომ თუშეთი და ხევსურ-ფშავი და ხევიც, რომელიც რუსეთის სახელმწიფოსა და საქართველოს შემოსავალ-გასავალი გზა არის, ესეც დაიზურან და თავიანთ საწმუნოებაზედ მიიზიდონ. და იმათი ჭაზრიც ეს არის: რომელნიც ნათესავნი არიან ოსნი და ანუ სხუა გვარნი ამ მთებში იმყოფებიან, ესენი უირიმამდის გაამხმადიანონ, და ამ მთასა შინა არა მცირედნი არიან ახლად მიქცეულნი იმათს საწმუნოებაზედ და ნიადაგცა აქცევენ; და ეს გზა რომ დაგვიწერია, ეკების რუსეთის სახელმწიფოში ასე განცხადებული იუოს, რომ ასეთი რამ იუოს რომ გაკეთებაზედ ბევრი სსჯელი მოუნდეს; ამისი გაკეთება ჩვენგან აღვლად შეიძლება და ამ გზაზედ ჩიმი სოფელი არის, რომელიც საზღვარი არის. აქილამ მოკიდებული რაც მთა არის, ორმოცი ვერსი იქნება და ამ ორმოცს ვერსს იქით და აქით სულ ვაკე არის და ამ ორმოცის ვერსის მთის გზაზედ შიგა და შიგ ვაკე უფრო ბევრი არის¹⁾.

¹⁾ აქ მოყვანილი აღწერილობა შაქისა, ალისულტისა, ხუნძახისა, დიდო-ქისტისა და სხვა თუმიცა ზოგიერთ ხელნაწერებში მისდევს შემოკლებულ ისტორიას ანტონ I-ის კათალიკოსისას, მაგრამ ანტონ I-ს არ ეკუთვნის, არამედ დაკით რექტორს მესხიშვილს, როგორც მოწმობენ მრავალნი ხელნაწერები. რედაქტორი.

დასასრულ კიდევ ორიოდუ მოგონება. საქართველოსაგან მოწვეუ-
ტილ ერთ მუჭა ქართველობის ყოფა საინგილოში ფრიად მძიმე იყო.
ახალი ბატონები ბუნებით ღაღ და თავისუფლების მოყვარე ქართვე-
ლობისაგან მითხზოდნენ სიტყვა-შეუბრუნებელს მორჩილებას, წარ-
ბეებში შეჭვრეტილი იმის გამოცნობას, რაც ესამოგნებოდა გუშინდელ
მისს მონას, უმას. და ვაჟ მას, ვინც დროით ვერ გამოიცნობდა და
დაიკვიანებდა აესრულებინა მტარვალის მითხზვნა: წამება, ხვრეტა
და სახნობეფა მზათ იყო ამისთანაებისთვის. აწამებდნენ იმისთვისაც,
თუ ქართველთ, რომელთა საუდრები უკვე გაუქმებულ იყო და ღვდელუ-
ბიც ამოწვევტილი, გამოეჩინათ თვისი ქრისტიანობა (ფარულად
ქრისტიანობდნენ და ცხადდევ მჰმადიანობდნენ), მარხვის შენახვას
თუ სახელის დანთებაში მოესწროთ. წამებულთაგან ინგილოებს ახ-
სოფთ ხუციშვილების წინაშარი და აგრეთვე ზილფი ჯანაშვილი, რომ-
ელიც, ლეკების მიერ დატყვევებული, შამფურებით დახვრიტეს ჭა-
რულ დედაკაცებმა; მოწამეთა შორის შეირაცხნენ აგრეთვე ჭარულები-
საგან დანთცილი აბელ მოურავი და სახლთხუცესი ზურაბ ჩოლაყა-
შვილი (იხ. ჩენი საქ. ისტ., გვ. 380).

ლეკები უდიერად ეზერობოდნენ არა თუ მარტო აქურ ქართვე-
ლობას, არამედ აქურ თათრობასაც. ეს თათრები (მონგოლები) მაზ-
რაში დამკვიდრდნენ ჯერ ისევ 13—14 საუკ.-ში. იგინი არიან ნაშ-
თნი ბერქაყანის, ალათემურის, ღანგთემურის და მონგოლთა სხვა
მზერობელების ლაშქრისა. მათი სახელები დღესაც შერჩენიანთ სოფ-
ლებს ალათემურს, ემირ-ჯანლოს, მუღანლოს, ფაღდარლოს, ალაი-
ბათს და სხ.

ქართველების მტრებმა ჰირქვე დასცეს მათი მფლობელობა, მა-
თი საუდრები, მაგრამ მათი სახელი ვერ ამოაგდეს, მათს კულტურას
თვითვე დაუმორჩილნენ მწირ დაღისტნიდან ჩამოცვივნილი „წუნკა-
ლა ბურკადლები“. ლეკების სოფლებში დღეს ქართველობა აღარ არის,
მაგრამ მათს წელებს, მიწებს, მთებს, სოფლებს, სახნავ იარაღებს
და სხ. უწინდელივე სახელები ჰქვიათ. გუთანნი—ქოთან, ხევი—ხი,
არხი—არხ, წერეთლის-ტახტი (მთა), წერეთლის-წყალი, გურჯი-
დად, წილბანი, ჭარი, წინდა—წინდა, წაბლი—წაბულ, მუხა—მუქ და
სხ.,—უველა ეს ქართულია და ქართველებისაგან შეთვისებული ლეკების

მიერ. ქართველების სისხლის გაფლენაც კი ცხადად დასტუბია აჭურ ლეკობას: მათი ბუნებრივ უღაზათო სახე გამოფაჩიზებულა, გალაღებულა. ეს, რასაკვირველია, შედეგია ქართველ ქალებისა და ვაჟების მოტაცებისა და გალევებისა.

სიტყვით, უფულ ფეხის გადადგმაზე გზვდებათ აქ ქართველობის უწინდელ დიდებულების ნაშთი: ცინეები, საყდრები, ნიშები, სასაფლავოები, ნასოფლარები და სხ. უღრანს ტუეში ნახავთ დიდებულს საყდარს; შედინარ ვითომ დაბურულს ტუეში და იქ კი აქეთ-იქითობამდე სამაროფანი გზვდებათ.

გულსაკლავია ვეკლა ამის ხილვა არა იმიტომ მარტო, რომ ქართველის ნაშთია, არამედ უფრო იმიტომ, რომ მტარვალს მის კარშემო მჩქეფარე თავისუფალი სული მოუსპია, ცხოვრება დაუვსია. თითქმის ჰერეტიკი და მიწა ცოტა იყო, რომ შეშურებია ქართველობისათვის მისი ოფლით მონაკარი, მისი წილი და კუთვნილი ჰერეტიკი, წყალი და ქვეყანა! მაგრამ... ცხოვრება ბრძოლაა და ვაჟ მას, ვინც დროით გამჭრიახობას ვერ გამოიჩენს, ამბობენ ინგილოები. და მართლაც არიან: მთავს 3—4 საუკუნის ვაჟ-შეშვებულს მათ თავი გმირულად გამოახწიეს და დაიცვეს არა თუ თავისი ვინაობა, არამედ ქართველობის სახსენებელიც აჭურ ძირობაზე.

ცოტა მოეფანათ თუ არა, ინგილოებმა გამოგზავნეს ქალაქს (1849 წ.) თვისი წინამძღოლები (ივან-ბაბა ბულუღაშვილი, გიორგი ჯანაშვილი, კოტე ბულუღაშვილი და კიდევ 4 სხვა) და გამოუცხადეს მთავარ-მართებელ ვარანცოვს — ჩვენ ქრისტიანები ვართ და გამოგვიგზავნეთ ქართველი დიდლები, რომ „მოუნათლავი ქრისტიანები“ მოგვხატონ. რაღა თქმა უნდა, იმ შამილობის დროს მთავრობას ძლიერ ესამოფნა ინგილოთა მოხსენება, ქართველობა ხომ მეტად განარკებული იყო დიდის ხნის დაკარგულ ძმების ზოგნის გამო. მოსულები მაშინათვე მონათლეს სიონის ტაძარში (გ. ჯანაშვილის მიმჩქეფლად იყო ავით ვარანცოვი, ხოლო ი. ბულუღაშვილისა — მისი მეუღლე). მეორე წელიწადს ამავე ინგილოებმა ქალაქში ჩამოიყვანეს კიდევ 70 კაცი (მათ შორის 9 წლის დიმიტრი ჯანაშვილიც), ესენიც მონათლეს და ქართველ სამღვდლოებით დაბრუნდნენ და გააქრისტიანეს ვეკლა ქართველობა. გაისმა ისევ ზარის ხმა. ერის

სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. მაგრამ მალე ისევ მოხდა ლეკების დეფა (აჯი-მურთუხას ამბოხი 1862 წ.), ინგილოებს ემუქრებოდნენ, გაგწევეტავთ, თუ არ გამაჰმადიანდითო. მუქარამ ბევრი შეარყია: ალიაბათი, მოსული, ჰენგიანი და სხ. გადადგნენ. ქრისტიანობა დარჩა მხოლოდ კაკს, ყორაღანს, ალიბეგლოს, ქოთუქლოს, მეშაბაშს და თითო-ორილაც ზოგიერთ სხვა სოფლებში. მაჰმადიანად დარჩენილები დღეს თითქმის უარჰყოფენ თავიანთ ქართველობას, ირთავენ თათრისა და ლეკის ქალებს, რომ რა არის, ენაც მალე დაივიწყონ. მხოლოდ ასეთი უარყოფა თავის-თავის ცოცხალი შეაჩერა ეხლანდ აჭარიდან მოსულმა ქართველმა მოლამ. მან უველას ჩააკონაო, იწერებიან, რომ ჩვენ ქართველები ვართ და მხოლოდ რჯულით მაჰმადიანებიო, ჩვენ ჩვენის ქართველობით და ქართულ ენით კიდევ უნდა ვიამყოთო.

ინგილოთა რიცხვი ზაქათალის მაზრაში.

	1859 წ. კომ- პლური აღწერით.		1871 წლ. აღწერით.		1886 წლ. აღწერით.		1887 წ. ქრის- ტიანულ სახე- ლში იყო აღ- წერით.
	კომლი	კომ- ლი	რიცხვი	კომ- ლი	რიცხვი	რიცხვი საზოგად.	
ზაქათალა				4	15 კ.	3009	
ითი-თალა		36	154 კ. მ.	68	362 ინ.	538 მაჰმ.	
ყანდახი	97 კ. მ.	127	599 კ. მ.	156	871 თ.	778 "	
ტენგიანი	57 თათ.	74	377 თათ.	94	414 ინ.		
კაპანახი	37 კ. მ.	53	247 კ. მ.	65	358 თ.		
მოსული	193 თათ.	239	1167 თ.	261	1255 ინ.	1330 "	
ალიაბათი (ელისენი)	617 კ. მ.	688	3805 კ.მ.	790	4351 ინ	4166 "	
ვერხიანი	185 თათ.	231	1558 თ.	280	1945 თ.	1808 "	
ზაგანი	86 კ. მ.	94	605 კ. მ.	106	790 ინ.	774 "	
თასმლო	85 "	92	460 "	85	553 "	610 "	
ლალათაშა	31 "	32	175 "	35	185 "		
მარსანი	47 "	60	287 "	63	316 "		
სოსკანი	20 "	26	110 "	7	34 "		
კაკიკანი	180 კ.კრ.	249	1944 კ.კ.	308	2148 .	2111 კრ	
მეშაბაში	16 "	22	113 "	23	129 "		
ყორაღანი	69	115	626	125			
	35 კ. კ.		268 კ. კ.		320 კრ.		
	34 კ. მ.		358 კ. მ.		434 მაჰმ.	502 მაჰმ.	

	1859 წ. კომლენური აღწერით.	1871 წ. აღწერით.		1886 წ. აღწერით.		1897 წ. რიბდლოვი სახელწოდებით.
	კომლი	კომლი	რიცხვი	კომლი	რიცხვი	რიცხვი საზოგად.
შოთავარი . . .	35 კ. მ.	56	305 კ. მ.	56	350 ავ. მულ	
ალიბეგლო . . .	83 კრ.	104	636 კ. კ.	118	857 კარ.	888 კრ. 202 მაჰმ.
ქოთუქლო ბელაქანი . . .	28 კრ.	30	155 კ. კ.	38	227 კარ. 12 კრ.	7629 მაჰმ.
სულ . . .	1846:	2304	13331		15924	
ქართ. მაჰმად.	1089		7113		12750 (ქართვ.)	
ქართ. ქრისტ. თათარი . . .	322 435		3116 3102		3174(თ.)	

ამ ცხრილებით ცხადად ჩანს, თუ რა გვარად არეულია ეს თვლად რიცხვმა: ეანდახში 1859 და 1871 წლ. ანგარიშით სულ ქართველობაა, 1886 და 1897 წლ. ანგარიშით კი თათრობა, ამგვარადვე არეულია ჭენგის თვლად რიცხვა, ალიბეგლოსი, ყორაღანისა, ვერხანისა, სხვა არც ერთი ქართველი არ არის ნახელები. ყორაღანში სულ ქართველობა და სტატისტიკოსებს კი ამათგან ქრისტიანები ჩათვლიათ ქართველებად (грузины) და მაჰმადიანები ჭენგალოებად (енгилотцы), ამგვარადვე მოქცეულან სხვაგანაც, მაგ. კაკელი, ალიბეგლოელი, ქოთუქლოელი და სხ. ქრისტიანი ინგილოები ქართველებად დაუწერიათ, ხოლო ალიბათისა, მოსულისა და სხ. ინგილოები აღუნიშნავთ პენგილოებად. 1897 წლის აღწერით ზაქათაღის მაზრაში ქართული ენა მშობლურ ენად ეთვლება 12,394 სულს (6.602 მაჰაკეს და 5987 დედაკეს).

შესანიშნავი სოფლები და ქალაქები.

კაკი (კულმუხი=ქურმუხი), რომელშიაც შესაბამისა 1602 წელს კახეთის მეფეს შეჰძლია 7000 თუმანი, შეუენილია ქურმუხის ვიწრო ხეობაში, კავკასიონიდან ჩამოწოდილ საკმაოდ მაღალ კალთებ შორის. ხეო-

ბა, რომელიც დასაწყისს (სოფლის ბოლო) ერთი მთიდან მეორემდე იქნება სულ 4—5 ვერსი, თანდათან ვიწროვდება ისე, რომ ელისოს ბოლოს, სადამდე კაციდამ არის ათი ვერსის მანძილი, ორივე მთები ერთმანეთს უახლოვდებიან, მათ შორის რჩება მხოლოდ რაღაც 40—50 საჟ. სივრცე, საცა ორივე მხრით მაღალი კონცხებია და მათზე გადაკიდულია მაგარი ხილი, რომლის ქვეშ ღრიალით მიხუვის კავკასიონიდან მორბენალი მდ. ქურმუხი. ხიდს ცოტა ზევით, ქურმუხის მარცხენა მხრის ფერდობი იზნიჭება მარცხნივ, ჩნდება მომრგვალო ტაფობი, საცა გაშენებულია სოფელი ელისო, სატახტო დაბა სასულთნოს უკანასკნელ მთავრებისა (სულთნებისა). დაბა დასახლებულია ლეკებით, რომელნიც თათრულად ღამარაკობენ. ადგილი ფრიად მწირია და მოსახლეობა ღარიბი. მათ ცხოვრება საინგილოდამ აქვთ. უკანასკნელ სულთნის დანიელებკის შთამომავალს ხალილებკს ბლომა შვილები ჰყავს, ერთი მათგანი (ჯაფარი) ამ წინაზედ სწავლობდა ტფილ. სათავად-ახანურთ სასწავლებელში, შეენიერად შეითვისა ქართული ენა, მაგრამ უღრთოდ დააბრუნეს შინ: გააქრისტიანებენო. მათ ელისოში აქვთ მშენიერი სასახლე. ელისოს ზევით, ვიწრო ღელეში არის ფრიად ცხელი წყლის აბანო, რომელიც ზაფხულობით იზიდავს მრავალს ავადმყოფს. აბანო თუმცა მოუწყობელია, მაგრამ მანც ბევრს ჰკურნებს მრავალჯვარ სენისაგან.

დაბა კავის სიგრძე 5—6 ვერსია, ხოლო სიგანე 2—3. მარცხნით მთის ძირობაზე ჩამოდის ქურმუხი, რომლის რივე ელისოს ხიდს ქვემო თანდათან ფართოვდება და 1—2 ვერსის სიგანეზე იშლება. მისგან სოფელში შემოდის ორი ხევი—ემირჯანლოსი და თათრისა. მარჯვნივ მთის ძირში ჩამობის ხევი კობალა¹⁾, რომელსაც სათავე აქვს ახჩეის ვიწრო ხეობაში. ამ ხეების წყალი არა თუ რწყავს მთელის სოფლის მიწებს, არამედ აბრუნებს მრავალ წისქვილებსაც და ჩალოუქის საცეხავს დინებებს. ბოლოდამ თავამდის დაბას ჰყოფს ორ ნაწილად სწორე შარა, რომელსაც საუდრის ზემო ეერება აგრეთვე

1) მზგაესი სახელები ყველგან არის საქართველოში: კობლიანთკარი, კობლიანთ-ხევი (მესხეთში), კობალთა (აჭარაში), კობლიანიძე, კაბალი (ჭიაურის ახლოს), კაბალა (საუდლოში).

ბაზრის გზა და ბაზრის ბოლოში სახელმწიფო გზა-ტკეცილი, გადაჭიმული ზაქათალასა და ნუხს შორის. სოფლის შუაგულში არის საკმაოდ დიდი ბაზარი, საცა ვაჭრობენ სომხები, მავშადიანები და თითო-ორთლად ინგილოები. კაკ-ელისენში ასრეთი ბაზარი არსად არ არსებობს, ასე რომ აქაური ვაჭრობა აკმაყოფილებს მთელის ამ კუთხის საჭიროებას. ბაზარს გარდა, დანაშეთნი ადგილი უკავია მკვიდრთა სახლ-კარს. მთელი დაბა, საზოგადოდ, კაცს შორილამ ერთ შვენიერ წალკოტად ეწვეება: აქაურობა იფლობა ბაღ-ვენახებში. დაბას აქვს ორი სასწავლებელი, ორი საყდარი, სანაიბო, სასამართლო და საფოსტო დაწესებულებანი. ამას გარდა აქაურ თათრებს (მულალებს) აქვთ კიდევ თავიანთი მეჩითები, ხოლო ვაჭარ-სომხებსაც თავისი საყდარი. გადმოცემით, უწინ კაკი უოფილა 1000 კომლოვანი ქალაქი, რომელსაც ჰქმევია თორადაჲ. ეს გადმოცემა მტკიცდება ისტორიულ ცნობითაც: თორადას (თორდას) დიდი ციხეები ჰქონია კიდევ ლაგოდეხის და კახეთის სხვა მთებში და ზოგი მათგანი დღეს იწოდება თორადად, თორდად. თამარ მეფის უამს თორდაისძენი იუვენ „თავნი კახეთისანი“ (ქ. ცხ., 217).

დაბა სასკა ძველის ნაშთებით, რომელთა შორის შესანიშნავია კასრის-საყდარი, ქურმუხის-საყდარი, ბარბარეს-საყდარი, ჭანდარა-საყდარი და სხ.

კასრის-საყდარი, როგორც უკვე ვთქვით, ააშენა მეფე არჩილმა († 718 წ.). ქართლის-ცხოვრება იტყვის: „და დაჟდა არჩილ მეფე წუქეთს და ალაშენა კასრი, და ჰოფნა წუქეთს მთავარნი, რომელთა მიებოდა ვახტანგ გორგასალს წუქეთი; და იყო მაშინ, — რომელი ერისთაობდა თუშთა და ხუნზთა (=ხუნძახი) ზედა და უოველთა წარმართთა მთისთა, — სახელით აბუხვასრო და არა ინება მისგან წალკად წუქეთი. და ალაშენა ქალაქი ნუხპატის (ნუხი). ნუხპატელნი იუვენ წარმართნი და მხეცის ბუნებისანი და იძულებით მოხატლნა არჩილ იგინი“. კასრის საყდარი იყო მცირე, მაგრამ დანგრეა. მის ეზოში არის უზარმაზარი ქვერი, რომელსაც გვერდიდამ მღვიმე აქვს გაკეთებული. მთელი ეს ეზო წარმოადგენს მცირე ტაფობს საყარეულე-კასრის საყდრის ფერდობზე. დანგრეული ეკლესია განაახლა ადგილობრივი მღვდელმა მიხეილ უულოშვილმა. ეკლესია დიდებულად გადმოჭყერებს

არა თუ მთელს სოფელს, არამედ მთელს მის წინ მდებარე საინგი-
ლოსაც აღაზნამდე და მასაც იქით შავთამდე და დედოფლის-წყარომ-
დე. განახლებულ ეკლესიის გვერდით გამოჩნდა დიდი აკლდამა, საფ-
სე ადამიანის ძვლებით. იქვე იმავე დამსახურებულ მღ. ყულაშვილმა
იპოვა ქვა ასომთავრულ დაზიანებულ წარწერით, რომელიც გადმოგვ-
ცემს ამას: „ესე . თავლისაშვილ ქრისტესიამ შესანდოთ შვილთა და-
ვით და იოანესი და ვინც შენდობა ბრძანოთ, აქეუნც მოგიხსენოს
ღმერთმან სასუფეველსა შინა. მოიკსენოს უფალმან სასუფეველსა შუ-
როდან-მზე, სასუფეველსა შეუნდნეს“. ეს საფლავის ქვის წარწერა,
და საფლავები კი იქ სხვაც ბევრია. თვით სოფლის სასაფლაო კი
მთის ძირშია და ჰქვია „სანების სამარვანი“ (სანება = სამება, რად-
გან კასრი სამების საყდარი ყოფილა). კასრის-საყდრის ეზოში მყოფ
ქვევრის შესახებ ადგილობრივი გადმოცემა ამბობს ამას: ქვევრში
1000 ჩათუ ღვინო ისხმოდანო ყოველ წელი, ე. ი. კომლზე თითო
ჩათუ. შემოდგომაზე მოიტანდნენ, გაავსებდნენ და დაკრძალავდნენ.
კვირადლობას (=კვირაცხოვლობას) კი უველანი მოვიდოდნენ სალოცა-
ვად სანოვავით, ახდიდნენ და იზიარებდნენ ერთად ძმურად.

ქურმუხის საყდარი დაბა კაკის იქით კავკასიონის გამოშვებულს
ფერდობზეა და დაჭურებს თვალ-უწვდელელ სივრცეს. იგი ერთი
უზარმაზარი მთლიანი კლდეა, საყდრის სახით შემოკვერცხილი. მის
თავზე რაღაც ნაშენობის ნაშთიც არის: ამბობენ, ზედ კიდეგ ნიში
იქნებოდაო. ქურმუხის-საყდარი ანუ ქურმუხის წმ. გიორგი მეტად
სწამს აქაურ ხალხს, თვით მკვამდიანებიც კი ხანდახან მოდიან მის სა-
ლოცავად. მისი ჰატვი ისე ძლიერაა აქ, რომ ინგილო საკლავს ისე
არ დაჰკლავს, რომ ღმერთის შემდეგ არ ახსენოს ქურმუხის-საყდარი:
„ღმერთო ჯ ქურმუხის საყდარო, შენ შეგუწეაო“, — წარმოსთქვამს ინგი-
ლო ჯ დანას გამოუსომს ქურმუხის საყდრისკენ პირმიქცეულად წამოქცეულ
„სამსტოს“ ანუ თუნდ საკორცეს, ქათამს და სხ. საკლავს. ქურმუხის
საყდრისკენ მიდის მთა-მთა ფართო ბილიკი. მის შესახებ არსებობს
მრავალი თქმულება. შიგ საყდარში (კლდეში) არისო მღვიმე, რომ
მელშიაც იმყოფებაო ოქროს მამალი; ის რომ დაიფიფლებს, მაშინ
სხვა მამლებიც გაიგებენ შუადამეო და უიფიფს მორთავენო. მის კა-
რიპირიღამ თუთია (წმ. მიწა) რომ იქონიო და წყალში ნალესი და-

ლიც, გარკვევით და სხვა და სხვა სხეულებს ვერ შეგავსებულა. ბილიკის ქვემო ფერდობზე ჰყრია დიდრთვი კონცხები; ეს აქლემები არიან: ურწმუნო მესაქლემის გაუქვავდნენო. დღეობას (10 გიორგ.) დიდებულად გადინდის ხოლმე. ყველა სოფლებიდან მამხტო-საკლავებით მოსული ინგილოები.

ბარბარეს საყდარი, ჭინდარა საყდარი (კეჭენს მთაზე) და სხ. მთლად დანგრეულებია. შირველი აბარია ქიტიაშვილებს.

მეტის-მეტ სათაყვანოდ ითვლება აგრეთვე ხუციშვილების ოჯახში შენახული საეკლესიო და სამღვდლო სიწმინდენი „ხუციანთ-ოთხთავი“ და სხ. ნივთები.

როდესაც ამ მშვენიერ ქვეყანაში უფლობდნენ ლეკნი და მტარვალობდნენ ელისოს სულთანნი, „ხუციანთ ოთხთავი“ იყო ეთად-ერთი ნავთ-საყუდელი აქურ ქრისტიანებისა, იგი იყო მათი ნუგეშინის მცემელი, მათი სისოება და სულიერი მკურნალი. მის თაყვანის-საცემლად ინგილონი დიდის კრძალვით იკრიბებოდნენ ხუციანთ ოჯახში, აქ ანთებდნენ სანთელს, აკმევდნენ საკმეველს და ღმობიერებით ითხოვდნენ შველასა და შემწეობას. ღირსია უურადლებისა, რომ ამ „ხუციანთ ოთხთავის“ წინაშე დასაკლავად ყველაზედ უკეთესს მსხვერპლად ხალხის თვალში ითვლებოდა ოთხ რქიანი ვერძი, ანუ ოთხ რქიანი ვაცი. ამგვარ „სამხტოს“ შესაძენად ინგილო არ იშურებდა თავისს ქონებას, რადგან იგი დანიმუდებული იყო, რომ ასრეთ მსხვერპლს შეიწირავდა უფალი. „ხუციანთ ოთხთავის“ ბრალთა უმთავრესად, რომ ეს განაზიარა კუთხე სრულიად არ მოსწედა საქართველოს და დაცვა თავისი ხალხისნობა - ქართველობა, თავისი ენა და რჯული; მისივე ბრალთა, რომ ლეკთა ძალ-მომრეობამ ვერ დაჩაგრა ეს ერთი მუჭა ხალხი, და ინგილო ისევ დაშთა ქართველად.

ამგვარი დიდი დამსახურება აქვს „ხუციანთ ოთხთავის“ ქართველობის წინაშე და ამიტომაც იგი ღირსია უურადლებისა.

გადმოცემის მიხედვით, ხუციშვილების წინაპარი უოფილა მღვდელი, რომლის შთამომავალნი არიან დღევანდელნი ხუციშვილნი, მცხოვრებნი სოფ. კაკში. ლეკთა მტარვალობის დროს, როგორც ყველა ინგილოებს, ისე ხუციშვილებსაც გარეგნულად მიუღიათ მსჭმადიანობა. მიუხედავად ამისა ინგილოთ ქრისტიკს სარწმუნოება არ დაუტოვებიათ

და ფარულად უსრულებიათ უოგელი ქრისტიანებრივი წეს-რიგი და ულოცნიათ ქურმუხის წმ. გიორგი და „ხუციანთ ოჯახი“, რომელ-შიაც კრძალვით შეუნახავთ უოგელი სამღვდელთ ნიუთი. აი რა და რას დაცული ხუციშვილების ოჯახში.

1. სახარება ვახტანგ მეფის დროისა და მის მიერ დაბეჭდი-ლი ტფილისში. სახარებას აწერია: „საღთო და საღვდელთო სახარება, აწ ახალი და ჰირველი დაბეჭდილი ქართულს ენაზედ ჟამსა ამაღლე-ბულისა და სახელფანისა საქართველოს მეფისა უფლის უფლისა გი-ორგისა იესიან-დავითიან-სოლომონიანისა შრომითა ფრიადითა და წარგებითა საფასურითა მართლ-მადიდებელისა და განათლებულისა სა-ქართველოს გამგებელისა ბატონიშვილისა და თვით უფალ ვახტანგ ლევანის ძისათა. გაიმართა... ესე ხელითა ნიკოლოზ მღვდელ მონაზონისა ორბელისშვილისათა. კელითა მესტამბე მიხეილ სტეფა-ნეშვილის უნგრეთ ვლახელისა ქალაქსა ტფილისისასა, ქორთიკონსა ქრისტეს აქეთ ათას შვიდას ცხრასა“.

2. კრებული, რომელიც შეიცავს: ლოცვას, ჟამნს, ზადიკს, სამოციქულოს. აშიაზე აქვს წარწერანი: „ღმერთო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი იოსებ დიაკონი, უღირსი“; „უფალო ღმერთო, შეიწყალე უოგლად უღირსი ამ წიგნის მწიბავი ლავრენტი მონაზონი, ჯვარის-მამას აღზრდილი ბერი“.

ბოლოში ჩამატებულია:

„იწიგების ქორთიკონი ესე: ტოზ (=1689 წ.).

„ამავე ქორთიკონსა გამეფდა ერეკლე ქართლს.

„ამავე ქორთიკონსა კახნი ჭარს მოუხდნენ¹⁾ და გატეხეს და მრავალი ზიანი უევეს; და ჩვენ მოგვიკლეს ენდრონიკაშვილი აბელ მო-

1) მეფის ერეკლეს ტფილისში შესვლას ვახუშტი უჩვენებს 1688 წელს. კახთა ჭარს მიხტომის შესახებ ქართლის ცხოვრებაში ვკითხუ-ლობთ: „შეიკრიბნენ სრულიად კახნი და მივიდნენ ელისენსა შინა. ევე-დრნენ ჭარელნი და აღუთქმიდნენ მორჩილებასა და ხარკსა, რათა არა მოსწყვიტონ. ესე არ ინებეს კახთა და შეუხტნენ. ვერ წინა-აღუდგნენ ჭა-რელნი და ამათ ამოსწყვიტნენს და შემუსრნენს სიმაგრენი მათნი და ნაა-ლაფენი დადგნენ ჭარსა შინა, რამეთუ განეზრახათ სამ დღე მუნიდამ რბევა და ტყვევა მარად-დღე. არამედ გლენთა რა იხილეს ალაფი დი-

ურავი, და ჩოლაყაშვილი ზურაბ სხლთხუცის შვილი და იქმნენ მოწამეთა თანაზიარ თვესა მაისსა 15, დღესა კვირიაკესა.

„ამავე ქორთნიკონსა დაჯდა ალექსანდრე... ..ქორთნიკონსა ტ^აზ (1699 წ.) მეფის ერეკლეს ჟამში.

„ქ: ღმერთმა: ბედნიერის: კელმწითის: ჭირი: და: სატკივარი: მისცეს: აბრამ მღვდელს: ქ: ა: ბ:... ღმერთთა: მიეც გულის: უურჩი: ისწავოს და გემსახუროს: ამინ: და კირიელისონ“.

3. კონდაკი, 4. კუროთხევანი, 5. კონდაკი, 6. დაუჯდომელი, 7. ფეშხუმი, 8. ბარძიმი მინანქრიანი, 9. ღრუბელი, 10. სამირენეები ჩინური თიხისა, 11. სანაწილე, მსგავსი საათისა, 12. სეთისკვრის ბეჭედი მარმარილოს ქვისა, ზედწარწერით: „იესო ქრისტე ძლევა“, 13. ჯვარი ვერცხლისა დროშაზე გასაკეთებლად, ხუთის თვლით, 14. ჯვარი ჰატარა უფითელის თითბრისა, 15. ჯვარი ჰატარა, გულზედ საკიდი და 16. ბარძიმი ვერცხლისა, ზედწარწერით: „ქ: შემომიწირავს: მე: ნაცვალს: ბერუკას: ესე: ბარძიმი-ფეშხუმი: ყოვლად წმიდის: ღვთის: მშობლისათვის: ჯიმშიტას: სადღეგრძელოდ: და ცოდვათა: ჩვენთა: შესანდობლათა“.

ვინ არიან ბერუკა, ჯიმშიტა, აბრამ მღვდელი, ლავრენტი მონაზონი, დიაკონი იოსები, ქართლის ცხოვრებიდამ არა სჩანს. არც ზეპირ გადმოცემას შეუნახავს მათ შესახებ ცნობა.

ამ ნივთების შენახვისათვის ერთი ხუციშვილთაგანი ელისოს სულთანს უწამებია: შარა გზაზე ჩამოუკიდნა.

ბევრია კიდევ აქ ძველი ნაშთები, მაგ. ალავერდის წმ. გიორგი, რომელიც სოფელმა ნგრეულობითგან აღადგინა ამ რამდენიმე წლის წინად. იდღესასწაულებას კახეთის განთქმულ ალავერდობა დღეს — 14 სექტემბერს.

კაკის უბნად ითვლება სოფ. აზნაური (იქვე ქურმუხის იქით ნაზირას) და ბინებად კი უარამეშა, ალათემური, ქეშხუთანი და პახთა-ლა, საცა შეენიერად შენახულა ძველი საყდარი.

დი, აღიტვირთნენ და წამოვიღნენ. აღუძნდათ ესე მთავართა ფრიად, გარნა არღარა უსმინეს. ამის მხილველთა ქარელთა ჯწყეს თვითოველმან ცემა თოფთა, მოკლეს ღუშია მოურავი და მრავალნი წარჩინებულნი და ივლტოდნენ კახნი“. ეს ამბავი ქართლის ცხოვრებით მომხდარა 1699 წ.

ყოფი დიდი სოფელია კაკიდან 5—6 ვერსის მანძილზე უუმის-
წელის ხეობაში. ადგილი შეენიერია, მდიდარი მცენარეულობით. აქ
არის ნანგრევი დიდებულის საუდრისა. დღეს მასში ლეკები მოსახ-
ლეობენ და იქიდან ცდილობენ ინგილოების ჰატარა სოფ. სოსკან-
შიაც გაბატონდნენ. გადმოცემით, უუმის ქვემო ნაწილი ყოფილა კუ-
თენილება ჯანაშვილებისა. შაჰაბაზი რომ მოსულა, 7 ძმა ჯანაშვილი
მას შებრძოლებია ძლიერად. ექვსი დახოცილა ბრძოლაში და მეშვიდე
შერმაზანი კი ტყვედ ჩაუარდნია შაჰაბაზს. იგი სიკვდილისაგან გადურჩე-
ნია წახურელს კამაზ-ოღლის. მოუხსენებია მტარვლისათვის: მაგის
მეტი ჯანაშვილი აღარ გადაჩნა, ნუ მოჰკლავ. რა უნარი აქვსო, უკი-
თხავს შაჰს. მთელს შენს ლაშქარს ლავაშითა და თათლით დაძღობს,
ისეთი შემძლებელიაო. მართლაც გამსწინძვლებია. შაჰს აღარ მოუყ-
ლავს, მხოლოდ თავადობის ღირსება მოუშლია და უჩუქებია თავად
კამაზაშვილისთვის. შერმაზანის ჩამომავლებს აუშენებიათ კაკში ცი-
ხე მათეს-ყალა ფანცაურის მიდამოს. ციხე დღეს აღარ არის, ხო-
ლო მთელს ველს ისევ მათეს-ყალა ჰქვიათ. აქედან აურილან ზოგი
ჯანაშვილები, წასულან მოსულს და იქ დღესაც მოსახლეობენ მათე-
შვილების სახელწოდებით (იხ. დ. ჯანაშვილის „ჰქვეთის აღწერა“,
მოგზაური 1901 წ. № XII, გვ. 1130).

სოსკანი, საცა ცხოვრობენ გამაჰმადიანებულნი ჯანაშვილები და
სხ. ინგილოები, წინაღ ყოფილა ბინა კაკისა, რომელსაც შორავს 6
ვერსით. 1850 წელს ამ სოფელს თავს დაესხა 500 აყარელი და
უუმელი ლეკი. მაშინ ნაიბად კაკში იყო ზისერმანი. ეს მდევრად გა-
ვიდა, მაგრამ ნახარა, რომ ლეკები ტყვითა და ნადავლით უკვე მი-
დიან უუმისკენ და ძლიერ შეიარაღებულ არიან, უკანვე დაბრუნდა¹⁾.
ტყვეები და მათ შორის ერთი ჯანაშვილი დედაბერიც შემდეგ გამო-
ისუიდეს მათ გადაჩენილ ჭირისუფლებმა. სოსკანი კი მთლათ გადა-
ეწოთ და მაშინვე გადაიწვაო, ამბობს გადმოცემა, ჯანაშვილების უწინ-
დელი საკვარეულო სიგელი.

ყოვალანი ორპირად გაშენებული სოფელია კაკ-აღიბეგლას
გზაზედ. მასში 756 მცხოვრებია, მათგან 322 ქრისტიანი ინგილო

¹⁾ А. Зиссерманъ. Двадцать пять лѣтъ на Кавказѣ, в. 1,
გვ. 313.

და 434 მკჷმადინი ინგილო. სძოფრები აქეთ ბლომად, სსმელი წყალი უფარგისი და ციებ-ცხელება განშირებულაი ზაფხულობით. ეორაღნელებს აქეთ ეკლესია და სკოლა.

ალიბეგლო კაკ-ეორაღანს შუა მდებარეობს. შესანიშნავია სსმ-კურნალო წყლით, რომელსაც ჭქვიან „უინათმა“. სსმკურნალო წყალი ლაკოშია. რამდენიც უნდა ამოიღო, მაინც არ დააკლდება. სსბანად მოდიან ეოვლის მხრით. წყალს აცხელებენ განურებულ ქვით ნავებში. არჩენს ბუგრს, ქარებიანს. ამ სოფელში 865 ქრისტიანი ინგილოა. აქეთ ეკლესია და სკოლა.

ქოთუქლო აშენებულაი ეორაღანივით ორჷბრად. მასში 227 ქრ. ინგილოა. აქეთ ეკლესია, სკოლა.

ლექეთი შვენიერს ხეობაშია. იქვეა სოფ. ზარნა. ჷირველში არის რამდენიმე საუღარი ჯგუფად, ნაშენნი თლილის ქვითა, აკლდამებიანნი, ლამაზ და ვიწრო სარკმელიანები, მაგრამ სსკამოდ დაზიანებულნი. 1878 წელს უმთავრეს ტაძრის კედელზე კარგად მოჩანდა ღვთის მშობელი და მის წიაღში ქრისტე იესო. საუღრების გზაზე გავრანებული მარნია. იქვეა ერთი უზარმაზარი ქვა, რომელიც გადმოცემით, ხაზინას ჷირს აღვესო. ტაძრების ეზოში საფლავებია, და ჩამორობის ანკარა წყარო—არხი. ზარნას საუღარი ისევე მთელია.

ეარღინი ლექეთს იქითაა. უწინდელი ციხე-ნასახლარები (მიაკუთვნებენ თამარ მეფეს) მდლა მთაზეა, თვით სოფელი კი დაბლა მთის ძირობაზე. 1706 წელს აქ ისევე ქართველობა იყო, ხოლო ამ წელს მუნ დამარცხდა კახეთის მეფე დავითი (იმანუელიანნი) და მას აქეთ ქართველობაც ამოვარდა და მათი ადგილი დაიკავეს მულალებმა და თვით სოფელსაც შეუცვალეს სახელი და დაარქვეს გულლეგი (თათრ. გულ-ვარდი, გულლეგი = ვარდიანი). ვარდიანს იქით სოფ. მამრენია, ჩარდახი, მუხახი და სს.

თასმალო ბად-ვენახებით შემკულია. აქარებს აქეთ ეკლესია და მეჩითი. ქრისტიანობას ძალთან უჭირს აქარობაში, მეტადრე ზავანსა, ალიაბსა და სხვა ამ მისადევრის სოფლებში.

ალიაბათი (ელისენი) დიდი სოფელია (4351 სული). მთლად იფლობა ბად-ვენახებში, აქვს შვენიერი მეჩითი, ლაჷარაკობენ მცხოვრებნი წმინდა ქართულს ენაზე და რჯულით კი მკჷმადინობენ.

ბაზარი შორავს ზაქათაღას 12 ვერსით. მუღანლოს ხიდის გზის გაყოფებაზეა. ლეკები მას უწოდებენ თორფაღაღას. შენახულა შვენიერი დიდი საყდარი ღვთის-მშობლისა, აგებული ღეონ მეფის მიერ (XVI ს.) ქართულ აგურით. გუმბათიანია, შიგ მოხატული. მის ეზოში აღიბათელ ინგილოებმა ხენის დროს იპოვნეს ზარი ღეონ მეფის წარწერით. (ზარი ეხლა ტფილ. სახემწ. მუზეუმშია). აქ 1605 წელს იდგა გამაჰმადიანებული კოსტანტინე, რომელმაც შაჰაბაზის ჩაკონებით მოიწვია თვისი მამა და ძმა, დახოცა და თავის რძალს ქეთევან დედოფალს შეუთვალა ჩემზე გამოთხოვდიო. ქეთევანმა იგი დაამარცხა და მოკლა. თვითონ ფერინხანუმი კი (=ქეთევან დედოფ.) თორფაღაღას ჩაიკეტაო. მეტის-მეტად ღამაზი იყოო. მისი სიღამაზის ნახვა მოინდომა შაჰაბაზმაო. მკლავს შაგირდათ გამოჰყუაო. ფერინხანუმს ქვებები დაუკალა და თავის შაგირდითურთ ფულის ძისაღებად იახლაო ფერინხანუმს. შაჰაბაზი გადარიაო მისმა სიღამაზემ. დედოფალსაც უთხრეს მკლავთან ერთად თვითონ შაბაზი იყოო. გამოუყენა მღევარი. შაბაზმა გაასწრო. მეორე წელიწადს (აღბად 1615-ს) მოვიდაო ლაშქრით, შემოებრძოლა ბაზარს, გატყუა მისი ციხეც. ფერინხანუმ კი ხელთ ვერ იგდო: იგი ციხიდან ძირს გადმოეშვა, მოიკლა თავიო.

თალაში 2838 მცხ. თათარია. სოფელი გაგერანებულ დაბას ჰგავს, თუმცა შიგ შეგზვლებათ შვენიერი სასახლეებიც, რომელნიც ადგილობრივ გადატაკებულ ბეგებს ეკუთვნით. ჭარათაღის წყალს ბევრი ღამაზი ადგილები გაუოხრებია.

ზაქათალა (ზაქართალა) კახტა ქალაქია, რომელშიც 1886 წ. ითვლებოდა 1231 მცხოვრები. აშენებულია (1830 წელს) სოფელ ჭარის წინ. აქვე მაგარი და მიუდგომელი ციხეა, რომელშიაც არის ღამაზი საყდარი და მაზრის უფროსის სადგომი. ციხე ბორცვზეა, ხოლო მის დაბლა ვაკეზე თვით ქალაქი მოზრდილი ბაზრითა, სკოლებითა და უზარმებით. ციხის უკან სახემწიფო პალატი, შემკული ხილნარით. სასახლეები სულ ქვითკირისაა, თეთრი. ქალაქი შვენიერ სახანობას წარმოადგენს, როდესაც დასტყერი აჭაურ მთებიდან, რომელნიც სამის მხრივ მას შემორტყმია.

ქარი ზაქათაღის თავშია. დასახლებულია ლეკებით და შეს-

დგება 14 უბნიდამ. მასში 4010 მცხოვრებია. აქ მრავალია წაბლი, მსხალი, კაკალი, ზღმარტლი და სხ. ხალხი ამაყია, შრომის უჩვეულები. მამაკაცობას უუყვარს ცხენოსნობა. დედაკაცობა უოველ საქმეს ასრულებს. მათ ხშირად ნახე ზაქათალაშიაც, საცა უდიან ზღმარტლს და სხ. ხილეულობას. ქალებს აცვიათ ძველ ქართულად. აქურ ერთს უბანს ჰქვიათ წინუბანი, ანუ წილბანი. 1797 წელს შინაუშებმა აღამაჰმადხანი რომ მოჰკვლეს, მისი თავი გამოიტაცეს ჭარს. ჭარელებმა იწყინეს, როგორ თუ შეუეს უღალატეთო, მკვლელები დასაჯეს, ხოლო აღამაჰმადხანის თავი დიდებულად დამარხეს თავიანთ სოფელში.

მაწები 507 სულისაგან შესდგება. აქ ბევრია ძველი ნანგრევები. მის წინ კოროკრაზე (მრგვალ გორაკზე) არის ციხე, რომელშიაც, გადმოცემით, უნდა მსხდარიყვნენ ქართველ მეფეთა მაქის ერისთავები. ციხე საკმაოდ დიდია და დღეს ტუეს დაუცია.

კატეხი მაწებს იქითი სოფელია, 1060 მცხოვრები ლეკით. მე-XI საუკუნეში კათალიკოზ მელქისედეკმა მცხეთის სვეტიცხოველს შესწირა კატეხის საყდარი მისის შემოსავლით და დიდი მონასტერი ჭერეთისა.

ბელაქანში 7629 მცხოვრებია, მათგან მხოლოდ 12-ადე სული ქრისტიანია (ვახნასკე-გალაჯოვები) და დანაშთენი—სულ ლეკობაა. შიგ და გარშემო მრავალი საქრისტიანო ნაშთია: მონასტრები, საყდრები. აქვე და აგრეთვე კატეხის ბოლოს შენახულა აგრედ-წოდებულ დარუბანდის კედლის ნაშთი. იგი ააშენა ნუშირვანმა მეექვსე საუკუნეში და ხალხის გადმოცემა კი მის აგებას მიაწერს ფერი-ფადიჩას (თამარ მეფეს).

1292 წელს ბელაქანს ბრწყინავდნენ ზიმენ სალასი და ანტონი ნაონრებულისძე... ზიმენი გარეჯით წამოვიდა და დაემკვიდრა ბელაქანს ქვასა რასამე და ნათესავი ლეკთა წარმართობისაგან მოაქცივნა, რომელნი ჰქვიათ სარწმუნოებასა ზედა ქრისტიესსა. მასთანვე მოღვაწეობდა ანტონი ნაონრებულისძე მესხი. დიმიტრი მეფემ (1270—1289) საღუნ მანკაპერდელს ჩააბარა გამგეობა თელავისა და ბელაქანისა (ქ. ცხ., 412). 1604 წ. თინათინ დედოფალმა შუამთას შესწირა ბელაქანის მცხოვრებნი: ო კომლი ურია და ორი კომლი ქართველი (ფურცელაძე დ. გუჯრები, გვ. 85), სათავად-აზნაურო

სიით, რომელიც შეადგინა ირაკლი მეფემ, წერეთელი იმერეთს გადასახლებულან „ლეკეთიდან“. აღბად ბელაქნიდამ, საცა დღევანდლამდე დაშთენილა სახელები წერეთლის ტახტი, წერეთლის წყალი, დარბაზ-ქილისა. აქვე არის ქვა, რომელზედაც ასომთავრულით სწერია სიტყვები: -ქრისტე, მოიკსენე სული ბირთველისა. ესე ქვაჲ მისი არს“. ბელაქნს, კატეხს და სხ. მგზავრი დღესაც ნახავს ეგრედწოდებულ დარუბანდის კედლის ნაშთს. 1263 წელს აქაურობა ააოხრა მონგოლთა მხედარ ალათემურმა, რომელიც კამბეჩოვანიდამ (ქიზიყიადამ) წამოვიდა და ბელაქნის გზით გადავიდა ხუნძისს (ქარცხ., 399).

განუხი (=გქმნუგი) კაკსა და ნუხს შორის ჰატარა, მაგრამ ღამაზი ადგილია. მცხეთის სვეტიცხოველს მე-XI საუკ. აქ ჰქვანდა 50 სული გლეხი (Hist. de la Gé., 2 livr., CXIX). 1118 წელს აქ დაიბანაკა დავით აღმაშენებელმა. 1613 წელს აქ მობრძანდა მეფე თეიმურაზი და კელმუნებებს და სხ. დაურიგა 100 ტყავი, მრ. ძვირფასეული, შვენიერი ცხენები და 60 აქლემის სახალნე აბრეშუმი (არჩილიანი, 44—60) 1633 წელს იმავე მეფეს აქ ეჭდა ქეხხად (მამასახლისად) ჯანდიერი (დ. ფურცელაძე. Грѹз. двор. грамоты, გვ. 5).

ნუხი დღეს საინგილოს აღარ ეკუთვნის, მაგრამ უწინ კი მის ნაწილს შეადგენდა. მასში 1886 წელს 27,000 მცხოვრები იყო. გაშენებულია კაკასიონის ფერდობზე დაბახანის-ხევის გაუოლება. მდებარეობა აქვს შვენიერი. დაჭურვებს ალაზნის ველს და შირაქის მინდვრებს. ადგილი აქვს მთა-გორიანი. უმთავრეს ქუჩას გარდა დანაშთენი შუკები გვიწროა, მოუწობელი. აღმართ-დაღმართების გამო ეტლით სიარული მეტად გასაჭირია. შვენიერ ევროპულ უაღრესადზე აშენებულ სახლების გვერდით შეგნვდება მამა-პაპური ქოხ-მახებიც, ალაჩულა სახლები. ბაზარი დიდაა. მანჯანიკები და ქარხნები ბლომად. ამ მანჯანიკებსა და ორთქლით მშობრავ ჩარხებზე ეოკველ წლივ იხვევა 20,009 ფუთამდე აბრეშუმი. უოველს ამისთანა ქარხანაში მუშაობს 160—170 კაცი. ბაზარში მოფაჭრენი არიან სპარსელები და სომხები. სავაჭროს ზოგს ადგილობრივ აკეთებენ და დანარჩენი მოაქვთ რუსეთიდან და სპარსეთიდან. აქვე მუდის ნაკერ

ბაღიშის ჰირებს იუდიით 3—4 მანეთად. აღებ-მიცემობა მეტად გაცხოველებულია. უოველ წლივ აქედგან გააქვთ დიდძალი აბრეშუმი, მატყელი, თრემლი, თხილი, ხორბალი და სხ. მის უბანს ზიგზიდს და გიშს არის ძველი დროის მონასტრების ნაშთები. გიშში მაკურთხებლობდა გიშელი. ვახუშტი (გვ. 147): „გიში არს მთის ძირს. რომელი იყო სკერისთო წუქეთისა, და ეკლესია დიდი, გუნბათიანი, და იჯდაცა ეპისკოპოსი, მწეემსი ელისენისა, წუქეთისა და შაკიხის, არამედ მიუხუნა შაბაზ კახეთს და ჰყო სასულთნოდ და ამას ეწოდა წუქეთი და აწ უწოდებენ აღი-სულთნად“. გიშს 1853 წლიდამ დაჰხატრებობიან სომხები. დღეს ამ მაზრაში მართლ-მადიდებლად დარჩენილან მხოლოდ უღები ვართაშნის საზოგადოებაში. ძველ ნაშთთა შორის შესანიშნავია ხანთა სასახლე ქალაქის ზემო ნაწილს. გარშემო არტყია მაგარი ციხე-გალავანი. სასახლის ეზოში 2—3 ჩინარია, რომლებზედაც ხანები ჩამოახრჩობდნენ ხოლმე დამნაშავეთ. ციხის აგების შესახებ გარდმოცემა ამბობს: ციხის აგება ხანმა რომ განიზრახა, დაეკითხა მკითხავს. უთხრა: „მაგარი ციხე გამოგვიყა, ისეთი მაგარი, შენს შთამომავლობას კარს რომ მტერი მოადგება, გაქცევასაც კი ვეღარ მოახერხებსო“. „ადსრულდეს ნება უფლისაო“, ბრძანა ხანმა და ააშენა ციხე. რუსები რომ შემოერტუნენ ციხეს, შეიპურეს გაქცევის ვერ მომსწრე ხანი და ნუხიც დაიჭირეს.

აქ გვაგონდება შორეული ამბავი, უვარუვარე († 1500 წ.) ათაბაგის დროისა. მესხი მოვიდა ნუხს აბრეშუმის საყიდლად. აჭური ვაჭარი მას წაეჩხუბა, ეველაფერი წაართო და სცემა. მესხი დაემუქრა ათაბაგის სახელით და წავიდა. მიმავალს ვაჭარმა მიადანა: „არ მიმიბას უერი სამსგვლითა დუქანსა ჩემსა და მიცეს წინელი დარბაზსა ამას ჩემსა ათაბაგმან შენმან ამისთვის!“ მესხი დაბრუნდა ახალციხეს და შესჩივლა ათაბაგს. უვარუვარე 500 ცხენოსნით გაეშურა ნუხისკენ, მივიდა და „უყო უოველნივე თქმულნი ვაჭარსა მას შაქელსა და მისცა მესხსა ქონება თვისი, გარნა სხვა არა რაჲ ავნო ქვეყანათა და მოქალაქეთა“, და მერე ჩამოიარა შირაქზე, გავლო ქართლი და დაბრუნდა ახალციხეს გამარჯვებული.

შაკისის=შაკის (ნუხის) მფლობელები.

1. მთავრები:

ადარნასე ბრმის ძმისწულები არჩილ მეფის († 718 წ.) ბრძანებით.
გრიგოლი

ასამ შოთა. 1117 წ. ესენი შეიპყრა დაე. აღმაშენებელმა. მისმა ძემ დიმიტრიმ აიღო საუღოს ძლიერი ციხე ქალაქორი (უღღურად ქალაჯორი=უმთავრესი ჯვარი), დაიპყრა მთელი შირვანი. შამახია, შირვანის თავადი სახლი გულისტანი, აქაურობაში ჩააყენა ქართველთ (პერ-კახთ) ლაშქარი (ქ. ცხ. 245, 251). მისი ქალი თამარ აქვე იჯდა დედოფლად (გვ. 245).
ვარდან კოლონკელისძე (გიორგი III მეფობაში, ქ. ცხ. 269).

სადირ კოლონკელისძე (თამარის მეფობაში).
ასათ გრიგოლისძე (ქ. ცხ. 283).

გრიგოლი II თამარის მიერ ერისთავი.

შოთა კუპრი (XIII ს. ქ. ცხ. 362). 1393 წელს შაკს მოვიდა ლანგ-თემური და თან ტყვედ მოიყვანა ბაგრატ მეფე და უბრძანა გამაჰმადიანდი. თუ არა საქართველოს მთლად ავაობრებო. გამაჰმადიანდა. წამოიყვანა 12,000 მემომარი მულაღი და ტფილისის ახლოს ამოაწყვეტიანა თავის შვილის გიორგის ლაშქარს (ქ. ცხ., გვ. 457).

II. ხანები:

1. ყარა-ქეშიში=მონაზონი *) 1444 წლებში.
2. მისი ძე ალიჯან-ხანი (ჯანდარი) † 1454. წ.
3. „ ყუთულხანი † 1958.
4. „ შექი ხანი 1488.
5. „ ასან-სულტანი (ასან-ბეგი). ყაენის ბრძანებით ებრძოდა კა-

*) ბერ-მონაზვნის გამთავრება, უეჭველია, ძველს ჩვეულებას მიჰყვებოდა: კახეთ-სერეთის მთავრები ქორიკოზებად ანუ ქორეპისკოპოსებად იწოდებოდნენ. შემდეგ შიაც მეფეები რომ დაიპყრობდნენ შირვან-შამახიას, მათში თავიანთ ლაშქარს ჩააყენებდნენ ხოლმე და აქაურობის გამგედ კი ნიშნავდნენ ჭყონდიდეებს, ან ბედიელ-ალავერდელ მთავარეპისკოპოსებს. ასრე მოიქცა, მაგ., დავ. აღმაშენებელი 1126 წელს, როდესაც გამგებლად და ზედამხედველად ყოველთა საქმეთა შირვან-შემახიისა დაადგინა მწიგნობართ-უხუცესი სვიმონ ჭყონდიდელი მთავარ-ეპისკოპოსი (ქ. ცხ., 252). მესხეთე საუკ-ში სერეთის ერისთავად იყო ქართლის მთავარ-ეპ. გლონოქორ. ამ წეს-ჩვეულების მსხედვით შაკშიაც ადვილად გამთავრდებოდა ყარა-ქეშიში=ბერ-მონაზონი.

ხეთს. ლევან მეფე მიუხტა, შეებრძოლა, მოკლა სოფ. ფადარში, მისი ქვეყანა აიკლო (ვახუშტით 1547 წელს, არქეოგრ. კომ. ოქმებით 1510 წ.).

6. მისი ძე დერვიშ-მაჰმადხანი. ეს არ ემორჩილებოდა ყაენს. შაჰ-თამაზი მოვიდა შირვანს. ლევან მეფე გამოეცხადა. ქართველ სპარსთა ჯარებით მიუხტა დერვიშს და მოკლა 1548 წ. (ქართ. ცხ., 108).

7. მისნი ძენი ბაკი-ბეგი და ჰუსეინ ხანი (1552—1567 წ.).

ალიჯან-ბეკ

ასკერ-ბეკ

ალიჯან-ბეკ

ქეთხუდა-ყურბან

8. ზიად-ედ-დინ უზბაში † 1574.

9. ქაიმ († 1601).

10. მელიქ-აჰმად.

11. მისი ძმები: ჰუსეინ-ყული † 1639.

12. მელიქ-ალი მარდან † 1664.

13. ნეჯეფ † 1733.

14. აჯი-ჩალაბი ხან † 1758.

ჰასან-ალა. 15. ალა ქიში. ჯაფარ-ალა. 17. აჯი-აბდულ-ყადირ-ბეკი † 1783.

16. ჰუსეინ-ხან † 1776.

18. მაჰმად ჰასან ხან (თვალი დასთხარა აღამაჰმადხანმა).

მისი ძმები. 19. ფათალიხანი. 20. სალიმ ხანი.

ჰუსეინ-ხან † 1831.

მისი შვილები: აბდულა ალი, აბდურ რაჰიმ, ჰაშიმ, თუთი-ალა, სეკინე-ხანუმ (სცხ. ნუხში).

21. ჯაფარ-ყული-ხანი გენერ.-ლეიტენ. † 22 აგვ. 1814 წ.

22. იზმაილ-ფაშა. ამას და მის მამას რუსეთის ხელმწიფემ მიუბოძა ბრილიანტებით მოჭედული კალამი ნიშნად სახანო ღირსებისა.

ვართაშენი ნუხს შორავს 30 ვერსით. იგი უღთა უმთავრესი სოფელია. მისეუ ახლოს არის შესანიშნავი სიმაგრეები ხალხალი (ხილხალი) და უბაღა. ამ უკანასკნელს სტრაბონი იხსენიებს აღბანიის დედ ქალაქად (Cabalica). ქართ. ცხოვრება მას სოფლის შირვანის ქალაქად. იგი აშობს (გვ. 248): „მოვიდეს (1120 წელს) დანუხს (ქართველთა) და მასეუ შვიდეულსა, ჰირმარხვასა დღესა აღიღო (დავ. აღმაშენებელმა) შირვანისა ქალაქი უბაღა და ადავსო სამეფო თვისი ოქროთა და ვერცხლითა და უოფლითა სიმდიდრითა და წარმოვიდა

ქართლს“. არაბულ-სპარსული მწერლები კაბალაში უჩვენებენ ქართველ მთავარს. 1221—1222 წელს კაბალას ქართველ მთავარს შემოებრძოლნენ უიფჩადნი. დარუბანდის და განჯის მთავრის დახმარებით დაამარცხეს, მაგრამ მერე ქართველებმა დიდი ზიანი მიაყენეს მათ და უგუაქციეს¹⁾ (Journ. Asiat., 1897 წლ.: „არაბულ და სპარსულ მწერალთა გეოგრაფიული და ისტორიული ცნობანი საქართველოს შესახებ“, თარგმანი მ. დეფრემერისა). საქართველოს მიჯნად იწოდება ხალხალი (ხილხალი) არა თუ ქართლის ცხოვრების მიერ (გვ. 272), არამედ სომეხთა ისტორიკოსების ელიშეს (მე-X ს.) და კადანთკატაწის (X ს.) მიერაც (ელიშე, გვ. 124, კადანთ., გვ. 86). აქედგან დღევანდელ საქართველოს აღმოსავლეთ მიჯნამდე (კახამდე) 80-დე ვერსია. მთელ ამ მანძილზე ქართველობა აღარ არის. უღთა რიცხვი ნუხის მაზრაში 7000-მდე უწევს. ზოგი მათგან მართლმადიდებელია, ზოგი მაჰმადიანი, ზოგი ურია და ზოგი სომეხი. მათი ენა წაგავს ლეკურს. უმთავრესი მათი სოფლებია ვართაშენი, საცა ცხოვრობენ ბუქანიშვილები, ჩიკვაძეები, ჭეი-რანაშვილები, კოტიაშვილები, ტუგუშაშვილები, ჰაჭიკაშვილები, ნიჟი (შეად. ქართულს ნიგორი) და სხ. მართლმადიდებელ უღთა შორის 20-მდე საშუალო სწავლა-მიღებული ითვლება. მათი მამა-მთავარი სტეფანე ბუქანიშვილი მოამბეობდა ცხონებულ ს. მესხის „დროებაში“.

ელისოს და წახურის სულთნებისათვის ბოძებული ფირმნები და მათა შთამომავლობა²⁾.

თამაზ-შაჰს ფირმანი წახურის მფლობელ აღიკურკულუ-ბეკისადმი 1562 წ.: ეს მფლობელი ჩვენი ერთგული ემათაგანია. მისდამი ჩვენის მოწყალების გამო მის მიწებს ნურავინ შეეხება საქართველოს სამეფოს მოხელეთაგან, ერიდან მის ჩივილსა და უკმაყოფილებას. საქართველოს მთავარს ლევენდ-ხანს ევალება, უერი უგდოს, რათა აღსრულებულ იქმნეს ეს ჩვენი ბრძანება.

¹⁾ ნიშნად ქართველების ამ ბრძოლისა ყიფჩალებთან დაშთენილა საინგილოში სოფელი ყიფჩალი. მისი მცხოვრებნი გამარჯვებულ ქართველებმა, ალბად, ტყვედ წამოიყვანეს და აქ დასახლეს.

²⁾ არქეოგრ. კომ. ოქმები, ტ. II, გვ. 1085—1094.

ოსმალეთის ხონთქრის ფირმანი (1607 წ., ბანაკი კუნეი) ალი-სულთან წახურელისადმი: თქვენის ერთგულების გამო ჩვენის ტახტისადმი და აგრეთვე თქვენის დირსებისა ჩვენ გიწყალობებთ სოფლებს მეშაბაშს, კახს, ზერნას, უუმს, ლეკეთს და ალაგიოზს. დღეიდგან ეს სოფლები მემკვიდრეობით გეკუთვნით თქვენ და სხვათაგან ხელშეუხებლად უნდა დაიცვათ იგინი.

შაჰ-აბაზისგან წახურის მფლობელს ალი-სულტანს (1616 წ.): თქვენი ერთგული სამსახური ჩვენის ტახტისადმი კვლავ გვეუწუა. ქება და მადლი თქვენს! თქვენ ასრულეთ თქვენი მოვალეობა ერთგულებისა და განაცხადებთ სახელი თქვენის წინაპრებისა, რომელნიც ჩვენი მომხრენი იყვნენ. ამით მიიქცეით ჩვენი უურადლება. განაგრძეთ იკეთივე სამსახური. მოვა შირვანის ბეგლარ-ბეგი იუსუფი და მასთან ერთად განაგრძეთ ჩვენი სამსახური.

შაჰსეფის ფირმანი (1632 წ.) მამედ-ხან-ბეგ წახურელისადმი. რადგან თეიმურაზმა შეირცხვინა თავი, საქართველოს სამეფო მივეციტ რუსტემ-ხანს. იქითკენ ჯერ გავისტუმრეთ ეს რუსტემ-ხანი და ჩვენი ბანაკიც დაიძვრება მალე და მიჰყვება მას. მანამდე თქვენ გევალებათ წაიყვანათ სურხაბ-ბეგი და ამირხან-ბეგი და ჩვენის დროშების მოწვევამდე გააოხროთ და დააქციოთ ქართლი და კახეთი, და იცოდეთ, თქვენი სამსახური ჩვენის მხრივ უმოწყალოდ არ დარჩება.

მისგანვე (1635 წ.): თქვენი თხოვნა ჩვენის კარისადმი მოვიდა. დაიძვრებული იუავით ჩვენის მოწყალებით და იცოდეთ, რომ საქართველოს, ქართლის და კახეთის სამეფო ჩავაბარეთ ჩვენს ძმას რუსტემ-ხანს, საქართველოს მეფეს. ისე იმოქმედეთ და მოიქცეთ, რომ იგი კმაყოფილი იყოს.

შაჰ-აბაზისგან ხალილ-ბეგ მამედ-ხანის ძეს, წახურის მფლობელს ენიშნება (1642) 155 თავრიზული თუმანი და შირვანის მფლობელს ევალება წახურის სამფლობელო მის კუთვნილებად იცნონ და ჯამაგირიც აძლიონ.

შაჰ-სეფისა მისადმივე (1642): რუსტემ-ხანმა, საქართველოს მეფემ მაცნობა, ზაად ერისთავი უარაუაღხანისა და ნუგზარ გაიქცნენ

კახეთს. მიიღებოდა ამ უმაღლეს ბრძანებას, შეესიე კახეთს და დასაბოიე.

შაჰ სულტან-ჰუსეინისა ალი-სულტან წახურელი-სადმი (1695 წ.): აწ გიგზავნით სიგელს და ხალათს—მფლობელობის ნიშნად— ჩვენის შიკრიკის მურტუზ-უული ბეგის ხელით. არხეინად იყავით ჩვენის მოწყალეებით.


მისგანვე მისადმი (1701 წ.): 60,000 რუსი ჩამოდგათ თერგს. დაღისტნის შამხალს მიეშველეთ მათ წინააღმდეგ.

ხონთქრის ფირმანი ალი-სულტან შექელისადმი (1722 წ.): გამოცდილს, ახოვანს და კეთილმორწმუნე დაღისტნის ემირს გნიშნავთ შექის და წახურის სანჯაყის ბეგლარ-ბეგად. იმქმედეთ თანახმად შირვანის ბეგლარ-ბეგის ჰაჯი დაუთხანისა.

იბრაიმ-შაჰისა აჰმედ-ხანისადმი (1747 წ.): ეცნობება სულტან აჰმედ-ხანს, რომ იბრეიმი გამეუდა და უბრძანებს იგი მოიხსენიონ მეფედ მეჩითებსა და მიზგითებსში და აგრეთვე მისი მოჭრილი ფული იხმარონ. ეგზავნება სულტანს ბრწყინვალე ხალათი.

სულტან აჰმედ-ხანი 27 იან. 1807 წელს თავის 13 წლის შვილით მოვიდა ტფილისს მორჩილების გამოსაცხადებლად. მას ქვეშევრდომად ჰყვანდა 2,000 კომლამდე. მას მიეცა ზოლგოფნიკობა (327).

გურთავ აქვე ამ სულთნების საგვარეულო სიას, რომელიც დაბეჭდილია არქეოგრ. კომ. ოქმების მე-1 ტომში (გვ. 1121).



ყუმუხის სურხა-ხანის და ბიქა).

აჰმად-ხან-ბეკ (სულტან აჰმად ხან)

ემირ ჰამზა-ალა.

ფათ-ალი-ალა. ცოლად ჰყვანდა ფაზა-ხანუმა, ბიძის აჰმად-ხან-ბეკის ასული. მოჰკლა დანიელ სულტანმა დაღისტანში გაქცევისას.

სალიმ-ხან-ალა პოდპორუჩ. ცოლად სარიჯა-ბიქა, იმრან-ბეკის ქალი.

ფერზალი ხან + ლეკებმა.

ალი ჰასან ალა (იმრან ბეკის სიძე).

იბრაიმ-ალა ცოლი ფერი-სულტან-ბიქა, თამიმ-ალას ქალი.

ემირ ჰამზა-ალა.

ა. ალხახ-ბეკ. + ახალციხის ადუბაში მოიკლა. ფაზა-ბიქასაგან ნაშობი, ფერი-ჯეჰან-ხანუმას დისა.

ბ. მურად-სულტან-ბეკ ფერი-ჯან ხანუ-მისაგან. + ყმაწვილობაში.

გ. ალი-ბეკ თუთა-ბიქასაგან + ყმაწ.

დ. მურთუზ ალი-ბეკ თუთა-ბიქისაგან + ყმაწვ.

ე. ჯაფარ-ყული-ბეკ თუთა-ბიქასაგან. + ყმაწვ.

ვ. იმრან-ბეკ. ცოლად ბანუ-ხანუმ, ხალით-ბეგის ქალი.


ზ. მუსაბეკ. მამის სიკვდილის შემდეგ სულტანად გამოცხადებული ძმათაგან. მოწამლული, გადმოცემით, დანიელ სულტანისაგან. ცოლად ქალები: ასლანხან ყაზიყუმუხელისა და ჰაჯიხან შექელისა.

ც დანიელ ბეკ. თუთა-ბიქასაგან, ასლანხან ყუმუხელის დისა.

თ ხალილ-ბეკ + დანიელ ბეკისაგან. ცოლად შაქარ-ხანუმ.

ი. მაჰმად-ბეკ + დანიელ ბეკისაგან. ცოლად ბიქა-აბაჟ, ასული ბალა-ადასი

ია. ემირხან-ბეკ. მსახურებდა სამეგრელოს პოლკში. დანიელის ჩაგონებით მოწამლა სპარსელ ექიმმა. ცოლად ჰყვანდა ძმების ქვრივები შაქარ-ხანუმი და ბიქა-აბაჟ.



ზოგიერთ სახელის განმარტება.

ქარი. საქმეში ჩაუხედავ კაცების განმარტებით ჭარი უნდა ნიშნავდეს ჯარს (ჭარი=ჯარი). ამისთანაებს ავიწყლებათ, რომ ქართულს წყაროებში ჭარი მუდამ ჭარად იხსენიების და მხოლოდ რუსები მას სწერენ ჯარად. ზაქათაღის გარემო დღესაც იწოდება ჭარად და ჭარ-თაღად (ჭარიც და თაღაც დიდი სოფლებია). ამგვარივე სახელებია საქართ. სხვა ნაწილებშიაც: ჭარ-თაღი (დუშეთ. მაზრ.), აჭარა და სხ. ჭარის უბანს ერქვა ფიფინეთი. შუად. ამას გვარი „ფიფინა-შვილი“. ჭარი=ჭაობანი ადგილი=ქარი რაჭულად. ასეთია მართლაც.

ბელაქანი მოსახლეა საქართ. სხვა კუთხეების ადგილებისა,— შუად. ბელაგორი. იყო აგრეთვე ქალაქი ბაღდადის არეზ-მტკვრის შესართავთან. ეს ბაღდადის ქართველთა დაშკარმა დაიპყრო 1241 წ. მცხოვრებნი ამოწვევიტა. ბაღდადის მეფე უზბეკ ფაჰლავანისძე მაშინ თავრიზში იყო (იხ. არაბულ და სპარსულ მწერალთა გეოგრაფ. და ისტორ. ცნობანი საქართველოს შესახებ, თარგმ. მ. დეფერემურის Journal Asiatique-ში 1849 წ.). ბაღდადის ხსენებულ ად-

გილას დღეს ადარ არის. ამ შორეულ ბაჟაყანს (=ბეჟაყანს) ზოგი მკვლევარი ვერ არჩევს საქართველოს ბეჟაქნისგან და იმის შესახებ ცნობებს ამას აწერენ.

ლაგოდები (ლაგოეთი, ლაკვასტი). ლაგოდები არის ცვლილება მის თავდაპირვანდელ სახელისა ლაკვასტი, ხოლო ლაკვა (ინგ. ლაკო) ნიშნავს წყარო-თრმოს, წყალ-საგუბარს, ჯურღმულს, რომელშიაც იფონება წყალი. სწორედ ასეთია დღესაც ლაგოდები და მისი არე-მარე: ლაკვებით სავსეა აჭარობა. „ლაკო“, „ლაკვასტი“ უეჭველია, უახლოვდება ლათინურს lacus—ტბა, lacustris—პატარა ტბა.

მუხახი, მამრები, კატები, მაწები, ქურმუხი, შაკიხი (=შაქი) იმავე დაბოლოების სახელებია, რა დაბოლოებისაც კოლხი, კანი, მესხი (მოსხი), კარდუხი, ტახი=ტაო და სხ.

შაქი (შაკიხი), შესაძლებელია, იყოს იგივე საკი (ძველად საკად იწოდებოდნენ სკვითები და სკლავები=სლავები). ბერძენ-რომაელთა მწერლები რანის მოსახლეებს უწოდებდნენ საკაშენად (საკაშენი, ვით თამარაშენი, ვარდააშენი და სხ.). სოფ. კახის გვერდით ხეობაში არის მცირე სოფელი საკანი (საკანი=სკვითები (საკა-ნი) თუ საკანი, მაგარი „საკანი“ ადგილი?).

ყუმი შუად. უუმის-თავს (იმერეთშია).

კაკი=კახი. შუად. კაკას-ხიდი (მესხ.), კახათი, კაკაბეთი და სხ. მისი უბანია ფანცაური (შუად. ფანცხვა და სხ.).

ინგილო=ტენგილო. ამ სახელს ჩვენ და ჩვენ შემდეგ სხვებიც ხსნიდენ თათრ. სიტყვიდამ ტენგი—მერმე, შემდეგ, ტენგიდა—მერმის, ტენგილოდან—ხელ-ახლა. ინგილო, ვითომ, ხელ-ახლა მოქცეული, გადარჯულებულია. ესრეთი ახსნა, ცოტა არ იყოს, აჩქარებულია. ჯერ ერთი, რომ აჭარ სოფელსაც ჰქვია ტენგიანი და არა ტენგილო და მეორეც, როგორც ზემო ითქვა, ბევრი აჭარის სახელები იგეთივანა, როგორც იმერეთში, უმეტესად სამეგრელო-აფხაზეთში. აქ მარსანი (სოფ.), იქ მარშანია (გვარი), დახლა=დონორე (მეგ.), თოლი, წკინვა, მოფეხვა—მაფახ (სვ.), ჰუჭენა—უჭიანა, ბია და მრ. სხ. საერთოა საინგილოსა და სამეგრეთში სოფოგადოდ. ეს ცოტა კიდევ. აჭარს უმთავრეს მდინარესა და სამეგრელოს უპირველესს



მლედ. დიმიტრი ჯანაშვილი

მდინარეს ერთი და იგივე სახელი ჰქვიათ: კერის-წყალი ანუ კერი
= აკრი (=იგივე ენგური = ინგური და ინგირი მეგრ. გამოთქმ.).

უგელა ამის გამო „ინგილო“ ჩვენ მიგვაჩნია ანუ იმავე ინ-
გირ-ად, ე. ი. კერელად და ანუ იმ ხალხად, რომელსაც ბერძნის
მწერლები (მე-V ს. ქრ. წ.) იხსენიებენ თოთ-სამეგრელოს მსახ-
ლედ და უწოდებენ ტენიონ-ად, ე. ი. „მეეტლედ“, „მე-ჭუნეედ“ *).
შესაძლებელია, ნაბუქედურ-ასარისა და სხ. მტარვლების მიერ მთე-
ლის ხალხების ცნობილ აკრა-დაურის დროს ეს ტენიონები გადმო-
ტეორცნილ უოფილიუგენ დღევანდელს საინგილოში და აქ თვისი თავ-
დაზირვანდელი სახელი მიეკუთვნებინათ ღანუხ = განუხისთვის, ნუხის-
თვის (= ნონ-პატონ = ნუხ-პატონ) და სოფ. ტენგიანისთვის და თვი-
თონაც სახელი ტენიონი გადასცვლოდეთ ტენგილოდ = ინგილოდ.
ესეთი ჩვენი მოსაზრება მით უმეტეს ჭკუაზე ახლოა, რომ საინგი-
ლოში დღესაც სიტყვა ტენგა ნიშნავს ცხენოსან ქალს, რომელიც
მყარიონით სხვა ტენგებთან ერთად მიდის პატარძლის („პატას“ სა-
აღერსოდ რომ ვთქვათ) მოსაყვანად. ძველი ჭუნეხი = ჭუნეთი ადვი-
ლად გადაიქცეოდა ნუხად, ღანუხად, ტენგელ, ტენგილოდ (შეად. ჭუნე
და შერე უნგირი = უნგირი = მეგრ. ონგური = სვან. ჭუნგირ). ასე
თუ ისე, ტენგიანი (სოფ.) უნდა ნიშნავდეს სა-ტენგებოს, საამო-
რძლო = „სამაზონკო“ ქვეყანას.

ინგილოთა მოღვაწენი.

მლ. დიმიტრი ჯანაშვილი. დიმიტრი იოსების ძე ჯანაშვილი
დაიბადა კახში 1840 წ. მაშინ ჯერ ისევ სულთნობა იყო და „სულთ-
ნობა“ კი ინგილოებისთვის მტარვალობას ნიშნავდა. ცოტაოდენი შე-
დავითი ჰქონდათ სულთნებისაგან მხოლოდ დიდ, ძლიერ და შეძლე-
ბულ გვარეულობებს და ისიც მისთვის, რომ ჰქონდათ მათგან საკმაო
გამორჩევა: წელიწადში ერთხელ-ორჯერ ეწვეოდნენ ხოლმე მთელის
სახლობითა და ამალით, სჭამდნენ, სვამდნენ, მთვრალდებდნენ და

* დიოსკურია (ბიჭვანტა) ააშენეს ზეკასმა და კერკიმ და ამათ-
გან წარმოსდგნენ ტენიონებო („ВОЗНИЦЫ“), — ირწმუნებიან ბერძენთ
მწერლები (განი, გვ. 60, 61, 105, 180, 183, 207).

ძღვენი-სახეურებით ბრუნდებოდნენ ელისოს. შემძლებელ და შეძლებულ ოჯახთაგანი იყო აგრეთვე ბაჰრამ-ალი (სოლომონ) ჭანაშვილის სახლობაც. ერთხელ სულთანნი დიდს მტარვლობას უზირებდა თურმე ინგილოებს. ბაჰრამ-ალი და სხვა წარჩინებული ინგილოები გამოეცხადნენ მრისხანე სულთანს და მოახსენეს: თუ შეგება არ მოგვეცა შენგან, ჩვენ ავიურებით დედაბუდიანად, გადავალთ ალაზანზე და შევუერთდებით ჩვენ მოძე ქართველებსო. სულთანი თურმე მოღბა და დაპირებული პატივი ააცილა საინგილოს.

დიმიტრი ჯერ ცხრა წლისა იყო, რომ ბიძა მისმა გიორგიმ ჩამოიყვანა ტფილისს და მონათლა. შემდეგ იგი, ათიოდე სხვა ინგილო ემწავლებოდათ ერთად, ჩაიყვანეს დედოფლის-წყაროს სამხედრო სასწავლებელში, რომელიდამც მალე გადაიყვანეს ტფილ. სასულ. სემინარიაში. სწავლაში მაღალ-ნიჭიერი იყო, ისე—გულადი, გამბედავი, დაურიდებული, სიმართლის მოყვარე. ამისთანა თვისებამ ერთხელ კინაღამ არ დაღუპა იგი. რეპტორ ვიკტორინს რაღაც უკიანობა ეთქვა, მას ვერ მოეთმინა, მივარდნოდა და ეცემნა. არ გამოერიცხნათ მხოლოდ მისთვის, რომ წარჩინებული ქართველები მიშველებოდნენ როგორც საინგილოს ერთადერთ წარმომადგენელს. გულგუთილი რეპტორიც აღარ გამოჰკიდებოდა და ეპატუებინა დიდსულოვნად.

კურსი დასრულა დიმიტრიმ 1865 წ. სტუდენტად და აკადემიაში სწავლის გასაგრძობად ვერ წავიდა ჯერ ერთი მისთვის, რომ მეტად ღარიბი დედ-მამა ჰყვანდა და მეორეც კიდევ მისთვის, რომ ტფილელ მოწინავე კაცებმა სთხოვეს საინგილოში ემსახურნა და იქაური ქართველობა დაეხლოვებინა დანარჩენ ქართველობისთვის. იგიც დამორჩილდა. ქიზიუში ცოლად შეირთო ერთი მეოჯახის ქალი ელეონე და მღვდლად ეკურთხა საინგილოს სოფელ უორადანს.

მხნედ მუშაობდა ამ სოფელში ახალგაზდა მღვდელი. აქაური ქართველობა ორად იყო გაყოფილი: ნახევარი სოფლისა ქრისტიანობდა, ნახევარი მსჯამდინობდა. მას უნდოდა ესენიც მოექცია. უქადაგებდა, ასწავლიდა, ასმენდა, არიგებდა. მის ნათქვამს არ ისმენდნენ ლეკების მოღებების ჩაკონებითა თუ მუჭარით. მისი მოწამლვაც კი განიზრახეს. მაგრამ მქადაგებელი ძმობისა იღვცა ტინივით მაგრა. ერთხელ შეიყარა მსჯამდინობა ღამე ტუის პირას და დაიწყო საუბარი

იმაზედ, რომ სრულიად ჩამოშორებოდნენ ქართველობას. დიმიტრი მარტო-მარტო მივიდა, ყრილობაში შევიდა და დაუწყო ტკბილი ღაპარაკი. ვიდაც ფანატიკოსმა უკანდამ ჯახი შემოჭკრა. „დამკარ და იცოდე კი, რომ შენ ქართველი ხარ და ქართველად დარჩებოი“, საინოიანად უთხრა მას მოძღვარმა.

ამისთანა ბედშობას დაემატა კიდევ უარესიც. მას კარდაეცვალა (19 თებ. 1867 წ.) მეუღლე ელენე, ერთად-ერთი მისი ნუბეში.

ობლად დარჩენილ მღვდელს თავისი მოღვაწეობა გადააქვს ზაქათაჲს (1870 წ.), იქ მსახურობს საღმთო სჯულის მასწავლებლად და მერე გაბრიელ ეპისკოპოსისა და კალანდარიშვილის მიწვევით მიდის ქუთაისს ქართულ ენის მასწავლებლად სასულიერო სასწავლებელში. იქაც დიდს უნარსა და ნიჭს იჩენს ამ ენის სწავლებაში და იმსახურებს უურადლებას როგორც ნეტარ-ხსენებულ გაბრიელისა, ისე ზედამხედველების კალანდარიშვილისა და მიხ. ასათიანის და აგრეთვე მთელის საზოგადოების. 1878 წ. დიმიტრი მიდის მოსკოვს სწავლის გასაგრძობად სასულიერო აკადემიაში. იქიდგან ბრუნდება 1880 წ. და მასწავლებლობს სათ.-აზნ. სასწავლებელში, მერე მისიონერად საინგილოში, შემდეგ მღვდლობს ნუხში, ვართაშენში, ალიბეკლოში და ბოღბისხევიში, საცა შორდება (7 ოკტ. 1905 წ.) ამ სოფელს საუკუნოდ 64 წლისა დაბადებიდგან.

ლიტერატურული მისი მოღვაწეობა მრავალნაირია.

საქართველოს ისტორიის სახალხო ენით ხალხისთვის გადაცემაში მას მხოლოდ ეკუთვნის ჰიროგელობა. ამგვარი წერა მან დაიწყო ს. მესხის გაზ. „დროებაში“, ფრიად საუურადლებო და საგულისხმიერო წერილები დაბეჭდა აგრეთვე „მნათობში“. შემდეგ იგი იყო მუდმივი თანამშრომელი „ივერიისა“, „მოგზაურისა“, „მომბესი“, ძველ „ცისკრისა“. კარგად სწერდა რუსულადაც. მის ნაშრომთაგან უფრო თვალსაჩინოა „ქართველ ქალის ისტორია“, „ამბროსი ნეკრესელის ქადაგებანი“, „ჭერეთის აღწერა“ („მოგზაურში“) და სხ.

ტფილისში მყოფობისას იგი მხურვალე მონაწილეობას იღებდა ყოველ საწადმართო საქმეში და აგრეთვე ერთხანს წ.-კით. საზოგადოების გამგეობის წევრადაც იყო. საინგილოში ხომ მის მიერ დათესილი ამაგი მეტის-მეტად დიდია. იგი იქ ფარივით უდგა ქართვე-

ლობას, მაგრამ ისე კი, რომ სხვა ტომის ხალხს არა სწუენოდა რა. მისი დევიზი ეს იყო: „ქართველობას ქართული, დანარჩენ თესლ-მოდგმას ეგელას თავიანთი; ნუ შემეცდილები, არც გეცდილები“. ამის გამო იგი უყვარდა ეგელას ერთნაირად და აკი ამიტომაც უკვე მკვლარი დიდის ამბით მიასვენეს კაკს, სკერთოდ დაიტირეს ქართველებმა, ლეკებმა, თათრებმა, სომხებმა, დამარხეს კრძალვით და მის საფლავს დაფრქვიეს თბილი და ტკბილი ცრემლები. მისი მახვილი სიტყვები და ანკდოტები ანდაზად დარჩენიან და საშვილი-შვილო სამკვიდროდ.


სამწუხაროდ, ამდენ მოამაგლარ კაცის სამარე ჯერ ისევ თბლად უსკვლოდ გამოიურება. ქართველი საზოგადოება მოვალეა მოიგონოს თავისი განაზიარა კუთხის შვილის საფლავიც.

მღვდ. მიხეილ ყულოშვილი მოვლად იყო. მოინათლა 17 აგვ. 1857 წელს. შინაურულად აღზრდილია. სამშობლო ენის გარდა კარგად იცის თათრული, უღური, სომხური და რუსული და წერა-კითხვა ეგელა ამ ენებზე. მსახურობდა დიაკვნად ბელაქანში, შემდეგ მსახურობდა მარსხსა და კაკში. მთავრობა მიიღო 1866 წ., მღვდლობა 1870 წ. მეტის-მეტად მშრომელი კაცია, მხნე, ლამაზად მწირველი, შეენივრად მგალობელი, თავმდაბალი და კარგი მქალაქეული. შინაურობაში მას შეუსწავლია მკურნალობაც და რაოდენიმე სხვა ხელოვნება. ავადმყოფნი, უძღურნი, გაჭირებულნი სასოებით მიდიან მასთან და იგიც უსასუიდლოდ ეხმარება ეგელას. 1865—1870 წლებში უსასუიდლოდ ასწავლიდა ინგილოთა შვილებს და მათ შორის ამ სტრიქონების დამწერსაც.

ეხლა ხანს არჩილ მეფის მიერ აკებულ კასრის-საყდრის ნანგრევის საძირკველზე ააკო შეენიერი ტაძარი თავის საკუთარი სიფასით.

ჴემმარიტს მღვდელს უყვარს ერი და ერსაც უყვარს თავისი კეთილი მწეემსი. ნეტარ არს კაცი, რომელიც შეყვარებით შეიყვარების.

მოლუბად იყენენ აგრეთვე მღვდლები ზილფი (იოანე) გამხარა-შვილი და აღექისანდრე ივანიტკი. ეს უკანასკნელი შამილობას იმამის მიურდიდც იყო. კაი ქართველი იყო სიმონ ტოპალაშვილიც, მაგრამ უდროოდ გარდაიცვალა.



მღვდ. მიხეილ ყულოშვილი

ბაჰრამაშვილი აბელი იყო კორესპონდენტი ნიკოლაძის ,,Օրհորն“-ის და თავის წერილებს ფსევდონიმად ,,აზიელი“-ს აწერდა. ქართულ გაზეთებშიაც შრომობდა. მისი შვილი კოწია, უნივერსიტეტის სტუდენტი, დაიღუპა ადვსს 1905 წ., ხოლო თვითონ გარდაიცვალა 1908 წ. მისი ქალიშვილი ასრულებს უმაღლეს სპეციალურ სასწავლებელს ჰეტერბურგში.

ხუციშვილი ბათო ცნობილია მთელს მსზრასში როგორც მეგვარტომეთა ჭირისუფალი, მოენე და დამცველი. იგი ცნობილია საპედაგოგიო მწერლობაშიაც. შვილები (რაქდენი და სხ.) ეზრდება უნივერსიტეტსა და საშუალო სასწავლებლებში.

დარეჯანაშვილი არჩილ სწავლული მებაღეა და ცნობილია თავის 20-დე სამეურნეო გამოცემებით. შვილები ეზრდება უნივერსიტეტსა და საშუალო სასწავლებლებში.

ტარტარაშვილი კოტე კაკის მნათეს შიოს შვილი, უმაღლეს სწავლა მიღებული, ერთი უკეთესი ანგილოთაგანია, უერთგულესი წინამძღოლი თავის ერისა.

გამხარაშვილი სიმითან კაი ხელმძღვანელობას უწევდა ინგილოთა მოსწავლე უმაწვილებს ზაქათალაში. მისმა შვილმა გიორგიმ დაასრულა უმაღლესი სპეციალური სასწავლებელი მოსკოვს.

უმაღლესს სასწავლებლებში სწავლობენ კიდევ რამდენიმე სხვა ინგილონი, ჯანაშვილები, ივანცკები, ჰანაშვილი და სხ. საშუალო სწავლა-მიღებულთა და ქართულ წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი ხომ მრავალია და ეს სულ რაღაც ერთის-ორის თაობის განმავლობაში და ისიც სულ მთლათ აქაურ გლეხკაცობაში (საინგილო თავად-აზნაურობას მოკლებულია).

საზოგადოდ, ინგილოებს ძრეულ ემარჯვებათ სწავლა, მეტადრე კაკელებს, რომელთაგანი არის აგრეთვე უმაღლეს სწავლა-მიღებული მაჰმადიანი ჰამზათ-ბეკ უბულაფი. სწავლა-განათლების მხრივ სოფ. კაკი მისხაბაგია საქართველოს ბევრ დაბა-სოფელთათვის.

აქაურ ხალხს კარგად ახსნიათებს მათივე მამა-პაპური თქმულებას: ,,ნასწავლ კაც ასლანი (ლომია), არ ნასწავლ კი—ზროხაჟს“. ცუდამშრლობა, მცონარება, ლაყინტრობა, ცუდმედიდურობა სძულს ინგილოს, გამრჯელობა, მხნეობა, ჰომობა (რუდუნება) კი უყვარს.

II

სახლ-ქარ-მამული.

სახლი და მისი მოწყობილება. კერა და მისი სიწმინდავე. აყარი—
როგორც ბელელი და საკუჭნაო. კერია და მისი მოწყობილება. დი-
რე და მისი მოწყობილება. დედაბოძი. ნეჭა. ეზო და მისი მოწყო-
ბილება. პატარა სახლი (ქოხი). ხერხლები. ქათამი. ვენახი. ბოსტა-
ნი. თხილნარი და სხ. სასუქი. სხვადასხვა გვარ ყურძნის სახელი.
სთველი. დაწურვა. გადაღება. ჩურჩა ქლიავი. თხილი. მარილზე გა-
ცვლა. ქლიავი. შვინდი. თუთის არაყი. ვაშლი. სხალი. ბალი. ატა-
მი. ნიგოზი. საბოსტნე. ლობიო. ბოსტანი ნათუძვრებში. კიტრი.
გოგრა. ხახვი.

საინგილოში სახლებს აშენებენ ქვითკირისას და ხისას, დაქანე-
ბულის სარქველით, დახურულს ჩაღითა და ანუ კრამიტით. აქა-იქ
იციან აგრეთვე ბანიანი დახალები. სახლები სიგძით 8—20 ადამ-
დეა, სიგანით 5—10-დე, ეგელა ერთ-სართულიანი, ერთ-ოთახიანი,
ხშირად სამ-კარანი, უფანჯრებო, უბუხრო, უიატაკო. სინათლის გუ-
ლისთვის კარები ზამთარშიაც ღია რჩება. შუა ადგილას ცეცხლი ინ-
თება. ბოლი საკვამლედამ ადის მდლა და ავსებს აუარს (სხვენს),
ზამთრის გრძელ დაძეებში კი ავსებს მთელს სახლს, ახრჩოლებს
ისე, რომ კაცს სუნთქვა ეკვრის, თვალების ავადმოთფობას აჩენს.

ცეცხლა-პირი წმინდა ადგილია, მეტადრე საპატიათა მისი დედა-
ბოძის მხარე. მის გარშემო ეგელა სახლის-წულთა სხდება დიდ-
წვრილობის მიხედვით: მარჯვნივ მამა-კაცობა და მარცხნივ დედა-კა-
ცობა, სულ ბოლოში კი მოსამსახურენი, მოჯამაგირენი. იგი იმავე
დროს საკუჭნაოდაც ითვლება: მასზე ხარშვენ, სწვენ, ახალებენ, ადუ-
ლებენ სარეცხის წყალს.

კერაზედ ცეცხლის გაქრობა ცოდვად ითვლება. ცეცხლი მუდამ
გუზგუზებს და ღვივის და სწვავს დიდძალ შიშს (შეშს) და მრავალ
ქოთუქებს (ტივებს), რომელსაც მოზიდავენ ხოლმე ადრე შემოდგო-
მითვე შეშასა და სანათთან ერთად (სანათად იწოდება ქორაფისა და
სხ. ხეების ხმელი ტოტების ხამტვრეუბი).



მღვდ. ზილფი გამხარაშვილი სახლობით

აუარზე, რომლის იატაკი ტალახით გაფესილია, ინახება ხორბალი, ფეტვი, ქერი, ჩაღთუქი (გამოუბრეკებელი ბრინჯი, კაკალი, თხილი, ხმელი შვინდი, ქლიაფი (ჩურჩა-ქლიაფი), ხახვი, ნიგორი (ნიორი), სიმინდი, ერბოს ქილები, უხახვი (ლორდად გამოსული ცხვრისა და ძრთხის ხორცი), სხვა და სხვა ახალი იარაღი. სიტყვით, აუარი არის ამბარიც და სარდაფიც.

უხახვსა, ჭიჭნაგურს (ძეხვებს) და ტარბაკებს ამზადებენ შემოდგომამზე სახორცეს ხორციდამა, ნაწლავებიდამა და ფაშ-ფუშიდამ, მერე ჰკიდებენ აუარზე და ბოლი ახმობს. ძნელად იქნება ისეთი ინგილო, რომ საუახუეთ ერთი უობი მაინც არ დაეკლას, ან და ისეთი შუათანა შეძლებული, რომ ერთი სახორცი (რქიანი საქონელი) არ დაელოკებინოს და მის ხორციით აუარი არ გაეკოს. შეძლებულები კი ამავე მიზნით სახორცეს ხუთიოდე ცხვარსაც ზედ ატანენ ხოლმე. ჭიჭნაგურს და დარბაკებს დიდის ხელოვნებით აზავებენ მრავალნიერ ხურხელოვნებით და შემწვარი ანუ მოხარშული ჭიჭნაგური მეტად კემრიელი და ნოყიერი საჭმელია.

შიგ სახლში, მის აღმოსავლეთის მხრის კედლის გაყოფება მიდგომულია მთლიან ხიდგან გამოჭრილი კორთე (თახჩა), რომლის წინაპირზე ხელოვნურად გამოჭრილია სხვა და სხვა სახეები: ჩონგურისა, ჭამებისა, ხალებისა, ხელისა, თავისა და სხ. კორთეზედ ამწკარიკებენ სუფთად დარეცხილ და მოკალეულ ჭურჭლეულობას: არყისა და საჭმლის ქვამებს, აბრეშუმის სახევეელ თიანებს (დიდრთნ ტამტებს), ლანგრებს, ჭამებს, ბადიებს, ორუურებს და სხ. აქვე იატაკზე დაინახავთ სადღობლებს, თუნტებს, რძისა და ღოს ქოთნებს და მერე დედა-ბოძის ზურგის მხარეს სავარცლეს და ვარცლს, რომელშიაც ინახვენ ზურს (შოთებს).

დედა-ბოძის მარცხენა კედელს ჩაჭეკება დიდი საკანი (ბელელი), რომელშიაც ინახვენ ფქვილს, მარილის კასრი და სხვა კასრები, მარჯვენა კედლის ჩასწვრივ დირაზედ აწევა სკივრები, რომელშიაც ინახება ქალების საცმელი, ძაფი და სხ., მერე ღამაზად დაკეტილი ჟიჟიმები (ჭეჭიმები), ვერღნები (საბნები). ბოლო კედლის ჩყოფება კი დაინახავთ ხოკრებს სარცხისას, გორგლებისას, მატულისას, აგრეთვე საბლებს, თოფებს, იქვე სხვა და სხვა იარაღს. ქვემო ბოძსა და

აქა-იქ ჩხებზე ჰკიდია თოფები, ტყავები, ნაბდები, ჩოხები, ხელსახანი. წუმწუმის ადგილი ქვემო ბოძთანა, ხოლო ჩონგური სახატაო კუთხეში სკივრებთან და ამის გასწვრივ მარჯვენა კუთხეში კი, მალა, ჭერის ქვეშ „წმინდა კიდახნი“, რომელიც მეტად ჰაწია და საოჯახო სიწმინდეთ ითვლება და, გარდა მამისა და ანუ მის შემკვიდრე ვაჟისა, მას ვერავინ შეეხება. მასში ინახევენ საკმელს, ბამბას, ცვინს. სახალწლოთა და საადგომთ მამა ამოიღებს ცვინსა და ბამბას, ცოლს მისცემს, ესეც ჩამოჭრის სანთლებს, შერე მამა აანთებს. მიაკრავს „კიდახნს“ და ვეკლანი წინ ჩამომწკრივდებიან და დაიწეებენ ლოცვას.

სახლის აივნებში აწევა ან აყუდია რკინის ბარები, ხის ნიჩბები (კალოს ნიჩბები სდამე აყარზე შენახულია), ნავეები, დიდრონი გოდრები, საბუდრები, დიდრონი კასრები და სხ. წინა-აივანში ხშირად ნახავთ ხის ლოგინს (=კრაოტს), რომელზედაც იძინებს სახლის უფროსი (ხშირად ზამთარშიაც კი).

სახლის უკანა აივანში თითქმის მუდამ ინახევენ ნეჭებს. ნეჭები სქლად დაწნულია ხმელ და გრძელ ნამჯისაგან თუთის ხის ქერქით. ნეჭა ორი კაცის სიგქე მაინც იქნება. ქვეშაგების გაშლის დროს ჯერ მას შლიან და ისე, რომ მისი ნახევარი ისევე დაკეცილად რჩება და კაი მუთაქის მაკივრობას ეწევა.

აყარს ორი კარები აქვს: ერთი ზემო მხრიდან და ერთი ბოლო მხრიდან. ერთ-ერთ ამ კარებს მიდგმული აქვს ხის კიბე.

სახლის თავს ეზოში ჩვეულებრივ ჩარგულია ქვევრები, ქოცოები (ჭურები) და მათში იწურება და ინახება ღვინო. ეს „მარანი“ გადაუხურავია. საგსე ქვევრს ჰირზე ადებენ თავშავსაგან გაკეთებულ რკოლს სპირეს, შერე სიპს (ქვის ბრტყელ ფიცარს) და ზედ ბლომა მიწას აყრიან. ზამთრის სუსხებში ამას ემატება კიდევ ფიჩხისა ანუ წალმის კონები.

ქვევრების მიდამოშივე თორნეა; მიწაში კი არა, მიწის ჰირზე $1\frac{1}{2}$ ალაბის სიმაღლეზე ამოყვანილი, გარშემოწნული. მტკავლის მანძილზე მიწით ამოვსებულია თონესა და ამ ამოწნულს შუა ადგილი. თონეს ხურავენ ფიცრებს. იქვე ნახავთ საჩხრეკელს, ასტამს, სანაცრეს. თონის გვერდზე დალაგებულია ფიჩხისა და, ხშირად,

წაღმის კონები, რომლითაც ახურებენ თონეს. კარგად გამოწვეარ თონის გასახურებლად 3 — 4 კონა კმარა. რაღა თქმა უნდა, თონეს თვითონვე დემენ თონის მიწის გუნდებით.

აქ აცნობენ ხმალივით გძელ ზურებს, რომელსაც შოთს უწოდებენ, აკრეთვე ლავაშებს და ნაზუქებს (ნაზუქი = ნასუქი, რადგან ერთბოთი ნასუქია).

აქვე სადმე ჩაუედებულა მენა, რომელშიაც დებენ ანუ ტიტბენ ძაფეულბობასა და შაღებსაც.

სახლის ზირდაზირ ეზოს მეორე მხარეს „პატარა სახლი“ ანუ საზრთვე ქონი, რომელიც ისრევე შენდება, როგორც „დიდი სახლი“. მხოლოდ მასში ინახვენ საქონელს და მის აუარზე კი ბზეს, თივას, ქერს. საჭმელი საქონელს ეძლევა დიდრონ ნავებში. საქონლის განავალი უოველ დღე იხვეტება და იწმინდება.

ეზოს ქვემო მხარეს დაწყობილია შუშა, იქვე გაკეთებულია საქონლის საზათხულო შესამწვედვეი ალილი (=მეგრ. ქართი). იქვე ნახავთ ურმებს, მარხილს, ქოთუქებს, აჩეჩას და სხ.

ეზოს შუაგულში შეძლებულეს აქვთ ცაღკე ფარდულები, საცა მალაღი და დიდრონი კასრებია, სავსე ხორბლეულით და სხვა მარცვლეულით.

ეზო თითქმის უოველთვის ოთხკუთხეა, ტურუშულ ღობითა ანუ ქვითკირის კედლებით შემორტეული და გაუსილი მრავალგვარ ხეხილით, რომელთა შორის უეჭველად ხუთიოდ-ათიოდე ნამუენი თუთაა, ამდენივე ვაშლის ხე, სხალი, ალუბალი, ბალი, ტყრამი და სხ. ეზო მუდამ იგვება, სუფთად ინახება, ზათხულობით ირწვეის და საამურად ბიბინებს. მის ერთ გვერდზე არხი გადის და გაკეთებულია ჩადარღანა, რომელზედაც წვალი ჩახრიალებს და ატებობს უერთა სმენას, მეტადრე ზათხულის წუნარ ღამეობით.

ეზოში შემოსასვლელი კარები ხერხლებით იკეტება: ხერხლებს აუურიან და მერე მარჯვენა მხრის ბოძის ხერხლებში სოღებით მაგრა მისტედავენ, დილით კი ხერხლებს ისევ ჩამოურიან ხოლმე. უმეტესობამ ამ ბოლო დროს ხერხლები ფიცრისაგან გაკეთებულ დიდრონ კარებად შესცვალა. ეს კარები შიგნიდან იკეტება ან ურდულით, ან რაზით.

ეზოს მუდმივ სამკაულს შეადგენენ აგრეთვე ბლომა ქათამი (ზოგს 100—200 ფთამდე ჰყავს) და ეზოს ძაღლები.

საქათმე აქ არ იცინა და ქათმები ზამთარსა და ზაფხულს ეზოს რომელიმე მძალე სეზე ბუდობენ ღამ-ღამე. ძაღლებს კარგა ინახვენ, ჰატრონობენ, სშირად საბუნაგედ ნეჭსაც უშლიან, მერე უფრო სანძობესა და ეზოს კარების ახლოს: მათ სიფრთხილეზე დამოკიდებულა, სშირად, ჰატრონის ავლა-დიდების ხელ-უხლებლობა ღამის რანდთაგან, რომელთა რიცხვი აქ ცოტა არ არის.

ეზოს წინ-უკან მიჰყვებიან მენაკი (ვენახი), ბაღჩე (ფურცლის ბაღი ჰარკის ჭინთვის), თხილნარი, დიღლიგი (ბოსტანი) და ხან-დახან საბალახე ყორთლი (ყორული) ხბორებისა და შესაბამელ საქონლისა და ცხენებისთვის. ვენახი და ბაღჩე სრულეხად დაუოფილია. სრულეხსა და სრულეხს შუა ნახვთ ვარდის ბუჩქებს ან და კიტრისა და ფაულის (ლობიოს) ჯერგებს. თხილის ბუჩქები რიგზედ ჩამწკრივებულია. მთელი ბაღჩე-ვენახი ხეხილებით სავსეა, მათ შორის უმეტესობა ატამია, ქლიავი, ბაღი, მსხალი, შეინდი, კაკალი. მთელ მამულს გარეშემო ღობე მოსდევს. ღობეში ხარობს მრავალი ხე (იფანი, თელა და სხ.), რომელიც სამ წელიწადში ერთხელ ჭიკოდ იკაფება.

ვენახი აქ სულ დაბლარია. აქა-იქ მადლარიც არის, მაგრამ იმის უფროდინს საჭმელად ხმარობენ.

ვენახს ადრე გაზაფხულზე სხლავენ და ორს-ოთხს რქას უნარჩუნებენ ყოველ ვაზს. ჭიკოს ბუვრს ხმარობენ. თითო ვაზს 3—4-ს უყუდებენ, მათგან ერთს შუაში, რომელზედაც აკვრენ თვით ვაზს და დანარჩენებზე მის რქებს. შესარვას ინგილოები აგებან ეძახან. შესაუელავად ხმარობენ ლარტის (ნაკაფ კაკლის ულორტების) ქერქს. ლარტას ადრე გაზაფხულზევე სჭრიან, ტყავს ხდიან, ბტეულ და გძელ ძაფად ხევენ, კონებად ჰკვრენ და ახმობენ, შეუელვის დროს კი წუალში ჰყრიან და ალბობენ. ძირიდან ამოხეთქილ ულორტებს გადაწვენ ხოლმე ცალკე ვაზად. ფურჩქნა არ იცინა, მაგიერად ხოროლაებს (უნაყოფო ულორტებს) მოგლეჯენ ხოლმე და მადლა წასულ რქებსაც წვერებში მოჭკაფვენ, რომ ვაზშივე ძალა დატრიალდეს და მტეენები დასხვილდეს. ყოველი ვენახი ზაფხულობით ერთხელ ან

ორჯულ ირწევის არხის წყლით. გენახსა, ბაღჩასა და ხეივანებსაც უსასუქოდ არ სტოვებენ. ამისთვის იხმარება საქონლის განავალი, რომელიც შემოდგომითვე გოდრებით შემოაქვთ ვენახში და უყრიან უველა ვაზს. სასუქის დაურას კისრულბენ დაღისტნიდამ ჩაშოსული ღეკები, რომელნიც ამის გასამრჯელოდ იღებენ ნიორს, საქალამნეს, ფქვილს ანუ ფულს.

აჭაურ ვენახებში სხვა და სხვა ნაირი ურძენი ხარობს, სახელდობრ: მელაკულაჲ (კახური რქა-წითელი). მისი მარცვალი მელის კუდივით მოყვანილია, უმთავრეს ჯურის ურძინად ითვლება და უკეთესს ღვინოს იძლევა; თხლათაჲ—თხელ კანიანი მომრგვალო მარცვალი აქვს, სიმწიფისას მეტად ტკბილია; მერანდოჲ—მოწითურ-მოშავოდ მწიფდება, მაკარი კანი აქვს, სხვილი მარცვალი, დიდრთნი მტკვნები, ღვინოდ არ ვარკა, საჭმელად იხმარება; ქიშმიშაჲ—მწიფობისასაც მეტად მწვანე ფერი აქვს, მკვანე გეგანება, მაგრამ ზირში რომ ჩაიღებ, ქიშმიშვით ტკბილია; დევის-თვალაჲ—დიდრთნი მტკვნები აქვს, მრგვალი დიდრთნი მარცვლები, ღვინოდ არ ვარკა; საფერაჲი—შავად მწიფდება, შავს ღვინოს იძლევა, თეთრი ღვინის საფერავად იხმარება; საკმელაჲ—სურნელთვანი გემოს ურძენია, ნაზი, მწყაზარი; ქეჩი-ემეჲი (იგივე თითაჲ) და გენურჩი (განჯური ურძენი). ამას გარდა იცის აგრეთვე ბურზლუმი (=კრიკინა), რომელიც კარგულ ურძინად ითვლება, რადგან ტეესა და ველს ხარობს და ჭბურავს ღემასა, ბრულსა (დაბურულს ბარდანს) და სხვა ხეებსა და ბუჩქებს.

ვენაკებს კრეფენ ენკენისთვეში. ურძენი გოდრებით გამოაქვთ ეზოში და ჭყრიან „ურზინი ნავში“. ნავი რომ გაივსება, ერთი მამაკაცთანი იხდის ფეხს, კარგა იბანს და ნავში ჩადის და ჭეფეტავს ურძენს. კარგა რომ დაიჭულიტება და დაწურება, „ჭეჭს“ ნიჩბით იღებენ და ჭყრიან ცალკე ნავში ანუ ქვევრში. ამ ჭეჭისგან მერე არავს ხდის. ტკბილით კი ავსებენ ქვევრებს, რომელსაც წინათვე რეცხვენ სარცხით და თუ სადმე გაზარულია, ხიზს (თხის ქონს) ავლებენ, რომ ღვინო არ გაედინოს. მაჭარის დაღულების შემდეგ ქვევრებს ადებენ კარხანისგან დაწნულს საპირეს, მერე ბრტეულ ქვის სიპს და ზედ აყრიან ბლომა მიწას. გაზაფხულზე ღვინო გადაქვთ

სხვა ქვეყრბებში, ხოლო თხლისაგან, როგორც ჭაჭისაგან, ხდიან არაყს—თხლი-არაყს.

აქ აღარ განვავტობბ სიტყვას ბადჩის შესახებ, რადგან მასზე ლა-ზარაკი გვექნება ცალკე თავში „აბრეშუმის მოყვანა სანგილოში“.

ბაღ-ვენახის ხეხილთაგან დიდი გამოჩინობა აქვს ინგილოს. ამ ხეხილთა შორის უმთავრესია თხილი, კაკალი, ჩურჩხა-ქლიავი, შვინ-დი, ვაშლი, სხალი.

სამური სანახავია აქური თხილის ბუჩქი, რომლის 10—15-დე ულორტი მადლა წასულა და სამზერევიტ (ქოლგასავით) გადაბარდნილა უოველმხრივ. ამგვარ ბუჩქებს ამწკრივებენ რიგზედ და ისე, რომ მათ შორის დარჩეს საკმაო მანძილი და ერთმა მეორე არ დაჩაგროს. თითქმის ყველა მამულში ამისთანა ბუჩქს ნახავთ. შეძლებულების მამულში ასამდე ძირი (ხან მეტიც) იქნება. ბუჩქი რამდენიც ძველია და დიდი ხნისა, იმდენად მეტს ისხამს. თითო მოსწრებულ ძირიღამ 1—2 ფუთი ნაჩურჩი თხილი ჩამოდის და ფუთი ადგილობრივე იუიდება არა ნაკლებ 2 მანათისა.

თხილს აშენებენ მისის ბოლქვებით (ძირებით). სათხილნარო ადგილში ადრე გაზაფხულზე ღრმა ორმოებს აკეთებენ მწკრივ-მწკრივად, მერე რომელიმე თხილის ბუჩქს დასთხრიან, დაშლიან მრავალ ბოლქვებად და უოველს ორმოში თითო ბოლქვს ჩარგავენ, მიწას მოუტკეპნიან და მორწევენ. ორ-სამ წლამდის, ვიდრე კარგა იხარებს, რამდენიმეჯერ მორწევა უნდება, აგრეთვე მოვლა, ე. ი. ძირის მობარვა და სასუქად ნაფოტის ნამუსრის დაურა (სხვანაირი სასუქი არ უხდება, სწავს, ახმობს). თუ ბოლქვს დარგვისას დიდი ძირი (ფუესვი) და მადალი ულორტი შერჩა, მოსავალს მეორე წელსვე იძლევა, თუ არა და მე-3—4 წლიღამ.

თხილის მოშენება მით არის კარგი, რომ მას ვერც სეტყვავნებს, ვერც გვალვა. 1000 ბუჩქი რომ ქონდეს კაცს, უოველ წლივ, სულ ცოტა, 2000 მანათს აიღებს, მერე ისიც თითქმის მოუვლელად, რასაკვირველია მოვლად ერთხელ-ორჯელ მორწევას თუ არ ჩავთვლით, აგრეთვე საფანჯის დაგებას გასაწევეტად ციყვებისა და დედოფლებისა, რომელნიც თხილეულობასა და კაკლეულობას ებტურებიან.

ბოლოს იხილეთ უნდა ვთქვათ, რომ თხილი აქ სამნაირი იცის: აღრეულაჲ—მოწითანო-მოწაბლისფეროა და აღრე შემოდის; ქ.რული—სხვილი, მოწითანო; დუდრუან-თხილი—ცნობილი ბერძნული თხილი და ტყეურაჲ—(გარეული თხილი), რომელიც აქაურ ტყეებში ბლამად იცის.

თხილს ფულადაც ჰყიდიან და მარილშიაც უცვლიან „არაბებს“, რომელთაც შემოდგომასუ აქლემებით მოაქვთ მარილი ბაქოს მხრიდან, სოფელ-სოფელ დაიარებიან ძახილით: „აჲ ტუზ ალანი აჲ ტუზ ალანი!“ („აი მარილის შეიდეგლო! აი მარილის შეიდეგლო!“) და ამ ძახილით მკვიდრთ ცნობებენ:—ვის გინდათ მარილზე თხილი გამიცვალათთ ან და ქლიავი.

ქლიავი აქ არის: წითელაჲ—მოწითანოა, მოგრძო, მეტად მკავე; ვაშლაჲ—სხვილი, მოყვითანო; ისფერი—იისფერი, სხვილი, ტკბილი; ცომაჲ—სხვილია, მრგვალი, დამწითებისას ცომივით რბილი, ტკბილი; ტყიმალაჲ (=ტყემალი ანუ ტყემლის მზგავსი), რომელითაც სავსეა აქაური მინდორ-ველი, და ჩურჩაჲ. ეს უკანასკნელი უველასუ მეტად ფასობს. მისი ნაყოფი მოყვითლო-მოგრძოა და იჩურჩება. მას ახმობენ ჩურჩად ან და უჩურჩავად. დიდრონ ქვაბებში სთუთქავენ და ყავრის ჩაფრებისა და წნელის ღასტებზე ახმობენ და მერე საჭმელში ხმარობენ ან და „არაბებს“ მარილში უცვლიან: 12 ბაკან ქლიავში 5—8 ბაკანმდე მარილს იღებენ.

ქლიავზედ არა ნაკლებ ფასობს შვინდის ჩურჩი და შვინდის კერკი. აქ ხარობს: თეთრ-შუნდ, შავ-შუნდ, წითლა-შუნდ, ნელა-შუნდ (გვიან მწითლდება), აღრეულა-შუნდ, ტკბილ-შუნდ. უოველ მოსახლეს რამდენიმე ძირი უდგია მამულში და ამას გარდა ცოტა არ არის შვინდი ტყე-ღრეშიაც და იმითიც, ხშირად, საკვებობენ.

თუთას აქ არა თუ მარტო სჭამენ, მისგან კაი თუთის-არაყ-საც ხდიან. ვინც თითონ ვერ ახერხებს გამოსდას, ჰყიდიან თითო ხის თუთას რამდენიმე მანათად. შეიდეგელი თითონვე მოდის, „აქანებს“ და მიაქვს.

არაყად აქცივის შემოდებად, ხშირად, იხდებოდა აგრეთვე ვაშლი, მსხალი, ატამი, ბალი და სხ.

ვაშლი არის: თათლა-ვაშლი—თეთრ-მოწითანო, მრგვალი, ტკბი-

ლი, სურნელოვანი; ქვა-ვაშლია — მომრგვალო, წითელი, მაკარი, მეტად ტკბილი და გამძლო, — ზაფხულამდე ინახება; წითელ-ვაშლი — სხვილი, წითელი, მომყავო; თეთრ-ვაშლი — სხვილი, სურნელოვანი და ქირკიძია — მაყალო.

სხალი ხარობს: უგულო — უფითელი, ტკბილი, სხვილი, უკურკო; კალო-სხალი — ტკბილი, სურნელოვანი; ზამთრულა — ნაგვიანეგ შემოდგომას მწიფდება, მომრგვალოა, მომწვანო, ინახება მთელ ზამთარს; მერახულა — მსხვილი, წყლიანი, მარახში; მაჰარამი — სხვილი, ექლიანი, მეტად ტკბილი, სურნელოვანი; კვირიშტაი — მოგრძო კვირისტაფივით, მოყვითალო-მოწითანო, მეტად ტკბილი; ჩიტ-სხალი — წვრილი და ტკბილი; ნარ-არმუტი — სხვილი ბრწყინვალე სხალი, წონით გირვანქამდე, დიდხანს შენახული სურნელოვანად შექრდება და ქირკიძია — ჰანტა.

ბლის ჯიშებია: თეთრი-ბალი, შავი-ბალი, ჟალლა-ბალი (ნაშენი) და გარეული ბალი ანუ ბაღდუნჭი (== ბაღდოჯი).

ატმთაგან აქ უმეტეს ჰატივშია საკერი, ვიდრე საბრავე. თუმცა ატმით აქაურობა სავსეა, მაგრამ მას საზამთროდ არ ახმობენ. არ ახმობენ ლქლსაც (ლეღვს), აგრეთვე ჭერამს, აღუბაღს (დიღბარს); წაბლს ინახვენ ისე საჭმელად, ჭარიდგან კი, სცა წაბლის ტყეების ზოგიერთ ღელეში, ურმებით გააქვთ გასასუიდად სიღნაღს, თელავს და ტფილისს.

კაკალი იზრდება მალაღ დიდ ხედ. მისი ნაყოფი მოყვანილობით მრგვალია, მოგრძო, მომრგვალო; სიმკვრივით — თხელ-ნაქუქულაა, მაგარ-ნაქუქულაა და კირკიტაა; სიდიდით — სხვილი, შუათანა და წვრილი, ლეხნის სინოყიერით ზეთიანი და ფშიტი.

მოსავლიან წლებში თითო ხიდან 20—30 ფუთი კაკალი ჩამოდის, დიდრონ ხეებიდან კი 50—60 ფუთამდეც. რომ დაკრძალდება, ხეზე აღის მარდი კაცი გრძელ ალატით (სართხმით) და ხრის (== ბერტავს) კაკალს, უსხარტულებს ტოტებს და დამწიფებულ ნაყოფი გრძელთ ცვივა ძირს. ემაწვილები და ღელაკაცები აგროვებენ და მერე სხდებიან და წინგოიანს კანს აცლიან, აშრობენ და აუარზე ინახვენ, ან გოდრებში სადმე ხმელ ადგილას, რომ არ დაუაზღეს.

შემოდგომასზე კაკალს ჩაქვით კეჩენ (ამტურევენ), ალებებენ და

ლებნის ზვინს ღასტზე ათხელებენ, ცეცხლზე მადლა ჰკიდებენ, აკა-
ლებენ, დინგში ნაუკენ ისე. რომ თხლევენ. ამით ქოთნებს და ქი-
ლებს ავსებენ და მერე ხმარობენ ღობიოს და ჭინჭრის შესახებ-
ლად საკირცედ (სახინკლედ) და ანუ ზეთის გამოსახლელად. ნიკვზის
ზეთი მეტად გემრიელია, სურნელოვანი, ნოჟიერი. მთელს დიდმარ-
ხვაში ნიკვზი-ზეთიან ფლავს აკეთებენ. ზეთს რომ გამოხდინან, რჩე-
ბა ჭენჭა, რომელსაც აქ „კაჭინტულს“ ეძახიან. ამას ღობიოს შე-
სახვებ-შესახელებლად ხმარობენ ანუ ზურს ატანენ.

კაკლის ხეს დაუცია აქურობა. მის სიმრავლეს, კაცს გარდა,
ხელს უწყობს უმიზნოდ მობუშავე უვავ-უორანიც. ამას უუვარს კაკ-
ლის ღებანი. დაჯდება დამწიფებულს კაკლის ხეს, მოსწყვეტს მის
ნაყოფს, წაიღებს შორს და მადლიდგან ჩამოაკლებს ძირს, რომ და-
ეცეს ქვას და გატუდეს, მერე ჩამოვიდეს და შეეჭტეს მაგრამ ზმი-
რად ჩამოგდებული კაკალი სადმე ბუჩქის ძირას ეკარგება, იქვე ფე-
სვებს იკეთებს და იზრდება.

კაკლის ხე, როგორც ვიცით, მრავალია არა თუ მარტო აქ,
არამედ იმერეთშიაც, შავი ზღვის პირად. რომაელებმა აქედგან გაი-
ტანეს ეს მცენარე და მისი სახელი *nux-pontioa* კარგად გვიჩვენ-
ებს მის თავდაპირვანდელ სამშობლოს. ლათინური *nux*-ი, რაღა თქმა
უნდა, არის იგივე მეტრული ნუზი, ქართული ნიგოზი, რომელიც
ინგილოურ ნათეს. ბრ. გამოითქმის ნუგზად (ნუგზი-ზირაჲ, წინკე-
რენაჲ).

საბოსტნე ადგილს შემოდგომითვე კარგა ბარვენ და, თუ სსა-
მისი ადგილი დიდია, ხვნენ აჩეჩით. დახლოვებით მასის 20—25-ს
იწყებენ თესვას. თესვის წინად დაბარულ ადგილს ასუფთავებენ, გა-
მოუსადეგარ ძირვეებს და კლერტობს აძრობენ, ჰერთან ანუ სწვენ,
თვით ადგილს კი იმდენ თახტად (კვალად) ჰყოფენ, რამდენიც სა-
ჭიროა დასათესად ხახვისა, პირპილისა (წიწკისა) და სხ. კვლები
(თახტები), ზმირად, 4—15 ალაბის სიგრძისა, სიგანით კი—
1—1½-ისა. კვლებ შორის მომადლებულ თირების ჩყოლება რიგ-
ზე სთესენ სიმინდს, ხანდახან ფეუის-ღობიოსაც (კუტ ღობიოს) სთე-
სენ აქა-იქ სიმინდბთანავე. ხახვის კვლების გვერდით პირპილის კვა-
ლიც ჩაჰვეება, აგრეთვე კიტრისა და ასახვევ ღობიოს ჯერკებიც მი-

ჭევიან. კიტრსა და ასხევე ღობიოს გაბორჯდილ ჟაგებს (ჭაგებს) უუღებენ და ამას გარდა ნაზირსაც (ფურცლის ხმელ ტოტის), რომ ადვილად ახვიოს, აქეთ-იქით არ გადიზნიქოს და მალა დაუბრკოლებლივ წავიდეს. იქვე სადმე ყარფუზს, ნესვს და დასტამბოსაც თესენ, აგრეთვე გუგრას (გოგრას), ბოლოკს, ქინძს (ბლომად), ნიახურს, ტრახუტს (კამას), რეაჰანს, წიწმაცს, ცოტადენ კომბოსტოსაც. აქ ნიგორს ალარ ვიხსენიებთ, რადგან იგი აზრილშივე ითესება ცალკე და მაისში უკვე შემოსულს ჰგლეჯენ, უინახე აქვთ და იქ ინახვენ, რომ გამოძრეს.

ბოსტანს ხშირად საჯამათოდაც სთესვენ სოფლის ახლო ნაფუძვრებზე. სათემოდ გადახნავენ ამისთანა ადგილს, დაიყოფენ და დაითესენ ყარფუზს, ნქსს (ნესვს), ღესტამბოს (ჰუმზუღას), აქეთ-იქით სიმიზდის მარცვლებსაც გადაყრიან ხოლმე. ბოსტანი რომ შემოსვლას იწეებს (ივნ.-ივლ.), მის შუაგულ ალაგას მალა ხეზე აკეთებენ თარვალს (ფარღულს) და იჭერენ მებოსტნეს, ე. ი. ბოსტნის ყარაულს, რომელიც თარვალზე ბინავდება და იქიდგან თვალ-ურს იჭერს, რომ სხვა სხვის წილში არ შევიდეს და ბოსტანი არ მოსწევიტოს და არ მიითვისოს. მებოსტნეს თოფიც აქვს და თუ ვინმე გაჯობრდა და სხვის ადგილისკენ იწია, მებოსტნემ სამჯერ უნდა გააფრთხილოს და თუ არ დაუჯერა, უთლება აქვს, ესროლოს. აგვისტოს გასულსა და ენკენისთვის დამდეგს ბოსტანი რომ გამოილევა, მაშინ სათემო ჰურამ იმართება: დანიშნულ დღეს ყველა გამოვა საბოსტნეში და ვისაც სად ეზრანება, იქ მოიკრეთს ბოსტანს და თავისს საქონელსაც მოაძიებებს. საზამთრო, ნესვი და ღესტამბოუე სხვა და სხვა ნაირი იცის, ქებულია უფრო ქერკა ყარფუზი. ღესტამბობა ფრიად სურნელოვანი მადის ხოლმე და უმაწვილების გასართობად იკრიბება.

კიტრი შემოდის ივნისში, თუმცა წილს და ჟუჟუქებს (მასრებს) ადრევე იკეთებს და უმაწვილები არა ერთხელ დასწილავენ ხოლმე მის ჭერგას.

სიმიზდს აქ მარტო საჭმელად ხმარობენ და მისი ფქვილი საჭადეთ არ იზილება.

გუგრა (გოგრა) იცის ტრიანი და ბალური. ტრიანს უშვებენ ჭაგებზე ანუ ხესა თუ ღობეზე. იქ იკეთებს გრძელ ტრიან ნაყოფს,

ისეთ გქელს და დიდ თავიანს, რომ, ხშირად, ადღზე მეტი სიგქე აქვს. ტრიან გოგრით სხვა და სხვა ხაირად სარგებლობენ: სჭამენ, როდესაც ჯერ ისევ ნორჩია: ფტქენიან, ჰკუწავენ, ცხურის ხორცთან ერთად ხარშენ და გემრიელი საჭმელი ბურანია (ბორანი) გამოდის. როდესაც განშება, მისგან აკეთებენ კოტოშებს (ღვინის ამოსავსებად), საღვინეებს, სხვა და სხვა თესლეულობის შესანახაგებს, ფიალებს და სხ. ბალურ გუგრასაც საჭმელში ხმარობენ.

ხახვი, ნიორი, ლობიო და სხ. იმდენი მოჰყავთ, რომ თითონაც ჰყოფნიან და ნამეტსაც სცვლიან ვუელზე, საბლებზე, ნიჩბებზე, მატულზე, ფაფებზე, ან და აძლევენ საფასუდ მკაფაებს, შჭედლებს, ნახვის ბალ-ვენახში გამტან მეგოდრე ლეკებს.

ამ ბოლო ხანებში კარტოფილის თესვაც ფეხს იკიდებს ნელა-ნელა.

III

მ ი ნ დ ო რ - ვ ე ლ ი .

მინდვრის მოსავალი. პური. ჩალთუქი. ქერი. ფეტვი. კალო. დინ-გი. ჰენდი. სარწყავი წყალი. ციებ-ცხელების მიზეზთაგანი. თრიმ-ლი. ხონობი. ფუტკარი.

საინგილოში მინდვრად თესვენ ხორბალსა და ქერს შემოდგო-მით და ფეტვსა და ჩალთუქს—გაზაფხულზე. შირველისაგან აცხო-ბენ „წმინდა ზურს“—შოთებს, მესამისაგან ჭადს (=ლეკ. ჭატ), ჩალთუქს ნაჟავენ ბრინჯად, ხოლო ქერი იხმარება სატანად ცხენების-თვის.

ხორბალი არის სამხაირი: სარუბულდა, უარაბულდა და გურგანა. უფრო მეტად ფასობს შირველი.

ფეტვი იცის ორხაირი: თეთრი-ფეტვი და შავი-ფეტვი. უკა-ნასკნელი ითესება მთიან ადგილებში და ტანს მადლა ვერ იურის. მეორე მოდის ბარ ადგილებში, ერთხელ-ორჯულ ირწყეება და მადლა იზრდება. მისი თავთავი სხვილია და გრძელი. ითესება მისში და მწიფდება აგვისტოში.

ჩალთუქი სამგვარია: თეთრ-წყერა, შავ-წყერა და ვითეღ-წყე-

რ. თეთრ-წვერას უღვაშები აქვს შოთეთრო და უგელაზე ადრე მწიფდება. მისი მარცვალიც თეთრია.

ხორბლისა, ქერისა და ფეტვისთვის ადგილი იხვენება ორჯელ: გარდი + გარდმო. სახალთუკედ კი მოიხვენება-რა ერთხელ, მერე ირწვეება წელით ისე, რომ კარგად ატალახიანდეს, მერე მიაქვთ ტომრებით აუიგებელი (ადიგებელი) ჩაღთუქი, თესვენ ამ ტალახში და ფარცხვენ. კარგი მოსავალი იცის მაშინ, თუ ჩაღთუქს წყალი არ დააკლდა, ძირი მუდამ სველი ექნა. ამიტომაც რომ წყალი თანხბრად მოხვდეს ჩაღთუქის უგელა ნახარტუ ძირს, ადგილს კვალავენ, ჰყოფენ წვრილ-წვრილ კაპებად (გუბებად), რომელთა სიგრძე-სიგანე 1—2 საუ. არა უმეტესია. მაგრამ მეტი წყალიც ვნებს ჩაღთუქს: უჩენს სენს „გეზანგუს“, რომლისგან მალე ჩაღთუქი უვითლდება და ფუჭდება. ამს კარდა ჩაღთუქს ვნებს აგრეთვე მცენარე—ღორმუჯი და რომ არ დაზიანოს, ძირიანად სჭრიან და თავიანთ შესაბმელ საქონელს აჭმევენ. ჩაღთუქმა იცის აგრეთვე გაძლიანება თავთავ ამოდებად. გაძლიანება ის არის, რომ მცენარე სწრაფად იყრის ტანს, ღერო არ უსქელდება და მერე თავთავს ვეღარ იმაგრებს, სუსტი ნიჟიც ძირს აწვენს და აფუჭებს. რომ არ წახდეს, დაორსულების წინა ჩაღთუქს აჭრიან წვერებს და მით ახელებენ ზრდას.

ჩაღთუქი, ფეტვი, და ქერიც ხანდახან დიდ მოსავალს იძლევიან: ერთი 15—30 და მეტსაც, ხოლო ხორბალი კი ერთი 4 - 5-ს და ხან მეტ-ნაკლებსაც.

ზურეულს თიბავენ ღუღით (კბილებიან ნამკლით), მომკილს ახელებენ, ხელებებს აწობენ ხუთულებად ან ათულებად და მერე მიაქვთ ურმებით კალოზე და დგმენ ძნად. კალოები სოფლის ზირას აქვთ სოფლებებს.

საკალოე ადგილს ჰკალავენ საკალავ ბარით და მერე შიგ აუენბენ წელს, ატალახებენ ფარცხით და ფიცრით ასწორებენ. 2—3 დღეში ხმება კალო, შიგ შლიან ძნას და კევრებით ღეწვენ. კევრში აბმენ კამჩებსაც, ხარებსაც და ცხენებსაც. ვიდრე გაიღეწებოდეს, გაშლილ ძნას ორჯელ უჭტევენ ორთითებით და ორჯელ კალოს-ნიჩბებით. შემდეგ აგრავებენ ორ ხოვად (ხოვ—ხვაგი) და ნიჩბებით ანიაგებენ, მერე ხორბალს ცალკე ხოვად აგრავებენ და აცხივებენ (აც-

ხავეებს), რომ ნამკუდი გამოირჩეს თავ ჰურისაგან. ეს ჰური ტომ-რებით იზიდება აჟარზე ანუ ცალკე კასრებსა და საკნებში, ნამკუდსაც ინახვენ ცალკე, ხოლო ბზეს საბზევეში ჭყრიან.

ჩაღთუქისა და ფეტვის გასაღწად კვერის მაგიერ იხმარება გრძელი მრგვალი მორი, რომელსაც საუღლით მოუბმენ უღელს და ხარებს აგორებინებენ გაშლილს ჩაღთუქსა თუ ფეტვზე, მარცვალს აურევიანებენ და ბურდოს ცალკე აგორებენ და ინახვენ საზამთროდ. საქონელს ძალიან უყვარს ფეტვის ბურდო.

ფეტვს, ქერს და ხორბალს ფქვამენ წისქვილში, ხოლო ჩაღ-თუქს ცალკე დინგში. დინგი იციან ორნაირი: ფეკის-დინგი და წყლის-დინგი. წყლის-დინგი დიდი მანქანაა, რომელსაც ამოძრავებს წყლის მაღლიდგან გადმოშვებული შადრევანი. მას 4—6 მკლავი აქვს ტა-ლის სათხამით ბოლოში. მკლავები გამაგრებულია დიდ და გრძელ ზრთში, რომელსაც ატრიალებს უშველებელი ფარი-ჩარხი. სათხა-მების სისწვრივ ხელოვნურად გაკეთებული ორმოებია, სასე ჩაღთუ-ქით, რომელიც კარგა რომ დაინაყება (გაიცხვება), მაშინ მბლერტა-ვი მოიტანს ტაბაკს და გატაბაკავს: ბრე (ზემო კანი) გადავა ცალკე და მარცვალი დარჩება ტაბაკში. ამ ხნიდგან ამ მარცვალს უკვე ეწო-დება ბრინჯი და არა ჩაღთუქი. დასათესად, რაღა თქმა უნდა, ბრინ-ჯი სრულიად გამოუსადეგარია.

საჩაღთუქე და საჰურე ადგილები, საზოგადოდ, ჭენდებად (მი-სადეურებად) დაყოფილია და ისე, რომ სათესიც დაითესოს და ში-ნაურ საქონელს საძოვარი ადგილებიც დაშთეს. ხშირად რომელიმე ჭენდი ორ-სამ წელიწადს ზედი-ზედ ითესება ჩაღთუქით და მერე მას ხვნიენ საჰურედ.

რადგან აქ სარწყავი წულები ნაკლებადაა, ამიტომ ჩაღთუქის ჭენდში წყალს ეგება მონაწილენი თანაბრად უნაკადულებენ და რომ არაფინ არ მოიპაროს, არხის თავზე აყენებენ მერუვეს, რომელსაც ნა-თესების თვალ-ურის ჭერაც დავალებული აქვს ხოლმე.

ერთ-ერთის დახმარება აქ სანაქებო იციან. მკა, ჭიგოს და ფი-ჩხის მოჭრა-მოტანა, ჭიგოს გაჩხუტვა (გაწკვეტა), ვენახის გასხლავა, აგება (შესარვა), სახლის დადგმა და სხ. ნადით ემარჯვებათ: ხელი ხელს ბანს და ხელი მობრუნდება, ჰირს ბანსო. უოველს სოფელში

არის ამა თუ იმ ხელთების რატაცი კაცი და რომ მიიწვიონ სახს-
რატოდ, არ შეიძლება, არ წავიდეს და არ უხელმძღვანელოს. სამ-
კლის ნადში ხშირად ჭოხუნსაც დაგუგუნებენ ხოლმე.

აქვე უნდა ითქვას, თუ რა ვნება და სარკებლობა მთაქვს ადა-
მიანისთვის ჩაღთუქის თესვას.

ჩაღთუქის ნათესებში წყალი გუბდება დიდხანს, ისიც ზაფხულის
სიცხე-ზაზანაქებაში, და ამიტომ ეს წყალი შმორდება და უშვებს სი-
მრთაელისთვის მავნებელ ხაშმს, რომელიც აავადებს ახლო-მახლო სო-
ფლელებს. ამ მხრით ჩაღთუქის თესვა მავნებელია და საზარალო.
მაგრამ, მეორეს მხრით, ჭაობიან-ხაშმიანი ადგილი რომ ითესება
ჩაღთუქით და ირწყვება მდინარე წყლით, იგი დროს განმავლობაში
ჭკარავს ხაშმიანობას და სახორბლე ნათუძრადაც გამოიქნება ხოლმე.

თ რ ი მ ლ ი

ზარკზედ არა ნაკლებ კარგ შემოსავალს იძლევა თრიმლი (ფუ-
შელი იმერულად, რუს. раи-дерево, ლათ. *Rhus Cotinus*). ეს მცე-
ნარე ჩაის ხესავით დაბალი იზრდება. იმის ფოთლებს სადებავად და
ტყავის მისაქნელად ხმარობენ. აქ უფრო ფასიანია ათადრის (ათადა-
რი დიდი ტყვა ქურმუნის რიუეზედ კაკის ბოლოს) თრიმლი. ათადა-
რი სათემია. თავის ნებაზე ვერვინ შევა შიგ და ერთ წკირსაც ვერ
მისჭრის. მარიამობისთვის დამდეგ სოფლის საზოგადოების გადა-
წვეტილებით შეკრული ათადარი გაიხსნება და უველანი მიესევიან და-
ცულ ათადარს. სჭრიან უწყალოდ თრიმლს, საცა ბუჩქად ამოსულა,
იმას კიდევ ჭკაჭკვენ (სჭრიან ხამგლით), იქვე კალო-კალოდ აკრთ-
ვებენ, ახმობენ, ჭბეკვენ და ტომრებით მთაქვთ და ბაზარში ჭყიდიან.
ფუთი თრიმლი იუიდება 1—1½ მან. ერთი კაცი დღეში 4—5
ფუთს მოჭრის ხოლმე. ამ საქმის დასაწყის-დასასრულამდე (სულ
6—7 დღე) თვითუფლი კაცი 30—40 მანათის თრიმლს მოჭრის.
ვაჭრები იუიდიან-რა თრიმლს, მერე აქურსავე წყლის დინკებში
(ბრინჯის სანაუ წყლის წისქვილებში) ნაუვენ, მტვერად აქცევენ და
მერე ჭყიდიან დაბლებზე, რომელნიც მას ხმარობენ ტყავების გამო-
საქნელად.

ხ ო ხ ო ბ ი

ხოხობი საინგილოში ბევრია, ამ 20—30 წლ. წინად უფრო მეტი იყო. მას უუვარს თბილი და ჩაღიანი ადგილები. საინგილოში მისი სამეოფო არის ალაზნის ჰირები, უარსავე საზოგადოდ. საფხულობით და შემოდგომის ჰირას იგი ცხოვრობს გუნდ-გუნდად, 10—20 ერთად. სამთრობით საჭმლის გამომღევის გამო იქსაქსება, გამოზაფხულს დედალ-მამალი ისევ ერთმანეთს ჰოულობენ. საფხულს მთის ძირობისკენაც მიდის, მაგრამ სამკალი რომ მოიპკება, ისევ უბრუნდება ალაზნის და უარსავეს ჭალებს, სხვა სამთარი გაჭყავ ჩალებსა, ბარდებსა და დიჭნარში. სამთრობით იგი იკვებება კუნელის, დიჭის, აკაკის და მისთანათა კურკანტელით, საფხულობით კი უხვს საზრდოს ჰოებს უანებში, სხვა ამსთანავე იბუდებს მისი დედალი.

ხოხბის ბუდე ფრად მარტივია. სადმე უანში ან ჩალებში, მაგრამ უეჭველად მშრალ და მზის-გულა, მისის ფიქრით, მტრის მიუდგომელ ადგილში, გაქეჭავს მიწას, მობუდავს და დასდებს 10—15 კვერცხს, რომელიც ქათმისაზე მოჩილი არ არის. დებას იწეებს აზრლის გასულს და ასრულებს მისის გასულს და მერე კრუნდება. აზის კვერცხებს თითქმის განუწევეტლივ. 21-ს დღეში იჩეკებან ხოხბის წიწილები. კი კრუნობისა გამო არც ერთი კვერცხი არ ლაუდება, ასრეთი უბედურება ეწევა მხოლოდ მაშინ, თუ მეტის-მეტი აზდრინლობა, თუ ხშირ-ხშირად გამოათრთხო კრუნი რაიმე შიშმა, ან თუ წყალი შეუდგა ბუდეს და კვერცხები დასველა. გამოჩეკილ ჰაწიებს დედა იდებს ფრთებ ქვეშ, შუშავს, აღონიერებს, მერე გამოშლის და ჰურისა და ქერის მარცვლებით ასაენკებს. ჰირველ ხანს წიწილებს ასხია მოუვითანო გინგლი, რომელიც თანდათან მიხაკისფერდება და ხოხბისფრად ხდება. რა წამს ცოტა მოფერვაზდება, დედანს მიჭყავს იგინი საენკად. სასმელად დილის ცივი ცვარც ჰეოთნით ხოლმე. გამოშლის დროს დიდს სიფრთხილეს იჩენენ. ფრთებს იკრეფენ, კისრებს აუეფეფავენ და დედის უკან მიხტის ცქვიტად. ოდნავი ხმაურობა, ჩქამი და შრიალი მათ ელეთ-მელეთს გვრის: თუ ხიფათი ახლოა, დედა დაიკრინავს და ეცემა ბარდებს, შვილები იჭევა გადაცვივიან და ისე გაინაბებიან და მიიმალებიან, თითქო აქ არაფერი

ყოფილათ, თითქო ხობის მთელ ბუდეშ კრუნ-წიწილიანად აქეთ არ შვლიანო. ხობობი სწრაფი ფრინველია. მის გინგლიან ბარტყესაც ვერ დაიჭერ, ისე მარდად გარბის ეს ჯერ ისევე სვლიკი ქმნილება. ხობობი მეტად ქსუა.

კრუხი არ სტოვებს შვილებს ვიდრე ივინი კარგად არ მოიზრდებიან, ვარიად არ იქცევიან და ვიდრე მის ბუდეს არ მიაგებენ მომკლები. მერე კი მათთან ერთად გადაფრინავს ადგილიდამ ადგილას უხვ საზრდოს საშოვნელად. ხობობი ძალიან მადლა არ მიფრინავს, დედამიწასთან მოკლე მანძილს იჭერს, რომ რაიმე ფათურაკის დროს სწრაფად დაეშვას და ბარდანში ჩავარდეს. იგი მეტად მსუბუქია. მტერი რომ მოულოდნელად თავს წაადგება და დამალვა აღარ შეიძლება, უცბად ტყუიასვით ავარდება მადლა და მერე ტყუიასვითვე მიტრიალდება რომელიმე მხარეს, გაჭკრავს და დგენავს თავს ტყე-ბარდანში. იგი მეტად მშობიარე და მიუკარებელია. „ხობობს, რამდენიც უნდა ჭკვებო, მანც ვერ გააშინაურებო“, ამბობენ აქ. მართლაც, აქ ჯერ არ ყოფილა მაგალითი, რომ ხობობის კვერცხიდან გამოჩევილი წიწილა ვისმე გაუზღვიანებინოს ქათმის კრუხისთვის: ცოტა წამოიზრდება და გადაიკარება. ასეთი ვეფური ალღო აქვს ხობობს დაბადებითვე.

მამალი ხობობი თავის დედლებთან ერთ ყოფიანად ხოლმე: დგვრიანავს, უივის თავისებურად: უიფინწ! უიფინწ!

ხობობზე ნადირობენ დღისი. დაკეშილი ძაღლი გამოათხვენს და მონადირე ჭკლავს ჭკრეშივე თოფით. ან და ხაყანარში გააკეთებენ კალს, ზედ გაჭმიან ძნას და როდესაც დაესევა ხობობა, იქვე დამალული მონადირეები მიუგებენ საფანტს და ერთბაშად 10—15 გაყინტრავენ. ბევრი დაჭრილ-დაკოდილი კი იმალება და იხტება სადმე ჩალებში. იჭერენ ცოცხლივაც: სადმე სახობობ ბილიკებზე სთხრიან რომოებს, ჰირებზე უკეთებენ ფიცრის ხაფანკებს. დაადგამს რა ხობობი ფეხს ამ ხაფანკს, რომში ჩავარდება და ხაფანკის კარები ისევე ამოიხურება. ამისთანა უწყალო წუგეტა-ფეტამ ღამის მთლად ჩვენშიაც ამოგდოს ეს ფრინველი. ბერძენ-რომაელთა მწერლების სიტყვით, თვით კოლხიდან დაერქვაო ფაზიანი ხობობის სიმრავლის გამო, მაგრამ რომაელებმა მალე მთლად ამოხატეს ეს ფრინველიო. ვახუშტის სიტყვით ხობობი მთელს საქართველოში იცის, მაგრამ ვეკლ-

ზე მეტი კი კახეთსა, სანგილასა და ბორჩალოში. იმერეთსა და ქართლში ძალიან ცოტაა ხოხობი. საჭირო კია ჩვენმა ხალხმა მის გამრავლებას ხელი შეუწყო, რადგან კაი ფასად იუიდება უველგან. ხორციც ხომ ფრად გემრიელი აქვს: ვის არ გაუგონია „ჩახოხობილი“!

სილამაზე ხოხობისა, მეტადრე მამლისა, ხომ ჩვენში შეენიერების ნასახად გამხდარა: „სილამაზისათვის ხოხობი თავსა წამოისვიანო, მოკვებას ოქროს ხოხობი და მოკვიხარინო“.

ფ უ ტ კ ა რ ი

ფუტკარი გარეულადც ბევრი იცის და თაფლს აკეთებს ტყის მუდრო ადგილას გამოფულურულს ხეში. ვინც მიაგებს ამისთანა საფუტკრე ხეს, დაუცდის: ფუტკარი რომ შელაგდება, ფულურის ხვრელს გასჭედავს, მერე ხეს მოსჭრის, თავსაც გადაუკვეთს, ტოტებსაც წააჭრის და შინ წაიღებს და დერეფანში, ან სადმე ღობის ძირას დასდებს, თავ-ბოლოს ამოუღებს ქვეს, რომ მიწას არ მიეხლოს და არ დაღუპეს მალე. მერე, ჩვეულებრივ ღამე—საცობს გამოადროს და ფუტკარი იწეებს მუშაობას და გაშინაურდება.

ნაბარტე ფუტკრისთვის აკეთებენ გეჭებს, ერთს სდებენ გულანდ (გულ-ადმა = ვირადმა) და მეორეს ზედ ასარქლებენ და შუაში-კი ფუტკრის საველელ კარს უხვრეტენ. ეს გეჭები (სკები) ზამთარშიაც გარეთ რჩება.

რომ უწინ თაფლი უფრო მეტი უოფილა, სჩანს იქიდგან, რომ ზოგიერთ ღელეებს ჰქვიათ თაფლის-ღელე და აგრეთვე არის თქმულება, რომ სპარსეთის ერთი ეგენი, რომელიც აქ შემოვიდა, ისტუმრად ჯანაშვილების წინაპარმა და მას და მის დიდძალ ლაშქარს თითო ჯამი თაფლი და ორთლი შოთი მიართო, და ამისთანა სტუმრობით იხსნაო თავისი მამული დარბევა-აოხრებისაგან (იხ. ზემო გვ. 75).

თაფლით განთქმულია სოფლები უშმი, ჭარი, ბელაქანი და სხ. აქაური თაფლი ტფილისის ბაზარზე ცნობილია „ჭარულ“ თაფლად.

აბრეშუმის მოყვანა-მრეწველობა.

აბრეშუმის მოყვანა წინად აქ და საქართველოს სხვა კუთხეებში. პარკის ტიის არ მოყვანის მიზეზთაგანი. ტიის მომვლელი. თესლი. მურის გამოსვლა და მისი ჰასაკები. ტოლები. კუტი. პეპლა. ფასები. ძველი და ახალი ჯიშის თესლი. ნუგანი. მანჯანიკი და მემანჯანიკე. აბრეშუმი. ყაჭი. ძაფი. განაწილება ოჯახის წულთა შორის.

წინად მთელს საქართველოში სტოდნით ტიის უოლა და ამ კუთხეებში მწერისაგან გაკეთებულ უაჭ-ძაფის და აბრეშუმის მოხმარება. ტიის ავადმყოფობის და სხვა და სხვა მიზეზების გამო საქართველოს ზოგიერთ კუთხეებში თანდათან გადავიწყენათ ამ მწერის გაჩენა. ერთი ამ მიზეზთაგანი აღუნიშნავს ვახუშტის. იგი სწერს: ქართველები „ჭყოფენ აბრეშუმს, არამედ ქუხილის გამო ვერა მრავალს: რამეთუ სასტიკად მჭეხარებს და მის გამო მოსწყდების ტიანი“ (გეოგრ., გვ. 32). ეს ცრუ-მორწმუნეობა დღესაც არ გადაადნია: საქართველოს ზოგიერთ სოფლებში ტიის არ აჩენენ, ღმერთი ვენახებს დაგვისტეუვავსო. დღეს მარტო აჭა-იქ კახეთსა, სამეგრელო-გურია-აჭარასა და სანგილოში დაშთენილა გულ-მოდიგნე და ბეჭითი მრეწველობა აბრეშუმისა. მართალია, გარდა ამ ადგილებისა, კიდევ შიგა-და-შიგ საქართველოს ზოგიერთ სოფლებში მისდევენ ამ ხელობას (აბრეშუმის), მაგრამ მისდევენ არა იმიტომ, რომ კარგის თვისებისა და ბლამა გააჩინონ უაჭ-პარკი, რომ საშინაო სახმარადც ეუთ და გასასყიდათაც, არამედ იმიტომ, რომ საშინაოდ სახმარი ძაფი მანც ჭჭონდეთ... შესაკერ-დასაკერავად.

მთელს საქართველოში ამ 30—40 წლის წინად იუო გავრცელებული უწინდელ დროიდგან შემოდებული პარკი. ნახვენებ წლებს აქედ კი სამეგრელოსა და სანგილოში შემოვიდა ახადის ჯიშის თესლი.

1848 წ. სამეგრელოს მთავარმა დაუთმა გამოიწერა პიემონტიდამ (იტალიაში) ახადი, მთელს ევროპაში განთქმულის ტიის თე-

სლი. ამასთანავე მოიწვია შესანიშნავი მცოდნე ჭიის ხელობისა— გრაფი როზმარდიუკი და მისცა მას სახსარი ამ თესლის გასაფრცხვლებლად მთელს სამთავროში. ზ. როზმარდიუკი გულმოდგინედ შეუდგა ამ საქმეს. მალე ახალმა ჯურის ჭიამ სრულიად განდევნა ძველი ჯიშის ჭია. სამეგრელოში დაიმართა მრავალი ქარხნები აბრეშუმის ამოსახვევად. ამ ქარხნებში მუშაობა დაიწყო თვით მეგრულ ქალებმა, რომელთაც მაგალითი უჩვენეს როზმარდიუკისაგან საფრანგეთიდან მოყვანილ ქალებმა—მარიამ და სიუხეტმა. ეს ქალები ძრიელ დახელოვნებულნი იყვნენ აბრეშუმის ხვევაში და მეგრულ ქალებსაც მათ ასწავლეს ეს საქებური საქმე. ზიემონტურის ჯიშის თესლიდამ ისეთი კარგი თვისების ჰარკი გამოდის, რომ ერთი-ორად სჯობია ძველებურ ჯიშისას და ამიტომაც კარგ ფასად იყიდება. წინად სტამბოლის ბაზარში მეგრულის აბრეშუმის ფუთი 30—40 მანათ ზევით არ იყიდებოდა, ეხლა კი, ზიემონტური თესლის შემთავების შემდეგ, ფუთი 90—100 მან. გადის.

ზედ-მიწევნით არავინ იცის, რა შემოსავალი ჰქონდა სამეგრელოს წინად აბრეშუმიდამ. ხოლო ზიემონტურ ჰარკის გაჩენიდამ კი აბრეშუმეულის მრეწველობამ იმატა და ზოგიერთ წლებში მთელს სამეგრელოში 600,000 მან. აბრეშუმი გამოდიოდა, ხან მეტისაც. ბოლოს ჟამს ამ ჭიას ავადმყოფობა გაუჩნდა და ეს სასარგებლო მრეწველობა, ცოტა არ იყოს, შეფერხდა და შეცოტავდა.

საინგილოში აგრეთვე უხსოვარ დროიდან მოკიდებული აქამომდე მისდევენ ამ ხელობას. სულ 40 წელიწადი არ არის, რაც „ქართულის“ ანუ მამა-ჰაზურის ჰარკის მაგიერ შემოიღეს ახალი ჯიშის ჰარკი — იაზონურის თესლისა, რომელიც ადგილობრივ „ჯაზუნად“ იწოდება.

მამა-ჰაზურის ჭიის ჰარკი იყო მსხვილი, თეთრისა და ყვითულის ფერისა, მორგვის მსგავსი, კანი ჰქონდა ნაზი და ფომფლო, უხვად მოდიოდა და ჭიას ავადმყოფობაც იშვიათად ეწვეოდა ხოლმე, მაგრამ მის ჰარკისაგან ამოხვეული აბრეშუმი იაფ ფასად იყიდებოდა და ევროპის ბაზრებზედ სახელი გატეხილი ჰქონდა. ეს იყო მიზეზი, რომ „ჯაზუნმა“ სულ ორ-სამ წელიწადს სრულიად ამოგდო „მამა-ჰაზური“ ჰარკი საინგილოდამ და მისი ადგილი თავთ დაიჭირა.

„ჯაპუნი“ წერილი ჰარკია, მწვანე ფერისა, მეტად მაგარია, რადგან სქელი კანი აქვს. მისი აბრეშუმი გამოდის სუფთა და კარგი. იუიდება ყველგან კაი ფასად. ადგილობრივ ფუთი ჰარკი (ნედლი) 7—20 მანათამდეა, ხმელი კი 30—70 მანათამდე იუიდება. სიძვირე და სიიაფე დამოკიდებულია სხვა და სხვა გარემოებაზედ. ხანდახან ევროპიელი ფუფიანნი მოფაჭრენი არ მოდიან და ამის გამო ადგილობრივი ფაჭრები ჩალის ფასად უიდულობენ ხალხის ნაჭირნახულებებს: ჰარკს ახმობენ ორთქლის საშრობში და ისრე ინახვენ იმ ჟამამდე, მინამ ჰარკის მუშტარი არ გაჩნდება, შემდეგ თვითონ ერთი-ორად-სამად მეტად ასაღებენ.

ამ ქვეყანაში, საცა დაბა და სოფლებში ბაზრებია, ფაჭრები ჰარკის შემოსვლის დროს ჰკვერენ ჰირობას ერთმანეთში, რომ ყველამ მათგანმა ყველგან ხალხში ილაჰარაკოს ჰარკის უმაზანდობაზე, უფასობაზე, ავრცელოს ხალხში ცუდი ხმები ჰარკის ნიხრზე და ამგვარ, გლეხისათვის გულსაწყვე ამბებს, შეაჩვიონ „ხალხის ყური“ იმ დრომდე, მინამ ჰარკი შემოვა და მერე „ჰარკის ჩამოვარდნის“ (ფასის გატეხა—შემცირება) შიშით ზარ-დაცემულ ხალხისაკან, თითქმის, მუქთად ჰხვეტონ ჰარკი. ამგვარ ხრიკებით წურბელები ჰარკს ინადლებენ ფუთს (ნედლს) 7—9 მანათად. როგორც ვხედავთ, ერთი ფუთი ჰარკი ერთი წყვილი საშუალო ღირებების ლაფჩინის ფასად ძლივს ღირებულა!.

ხალხს თვითონ სახსარი არა აქვს გაახმოს ჰარკი და შეინახოს. ამას გარდა ფუფი ეჭირვება. ოდონდ ერთი-ორი თუმანი აიღოს ფაღისა და ვახშის მოსაშორებლად, თორემ იგი იმას კი არ დაგიდევს, რომ შეინახოს ჰარკი და ჰირიან მუშტარის მოსვლას შეჰყუროს.

ეს უფუფობა, უილაჯობაც რომ არ იყოს, მაინც გლეხი ევრ შეინახავს ჰარკს: შეიძლება შენახული ჰარკი ან სინესტემ გააფუჭოს, ან თაგვმა დასჭრა-დახვრიტოს, ან ქურდმა მოიპაროს. ჰარკს ფაქიზად შენახვა და სათუთად მოვლა ეჭირვება და რომელ გლეხს აქვს იმდენი დრო და ისეთი მოწყობილება, რომ ყველა ამას გაუძღვეს. ამ მიზეზთა გამო, გლეხი არჩევს დაბალ ფასად გაჰყიდოს და ერთი ორი გროში ამ თავითვე აიღოს, მინამ შეინახოს, უცადოს ჰირიან მუშტარს,—რომელიც ხშირად წლით-წლობამდე არ ჩნდება—და ამ

მოდლოდინში აბრეშუმის შემოსავალი სათუო, სახიფათო საგნად გახადოს...

ჯაზუნს ხალხი იმიტომ უფრო დახარბდა და იმიტომ უფრო გამოემშვიდობა მამა-პაპურს პარკსა, რომ იგი (ჯაზუნი) პირველ წლებში ორს შემოსავალს იძლეოდა: ერთს - აზრილ-მანისში და მეორეს - ივლის-აკვისტოში. მაგრამ ამ გარემოებამ კინაღამ მთელი საფურცლე ბაღები არ გადაახმო.

აჭური ბაღი არის უთუთო ფურცლის ბაღი. ამ ბაღში ფურცლის ხეები ჯარის-კაცებივით რიგ-რიგად ჩამომწკრივებულა. უოველი ხე ორ ადღზე მაღალი არ არის, უოველ ხეს გაზაფხულის პირზე თავზე გამოებმის 10—15 ქითილა და ხრალი (წვრილი და მომსხვილო ტოტები). აზრილ-მანისის ჭიისთვის ამ ქითილებს და ხრალს გადაჭკაფვენ და ბაღს სრულიად გაშიშვლდება. ივნისში ბაღს ხელ-ახლა შემოსება ნახისა და ნორჩის ქითილებით. ივლის-აკვისტოს ჭიისთვის ამ ტოტებს რომ მოჭკაფვენ, ბაღს შემოდგომის სუსხებისა გამო ვეღარ ასწრობს ტოტების გამოშვებას და იარე გამოთვლებული ხე სშირად იუნიება ზამთარში და ხმება. ეს მოვლენა დროიანად შეამჩნიეს აჭურებმა და მალე მოსპეს მეორედ გაჩენა ჭიისა ივლის-აკვისტოში.

გარდა ამისა, ჯაზუნს თუმცა კარგი გასავალი აქვს ეველგან, მაგრამ, სამაგიეროდ, იგი ძრეულ ნაზია და ავადმყოფობის ადვილად მიმდები. ზოგიერთ წლებში ისრე წუდება ეს ჭია, რომ მთელი შემოსავალი სათესლედ ძლივს ჰკმარობს. საზოგადოდ რომ ვსთქვათ, ჯაზუნისთვის ჩვენ ხალხს ხელი ჯერ ვერ შეუწევია. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ აქნობამდე მრავალი ინგილო თუმცა ბევრ ჭიას აჩენს, მაგრამ შემოსავალი საიმისო არ გამოდის. პარკის გაკეთებამდის ჭია ეხტება. ეს გარემოება ჭიის ავადმყოფობით კი არ აიხსნება, არამედ ხელ-შეუწყოლობის გამო, რადგან იმავე წელიწადს იმისვე მეზობელს და მრავალს სხვებს ჭია არ ეხტებათ და კარგი პარკი მოსდით.

ამატომაც ჯაზუნის ავადმყოფობიანობისა, მისი ხელობის უცოდინარობისა და რთულის მოვლისა გამო, ბევრნი ინტერინს იხევი მამა-პაპურ ჯიშის ჭიას, რომლის გადავარდნის შემდეგ შიგადა-

შიგ ხალხში შემცირდა უკ-ზარკი და აბრეშუმეული. მრავალნი დაქუბენ ისევ ძველ თესლს და ვერ მოუზოვნიათ, თუმცა ამგვარი თესლი ისევ არსებობს აქ-იქ ქართლ-კახეთში და, შეიძლება, იმერეთშიაც იყოს.

აბრეშუმის ჭიის მოვლა, ძიძობა და, თუ გნებავთ, ლალაობაც საინგილოში დედაკაცების ხელობაა, მათი აუცილებელი მოვალეობა. მთელს საქართველოშიაც, იმ თავით ამ თავამდე, საცა კი დაშთენილა ეს კეთილ-შობილური ნუგნობა (ჭიის მოუვანა), იგი უველგან დედათა სქესის ხელობათ უოფილა და არის კიდევაც. მრავალ გვარნი საქმენი გარეშე სახლის ანუ საოჯახო ბინისა: ხვნა-თესვა, საქონლის მწეესვა, ნადირობა, მტრის მოსაგერებლად ლაშქრად გასვლა და სხ. და სხ. მამაკაცს ნუბას არ აძლედა შინ დარჩენილიყო დიდხანს და შინაური, საოჯახო საქმისათვის ბუჯითად მოველო, ჰირ-იქით, დედანი, შინ დაშთენილნი, ზნეობითად მოვალენი იუვნენ გასძლოლოდნენ უოველგვარ სშინაო საოჯახო საქმეებს: უმწევილებისათვის უნდა მოველოთ, თავდაპირველი სწავლა ჩაეკონებინათ, ლოცვები და ხანდახან წიგნიც ესწავლებინათ, საჭმელ-სასმელსა და ჩასაცმელ-დასახურისათვის ეზრუნათ და მეტრეე სხვა საქმე გაეკეთებინათ. მამასადადე, აბრეშუმის ჭიის მეურნეობაც, რომელიც აძლედა ხალხს დიდს შეღავათს ცხოვრებისას, უნდა უოფილიყო დედათა ზრუნვის და მოღვაწეობის საგანი. ასრეც იყო და არის ეხლაც საინგილოში.

მართალია, ახალმა ცხოვრებამ მამაკაცები განთავისუფლა ერთ დიდ გარეშე საქმისაგან—ლაშქრობისაგან და მისცა შეძლება, რომ დრო, რომელსაც ჰკარგავდნენ ბრძოლათა სარბიელზე, მოეხმარათ თავიანთ სახლ-კარ-ოჯახის მოსაფლელად, მაგრამ, რადგან შინაურის საქმეების ხელი არ იცოდნენ, ეს თავისუფალი დრო ჯერ-ჯერობით სასურველად ვერ მოეხმარებიათ; შინაური საოჯახო საქმე ისევ დედაკაცებს აწევს და მათ მოვალეობად ითვლება.

რიგიანი შესწავლა ჭიის მოვლის ხელობისა შესამჩნევად აღამაღლებდა ჩვენის ქვეყნის მეურნეობას და ერსაც დიდად გაუადვილებდა ცხოვრებას. ამიტომ აქ ავწერთ, თუ ინგილოები როგორ უფლიან ჭიას და როგორ მოჰყავთ აბრეშუმში.

გადის გაზაფხული, ბუნება იმოსება ათას ფერად, ჰუარი თება.

ინგილოს დედაკაცი შეუდგნენ ჭიისთვის ზრუნვას. აწრილიდგანვე დაიწიეს სინჯვა თესლისა, რომლის ერთი მარცვალე ღამის მარცვალზე უფრო ჰატარა. ზამთარში ანუ ცივს ჰქაერში ჭიის კვერცხებს უფრო ცის ფერი აქვს, თბილში კი ლურჯდება და ეს ნიშნავს, რომ ჭიის გამოსვლის დრო დადგა. ამიტომაც დედაკაცი ხშირად სინჯავენ თესლს, რომ უცბად არ გამოვიდეს მური და საზრდოს მიუცემლობისა გამო არ დაიხცოს.

ზამთარში თესლს ინახვენ გრილს ადგილს, სხვენში, ან დერეფანში, რადგან დიდი სითბოც და დიდი ყინვაც მავნებელია მისთვის. თუ თბილა, ჭია გამოვა და თუ ცივა—გაიყინება და შიგვე თესლში მოკვდება. ხეილი კვირტსა და კუკურს რომ გამოიტანს, მაშინ თესლს შეიტანენ სახლებში, დასდებენ ხის ზონხებზე და სახლის ერთ კუთხეში აბოლებენ ნელ ცეცხლს და კარებსაც გამოჭკეტებენ, ხვრელებსა და სახლის ჭუჭრუტანებს კასკედვენ, რომ ცივი ქარი არ შევიდეს. თესლის შეტანის დღიდან, სახლში ცხოვრება აღარ შეიძლება, არც ბუერი ფეხი უნდა ირეოდეს შიგ, ემაწვილებსაც ხომ სულ არ შეესვლებათ. შედის ხოლმე მარტო უფროსი დედაკაცი, რომელიც ვეკაზედ მეტად დახელოვნებულია ჭიის მოვლაში და ზედმიწევნით იცის ჭიის ცხოვრება. იგი დედაბერი ხელს უწყობს ცეცხლსა, რომ მეტი ან ნაკლები არ მოუვიდეს*). ამას გარდა უოველ ცის ამარა დღეს, მზე რომ აღმოსავლეთიდან ამოაშუქებს (თუ მზიანი დღეა), დედაბერი თესლს გამოიტანს გარეთ მზისთვის „პირ საჩვენებლად“; თავის კალთაში გაშლის თესლსა, თითოთ აურევს სამჯერ, დაუწრუწუნებს (ვითომ, გაიღვიძეთო) და ინატრებს კარგ მოსვალს; შემდეგ ისევ სახლში შეიტანს...

ორ-სამ დღეზე მარცვლების ერთი მხარე ანუ კვერდი გაუმრავლდება. ეს ჭინიშნავს, რომ მეორე დღემდე ჭია გახვრეტავს თესლის კანს და გამოვა იმ გაუმრავლებულ ადგილიდან. ასრეც ხდება. მეორე დღეს დედაბერი ძლივ-ძლივობით თესლის ადგილას ამჩნევს

*) დიდს შემწეობას მისცემდა მათ ამ შემთხვევაში თერმომეტრი, მაგრამ რადგანაც ამისი ცოდნა არა აქვთ, ჰავას ვარაუდით, გამოცდილებით ტყობულობენ და, რასაკვირველია, ხშირად სცდებიან და ზარალობენ.

ფრიად ჰაწია შავ ცხოველებს, ესენი არიან ნემსის წვეკრის ოდენი, „ბუსუსიანი“ (ბანჯგვლიანი) მატლები, სუსტნი და უჯანო მურები, რომელნიც დაბადების დღეს უღონობისა და უძლეურობის გამო ვერასა სჭამენ. მეორე დღეს კი დედაბერი ბაღში მოჰკრეფავს კეკურს, ნორჩ ფოთლებს, მოიტანს, საბაღზე საკუწავით (წაღდი) დაჰკუწავს და ამ დარბილებულ-დაწვრილებულ საჭმელს ჭიას ფრთხილად მოაყრის. ამ დღიდან იწყობა ჭამა და ზრდა ჭიისა. დაბადების დღიდან ჰარკის შექმნადის უნდება 30—35 დღე. და ამ დროს განმავლობაში მეჭიეს უნდა ჰქონდეს დიდი გამოცდილება, ხელოვნება, რომ ჭია არ დაზარალდოს ან უზომოდ მიცემულ საჭმლით, ან ჰუვის მეტნაკლებობით, ან და სხვა რამ მიზეზებით.

მოკლე სიცოცხლე ჭიის იყოფება ხუთ ხანად: ა) 1—7 დღე. ამ დროს ჭია შავის ფერისაა, ნაზი და სუსტი. საჭმელად ეძლევა კეკურის დაკეპილი ნორჩი ფოთლები. ხუთის ან ექვსის დღის თავზე ჭია ძილს მიეცემა, ესე იგი ცოტა წამოიწევს თავს და აღარასა სჭამს. ამ მდგომარეობაშია იგი ერთი ან ორი დღე, ბ) 7—14 დღეს ფერი მოყომრალე უხდება. სჭამს მსხვილად დაკეპილს ფოთლებს. იძინებს; გ) 14—21 დღის განმავლობაში ფერი გაუთეთრდება. სჭამს ქითილებს, ესე იგი ჭიას დაუდებენ საჭმელად ფოთლებისან ნორჩს ტოტებს ბაღისას. იძინებს; დ) 21—28 ჭია ნათელ-ფერს იღებს. აძლევენ საჭმელად ხრალებს, ფოთლიან ტოტებს. იძინებს; ე) 28—35 ჭიის კანი თხელდება, მჭვირვალ-ნარნარი, მოყვითალო ხდება; სჭამს ხრალებს, ბოლოს ჭამს თავს ანებებს და „ჰქმნის“ ჰარკს.

პირველ ძილს რომ მორჩება ჭია, ინგილოები იტყვიან „ჭია ერთისთუნ (ერთისთვინ) ამოვიდაო“; მეორეს— ორისთუნ (ორისთვინ), სამისთუნ, ოთხისთუნ, ხუთქისთუნ.

ხანებად დაუოფვა ჭიის მოკლე საუკუნისა ინგილოებისაგან მოგონილი არ არის. თვით მეცნიერებაში აღიარებულია ეს ხუთი ხანა, იმ განსხვავებით, რომ პირველ ხანასთვის დადებულია 5 დღე, მეორესთვის 4, მესამე და მეოთხესთვის ექვს-ექვსი და მეხუთესთვის 9 დღე.

ფერის ცვალებას მეცნიერება ასრე ჰქსნის: ჭიას დაბადებიდან ჰარკის შექმნადის ტანზედ აქვს ხაირნაირი კანი: შავი ეცვლება უომ-

რალად, უომრალი თეთრად, თეთრი ნათელად, ნათელი მჭვირვალად. ხუთ გზის ძილი აგრეთვე აღიარებულა მეცნიერებისაგან.

მაგრამ ჩვენ ისევ იმას დაუგებრუნებთ, თუ როგორ უვლიან ინგილონი ჭიას. საქმის უკეთ გასაცნობად შევიდეთ ჭიის სახლში, რომელშიც საზოგადოდ დიდი სისუფთავე და სიფაქიზეა. რაც-კი რამ ავეჭოულობა, ჭურჭელი, ღოგინი და სხ. იყო სახლში, ეხლა სრულად გამოტანილია გარეთ ან და, თუ შეჭიეს მეთრე სახლიცა აქვს, ეგვლათური იქ არის გადატანილი.

ზირველ ორ ხანას სახლში ვნახავთ ჭერზე ჩამოკიდებულ ლასტებს და ჩაფრებს, რომლებზედაც გადაშლილია საფენი და ზედ ჭიის მატლები დაცოცავენ, სჭამენ, ან ისვენებენ გამაძლარნი, — შემდეგს სამ ხანაში ვნახავთ, რომ ჩაფარ-ლასტები აღარ არის სახლში, მათ მაგიერ ჩარიგებულან „ტოლები“, ესე იგი სახლის მიწის იატაკზე*) ჩამწკრივებულია ჭიის კვლები — ტოლ-ტოლად. ტოლების შუა ზატარა ბილიკია დაშთენილი სავალ გზად, რომელიც საჭიროა ჭიის დასახედავად და მისთვის ხრალების დასაყრელად. დღეში სამჯერ ხრალების დაურისა გამო ტოლები ამალვებულია და ჭიანი მასზე თეთრად ანათებენ. აი დაუწვეს ჭიებს ფოთლიანი ხრალები. ჭიანი აცოცდნენ ფოთლებზე და ხარბად დაუწვეს ჭამა. მთელს სახლში კაისმა შრიალი და ზღვა ჭიათა შეუდგა თავის საქმეს: ჰკვრეცენ ფოთლებს გაფაციცებითა და განჭარებით, თითქო ერთმანეთს ეჯიბრებიან — აბა ვინ უფრო ბევრს შესჭამსო.

ამნაირად ხუთ კვირაზედ ზაწია მატლი ხდება სისქე-სიგძით თითქმის კაცის ნეკის ოდენი და ხან უფრო გრძელიცა. ახლა იწვებს იგი ზარკის შექმნას, მაგრამ, რომ შიგ „ნაზირში“ (ნაზირი = ნაძირადი, ე. ი. უფოთლოდ დაშთენილი ბაღჩის ტოტები — ხრალები) არ შექმნას ზარკი, ტოლებს სცახვენ, ზედ ტოლებზე ცახებს ჩაურჭობენ კარგების მსგავსად. ჭიები აღიან ცახზე, ამენ ქსელს (ბუდეს) და შიგ ამ ბუდეში აკეთებენ ზარკებს. ქსელი ჭიას გამოსდის ზატარა ხორთუმიდამ. ქსლის ქსელზე მისაკრავად ზირიდგან ჭიას გამოსდის წყ-

*) სახლეში საინგილოში მიწის პირად არის აშენებული და, რასაკვირველია, იატაკიც ბუნებრივია — დალოცვილის შავის მიწისა.

ბოს მსგავსი წვენი. სამ დღეზედ ზარკი მზადა აქვს. უფრო ადრე დაამზადებდა, რომ წებოს გაშრობა არ იყოს საჭირო. ამიტომ ეს საკვირველი მწერი ზარკის დასრულებამდის სამჯერ ანუ ოთხჯერ ისვენებს. ზარკს ჭქმნის შიგნიდგან, ასე რომ მუშაობას დასრულებს და თვითონაც შიგ ზარკში მოჭყვება და კუტად იქცევა.

კუტი ერთ კვირაზედ უჭმელ-უსმელია. მერმე ტანიდგან გამოუშვებს ბაღდამს (მხამიან წვენს), რომელიც სწავს და ხვრეტავს ზარკს და კუტი, ზეზელად ქცეული, გამოძვრება თვის მიერვე გაკეთებულ სატუსადოდამ. მას აქვს ფეხები, ორი რქა (სქელი უღვაში) და ფრთები, აქვს თვალ-პირის ნიშნებიც. გამოსვლისავე უმაღლესი დარტყმის დედალსა შესაერთებლად უკანა ტანიდამ. შეერთებულნი რჩებიან ერთ ადგილას მთელი დღე და ხან მეტიც.

განშორების შემდეგ მამალ ზეზელებს გადაჭერიან ხოლმე, დედლები კი უკანა ტანიდგან სდებენ კვერცხებს (2,000—3,000-მდე მარცვალს ეოველი) და დაიხრცებიან. კვერცხები ჯერ ყვითელი ფერისაა, მერმე კი გაცისფერდება. აი ეს კვერცხები არის აბრეშუმის ჭიის თესლი.

ასრე გადახალისდება ხოლმე ეოველი მწერი და, მაშასადამე, აბრეშუმის ჭიაც: მატლი იქცევა ჭიად, ჭია—კუტად (ზარკში), კუტი—პეპელად, ზეზელს დაჭერის 2,000—3,000 მარცვალ თესლს (კვერცხს) და თვითონ მოკვდება.

5,000—6,000 მარცვალი ჭიის თესლი იწონს ერთ მისხალს, მაშასადამე, ეოველი ორი ან სამი ზეზელს იძლევა ერთ მისხალ თესლსა. და 192—288 ზეზელს კი დაჭერის 96 მისხალსა, ანუ ერთ გირფანქს თესლსა. საშუალო რიცხვით, ერთი მისხალი თესლი იძლევა 4,000 ზარკსა. ერთი გირფანქს კი 384,000 ზარკსა. და რადგან სადი, მაგარი ზარკი იწონს $\frac{1}{2}$ მისხალსა, ამიტომ ერთის მისხლის წონის თესლი აძლევს მრეწველს თითქმის 21 გირფანქს ზარკსა და ერთის გირფანქის წონისა კი 2,016 გირფანქსს ანუ 50 ფუტსა. ფუთი ზარკი სულ უკანასკნელი რომ თუმანი ჩავაგდოთ, გამოვა, რომ ერთი გირფანქს თესლი გააკეთებს 500 მანათის სადირალ ზარკს.

სამწუხაროდ, საინგილოში ისრე უხეიროდ არის დაყენებული ამ სასარგებლო მწერის მოვლის საქმე, რომ ხშირად გლეხებს სრული

ერთი გირვანქა თესლი ძლივ-ძლივობით აძლევს 10--12 ფუთს ჰარკსა. ხანდახან კი ბევრით ამაზებდაც ნაკლებს, მაგალითად 2—3 ფუთსა.

წინანდელი, მამა-პაპური თესლი, თურმე, უფრო მადლიანად ასახელებდა ხალხსა, მინამ ახალი თესლი, ჯაპუნი. ეს უფრო აიხსნება იმ გარემოებით, რომ ამ თესლის შემომღებლებმა ხალხს სრულიად არ შეასწავლეს ხელობა და მოვლის წესი და რიგი, საჭირო ამ მწერის გაჩენა-აღზრდისათვის.

ესენი, ვითომ-და კეთილის-მოფუენი, იუვენენ ნუხელი მაჰმადიანები. ამ 3() — 1() წლის წინად მ. ი. უმაღლესობის დიდის შიშის მიხედვით ნიკოლოზის ძის ნება-დართვით ნუნში ვილაც ფრანგებმა მოიტანეს ჯაპუნის თესლი, დაურიგეს ხალხს „სანახევროდ“, ესე იგი, მსურველს თესლი ეძლეოდა უფასოდ, მხოლოდ იმ პირობით, რომ ამ თესლის „შექმნილი“ ჰარკი შუაზედ უნდა გაეუთ თესლის ჰარონსა და მწარმოებელ-მომვლელსა. პირველ წელიწადს ჯაპუნმა ნუნის მაზრაში კარგად დასახეურა ხალხიცა და, რასაკვირველია, ის ფრანგებიც. მეორე წელიწადს რამდენამე შექელმა ეს თესლი გადმოიტანეს ზაქათალის მაზრაშიც და აქ აგრეთვე „სანახევროდ“ დაურიგეს. ესენი ძრეულ აქებდნენ ამ თესლსა და ხალხს არწმუნებდნენ, „ჯაპუნი“ დიდს სარგებლობას მოგცემთ და დღეიდგან შეიქმნება ერთ უმთავრესს წყაროდ ცხოვრებისათ.

ამისთანა იმედებმა და გაზვიადებულმა დაპირებამ საგრძნობელად შეარყია მამა-პაპურის თესლის სარგებლობის აზრი. როგორც ამერიკის აღმოჩენის დროს მთელი ევროპა—თქროს შოვნის იმედით წახალისებული და მდა-გადვილებული, მიაწედა ამ ახალსა და უცნობს ქვეყანას და დაეძება თქროსათი სავსე კალიფორნიას, ისრე მოუვიდათ ინგილოებსაც. ევკლანი მიაწედნენ ჯაპუნის შემომღებლებს: ზოგი მამა-სისხლად ჰუიდულობდა, ზოგი სანახევროდ იღებდა თესლსა. შექელნი ორი-სამი წლის განმავლობაში ამტკიცებდნენ, რომ მხოლოდ მათგან ნაუიდი თესლი არის ნამდვილი „ჯაპუნი“ და მხოლოდ მათ მიერ გამოყვანილ ჰეპელას შეუძლიან კარგი თესლი დაჭაროსნო. უმეტარი ხალხიც უჯერებდა მათ, და ამიტომ, წარმოსადგე-

ნია, თუ რამდენ ზედმეტ ჰარკს გაიტანდნენ ეს წურბილანი ამ ქვე-
ყნიდგან

მაგრამ, მაღლობა ღმერთს, ამ დროიდან აქამომდე სკოლებისა,
თუ ნასწავლ კაცების გამრავლების გამო ჩვენი ხალხი ცოტა არ იყოს
გამოთხიზლდა და ისეთი ამაღლადარი (პოლიტიკოსი) შეიქმნა, რომ
უოველი მანწაწა, კეთილის-მყოფელის ქურქით გამოცხადებული,
ეგრე რიგად ვეღარ ატუეებსთ. მართალია, ესლაც მრავალი გაიძვერა
ჩარჩები დაწინააღმდეგებენ, მაგრამ ისე ვეღარ ატუეებენ ხალხს, როგორც
წინად. თუ დიდმა გაჭირვებამ არ აიძულა, გლეხი ვერ გაიჩქერებს (გა-
იმეტებს) თავის ნაშრომი იაფ-ფასად გაყიდოს.

მაგრამ ამ ჟამად ჩვენ არ გავაგრძელებთ საუბარს ვაჭრობაზედ,
ამას ჩვენ მოვანხმართ სხვა დროს. ესლა ისევე დაგუბრუნდებით ზემო-
აღნიშნულს სასაგნოს—აბრეშუმის მრეწველობას საინგილოში.

— როგო ხართა, დე-კაცო?

— კარგა.

— ნუგან აგილიაჟა?

— ჭოფ, ოგილი.

— ადრ არ არისა, ჟან გოხ*) ხეს ჟერ კუკურ კარგა არ გო-
მთელი, სიცივეიც არის.

— რაჟმ (რა) უუოთ! შარსაც (შარშან) გუან ოილით. აიმი-
ბეით (იმისთვის, იმიტომ) ნუგან მოგუტდა წელს ახლა ადრ ოი-
ლით. ნოხოთ (ვნახოთ) რაჟ იქნებ. ღმერთი კარის ჭირიმი! ღმერ-
თის სახელზე, ქურმუხის საუდრისა და ჩონ (ჩვენ) კურწუხლისა თი-
თო ფარაქალ ამილი და სამხტოჟ დაფიბრებივარ.

— მაღლობაჟ ღმერთს! იმის კარის ჭირიმი, შეეწვივის ჩონე-
ბურ გაჭირებულს...

აი ნიმუში ინგილოს დედაკაცების მოკითხვა-მისაღმებისა ერთ-
მანერთის შეხვედრის დროს ადრე გაზაფხულზე. მართალია, დედა-

*) ჟან გო, ესე იგი ჯან გოგო. გოგო უდრის ქალოს, მაგალი-
თად, დიღს დედაკაცს რომ მიჰმართავენ ხოლმე და ეტყვიან: ქალო, რო-
გორა ხარო, ქა+ჯან, ეგრე არ იქნებისო და სხ.

კაცებს სხვა მრავალი საქმეც აქვთ ამ დროს, მაგ. ბოსტნეულის თესვა, შინაურ მეწველ საქონლის წველა და დღეობა და მრავალი სხვა, მაგრამ ყოველთა სხვა საქმეთა შორის ერთ უმთავრესს საქმეთა ითვლება ნუგნობა, ამიტომ რომ ოჯახი უბოსტნეულოდაც, ურძყო-დაც გზას წავა, მაგრამ ნუგანი კი თუ მოუცდა, რაღა გაისტუმრებს სახელმწიფო ხარჯსა, სასკოლოსა, რილათი იუიდიან სამოსელსა, ანუ უძაფოთ რილათი შეჭკერ-დაჭკერვენ ტან-საცმელსა, რილათი მოიქსოვენ საბნებსა და სხ. და სხ.

ნუგანი, ნუგნის აღება ჰნიშნავს ჭიის მოვლას თესლის თბილს სახლში შეტანის დღიდან მოკიდებული ვიდრე ჰარკის შექმნამდის. მაშასადამე, ნუგნობა, როგორც ითქვა, გრძელდება 1—35—40 დღემდის. ჭიის თესლს რომ შეიტანს სახლში დედაბერი, ანუ ჭიის მოვლაში დაოსტატებული დედაკაცი, მაშინ ცოტაოდენს თესლს ცალკე დასდებს და ღმერთს შესწინავს და თანაც შეევედრება ამ სიტყვებით: „დიდებულო ღმერთო, კელ მოგუმართ (მოგვიმართ) ჰე კი ნუგან მოგეც! რაიც განდება ამ თესლით (ცალკე გადაღებულია), იმ ფასით სამხტოს ვიუიდი და შენ დაგიკლავ“. ამისთანა თესლს და მისგან გამოსულს ჭიას ჰქვიათ ფარაქალი. ფარაქლებს აიღებენ ხოლმე გათხოვილ ქალების და ოჯახის წულების სახელზედაც. ქალებისა და სახლის წულების ფარაქლის ერთ-ერთ ნაწილს აჩუქებენ ხოლმე იმათ, ვის სახელზედაც იყო აღებული ფარაქალი. თუ ფარაქალის ჭია არ დაიხოცა და კარგი ჰარკი შეჭკმნა, მაშინ დარწმუნდებიან, რომ მისი (ფარაქალის) მოსახელე იღბლიანი ყოფილა.

ნუგნის ავ-კარგიანობა დამოკიდებულია დროზედაც. საზოგადოდ მიღებულია, რომ ჭია გაადვილო მაშინ, როდესაც მცენარე კუკურს იბამს და იჩენს, რადგან ნორჩ მატლ-ჭიას ძალიან უუფარს ნორჩი ფოთლები. თუ ფოთლები დამსხვილდა, მაშინ იგი მაგრდება და ახლად გამოსული ჭია ძნელად ჰკვრეცავს და კუჭს ვერ იძლობს და, ხშირად, ამის გამო კვდება.

საინგილოში ხშირად მცენარის დაკუერებასთან ერთად არ აჩენენ ჭიას, რადგან ჰირველ სითბოს შემდეგ ხანდისხან დგება უინვა—სიცვივები და ეს ძრიელ მავნებელია ჭიისთვის. შეიძლება უინვამ სრულიად გასწვიტოს ნორჩი მწერი. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ

ზოგიერთს სრულიად შემოუყარ ხოლმე ჰარკი და სხვებს კი ჯერ დასაცხავიცი არ შეჰქმნიათ.

შევიდეთ, მკითხველო, დაცხულს სახლში, ვნახოთ იქ 2 არშინის სიმაღლე ცახის კარვები ტოლებზე. თეთრის მატლების და იმათგან დაუეხებულ შრიალის მაგიერ ეხლა საჭიე სახლში დიდი სიჩუმეა. ცახები ბოლოდამ თავამდის შეჭრელებულია შწვანე, უფითელ და აეთრ ჰარკებით, რომელნიც, თუ კარკი მოსავალია, გადაბმულია მშვენიერის კელ-მანდილებით, ესე იგი ბევრ ქსლიან ტიებს ცახზე ჯერ გადაუბით ბრტულად მრავალი ქსელი, ანუ მოუქსოვიათ ხელის ტოლა ხელ-სახოცი და მერმე იქვე ახლას „შეუქმნიათ“ ჰარკი, ან და ზოგიერთნი კიდევ ჰქმნიან. აი, ამ უკანასკნელთ ჯერ ვერ გაუმაგრებიათ ჰარკი, რომელშიაც მუშა-ჭია მოკაყულა და ბეჯით ქარგალსავით განქარებით მუშაობს; ვხედავთ ჩვენ, როგორ იგი მუშაკი იასვის ჰატარა ხოროთუმიდამ უშვებს ქსელს და აკრავს ჰარკის ბადეს შიგნიდამ, როგორ სცოდნავი საათის ენასავით განუწვევტლივ იქნევს თავის ღამაზ თავს ყოვლის მხრისკენ და აწარმოვებს თავის ბრწეინვალე საქმეს.

მესამე დღეს დაცხვის შემდეგ ნაზირს (ნაძირალს—ხრალებს) გადაჭერიან, ესე იგი ცახებს ტოლებიდან დააძრობენ, ცალკე დასდგომენ, ნაზირს კი გამოიტანენ გარეთ და ან ურმებით წაიღებენ და სადმე ხევში ჩაჭერიან, და ან შეინახვენ ცალკე და მერმე თონეს გასახურებლად იხმარებენ. ნაზირის ქვემოთ რჩება წკლუნტი (ჭიათა განავალი, შავი ფერისა), რომელსაც აგროვებენ და ინახვენ, რადგან იგი მშვენიერი სასუქია ხახვისა და სხვა ბოსტნეულისათვის. მეოთხე ან მეხუთე დღეს, თუ კარკი მოსავალია, ჰარკის საჩქევი ნადი ანუ მამითადი იმართება. ნადში მოიწვევენ ხოლმე კაცებსა, დედაკაცებსა და ემაწვილებს. მონადენი აძრობენ ცახებიდამ ჰარკებს, პუქას (ხსენებულ კელმანდილებს და ქსელს) აცლიან, ასუფთავებენ და ჰარკს ცალკე ინახვენ, პუქას ცალკე. მონადენი ღაჰარაკობენ, მხიარულებენ, ხანდისხან უურს უგდებენ სიმღერას რომელისამე მოხუცებულის კაცისას, რომელიც მღერის თათრულად, რადგან ქართული სიმღერა მაჰმადიანთა მიფლობელობის დროს სრულიად დაჰვიწყებიათ ამ ქვეუ-

ნის ქართველებს. მონადეთ უმასპინძლებიან ცხვრითა, ჰურიითა, ფლავითა და ღვინით.

ჯახუნის გავრცელების წინადაპირად ჰარკი ჰარკად კი არ ისუილებოდა, როგორც ესლა, არამედ ჰარკი იხვეოდა აბრეშუმად და მხოლოდ აბრეშუმში გაჰქონდათ ბაზარზედ გასასუიდად. ესლა კი მრავალნი ჩარჩნი არა თუ აღროგებენ ხალხს, რომ ჰარკი აბრეშუმად ხვეიონ, არამედ ჰარკის შექმნამდე ბეს ურიკებენ და ჰირობას ართმევენ წინადავე, ჰარკი ნიხრზე დაგვითმეთო.

იმ მიზეზისა გამო, რომ ესლა ჰარკი ჰარკად ისუილება და სსჰირო აღარ არის აბრეშუმის ხვევა, თითქმის უველგან მოიშალა მანჯანიკი—ის სსხილეველად ფრიად სსსიამოვნო შენობა, სსცა ჰარკისაგან იხვეოდა ხოლმე აბრეშუმში. იქნება ბეგრმა არ იცოდეს, რა არის მანჯანიკი. ამიტომ უადგილო არ იქნება მოვიუვანოთ მოკლე აღწერა მისი.

მანჯანიკს ჰმართავენ დერეფნებში, ან და ცალკე ფარდულში, რომელიც დანიშნულია მხოლოდ აბრეშუმის სსხვევად. ამ შენობას გარშემო კედლები არა აქვს, აღბად სიგრილისა და ნიავის გულისთვის; შენობის ერთ მხარეს დადგმულია დიდი ქურა ქვისა და თიხისაგან გაკეთებული. ქურა ოთხ-კუთხიანია, სიმაღლით $1\frac{1}{2}$ ალაბი, სიგანით 1 ალაბი და სიგრძით 2 ალაბი. ზემო ჰირი დარგვალეული აქვს და იქ ჩადგმულია თიანი (ქართული სჰილენძის დიდი ტაშტი). თიანის ქვემოდამ ქურასა აქვს სსამი ხვრელი: სიგრძეზედ მეოფ დიდი ხვრელიდამ ხურდება ქურა შეშითა, ჰატარდამ კი გამოდის ბოლი; გვერდზედ მეოფ ხვრელიდამ იცლება ნცარი და ნაღვერდალი. თიანის ჰირები მგრად გალესილია, რომ ბოლი არ გამოვიდეს ქურიდამ. ქურის თავის მხრიდამ, თიანის ახლოს გაკეთებულია მემანჯანიკის დასაჯდომი. ამის მარჯვნივ, ქურისაგან $1\frac{1}{2}$ ალაბის მანძილზედ, მიწაში ჩარჭობილია მგრად ორი ბოძი, რომლებზედაც ჩამოკიდებულია სსხვევი ჩარხი. იგი წაგავს ქართულის ურმის თვალს, იმ განსხვავებით, რომ მორგვი აქვს უფრო წვრილი და გრძელი; მორგვზედ გრძელ-გრძელი სოლები ორ რიგობად არის ჩამორიგებული მწეობრად; უოველ წვეილზედ გამაგრებულია თითო ფერსო. სოლი სულ ექვსი წვეილია. მსსსადამე, ფერსოც ექვსი ცალი აქვს. მემანჯანიკს

მხრით ჩარხის მორგებულ მიკრულთა მოკაუჭებულ რკინა; ამ რკინაზედ ერთის წვერით დანდობილია გრძელი საფეხური (კეტი), რომელიც მეორე წვერით გადის შემანჯანისკეს დასაჯდომ ქვევით. ამ ხეს ოსტატურად ფეხი რომ დააჭირო, ჩარხი დაიწეებს ტრიალს, ჩარხის პირდაპირ ქურის თავზე, მალეა ჭერში გამაგრებულა უფარ გაურული ორი მასრა (საძაფო კოტი), უფარზედ კარაქია წასმული, რომ კოტებმა სწრაფად და თავისუფლად იტრიალონ. ეს არის შენებულება მანჯანისკისა. ესლა ვთქვათ თვით ხვევაზედ.

აი შემანჯანისკეს ამხანაგმა დილის რიურაზედვე თიანში ნახევრამდის სუთთა წყალი ჩასხა, ქურა გამოწმინდა და შიგ ცუცხლი გააჩინა. მერე დაგავა და დასუფთავა იქაურობა. დასახლისმა ან იმავე შემანჯანისკეს ამხანაგმა მოიტანა ერთი ცხრილი ჰარკი, რომელიდამც გამოვა ნახევარი ნობათი აბრეშუმი. ცხრილი ჰარკით დასდო მანჯანისკეზე, თიანის ახლოს. ამასობაში ავიდა შემანჯანისკე და დაჯდა თავის ადგილას. გასინჯა წყლის ჰავა, შეატუო რომ წყალი ჭერ ისევ გრილია და ჩუარა თიანში მოტანილი ჰარკის ნახევარი. მარჯვენა ხელში უჭირავს ნამგალივით მოკაუღი კაკლის ტოტისაგან გაკეთებული მრგვალი ყამჩი (მოსასმელი), რომელიც მარჯვენა ხელში უჭერია შემანჯანისკეს და ხშირ-ხშირად და მსუბუქად უსომს და სცემს ჰარკებს, რომ იგინი კარგა დასველდნენ და ძაფი გამოუშვან. აი ხუთიოდე წამს ატრიალა, უსვა ჰარკებს შემანჯანისკემ მოსასმელი, ამასობაში წყალიც აღუღდა. შემანჯანისკემ მარდად წაუსო ყამჩი ჰარკებს, ამოსწია და მარდად მარცხენა ხელით ჩაჭკრა ყამჩისა, უცბად ყამჩიზედ ქსელით გადახლართულნი ჰარკნი ჩაეკიდნენ და ჩაცვიდნენ თიანში. შემანჯანისკესაც ეს უნდოდა. ჰარკის ქსლის წვერები მარდად გამოაძრო შემანჯანისკემ ყამჩიდან, ასწია, გადახლართა უფარ-გაურილ მასრაზე, მერე გადიტანა და ქსლის წვერი მოაბა ჩარხის ერთ ფერსოსა, დააჭირა მარჯვენა ფეხი აღნიშნულს საფეხურს (კეტსა) და სწრაფად დაატრიალა ჩარხი. წრრ... წრრ, წრრ... წრრ! ტრიალებენ მასრები, ქსელ გამოშვებული ჰარკები დახტიან წყალში; რამდენიმე ჰარკის ქსელი, ძაფად ქცეული, მასრებიდამ გადადის ჩარხზედ და ეხვევა ზედ. შემანჯანისკე კი უსომს ყამჩისა, ატრიალებს ჰარკებსა და აბამს ძაფს მეორე მასრაზედაც და

ჩარხზედ ორ შულოდ ახვევს სუფთა, ნაზს, ყვეითელს და თეთრს აბრეშუმსა. მემანჯანიკეს ბევრი შრომა უნდა, რომ ერთბაშად ბევრმა ჰარკმა ქსელი არ ამოუშვას, რომ აბრეშუმის ძაფი სქელი არ გამოვიდეს და არც ცოტა, რომ წვრილი არ იყოს. რომელი ჰარკიც ამოიხვევს და ქსელს ადარ უშვებს, იმას მემანჯანიკე ამოურევს უამჩს, ამოიტანს და გადაადებს ძირს, ან ჩაადებს სადმე ჭურჭელში. ამისთანა ამოხვეულ ჰარკის გროვას ჰქვიან ყამჩი-ბაში (ყამჩზედ გამოსული).

ორ ცხრილ ჰარკს რომ ამოახვევს, მემანჯანიკე ჩამოვა დასასვენებლად და სსსაშხროდ. მაგრამ ვიდრე დაისვენებდეს და ისამხრებდეს, ნახვევ აბრეშუმს გადმოიტანს ჩარხიდან, სიკრძეზედ დაჰკეცავს, წვერებს ძუძუებოდ შეუკრავს და ორსავე შულოს ერთად, ერთ ნობათად გამოჰკვანძავს. დახელაფნებულ მემანჯანიკეს უოველ დღე შეუძლიან ამოახვიოს ორი ნობათი აბრეშუმი, ანუ ერთის გირვანქა წონისა.

წინად, როგორც ვთქვით, ათაქმის უოველ მრეწველს ჰქონდა თავისი მანჯანიკი. მემანჯანიკეთ იწვევდენ ხოლმე ნუხის მაზრიდან, საცა მანჯანიკობა მრავალთა ხელობად ითვლებოდა. თუ ხსოვნა არ მდლალტობს, ექვსის თავი ერკებოდა თვით მემანჯანიკესა. ამას კარდა მემანჯანიკენი ძრეულ ჰატვიცემულნი იყვნენ. მათ კარკად აჭმევასმევდნენ და ეფერებოდნენ, როგორც ოსტატს კაცს. მანჯანიკის მოსწობამ მემანჯანიკობაც სრულიად გააუქმა ხალხში. წვრილ მანჯანიკების მოსწობაზედ დიდი გავლენა ჰქონდა იმ კარემობასაც, რომ კაკსა, ნუხსა და ზაქათალაში ზოგიერთ ვაჭრებმა გამართეს ეკროზიული სახის სახვევი მანქანები, რომელნიც ახვევენ უფრო უკეთესს აბრეშუმსა, ვიდრე სოფლის მანჯანიკი და ამიტომ სოფელში ხვეულ აბრეშუმს ისეთი გასაყადი ადარა აქვს, როგორც ხსენებულს ადგილებში. და ამიტომ გლეხნი იძულებულ არიან, ხშირად, დაბალ ფასად დაუთმონ ჰარკი ჩარჩებს.

ახლა ვთქვათ, თუ, რა ნაირად, საზოგადოდ, სარკებლობენ მრეწველნი აბრეშუმეულითა. ჰარკი ან აბრეშუმი ხომ ფასად ეუილებათ, ამას კარდა ხალხს რჩება კიდევ: ღომფალი, ყაჭი, პუჭა და ხაიათი.

პარკი, რომლიდანაც გამოვიდნენ სათესლე ზეზელები, გამოიხარება საზონში, გათეთრდება თოვლივით—და ეს არის ღომფალი. ამას გასწეწვენ და დაართავენ წმინდა კელად (ძაფი). ამ ძაფს მრავალ-ფერად შეღებვენ და მერმე დაჭქსოვენ ფერად-ფერად, ჭრელ-ჭრელ საპირებს საბნისას, აგრეთვე ტოლალებს (პაჭიჭის მაგიერ წვივებზედ შემოსაკრავი), აბებს, და ხან საშარფლე-საჩოხებებსაც. აგრეთვე დომფლის კედი იხმარება ძაფადაც. ესეი დომფალზედ მდარეა ღირსებით, რადგან ცუდი, დამპალ-გაფუჭებულ პარკებისა და ეამჩიბაშისკან არის გამოხარული. ხმარობენ იმავე საგნებისათვის, რა საგნებისათვისაც დომფალსა. ზუჭას ხმარობენ გამოუხარშავად. მისკან აკეთებენ თოკებსა, აპურებსა, ქსოვენ ხონჯრებსა, ზორტებსა და სხ.

აბრეშუმის შემდეგ პირველი ადგილი ღირსებით უჭირავს ხაიათსა. ხაიათი იხვევა მანჯანკზე, როგორც აბრეშუმი, იმ განსხვავებით, რომ მისი ძაფი უფრო სქელია. ხაიათს ახვევენ არა დასტატებული შემანჯანიკენი, არამედ თვით სახლის წულნიც. ხვევის შემდეგ ხაიათს დასტრიან შულაობად, რამდენსამე წვერს ხაიათის ძაფს ერთმანერთზედ გადააკრებენ და მერე იხმარებენ ძაფად. ხაიათს ხმარობენ შემდეგს შემთხვევაშიაც: ოჯახის წვერი, მეტადრე დავაშკაცებული რომ გარდაიცვლება, ერთი კვანძი ხაიათი მანინც უნდა გაიტანონ მეგდარზედ.

ჩვენში დიდრონი, მრავალ-წვეროვანი ოჯახნი ისევ ხშირია. ყოველი წვერი მამათ სქესისა: ძმები, ბიძები, ბიძაშვილები და სხ. თანასწორად მონაწილენი და მოსაკუთრენი არიან ოჯახის მთელის წლიურის შემოსავლისა. თუ ჭვრივი დედაკაცია ოჯახში, შვილიანი ან უშვილო—სულ ერთია, იმასაც ისეთივე წილი აქვს საერთო შემოსავალში, როგორც ყოველ წვერს მამათ სქესისას. ამ კანონს ემორჩილება აბრეშუმის შემოსავალიც. განუყოფელად რჩება მხოლოდ პარკისა ან აბრეშუმის გაყიდვისკან შექნილი ფული, ხაიათი, დომფალი, ესეი კი იყოფება ასრე: უფროსი დიასახლისი, რომლის გამგეობასა და მორჩილებასში იყოფება მთელი ოჯახის შინაური საქმეები, მოიწვევს სახლის წვერთა ცოლებს და მათთან ერთად თანასწორად, წვერთა რიცხვის მიხედვით, გაჭყოფს ყოველივეს, რომ მიდგომილება, ან სიხარბე არ შესწამონ უმცროსებმა, უფროსი დიასახლისი ყველა

ნაწილს ასწონს, გაათანასწორებს და ეველას ჩაბარებს ხვედრს. თუ რომელიმე წვერი უცოლოა, იმის ნაწილს აიღებს თვითონ დიასახლისი, როგორც მზრუნველი და მომვლელი იმ უცოლო წვერისაც, ან ჩაბარებს იმ დიასახლისს, რომელსაც უკისრნია აღნიშნულის ჰირის მზრუნველობა: საცმელ-საცვკეთის შეკერ-დაკერვა, სუფთად შენახვა. კამ ქალ კაცს დაამშენებს, არვარგ—გააფაცულებსო.

V

შინაური ყოფა-ცხოვრება

(დაბადებიდან სიკვდილამდე).

1. შობა და აღზრდა.

შობა. მშობიარე. ორმოცის გაყვანა. ბებიის სარგო. ნანა. მარილის შემოვლება. აკვანი და ლალუჟ. ბერობა. „ზეათი ქნა“. სახელი. გვარები. სავაზირო. საგარეო მუშაობის დაწყობა.

- გამაწყობა!
- გაგიმარჯოს.
- შენ ცოლ დაწოლილავ ჰქუა?*)
- ჰოვ.
- შულ ჰყავავ, მართალია?
- მართალი.
- მაშ მოგილოცავ, ღმერთმა გაზარდოს...

ამ სიტყვებით მიეგებებიან ხოლმე ცოლ-ამხანაგები ვაყის მამას. შულს (შეილს) საინგილოში მხოლოდ ვაყს უწოდებენ და ქალი-შეილს კი ქალს. ცოლი რომ ლოგინად დაწვება, ქმარი იმ დროს შინ არ უნდა დაესწროს. თუ როგორმე შინ მოჰხდა, უნდა წაჰიღეს სხვაგან, გაეცალოს ოჯახს. ალათი და ჩვეულება ნებას არ აძლევს,

*) შენს ცოლს მოულოვინიაო, ჰო?

რომ დედ-მამას დაენახოს: სირცხვილიაო. ახალგაზდა კაცს ზირველად რომ დაუწვება ცოლი ლოცინად, უფრო მაშინ უნდა მოერიდოს დედ-მამას, იმორცხვოს, და თუ როგორმე დაესწრო ოჯახში ახალ დაბადებულზე ლაზარკას, ან უნდა ადგეს, გაეცალოს იქაურობას, ან თავი ჩაჭლუნოს, შუბლი შეიკრას და ყური მთარიდოს ამგვარ საუბარს. უწინ ცოლისა და შვილის ნახვა ხომ დღიდან მშობიარობისა „ორმოც კასვლამდე“ არ შეიძლებოდა. ორმოცის კასვლის შემდეგაც შვილსა და ცოლს მხოლოდ ღამ-ღამობით მიუალერსებდა მამა, დღისით-კი, დედ-მამასა და უფროს და-ძმასთან, მამა ვერ გამოელაზარაკებოდა და ვერ მიუალერსებოდა თავის ახალგაზდა ცოლსა და ნორჩ შვილს.

ფეხმძიმე დედა-კაცს მუცელი რომ წამოსტკიავა, ცალკე ქონში დაბინავებენ, „დიდს სახლს“ (ოჯახის საცხოვრებელს) გააშორებენ. ვისაც ქონი არ აქვს და მარტო „დიდი სახლი“ აქვს, ამ სახლის ერთ კუნჭულში მთამშობიარებენ, ხოლო ამ დროს მამათ სქესი უნდა გავიდეს გარეთ, რაიმე საქმეზე წავიდ-წამოვიდეს. ქონში საქონელს ინახვენ. ერთი კუთხე ამ სახლის ხარხებებით გაღობილი და გაუოთილია. ამ კუთხეში ორსული დედაკაცი მიწურს იატაკზე გაიშლის ჭეჭიმს და მოილოცინებს. მოსალოცინებლად მოეწოდებენ ხოლმე ბებიას, რომელიც ეველა სოფელში მოაპოვება. მოლოცინების დღიდან ორმოცის კასვლამდე არც ოჯახის დიასახლისი, არც სხვა ვინმე სახლის წულთაგანი და არც ნაცნობი ქონში არ შევა, რომ არ გაუწმინდურდეს. თუ ვინცობაა დიასახლისი, ან სხვა ვინმე შევიდა მელოცინესთან, ვეღარც „ცომს მოზელავს“, ვეღარც „საკმელს ჩაჭურის“, ვეღარც „საუდრებს ინახულებს“. ამიტომ ტოლ-ამხანაგი და ნათესავი დედაკაცები, რძლები და გასათხოვარი ქალები ავადმყოფის სანახელა (სანახავად) რომ მოვლენ, ქონის კარზე ჩამოსხდებიან, მოტანილ ხორაკს კარზედვე დასდებენ, რომ მელოცინემ თავის ჯამჭურჭელში გადაიტანოს. მელოცინეს თავის სახმარი ერთი-ორი ჭურჭელი აქვს. სხვა ჭურჭლებს ქონში არ შეიტანენ: გაუწმინდურდებაო. გაუწმინდურებულ ჭურჭელს სხვა ჭურჭელში ორმოც კასვლამდე ვერ შეურევენ და საერთო კოროთზე (თაროზე) ვერ დააწობენ. აქ ისიც უნდა ვთქვათ, რომ თუ მშობიარობა გაძნელდა და მშობიარე შეწუსდა, დიასახლისი მოიწვევს მამაკაცს, მისცემს თოფს და დაცლუვი-

ნებს: მოუშვებს მშობიარეს და გაუადვილებს შობასაო. უმაწვლილი რომ იშვება, იმავე წამს ნელ-თბილის წყლით აბანებენ, ჩერებში შეახვევენ და იქვე ნაბადზე დაწვენენ. ახალ-დაბადებულს ხშირ-ხშირად აბანებენ. წყალი უმაწვილს ძლიან რგებსო და სწრაფად ზრდისო. ორ კვირამდე ბაღლი ჩერებშია გახვეული, მერე აკვანში ჩაწვენენ ხოლმე.

მშობიარობიდან მოკიდებული ორმოცი დღე მშობიარემ ქონში უნდა გაატაროს. დამ-დამე ყარაულს უყენებენ მას. ეს ორმოცი დღე „ორმოცეულს“ შეადგენს და ამ დროს განმავლობაში ალი ფრად მტრობსო მელოგინეს: სულ იმის ცდაშია, რომ ავნოს დედას, დაარჩოს, ან მოჰკლას. ყარაულის კი, ვინც უნდა იყოს იგი, დიდი თუ ჰატარა, აღს ძლიან უშინიან. ამიტომაც მელოგინეს ყარაულებად ხშირად უმაწვილი ქალები ან ვაჟები არიან. უყარაულად კი, რაც უნდა იყოს, მელოგინეს არ დასტოვებენ. ორმოცის გასვლამდე რაც კი რამ წესია საჭირო მელოგინესთვის: ქონის დაგვადამწინდა, რეცხვა-ბანვა და სხ., ყველა თითონ უნდა გააკეთოს და შეასრულოს. თუ დედაკაცი ოჯახში მარტოაა, ხშირად ორმოცის გასვლამდე აღარ იცდის. თუ ავად არ არის და ღონე შესწევს, შესამე-მეოთხე დღესვე სტოვებს ქონს, გამოდის და სახლის ყოველკვარ საქმეს თითონვე აკეთებს. ორმოცი კი ასე გაჰყავთ: მეორმოცე დღეს მელოგინე დარეცხავს თავის ყველა სარეცხს, ლოგინს, იბანებს და საცმელს გამოიცვლის. მერე გეჯაში ორმოც კოვზს წყალს ჩასხამს, შემდეგ ბლომა თბილ წყალს მიუმატებს და ჩვილს აბანებს. ამის შემდეგ ადგება და უმაწვილიანად დიდს სახლში გადასახლდება. ამ დღი-დან მისთვის ხსნილია ყოველი კუთხე სახლისა (აღმოსავლეთი კუთხე საოჯახო სახლისა წმინდად ითვლება და უწმინდური დედაკაცი ვერ მიეკარება), ცომის მოზელა, ჰურის გამოცხობა და სხვა ყოველივე შეუძლიან. ბებიას შრომისათვის ორი ბაკანი (ჰინა) ხორბალი, ან ერთი მანეთი ეძლევა. აჭაური ბებიები შინაურობაშივე გამოცდადნი არიან: ზოგი საკმარად დახელოვნებულია, ზოგი კი თუმიც ბებიაობს, მაგრამ ყოვლად უეცრია და არა-იშვიათად მშობიარეს წუთი-სოთხეულს ასალმებს. ბოლო დროს ნასწავლი ბებიებიც გამოჩნდნენ და მათ იწვევენ.

ორსულს დედაკაცს საინგილოში არ ასვენებენ, საქმეს არ უმცირებენ, ჰირ-იქით, ბევრს ამუშავენ: ადვილად შობსო. ძუძუ-მწო-

ვნებულ დედაკაცს კი უფრო ნაკლებ ამუშავებენ, საზოგადოდ ხელს უწყობენ, რომ შვილიც ადვილად გაზარდოს და საქმესაც არ მოსცდეს.

ჩვილს ეგელა სახლის წულნი, ჰაჰა, ბებრა (დიდედა), ბიძები და სხ., უფლოლიაგებენ, უაღერსებენ, ასე რომ ჩხვილი ხელით-ხელსაკოვმანებელი ჰხდება. გახვიანებულსა და გაანჩხლებულს ემაწვილს ხანდახან აშინებენ: დააზინ, თუარ ტურაჲ მოვ! (დაიძინე, თორე ტურა მოვაო), ხშირად კი ნახას ეუბნებიან. აქაურ ნახას ფრიად გულმოსაკლავი და მწუხარებით სავსე კილო აქვს. ბევრჯელ მომისმენია ინგილოური ნახა და ყოველთვის ამ ქვეყნის ბედშავი წარსული თვალწინ წარმომდგომია: მომკონებია დრო შაჰ-აბაზისა, მივლობელობა და ბატონობა ჭარ-ბელაქნელებისა, ელისოს სულთნისა, ლეკებისა და სხ. და სხ., ერთის სიტყვით, ის დრონი, როდესაც ძლიერსა და ხალხით სავსე ჰერეთს მტრები სისხლის წვიმას აწვიმებდნენ, ხალხს სტევენვიდნენ და ჟლეტავდნენ. მართალია, აქაური ნახა სიტყვებითა და შინაარსით ფრიად მარტივი და ღარიბია, მაგრამ მაგიერად კილოსა და ჰანგის მიხედვით კი თავზარ დამცემია და, როგორც ვსოქვით, მწუხარებით სავსე. ამ მცირე ლექსის ჰანგით კი ხალხს გამოუხატავს თავისი ბედშავი ყოფა-მდგომარეობა, სიმძიმე თვისის უღლისა. აი თვით სიტყვები აქაურის ნახასი, რომელსაც უფრო ბებრები დამღერაინ:

დაა-დაა, შულო, დაა!

კახტა ყანი, დაა!

ჩემო გულო, დაა!

დააზინ, შულო, დაა!

დაა ქენ, თოლო, დაა!

შენამ შემკველებ,

ტკბილად დააზინ, დაა!

ყანიჰ ჭირიმენ,

ვაშკაც გაკდ, დაა!

ღუშმან ბევრ გვაჲ, დაა!

საქმეჲ ბოლ გოქ, დაა!

შენ რემ გააზდებ, დაა!

ხანჯალს მოგცემ, დაა!

მამულს მოუარ,

შემოამაგრ, დაა!

დაა-დაა, დაა, დაა-დაა!!!

თუ ბავშვი ნახამაც და დაშინებამაც ვერ დააძინა და ემაწვილმა ტირილს უფრო მოუმატა, ძუძუც აღარ მიიკარა, მაშინ იტყვიან „თოლ მოჭხტომი“, თვალი სცემიაო და აიღებენ მცირეოდენს მარინს, ერმს თავზე შემოაფლებენ სამჯერ და ცეცხლში ჩაჰყრიან. მარინი ძლიერს ტკაცანს რომ მოიღებს, იტყვიან, სწორედ თვალ-ცემული

უოფილაო. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ სინამდვილე ამ ცრუ-მორ-
 წმუნეობისა ბევრს აღარა სჯერა. ბავშვი რომ ცოტათი წამოიზრდება,
 ბლუნვას (ჩოჩვას) დაიწეებს, იმის შემდეგ ცოტ-ცოტაობით ეგველ-
 ფერს ატყევენ. ღვინოსაც კი აკემებენ ხოლმე. ზაფხულში ემაწვილს
 ხანდახან აკვინის მაგიერ ლალოში (ჭოჭინაში) აწევენ. ლაღუს რომ
 არწებენ და აქანებენ, დაა-დაა-ს მაგიერ იმავე სიტყვებით დაა-დაა-ს
 დამღერებენ ზედ. შობიდან ორმოც დღემდე ჩვილს უოველ დღე თი-
 თოჯერ აბანებენ, შემდეგ კი წლის გასვლამდე ორ დღეში ერთხელ.
 ემაწვილს რომ თვალი არ ეცეს, ზედ მოლას მიერ დაწერილ წიგნ-
 ს—ავგაროზს, მძივსა და ღვინჭილას ჰკიდებენ. აკვანში, ან ლაღუ-
 სსა და ფართალში (ლოგინში) ჩაწევილს ბავშვს, თუ მარტო უნდა
 დასტოვონ ცოტა ხნით, საფით ნაღსა ან რკინის იარაღს დაუდებენ:
 მავნე ვერ მიეკარებაო. თუ ღედას შეილება არა რჩება და ეხოცება,
 ღმერთს შეუთქვამს შვილის ბერობას. ბერობა მდგომარეობს იმაში,
 რომ ბერად შეეგნებულს ვაჟსა თუ ქალს დაბადებიდანვე თმას არ
 უკრეჭენ, თეთრსა და კრძელ საცმელს აცმევენ 5—10 წლის შე-
 სრულუბამდე. შეიძლება მეტი ხნითაც ბერად შეთქმული ბერად დარ-
 ჩეს. ეს დამოკიდებულია დედის სურვილსა და შეთქმულთაზე. ბერო-
 ბა აიხსნება საღმთობით. საღმთოდ სწირავენ ვერძს ანუ უოჩს. საღ-
 მთოს მიიფიანენ ქურმუხის წმინდა გიორგის (10 გიორგობისთვის),
 შესწირვენ ღმერთს, ვაჟსა თუ ქალს თმებს გაუკრეჭენ, და ჩითუელ-
 სსა თუ ფარჩუელს ჩაცმევენ. ამ დღიდან ბერად შეეგნებული ბერო-
 ბიდან გადამდგარია. ბავშვს როგორც რომ რაიმე ავადმყოფობა ეწვი-
 ვა, ან დასუსტდება, ან თვალების ჭეჭეტასა და ხელების ფათურს და-
 იწეებს, ინგილონი ამას ღვთის ნებას მიაწერენ: „ემაწულ ზედათი
 (ზენას ძალით) იქნაო“, „ზედათი დაკრულიაო“, ან ბასმა იქნაო.
 პირველ შემთხვევაში ღმერთს საღმთოს შეჭვირდებიან, ან მოლას მო-
 იფიანენ, რომ „ღუვა“ დაუწეროს (ავადმყოფობა შეკრას), ან „კი-
 თხავს“ აკითხვინებენ. ღუვას დაწერა ერთი აბაზიდან ერთ-
 ორ-სამ მანათამდე ღირს, ხოლო შეითხავს კი ორ-სამ შურსსა
 ანუ ერთ ბღუჯა ეაჭ-ღომთვალს მიაერთებენ ხოლმე. ბასმა ემაწვილს
 ბევრის ჭამისა და სიფივისკან მოუვა. ბასმა ის არის, რომ ემაწვი-
 ლი ტანში შეიკვრის, ფეხზე ვეღარ დადგება. მაშინ გულ-აღმა დაა-

ენებელ დედაკაცს კი უფრო ნაკლებ ამუშავენ, საზოგადოდ ხელს უწყობენ, რომ შვილიც ადვილად გაზარდოს და საქმესაც არ მოსცდეს.

ჩვილის უგელა სახლის წულნი, ჰაზა, ბებრა (დიდედა), ბიძები და სხ., უფლოდავენ, უაღურსებენ, ასე რომ ჩხვილი ხელთ-ხელს სავგომანებელი ჰხდება. გახვიანებულსა და გაანჩხლებულს უმაწვილს ხანდახან აშინებენ: დააზინ, თუარ ტურაჲ მოვი (დაიძინე, თორე ტურა მოვაო), ხშირად კი ნანას ეუბნებიან. აჭაურ ნანას ფრიად გულ-მოსაკლავი და მწუხარებით საესე კილო აქვს. ბევრჯელ მომისმენია ინგილოური ნანა და უოფელთვის ამ ქვეუნიხს ბედშავი წარსული თვალ-წინ წარმომდგომია: მომგონებია დრო შაჰ-აბაზისა, მიფლობელობა და ბატონობა ჭარ-ბედაქნელებისა, ელისოს სულთნისა, ლეკებისა და სხ. და სხ., ერთის სიტყვით, ის დრონი, როდესაც ძლიერსა და ხალხით საესე ჰერეთს მტრები სისხლის წვიმას აწვიმებდნენ, ხალხს სტევენგინდნენ და ჟლეტავდნენ. მართალია, აჭაური ნანა სიტყვებითა და შინაარსით ფრიად მარტივი და ღარიბია, მაგრამ მაკიერად კილო-სა და ჰანგის მიხედვით კი თავზარ დამცემია და, როგორც ვსოქვით, მწუხარებით საესე. ამ მცირე ლექსის ჰანგით კი ხალხს გამოუხატავს თავისი ბედშავი უოფა-მდგომარეობა, სიმძიმე თვისის უდლისა. აითვით სიტყვები აჭაურის ნანასი, რომელსაც უფრო ბებრები დამდე-რინ:

დაა-დაა, შულო, დაა!	ვაშკაც გაკად, დაა!
კობტა ჟანი, დაა!	დუშმან ბევრ გვაე, დაა!
ჩემო გულო, დაა!	საქმეჲ ბოლ გოქ, დაა!
დააზინ, შულო, დაა!	შენ რუმ გააზდებ, დაა!
დაა ქენ, თოლო, დაა!	ხანჟალს მოკცემ, დაა!
შენამ შემგველებ,	მამულს მოუარ,
ტებილად დააზინ, დაა!	შემოამაგრ, დაა!
ჟანიჰ ჭირიმენ,	დაა-დაა, დაა, დაა-დაა!!!

თუ ბავუში ნანამაც და დაშინებამაც ვერ დააძინა და უმაწვილმა ტირილს უფრო მოუმატა, ძუძუც ადარ მიიკარა, მაშინ იტყვიან „თოლ მოჰსტომი“, თვალი სცემიაო და აიღებენ მცირეოდენს მარილს, ურმას თავზე შემოაფლებენ სამჯერ და ცეცხლში ჩაჰყრიან. მარლი ძლიერს ტკაცანს რომ მოიღებს, იტყვიან, სწორედ თვალ-ცემული

უოფილათ. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ სინამდვილე ამ ცრუ-მორ-
წმუნეობის ბეგრს აღარა სჭერა. ბავშვი რომ ცოტათი წამოიზრდება,
ბლუნვას (ჩოჩყას) დაიწვეებს, იმის შემდეგ ცოტ-ცოტაობით უკვლავ-
ფერს აჭმევს. ღვინოსაც კი აკემებენ ხოლმე. ზაფხულში ემაწვილს
ხანდახან აკვინის მაგიერ ლალოში (ჭოჭინაში) აწვევენ. ღაღუს რომ
არწებენ და აქანებენ, ღაღ-ღაღ-ს მაგიერ იმავე სიტყვებით ღაღ-ღაღ-ს
ღამდერიან ზედ. შობიღვან ორმოც დღემდე ჩვილს უოგულ დღე თი-
თოჯერ აბანებენ, შემდეგ კი წლის გასვლამდე ორ დღეში ერთხელ.
ემაწვილს რომ თვალი არ ეცეს, ზედ მოლის მიერ დაწერილ წიგნ-
სა—ავგაროზს, მძივსა და ღვინჭილას ჰკიდებენ. აკვანში, ან ღაღუ-
სა და ფართალში (ლოგინში) ჩაწვენილს ბავშვს, თუ მარტო უნდა
დასტოვონ ცოტა ხნით, საფით ნაღსა ან რკინის იარაღს დაუდებენ:
მავნე ვერ მიეკარებაო. თუ ღედას შეილება არა რჩება და ეხოცება,
ღმერთს შეუთქვამს შვილის ბერობას. ბერობა მდგომარეობს იმაში,
რომ ბერად შეყენებულს ვაჟსა თუ ქალს დაბადებიდგანვე თმას არ
უკრეჭენ, თეთრსა და გრძელ საცმელს აცმევენ 5—10 წლის შე-
სრულებამდე. შეიძლება მეტი ხნითაც ბერად შეთქმული ბერად დარ-
ჩეს. ეს დამოკიდებულია ღედის სურვილსა და შეთქმულობაზე. ბერო-
ბა აიხსნება საღმთთით. საღმთოდ სწირავენ ვერძს ანუ უოჩს. საღ-
მთოს მიიფვანენ ქურმუხის წმინდა გიორგის (10 გიორგობისთვეს),
შესწირვენ ღმერთს, ვაჟსა თუ ქალს თმებს გაუკრეჭენ, და ჩითუელ-
სა თუ ფარჩუელს ჩაცმევენ. ამ დღიღვან ბერად შეყენებული ბერო-
ბიღვან გადამდგარია. ბავშვს როგორც რომ რაიმე ავადმყოფობა ეწვე-
ვა, ან დასუსტდება, ან თვალების ჭყეტასა და ხელების ფათურს და-
იწვეებს, ინგილონი ამას ღვთის ნებას მიაწერენ: „ემაწულ ზემთი
(ზენას ძლით) იქნაო“, „ზემთი დაკრულიაო“, ან ბასმა იქნაო.
პირველ შემთხვევაში ღმერთს საღმთოს შეჭვირდებიან, ან მოლას მო-
იფვანენ, რომ „ღუვას“ დაუწეროს (ავადმყოფობა შეკრას), ან „კი-
თხავას“ აკითხვინებენ. ღუვას დაწერა ერთი აბაზიღვან ერთ-
თრ-სამ მანათამდე ღირს, ხოლო მკითხავს კი ორ-სამ შურსა
ანუ ერთ ბღუჯა უაჭ-ღმთიფაღს მთართმევენ ხოლმე. ბასმა ემაწვილს
ბეგრის ჭმისა და სიცივისაკან მოუვა. ბასმა ის არის, რომ ემაწვი-
ლი ტანში შეიკვრის, ფეხზე ვეღარ დადგება. მაშინ გულ-აღმა და-

წვენენ, მოიწვევენ იმისთანა დედაკაცს, რომელსაც მარჩბივად (ერთად ორი) უშობია, და ფეხს სამჯერ სუბუქად დაადგმევინიებენ მუცელზედ. დედაკაცი ყოველ ფეხის დადგმაზე მოუწრუწუნებს, კარგა გახდებაო. ბავშვი თუ დიდხანს ავადმყოფობამ არ დაკლო, წაიყვანენ ხანჯლით მოკლულ კაცის სამარეზედ, აბანებენ წყალში ზედ სამარეზედვე და იქვე წყლის ჭურჭელს გასტეხვენ: კარგა გახდებაო. კიდევ ბევრ გვარი თავისებური წამლობა იცინან. რასაკვირველია, აქ ჩვენ უგვლას ვერ ჩამოვთვლით.

რაღა თქმა უნდა, ეხლა ბავშვს ქრისტიანი ინგილოები ნათლავენ და ქართულ სახელს არქმევენ. ამ რამდენიმე წლის წინად ქრისტიანი ინგილოებში ისეთი ბაღლებიც იყო, რომ სამ-ოთხს წელიწადს გაუნათლავები იყვნენ. უმაწვილს რომ მონათლავენ, ქრისტიანებრივ სახელს დაარქმევენ, მაგრამ შინაობაში, ხშირად, ნათლობის სახელს ივიწებენ და ლაყაზ სახელს უწოდებენ. მაგალითად ქალებს: სარა, ჩიჩაქა, დარიჯანა, ჯავარა და სხ., ვაჟებს: რუსტამა, წიკრი, წუნკ, ყურა, ზორბა, ზურაბა და სხ. აქაური გვარები კი წმინდა ქართულია: შიომღვილი, ხუციშვილი, ბეროშვილი, თაფლოშვილი, ოთარაშვილი, ოქროჯანაშვილი, როსტიაშვილი, საკნელაშვილი და სხ. ფეხის ადგმა რომ გაუადვილდეს ბავშვს, სამფეხიან ურემს გაუკეთებენ. უკან ურემს ხელით დასაჭერი მოკაკული ხე აქვს მომაგრებული. ურემთან ბაღდს დააყენებენ, ხეს დააჭერინებენ და ურემი ხელა რომინის დაიწეებს, ბავშვიც მისდევს და სიამოვნებით მიაგორებს. ამ საგორებელის შემწეობით ბავშვი მალე ფეხს იდგამს.

შვიდი-რვა წლისა რომ შეიქმნება შვილი, დედ-მამას უკვე საკმაოდ ჰშველის. ჯერ ამ დრომდისაც ხუთი-ექვსი წლის ბავშვი კარგ „სავაზიროდ“ ითვლება. სავაზიროდ ის არის, ვინც ნაბრძანებს ადასრულებს. საზოგადოდ, სახლში სავაზირონი ჰატარებენ, რძლები, უმცროსი ძმები არიან, დამვაზირებელნი კი დედ-მამა, უფროსი ძმები. მკვირცხლი, მალხაზი და დედ-მამის სავარელი ბავშვი იგია, რომელიც ნავაზირებს მსწრაფელ შესრულებს. ამისთანა ბავშვს არც ცუდს სიტუვას ეტყვიან, არც აწყენინებენ. ხოლო „დავაზირებული“ თუ ნავაზირებს ხელა, უნდომლად ასრულებს, ან სრულიად არ მიდის ნაბრძანების შესასრულებლად, დედისაგან მკვახე-მკვახე სიტყვებს, წყე-

ვასა და ხშირად სილეებსაც აიკიდებს ხოლმე. შვიდი-რვა წლის ვაჟს სწვრითინის მამა, ქალს კი — დედა. მამას შვილი ხშირად თან დაჰყავს ურემზედ, სხვა და სხვა სამუშაოზე, ან შინ ასწავლის სავაშკატო ხელობას. ბაღლი ბავშობიდანვე ეჩვევა ურმის, აჩჩის და სხ. გაკეაუბას. ქალს კი დედა ასწავლის ძათის დართვას, წინდის ქსოვას, ნემსის ხმარებას და სხ. აქ, რასაკვირველია, მე იმას არ ვამბობ, რომ ვაჟი თუ ქალი შვიდი-რვა წლიდან მოკიდებული განუწყვეტლივ სავაზირკოს ასრულებას უნდებინ, ან სამუშაოზე დადიან. არა, განუწყვეტლივ კი არა, არამედ ხანდახან და ხშირად მაშინ, თუ ბავშვი ათთონ მოწადინებულია მუშაობას. ბევრჯერ ყოფილა მაგალითი, რომ რვა-ცხრა წლის ბავშვი „ზროხის ნაბათზე“ წასულა და ასიოდე საქონელი დიღით საღამომდე უმწესია. „ზროხის ნაბათი“, ანუ ნობათი ყოველ მეკამურს დრო-გამოშვებით შეხედება ხოლმე. ისეთი სოფლები არის, რომ მენახირე-მეძროხე არა ჰყავს. ამ შემთხვევაში მთელს სოფლის, ან, თუ სოფელი დიდა, ერთის უბნის საქონელი ერთ ნახირად გადის საძოვარზე და ამ შემთხვევაში ნახირის მწვესვა მეკამურთა შორის ჯერობით მოდის. ამ ჯერობას „ზროხის ნაბათი“ ჰქვია. ძროხის ჯერს, თუ საქონელი ნახირში ბევრია, ორორი მეკამური ხდილობს, ე. ი. ორის სახლიდან თითო კაცი მიდის საქონლის სამწესოდ, და თუ ნახირი მცირეა — თითო მეკამური, მენობათე მოვალეა ფხიზლად იყოს, ნახირს კარგად მოუაროს და დააძღოს, მაგრამ თუ საქონელი დაეკარგა, ან მოჰზარეს, მოვალე არ არის გადაიხადოს. „ზროხის ნაბათის“ ხდილობის გარდა, ერმას „ულაუბიც“ (შესაბმელი საქონელი) ახარია, მამა რომ ურემს მინდვრიდან მოიტანს, ან სახნავიდან დაბრუნდება, მაშინ ერმამ ულაუები უნდა გალალოს (გარეკოს) საძოვარზედ. მკასა, სახნავის ხვნასა და სხ. მძიმე საქმეს ვაჟს 13—15-ის წლიდან დააწყებინებენ ხოლმე. ამ დროსვე ვაჟსაცა და ქალსაც ნიშნავენ. იშვიათად მოჰხდება, რომ ამასზე მცირე-წლოვანები, ამ ხანზედ გადაცილებულები დანიშნონ. აკვანშივე დანიშნულთა რიცხვი ხომ თითო-ოროლა ძლივს მოიზრება.

2. ნიშნობა და დაქორწინების სამზადისი.

ნიშნობის წეს-ჩვეულება. მაქანკალი. მზითვეი და სხვა ხარჯები, რომელიც უნდა გადაიხადოს სანეთოს მამამ სასძლოს ოჯახის სასარგებლოდ. პატარა და დიდ ნიშნობის ხარჯები. ფარჩის ნიშანი. ქალის ქამარი. ნაზუქის შემზადება და გამოცხობა. ალვა. ჯეჯიმების მოქსოვა. ძაფის დართვა, დაფერადება-შენახვა. მატყლისა და აბრეშუმის ჯეჯიმები. ქრელები: კიჭკიჭაჲ, კიდბანა ქრელი, სავალაჲ, ექვს-ქრელიანი და სხ. საქსოვის ნაწილები: ხმალი, ქუჟო, ტარი და სხ.

ოცოდე წლის წინად არც დასანიშნს ვაჟს და არც გასათხოვარს ქალს დანიშვნის შესახებ დედ-მამა არას ჰკითხავდა. დედ-მამა თავის შვილების საბუღოს თვითონვე ირჩევდა. ვაჟ-ქალნი წინად, ხშირად, რამდენიმე ხნის განმავლობაში ვერც კი იტყობდნენ თავის დანიშნულის ამბავს. ხოლო ეხლა და ეხლა დედ-მამანი ქალისა და ვაჟის უცნობლად აღარ ჰნიშნავენ თავის შვილებს. თუ შვილის ნება არ იქნება, დედ-მამა ვერც ქალს გაათხოვებს და ვერც ვაჟს დანიშნავს. თუმცა იმის მაგალითებიც არის, რომ დედ-მამა ისევ ძველებურს წესს მისდევს და თავის უფლებას არა ჰკარგავს.

ქალის გათხოვება და ვაჟის დანიშვნა მაჭკეკლის (მაჭანკლის) საქმეა. უმაჭანკლოდ იშვიათად თუ საქმე გარიგდება. ქალის მაჭანკლობა ეკუთვნის ოჯახის სიძეს. ვაჟის მამა და დედა დასანიშნავ ქალის ოჯახის სიძეს წარგზავნიან ქალის დედ-მამასთან და ქალს სთხოვენ. თუ ვაჟის ოჯახი ღარიბი არ არის, საქმე მალე რიგდება, მაგრამ ისეთი შემთხვევაც არის, რომ მდიდარი მამა თავის ქალიშვილს ღარიბ-საც მიათხოვებს ხოლმე. დანიშვნა ქალ-ვაჟისა დიდ ხარჯს არ ითხოვს. ვაჟის მამა ქალის მამას გაუგზავნის: ერთ მანათ ფულს, ერთ კელმანდილს, ხუთ ჩაფ დვინოს, ერთ ყოჩს, ხიდუფლობას, ერთ „ეაბ ჭლავას“ (ერთ ღანგარ ალვას). ხანდახან კი დანიშვნა მარტო ხელსახოცითა და ერთი მანათით თავდება. დანიშვნა თუმცა ბევრ ხარჯს არ მოითხოვს, მაგრამ ამ დანიშვნას სხვა ხარჯები მოსდევს საქმროს მამის მხრივ. საქართველოს სხვა კუთხეებში უველკან ქალის ოჯახს მოკლის დიდი ხარჯი, ხოლო აქ კი ვაჟისა. უოველი მზითვეი ქალისა, ქრთამი (ფულად) და წვრილმანი ხარჯი ვაჟის მამამ უნდა გა-

დაიხადოს და არა ქალისამ, რადგან რძლის მოყვანით ოჯახს ემატება ახალი შვილები—მუის. ამ ხარჯს აქვე ჩამოთვლით და, როგორც მკითხველი დაინახავს, ფრიად სკრძნობელია და მიიმე გლეხისათვის.

ღანიშენს ნიშნი მოსდევს. ნიშნისათვის საქმროს მამამ უნდა დაამზადოს: ერთი კელმანდილი (ღირს 1—2—3 მანათი), ბუჭელი (ღირს 1—2 მან.), 25 ნახუქი (ღირს 5—6 მან.), 25 შოთი (2—3 მან.), 1 უოჩი (2—3 მან.), 2 მან. ფული, 20 კვერცხი წითლად შეღებილი (ორი შური), 1 ხურჯინი ვაშლი (1—2 აბაზი), 1 ბაკანი წაბლი (1 აბაზი), 1 ბაკანი (შინა) თხილი (20 - 30 კან.), 1 თაფტა (2—3 მან.). ვაჟის ნათესავებისაგან ღანიშნულის წილი: 20—50 კანკამდე ფული. უოველსავე ამ სამზადის ვაჟის მამა ქალის მამისას მაჭანკალს წარატანს. იქ ქალის მამა მიიწვევს თავის ახლო ნათესავებს და კარგ დროს გაატარებენ, იმ ხურჯინში, რომელიც თაც მაჭანკალმა ნიშნის ხორაგეული წაიღო, დაბრუნებისას საქმროს ეგელა ნათესავებისათვის ღანიშნულ ქალმა თითო წყვილი მატელის წინდა უნდა ჩააწეოს და საქმროსას წარმოგზავნოს. ამით თავდება პირველი ნიშნი, რომელიც, უკანასკნელი რომ ვთქვათ, ღირს 25—30 მან. ამ პატარა ნიშნობას, რამდენისამე თვის ან წლის შემდეგ, დიდი ნიშნობა მოსდევს.

სადიდ-ნიშნოდ ქალის მამისას ვაჟის მამა წარგზავნის: ორ ყაბ ალვას, 2 უოჩს, 20 ჩაფ ღვინოს, 50 ნახუქს, 50 შოთს, ხურჯინ ვაშლს, 1 ბაკან წაბლს და თხილს, 50 კვერცხს, 2 მან. ფულს, 1 თაფტას, 1 უუნას (კისია), 1 თავ შაქარს, ცოტაოდენ კამფეტს და აგრეთვე ნათესავებისაგან ქალს საჩუქრად მისდის: ვისგან აბაზი, ვისგან ექვსი შური, ვისგან ორი აბაზი და სხვ. ღანიშნული ქალი კი იმავე ნიშნის ხურჯინში ჩააწეობს და გამოგზავნის: საქმროს წინდებს და ქალამნის შესაკრავ ბადებს (ბაწრებს), აგრეთვე თითო წყვილ წინდას ან ბადებს საქმროს სახლი-კაცებისთვის. დიდი ნიშნი ფულად რომ ჩავაგდოთ, უკანასკნელი ედირება 50—60 მან. სამწუხაროდ, ხარჯი ამით არ თავდება. დიდ ნიშნის შემდეგ, ქორწილის წინა დღეებში, საქმროს მამეული ქალის მამას კიდევ უგზავნის ფარხის ნიშნს.

ფარხის ნიშნში იმის გარდა, რაც ჩამოთვლილია დიდ ნიშნში,

კიდევ იგზავნება: ჩარდათი, კელმანდილი, 7 ყუნაჲ (კისია), 5 ნაჭერი ფარჩაჲ*), ერთი წყვილი ბაშმაყი (მალაქ ქუსლიანი ქოშები), ვერცხლის ქამარი, ჩაფრასტი, დილეები, იღვა. ყველა ამ ნივთებით დანიშნულს საცმელი და სამკაული უმზადდება. ამას გარდა იმავე ფარჩის ნიშნის ნაწილს ჩაჭბაკანიც შეადგენს. ჩაჭბაკანია: 25 ბაკანი (ზინა) ხორბალი, 1 მსუქანი ხარი ან ფური, 25 ჩაფი დვინო. ჩაჭბაკანით ქალის მამა თავის ქალს გათხოვების დღეს მსუბუქ ქორწილს გადაუხდის.

აქედან ვხედავთ, რომ საინგილოში დიდს გავლენას იქონიებს მარტო ვაჟის მამა; ქალის მამა, ზირ-იქით, სრულიად უზრუნველ-ყოფილია: იგი არა თუ ქალისთვის მზიიავისა და ქრთამის შესაძენად ჩაღიშობს, არამედ უოველივეს საქმროსაკან მოელის, თავის ქალის საქორწილო ხარჯსაც კი.

ზემოთ „ნიშნობის“ აღწერის დროს ჩვენ არ დავსახელებთ კიდევ მატულისა და უაჭის ძაფი, რომელიც დრო-გამოშვებით ეგზავნება დანიშნულს თავისთვის ჯეჯიმებისა, საბნებისა, წინდებისა, ტოლადებისა, აბკებისა, უფლანებისა (ცხენის გარსაკრავი) და სხ. დასაქსოვად, ანუ დასაწნავად ქალამნის ბადებისა, მარაზისა (გრძელი და ფოჩებიანი თოკი, რომელსაც სახლში გააბმენ ხოლმე და ზედ ზოგი აბკებს ჰკიდებს, ზოგი რასა და ზოგი რას) და სხ. ქალს დანიშნის დღიდან უოველ წლივ ეგზავნება ხვედრი წილი: უაჭი, დომფალი, ხაიათი. ამ აბრეშუმეულის ძაფიდან ქალი იქსოვს ვერდებს (საბნებს) აბკებს, ქმრისთვის ჰქსოვს ტოლადებს, ჯეჯიმებს, მარაზს და სხ.

რაკი სიტყვამ მოიტანა, ურიგო არ იქნება ცოტა ხანს შევჩერდეთ და ავწეროთ ზოგიერთი დასახელებული საგანთაგანი, მაგალითად, დანიშნულისათვის წარგზავნილი ქამარი, ჯეჯიმების სახეები, მათი ქსოვა, ნაზუქის ცხობა, ალვა და სხ. და სხ.

ქალის ქამარი ფრიად განიერია, თითქმის ორი გოჯის სიგანისა. ქამარს კარკად მოქნილ ტყავისას აკეთებენ. ტყავს ზემო ზირზე ორ რიგად ვერცხლის აბაზიანებსა და ვერცხლისავე დუგებს უკეთუ-

*) ფარჩას ინგილოები საერთოდ ჩითეულსა და ფარჩეულს უწოდებენ.

ბენ. ხანდახან კი ქამარზე აბაზიანების მაგიერ ხუთშურიანებს ჩაარკებენ ხოლმე (უწინ ქართულს იუღს ჰხმარობდნენ). ქამრის ბოლოებზე ხელის გულის სიგანე და სიშისთ ვერცხლისავე უაშებს (შესაკრავებს) აკეთებენ. მდიდარი კაცი თავის რძლის ქამრის უაშებს ოქროთი აფერინებს. ასეთი ქამარი ადგილობრივ ფასობს 15 მან. მოკიდებული ვიდრე 60—80 მანეთამდე. ქაღს ქამრის გარდა ეგზავნება კიდევ ღილეები, ილგა, ჟინჟირი (ძეწკვი), თუნგები, ჩაფრასტი, ყოჩ ბოღნუზი. ვეველ ამ ვერცხლეულს აკეთებს ზარგარი (ოქრომჭედელი) ოქრომჭედლებად ღეკები არიან. თუ საჭირო ნივთები ბაზარში ვერ იშოვას საქმროს მამამ, მიიწვევს თავისას ზარგარს, გააკეთებინებს ვეველაფერს და ქაღს გაუგზავნის. ამ დროს, ვისაც შეძლება აქვს, ვაჟსაც გაუკეთებინებს აშურმას (ვერცხლის ქამარს). ჩაფრასტი, ქამარი, ჯინჯირი, აშურმა და მათებრ ფასიანი სამკაული გადის ხმარებიდამ, რადგან ხაღის შეძლებამ იკლო ბოლო ხანებში.

ნახუქებისთვის მაგარ ცომს მოჭყელენ. ბლომა ერბოში ხახვს მოხრაკავენ, მერე ცომს დაგუნდავენ, კეტ-კეტად დაპტუელებენ და უოველ კეტს მოხრაკულ ხახვიან ერბოს ბლომად წაუსმენ. შემდეგ მრავალ კეტებით შემდგარ გუნდას ასტამით დაპტუელებენ და თონეში ჩააკერენ. ნახუქი (=ნახუქი) თონეში იბრაწება და შენიერ სუნს უშეებს. საჭმელად ფრიად გემრიელია, ნოეიერი და კაცს გულს მალე უსუეებს. შოთებს ისევე აცხობენ, როგორც ვეველას საქართველოში. ამას გარდა აქ აცხობენ აგრეთვე თეთრსა და წითელ (კვერცხის გულ წასმულ) ლავაშებს.

აღვა დაფქვილ ბრინჯის იციან. ბრინჯს ფეხის დინგში (სანაუაშა) დანაუავენ, მერე სუფთად გარეცხავენ, თიანში ჩაჭერიან, თაფლსაც ჩასხმენ და მოშუშვენ, მერე ერბოსაც დასხმენ, ისე რომ მოშუშული ბრინჯი გასქელდება, შემდეგ თიანს გადმოიღებენ და აღვა მზად არის. დამზადებულ აღვას ლანგრებსა და სინებზე გადილებენ, ზემოდან დასტკეპნიან, რომ სახე მიეცეს. ერთ სინს ანუ ერთ ლანგარ აღვას „უბი აღვა“ ჰქვია.

ჯეჯიმებსა და უაჭ-დომთაღ ძათს უაჭრაზედ (ჯარაზედ) და თითის-ტარაზედ ართვენ (ასტკვენ). ჯერ მატულს საჩქელზე დასჩქენ, დაჩქილს მატულს ფაროებად დაწყობენ, მერე ამ ფაროებს ჯარაზედ,

ანუ ტარზედ დართვენ, დართულ ძათს ორ-სამ-ოთხ წვერად (ტოტად) ჭარაზედვე დაჭძახვენ, შერე დაჭხვეწენ, დაჭკიფვენ, შეჭლებვენ და ძათი საქსოვად მომზადდება.

ძათს თითონვე ღებვენ წითლად, მწვანედ, ყვითლად, შავად, ცის-ფერად და იის-ფერად.

წითლად ღებვა ძათისა: ბლომა შვინდს მოჭხარშავ და იმ წონის შაბსაც დაატან შვინდს, რა წონისაც არის ძათი. შერე ქვამში ძათს ჩაჭერი და ბლომად ადუღებ. ძათს ისევ ამოიღებ, მცეზედ დაჭტუნავ, გააშრობ, შემდეგ იმავე ქვამში ბლომა ენდროსაც დაუმატებ და წყალში გარეცხილ ძათს ისევ ქვამში ჩააგდებ, ადუღებ შვიდ-რვა საათის განმავლობაში. შემდეგ ქვამს გადამოიღებ, ძათს ამოიღებ, გააშრობ და გარეცხავ, შერე ქვამში ძროხის შარდს*) ჩასხამ და იმაში ძათს დაჭტიტბავ (ჩაჭერი და აადუღებ). ქვამი რომ წამოდუღდება, ძათს ამოიღებ, გარეცხავ, გააშრობ და მოიხმარ.

მწვანედ: მოიღებ „სამწონე ბაღასს“ (ქართულად რა ჰქვამს, არ ვიცი. ამ ბაღასის სახელი არც რ. ერისთავის საბოტანიკო ლექსიკონშია მოხსენებული და არც ქართულ სხვა ლექსიკონებში). სამწონეს ჩაჭერი ქვამში და ადუღებ. ჩაჭერი აგრეთვე ძათსაც. მთელი დღე უნდა იდუღოს. შერე დღეს ქვამიდგან ამოიღებ და ძროხის აუღუღას შარდში ამოაფლებ, შერე გაფოთლილ ანწლს გაჭმლი, შიგ ძათს ჩაწვენ და ზემოდგანაც ბლომადვე ანწლს დააყრი. ასე უნდა მოიქცე სამის დღის განმავლობაში, ისე კი, რომ ყოველდღე ახალ-ახალი შარდი და ანწლი უნდა იყოს.

ყვითლად: თრიმლის ღეროებს იმდენად გასთლი, რომ მარტო ყვითელი გუდი-და დარჩეს. ამ გუდს წვრილად დასჭრი და დააშობ. რამდენსაც ბლომად დამზადებ თრიმლის გუდს, იმდენად კარგა შეიღებება ძათი. დამზადებულ ჩხირებს კარგა მოჭხარშავ, შერე ძათსა და ძათის $\frac{1}{4}$ წონა შაბს ერთად თრიმლიან ქვამში ჩაჭერი, ცოტას ადუღებ, ისევ ძათს ამოიღებ და ძროხის ადუღებულ შარდში დაჭტიტბავ. შემდეგ ძათს ამოიღებ, ცივ წყალში გაჭრეცხავ და გააშრობ და ძათი

*) ამ შემთხვევისთვის ძროხის შარდი დილა ადრეან უნდა დაამზადონ, სხვა დროისა არ გამოდგება.

შეიღებება. ამნიარის ღებვისკან ძათს სრული უვითელი ფერი არ ეძლევა, არამედ მოევიითალო, ამიტომაც ინგილონი ამ ფერს უვითელს კი არ ეძახიან, არამედ კაპრაშს. სრული უვითელი ფერი ძათს ეძლევა სვიისკან. ბლომა სვიას წყალში მოჭხარშავ, შახსაც შეურევ, ძათსაც ქვებში ჩაჭერი და აღუღებ კარკა ხანს, მერე ძათს ამოიღებ და ძროხის შარდში ერთ ღღის განმავლობაში დაჭტიტბავ, შემდეგ დაჭრეცხვ და კარგი უვითელი ძათი დაღება.

შეად შეღებვა: თავშავს დაჭკლეჯავ ფესვიანად, ძირებს დაურეცხავ, მერე ქვებში ბლომად აღუღებ ჟანკაროიანად, გამავლება სრულიად, შემდეგ ძათებსაც იმავე ქვებში ჩაჭერი და ბლომად აღუღებ, მერე წვეს ჟანკაროიანად ცალკე მენაში ჩახსამ, შიგ ძათსაც ჩაწვენ და ზე დაჭხურავ. ძათს მთვარემ არ უნდა დაჭკრას ფერი წაუვაო. ორ კვირაზე ძათი მენაში სრულიად გამავლება. ამ ორის კვირის განმავლობაში ისე უნდა მოიქცე, რომ ღღე-გამომშვებით ძათი მენადამ ამოიღო, გასწურო, მზეზე გააშრო და ისევ მენაში ჩაწვინო. ასე იმიტომ შვრებაან, რომ ძათი არ დაღებეს; ორის კვირის შემდეგ იმავე მენაში მეოფ წვეს ააღუღებ, ძათებსაც შიგ ცოტა ხანს ჩაჭერი, შემდეგ ამოიღებ, გაჭრეცხვ ცივ წყალში, კარკა გასწურავ და მზეზე გააშრობ. ამით დასრულდება ძათის შვად შეღებვა.

იისფერად (ისფერად) შეღებვა: კაკლის კაწახს ანუ კარწახს (წინგოს) ბლომად მოჭხარშავ და ძათსაც შიგ ჩაჭერი. კარკა ხანს აღუღებ, მერე ქვებს ძათიანად გადმოიღებ და ბლომად სუთთა ნცარს შიგ ჩაჭერი და ჯოხით დაუწეებ რევას. ნცარი იმღენი უნდა ჩაჭურო, რომ სულ მთლად ფათად იქცეს. ბევრის რევის შემდეგ ძათს შიგ ქვებშივე მეორე ღღემღის დასტოვებ, მეორე ღღეს ძათს ამოიღებ, ცივ წყალში გაჭრეცხვ, გააშრობ და ძათი მზათა.

ამნიარად, მომეტებულად, მატელის ძათს (ბაწარს ჩვენებურად) ჭლებავენ და უაჭ-ღომთელის ძათსა და ხაიათებს კი უფრო მეტად ბაწარში აღებინებენ.

სიტყვით, ძათს სულ ეჭეს ფერად ღებვენ. შეღებილს მაგანკლის ხელით დანიშნულს უკზავნიან და სახლში თითონაც ინარჩუნებენ შინაურ საჭირკებისათვის, შესაკერ-დასაკერად. მიტანილის ძათით დანიშნული, როგორცა ვთქვით, ჯეჯიმებსა და საბნებს იქსოვს. სულ

უნდა მოქსოვოს 8—12 ჯეჯიმი, უაჭის ორი ან სამი საბანი, 6—8 აბგა, ერთი ან ორი მარაზი, რამდენიმე წვეილი ტოლაღი, წინდა, ულანი, ჯეჯიმების სპირე (ჟიჟიმი-პირ), ქალამნის ბადები და სხ.

ჯეჯიმებსა და საბნებს ჭრელ-ჭრელებს ჰქსოვენ. სიჭრელისა და ფერადის მიხედვით ჯეჯიმი არის: თორჰამიანი (ბადე-ბადე, ანუ უჯრა-უჯრა), ექვს ჭრელიანი, უირს-ჟინჟირი (ორმოც ძეწკოვანი), ზარბაბ-ჰამიანი, ალღუი, ბეშ-ყარდაში (ხუთ-ძმოვანი), ბულა-ბოღნუზი, გეგ-ჰამიანი (ცის-ფერი), კიდბანა-ჭრელი, თექვსი-ჟინჟირი (ერთ-ძეწკოვანი), ალაურთი, სავალაჲ, კიჭკიჭაჲ, წონე-თახტაჲ და თეთრ-თახტაჲ, სულ 14 ნაირი.

ჰქსოვენ კმლითა. ძაღს ჯერ გააბმენ ჰალაგებზე და ქუჟოში გააძვრენ, გასჭიმვენ მაკრა და საქსოვის მხრით ქუჟოს სამფეხა ტატიკელაზე საბლით ჩამაბმენ. ქუჟოს უკანიდან ვარანგელა აქვს გატარებული, წინიდან კი კმაღი მუშაობს. იქვე ზედ გაბმულ ხანაზე (საქსოვზე) ზის მქსოველი და ჰქსოვს. მქსოველს იქვე უღევს ჩხირი ან თითის-ტარი, რომლის მოსმითაც აწეწილი ძაფი ისევ თავის ადგილას ჩადგება ხოლმე; აგრეთვე იქვეა ერთი გორგალი „შიგ-სავალაჲ“ ძაფი. მქსოველი რომ ჩაჰბეჭავს, მერე კმაღს გაატარებს, უირაზე დაუეჩებს, რის გამოც გაბმულ ხანას ზემო კეტი ძაფი მალა წაჲა, ამ დროს „სავალა“ გორგალს გაატარებს, მაკრა გასწევს და ძაფი რომ გასწორდება, მერე კმაღს გადაწვენს და მაკრა ჩაჰკრავს. შემდეგ მუორედ და მესამედაც. ასე მუშაობს მქსოველი და ერთის დღის განმავლობაში ჯეჯიმს ერთ ან ერთ-ნახევარ კმლის სიგრძისას ჰქსოვს (კმაღი ერთის ადღის სიგრძისა არის), ვერდანსა და შალს ორის კმლის სიგრძისას. ჯეჯიმსა, ვერდანსა და შალს სიგანე ორ მტკაველზე მომეტებული არა აქვს, უფრო კი ნაკლებია. უოველ ვერდნისა და ჯეჯიმის სიგრძე კაცზე გრძელი არ არის ხოლმე, ამიტომაც ხანას (საქსოვს) რვა „განის“ სიგრძისას აბმენ. ოთხის „განის“ ერთმანეთზე გადაკერებით ერთი ჯეჯიმი ანუ ერთი ვერდანი დგება. მაშასადამე, 12 ჯეჯიმისათვის საქსოვი ხანა უნდა გააბან ექვსჯერ და ერთხელაც ვერდნებისათვის. ჯეჯიმები რომ დაიქსოვება, ახლა მათი ნაბადზე გადაკვრასა საჭიროა. ნაბდებს ფეძქებს აკებინებენ. 12 ჯეჯიმისთვის საჭიროა 12 ნაბადი და ამდენივე ცალკე დაქსოვილი „ჟი-

უიანი-პირები“. ჭეჭიმების ნახდებზე რომ გადააკვრენ, ახლა უიიმი-პირებს ჭეჭიმისავე ნაპირებზე მიაკელებენ. მერე ყოველს ჭეჭიმს ოთხად გადაჭკეტვენ და ჰუჭად (წუბად) ლამაზად დააწებენ. ვერლანებსაც სქელ ნახდებს (ჩიგლამას) და უდებენ, ჩიგლამას კიდევ ქვემოდგან მთლად ჩითის პირებს მიაკელებენ.

3. ქ ო რ წ ი ლ ი .

ქორწილი და მისთვის მზადება. ქორწილში მოპატიჟება. მემზანა-გობა. შემკმაზლები. საკლავები. ნეფის გამოყვანა. გატანებულები. გამოტანებულები. ფართლის მოტანა. მეკურტნე და მისი სარგო. პატარძლის მოყვანა და დახვედრა. თხილის თავზე გადაყრა. პატარძლის სახლში შეყვანა და სამ-გზის კერიის გარშემო შემოტარება. დიდი ქორწილის დღე. „შახი“. ფეხზე-დგომელი. შაბაშის დღე.

ამგვარად, დანიშნულს ქალს მზითევი ორის-სამის წლის განმავლობაში უმზადდება. მზითევი რომ დამზადდება, ვაჟის მამა მაჰანკლის პირით ზახალს (მასხალს) ეკითხება, წლეულს ქალს მადლეუ, თუ არაო. მასხალიც ან ჰოს შემოუთვლის, ან არას. ხშირად ქალის მამა კიდევ ინახება, ქალს ადვილად არა სთმობს. იგი უურადლებსაც არ აქცევს საქმრის მამის ხარჯ-ხაჯალათს. მევანე უფარბედა ღკება. რატომაც არა! საქმრადამ აძენი სტუმელ-სასმელი მოსდის და ყოველი მზითევი ქალისა, მოიმედეა, რომ ბლამა ქრთამსაც აიდებს, ქალის საქორწინო ხარჯსაც გამოართმევს და ამას გარდა ერთის წლის განმავლობაში ქალს კიდევ თავის სახლში ამუშავებს თავის სასარგებლოდ. ჩვენში ხომ კაციცა და ქალიც ძვირფას მუშად ითვლებიან. და მამა რომ უარზე ღკება, უფრო ამ მუშა ხელის დათმობა ენანება. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამ გვარ უდმერთო დედ-მამას, ხშირად ქალები სასტოკად სჯიან: ჩუმიდ გაიზარებიან საქმრისას და ჯვარს გადაიწერენ ხოლმე.

ასეა თუ ისე, ამასობაში ქორწინების დროც მოდის, დრო სავსებისა და ღზინისა, ე. ი. შემოდგომა. რთველის შემდეგ აქ ქორწილები იმართება. ქორწილისთვის წინა დღითვე საქმრის ოჯახი დიდ ფაცა-ფუცს შეუდგება. ქორწილის ერთის კვირის წინად სახლის ჰა-

ტრონი მოიწვევს ორ-სამს ნათესავ დედაკაცებს ჰურის საცხოვრებლად. ისინი შეუდგებიან თეთრის ლავაშის ცხობას. ქორწილის დღემდის დღეში 5—6 ცომს აცხობენ. თითონ ოჯახის ჰატრონიც სხვა თავდარივს შეუდგება: ორსა ან სამ საქონელს იყიდის ქორწილის ხალხის სამსპინძლოდ, ექვსიოდუ ბათმან ეველს (ბათმანში 33 გირვანქა), დაამზადებს $\frac{1}{2}$ თაღარ (15 ჩაფ) არაყს, ათიოდუ თაღარ ღვინოს, ორმო ვაშლს (აქ ვაშლს ორმოში ინახვენ, ორმო ვაშლი ორ-სამ ფუტს იწონს), ყურძენსა, თაფლსა და კობოც უნდა ჰქონდეს შენახული.

ყველაფერს რომ დაამზადებს საქმროს მამა, წინ-დღითვე სოფელში სწნდო კაცებს (ორს) გაჰგზავნის ნაწნობთა და ნათესავთა ქორწილში დასაძახებლად (მოსაწვევად). „დამზახნელები“ კარდაკარ დადიან, ეველას ეზოში შევლენ, ჰირდაჰირ სახლისაკენ გაეშურებიან, ხმა-ამოუღებელივ სახლში შევლენ, ცეცხლა ჰირზე (კერას ჰირში) ნაბაღზე ჩამოსხდებიან და სახლის ჰატრონს მიჰმართავენ ამ სიტყვებით:

„მაფანმა (სახელი) გამოგგზავნა, ხუად ქორწილ აქოყ, ყერ შენ გეზახით, სახლი ჰატრონო, მემღან შენ ზაღა (თუ სახლის ჰატრონის ცოლი ძაღუათ არ მოუხდება, მის სახელს იტყვიან ხოლმე), თქვენ ქუღთათს, ერ მინამ (არაფინ) შინ არ დარჩეს, მალაჰთ, თუ უონად (სტუმარი) ვაფაყ, ისიც მაჰყონით“.

სახლის ჰატრონი „დამზახნელებს“ ჰასუხად ეტყვის:

„ჰუმბარაკ (ბედნიერი იქნეს, გეზი აჰდინ (თვალ-ბედნიან) იქნეს, თაღაიან (იღბლიანი) იქნეს, დმერთმა კელ-მოგიმართასუ“.

ამის შემდეგ დამზახნელები ახლა სხვისას გაემართებიან და იმავე სიტყვებით მიიწვევენ ყველას. ბოლო სახლში მოსაწვევად რომ მივლენ, იქვე დარჩებიან ვახშმად.

ქორწილის წინა დღეს, საღამოს, საქმროს სახლში ნათესავე ბისთვის იმართება „მემზახნაკეს საღამო“ ანუ „მემზახნაკობა“. იურებიან ნათესავნი და საყვარელი მეგობრები და საქმროს ტოლ-ამხანაგები, შუალამედის ღვინობენ, ჰეიფობენ და მერე თავიანთ სახლებში მიდიან. მემზახნაკობის მერე დღიდგან იწყება ნამდვილი ქორწილი. ამ 15—20-ის წლის წინად ქორწილი 4—5 დღე იცოდნენ. დღეს კი ორიოდ-სამიოდ დღესაც ქორწილი აქ მხოლოდ აქ-იქ იმარ-

თება და უფრო ხშირად კი ერთ-ორ დღეს ღზინობენ და ამით ათავებენ ქორწილს. ჩვენ ისევ იმ ძველის დროის ქორწილს ავწერთ. ნამდვილს ქორწილს სამი სახელი ჰქვია: ჰატრა ქორწილ, დიდ ქორწილ და ფეეზე-დგომელი ქორწილ. ჰატრა ქორწილი იცინა ვირგელს დღეს, დიდი ქორწილი—მეორესა და მესამე დღეს, ხოლო ფეეზე მდგომელთა ქორწილი—მეოთხე დღეს.

ჰატრა ქორწილის დღეს დიდიდგანვე საქმრო ცალკე ჩაიკეტება თავის „შემკმაზაუბით“ (მომრთველებით) და საცოლო აგრეთვე ცალკე დაბინავდება მამის რომელსამე სახლში, ან ოთახში. ვაჟის შემკმაზავად ერთს ან ორს კაცს ირჩევენ ტოლ-ამხანაგ-ნათესავთაგან, ქალის შესაკმაზად კი ამ გვარადვე ქალებს ირჩევენ. ქალისა და ვაჟის შემკმაზაულებს ორ-ორ აბაზს აძლევენ.

ნეფე-ჰატრადღს დილა-ადრინა წაიუვანენ ეკლესიაში და ჯვარს გადასწერენ. მკმადანი ინგილოები კი რადღს სახლში მოიუვანენ და ნიქს გაუჭრიან. ჯვარ-დაწერილები თავ-თავიანთს სახლებშივე ბრუნდებიან: ნეფე მამის სახლში და დედოფალიც თავის მამისავე სახლში. წაუღენ სახლში და ისევ ცალკე ჩაიკეტებიან. ჰატრა ქორწილის სადამოსევე ერთ სახორცე საკლავს დაჰკლავენ და დილითვე საჭმლის მზადებას შეუდგებიან; ამზადებენ ხორცის წვეინს საარაუე ქვაბებში, ცივად მოხარშულ ხორცს, კილანებში (თინის ჰაწია ჯამია) უველს და სხ. ვინც მოფა სტუმარი, იმას არაუს დააღეუინებენ და ვაშლს, ან უურძენს მიართმევენ. შემდეგ ნაღარა-ზურნით ნეფეს ქონიდგან გამოსაუვანად წაუღენ. კარი გაიღება და ნეფე, სულ მთლად ნაბადში გახვეული, მორცხობით და ნელ-ნელა გამოფა. ნეფე ნაბადში ისეა გახვეული, რომ თვლების მეტი აღარ უჩანს რა. რაწამს ნეფე გარეთ გამობრძანდება, მისი დედ-მამა მოვალეა შეიღის წინ იშუთროს (იცეკვოს), გადაჰკოცნოს და კისერზედ კელ-მანდილი მოახვიოს. აქედგან ნაღარა-ზურნის კვრით ნეფეს დიდ სახლში მიიუვანენ, სუფრას გაშლიან, უველანი ჩამოსხდებიან და ღზინი გაჩადდება. სტუმრებს მორთმევენ ბლრმა ხორცს, წვეინს, ლავაშს, დვინოს კელადებით და ორსამ კაცს ერთად თითო ნაჭერ სამწვადეს, რომელიც „ხორკის ამხანაგობამ“ თითონვე უნდა შეიწვას და შეექცეს. მწვადის შესწავავად ხის შამიურება და მზადებული და გარეთ ცეცხლი ანთია. სახლ-

ში იმართება დიდი ღაშარაკი, დიდი „მაშუელათი“, სიმღერა, უყანი, ღვინის სმა, თამაშობა და სხ. სახლის პატრონი იქვე ზის, ან სტუმრებს დასტრიალებს და ყველას აქეზებს, ყველას სთხოვს: „ზმებო, ღუნქა დაღვიოთ, ნუ გშურსე, გაიხართ“ . ამასობაში გარეთ „ჭენგებისთვის“ (მყრიონი ქალები) ცხენებს ამზადებენ ნეფეს ნათესავები. მყრიონში მონაწილეობას იღებს ოციოდე ქალი და შვიდი კაცი „გატანებულნი“ . გატანებულებში ერთი მაჭანკალია და ერთი კაციც ვინმე წარჩინებულთაგანი. გატანებულებს მიაქვთ: ორი მონარშული ქათამი, ერთი ჩაფი ღვინო, ორი სატუნქა (ბარკლის ხორციანი ძელები), ერთი „კლავი“ (მხარი), უხაყი (ცხვრის ღორი). ამას გარდა მყრიონში მონაწილე დედაკაცებს სხვა კაცებიც მიჰყვებიან, (ყილაფდრები) ცხენების ჩამოსართმევად. მყრიონში ცხენოსანნი მხოლოდ ქალები, კაცები კი ქვეითად მიდიან. მყრიონს მიუძღვება ნაღარა-ზურნა. მამაკაცი თოფ-იარაღით არიან. აი მყრიონმაც მოატანა და დედუფლის ეზოს კარებს მოადგა. კარები დაკეტილია და იქვე მძალ სეზე (აფატზე) მამხალაა გაკეთებული. გრძელი აფატი მიწაში დაურჭვიათ და მის წვერზე ვაშლი გაუკეთებიათ. მყრიონს კარები გაეღება მხოლოდ მაშინ, როდესაც თოფით ვაშლს ჩამოაგდებენ. კარებს რომ გაუღებენ, ყველანი შევლენ ეზოში, მიუღოცვენ ქორწილს დედუფლის მამას, რომელიც ყველას მიიწვევს სუფრაზე და გამოტანებულებს „კაცის მარაქაში“ დასხამს და ქალებს „ქალების მარაქაში“ (სუფრაზე), მცირეოდე ხანს სჭამენ-სმენ, მერე აიშლებიან, პატარაღს ცხენზე შესმენ და წამოვლენ ნაღარა-ზურნის კვრით. პატარაღს გამოსტუმრებად ნეფიონისას, ნეფიონის ურმითვე, მიაქვთ ქალის ფართალი (ჭოჭიშები, ვერდნები, კიდობანი და სხ.). ურემს მიჰყვება „მეგურტნი“, ქალის ნათესავი ყრმა. იმისი მოვალეობა ის არის, რომ ნეფიონისას მოტანილს პატარაღს ფართაღს, ქორწილის გათავებად, ხელი არავინ ახლავს. ამიტომაც იგი, საცა ფართაღს დალაგებენ, იქ ახლავს უნდა იჯდეს და უური უგდოს. გარჯისათვის იმას ერთი აბაზი უნდა მისცენ ნეფიონის სახლიდამ. პატარაღის მოსაყვანად ნეფიონის სახლიდგან იგზავნება კარგი ულაყი ცხენი, რომელსაც დედუფალმა უფროს მარაზი უნდა შეაბას. თითონ პატარაღი შემოსილია ისე, რომ სრულიად ზირი არ უჩანს. იმას

აცვია ფარჩულის ტანისამოსი, ახალთხუდ აკერია ვერცხლის მოსართავები, არტუია ქამარი ილაგავი (ფართო და განიერი ძეწკვი) გულზედ ჰკიდია და სხ. თავზედ ჰხურავს აბრეშუმის შავი კელმანდილი, კეტ-კეტად დაკეცილი და შუბლისკენ ცხვირივით გრძლად გადმოშვერილი. ამგვარად მორთულ ჰატარაძეს ზემოდგან ჩამოხურული აქვს აბრეშუმის დიდი ქალაღა. მამა ან ბიძა მორთულ ჰატარაძეს შესვამის ცხენზე და გამოსიტუმრებს. ჰატარაძის ცხენი მოჭყავს ჯილაგდარს. ჰატარაძეს იმისივე ოჯახიდან მოჭყეება მღაღე (დაღ) და შვიდი გამოტანებული იმ გვარისავე სანოვავით, რა გვარითაც ნუფიონის გატანებულიები წავიდნენ; ჰატარაძეს მოიყვანენ ეზოს კარებზე. აქაც მაშხალაა, ხოლო ვაშლი კი არა, არამედ ცეცხლი, რომელიც მღაღე ჰალთს წვერზე ანთია. გამოტანებულიები ცეცხლს თოფს მიატრუმენ, კარები გაიღება და ყველანი შეუღენ ეზოში და ცხენებიდან ჩამოხტებიან. ჰატარაძეს კი ჯილაგდარი საოჯახო სახლის კარებზე მიიყვანს. აქ სახლის სახურავზე კიბე აყუდია, რომელზედაც ნუფაა ასული. ჰატარაძეს რომ კიბის ძირში ჯილაგდარი მიიყვანს, მუფე ერთ ჯამ თხილს თავზე გადმოაყრის. რას ნიშნავს თხილის გადმოყრა ჰატარაძეზე, არავინ იცის. შემდეგ მამამთილი მივა ცხენთან და ჰატარაძეს გადმოხვამს. ჰატარაძეს მხარში ამოუდგებიან მღაღე ერთის მხრით და ნათესავი ქალი მეორეს მხრით და შინ შეიყვანენ. კარებზე დაუხვდებია დედამთილი, აეწევს ქალაღას და ჰირზე თათლს წასცხებს. მარჯვენა ხელშიაც ცომს ჩაუღებს და კარის თავზე მიაკვრევიანებს. მერე წაიყვანს და ფქვილის კასრებში ხელს ჩაყოფინებს. ჰირზედ თათლის წაცხება ქალის სიტკბოილეს, სიტკბოებით დროს გატარებას ჰნიშნავს, კასრებში ხელის ჩაყოფინება—ახალ-მოსულ ჰატარაძის ხელის ბარაქას მოასწავებს. ფქვილის კასრში რომ ჰატარაძლი ხელს ჩაყოფის, შიგ ჩაგღებს „კოკოს“ (კერს), რომელიც მამის სახლიდან გამატანეს. შემდეგ ჰატარაძეს მიიყვანენ და კორთეში (სახლის ჩრდილოეთი კუთხე) დასმენ და მუხლებზე მცირე წლოვან ვაჟს ჩაუსმენ—ვაჟიშვილები მოგეცესო. რაღი ამ ემაწვილს ერთ წვეილ წინდას აჩუქებს. რაღის დასასვენებელი კორთე ჩარჩავით (ფარდით) გალობლია. რაღთან ახალგაზდა ქალები და მღაღე სხდებიან. ფარდას ქვემოთ, კერას მარცხნივ, დედაკაცების მარჯვან გამწკრივებული, კერის

მარჯვნივ კი კაცებისა. ნეტე კაცების მარაქაში ზის. იმასთან ერთად მარჯვნივ და მარცხნივ იმისი შემკამაზელები სხედან, ლხინი, თამაში და სიმღერა კარგა შუალამედის არა სწყდება. შემდეგ კი მეზობლად მოსასლე ხალხი თავიანთ სახლებში მიდიან დასაძინებლად, შორეულე-ბი კი იქვე რჩებიან. ზატარადლი ჰირველ ღამეს ქმართან არ იძინებს. ამ ღამეს იგი სახლის სტუმარია და ცალკე უნდა მოისვენოს ქალებთან. ხოლო მეორე და მესამე დღე დიდი ქორწილის დღეებია.

ნამდვილი ქორწილი ამ დღეებში იმართება. დილიდანვე ეზოში გრძელ სუფრას გაშლიან, სუფრის მიუთლებაზედ ორივე მხრივ ნეჭებს დალაგებენ. მამაკაცების და დედაკაცების მარაქისთვის სუფრა ცალ-ცალკე იშლება. სუფრას რომ დაამზადებენ, ზატარადლს თამაშობითა და ნადარა-ზუნრით გამოიყვანენ და დედაკაცების მარაქაში ბალიშებზე დასმენ. შემდეგ ნეტესაც მამაკაცების მარაქაში დასმენ და უველა ხალხი დალაგდება. ნეტის წინ სამს ჩხირზედ სამეფხად, „შახს“ აკეთებენ. „შახსი“ ჩხირებზე წითელი ვაშლებია ჩამორიგებული. „შახსი“ სინზედ არის დაურდნობილი. იმავე სინზედ აწევია: შაქრის ნატეხები, კვერცხები, შოთები, ლავაშები, ხორცი, ქაშამი და სხ. ნეტე ზის სუფრის შუა ადგილს. მენადარე და მეზურნე სუფრის ბოლოში სხედან. წარჩინებული და ხანში შესული ხალხი სუფრის თავს მოქექევთან, ხოლო ახალგაზდობა და „ღარიბ-ღურბათნი“ კი სუფრის ბოლოს. ამგვარადვე სხდებიან დედაკაცები. მათი მარაქა კაცების მარაქაზე მოშორებით არის და იქ არც მენადარე-მეზურნეა. ხალხი რომ დალაგდება, მთარმეკენ შაჭმელს. „ვარცლზე დგომელ“ ხალხს ჰურს „ჩამოურის“ (მიართმევს), „ქობებზე დგომელ“ კორცს, მწვადს, უველს, „ქვერზე დგომელ“ ჩაფებიითა და კოტოშებით დვინოს. ქვერზე, ქობზე, ვარცლზე დგომლებს ბევრი თანაშემწენი ჰყავთ. იგინი სტუმრებთან დგანან, ზოგი ხალხს დვინოს ასმევს, ზოგი ჰურს აძლევს, ზოგი უურს უგდებს, ვის რა აკლია, ან ვინ რას მოითხოვს, რომ მიუტანოს. სტუმრები შეექცევიან ნელ-ნელა. დრო-გამომშვებით ნადარა-ზუნრას აკვრევიანებენ და ხალხს ნეტის წინ ათამაშებენ. დრო-გამომშვებითვე ვაფის ნათესავი ქალები მოდიან და ნეტის წინ შუფრობენ. ნეტე ამ დროს თვებზე ადგება. ქალი შუფრობას რომ მოჩჩება, მივა ნეტესთან და კისერზე ორ-სამ შურთან ხელსახოცს შემოაკრავს,

აკაცებს შუბლში და ისევ ქალების მარჯაში წავა. ამნაირად ნეფეს მრავალი ხელსახოცი უკროვდება. სტუმრების გასართობად კარგ მომედერლებს მოიწვევენ ხოლმე და ერთს ვისმე ხუმარად (თინჩიდ) ამოიჩვენებენ. ხუმარას საქმე, როგორც იმის სახელწოდებიდამე სჩანს, სტუმრების კართობა და გამხიარულება არის. ამიტომაც ხუმარა გააკეთებს სხვა და სხვა ცხოველების სახეს, დათვისას, ტურისას და სხ., და დაჯდება სუფრის ბოლოზე. დაიწეებს ოხუნჯობას, ღმუჭვა-გრეხვას, თამაშობს და ასე ართობს ხალხს, ხშირად კი იტყვის რასმე მახვილავ სიტუვას და მიიტყვევს მთელის ხალხის ყურადღებას. თუ ვინმემ გამოჯავრება დაუწეო, ადგება და „დაჭსრქმავს“ (წააქცევს და ბღუჯავს). ამ სეირის მსუერებელი ხალხი იცინის, იცინის, კვდება სიცილითა. ხუმარას გამოტანებულად ჰქველის. ვინმე ნეფეს ნათესავთაგანს რაზედმე შარს აუტეხავს და დაჯარიმებს ერთის ჩათვის ღვინითა, ცხვრის ლორითა და სხ. დაჯარიმებულმა განზავა თუ დაიწეო, გამოტანებული უბრძანებს ბიჭებს, რომ იგი „დაბან“ (ხელფეხი შეუკრან და ხეზედ მიბან). ხეზედ მიბმულს ფეხებში ჯოხით ცემას დაუწეებენ, სცემენ, რასაკვირველია, ხუმრობით, იმ დრომდე, მინამ დაჯარიმებული თვითონვე არ შეეხვეწება, „ოღონდ გამიშვით და ვეკლავფერს მოგიტანთო“. აუშვებენ და მართლაც მოაქვს ღვინო, ქათამი ჭ სხ. ამნაირად ნეფის სტუმრებს ნათესავებიდამ დიდძალი ხორაკი მისდით. ქორწილშივე ახალგაზდა თოფოსანნი მიზანში სროლას იწყებენ, თამაშობენ, მღერაინ და ღხინობენ. ქორწილში მოწეენა დიდი სირცხვილია, ვინც მოვა უეჭველად უნდა იმხიარულოს.

მესამე დღე შაბაშის დღეა. ნეფის ოჯახი ერთ სანდო კაცს ამოიჩვენებს ხოლმე. მეშაბაშე აიღებს ერთ ვაშლს, შიგ დაურჭობს აბაზიანს, შევა კაცების მარჯაში და დაიძახებს:

— აჲ ჯამათო, უერ დამიგდით, ახალ ხაბარ მოსულ!

— ხეარ იქნეს! — ერთხმად დაიძახებენ სტუმრები.

— ხეარი, მადლობაჲ ღმერთს! მავანმა (სახელი რქვი) ერთი მანათი ბეგისთვის (ვითომ ნეფისთვისაო) ხალათის საფასურად გამოგზავნა!

— ააშენოს, ააშენოს, ჰურაჲ, ჰურაჲ! — გრილებს ხალხი და ნაღარა-ზურნაც უკრავს. ამგვარ სიტყვებით მეშაბაშეს ეგებებიან ყოველ შაბაშის შემდეგ. შაბაშს სწირავს ვეკლა, ვინც კი ქორწილში

დაესწრება. შაბაშად იწირება ზოგის ოჯახისაგან მანათი, ზოგისაგან $\frac{1}{2}$ მან., ორი აბაზი და სს., ასე რომ ზოგიერთ ბედნიერ ნეტეს რამდენიმე თუმანი უგროვდება.

მეოთხე დღის ქორწილი ფეხზე მდგომების ქორწილია, ამიტომაც „ფეხზე დგომელი ქორწილი“-ი ჰქვია. ამ დღეს, ფეხზე-მდგომელებს გარდა, ნათესაუებიც მოვლენ და საღამომდის იღხენენ. მერე სახლი-პატრონს გამოემშვიდობებიან და წავ-წამოვლენ თავ-თავიანთსა.

4. ქორწილის ბოლო.

ნეფე-დედოფლის პირველი შეხვედრა მდადეს დასწრებით. ფეხის-ბანა. მუშაობის დაწყება პატარძლისაგან. ქალის ჩაცმა-დახურვა. პელმანდილი. საქორწილო ხარჯების ჯამი. დავალიანება. უდიერი სარგებელი და ვაჭრების ალაგმვა. „სიზის დაზახება“. ტკბილეულის მოტანა. დასიება და მისი „წამალი“.

ზევით თავის დროზე ვერ აღვნიშნეთ ქორწილის შესახები ზოგიერთი წვრილმანი გარემოება, რომელიც ასურათებს ხაღხის ეოფა-ცხოვრებას. ქორწილის მეორე დამეს, სტურები რომ სახლში კერას გარშემო დალაგებიან და ჭამა-სმასა და სიმღერა-ღაპარაკს გააჩაღებენ, ნეტეს გააპარებენ სახლიდან და „აურზე“ (სახლის სხვენიზე) აიყვანენ. იქ იმისთვის გაშლილია ღოგინი. შემემსაზელები ღოგინში ჩაწვენენ და ჩამოვლენ. მცირე ხნის შემდეგ დედუფაღსაც გააპარებენ და იქვე აურზე აიყვანენ ქმართან. დედუფლის გაპარება რომ სტუმრებმა ვერ შენიშონ ოჯახის მამა (ან უფროსი) ფეხზე წამოდგება, სხვებიც აიშლებიან და შუფრობას სთხოვენ, იგიც ნება-უნებლიედ იწეებს შუფრობას. ეველანი ტაშს უგვრენ. ამ არეულობაში პატარძალი ადვილად და შეუმჩნეველად გაჭუავთ. პატარძალს ღოგინამდე მდადე მიუძღვის. მდადე მიიყვანს და პატარძალს ქმარს „ჩაბარებს“.

— „უხნი“, ეუხნება იგი ნეტეს, „ე ქალ ვესლა შენი, ექამდინ ჩონ გოგიზდი, მოგუფლჷ, ხათირ (ხათრი) არ დოგიკლი, ესლა კი შენ იც, როგორც შეიანხავ“.

ნეტეც, რასაკვირველია, ჰპირდება, რომ კარგა შეინახავს. შემ-

დეგ მდადეგ ჩარდახილამ ჩამოვა. ამ წუთამდე ნეფე-დედოფალს არა-სოდეს ერთმანეთი არ უნახავთ. არც ერთმა არ იცის არაფერი შესახებ თვისის მეუღლისა: ან როგორი ხასიათისაა, ან როგორი ზირისაზე აქვს, როგორი ტანისაა, ან გამრჯეა და გამკონი, თუ კერძი, ზარმაცია, ანჩხლი და სხ. აქ ზირველად გაიციტებენ ერთმანეთს და ისიც არა დიდხანს: დილა-ადრინად ორივე ჩამოჰყავთ და ისევე სანეფთოსადელოფლოდ ჰტოვენ და მარაქაში სხმენ.

მესამე დღეს, სლამო ჟამის შექცევის წინად, „ფეფის ბანა“ იმართება. ხალხი რომ ჩამოსდება კერის გარშემო, ახალგაზდა ქალები გადმოვლენ მარაქაში და უფროსიდან მოკიდებული უმცროსამდე „ფეფის გაჭხდიან“: ესე იგი ვეველა კაცს შემოსხნიან და გააძრობენ ფეხილამ ტოლალებს, ქალამნებსა და წინდებს. ამავე დროს გადმოიფეხნენ ჰატარადლს და იგი ვეველას ფეხს დაჭბანს. ფეხს ჰატარადლი ლაგანში ჰბანს თბილის წყლით, რომელიც წუმწუმათი (სპილენძის მალა-უელიანი და ლუღუკიანი ჭურჭელია) ჰატარადლის მოახლე ქალს მოუტანია და საჭიროებისამებრ ჰატარადლს უსხამს წყალს, დაბანილს ფეხებს სუფთა ტილოთი ჰატარადლივე ამშრალებს. ფეხის ბანისთვის ვეველანი ჰატარადლს აჩუქებენ: ზოგი აბაზს, ზოგი 30, 40 და 50 კაპიკს. სლამ-სლამობით ფეხის ბანა გრძელდება ქორწილის გათავებაამდე და შემდეგაც ორი-სამის წლის განმავლობამდე. ზირველ ხანში, თუ გაურილი ბიძა ახლო მოსახლეობს, იქაც უნდა წავიდეს ჰატარადლი და ფეხი დაჭბანოს, ვეველას თუ არა, უფროსებს მანაც.

რამდენისამე დღის შემდეგ, დღისით, ჰატარადლი ისევე „ჩარჩავს უკან“ (გაფარდულში) ზის და საქმეს ჯრ აკეთებს. შემდეგ კი ჰატარადლურადვე კელმანდილით მორთული და ზირ-აფარებული მუშაობას შეუდგება. ზირზედ, ცხვირს ქვემოდ, აფარია თეთრი ჟუნა (კისია), თავზედ კელმანდილი ისე აქვს გაკეთებული, რომ შუბლის სისწვრივე მალდა ამართულია კელმანდილისავე ცხვირი. ეს მართულობა ზოგიერთს ძლიერ უხდება, მაგრამ ქართულ ბუნებრივ ჩაცმა-დახურვას ვერ უდრის. უფრო ის აუშნობს აჭურ ქალის ჩაცმა-დახურვას, რომ აქ ქალებს ჩითისა და ფარჩის ფრიად განიერი ორ-ტოტინი ნიფხეები აცვათ. ჰერანგი მუხლამდე ძლივს სწვდებათ. ჰერანგის ზემოდგან იტმენ მოკლე ახალფხს, ან ჩაფკან-ლაბადას. ჩაფკანი და ლა-

ბადა ახლოვებულ ბევრით მოკლეა და მოკლე სახელოებიცა აქვს. ზე-
რანგის გულის-პირზედ მძივის ,,იასა“ აკერია, ახლოვებისა და ლაბა-
დას სახელოების ქვემო მხრივ აკერია ვერცხლის ,,სარმა-დუგმა“ და
აბაზიანები ან ორ-შურიახები. წინიდან ჩაფრანა და ლაბადა ვერცხლის
ჩაფრანსტით იკვრის. წინ, გულის-პირზედ, კოჭებამდე განიერ ,,მა-
ზარს“ (ფიშტამაღს) იფარებენ. მაზარის ნაპირებზედაც, უფრო კი
ბოლოზე, ,,სარმა დუგმას“ და აბაზიანებს აკრებენ. მაზარის ზე-
მო პირზე, გულის სისწვრივ, ფარხით დააფარებენ ხოლმე და
ფარის შუა გულში ხანდახან აბაზიანს ჩააყრებენ. ტანად რომ ჩაიც-
მენ, ახლა ზემო აღწერილ ქამარს შემოირტყემენ.

პატარადი წლის თავზე კელმანდილს იხდის და ,,პირსაც ჩა-
მოხდის“, ე. ი. პირს აღარ ახვევს. მაშინ იგი ჩვეულებრივად თავს
დაიხურავს. დედაკაცებს 14—15-ის წლიდან ჩიქილა და ლეჩქა ქუ-
რავთ. აქური ლეჩქა ქართულს არა ჰგავს, იგი უფრო მოგვაცხადებს
იმერულ ფაფანას. ლეჩქა ჩითისაა, იგი ვიწროა ზოლად, ერთის
ურდიდან მეორემდის იკვრის და უკან კეთამდე ვიწროდ გადადის.
ზედ შუბლის მიყოლებამდე, საფეთქლიდან საფეთქლამდე, მძივი აკე-
რია. ამას გარდა საფეთქელზე ჰკიდია უჩ-ბოჯნუხი. ეს უჩ-
ბოჯნუხი მცირე ნაღსა ჰგავს, ვერცხლისა და ზედ ვერცხლის წვრი-
ლი ფული აკერია, რიცხვით სულ ექვსი. ლეჩქას რომ თავზე გაი-
კეთებენ, უჩ-ბოჯნუხი თითქმის წარბებამდე ეკიდება. ლეჩქის ზე-
მოდან თავზე ჩიქილას იხურავენ. ჩიქილა სამ-კუთხიანია, რომლის
ერთი წვერი უკან ჩამოშებულა. ზოგიერთნი ჩიქილის მოხვევის შე-
მდეგ თავს იკვრენ კრეფის კელმანდილით, რომელსაც სიმარისთავის
თავის გარშემო ვერცხლის ბტეელ ჟინჯირს (ძეწავს) შემოახვევენ ხოლ-
მე; ფეხზე იცმენ წინდებს და ქოშებს. პატარალებს წულებს ან ლაფ-
ჩინებს უყიდან. შესლებულიები თავიანთს ცოლებს ლაფჩინებიტაც ატა-
რებენ, ხოლო ღარიბთა დედაკაცთ ხშირად ქალამნიტაც ენატრებათ.
აქური დედაკაცი, თუ სიღარიბემ არ აძულა, ფეხ-შიშველა იშვიათად
იფარს. გასათხოვარ ქალებსაც ასეთივე ტანისამოსი აცვიათ, ხოლო
თავზედ მარტო ლეჩქა არა ჰხურავთ. ეველა ეს ტანისამოსი ჩითისა-
ცა კეთდება და ფარხისა. თითო ხელი ფარჩეული, თითქმის ეველა-
აქვს, ღარიბსაცა და მოვალესაც. მდიდარ კლეხების ცოლ-შვილს

ხომ ორი-სამი ხელი საცმედიც ახდია. სყურეებს აჭური ქალები სრულიად არ ატარებენ, ხოლო სალტეები (სამაჯური) აქვს ზოგიერთს. ბეჭედს მარტო ჰატარძალი ატარებს, ისიც ორიოდ წვეს, ნეფე კი ქორწილას შემდეგვე წაიძრობს და შეინახავს.

ამით თავდება დაქორწინების ამბავი. ესლა ვინცარიშოთ ამ დაქორწინების ხარჯი.

ქალის მამას ვაჟის მამისგან ეგზავნება: 1) ქრთაში ფულად გასათხოვარ ქალში: ესლა 30—120 მანეთამდე, უწინ—200—300 მ.; 2) ქვრივში ეგზავნება: ესლა 50 მან., უწინ—100—200 მ.; 3) სახორცე (ხარი ან ფური) ქორწილში დასაკლავად 10—15 მ., 4) სამისავე ნიშნის ხარჯი 50—100 მ., 5) მაწანკალი 1 მ., 6) მდადეს 2 მ., 7) ქალის დედას „სადელო“ 1 მ., 8) გატანებულებს ორი შური, სულ 70 კ., 9) ვაჟის შემკამაზელს 40 კ., 10) მენადრე-მეზურნეს 3 მ., 11) მეკურტნეს 10 კ., 12) საჭმომ (სამომ) 10 კ., 13) ეკლესიას 2—3 მ., 14) ქეხას (მამასხლისის) 1 მ., მდადეს ხელის დასაბანებლად 20 კ., 15) ქალის წილი 12 მან. სულ: ესლა 273—450 მან., უწინ—500—800 მან.

ვაჟის მამა სარძლოს მამას მზითუვის მოსამზადებლად ეგზავნის: 1) 10 ჯეჯიმის ძაფს, ან დაქსოვილ ჯეჯიმებს (ჯეჯიმი ღირს 3—4 მან.) სულ კი 30—40 მ., 2) ორი სბანი 15—20 მ., 3) 1—2 სასტული (ბალიში) 1 მ., 4) 6—2 აბგა 2—5 მ., 5) წინდები, ტოლალები და სხ. 3—4 მ., 6) ქალასთვის „ფარჩა“ (ჩითეულობა და ფარჩეული) 50—60 მ., 7) ქამარი 20—50 მ., 8) ილგა 20—30 მ., 9) სარმა-დუგმა 12 მ., 10) ჩაფრასტი 6—7 მ., 11) ჟინჯირი (პტეული ძეწკვი) 10—20 მ., 12) ქოშები 1 მ. 20 კ., 13) კიდევ წყრიმალი ნივთები 3—4 მ. სულ 173—254 მან.

ვაჟის მამას თავის შვილის ქორწილში ესარჯება: 1) ორი ან სამი სახორცე 30—40 მ., 2) ორიოდვე თაღარი ჰური 8—10 მან., 3) ორი ბათმანი უგელი 2—3 მ., 4) ღვინო 4—5—6 თაღარი 16—30 მ., 5) წყრილმანი ხარჯი, ვითარცა: შუა, სანათი (ჭრაქე-ბი-ჩირადი), ხახვი, ხილი და სხვ. 10—12 მ., 6) არაუი 10 მან., 7) შვიდი ქათამი, ერთი უახაჟი, ბრინჯი, ერბო და სხვ. 10 მან. სულ 88—127 მან.

სამივე ხარჯი ერთად შეადგენს: ეხლა 594—901 მ.-მდე, ხოლო უწინ 700—1000 მანათამდე.

ამ ანგარიშში ვაჟის მამისთვის ზირველი და უკანასკნელი ხარჯი დაკარგულია, ხოლო მეორე კი უკუ მოსაბრუნებელი, რადგან მზითვეი ვერცხლის იმართიანად (მოსართავი) უკანვე მამის ოჯახში შემოდის, ჰატარდას მოჭეუება. ამას გარდა „ილგას“ ეხლა რძლისათვის ბევრნი აღარა ჰყიდულობენ. ყველა ეს ხარჯები რომ გამოვიდეთ საზოგადო ჯამიდამ, წმინდა ხარჯი ვაჟის დასაქორწინებლად დარჩება: უწინდელ დროსთვის 600—700 მან.-მდე, აწინდელ დროსთვის 380—570 მან.-მდე.

შიგა-და-შიგ მოიპოვება სანგილოში ისეთი ოჯახი, რომელსაც თავისუფალი ფული აქვს და ყოველსავე შვილის დასაქორწინებლად ნაღდ ფულზედ ჰყიდულობს. სხვები კი საქორწილო ჩით-ჩუთსა, ფარჩასა და სხვ. ბაზრიდამ ნისიად ეზიდებიან. ყოველ ინგილოს ბაზარში თავისი „ყონალი“ ჰყავს, ე. ი. რომელიმე ვაჭარი. ყონალი თითქმის შინაურ კაცად ითვლება. როდესაც უნდა, მაშინ მივა ყონალი ინგილოსას, მიივლ-მოივლის, საცა სურს, ჰურს შეჭკამს, ღვინოს დალევეს, დაბრუნებისას მწვანელიუელსა და სხვ. წაიღებს და წავა. ინგილო თავის მონაგარს არავის მიჭეიდის, თუ არა ყონაღს. მაგალითად, ჰარკს, ღვინოს, თუ ჰური აქვს, ჰურს, ბრინჯს და სხვას. ყონაღსვე ინგილო ყოველ წლივ ფეშქაშად მიუტანს ერთს ურემ ბზეს, ხანდახან შემასაც და სხვ. მაგიერად ინგილოს ყონაღისაგან ნისიად მიაქვს „ფარჩა“ და როდესაც დასჭირდება, ფულსაც სესხულობს. აქაური ვაჭრები ერევნის გუბერნიდამ არიან. უმეტესი ნაწილი მათგან მოსვლის ჟამს ლუკმა ჰურის მონატრულია, მაგრამ მალე დაყონაღების შემწეობით მდიდარი და შეძლებული გამხდარა. როგორაო, იკითხვით. ყოველ ვაჭარს რამდენიმე ყონალი ჰყავს. ამ ყონაღებისაგან თითქმის ყოველ დღიური საზრდო მოსდის, აგრეთვე რამდენიმე ურემი ბზე, შემა და სხ. თითონ კი სულ მცირე ფასად შეიძენს დამზალ-დამზალ ჩით-ჩუთს და მამა-სისხლად აძლევეს თავის ყონაღებს. თანაც ყონაღს ეუბნება: „ოჰ, რა ჩითებიან, რა ამირიკოა, რა ნაშური! იცი ზირდაზირ მაკარიდამ დავობარე, ეხლასან მომივიდა. ამ ჩითის ადღი თავის ადგილზე ექვსი შური ღირს, მაგრამ შენ ყონალი ხარ, მაგ ფასად

როგორ მოგცემ, ხუთ შუკრად მიირთვი, ღმერთმა მშვიდობაში მოგამაროს. დეე, მე ვიყო წაგებაში, ოღონდაც კი თქვენ ხასიათობები დამჩნეთ. ამას გარდა ჩემი ხათრი და ყადრი გქონდეთ, თუმცა დიდი ზარალი მომდის, მაგრამ მანც ნისიად გითმობთ ჰარკობამდე (ან სთველამდე)“. სრულიად გამოუცდელ და გულ-უბრუვილო გლეხს ეს მაცდური სიტყვები სჯერა. თავის უზაკველ გულში როგორ გაიტარებს უონადის ღალატს, მეტადრე მაშინ, როდესაც ეს სიეშპაკით გატენილ-გაბერილი სულიერი ჯვარსა და ხატს ჰფიცულობს, სამას სამოცდა სამ წმინდანს იმოწმებს, რომ მისი ნათქვამი ყოველად მართალია. უონადი, რასაც მისცემს გლეხს, იმას თავის დაეთარში სწერს (ხშირად წაღებულზე მომეტებულსა სწერენ). შემდეგ გამოიხარება შებს წაღებულ ნივთების ფასს, წლის სარგებელსაც ზედ დააკეცავს და ერთ ჯამად ჩასწერს. სარგებელიც უონადის საკადრისი იცოდნენ, ე. ი. 20—30 მანეთამდე და მეტიც. მეტი იმიტომ, რომ ვაჭარი, თუმცა წლის სარგებელს მაშინათვე თავნს ზედ აკეცავს. მაგრამ გლეხი წლამდის არ იცდის და როცა კი რამ შემოუვა, უონადს აძლევს, მაგალითად ჰარკს ივნისში, თხილს ენკენისთვეში, ღვინოს ღვინობისთვეში, ხილს და სხვ. და სხვ. ამას გარდა, რასაც ვაჭარი წაიღებს, იმას თითქმის უფასოდ ანგარიშობს, მაგალითად ჰარკის ფუთს 7—8 მან., როდესაც თითონ შემდეგ 12—15—24 მან. ჰყიდის. აგრეთვე ნაკლებად აფასებს ღვინოს და სხვ. ერთხელ თუ გაება გლეხი უონადის ქსელში, ძნელად-და იხსნის თავს. უწინ ქორწილის ხარჯი თურმე სრულიად ჰღუპავდა აქაურ ხალხს. ესლა ეს ხარჯები, თუმცა შემცირებულა, მაგრამ მანც გლეხისათვის ფრიად სამძიმოა. უწინ ხარჯიც თუმცა დიდი მოსდიოდათ, ბარაქაც დიდი იყო. მანდორი, ჭია, საქონელი დიდ შემოსავალს იძლეოდა, ხალხი დიდს ოჯახებად სცხორებდა, ათთქმის არა ეხარჯებოდათ-რა გზებისა, სკოლისა, მწერლის და სხვ. შესახად. ესლა კი მინდორიც ღალატობს, ოჯახებიც ნამცეც-ნამცეცად იუოთებიან და ათას გვარი ხარჯ-ხაჯალათიც აწევება კისერზე. ამიტომაც მცირეოდენი ხარჯიც, თუნდაც ისეთ აუცილებელ საქმისათვის, როგორიც ვაჟის დაქორწინება, გლეხს წელს სწვევებს და ვაღში ატლებს. აქაურ ვერაც და უღმერთო ვაჭრების წყალობით გლეხი ყოველ წლივ უონადს აძლევს თავის მონგარს, მაგრამ

წლის ბოლოში რომ იანგარიშებენ, თავის ვალს არა თუ არაფერი აკლდება, ზირ-იქით, კიდევ ემატება. ამ 20-ოდე წლის წინად ინგილოს მამულები ცბიერ ვაჭრებს თითქმის სულ მთლად დაესაკუთრებინათ. უონადი გლეხები სრულიად განედევნათ მამა-პაპულ ნაშენ-ნადგაწ მამულ-დედუღიდამ და ან იქვე მამულში დაენარჩუნებინათ და მოსავლის სხანგურად ამუშავედნენ. მაგრამ მათი უკანონო საქციელი ადგილობრივმა მთავრებამ შენიშნა. მაზრის უფროსმა სერაფიმოვიჩმა ვაჭრებს გლეხების მამულები ჩამართო და ისევ გლეხებს დაუბრუნა, ზოგი სრულიად უფასოდ, რადგანაც ვაჭარს უკვე ერთი-ათად თავისი ფული ამოკო და ზოგი კი თავნი ვალის წვრილ-წვრილად მიბრუნებოთ. სერაფიმოვიჩის წყალობით მრავალმა ინგილომ დაიბრუნა მამული და ვალიდამაც გამოვიდა. მაშინ დაშინებული ხალხი ესლა უფრო ფეხიზლად იქტევა და უონადს დიდის ეჭვით ეპურება. .

დაქორწინებისა და ჟორ-დაწერის (ჯვარის-წერის) შემდეგ, ორიოდ-სამიოდე თვე რომ გავა, სიმამრი „სიზეს დაუხახებს“, თავის სახლში მიიხატოებს თავის ქალითურთ. „დახახებამდის“ არც გათხოვილი ქალი და არც სიძე სიმამრისას ერთხელაც არ წავლენ: წესი არ არის თავის ნებით, მიუხატოებლად ესტუმრნენ. მიწვევის დღისთვის სიმამრი შეჭურის თავისას თავის მეგვარეულებს, კარგს სადილს, ანუ ვახშამს გაჭმართავს და ქალისა და სიძის მისვლის შემდეგ ღვინი დაიწეება. სიძემ თან უნდა მიიტანოს ქიშმიში, უნდი და სხ. ტუბილეული უმაწვილებს თავის. ღვინობენ თითქმის მთელი დღე, ანუ მთელი დამე. აქაც კაც-ქალნი ცალ-ცალკე სხედან, სიძეს მარაქს ბოლოში ჭისმენ და თუ ჩონგური იცის, ჩონგურს აკვრევენებენ, თუ სიმდეკა იცის, სიმდეკას ათქმევენებენ. ჩონგური ამგვარ ღვინის აუცილებელი კუთვნილებაა. ღვინის დროს უსათუოდ კარგს მეჩონგურეს მოიწვევენ ხოლმე, აკრეთვე კარგ მომდერადსაც. სიძის სტუმრობა შუფრობით თავდება. ამ დღიდგან ქალისთვის, მამისა და სიძისთვის სიმამრის სახლის კარი ღია და როდესაც უნდათ, მაშინ ეწვევიან.

როდესაც შვილი ეუფლებათ, მაშინ ქალი ღვამს უსათუოდ უნდა ინახულოს და თან ხორაკი მიართვას, უფრო კი ფლავი. თუ დედამ არ ინახულა, სასიძონი მძახლებისას ადარ გაივლიან, შემოსწერებიან. ხშირად მშობიარე დედის მოლოდინში „დასივდება“ ხოლ-

მე და იავადმყოფებს. „დასიება“ ტანის დასიება კი ნუ გეგონებათ. ამ შემთხვევაში დასიება ის არის, რომ კაცი რამე საჭმელს, ან ვინაშე მომზადებულს ხორაკს მოინდომებს და მოილოდინებს, მაგრამ მოლოდინი კი არ შეუსრულდება. ეს მოლოდინის შეუსრულებლობა „დასიებას“ გამოიწვევს. ქართულად რომ იტყვიან: „კაცს საჭმლისთვის თვალის წვალი წაუვიდაო“, დასიებაც ეს არის. „ჭკემ უმაწოდეს ჰე სხალ მეც, თურ დასივდებ“ და ქართულად „მაგ უმაწოდეს ეგ მსხალი მიე, თორემ თვალის-წვალი წაუვაო“, ერთი და იგივეა. ამიტომაც, თუ მშობიარე ქალი დედამ დროზედ არ ინახულა და ქალი დასივდა, შეატუბინებენ და დედაც გააკეთებს კარგ ხორაკს, ჯამში ამოიღებს ფლავს და ზედ ცხენის კორკალს (განავალს) დაადებს. ქალი განსნის სუფრას, ფლავს ზემოდგან დაფარებულ ჯამს აჭხდის და კორკალს ხელში აიღებს-რა, იქ მდგომარეთ ხარხარი აუტუდებათ. კორკალს შორს გადაადებს და ფლავს შესჭამს. ამით დასიების მიერ გამოწვეული სნეულება გადაივლისო. დასიება ყველამ იცის. დასიებულისთვის ხანდახან ვახშმის დროს შვიდ კარს მოივლიან, ვისაც რა აქვს ვახშმად. ითხოვენ ყველა ხორაკს, ზედ კორკალს დაადებენ და ავადმყოფს მიართმევენ. აქაც იგივე ხარხარი იციან. დედ-მამა, თუ არა ხორაკს, სხვა საჩუქრებს არ მიართმევენ თავის ქალს. იშვიათად მოხდება, რომ მდიდარმა დედ-მამამ ღარიბ სიძეს ან ქალს აჩუქოს შესაბამელი საქონელი, საწველი, საცმელი და ჰური.

5. კარდაცვალების წესები.

სიკვდილი. შვილის მოვალეობა. ჰირისუფალი. ტირილი. მკვდრის ბანება. შესუდრვა. საკაცე. მისი მორთულობა. გასვენება. ქვის უკუგდება და „მკვდრის გაცილება“. საფლავის მოხრელები. ქელეხი. ტაბლობა და მისი წესები. სულის პური და მისი წესები. სამაროებზე ვასვლა. საკმელ ჩაყრა.

ინგილო იმიტომ ესწრაფის თავის შვილი თხუთმეტის წლისა დაქორწილოს, რომ „სუკადულ-სიცოცხლეას, შულ მალე შეესწრას, დროზე ქომაც იქნეს მამბოგათ“. შვილებიან (ვაჟებიან) მამას ის უხარის, რომ საჭმიდგან განთავისუფლდება, შვილები იმის მაგიერობას იზამენ.

ოჯახის თავის გარდაცვალება თავზარსა სცემს სახლის-წულთ, მეტადრე ვაჟიშვილს, რომელსაც ოჯახის მოვლა კისერზე აწევს. შვილი თავის ავადმყოფ მამას მუდამ თავს დასტრიალებს, არას იზოგავს, ოდნოდ რამე ეშველას მშობელს, ანუ თუ სულთ-მობრძავია, იქვე მამის სარეცელოან გაშეშებული დგას და პირში შეჭყურებს, რომ მამის უკანასკნელი სიტყვები აჭკრიფოს, მისგან დარიგება რამ მიიღოს. აი მოხუცმა სული დაღია. იმავე წამს შვილი მშობლის თბილს გვამს „ასწორებს“, პირადმა აწვენს, გულზე ჭვარედინად მკვავებს უწუბოს, ფეხებს ერთმანეთზე უკრავს, რომ აქეთ-იქით არ გადიზნიქნენ, თვალებს „უხუჭავს“, რომ ღია არ დარჩეს, თავით ერთი არაწი ღვინოს, ერთ ჯამ ხორბალს, ერთ ჯამ წყალს და ტანთ-საცმელს ულაკებს და ამ ჯამზე ერთსა თუ სამს სანთელს უნთებს. სულთ-მობრძავ დედაკაცს კი ხელში ერთ კიფ კედს (ძაფს) უდებენ. სულის ამოსვლისთვის იტყვიან, რომ კაცის სული პეპელას მიაქვსო. ეოველსავე ამს რომ შეასრულებენ, სახლის-წულნი მკვდარს მცირედ დაიტრებენ და კაცს გატყავნიან სოფლად, რომ ეველას აუწუონ გარდაცვალების ამბავი. ვინც შეიტყობს, ესა და ეს კაცი მოკვდაო, იტყვის: „ღმერთმა აცხონოს, კამ კაც ეო“. თუ მოსაწონი კაცი არ იო, მარტო „ღმერთმა აცხონოს“ იტყვიან. კაცის გარდაცვალების ამბავს სახლში ხმა მდლდა არ იტყვიან, არამედ ცოლ-ქმარნი მარტო ერთმანეთს შეატყობინებენ: მავანი (სახელი რქვი) დახარჯაო. იმავე დღეს ჭირისუფლებისას ხალხი შეიურება ჭირისუფლად უნდა იოს გარში (გვარში) წლოვანებით უხუცესი კაცი. დედაკაცები რომ შემოდინ ეზოში, პირდაპირ სახლში შედინ. იქ დედაკაცები მკვდარს გარს არტყიან და დასტირიან. ახლო ნათესავები, კაცი თუ ქალი, ჭირისუფლოთან არ მივლენ, არამედ სახლში შევლენ და მკვდარს დაიტრებენ. ძმები და დები ხანდახან ალაფაფის კარები დგანვე დატრებას მოჭუვებიან. მკვდარს ეველა დედაკაცი და ნათესავი და ნაცნობი დაიტრებს, ხოლო კაცთაგან მარტო ნათესავები. ტირილის დროს ნათესავი დედაკაცები ხამუშ-ხამუშ გულში ზედი-ზედ მუშტს ჩაიკვრენ ხოლმე. ახლად დაქორწინებულ გარდაცვალებულ ვაჟს ასე დასტირის დედა: „ნეთე შულო, სახეფოებ ვერ გაჭტუთ, დაგრჩა პატარხალ დუშინბოეთ, ერ სასტული პირ ვერ დაჭტლიფ, ერ ვერ-

ღანი ზირ ვერ გამოდგულ; შენ წილ დაგრჩა, ვერ შტამ, ვერ დაჭ-
ლივ... ვაჟ, ჰარაჟ ჰქეჟ, ვაჟ, ჰარაჟ ჰქეჟ!.. შენ ზატარსადს ვერ
მოჭბრუნდ ორჟელ ვერ შეჭზრახ, გიტირასს შენ ნეჟე წილ მამულმა,
გიტირასს შენ ზატარსადმა, ვაჟ, ჰარაჟ, ჰქეჟ! ვაჟ, ჰარაჟ, ეჟე! დამ-
ტირებულს ეჟელა დედაკაცები ბანს აძლევენ: „ჰქეჟ“-ზედ ხმას აგრძე-
ლებენ დიდხანს. დედა ვაჟიშვილს დასტირის: „ვაჟ შულო, ჟან შუ-
ლო, ჩემ სახლი ისტიარ შულო! კაჟ მოგიგი, კაჟ მამულ ავიშენე-
ბი, კაჟ შეჭმულ-დადეჟელ დროზე ვერ გიჭამი, ვერ დაგილევი;
გზაჟ სათარ დაგვარდნი, დაგრჩომი შენ ცოლ-შულზე აოლო, მიჭდი-
ხარ, შულო ჟან... ვაჟ ჰარაჟ ჰქეჟ!“ და სხ. გათხოვილი ქალიშვი-
ლი მამაზედ მოსთქვამს: „მამო, ეჟ ჩემო სარქარ მამო! ჩემ ოჟა-
დი დიდ ხარ, როგორ-ღა ჰქუმ მოვდე მე აქ, რაღა ზატიჟ შექნება მე.
ზმებე ვაჟ (შეავს), მართალი,—ზმებიც თელ იქნენ თავიანთ ადგილ-
ზე: სხოთა (სხვების) ქალებ დელ-მამის ზატიჟს ჩონ არ დოგადებენ
(ე. ი. რძლები, სხვათა ქალები ჩვენ ისეთის ზატიჟით არ მიგვიდე-
ბენ, როგორც შენარ, მამაჟ), ვაჟ ჰარაჟ ჰქეჟ!..“

დასაფლავების დღეს, ადრიანად, დედაკაცები გარდაცვალებულ
დედაკაცს და მამაკაცნი—მამაკაცს აბანებენ. გაბანილს სუდარაში ახვე-
ვენ და კერას ზირას გაშლილ ჟეჟიშზე აწვენენ, თავითაც ბალიშს
უდებენ. სუდარა ჟერ შეკრული არ არის. კვდარს სუდარის შეკვრამ-
დე მუშაშას დადებენ. მუშაშა სათელ-წასმული ამირიკოს ნაჭერია.
ერთს ადებენ ზირზე, ერთს გულზე, ცხვირში საკმეჟელს დაუცობენ,
მარცხენა ხელში ჩაუდებენ ორ შურს, მარჯვენაში ორად გადაკეცილ
სათელს დაჭერინებენ, მოჟიდიებენ, ცოტას მოსწვამენ და გააქრო-
ბენ... და ორ-კეც ამირიკოს სუდარას თავ-ბოლოს ამირიკოთიჟე შეუ-
კრავენ. შესუდგრის შემდეგ მღვდელს (ქრისტიანები) და მოლას (მაჭ-
მადიანები) ანდერძს ააკებინებენ და მერე ტირილით გამოიტანენ და
სალაჟაზე დასვენებენ. აქ კუბოს მაგიერ სალაჟას ჰხმარობენ. სალაჟას
კიბეს მსგავსად აკუთებენ ტირითვის ხისას მომეტებულად. კუბო ეხლა
და ეხლა შემოდის. მკვდარს ზედ გადაათარებენ ორ-სამ ადლიან თათ-
ტას, ერთ ნაშირს და ორიოდ ადლ ჩითს. ეჟელა ამზედ სალაჟიანად
ხაითის გრეხილს გადაუჭირებენ. აქვე უკანასკნელად ნათესავნი დაი-
ტირებენ მკვდარს და სასაფლაოზე (სამარიებზე) წასვენებენ. წასვე-

ნებაში დედაკაცები, მონაწილეობას არ იღებენ. სადაჟას რომ ასწევენ და ალაჟათის კარებიდგან გასვენებენ, ერთ დედ-მამიან ბიჭს ზურგს შეაქტევიანებენ, მკვდრისკენ წინიდგან უკან ქვას გაასროლინებენ და თანაც ათქმევიანებენ: „შენ წილ რაჟმ აქ აღარა, შენ წილ შიგიდი, წაჟ, ჩონ ეემას იქი დქტქსენ“. ამას გარდა, შესუდრის ჟამს ერთის მტკავლის ტოლას ამირიკოს სუდარიდამ მოჭხევენ და ხელ-უკუდმა კორ-თეს (ჭურჭლის საწოლი თახჩა) მიაკვრენ. მესამე დღეს მიმკვრელივე ამ ამირიკოს მოჭტკლეჯავს და მდინარე წყალში ჩააგდებს, მკვდარზე გა-უოლილ ნაშირს მესაფლავენი იუოფენ, ჩითი და თათუტა ქრისტიანებ-ში მღვდლისაჟ, მაჭმადიანებში მოლისა. მკვდარ დედაკაცის ხელში ჩა-დებულ ძათეს კი შესუდრის დროს დედაკაცები იუოფენ, სამარეს თრ-სა ანუ სამ კაცს ათხრევიანებენ. საფლავის მთხრელები მკვდარს მთლიან უაგრით გაზომავენ და ამ ზომაზედ საფლავეს ამოსთხრიან. საფლავის ზემო შირს ადღ-ნახევრამდე ფართოს აკეთებენ, ხოლო შემდეგ კი ავიწროებენ. ამ ვიწროში მკვდარს ჩასვენებენ; ზოგნი ჟეჟვის გაუ-შლიან ქვეშ, თავით ბალიშს დაუდებენ და შიგ მისსავე საცმელს ჩა-ატანენ. დედაკაცებს წინად ვერცხლის სამკაულით ჭმარხავდნენ. ესლას კი ამისთანა შემთხვევა იშვიათია. ჩასვენების შემდეგ განიერად ჩათ-ხრილ საფლავის შირებზე სიშ ქვებს დააწყობენ და მიწას მიაყრიან. სა-ლაჟას ხეებს — ტირიფებს*) იქვე დაჭერიან. მერე „ღმერთმა აცხონოსო“ იტყვიან და ტირისუფლისას დაბრუნდებიან. აქ ქელახის (ქელეხის) დღეს ზოგი ჭკლავს ერთ მოზვერს, ან ერთს უოჩს, ეს შეძლებაზე ჭკი-დაა. აკეთებენ ფლავეს, ხორცის წვენს, აცხობენ ლავაშებს, სატანად ეველს ჭყიდულობენ, აჭმევენ ხალხს, ასმევენ და ისტუმრებენ. დღი-

*) ტირიფის ხით საკაცეს გაკეთება ფრიად საყურადღებოა. ამ ხის შერჩევა საკაცედ უნდა იყოს ნაშთი იმ დროისა, როდესაც კოლხნი, რო-გორც გადმოგვცემენ აპოლონ როდოსელი (მე-III ს. ქრ. წ.), ნიმფადორ სირაკუზელი (IV ს. ქრ. წ.) და სხ., მკვდრებს კი არ მარხავდნენ, არა-მედ ტირიფის ხეებზე ჭკიდებდნენ ტყავებში შეხვეულებს. ვა-ხუშტის დროსაც აფხაზები მკვდრებს კი არ მარხავდნენ, ხეებზე ჭკიდებ-დნენ თურმე. დღეს კი, როგორც გადმოგვცემს პეტრე პარაია, აფხაზეთ-ში ხეებზედ ჭკიდებენ არა ყველა მკვდრებს, აოამედ მხოლოდ მესხიან მოკლულებს.

ნის სმის დროს, მსმელი ჭიქიდგან ღვინოს ცოტათი გადმონქრევს ლავაშებზე, იტყვის „ღმერთმა აცხონოსო“ და დაღვეს. ხალხის გასტუმრების დროს ორ-ორ შურსაც ურიგებენ ზოგიერთნი. მეორე დღესაც დედაკაცები იურებიან ჭირისუფლის სახლში, მკვდრის საცმელს გამომდიან, გარეშემო მოუსხდებიან და ტირიან. ამ დღეს მკვდარს საკლავი არ „უფარდება“ (ერგება), მოსულ ხალხს უველითა, ჰურითა და სხ. ისტუმრებენ.

ტაბლობაჲ. ტაბლობა იციან მესამე დღეს. გამოაცხობენ ლავაშს, გააკეთებენ ფლავს, რძის შეჭამადს, მოიტანენ ხილს, ამოიღებენ ღვინოს, ხოლო ამ დღესაც საკლავი არ ერგება მკვდარს. ტაბლობაზე მოსულ დედაკაცებს მოაჭვთ ჰური, ფლავი, კუჭულა ღვინო (თუ აქვს), ან კვერცხი, ხილი, ცარიელი კი ვერ მოვა. უველანი რომ შეგრთვდებიან და უთველივს დაამზადებენ, მერე კერას ერთ ნაპირზედ გრძელს სუფრას გაშლიან, სუფრაზე დააღაკებენ: ვარცლით ჰურს, ქვებებით ფლავს, შინ გაკეთებულს, თუ მოტანილს ფლავს აგრეთვე ბადიებით იმავე სუფრაზე ჩამთარიგებენ, დააღაკებენ ხილსაც (ყოველგვარს), მოხარშულ სიმინდს, ჯამით წყალს, ჩაფარაწებით ღვინოს, ხილებში (ერთ-ორში) დანას დაურჭობენ, თუ ნესვია—ნესვში, თუ საზამთროა—საზამთროში. ამას შემდეგ ჭირისუფალი (დასახლისი, ან გვარში უფროსი დედაკაცი) ღვინის-ჩაფის, ჰარაწისა და წყლის ჯამის პირზედ ხუთს სახთელს მოუვიდებს, ჩამჩითა თუ ქათქირით ნადგერდალს მოატანინებს, შიგ საკმელს ორის თითით ჩაჭურის და ასე წაიბურტებურტებს თავისთვის: „ღმერთმა აცხონას, ღმერთმა ჟინათში (სასულეთში ანუ სამთხეში) შაფონას“. შემდეგ სხვა დედაკაციები ჩაჭურიან და ამ ქათქირით სამ გზის ტაბლას უკმევენ, გარეშემო შეატრიალებენ. სუფრას ორი დედაკაცი უკმევენ. ერთი მათგანი აღმოსავლეთის მხარეს დგას და მეორე დასავლეთისას. კმევა იწყება აღმოსავლეთის მხრის ქვემო კუთხიდგან მარცხენიდან მარჯვნივ. ამ მხარეს რომ უკმევენ, ახლა მეორე დედაკაცს გადასცემს და ისიც კმევით ისევე აქეთ გადმოსცემს. ბოლოს ქათქირი დასანულებლად ისევე აღმოსავლეთის მხრივ კუთხეში უნდა დასდონ. საკმეველის განულებამდე დედაკაცების მარჯა გაიმართება. ჩამომხდარ დედაკაცებს სულზე სამ ჰურს ჩამოუერთან: ორს მეტაბლის მოტანილს და ერთს სახლისას.

აგრეთვე მომზადებულ ხორავსა და ღვინოს მიაერთებენ. რასაც შე-
შვამენ, შეშვამენ, რასაც ანა, იმას ჭურჭლებში ჩაიყრიან. თავიანთ
ღვინის ჭურჭლებსაც სხლის ღვინით გაივსებენ და შინ დაბრუნდუ-
ბიან. არც ტაბლობაზე და არც შეორე დღეს კაცები არ დაესწრებიან.
კვირის თავმდის უოველ დღე მკვდრის დატირება იციან.

თავ-საპარსი. კვირის თავზე თავ-საპარსი იციან. ამ დღეს ნა-
თესავები და მეზობლები—კაცი თუ ქალი—შეიყრებიან ჭირისუფლი-
სას. დალაქსაც მოიწვევენ. თავ-საპარსი დაიწვევა მას შემდეგ, როდუ-
საც პირველად თავ-პარსი მოიპარსავს სხლის უფროსი. მერე ყველა-
ნი მოიპარსვენ ან წვეკრსა და ან თავს. აქ მამუდიანობაში თითქმის
ყველანი (რასაკვირველია, დედაკაცებს გარდა) თავს იპარსვენ, ხოლო
ზოგიერთნი სპარსულად წიწილებს (გრძელ თმებს) კეფიდან მო-
კიდებული საფეთქლებამდე ინარჩუნებდნენ. ბოლოს ეს ჩვეულე-
ბა გადაფარდა და ყველამ თავის სრულად გაპარსვა იწყო. ხო-
ლო ამ თვითღე წლის წინად ქრისტიან ინგილოებში თმის შე-
ნახვა შემოვიდა. იპარსვენ მარტო კისერსა და წვეკრს. თავ-საპარსის
აზრი მკვდარზე გლოვიანობა უნდა იყოს. ამ დღემდის მამაკაცი თავ-
პარსე სამართებულს არ იკარებს. საკვირველი ის არის, რომ დედა-
კაცები არც ერთ სამგლოვიანო ნიშანს არ ატარებენ: თუნდა ქმარი
გარდაეცვალოს, ან ძმა, ან მამა და სხ. დედაკაცი სამგლოვიანოდ არ
შეიმოსება არც ერთ დღეს, პირ-იქით რაც ახალ-ახალი და წითელ-
წითელი საცმელი აქვს, იმაში გამოეწეობა, თითქმის ქორწილში წას-
ვლას ემზადება, ისე ირთვება. მძიმე მგლოვიანობითა და მეტი-
მეტ ტირილით ჩვენის მკვდრის სულს შევაწუხებთო. თავ-საპარსით
მგლოვიანობა თავდება და უქმდება. მოსულ სტუმრებს თლავითა,
რძის შეჭამითა, ღვინითა და სხ. ისტუმრებენ. საკვირველსაც ხო-
რაგზედ უყრიან, სანთელსაც ანთებენ, აქაც სწორედ ისე იქცევიან,
როგორც ტაბლობაზე.

სულოპურ. სულის-პურის დრო განსაზღვრული არ არის, ზო-
გმა თავსაპარსისავე დღეს იცის, ზოგმა უფრო გვიან. სულის-პური
მკვდარს ჩაუვარდება (მიერება) მხოლოდ სამშაბათს, ხუთშაბათს, ან
შაბათს. სულის-პურში, როგორც ქორწილში, წინა დღითვე იწვევენ
იმ ოჯახს, რომლის წევრ დედაკაცმა ტაბლობაში მოხაწილეობა მიი-

დო. ნათესავები ხომ აუცილებლად უნდა მოვიდნენ. სულის-პურში ოჯახები უგელა სახლის წულისანად უნდა შეიკრიბნენ. ამოიჩვენებ და დაუყენებენ ფეხებდგომლებს პურის (ლავაშის) საცხობად, საკლავის დასაკლავად, ხორაგის მოსამზადებლად და სხვ. ამ დღეს სამი საკლავი უნდა დატკლავან უსათუოდ, ან სამივე ყოჩი, ან ორი ყოჩი და ერთი ქათამი (მამალი), ან ჭმუელი მოზგერი და ორი ყოჩი, ან ერთი ყოჩი და ორი ქათამი. სულს რქოსანი პირუტყვი არ ერკება, ხოლო ქათამი და ყოჩი—კი. მოზგერი სულისთვის კი არ იკვლის, არამედ ხორცისთვის. სულისა მხოლოდ ყოჩი და ქათამები, ან ყოჩები და ქათამი. დაკვლის წინად ყოჩს ნაკურთხს მარილს მთალოკებენ (ხოლო მამლიანობაში უკურთხებულსაც ალოკინებენ); ქათამსაც სანთლით თავის ბუმბულებს მოუტუსვენ. დანის გამოსმის დროს დამკვლევი იტყვის: „დმერთმა აცხონას (სახელი) სულ“. შემდეგ საჭმელებს გააკეთებენ: დიდ-ქვამბებში (არაყისში) ფლავს, წვეწვს და სხვ. მერე ხორაგს ქვამბებთანად შინ მიიტანენ, ლავაშსაც ვარცლიანად. სუთრანედ დაწყობენ უგელაფერს და საკმეველს ჩაჭყრიან. აქ ჩაურამდე, საკმეველს ჯერ კორთეში ჩაჭყრიან მცირე ხონჩაზე, რომელზედაც ალაკებენ: ერო მკლავ ხორცს, სამ ლავაშს და ერთ არაწ ღვინოს. ეს ხონჩა აქვე დარჩება მეორე დღემდის და მერე სახლის-წულნივე შემჭამენ. ქრისტიანი ინგილოები საჭმელს ნაკურთხის მარილით ამზადებენ და ტახლსაც მღვდელს აკურთხინებენ. სულის პური სამჯერაც იცინა. პირველ სულის-პურზე მკვდარს საფლავზე დაიტირებენ, ხოლო მეორე-მესამეზე—შინ. საფლავზე რასაც სანოვაგის წაიღებენ, შინ აღარ დაბრუნებენ: გამვლელსა და გამომვლელს აჭმევენ. დამტირებულნი შინ რომ დაბრუნდებიან, ჯამათი ჩამოსხდება—დედაკაცი ცალკე და მამაკაცი ცალკე. სტუმრებს მიათმევენ: ორ-ორ ლავაშს, ჯამით წვეწვს, რამდენსამე ნაჭერ ხორცს, ღვიძლის ნაჭერს, „ბარს“ (ფურცლ-ფილტვს წვრილად დაშვრიან, ნაწლევებს მოახვევენ და მოჭხარშვენ. ამას ბარი ჭქვიან). ამის შემდეგ სტუმრებს ფლავს მიათმევენ ორ-სამ კაცზე თითო ლანგარს. ფლავს აურია ხიწიწი (ხობოზიკი). დედაკაცი ამას გარდა კორკოტსაც შჭამენ. ჭამა-სმის შემდეგ უგელა სტუმარს ორ-ორ ლავაშს, თითო ლუკმა ხორცს ჩამოურთიკებენ. ხალხი რომ აიშლება, ეს ლავაშები და ხორცი უგელამ თან უნდა წაიღოს.

დედაკაცებს კი მიაქვთ ფლაჟიც, ღვინოც, კორკოტიც, ხილიც და სხ. სხობაგადოდ იმ ჭურჭლებს ივსებენ, რომელითაც სულის-პურში ხორაკი ან სასმელი მოიტანეს. პირველი სულის-პური წლის თავზე ადრე იცინან, ხოლო მეორე წლის თავზე და მესამე—მეორე წლის თავზე.

ამითი არ თავდება მკვდრის ხსენება და რიგები. ორმოც გაუსვლელ მკვდარს (მინამ ორმოცი დღე შესრულდება დღიდან კარდაცვალებისა) მეოთხე დღიდან მოკიდებული 40 დღემდის საკმეველს უკმევენ, მარხვა დღეს მარხულზედ, ხსნილ დღეს ხსნილზედ. ამას კარდა, წითელ პარასკევს, სამარხო საჭმელებს გააკეთებენ: ჭინჭრისა ანუ არყაქლის გირცას, ნიკვზითა და ხახვით შენელებულ ჭინჭარსა და არყაქლს; ღობიოს, წითელ კვერცხებს. უველა ამას უოველ ოჯახიდან კაცები წაიღებენ სასაფლაოზე და თავ-თავიანთ მკვდრების საფლავზე დასდებენ. თუ სამარე ახადის მკვდრისა, საფლავის ზემოპირს გასწორებენ. სამარეზე წაყრილ მიწას გამოიან, ოთხ-კუთხიან სახეს მისცემენ და ზედ ბაღახიან ჭიმებს დაადებენ. თავ-ბოლოში კი პტუელსა და მდალ ქვას და ხილის ხეებს ჩაუდგემენ, მერე ხორაკს სამარეზედვე გაჰმლიან, საკმეველს დააკმევენ და სანთელსაც აანთებენ. ქრისტიანები მღვდლებსაც აკურთხებიან საფლავებს. ამ დღეს ძველს მკვდრებსაც არ დაივიწყებენ და თავის წილს ხორაკს მიუტანენ. შემდეგ ამისა ხორაკს ისევ ჩააგებენ ხურჯინებში და ფართო ველობზე გავლენ. ჩამოლაგლებისან უველანი და წინდაწინვე არჩეული ფეკსედგომლები ხორაკს ხურჯინებიდან ამოაგებენ, განაწილებენ და ჯამათს მიაერთებენ. ჭამა-სმა დიდხანს გრძელდება. ხალხი რომ აიშლება, დიდები, მოხუცებულები შინ წავლენ, ხოლო უმცროსები ბურთაობას დაიწყებენ. თამაშობენ დიდხანს და ნასიამოვნებნი შინ ბრუნდებიან. საფლავზე მოტანილს წითელ კვერცხებს არა შჭამენ. ახალგაზდანი აჭიდავებენ კვერცხებს (კვერცხს კვერცხზე უკვრენ), ვისიც ცატუდება, იმის კვერცხი წაკებულა. ამ კვერცხებს შინვე აბრუნებენ და გახსნილებისთვის ინახვენ. ასე იქცეოდნენ ინგილოები მამადიანობაშიაც. გახსნილების დღეს ძველ მკვდრებს საკმეველი არ ჩაუვარდებათ, ხოლო ახლებს კი.

სამარინებზე გასვლა. საფლავებზე გასვლა მარიაშობის მარხვის—გახსნილების მეორე ან მეოთხე დღეს იცინან. ამ დღეს მთელი სო-

ფელი სსსფლარზე იკრიბება. ახალ მკვდრებს (ერთის ან ორის წლი-სსს) დაუკვლენ უოჩს და ვინც ვერ შესძლებს უოჩის დაკვლას, ქათამს დაუკვლავს, ხორცს კი ბაზარში იყიდის. გააკეთებენ რძის შეჭამადს, ფლავს, ტოლმას, მოხრაკულ ქათამს, მწვანე ლობიოს, მოაქუნებენ ხილსა და ნესე-საზამთროს. შინვე სუფრასზე უკვლავ მკვდრისთვის ცალ-ცალკე ჯამებში წილს ამოიღებენ, სუფრასზე დააწებენ და საკმეველს ჩაუყრიან. ახლის მკვდრის წილზედ კი საკმეველი სსსფლარზე იყრება. საკმეველს რომ ჩაჭყრიან, ჩამოსხდებიან და დანაყრდებიან. შერე ცხენებს აჭვიდებენ სანოვაცეს და სსსფლარზე წავლენ. იქ უკვლავნი თავ-თავიანთ მკვდრების საფლავებზედ ჩამორიგდებიან. სოფლის სამარხი თუმცა ერთადაა, მაგრამ საფლავები გვარეულობაზეა ჩამორიგებული. საფლავებზე მკვდრების წილს ხორაკსა და ხილს დააწებენ. ახლის მკვდრის საფლავებს ნაწნობნი და ნათესავნი დედაკაცი ჩამოიტირებენ, საკმეველს ჩაჭყრიან. ამ დროს მამაკაცი გვარეულობის მიხედვით იქვე ხილის ხეების ჩრდილში სხედან, ნესე-საზამთროს მიერთშეკენ, ღვინო-არაყსა სმენ და მკვდრების ამბავს მოუთხრობენ ერთმანეთს. ქრისტიან ინგილოების საფლავებს რომ მდგდელი აკურთხებს, ხალხი იქვე ველობზე გავა, დედაკაცი და მამაკაცი ცალკ-ცალკე ჩამოსხდებიან და „ფეუზე მდგომელები“ ხორაკს გაანაწილებენ და ჩამორიგებენ. შექცევა დიდის უიჟინითა და სიცილხუმრობით იციან, თუმცა უოველ ღვინის დალევის დროს „ღმერთმა აცხონა“-საც არ ივიწყებენ.

6. გორი (საიქიო).

საიქიო. საგვარეულო სამარხავის საპირობა. ცხოვრების წეს-ადა-თები საიქიოში (=გორში). „გორში“ მინასულ-მონასულთა ნაამბობი. რძის ტბაში ამოსულ ხეზე მცხოვრები ბავშვობა საიქიოში. მაჰმადიანების ყოფა საიქიოში. იქაური ველები. მკვდართ ვაცოცხლება. მეტამორფოზა. მარეა.

უოველი გვარი თავის მკვდარს ცალკე საგვარეულოში იმიტომ ჰმარხავს საზოგადო სსსფლარზე, რომ საიქიო თავისებურადა აქვს წარმოდგენილი. იქაური მოსახლენი, როგორც აქ, გორებად (გვარებად) დაუოფილნი არიანო. უოველი გორი ერთ ოჯახს წარმოადგენ-

სო. ამიტომაც კაცის შორს, უცხო ქვეყანაში კარდაცვალება და და-
მარხვა ინგილოს დიდ უბედურებად მიაჩნია. უოველ გორს იქ თავისი
უფროსი ჭეფს, უოველ ოჯახს აგრეთვე—თავისი. იქ მკვდრები სა-
დიდ-ვანშამზე გვარ-გვარულად დალაგდებიან. უველა გვარის წინ სუ-
ფრასე ისა ჭშლია, რითაც ცოცხლები იხსენიებენ. ის ხალხი იქ გა-
ხარებულია, რომელსაც აქაურები არ იფიწყებენ, ხშირ-ხშირად იგო-
ნებენ. უბედურად, მოწვევით და უელ-გადაგდებულად ისინი არიან, რე-
მელთაც აქაური ნათესავეები სიღარიბისა გამო ვერ იხსენიებენ. ამის-
თანა კაცი საზოგადო მარაქაში ვერ ერევა. ერთმანეთისთვის ლუკმის
მიწვდენა და განაწილება იქ არ არის. ქვის უკან განმარტობით ზის
ამისთანა კაცი, უელი გადაგდა და ჩივის: მშიერი ვარ, ნათესავებმა
არა გამომიგზავნეს რა (არ მომიხსენიეს). სანოვავე მკვდრების წინ
თუმიცა ბეერი ჭშლია, მაგრამ ისინი არ შჭამენ, მხოლოდ ჭვრეტით
(ხიფით) ძლებიან და იმით გზას მიდიან.

ინგილონი ამბობენ, რომ საგორეულთს ნახსიცი ქნილაო, ე. ი.
საგვარეულოს მნახველი და დაბრუნებული კაცი უოფილაო. ამგვარ კა-
ცებს რამდენიმეს ასახელებენ. ქიტანთ წუნგი დიად ავად გახდაო.
ჭკუა და გონება ერთხანად დაჭკარგაო. მერე გონს მოვიდა და ასრე
ილაპარაკაო: ,,გორში წიველ. იქ გორი-პირში ერ დიდ წივალ ეუო.
მითხრეს: ,,გოდმოხტ“. ჩემ ბებრამ (ბებია) კი დამარცა: ,,წივალ-
ში ფუე არ ჩასტე“. გადახტენ, ტედველ, გორში შიველ. ნოს, რუმ
სხედან, დიდ მარაქას. ჩონებიც იხსდენ. სუფრასე ამთონ რამ
ეუო, კაც პირი ვერ მოჭთლუს. დერობენ, ნაღრა-ზურნას ჭუკრენ,
შუფრობენ...“

ერთს ქალს კიდე ელაპარაკნა: „იმ ღუნიში წიველო. უველანი
ტკბილ მასლათ-საუბარში იფუნენო. ვნახე ჰაჰა, ბებია, ბიძები, ძმები,
ძმისწულნი, ჩემი პატარა ძმა პაპას გულში ჩაეკრა და ეთამაშებოდა.
უცხად სამხიარულო ნაღრა დაუკრეს. უვიროდნენ: პატარაღი მოჭყავ-
თო. მთელი ხალხი გავიდა სერიის საუურებლად. მეც წიველ; ვნა-
ხეთ, ციჭკუებიანთ (გვარის საინგილოში) ქალი მოჭყავთ. მაშინ ჩემმა
ბებია მითხრა: ,,შენ რაჲ გინდა აქ, ვერ შენ დროჲ არ არის, წაჲ,
წაჲ აქაღთის? კელ მერა, გამაგდა. იქ კაჲ ღამაზა დახატულ სახლებ-
ოთაღებ არის, ზეჲ მუღამ ანათებს...“

ამასაც ამბობენ, რომ სამოთხის კარზედ კუპრის ტბა არის, ზედ ხილია გადებული, მართალნი მარდად გადიან და სამოთხეში შედიან, ცოდვილნი შიგ ცვივიან და სუეუნო ცეცხლში იტანჯებიან. ცოდვილისა და კეთილის გამოსაცნობად მიჯნაზედ სსწორია გამართული, სამოთხისა და ჯოჯოხეთის პატრონი სწონავს. რომელი თვალიც დაიწვეს, ის ჯოჯოხეთში წავა, რომელიც აიწვეს, ის სამოთხეში. მართლებს იქ უორულები აქვთ. იქ მწვანედ ბიბინებს უნა, იქვე სძოვენ უორები. ვენახები და ხილი ბევრია. უნა იმ ჰურისა ამოსდით, რომელსაც კარდაცვალების ჟამს თავით დაუდგემენ. უორები ისანი არიან, რომელთაც ცოცხლები უგვლენ.

ერთი-ორის წლის უმაწვილს საკუეველი არ ერკება. საიქიოს ერთი რძის ტბა არის. იმის შუაში თეთრად გაფოთლილი ხე დგას. ამ ხეზედ სხედან ეს ნორჩი ბაღლები, ჟიფიფობენ, იცინიან, როცა კი მოჭშივავთ, ხე ჩაწკება ტბის პირამდე, უმაწვილები დაეწაფებიან, რძით გაძლებიან და ხე ისევ აიშრთება. ასე ატარებენ დროს უოველ დღე. ისინი უცოდონი არიან და სამოთხეში ნეტარებენ*).

ლეკები იქ ტანტალიკონი (შიშეეღნი) არიან, რადგან შიშეეღად იმარხებიან. ერთი ჩვარი წინა სსსირცხოზედ უფარიათ, ერთი — უკანა სსსირცხოზედ. არც საჭმელი აქვთ, არც სასმელი. დადიან აქეთ-იქით, დატანტალებენ, შიმშილით გუფი მისდით, მოვლენ ქრისტი-

*) ამ საიქიოს წარმოდგენას შეადარეთ საზოგადო ქართული:

მიველ და ვნახე სამოთხის სახე,
ელემსა გარე შემოუუარე:
ოთხი წყარო დის, ოთხის მხრით მოდის,
მითი მოირწყვის ყოველი არე.—

სიზმრითა ვნახე ედემი აღმოსავლეთის თავშიო:
არის მზე, არის მთოვარე. მრვალ ვარსკვლავი ცაშიო.
მივდივარ სანუკვარადა წმინდა ედემის ბაღშიო;
მიველ და ხეხილთ გადვხედე: ჩარიგებულა რიგშიო;
ზოგი მწიფს, ზოგი ყვავილობს, ზოგსა მკუხენი ასხია;
ერთი რამ კუპრის ტბა არის აქედგან მისავალშია:
ზედ წვრილი ბეწვის ხილი ძევს, ვინ გადაზომავს თვალშია!
მართალნი მარდად დადიან და მკვიდრდებიან ბაღშია,
ცოდვილნი ძირსა ცვივიან, იღუპებიან ტბაშია.

ანებთან უელ-გადაცდებულნი და მათხორბოენ, მაგრამ იქ ქონების გადაება და მიცემა არ არის. ქრისტიანებიც არ აძლევენ. ამიტომაც მამადიანები ქრისტიანებს სანოვაგეს ჰპარავენ. თუ შეამჩნიეს, გამოეკიდებიან, სანოვაგეს წაარომევენ და შორს გასდევნიან.

ცუდი კაცი, ბევრის „ფინთობის“ ჩამდენი მკვდარი დასაფლავების შემდეგ გახორტაგდება (განხორციელდება, გაცოცხლდება) ხოლმე და ან გადორდება, ან გაქათრდება (აფთარი). გადორება ასე მტკიცდება: აღიბათელი მოლა რამაზანა აშობდა, რომ ერთი დორი მოკვალით და წინა ფეხის მაჯაზედ ქაღის სალტა ქანდაო. გახორტაგდება ხოლმე მხოლოდ ლეკი (მამადიანი) და არა ქრისტიანი. ასეთი რაიმე სულიერად გადაიქცევა და ტყე-დრეში გადავარდება, ან სოფელში დაეტარება. მუხტარ-ადა გაცოცხლებულაო, შინ მისულიო, ცოლს ეცნა და ეფირილი დაეწყო. შეერილაევენენ მოლეები და სოფელეები და ისევ სასაფლაოზე გაეცილებიანთ და ეთქვათ: „შენ აღგილ ჰეკი, აღარ გომოხუდღი“. ერთი ბილაჯუგული გაცოცხლებულა. მისულა სახლში, ასულა აურზედ და რაც ნაშრომი უთფილა საკამელედგან სულ ძიხს ჩაუერია. ჯამათს ესეც სასაფლაოზე გაეცილებია. გაცოცხებული ცოცხალ კაცს არ ერჩის. პირველად რომ გამოვა საფლაფიდგან, კაცსა ჰკავს, მცირე ბაღანი აქვს, მერე კი ბანჯგულიანი განდება და რაიმე ცხოველს დაეგვანება. რომელ სოფელშიაც კაცი გაცოცხლდება, იმ სოფელში ბევრი ხალხი დაიხორცება. ზოგჯერ კაცი გაცოცხლდება, მაგრამ სამარიდგან ვერ ამოვა. იმის დასარწმუნებლად, რომ კაცი მართლა გაცოცხლებულა, თუ არა, ჯამათი იუილის შავ ულაყ ცხენს, წაიუვანს და სამარკზედ გადაახტუნებს. თუ მკვდარი გაცოცხლებულია, ცხენი გადახტომის უმაღვე მოკვდება, თუ არა, არა დაუშავდება რა. თუ ცხენი მოკვდა, საფლავს ანდიან და მკვდარს იქვე ჩაჰკვლენ. მოჭრილი თავი შიგვე არ უნდა დასტოვონ, თორემ მკვდრის ტანს რომელ ადგილსაც მიეხლება, მიეკვრის და კაცი გაცოცხლდება. ამიტომაც თავს ამოიღებენ და ცალკე დამარხვენ. გაცოცხლებული კაცი მარტო დამ-დამე ამოდის, ხოლო დღისით ისევ თავის საფლაფში ძვრებაო.

უველს ეს აღწერილობა საიქიოსი და რწმენა, რომ კარდაცვალებულის სული ჰეპელად იქცევაო, რომ მკვდარი რაიმე ცხოველად გა-

ხორტუბო, ცხადად მოგვაცოცხლებს სხვა და სხვა უწინდელ ხალხების რწმენას შესახებ მკვდართა სულის მეტამორფოზისა და მათსავე ცდას კარდაცვალებულთა გვამები უხრწნელად (მუმიად) შეენახათ, რომ მათში სული ისევ დაბრუნებულ იყო თვისის სხვა და სხვა ცხოველად გარდაქმნის შემდეგ. რომ ქართველებსაც თავდაპირველად ჰქონიათ ასეთივე რწმენა და მკვდართა გვამების უხრწნელად შენახვაც სტოდნიათ, ამას ცხად ჰყოფენ არა თუ მარტო ზემო აღნიშნული ზეპირ-ხალხური გადმოცემანი, არამედ თვით ქართულს ენაში დარჩენილი სიტყვებიც: „განსვენება“ (გან-სვენება), „გარდაცვალება“ (გარდა-ცვალება), „მიძინება“ (მი-ძინება). ეს სიტყვები გვიჩვენებენ, რომ,—თანხმად ინგილოების წარმოდგენისა,—მკვდრები საიქიოს სანეტარო სვენებასა და მიძინებაში არიან და სააქაო ჭირ-ვარაში საიქიო სამარადისო ნეტარება-განცხრომად კარდასცვლიათ. ასეთი წარმოდგენა ჩვენშიაც დაბადავდა მკვდართა გვამების შენახვა-დაკრძალვის საჭიროებას, და მართლაც ამას ცხად ჰყოფს სიტყვა დამარხვა ანუ, უკედ ვთქვათ, დამარვა, რომელიც ნიშნავს შენახვას, დაფარვას, დაკრძალვა-დაცვას. „მარვა“ დღესაც იმის ხალხის ენაში: „სუდარი ღვთის ამარად დარჩა“*), „პერანგის ამარ იყო“, „ცის-მარე დღეს“ და სხ. მისგან წარმოებული სიტყვები: მარხვა (погребъ), მარხვა=შენახვა (хоронить=хранить), მარანი (погребъ—ზმნიდამ погребать—დამარხვა), სამარე (სა-მარე), სამარიები (ინგ.)=სამარეები, სამარეანი (ინგ.)=სამარეანი. „მარვის“ მიმდებარე მიგვანჩნია თვით მკვდართ დაკრძალვის მოსაგონებელი მარული=მარულა. ამავე ძირის სიტყვაა მალვა და ორთავეს (მარვა-მალვა) მნიშვნელობისა კი ფარვა=ფალვა (შენახვა, დაცვა, დაფარვა), რომელსაც უდრის მეგრ. თულუა (მალვა, ფალვა) და მისგან წარმოებული ოფულარი=სამალავი, ოფულე=საფალავი.

*) იხ. ვახუშტის გეოგრაფიაში.

7. ც რ უ მ ო რ წ მ უ ნ ე ო ბ ა ნ ი .

ცრუმორწმუნეობა. მკითხვები და ავგაროხეღის დაწერინება. ალი. მაჯლაჯუნა. თელის ხეები. ავი თვალი, შელოცვა და შეკვრა. დაპეჩვა (დაძლევა) სხვა და სხვა ფრინელისა, პირუტყვისა და მნათობისა. მნათობთა მოძრაობაზე დამოკიდებული შედეგები. ყვაილი წმინდაა. შაკიკი.

ამგვარის ცრუმორწმუნეობის ნაშთი საინგილოში ბევრია. თუმცა თანდათან ხალხს უოველივე ეს მაგდენად აღარა სწამს. ცრუმორწმუნეობათაგან კადევ უნდა აღვნიშნოთ: მკითხაობა, დუვა, სუდრები, ბებრების სამარიები, ალი, მაჯლაჯუნა, დევი (არდევა), თვალის-კვრა, მოჯადოება, შელოცვა და სხ. მაგრამ კადევ ვიმეორებთ, უველა ეს ცრუმორწმუნეობანი ისე გატაცებით არა სჯერათ ინგილოებს, როგორც საქართველოს ზოგიერთ კუთხეში. ჩვენში მაგალითი არ უოფილა, რომ კუდიანობისათვის ვინმე დაეწვათ, ან წყალში ჩაეგდოთ. დუვა რომ ერთსა სწამს, მეორეს აინუნშიაც არ მოსდის მისი სიჭეშმარიტე, იღებს და ფხრეწავს. ან-და ვინმე ძრეულ რომ ავად გახდებ, ბებრები დაიფინებენ სამოლე გამხდარაო, ესე იგი მოლის წიგნი (დუვა) უნდა დაეწეროსო. სახლის ჰატრონს არა სჯერა არც მოლისა და არც მისის დუვასი, მაგრამ რომ დაწმუნოს უველანი რა სისუელელეს ამბობენ, გაჭირებული წავა და მოლას მოიყვანს. მოლამ, რასაკვირველია, ავადმეოფისა არაფერი იცის. ზოგმა მოლამ წიგნი სრულად არ იცის. რომელსამე საგალობელს დაჭბდაჯნის ერთ თარატინა ქადაღდზე და, თუ ქრისტიანია ავადმეოფი, ხშირად წეევა-კრულვასაც დაუწერს და მისცემს გლეხს, თანაც ეტყვის: ისეთი დუვა დაწერე, რომ ემაწვილი თუ კუდიანს ძრეულ არ შეუბერია, დმერთია მოწყაღე, მაღე მორჩებაო. აიღებს თავის სასუიდეღს ერთ-ორ აბაზს, ან მანათს და წავა.

მაგდენად არც მკითხვებისა სწამთ-რა. მკითხაობა ერთი რამ განსაზღვრული ხელობა არ არის, მკითხავი კადეც მკითხაობს, უოველგვარ სხვა საქმესაც აკეთებს. აქურ მკითხვებს იმის შესამედი გაუღენაც არა აქვთ ხალხზედ, რამდენიც ქალაქში კოღელ ნინოს ქჭონდა. განთქმული მკითხავი კაკში იყო ქ. მარიაშა, გულ-კეთილი, ალაღ-

მართალი და სათნოაინი ადაშიანი. ხალხს ჯერ გამოათქმევიებდა უო-
ველივეს: ან რას დაჰპირებიათ ღმერთს, ან რა აღუთქვამთ საუდრე-
ბისთვის, ან რა მიზეზით და როგორ ავად გამხდარა ავადმყოფი, და
მერე ისე დასდებდა თავის განაჩენს. ხშირი მისი სიტყვა იყო: სად-
მთოს დაჰპირებიათ, არ დაგიკლავთ. საკითხავისა ორ შაურსა და
ერთს სანთელს, ერთ ნაკლეჯ ამირიკოს და ხან კი ერთ ნაკლეჯ დომ-
ფალსაც მიუტანდნენ. უველასუ დიდი მკითხავი (ე. ი. განთქმული)
ყოფილა ნახლე-ხანუმა სარდარაშიელი. მკითხავებს უფრო დიდი მნი-
შვნელობა იმიტომ ჰქონიათ, რომ იგინი წმინდად იქცეოდნენ. ცუდ
სიტყვას არ იტყოდნენ, ცუდ საქმეს არ ჩაიდენდნენ. დაქვრივების
შემდეგ აღარ თხოვდებოდნენ. იგინი უფრო მოხუცებული დედაბერები
იყვნენ. ამიტომაც ინგილოებს ბებერ დედაკაცებისა დიდი ხათრი ჰქონ-
დათ და აქვთ კიდევ.

აღსა და მაჯლაჯუნასუდ ისეთივე მოთხრობებია აქ, როგორც
დანარჩენს საქართველოში. აღი გრძელ-თმიანი, ფრიად კოხტა ქა-
ლიაო, მინდორსა და ველებში, წყლის პირებში იმყოფებაო. ცხენსუდ
ჯდომა და ჭენება უყვარსო. შეჯდება ცხენსუდ და ფაფარს ისე აუწე-
წავს, რომ კაცი ვეღარაფრით დაუყვარცხნის. ცხენსუდ პირ-უკუღმა
ჯდებაო. ცხენსუდ აღი ბევრს უნახავსო. აღი თუ როგორმე კაცმა
დაიჭირა და ერთი თმა გამოაკლიჯა, თავის სიცოცხლეში მისი უმა
იქნებაო და, რასაც მოისურვებს, აუსრულებსო. მაჯლაჯუნას კაცის სა-
ხე აქვსო. ვინც პირ-აღმა დაწევა, იმას ისე დაწევა, რომ უოველი
მისი ასო კაცის ტანის ნაწილებს მოეწეოსო. ამხარად დაწევა, სუფს
შეუტუბებს და დაარჩობსო. მაჯლაჯუნასაც და აღსაც დთვისა კში-
ნიანთ, და კაცმა წმიდა გიორგი, ან ღმერთი უნდა ახსენოს და მანვე
მაშინათვე გადაიკარგებაო.

გზის პირას, სადმე განმარტობით თელის დიდი ხეებია, ეს
ხეები სადმთოდ მიაჩნიათ და ჰკონიათ, რომ იგი ჰკურნებს სხვა და
სხვა ავადმყოფობასაო. მაგალითად, კბილის ტკივიდს და სხვ. ამი-
ტომ გზად გავლის დროს მგზავრი რამე ნიშნს მიაკრავს ამ ხეს,
ან კალთიდგან მოჰხევეს კარკატანს (ჩვარს) და ზედ მიაკრავს. ან ჩხირს
დაურჭობს ხის ქერქში, ქვას დაჰკიდებს და სხვ. საქონლის ჭირის
დროს პირუტყვის ნახირს ფირზე (ხის საუდარზე) წაასხამენ ხოლმე.

იმ ხეების ქვეშ ვინმე მაჭმადიანი წმინდანი მარხია, ან-და იგი ადგილი ნაკელსიარია. თორზე საქონელს მარხის მოალოკებენ; შესაწირავად ერბო-კვერცხიანი თლავი მიაქვთ. მაჭმადიანები კი საღმთოსაც ჰკვლენ.

ზოგი ისეთი ადამიანია, რომელმაც თუ ავის თვალთა და გულით შეჰხედა სხვის ულავს (შესაბამ პირუტყვს), სხვის ცხენსა და შვილსაც, თოღ მოხტებაუ (თვალი ეცემა). რომ თვალის ცემა აიცილონ, ძაღლის განავალს პირუტყვს წაუსმენ, ძაღლისა ან ცხენის თავის ძვლებს სახლის თავებზედა და ეზოს დობებზე ჩამოაცემენ, ან ღვინჭილასა და თვალის მზივს დაჰკიდებენ.

შელოცვა და შეკვრა შეიძლება ნეთესი, ჰატარძლის შვილიერებისა და სხ. და სხ. ნეთეს ნაბდის ბეწვებს მოუგრებენ ჯვარის წერის დროს, ან უხანგს გადაუტრიალებენ. ამით შეიკვრის ნეთეს კაცობა და ჰატარძლის შვილიერება. შეკრულის გასახსნელად მოლას იწვევენ, მაგრამ ამაღ: ზოგი ისე იხტებიან, რომ კაცობა არ ესხნებათ! შელოცვა და შეკვრა ცოცხალის მძივითაც იცინა. ეს მძივი მრგვალი და გრძელია. ერთი პირი მწვანე აქვს და ერთი წითელი. მტერი მიიტანს ვისიმე მამულში, გარს შემოატრიალებს და ისურვებს, რომ მამულის ჰატარძლი ვერ აშენდეს, გახრდეს და გავერანდესო. ამის შემდეგ იქვე მამულში დაჰმარხავს. შეკრულის კაცის მამულში არათერი აშენდება, აშენებულიც გახრდებაო. ჰარკის ჭია, საქონელი, შვილები დაეხრება. ჭიას, ავადმუთოს, მელოგინეს და სხ. ვნებს აღმასი, თვალი და ოქრო. ამიტომ ჭიისა და კაცის ავადმუთობის დროს ამგვარ ნივთებით უცხო კაცს სახლში არ შეუშვებენ. თუ ვინცოდა შევიდა, მის ნივთებზე წყალს გადაავლებენ და ავადმუთოს დააღვინებენ, ხოლო ჭიას კი წყალს აჰკურებენ. მელოგინესთან შეტანილი ძვირფასი თვალი, აღმასი, ოქრო და სხ. ჩხვილს ჰკლავსო. თუ თითონ მელოგინეს აქვს იგივე თვლები და ოქრო, გარედამ შემოტანილი ვედასას დააკლებსო.

გაზაფხულზე სამხრეთიდან გადმოთრენილ თრინველებისა და ახლად დაბადებულ პირუტყვების დაკეზვა (დაძლევა), აგრეთვე ლეპებისა ამგვარად იცინა.

კუჭკუხ (გუბუღი) რომ დაჰკეზო, უნაწილო არ უნდა იყო, ერ-

თი ლექსმა პური მანც უნდა ინაწილო. მის „კუჭკუს“ პირველად რომ გაიკებ, უნდა მიაძახო: „კუჭკუ, დაკკეჩი!“

მერცხალის დასძლევე, თუ ღვინო შეგისვამ, ან ძმარი და ძმრის წნილი გიკემნია დაძლევის დღეს.

წყალ-წყალის დასძლევეად ორი კაცი ერთად უნდა იყოს. თუ ორი წყალ-წყალაა და ერთი კაცი, მაშინ კაცი დაკეჩილია (დაძლეულა).

ყაპ-ყაპის დასძლევეად პირში წყალი უნდა გამოადურდნო (გამოივლო).

კურკურაჲ (გვრიტი, დოია) დაძლევეა, თუ ფეტვის ამოსული ჭეჭილი გინახავს.

თუთა-ბალიას (ბიჭო-გოგია) დაძლევეა ახალის უველით უნდა. თუთა-ბალია პატარადაა უოფილა. ერთხელ ტანი უბანია. ამ დროს მამამთილი მოულოდნელად და უცაბედად პატარადას საბანებელთან მისწრებია. პატარადას შერცხენია და ღვთისთვის უთხოვია: დმერთო, მამამთილს როგორღა ვეჩენო, ფრინველად მანც მაქციეო. დმერთსაც შეუსმენია და თუთა-ბალიად უქცევია. ამიტომაც თუთა-ბალიას უვითელი ბუმბული ასხიაო, რადგან პატარადას უვითელ პურანგს იცმენო. თუთა-ბალია იმიტომ ქჭვიან, რომ, როდესაც მოფრინდება, იძახის: თუთა-ბალო, მააწიო! (მოიწიე, დამწიოდო).

პოპოპის დასძლევეად თავის დაბანაა საჭირო. თუ თავ-დაუბანავ დაუვარცხნელი ჭნახე, დაძლეული ხარ. ეს პატარადაა უოფილა და ბანების დროს მანჯლს მიუსწვრია. პატარადას ფრინველობა უთხოვია და ჭობობად ქცეულა. საწყალს თავშივე სვარცხელიც ისევე დარჩენია.

კოტის დასძლევეად რაზედმე ხელით უნდა ჩამოკვიდო. თუ ფეხზე დასდები, ფეხის საცმელი მალე გაგიცვლება.

ლეკის დასძლევეად ადღგომის სდამოს დორის ხორცი უნდა დაჭდეჭო და გააფურთხო. დორის ხორცი დაუღეჭავი რომ ლექსმა განახოს, დაძლეული ხარ. ხორცის დამღეჭავები ლექს რომ პირველად დანახვენ, მიაძახებენ: „ლეკო, დაკკეჩი!“

ტანას (ხბოს), ტუტულს (წიწილას), კუტს (კვიცი) და ზაქს პურით დასძლევე.

ბუნების მოვლენათა დაძლევეა:

გურგურის (ქუხილის) ხმას პირველად რომ გაიგებ, უნდა გაჰგორდე.

ჰელოას (ელვას) რომ დანახავ, რკინას უნდა კბილები დაადგა.

„თორეა (მთვარე) დანახვაში“ ფეხზე უნდა წამოდგე და მოუწერე წუნო (სამ გზის).

მთვარეს დაჭერაში (მთვარე რომ დაბნელდება) თოფების სრლას იწეებენ. ჰთვარე გქლამაშას შეუპურიათ და თოფებით აშინებენ, რომ მანათობელი ქვეყნისა იხსნან იმის პირიდან.

მიწი-დანზრევაში (მიწის ძვრა) იტყვიან, კარგი მოსავალი არ იქნებაო, ჭირი და ომი ატყდებაო.

მასკულაჲ ჩემუარდნაში (ვარსკვლავი რომ მოსწყდება) აგრეთვე ომს, ქვეყნის უბედურებას იტყვიან. ხანდახან ვარსკვლავი ერთის მხრიდგან მოსწყდება და მეორე მხრისკენ გადაივლის. ამაზედ იტყვიან: მავან საუდრიდამ მავანისაკენ ანგელოზი გადაფრინდაო.

უოფილაჲ (უვაილი) და წითელაჲ წმინდაა და წმინდად შენახვა (მოვლა) უნდა. უვაილი თავისითაც ჩნდება და ამოჭრითაც (აცრით). უვაილი ან წითელა რომ შემოვა სხლში, ხონჩაზე დააწყობენ წითელ ლავაშებს, წითელ კვერცხებს და ერთ ჯამ ბაქმანს ანუ თაფლს, კოართეში მადლა ხონჩას დასდებენ და წითელა-უვაილის გასვლამდის იქ დაანარჩუნებენ. ამას იმიტომ სჩადიან, რომ წითელის, თუ უვაილის დედა ხონჩაში დაიბუდებსო და ავადმყოფს არ შეაწყუბებსო. ავადმყოფობა რომ გადაივლის—მორჩება, ხონჩას ჩამოიღებენ, გზაზედ გაიღებენ და დასდებენ. გამფელ-გამომფელი ხორაკს წაიღებს, ხონჩას კი ისევ შინ დააბრუნებენ. უვაილი და წითელა არ უნდა გააჯაფრონ. გაჯაფრება კი შეიძლება სხვა და სხვა ნაირად: ქვაბი თუ ადრულეს შინ სხლში, ან ადრულეული ქვაბი გადაიუვანეს, ჭათამი დაჭკლეს, ხორცეული მოჭხარშეს,—უველა ამით უვაილი და წითელა გაჯაფრდება. ამას გარდა, ცუდი სიტყვა: უბედობაც უჯაფრება, აბრაზებს.

● ტკბილი სიტყვა-პასუხი უნდა იუოს სხლში, ჩონგურის დაკვრა და სხვ. ავადმყოფს კარგად უნდა მოუარონ, არ შეატონ, აჭამონ: ქინძიანი შეჭამანდი, ფლავის წვენი, ღვინო არ დალიოს, ხორცეული არ ჭამოს, არც ფლავი. უნდა სვას ცხენის რძე, აგრეთვე ძროხისა და ვარისა.

საკეცი-ქარ (შაკივი). შაკივი კაცს თავში უჩნდება. თავის ერ-
თი მხარე ასტვივა ხოლმე. ეს ტვივილი გადაუვა, თუ შეულოცესო.
გოგრის თასში ნაცარს ჩაჭურთან, ზედ ამირიკოს დააფარებენ და შე-
ულოცვენ:

ალი, ალი,	ალო, ალო,
საფარ ალი!	საფარ ალო!
გეთ დალა დეგ,	წადი მთას ეცი,
ჩო-ულუნა დეგ,	ქარ ტეხილს ეცი,
ჩობანა დეგ,	მწვემსს ეცი,
ჩოლინა დეგ!	მინდორს ეცი!

კიდევ აღსანიშნავია ინგილოების მოწიწება და შიში ძველ გა-
დაშენებულ საუდრების ეზოში დაშთენილ წმ. ხეების წინაშე: „ერ
წვირ რუმ მოგჭრათ, გოგნიწერებაჲ“.

8. დღეობები და გაყრა.

1. ახალ წელი. მიიწურა ძველი წელიწადი. მზე ჩაესვენა.
შებინდა. ინგილოების სოფლებში ასტუდა თოფის სრულა, ხმაურო-
ბა, ძაღლების ეეფა. მთელი სოფელი ხმად გადიქტა. რა ამბავია? ნუ
თუ ლეკის შემოსევამა და სისხლის ღვრამ ასტეხა ესრეთი ღრიანცე-
ლი, ტექა-ქუხილი?.. არა, არა, ინგილონი არც მტერს შეუშინებია
და არც სისხლის ღვრას! ინგილონი ეგებებიან ახალს წელს.

*
* *

შუა ღამეა. ეოველივე მიწინარდა. აღარც თოფის გრიადი ის-
მის, აღარც ხმაურობა. მხოლოდ ხანდისხან კანტი-კუნტად ჰეეფს
გლეხის ერთგული დარაჯი და ყიფიან სოფლის მამლები. შრომის
შეიღნი მისცემიან ტკბილს ძილს.

არა სძინავთ სახლის დედაბურთ და ოჯახის მეთაურთ.

დედაბური თითის-ტარზე განქარებით ართავს ბამბის ძაფს. სა-
ხლის მეთაური ელაპარაკება დედაბურს და ართობს ტკბილი სიტყვე-
ბით. აი მორჩა დედაბური თავის საქმეს. ადგნენ ორთავნი და ჩუ-
მად მივიდნენ ნამძინარე უმაწვილებთან, მკლავები გამოუღეს საბნე-
ბილამ და მჯგებზე შემოუტარეს დართული ძაფი, გაგვანძეს და მო-

შორდნენ. ძაფი შემოახვიეს დედაბოძსაც, თუნგსაც და ყოველსავე სხვა ჭურჭელსაც.

ეს ძაფი მოგვაცანებს რგოლსა, რომელიც ძველადგანვე ცნობილია, როგორც სიმბოლო ღვთის დაუსაბამობისა და ერთ-აჩსებისა; ამ ჩვეულებით ინგილო გამოსთქვამს თავის სურვილს, რომ ერთ-აჩსმა და დაუსაბამო დმერთმა ოჯახის ყოველნი წევრნი და ყოველივე მათი ქონება ახალ წელიწადს შეინახოს მთლიანად, დაუზიანებლად და დაურღვევლად. ამ ჩვეულებას ინგილონი თათრობაშიაც მტკიცედ ასრულებდნენ. ძაფის რგოლს მაჯილამ სანი დღემდის ვერ შეინსნიდნენ.

*
* *

გატუდა ღამე. აკერ მამლები მესამედ ავივლდნენ. ცისკარმა აღმოსავლეთი წითლად შეღება. სახლის უფალთ დაადვიძეს ოჯახის წევრნი. ეველას უხარიან, უგვიარს და ეკითხება თავის თავს: ისრე ჩუმად ბებრამ (დიდედამ) როგორ შემაბა მაჯაზე ძაფი, რომ ვერ გავიგეო. იბანენ ხელ-პირს, იცმენ ახალს წინდებს, ქალამებს, ახალუხს და სხ. კერაზე ცეტხლს ღუდღუდი გააქვს. ერთმანეთს ემუსაიფებიან, იცი-ნიან... უცბად გარკლამ ვილაცამ კარები დააკაკუნა: კაკ-კუკ, კაკ-კუკ! მუისვე ეველანი სმენად გარდაიქცნენ.

— კარ გამიღით?

— რაჲ მოგაქა?— მიაძახებს დიასახლისი.

— წყალი, წყალობა.

— რაჲ მოგაქა?

— წყალი, წყალობა.

— რაჲ მოგაქა?

— წყალი, წყალობა.

— შომოჲ (შემო), კოლი (კვალი) შენი— კოლი ანგელაზისა.

კარს გაუღებენ და შემოვა მკველე. თვით სახლის უფროსს უგისრია მკველეობა. როდესაც სახლში ეველამ გაიღვიძა და ერთი ალიაქთი შეუდგათ, უფროსი ადგა და გავიდა სახლიდამ, თან წაიღო თიხის ჩაფი და აბოთ საკენკი. უფროსი მივიდა მდინარე წყალ-თან, ხელ-პირი დაიბანა, დმერთი ახსენა, ჩაფი გაავსო წყლით, საკენკიანი თვალი აბოისა წყალში ამოასველა, თხილის კინკილოიანი

(ევაგილიანი) ტოტები შემომტერია, აბგის ცარიელ თვალში ჩააწყო და დანრუნდა შინ.

სახლში შესვლისავე უმაღ ზაფი დასდო კორთეში (ჭურჭლის საწყოები თარო), თხილის ტოტები საკანზე*) დააწყო და საკენკი კი გადაბნინი-გადათესა სახლის ეველა კეთხე-კუნჭულში და ამასთანავე რამდენჯერმე წარმოსთქვა: „ღმერთო, ქურმუხის საყდარო, ნუ მოგვაკლებ ჰურსა და სარჩო-საბადებულს“.

საკენკის „დათესვის“ შემდეგ ეველანი მოუსხდებიან კერას. სახლის-დიდი (უფალი) ჭერიდამ ჩამოიღებს წინა დღისავე დამზადებულს ერთ კონა ლარტას (ხაკაფ კაღის ტოტებს), ეველას თითო-თითო ტოტს ჩამოურიკებს, ერთსაც თვითონ აიღებს და კერას შეუტყუაშენებს. ლარტის ნორჩი კანი სიცხისკან ერთბაშად დასკდება და ტკაცვი-ტკუცს დაიწეებს. სახლის უფალი კი ამ დროს შესთხოვს ღმერთს: „ღმერთო, გაგვამრავლე ეველასურით, გაგვაბედნიერე“. დანარჩენი სახლის წევრნი აკრეთვე „დაატყუაშენებენ“ თავის ღერ ლარტას. ერთ ან ორ ლარტას (ტოტს) ისევ ჭერში შესდებენ... ამასობაში კიდევ გათენდება.

ახლა დამზადებენ ხონჩას: დააწეობენ ზედ ჰურებს, ლავაშს, დასდგენ ჯამით თაფლს, ერბოს, არაწით ღვინოს, ბამბის წითელს და თეთრს ძაფებსა და სახლის-დიდას (უფალთან) ერთად წაეღენ ევნახის საკვლევად. მივლენ და ერთ კარგ მოსავლის მომცემ ვაზთან დადგებიან. სახლის უფალი ჯერ გასხლავს ვაზს, მერმე ააკებს, ჭიკოების ჩარჭმის დროს ნიადაგს ღვინით მოაღობობენ; იგივე უფროსი ვაზის ძირში დაჭკლავს წითელ ფერთოსან მამალს, წითელ ფრთებს მოჭკლეჯავს და ბამბის ძაფით ამ ფრთებს ჭიკოსა და ვაზზედ მიაკრავს და თანაც იტყვის: „ღმერთო, ქურმუხის საყდარო, შენ ნუ მოგვაკლებ ქვევრებში წითელს ღვინოს“. თითო ღუკმა ჰურს ამოაწობენ თაფლსა და ერბოში, შეშქამენ, ცოტა ღვინოს მოსვამენ და შინ დაბრუნდებიან...

ბოსელს უგვლევენ ემაწვილები. აქვე უნდა ვსთქვათ, რომ წინა დღესვე გამოაცხობენ ხოლმე საკვლევე ჰურებს: სახლის უფლისა-

*) ხისაგან გაკეთებული დიდი ბელელი, რომელშიაც ინახვენ ფვილისა და ხან ხორბალსაც და სდგამენ შიგ სახლშივე.

თვის — წაღდა, ვაჟთათვის — ღულებსა (ნამგალი), ქალებისათვის — ჯარებსა, შესაბამე ჰირუტუვთათვის კოკოებს (კვერებს), აგრეთვე ერთ კოკოსაც სირთათვის. ვენახიდან რომ დაბრუნდებიან, უველა თავის ჰურს აიღებს და დანაურდება. სირთა კვერს შეაკვებენ ჟინაზედ (ბალკონი სახლის მეორე სართულისა) და ჰირუტუვებისას კი, როგორც ვსთქვით, უმაწვილები მიიტანენ ბოსელში, უველა ჰირუტუვს თავთავის კვერს ჯერ რქებზე წამოაფშენ და მერმე გასტეხენ და შეაჭმევენ, თანაც მიეაღერებინან: „იცოცხლე დიდხანსო“.

* * *

ახალწლის დღეს ინგილოებმა სადილი იცინან ადრე. უფრო ქათმის წვეწვსა და ფლავს აკეთებენ. სადილად მოელან გარეშე შეკვლეუსაც, რომელიც უნდა იყოს ვინმე ბედისკან დაუჩაკრავი, ან ნათესავი, ან ნაცნობი. მინამ შეკვლე არ ეწვევიათ, სხვა ვისმეს არ მიიღებენ სახლში. შეკვლე რაწამს მოვა, ჩამოიღებს ჭერიდგან ზემორე ხსენებულს ლარტას, შეუტულაშენებს ცეცხლში და ოჯახისათვის ისურვებს კარგ მოსავალსა, ჯანმრთელობას და დღეგრძელობას.

ზატარა სადილობისას (საუზმის დროს) გაიმართება ჰურობა, ღხინი და სიმღერა მღერიან თათრულად. ქართული სიმღერა, როგორც ვთქვით, მაჰმადიანთა მფლობელობის დროს სრულიად აღმოფხვრილა. აქ გაგრძელებულია უფრო ქრონოლოგის სიმღერები. მღერიან ოთხ-ხუთ სიმინ ჩონგურზედ.

2. დიდ საყდართ გასვლა. უდიდესი დღესასწაული ქურმუხის საყდრის დღეობაა — 10 გიორგობისთვე. თვითონ ქურმუხის საყდარიც, როგორც ზემო ითქვა, წმ. გიორგის საყდარია. მას იხსენიებს ბატონიშვილი თეიმურაზი ჰინ წმ. გიორგთა შორის. დღეობისთვის დიდის ამბით ემზადებიან. უველა თავის სადმთო მოვადუობად სთვლის, არ გამოაკლდეს დღეობას; არ იქნება არ დაუნთოს ქვეყნის ზატარის წმ. გიორგის სანთელი, არ დაუკლას სადმთო. უველა იქით მიეშურება ურმით, ცხენებით, მთელი სახლობით, სადმთოებით. იურება ჯარი ხალხი უველა სოფლებიდან. საყდარი ფერდობის წვერზეა. შარა გზიდან, საცა ფართო ველობაა, საყდრამდის ვიწრო ბილიკია, რომელიც ამ ბოლოს დროს საკმაოდ გააგანიერეს

ოთარაშვილებმა იასემ და მისმა ძმა სეიტალიამ. ურმებს ველოზზე მთის ძირში სტოვებენ, თვითონ ადიან მადლა საღმთოებით, მოწიწებით ღოცულობენ, საღმთოებს სუდრის წინ ქოჩოჩს უტრუსვენ (მღვდელი ღოცავს და ანთებულ სანთლით უტრუსავს), მერე ბრუნდებიან და ძირს ბინაზე (ველოზზე) საღმთოებს ჰკლავენ, იქვე ქურმუხიდან ჩამონადენს ანკარა ხევში რეცხვენ, მის წყლითვე ხარშვენ. მალე იმართება დიდებული შექცევა, ჭამა-სმა, მხიარულება, ერთურთის მიწვევ-მოწვევა, დალოცვა, დაკვრა, შდერა. დაღაკებულ მლოცავთა ჭერეტა საამურია, დიდებული: ურმები წყება-წყებად, ხალხი გროვა-გროვად, ზგუფად. იქ პატარძლები, აქ გასათხოვარი ქალები, ახალგაზდა ჭბუგნი. მოხუცნი, ხარკამეჩ-ცხენები და სხ. ისმის საერთო გუგუნი, ზრიალი. ბოლოს იმართება ცხენთა ჭენება, თქრიალი და ხალხიც იფანტება, მიდი-მოდის თავ-თავიანთსა. ამას ჰქვიან დიდ საუდარზე გასვლაჲ.

3. აღდგომა. ამ დღესწაულისათვის ინგილოები ვნების ზარსკევიდამვე ემზადებიან. ამ დღეს წითელ კვერცხებით და სამარხო საჭმელ-სასმელით (მხოლოდ მამაკაცები) გადიან სასაფლაოზე, აწორებენ ახლად განსვენებულთა საფლავებს; ერთად, ძმურად იხსენიებენ მკვდრების სულს, მერე ბურთაობენ და საღამოს ჟამს შინ ბრუნდებიან. შეღებილ კვერცხებს ინახვენ აღდგომისათვის. აღდგომის დღეს, მამლის უივილისას, მთელი სახლობა იღვიძებს და ჰირს იხსნილებს ღორის ხორცით. გაღებენ ერთს ნამცეცს ღორის ხორცს, გამთაფურთხებენ და თანაც იტუვიან უკვე ცნობილს: „ლეკო, დაკეჩ!“ ამ სიტყვებს აღდგომის შემდეგ იმეორებენ მაშინაც, როდესაც პირველად დაინახვენ ლეკს ანუ მამადიანს საზოგადოდ.

დილით ვეკლა სახლის-წულნი იმოსებიან ახალ ტანისამოსით, თავს ერთად იურიან და სახლის აღმოსავლეთ კუთხეში ანთებენ სანთლებს. იქვე დგას დიდი ხონჩა, რომელზედაც აწვივა სხვა და სხვა სახსნილო საჭმელები. იქ შეგვედრებიან ღმერთსა და ქურმუხის საუდარს ამ სიტყვებით: „ღმერთო და ქურმუხის საუდარო, გახსნილებას (აღდგომას) მუდამ დოგასწარ“ (დაგვასწარიო).

შემდეგ ჰირის გახსნილებისა, ჰკლავენ „სამხტოს“: უოჩს, ბატკანს, ან მამალ-ვარის (წვრილ-თუხა მამლებსა და სადედე ვა-

რებს). მერე სხვა და სხვა საჭმელებს დასაჯებენ ხონჩაზე და მიდინს საგვარეულო საუდრებზე სალოცავად. ეს საუდრები მალე ხეობის ჯგუფია. ხშირად აქ სრულიად აღარც კი ეტეობა კვალი ძველის შენობისა. ხეობის ქვეშ სადმე დევს ქვა (ფშავ-ხევსურების ნიშის მგზავსი); მაზედ დასთებენ სანთლებს, აკმევენ საკმეველს და შევდრებიან ღმერთს მხურვალედ. შემდეგ ამ საუდრებს დაუკლავენ სამსთობს, ერთად ისამხრებენ ნათესავები (გვარეულობა) და თავინთი სახლებში წავლენ. სადილობის შემდეგ ნათესავები და ნაცნობები ერთმანეთს ულოცავენ აღდგომას. „ქრისტე აღდგა! — ჭეშმარიტად!“ აქ არ იციან, მის მაგიერ ერთერთს ეგებებიან ამ სიტყვებით:

— მოგილოცავ გახსნილებას!

— მეც შენ მოგილოცავ. ღმერთმა მრავალ გახსნილებას დაგასწროს, ცოლ-შვილ გიცოცხლას.

1849 წლიდან ქრისტიანობა რომ მიიღეს ინგილოებმა, მანაც თავისი აღდგომის დღესასწაულობის წესები არ დაივიწყეს. ეხლაც მაჭმადიანად დათენილი ინგილოები შიგა-და-შიგ ასრულებენ ხსენებულ წესებს. ქრისტიანი ინგილოები, თუმცა ეკლესიებში სალოცავად ბეჭითად დაიარებიან, მაგრამ ძველ წესებსაც წმინდად ასრულებენ.

4. გაყრა. წინად, როგორც უკვე ვთქვით, დიდ-დიდი ოჯახები იცოცხლენ, ხოლო ბოლო დროს გაყრა გახშირდა, დიდი ოჯახები დაქუცმაცდა, დაწვრილდა. წინად როგორ შეიძლებოდა, რომ შვილი მამის სიცოცხლეშივე გაყრილიყო, მაგრამ ეხლა ამის მაგალითები მრავალია.

გაყრა-განაწილების მსურველი იწვევს სოფელში ჰატოსნებით წარჩინებულ კაცებს, ერთს, ორს ან სამს. ეს კაცები უოველივს უწილადებენ, რაც იმას ერგება. ჰური და ღვინო სულზედ იუთფება. თუ რომელიმე დედაკაცი ორსულად არის, იმას ორი წილი ერგება. საქონელი, ჭურჭელი, მამული ძმაზედ იუთფება. თუ სახლში ერთ ძმისწულს ქალი შეადგენს, იმას ფულს გაუდებენ, ფულით დაკმაყოფილებენ. უძრავიდან კი წილი არ ერგება. აგრეთვე ქვრივსაც ფულს აძლევენ. დასქორწინებულ ანუ უცოლო ძმას, კარდა წილისა, 200 — 300 მანათი „საქორწინო“ უნდა გაუღონ. დედ-მამას უძრავიდან წილს არ

გაულებენ, ისინი რომელსაჲ შეილთან უნდა დასახლდნენ. დიდი სახელი უმცროსის ძმისაა. სხვა ძმებისათვის კი საერთოდ უნდა ააშენონ სახლი, ან გაურის დროს ცალკე ფასი გაუღონ. საწოლი არ იუთფება. უგელა ძმის ცოლის მოტანილი ან გაკეთებული ფართალი (საწოლი) არის საკუთრება იმისი. თუ რომელისაჲ ძმის ცოლს ჰუფანდა საკუთარი ძროხა ან ფურ-კამეჩი, გასესხებული ფული და სს., ისიც მისია, არ გაიუთფება. დედ-მამის წილი ჭურჭელი, მათი საწველი, იარაღი და სს. სიკვდილის დღეს რჩება იმ ძმას, რომელმაც დამარხა იგინი.

V I

ინგილოური ზღაპრები და თქმულობანი

(ზოგი ადგილობრივს კილოზე. ამ და წინა (მე-V-ე) თავის ჩაწერვაში გვშველოდნენ განსვ. ვაცა ოთარაშვილი ო თოხანა ჯანაშვილისა).

1. კოსალაჲ და მელაჲ.

კოსალას მალად ხეზე ერ¹⁾ ბუდეჲ გაჰკეთები²⁾ (=გოჰკეთები), შიგ სამ კერცხ დაჟდები³⁾, სამ ბაკალაჲ გომოუეონი⁴⁾.

კოსალას ჰუფიქრი (=ჰუფიქირნი): გავსდი, დაფაფრენ, გომხარებაჲ. ამჲ (=მაგრამ) იმიზეთ (=იმისთენ) სისარულ არ დაწერულ ეოფილ.

ერ მელას კოსალაჲ ბუდეჲ ხეზე დაუნახი (=დოუნახი), სი ზირში მოსულ, კოსალაჲზეთ დაუნახნი (=დოუნახნი):

— კოსალა, აჲ კოსალა?

— რაჲსა! ⁵⁾

— ერ ბაკალაჲ მამ?

— რაჲზეთ (=რაჲსთენ) ჰუმ მოგცე, არ მოგცემ!

— მამ არ მამცემ?

— აარ!

— მამ კაჲს⁶⁾, შენ არ იცი, მე ტულ მამ, ერამ მამ, ტუნ-ტურიკ მამ, წალდიც მამ; ხის შიტოებსაც გადმოგკაფაჲ, ხესაც მოგ-

¹⁾ ერთი. ²⁾ გაუკეთებია. ³⁾ დაუღვია. ⁴⁾ გამოუყვანია. ⁵⁾ (=ხევს.: რაჲს (=რა არს?). ⁶⁾ =ხევს.: კაჲს (=კაჲ არს, კარგია).

ჭრი, ხი ზუურკსაც მოვთხრი, უმუაგდებ, შენც შეგჭამ, შენ ზუ-
ლებსაც!

ეემ სიტუეზე კოსალაა დიად დაღონებულ, დანავდლიანებულ,
დიად ჭუწუნნი. რაღა ჭუმ¹⁾ ექნა. აწელი, ერ ბაკალაა მელააბე (=მე-
ლაასთუნ) ჩომოტედი.

მელაა მუნლი ტკივილიც ეეს უოფილ. დოუვლი (=დაუვლი)
ბაკლიბეა უბაა, აწეონი, წაკეონი ბრულეებში, შეუჭამი, მემლან კიდემ
მოსულ, აამ სიტუებთავ დოჭუნსანი, მოტეუეები, მეორე (=მეკრე)
ბაკალაა ცომოურთომ, წაკეონი; ჭუჭამი, მემლან²⁾ მესამე ბაკლი-
ბეათაც (ბაკლისთუნ) დაბრუნებულ, კიდემ კოსალაა მოტეუეებამ ნდო-
მი. უჭკო კოსალაა ეხლა კი თავში ჩავარდნილ, ჭკოზე მოსულ,
ზეათი მელააბე ჩომოჭუნსანი:

— ტეუეხარ, მელა! შელს კი არ, ჭუვასაც არ მოცემე. აასიც
კეუოფ, რუმ მამატეუფ, თორ შელ წამართ, წაჟეონ ბრულეებში, გო-
მოჭხარ, შემეჭამ (ავლუა იქნეს შენ ნაჭამ, ხაშკალამ იქნეს, ზმრად,
შხამად გექცეს!) შენ არც ცულ გაქ, არც ეროა გაქ, არც წაღდ
გაქ, არც სატეს გაქ, არც ჩორკ გაქ, არაფერიც არ გაქ. ვერც ხეს
მოშჭრი, ვერც დაჭკაფავ. წაა, დაჟარკ!

— შენ მინ³⁾ გითხრა, მე არაფერ არ მაქავ? არც ცულ, არც
ჩორკ, არც წაღდ, ერ რამიცი არ მაქავ?

— უოფამ მითხრა, უოფ წირინამ,

ნუგზი ზირამ, წინკერენამ.

— მამ უოფამ გითხრა?

— ჭოფ, უოფამ მითხრა.

— მამ კაას! მელაა წასულ, ერ ნაკნავში დაწოლილ, თავი
თავ-კლარვი ჭურჩუნები. ზაშტა ხან ამავრ უოფილ.

უოვსაც აამ ნაკნავში ტრიალ ჭუვარები. მოსულ, ჭუნასი—მე-
ლაა მამკლარ; აქათიანი დოჭოთორიალები⁴⁾, იქითიანი: ცოცხალ
ჭუმ არაფ⁵⁾. ჭუნასი—კლარი. მელაა კუდთან გადამხტარ, ერ ჩაჭ-
კენგი (=ჩაჭკენი), მასკან კენკი-კენკი, კენი-კენი, ქმუზზა-ქმუზზა მე-

¹⁾ რალა ქვე ექმნა. ²⁾ მემრელა. ³⁾ =მეგრ.: მინ (=ვინ). ⁴⁾ დაუ-
თვლიერები. ⁵⁾ =ცოცხალი ხო არააო.

ლამა უბამდინ გაუწევინი; ერთ ჭუმ ჩაქქნია, მელას ჭამთავ ჭუმნი, უბამა გაუნომ, ყოფ დაჭერი, მემდან ჭუკიონნი:

— ჭუმე ყოფლ ყოფო, შენ ეყავ კოსლამბე თქმელი:—მელას ცუღ არ აქავ, ჩორკ არ აქავ, წაღდ არ აქავ? გეხლა დედექ, შენ რას გიუქბა?

— ამან, მელა, ჟან მელა, ჭუმც (=ვიც), შემჭამ. ერ ქვეანაში ხაზნი ადგილ ვიც. მოა, აა ადგილიც დაგასწავლო, მემდან რამც გინ (=გინდ), ამს მიუავ.

მელას დიად გაჭხარები. ყოფ გაუშუ (=გოუშუ), ჭუთქომ: ჭაბა, ჭურ, წაუდეთა?

ყოფ გაჭხდოლი, მელამც გაჭყოლი.

ყოფს მელამ ჭუტარები, ჭუტარები, ამთონ ჭუტარები, რუმ (=ჭუმ) ერ თინ ზადლებიან კაციას წაუყონი.

კერკლებთან ჭუმ მისულანა, ყოფს დაქჩხავლნი:

— უა! უა! უა!

ყოფი კხმაზე ზადლებ გომოჭტუენიან, მელამ მოხეტულ, გადახორწანა ნდომები; ზადლებ გომოჭკიდებიან, მალე აუღიაუ, დაუჭე-რიაუ, ბრული ზირზე თრდობეში წაუჭტევიაუ, დაუგლეუოუ.

ყოფ კი გათრენულ, შუდობით წასულ.

ეშმაკ ქურდ მელამბე ემბე საქმეა ქნილ!

2. ბერ გელ.

ერ ბერ გელ ყოფილ.

წასულ. ერ ყოჩ დახტომი.

— გამარჯობა!

— გაგამარჯოს! ხეარ იქნეს, რამბე მოსულხანა?

— შენ შესაჭმელა!

— ექ დედექ, აქათყენ წავად, ცოტა საქმეა მაქ, გავაკეთებ, მემდან გამომარბენავ, მუად, შემჭამ.

— კამს, წამ?

— ყოჩ უგან-უგან (უგანაუ-უგანაუ) წასულ, წასულ, მემდან ნაცხ-ტ. გომომარბენულ, აკე აჭწეუტები, აკე ჭუგრუმი, რომ ბერ გელ ბრუ-

დი ზირზე გადაკუნტულეულ, გაგორებულ, ურჩ თუთან კი გადახორწნილ.

ბერ გელ ზლივ ამდგარ, კასწორებულ.

ამდგარ, კიდემ წასულ.

წასულ ბევრ-ცოტამ, ერ კუტ დასტომი.

— გამარჯობა!

— გაგიმარჯოს! რა გინდა, რამბე მოსულხნარა?

— შენ შეტყუელა!

— დიად კამ ფეეებში ნალებ მამ. ჟერ ე ნალებ გამმილ¹⁾, მემდან შემკამ.

გელს ნალები აერევენბამ, გომოლებამ დაუწუქუ. სამ ნალ გომოქლი, მეოთხეა გამოლებამი კუტს გელიბეა აგე²⁾ წინლ ჭუქრავ, რუმ კბილები ჩაქერევენბი, თუთანაც ამქავ წაქტევი. კუტ კი მონქტულ, გადახორწნილ.

ბერ გელ ზლივ ამდგარ, კასწორებულ.

ამდგარ, წასულ. ახლა ჭურ (=ვირ) შომოჭყერი.

— გამარჯობა, ჭურ!

— გაგიმარჯოს, გელ! რა გინდა, რამბე მოსულხნარა?

— შენ შესატყუელა!

— რამლა ჭუმ ქნო. ჭურ, შემკამ. შეტყამდინ ნება მამ სამ-ჟერ დამეროყინო, ამ დუნის გამოგეთხოვო.

— დამეროყინ, შენ ნათქომ ეუოს.

— ვირს (=ჭურს) ერთხელ რუმ დაქეროყინია, გქრც ეოთ³⁾ სოფლი ზადლებს ეურე მონქტეა. მეორე დაეროყინებაში ჭური კამა კარგა გაურჩევიავ. მესამე დაეროყინებაში ზადლებ გომორბენულან. გელს გომოჭკდომიან, შემორტემიან, წაუტევიავ, ჭურ-რემიავ, გაუფლეთიავ.

3. კატამ და ლომ (=ასლან).

მესაკნავეს კატამ წაჭყონი, საკნავზე წასულ.

კატას იქ ნაწავი და ტეი ჰირებზე ჭურტრიალნი, ჭუნადირნი

¹⁾ გამომილ. ²⁾ აგეთი. ³⁾ ახლოს მყოფი.

ჩიტებს, თაგებს რაღამ ჰუჭკერი. ნაგახტან ტუი წარათიდგან და ბრულე-
ბი შიგამთი ასლან გომოვარდნილ (=გუმუარდნილ).

— ხოშკეღდი, ზმაო!

— გაგიმარყოს!

— როგო ხარა, კამ ხარა?

— მადლობამ ღმერთს! როგო ჰუმ ვეუო, ვარ ჩემთუნ, ვცხლ-
ვრობ, როგორც შეეფერებ ჩემისთანა კატა-მატას.

— მიკურს, მე მიმგავხარ, ბიღებს, წერებს, სახეე ჩემ გაქ, ამმა
რამბე ჰუმამერ ზატრამ დარჩომილ ხარა?

— ჩემ ბატონ რუმ გეცნა, გაიგებდი, რამბეთაც კმამერ და-
ბალ ვარ!

— მინაა შენ ბატონ, ყავრ ომომყარო?

— ჩემ ბატონ—კაცი.

— ვერ მჩინებს?

— რამსთუნ ვერ გაჩინებს, გაჩინებ.

— სა არისა?

— ოგი ¹⁾ (=აგვი)!

ასლან კაცთან წასულ.

— გამარჯობა!

— გაგიმარყოს! სადთი მოჰდი?

— ჰუმანდ ტუეში ჰუმეუ (=ვეუეუ), თქენ კამამ მამივდა, გუმუ-
ელ, მუმელ, ე ჩემ ბიზიშულ დამისტო, ექ შენთან მამიყონა.

— ბედნიერ იქნეს შენ მოსულამ, კამ იქნეს!

-- მადლობამ ღმერთს, ჩემ ფეე კარგა მოუკლებას შენ საქმეს.

მე გემეგო, კაც ფანკატა რამბიავ, დიდ ღონეე აქავ, შენ კი თოლ-
ში ზატრამ მეჩინებ, ღონეეც ზიწვამ ჰუმ გქონდეს!

— დომბასოთ, ამამშინ ნობავთ, მენ და შენში მინ ღონიერი,
მინ ზალიანი!

— კამს, ჩემ ნანდომიც ჰეგ ეუო.

— ამამ ჩემ ღონეე შინ დამჩომი, ექ დედექ, შინ წაჟდე, ღო-
ნეე მომტანო, ამამშინ დომჭიდნოთ.

— კამს, წამ.

¹⁾ =აგვი, ანგვი.

— ჰუმანგრ არ იქნებ; ჩემ მისუღამდინ ჩემ შიშით შენ გადახ-
ხორწებ¹⁾, ჟერ გამუშე ექ ხეზე დაგამბოას!

— არ გოდოდახორწებ!

— მეროვ²⁾, ჟანის ჟანი, იქნებ მახეტო, მემდან რაჰუმ ქნო?

— თუ ჰუმგე ფიქირ გაქ, მამ დამბა!

კაცმა ასდან ხეზე მაგრა მიაკრა საბლით, მემდან სკრეჟე ადლა, გაანია და გაანია ასდანს, აგე ჟეგა, თავ-პირში, თოღებში ამთონ ტქმა, რუმ ასდან აჰჰე წაჰქცა. კაცმა დამბოულ ნადირ გაუშო.

მაშტა ხანს ნადირები კემწიფეჟე უგონო ეგდო, რუმ მახედა და მობრუნდა, წამაწივა, კატას შეჰხედა, ამადოკრა, ამადჰნშა, ციტოჟე კი იჟდა თავისთუნ, მრჰა-მრჰს იზახდა. ასდანმა კატას ჰუთხრა:

— ზმაო, შენ ბატონ მართლაც ღონიერ უოფილ. მაგი კელში შენწორიც ვერ გოჰდებოდი!

— მამ როგო გეგონა, კაც ჰუმგე რამი ჰიგი! ღონეჟედ მეტ ჰკოჟე აქ, მოკერეჟებაჟე აქ.

— მოკერეჟებაზე მეტ მოტეჟებაჟე ცოდნი, უნამუსოჟე უოფილ! ამასთან რაჟე დამაჟენებსა! შუდობით!

ეს თქო ასდანმა, წომოხტა, ტეეში შეჰჰარდა.

ციტოჟე კი ამადგრაჟე იჟდა, მარჰუნა ფეჟით ბიღებს ისწორებს, თავისთუნ ღიღის უკრავდა.

—

სხო თქმით: ნაჰნაჟში მოჰკრილ ხეჟე ეგდო. კაცმა ჰუთხრა ას-
დანს: მე ჩემ ღონეჟითი ემ ხეს გოგხეტჰაჟეჟე. დაჰკრა ცუღ, სოღ
ჩაჰტა, კიღემ დაჰკრა, ხეჟე შუამდინ გაფხრიწა. ასდანს ჰუთხრა: ჰაბა
ახლა დანარჩომ შენ განეტჰიე. ასდანმა თითებ ნახეტჰში ჩაუოთა. კაც-
მა სოღს დმოჰკრა, ამადგა. მემდან სკრეჟე ადლა, უშხივლა, ამთონ
ჟეგა, რუმ ასდან იხწებოდა: გამუშ, ჩემზე ღონიერ უოფილ ხარაჟე.
კაცმა შეიბრალა. გაუშო.

¹⁾ გარდაიხვეწები.

²⁾ რა ვიცი, რა ვრჰუა.

4. ქ ა ჩ ა ლ .

ეუო¹⁾ ერ ქაჩალ უეილ კაც. აგე ქაჩალ, წურუნ, ჭიპლიან, კერ-კლიან, რუმ თელ სოფელში დასტინოდნენ და კეკრუსს ეზახდნენ (კე-კრუსს ჩონში იმეკე კაცს ეზახიან, რემენსაც (=ჭემენსაც) სიქაჩლით თაფზე აღარც ერთ ბეწ ადარ დარჩომი, სიქაჩლით გაცრილ, გაქუ-ცულ). ემისთანა კეკრუსმა კემწითი ქალ თხოვანა მახდლომა.

აღლა ჭაგუბაჲ, ზურკებ შიგ ჩაღლაგა, კარზე გადადლო, კელში ყოხ დაჰკირა, წაჰლა.

ეტარა ბეგრ-ცოტაჲ, ერ მინდორში ნახა, კაც კნავს, ჭიმებს აბრუნებს, კელში იღებს, ებაში იღებს, თქამს, კიდემ ამოღეს: „გაჲ, შიმშილი (=შიმშილით) მოგე!“

— გამარჯობაჲ!

— აჲ გაგიმარჯოს! სა მიჭდისხარა?

— მიგდ კემწითესთან, საქმეჲ მაქ.

— მეც შენთან წამიყონ?

— წაგიყონაჲ კი არა, ზმად გაგიხდი. მოჲ წაქდეთ!

— ჭერ!²⁾

ორიჲ წასულან.

წასულან, წასულან, ერ კაც დასტომიაჲ. იმ კაცს კელეზზე, ფე-ფეზე წაქდელჲ (ცეცქელე) ქეებ აცმულ ჭქონი, ბრულეებში ჭურბენი უურდელ დასტერელა (=დასტერელა).

— გამარჯობა!

— გაგიმარჯოსუ! სა მიჭდისხართა?

— მიგდივართ (=მიგდუვართ) კემწითი კარამდინ.

— მეც თქენთან წამიყონით!

— რადებეთ არ წაგიყონათა, წაგიყონათ. მოჲ!

სამნიჲ წასულან, ტყეჲ, მინდორ გადაუგლეჲ, ერ ღდეუ დას-ტომიაჲ: სუდარ ატეიდები, მოდის კნეში-კნეში.

— გამარჯობა, ღდეულო!

— გაგიმარჯოსუ, შულეებო! სა მიჭდისხართა?

1) იყო. 2) იარე.

— კემწიფისთან მივდევართ.

— მეც გამიუთლით.

— მოჰ!

ბევრ-ცოტად ჰუფლუაჲ, კემწიფი კარზე წასულან. ნაზირ-ვეზირებს ჰუგითხნაჲ:

— რა გინდაჲ, რაჲბე მოსულხართა, რაჲსა თქვენ გაჭირებაჲ? ქანალ კეკრუს წინ წამამდგარ, სალამ-ქალამ ჰუთქომ, მემდან კემწიფი ქალ მოჭთხონი. კემწიფეჲ გაჭყავრები:

— შენ რაჲ ხარა, რუმ ქალ მოგცე?! დამკარგ!

— მაშ არ მამცემა?

— აარ, არ მოგცემ.

კეკრუსს დღლიბეჲ ჰუვაზირები: ¹⁾ „დღლეო, აკიდ კემწიფი სხლი?“ (=დღლეო, კემწიფი სხლ აკიდი?).

დღელს აჭკიდნი სხლ კემწიფე-დღღუფლიანა, იმათ შულებიანა, ნაზირ-ვეზირებიანა, მოჯამაგირე-სავაზირთებიანა და გასდგომი გზას. ქანალ-კეკრუს და იმი კაცებ უკან გაჭყოლიან.

დერიაჲ (=ზღუ) ზირზე რუმ მისულან, კეკრუს დაჭკითხები კემწიფეს:

— მაშ არ მამლეეჲ ქალსა?

კემწიფეს შაჭმინები, ჰუთქონი, დერიაში ჩამაკლებსაჲ, ქალი მიცემაჲ დაჭპირები. დაპირებაზე კეკრუსს გაჭხარები, დღლიბეჲთ სხლ აჭკიდები, უკანაჲჲ ²⁾ მოჭტინინები.

თაჲი ადგილზე კემწიფეჲ რუმ მისულა, კეკრუსიბეჲ ჰუთქომ: „ქალს არ გაზლეე“. კეკრუსს უკანობლივ წაულებინები. კემწიფეჲ შეჭხუწნები: „წინანდელ ადგილზე წამიდ, ქალს მოგცემაჲ“. რუმ მოუღიაჲ, კემწიფეს ჰუთქომ:

— აგე კაცებ მუაჲ, სირბილში მინამ ვერ ეწევ. თუ შენ კაცებ-მა გაუსწრეს, ჩემ ქალ შენი ³⁾.

— კამსაჲ, ჰუთქომ კეკრუსს და წუცქელუ ქუებით გამრბენელ გომოჭუონი.

გარბენულან.

¹⁾ უბრძანებია. ²⁾ =უკანაჲ, უკანე. ³⁾ შენია.

წუტქულუ ქუების აკე გარბენულ, რუმ კემწიფი კაცების კევზე
გაწყენამდინ იმას წუალიც მოკტანი.

— სირბილში შენ წინ ხარ, კეკრუხ, ჰაბა ახლა ჰურ ჭამაში
(=ჭმუაში) ნოხთ მის კაც ბევრ შეჭყამს!

— კაჲს, ნოხთ!

მოტუტანიაუ ორას-ორას ლავაშ თითო კაცობუთ. ჭიმუბ ჭამიას
(=ჭმელს) თითო ლაკმაზე თითო ლავაშ ერთა გადაკულაში.

მეორეთაც კემწიფეჲ უკან დარჩომილ, ილლუჲ გაწწეტი, ქალ
მიტცი.

გახარებულ კეკრუხს კემწიფი ქალ მოკურნი, კაჲ სახლ დაჲდ-
გამ, შიგ დასახლებულ, აკე ქორწილ ჰუქნი, რომ იქაჲრ ვაშკაცების-
თუნ გადაქსწრუ, მისთანაჲ ერ კაც ადარ გომორენულ იმ ჰინდევარ-
ში¹⁾, კაჲ ბალი-მარცოლ შულუბ გაჭინი და ტაბილა ჰუცხოვრიაუ.

5. წიკოჲ და გელ.

ერ ქეჩიჲ უოფილ, სამ წიკოჲ ჰუელი (=ჰქონი). ანწლი ქოხ
გაჲკეთები, შიგ წიკოჲ დაჲერი, თუთან ტეჲში წასულ ბალახ მას-
ზოგენლა, შულუბობუთ კი ჰუთქომ:

— შულუბო, წაჲლ, ბალახს მოგზოგნი, დაგბრუნდებ, ზუზუჲ-
ბით ზეს მოგიტანუ, ქებით ბალახს, ჩემ მოსულენუჲ (=მოსულამდე)
კარ მიხამს არ გაუდოთ.

ქეჩიჲ საზოგენლა წასულ.

წიკოჲებს ქოხი კარუბ, ფენყრუბ მაგრა დაუკლეტიაუ, შიგ დამ-
დგარან.

პიწა²⁾ ხან არ გასულ, რუმ გელ მოზუნზულუბულ, ქეჩიჲ კმით
წიკოჲობიბუთ დაუზახნი:

ანგულუმო, შანგულუმო, კარ გამილით, მენგულუმო!

ზუზუჲთი ზეჲ მოგიტანიუ, ქებით ბალახ მოგიტანიუ!

წიკოჲებს კმაჲ ვერ ჰუტნუჲუ, კარ გაჲლიაუ.

გელ ქოხში შაჰვარდნი, ერ წიკოჲბე უბაჲ დაჲელი, გომოსულ,
წაჲურნი, გადაკარგულ.

¹⁾ მისადევარში. ²⁾ პაწაწა, პაწია, პაწა.

დანარჩემ წიკოებს დიად შექმნიებიან, კარ შიგნიითი მაგრა და-
უკლეტია, ცოტა ხანს უკან იმათ დედადც დაბრუნებულ, შუღლები ზახ-
ნა და წყუტ. ბევრ ჭუზახნი, კარ არ გაწლიან, აგრ გონებიან, ესიც
ჩონ დედა არადის, გელაფ.

საწუად ქების ამოთნ ჭუზახნი, ჭუნქნი, ჭუცოდინი, რუმ წი-
კოებიბეთ თაფ ჭუნტობები, კარ გაწლებინები.

ქეჩი რუმ ქონში შესულა, ბაკლებს შეუჩივლიან ტირილით:

— გელმა მოგატყუა (=მოგვატყუა), კარ გაწლით, ჩონ ზმა
წაფონა-წაუ.

დედას აგე შეებრდა შუღ, რუმ თოღები ცრემლი კოლა¹⁾ წინ-
წკლებ გოდმოყარა. კარში გომოწდა, დაწყო ჩხვილ, ბღვილ, ბევრ
ეზახ თაფი დაკარგულ შუღს, ამაჲ კმაჲ ვერ მიწდუნა. დატრიალდა
იმ ჭანდეგარში და წელი ჰირზე დანახა თაფი ტერ. წიკოჲ დეკელი-
ყა, შეეჭმა, დაწლილიყო, დეეზინა. მიეპარა, აგე ჭუგრუმა²⁾,
რუმ წუადში ჭდგუნა მღლიღან.

წუადმა წაღა, ტლახში მოღურტა, ღურღურში ჩაგდა, დახჩო.
ფინთობაჲ ერ მინამს არ აშენებს!

6. ღოუმან ჭაქიმ.

ღოუმან ჭაქიმი დამჭერელ³⁾ ჭაქიმ ქეჲანაზე არ ეოფილ.

ღოუმანს რაც წამალ არის, სუ ცოდნი, არ ცოდნი მარტოჲა კა-
ცი არ მაკდომელ წამალ, ინსნი⁴⁾ გაატოცხლებელ წამალ. ებგე წა-
მალ კი გქლები კემწიფეჲ თაში (=თაზე) დიად ბევრ ეოფილ. წა-
მალ გქლებს ჭუცაფე. წამლიბეჲ წასულ კაც ერთიც ცოცხალ აღარ
დაბრუნებულ.

ღოუმანს ემ წამლი გომოტანაც მოუნდომნი. ამღარ, წასულ,
გქლი კემწიფი თაში გასულ, წამალ ბაღახებ ბევრ დაწკრეფი, ქაღ-
მებში ჩაწერი, ფეეზე ჩუცომ, დაბრუნებულ. გზაში გქლებ დახ-
ტომი.

— ღოუმან, ექ რა აკეთებდი? ჭუკითხნიაჲ.

¹⁾ =კვალად, მაგიერ. ²⁾ ურქინა. ³⁾ თანაბარი. ⁴⁾ აღამიანის.

— არაფერს, სანადიროთ ჰქუყუ¹⁾, ერ რაჲმ ვერ მოგვკაღ, ეხ-
ლა შინ ცარიალ მივდივარ.

— შენ სანადიროთ არ უოფილხარ, წამალ დაგიკრეფი!

— არ დამიკრეფი!

ტქლქებს დაუნხრეკიავ იმი ჟუბეებს, უბეჲ, არხოლოდ, ჩოყაჲ, წა-
მალ-ბალას კი ვერ ჰქუზოვნიავ.

ლოყმან შინ მოსულ, ბალახებ დაუნაყი, წყალში აურევი, ოორ
შუშაში ჩაუსხამ: ერთში კაც მამკლქლ, მეორეში კაც გამცოცხლებელ.

ბეერ კაც ლოყმანს სუკდუღიზგან დაუნსნი. უკანისხან²⁾ თუთანაც
ავად გამკლარ. თავი დედაკაცბეჲ ჰქუთქომ:

— ჩემ მაკადომელ დროსე ეემ მარჟენა შუში წამალ დამადე-
ვინივ.

კაცი სულ დაღევი საათში დედაკაცს შეცდომით იმერ შუში წა-
მალ დაულევენები, ამჲ მოჰკონები, აული, ახლა მარჟენა შუშაჲთი და-
ულევენები. ორივ წამალ ჰქუმ დაულევენებია, წამლებ შეჭიდებულან,
წოორ გამოჩენულან, აჲმისთუნ ლოყმან აჲმაგრაჲ დარჩომიდ, აღარც
კაჲ ქნილ³⁾, აღარც მამკლარ.

ენლაც ლოყმან ჰქაქიმ ცოცხალიავ, ამოოვენ.

7. დედინაცოლ და ქალბე.

ერ კაცბა მეორე დედაკაც (=ცოლ) მაჲყონა. წინანდელ ცო-
ლიზგან სამ ქალ ეონდა (=ჰქონდა), მეორიზგან ერთ.

დედინაცოლმა გერ ქალბე მაჲზულა, შეჲჟავრა, მალმალ თავი
• კაცს ებნებოდა:

— შენ ქალბე ფინთნი, სხლში ერ რაჲმ აღარ დაგდეს, ქონს,
წქლას იზარენ, შჭამენ. ჰქეგენ მამაშორ, სდაც გინ, აჲქ წაჲყონ, მე
ჰქემგათთან ცხოფრებაჲ აღარ შემიზღიან.

ქალბე კაჲ ეენქნ, დედინაცოლ კი ემტე ფინთ, განარებულ
რაჲმ ეო!

1) ვიყავი. 2) უკანისხანს, ბოლოს, უკანასკნელად. 3) „კაჲ ქნილ“
მორჩენილა.

ერ დღეს მამა ზრახი ნახათით მოვდა. ქალებს ჰუთხრათ—
ქალებს გამკადითაჲ. დიდ ქალმა არ გაჰკადა, შუალამაც არ გაჰკადა,
პატრამ კი გაჰკადა.

რუმ კდიდა, მამას ტოლხით ერთ წითელ ვაშლ გოდმოჰვარდა.
პატრა ქალ დასწლო, ადა. იჰო! როგო ლამაზ ვაშლიაჲ, თქო.
ის ქალებიც მამას შეესწინენ:

— „ჟან, მამა, ამან, მამა, ვაშლ ჩონც მოგუტანო!“

მამამ ჰუთხრათ:

— ხუვალ მამეგეთა! ტეეში ერ ვაშლ არის, ბეერ ასხი, დავა-
ქანებ, თქენ აკრიფით.

მეორე დღეს მამას გაჰყენენ.

ვაშლ ქეშ ღრიე თრმოჲ ეუო. იმ თრმოზე მამამ ხალიხაჲ და-
აგა, მემლან ვაშლ დაქანა.

ვაშლ ჰუმ ჩომოტყუდა, ქალებ ხალიხაზე გადახტენ, თრმოში
ჩატყუდნენ.

მამა შინ დაბრუნდა.

თრმოში დარჩომილ ქალებს შეეჩინდათ. ჰომობდნენ თმოსული-
ენენ, ვერ მაკერკეს, ვერ თმოფდნენ.

პატრა დას ერ სავუდაჲ-დანაჲ ჰქონდა ჟუბეში. ემ დანაჲთი ფეე
დაადგმელ კრელებ გომოჩინქნა, გომოხრუტა. ემაგო ჩინქნი-ჩინქნი,
კრეტი-კრეტი ზლიე თმოფდნენ.

რუმ თმოფდნენა, ღუნიაჲ დაათორიალეს. ნახეს ერ ადგილით
კომლ თმოდის. კომლს მიატანეს, წაუდნენ. ერ კაჲ სახლ ნახეს. შიგ
შეგდნენ, დაჲმანენ. სადმოზე ნახეს, ერ არდეჲჲჲ მოდის.

შომოვდა არდეჲჲჲ, ცეცხლა-პირში დაჲდა, თქო:

კაცი სულ მამდის! ეზება, მინამ¹⁾ ვერ იპოვნა. ფართალ²⁾
დააგა, დაწო დასაზინებლა. თქო: „გოდნო, არ შემარცხუნო, თუარ
დაგდალაჲ“. თქო, თოლებ დახუჭა, დაჲზინა.

შუალამში დიდ ქალ გომოვდა, ფქულ ცაცრა, ცომ მოზილა, არ-
დეჲჲჲ წასცხო, თუთან კიდეჲ დაჲმალა.

არდეჲჲჲ დილაზე ჰუმ გამაჲღუზა, ნახა, უკან ტან გაჰსრუ,
თქო: „მამ კაჲს, ნახ როგო დაგდალაჲ!“ თინში ბეერ ქონ მადუ³⁾

¹⁾ ვინმე. ²⁾ ლოგინი.

და. კარგა რუმ ადუღდა, ადგა გოდნაჲ შიგ ჩყოფა. ეემ დროს ქა-
ლეებ გომოვდნენ, შამთურებ დევს დაჭირეს, ადუღებულ თიანში დაშ-
დურეს.

დევ დაწო, მოკლო. ქალები სხლ-კარს დაჭმართვედნენ.

ემ დევს ბევრ დევლეთ ქონდა: ბევრ თეთრ, ბევრ ცხორ, ბევრ
საქონელ. ემთონ რაჲმი ჰატონ თუთან გაკდნენ.

გაქდა ქქს-შუდ თქა, მამაა წაქდა ქალები საზებნელა. ამთონ
ეხება, ამთონ ეტარა, რუმ შუღუბ იზონა.

მამი ნახუა ქალებს დიად გაჭხარდაუ. მამს კაჲ აჭამეს, კაჲ და-
აღვენეს, ერ გულა თეთრიც აჭვიდეს, შინ გააციდეს. დედინაცოლს
გუდით თეთრ მოტანაჲ გაჭხარდა.

გაქდა ორ-სამ წელ. მანადებ თეთრ გეშეკლივაუ. დედინაცოლ
კაცს¹⁾ შეეხუწა:

— ამან, ჟან კაცო, ჩემ ქალიც ტუეში წაჲყონ, ერ გულა თეთრს
ესიც მოგუტანს.

კაცმაც წაჲყონა, ერ ხი ზირზე დააგდა, თუთან შინ დაბრუნდა.

ღამი ტურაჲ გომოვდა, ქალთან მოვდა, იმი შეჭმაჲ ჰუნდოდა.
ქალმა ჰუთხრა:

— ტურაო, დემესსენ, მეზინზილებ (==მეზინების)!

ტურამ ეურ არ დაგდა, გერც-გერც ქალთან წაქდა. ქალმა კი-
დემ ჰუთხრა:

— ტურა, დემესსენ, მეზინზილებ!

ტურამ არ შეიბრადა, შეჭმა, მარტოჲ ზოლებ დააგდა.

ჰაშტა ხანს უკან დედამ კაც გუდით თეთრ მატანელა გაგზავნა
(==გაზგავნა). კაციც წაქდა, ზოლებ გულაში ჩაყრა, დაბრუნდა.

დედინაცოლმა რუმ ნახა კაც მოდისაჲ, გაუხარდა, დეკითხა:

— რა მასქა?

— რინკ-მინკ! დაქუურა შორითაჲ.

— რას ამბოჲ, რა მასქა?

— რინკ-მინკ!

— მართლა ამბოჲ?

— მართლა!

¹⁾ ქმარს.

გუდაც გამართო, დახსრია; მართლა შიგ ცომხრულ ცომ
ლებს ეყარა...

ფინ დედინაცოლი ბოლოც ემგეთი!

8. წ ა რ ა ბ ა კ ა ნ ა ა.

ერ წარაბაკანაა უოფილ. ეკალზე დამჟღარ, ეკალ ფეეში შერტ-
მი. აფრენულ, ერ უზუში წასულ, ჭუნახი, ერ ბებერს ვარცლში ცომ
მთუზელი, თორნეა გააკურებულ ფინს კი არ აქ. ბებრიბეა ჩიტს
ჭუთქომ:

ამან, ჟან, ბებერო, ე ეკალ ფეევი გამმიდ, მადლი.

ბებერს მაშინაც გამოჟელი. ჩიტ კიდემ შეჭხუწნები:

— ბებერო, შუდ თას უკან საქმეა მაქ, წავალ, საქმეს გოვაბ¹
თებ (=გაფაკეთებ), ჩემ მოსუღინუა ეკალ შემინახ!

— კახს, მაად, შეგინახავ!

ეკალ მივცი), თუთან გაფრენულ, წასულ.

ბებერს აამ ეკალით თორნეა გააკურები, ჰურ დაუკრავ (=გო
მოფცხუ). ვარცლ შინ რუმ შეუტანი²), წარაბაკანა-ჩიტიც დაბრუნე-
ბულ, ბებრიბეა ჭუთქომ:

— ჭაბა ახლა ჩემ ეკალ მამი?

— შენ ეკალ თორნეში დავწ წაუ!

წარაბაკანაა გაფრენებულ, ჭუთქომ:

— ჭე³) ეკალ მამ, ჭე ხუთ ჰურ მამ!

რადღა ჭუმ ექნა. ხუთ ჰურ აქელი, ჩიტებიც მივცი.

ჩიტს აქელი, წასულ. ერ მინდორში ჭუნახავ: ხუთ მეცხრეს ჰურ
რი კოლა⁴) ერ ბადია ზეში ცხრუ კორკალ ჩაქურიაყ, შჭამენ. იმათ-
თუნ დაუზახნი:

— ე, ჭემგას არ შეჭჭამენ, ეემას შეჭჭამენ, აი! ჰურებ ჭუჩუ-
ნები, მემღან⁵) კიდემ ჭუთქომ:

— შუდ თას უკან საქმეა მაქ, ჰურებ შემინახით, ვისაქმებ, და
ვბრუნდებ, აამაშინ ერთა ჰურ ვჭომოთ.

1) მიუცია. 2) შეუტანი. 3) ან. 4) მაგიერ, კვალად. 5) ჰურები
უჩვენებია, მემრელა.

— კახს, მაჲდ, შოჲნახვთ.

პურებს მივცდი, თუთან გაფრენულ, წასულ.

იმი მოსულდინჳა მეცხორებს პურებს ჰუჭამიყ.

პურჭამიყა — დახწვევინსუკან წარაბაკანაჲ მოსულ, ჰუჭითხნი:

— ჰება რემ პურები?

— ვჭომით წაჲ! ¹⁾

— ჰე რემ ხუთ პურ მამეცით,

ჰე თქენ ხუთ ყოჩ მამეცით?

აუღიყ, ხუთ ყოჩ მიუტაყ. ჩიტს გომოურთომ, გაულადი, წასულ. ერ სოფელში მისულ, ჰუნახი ქორწილ გაუჩადებიაყ, აშმა სკადავ არ აქოყ, სკადავი კოლა ზადლებს კლენ. ჰუთქომ:

— სახლი ჰატრონო, ჰემგათ არ დაჰკლენ, კმათ დაჰკლენ, აი! შუღ თას უკან საქმეჲ მაქ, ე ყოჩებს შემინახ, ჰიწწახან საქმეს მუარჩენ, დავბრუნდებ, ყოჩებს წოჲყონავ.

— კახს, მაჲყონ, შოჲნახვ.

ჩიტს ყოჩებს დაუყრი, გაფრენულ, წასულ. იმი მოსულდინჳა ყოჩებს დაუკლავე, ქორწილ გადაუკლავე. ჩიტ მოსულ, ყოჩებს მოუთხონი.

— დოჲკადით წაჲდავ, ჰუთქომე.

— ცემაცრ როგო იქნება! ჰე რემ ყოჩებს მამეცით, ჰე ჰატარზად მამეცით!

რადლა ჰუმ ექნასე! გაჰჭირებიაყ თავ ²⁾, ჰატარზად მიჲცაყ.

წარაბაკანას წაჲყონი, წასულ.

წასულ ერ წყლი ჰირზე მეჩონგურეჲ ჰუნახი. ჰუკრავს, აგე ჰუკრავს რუმ სმენელს ატირებს. ჩონგურ მოჰწონები, ჰატარზადში გაჲცლჲ, ჩონგურ აული, წყალს იქითიან გადაფრენულ, ერ მადალ ხეზე დამყდარ, ჩონგურ დაუკრავ, სიმღერეჲ მოჲყოლები, თეჲნახც მაგრა-მაგრა ჩაუკრავ:

ეჲლ მჲეც, პურ გუმუართ,

წინტლი, წინტ, წინ!

პურ მჲეც, ყოჩებს გუმუართ,

წინტლი, წინტ, წინ!

¹⁾ ვძამეთ უკვე. ²⁾ თავი გასჭირებიათ.

უი მუეც, ჰტარზალ გუმუართ,
წინტლი, წინტ, წინი
ჰტარზალში ჩონგურ გუმუართ
წინტლი, წინტ, წინი

ემ ქართულზე¹⁾ ჩონგურ კელი დაწვეგნი, ზირს ჩუმუარდნილ, მიწაზე დაჭტეში, ფახავ! გამტურთლ, ლოკმა-ლოკმა დაფრეწულ-და-კეჩულ. წარაბაკანა აკე შეწუხებულ, რუმ იმ ადგილებში დარჩომა ადარ მოუნდომი, აფრენულ, გადაკარგულ.

9. ჭარ რამში²⁾ ენი ნაცოდნ კაც.

ერ საწულ ღარიბ კაც, გზაზე წასული დროს, ნახავს, რუმ ოთხ შაგ (=შავ) გქლს ერ თეთრ გქლ დაჭტურიაუ, აწოდებენ, კმუნენ, იმი მოკლუაჲ ჭუნდაუ. კაცს ჭუთეჭრნი:

— ე თეთრ გქლ ჭოგო (=როგო) ლამაზ გქლია, მაღაჲ³⁾, ჭემგა შავ გქლებს გაგადებინებაჲ! ერ ჭუვაჲ ჭუსროგნი, ერ შავ გქლი კუდში მოჩხდრები, კუდ ერ ტკეველზე მოწეწეტიები. შავ გქლებს შეჭმინებიაუ, გაცარებულან, ბრულებში ჭუდგქნიაუ თავ. თეთრ გქლ კი არ გადახორწნილ, მოსულ, კაცს შემოჭხენი, მისბეა დაწეუები⁴⁾, წინ გაჭზდოლი, წაუთნი, წასულ.

გზაზე გქლს თავი დამსსნელ დაჭრიგები, ჭუთქომ:

— მე გქლი კემწიფუჲ ქალ ვარ. ჩემ მამაჲ დიად დეველეთიანი, ჩემ დახსნიბეა შენთუნ ბევრ ხაზნა მაცემელი, ამმა შენ სხო რამის ნუ ადებ, ნუ გამაართომ, მოჭთხოგ, ერჟა⁵⁾ ებაში ჩავაუჭტას.

წასულან, წასულან, გქლები კემწიფი კარს მიჭდგომიან. კაცს შეუხედნი, ჭუნახავ, ჩირადებ, სანთლებ ანთი, კიბის ორიგ ზირზე დუდრუან გქლებ გაწოლილ-გამხლართულან, კარს ჭუყარაულებენ, საყარეველზე დგანან, სხლში შასლქლა მინამს⁶⁾ არ ჭუშებენ. თეთრ გქლს კაციბეა ჭუთქომ:

— ნუ გემსიან, მამეუე! თუთან წინ, კაც უკანით, შესულან, წასულან, ყარაულ გქლებს გზაჲ მივციაუ. ჭუვლუაუ, ჭუვლუაუ, ერ ლა-

1) სიტყვაზე. 2) ყოველი რამეს, ყველაფრის. ჰარ=მეგრ.: იო; ჰარ-ადგილს=ირ დიხას. 3) მოდი. 4) დაუყვავებია. 5) მხოლოდ. 6) ვისმეს.

მას მოწეობილ ბუდრუგანაში შესულან. აქ გზელ ლოგინზე ზრთსვი სქელ გქელ წოლილ. ე თეთრ გქელი მამაჲ უოფილ, გქელბისიც კემწიფიჲ. ქალიბეჲ ჰუკითხნი:

— სა ეუვი, ე მინ მოგიუონია?

— ემაგრ-ემაგრ ¹⁾, მამაო, ემ კაცმა სუკდქელს დამხწიფა, შავ გქელბე კლავდენენ (=მკლავდენენ, ემამ გამაგდებინა.

— ნიშან რამე ჰუმ არ დაადეგით შენ მამკელქელ გქელს?

— ემ კაცმა ქუადთი ერ შავ გქელს კულ მანწექტინა.

კემწიფემ თავი დუდრუგანებს ²⁾ დაწმასხუ, ჰუვასირასუ; რადც ქქუნასზე გქელ ეუო, დეგერუებინასუ. მაშინავ ჰარადზე კაცემ გაცზაფენეს. ამათ ჰარ ადგილზე ჰარად დაიზახეს:

— ჰარად ჰადად! მოდთ, მოგროდით ჩონ კემწიფი კარზე, დიად საჭირო სქემე არის, ერ მინამ შინ არ დარჩეთ!

ერ წამში მოვდა, მოქუჩდა რაც სადამ ³⁾ გქელ ეუო, კულ მოწექტულ გქელ კი დამადა, არ გომოჩნდა.

კემწიფეჲ გომოვდა, დათორიალა თელ ჯამათ, უგულო გქელ ვერ დამნახ, თავი დუდრუგანებს კიდემ ჰუვასირასუ — ერ გქელ არ მოსულ, ადსიც მადუონითავ.

დუდრუგანებმა ქევებს ⁴⁾ ჰუვასირკეს, ქევებმა ჩოვშებ ⁵⁾ გაცზაფენეს (=გაცზაფენეს).

წაუდნენ, იპოფენეს, მადუონეს.

კემწიფემ თავი შუელს ჰკითხა:

— ესია? ⁶⁾

— ჰეგო.

კულ მოწექტულ გქელ აქავ გააგლეფინასუ, შემლან კაცს ჰუთხრა:

— ად ე ხაზნაჲ, წად, შენბეჲ მამიცი!

— შენზგან მე ხაზნაჲ არ მინდ, ერჟა ებაში ჩამაჟუტ, ადსიც მეუოთ!

— ჰეგე შენბეჲ ემ არ გასჩენელს ჰუსწავლები, თუარ შენ სადთი გეცოდინებოდა ჰემგე რამე! თუ გინდ ჩაგაჟუტებ, ამმა, ჰქუც, შენ თავს ველარ შედნახავ, დადლუბებ!

¹⁾ ასრე და ასრე. ²⁾ დიდებულებს. ³⁾ სადამე, სადმე. ⁴⁾ მამანახლისებს. ⁵⁾ გხირები. ⁶⁾ ეს არის?

— არავის, ფაჩაო, შენ ერგა ჩამაჟუტი!

კემწითემ ჩაჟუტა, მემღან გამაცლია, თქმითაც ჭუთხრა:

— ერ მინამს არ გაჩაგო შენ თავზე მანასულ-მანაკდომ, თუარ მამინავ მოჭკდებ!

გმელი სსხლით რუმ გომოვდაა, ნახა, რუმ რაც ღუნიაზე რამი არის, ადმი ენაჲ იცის: გზის აქათიან ბაღახებ ლაზარიკობენ, გზის იქითიან ხეებ, ბუთქებ ჩურჩულობენ, ვეველებს, ფუტკრებს, ჟინჭო-ლაებს, ბზიკებს, კაღიებს, გოგანებს მასლასთ დაწწუწუ, ზროხებ არეულან, ერთმერთს ეზახიან, ბღავიან, ბოღრიადობენ, როყინებენ, ცხენებ ხუხუნებენ, ფრინებულ ერთმერთს ჭუმღერის. ჭუეივის, კურკურაჲ კრ! კრ!-ს იზახის, კუჭკუე თავი კუჭკუეს მოჭუოლი, თუთა-ბაღია¹) თუთა-ბაღს აწევს, გაჭკივის: „თუთა-ბაღია, მაღწიო!“, უახუაჲ უახუაჲებს, ჭობობ ჭობობს აუოლებს, წელებ მიდიან, ხუეიან, არხებ ჩადარღანაში ჩადიან, წიკწიკობენ, ხმურობენ, ხეში ქუებ ატრაუენებენ, ლაზარიკობენ, თევზებ წელით ომოდინ, ჭიჭყინობენ. რაჲ ჭუმ მოყოთლო, ჭარ რაჲმ თავი ენაზე ლაზარიკობს, მასლასობს, ზრახავს, ჭარ რაჲმი ნათქომ კაცს ესმის, ეურებ.

ამთონ რაჲმი ლაზარიკობა კაც გააშტერა, შინ რუმ მოვდაა, დედაკაცს არაჲფერ არ ჭუთხრა.

გაქდა ზაშტა ხან.

დედაკაცმა ერ დღეს ჭუთხრა—ღეღანთსა გამაცილივ.

კუტიან ცხენ, ჭემენიც მამბაღ²) ეო, მეუკმანზა, ზედ შაჟღუნა, წინ-უკან ოორ წრულ შულუტ შემოუფღუნა. წაქდნენ.

გზაზე კურიკაჲ (=კუტ) უკან დარჩა: გზი პირებზე კაჲ სამურა ბაღას ეო, ადმა ზოფნიდა, მოგეტანდა.

კაჲ მანზილ რუმ გაჲარესა, კურიკამ დახუხუნა:—ჭიჭი! ჭიჭი! დეღას დაუსახა. ჭკამაც აქადთი კამა მისცა—გაუხუნუნა. ამ გახუნუნებაზე კაცს გვეცინა. დედაკაცმა ჭკითხა:

რაჲბე გაჲცინი, კაცო?

— ჩემ გაცინებას რაჲბე ჭკითხულობა, შენ შენ გზაზე გაჲარ!

— ჟან, მითხარ!

¹) მაღალური. ²) მაკე.

- არ გატუშ!
- გამაჩაყ?
- არ გაგაჩიებ!
- რააბეთა?
- არ იქნებ, არ გომოდგებ!
- მაშ არ მებნები?
- აარ.

- თუ არ მეტუშა, შინაგ დაგბრუნდებ!
- დაპბრუნდუაც, არ გაგაჩიებ, არ გატუშ.

დედაკაც გამწერალ, ცხენ მოუტრიალები, შინაგ დაბრუნებულ. კიდემ ბევრ შეჭხეწნები, ამმა კაცს უურ არ ჭუგდი, არ გაუჩიები. დე-
დაკაცს ჭუთქომ:

— თუ არ მეტუშა, გეკეურებ, შენთან აღარ დაუდგებ! ამთონ
შეჭხეწნები, ამთონ რუმ ზაჭლაა წაქელი, კაცსაც ილლაჟ გაჭწეპტი,
ჭუთქომ:

— გატუშ, ამმა თქმითაგ მაკდომელ ვარ. კუტ და იმი დედა
კემას ელაპარიკებოდნენ ერთმეთს.

— დედა, ჭოგო ჩქარა მიჭდი, გელარ დეგეწივ, უკან დაფჩ?

— ზატა ჩქარა მოხუდქ, გასაქრომელო, ფეეებ ჭუმ არ დაგე-
ჩი! სამ ზედ ამიკიდები, ერთიც მუცელშია, კიდემ მივდივარ, გზას
წეპტავ, შენ კი შენ თავსაც ვერ ატარებ!

გეს რუმ თქმა, კაც მაშინაგ მოკდო:— გქლი-კემწიფი ანდერზი
არ შენახისთუნ.

10. ნადირი ზატრონ.

მინ არ იცისა, რუმ ნადირებსაც თავი ზატრონ ჭუყავე, რუმ ნა-
დირებს ნაბათ-ნაბათ დაა და ზმაა იცენ! ერ წელს რუმ ზმაა იცავ-
სა, ახლა მომავალ წელს დაა ჭუურობს. დი ნაბათი წელს ნადირ სუ-
ქან კეთტების, ზმი ნაბათი წელს კი—ჭლეა. რააზგანაა ეს?

აამიზგანაგ, ამბოვენ, რუმ დაა კარგა ვერ ჭუურობსაგ, ნადირს
დილია. კრუ-კრუ დაჭდეგსაგ, ნადირიც იფანტებაგ, სადაც კაა ბაღანი,

იქ მიდის, ზოგსაც; ზმაჲ კი ნადირებს არ ასენებსაც, აგროვებს, და-
წეწელა არ ჰუშებსაც, ნადირიც მუცელს ვერ იზღობს, ჭლევედებაც.

რამსა ნადირი ზატრონ რაჲ სახითა?

ერთხელ აგია (მისთანა მენადირეჲ მინ იქნებისა!) ტყეში სანა-
დირთ წასულ. ჰუნადირნი ჩაღიანზე, ჩომოხეთქელებში და ბეგრგან,
არსად ნადირ არ დახტომი. სადმოზე ერ სალოკზე შელ მოჲკლავ.
აქაც დაჰლაშები. ჰუფიქირნი:

— ბლენ დამეჲს, შინ ვეღარ წავალ, აქაც დავჩეხ.

დარჩომილ. შელ გაუკადი, ცეცხლ დაუნთი, წოდებ აუგი, ცეც-
ხლა-პირში დამჲდარ.

დამეჲ რუმ გატენულა, ერ თეთრ ტონიან, მალალ, ლამაზ კაც
მოსულ. აგია არ შანაშინებ ფაშაკ ეოთილ; გაჰკურები, გულში ჰუთქომ:

— დმერთო, ნეტა მინუმ იქნეს ე კაც, რუმ ეგი დროს აქ
მოდის!

თეთრ ტონიან კაც მოსულ, ცეცხლა პირში უჩუმრა დამჲდარ,
გამარყობაც ეო არ ჰუთქომ.

აგის წოდ წაუერი, შეჲწდი. იმას არ აუდი, არ გამოურთომ.
ზაშტა ხანს უკან თეთრ-ტონიან ამდგარ, გამქრალ. აგია წამამსტარ,
ტყეში შეჰვარდნი, დამალულ. შორით ჰუმზერნი, ნახოთ, რაჲ იქ-
ნებისაც.

ზიწწა ხანს უკან შელი დანაკალ ადგილში ერ ბლაგილ, ერ ნა-
დირი ჟრიამულ, ბოღრიალ ამდგარ, რუმ შიშარ კაცს აქაც გულ გა-
უტურებოდა. აგიაც კაცი, ისიც იქ აღარ დამდგარ, აქათი მოხეტულ
იქითა სირთით ჩომოსულ, დილლასზე შინ მოჲწეგნი.

აჲ თეთრ-ტონიან კაც ნადირი ზატრონ უოთილ, ამას შეუგრეჲ
ბი თავი ზროხაჲ აგია მაკლელა. ეეს ზმაჲ უოთილ, დაჲ კი ზა-
ტარზლი სახეათითა.

ბეგრს სმენი ტყე-დრუში ზატარზალ ეტარებაც.

რემენ ტყეშიაც ზატარზალ გამოჩენულ, აჲმ ტყეში წანასულ
მენადირეჲ აღარ დაბრუნებულ. მინამზა არ იცოდა, სა იკარგებოდნენა
ე მენადირეებ.

ერ დღეს მუსტჲაჲ სანადირთ წასულ. ირემ მოჲკლავ, დამით
ტყეშიაც დარჩომილ. წოდებ რუმ შეჲწოვა, ზატარზალიც გამოჩენ-

ნულ, მოსულ, ცეცხლთან ნავლლიანა დამყდარ, მემლან შამიურ აული, ზედ ფოთოლ აუცი, ცეცხლზე დაუდები შაწქელა. ფოთოლ დამწორ. მასკან ჰუთქომ:

— მუსტუკამ წოდ შეაწო, ჰატარზლი წოდ დამწო!

მემლან დამწოლილან: ერთ აქათიან, ერთ იქითიან.

მუსტუკას გაუფიქირინი:

— მალაჲ, არ დოაზინებ, ჰუჟარაულებ, ჰეკე კამ სული რამე არა, ჰუმ¹⁾ ეემ დროზე ტეეში ეტარებ.

ჰატარზალს რუმ დაჰზინებია, ამდგარ, ჰატა იქითეენ წასულ, დამალულ.

დილლი ხანებში ჰატარზალს გაჰლქუზები, მუსტუკამ ზებნაჲ და-
წუწუ. აქამთეენ დატრიალებულ, იქიჲოიეენ, ვერ ჰუზოგინი, დილ და-
ნავლლიანებულ, წასულ, გამქრალ. მუსტუკას ჰუთქომ:

— კოლს უკან წავალ, ნოხავ, სა არისა მაგი ბინაჲ, როგო
რამეია ჰე ჰატარზალ.

წასულ, კოლს გაჰული, ერ ქუვრინში შასულ, დამდგარ, ჰა-
ტარზლიბეჲ გზაჲ შეუკრაჲ.

ჰატარზანს უკან ჰატარზალ გომოსულ.

მუსტუკას თოფ ჰუსროგინი, მოუკლავ. მემლან ქუვილში შასულ,
ჰუნახი, ჰატარზლი ოთად თოფებით სავსქმს.

თურმეინ²⁾ ნადირები ჰატრონ ქალს მენადარეებ ჰუსოცი, იმათ
თოფებ კი თაფი ოთადში ჰუგრუები.

11. ოღუზებ—ფანკაცა კაცებ.

ოღუზებ უწინ ქნილან.

ოღუზ მალალ ფანკაცა კაცებ უოფილან, სამ-ოთხ ეხლანდელ კა-
ცის წორაჲ. იმათ საქონელიც, შესაჟდომ-შესამბელიც მალალ უოფილ.
ჰკოჲ კი ბევრ არ ჰქონიაჲ.

აგე უჰკოჲ, მოუკერკებულ უოფილან, რუმ ახურ მალალ ჟინაზე
ჰუდგმიან: დაბლა მიწაზე რუმ დაჟდგათ, ცხენ ვერ დასწდებავ, ჟი-
ნაჲ კი ცხენი სიმადლეზე არისავ.

¹⁾ ჰუმ=რუმ, რომე. ²⁾ თურმე.

ერთხელ ოღუზებს საკნავ ჭუკნავუ. ეხლანდელ დაბალ კაცი გამ-
ნასულ ზამანაჲ უოფილ. ერ დაბალ კაცს აჲმ მანაკნავ ადგილი ჰირ-
ში ჭუტრიალნი. ოღუზებ რუმ დაუნახია, ჭუთქომ:

— ე როგო დევ კაცებია, რუმ დევებ შეუბამუ, კნენ! ჭუსროფნი,
ერ ოღუზიბეჲ ისარ ბარკალში დაუსომ. ოღუზს ფუტკრი ნაკმენვი
დაჭწუ კორც, ისარ გომოული, გაუშინყავ, გაჭკურები, ჭუთქომ:

— აჲ ღმერთო, ე ჩონ ნანახ რაჲსა, ე როგო რაჲმია! ნეტა
საჲთი გუდმურდა ეეს, მინ მესროვნა!

შუსედნი, დაუნახი, ერ დაბალ რაჲმ ფეზებში მირობის. ოღუზ
გომოჭკადომი, ბრულეები ფეჲზეჲ ორ-სამ ფუუ გადაუდგამ, დაბალ
კაცს დაჭწენი, დაუჭერი. დაბალ კაც შეჭწენწენები:

— აჲნ, უან, ბევრ ტერ მყავ, ჩემ მოკლუჲა ჭუნდაყ, დამმალ,
მადლი.

ოღუზს თავი ლაფინი ეელში ჩაუზრენი, დაუმალი. მემღან თა-
ვი ულაყებთან წასულ, ჰატაჲც მოუკნავ, ულაყებ გომოურშუ, უღელ,
ჭინჩაჲ აჲქავ დაუერი, კამმეჩებ გომოუერი, შინ მოსულ, დედაჲბე
ჭუთქომ:

— დედა, ერ გააკურებელ კაც მამიუონი. ჩონსვი ბიდებ, წერებ
აქ, ჩონსვი ცხურ-ჰირ, ჩონსვი ქართულ-სიტქჲ, აჲმა თუთან ჰიწწა
რაჲმი.

— ჰაბა, მაჩენი?

— აი! ლაფინი ეელით ომოფონი დაბალ კაც.

— ჭუჲ, მუჲ მამიკდებ თავ, ჭეგუმ¹⁾ ჰატრა კაცი! დუნქას
ჩონსუკან ჭეგენ შეჭმელნი. ეხლა ჭემგე დაბალ კაცები ზამანაჲ გომო-
დის, მაგათსუკან ქონდრი-კაცები ზამანაჲ დაღებ.

— დედა, უერ ჭეგე რაჲსა, რუმ ქონდრი-კაც რაჲ ეუთს! ჭემ-
გათ რუგრუმ²⁾ გააკეთან საქმეჲ, რუგრუმ იცოცხლან, რუგრუმ გზან
წაჭუნენ?

— ჭეჭთ ჩონზე მეტ იქნებთან, შულო!

— ეემ წორა ცხენს ჭემგამ რუგრუმ მოუარას, ქერ რუგრუმ
აჭამას?

¹⁾ ჭეგუმ=ჭეგ-ჭუმ, ეგ ხომ. ²⁾ როგორ.

— როგო აჭმებსა, მოკერკებით აჭმებს! ჰმა თორბაღთი ქერ მეც, თუ ვერ აჭმებსა?

შუღმა თორბაში ბზეა ჩაყარა, შიგ ქერ გაურიგა, ჰატრა კაცს მიჰცა. ამაშ (=ამან) ადღა, ცხენს ქერ-ბზეა დანახა, დაუზახა:

— თფრუშეა! თფრუშეა!

— ცხენმა გაახუნუნა, ჰატრა კაცთან მოუდა, თავ ჩამაგზელა, ქერს დაჰწლო, დაწლომაში ჰატრა კაცმა თავზე თორბაღ ჩომოჰკიდა. ცხენმა თავ ააწიგა, თორბაღ მადლა წაადა, ხრამა-ხრუმით ქერ ჯმუა დააწყო.

— ჰემა გებნებოდი, ჰიგი! ¹⁾ ჰატრა კაცს ჰემთონ ²⁾ ჯგოა, მოკერკებამა აქ, შუღო! ჰეკენ ოღუზებს მამადებენ ³⁾, მაგათ კი— ქონდრი-კაცებს!

12. ოორ მუზებელ.

ერ დიდ ტუი ჰირზე დიად შინიერ ადგილში ოორ მუზებელ (=მუზებელ) ცხოვრობდა. კამ წყალ, კამ სარწყავ, კამ ჰაგამ, კამ სათეს-საზოვრებ ქონდა იჭავრობას.

ერ მუზებელ ავეი ზომოღთიან ესახლა, მექრეა—ქომოღთიან.

ზომოღთიანამ დედულ-მამულ აკე მოვლულ ეო, რუმ კაცს იმი დანახაზე თოღ ჩებოდა. ჰატრონს სამ-ოთხ თადრი-ადგილიბე ტურუსულ დობეა შემეველო, თელ ადგილ ოთხ წილად გეეო: ერთში მენაჰ ჩეეარა, ერთში—ბაღჩე, მესამეში—თხილ, მეოთხეში—მამულის შუაში—წიხე ჰქონდა. წიხეში სამ სხლ დეედა, დიდში თუ-თან იდგა, შუათანაში საქონელს ინახავდა, მორჩილში ელაგა ნაშრომის შანახელ კასრებ, გუთან-ჰაჩიხამ და სხო ჰარადებ. წიხე ოთხ-კუთხ ეო, იმტურგლით ქშტკირი კედლებ შემეველო. ამ კედლი გა-ყოლებ, დიდ სხლი თავში ქეერებ ჩეეარა. თელ წიხე გეეესო სხო და სხო ხეობით—ვაშლით, კაკლით, წაბლით, სხალით, შუნდით, აქ-იქ იო ბიამ, თუთი ხეებ, ბაღ, დილბარ, ე ხეებ კამ გრილოს აუნებდნენ ზათხულში, წიხე ირწოდა, თელ ზათხულს წონეთ იო.

¹⁾ ე მაგას გეუბნებოდი, ეგი! ²⁾ ე მაგთენი. ³⁾ ამოგვადებენ.

იქ ნაკავი რამე არ ჩანდა: ჰვარ დღი ჰატარზლებ, ქალებ კზეს გუდ-
ნენ, ნაკავს ბაღჩეში ურიდნენ. ქვერები გქრდზე არს გომოდოდა,
აქავ ჩაღარღანაჲ ეუო, წყალ ზირს ვარდებოდა, ჩხრიალებდა. მენაჲ
სრელ-სრელ ჩეეუარა, აღმაგრაც ბაღჩეჲ, თხილა ბუთქებ. აქ-იქ წა-
რათებში თესვდა ხახს, ფუფას, სმინდს, კიტრს, სხო და სხო წო-
ნიღს. დანარჩემ რაღლა-ჰუმ მოვთოლო, არ შეგაწუხებ მოთლუთ, მო-
კლეოთ ჰქუტუე: — ემ კაცი მამულ თავი დროზე ათასფერად ეოოდა, მის
ოჯად სავსეჲ ეუო ზურით, ღუნით, ჩალოუქ-ბრინჯით, ქერიოთ, ფქტიოთ,
ცხენ, ზროხაჲ, კამეჩი, ცხორ ბევრ ჰუონდა, თეთრ, ჩაცმელ, და-
ხურელ არ აკლდა, ჰათამ, საკორცეჲ უღვეველ ჰქონდა, იმი ფუტკარ
რუმ გამაღლებოდა, თავი გრილოოთი აბლენებდა კზე-ურეს. სიტ-
უთ, ამ კაცს ჰვარ რამე ბევრ ჰონდა, მამულცი, მინდლოცი ბარაჰა-
თიან ჰონდა, იმი ზაღლიცი მზღარ ეუო, უმაწულუც სუქან.

ექ რუმ ემკე ბარაჰათ ეუო, ჰომოოთიანა მეზებელს თავ-ზარ
ჩომოჰტიროდა.

იმი მამა-ზაბი სხელ დაფუშულ, წასანაეებულ) ეუო, ჩაღაჲ ჩო-
მოჰცუტუნოდა, ზოგჯან კედლებ დაჰრლეოდა, ღობებ წაქცეულეუო,
არსებ ომოვსულ, დაბრიმავეებულ, მენაჲ აუტებულ, ბაღჩეჲ გადაუკა-
ფელ, თხილებ გადამკმარ, კასრებ ცარიალ, ფქქლუ სკან გომოფსე-
კულ, თორნეჲ გაციებულ. იმი კზეში არც სწულ ჩანდა, არც შაჲ-
ღომელ, არც ჰათამ, იმი აღიღში ერ წულელ შაამბელ უღაჲ შედიოდ-
გადიოდა.

საღმობე მეზებლებ მუღამ გომოდოდნენ ზროხაჰ-წინ, გიმ-
განე სხდებოდნენ, თავიანთ ავ-კარგზე, თავიანთ კაჲ-ფინთზე ლაზა-
რიკობდნენ. ჰომოოთიანა მეზებელ მოჰუებოდა ლაზარიკს, გაწრიანებ-
და სიტუქს, მინ იცის, რას-რას არ იტუოდა, დაჰკენებდა. ზო-
მოოთიანა მეზებელს სწუინდა, რუმ იმი მეზებელ მარტო ებაჲს, სა-
ქმეჲ კი არ აქ, ამმა ხათრით არაჲფერს არ ებებოდა, ერთხელ კი
აღარ დეეროდა, კახე-კახე) სიტუქჲ ჰუთხრა, ტურას დაღარა. ეეს
ემკერ ეუო.

ჰომოოთიანა მეზებელმა თავისებურა ტუელ-ტუელ ლაზარიკ და-
იწუო. თქო:

1) წაგვერდებული. 2) მკვახე-მკვახე.

— ხუთ თაღრი მამულ მაქ ჰობირებ მაგარ ღობეჲ შუმუაფლო, ღობი ზირ-ზირ იფნი ხეებ ჩაყარო: ჭიგოღსთუნ გომომადგებ. ორას-სამას ზირ თხილ ჩაყარო, ბადჩეჲ, მენაკ კაჲგორა გავ-სხლა, შევეულო, ახალ სახლ ოჲშენო, ზროხაჲ, ქათამ გოჲჩინო, მინდრებ გადაყარო; ჩემ მამულ დიდი, დიდ შემოსავალს მამცემს, ღუნეს, ჰურს, ბრინჯს, თხილს, აბრეშუმს ბაზარში გაგვზავნი, იქ კაჲ ფასში გაჲვიდი. უმუღ მაქ, მეც მალე დეველეთან კაც გაგადებ. კმარ ამთონ სხოთა კელში ჭრუტაჲ, სხუზგან თეთრ სესხებაჲ. გმ-წო¹⁾ და გმგე მამული ჰატრონ შერ²⁾ რაჲბეთ რუმ ჰუუო!..

— შენზგან რამთონჲერ გამიგია ჰე სიტუქჲ! სიტუქოთ ამოგ, საქმით არ შჩედ. ნუ გეწინებ, ზმაო, შენ ნაღაჰარიკ ჩონ ტურაჲ ნაღაჰარიკს გავს. ამას სიცივემ რუმ მოუჭირაჲ, ახტა-დახტა, მთა-გონდა თბილ სახლ-კარ, დაჲჲურა:

ჰაჲ! ჰაჲ-ჰაჲუუ! როგო ეინავსა, როგო სიცივეღსა! ხუალ, რუმ გათენღებისა, სახლს ოჲშენებ, კაჲ სახლს, თბილს, ბუნჩიანს, თახტ-ლოგინებს ღოჲდგამ, ჰატარზადს ჰუთხოგ, მოჲჲონავ, იმას-თან ცეცხლა-პირს ჰუქქეთებ, შეჭმელსაც სოფლით ბერს გომოგზი-დავ, გომოჲზოგავ, ეინვაჲ, შიმშილ ვერაჲთურსაც ვეღარ დამაკლებს. ჰაჲ-ჰაჲ! ღმერთიმა, ხუალ დიღღითავ ჰემგას ჰუქქ, ხუალავ სახლიც მექნებ, სახრაჲიც, დედაკაციც მეუოლებ! ჰაჲუუ!

ამა გათენდა თუარ, ზემ გომოაჭყიტა, ტურაჲ ბრულით გომოგდა, გადახტა, გოდმოხტა, ზურგ ზეს შეჲშურა, გაჲთბო, დაჲ-ჩხავლა, სხო ტურებს დაუზახა, იმათთან ჲერ ითამაშა, მემდან შეჭ-მელზე იფიქრა, სახლი დაღგმაღც დაამირწუდა³⁾, ცოლი თხოვნაღც, თბილ ბუნჩაღც. საღმომაც მოაწივა, კიდემ აცივდა, გაჰქეინა. ტურაჲ ბრულშიავ შეზრო, ხელ-ფეჲ დეჲზრა, თავ-ტან გეჲეინა, წომოხტა, კელ კელს შომოჰკრა, გუშინდეღვი დაჲჩხავლა:

— ჰაჲ! ჰაჲუუ! როგო ეინავასა! ე რაჲ მამივდა, სახლი აჲე-ნებაჲ როგო დამმირწუდა! აი ხუალ კი გათენებითავ კაჲ თბილ სახლს ოჲშენებ, მაზღარ ოჯადს გოჲჩენი მეუოფ სხუ⁴⁾ კელში ჭრუტაჲ, სხუ მანაკები ჭაჲჲია! გოჲკეთებ, ღმერთიმა, კაჲ მაგარ სახლს გოჲკეთებ! ჰაჲუუ!..

1) ამსწორ, ამოტულა. 2) მშვიერი. 3) დაავიწყდა. 4) სხვის.

შენ ნათქვამიც, კიდემ გებნებ, ჩემ კაჲ მეზუბელო, წოთრა აჲ ზუუუუ-ს გავს, ნუ გეწინების, ზაუს თავ განებ, იმუშავ, გაისარჲ, დმერთიც დაგლოცავს, გაგახარებს...

ეემ ჭარაკიმ¹⁾ ქომოთიანა მეზუბელ ჭკოში ჩაგდა, საქმეს კელ მაკიდებისა, დიდ ქონების კაც გაჭკადა.

13. ეიზუაღაჲ (ქალის ცინება).

კაკის თავს მიწრო დელეში გენახებაჲ ქალიცინება, მადლა თი²⁾ თერდობზე რუმ მოჩანს, იქითყენ მიხეგ-მოხევეით მინასულ ცალ-თეჲა გზამც თი დაქანებაზე.

გზაჲ გათუჩებულ. იქ ანასულ, ჩამნასულ კაც ეხლა არადის.

დიდ კონცხში ერ ოთად გომოკრქტულ თავი საკომლეათი, დი-
რკებით იმგურკლეჲ კაც დაწოლეჲ, ფართალ დააკეცლა, ჩხებით ჭა-
რად დააკიდებულა. წინ ზატრა კარიზირ (==უზუჲ) აქ. აჲ კარიზირამ-
დინ თი კალთაჲ აუდებულ. თუ იქიდგან კაცს თეჲ დაწტორდა, და-
წისლტა, თრიალ-თრიალ მოგ, ზირს დეეცემ, ჟიჟნაჲ იქცეგ.

მანდ უწინ თორდას ჭუტხოგრიავ.

დახ ვაშკაც კაც უოთილ, ბატონიბეჲ თავ არ ჭუდრეკი, ჭემანდ თავიბეჲ სახლ გომოგერქტი, შიგ დამდგარ, ერ ლამაზ ქალ ჭუთხოგ-
ნი, აჲმასთან ჭუტხოგრი.

ე ქალიც დიდ ვაშკაც უოთილ. თორაღაჲ სანადირო წასულაში
ამას აქ ამასლქელ გზაჲ ჭუცავ, სუარეჲეჲზე დგომილ.

ბეგრ ტერ ჭუოლი თორდას ბატონიზგნი. ამას თავი დუდრუა-
ნებიბეჲ ჭუგაზირები: თორაღაჲ მე არ მიჟერებსავ, თავს არ მიდრეკ-
სავ, ღარიბ-ღურბათ ხლდს ექომბგებისავ; დამიჭირით, მამიუონით,
თოლეჲ დოვწოდოავ, თავ გაწხეთქო, ტუნ უმუაზრო, ზადლეჲს გა-
დაწუარო, შევაჭამუავ.

ბეგრს ჭუნდოდა თორაღაჲ მოკლეჲჲ, თავი თავ გომოჩენაჲ, ამჲ
მინც აჲ გზაზე წაჲდა, ერთიც ცოცხალ აღარ დაბრუნდა: თორაღაჲს
და იმი ცოლი ნასროგნ ერ მინამს არ სტებოდა³⁾, ზირს გზაშიავ
ხდებოდა, კლავდა.

1) არაკმა. 2) მთის. 3) სცდებოდა.

თორაღა დამზღვეველ კაც რუმ არ გომოჩნდას, ბატონ დადა შეწუნდა, გაჟაგრდა; დაუზასა დუდრუანებს, იმათთან დაჟდა მასლათ-ზე. ებნებოდაჲ:

— ჰე კაც ვერც დოაჭირით, ვერც მოვკალით, რაა ქნოთა, რაა მოაგონოთა, რუმ ჰე ხალდი ამსტენელ¹⁾ დავღუპოთ.

მინამა არ იცოდა, რაა ეთქო, რაა ერჩივა. ემ დროს უჭუდითი უურუდი კმა მუესმათ: ბატონი მუვირეა ბატონი ნახუნას ამბოვდა. ბატონმა ესიც დაუზასა, ჰკითხა:

— რაჲსა, რაჲბე, მოსულხარა?

ჰუთხრა:

— ბატონო, შენ ვირები დამცელი სიტუეც მაჲსმინ. ჩონში თორაღა მამკლელ კაც არ იქნებ, იმისთუნ, რუმ ის ხალდს იცავს, ხალდიც იმისუენა, იმი კარეზედა. ვაჰკაცობით იმას ერ მინამიც ვერაფერს ვერ დააკლებს, კერკით კი იმი დადუბუა ჰადუელი²⁾, თუ ჩემ უტკო ტკუ განტერს დაიერებთ.

— ჰაბა, როგორა?

— ამაგერ, რუმ ქალიციხეა ზირში, კევი ჰირზე არის წრუდუან, იმი შუაში კაა საბალახეჲს. თორაღას ჰუეფარს აქ ჩომოსულაჲ, ნადირობაჲ, უურდღლები, ნადირები კოცაჲ. იმი მატუეებელა ემაგერ ქნოთ: ვირს ირმი ქებებ გაჰკეთოთ, ირმი ტუაგ გოდვაცოთ, სამ დღე მოვამშიოთ, მემღან ღამი წოაჲოთოთ, აჲმ წრუდუანში საბალახეზე გოჰმოთ, ერ კაა მეთოფეა აქ დავმალოთ. დილღითაჲ იმას თორაღა დანახავს, ირემ ეკონებ, ჩომოგ მაკლელა, ჩონ მეთოფეც ნავაზირებს შასარულებს.

ბატონს, დუდრუანებს დიად მუეწონა მუვირეა ნათქომ. ამაში-ნავ საქმეს შეუდგნენ.

მესამე დღი დილღაჲ თენდებოდა, რუმ ბატონი მეთოფემ ირმად გადაცმულ ჰურ წრუდუანი საბალახეზე გამაგდა, თუთან კი სეებს უკან დამალა.

ამაშინსუკან თორაღამაც აღარ დამკუნა, ჰატა ხანს უკან სახლი-კარ გაღა, კარიზირზე გომოვდა, იქავრობაჲ დაათორიაღა. ირემს

1) ამცდენელი. 2) ადვილია.

რუმ ბაღახებში თოვლ მოჭკრან, სინქართ სანღში შებრუნდა, თოფ ადღა, გარეთა გომოვღა, ცალფეფა გზას დადღა, ვაშკაცურა გად-მასიბიჭა, ქომოთეუნ დეეშო. ირემსაც თოვლს არ ამოკრებდა.

აქ ეესიც ჭუმ თქოთ, რუმ ამაშინ თორდას თავი ცოლიზგან ერ შულ ჭუმონდა, ჟერ ზატრად ეეო, აკუნში იწო, ლამაზ, ბაღი-მარცოლ რადე ეეო. თორდად რუმ გომოვღა, ცოლიც გომოჭუმო, ემაწუდიც კარი-პირზე გამაფეონ აგნუთავ. დედად აკუნსაც არწებდა, თავქე მანსულ თორდასაც ჭუჭრქტა, თოვლსაც არ ამოკრებდა დიდ ირემს, რემენიც ქეშ წრულუნში ზოვდა-კაჭავდა ცრუნ ბაღახს.

ის იეო გომოზათხული ზეა თომდიოდა, თი წერებს წითლა ანათებდა, ჩენ ქეუნას აღუმებდა, რუმ წრულუნი აქათინა წარათოთ თორდას თოფ გაჭვარდა... იმი კმა კობაღად და ქერმუხნი მიწრო დედეებში ეევიად წაშდა. ირემ წაქცა. თორდად იმის-კენ გომოჭვარდა. ცოლ მადლით აქებდა თავი ვაშკაც კაცს. ესიც აქადთი ჭუჭრქტა, ჭუმუებდა თავი ნანდომ საუორელ დედაკაცს. ამ დროს ჭახავ! აქათინა წარათოთ თოფმა დაქცეს. თორდად უსულოდ მიწაზე დეცა.

— გულაღატისავ! გაუჭეღვა თავში ქაღს, აკუნში ეოთ ემაწულს აკოცა, აკუნ არტახებით ზედ მიიბა, მადლიდამ ემაწულ-აკუნას გოდ-მოეშო დაქანებულში სიტყუთ:

— ვაშკაც მოკდქს—ქაღ დარჩეს!

14. კახეთი დერია (ზღუქე).

უწინ თელ კახეთ, ამპირ-იმპირ, თუშეთით ნქნიმდის წყაღს შუერი, ერ დიდ ზღუქე ეოთილ აქ. კაცს მამინ თებში ჭუმცოფრი, ამმა წყაღს იქაც არ მოუსქნები, მადლა-მადლა თომსულ, თებში სა-ცხოფრებელსაც მოჭვიდომი. ცხოფრებად გაჭვირებია; ადარ დარჩომილ მაკენელ, ადარც საზუმეელ. ხაღღს ჭუმეიქირნი: ეემაგრ როგო იქნუ-ბისა! ეემაგრ თუ წაშდა საქმე, წყაღ მადალ თებსაც დაჭთარავს, დოგ-დუმავს, ცხოფრებადც ადარ იქნებ. შეგრუმებულან ერთა, ერთმერთიბე თავი დერდ ჭუმთქომე, თავი ჭირ გოჭჩიებია, ჭუმუნხია. ეემ წუნ-

ლი, ვაძმუნის დროზე ერ მენახშირეა წინ წამამდგარ, ხალღობეა ჭუთაქომ:

— ჟამათს გამარყობაჲ! მალღა თებში ნახშირ რუმ მიწოვა, ბევრჯელ ზღუბეა გადმიხედნი, შემიმხნევი, რუმ იმი წოალ არ ღვას, არანისეენ მიიწევის, იქითეენ იწურების, თავი გაასლელ კაწს ეზებს. ჩემ ჭკუთ, საჭიროდჲ ე კაწ ჭუზოვნოთ, გზაჲ გოფტროთ, წოალ გოდოვოთ.

— ჭუმავრ ჩონტ გუფიქირნი. საქმეჲტ ჭეგი, რუმ კაწ ჰოვნუჲჲ მინახს არ შეუზღიან! ეს თელ ჟამათი სიტყუჲჲ ეუო.

— მე აი რას გირჩევე, კიდემ დაიწოო მენახშირემ. ერ გოდორ კარგა გავხიზოთ, ნახშირით ავავსოთ, წოალში ჩავაგდოთ. სადთეენატ წოალი სავალ არის, იქითეენ წადლებს, კაწს მიაუენებს, აჲ ადგილ გოდოვტროთ, გოვთხაროთ, წოალ თუთახავ სავლელ კაწს ჩადღრიმიებს.

ხალღს მეგწონს მენახშირი ნათქომ.

ნახშირით სავსე გოდორ წოალში ჩავაგდეს.

გოდორ წოალჲჲ პირზე მადგდა, ატარა-ატარა, წადლა იქ, სდაც დღეს აღახნი გადნაშობ არის. იქ თუშეთით სიღნაღზე მანასულ თაჲ შეკრულ ეოფილ ნეხიასეენ მინასულ თასთან. მოტრუქელ თელ კახეთი ხალღ, გაუტრიაჲ თაჲ, წელბეჲჲ კაწ ჭუქნიჲჲ, გადაჭუჭუჲ. წოალ დაზრულ, წასულ, გაწურულ აგე, რუმ აღახანში ჩაწურულ. მემღან ლამაზ შენიერ კახეთიც აშენებულ, აქავრ ქართულჲჲ ცხოვრებჲჲ აუჭებულ¹⁾.

15. ქემგის ბუჩქი ორ სამარეს შუა.

გაჭირდა წელის გაუვანა მღინ. ქერმუხიღამ ქერმუხის მადალ ფერღობზე, სცა თვით წმ. გიორგის ქერმუხის სუდარია. ძრიელ კი საჭირო იუო წოალს ეღინა იქნობამდე, რადგან უწელოდ არა ხეირობდა-რა ერის წმ. სალოცავის ეზო-კარმიღამოში და თვით მლოცვეულეებსაც აწუხებდა უწელობა. სცადეს ბევრჯელ რუგის გაუვანა, მაგრამ

¹⁾ აყვავებულა.

ვერა მთხერხეს-რა და მიატოვეს მუშაობა. სწორეთ ამ დროს, მთავრითხრობს გადმოცემა, „კაკში ცხოვრობდა დღელ ხუციშულ: დიად ლამაზ გასათხოვარ ქალ ჰქონდა. იმი სილამაზეა გადგო ერ შორეულ თათარმა, მოვდა. დღელს შეეხწია: „მაგი სიყვარულით ვიწებ, მე მამათხვიო“. დღელმა ჰუთხრა: „მაჰმადიანს როგო მოგათხუება ქრისტიანს, წაა, დააკარგიო“. თათარიც ლამაზ ვაჰკაც კაც ეყო, დღლი-ქალს მეეწონა, იმაზე გათხუებაა მაინდომა. დღელმა რუმ თავიდგან მაჰმოდოს, შეუზღებულ საქმის გაკეთებაა დაავალა, ჰუთხრა: „თუ ჭურმუხის საუდარზე წყალს გაჟონავ, ქალს მოგათხუებ, თუარ თოღ-ქეშ აღარ მეჩნო, წაა საჟთაც მოსულხარ“. თათარ შეუდგა საქმეს. გაჭრა თაჟ, ღელჟ, დღეს თუ ხუალ წყალსაც გადაჰმობდა. დღელ დაღონდა, ეგონა არახს ვერ გაჟონავსავ, ჩემ ქალსაც ვერ ითხოვსავ. დღელ რუმ წუხდა, ერ კუდიან ბებერმა ჰუთხრა: „თუ ქალი დასწნაჟ გინ, ცხორს მაჰმოდ ბატკნებ, ზროხს ტანებ, სჟ დღეს ცაღკ-ცაღკ შემანხ, ნურც აღათს აჭმებ. რუმ კარგა დაჟმშევიანა, მე წავალ თათართან, შენც საქონელ გომოუშ, ერთმერთში დარიჟ, დაჟწებენ ბღავილს: დედაჟ შულჟ ზებნას დაჟწობს, შულ დღის. აუბღავლღებინ ერთმეთს. თათარს ტირილით ვეტუჟ: „ჩონ დღლი სხლში ხეღავა რა ვაჰმუანი, ტირილ-ჟრიამული: დღლი ქალ შენმა მფლოდინმა მაინდო, დღეს დაჟხარჟა¹⁾), აჟმაზე არის ემგე ცეცხლ, ემგე ვაჰჰარაჟ, ტირილ, ბოღრიად!“ დღელს მეეწონა ბებრი ქართულ: ეგრე ქნა. თათარმა რუმ გადგო დღლი ქალი დახარჟჟაჟ, არხი თხრას კელ გაანება, ერ ამაჟენსა, ქლუნგ²⁾ დაჟკრა თაჟმა, არხიჟავ დეეცა, სულ დაღიჟ. დღლი ქალმა ეს რუმ ჭურმუხის აქეთა ზირით დაჟანხა, მუკლუბ აჟჟავ ჩეეკეცა: იმ ვაჰკაცი სიყვარულით ესიც მოკდო. ორნიჟ დამარხეს ჭურმუხის თაზე: ერთ თათრი განათხარ არხის აქეთა ზირს, მეჟრეჟ იქითა ზირს. ამათ სჟმარიებზე ომოვდა ვარღ-ეოვილ. თელ ხაღლს აკე შეეცოდეს ეს ჟუნებ³⁾), რუმ იწოდნენ იმათ უდროჟო სიკდულჟთ და ემუჟრებოდნენ კუდიან ბებერს—შენ ქენ ე უღმერთო საქმიჟ. ბებერსაც შიშით გულ გაუტერო. წაიდეს, იმ ქალ-ვაჟი სჟმარიებ შუა არხში ჩაფლეს, ზედ მიწაჟ წაჟყარეს. ბებრი სჟმარეზე

1) გარდაიცვალა. 2) წერაკვი. 3) უცოდვო დასაქორწინებულნი.

ზეზ-ეკალ ამოვდა, გაძსარდა, შეეყარებულები ვარდ-ყოვილებ შუვა ჩადგა. გომოზაფხულს ე ყოვილებ ერთმერთს წვდებოდნენ, იკოცნებოდნენ. ახლა კი ზეზ გეეჩხირა შუვაში, ერთმერთის გადახვევნაკოცნა მთეშალა. წოორ თქმულ: ფინ ინსან აქაც ფინთი, იქაცა¹⁾.

15. მოლა მასრადინა.

მოლა მასრადინაზე ანუ ნასრედინზე ხალხში დაშთენილა მრავალი გადმოცემა და იგავი. თუმცა თვითონ მასრადინი მასხარად, სულელად ეჩვენებოდა ხალხს, მაგრამ ამბობენ ფრიად განათლებული და ბრძენი კაცი იყოფო. რამდენად მართალია ეს თქმულება, დმერთმა უწყის. მოლა მასრადინას აგაკრგიანობა ცხადად გამოიხატვის იგავებით, რომელსაც მრავლად მოგვითხრობენ ინგილოები, ლეკები, თათრები და, საზოგადოდ, საქარაველოს მკვიდრნი.

ჩვენ შევკრიბეთ ბლომა გადმოცემები ამ ფრიად თავისებურს კაცზე. ამ გადმოცემიდან, სხვათა შორის, ვტეობულობთ ზოგიერთს ცნობას მოლა მასრადინას სამშობლოს შესახებ. იგავებში მასრადინა მოქმედებს, მოგზაურობს, ან ვაჭრობს აღმოსავლეთ დაღისტანში. მაკალითებრ, იგი რამდენჯერმე მიდის დარუბანდს, რომლის ახლოსაც მდებარეობდა მოლას სამშობლო სოფელი და ქვეყანაო. ვისი შვილი იყო, ან როდის, რამდენი ხანი ცხოვრობდა, ვერც ეს შევიტეეთ დაბეჭითებით. აი თვით იგავები მასრადინას შესახებ, რომლის სახელიც საზოგადო სახელად გარდაიქმნა იმათთვის, ვისაც უყვართ ტეუილი, ბაქი-ბუქი და მასხარობა. ამისთანა კაცს ეტევიან ხოლმე: „აი, შე მოლა მასრადინა, შენ!“ მოგვეყვს რამდენიმე.

ა. მასრადინა და ეშმაკი.

1. ეველანი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მოლა მასრადინას ვერაფინ მოატეუებსო. მაცდურმა ეშმაკმა თავი გამოიღო, მე მოვატეუებ მასრადინასო. სატანა გაეშურა მოლას სახლისაკენ. მასრადინამ დაინახა-რა მომავალი მაცდური, მიუხვდა განზრახვას, მიირობინა კლდესთან, რომელიც იქვე მის სახლს მადლობიდან დაჭურებდა და მიეჭინა მხრებით.

¹⁾ საიქიოს.

ეშმაკი მივიდა და ეუბნება:

— მასრადინ, მე შენ გამოსაცდელად მოვედი, თუ გსურს, გავიჯიბრნეთ, ვნახოთ, ვინ ვის აჯობებს!

— ხომ ხედავ, ესლა მე არა მცალთან. ამას გარდა, ჩემი ტომარაც აქ არა მაქვს, უიმისოდ კი მე გაჯიბრება არ შემიძლიან, აუუუდე ამ კლდეს, მინამ წაფალ და ტომარას მოვიტან, — უთხრა ეშმაკს მასრადინამ.

— კლდეს რა ამოუედება უნდა?!

— ისა, რომ თუ არ მივეუდეთ, ჩამოვარდება და სახლს და-მინგრევს.

სატანა დათანხმდა და მიეპოხინა კლდე. მოლა მასრადინა წავიდა შინ. სატანამ იფიქრა: „ის არა სჯობია, რომ კლდეს გამოვეცადო, ჩამოწევა და დაანგრევს მოლას სახლსო, ამითვე მოლა დაძლეული და მოტუეუბული იქმნება, რადგან კლდის დაჭერას დავიზრდი და ახლა კი გამოვეცდებიო. გამოეტყდა, მაგრამ კლდე არ ჩამოწვა.

— მოტუეუბული და დაძლეული ხარ, სატანავ, უთხრა მასრადინამ. ათასი წელიწადია, ეკ კლდე მანდა ჰჰიდა და არ დაგორებულა!

2. მასრადინა გამარჯვებული და მხიარული წავიდა სალაუბოზედ. აქ ბუერი ხალხი იყო და ულოცავდნენ გამარჯვებულს. ეშმაკიც მივიდა მათთან.

მასრადინამ დაცინვით უთხრა ეშმაკს:

— შე საწყალო, შენა, ჩემთან გაჯიბრება როგორ შეგიძლიან! უმწვილიც კი გაჯობებს. გნებაჲს, მდინარეზე ისე წავიუვანო და მოგიუვანო, რომ წყალიც კი არ დაგაღვივინო!

— სცადეო, უთხრა ეშმაკმა.

წავიდნენ. მივიდნენ მდინარეზე. მოლამ მიიხედა ხალხისაკენ და გაკვირვებით უთხრა ეშმაკს:

— რა იქმნენ მოწმები?

— რომელი მოწმები?

— როგორ თუ რომელი მოწმები! უმოწმებოდ როგორ იქნება. ვინ გვიმოწმებს, რომ შენ მართლად წყალი დაღვი. შენ იტყვი, დაუღვიო, მე ვიტყვი, არაო. აქედგან არა გამოვა-რა.

- მაშ წავიდეთ, მოწმები მოვიყვანოთ!
- მივიდნენ სალაუბოზე. მასრადინამ დაიძახა:
- ეშმაკო, მდინარესთან ვიყავით?
- დიაღ!
- წუალი დალიე?
- არა!
- მაშ დაძლეული ხარ!

ბ. მასრადინა და ქურდები.

ბნელი დამე იყო. მოლას თაფის სახლში ტანტზე ეძინა. ქურდებმა გამოუნგრეს სახლის კედელი და შეიპარნენ. მოლამ ეს გაიგო, მაგრამ სული გაიტრუნა და ხმა არ ამოიღო. ქურდებმა უოველივე მოხვეტეს, რაც კი რამ მოლას ებადა და სახლიდამ გამოპარვას აპირებდნენ. ამ დროს მოლა ტანტიდამ გადმოგორდა და ძირს იატაკზედ დაეცა. ქურდები გაქცევას აპირებდნენ, მაგრამ ნახეს, რომ სახლის პატრონი ხმას არ იღებდა და იფიქრეს, სძინავსო წავიდნენ. ქვეშაგებიც აიღეს და გაიპარნენ. ქურდები შეიდანზე მიდიოდნენ. მოიხედეს, ნახეს ვიღაცა კაცი მოსდევთ. მიაძახეს:

ვინა ხარ, ან სად მიდინარო?

— მე ვარ მაგ ნივთების პატრონი, მიუგო მასრადინამ. სად მივდივარ?! მუშებს ჩემი ბარჯი სხვა ბინაზედ გადაქვთ და მეც თქვენ მოგდევთ, სად არის ახალი ჩემი სადგური, ჰა!

ქურდებს შეეშინდათ, ნივთები იქვე დაუარეს და გაიქცნენ.

გ. მასრადინა და ნალი.

მასრადინამ ცხენის ხალი იპოვნა. ძლიერ გაუხარდა, სთქვა: სამსაც ვიპოვნი, ცხენს ვიყიდი, დაფაჭედინებ და ქაბას წავაღო, მოვილტყავო.

— შენ რომ ქაბიღვან დაბრუნდები, უთხრა ცოლმა, მეც შევჯდები ცხენზე და დედანთსა წავაღო.

— აი, შე უგუნურო დიაცო, შენა, ცოდო არ არის მამურალი ცხენი, შეჯდე და შეაწუნო! დაუწყო მასრადინამ ეგვიპტეა ცოლს და ერთი-ორი მუჯღუგუნიც წაჰკრა.

დ. ქ ვ ა ბ ი.

მეზობლისგან მასრადინამ ქვაბი ითხოვა და მოიხმარა. შემდეგ კარეცხა სუთთად, შიგ სხვა ჰატარა ქვაბი ჩსდო, მიაწოდა მეზობელს და თანაც მადლობა გადაუხადა.

— მოლა, შენ ხო ერთი ქვაბი გამოგვართვი, ეს მეორე ქვაბი რაღათ მოგიტანიაო? უთხრა მეზობელმა.

— როგორ რაღად! შენმა ქვაბმა ჩემთან მეოთხობის დრტს მოიგო ეგ ქვაბი და შენ გეკუთვნისო, უპასუხა მეზობელს მასრადინამ. გაუხარდა მეზობელს და გამოართვა.

მეორედაც მოლამ იმავე მეზობლისგან ისევ ქვაბი ითხოვა და ახლა კი აღარ დაუბრუნა. უცადა, უცადა ჰატარნმა, ნახა, რომ მოლას ქვაბი აღარ მოაქვს, მივიდა თითონ და ჰკითხა: მოლა, ჩვენი ქვაბი რა უყაფიო?

— თქვენმა ქვაბმა, მეკობარო, თქვენი ჭირი წაიღო, კარდაიცვალა.

— რას ამბობ, კაცო, ქვაბი როგორ კარდაიცვლება?

— თუ შეიღეს მოიკებდა, კარდაცვალებას რაღა დაუშლიდაო, — უპასუხა მოლამ.

ე. ვ ი რ ი.

მოლას კარგი ულაყი ვირი ჰყვანდა. ერთი კაცი მივიდა და შეუცხვეწა:

— მოლა, ვირი მათხოვე, წინქვილში ხორბალი მაქვს წასაღებო.

— შინ არა მუავსო, მიუგო მოლამ.

გამოეთხოვა ის კაცი მოლას და წავიდა. ჯერ ორდობეც არ გაეფლო, რომ ვირმა ძლიერად დაიურაყინა.

— აკი ვირი შინ არა მუავსო, დააუვედრა მოლას მთხოვნელმა.

— აი შე მართლაც ვირო, ვირის სიტყვა გჯერა და ჩემი კი არაო?!

ვ. პ უ რ ი.

მასრადინამ აჩრით მთელი რიყე გადახნა. მერე ხორბალი დათესა და დაფარცხა.

— შენ, ლჯახ-ქორო, მანდ ხო არათუერი მოვაო, ჰკითხეს გამ-
ვლელებმა.

— ალღაჰს თუ ეუჭი არ ეტკინა, აქაც მშვენიერი უანა გაჩნდე-
ბაო, უპასუხა მოლამ.

ზ. ს ტ უ მ რ ე ბ ი.

ერთმა კაცმა მოლა მასრადინა მეჯლისში მიიზატყა. მოლა და-
ძონძილ-დაკონგილი ტანისმოსით უველაზე ადრე მივიდა და სპანტოო
ალაგზე, ცეცხლის პირას ჩამოჯდა. რამდენიც ახალი სტუმარი მო-
ვიდა, იმდენჯერ მოლა წამოაუენეს, ადგილი დააცდევინეს და ქვემოდ
დააწევინეს. ასე, მოლა თანდათან სუფრის ბოლოს მოექცა. ეს და-
იხსომა.

გავიდა რამდენიმე ხანი. მასრადინა მეორედ იმავე კაცმა დაიზა-
ტიყა. მოლამ მდიდრულად ჩაიცვა და ეწვია მასპინძელს. წარმოიდგი-
ნეთ იმისი განცვიფრება: იგი დიდის თავაზით მიიღეს. მიიწვიეს და
პირველს ალაგას დასვეს. ხელზე წყალიც პირველად მიართვეს. მო-
ლამ წყლის მომტანს თავისს ძვირფასის საცმლის კალთები მიუშვი-
რა და უთხრა:

— აი, გარეცხეთო!

— რას ბძანებთ, ბატონო, როგორ შეიძლებაო!

— თქვე სულელებო! ძველის ტანისმოსით მოველი, სუფრის
ბოლოში მომაქციეთო და ახლა მე კი არ შემსახურებთო და პატყას
მცემთ, ამ ჩემს ძვირფასს საცმელსაო.

ღ. ქ ე ლ ე ხ ი.

გარდაცვალა ერთი დიდებული ბეგი. ჭირისუფლებმა ქელებში
დიდადი ხალხი მიიწვიეს. შეიყარა ხალხი და ბეგის ეზოში ჩამო-
სხდა. უველა დადრეჯილია, დადონებული. ბევრნი ტირიან. მოლა
მასრადინაც ამ დროს ბეგის კარებზე მივიდა. ხალხმა იფიქრა: ეს მა-
სხარა რასმე იტყვის, გაკვაციებსო და სირცხვილს გვაჭმევსო. მას-
რადინას უთხრეს: ოდონდაც აქედგან დაბრუნდი და კომელზე თითო
ზინა ხორბალსა და ბრინჯს მოგტყემთო.

— კარგი, წავალო და პირობა კი შემისრულეთო.

წავიდა შინ მოლა. იფიქრა: თუ ჰირობა არ შემიხრულეს, ხომ ქელესსაც დაუკარგავ, ზურსა და ბრინჯსაცო.

მოლამ გამოიყვანა თავისი მწევარი და აბრეშუმის მშვენიერ მოსართავით და უნაგირით შეკმაზა. აბრეშუმის ხურჯინიც გადაჭკიდა. ერთი კურდღელი სადღაც იშოვა, უბეში ჩაისო, მწევარს ლაგამი ჰირში ამოსდო, გასწია და წავიდა. ქელესის ხალხი ის იყო სუფრანზე დამჯდარიყო. მოლა მარდად შევიდა ალაფათის კარებში და თავისი რაშიც შეიყვანა. დანახა თუ არა ხალხმა ეს მოჩვენება, დაიწყო ხარხარი. რამდენიმე კაცი მივიდა მასრადინასთან და უთხრა:

— კაცო, ხომ არ გაგიჟებულხარ, რასა შერები?!

— თქვე სულელებო, ეგრე ადვილად ვერ მომატუეებთო, უზასუსხა მასრადინამ.

გაიგო ეს ამბავი სახლის ჰატრონმა, ფქვილითა და ბრინჯით მასრადინას ხურჯინი გაუფსო. მასრადინამ მადლობა გადაუხადა და დაბრუნდა. ალაფათის კარებთან რომ მიაწია, მოლამ მწევარს კურდღელი დაანახა. შესტა მწევარი, წკმუტუნნი და სტუნვა დაიწყო.

— აი, შენ გიყო რაშო, რა დაგემართა, ამ მათრახს ხედავ! უყვირის ძაღლს მოლა. ამ დროს უბიდგან ძაღლის წინ კურდღელი გადმოახტუნა. გაიქცა კურდღელი, მწევარიც გამოეკიდა. მწევარს რომ ფქვილი ეკიდა, სულ განიაგდა.

მოლა მასრადინა კი დგას და იძახის:

— ერთი შეხედეთ ამ ჩემს რაშს, ბუჭი და კორიანტელი არ დააუენაო!

ხალხი იცინის, კვდება სიცილითა.

თ. ხ ბ ო.

მოლას ორი ხბო სახბორეში ება. ერთი აეშვა და გაექცა. შევიდა სახბორეში და დაბმულს ხბოს ცუმა დაუწყო.

— კაცო, მაგას რათა სტემ, მაგისი რა ბრალიაო! ჰკითხეს მეზობლებმა.

— ისეც რომ აეშვას, გაქცეულზედ უფრო ჩქარა გაიქცევაო, მიუგო მოლამ.

ი. ს ა ხ ბ ო რ ე.

მოლას საწველი ძრახა არ გააჩნდა, მაგრამ სახბორე კი გააკეთა. მოლას ცოლს როგორღაც მოუხდა და სახბორისკენ მუგუზადი გაისროლა. მასრადინამ ცოლს ცემა დაუწყო, — შენ ოჯახ-დაქცეულს, ხბოს ხომ თვალი გამოსთხარე!

ია. ფ ე ტ ვ ი.

მოლამ ფეტვი დაითეს. ღვთის სახელზედაც ფარაქალი (წილი) დათესა. შემოვიდა ფეტვი. მომკო და გაღუნა. ღვთის წილი მეტი გამოვიდა. იქილამ მოიპარა ფეტვი და თავის წილს დაუარა. ამ დროს იქნეს: კოკიბირული წვიმა მოვიდა და ნიაღვარმა გაღუნული ფეტვი სულ მთლად წაღეკა.

— დიდო აღფაჭო, შენი სახლიც დაღუპე და ჩემიცაო! დაიძახა მასრადინამ.

იბ. მასრადინას სიკვდილი.

ერთხელ მოლა მასრადინა შეშის მოსატანად თაქისის ვირით ტყეში წავიდა. ავიდა ერთს ხეზედ და იმ ტოტზედ დაჯდა, რომელსაც ძირში შჭრიდა.

მეზავრმა დაინახა და ეუბნებო მასრადინას:

— მოლაგ, უსათუოდ ძირს ჩამოვარდებით!

მოლა მასრადინამ უური არ ათხოვა, აღბად მეხუმრებო და ხეს ისევე ჭრა დაუწყო. მართლაც ტოტი მალე მოსტედა და მასრადინანად ძირს ჩამოვარდა. გაკვირვებული მასრადინა გაიქცა, დაეწია მეზავრს და უთხრა:

— ჩემი ხილამ ჩამოვარდნა შენ იწინასწარმეტყველე და კიდევ აღსრულდა. ჩემის სიკვდილის დღეც გეცოდინება, გაფიცეც გამჩენს, მიწინასწარმეტყველე სიკვდილის დღეცა.

მეზავრს სულელით თავიდან მოშორება უნდოდა და ხუმრობით უთხრა:

— მოკვდები მაშინ, როდესაც შენი ვირი სამჯერ დაიურთყინებსო.

უფრო გაკვირვებული მასრადინა დაბრუნდა ვირთან, აჭკიდა შეშა და შინ წავიდა.

გზა-და-გზა ერთი აღმართი უნდა აეგლოთ. რაწამს შეუდგნენ შეღმართს, ვირმა, აღბად საზალზე იმძიმა, ერთი დაიუროყინა:

-- ეს ერთი! დაიუვირა მასრადინამ. ჩემი სულის მესამედი კიდევ გაფრინდა.

შეღმართის შუაზედ ვირმა მეორედ დაიუროყინა.

— ეს ორი! სულის მესამედი-და შემჩა.

აღმართის თავს ვირმა მესამედაც დასძახა.

— ესეც სამი და მე მოგვედი! წარმოსთქვა მოლამ, გავიდა გზის ბირას და დაწვა მიწაზედ. ვირიც შორი-ახლო გაჩერდა და ძოვნა დაიწყო.

ამ დროს საიდგანდაც გაჩნდნენ მგლები და ვირს მისცვივდნენ.

— ეჭ, ეჭ! ნეტავი ცოცხალი ვიყო, ამბობდა მიწაზე მწოლარე მასრადინა: მაგ მგლებს ვაჩვენებდი სეირსა! ეხლა კი რა გქნა! შეგდა-რი ვარ! როგორდა გამოვადგები ჩემს საწყალს სახედარსა. შტამეთ, შტამეთ, მგლებო, ეგ ვირი! ღმერთმა შეგარგო!

16. თამარ დედათა და ალექსანდრე მაკედონელი*).

თამარის მეტი შვილი იმის მშობლებს არა ჰყავდათ. თამარი ჯერ ისევ ათი-თორმეტი წლისა იყო, როდესაც იმისმა დედამ საკვირველი სიზმარი ნახა. მეორე დღეს დედამ შვილს უამბო: „წახედე, საუვარელო ჩემო შვილო, მეზმანა, რომ ვითომ შენ მამაშენის ტახტზე იჯექი, მეფურად შემოსილი იყავ და ხელში სამეფო გვირგვინი და სთერო გეპურა. მჯერა, მალე გახელმწიფდები. ეს მით უფრო სარწმუნოა, რომ უფალმა შენს გარდა სხვა შვილი არ მოგვცა. ღმერთმა მჩვენოს, შვილო, შენი ბედნიერება და დიდება. იყავ, ჩემო თვალის სინათლე, მოწყალე, წყნარი, მართლ-მოუყვარე, ღარიბ-დატყუთა ნუგეშინის მცემელი“. სიზმარი გამართლდა. სიკვდილის წინად მამამ იაგისი ქალი სამეფო ტახტზე დასვა და მეუობა დაულოცა. ამას შე-

*) ჩაფრეთ სოფ. ალიბეგლოში მოსიკო თამაზაშვილის სიტყვით. პირველი ცოტა მეტ-ნაკლებობით ჩაუწერია აგრეთვე ნიკო ჯანაშიას სამეგრელოს სოფ. ამიოლოს, ხოლო მეორე პ. პრიხნის გორის მაზრის სოფ. კიწნისში. ალექსანდრე მაკედონელი ისკანდარად იწოდება აღმოსავლეთში.

მდეგ ბევრი ხანი არ გავიდა, რომ თამარს დედ-მამა დაეხრცა. თამარი გახელმწიფდა და მთელი მსოფლიო დაიპყრა. თამარს ისა სწეინდა მხოლად, რომ მარტო კასპიის ზღვა იმის წინაშე ქედს არ იხრიდა. ამის გამო თამარი ძალიან განრისხდა და თავის ლაშქარს უბრძანა, მთელი კასპიის ზღვა ნამჯით მოეთინათ, ზედ ნავთი დაესხათ და ცეცხლი მოეკიდებინათ. აბა ლაშქარი როგორ არ გაუგონებდა თავის საყვარელ ჰატრონს. თამარის ბრძანება მალე სისრულეში მოიუგანეს. შეწუნდა კასპიის ზღვა, გალადებული ქედი თამარის წინაშე მოიხარა და, ვითარცა მონა, ისე შემოეხვეწა ურჩობა ეპატეებინა. თამარი მოწყალე იყო, დანაშაული შეუნდო, ზღვამ მადლობა გადაუხადა და დიდი ხარკი თავს იღვა. კასპიის ზღვა თამარს ხარკად ეოველწლიე აძლედა დიდად ღებროსა, ვერცხლსა, გიშერსა, მარგალიტ-იაგუნდსა და ცხენ-კამბეჩს. ამის შემდეგ თამარი მოსვენებით იყო თავის ტახტზე და განაგებდა მთელს ქვეყანას, მადრუბიღვან მამრუ-ეამდის.

ეს გადმოცემა უნებლიედ გვაგონებს ხალხშივე დარჩენილ ამგვარსავე ლეგენდას ალექსანდრე მაკედონელზე.

ალექსანდრე მაკედონელმა მთელი ქვეყანა დაიპყრო: აღმოსავლეთი, დასავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი. დაუპყრობელი დარჩა მარტო ერთი ზღვა. ეს ზღვა შავი ზღვა იყო. ერთ დღეს ძლიერის ჯარით ალექსანდრე ამ ზღვასაც მოადგა და დამორჩილება შეუთვალა. მაგრამ ზღვამ წარბიც არ შეიხარა. ალექსანდრე სიბრძნისაგან გაცეცხლდა და თავის ლაშქარს უბრძანა, შავი ზღვა ნავთით გაეკსოთ, ზედ თივა მოეთინათ და ცეცხლი მოეკიდებინათ. დაუნებელიე შეასრულეს ხელმწიფის ბრძანება. შავი ზღვა კიდი-კიდეზე გადაიქცა ერთ დიდ თორნედ. შეწუნდნენ შავის ზღვის მკვიდრნი და მეტყეს მოციქულად ერთი ციდა კაცი გაუგზავნეს და მოახსენეს: დიდო ხელმწიფეე, რას გვემართლები, დაგვეხსენ და დიდს ხარკს მოგცემთო.

— რას მომცემთ, ბრძანა ალექსანდრემ.

— ციდა კაცი ხორბლის სამი მარცვალი მიართვა და უთხრა: „ეს არის ჩვენი ხარკი. თუ ზირველ მარცვალს მიირთმევ, ახალგაზ-და ჭაბუკად იქცევი, თუ შეორეს—დიდი ბრძენი იქნები, თუ შესა-

მეს—უოველის ავადმყოფობის წამალი გეცოდინება და ამასთანავე შენის სიკვდილის დღეცაო.

აღექსანდრემ ხარკი არ იცოცხვია. სამი მარცვალე ციდა კაცს გამოართვა, ცუცხლი ჩაქრო და თავის სამეფოში დაბრუნდა.

გაუიდა კარგა ხანი, აღექსანდრე კიდეც მოხუცდა. ერთ დღეს მოაგონდა ის სამი მარცვალე და სთქვა: „აბა, ვცდი, რა ღირსებისა ც არის შევის ზღვის მოცემული ხარკიო“. სტუმრად მიიწვია დიდძალი ხალხი. ის სამი მარცვალე კი თავის ხაბაზს გადასცა და უთხრა: „სამი კარგი ქადა გამოაცხეო“. სტუმრები შეიყარნენ. როცა კარგად სვეს და ჭამეს, აღექსანდრემ ქალები მოიკითხა, ყველანი უნდა გაეკვირვებინა სსწაუღით. მიირთვა ერთი ქადა და ცვლილება არა დაეტყუო-რა, მეორეც ჭამა, მაინც არა შეემჩნია-რა, მესამე ქადამაც აღექსანდრე ვერ გადაახალისა. აღექსანდრემ მუცელი გაიძღო ქალებით, მაგრამ ვერც ახალგაზდა განდა, ვერც ბრძენი და ვერც ექიმი. გაუკვირდა და დანადგლიანდა. იფიქრა, აღბად ზღვამ მომატყუაო.

სტუმრები რომ წავიდ-წამოვიდნენ, დაიბარა ხაბაზი და ჰკითხა:

მონავ, მართალი მითხარ, ქალები სწორედ იმ მარცვლებისა გამოამიტხე, რომელიც მე შენ მოგეცია?

გულუბრველო მონა-ხაბაზმა უოველივე აღიარა მეფის წინაშე და ასე მოუთხრო ქალების ამბავი:

— სამის მარცვლის ქადა რომ გამოვაცხე, ნაცარში ჩამიცვივდა. აბა ამისთანა ზურებს როგორ გაკადრებდი, ხელმწიფეო. იმათ მაგიერ სხვები გამოვაცხე. წინანდელები კი ერთ სწაულ ბებერ გლახას მივცე შენ სადღეგრძელოდ.

შეწუხდა აღექსანდრე. უბრძანა შეეყარათ იმის სხელმწიფოს ყველა გლახები. ყველანი რომ მივიდნენ, ხაბაზს უბრძანა, აბა იცანი ის კაცი, რომელსაც ქალები გადაეციაო. ბებერი ათვალეირა ხაბაზმა, მაგრამ ვერც ერთს ხელი ვერ დაადო. მაშინ აღექსანდრემ იქ შეკრებილ გლახებს ჰკითხა:

— სხვა გლახა ხომ არაინ დარჩენილა მოუსვლელო.

— როგორ არა, ბატონო, შეჭლადღეს ერთ ხმად გლახებმა: ამა და ამ სოფელში ერთი მოხუცი გლახა იყო. ძლივს დადიოდა.

მაგრამ ამ ბოლოს დროს რაღაც სასწაულის გამო უცნობ სრულიად ახალგაზრდა შეიქნა და ამასთანავე დიდი ბრძენი და ექიმიცა.

ალექსანდრემ მიაყვანიხა და თავის შინაურ ექიმბაშად გაამწესა. გავიდა კარგა ხანი და ალექსანდრემ ჰკითხა:

— რა დღეს მოვკვდებიო?

— იმ დღეს, რა დღესაც ცა და დედამიწა სზილენძად იქცევაო, უხასუხა გლახად ნამყოფმა ექიმმა.

ამის შემდეგ კარგა ხანი გავიდა. ალექსანდრე ავად გახდა და თავის სზილენძის ტახტზე დაწვა. ფიქრებმა გადიტანა, ახელა ზუგით და სზილენძის ჭერი სზილენძის ცად მოეჩვენა, დაიხელა ქვეით და სზილენძის იატაკი სზილენძის დედამიწად დასახა. ამოიოხრა და წამოიძახა:

— ახლა კი მოვიდა ჩემი აღსასრული!

მართლაც იმავე დღეს სული განუტევა.

VII

ი ნ გ ი ლ ო თ ა ლ ო ლ ა თ ი .

I. წინასიტყვაობის მაგიერ.

ჯერ ისევ 1895 წელს ვწერდით „ივერიაში“ (№ 200): „უგუ-
ლანი იმას ვამბობთ, რომ ქართული ენა მეტად მდიდარი ენააო, მდი-
დარიც არა თუ მარტო თავისის საგრამატიკო ფორმებით, არამედ
ლექსთა სიმრავლითაც. ეს მართალი თქმაა. ხოლო, ჩვენდა სამწუხ-
როდ, თითქმის არავინ არა ზრუნავს მშობლიური ენა საფუძვლიანად
შეისწავლოს და გვაცნობოს მისი შენიერება, თვალწინ გადაგვიშა-
ლოს ის საუნჯე მეტყველებისა, რომელიც მრავალ საუკუნოების გან-
მავლობაში დაიმუშავა და შეიძინა ქართველთა გონებასა და ჭკუამ.
უბჭველია, ასეთი შრომა თვალსაჩინო სამსახურს გაუწევს ქართველთა
წარმატებისა და წინსვლის საქმეს. რომელიმე ენის სულისა და გუ-
ლის შემეცნება. დიდი ღვაწლია, ვინაიდან ამ შემეცნებისათვის საჭი-
როა ხანგრძლივი და მუყაითი შრომა, ფიქრი, განუწყვეტელი ჩხრეკა-
ძიება, ბეჯითი შესწავლა ძველის ხელთნაწერებისა, შელარება და შე-

თანხმება სხვა და სხვა კუთხის სიტუაციებისა და ამავე კუთხეებში დაშ-
თენილ სიტუა-ფრაზების გამომწვევება.

არ არის ისეთი ენა, რომ მას, თვისის წინმსწავლადობის დროს, მრავალ სიტუა-
არ გაქვავებოდეს და ამ გაქვავებულ-გაუქმებულ სი-
ტუა-ფრაზათა მაგიერ სხვა ახალი (ხშირად უცხო ენის) სიტუა-
არ გამოიყენოს. ხოლო შემჩნეულია, რომ მრავალი სიტუა-
ფრაზა შეიძლება თაობას აღარ ესმის, წინანდელ თაობისათვის უგებია
ესეთი სიტუაციები გასაგებია. უფრო და მანინ არც ერთი სიტუა-
ფრაზა აღმნიშნული რომელიმე ცნებისა, გაუგებარი და ანუ გაქვავებული არ
ყოფილა. თუ ეს ითქმის საზოგადოდ რომელიმე ენის შესახებ, მით
უმეტეს ითქმის იმისთანა ენის შესახებაც, როგორც ქართული ენა,
რომელსაც აქვს თავისი, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, 2300 წლის
ისტორია.

სიტუაციების გაქვავება და კილო-კავების გაჩენა დამოკიდებულია
მრავალ გარემოებაზე; უადრესი ამ გარემოებათაგანი არის: ერთისა
და იმავე ტომ-მოდების წარმომადგენელთა შორის მისვლა-მისვლის
სიძნელე და მწერლობის უქონლობა. მისვლა-მისვლის სიძნელე და-
მოკიდებულია გვარ-ტომის ადგილ-სამყოფელს გეოგრაფიულ შერ-
ბეზზე: მაგარი და შეუვადი ხეები, ღებები, დიდი მთები, უზო-
ლობა, ზოლიტიკური დამოუკიდებლობა დიდად-აბრკალეებენ ცივილიზა-
ციის-კულტურის მოფენას ქვეყანაში და აფერხებენ აგრეთვე ენის ძლე-
ვა-მოსილობით გავრცელებასაც ერთისა და იმავე ერის მამულ-დედულ-
ში. ამისთანა უფაში სიტუაციების გაქვავება, ენის კილო-კავებად და-
ყოფა, მით უფრო აუცილებელია, თუ ერს ვერ შეუქმნია თავისი აზ-
რისა, ფიქრისა და მისწრაფების გამოსახატველი ნიშნები—ანბანი და
გერ დაუარსებია მწერლობა მშობლიურს ენაზე. ამ უფაში არის დღეს
ღებური ენა, რომელიც მისვლა-მისვლის სიძნელისა და მწერლობის
უქონლობისა გამო გადაშლილა მრავალ შტო-კილო-კავებად და ელის
დაღისტნის ახალს ჰომირისს თუ ჰეროდოტეს, რომ ეს ღებური
კილო-კავები ისევ შეიკრას, დაზავდეს, შეიდიოს და აღჩქეფდეს სა-
ერთო ღებურ ენის წყაროდ.

ენათა მეცნიერები იმასაც ამბობენ, რომ სიმრავლე გაქვავებულ
სიტუა-ფრაზათა და კილო-კავებისა არის დიდი სიმდიდრე ამა თუ იმ საერ-

თა ენისა; როგორც რომელიმე მდინარე დიდდებს თავისი ნაკადულების შემწობით, ისე ენაც, თავისის წინ სვლას დროს, უნდა მრავლად იღებდეს საზრდოს თვისის კილო-კაფებიდა; უმისოდ იგი დიდ მანძილს ვეღარ გაივლის, საფანელი შემოაკლდება, გადატაკდება და სწორედ ის დაემართება, რაც ქვიშრობში მიმდინარე მდინარეს, რომელიც, სათავეებში წყარო-ნაკადულების სიტოტავისა გამო, ზღვამდას ვეღარ უწევს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს მამა-პაპას ადრითკანვე ჭქონია წერის ნიშნები და მერე დაუარსებია თავისი ენაზედ უმდიდრესი ლიტერატურა, მაინც, ვიმეორებთ, მიუხედავად ამისა, ჩვენის სამშობლოს ზოგიერთ კუთხეში ამიჩინებურად და ხელუხლებლად მაგრობს აუარებელი სიმდიდრე ჩვენის ენისა, აუარებელი საუნჯე, შეძენილი ჩვენთა ღვაწლით-შემოსილ მამა-პაპათა მიერ. ამგვარი კუთხეებია ხევსურეთი, ფშავი, თუშეთი, მთიულეთი, რაჭა, სვანეთი, სამეგრელო, წებულდა, აფხაზეთი, აჭარა, ლაზისტანი, სამცხე, ქაზიუი, და კაკ-ელისენ-ჭარი (საინგილო) და არა თუ ამ კუთხეებში, არამედ თვით საკუთარს კახეთსა, ქართლსა და იმერეთშიაც კაცი მონახავს მრავალს სიტყვა-ფრაზას, რომელიც ადგილობრივ იმპარება და საერთოდ კი ადრია. საჭიროა ეს აუარებელი მასალა შემოკრიბოთ, შევისწავლოთ, აწესსოთ და ეს შრომა რომ შესრულდება, მაშინ ჩვენი, ისეც მდიდარი, ლექსიკონი ერთი-ორად გადიდდება, ხოლო ენა-მზერობაც ჩვენის ენისა იმატებს, და უფრო გარწვიდება და შარავანდოსანი შეიქნება.

თუ როგორ უნდა შესრულდებოდეს და ვის უნდა ეთავა ეს დიდი საქმე, ამის შესახებ ჩვენ იქვე ვწერდით:

როგორც ვიცით, ჩუბინაშვილის ლექსიკონი დღეს წერა-კითხვის საზოგადოების კუთვნილებაა და თაონობაც ამ საქმეში უნდა ეკუთვნოდეს ამ საზოგადოებას. იტყვიან, წერა-კითხვის საზოგადოებას არ ექნება არც შეძლება და არც მატერიალური ძალა გაუძღვეს ამ ძნელად შესასრულებელ საქმეს. მართალია, არ ექნება არც ძალა და არც შეძლება, რასაკვირველია, თუ დავიფიფიწვეთ, რომ ამ საქველმოქმედო საფუძველზედ დამყარებულ საზოგადოებას დამხმარებელნიც ქველმოქმედნი უნდა ჰქავდეს. განა ცოტანი არიან საქართველოს კუთხე-

ებში განათლებულნი და საზოგადო საქმისთვის თავდადებულნი, რომელთაც შეუძლიანთ შეიძინონ ჩუბინაშვილის ლექსიკონი და მასში ჩასწერონ ის, რაც დაშთენილას მათს სამშობლოში და საყოველთაო ლექსიკონში კი არ არის! უველგან საქართველოში გვეკულებიან მრავალნი, რომელთაც შეუძლიანთ ამ საქმეს გული დაუდონ და ნება-ნება, ახალ-ახალ სიტუვა-ფრაზების მოგონების დაგვარად ჩასწერონ თავიანთებური სიტყვები ცალკე რვეულებში და მერე გამოგზავნონ წერა-კითხვის საზოგადოებას, რომელიც მისდამი გამოგზავნილ მასალას შესთერ ადგილს მიუჩენს ლექსიკონის დასტამბვის დროს. თუ რა ფასი აქვს ამგვარს შრომას, ეს სჩანს თუნდა იქილამ, რომ რუსეთის სამეცნიერო აკადემიამ ზრთვინციალურ სიტყვების ჩამწერლებს უოველ ახალ სიტყვის აღმოჩენისათვის შეაძლია ორ-ორი მარტი მარამ ჩვენ გვგონია, რომ — თუნდაც წერა-კითხვის საზოგადოებას შეძლებაჲ ჰქონდეს, — აღნიშნული ღვაწლი ისეთი წმინდაა, რომ უოველი შეგნებული ქართველი მოვალეა უსასუილოდ დაეხმაროს სამშობლო სიტყვიერებას და მიჰბძლოს ფუტკარს, რომელიც ყვავილების სუნებლებს თაფლად აქცევს და მერე თავისს ნყოფით თითონაც სარკებლობს, კაცსაც უმტკბარუნებს ჰირს და ღმერთსაც სანთელს უნთებს ..

კერძოდ, მით უფრო საჭიროა განზრახულ სიტუვათა შემოკრება, რომ დღეს მეტად გამრავლდა რიცხვი კანდიკილთა და კარეწართა. ეს წინდაუნებლანი, იზოგნიან რა თავის კუნჭულში ასიოდ ადგილობრივ სიტუვას, რომელიც საერთო ლექსიკონში არ არის, უგირიან: „არიქათ! აი სად უოთილას ახალი ენა! ჩვენ თურმე სხვა ენა გვექონია“!

ღიად, ასრე ვწერდით 15 წლის წინად. დღეს კი ამ საზატოო საქმეს ხელი მოჰკიდა ჩვენმა „სისიტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებამ“ და, იმედია, კიდევ დაგვირგვინებს მას. ჩემის მხრით საზოგადოებას მე აქ გავაცნობ ინგილოთა კილო-კავს ანუ, ინგილოურადვე რომ ვთქვამთ, *ლოდათს* *), და ლექსიკონს იმ სიტუვებისას, რომელიც ადგილობრივ ინმარებიან და საზოგადო ენაში კი — აღარა.

*) ლოლათი არის იგივე ბერძნული λόγος — სიტუვა, ლაპარაკი, საუბარი და იმავე ძირისაა. ვფიქრობთ, ქართული რქუმა = მეგრ. რავადი = სვან. (ლი)-რგადი (=ქართ. რქუადი, რქმადი). შიად. რქუა = ჰრქო.

II. ცოცხალი გრამატიკაში.

1. ა ნ ბ ა ნ ი.

ინგილოურში არის შემდეგი ხმები:

ა, ბ, გ, დ, ე, ეჲ, ვ, ზ, თ, ი, იჲ, ლ, მ, ნ, ე, ო, პ, რ, ს, ტ, უ, ეჲ=ვ, ეჲ, ფ, ქ, ლ, ე. შ, ჩ, ც, წ, ჯ, ხ, იჲ, ჯ, ჰ, ჯ*).

ხმოვანებია: ა, ე, ეჲ (=ფრანგ. eu), ი, ო, უ, ეჲ (=ფრ. u).

ნასუნუნებია: ეჲ, ე.

არ არის ძ და ჯ, თუმცა ჯ სიტყვებში „ჯანი“, „ჯამათი“ მკათოდ გამოისმის, ამბობენ აგრეთვე ჯანაშვილი=ჯანაშვილი.

სიტყვებს აბოლოკებენ უხმოები და ნასუნუნები ე. უხმოები ჩნდებიან იმ სიტყვებში, რომლებიც ქართულში ბოლოვდებიან ხმოვანით ი, მაგ., კაც, დეკრთ, წიგნ, ქარ, სუდარ; ი-ს შეიძლება მხოლოდ რამდენიმე სახელები და სიტყვები, მაგრამ ისინიც უ-ე-ოდ არ იხმარებიან, მაგალ., ნუხი (ნუხი), აგია (სახ.), კაცია (სახ.), ჰარკია (არკია), ტრია (უდუმა ცხვარი), ქეჩია. დანარჩენ ხმოვანებსაც უეჭველად ებმება ე, მაგალ., მამა, ნება, მახე, ხე, სოკო, ერე, ჭკო, ციჭკო, კუჭკო, ეჭე, ღუნე, სუნე.

2. ხმათა ცვლილება.

ა. ასო ა გამოითქმის მკათოდ. ხანდახან გაცრძელებულად. ამბობენ: აარ. მის მაგიერ ისმის: ო, უ, ე, ი: ჩამო—ჩომო, წადან (წედან), აგე (=აგი)—ოგი (=ოგი), ვნახეთ—ნახეთ, ლახარკი—ლახარიკ, მაჯნაკალი—მაჯეკალ, უნურატო—ურუნტო, ამოვადებ—უმუადებ, თუთან (თითონ=თუითან).

ბ=ვ, პ, ფ, მ, გ: ამოვენ (ამბობენ), ამოვ (ამბობ), შპ (შაბი), ნიხეთ, დამენა, კამენ (კამენი), გორგოლა=ბორბოლა, კმენა (კბენა), დარწება (დარწება, რწება).

*) რამდენიმე სიტყვაში ისმის რუსულის მ-ს თანაბარი ხმა: მლავალი, მზ—განე, მთ—იათი.

ბ=ქ, კ: ქუქურდ (გოგირდი), სუნაჲ (მსუნაგი), გუჲგუჲ (გუგული).

დ=ტ, თ: დასცდინა, დასტინა, ასტა (ასცდა), დასტო (დასხვდა), თოფანხა (დამბახა).

ე=ი, ა, ე, ო, უ: შიშაჲ, ჳაჩიხაჲ, წადან (წედან), ფჳტ (ფეტვი), ეზჳჲ (ეზო), ეო (==იუო*), ექს (ექვსი), ცარიალ (ცარიელი), შამოვდა (შემოვიდა); საბჳჳეჲ (საბჳევე), ჳერხილ (ჳირხლი), კერკალ (ხირხალი), ისენ (ისინი).

გ=მ, ბ, გ, ო, უ, უ: მასკულაჲ (974 წლის ხელნაწერში—მასკულავები ფს. 8,3), მენაჲ (ვენახი), ბადრი-კატაჲ (ველეური კატა), მინ (ვინ), მინამ (ვინმე), მიწროჲ, დამირწეებაჲ (დავიწეება), ნიგორ (ნიორი==სვ. ნივრა), აქონდა (აქვდა==აქუნდა), რუაჲ (რვა), ხუალ, ქჳბ (ქვები), აკუნ, დეპეკლ (დეპეკლი, სვან. დეპეკლი).

ზ=ს, ძ: სიმარტლ (ზღმარტლი), ჳროხაჲ (ზროხა—ძროხა), ჳროჲ, ჳმობაჲ (ძმობა), ჳლივ, ბიზიშჳლ, ჳადლ, კეშჳიფიზგან, მამიზგნი, ფესსომოზ (ფესსამოსი), ტანსომოზ (ტანისამოსი).

თ=ტ, ღ, ჩ: სტვაჲ (როვა), ასტავს (ართავს), სასტულ (სასთაული), ქჳტკირ (ქვითკირი), ბუთქ (ბუჩქი).

ა=ა, ე, ე, უ, უ, ი: ბუშტავაჲ (ბუშტი), აჲმ (==იმ, ა იმ), აჲ (აი), აჲს (ის, აის), დაჲგარგ, ეუაჲ, უმულ (იმედი), ქიჩინხოჲ (ჯობლიბო==მეგრ. ქეჩუჩი), ჩუჩაჲ (ჩინჩაჲვი), ისენ (ისინი), ბრჳჳ (ბრიჳვი), შიშაჲ (შეშა), დჳდრჳან (დიდრონი), სჳრცხჳლ (სირცხვილი), სჳკდჳლ, ფჳტ (ფირტვი, ფილტვი), ხჳხჳნ (ხიხვინი), ხჳწ (ხიწვი), იფ**).

კ=ყ, ც, ხ: ვაჳეჳ (ვაჳეჳი), სლოჲინ, ჩონსჳენ (ჩენსჳენ), იქითჳენ, ღაკლაგ (ღაკლაჲი), სუნაჲ (მსუნაგი), კაკ=ყახ=კახი.

ღ=რ, ნ: თორიაღება (თვალღებება), ცჳნ (ცვილი), ნუსმარ (ღურსმარი), მესროჲნა (მესროჲლა, მესროლა).

*) ფს. 9,9: იუო (ტყავზე ნაწერი დავითნი 974 წლისა)=ეუო (გიორგი მთაწმ. თარგმანი).

**) მეგრ. ეფი, ფს. 121,7—იეფი („იეფობა გოდოლ ტაძრებსა უენა“).

ძ=ნ, ვ: ნეეჲ, ანბოეს, მასკულაჲ, მენაჲ (გენახი), მინ (ვინ), სანყოფ (სამყოფი), კმენა (კბენა).

ნ=ლ, რ, მ: ბლენ (ბნელი), უერუანტუჲ (უნურატო), იმამ (იმან), ჰემგამ (ე მაგან), ცხენმამ (ცხენმან) (შეად.: იმამყოფი=იმანყოფი, ნამდვილი=ნანდვილი).

ჲ=ო, ვი: აჲ (აი), აჲს (აის), დჲჲ, წაჲკითხ, მაჲტან. მაჲმუნ, მაჲჲონ (მოიუყანე), მოჲჲონ (მოვიუყანე), გოჲგ (გავიგე).

ჩამატება: არაჲფერ, რაჲმ (რამე, რამე).

ო=უ, უ, ვე, ე, ვ, ვა: თოლ (თუალი, მეგრ. თოლი); ტუ-მარაჲ, სუჲერ, სონილ (სუნელი, სურნელი), გუგოლ (გოგო), სეჲელ (სოველი), უნუჲაჲ, გუგრაჲ, ქუქურდ (გოგირდი), დედუჲალ, წუწ-ლუტ (წოწოლა), დუდრუან (დიდრონი), ქომოჲთ (ქვემოთ), კოჲთხალ. ზომოჲთ (ზემოთ). დუწერიაჲ (დუწერიათ), შომოჲდა (შემოვიდა). წოდ (წვალი), გორ (გვარი), ხოდ (ხვალი), მოხალ (მოხვალი), მოჲ-ჲონ (მოვიუყანე), გაჲჲონ (გაიუყანე), ლოჲმაჲ (ლოჲმა), სხოჲ (სხუა), გაცორება (გაცურება), ცორ (ცურარი), კოლა (კვალად. მაგიერ). ხუჲალ (ხვალ *).

ჳ=ფ: ჳობობ, ოფოფი, ჳობობი.

ჴ=ჩ, შ, ძ, ს, ჳ, ჴ: დაბუჲებაჲ (დაბუჲება), ვაჲჲაჲ. ჳჲჲაჲ (ძეჲჲა, ცეჲჲა), უნტაჲ (სურდო), ჳინჳოლაჲ (ჳიანჳეჲა, ჳინჳეჲა), ჳინჳარ, ჳინჳარი (ზაჳარია ბანელის შრომაში, მე-XI საუკ., ლი 1, გვ. 57 ჳინჳარი), გადაბიჳებაჲ (გადაბიჳება).

რ=ჳ, ს, ჲ: რემენ=ჳემენ (რომელი), რაჲსაჲ=ჳაჲსაჲ (ხეჲს. რაჲს=რა არის), რუმ=ჳუმ (რომ), ასტაჲს (ართაჲს); არაჲის (არ არის), ფურტ (ფირტვი, ფილტვი).

ს=ზ, მ, ჳ, ჩ, წ: სჳკლჳლჳზგან (სიკვდილისგან), ქჳუჳზა-ქჳუჳზა (სეჳზ-სეჳზ), ფეხსომოზ (ფეხსმოსი), ტანსომოზ (ტანისა-მოსი), დაჳწლო=დასწლო, სტვაჲ (როვა), წკინტლ (სკინტლი), ამ-სტენელ (ამცდენი), შარს (შარშან).

ტ=დ, თ, შ, ხ: დახტო (დახვდა). ასტა (ასცდა), დასტა

*) შეად. საზოგადო: ხომალდი=ხუამალდი=ხეჲამალდი, ხორბალი=ხუარბალი=ხვარბალი.

(დასცდა), სასტულე (სასთაული, სასთუმალი), ტიტქლამ = შიშქლამ, ჯურტ (კრუხი).

უ = ო, ა, უ, ვ, ქ: გუგრამ, გუგომ, მუშუობს (მუშაობს), გუშინ = გუშინ, უენავს, კუგურ, გუგუნ (გუგუნნი), ხუალ (ხვალ), ხუალზემთ (ხვალზეუთ), მუალ (მოვალ), წუხქელი წუხელი).

ჟ = ვ, უ: მოჟდა = მოვდა (მოვიდა), წაჟდა = წავდა, წავიდა, მოჟ = მოვ (მოვა), წაჟ (= წავა), მიჟ = მივ (მივის = მიდის), შუჟ (შევა), გაჟ (გავა), ჩაჟ (ჩავა), გომოჟ (გამოვა), დაჟდექ (დავდექი), ჩაჟგდო (ჩავგდო), ჩაჟნთა (ჩავნთო), დაჟთორიალეპი (დაუთვალეპი), დაჟდექი (დაუდევა).

ფ = ბ, მ: ნიჩაფ (ნიჩაბი), შუფრობამ (შუშხარი), ფანთალ = მანძალი, ფაულამ (ბაკლა, ღობიო).

ქ = გ, ღ, კ: დადექ (დადეგ), ჩირალ (ჭრაქი), გასქდა (გასკდა), ქუქურდ (გოგირდი).

ღ = უ, ხ, ტ: ეიკ (ღივ), აუილა (აღივლა), დილ (ღახ), ხაღღ (ხაღხი), ტოლან = ტოლად, ფუღურომ = ფუტურომ, დაჭომ (ხაჭო).

ჟ = ხ, კ: ფუჟ (ფეხი), უურდდეჟ (ფს. 103, 18: უურდგელი; კობისძის 1035 წლ. დავითნში (№ 135): უორუდეჟი (ქართ. მწერ., გვ. 219), აქათუენ, დარუჟვა (დარხევა), ჩომაჟ = ტომაჟ (ჩომახი), ჩუჩაჟ (ჩინჩაჟი).

შ = ჩ, ტ: შუდმეტ (ჩვიდმეტი), შიშქლამ = ტიტქლამ.

ჩ = ჯ, კ, ს: ფუჩ (ფუჭი), გაფუჩება (გაფუჭება), ჩუჟეა (ჭიპი), კრენჩხამ (კრეჭა), კირკილ (= ჩრჩილი), ჩარჩაჟ (ჩარსავი).

ც = ს, წ, თ, ღს: სტებოდა (ცდებოდა), ცუცქულ = წიცქულ, წიკომ (ციკანი), ციკან (თიკანი), გქრც*) (გვერდს, ახლას).

წ = ც, ს: წუცქულ = ცუცქულ (წისქვილი), გაწდომამ - გასტომამ.

ჭ = წ, ჩ, ხ, ც: ფუჩ (ფუჭი), გაფუჩდა (გაფუჭდა), ჩუჟეა (ჭიპი), გაკრინჩხ (გკრეტე), ჩირალ (ჭრაქი), ხიწიწი (ხობოზიკი), ხუხუნ (ჭიხვინი), ფაფარხალამ = ფაფაჭალამ (ფლაფის ძირი), ჭულუკ (ცელქი).

*) მესხურ დავითნში: „გუპრც იახლა“. ე. თაყაიშვილის სამი ქრონ., გვ. 89.

ბ=ჭ, ე, ნ, ტ: ხუხუნ (ჭიხინი), ფეე (ფენი), ჭუმ (ხომ), ჩოყა (ჩოხა), უაჭბა (კახბა), კურტ (კრუხი).

გ=ხ: ბაკაღა, კემწიფე, კოკობ, კარ, კმაღ, კელ, კეკ, კავილ, კუვილ, შეკინტა, კიდ.

ჯ=ჭ, ყ: ბაღღუნჯ=ბაღღუნჭ=ბაღღუნყ (ბაღღოჯი), მარჯუნაღ=მარჯუნაღ, ჯომარღ=ჯომარღ, ჯან=ჯან.

ქ=რ, ს, ხ: ჭუმ=რუმ (რომ), ჭუმენი=რუმენი (რომელი), მოჭწიფა=მოსწიფა, აჭწიფა=ასწიფა; ჭუმ=ხომ.

ქ=ე, ო, უ, ვე: ეხეღ, მუხუბელ, კერცხ, სიტუჭე, სიტეღ, ჭუმენენი, ნეხიღ (ნუხი), ეუნენ (იუნენ), ქეუნაღ, გერც (გვერდს, ახლს), ჭუმეხერს (უმეხერს), მექქეღ, სავსეღ (სავსე), მუხერ (მოხვერი), ნეზ (ნეზვი), ნეს (ნესვი), გელ (გელი), გელეღი (გელიღი).

ქ=ი, ვი, უ, ა, ო: ზურკ (ძირკვი), შულ (შელი), მოუტუეღი (მოუტუეღია), ნუგზი (ნიგუზის), ჭუც (ვიცი), ჭურ (ვირი), კუც (კიცი=კვიცი), გაუშუ (გაუშეა), ღუნაღ (ღუნია), გუშუელ—მუელ (გამოველ, მოველ), გამუშ (გამიშვი), წიციქელ (წისქვილი), მიაწვიღუნა (მიაწვიღინა), ყუბეღ (ყიბე), სუკღულ (სიკვილი), ღულ-რუან (ღიდრონი), აკნუთავ (აკვნითვე).

3 ხმათა გამოვარდნა:

ა: საღმოღ (საღამო), ბღი (ბღის), ატმი (ატმის), ჭმაღა=ჭუმუღა, ზატრაღ.

ბ: ტეღ (ბრტყელი), წკინვაღ (ბრწყინვა), ჩხიღ (ბრჩხილი), წკაღ (ბრწკალი).

გ: წეღ (გრწეღი, რწეღი), გურგაღ (რგვაღი).

ღ: იუ (იჯე), ყის (ვეჭვარ, ყიხარ, ყის=ვიზივარ, ზიხარ, ყის), ღაუ (ღაჯეღ), მოკ (მოკვიღი), მოკკ, მოჭკ, მოკღო (მოკვიღი, მოკვიღი, მოკვიღა), ერთა (ერთაღ), მინ, გინ, უნ (მინა, გინა, უნა=მინა, გინა, უნა), სს (საღ), ტკბიღა (ტკბიღაღ)..

ე: სევეღ (სოვეღი)=სულ (სეღი), კლიტ (კლიტე).

ვ: კნაღ (ხვნა), ხრა (ხვრა), ზუგ (ძე).

გი: ღათ (ღათვი), ნეზ (ნეზვი), ნეს (ნესვი), კუც (კიცი),

დღეწ (დაღწევი), ზეზ (ძეძევი), თაგ (თაგვი), ფაშ (ფაშევი), მარწე (სე. ბასე)—მარწევი.

თ: ერ=ერთ (ერთი), ათხუთმეტ=ხუთმეტ, ფინ=ფინთ (ფინთი).

ა: სმინდ (სიმინდი), შუღ, ღმერთ, ისფერ (ისფერი), სს-თეგე (სათეგე).

კ: კახნაჲ=ჩხაჲ (კრჩხა), ცხილა (კრცხილა).

ღ: ბიღ (ღბილი, რბილი).

მ: სხალ, ტრედ, ღდეღ (მე-Ⅷ—XI სსუკ.: მღდეღი), ჭდ=ჭატ, წეერ, შუღ, წერალ, ჭლეჲ, წონეჲ (მწვანე).

ნ: ნეპერ=პერ (პერი, ქათვი), ქალმეზ (ქალამხები).

ო: მაყარყოღეჲს=მაყრყოღეჲს.

რ: დაგრ (დაგრჩი), ჭიჭინა (ჭრიჭინა), რეჲ (რძე), კინაჲ (რკინა), რთგო (რთგორ), ქაჲ (რქა), წეიღ, ჟუღ (რჯუღი).

ს: წოთრ (სწოთრი, სწორე), დასტერეღა (დასატერად), მაკადო-მეღ (მოსადომეღი), მახოფნეღა (მოსაძოვად).

ტ: (ჩქარ თელაში): თერთმე, თორმე, ცამე...

უ: მოკდო (მოკუდა, მოკვდა), მასკან (მასუკან).

ფ: ჩხიღ (ფჩხილი).

ღ: ღმეტ=მეტ (მეტე).

შ: შარანდეღ (შარშანდეღი).

ჩ: ჩუღ (ჩვილი):

ც: მამ (მამეც), მიე (მიეც).

წ: ზაწაწაჲ=ზაწა, ზიწაწაჲ, ზაწია, ბეწო.

ჭ: ზაჭი=ზაჭიჭი.

ხ: ფხრეწა=ფრეწა.

4. ჩ ა მ ა ტ ე ბ ა

გ: გრთშვა (რთშვა), ნიგორ (ნიორი).

ვ: ბლეგ (ბლე), ცრეგ, ბუგ, ზუგ (ძე), ღრეგ, ერეგ, შუგაჲ (დავითნში 974 წლ., ფს. 21,14: შუგა), ტეუვიღ (ღ 1, გვ. 555: ტეუვიღი).

ა: ღმერთიმა (ღმერთმანი), ბრიმაჲ, ღრიმეჲ, ღირღნა.

- ჰ: ჭორტელ (ჭვარტელი), კახსაჲ=ჩხსაჲ.
 ლ: წკიპართელ (წკიპურტი, წკიპართი).
 ნ: ჩხუნკ (ჩხიკვი), თურმენი (თურმე), კმანსაჲ (კმაზა, კაზმა).
 ო: წორ (სწორე, სწორი). ოარ (ორი).
 უ: ჰბა (აბა), ჰუნდ (უნდა), ჰუთემ (უთემ), ჰგუბაჲ (აბგა),
 ჰარაკიჲ (არაკი), ჰაკკ (აკაკი), ჰეკ (ეკე), ჰეზარ (ე მარე).

5. გადასმა და სხ. ცვლილება.

ღურბელ (ღრუბელი), კმანსაჲ (კაზმა), დევაკუნ (დიაკვანი), დამბულ (დაბმული), ჰგუბაჲ (აბგა), თორიაღებაჲ (თვალთვლება), ჰმუზაჲ (სკუნდი), ბღენ (ბნელი*), მაჰკეალ (მაჰანკალი), გულანდ (გულანდმა), ჰირანდ (ჰირანდმა), დადდა (დიად), აჰნკერ (არწაკელი), ნაღელ (ნაღელი. ურბნისის სხარ. X სუკ.: ნაღელი (მათე, 27, 34), სხვა ძველს წიგნებშიაც ასრევა.

მიძლეობაში თითქმის მუდამ გამოიტოვება ს: დაწერელ, დადგმელ, მაკადომელ, მაცემელ, მადებელ (დასწერილი, დასდგმული...).

ზმნისზედაში ხშირად აკლდება დ: დაწერელა, დაკლქელა, დათლქელა, ტკბილა, ადრიანა.

უარყოფით მიძლეობაში მეორე უარყოფითი ნაწილაკე ებმის:

უდაუწერელ=დაუწერელი.

უდაუბანელ=დაუბანელი.

უდაუთლქელ=დაუთლქელი.

იგივე რჩება ზმნისზედაშიაც:

უდაუწერელა.

უდაუბანელა.

უდაუთლქელა.

ბრუნებებში ჩნდებიან დაბოლოებანი:

1) თუნ=თუინ=თვინ: ჩემთუნ, მამისთუნ (=მამის-თუინ).

2) ბეთ (=ბეთ=ბე)=თვინ, თვის: ჩემბეთ, მამიბეთ.

3) თი=დგან: აქათი, წინათი.

4) უენ=კენ, ხუეს. კენ=კ: კახეთისუენ, კაცისუენ (ხუეს. კაცისა-კ).

*) შეად. კრცხილვანი=აწ ცხინვალი.

- 5) ზგნი (=ზგან) = სკან, ისკან: მამიზგნი, დელიზგნი.
- 6) ინ=ის: უბამდინ (პირამდის), მინამდინ.
- 7) სს=სსს: ჩონსა, თქენსა, ჰაჰანთსა, დელაანთსას.
- 8) ინჟა=დე, ნდე, მდე: გაზდომინჟა, მოსუღინჟა.

ნათესაობით ბრუნვას ხშირად აკლდება ს: მამიშულ (მამის შვილი), ბიზიშულ, ჩიტობახლაჲ, ხიზირში (ხის ძირში), ცხენი-მკქლ; ივანიჲ ცხენ (ივანეს ცხენი), მამი მინდორ, ტახი კბილ (ტახის კბილი) (შეადარე საზოგადო: მამიდა (მამის და), დედა (დედის და). მაგრამ ზედსართავის გადასმა მოითხოვს დაბრუნებას სი:

მამაჲ შულ	შულ მამისი, მამაჲსი.
ცხენი თავ	თავ ცხენისი.
კაციჲ შულ	შულ კაციჲსი.
მუნადირეჲ თოფ	თოფ მუნადირეჲსი.
სოკოჲ წენ	წენ სოკოჲსი.

გით=ვითა მოკლდება გი—დ: კდარვი, ჩემსვი, ტურასვი, ზა-დღვი, ზრესვი (ძრესავით).

ზედასართავი განსამარტებელთან არ იბრუნვის:

ს. 1 კაჲ კაც	კაჲ კაცებ.
ს. 2 " კაც-მა	" " -მა.
მ. " კაც-ს	" " -ს.
შ. " კაც-ით	" " -ით.
ზმზ " კაც-ად	" " -ად.
წ. " კაც-ო	" " -ო.

პიროვანი ნაცვალსახელი ძე მოთხრობაში იღებს ნ-ს მაშინ, როდესაც შეხვდება მეორე პირის ნაცვალსახელს: მენ და შენ ერთა წაჭდეთ...

მესამე პირის ნაცვალსახელები:

ჩემთან ახლო:	შენთან ახლო:	მასთან ახლო:
ემ	ჰემ	იმ, აემ
ემამ	ჰემამ, ჰემგამ	აემამ, იემამ, იემან *)
ეს	ჰეგ	აეს, ის

*) ემან, ე-მაგან, იმან.

ს ა ნ გ ა ლ ა

აქეს	აქეს	აქს
ქსი	ჭებო (ებე)	აქსი
		ოჯი, ოჯბი (აბი, იბი)

პირველი და სხ. პირები უმნათა მიმოსრამი:

ჭუ-ჭრი,	ი-ჭრი,	ი-ჭრი-ს.	ჭუ-ჭრით,	ი-ჭრით,	იჭრიან.
ჭუ-ჭრიდი			ჭუ-ჭრიდით.		
დო-ჭერ,	და-ჭერ,	და-ჭრა.	დო-ჭერით.		
დო-ც,	და-ც,	და-ცა.	დო-ცით.		
მუალ,	მოსოლ,	მოყ.	მუალთ,	მოსოლთ.	
მოვდ,	მოჭდ,	მოდის.			
მუელ,	მუხელ,	მოვდა.			

მოვდ, გავდ, შევდ. მივდ. მოა? წაა?

არ მოხუდე? არ წახუდე? ნუ მოხოლ? ნუ წახოლ?

შენახულა ძველებურ მწიგნობრული ბრძან. დანრის დაბოლოება
ა: შჯამა? დანარიკობა? დანარიკობს? მოდისა? რაღასა?*) კაღასა? აკა-
კიღასა? იღაღასა? კაციღასა? ღოცობა? ვიღოცი (ვიღოცი?). იღოცი?
(=ე?) იღოცა? ვიღოცითა? იღოცითა? იღოცესა? (ხმის ამოდლებს
მე-ღე ხმოვანზე ბოლოდგან).

წარსულ შესრულებულის მაჩვენებელი ნაწილაკი წაუ:

გჭომ წაუ (გჭამე-ე, ქე, შამე).

შჯამ "

ჯამა "

გაკეჩა-წაუ, ჩაულამა-წაუ.

მოძაგალ აუცილებელის მაჩვენებელი ჭუმ:

ჭუმ ვთქო, ჭუმ მოატანო.

ქესამე პირის მაჩვენებელი ნაცვალსახ. ჭუ(=სვან. ხო=ხუ):

1. მიხარიან, 2. გიხარიან, 3. ჭუ-ხარიან, 3. ჭუხარიან-ე.

მითქომ, გითქომ, ჭუ-თქომ, ჭუ-თქომ-ე.

*) მარკ. 1,8 (№ 98 IX საუკ. ხელნაწ.): „რაღასა მაგას ზრა-
ხავთ“=ინგ.: „რაღასა მაგას ზრახავთ“?

მეორე და მესამე ჰირის მანგენებელი ყ (თ-ს შაკიერად):

მინ(და), გინ(და), ჰუნ*)(და), გუნდ(ა), გინდა-ყ, ჰუნდა-ყ.
მწერს, გწერს, სწერს, გწერს, გწერს-ყ, სწერს-ყ.

უენი შნ. აქ ყ ნიშნავს სიმრავლეს, ეველას. სხვა ფორმებში

კი ისევე თ იხმარება (მე-2-ე ჰირში):

კწერ, წერ, წერს, ვწერთ, წერთ, წერენ.

ვჭამ, ჭამ, ჭამს, ვჭამთ, შჭამთ, შჭამენ.

შრ. რიც. მესამე ჰირის დაბოლოების (—ნენ) ხმარება მიჰყუევ-
ბა ჭანურ არსებით ზმნის მე-3 ჰირის (ორენან) დაბოლოებას, ხან
მეგრულისას (ორენა) და ხან საზოგადოს (არიან).

	ჭანურ.:	მეგრ.:	საზოგ.:
/	შჭამდ-ნენ	შჭამდ-ენ	შჭამდი-ან
(სწერდ-ნენ	სწერდ-ენ	სწერდი-ან
ს	იტყოდ-ნენ	იტყოდ-ენ	იტყოდი-ან

ძიმღ.: თქმულ, კნულ, თროლ, ყროლ, ფშუნავ, ბლუნავ.

თქმულ, ნათქამ, სათქმულ.

მოკნულ, ნახნავ, საკნავ, მოსაკნულ=მაკნულ.

მოსაჭრელ=მაჭრელ.

მოსადებულ=მადებულ.

დასაღვეულ=დაღვეულ.



ნბობა (ფესვიდამ ენობა, ენოვნება (ენა=მეგ. ნინა=სვ. ნინ):

ვონბოვ==იმერ.	ვუნბო==ინგ.	ვომბობ	(ვომბოვ)=ქ. მდაბ.	ვამობ
ანბოვ	უნობ	ამბობ	(ამბოვ)	ამობ
ანბოვს	უნობს	ამბობს	(ამბოვს)	ამობს
ვონბოვთ	ვუნობთ	ვომბობთ	(ვომბოვთ)	ვამობთ
ანბოვთ	უნობთ	ამბობთ	(ამბოვთ)	ამობთ
ანბოვენ	უნობენ	ამბობენ	(ამბოვენ)	ამობენ.

*) „დილარიანსა“ და ბევრ სხვა ძველ წიგნებში იხმარება ესევე: მინა, გინა, უნა.

6. შემწეობითი ზმნა.

მომავს შემოკლებული ფორმა ანსებით ზმნისა ა = ს = ს შედარებით მათ ქართულ-მეგრულ-სვანურ-ხევსურულ-უღურ იგივეობაია¹⁾.

სახელობითი ფორმა:	ანსებ. ზმნით:	სახელობითი ფორმა:	ანსებ. ზმნით:
ინგ. კატ (მინაა?)	კატ-ი	ინგელ. კამ	კამ-ს
საზოგ. კაცი (ვინ არი?)	კაცი-ა	ხეეს. კამ	კა-(ა)ს
მეგრ. კაჩი	კაჩი-(რ)ე	საზ. კამ } კარგი }	კაი-ა კარგი-ა
სვან. მარე	მარე-ლი	მეგრ. ჭგირი	ჭგირი-რე
სომხ. მარდ	მარდ-ე	სვ. ეზარდ	ეზარდ-ლი
ოსურ. ლაგ	ლაგ-უ	უღურ. შელ	შელ-ლე ²⁾
—	—	სომხ. ლაგ	{ ლაგ-ე ლაგ-ნე }
ინგ. დედა	დედა-ს	ოსურ. ხორზ	ხორზ-უ
საზოგ. დედა	დედა-ა		
ხეეს. დედა	დედა-ას		
მეგრ. დიდა	დიდა-(რ)ე		
სვ. დი	დი-ლი		

შედარე კიდევ:

ინგ.:	საზოგ.:	ინგ.:	საზოგ.:
სოკომ-ს	სოკო-ა	ორმომ-ს	ორმო-ა
ღამ-ს	ღა-ა	სიტყუმ-ს	სიტყვა-ა
გუჭკუმ-ს	გუტკული-ა	პური	პური-ა
ჭრემ-ს	მჭრე-ა	გული	გული-ა
ჭლემ-ს	მჭლე-ა		

¹⁾ ლეკურ ენებშიაც ჩნდება ი, ს, ა. ახტურ ლეკური მსანი-ა (კარგია), ჰიხი-ა (დიდი-ა), ფისი-ა (ფინთი-ა), ჰიხი ქასი-ა (დიდი კა-ცი-ა); შირინი-ა (ტკბილი-ა), ბარა შირინი-ა (ბევრად ტკბილია, უტკბი-ლესია).

²⁾ კიდევ უღური: ქალანე (დიდი-ა), ალალუნე (მალალი-ა), ფის-ნე (ფინთი-ა), კოქანე (წითელი-ა).

იგივე რომ სსზოგადო ქართულში უოფილა, ცხადია შემდეგი მაგალითებიდან:

1 (რ)ე:	ქვემო-რე	მძინა-რე
	ზემო-რე	მწა-რე
	წინამდება-რე	ბდუმა-რე
	უწინა-რე	ქვემდება-რე
	უფრო-რე	ხვალ-ე

✓
L

2) ლი:	კუ-ლი	სვან. კუ, მეგრ. გური
	მამა-ლი	მეგრ. მუმული, სვ. მუ=მამა
	დედა-ლი	სვ. დად, მეგრ. დადული
	მატე-ლი	სვ. მატე, მეგრ. მუნტური
	მად-ლი	მადმა=მადლმა
	ღვაწ-ლი	მოღვაწე, ღვაწა
	წიი-ლი	სვან. ზისე

3) რა:	მამ-რი	
	ფუტუ-რო	მეგრ. ფუტუ-რე, სვან. ფუტუ
	მდედ-რი	
	ბოგი-რი	სვ. ბოგ, მეგრ. ბოგა
	მწუხ-რი	(მწუხ-არე=მწუხ-არი).

ა და ლი ზმნების დასაწყისში:

სსზოგ.:	სვან.:
ა-წონა	ლი-წვეენ
ა-შლა	ლი-შაღ
ა-გორება	ლი-გვრანი
ა-შენება	ლი-შნავი
ა-ფეთქება	ლი-ფეთქ
ა-ნბობა	ლი-ნბუაღ

ამის შესახებ აქ აღარ განვავრძობთ სიტყვას, შევნიშნავთ კი, რომ უველა ეს ნაწილაკები არსებითი ზმნის მესამე პირის ფორმებს წარმოადგენენ: ა(რი), (არ)ს, (არ)ი, (ა)რი, ლი(სვ.)=ა.

7. ყვავის ენა.

ინგილოებმა ჩვეულებრივ კილოს გარდა იცინ აგრეთვე აგრედ-წოდებული ყვავის-ენა. ეს ენა იხმარება ზოგიერთთაგან მხოლოდ და ისიც იმ შემთხვევაში, როდესაც სურათ თავისი აზრი გადასცენ სანდო ზირს სხვათა ფარულად. ეს იგივე ჩვეულებრივი ენაა ყოველი ხმოვანის შემდეგ ახალი მარცვლის ჩასმით ფ-ს შემწეობით. ასე:

- ა: ძაძა: უვ. ენაზედ: მათამათა; ძძა—ძძათა; და—დათა.
- ე: დედა: " დედედათა; ხე—ხევე; ძეძე—მეფევე.
- ი: მინდა: " მიფინდათა; ტირილი—ტიფირიფილიფი.
- ო: სოკო: " სოფოკოთა; სოლა—სოფოლიფი.
- უ: კუკური: " კუფუკუფურიფი; კურკა—კუფურკათა.

არაკვის ხეობის „ქაჯურ ენაში“ ფ-ს მაგიერობას ეწვეა წ. კათაფიფი=კაწაფიწი=კაფი.

ფ:		წ:
ათათათასათად	= ათასად =	აწათაწასაწად
გვაფარიფი	გვარი	გვაწარიწი
დაფათაფასდაფა	დაფასდა	დაწათაწასდაწა
აფათიფი აფათათასათად	აფი ათასად	აწათიწი აწათასაწად
ზრდიფიფლოფობაფა,	ზრდილობა	ზრდიწიფლოწობაწა,
თუფუ კაფაფიფი	თუ კაფი	თუწუ კაწაფიწი
თფიფიფლოფონ აფარიფის,	თფიფონ არ არის	თფიწიფლოწონ აწარიწის
ცუფუდიფიაფა	ცუფია	ცუწუდიწიაწა
გვაფარიფიშვიფიფლოფობაფა.	გვარიშვილობა	გვაწარიწიშვიწიფლოწობაწა.

ათარცაფა კაფაფიფი ვაფარკაფა თეფეფლოფონ სოფოფეფეფიფი დაფა სოფოფეფეფესკიფი აფარაფა აფარკოფონ=აწარცაწა კაწაფიწი ვაწარკაწა თეწეფლოწონ სოწოფეწეწიწი დაწა სოწოფეწეწესკიწი აწარაწა აწარკოწონ.

III. ლ ე ქ ს ა კ ო ნ ი .

(აქ აღნიშნულია არა ყველა სიტყვა, არამედ მხოლოდ ისეთები, რომელნიც საზოგადო ქართულში ან აღარ ან და ცვლილებით იზმარებიან).

აბლაყ, უფერული ცხენი; ქათამი ჳ სხ. (საბას ლექს.: „ამლაკი, ჳრე-აბრაშუმ, აბრეშუმი. [ლი ცხენი“).

აბურთუნაგდა, იფეაქა; აენთა უცბად, ВОСПЛАМЕНИЛОСЬ.

აბუეტ, აბუეტი, ეპეჩა.

აკებაჲ, გება; მენაჲ ააგა, ვენახი შესარა.

აგრაბან, აქეთკენ. ეზირისზირება სიტყვას აგრაბან, იქითკენ. შეა-
დარე: აგრე—იგრე, მაგრე=ეგრე. [იანცეს.

აკანცება, აკლება; აივანცეს, აიკლეს, აიფორიაქეს. შეად.: ანცი, აკლანსვა=კლანსვა, დამკლავება; აიკლანსა, დაიკლავა ანუ დაიკარ-
ალ, (ნ. ჳალავ). [წახა; გურ. აკანსება.

ალაფ, საქონლის საკებავი (ბზე, ბურდო, თივა და სხ.).

აკაღვა, კაღოს-ბარით მიწის ზირიდან ბალახის ძირიანად შეჭრა.

ამზორება, დამურალება, მზორის სუნის აშება. ამზორდა, ამურაღ-
და; გურ. ამძორება.

აკაღინებს, სტანჯავს, აწვალებს, ცხვირში ძმარს ადენს (წარმო-
სდგება ზმნიდან კოღვა—ქვის გლა, თლა).

ამაჭწეველ, შედმართი გზაზედ (ამოსასწეველი .

ამოგდინგავ, ამოგაგდებ ძირიან-ფესვიანად.

ამომურვა, კალთაჲ ომოჭმურა, კალთა ამოუხვია.

აჲ=(აჲს), ის=აის; აჲს მინაა? აის ვინ არი? აჲს თაჲს, აის მთაჲ.

აჲლ	}	აილე;		აჲლ	}	ავილე;		წაჲლ	}	წავილე;
აჲტან		აჲტან		ავიტანე;		მაჲლ		მოიტანე.		
		გაჲლ	}	გაჲტან	}	ავიტანე;		მაჲლ	}	მოიტანე.
		გაჲტან		ავიტანე;		მაჲტან		მოიტანე.		

აჲჲონ, აიუვანე; ოჲჲონ, ავიუვანე; მაჲჲონ, მოვიუვანე; მაჲჲონ, მო-
იუვანე; მაჲჲონა, მოიუვანა. წაჲჲონ წაჲჲონ წაჲჲონა წაჲ-
ჲონით წაჲჲონით წაჲჲონეს.

აყანკერ, არჯაკელი... ,,არჯაკელი ჯადებოდა, ქალსა გული უკვ-
არამერაჲ, არამარა. [დებოდა“.

არანი-ქარ, (ა)რანის მხრის ქარი.

არდეკაჲ, დევი, სვ. დავ. მეგრ. დემი, ნდი.

ასტა, ასტა; დასტინა, დასტინა, შესტა, შესტადა.

ასტამ, ასტამი, სვ. ასტამ, უდ. ისტამ.

ატოლეძა, მიუუდება; დატოლება.

ატყარტყარება, გამათრახება თუ გასახვრით კანის აწითლება, ცე-
მა ტყავის დასკდომამდის.

აქათყენ, აქეთყენ. ეპირისზირება სიტყვას იქითყენ—იქითკენ.

აყარ, სხვენი. (საბას ლ.: „აყარი, სხვენის ლატანი გინა საკიდარი“).

აყაგება, ადიგება. სვ. ლი-ყვანი.

აყოლაჲ } ატელომა; | ნუ მეუოლეძი } ნუ ამტეხინარ, ნუ მეკები.
ატეხეძაჲ } ატელომა; | ნუ მეტეხეძი }

აყრა, ხირხლების განხირხლა ჩომოყრა, ხირხლების გამოძრობა.

აშარკლა, წელზედ ქანაობა ფეხებ აწეულად.

აწიღვა, დღეებაში რომ მაწინი საკარაქე წინწკლებს მოიკიდებს.

ახევა, ახვევა, ხვევა. ახვი, ახვიე.

აკორვა, უშნოდ გდება (კაცზედ იტყვიან); გადატყვარტვა ბრიყუ-
ახლ, ახლო, ახს. [ლად, აყირაგება.

ახლა-წილ, დანიშნულ-დაწინდულ ქალის მოსაკითხავი კერძი.

ახურ. ახორი, ბაგა.

ბაბასილ, ბუასილი (საბას ლექს. ბავასირი).

ბაზბაჲ, დიდდემიანი ვერძი (თუმური ყოჩი).

ბათათ, მსუნაგად მომტორავი, ბათათა.

ბაკანი, დიდი ზინაკი (კუდბაკანაჲ, კუ), სვ. ფაკან, ჯამი; უდ. ზინაკ.

ბ.ლ, ბალი; მ. ბული, ს. ჰებ, უ. ბაჰი, წ. ბალი.

ბაღღუნუ, ბაღღოჯი.

ბანგლ, ბანჯგელი, წვრილი ბეწვი.

ბანგურა, აბურძგნული, ბანჯგელიანი (უფრო ძალზე იტყვიან
ბანყია, დევი-კაცი, ტროყი. [ხლოშე).

ბანდ, ცხელი ჭურჭლის შესადგამ-გადმოსადგამი ჯეჯიმის ნახად გა-
დაკრული ნაჭრები. საბას ლექსიკონში ჯენჯო, ცხელის
ჭურჭლის გადმოსადგმელი შალი.

ბაზრა-კატაჲ, ველური კატა, ბარის-კატა.

ბარბარ, ბარიბარი, სწორი.

ბარანიოჲ, საფუტკრე სურნელოვანი ბაღახი.

ბარდღლიან, აბურძგნულ-ჭუჭყიანი.

ბაწარ, მატყლის ძაფი, დაზღა. (მისგან ჯეჯიმებსა და შაღებს ქსო-

ბებერ, დედაბერი; მ. დედიბი, ს. დედაბერ.

[ვენ].

ბებრაჲ, ბებია, დიდედა.

ბენდაძ, უფო.

ბენტერაჲ, ეეეეი, გამოტერებული; გურ. ბენტერაი.

ბზიკ, კრახანა, იჩი; მეგრ. და გურ. ბზიკი.

ბზიც, ბზი, ბზუკ! სიტყვიდამ აბზუება.

ბაზაჲ, ბიძა; მ. ჯიმაღი (ძმაღი?), ს. ბუბა.

ბიაჲ, კომში, ბია; უდურ. ფუშა.

ბიბილაჲ, ბავშვთა ენით ლამაზი.

ბირკ, მცენარე, რომელსაც ეკლიანი ბირკები ასხია, ძურწა.

ბიდ, კატის უფვაში.

ბიჩაჲ, ქალბატონი, ბეჩა (თათრ.-დეკურ სიტყ.).

ბლენ, ბნელი. ბლენ ღამეს, ბნელი ღამეა.

ბლუგ, ბლუგი. სვ. ბლიგ.

[რახი“].

ბოზა, ტკბილისაგან მოღრუღებული ღვინო (საბ. ღ. „ფეტვის ბუ-

ბოღებაჲ, ძლიერი ციებ-ცხელება (ანთება?)

ბორბოლაჲ, ბორბალი, მეგრ. ბარბალი, სვ. ბარბელ. [ნაჭერი.

ბორტოჲ, გორახი, მრგვალი ბელტი. ბორტოჲ, კახალა ვეკლის

ბონ, ტყიდგან უღვლზე ბმით მოთრეული ტივი, აკაფული ხე.

ბონ-თირ, გრძელი ტივი სახლის თავხედ და კავებ გადასაკიდებლად.

ბონუსი (უორ-ბონუსი), ლეჩქზე მოსაბმელი ვერცხლის სამკაული.

ბოჭკენი (საბას ლექსიკ.), უდ. ბუჭუნ, წ. ჭუჭუნ, მ. ქვარა (ქო-

რა), ს. მაჭიკ (შკად. გაჭიკნული, მაჭიკი).

ბოდოდაჲ, ღაბუა (ქათამი).

ბოდრიაღ, ვიწროილი ირმისა ანუ ღმუილი მოზერისა.

ბოშაყ, საოდოშე კონა-თავთაყუბი.

ბრანქ, ზღართან (დიდი ხის მოტეხა-დაცემაზე). [გაცელილი კანი.

ბრეა, ბრინჯისკან (ჩაღთუქისკან) გაცელილი კანი. გურ. ღომისკან

ბრეკ = დაბრეკულ, დაბრეცილ-ფეხებანი, коромыслий.

ბრინჟ, ბრინჯი, უდ. ბირინზ; წ. ბრინზ.

ბროწოლ, ბროწეული, მეტრ. ბერწული.

ბრულ, მაყულისა ან ეკლის დაბურული ბუჩქი, ბარდი.

ბუდრუგანაა, ჰაწია ქახი, გურ. ბქოქი. (ბუდრუგანაა = ბუდრუგი

წარმოსდგ. ბუდობიდამ: ბუდე, ბუდური, დამცირებით ბუ-

დურა, ბუდრუგა, ბუდრუგანა).

ბუგ, ბუ; მ. ბუ (დუ), სვ. ღორღოლ.

ბუზან, მუშტი (სზანს.), სვ. ჟუგმარდ.

ბუთქ-ბუთქი, ბუჩქ-ბუჩქად აბუთქებული მცენარე (სვ. ლი-ბუთქ).

ბურანაა, ტრიან გოგრისა და ხორცის ბორანი.

ბურკეაა, თობა (ზმნიდამ ბურვა, დაბურვა). გურ. ბორბაა.

ბურნა, ქინქლა. საბას ლექ.: ბურნა, ღვინის ქინქლა.

ბურზღუმ, კრიკინა. საბას ლექ.: „ბურძღენი, ყურძნის კლეკტი“.

ბურყულაა, კუნწულა, გურ. ბურჩხი. (საბ. ღ. ბურჯღული, დიდ-

ბუშტავაა, ბუშტი. [დიდი ნაბერწული).

ბუტულ, ბუზანკალი. „საქონელს ბუტულ შეეკარა“; საქონელი და-

ბღლარზ, ბრაგვანი, ბღლარზანი. [ბზუგულაა.

ბღუნვაა, ბობღვა, ბღუნვა. ბღუნი-ბღუნი მოღის.

ბაგაა, მიუხვედრი, გაუგებარი. გაგამს, მიუხვედრია.

გადაბიჭება, გადაბიჭება. გადმაბიჭ, გადმაბიჭე.

გადახხორწა, გარდინხეწა, გაიქცა.

გადაა, გადადი, გოდმოა, გადმოდი, გადავდ, გადავდივარ.

გადნაშობ, საშეშედ გადაჭრილი ტუის წარათი.

გაზალიანება, გაძლიანება, მეტის მეტი აურა (მცენ.), ძალზე და-

გაღაფა-უბიან, ნამეტურ პირდიდა კაცი. [დგომა, დაუმორჩილებლობა.

გაღაღლაღება, გავღება. გააღაღლაღა, გაავლო საჩუქნი. ლაღლა-

ღობს, ჭეუზაღობს.

გამაყონა, კრუხმა წიწილები გამოჩიკა, გამოიყვანა.

ბანდ, ცხელი ჭურჭლის შესადგამ-გადმოსადგამი ჭეჭიმის ნაბად გა-
დაკრული ნაჭრები. საბას ლექსიკონში ჭენჭო, ცხელის
ჭურჭლის გადმოსადგმელი შალი.

ბაზრა-კატაჲ, ველური კატა, ბარის-კატა.

ბარბარ, ბარიბარი, სწორი.

ბარანბოჲ, საფუტკრე სურნელოვანი ბაღახი.

ბარდღლიან, აბურძგნულ-ჭუჭყიანი.

ბაწარ, მატყლის ძაფი, დაზღა. (მისგან ჭეჭიმებს და შალეებს ქსო-
ბებურ, დედაბერი; მ. დედიბი, ს. დედაბურ. [ვენ].

ბებრძაჲ, ბებია, დიდედა.

ბენდაძ, უღო.

ბენტერაჲ, ეეეენი, გამოშტერებული; გურ. ბენტერაი.

ბზიკ, კრახანა, ირჱ; მეგრ. და გურ. ბზიკი.

ბზიკ, ბზ!, ბზუკ! სიტყვიდამ აბზუება.

ბაზაჲ, ბიძა; მ. ჯიმაღი (ძმაღი?), ს. ბუბა.

ბააჲ, კომში, ბია; უღურ. ფუშა.

ბიბილაჲ, ბავშვთა ენით ლამაზი.

ბირკ, მცენარე, რომელსაც ეკლიანი ბირკები ასხია, ძურწა.

ბიდ, კატის უღვაში.

ბაჩაჲ, ქალბატონი, ბეჯა (თაათ.-ლეკურ სიტყ.).

ბლენ, ბნელი. ბლენ ღამეჲს, ბნელი ღამეჲს.

ბლუგ, ბლუგი. სვ. ბლიგ. [რახი“).

ბოზა, ტკბილისგან მოღუღებული ღვინო (საბ. ღ. „ფეტვის ბუ-
ბოღებაჲ, ძლიერი ციებ-ცხელება (ანთება?)

ბორბოლაჲ, ბორბალი, მეგრ. ბარბალი, სვ. ბარბელ. [ნაჭერი.

ბორტოჲ, გორახი, მრგვალი ბელტი. ბორტოჲ, კახალა ვეკლის

ბოინ, ტუიდან უღელზე ბმით მოთრეული ტივი, აკაფული ხე.

ბოინ-თარ, გრძელი ტივი სახლის თავხედ და კავებ გადასაკიდებულად.

ბოინუსი (ეოზ-ბოინუსი), ლეჩქზე მოსაბმელი ვერცხლის სამკაული.

ბოჭკენი (საბას ლექსიკ.), უღ. ბუჭუნ, წ. ჰუჭუნ, მ. ჭვარა (ჭო-
რა), ს. მაჭიკ (შკად. კაჭიკნული, მაჭიკი).

ბოღოლაჲ, დაბუა (ქათამი).

ბოღრიალ, ყვირილი ირმისა ანუ ღმუილი მოზვრისა.

ბოშაყ, საოდოშე კონა-თავთავეები.

ბრანქ, ზღართან (დიდი ხის მოტეხა-დაცემაზე). [გაცლილი კანი.

ბრეჟ, ბრინჯისკან (ჩაღთუქისკან) გაცლილი კანი. გურ. ღომისკან

ბრეკ = დაბრეკულ, დაბრეცილ-ფეხებიანი, КОРЧАВЫЙ.

ბრინჟ, ბრინჯი, უდ. ბირინზ; წ. ბრინზ.

ბროწოლ, ბროწეული, მეგრ. ბერწეული.

ბრულ, მუეღისა ან კეღის დაბურული ბუჩქი, ბარდი.

ბუდრუგანაჲ, ჰაწია ქახი, გურ. ოქოქი. (ბუდრუგანაჲ = ბუდრუგი

წარმოსდგ. ბუდობილამ: ბუდე, ბუდური, დამცირებით ბუ-
დურა, ბუდრუგა, ბუდრუგანა).

ბუგ, ბუ; მ. ბუ (ღუ), სვ. ღორღოლ.

ბუზან, მუშტი (სზანს.), სვ. ჟუგმარდ.

ბუთქ-ბუთქი, ბუჩქ-ბუჩქად აბუთქებული მცენარე (სვ. ლი-ბუთქ).

ბურანაჲ, ტრიან გოგრისა და ხორცის ბორანი.

ბურგელაჲ, ობობა (ზმნილამ ბურვა, დაბურვა). გურ. ბორბაღა.

ბურნა, ქინქლა. საბას ლექ.: ბურნა, ღვინის ქინქლა.

ბურზღუმ, კრიკინა. საბას ლექ.: „ბურძღენი, უერძნის კლერტი“.

ბურჯულაჲ, კუნწულა, გურ. ბურჩხი. (საბ. ლ. ბურჯღული, დიდ-
ბუშტავაჲ, ბუშტი. [დიდი ნაბერწეული).

ბურტულ, ბუზანკალი. „საქონელს ბურტულ შეეყარა“, საქონელი და-
ბღლარზ, ბრაგვანი, ბღლარზანი. [ბზუკულდა.

ბღუნვაჲ, ბობღვა, ბღუნვა. ბღუნი-ბღუნი მოღის.

ბაგაჲ, მიუხვედრი, გაუგებარი. გაგაჲს, მიუხვედრია.

გადაბიჭება, გადაბიჭება. გადმაბიჭ, გადმოაბიჭე.

გადაახორწა, კარდისვეწა, გაიქცა.

გადაჲ, გადადი, გოდმოჲ, გადმოდი, გადავდ, გადავდივარ.

გადნაშობ, საშეშედ გადაჭრილი ტუის წარათი.

გაზაღიანება, გაძაღიანება, მეტის მეტი აერა (მცენ.), ძალზე და-

გალ-ფა-უბიან, ნამეტურ ჰირდიდა კაცი. [დგომა, დაუმორჩილებლობა.

გაღაღღაღება, გაუღება. გააღაღღაღა, გააულო სარეცხი. ღაღღა-
ღობს, ჭეუზაღაღობს.

გამაჲყონა, კრუნმა წიწილები გამოჩიკა, გამოიყვანა.

განარებულა, ამწვაგებულა, ახურებულა (გასათხ. ქალზე იტ-
გაჟორატა, გაწერა, გაბრაზდა. [ევან ხელზე].

გამ, გადი, ადი. გომოჲ, გამო, გამოდი. ხეზე გამ, ხეზე ადი;
ექამთი გამ, აქეთგან გადი. მიმართვა ბრძან. კილოზე:
შულო, გაი?! ამგვარადვე: მოი, წაი, შაი (შადი), ჩაი (ჩა-
დი), ჩომოი (ჩამო), შომოი (შემო), ომოი (ამო), გომოი!?

გარუსებობა, გაჩანაგება. [(ხმის ამაღლება ბოლო ხმოვანზე).

გატანებულ, დედუფლის მაყრიონი; გომოტანებულ ნეფის მაყრიონი.
გაფრანგდა, საშინლად გაბრაზ-გაცხარდა; გურიაში: გაიფრანგა, ია-
რადს ზირი გაუბრუნდა, გაუაფრანგა.

გაღორება, ძალიანი ზრდა (მცენარეთა). [ღება, გაღებება.

გაშფოთება, შებმული საქონელი სიტხე-ზანაქებისაგან რომ შეწუხ-
გაჩიება (ჩიება), საიდუმლოს გამხედა; შ. ჩიება. გაჩხე—გაუმხიდა.

გაჩქერება, გამეტება; როგორ გაჩქერი? როგორ გაიმეტე.

გაწინკვა = წინტვა, წინკა, თითო-თითოდ რომ მოუგო ვისმე და
ხელ-ცარიელი დასვა. გაგწინე, მოგიგე სრულად.

გაწკარტილება, გატანჯავს უწყალოდ, მოსვენებას აღარ გაძლევს.

გაჭანტულ, ზეთ გამოწურული ნიგოზი. [ნახე წკირტალი.

გაქეჩვა, გატეხა, გაჩეხა. გაქეჩ, გატეხე; ნაქეჩ, ზურის ნატეხი.

გქლანბრძამა, ანკარა (ქვემძრ.). [თანა.

გქლ, გველი. ცხენი-გქლ, ცხენის გველი, მეტად შესამინია, მოწი-

გქლანშაშა, გველანშაში. მეგ. გვერშაში, სვ. გველიარშაში.

გქლხუკერა, გველხოკერა.

გქრც *), ახლას; გქრცგქრც, ახლო-ახლო; სვ. ფედის.

გქრდ-გქრდ, გვერდელათ, იგვერდივ.

გზას-წასვლა, იოლად წასვლა (თათრ. „იოლა გეთმად“), „გზას
წავალ“, როგორმე ხელს მოვინაცვლებ.

გიუ-გიუ, ძროხის დასამაკებლად მოზერის წაქეზება.

გიმგა, სალაუბო ადგილი სოფლის გზაზე.

*) წარმოსდგება სიტყვიდგან გვერდი. გვერდს ანუ გვერც
და აქედან გქრც. ეს სიტყვა ამავე მნიშვნელობით იხმარება მესხურ და-
ვითნის ქრონიკაში და იწერება ასე: გუტრც (სამი ქრონიკა, ე. თაყაი-
შვილის გამოც., გვ. 89).

გირეკ, გირაო.

გირც, ხინკალი ჭინჭრისა, ხორცისა, არჯაკლისა, ცხვრის ნაწლეუისა.

გოდნამ, დეუთა და მათანათა უკანა ტანი. [„გარდამოკდა ზეცით“.

გო¹ოუკდა (=გამოუკდა), გამოუდგა, გამოუფარდა (ზმნ. კდომა. შუად.:

გომოკდა, ახოს გატეხა; არაუის ან ზეთის გამოხდა.

გორ, გვარი; გორ, საიქიო ერთის გვარეულობისა.

გრქმა, რჩოლა, გურემა, რკინება.

გრიკამ, გურემა, მეგრულა (ქათამი). [დმერთმა ნუ მოგაკლას.

გრილომ, ჩრდილი; სკრილომ, ქოლგა (თათრ.). მამი გრილომ

გრიჩ, რჩოლად მისევა მოზვრისა და მისთანათა.

გროშ, დაროშვილი; გროშვა, როშვა (საბას ლექს.: „გროში, მოს-

გუთან, უდ. ქეთან, წ. ქოთან. [ხოსავით“), გურ. ხოროში.

გულ, მ. გური. ს. გვი (გუ), უ. უგ. წ. ჰიკ.

გულანდ, გულადმა (ინ. პირანდ).

გურგურ, ქუხილი, გრგვინვა; უდ. გურუნეს.

გუგომ (გოგომ), ქალი, გოგო. შემოკლებულად გო=ქა.

გუგუნ, გუგუნი. [რე არაუმა).

გულეეგამ, შიგნიერობა, გულ-ღვიძლი. გულეეგამ დამწოო (ცხა-

დაამხალა, მწვაგედ სცემა. [სთომილი, დაცთომილი“.

დაასატინა, დააცდინა; დასტომილ, დაცდენილი (საბას ლექს.: „და-

დაბაჟლანამ. ბაჯაჯლანა.

დაბღრუნზულ, დაბღუნძული. [ნაჲ“, საკეცი დანა.

დაგულგა, მიხურვა; „კარ დაგულ“, კარი მიხურე. „საგულავ და-

დად, მდადე, მ. დადე, სვ. დადე.

დადაშამ, ზელაშის ქვევრი.

დაზურგვა, ნამეტანის ავილება, დალება.

დათ, დათვი. მ. თუნთი, სვ. დამთ, დაშდვ. [ხდება.

დაკანჭლვა, ავადმყოფობისაგან კაცს სინხელე რომ დაემართება, გა-

დაკლიტ, დაკეტე; დოაკლიტ, დავიღუბე; ენამ ამაკლიტ.

დაკმენა, დაკებნა, დაკმენის-დაკებნისა.

დაკომვა, სხალთუქე ადგილისთვის ბელტით კაბების გაკეთება.

დალაკვა, случка (дошаден); თრგუნვა, ლახვა, ქლევა.

დამირწეება, დავიწეება, დამირწედა - დამავიწედა, დამირწე—და-
დაადა, დიად, მეტად; დაადა კაას, უფრო კარგია. [ვივიწე-

დაასო, დიასო, დიადუბა; დააკლიტა, დიადუბა, კარი ამოკლიტა.
დაორსულდა, ეანა შეთქვირდა. [ეიან=სხედან.

დაჟ, დაჯე (დაჯექი); ჟის, ზის. ვეჟვარ, ჟინარ, ვეჟვართ, ჟინართ,
დაფორება, დაობება. დაფორდა, დაობდა.

დაქანება, დარხევით ჩამოურევინება თხელისა, თუთისა, სხლისა ჭ სს.
დაღუზღა, დაღვიძლა, დაავადება. ვიდრე ქინაქინა შემოვიდოდა, და-

ღვიძლულს ასმევდნენ შემწვარ-დანაუილ შაბ-გახსნილ წყალს,
დაუივდა, დაღვივდა, ეივ—ღივი; აუივდა—ადივდა. [უზიმოზედ.

დაყელჯა, შეყელჯა. დაყელით, შეყელეთ.

დაუუელჯა, იВНИМАТЬ. დაუუელ, ხელები მოხვეი.

დაშენა, ცემა; დამიშინა, მცემა. ნუ ჭუშენ, ნუ სცემ.

დაშუშება, ასიება, შეშუშება. ცხურ-პირ დაქუშუბდა.

დაცქრის, დაცქრიალებს. წვერივით დაცქრის.

დაწყობა, შერიგება. დააწვენენ—შერიგდნენ. [დერტა.

დანრა, ნიკვიის ანუ წაბლის ხის ბღერტა ალატით. დანრა—დაბ-

დაკერვა, მტვრევა; დაძლევა; მერცხალ დავექი, მერცხალი დავძლეი.

დაჭხტო, დაჭხვდა; დანტომამა, დანხდომამა, შესვედრა. დაჭხტო=შეჭ-

ხტო—დახვდა, შეხვდა. დამხტო, დაგხტო, დოგხტო (დაგხვდა).

დგენა, ტყაპანის გადენა, გადასროლა; ხევში გდგენავ, ხევში ტყა-

დგენკუნ, დიკვანი, სვ. დიკვენ. [ჰანს გაკადენ.

დეკეველ, დეკეული, ძველ. დიკეული, სვ. დეკავილ.

დენგრ, უტყუნარი და შეუვალი ლელი, ბრძამლ-ეკლით დაბურული

ბარდი. (საბს ლექს.: „დენგრი, ცხოვართ ნესვი“).

დესტამბოჟ, ჰუმბოჟა, დასტამბო, კვაკვერცა.

დიდგე, ძროხის მოსატყუებელი ძახილი.

დიდობა, დიდაცობა, თავგადიდება.

დიჩ, ძროხის გასავლები ხმა.

დიღზარ, ადუბალი (უნდა: დიღ-ბალი, მტიღ-ბალი).

დიღლაჟ, დილა; უ. დამღამ.

დინგ, ჩაღთუქის საცესვაჟი მანქანა. [ბოტოტიანი.

დინდგელ, ცხვირში გამხმარ-გამავგრებული ბოტოტი; დინდგლიან,

დანიუორაჲ, (მც.). [სვ. დირ.
 დირაჲ, დირე; ძველ ხელნაწერში დვირე, დირე; მეგრ. დვირე,
 დოგანორხორა, (დაგვანორხორა), რაიმე სანუგებროთი მთელი ოჯა-
 ხი ანუ ამხანაგობა ნამეტან გაგვახარა.

დომფალ, დომფალი, უკუტოდ გამთხარშული ჰარკი, ხოლო კუტი-
 დორდგლიან, დორბლიანი. [ნად გამთხარშული ყაჭია.

დოყ, მცენარის ნორჩი ელორტი (ნახე ჩუბინ. ლექსიკ.).

დრეცა, დრუზვა; გადრიცა, სდრუზა.

დუდღუბა, გამბიო.

დუდუნი, ბუზღუნი, ბუტბუტი.

დუაღ—დუგაღ, ქვაბის სარქველი ხისა.

დუძაჲ, ქათამი, რომელსაც ბოლო არა აქვს (აქედგან დუმბაძე).

დუდრუან, დიდრინი; დუდრუანებ, უფროსები, დიდებულები.

დუღდუღ, ეეეჲ, ღუნღულა.

დუჲ, დიუვი.

დუნქ, ბუნჩი, კუნძი, მორი.

[აქაოს.

დუნიაჲ, ღუნია, მსოფლიო. იმ ღუნიაში, საქაოს, ამ ღუნიაში, სა-
 დღეჲ, დღე; მ. დღა, ს. ლა-ღელ, უ. ლე (ღი), წ. ჰიდ.

მნაჲ, ენა; მ. ნინა, ს. ნინ (ლეკურად ნინო, დედა).

ენატლაკია, პირშეუნახავი, ენატანია.

ეჲ, ცოლ-ქმარნი ერთერთს სახელით კი არ ეძახან, არამედ ეჲ-თი.

ეჲზან, სრულიად (შეად. ძან).

ეჲჲ, ეზო, სვ. ჰზვ. (აქედგან მეზებულ; მეზობელი).

ერაძუკ, უშობელი ფურკამბეჩი.

ერთა, ერთად, მეგ. ართო.

მანინინაჲ, ვანის ძირა (მც. ინმარება საჭმელ. სანულებლად).

ვანინობა, ბრძანება, სვ. ვანრობ (ინ. სავანინობა).

ვანშუან, ვაიუშველებელი, უერთა-სმენის წადება.

ვან-ჰანაჲ-ჰეჲ, სამგლოვიარო მოძისილი.

ვანდ, ვანდი, მ. ვანდი, ს. ვანდ, უ. ვანდ, წ. ვანდ.

ვანიაჲ, ვანია (მამლაუინწას ვანდა).

გაშლ, ვაშლი; მ. უშქური, ს. ვისკვ, უ. ეჩ, წ. ეჩ.
 გაშკატ, ვაჟიკატი. გურ. ვაშკატი (ალბად სიტყვიდგან ვ ა შ ა და ა რ ა
 ვ ა ჟ ი, რადგან არა უგელა ვაჟი ვაშკატია).
 გერაფურ, ვერაფური. გურ. ვეფური.
 გირ, გოდრის დასადგმელი სამეფო „შაკარტელი“.

ზალაჲ, ძალუა. [რძალი.

ზალ, რძალი; მისგანვე ჰატარ-ზალ, ჰატარ-ძალი, ე. ი. ჰატარა-

ზალ, ძალა, ღონე; გაუზალიანდა (ნ. გაზალიანება).

ზამაჲ, ცოლისთვის ქმრის ძმები ჳ მამრი ბიძაშვილები. (ზამა სიტყვი-

ზამანაჲ, ხანა, 910XII; სვ, ზამან. [დგან ძმა, ძამია.

ზაჭყა, კაკალთა შორის უგელაზე მსხვილი კაკალი (ხუთფი); ზაჭყა-

ზაჭყა, დიდრონი კაკალი ანუ თხილი; ზაჭყა, კაკალ-თხი-

ლის გასატანი (თამაშობაში) კაკალი.

ზგლუნ, საკლინაფი, ღიბი, გლუნსი. დაზგლუნდა, დაცურდა.

ზედგარ, ზედადგარი; საზედგრეჲ, ტეტხლიდგან ზედადგარის გაღ-

ზემ'სემ, ზემო მხრიდგან; ქომქომ, ქვემო მხრიდგან. [მოსადგამი კავი.

ზეჲ, მზე; მ. ბჷა, ლაზურად მჷორა, ს. მიჷ, უ. ბედ, წ. ვირედ-

ზეჲ რძე (სძე), მ. ბჷა, ს. ლჷჷ

ზეჲზეჲ, ზევ-ზევით, СВЕРХЪ, УПРЕЗЪ; სახლების ზემზეჲ გადა-

ფრინდა. „ზეჲზეჲთი გაჭდა“, თავი მოკაჭვს; „დიად ზემ-

ზეჲთი გაღის“, მეტი-მეტად თავი მოაჭვს.

ზეჲთი, ზემოდგან; „ზეჲთი იქნა“, ზენას ძალით იქნა, ე. ი. სა-

ზეჲთუენ, ზევითკენ, ზეს, მ ჷიშე, ს. ჷიბავ. [უმაწვილო მთუვილათ

ზეჲრძაჲ, ძერა. ზეჲრი ბაკალაჲ.

ზერქნა, თრგუნვა, გათელვა, გაქელვა, ფენით ტკეპნა.

ზიანაჲ, რძიანა, მ. ბჷლა, ს. მჭლჯადრა.

ზიგ, მძიგი, მ. ძია, ს. ძიგ.

ზიღ, ძილი; მეზინზიღებ (ზღაპრებში), მეძინება.

ზინ'ხილაჲ, დიდი ტალხნიანობა ორდობესა და სხ. საბას ლექს.:
 „ზინზლი, წარმართთ სიმურალის სუნი“.

ზინეზე ღვეტა, უგანა ტანზე ღვეტა. „ჩემა მზემ“ და სხ).

ზისძა, მზის მადღმა (დიდი ფიცილია). (არ იციან: „შენმა მზემ“ ,

ზმად, ძმა (ზამად, ძამი, ძამია), მ. ჯიმა, ს. ჯიმილ.

ზობა, მოკება, დაურა. ფურ დაფო, ძროხამ მოიგო; ძაღლ ღამ-
ზოლ, ძაღლს ლეკვები დაუერია

ზომოღთიან, ზემო მხარეს; ქომოღთიან, ქვემო მხარეს.

ზონზ, ძონძი, ს. ძუნძ.

ზორზორ, ზრზოლა; ამაზორზორა, ამაზრზოლა, ტანში ვრუნ-
ტელმა ღამიარა.

ზორ (თათრ.), შემძლებლობა, ძლიერება. „ზორით წაღდა“, ძა-
ლით, შემძლებლობით გაიტანა, წაიღო.

ზრანგ, მზრუნავი, გამრჯე.

ზროღ, ღერძი, ძრო = ზრო. ზროსვი, ზროსავით, როგორც ძრო.

ზროხად, რქოსანი საქონელი (ძველ. ზროხა).

ზუნგელად, ზანგელად, მოგანგლული, მოზანგლული.

ზუგ, ძე; მ. ჯუა, ს. ჯუა. [ქრობ, ძირიან-ფესვიანად დაგვარგავ.

ზურკ, ძირკვი; ზურკიან კაც, ძირეული კაცი; ომოგზურკავ, გავა-

ზურხუნად, ძირხუნა (მცენ.). ღოუებს ფტქენიან და შჭამენ.

ზღმურღლი, ჭუა, მატლი (საქონელს გაზაფხულ-ზაფხულობით ტუა-
ვსა და ხორცს შუა უხნდება)

თაგ არ არის, ჯერი არ არის. თავი, ჯერია. [მთავარნო“ (ფს. 23, 9).

თაგარად, წინსწვილის ბორბალი; КОСЯКЪ: „დახვეწილ ბჭენი თქვენნი,

თაგნებად, თაონობა, საქმის შეძლება; „ჰემგას რუმ ვერ ათავნე-

ბდი, კელ რადბე მოჰკიდი“ = ე მაგას რომ ვერ შეს-

ძლება (НЕ МОГЪ ИСПОЛНИТЬ), ხელი რათ მოჰკიდე; „ვერ

ვოთავნებ“ = ვერ შევასრულებ, ვერ შევძლებ (ნ. საბ. ღ.:

თავრიად, საქონლის თავ-ქაღას ტუავი. [„მთავნებელი“).

თავხეღ, ურმის კლავებში უღლის დასამგებელი ჩხიანი გასურელი.

თავსაპარს, მკვდარზედ შავების გასახდელი და თავ-წვერის საპარსი

თავშავად, შავ-თავიანი მცენ. საღებავად იხმარება [ღღე.

თად, მთა. სე. თანად, თათრ. დაღ.

თანე, ცულის ხმა; ათანუნებს, ცუღს სტემს, ახმარებს.

თაფ, ტაფობი ადგილი საბ ღ.: „თაფეთი, კერძთ საზოროავი“;

თარაში, თარეში, დატაცება. [„თაფი, ვეგის ზურგი“.

თაფლ, მ. თოფური, ს. თვი, წ. ითუ.

თაფტაჲ, თავთა, აბრეშუმის ნაქსოვი.

თბილას, ქუნთრუშა.

თეთრ, ფული, თეთრი (პირველად მარტო ვერცხლის ფული).

თეორაჲ, ბისტი გურ. სვეტი.

თეჟანაჲ, ჩხანის დასაკურელი ბლის ქერქი, ჩაღანა (საბას ლექს.).

თექალთუჲ, თოქალთო, უნაგირის ქვეშ საღები.

თით, თითი, მ. კითი, ს. ფხლდე, წ. ტიბ. შუად. კოტიტი.

თიან, სხილენძის დიდი თაბახი; უ. თიან, წ. თიან.

თირთჳლ = თურთჳლ, თრთვილი, რთვილი *).

თძაჲ, თძა; მ. თძმა, ს. ფათვარ, უ. ფოფ.

თოგეშ, თოქეშ!

თოთოჲ, თონთლო, მცონანა.

[ქცა.

თოღ, მ. თოღი, ხეეს. თოღი, ს. თჳ (,თოღ მოხტო“, თვალი

თორეჲ მოზვდა, მთვარე ამოვიდა.

თორეჲ, მთვარე, თარე; მ. თუთა, ლაზურ. თუთა, სვ. დომღულ,

ძველ ეკვიპტურად თუთა, ქაღდურად თაუთა **); თჳჲ,

თვე, თთვე; მ. თუთა, ს. დომღ.

თორიანლებას, თვალიერება. დათორიანა — გაიმსტვრა, დათვალიერა.

თოხლუჲ, თოხლო, მ. და სვ. თოხლო.

თოხძახ, ხის ჩაქუჩი, გურ. კორკოტანა.

თუთიან, სუდარ-სალოცავების ძირიდან მოტანილი მიწა წამლად (სა-

ბას ლ.: ,თუთია, თვალის წამალი“).

თუარემ (თუარ), თარე (მ), თუარემ; სვ. აღო. „თუარ დაიკოცებიან“.

თუთახალია, მალადური, ბიჭო-გოგია (ეს სირი ,თუთა-ბაღია“ ს-

გაჰკვივისო და არა ,ბიჭო-გოგიას“).

თუთან, თუითან, თვითან, თვითონ. სვ. თითვან.

თუებაჲ, საქმის თუება, გადაფუჩება.

[ჭლის გამოსაწვავი“).

თუნ, თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ქარხანა (საბ. ლ. „თუნი, ჭურ-

*) წარმოსდ. მეგრ-დამ თ ი რ ი, თოვლი. თირთირა = თირთილა = თურთჳლა = თრთვილი. იგივე ძირია სახელეებში თირისკონი (ნოემბერი) და თირისდენი (დეკემბერი).

***) აფხაზ. აშხა — მთვარე, ამრა — მზე.

თხელ-ხინკალ, ანტრია.

თხილ, თხილი; უდ. ერეე, წ. ერეეერ. თხილა-კბილ, ძირის კბილი.

თხლაფაჲ, ძან თხელკანინი და შეტად ტკბილი ყურძენი.

თხოვნობს, თხოულობს (ქაღს). ითხოვნა, ითხოვა.

იკრობან, იქითკენ, აკრობან, აქათკენ.

იაჲ, ია, იაია. იი კონაჲ, იის კონა.

ილიმ-ძილიმ, ელეთ-მეღეთი, კარდაქანჯვა, კარდახევეწა.

იმაღზეთ, (ნახე ხუალ).

იმერ, იქითა: ,,შეცდომით იმერ შუში წყალ დაუღევენები“ (იხ. ზე-
ინსან, ადამიანი; სვ. ამსვალდ. [მო ,,ღუემან ჭაქიმ“-ში].

იქო, იფ. იჭო, როგო ბიბილაჲსა. იფ, როგორ ლამაზია, ბიბინა!

ძაფ, კავი (სახლის სახურავის).

კავლოჲ, კავი, КРЮКЪ.

კაკალ, კაკალი; უდ. უე, წახ. ხეკაკარ.

კაკაბ, კაკაბი; წახ. გაჭკაბა.

კაკანი, უდ. კაკაბსუნ, წ. გაგაღა.

კაკარ, კაკარი (დაჲ მთვართ ნათელი, საბას. ლექსიკ.).

კაძაჭ, გამოუსადეკარი, საოხრო (პირუტყვზე ამბობენ).

კაძმერ, კაძმერი, მეგრ. კაძმეში, ლაზ. გომიში, წ. გემიში.

კაჲ, კაი, კარგი; კაჲ კაჲ, კაი კაჲ.

კაჲს, კარგია, კაია; კაჲს, მოვალ, კარგი, მოვალ. [ლო“].

კაზრაშ, ნარგიზის ფერი (საბას ლექს. ,,კაზრაში, უფითელ-მოწით-
კარაზანაჲ, (მც.) საბ. ლ. კრაზანა. ქვეულების საპირეთ ხმარობენ.

კარკატან, შივარი. კარკატნებ, ჩურები. [ძვირის კსენება).

კარტაღაჲ, ცუდი, მდარე (საბათი: კარტალი, კოლოფი; კატალია.

კარწახ, წინგო, კოწმახი. [მცირე ეკალთაგან აღმართული“.

კაწ, ღობეზე საფლელი კარი, ბილიკი. საბ. ლ.: ,,კაწანი, ღობე

კაწაჲ, ხის მომცრო ჯამი.

კაწახ, უმწითარი ხილი, კაწახი, კოწმახი.

კაჭაჲ, ყანჭი, ნატერი ნესვისა და მისთანათა; კაჭა-კაჭაჲ, ყანჭ-ყანჭი.

კაჭგა, ცელვა. ღაჭგეს, გატელეს. კაჭიჲ იქნა, ვითომ გაიჭრაო.

კდარ, მკედარი; (ლათინ. *cadaver*); „კდარ-ზადლ“ = მკედარ-ძად-კედ = ძაბ, ძაფი (ოქროშკედი). [ლი. ფესვი კ. (იხ. მოკ).

კეკრუს, შელოტი.

კერდ, მკერდი. შუად. ბერძნ. *cardia*.

კვერცხეკლამ, ერბო-კვერცხი.

კეხგამ, ნისკარტით ჩავერა; ჩაჭკეხა, ჩანისკარტა.

კიდემ, კიდევ, კიდენ.

კიდბან, კიდობანი, სვ. კიდღენ.

კილან, თიხის ზაწია თიალა, ჯამი.

კიკომ, ტიკინი, დედუფალა.

კინამ, რკინა, სვან. ბერეუ (აქედგან გვარი ბერეუიანი).

კინკილო, თხილის ბურქის ყვავილები; კინკილეს, კონწიალებს. გურ.

კირამ, გაჭქირი. კირხუწი, მეტის-მეტად მაკარი. [კვინკვილა.

კირკალ, ვაზისაგან გაკეთებული რკალი (ანჩისთვის).

კირკალ, ჩრჩილი.

კირკანამ, კენკვა, გამოკიკვან; უმაღო ძოვანა.

კლავ, მკლავი; მ. კილე, ს. მეკარ, უ. ქულ, წ. ხილეჭბი (მკლავები),

კუნზგა, კანძვა, გომოკუნზ, გამოკვანძე. [თათ. უოლ (ნ. კლიეპ).

კლერტომ, კლერტი; ამოკლერტამ, ხნულის გაწმენდა ძირკვებისა და გამხმარ ბაღას-ბუღასისაგან.

კლაე, ხელნები; კლავ, ხელან.

კლატ, კლიტე, მ. კლაა, ს. კილ. კლერტვა, მ. კილუა, ს. ლი-კილდი.

კმანზამ, კაზმა, მორთვა, მოკაზმვა. სვ. ლი-კზმე (კაზმა = კამ + ზმა (ვით ზარზმა = ზარ + ზმა).

კმარ, კმარა (ფესვ. კმა), შუად. უკმაუოთილეება, იკმავა, კმა = კმარა,

კნელ, კუნელი. [უკმარი, საკმარი.

კნუტ, კვნიწი, კნუტ, კნუტი, კნოტი. სვ. კიტავ.

კოიბა (კოპიჭა), ტანდაბალი კაცი, ჩია კაცი (სახსს ლექსიკ.: „კოპიჭი, მიწა შეუინებული“).

კოლა, მაგიერ; მის კოლა, მის მაგიერ (კოლა სიტყვიდან კვალად).

კოლ, კვლი; დაკოლეს, დაკვალეს, დავლიკეს; კოლსუკან წაჭდა,

კოლტ-კოლტ, მურკლ-მურკლი. [კვალს გაჭკვა.

კოკომ, კკერი, კოკორა.

კოძლ, კვამლი, ბოლი; მ. კუმა, ს. კუმ, უდ. კუინ.
 კორბაკ, მამრკვალო და მკვრივი (კუნძი, კაცი და სხ.).
 კორეა, უდლის-შუაი.
 კორთეა, თარო (საბას ლექსიკ. „იკორთა, ფინცრის თარო“).
 კორკორანა, ბარად სოკოსავით ამობურცებული გორაკი.
 კორსადა, ბზრიალა (შეადარე სორსადა).
 კოტა, ჩხვილთ უკანა ტანი. [ვი და სხ.
 კოტმან, მრგვალი მადლობი, კოდმანი; აკოკოლაგებული დიდი ხე-
 კოტომ, გრძელტარინი გოგრის ჭურჭელი, ღვინის ამოსაღებად
 კოთხალ, კუთხალი, კიმელი. [ჭვევრიდამ, გურ. კოპუ.
 კოჭანა, მუხლის საკოჭე, საკუჭავი, საკეცი.
 კოჭომ, კოჭობი, მცირე ქოთანა.
 კრენჩხა, კრეჭა; გაკრინჩხა, გაკრიჭა. გურ. ხუჭუა.
 კრჭა, წვერების (მცენარეთა და სხ.) მოკვნეტა, მოკვრება.
 კუდბაწალა, კუდბაწარა და მრავალფერა ჭიას.
 კუდრუცანა, ცხერის ღუმის კუდი.
 კუდურ, კუდა, უკუდო. 2 მსაჯულთა, 23,1: კუდური*].
 კუგ = კუგბაკანა, კუ. [კუნთი.
 კუთვლა, რბილი ხორცების გამოჭრა. წარმოსდ. სიტყვიდამ კუთი =
 კულუფა, უჭრა, კოლოფი კიდობანსა თუ მაგიდაში (шкатулка).
 კული (ტული), ლეკვის დასაძახებელი ხმა.
 კუნზ, ხის კოტორი (ნაჭერი) სამთეხს სკამად.
 კუნტა, კუტი (პური). შეად. მოკუნტული, მოკუნტა.
 კურია კვიცი, ტაიჭი, ქვირა, ურა ძველად კორა: „კორი ჰლან-
 კურტმითა“ = კვიცი ჰლან-კურტნით (იხ. ჟორდანის ქრ.,
 კურკოა, კრკო, რკო. [1, გვ. 8).

*) სვანურში უარყოფით ნაწილაკი უ=ურ=არ ესმის სიტყვას ბო-
 ლოში: ტოტ-ურ, უტოტო, ჯან-ურ, უჯანო, ში-ურ, უხელო, ნიც-ურ,
 უწყლო. მსგავსადვე ინგ. კულ-ურ=კულ ა(რ). შეად. მეგრ. ჩხე (ხელი,
 ჩხ-ური, ცივი, ჩე (თერთი)—თერთი, უჩა—(უთერთო), — შავი. იგივე ჩნდებ-
 ბა სიტყ. ყრ-უ=ყურ=უ, ყურა (უყურა), მეგ. სოთინი-ვარ (საღამე-ვარ)
 არსად, სოლეთინ-ვარ (საით არ), არსაით.

კურკურამ, გვრიტი, ღოთა. [ცინვიით.
 კურტ, კრუნი; კურტაბულამ, დაკრუხებულნი (კაცხედ იტუვიან და-
 კუსკუს, სწრაფად და სანდომიანად მოსიტუვაობა. საბას ლ.: „კის-
 კასი, სწრაფად მქტევი“. ჩაკუსკუსა, მწეაზრად ჩაილაზა-
 კუტი, წიწილეობანი კრუნი; (კრუტი, საბას ლექსიკ.). [რაკა.
 კუტკუტ, მოკუტკუტება, მიაღერსება, მაგალ. მამალი უკუტკუტებს
 ღელადს, კრუნი—წიწილებს და სხ.
 კუჭკუჭ, გუბული; კუჭკუ, გუბუ; სვ. ბაბუ; უღ. კუჭკუ, წახ. ღუჭ-
 კუ. (საბას ლ.: კუკუ, გუგულის ხმინობა).
 კუნტულამ, თვალის ფრხილი (კვინტილა, კვინწილა საბას ლ.).
 კუნტუხ, კლდისა ანუ აწიწილავებულ მთის მწვერვალი, კენწერო,
 კორტონი, ჭიუნი (ფშ.), წვანჯი (მეგრ.), კაცხ (სვ.), contus.
 კურჩამ, კვირა. კურჩა ღღელს=კვირა ღღელა.
 კურჩუშტავ, კვირისტავი.
 კუტ, კვიცი, კუცი, კიცივი.
 კუტუხ, კუმუხა, კუნტუხა.
 კუტულამ, კუტულამ.

ლაგან, ლაკანი, დიდი თუთში სპილენძისა.
 ლაკლაკ, უღ. ლაკლენკ, წ. ლაკლაკ.
 ლაკოამ, ლაკვა, წელის საყვენი ჭურღმული.
 ლალუამ, ჩხვილთა საძილე ჭოჭინა.
 ლამ, შლამი, ლამი.
 ლამლამ, საჭოჭინე სანინა.
 ლამარიკ, ლამარაკი; ლამარიკობს. [სავენახე ლარად, ლაფნად.
 ლარტამ, ნაკათი კაკლის ხე, რომლის მოჭრილ ტოტებს ჰქერქენ
 ლასტ, ჩელტი, ლასტი წკნელისა.
 ლათ, თლათ; „ლათ კამს“, თლათ კარკია. [ლოქორია.
 ლათოჩქინამ (ლოთოჩქინა), ლოკოკინა, მ. ფერწო, ს. მჭუანტ, გურ.
 ლათინ, წაღა, უ. ლათინ (იმერეთში ევლევან ლათინის ამბობენ).
 ლაღლაღ, წუღში ქანება, გავლება (ნ. გაღაღლაღება).
 ლაღოზ, მადლა და წვრილად აურილი ხე (ლექსიკონში „ლაღოზა,
 ლაყინტარამ, ცუღამშარა, უსაქმოდ მოხეტიალე. [წვრილი სარი“).

დაშქარაძე, მცენარეა, ისიერად იშლება კაბიან-ნიშტიანად. უმაწვილე-
ბი უფაფილებს აძრობენ, წყალში სხამენ და ერთობიან მათ
დაჯახება-ტრიალით.

დაკება, თეხით დახება, თრგუნვა, ქელვა; უდაყ ცხენის ჭაკზე მისუ-
ლეჲ, ალალი (ფრინფ.). [ლა-დამაკება. დალაკა, დაამაკა ჭაკი.

დეშბაძე, დიდი ბარდი; ლემბიან, ბარდნაღი.

დექლარ, ,,ფრაკის“ მსგავსი საცმელი (ქალებისა).

დექლ, ლეღვი, მეგრ. ლუღი, სვ. ლუღ.

დეჩქაქ, წახ. ლეჩქაქ.

[ლამაზი).

დილიძე, საამური დილინი (საბას ლექსიკ.: ,,დილია, ჩხვილთა შიერ
ლინგი, კეტი ტიფთა მისაწვე-მოსაწვეად; დალინგვა, ლინგით დაცურე-
ბა, მიწვევა (საბ. ლ.: ლინგი, თეცრის კიდე).

დიცლიც, ლიცლიცი (შე დარე სვან. ,,ლიც“, წყალი).

ლოკინ, КРОВАТЬ (ს. ლ.: საწოლად შემზადებული თეცარი თეხიანი).

ლოძჳურ, სველ-წელიანი ადგილი, ნამეტან დასველებული. აქედგან
ქართული ,,მოღუმზული“, ,,მოღუმზვა“.

ლოღათ, ლაპარაკი, კილო, საუბარი, ბერძნ. λῶγος (ლოღოს).

ლოღემან, ლოღეინი, ლოღიანი ლიტრა.

ლოღუკი, ლოღემანის ან მისთანა ჭურჭლის თხანი, ფსიადი.

მა, შემოკლება. მაღლმა, მანი. შეად. დმერთიმა=დმერთმანი, დმე-
რთის მაღლმა, ზისმა, წყლისმა.

მაძიალ, დამაკებულს მუცელი რომ შეეცუება.

მანაძე, ხელ-მარგილი.

მარაზ, თოჩებ დაყოლებული წვრილი თოკი.

მარჳენაძე, მარჳენა, მ. მარძკვანი, ს. ლარსკვან.

მარხალ, ზეფი დიდი.

მაღხეტა, მოხვეტა, უცბად გაიქც-გადიკარგა.

მასკან, მასკვან, შერმე (თავდაპირველად მას-უკან).

მასკულაძე, ვარსკულაფი, მასკულაფი.

მაღაძე=მოა, მოდი, მო; წაძე, წადი, წა. [რღო დაკეკარგებაო).

მაჩი, მაჩვი. ,,მაჩი კარაქ, დაკარაქ“ (მაჩვის კარაქი რომ წაისო, სუ-

მაჩქატულაძე, ლაშურა. საბას ლ.: მაჩქათელი, მლაშიობი, გ. მეღამია.

მაჭკაალ, მაჭხკალი (ფესვ. წიკვა, ჭღევა, ნიშნის დადება).

მეეგდა, მოედო (защипалось); მეეგლა, მოეთრია.

მეეჩენა. მოეჩენა = пригрозилъ.

მეზბეულ, მეზბელი, სვ. მეზბულ, სიტყვიდამ ეზბე, ეზო.

მეზურ, მოზური, სვ. მეზ, მრავლობ. მოზარ. სიტყვიდამ აზავე-
მელაკუდა, რქაწითელა (ეურძ.). [რი, დიდი ხარი.

მემზანაკობაჲ, ქარწილის წინაღამის ვახშობა ნეფიონის უმახლობე-
ლეს ნათესავეებისა და მეგობრებისა (სიტყ. მზა, მზაყოფნა).

მემზანაკეჲ, მემზანაკობის სამახრობლოდ სადედოფლოსას კაცზავ-
ნილი კაცი.

მენაჲ, თიხის ნახევარ-ქვევრა, რომელშიაც ბაწრებსა და შაღებს ღე-
ბენ. საბ. ღ.: „მენასა კახნი ტაკარსა უწოდენ და იგიცა

მენაჲ, ვენახი, სვ. მენაკ = ვენახ *). [ტკბილის სადგომია“.

მელან, მეტის-მეტად შავი, მრუმი.

მერანდოჲ, მოწითალო ეურძენი.

მერახულაჲ, საშემოდგომო სხალი.

მეროჲ, რა ვაცი, რა ვთქვა. [მელქანს აზობენ.

მერქანი, მუხის და სხვ. მაგარ ხეების გული სასარკჲ. ღუშეთისკენ
მექვერეჲ, მექვევრე. [ოსნებელი.

მთავნებელ, მთავნებელი, შემძლეებელი შეასრულოს რაიმე საქმე, მთა-

*) ვახის სამშობლოდ მეცნიერებს მიაჩნიათ საქართველო (იხ. ალფ. დეკანდოლის „Мѣсто происх. востѣльныхаемыхъ растений“, გვ. 191—193). ვენახ-ღვინის სახელი ჩვენშია და ბევრგან სხვაგანაც თითქმის ერთი და იგივეა: vinum (ლათ.), ისიც (ბერძ.), vigne (ფრანგ.), вино, виноградникъ და სხ. ჩვენში „ღ“ ხან ემატება სიტყვებს, ხან აკლდება: ვაჭარი—ღვაჭარი (ხევს.)—ღვაჭარ (სვ), ვაჩი—ღვაჩი (ხევს.)—ღვაჟ. (სვ.), ლევა—ღლევა (ხევს.), მეტი—ღმეტი (ინგ.), ღღვინღღლი—ღღვინღღლი (ხევს.), ასვლა—აღსვლა, ადგომა—აღდგომა, მიღწია—მიღწია, და სხ. და ამიტომაც, სათქმელელია, უუძველეს დროს ან „ღვინო“ (მეგ. ღვინი, სვ. ღვინალ, ღვინელ, ღუნეჲ) ითქმოდა ვინო-ღ და ოვინო-ღ და ან „ვენახი“ ღვენახ-ად (მეგრ. ბინეხი), და ამ შემთხვევაში ეს სიტყვა უნდა წარმოებულიყო ასრე: ღვინეხი—ღვენახი—ვენახი—მენახ (ზი სიმრ. მაჩვენებელი დაბოლოებაა: თარა--თარეხი, არიან--არი-ხ, გა-ქვ-თ=ინგ. გა-ქო-ყ=სვ. ჯ.უ-ღო-ხ, ა-ქვ-თ=ქო-ყ=ხუ-ღო-ქ).

მილო, ლამაზო, მოხდენილო (აღერსი კატახსადმი).

მინ, ვინ, მ. მინ; მინა? ვინ არი; მინამ, ვინმე, ვერავინ; ერმი-
მიშეულ = მიშეულ, ვირთაგვა ველური. [ნამ, ერთი ვინმე.

მიწროჲ, ვიწრო, მიწრო, იწრო.

მინიგენიგებს, მიიზღაზნება, ძლივს ფებს მიათრევს (ნ. ხივნივობს).

მოკ, მოკვდი; მოკე, მოჭკ, მოკდო (მოკეკვი, მოკეკვი). მამკალ,
მომკალ, მამკელქელ, მომკველელი. ფესვია კ.

მოჲ, მო, მოდი; წაჲ, წა, წადი; მივ, მიდის, მივა (ღს), = მეგრ.
მეურს; მოხუდქ, მოხვიდე! მოვდ, მოჭდ, მოვდით, მოჭ-
დით; მუელ, მუხელ, მოვლა; წეველ, წესელ, წავლა; გუ-
მუელ, გამოხელ, გამოვლა; გუმუელ, გამოხელით, გო-
მოვდენ.

მოკოდვას, კოდვას, ჰირვას წისქვილის ქვისა. მანაკოდ, მოკოდელი,
კოდელი, შეად. სუ. კადა, ცული, ღი-კად, კოდვას, ჭრას.

მოთოლას, ჩამოსთვალას; ჩათოლ, ჩათვალე; „ჩათლუთ წაიკითხ“.

მოლურტვას, მოლუმუვას, მოთუთხენას.

მოუამებულ, მომწიფებულა.

მოსადრვას ანუ მოსაზვრას, საქმის გამოსინჯვას მის დაწეებად.

მოსარქლებას, ჰირქვე დამხობას ქვებისა და მისთანათა; მოსარქლას,
გადმოაბრუნას სავსე ქვაბი ან სხვა ჭურჭელი; მოსარქლე-
ბას სიტყვიდგან სარქველი).

მოფეხვამ, გამოდარება; მაიფეხას, გამოიღარას; სუ. მათხე.

მოუივლებამ, შერცხვენას, სახელის გატეხვას, თავ-მოჭრას.

მოჩადვას, (იხ. ქვემო ჩადი).

მოღება, მოტანას, მეგრ. მოღალას. მამღ, მოიტას. [სჭუტავ.

მოჭუტვას, მოხუტვას. „თოლებს რამბე შჭუტავას“? თვალებს რად
მრიალი, ბრიალი; „თოლებს დაუმრიალას“, თვალი დაუმრიალას.

მუკუზ, მუკუზალი, ნუკუზალი; სუ. მუღვას, (შუად. გუზგუზება).

მუზდურ, მიზდური. მიზდი, ქირას, სარგო = რუს. мизд, (იხ. გა-
მოსვლ. 22.15).

მუკენი, ლატანი, ჩაღის დასამაგრებლად სახლის კავებზე.

მურ, მური; ახალ გამოსული ჰარკის ჭიას.

მურკლ, კოშტი ცომში გინას კარგას მოუხედავს ჰურში.

მურკნა, ძლიან გათეთრება (IX სუკ. სსხარ. № 98, მარკ. 2.21:

„არავინ სადგმელი უმურკნელი ახალი დაადგის სამოსელ-
მურდალ, მურტალი; გაუტანელი კაცი. სა ძუელსა“).

მურჩაქ, მუმელი.

მუსაჲ, უდ. მაკნახოდ, წახ. მუკ.

ნაბუთა, ნაბოლარა, ჰატარა.

ნადიჲ, ნადი, მამითადი.

ნამ, ნამი, უდ. ნამ, წ. ნამ.

ნაზუქ, ნაზუქი=ნასუქი.

ნაგ, ნაგი, მეგრ. ნიში, სგ. ნაგ, უდ. ნაგ, წ. ნაგ.

ნაკუნჩხალ, ნაკერჩხალი.

ნამკუდ, ხრილი. წისქვილის ქვის გარშემო დაშთენილი ფქვილი.

ნანაჲ, ნენა (დედა), ლეკ. ნინო.

ნაჟღელ, ნაღველი=ნაფღელი (ტობია 6.5).

ნატარ, ნაფალი. „ბეგრ ნატარ“, ბეგრი ქვეუბნების მომფლელი კაცი.

ნაქურჩელ, სიძინდ გაურევენებული ტარო. | ლად.

ნაყელაჲ, მოკლეუ ნადირის ააგ-უელ-კისერი მისის მკვლელის წი-
ნაწიკ, დაკენიწებული ბრინჯი; წიკვა, კენიწება; კერცხ დაწიკა, კერ-
ცხი ნაკრაფია; წიკა, ჩიკა, წვრილად ჭღევა.

ნაწლიებ, ნაწლევი, ნაწლეუბი.

ნაცარ-ქათამა, ქათამ-ნაცარა (იმერ.), ბალახია.

ნაჭარ, ნაყრი. ნაჭარ-ქნა, დანაყრება.

ნდომა, მინ(დ), გინ(დ), უნ(დ). საბ. ლ.: „უნა, უნდას ნაკვეთი“.

ნელაჲ, ჯიში ხეხილთა, რომლის ნაყოფი გვიან მწითდება; ადრეუ-

ლაჲ, ნელაზედ ადრეული, მაგ. შვინდი ზოგია ნელა,

ზოგი ადრეულა, აგრეთვე ადრეულა თხილი და სხ.

ნეპერ, ქათვი, ჰერი. სახარებაში: ჰეროის, იდუჟვის.

ნეზ, ნეზვი.

ნერგ = მურგ, მორგვი.

ნეს, ნესვი.

ნეტა, ნეტავი, ნეტარ; მ. ნოტე, ს. ნატლაჲ.

ნაგორ, ნიორი, ს. ნივრა; ნუგრიკიჭ, ნივრის კბილი, კიჭი.

ნიკნიკა, კიკნია; ნიკაზ დაუყენებლად მოლანპარაკე.

ნინიძაჲ, ძროხა (სალერსო სიტყვა).

ნიღნიღაჲ, ჟუჯღუნა.

ნუგან, ჰარკის მოყვანა. მუნუგნე, ის, რომელსაც ჰარკი მოჭყავს.

ნუგნობა, ჰარკის მოყვანის დრო.

ნუგი=ოგგი, აბე.

ოთქუმ, წელის ტაცუნება, ჭვანტი.

ოძოჲ, ამო, ამოდი; ჩაჲ, ჩადი, ჩა; ომოვლა, ამოვიდა.

ორყურაჲ, ორ-ყურიანი ქილა, სწვეკლეელი.

ოხხაჲ, ბარაქალა, ვაშა.

პანკლიან, წვირიანი, ჰანკელიანი.

ჰანტასეი ჭყრი, ჰანტასებრ ჭყენია, დაცვივზულა.

ჰანჰაჲ, მეგრ. ბაბუ, სვ. ბაბა, უდ. ქალ-ბაბა, წახ. ბაბა-დედე, თათრ.

ბაბასი. შუად. ბერძ. *πάππος*—ჰანჰა, *παππενπαππος*—ჰა-

ჰანჰე, (ჰანჰე-ჰანჰე), ჰაი-ჰაი! ბერძნ. *παπα!*

[ჰის ჰანჰა.

ჰატა, ცოტა; ჰატჰატა, ცოტ-ცოტა. ჰატატაჲ=ჰანწაჲ (ნ. ჰიწიწაჲ).

ჰატამორჩ, კინდამ, ცოტას გასწყდა (ჰატარა+მორჩა).

ჰატრაჲ, ჰატარა. ჰატარზალ, ჰატარ(ა)-რძალი.

ჰაშტაჲ, ჰაშტაი, საკმაო, ცოტაზე მეტი (იხ. ვეფხ.-ტე.).

ჰირ, ჰირისხე; უბაჲ, ჰირი. „ჰირ ჭყუნა“, ჰირი უჩვენა, კბილი გააშინ-

ჰირანლ, აღმა წასვლა; თავქე, ქვემოთკენ, თავქვე წასვლა. [ჯაო.

ჰირყუა, დაწუნებულად (ჰირი ყუად ქვეული).

ჰირსადმოჲ, ძილის ჰირი, სადამოს შემდეგი დრო.

ჰარს-გომოვდა, ნიღაბი აიხდა, თავის საქციელის აღარ სცხვენინან.

ჰიწიწაჲ, ჰანწა; ჰიწიწაჲ, ჰანწა, ჰანწა*). [წარბით ძრვა უხამსად“.

შლარტუნ, თვალთა ან ყურთ უშნოდ ძრვა. საბას ლ.: „ბლანტუნი, თვალ-

*) ს უ ლ მ ც ი რ ე: ჰიწა (==ბეწო)—ჰიწიწა—ჰიწიწა (ჰანწაწა).

მ ც ი რ ე ხ ე დ მ ე ტ ი: ჰატა, ჰატატა, ჰატარა (ჰატა), ცოტა.

ც ო ტ ა ხ ე მ ე ტ ი: ჰაშტაჲ.

ჰ ა შ ტ ა ხ ე დ მ ე ტ ი: ბევრი.

1. ჰიწიწა ხან, 2. ჰატა-ხან, 3. ჰაშტა-ხან, 4. ბევრ ხან.

[МНОГО).

მომკეს ჰიწიწაჲ, ჰატაჲ, ჰაშტაჲ, ბევრ (МАЛОСТЬ, НЕМНОГО, ДОСТАТОЧНО,

პრაკუნი, ბაკუნი. მიაპრაკუნებს, ცხენს მიაჭენებს. პრაკი-პრუკი, ბა-
პუწიკა (პუწია), ფუჩინა (სალეკრსო სიტყვა). [კი-ბუკი.

პაკ, ჯერჯი, ჯავი; ცახის ცოცხი. საბას ლ.: ჯავკი, წვრილი ჩირ-
კვი. მეგრ. ჯა, ხე.

ჯაგან, მაგარი მცენარეა სახლების სახურავად და სხვაფრივ ვარკობს.
საბას ლ.: „ჯაგანი, წვეპლი აეგზთა და ხილთა ასსხმელი“.

ჯანგო, ვითარცა: ქა ჯან ანუ ქა (გო შემოკლ. გოგო).

ჟებეჟ, მჟავე. ჟებე-ჟებეჟ, მჟავე-მჟავე; ჟევიან, მჟავიანი.

ჟეგანაჟ, მჟუნა.

ჟენგრაჟ, დაბერებული სვია.

ჟერგაჟ, მწკრივი, რიგი, კვადი; ჟერგა-ჟერგა, რიგ-რიგად; „ჟერ-
გა-ჟერგა ბალებო, ლამაზ-ლამაზ ქალებო“ *).

ჟიღ, კირის სითხით სქლად მოლესულობა სხეუნისა.

ჟიანაჟ, ზემო სართულის უმოაჯირო „ბაღკანი“ (აღბად სიტყვიდ-
ჟინჟაჟ, მოუსვენარი, ამოლდი. [გან ზენა, მ. ჟინი, სვ. ჟიბაჟ).

ჟინჭარ, ჭინჭარი, მ. ჭუჭული, სვ. მერხელ (მე-X ს. ხელნ. № 1,
გვ. 657: ჟინჭარი).

ჟიჟნაჟ, დაბეჭილი, დაქეჟილ—დანაყილი შინდი, ქლიავი და სხ.

ჟიჟმატ, წვრილი, ჟიჟმატი.

ჟიღ, მჭილი, მეგ. ჟიხი.

ჟორ, ჟვარი; ჟორ-გაჭრიაჟ, ჟვარის წერა.

ჟრიღ. დიდ ქვაბში არ ეტეოდა, ჰატარაში ჟრიღ იყო!

ჟულ, რჯული, სჯული (თუმცა-ღა ამბობენ ურჯული და არა-უჯული).

ჟუას, ცოლ-ქმრობის გემოგაუდებელი (ქალი ან ვაჟი).

ჟუნგაჟ, ჟონა, ჟენა, ჟურვა (ნაჟური, ნაწური. ჟურ-ღმული). ამაჟე
ფესვისაჟ ჟუჟუნა, ჟინტი (ნესტი), ჟუნტაჟ.

ჟუნტაჟ, სურდო. საბას ლ.: ჟუინტი, დიდი წვინტლი.

ჟუჟუქ, კარის ძღურბლი; მასრა-კიტრი. [ადარე ღუჟი).

ჟუტ, ფურთახი, მ. ფურტინა, სვ. ნაჟე; ჟუაჟუტა, ჟუაფურთხა (ჟე-

*) ჩარიგებულო ბლებო, ლამაზ-ლამაზ ქალებო.

რადებე (თ), რათ, რისთვის.

რადებ, რადებე, რამე. მუ რადსა, მამ რა არი. რადსა?—რადმარა, რა არს?—რამ არ არს, ე. ი. რა არი? არა რამ; რადებ-მადებ, რამე-რუმე. ერ რადებ არ მამე=ერთი რამე არ მამეს, ე. ი. არა მამეს რა.

რახრახ, რახრახი, წყალთა ჩქარი დენა. მისგან: არხი. სვ. სხ-რავ (წყარო), სხ-რავი (სახ. ღ.), სხარხო საღინარი, კალაპოტი. რეძან, რეძანი.

რინკ, უღელი ძაღლათვის რომ მწიფე ვენახში ვერ შევიდნენ; და-რინკა, რინკი ეუღზე აუღო. (რიკი?).

რიწყ, სარჩო-საბადებელი; რიწყს გავიწყვეტ, ლუკმას მოგისძობ. როგორა? როგორ? როგო, რავა. როგო ხარა?—კამ გორა, კარგა, კაი გვარად.

როყინ, კამეჩის ყროყინი. საბას ღ.: როყიო, მაღალი და უშნო ხმა. როგორუმ, როგორ, როგორ-რუმე=რავარომე.

როგორა (ჭუგორა), როგორ არა (რავორ არა).

[მიღიხარ.

სა (სადა), მ. სო, სოდე; სა არისა, სად არის. „სა მივიდი“, სად საბჭუე, საბჭუეე, საბჭული (და არა საბძელი!).

საგრილო, ქლოვა (თათრ. ქელვა). [(ტულვა=ხურვა).

საგულავ დანა, კაღმის დანა. დანა, რომელიც იკვება, იხურება საგაზირო, დასსაქმებელი უმაწილი ან კაცი; დაჭვაზირა, უბრძანა, საგადა, მამო. [შეუგეთა; დავაზერებელი, შეკვეთილი.

საზაზ, ქვაბების სახეხი, ვაზის ტყავისაგან ნახვე-გაკეთებული.

საზვე, სარძვე (კაცის სიმადლე ძროზე ჩამოცმული ურმის თვა-ლი რძე-მაწვნის ორუერების შესახად).

სათოღე, სათვადე, მ. სათოღე, სვ. სათად.

სათვე, სათივე. (თიჯას კი კმელ-ბაღასს ეძახიან).

საიკად, ბოძკინტი, საკავი, подпора.

საკან, დიდი კილოხანი, ბეღელი.

საკეკ, საკენკი; საკეკი-ქარ, შაკიკი.

საკეს, კვესი; კესება, კვესება. (ამავე ფესვისაა გუზგუზი, კოცონი).

საკუწელ, სქელი ფიცარი, ხორცის დასაკეპ-დასახად.

საკმანზ, საკმაზი, საკმაზავი, საკაზმავი, მ. ოკაზმავი, სვ. ნაკზმუნ.
საკმელ, საკმეველი, მ. ოკუმათუ, სვ. საკმელ. (=საკომლეული).
საკუნზურ, მწვადებ აკებულ შამფურის დასაფიცებელი სსსთა-
ლი (გამომწვარ თიხისგან).

სალაქაჲ, მკვდრის ასწვევი კიბე=კუბო, **НОСИЛКИ, ПОЛАНКИНЪ** (ამ
კუბოთი მოსვენეს ავადმყოფი თამარ მუფე ნაჭარმაკვეი-
დამ ტფილისს). იგი იგივე სვანური კიბ-დვენი, ქართ.
კიდობანი, ინგ. კიდობან (ასკიდი, ასწვევი მსგავსად ურია-
თა კიდობანისა). კიბდვენ-ს შუად. **ჩ.შ.ა.ზ.ზ., КИВОТЪ,
КОВЧЕГЪ.** [ბული ნადირთა სალოკად.

სალოკ, კლდიდგან მკონავი მთის წყარო, მონადირეთაგან დაძლასშე-
სამარგან, სამაროვანი, სსსაფლაო. სამარიბე, სამარეები, სსსაფლაო.
სამსტოჲ, ზვარაკი, სადმთო. სამსტობაჲ, სამსტობის დაკვლის
საქი, თითქმის. [დლე.

სანაყელ, ფილთაქვა

სასელაჲ, სსხლის გარეშემო წვიმის წყლის სადენი ღარი.

სართხამ, ტყავების გასართხმელი ჭიკოები.

სასტკულ, სსსთაული, სსსთუმადი, სართაული, სსსთუნადი.

სატარელა, სსსეირნოდ. სატარელა წაქდნენ, სსსეირნოდ, გასართ-
სატკუნეჲ, ტვირთვანი ძვალი, სატკინე. [ბად წავიდნენ.

✓ საფურარ, ხაში, მკერ. საფარი, სვ. საფუარი.

საჟორელ, საყვარელი.

საწელ, საწველი (ძროხა და სხ.).

საწყაო და საწონი: მარტვა ღთა: თადარი 30 ბაკანია ანუ 6 სა-
ხემწ. კასრი, ბაკანი¹/₃₀ თადარი ანუ ¹/₅ სახემწ. კასრი.
ადგილთა: თადარ ადგილზე ითესება 30 ბაკანი ხორ-
ბადი; მხარი 2 ადლია, ადლი 20 გოჯია. სითხეთა:
თადარი ღვინო 30 ჩაფია, ჩაფი—ზ ბოთლი, არაწი 1¹/₂
ბოთლი. საწონთა: ბათმანი 20 გირვან ანუ ¹/₂ ფუ-
თი, ისტილი — ¹/₂ გირ., რუბი — ¹/₂ ისტილი.

სახლი-დიდ, სსხლის დიდი, უფროსი.

საკელ, საცმელის სახელი, სახელო, ხოლო სახელ, ადამიანთ სახე-
სეზრად, სერა. [ლი (=ზახელი, ზახნა. შუად. სვ. ჟახე=სახელი.

სქელ, შრატო, გურ. სველი.

სქველ (სეველ), სველი, სოველი, დასქვლდა, დასველდა
სიზემ, სიძე, მეგრ. სინჯა, სვ. ჩიჟე.

სიძარტლ, ზღმარტლი.

სიძ, სარქველი; სიძიქუაჲ, სარქველის ქვა. საბ. ლ.: „სიძი, ქვა
სირთ, სერი მთისა. [კლუსუნა და ცეცხლში მტკრტევალი“.

სლანკ—წლანკ, თხელ-თხელი წვენი.

სლოყინ, სლოკინი. ასლოყინებს, ასლოკინებს..

სლუქ, სვლიკი. სლუქ რამ, მსვლიკი რამ.

სმიანდ, სიმიანდი, სიმიდი.

სონილ, სანელეპელი, სუნნელი. [შესცდა.

სტენა, ცდენა. ასტინა, აცდინა. ასტა, ასცდა. შესტა, შეიშალა,

სტუნა, სტვენა, წახ. სჟთ. დაუსტუნ, დაუშტვინე.

სულისამღებულ, მომავკდავის სულის მიმღებელი ანგელოზი.

სულზურ, აღაზი, ორმოცის წირვა (სულის ჰური).

სუნაკ, მსუნაკი. როგორ სუნაკ რამია, რა მსუნაკია.

სურსულაჲ, სირსველა.

სუსმატ, საჭმლისათვის სულწასული, ფრიად მსუნაკი.

„სქელ თავ მოუბრუნა“, მტერს ჯიხის სქელი მხარე მოუბრუნა, მო-

სხალ, მსხალი, მ. სხული, სვ. იცხ, წახ. ჯიხა. [უღერაო.

სხოჲ, სხვა, სხუა. მთიულურად: ცხოჲ. სხოთა ჭირ—ღობეს ჩხირ.

სხოპლაჲ, სხვირპლი.

ტაბაკ, მრგვალი დიდი თაბახი. შეად. სვ. ლი-ტაბე, თლა.

ტაბლაჲ, მკვდრის კერძი.

ტაბლობაჲ, ახალი მკვდრის (ანუ ძველთა) მოსახსენებელი აღაზი. სვ.

ტალახაჲ, ელენთა. [ლი-ტბმლი.

ტანაჲ, ხბო (რუსთავ. „ტანა—ჯორი“).

ტანკეტ (ტანკიჭ), მცირე კალათა.

ტანსლომჲ, ტანისამოსი; ფენსლომჲ, ფენსამოსი.

ტარბაკ, აზოხტი მსხვილი ნაწლევისა.

ტარ, თითისტარი.

ტარებაჲ იერიში (თათრ.). „ცხენს კაჲ ტარებაჲ აქ“.

ცატაჲ, დიდი ტორი, მეგ. ტუკი, სვ. ფაუ.

ცატაჲ, ცატი, მეგ. ტოტი, სვ. ტვეტი.

ცატიკელაჲ, საქსოვის დასაკიდებელი სამიეხს (სამი ჟოხი წვერში ერთად შეკრული და ბოლოში სამ მხარეს გადაშლილი).

ცელაჲ, დაბტეელებული ცომი, მოხარშული ხინკლად.

ცეხებაჲ, ატედომა; ნუ მეტეხები, ნუ მიტედები, ნუ მევეები

ცქებაჲ, ცქმა; დამტქვა, მცქმა. სახისმეტეველში (მე-IX—X საუკ.):

„საკრუმელითა სსიკოჯდინოჲთა და განკტოჯეპს შენ“

(გვ. 281) = ინგ. საკრუმელით (= რქებით) სასუკდულოჲთ

და გავტქვას (გცემოს, გავტუიპოს) შენ.

ციკაჲ (წიკაჲ), წიწილა (სააღერსო სიტყვა).

ტიკი-ტიკი, წია-წია. შეად. ტიკტიკი.

ტიხაჲ, კრიალოსანი ჩამიჩისა, ხრიალა ნიგვზისა. დატინა, ტინე-

ტინხრი, მეტად მაგარი მიწა; ქუატინხრ, ქვატინხრი. [ბი ასსხა.

ტკეველ, მტკეველი, მეგრ. ტკუ.

ტკეფა (ტკეფა), ჰირისპირამდის ჭედით ამოვსება.

ტოკაჲ, კოტიტა (შეად. მეგრ. კითი, თითი).

ტოლ, წებანი საჭიში ჰარკის ჭიათავის. ტოლტოლი, წება-წება.

ტომაჲ = ჩომაჲ, ჩომახი. [ნიანი კაცი და სხ.

ტონი, „რა ტონის კაცია“, რაფერ ჩამულობის კაცია; შავ ტო-

ტომაჲ, ძირხვენისი, ზამბახისა და მისთანათა თაველი, რომელიც

ტორანხუტ, კაშა. [ფოთლად ან უვაგილებად უნდა გადიშალოს.

ტრანტატაჲ, თული, ყარაჩი და მათებრ კაცი.

ტრანა-ტრუპით, დროგინ-დრიგინით. ტრანა-ტრუპით მაჭენებს.

ტრედ, ტრედი, მეგ. ტორონჯი, სვ. მეგვ (გვრიტი):

ტრია, გრძელკუდა (უდუმო) ცხვარი.

ტუგნაჲ, ტუგია, ლეკვი. მეგრ. ლაკვი, სვ. ფაკვა.

ტუმარაჲ, ტომარა.

ტურაჲ იზუბ, მზიურად რომ წვიმს, იმაზედ ამბობენ ხუმრობით.

ტველ, ბრტველი. ტველ-ტველ დახარკობს.

ტვეჲ, უდ. ჭლაგ, წახ. ჭლაგ.

ტვიძალა-ქლიაგ, ტვეძალ-ქლიაგა.

ტყაურა-თხილ, გარეული თხილი, შგარ ნაჭუჭადა. [ჭვენი.
ტუნ, ტვინი. შ. ტვინი, სვ. თველ. უტუნოა, უჭკუო. სვ. თველიან,

უგნურ, უგუნური, შეუგნი. [ჩივა.

უგაზირა, უბრძანა, საქმე დაფადა. საბას ღ.: უგაზირა, საქმე ურ-
უთაგნა, საქმე შეუსრულა, უთავა
უთუღ, უთო.

უკანაუ, უკანაუენ, **назадъ** (უკან, **назади, позади**).

უკანიხან, უკანახანს, ბოლოს.

ულაუ, შესაბმელი საქმნელი (ხარი, კამერი) და ანტა ცხენი, ვირი.

ულუფა, ულუფა, კერძი, წილი. სვ. ულუფ.

უმბილ-უმბრილოა, უგბილი, უნდილი.

უმზრახხ, უზრახხი, უბარი.

უმზრახხობაა, წითელი ზარასკევი (ვინც ამ დღეს დილით ადრე ად-
გება და უმძრახხად ქლიავის ხის ქერქს უგბენს, მას მისი
ხალოფი კბილს ველარ მოშკრის).

ურწან, უმობელი, უზვი, შვილ-უყოფელი (ძროხა, ფურ-კამერი ჳ სხ.).

ულაუ, შგერ ულუ, სვ. ულვა; უღ ოუ, წახ. ოქჳ.

ურუმრა, ჩუმათ, იღუმად. ურუმრა უუა, ჩუმათ იუაგი.

ურულ, ავადმყოფს რომ ნაწეუნი გამოაურის.

ურჯან, ძაღლის საწამლაგი (მტენ.).

უბათალოა, სურო (საბას ღ.: „უღინდრე, სურო, ფაათალო“).

ფათათურ, ხელთათმანი, თათებზე ჩასაცმელი.

ფაღ, საბუღარი კვერცხი.

ფაღას, ფლასი, ძაძა.

ფაღასაა, კაბა გრძელკადაიანი; ფაღასაა, ფრთაუბ ჩამოერილი.

ფანკაცაა, ბუნბუკაზი.

ფანტაურა, ხეობის სახელია კაკში.

ფანოა, ფთილა, ფრთილა. მატულ დაფაროვა.

ფასაღლაა, იგივე ფრანგ. **flap**, რუს. **бляхы**.

ფაფანსააა = ფაფაჭყააა, ფლაგი რომ ძირს — ნაფხეკას გაიკეთებს.

ფაფანაა, ძღარბი; ალბად ბაღაწა (დარეჯანიანში: ბაღა). შუად. „ფაფ-
აა, თავზე დასახურაგი“ (საბ. ლექს.).

„ფაფეი ეიზ არ მიჭრის“, ფაფის ქალა არ მიჭრის, არა მჭერა.
ფაფლა, ლობიო, ბაკლა, უდ ფახლა, წახ ბაკლა
ფაშ, ფაშვი, სვ. ფაშარ (მრ რ.).

ფაჩიჩა=ფაჭჩა (თათრ), ხელმწიფე, ფადიშა.

ფაცულიჭ, ჩაფაჩუნა.

ფეც, ფეცვი, სვ. ფატვ, წახ. დიკ.

ფეფედგოდელ, ქორწილსა და დიდ წვეულებაში მიმართეკ-მომრთ-
ფიცი, ფიცი, ფუცი; მ ფუჩი [მევი, მეწდე, მესორაკე და სხ.

ფლაჟ, უდ. ფლაჟ, წახ. ფლაჟ. ფლაჟი არის: ა) ხორციანი, ბ) ქო-
ნიანი (ერბო-კარაქიანი), გ) ქინზიანი, დ) ფაფიანი, ე)
ჭიჭნაგურიანი, ვ) უახუიანი, ზ) კერცხეულიანი, ლ) მო-
კალებული, თ) ზეთიანი (ნიკვზის ზეთიანი), ი) დეშამაჟ,
ია) ქათმიანი, იბ) ტალმიანი, იგ) ჩაშრობილა, იდ) ჩი-

ფორ, ობი; დაფორება, დაობება. [ლაჟი (ჩლაჟი).

ფურ, ფური, სვ. ფურ, ფირვ.

ფურც, ფილტვი, მ. ფიჟვი, სვ. ჰერშვა. კაცის შესაქმეში (შატ.

ფუსტუე, ფუნჩულა [ქრისტ.) ფირტვი.

ფუჩ, ფუჭი, გაფუჩებულ, გაფუჭებულა. გაფუჩდა, გაფუჭდა.

ფუშუნვა, ფუშინვა.

ფხლაკუნ=ფხლანკუნ, ფართხალი, ფხვლანკა.

ქათამ, მეგ. ქათომი, სვ. ქათალ, უდ. კაკოწ, წახ. კატაჟ.

ქამ, რქა; მეგრ. ქა, სვ. ქარახს (შეად. ქარახსა, უახწი, რქა); ქებ
ქამარ, წახ. ქამერ. [გემეება, რქები გამოება.

ქალძან, ქალამანი, უდ. ქალამ.

ქარაცხორ, სიბას ღ.: „ქარა, უფურთ ცხვარი“.

ქართულ, სიტყვა, ფრაზა, ქართველი

ქართულ, ქართველი. ქართულები (=ქართულების) ქუეხანაჟ. შეად.
თუშ. კოხივ—ქართველი, კუიხ—ქართველები, ლეკ.

მუთრი=მუთური—ქართველი (მთური?), მოსექ=

ქარსავ, თავ-ქარიანი. ქარსავ-ქარსავ ლაზარაკობს. [მუსექ=თუში.

ქარქარ, უბედობა, მიქარვა. [და შეაბრძლოჟ კარშიკებიითა).

ქარშიკ, კარშიკი (დაბ. № 51, გამოსლ. 26,6: ჰქმნენ კარშიკები

ქაცვატ, გაქუცული, ფოთოლ გაცვიფნული; ფერწასული.

ქაქერ, ღორის მსუქანი ტყავი.

ქერეჭაჲ, სქელ-მოყომრალა ფანჯ-ყანჯ კანიანი ნესვი; ქერეჯ, მარიაშვიისა და მისთანათა ზემო ფრთები.

ქითილაჲ, ფურცლის წვრილი ტოტები.

ქიჩინჩოჲ, ჯიბლიბო, მეგ. ქურჩი.

ქოგქოჯ (თამაშობა: ვისიმე ფაფახს მოთამაშენი წინ წაიგდებენ და ფეხის ამოკვრით შორს აგდებენ, პატრონიც მისდევს, რომ გამოსტაცოს).

ქომბაჲ, ცხელ ნაცრის ქვეშ გამოცხობილი პური (შეად. მეგრ. ქომოლოთა, ქვემოთი, ქვემოღვან. [ბალი, პური).

ქომოლოთიან, ქვემოთ, ქვემო მხარეს.

ქომქომ, ქვემო მხრიდვან.

ქონდრიკაც, ქონდრის კაცი.

ქოფუთ, კოპიტი, წინასწარ მითადილ-მოთადილი ხე, რომლისაგან შემდეგში გაითლეობა ნავი, ფიცარი, სვეტი და სხ.

ქუბ, დედალი ღორი, ქუბი.

ქულბაჲ, დიდი ქურა, ხულა ქურიანი.

ქუყოჲ, საქუსალი.

ქურმუხი საყდრიშა, ქურმუხის საყდრის მადლმა (ფიცლია).

ქურუხ, პირქუში, **урюмий**.

ქუქურა, გოგირდი.

ქუშუშა, სეუში; გურ. წვეგრტა, მ. წკაში, სუ. ლისკენე.

ქურე, ძაღლის დასაშოშინებელი ძახილი.

ლაძეჲ, ღამე, წახ. ჳხამ.

ლაჭოჲ, ხაჭო.

ლაღო, მღვდელი, მღვდელი, მეგ. ჰაჰა, სუ. ჰაჰ, ბაჰ, ჩაჩნურ, მოღერობაჲ, მღერა; ღერობს, მღერის. [ძღურ.

ღარღნა, ღრღნა.

ღძერთ, მეგ. ღორთთი, ღაზურ. ღომორთი, სუ ღერბუთ, ღერმეთ, წახ. დინიშ, თავასარ. ღუცარ, ოსურ. ხუცაუ, ჩაჩ. ღელი.

ღძერთიშა, ღმერთიანი; და ასრევე ფიცლი, ფისმა, წყლისმა.

ღმეტ, გარდა; იმი ღმეტ, იმის გარდა, იმის მეტი.

ღინჭიღოჲ, ღვინჭიღა.

ღლიჯანწ, სუსტი და წვრილად ტან-ყრილი, ღლიოჭი.

ღრაჭუნი, ღრჭუნა.

ღორძუე, ჩაღთუქის (ბრინჯის) მზგავსი და მასზე მოსხვილო მცენარეა, ჩაღთუქებში ამოდის და ჩაგრავს ჟეჯილს. ამიტომ მას შჭრიახ. საქონლისთვის ღთნიერი საჭმელია.

ღუღ, წვრილ-კბილა ნამკალი, (აქედგან ღუღაძე).

ღურბელ, ღრუბელი. ღურბელ-ნატარ, გურბერნატორი.

ჟანყანძი, ურიის ყვავი, ყანყანძი (იხ. საბას ლექსიკ.).

ჟაღაღ, ჭოღოკი.

ჟაღმახ, კაღმახი, სვ. კაღმახ.

ჟაღაღან, (საბას ლ.: „ჟაღაღან, უგვარო, მაღალი და სუსტი“).

ჟარტლიან, ჭუჭყიანი, ბაყლიანი.

ჟაჭყაჭ, კაჭკაჭი.

ჟახაყ, ცხერის ღორი, კახაჯი („შეითან ბაზრიდამ ჰარისა, ხაში, ჯი-
მითილამ კახაჯისათვის ღორი“ (დავით ბატონაშვილის მუ-
ხამბაზი—ივერია 1879, № 7, გვ. 185)).

ჟელ, ეელი, სვ. ეია, უღ. ეოე.

ჟენ (ეენება), კენ, უკანაენ, წინაენ, შინაენ, შინათკენ. ფშაური კ,

ჟიგ, ღივი, ავიღა, აღივდა.

[კე: მაშისკ, სახლისკე.

ჟინტვრა, ერთი მოსმით გადაკაფვა.

ჟინტორაჲ, (მცენ.); (საბა ლ.: ჟინტორი, წყაროს ეინუღი)

ჟინწან, თავთავის ეელი.

ჟირჟან, არჟანი (ქვაა შიშიე, მოშავო).

ჟღუღა, ბრტყენა, სვ. ღი-ბანტეორი.

ჟმაწელ, ჟმაწიღი, ჟმაწუღი, ჟმარწიღი.

ჟოგ, ევაგი, მეგრ. კვარია, სვ. ღვამალ, უღ. ღამან.

ჟოგოღაჲ, ევაგიღი, აყოღა, აევაგიღა.

ჟოგშურა (ზღაპრებში), ევანჩაღია.

ჟოგოჭყანტაჲ, ევითელ-ევაგიღებინი ბაღანია.

ჟორაგაჲ, ისვრიმი.

ეორეოტ, წერო, ყარყატი.

ეოყოფ, მალაღ-მალაღი და ეელეუელა კაცი.

ეოხუჟ; კოხუნჯი. საბას ლ.: „კოხუნჯი, იმერული ქალამანი“. („არა დატეკება ჩქემიანისა და კოხუნჯიანთა დაპურობა“ 1683 წელს (ქ. ცხ. გვ. 209).

ეროლ (ერალ), მერალი, სვ. ყრალ: აყროლა, ააშოროა, ააყრალა.

ეუილ, ეშეილი.

ეუჟალ, სარქმი. ეუჟალში აყონა, მიირქვა. დაშეუჟალ, მომეხევიე.

ეუჟური, კუთხე. შეუჟურა, კუთხეში მიიგლო, სარქმე გაუჭირა.

ეურ, ეური, წახ კჭრი.

ეურბელაჲ, ბოსტანა (საბას ლ.: ეურბელა, შძრომია).

ეურობა, მოვლა, ეურის გდება. ჰეურობს, უვლის, ეურს უგდებას.

ჰეუურ, მოუგარ, ეური უგდე.

ეჟუ; ღრმად მოხუცი კაცი (დაცინვის კილოის სიტყვაა, ალბად დამყა-
[ეებული).

შანა, ფიწალი.

შანგლა, არეულ-დარეულად მითიბუ-მოთიბვა.

შაჰ, შაბი. ებას შაბაგს, ჰირს შაბაგს.

შარანდეჲ, შარშანდეჲ; შარს, შარშან; შარმაჭწინ, შარშანწინ.

შარკლა, ფეხებე აყირავება.

შაშ, შაშვი, უღ ჭაჭი.

შეზრახნაჲ, შეზრახება, შელაზარაკება. ჰატარძალი, ჩეუელებისაშებორ,
უ მ ზ რ ა ხ ა დ არის სახლის უფროსებთან, ჰირველად რომ
ხმას გასცემს, დაელაზარაკება, იმას ჰეჭვიან შეზრახნაჲ.

შეგ, საზამთრო-ნესვისა და მისთანათა მიწაზე გრძლად კართხეული
შენიერ, შეენიერი. [ღერო, ბარდი (იმერ.).

შეჲ, შედი; შომოჲ, შემოდი.

შეჲლ (შეჲტან), შეიტანე.

შეკ, მშიერი, შეკრ. შქირენული.

[ხვის გატეხა

შეკეჲა, შექტევა: „შეირივა“, ავადმყოფობამ შექტია; შეკეჲა, მარ-
შეფიჩხეჲ, ფიჩხით ახევეა (ლობიოსი და მისთანათა).

შეშტრანგ, შანთრანქი

შენენეჲ, მიხეედრა, გაგება; შეგატნივ, ნადლევი მოგიგე, „აილოსტ“.

შეჭმელ, საჭმელი. „მისცე შეჭმელ აქ, ჭკოღც აქ“.

შიბა, წრე ქსოვასში (ნახე საბას ლექსიკ.).

შიგნიერი, ფაშგ-ნაწლავ-გულ-ღვიძლი, შინგანობა.

შიტრიკე, ცუნტრუკა, ცუნდრუკი.

შიშაჲ, შეშა; მეგ. დიშქა, სვ. ზექ, უდ. უშ. წახ. ოს.

შიშარ, მშიშარი.

შირინგა, შიშინი. ქობ შრინგეს, ქვაბი შიშინებს.

შიჭამად, შეჭამადი. არის დოს შეჭამადი და რძისა.

შუდასწლ, შვიდასწლი (მც.).

შუდლობით, შვიდლობით, სვ. შვიდეუბდ.

შულ, შელი, ე. ი. მხოლოდ ვაჟი: ორ შულ მუავ, ორი ვაჟი მუავს.

შუნდ, შვინდი; შუნდრიან, შვინდნარი.

შუბ, შუბილი, ასიება (იხ. საბას ლ.).

შუფრობაჲ, ცეკვა (საბ. ლ. შუშნარი). იშუფრ, იცეკვე. [ჭირკეპს.

შოგოთ, საქონელი რომ სიცხე-მუშობისაგან გაშოგოთდება, შვებას სა-

ჩაკუსკუსა, სანდომიანად და საუვარლად მოიუბნა (შეად. ფშურ-

ხევსურ. კუსი, ნდომა, სურვა, ძველ. კისკასი, ჩაკისკასე-

ჩაკურკურაჲ, ჩხრიალი, წყაღვარდნი. [ბა, ჩაკუსკუსება.

ჩად, გვიძრა, ჩადუნა. მთის მცენარეა, მაგარი ღეროები აქვს და

ღამაზი წვრილი ფოთლები; საქონელი არა შჭამს, ინმა-

რება ჰურის ორმოების მოსახდავათ. (ვიდრე ჰურს ორ-

ში ჩაჭყრიდნენ, მის შიგნითს—ძირს და გარეშემოს გამ-

ხმარ ჩადს სქლად აკვრენ, რომ ხორბალი მიწას არ მი-

კვაროს და არ დაშმორდეს.

ჩალაჲ, ჭაობის შამბია, წვრილ-წვრილ კონებად შჭრიან და სახლებს

ხურვენ. მეტად გამძლეა და დიდხანს არა ღებება.

ჩაჲ, ჩადი; ჩამოჲ, ჩამო (-დი). ჩა-ს უდრის სვ. ჩუ: ჩა-გორება=

ჩაღაკა, ნადარის დასაკვრელი ჩხირი. [ჩუ-(ლი)გვრანი.

ჩაღღუჲ, ცელი, სვ. შერჩიდ.

ჩაჟუტება, ჩაფურთხება, ჩადუება. ჩამაჟუტ, ჩამაფურთხე.

ჩარჩავ, ჩარსავი.

ჩაფარ, ვაგრის ღასტი.

ჩატკანი, ქალთა ახლონი.

ჩაქულ, ფურცლის დაბალი ხე.

ჩაღარღანა, არხზედ გაკეთებული ჩახრიალა, ღარღანა.

ჩაღუნცება, ჩაღუნცება.

ჩაჭბაკანა, ოჯახის წილი ნეფისკან.

ჩაჭკრა, მოულოდნელად რამე წილად ჰხვდა. ჩაკარ, ბედმა გამოიღო ჩილაგ, ჩლაგი, უერბოფო ფლაგი. [მა და წილად მხვდა რამე.

ჩინკერ, გამომძრალი ხორცის ნაწილი.

ჩლიქ, ენა ჩლინგი.

ჩორკ, წვრილი და გრძელი ცული; ჩორკნა, ჩორკით ხერკტა.

ჩომოხეთქულ, მეწვერ წამოსული ადგილი შთისა.

ჩუნეჟ, ჭიბი, საბას ღ.: ჩუმე, მუცელ-დამეებული. (შუად. ჩუნეჟ ჩაუფარდა, კუჭი ჩაუფარდა).

ჩუღურ, ჩაღარღნილი ადგილი (ჩუღურეთი).

ჩუჩაე, ჩინჩაევი.

ჩხა=კახხა, (ფშურ. კახხა), **ВЪХАХА**.

ჩხალ, ფრჩხილი, მეგრ. ბირცხა, სვ. ცხა.

ჩხუნკ, ჩხიკვი, კოდალა.

ჩხუტგა, ჭიგოს და მისთანათა ჩეგვა, ჩათლა-ჩამწვეტიანება.

ჩხუტ, ჩაჩევილი რამ, კუნძი, მორი და მისთანა. ჩხუტზე ეგვა, წვეტიანზე (სარზე, მარგილზე და სხ.) აეგო, დაესო. (ჩხუტი მთელი ჩაჩევილობა და მისი წვერი კი წვეტი, ინგ. წკტ. წკტიან, წვეტიანი შუად. ჩქეთი, ძელთა ამოსათლელი (საბ. ღ.).

ცამმეტ, ცამეტი (=სამი+მეტი=ძველი ათსამეტი*)

ცაჟ, ცა, სვ. დეტ. ცაზე, სვ. დეტარ-ჟი (=ცეპზე, ცანზე).

ცახ, ეკლიანი შამბი (სვ. ცაგ, ეკალი). კონებზე მჭრიან და ხმარობენ ჭიის შესაცხად და კალო-ეზობის დასაკველ ცოცხეჯაგად. საბას ღ.: ჩახი, საჭიე კონა ბოჟისთვისა.

*) თს=ღს=ძ: მღს=მამს=მაც, გვერღს=ინგ. გკრც, ერთსახე=ძველ. ერთახე (მე-X ს. ხელნ. № 144, მცხეთის ჯგერის ამალლების საკითხავში). როსტომიანში გვერც, ახლოს, გვერღს.

ცეცხან, შტერი, ცეცხანობს, აქეთ-იქით იცეცხების.

ცირახ, ელამი.

ცისანგეანდღეა, უინუდღინი, ცინგლიანი დღე.

ცისარტყელაჲ, მეგრ. ცაშ-ორტყაფუ, სვ. დეტი სარტყ.

ციცაჲ, შშიშარა, გაუბეღვი.

ცორგა, ცურვა. დაცორდა, დაცურდა.

ცრქოთა, ხეობა, ტმასნა. ეცრქოების, ეტმასნება.

ცუნ, ცვილი, წმინდა სანთელი.

ცხენაძკქელ, ცხენის გველი (ფერიით წითელი და მეტად შესამიანი):

ცხობელ, ჰურის-მცხობელი, ხაბზი.

წაბლ, მეგრ. ჭუბური, უდ. წაბულ, წახ. წაბულ.

წაგილ, მოგიგე, დაცლიე.

წაღდ, მეგრ. ბურჭელი, სვ. წაღდ; უდ. კირთხ, წახ. კირთხ.

წანასულ, წასული. წანასულ-მანასულ, წასულ-მოსული.

წამძაღაჲ, ჩხვილთა (გაჟთა) სასირცხო.

წაპრ (ზაპრ), ძაპრი. (ფესვ. წაჟვა, ძაპრვა)

წარაბაკანაჲ, დობეძმვრალა ჩიტი, ჭინჭრატა. საბას ლ.: „წრანაკანი
უოფელთა სირთა უმცირესია“, გურ. ჭინჭალა.

წასანაჟება, წაგვერდება, გადახრა.

წაფა: წეჲ, გაწეჲ; მწაფელ, მწეველი, გაწაფ, გაძაბე, გაჭიბე, გა-
სწი. შეად. დაწაფე, მოწაფე.

წაღან, წელან; წაღანდელ, წელანდელი, ძოღანდელი

წაღმა, მერმის, წაღმის.

წაბა, ჩეჲ. (იხ. ნაწეჲ).

წელ, წელიწადი, მეგრ. წანა, სვ. ზა, უდ. უსენ, წახ. სელ.

წელაჲ, წველა (მწონი); სწელაფს, სწველის.

წენ, წენი, სვ. წუნ.

[დაქი).

წერ, მწვერვალი, წერ, წვერი, სვ. ვარე (და აქედგან ვარსიმი, და-

წებული, წუხელ, წახ. მიჭახტა, მწუხრი.

წიგით-წიგი, ჭუჭუ, ჭუჭუ!

წივანა-ბაღან, შირაქის ბაღანი, ურო.

წიგა-წიგა, დაშლა, დაქსაქსვა.

წაგწივა, ხე რომ გაიხატრება მრავალ ნაწილად.

წილვა; კიტრ დაწილა, რაც კიტრი იყო დიდ-წვრილიანად მოკრი-
ფათ; წილ, ახლად გამომხედი კიტრი. მ. წილუა, სთვლო-

წიკაჲ (ციკანი), თიკანი, ციკანი, წახ. წეჰ. [ბა, კრეფა.

წანდაჲ, უღ. წინდაკ, წახ. წინდა. [წერ-გენწერ მიმომხრინავი.

წანკერ, კენწერო-კინწირო; წინკერენა (ზღაპრებში), თრინუელი, კენ-

წანტკა, თითო-თითოდ მოკება (თამაშობაში) ყოველივესი. გაწინტა,
თითო-თითოდ მოუგო ყოველი (კაკალი, თუ სხვა, რაც
სათამაშო იყო). გაწინტულ, წაკებული კვალწმინდათ.

წანტალიჲ, ხატარა სირია, სწრაფი, დაუდეგარი., წინტუტუ-ს გა-
წანტლიჲს, შტერია, დაუდეგარი. [ჰკივის.

წიპლანკ, მეტად წვრილი, აწიპილი ხე, კაცი, საბელი და სხ.

წირწინ, ახეჩის წინა-ტარი. [სხვილი ნაწნავი თმა“.

წიწილაჲ, კაწოლი, დაწაღი, ჭაღი, კავები. საბას ლ.: „ჭაღი,
წკალ, წველი, ბრწკალი, ბრწამლი, რომელითაც მცენარე (ვაზი და სხ.)

ეხვევა ჭიკოს, ევერება მიწას და სხ. ღუშ. მახ. — კავანა.

წკინვა, ბრწყინვა, მეგრ. წკინუა, სვ. კხრი (შუად. კრიალა).

წკიპანტლ, წკიპურტი, წკიპარტი.

წკირტიალ, წრტიალი. „აწკირტიალებს“, აწრტიალებს.

წკლინტ, სკინტლი. [რება).

წკლუნტ, აბრეშუმის ჭიის განავალი. (ზახგ-ხერგის სასუქად იხმა-
წნება, გრება წნეღისა, ვაზისა და მისთანათა. საქმე დაწნისა, საქმე
გააბრუნდა, სიმართლის გზიდან გადაიყვანა.

წნუან, წნოვანი, წვნიანი.

წნორ, ტირიფი. საბ. ლ.: „წნორი, ველური ტირიფი“.

წოდ, მწვაღი, ლეკურ. წოდ.

წოგეჲ, მწვავე. სწოვს, სწვაეს; დაწ, დაწვი; დაწო, დაწვა.

წოორ, სწორე, „წოორ-წოორ ილაპარაკ“, სწორ-სწორე ილაპარაკე.

წოორა, სწორედ.

წუძმალ, დიდი წვეთი, КАНЬЯ. „ერ წუძმალ ჩამაყლან“.

წუძწუძაჲ, წურწუმა, კუმკუმა, სხილენძის კუტაღი.

წუძაჲ, წვიმა, მეგრ. ჭვიმა, სვ. უჩხა (საბ. ლ.: „ისხარი, ჩქარი

წუნწკლა, წუნვა. [წვიმა“).

წუწლუტ, წოწოლა.

წელისძა, წელისძაღღმა (ფიცილია).

წვილ, რწვილი, მეგრ. წვირი, სვ. ზისქ.

ჭად, მჭადი. ლეკ. ჭატ.

ჭანკა, ლეკთა აზნაური.

ჭანჭიკ, ჭინჭილაკი.

ჭერხილ, ჭირხლი.

ჭიბაჭ (=ჭუბაჭ); სულელი, ცუტი.

ჭიძ, მიწა ბალახიანათ აჭრილი ბარითა, дернъ.

ჭიძლ, წირძლი; ჭიძლიან, ჰირდაუბანელი, წირძლიანი.

ჭირჭიძა, მაყალო, ჰანტა.

ჭიუჭიუა, ეიჭიუა (კაცი). [ჭე (სხვეწე) ახმობენ ბოლზე.

ჭიჭნაგურ, ძეხვი-აზობტი. მრავალ სურნელოვანით აზავებენ და აყარ-

ჭლეა, მჭლე, მეგრ. ჭკოლა. [კა, დაჩლიქა.

ჭკალ, ჩლიქი, ჭლიკი, მეგ. ჩირქი, სვ. ჩილქ. დაჭკილა, დაჭლი-

ჭლივ-ჭლივ, ჭიკჭიკი მერცხლისა და მისთანათა.

ჭრეა, მჭრელი. ჭრე ჭკოა აქ, გამჭრიახი ჭკვა აქვს.

ჭორტკლ, მჭვარტლი (ვინც თუელი იცის ფეხის თითებში, დაბინ-

ჭოლ, მჭვადი, [ღებისას თითებშია ჭვარტლს იურთან: აშრობს).

ჭროხ, ჭროლა. ჭროხჭროხ თოლუბიან, ჭროლა თვალებიანი.

ჭუაჭუა, დაპატრვა; ,,ჭუაჭუა იქნა“, ნაჭრებად დაითხზრიწაო.

ჭულუკა, ცელქი. ჭულუკ რაღმი, ცელქი ვინმეა.

ჭურმაჭურჭურს, წვრილმანი და ჯოღღო-მოღღო ხალხი ან ხილი.

ჭურჭურკელა, ციციხათელა.

ჭყოპ, ჭყაპი; თოვლ-ჭყოპ, თოვლ-ჭყაპი (შუად. მეგრ. წყუ (ჭა),

რომლისკან გვაქვს წყურვილი, რწვევა, წყალი, წყარო ჭ სხ.).

ხაჯირ, ქვევრიდგან ღვინის ამოსახაპი ხაპერი (ხობე, გურ. ორკობე,

კობე), მიბმული თხილის ორ გრძელ წხელზე.

ხარტვა, ქვევრის ხეხვა, რეცხვა ხარტით (სახარტავ ქვით).

ხახ, მეგრ. ხარხვი, სვ. ხახვ. ხახი თახტაჲ, ხახვის კვადი.

ხახრაჲ, ხარო, სარკმელი.

ხაჭკაღ, სეკლე ბარჯი. სპ. ლ.: „ხეჩკალი, ბარჯი, კაპიანი ჯო-
ხეტა, ხვეტა. დახეტ, დახვეტე. [ხი, გინა სათეგზე ჯოხიჭი“.

ხეტა, მოხვეტა, გაქტევა, ოტა. მამხეტა, იოტა, გაიქტა.

ხეწა, ხვეწა, სვ. ხაფიწ.

ხეგხაგოის, ვამხარობით ცხოვრობს.

ხმა, ხემა, გაღება. ებამ გაახო. „ეხას გაახომს და აღარ მოუჭერს“.

შეად. „დახუენით ბჭენი ჯოჯოხეთისხანი“.

ხაგ, ხვაგი, მეგრ. ხვე, სვ. ლუ-ზვერ (შეად. მეზვერე).

ხრალ. ფურცლის (ჩაქელის) სხვილი ტოტები.

ხუალ, ხვალე, ხვალ. ხუალხეთი, ხვალხეთით (ზეგ), იმალხეთ,
ხვალხეთით (ზეგის ზეგ).

ხუგერ, ხოგერი, ხის ქერქის ჭურჭელი.

ხუთულ (=ეუთულ), ხუთი ხელეური, ერთად დაწყობილი.

ხუტუგან, ხუტურინი.

კაღებაღ, ხრაკვა; მოკაღებულ ქათამ, მოხრაკული ქათამი (საბას ლ.:
„კაღვა, მარტვალთ შეწვა“; დამხალა, დასწვა-დასდავა,

კარელ, მხარე. [შწვავედ სცემა].

კარზაბაღ, გარეული მტრელი.

კარ, ხარი, მეგრ. ხოჯი, სვ. კან.

კამფ, ძლიერი ხმა ხის მოტეხვისა, ახლენისა და სხვათაგან.

კაფაფ, ძლიერი დუდილი, ძვრა კაფად, ქაფქაფად.

კაღამა, ხვდამა, სვ. ლი-კედ, მიუკდა, მიუხვდა, მისწვდა, შეუკდა,
შეუძვრა (მაგ. ხობ ძროხას), შეად. გარდამკადა.

კეგ, ხევი, ბერძნ. Χεγμα (Χέω), წმ. წყალი, წყარო, ხევი

კელეღ, ხელეური. სპ. ლ.: მჭელეული, კელეული უნისა (დაბად-

კელმანდილ, მანდილი, სვ. კისმანდ. [31,7].

კემწიფეღ, მეგრ. ხენწიფე, სვ. კელწიფ. (ხელს მეგრულად ჰქვიან
ხე და ამიტომაც ხან ითქმის ხე-მწიფე და ხან ხელ-მწიფე).

კერკალ, ხირხალი. კერკალ აუყარ, ჩომოუყარ. [გატელა.

კეჩვა, ტეხვა. ჰურ გაკეჩ, ჰური გატეხე. უღელ გაიკეჩა, უღელი

კანცვა, შეკინცვა, მჭიდროდ ჯდომა აღამიანთა, ჭდევვა.

კანა, ხენა, მეგრ. ხონუა, სვ. ლი-კანი. მოკან, მოხანი.

კნულ, ხნული (ხახნავი), მეგრ. ხახონა, სვ. ლი-კან.
 კოცა, ხოცვა, სვ. ლი-კცე.
 კრელ, ხვრელი. გაკრუტ, კახვრიტე, კრკრტ, ხახვრეტი.
 კრუალ = კურვალ, მხურვალე.

ჭაბა, აბა; უდ. ბელა.

ჭაბაჲ, ორთითი.

ჭადულ, ადვილი.

[ჭელვა, ელვა,

ჭალაჲ; ალი, სვ. ჭალ. შეად. ალიანი, მეგ. ალიანი, სვ. ჭალკან.

ჭალვა, ალვა (ბრინჯის ფქვილისა და თაფლისაგან აკეთებენ).

ჭაჲ = რაჲ, რა, რაი: რაჲ გინდა? ჭაი = რაი?

ჭა = ჭაჲ, აჩუ, ჭარუ.

ჭაშ, ასაკი, ჭასაკი. შეად. თათრ. ყშ—ასაკი.

ჭაჲსა = რაჲსა, რა არი, რა-არს = რას?

ჭაჭაჲ, აკაკი (მცენ.).

ჭარაკიჲ, არაკი. სვ. ჭარაკ, მეგ. არაკი.

ჭარაჲ, ვაგბის მომასწავლებელი ხმა-ძახილი (тревога).

ჭაჩიჩაჲ, აჩეჩი. საბ. ლ.: „აჩაჩა, უღლის ხარის საკენელი“.

ჭე, ან. ანუ, სვ. ჭედ, მეგ. ვარ.

ჭე: ებე; ჭებ; ებ, სვ. ეჲ.

ჭელვა, ელვა, მეგრ. ვალვა, სვ. ლი-ჭლადი.

ჭემგან, ე მაგან.

ჭემენ = რემენ, რომელი.

ჭენგა, ცხენოსანი ქალი მყერიონად.

ჭიკიკ-კი, კბა, კბ ბი.

ჭიში ხარის გასარეკი ხმა.

ჭერ, იარე.

ჭოგ, დიად, კი, ჭო, ჭაჲჭაჲ.

ჭოგჭა! ჭო-ჭო!

ჭომობს, ისწრაფის გზა გაიკაფოს, იბრძვის, ცდილობს. შეად. ომი.

ჭუმ = შ, უმე; ნუჭუმ, ნუუმე (კავში., წმ. ცხ., დავით ბატონიშ.):

„ნუუმე ესე იყო წადილი მისი (№ 278, ბოლან. დავ.“

ბატ.-სა). ინგ. მეამ=მე-ჭუმ, შენამ=შენ-უმ, დეაჲ-ჭუმ
შემტეველს, დეა შემტეველს.

ჭუმ, ხო, ხომ: მე-ჭუმ მჭელ, მე ხო მოვედი; რომ: „ჰქკ ვთქჳთ-
ჭუმ, მოვდა“, ეკე ვთქვით, რომ მოვიდა.

თვლა:

ერ = ერთ, ცალ, მეტ. ართი, სვ. ეშრე, უდ. სა, ღლიდ. ცა, წახ. სა.
ორ, მ. ჟირი, სვ. ჰერი=ჰერი.

სამ, მ. სუმი, სვ. სუმი, უდ. ხიბ.

ათხ, მ. ათხი, სვ. ვაშთხე.

ხუთ, მ. ხუთი, სვ. ვახეშიდ, უდ. ეო, ვუხარ. ხუ, წახ. კაბლე.

ექს, მ. აშვი, სვ. უსტვა, უდ. უი, ვუბ. ექ, წახ. ჰინიბლე.

შუდ, მ. შვეთი, სვ. იშვიდ.

რუაჲ, მ. რუა=ბრუა, სვ. არა, ღლიდ. ბარ.

ცხრაჲ, მ. ჩხრა, სვ. ჩხრა. [წახ. ჰიწიბლეკ.

ათ, მ. ვითი, სვ. იემდ =ჰემდ, უდ. ვიწ, ღლიდ. ით, ვუბ. ვიწ,

თერთმეტ, მ. ვითართი, სვ. იემდეშხვი, უდ. საწ, ვუბ. ვიწნუსა,

თორმეტ, ვითარჟირი, ჰემდერვი. [წახ. ჰიწნუსაბ.

ცაბმეტ, ვითასუმი, ჰემდსემი.

თორთმეტ, ვითანთხი, ჰემდვოშხე.

ხუთმეტ, ვითახუთი, ჰემდვოხშიდ.

თექსმეტ, ვითაამში, ჰემდუსტვა.

შუდმეტ, ვითაშვეთი, ჰემდიშვიდ.

რუაბმეტ, ვითორუა, ჰემდარა.

ცრაბმეტ, ვითარჩხრა, ჰემდჩხრა.

ოც. მ. ეჩი, სვ. ჰერე ემდ (=ორ+ათი), უდ. ეა, წახ. ეა-აბლე.

ოცადერთ, ეჩილართი (შენიშნე: ოცადერთი, ოცადორი... ოცად-

ოცადანათ, ეჩილავითი, სემემდ (=სამი+ათი) [ათი და სხ.]

ორმოც, ჟარნეჩი, ვაშთხე-ემდ.

ორმოცადანათ, ჟარნეჩილავითი, ვახეშიდ-ემდ.

სამოც, სუმანეჩი, თესტვაშდ.

ათხმოც, ათხანეჩი, არაშდ.

ათხმოცადანათ, ათხანეჩილავითი, ჩხრაშდ.

ას, მ. თში, სვ. აშირ, უდ. ბამ. წახ. ვამ. | წახ. აზირ.
 მან, ათას, მ. ანასი, ს. ათას. უდ. ჰაზარ, დღ. ათიანე, ეუბ. აზი,

—

კრძალვით მოვიხსენიებ ნეტარხსენებულთ დიმ. იოს. ჯანაშვილის, ჩემის მშობელის გიორგის, ძმის ნიკოსი, დედის მარიამის და სალომე ნიკოლოზის ასულის გამხარაშვილის სახელს: ამათ, ზემორე ხსენებულების (გვ. 135, 140), ჩემის ძმის გაბრიელის და ბევრ სხვების შემწეობითა და დახმარებით შევკრიბე და შევიმუშავე მთელი აღბეჭდილი მასალა შესახებ საქართველოს იმ განაპირა აღმოსავლეთ კუთხისა, რომლის მკვიდრთ მრავალ საუკუნეთა განმავლობაში წმინდა გმირულ ბრძოლით დაიცვეს იქ თვისი ხალხოსნობა, ენა და სარწმუნოება. ამასთანავე მადლობას მოვახსენებ „ძველ საქართველოს“ რედაქტორს ბ-ნს ექვთიმე სვიმონის ძეს თაყაიშვილსა და მისს მახლობელ თანამშრომლებს, რომ საქართველოს ყოველმხრივი შესწავლა დაიწყეს ჩემ სამშობლო მარად მზიან საინგილოდამ.

მ. ჯანაშვილი.

—

უზაველი



მასი წუთის ოფელი.

(ეთნოგრაფიული მოთხრობა)

I

ავადმყოფობა

ფაქველი კარახელი დიდი ხანია ავად არის, ლოგინად ჩავარდა. ორი-სამი დღე გაუმავრდა სნეულებას, არ ეწადა დაწოლა, მამის ან-დერძის ასრულებდა: „ჭირს თუ დაწვევები, უფრო დაგაწვევო“. სნე-ულებამ მაინც თავისი გაიტანა: ბრკე, წამოსადეგს, შუახნის კაცს მო-ჭკვეთა მუხლები და წაქცია.

„სადა ხარ, ეე?“ დაუძახა კარახელმა ცოლს ხომიას თავისთან: „მაიტა, თუ ღმერთი გწამ, მიმიგე რამ ე ტახტზე, აღარ შემიძ-ლიან, ფინთადა ვარ, უნდა დავწვე“. სთქვა-რა ეს კარახელმა, უჩვენა ტახტზე იქვე ღერეფანში.

ცოლმა ქმრის ბრძანება ასრულა, თუმცა პირველად ცერად გა-დაჭხედა ქმარს, საუფედურის გამომხატველ თვალებით, თეთრი ნაბადი ოთხად მოკეცა, საუღლედ მოტანილ იფნის მონახურხზე ბაღში და-უდო ისეთი დატუტენილი, რომ ძნელი გამოსაცნობი იყო, უიღვის დროს რა ფერისა უნდა ყოფილიყო ბაღში მისი პირი. უკებდა ლოგინს ხომია ქმარს და თანაც ბუნღუნებდა: ავადობა და რა დროს შეპრე, ამ განურეებულ მუშაობაში. ეგრე იცის ხელადით არაყის სმამ, აი!— სთქვა ხომიამ ნიშნის მოკეპით.

— „შენ ბეგრს ნუ მიჭქარავ“, წამოსთქვა კარახელმა: „მამ, სუ არაყისგანა ხოცია ხაღნი?“ ეს იყო კარახელის პასუხი ცოლის მიმართ. ამის მეტი არც ავი უთქვამ, არც კარგი. ტან-გაუხდელმა, თავზე ხელსახოც წაკრულმა, შემოიგო ნაბადი, რომელიც ზედ კხვია და მიწვა ცოლის დაგებულს ლოგინზე. გული საყვანელად ელამუნე-ბოდა, მაგრამ მაგრობდა, ჰსცხვენოდა გაეგონა ვისმე გაჟაკის კვნესა.

კარახელი ავად გამხდარაო, სოფელში ხმა გავრცელდა. კვირ-უქმე დღეობით მდიდრდენ ნათესავნი, ნაცნობნი, მეგობარნი, კაცი და ქალი. მომეტებულ ნაწილს მოსაკითხი მოჰქონდა: ზოგს წმინდა ზურის ხშიადი და ბოხდით არაუი, სხვას ქადა და ხაბიძგინები (ხაჭა-ზური). ეველა მნახველი და მომკითხველი ერთ და იმავე კითხვით მიჰმართავდა: „რა არი, კაცო, რა დაგემართა, რა გტკივაო? იქნება ნაოფლს შატკივდა? დალაღუღმა წყალი ხო არცად დაჰქლიე? ან „მი-ზეყისით“ ხო არ იქნები ავადო?“ კარახელი „არ ვიცით“ იმას აძ-ლევედა მხოლოდ ზასუხად ეველას და ტკივილს უჩვენებდა მკერდზე, გულის კოვზთან: „ამაში მტკივა, ამაში, სხვა არა მტკივა-რა. რო-გორც გულზე ზურის ლეკმა დაადგეს კაცს, ისეა, ერთს ადგილს არი დამდგარი, არც აღმა მიდის, არც დაბლა ეს ღვთისკან წყუელი“.

ცოლი კარახელისა ხოშია ჰირველში ისე ექცეოდა ქმარს, თითქოს არ ეჯავრებოდა მისი ავადობა, მაგრამ ბოლოს, როცა დაჰხედა, საქმე კარგად არ მიდიოდა, დაფაცურდა. რაც-კი რამ ექიმობა იცოდა, აღარ ჰზოგავდა: ქმარს ღუდგულისა, ცაცხვის უთილი მოუღუღა, ასვა და თუღი-მოადინა. ტანზე სიცხის გამოსახელებლად ტუხტის გამოხა-ხარშ წვეხს უსვამდა, მაგრამ ვერაფერს გახდა. მიჰმართა მკითხავებს, ისინი სხვა და სხვა ხატის მიზეზს მიაწერდენ კარახელის ავადობას. ერთმა მათგანმა, მაგალითად, ეს უთხრა: შენი ქმარი ხატისკან არი გალახული; წმინდის გიორგის სამგზავრო ადგილს დასძინებია, ხატი შატკარდნია ზედ და იმის მიზეზი არისო. მეორემ ადგილობრივ ღვთის-მშობლის ხატს დააბრალა კარახელის ავადობა: ხატის მამული მოუ-ხნავს და ხატისთვის კი სამსახური არ გაუწევიაო, არც ღუღი უღუ-ღებია სათემოდ, არც საკლავი დაუკლავს, რის გამოც გამწერადა ღვთიშობელი და მოუვლენია შენს ქმარზე სევედა-სნუელებო. ამიტომ, თუ გინდათ მოიმადლიეროთ ხატი, უნდა სანთლით, საკლავიო, ქადა-ზურით შატკეწოს, ღამე უთიოს, ბოდიში მოიხადოს. ჰირველი მკი-თხავის ჰირით წმინდა გიორგი-ლამარის-ჯვარი, კურეტს თხოულობ-და. ხოშიას მეორე მკითხავის ნათქვამი უფრო ენიშნა: მოიკანა ორის წლის წინანდელი ამბავი, კარახელი რომ „ხაევერადლს“ (ხატის მა-შული) ჰხნავდა, ხარი გაუხდათ ავად, უღელში ნაბამი. ეს მომასწავე-ბელი იყო ხატის მომიზეზებისა. შინ რომ დაბრუნდა ქმარს ეველა-

ფერი უამბო მკითხვის ნათქვამი. კარახელმა, როცა ხომიამ საუბარი გაათავა, წარმოსთქვა: „დაილოცოს, მანატოს, ოლომე კარგად გავხდე და ხარსაც არ დავიშურებ. ხუმრობა საქმეა ამ დროს, ამ ცხელს მუშაობაში ჩემი გვერდზე წოლა?! უველა თავის საქმეს აკეთებს, სამთარის სარდას იმზადებს, მე კი ვწევარ და ვკვნიხი“! ცოლმაც მოუწონა, რასაკვირველია, და ასე, ორივემ აღუთქვეს (აუსახელეს) დვითიშობელს საუკეთესო ჭკედილა, ქადა-ზური, კელაპტარი და დამისთევა.

დერეთანში მწოლარე კარახელი გულ-მტკივნეულად შეჭურვებდა ზირდანიერ დაუდებულს მთას, სადაც უკვე ნამხრეკები დანდა. შიბილები შავ წერტილებივით მოძრაობდნენ მთის ფერდობზე, აჭრელდა მთა ნაბთევ-ნამხრეკებით, ხოლო კარახელის მთა მოიუერებოდა შავად, ობოლ-ქვრივივით უზატრონო. „ახახ, ამოიგენეს კარახელმა: გამახარე, ბიჭო, მოდი აქა“, დაუძახა სხეულმა თავის ვაჟს, ახლად ულვამ ამწვანებულს ჭაბუკს: „ახა, გაჭხედე რასა სჩადის ქვეყანა“, — და შიუთითა მთა-მოთლებზე. „უუუუ, რა ამბავს არი ის ხალხი. ჩვენ კი დავიკრეფია გულ-ხელი, მე ლოგინში ვკვნიხი, შენ კიდევ მე შემომეურებ. ჩემი შემხედვა ხელს არ მოგვცემს, შვილო, მე იქნება კიდევ ვავლები, ცხოვრება არ გინდათ? თქვენ აქვენს ეცადებით. ხო იცი, ალება დიდ-მარხვის წინა კვირა კი არა, ეხლას ნამდვილი გლეხის ალება. თუ რასმე ავილებთ, შავიქნთ, დრო ეხლას გვაქვ. თუ არა და დავრჩებით უველასზე უკვენ, სამთარი რო კარებს დავვირაკუნებს, რა პასუხი გავცემთ?“

— მტკელეთანით ეხლას-და მუელ, ცელი გავაკეთებინე, სადა-მოზე უნდა წავიდე, საკძალს ვაცხოზინებ — მიუგო გამახარემ.

— ჭო-და ეგრე ქენ, სხვასე უკვენ ნუ დაჭრები, — წარმოსთქვა კარახელმა და მიესვენა სსსთაულზე.

ხომია გულჩათხრობილი იყო და ჩუმანუმად სიზმრებს უამბობდა მეზობელ დედაკაცებს: „ძლიან ცუდ სიზმრებსა ვსინჯავ, დმერთო კი დავიფარე, და დიდი საკვირველია, თუ ეგ კაცი გადაჭრჩა. სუ მკვდრებსა ვსინჯავ, სრულა და სრულა. დამე არ წავა, რო არავინა ვნახო. ხან ჩემს დედამთილ-მამამთილს ვნახავ, ხან ფუნჩიანს (მაზლის სახელი). არა მაქვს კარგად დაცდილი, როცა მკვდრები აი-

შლებიან და მეჩვენებიან, უერთოდ არ ჩივილის, ვისმე წაყვანას ჰლა-
მობენ. წუხელა ვნახე, ვითომ მოიდა დიდი მიწის ზოგი და ზირდა-
ზირ ჩვენს სახლს დაგება. დავიწეე ტირილი, ყვირილი: უშველეთო!
და ჩემმა ღრინცელმა გამომაღვიძა. არ ვიცი, აღარ ვიცი, რა მო-
გვივა? ეჭვ, დაილოცე, ღმერთო!“ დაასრულებდა ხომის ამ სიტყვე-
ბით თავის საუბარს და დედაკაცებიც ვიშ-ვიშით ადასტურებდნენ მის
ხალაზარაკებს... მალე ორი აგე შესრულდება, რაც კარახელი ავად
არის. —საქაო ზირი აღარ უჩანს, დევივით ვაჟკაცი ჩადა სახთელი-
ვით ლოგინში. კარახელი სიკვდილის მოახლოვებას ჰგონობდა, მაგ-
რამ ერთხელაც ხმა არ ამოუღია, კრინტიც არ დაუძრავს ცოლ-შვილ-
ში. გარეშეებთან კი არა ჰმაღავდა თავის წინაღობას: „თუ მკვდრე-
ბი ადგებიან საუფლებით, მეც მოვჩრებიო“, ამბობდა იგი.

II

ს ი კ ვ დ ი ლ ი.

ენკენისთვის მიწურვილებაში კარახელმა დამადაბელებს სული მია-
ბარა. ხუთშაბათს ღამე განსმა შემზარავი ქვეთინის ხმა კარახელის
კარ-მიღამში. ხმით (მოთქმით) დასტიროდა მამას. გასათხოვარი ქა-
ლი სახლო. რა ეინჩი (კარგი) არი მამჩემიო, ატანდა სშირად სახ-
ლო ქვეთინში, იმას ბანს ეუბნებოდა ძმა გამახარე. ხომისა მღუმარკუ-
და, ხელში ჯოხი ეჭირა და იბჯენდა, თანხმად ჩეულებიან, ისე,
როგორც მის შვილებს. ვერ დამჯდარიყო, ერთს ალაგას ვერ ისე-
ნებდა, მიეუდებოდა ხან ერთს კუთხეს სახლისას, ხან მეორეს, ხან
მესამეს, რადაცას ალაგებდა, აბოტებდა, ეგონა, რასმე აკეთებდა, თუმც
თავადაც არ იცოდა, რას აფუჭებდა, ან რას აკეთებდა. „იტირეთ,
შვილო, იტირეთ, მკვდარს შინაით უნდა მოტირალი“, ეტყოდა ხან-
დახან ტირილით მოქანცულ შვილებს. მეორე დღეს მთელმა სოფელ-
მა უკვე იცოდა კარახელის გადაცვალება, თუმცა ზოგი მეკვეპური სა-
მი და ოთხი ვერსის მანძილზე იყო დაშორებული. ყველამ დაიუქმა:
გუთნისდღამ გუთანი აუშო, მთიბელმა და მოშკალმა ცელს და ხამ-
კალს უშო ხელი; ეს ძველის-ძველი მამა-ზაზის ჩეულება უნდა ყვე-
ლას წმინდად დაგება. კარახელი მარტო ერთს ოჯახს არ დააკლდა,

მიცვალებული მთელს სოფელს ეკუთვნოდა და ყველა მოვალედ ჰქრახნდა თავის თაყს, გაეწია, ვისაც რით შეეძლო, მკვდრის შესახებ მზრუნველობა: მკვდარს საფლავის გათხრაც უნდოდა, კუბოც. ძაძლებს სამარხად ოჯახს არ მოეწონებოდა სავამო ზური, სასმელი და სხვა საზოგადო. — თანახმად ჩვეულებისა სოფელი მოვალე იყო ეზრუნა. რასაკვირველია, ამისთვის გზირი, ჩაფარი და მამასახლისი არ დასჭირდებოდა არავის: ყველა ოჯახიდან დედაკაცებს მოჰქონდათ ზოგს თითო ხმიანდი და თითო ჩარქა არაუი და გაკეთებული, ან სასთაღის კოშტი, კარს ჩლა შემოხვეული; სხვას, უფრო შეძლებულს, ხმიანდი, ქადა და ერთი ხელადა არაუა, ღვინო, ან ლუდი. ამ ჩვეულებას ყველა ბუნებრივად ასრულებს, აუსრულებლობა ეოვლად შეუძლებელია.

ხოშიამ, შორს სოფლებში მცხოვრებელ კარახელის ნათესავებთან კაცები გატყავნა. რა თქმა უნდა, არც თავისი მამისახლი (სამშობლო) დაუფიქნია, უბარებდა: „დავიღუშენით, მოგვხედავით“.

მიცვალებული შინ, ტახტზე ესვენა, სახლში კერაზე ცეცხლი ჩამქრალი იყო, მხოლოდ მიცვალებულის თავით კუნძზე ყვითელი, შინ ჩამოქნილი, კვლავტარი ჰბუყტავდა. აღი მთვრალს კაცივით აქეთ-იქით აწყდებოდა. მას, — თუმცა ტახტი „საკომლე“ (საკვამლე) დაცილებით იყო გამართული, — ცა მაინცა ჰხელავდა, თუ თრით არა, ცალი თვალით მაინც. იქვე დიაკვანი იჯდა, წინ დავითნი ედვა და ლოცვის კითხულობდა ცხედარს სიგზივ თაყის სახვევი ნაბადი ჰქონდა; გახურვლი და მკერდზე ხანჯარი და ხმალი ედვა.

კარეთ, ეზოში დიდი ცეცხლი ენით; გრძლად ძელა იყო გაღებული, ზედ ცხრა თუ ათი კეტი მაეუულებინათ. ცეცხლს დედაკაცები დასტრიალებდენ თავსა, ლაგაშს აცხობდენ, ზოგნი აკრავდენ, სხვანი ამოჰყრიდენ ნ. მცხვარსა. მიცვალებულს ჩვეულებრივ შირი მოჰხარეს, რომ საიქიოს, საფლავში არ ჩაჰყოლოდა ბეწვები და არ გაეუნატიურებინა ნეშტი მიცვალებულისა შიგ შერევათ.

დილით ჯდრე „ფიცრობა“ წასული მკვუბოვეები საუდართან, სადაც სასაფლაო იყო, უკვე კუბოსს სტელავდენ. ნება-ყოფლობით მოსული მესაფლავები, რადგან ჩვეულება ასეთია და მესაფლავობა არავის ხელობად არ ეკუთვნის, საფლავიდან მიწას ამოჰყრიდენ ნიჩბე-

ბით. საფლავი ორ არშინზე გაეჭრა და მოემარჯვებინათ, ძირზე სწმენდავდნენ, ასუფთავებდნენ და თანაც სიცოცხლის საგმობს სიტუაციებს ეუბნებოდნენ ერთი-მეორეს: „რას ვგოწიწობთ, რას ვცვოდვოდობთ, აი ჩვენი ბოლო, აი ეველას საუკუნო სახლკარი?!“ კარახელი ჯერ ისევე ახალგაზდა კაცი იყო, ანუ, როგორც ფშავლები იტყვიან, „კაის დროს“, მოხეტეულები რომ ყოფილიყო, ოხუნჯობასაც კი დაიწყებდნენ, ლექსს გამოსთქვამდნენ, როგორც ერთ ვიღაც ჩორხაულზეა გამოთქმული საფლავის მიხრელები სიგანს. ეს ჩორხაული უდიერად მძალი ცანის კაცი ყოფილა:

„მოკლე საფლავი მოგვივიდა,
არ ჩავიდა ჩორხაული“.

— მკვლარი არი, რას გაიგებს,
ჩავდვით ორად მოკაული (მოკაკული).

კარახელის ეზო ავსილიყო ხალხით. ცალ მხარეს დედაკაცები ისხდნენ, ხოლო მეორე მხარეს მამაკაცები. დედაკაცებს შირები ჩიქილის ტოტით ნახევრამდე ახვეული ჰქონდათ ნიკაპ-ბაკეზე და ავალ-წარბზედაც ჩიქილ-ხელისხაცრი დაბლა დაწეული. მიცვალებული სახლიდან გარეთ გამოსვლას და საკაცებზე დასვლას. კარახელის დები და სიძეებიც მოვიდნენ, თვითვე უღმა მათგანმა თითო საკლავი მოიყვანა ცხენზე გადავიდებოდა ხურჯინით სხვა სანთავის გარდა. ისინი ეველასე მეთეს გულმტკივნეულობას იჩენდნენ, „ხმით“ (მოთქმით) ტირილდნენ, მძალი ხმით გჰქვიოდნენ დებს ტირილში არ უგარდებოდა რაიბოული; ჯოხზე დაბჯენილი, ცხედრის გვერდით დაუდებოდა მფსთქვამდა ძმის დაკარგვას, უსაუვედურებდა ძმას, რომ უდროფო-დროს დახეობა თავი ცოლ-შვილს, არაფრის თავი აქვთო, ოჯახის საქმეს ვერ გაუძღვებიან და ვერც მტერს და მოკეთეს გასტუმრნ შესაფერს ზასუნსო. იმის მოთქმას დედაკაცები ქვითინით — „ტიჭოჭოჭო“-თი აძლევენ ბანსა.

მიცვალებული მარტო დაძმების და სხვა ნათესავების გლოვის ახანარას როდი დარჩა: დედაკაცების გროვიდან გამოეჩინოდნენ, სათითაოდ მოდიოდნენ საკაცსთან, დაჩოქილები იღებდნენ ხმალს ან ხანჯარს და ზედ თავით დაურდობილნი იწყებდნენ მოთქმას: ეველა მათგანი სოფლიდა-რს კარახელის დირსებას, იმავე დროს ინსენიებდა თა-

ვის კარდაცვალებულს, ახალს და ძველს სახელოვანს სოფლის წევრებს, — ამოწკეკტილს, სიკვდილისაგან უწყალოდ დაბრეკებულს, გალახულს კვამლსა ჩვილი შვილების დამკარგველმა დედებმა „ხატორეს“ თავინთ შვილები და ემუდარებოდენ კარდაცვალებულს კარახელს, რომ მას „შავეთში“, ანუ „სულეთში“ (საიქიო) უური ეგდო იმთავის, მამობრივი მზრუნველობა გაეწია, დაეთირებინა და სხვა და სხვა... ამ ტირილის დროს ერთი ფშაველი გასულიყო განზე საბძლის უურეში, დამჯდარიყო მარტოკა, შეზარხმებულნიც იყო, და თვალ-ცრემლიანი ბუტბუტებდა: „ღმერთმა დაგწვევლოსთ, დედაკაცებო, რას იტყვიით, რას მოიგონებთ, ძალად ატირებთ კაცს, ტირილიც რო არ ეწადოს?! მე მაგარი მეგონა ჩემი თავი და ვერ უურებთ, რომ მეც მატორეს?! ისეთს რასმე წამოჭრევენ, რომ, ქვის გულიც რო გედვას, უნდა იტირო, მეტი ღონე არ არი“!.. თუმცა სულიერი კანონა ჭირის დროს ტირილი და კარმის გამოძედავება დარდს აქარეებს, წელულს დაამებს, მაგრამ ფშავლის რწმენა, იდეალური შეხედულება ჭირისუფალზე სულ სხვაა: ვინც მაგარია, იმან, სატირელიც რომ ჰქონდეს, არ უნდა იტიროსო, უბედურებას უნდა აღამინი გაუმედავდეს, არ უნდა გაუტედეს; არ დაემორჩილოსო“. ფშაველი თანა-მოაზრეა შოთას სიტყვებისა: „ჭირსა შინა გამაგრება ისე უნდა, ვით ქვითაგირსაო“. ეს ხომ კარგია, მაგრამ რას იზამ, უფრო ხშირად, გრძნობას აზრი და რწმენა ვერ იკავებს, ვერ იჭერს, არამედ მისგან დაჩრდილული ჰირზე კლიტე დადებული მდუმარების, ხმის ამოღებას ვეღარა ჰბედავს, როცა კი გრძნობა ადიდების და აღამს აფორიალებს... დღეს ამის დამამტკიცებელს სურათს ვხვავდით: ვისაც არა ჰქონდა გრძნობა შებრალებისა, ისიც კი ცდილობდა ძალით, მოხერხებით შეეძინა როგორმე: ეველა, დიდი თუ ჰატარა, დადკრემილად გამოიურებოდა, მწუნარე სახეს იკეთებდა, ცდილობდა მწუნარედ სჩვენებოდა ჭირისუფალს და ქვეყანას. ეველა იმას ცდილობდა, ნამდვილი გრძნობა, სულიერი მდგომარეობა მეტად, მოჭარბებულად გამოეჩინა, მოკეთედ, თანა-მგრძნობლად ეჩვენებინა თავი ჭირისუფალთათვის.

როცა ეველამ გული მოიჭერა გლოფა-ტირილით, რომა კაცმა სკაცეს ასწია სამჯერ აწევ-დაწევით, ე. ი. მიწაზე დაშვებით, ხოლო

მეთხედ შეუსხდენ საკაცეს: მიცვალებულს წინ მღვდელი მიუძღოდა, უკან ხალხი მისდევდა. სახლში მხლელად მზარეულები დარჩნენ, რომელნიც ადამს ამზადებდნენ. საკლავები დახოცეს, რადგან ხსნილი იყო. თუ ხსნილი არა, უნდა ცერცვის ან ლობიოს საჭამადიო გამაჭსპინძლებოდნენ ხალხსა და მკვდრის „სულის ასახსნელად“, კარახელის ოჯახობას შემდეგ როდისმე საკლავი დაეკლა. უამისოდ „სული არ აქსნებოდა“ მკვდარს, იმას, თითქოს საიქიოს მისასვლელი გზა დაკეტილი ექნებოდა... დაღლილებს სხვები ეცვლებოდნენ საკაცის ზინდაში და ამრიგად მიასვენეს სასაფლაოზე, სადაც კუბო, მკეუბოვე და შესაფლავებები ელოდნენ მიცვალებულს ..

აქაც, ვისაც გული ერჯოდა სტირლად, გამოიტირა მკვდარი. შემდეგ იგი მიასარეს მიწას და გამობრუნდნენ კარახელის სახლში სახლად, შინდობის სათქმელად. მიცვალებულს საფლავის თავით და თქვითი წვეტიანი ქვეები დაურჭვეს, საკაცე ზედ საფლავზე დააგდეს.

კარახელის სახლის ეზოში დაჯარებულს ხალხს „მრიგეები“ (მოთავადარიკე) ურიგებდნენ ლავაშებს, ხმინდისა და ქადის ნაჭრებს, ხორცის „წილობებს“ (ნაჭერი). სასმლის მრიგეებს დოქები ეჭირათ ხელში და ყანწებით ურიგებდნენ სასმელს დედაკაცებს ცალკე მიხეული, ხოლო კაცებს ცალკე. უველანი, თითქოს შეთქმულობა ჰქონდათ, მხლელად კარახელის შესანდობარს ჰსვამდნენ, იმის მშობლებისას, „მკუბრებისას“, ე. ი. იმ მიცვალებულებისა, რომელნიც კარახელს საიქიოს წინ მიეგებებოდნენ. სირცხვილად მიასნდათ ვისიმე სადღეგრძელო დაეღიათ, ღლის, წამის შესაფერად არ მიასნდათ. ჭირისუფალნი არათერს ჰზოგავდნენ, რომ „თავზე რიგი“ (პირველი რიგი, წირვა) კარგი გამოჭსლოდათ, არავის დაეძახა: „მკვდარი კარგა ვერ. დაშარხესო“. ხოლო კარგ დამარხვას თმავლები იმას ეძახიან, მკვდრის ზეტრანმა, რაც შეიძლება მეტი ხარჯი გასწიოს, მეტი სასმელი და საჭმელი დასარჯოს. მეტი ხარჯის გაწევას თითქოს საწმინდობრივი მნიშვნელობა აქვს. მიცვალებულის ცხონებისთვის, ცოტად თუ ბევრად, „რიგს“ აქვს საკუთარი ძალა და ამიტომ, თუ მიცვალებულს ჭირისუფალი ზეტრავს სცემს, არც ხარჯს უნდა მოერადოს...

როცა კარახელის ცოლს, ან შვილებს „ჭირს უწევდა“ (მისამძიმრება) ვინმე, ასე მიჰმართავდა, მაგალითად შვილს: ..დმერთამ ხო

იცის. მეწეინა თქვენი ზარალი, მამისული გიცხონოს, ვინც დაჭრნით გამეთუნესთ, დატემისად აგაუენოსთ ღმერთმა. რა უყოთ, ყველა სიკვდილის შეიღებო ვართ, აქ არაფინ დავრჩებიოთ, ყველა იქ წავალთ. წადი და მოგეწევიოთ, ასეთია ჩვენი სიტყვსლე, წუთისოფელი. ზარალი ღმერთმა ზარალად გაკმაფოსთ და მამის გამგონედ დიდხანს გაცოცხლოსთ“...

ბინდმა მოატანა, რომ ხალხი მაშინდა დაიშალა, თავ-თავიანთ სახლებში ბრუნდებოდენ. ჭირისუფალთ ეთხოვებოდენ ამ სიტყვებით: „მშვიდობით იუკენით, ჯვარი გეწეროსთ, ღმერთმა ნულარა ავი და ურიგო მოგარგინოსთ, ჭირის სუფრა ღვინისაზე შაკაცვალასთ, თქვენი თვალი და გული ნულარაზე აატეოსთ, ხვალ ეს ხალხი საღვინოდ შაკეიაროსთ“.

„რიგისა“, გეწეულის ხარჯისა, ყველა კმაყოფილი დარჩა. უამბობდენ თუ ვინმე შინაური ან გარეული ჭკითხვად, რომელიც არ დასწრებოდა მიცვალებულის დამარხვას: „კი რიგი ქნეს. კარგა დამარხეს შკვდარიო“. მიცვალებული „დამარხულად“ ჯერ კიდევ ჩასათვლელი არ იყო, რადგან აკლდა ჯერ კიდევ ბევრი „რიგები“. „შვიდის რიგი“, „ორმოცისა“, „წელ-თაობა“, „სულთა კრეფა“. კარახელის ოჯახი მოვალე იყო ყველა ეს „რიგები“ გაესტუმრებინა, რომ საუკუდური არ დასდებოდათ თავზე და არაფის დაუფუდრებინა: „თქვენ რა ხალხი ხართ, შკვდარი დასამარხავი გეკათო. მაშასადამე „დამარხვა“ შკვდარის მარტო ოდენ სათვლაში ჩათვლით არ განისაზღვრება, არამედ ყველა იმ წესების ასრულებით, რასაც ჩვეულება მოითხოვს.

ამავე ჩვეულების ბრალია, რომ მიცვალებულის ნათესავებმა უნდა იგლოკონ შკვდარი, ვისაც რამდენი ხანი ეპრიანება, ხოლო არა ნაკლებ ერთის წლისა: მამაკაცები იუენებენ თმას და წვერს, ხოლო დედაკაცნი იცვამენ შავებს, იჭრიან თმას, ნაწნავებს. ეს ნაწნავები მიცვალებულის „ლოგინს“ ამკობს ვიდრე იგი არ „აიღებს“. ლოგინი იმართება ერთ რომელიმე სახლის კეკელთან აკალასჩინო ადგილას. ლოგინს შუადგენს ქვეშისგები—ძირისაც და ზედ სახურავად ნაბდები მიცვალებულისა, სკარეო, სუფთა ტანისამოსი ყველაფერი ერთი ხელი, ქამარ-ხანჯარი, ხმალი, დაშაჩა და სხვა; ხოლო დედაკაცისა—მისი ტანსაცმელი და სემკაულები. ესე ლოგინი წლის განმავლობამდეა

სრულად, უკლებლად; აგივე შეადგენს „სატირელს“. ხომამ ქმრის, კარახელის, ღოგინი წესიერად მოაწყო; კარახელის ღებმა თმა მოიჭრეს, აგრეთვე სანდომ, კარახელის ქალმა, მშობელ მამაზე და ეს თმები მიცვალებულის ღოგინზე ეწყო ტანისმოსთან ერთად. მახარკმ და ღვთისომ, კარახელის შვილებმა, თმა მოუშვეს ნიშნად გლოვისა: რაიბულმა, ძმამ მიცვალებულისამ, თმა და წვერი დაიყენა, აღარ მღეროდა, აღარც თამაშობდა, აკლებდა თავის თავს სიამოვნებას. მუდამ შინათობით ხომისას გამოჰქონდა ქმრის ღოგინი გარეთ და ტირილს ჰმართავდა, მეზობლის დედაკაცები მხარს უჭერდნენ; ტირილს რომ გააწყობდნენ და „სატირელს“ აიღებდნენ, ვეკლას ჰირი იქვე, ადგილობრივ, უნდა დაეხანა, ცრემლიანი სახე მიცვალებულის ეზომი ჩამოერეცხა. მოზარე, როცა ზირის ბანას გააყავდა, იტყოდა: „ღმერთმა აღალი უფოს ჩემი ცრემლით“.

ქმრის დაკარგვამ ხომია არ მოადუნა კი, არამედ უფრო გაამხსენკა, დღე და ღამეს ასწორებდა, შვილებსაც, რომ იტყვიან, ცეცხლის ჯანკარში ატარებდა: „ადგით, ახა, საქმე გაიკეთ, ვისი-ღა იმედი გაქვთ, განისარჯებით, ნურაფიზე უკვენ დარჩებით, ნუ დაჰხდებიო თითიო საღირებნიო. სირცხვილი მოგადგა, სიკვდილი განატარა... ჩვენ სიკვდილი მოგვადგა შვილო და თანაც სირცხვილი მოიყოლა თან და მოგვეუდა კარებზე, ჰასუხი უნდა გავცეთო“.

როცა „ჯერის აავს“ (კარგი საჭმელი: ხინკალი, ხავიწი, ფაფა, ქადა ხორცისა, ან წვნიანი რამ ხორცეული საჭმელი, ხაჭაპური) გააკეთებდა, უეტველად უნდა „სახელი შეეღვა“ მკვდრებისათვის, მოესხენებინა მკვდები. როცა სუფრას გამზადებდა, სხილენძის ქათქირზე ნაკვერჩხაფს დაჰყვრიდა, ზედ ცოცხა საკმელს, და მოავლებდა აავს სუფრას საჭმლისას და სასმლისას თუ იქნებოდა, თუ არა და თუნგიო, ან ჭურჭლით (ნიტრა) წყალი მანინც უნდა მდგარიყო, წარმოსთქვამდა შემდეგ სიტყვებს. რომელსაც ჰქვია „სახელის შადეხა“: ღმერთო, შენის მოცემითა, აღლის მუშის მადლითა, ერუსაღემის მადლითა, ღმერთმა შავიწუფანესო ჩვენო მკვდრებო, ძველო და ახლებო, თქვენსამც ნებას იქნება ეს სასმელი, საჭმელი. თუ ვინ თბოლი, უპატრონო, გებირებოდესთ დაიწვიდეთ თქვენთვის გაქმერებული. რასაც მე, ჩემის უცოდრობით, ხსენებან გაკლებდეთ. იმის სავაკე-

როდღა ღმერთმა მოგისხსენოსთ... ამ წესის აუსრულებლობა დიდ ცოდვად მიაჩნდა. ხოშის მკვდრების უფრო შიში და ხათრი ჰქონდა, ვიდრე ცოცხლებისა.

შამის ერთი თვის გარდაცვალების შემდეგ გამახარებ მამისათვის ღაბაძე*) დაღვა. ერთი კარგი მოვლილი ჭედია და ქალმან-წინდები, დედამაც ხელი მოუმართა, რასაკვირველია. ღაბაძისთვის თოფის სროლა მკვდრის საცხონებელ საშუალებად არის ხალხის მიერ ცნობილი. რამდენიც მეტი ტყვია ესროლება ღაბაძეს, რამდენიც მეტი თოფი დაიჭუხებს და გვიან მოჭხვდება, გვიან ვინმე „აიდებს“ იმდენი კარგია, შედგათაი მიცვალებულის სულისათვის. ღაბაძის ზატრონს ამიტომ, თუ მალე „აიდეს“ ღაბაძე, ე. ი. მალე მოარტყეს ნიშანს და დიდხანს არ გასტანა, საწყინოდ ჰქრება.

გამახარებ მოწერა ვერცხლის მანათიანის ტოლად ზატარა ოახკუახი ფიცარი და კარგა შორს დანიშნა სასროლი მანძილი, იმავე მოსაზრებითა, რომ მალე არ „აედოს“ ღაბაძე. თუ გაძნელებოდა შორს მორტყმა ტყვიისა, შეიძლებოდა დახლოვება, „ჩამონაცვლება“, „გაღანაცვლება“ — შეცვლა ღაბაძის სადგომ ალაგისა. მუდამ კვირუქშეობით კარახელის ეზოში იკრიბებოდნენ „მეთოფეები“ (მსროლელები), დაადგენებდნენ ღაბაძეს, იმართებოდა თოფოსნობა. თიანჭმის ეველა მსროლელებს თითო ბოთალი არაუი მოჭქონდა თანა, რომ შენდობა ეთქმევიანებისა მსროლელებისათვის, — ეს საშუალება მიცვალებულის სულის მოსაბირებელი, მოსამადლიერებელი, რადგან სული „აიდდას“ „ღაბაძეს“ ვისთვისაც გაიმეტებს იმას ადებინებს, იმას მოუმართავს ხელსა. ეველა მსროლელები ცდილობდა თოფი კარგა ესროლა, ტყვია სწორედ მიეგვანა, თუმცა ისიცა სწამდა, რომ „სულა“ იმას მისცემდა, ვისთვისაც „ემეტებოდა“ (ემეტებოდა). სროლის გათავების შემდეგ ჭირისუფალი მსროლელები ზურს აჭმეველა, ღაბაძე შინ მოჭქონდათ შესანახავად, ვიდრე მსროლელები არ აღმოჩნდებოდა. დაზარალებულ, მკვდრის ზატრონ ოჯახთან ეველა კარგე ზიარი კრიდებოდა ჩხუბს, დავა-დარაბას; უოველივე დაზარალებული ოჯახ-

*) ნიშანი თოფის სასროლად, რომელსაც სდგამენ 400—500 ნაბიჯზე. ფიკარია მოწერილი, ზედ ზატარა ქალაქი აკრავს.

ხის წვერი „პირ-სისხლიანად“ არის სახელწოდებული და ეგელა მო-
რიდებულია იმასთან შესლას, მის წვერინებას. თვით მიცვალებულის
ხატრონნიც თავ-დაჭერილად იქცევიან სოფელში და ერიდებიან იმ-
გვარ სქემს, რომელიც მეზობლის გაჯაგრებას გამოიწვევს, შუღლს,
რაც კარდაცვალებულის სულს აზნებს და არ არგებს, მკვდრის „სულს
დაუმძიმებს“. ღმერთი, თათქო, შურს იძიებს მკვდარზე იმის ცო-
ცხალი ნათესავის უგვან ქცევისათვის.

III

ხომიას თუ ცალი თავალი და უური ოჯახზე ეჭირა, მეორე კარ-
დაცვალებული ქმრისაკენ ჰქონდა მიზერობილა: თუ კარახელი ხორცი-
ელად მოკვდა, იგი სულიერად ისევ ცოცხალია; მისი სული უჩინა-
რად, აღმინათა შეუძინეულად დასტრიალებს დაბლებულ ოჯახს, ჰსურს
გაიგოს, რა უჭირს, რა უღბინს კარახელის ცოლ-შვილს. მაგრამ გა-
ნა ათვად კარახელის სული კი არაფერზე დონდება, არაზე სწუხს?
რამდენი რამ უნდოდა ერთქვა სიცოცხლის დროს სულის დაღვეის
ყამს, მაგრამ სნეულებამ არ მისცა ნება და ეგელა სათქმელი, სწუ-
ხარი, რაც რამ ჰქონდა, საფლავში წაიღო, თან გაიუღლა. მისი ფი-
ქრები საიდუმლოებად არ უნდა დარჩეს, უნდა გამოაშკარავდეს, უნდა
დაწვრილებით გაიგოს ეგელა ეს მისმა მეუღლემ. საით? როგორ? —
ძალიან ადვილად. რისთვის გაუჩინა ღმერთს მამ მკითხავი? რომე-
ლი ჯურის მკითხავი უნდა მიჰმართოს მამ ხომამ? რა თქმა უნდა,
„სულის მკითხავს“, რადგან „ხატის მკითხავი“ სულისას ვერაფერს
იგებს, იმან მხოლოდ იცის, ავადმყოფს რომელი ხატის „მიზეზით“
აქვს მისეული „სეგდა-სნეულება“. სულების გამოწვევის უფლება სუ-
ლის მკითხავს ეკუთვნის მხოლოდ, უფლისაგან აქვს მინიჭებული
ძალა, გამოიწვიოს სულები და „პირის ქარი გააშლეინოს“, ე. ი.
ააღაპარაკოს. თუმცა ისიც კი შეიძლება ხატის მკითხავი სულისაც
იუოს. კარახელის სიკვდილის შემდეგ ერთმა გვირამ რომ ჩამოიარა,
ხომია მოემზადა მკითხავთან წასსვლეულად. გამოაცხო გვერები, ლა-
ვაშები, ხატარა ტიკტოკაში არაუი ჩაისხა, ეგელა ეს გუდაში მთა-
თავსა. წინაღლითვე თავის განზრახვა მანდს რაიბულს შეატყობინა და
იმისგანაც თანხმობის ზასუხი მიიღო. ორშაბათს, დილით რძალ-მანდ-
ნი არაგვის ჭალაზე მიდიოდენ, ჯოხების ბჭენით, დიდის ფიქრით

და მიზნით დატვირთულნი წინ რაიბული მიაბიჯებდა ვიწრო ბილიკ-ზე დინჯად, დარბაისრურად, უკან ზურგზე გულა აკიდებული ჩაკჩაკით რძალი მისდევდა. ორივენი ქვეითად იყვნენ. შუადღე იქნებოდა, როცა მკითხავის ციხე-დარბაზს მიაღწიეს. გულ-ჭირანის სტუმრებს მკითხავი დედაკაცი, ჯავარა, გულ-ჯავრიანად დაუხვდა და საღმის ნაცვლად სამძიმარი მიაგება. „გულის ჭირი სიხარულზე შეგიცვალათო“. არ გაუგვია ნახევარ საათს, რომ ჯავარა უკვე თავის როლს ასრულებდა: სანთლები დაენთო; ოხრავდა, ამოქნარებდა, თვალებს ჰკულავდა, მშობიარეს დაემსგავსა და როდის-როდის მოჰყვავ ბოდვას: რაიბული და ხოშია გულის ფანცქალით, გაფაციცებით შეჰქურბდენ, სმენათ გადიქცენ, რომ თვითვეული სიტყვა მკითხავისა დაესმოგნათ, დაბლა არ დაეშით: „ოჰ, მოვიდა, მოვიდა. რა ეინბი (კარგი) ვაჟკაცია, ლამაზად გაზღილი:—„მადლობელი ვარ, ჩემო ზატრონო, რომ მიკითხე და ზირისქარი გამაშლევიეო. საწყლებო, საწყლებო, სტირით და სჩივითო. ვაჰმე ვერ მოუარეთ კარგა, იქნება კიდევ რა კშელებოდაო! სუ ტუილიაო, ჩემი წერა ეს იყო, უმწერლოდ არა ვარ მკვდარიო; ცხრანი დამიხვდენ, ცხრანი ღვთიშვილიო (ხატები, სალოცავები), რომ მიმიყვანეს დამბადებლის კარზედაო, მამამევა ლადი ლამარის ჯვარიო, დამეხმარა მამიჩემის სიაღწეო. სიაღწე-სიმართლის მეტი არა ეოფილა აქ კაცის მეშველიო. მიეცითო ჩემი ტანისამოსი ბეჩავს, უქონელსაო. კადეკაც გვეხედვებოდა უბედურობა, მაგრამ ვეხვეწე დამბადებელსაო, შვიდ დღე-ღამეს დამბადებლის კარზე ვიყავ დანოქილიო, ვეხვეწეო, დამეხმარა ლადი ლამარის ჯვარიო, მთავარ-ანგელოზიო, აცადინეთ იმით წყალობით რისხვა დამბადებლისაო, ემსახურებით საკლავებითა, სანთლითა და ზღვრითა, ნუ გამაწბილებთო, ზირ-მაჟად ნუ გამამიყვანთო, ცხენი მჭირდება, საფერხე და ფეხსამოსიო, ცრემლი არ მკვლიაო, ვინდლო სხ-კარი კარგა მამინახოთ და მამულები არ გამიყამირათო...“ როცა მკითხავიდან საშინაოდ დაბრუნდენ რაიბული და ხოშია, გზაშივე, ღუქანში, ხოშიამ ჩუსტები იყიდა და ქალმების (ქლამნები) მაგივრად სატირელზე ისინი დააწეო; სამის წლის კვიცი რომ ეზრდებოდათ, ქმარს ის დაუყენა: „სულის ცხენად“; იმის გაუიღვა, გაცვლა უფლად შეუძლებელი იყო, უნდა შინ დაბრუნებულიყო და მომკვდარიყო.

კარახელი რომ გარდაიცვალა მთელი იმისი ქონება ცოლ-შვილის ხელში ღარჩა: ოცი სული ძროხა წვრილი და მსხვილი, ოცდაათამდე თხა-ცხვარი, სამი ცხენი, ცხრა-ათი ძირი ფუტკარი. სხილენძეული—ოჯახში საჭირო ქვაბები—საჭაღაფო ქვაბი, სასაჭოვე ქვაბი (ღოს გასათბობი), ტაფა, საარაყე ქვაბი (არეის სახლედი) და სხვა. სამი ოვადი სახლი ღერეთნითურ, მიწური, მოქცეული ბოსელი ზედ საბძელ-დადგმულა, საფუტკრე, ბუტულა წისქვილი ძმა რაიბულთან ზიარი და სამთო ქონი (საზაფხულოდ საცხოვრებელი, როცა იადალზე გაჭრეკავდენ საქონელს). საფუტკრე სვილის (ჭვავი) ნამჯით იყო დახურული, წიული, სადაც ფიცრებზე იყო დაუდებული ხოკრები ბაღისა და თელის ქერქისა ფუტკრის თავ-შესაფარად, სახლკარად მიჩემებული. როცა თაფლის ამოღება დასჭირდებოდათ ერთ საშუალებას ხმარობდენ, ძველს, მამა-პაპურს: წაიღებდენ ღამე მდინარეზე ფუტკრით სავსე ხოკერს, ჩსდგამდენ წყალში, გაჭრეკავდენ და ისე აცლიდენ შოთებს. ვინც გეჯებით ინახვენ ფშავში ფუტკარს ისინი „სწველენ“, ე. ი. ამოართმევენ რამდენსამე შოთს და რაც ზამთრის საკვებად ეუთვა იმას უტოვებენ. კარახელი მონადირე იყო და ფუტკრის ხელობაც იცოდა ტყეში იზოვნა ფუტკარი ხეში, რომელიც თავსა და ბოლას გადახერხა, მოიტანა შინ და იმაზე გააშენა. მთისა — საქრე და ბარისა—სადივე მამულები ოცი ღღისა ეჭირათ აჩაჩით სახნავი, აკრთვე სათიბრად „ორი მთა“, რომელიც ერთ ღესეტინას ძნელად შეადგენს. ასე რომ სახნავ-სათიბი სულ ხუთ ღესეტინამდე ექნებოდა. თუმცა ფშავეთი მთიანი ქვეყანაა, მთაა, მოკლედ რომ ვსთქვათ, მაგრამ ადგილობრივნი მკვიდრნი ამ მთის ადგილებს ორ ნაწილად ჰყოფენ: მთა და ბარი; მთას უფრო მაღალ ადგილებს ეძახიან, სადაც გვიან მოდის ჰური, თუ ხილი; ბარი—დაბალი ადგილები, ჭაღის პირები, სადაც უგულაფერი ადრე მწიფდება და თოვლიც გვიან მოდის მთისსათან შედარებით. „მთას“ ეძახიან აკრთვე თვითველს ნაწილს მთის ფერდობზე ცალკე ადამიანისას სათიბად მიზომილს სოფლისაგან. ერთი „მამული“ კარახელს კარებზედ ჰქონდა, როგორც ჩვეულებრივ უგულა ფშაველ მეკვეთურს 3—4 ღღის სახნავი, ბარულ ღღიურზე ცოტა მეტი, რომელსაც „კარის პირს“ ეძახიან. ფშაველი უკარისპიროდ მეკვეთურობას არ მოკვიდება თუ საქარისპირზე „მამული“ არ იქნება. იმიტომაც არის, რომ ას

კვამლიან სოფელში ერთად ორ-სამ კვამლზე მეტს ვერ იზღვნი, ვეღლა ცალკე, განმარტობით ცხოვრობს, მთელი სოფელი 6—10 ვერსსავე გაჭიმული და ფშაური საბძლები აკონიულ მამონტის ჩონჩხივით ზოგი სად აწენს ცხვირს და ზოგი სად ცის ტატნობზე. ეს კარისპირები საშვილიშვილოდ საკუთრებას ფშაველისა და იმას სოფელი ვერ შეახუბა მამულების გაყოფის დროს. თუმცა კი დაიზომება და თუ მეტი მოვა, იმის სანაცვლოდ სხვა გარეშე მამულს ჩამოეჭრება და მიეცემა, ვისაც აკლია.

კარახელი საშუალო კაცად ითვლებოდა ეკონომიური ცხოვრების მიხედვით და ხარჯსაც სოფელი ამ კვალობაზე აწერდა.

ის დაფიფიწეთ, რომ კარახელს სამკვიდრო ბინის გარდა ორგან სხვაგანაც ჰქონდა ბინა და ამ ბინების კარის პირები (ახოები) იმავე პირობით ეჭირა, როგორც კარის პირი საშვილიშვილოდ, განუყოფელად. ზამთრობით, ვიდრე საქონელს ეუფოდა საჭმელი (ჩაღა, თივა) კარახელს ამ ბინებზე ედგა ძროხა, იქა ჰქვევბავდა.

ენკენისთვე გავიდა, ბარში სამკალი და სათიბი გამახარემ მოიკლო, ხოლო ძნა ისევე „ხუთულებად“ (ერთმანერთზე დაწყობილი) აგებული ედგა მამულებზე მოსატანი, ეგრეთვე თივა სარებად აგებული. მთაში კი ქერი სპი დღისა კიდევ მოსამკალი ჰქონდა, ეშურებოდა: რამდენჯერაც წამოჭეინჯავდა, წვიმაში თოვლს ურევდა, თავსხარსა სტემდა, რომ ჩვეულებრივ, უანა (ქერი) არ დაეტანა თოვლსა. იმ წლის მოსავალს მთის კვალობაზე არათერი უშავდა, ქერები ჰურიანი იყო და არ ემეტებოდა ქარსა და წყალს წაქლო წლის მოსავალი. მერე ცოტა ხარჯი ხომ არ მოკლოდა, მკვდარს, მამას „დამარხვა უნდოდა“. ბარის მოსავლისაც კმაყოფილი იყო: ხუთ კოდამდე დიკა ჰქონდათ დათესილი, ხუთმეტი კოდის ამედი ჰქონდა. ასლებიც კარები იყო, არცარა გაზათხულის სვილს (ჭეჭვი) უშავდა. სამოცამდე თივა ააგო მთაში (თივა—5—ნ ფუთამდე), მაგრამ ისიც „დასაგულო“, ისეთ ბინაზე დასუენებელი, რომ თოვლის ზვავს არ „დაელოა“, არ „ჩამოკურა“, ე. ი. არ წამოქლო, ზამთარი კი ხმაღ-ამოწვდილი თავს ადგა. ქერებს გადარჩა, „აწერავა“, (წერა—6—8 ძნა ერთმანეთზე მიუუდებული), რომ გამომშრალიყო, წვიმას არ წაეხდინა და ერთ მათ დილისთვის მეზობელი მეცხვარე დაიბირა, ეშველა თივის დავუ-

ლებს „ხელ-ნაცვლივ“. სამმა კაცმა, ორმა ძმებმა და მესამემ მეცხვარემ ორ დღეს დაიგულებს თივა, დააუენეს უშიშარ ადგილას, მაგრამ დაგულებული თივა მინც გამახარეს სხლზე 3—4 ვერსის მანძილზე იყო დაშორებული: მინამ თოვლი არ მოვიდოდა თივის მოტანა სხლში ყოვლად შეუძლებელი იყო, თოვლში უნდა ჩამოთრილიყო დახლა, ჭლასში და იქიდან ხარით და მარტუდლით (ცალი უდელი) უნდა თითო თივა, კავით და საბლით მაკრა შაკონილი, გამოებოთ ერთის ხარისათვის და ისე მოეთრეინათ სხლში. თუ გზა გაფუჭდებოდა და ხარი მარტუდლით ვერ მოიტანდა, უნდა უდელი ხარით ეთრეინათ თივა და მაშინ უკვე „უალები“ (მარხილის მსგავსად შეკრული ფიცრები) ან „მანჯიკა“, (ორ-ტოტი ხე) უნდა მიეშველებინათ. უალებზე შემჯდარი თივა უვნებლად და უკლებლად მოვიდოდა სხლში უხეტ-მხეტ გზებზე. და განა მარტო თივის თრევა დასჭირდებოდა გამახარეს? ჩაღისაც, რასაც მთაში გაჭლეწავდა და ძნისაც, რის გალეწვასაც ვერ მოასწრებდა. ასე რომ ზამთრის საქმე ზაფხულისას თუ არ აღემატებოდა ნაკლები არ იყო. უველა ამ საქმეებს რომ გადაჭრის გამახარე, შეშის მზადებას შეუდგა, „სახარე“ ძეგლების კეთებას და „სატვირთეს“, წვრილხი ხეებისა, რომელიც დედაკაცებს ტვირთით უნდა შინ მოეტანათ.

დარი შემოდგომა დადგა, როგორც ფშავლები ამბობენ, „გაინსთველხმელა“. გამახარემ ბარში რაც ძნა და თივა ჰქონდა, უამირის, ნახსატების წოწლოკინა სარები და მათივე მსგავსი „ძნები“ (ძნის ძირები) ააგო. მთაში ქერის ძნაც გალეწა, „ჩალები“ (ჩაღის ძირები) ააგო, მთის თივების მსგავსად ფორმით, წონით და ზომით. ჩამოვიდა ღვინობისთვის სამი კვირა, ძალიან ახლო იყო ზამთარი. აიღ-დაიდო გამახარემ თავის წლის მოსავალი, კაცის სარდო, საქონლის საჭმელი და გადასწევიტა, საქონელი, რამდენიმე სული, ბარში, კახეთისკენ გაუკეკა, როგორც მის მამა სჩადიოდა და სხვა მისი მეზობლები. შეიპირა ორი მეზობელი საკახეთოდ, ბაია ღ შავკრდი, უნდა მჭვარტლის წუალზე ჩასულიყვნენ, სადაც საქონლისათვისაც კარგი იყო და კაცისათვისაც, ნამეტნავად უჭებდნენ ამხანაგები სხადირო ადგილებს, ირმებისა, დათვების, ღორების, კვერნის და სხვა ხადირის სიმრავლეს. შეუდგა მამისეულის თოფის წმენდას, ტყვიას-

წამლის მზადებას. დედას ერთი კოდი ქერი გააკეთებინა „ხალად“ (დახალული, ქუმელი), თავისი აზრი შინაურებსაც გაუზიარა, იმათაც არ დაუწუნეს ფიქრი და გადასწევიტეს: რვა სული ძროხა, ერთი ცხენი წაესხა კახეთს გასაკვებად. შინ დაჰრჩათ რამდენიმე ფური და ევგარი გუთნუელი ხარი. ხვნისა თავად შინაურებს უნდა ევარაუდნათ, ვიდრე გამახარე დაბრუნდებოდა კახეთიდან, გაზაფხულამდე.

პირველი გიორგობისთვე გათენდა. სწვიმლა და თან თოვლს ურევდა. გამახარე და იმის ამხანაგები დაბარგული ცხენებით ბოწახის ჭალაზე მიდიოდნენ, მხარზე თოფ გადაკიდებულები. თოფები მარჯვის ჩულებში ესხდათ. ხალხი ორის—ბაისის და შავერდის—მოჯერ-მარილეები, ორმთცამდე სულს საქონელს მიეკრებოდნენ რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, რომ მთაზე მალე გადასულიყვნენ, გზა არ შეკრულიყო. გამახარეს ამხანაგების მოჯერ-მარილებს ხუთ-ხუთი სული საქონელი მიჰყავდათ თან გასაკვებად. უნდა იმათ საქონლის საბალახე ბაის და შავერდის ეკისრნათ, აგრეთვე სმა-ჭამა და ფეხსაცმელი იმათი, ნანადირეშიც უნდა წილი დაეღვათ, ხალხი იმათ უნდა მოეყოლოთ, როგორც თავის საქონლისა, ისე „მონარევის“ საქონლისათვის. ეს იყო იმათი პირობა. გამახარემ ჯერ-მარილზე არავინ გაიყოლა თან, რადგან მოსავლელი ბევრი არა ჰყვანდა-რა, ხალხი ვინც იმის საქონელს მოუვლიდა, როცა ის სანადიროდ წავიდოდა, მაშინ იმასაც უნდა გაეზიარებინა ნანადირევი, როგორც ამხანაგისათვის.

IV

სახალწლოდ „ჯალათი თვალის დასავლოდ“—სანახავად, შავერდი, მონარევე გამახარესი. მოვიდა ფშავში, სოფელ ხომში ღამე და იმავე დღით გარიყრაყზე, თითქო სულიწმინდას ჩეკონებინოს, დაიწიეს მოღენა „მემძროხეების“ ჰატრონებმა შავერდისთან „ამბის გასაკოდ“. უგელაზე ადრე ხომია მივიდა და გულ-დასმით მოისმინა ყოველივე შავერდის ნათხარი.

„აბა, როგორა ხარ ბიჭო, ხო არა წავიხდათ, ხო არა გაგიჭირდათ კაცს ან საქონს? ან ის ჩვენი ბაღლი რასა სჩადის, ხო არას ავადობს, ან ძროხანი, რაც წამასხნა, როგორა ჰყვანან? ჯერი ძალიან ძვირია?“ ჰკითხავდა ხომია შავერდის.

— დღესნამდე, დაილოცა ღმერთი, — უხასუხებდა შავკრდი, — არა გავგჭირებია არც კაცსა, არც საქონსა, სუ კარგა ვიყუვნით. კაი ალაგ-შის ვართ, სათავადომი, კაბალზე დაფიჭირეთ ალაგი, სსსაქონედ კარგი უოფილა. ჭრის ნება არ გვაქვ, მაგრამ თუ საჭირო იქნა იმასაც ვახერხებთ, მეგვლეები გვყავ მოყენებულნი, ზატრისა ვცემთ ნადირის ხორციით, ზოგი იმით, ზოგი ამით და, ღმერთმა უშველოსთ, იოლად მიფუჟვივართ. გამახარე ძალიან მონადირე გამოგვადგა, საგავი გაავლო ნადირსა, ხელ-გახსნითაც არი. ორი-სამი ირემი მოგვიკვია, ღორები რამ დახატა, ოთხი დათვი მოკლა. მანამ ბთას თოვლი დაიჭერდა საჯინებებსა ვწვდებოდით, ჯინებებსაც დასდევდა. ორი ხარ-ჯინვი მოგვიკვია, სამი ფსიტი. შვილებს ხო სათვალავი არა აქვ მართლად, ქალაღი გამომატნა თქვენთან, იქით უფრო კარგა კაიგებ და დაიწმუნებ. — სთქვა რა ეს შავკრდიმ, უბის ჯიბიდან ოთხ-კუთხად დაკეცილი, თიკში გამოკრული გაჭუჭყნილი წერილი გადასტა ხომიას და იმანაც ჩიქილის (მანდილი) ტოტში გამოიკრა, რომ შვილისთვის, ღვთისოსთვის წაუკითხებინა. კარგი ამბის გაკანებით შინ კმაყოფილი დაბრუნდა, შვილის, გამახარეს, უოხადობა ერთის მხრით უხაროდა, მაგრამ, რადგან ზეპირ-გადმოცემით სხვა და სხვა მაგალითებით იცოდა, რომ მონადირეობას კაი ბოლო არა ექნებოდა, სწუნდა. აბა, რომელმა მონადირემა ნახა ხეირი? ყველანი ამოწოდენ ცოლ-შვილით, — ფიქრობდა ხოშია თავისთვის, მით უმეტეს, რომ მისი ფიქრი ხალხის წარმოდგენით, შეხედულებით იყო შემოწმებული. მართალია, სწყალი კაცი ბევრს სარგებლობას ჰხანავს ნადირის ხორციდან, ტყავიდან, მაგრამ რაა ისეთი სარგებლობა, რასაც ბოლო არა აქვს, რაც კაცს ბოლო დრთს ისევე ამოჭმსამდე? თუ კი ღმერთი იმ სიამოვნებისა, სარგებლობისათვის, რასაც ნადირის მოკვლით მიანიჭებს ადამიანს, ცოლსა და შვილებს გამოართმევს, ეს რაღა სარგებლობაა, ეს რა სიამოვნებაა?! აი რას ფიქრობდა ხოშია, როცა გზაში მოდიოდა და შვილის მონადირეობაზე ფიქრობდა.

V

ღვთისოც არ იყო შინ უქმად: მთელ ზამთარს მოსვენება არა ჰქონდა, ხან კვდი და საბედი ეჭირა ხელში და გარბოდა თივის, ძნის,

ან ჩაღის ჩამოსათრეულად. მუდამ საქმეში დაი სანდო მხარში ედგა და, როგორც კარგი ვაჟკაცი, ისე აკეთებდა უველას სამამაკატო საქმეს. ხან ღვთისოს ხარები ება უღელში, მარხილით ან მანჯიკით საქონლის სა-
 კმელს ეზიდებოდა, ან შეშას. რაც სახლში საქონელი ჰქონდა კარგა
 გამოკვეთა. ღამ-ღამობით განადებულნი ცეცხლის ზირას კერაზე ღვთი-
 სო სწორკნიდა ხის კოფზებს, ნიჩბებს, სწინაგდა ცხრილიდან ცხავს ან
 სხვა რამ ხის იარაღს; ამ დროს სადედაკატო კერაზე სანდო განჩა-
 რებულნი ან მატულსა სჩებდა, ან ართავდა, ასე რომ ზამთრის გან-
 მავლობაში ორი საჩოხე ჩაართო და ორი სათარდაგე. დედაც ეშვე-
 ლებოდა თავის შუძლეობის დაკვალად; მხოლოდ ერთი ღამეს, ზარასკვე
 საღამოს, ჩვეულებებისამებრ, ჰქონდა „მჩებლის მუშა“, ხუთი თუ ექვ-
 სი ქალ-რძალი, დანარჩენი სულ თავისი და ხოშისი, თავის დედის,
 ნამუშავარი იყო.

გუთანი ღვთისომ თეებრვალშივე მება და „ზირ-მზითის“ მა-
 მულეს დაუწყო ხვნა „სადიკედ“; ზირ-მზითი, ანუ მზვარეები მა-
 ლე შრება, იქ მალე იღებს თოვლს, ხოლო „ჩდილებში“ ზოგ ად-
 გილას აზრილის ნახევარშიც ძლივს შევა გუთანი.

გუთანში ევგარი საკუთარი ხარები ებათ, ხოლო სანდო, თავისი
 და მეხრედ იყო, 1±—15 წლის ღვთისო გუთნის დედა. დალოცვილ
 აჩეჩას მეტის ცოდნისა და მეტის ღონის გუთნის დედა არცა სჭირ-
 დება. ოდონდ გუთნის დედამ ერთხელ დაისწავლოს რა მანძილზე და
 როგორ უნდა იდგეს საკვეთელი სახნისზე, ან გუთანი რომ ღრმობ-
 დეს, თუ ზეზურობდეს, საით რა ეწამლება, სხვა არათურია სა-
 ჭირო.

აზრილის მიწურვილებში გამახარებაც მორეკა ბარდან საქონელი
 და ამიერიდან სანდოს ცოტა არ იუოს შედავათი მიეცა. სანდო სა-
 კუთარ საქმეს შეუდგა, „ქსელი დაქსო“ საბძელში და ზირველ გა-
 რიჟრავიდაშვე მოისმოდა ბეჭის ხმა. სანდოს ქსლის იარაღებისათვის,
 როგორც არის, მაკალითად, უღები, ცხემლა, სახეხავი, ბეჭი, გარე-
 ები, გარა-საყვანელა, თუ სხვა დედაკატის სახელსაქმო იარაღები:
 ტარები, ჯარა-ჯარიტარი, კალათა, საგრეხელა (რაზულაც ტარს აბ-
 რუჩებენ), — დიდი დაღონება არა სჭირდებოდა, უველას ამაებს უმზადებ-
 და ნამშობი ელიზბარი, ანუ წაწალი. ამგვარ ნამშობებს გაეშმაკებული

ფშაველი მოლექსეები ძმა-ქმარას ეძახიან ლექს-შირებში, აი როგორც, მაგალითად, ეს ლექსი:

„ნეტაგ რად არ გამათხუებ,
მამაჩემო, ღთისვარო?
განა ბატარაი-ღა ვარ,
ქაღი ოცი წლისა ვარა,—
თორთ ძმა-ქმარას შვირთავ
ქალ ისითა ჭკვისა ვარა“.

თქვენ რაც გნებავთ მეტი სახელი ელიზბარს ის დარჩებით, მხოლოდ ეს გახსოვდეთ რომ, როცა ელიზბარი მოუვიდოდათ სახლში, სანდო გვერდს უწებოდა და დამეს ერთმანერთის აღერსში, ხვეწნა-კოცნაში ატარებდენ. ერთმანერთს, თუ გარემოება არ დაუშლიდა და ხელს შეუწყობდა, არც ხატობაში თუ ქორწილში მოეკიდებოდენ. ქალ-ვაჟს ერთმანერთი ძალიან უყვარდათ, მაგრამ იმათ სიყვარულს ბოლო არა ჰქონდა, სამუდამოდ ერთმანერთისა ვერ გახდებოდენ: ვაჟს უნდა თავის თემის გარეშე მოეძებნა სიცოცხლე და ქალსაც ეგრეთვე საქმარე. რამდენჯერ თავის გულში სწევვლიდენ შეუბრალებელს, უღმერთო ჩვეულებას, რომელიც სასტიკად უგრძობდას ერთის სოფლისა და თემის ქალ-ვაჟის შეუღლებას. და განა მარტო ქალ-ვაჟს, ქალწულებს შეეხება ეს ჩვეულება? დაქვრივებულმა დედაკაცმაც, რაც უნდ ღამაში, საქებური ადამიანი იყოს, გარეშე იმ სოფლისა, თემისა, რომელსაც მისი ქმარი ეგუთვებოდა, უნდა ეძებოს შეუღლე.

ასე, სანდომ საკუთარი საქმისთვის მოიცალა, რადგან იმის თეხზე ხვნა-თესვაში გამახარე ჩადგა.

ხოშია ნელა-ნელა შეუდგა „რიგების“ თავდარიკს, რადგან „მადლება-ხლარჯობა“ ახლოვდებოდა, ხლარჯობა—სულიწმინდის მოფენის დღეა და ამ დღეს ორმოცის რიგი უნდა გადაეხადა ქმრისთვის: საფქვებს ჰფუჭავდა წისქვილში, საარაყე ფქვილებსაც ცალკე ამზადებდა, აცხობდა, ორის ქვების კიდევაც „ჩაყენა“.

„სამადლებოდ“ შესანდობრისთვის სანდომ ჭრელი წინდები დაქსოვა და გამახარემ კოხტა ქაღები ჩამოსხა. ამ ქაღმან-წინდებს მიემატებოდა ერთი ჩარეჭა არაყი და კვერი, რომელსაც დასდგამდა ნიშნად, ვინც თოფს მოარტყამდა, იმას დაჭრებოდა. განა მარტო ესე-

ნი ამზადებდნენ შესანდობარს, როგორც ახალი მკვდრის ჰატრონნი, არა, თითქმის ყველა ოჯახი ამავე ურთაში იყო: ზოგი ხორცის ქადას ამზადებდა შესანდობრად, ზოგი ფუღს, ზოგი მარტო სსსმელს, სხვა საკლავს და არა მარტო ახლისა, არამედ ძველებისათვისაც, ასე რომ ,,შესანდობრის“ ღირსება მხოლოდ ქალმან-წინდას არ ეკუთვნის შესანდობრების სრულაში ყველა—დიდი თუ ზატარა, მონუცი და ჯეილი იღებს მონაწილეობას, ვისაც კი თოფი აქვს, ან ვის არა აქვს თოფი? თოფის უქონლობა ხომ დიდი შეურაცხყოფაა ფშავლისათვის? შესანდობრების სრულა იწყება ამაღლების მესამე დღეს და თავდება მეოთხეს, მაშასადამე, ორი დღე გრძელდება. რამდენიც მეტი თოფი გავარდება და მეტს ტყვიას აიცილებს შესანდობარი, იმდენი სსსამოვნოა მკვდრის სულისათვის...

ხალარჯობაც ახლოვდებოდა და, მაშასადამე, წირვის გადახდის დრო მალე დადგებოდა. გამახარემ ,,სარიგოდ“ სამი ცხენის სახალნე ღვინო გამოხდა, ოთხი ქვაბი ჰურის არაყი შინა ჰქონდა გამოხდილი. ერთი ფუთი ბრინჯიც იყიდა. საკლავები მოკეთებულანაც რომ არ შემთკსვლდა, საკუთარი ჰყავდა. შაბათს, ხალარჯობის (სულიწმიდის მოფენა) წინა დღეს ნამცხვარი თუ სსსმელი კარახელანთ უკვე მზადა ჰქონდათ რიგისთვის, ხოლო ჯერ საკლავები არ დაეხატათ, რადგან წირვა ხვალ უნდა უთფილიყო, დღეს მხოლოდ საფლავზე უნდა მისულიყვნენ, საფლავი ეკურთხებიანთ მღვდლისთვის, გაეწიათ მკვდრის ჰატრონებისათვის ,,ნუგეში“ და თავდაც მიეღოთ იგი. შუადღე იქნებოდა, როცა ხალხმა ქვეითად და ცხენებით მოიწყო სასაფლავზე მოღვნა ხომაც თავის შვილებით მოემზადა. ცხენი შეკახმეს, დიდრონ ბაღის ხურჯინში ჩაწყვეს ტიკები არყისა, ლუდისა და ღვინისთვის, ქადა-ჰურები. ჭრელს ხურჯინში (თათრული) ჩადგეს ,,სატირელი“. საფლავებზე მისვლისათანავე ხომამ სატირელი საფლავზე გაშალა, მკვდარს თავით შინ ჩამოქნილი ყვითელი სანთლის კელაპტარი დაუნთეს და ხელა-ხელა შემოკრბა დედაკაცების გუნდიც. გაჩაღდა ზარი; თითქმის ერთი მეორეს ეჯობებოდა, ცდილობდა ტირილში სხვისთვის ეჯობნა. ღვთისოს და გამახარეს უჭირათ ტიკის ჰირები და ძლივს ასწრობდნენ მოძღვნილ არყის, ღვინის თუ ლუდის ჩასხმას, მოყვანილ ბატკნების შეჯგუფებას, დაბმას. ვისაც

რით შექდლო მოდიოდა „ხლარჯობის წესზე“. ზოგს, ვისაც საკულავოთ მოსვლა ეტულა და არა ჰქვანდა, ან ვერ ეშოვნა, მოჰქონდა ზურგიელი, ან მანათიანი კელაპტარი, ან ფულად იშორებდა მოვალეობას 1—2 მანათადე. შეუძლო ოჯახებს მოჰქონდათ მარტო ქადა ერბოსი, ხმიანდი, შინაური კელაპტარი და ჩარქვით სასმელი. ასე, რომ დაღამდა და სახლში წასვლის დრო დადგა, იმოდენა სასმელი და საწარვავე მოუგროვდა კარახელის ცოლ-შვილს, რომ სახლში ძლივს წაიდეს. მაგრამ რა გამოვიდა? უგულა ეს ნაძღვნივე ისევე ხალხზე უნდა დახარჯულიყო, ერთი და ორი იმოდენა ოჯახს უნდა დაეხარჯათ თავისი საკუთარი. რიგს რომ იზამდენ განა მარტო უნდა გაეძღოთ ხალხი საჭმლით და დაეთროთ სასმლით? არა, სახლშიც უნდა გაეტანებინათ. რიგი მამ რის რიგია? დედაკაცს ხუთი შვილი რომ ჰყოლოდა, ხუთივე უნდა წაუყვანა „რიგში“ და უგულასთვის „მრიგის“ დაერიგა ლავაშები, ქადისა და ხმიანდის, ხორცისა და უგულის ნაჭრები დედაკაცებისთვის; ჩაესხა ჭურჭლებში ღვინო; ჩაედო ქვაბებში წყალში მოხარშული ბრინჯი, როგორც ფაფისთვის ზედ ერბო-დასხმული, რადგან სხვაანირად აქ ფლავის გაკეთება არ ემარჯვებოდა... ჩაესხა ჭაშებში უგულასთვის ერბო გარეული რძე. მეორე დღეს, დაწატიყბა არც კი იყო საჭირო, მთელი სოფელი რიგში უნდა მისულიყო, კაცი თუ დედაკაცი, ბაღლი თუ დიდი. კვირა დღითვე მოვიდნენ ნათესავები, მეზობლები და რიგისთვის საწარვავის მზადებაში ეხმარებოდნენ: კაცი საკაცო საქმეში და დედაკაცი სადედაკაცოში. როცა უგულავური გამზადდა, ნათესავები და მეზობლები შეუდგნენ გამახარეს და მის ბიძა რაიბულს, რომ თავები მოეპარსათ. სხვა დროს „თავმოხმარისის“ ცალკე ხარჯს მოითხოვდა, საკლავს და სასმელს. დღეს მაინც ხარჯი ჰქონდათ და ზედმეტი ხარჯი ასცდებოდათ, თანაც გლოვის გრძნობები უნდოდათ შეემსუბუქებინათ ჭირისუფალთათვის ბევრის თხოვნისა და შთაგონების შემდეგ დაითანხმეს, დაიყოლიეს ბიძა-ძმისწული თავის მოპარსვაზე. რაიბულს ზირი მოჰქნასეს, თავზე ზედმეტი თმა გადაჰკრიჭეს; გამახარეს ზირველად ეხლა შეხლო სამართებელი და როცა მოპარსულ ჟინჯლალა ზირისაზე ხელი ჩამოისო, თავისთვის გაიფიქრა: დავაჟგაგებულვარო. ხალხი უღოცვალა რაიბულს

და გამახარეს ჰიკის მთხარსფას: ,,ხვალ საღვინოდ მოგამარსინოსთ თაფიო“.

რიგი დაიწყო ჩვეულებრივ ტირილით, გოდებით, მოქმა-ზარით და გათავდა სმით და ჭმით იმგვარად, როგორც ზევით მოგახსენეთ. ხალხმა რაც მოუტანა კარახელის ოჯახს, ისევე თან წაიღო: დიაცთ ზურგიით და მამრთ მუცლით. შესრულდა მხოლოდ წესი, ჩვეულება. ეგელამ მოიხადა ვალი მიცვალებულისა: თემამაც და ოჯახმაც, ,,მკვლარიც დაიძარხა“. ბევრი ცრემლი დაიღვარა იმის გულისთვის. ცრემლი არ აკლია მიცვალებულს, სამღურაფი არ ექნება ნაღობებზე, ნათესავებზე და ბევრი სასმელიც დაიღია იმის სულის მოსახსენებლად, მრავალი შესანდობარი ითქვა.

კარახელის ოჯახმა, მისმა ცოლ-შვილმა დიდი, მძიმე ტვირთი მოიგდებინა ზურგიდან, ფრიად საშიშარ, უძლეველ მტერთან ომი გადაიხადა, ეს მტერი, ეს ტვირთი თვით ჩვეულებას, და გამარჯვებულნი გამოვიდა, მტერს სძლია. ეგელანი თავისუფლად, თითქმის, თუ შეიძლება ასე ითქვას, ბედნიერად ჰგროძობდა თავს მეორეს დღეს, რომ თავიანთი მოკვლეობა სრულიად უკლებლივ აასრულეს... რიგის გადახდის შესამე დღეს, როცა ოჯახი განთავისუფლდა სტუმრებისაგან, მისნი წევრნი ანგარიშობდენ, სწავლობდენ, იგონებდენ დაეხსომათ, ვინ რითა სცა ჰატვი, რა ნუგეში გაუწია, რომ ესენიც, შემდეგ, ბედნიერების ან უბედურების დღეს, გაჰსწორებოდენ თავიანთ ჰატვიგისა და ნუგეშის მცემელთ. ამგვარი ჰატვიგისცემა, როგორც ხალხი ამბობს: ,,სესხი და ვალიო“...

VI

მიდიოდა დრო და ხანი. ცხოვრებამ ახალ-ახალი კითხვები დაბადა. მარტო მკვდრებზე ფიქრი და ზრუნვა ვერ აოჯახებდა ოჯახს: ხომიას დაეხადა აზრი, გამახარესთვის ცოლი შეერთო, შვილისთვის ,,აღელაკაცი მოუყვანა“. მშრომელი ხელი საჭირო იყო ოჯახში მით უმეტეს, რომ ღვთისომ დაიჟინა ცხვარზე წასვლა, რადგან მეცხვარეობა სარფიან ხელობად მიანდა და უფრო ჭკვაში უჭადვოდდა, ჰხედავდა, რომ მეცხვარეობი უფრო კარგად სცხოვრობდენ, არც ჰური აკლდათ და ფულცი ჭიბეში ბლომად მოეპოვებოდათ და ვინც მხო-

ლოდ გუთანს იყო დამოკიდებული დღითი-დღე ძლივს გამოდიოდა იოლად, ვაი-ნაჩრობით ატარებდა წუთჲ-სოფელს.

ეს აზრები აღუძრა ღვთისოს შაღვამ, მეზობელმა მეცხვარემ, რომელსაც 600—700-მდე ცხვარი ეყოლებოდა. შაღვასკან ღვთისოს ბევრჯელ ჰქმენია ამისთანა სიტყვები: „დაილოცოს ცხვარ-მემ-ცხვარის გამწენი, ცხვარს დიდი მადლი აქვ, ბევრი ბანდი სცვივა; წელში ერთი ორადა ხდება, ორჯელ იზარსება, ახლა უველი ვინგარიშოთ, ხაჭო. ერთი ცხვარი წელში რაც თავადა ღირს იმაზე მეტს სარგებლობას აძლევს ზატრონს. აბა, სხვა რომელი საქონი და სყოლთა ასეთი მადლიანი?!“ ეტყოდა შაღვა ღვთისოს, როცა იალაღზე ნამყოფებს ჩამოუყარებოდათ ლაზარაკი მწეუმსობაზე.

ჰხედავდა ღვთისო თავის თვალით, რომ მეცხვარეებს დიდი სხელი და ზატვიისცემა ჰქონდათ მოზოგებულნი ხალხში, ამიტომ მეცხვარეობა იზიდავდა თავისკენ ახალგაზდა კაცის გულ-გონებას. ღვთისოს დაეკითხა ამ საგანზე ჯალაფობას და თანაც დასძინა: თუ ნებას არ მომცემთ, იცოლეთ ძალად წავალ, სულ თქვენ დაგამწერადებთ სხელ-კარს, საქონს, აღაღს გეტყვით, სუ თქვენი იუოს, და აი, მართო შიშეელის ჯოხით წავალო. ჯალაფობამაც, რა გაეწეობოდა, როცა ასე მოწადინებული იყო, ნება დაჰტო... მოურიგდა შაღვას, ამგვარი ზირობა დადევს: ღვთისოს თავისი საკუთარი 30 სული ცხვარი, მამალი თუ დედალი, ეს ცხვარი უნდა გაერია შაღვას ცხვარში, საკუთარი სერი დაელო. რაც ამ ცხვარს დასჭირდებოდა, მარილი თუ საბალახე, უველა ეს ხარჯი უნდა ეკისრნა შაღვას აკრეთვე ერთი ხელი ტანისამოსი, ტყავი და ნაბადი, ქალმანი რამდენი წევილიც დასჭირდებოდა; „ჯერი“ — სსმელ-საჭმელი აღისა იქნებოდა, რასაკვირველია, და წელში რვა დედალი თოხლიც უნდა მიეცა ღვთისოსთვის შაღვას. ეს ზირობა ერთის წლის ვადით განისაზღვრებოდა და შემდეგ, რამდენიც გაიზრდებოდა, მეტს შაიდლებდა, ჯამაგირიც მოემართებოდა...

ღიად, ხოშია ფიქრობდა ცოლი შერთო გამახარესთვის და არც გუნებაში გამახარე იყო წინააღმდეგი, თუმცა ზირობათ ასე ეტყოდა: „რა მეტოლება, ჩემო დედავ, ერთი შენი სულის ჭირიმი-და“!

— მაშ უცოლო ხო არ იქნები ბიჭო, ერთხელაც იქნება ხო

უნდა შიერთო ცოლი, ადრე არ გირჩევენა? რატო არ იცი, რო ვეუ-
ლა ადრეული სჯობია სიკვდილის შეტით?!—ეტუღა ღელა ჰასუნად.

ამ საკითხს სხვა საკითხიც მიემატა: ხოშინს აუნდა ქალის, სანდოს,
მთხოვრები, კარგი, მდიდარი, ცხვრიანი ოჯახები, რომლებიც ნაუი-
დობაშიც ცხოვრობდენ და ფუჭაშიც არა ჰქონდათ ბინა მოშლილი.
სანდო სიღამაზით, ჭკვა-ნამუსით, მეოჯახობით იყო განთქმული.
დმერთმანი, „უხელოურობას“ ე. ი. ხელ-საქმის უცოდრობას ვინმე
შესწამებდა! წაწლის ყოფა, „წოლა-დგომა“, მის სიკეთეს არაფერს
უშლიდა ხალხის წარმოდგენით, ამით სანდო დასაწინარი არ იყო, ეს
ჩვეულებრივი მოვლენაა. ოღონდ იმდენი შოკება ჰქონდა ქალსა, რო-
ცა ქმართან მივა, მაშინ შეინახოს თავი კარგად, წმინდად, ერთგული
იყოს ქმარ-შვილისა და ოჯახისა. თავი და თავი კი ოჯახია, ქმარ-
შვილიან ღელაგაცსაც კი ეპატრეება ამგვარი ცუდლურტობა თუ დიაცი
მეოჯახეა, მხნე, მომჭირნე. იმისთვის, რომ სანდოს წაწალი ჰქვანდა,
ელიზბარე, მთხოვრელები არა სწუნობდენ, მაგრამ უბედურობაც იქ
იყო, თავად სანდო სწუნობდა სხვებს, კარგ ვაჟაკებს, თვალ-ტანა-
დებს, კარგ ოჯახის შვილებს, მისი გული უკვე ტყვედ ჰქვანდა სხვას
და ეს სხვა ელიზბარე განსაზღვრავდა, რომელიც თავის ბრახს და უსია-
მოვნიებს არ უმაღლადა სატროფოს.

ამითაა უკრები
უსნდომლად არ იშლიანო.
რა ვქნა, რო არ გამოგახედნო,
თვალნი არ დაიშლიანო!

სურვილი სადამ გავტყუანე
შევემაზე ქალებურადა.
ვის რა-რა კარზე მიდგება
შაჰევირებს ხარებულადა.

ვინა ხარ? ვინ იარები,
ლაღო, მაგ ღაღის ცხენითა?
შენ ჩემო დიდო იმედო,
მზევ, მოფენილო დილითა.

უკვდავებისა წყაროვო,
მოსდიხარ ოქროს მილითა,
შენთანამც ყოფნიო გამაძლო,
შენთანა წოლა-ძილითა...
შენისამც ნამკლის ყანა მქნა,
რო ფხაზე შაგერებოდი.
ვერცხლისამც თასად მაქცია,
რო ღვინით აგეგსებოდი,
დაფერილი მქნა ოქროთა
შამსეველი—შაგერებოდი.
ანა მქნა ვერცხლის სათითე,
რო ხელზე ჩაკვებოდი.
ანამც მქნა ვარდი-ყოფილი
ცხვირ-პირზე დაგვერებოდი.

ან ვიყო მთვის პერანგი, გულს ჭავრად ჩაკეჭრებოდი.
 რა გულზე დაგადნებოდი. ანამც მხ ვიყო, მოწილე,
 ან შენი ნანდაური*) მქნა. ცოცხალს არ გაგვერებოდი.

სიუფარულის გრძობა, რომელიც ასეთ მიუწოდებელ სიმაღლემ-
 და მიღწეული ხალხურ ლექსში და ათასობით ჭეგავის საერო შემო-
 ქმედების მდგომარეობად, აღმოცენებულია წაწილობის ნიადაგზე. ელიზ-
 ბასს ან კი რად ესიამოვნებოდა სანდოს გათხოვება, სატრფოს გან-
 შორება?!. ხომია ურზე ხელს არ იკიდებდა და, როგორც მოდიო-
 დენ მთხოვრები, ისევე ისე ხელ-ცარიელნი ბრუნდებოდნენ, რადგან, რა-
 გორც ატეობდა, სანდოს სრულიადაც არ მოსდიოდა ფიქრში ქმრის
 შერთვა და არც მოუფიქრებდა იმ დრომდე, ვიდრე ელიზბასი „დედა-
 კაცს“ არ მოიუფანდა, ასე უთხრობდა გული, ხოლო მისი წაწალი,
 „ნამობი“ ცოლზე ჭერ არა ფიქრობდა... ასე, თუ ვაჟი ეღობებო-
 და ქალს გათხოვებაში, ქალიც, თავის მხრით ერთი უმთავრესი მი-
 ზეზიანის იყო, რომ ვაჟი ცოლს არ ირთავდა. ამ უფთაში მარტო
 ელიზბასი და სანდო არ არიან, ბევრი სხვა ჭეგავთ ამხანაგი, ბევრი
 ქალი დაბეჭდებულა შინ ამისთანა სიუფარულის გამო, რომ ქმარი არ
 შუერთავს, არ გათხოვილა, ხოლო კაცების რიცხვი ბევრით ნაკლებია.
 ქალები უფრო სიმტკიცეს, ერთგულებს იჩენენ სიუფარულში, ვიდრე
 ბიჭები. მოღლილი დედ-მამის ოჯახში, „მამისხში“ და მობეჭდებული,
 იმედ-გაცრეებული ზოგი მათგანი ბოლოს დროს-და ირთავს ქმარს,
 ბევრი სახლში ბერდება, აღარ თხოვდება.

ხომია ქალის გათხოვებაზე სრულიად აღარ ფიქრობდა, სამაგი-
 ეროდ მისი გონება იყო მიჭედილი იმ მხრივ, რომ გამახარესთვის
 უთხოვნა ცოლი: თავის ოჯახში ზურად-ძვირი მასშინძელი სხვისგან
 გულუნობას თხოვლობდა. იცოდა გამახარეს ვიზუდაც გული ჭჭობდა,
 ვინც უნდოდა საცოლედ და არც თითონ სწუნობდა ახადელი ბეწინ-
 ტურის ქალს ანუკას; უნდოდა საქმეს ამ თავიდანვე შესდგომოდა,
 რადგან, რაც უნდ სინარულით მიეღო ბეწინტურს კარახელაანთ წი-
 ნადადება, დამოყვრების შესახებ, იგი, როგორც ფშაველი, თანხმად
 ჩვეულებისა, საქმეს ორ-სამ წლამდე მანც გააჭიანურებდა. ვიდრე

*) წაწალი.

კარგა ხანს არ იხვეწიებდა, ბლომად ხარჯს არ გააწევინებდა, ქაღს არ მისცემდა, არ მიათხოვებდა. მაშასადამე, მაჭანკალი, შუაკაცი (მარჯუკალი) იყო საჭირო, რომ სსსძლოზე და იმის დედ-მამაზე ემოქმედნა. ამგვარ ზირად ხოშიამ დასახა სსსძლოს დედი-ძმა, ბერიძე, რომელსაც ცოტად თუ ბევრად იცნობდა. უნდა ის მოეყენა, მოემხრო, სამარჯუკლო იმისთვის მიეცა და საქმეც იმისთვის გაეკეთებინა, თუ ის ხელში ეჭირებოდა, დანარჩენს ჰატრონებს, რომელიც ქაღს აუარებელი უჩნდებოდა, როგორც იქნებოდა შეიჯერიებდა. ამ საქმის მოწყობა ხოშიამ წელს, ზათხულსვე გადაწყვიტა: როცა ხატში, ლაშარს, წავიდოდნენ, იქ ხატობაში დაეპატრონა ბერიძე, ჩაეგდო იმისთვის ეურში, კარგი ჰატრივი ეცა და ქაღთან საქმე იმის საშუალებით დაეჭირა. მართლაც ასე მოიქცა. ლაშარობის დღეობაში სხვა სტუმრებთან ერთად ანუკას, სსსძლოს, დედი-ძმასაც დაჰპატრონა, მოელაჰმარკა, იმისაგანაც თანხმობა მიიღო. ერთ დღეს ხოშიას ბერიძის „ნაბარები“ მოუვიდა, ბიჭის ცნობას ნდომობენო. ქალ-ვაჟი ერთმანერთს იცნობდა უკვე, მაგრამ დედ-მამას ქაღისას მინც უნდოდა კარგად გაეცნო სსსძლო. ამიერიდან გაჩნდა მისვლა-მოსვლა. როგორც იყო ბევრის ხვეწნის და რჩევის შემდეგ, რადგან გამახარე უარზე იდგა, რაიბულმა ბიძამ და ხოშიამ გაგზავნეს სიმამრისას, თან გაჰყვა სანდო და ელიზბარი, რომელსაც უკვე იცნობთ რა დამოკიდებულებაც აქვს კარხელანთ ოჯახთან. თან გაიყოლეს არაუი და სხვა და სხვა სანოვარე.

ორი კვირის შემდეგ, როცა ესენი დაბრუნდნენ ხოშია და მისი მახლი რაიბული გაემგზავრენ მოუფრებში „ამბის გასაკოდ“, რა შთაბეჭდილება მოახდინა გამახარემ და როგორ მოუვიდათ თვალში ქალსა და ვაჟს ერთმანერთი. ამით თან მიიყოლეს შუაკაცი ბერიძე. მაგრამ ქაღის ჰატრონებისგან გადაჭრილი ჰასუხი ვერ მიიღეს, არც „ჰლა“, არც „არა“, არ „მოიშორეს“ თავიდან. მაშასადამე, საბუთი ჰქონდა ხოშიას და იმის შუაკაცს განეკრძოთ დაწყებული საქმე და, მართლაც ორი წელი ასე ავლიეს, აწვალეს ბეწინტურიანთ ქაღის მთხოვრები და მერე ძლივს-და აღიარეს გადაწყვეტილი ჰასუხი. რომელიც გამოინატრობდა იმაში, რომ „სახლის სანახავი“ მიეტანათ.

სახლის სანახავი იგივე ნიშნობაა, მხოლოდ სხვა წესით, ვიდრე სხვაგან ვხედავთ: გამახარე უნდა წასუდიყო ქაღის ჰატრონთან თავის

წვეულებით, წაეღო არაუი და თუ ორის ცხენით არა, ერთის ცხენით მაინც ღვინო, წაუყვანა საკლავი და ჰური ნამცხვარი წაეღო. ქალის პატრონიც თავის მხრით მოემზადებოდა დანიშნულ დროსთვის. თუ ლუდს არ ადულებდა ერთი ან ორი ქვაბი არაუი მაინც უნდა გამოეხადა.

ეს დანიშნული დროც მკათათვის ო კახლდათ შაბათი საღამო, როცა სანეფო თავის სტუმრებით და სამზადისით უნდა გამოცხადებულიყო. გამახარე დაჭაბუტყა თავის ნაცნობ-ნათესავებს ამ დღისთვის და სამოცამდე კაცსა და ქალს მოუყარა თავი, რომელნიც ზოგი ცხენით, ზოგი ქვეითად გაჭყვა „სახლის სანახავში“. ქალის პატრონსაც ჰყავდა თავისი მოწვეული სტუმრები, თავისი მეზობლები, ნაცნობ-ნათესავები ამავე დღისთვის. დანიშნულ დღეს გამახარე თავის მხლებლებით, ჩვეულებისამებრ ღამე, მივიდა სიმამრის ოჯახში, მაგრამ კარკა ხნის მოუნდა კარში დგომა, რადგან, ბეწინტურიანთ თავი გამოიდექს და სახლში არ უშვებდენ. ბეწინტური, სასძლოს მამა, იმალებოდა, არ უნდოდა დაჭნახვებოდა, მიჭსალმებოდა მოსულებს მინამ კაცებს არ შეუუებდენ, არ შეხვებებოდა. როგორც იყო შუაკაცების წყალობით აყენეს ბეწინტური, რომელიც საბძელში დაწოლილიყო, თავს იმძინარებდა, ავადმოყოფობას იგონებდა, საბუთად იყენებდა. რის ვაი-ნაჩრობით აყენეს, გამოიყვანეს, მაგრამ იმან მაინც წერომის კილოთი მიჭმართა მოსულებს: „რა უჩადებოფით გვესხმით თავს, გზა-დაკარგულები დასდიხართ, ვერ გაგიგიათ თავის სახლში მისასვლელი გზა“. ხმას არაფინა სტემდა, ეგელა მოთმინებით ისმენდა, რადგან წესი და ჩვეულება ასეთია: ქალის პატრონს მუდამ დიდი გული აქვს. ბოლო დროს, ახში, მიიღო ბეწინტურმა სტუმრები და გაუმსპინძლდა კიდევაც თავის ხარჯზე, ვახშმის ხარჯი იმას ეკუთნოდა, ქალის პატრონს უნდა გაეწია. ბეწინტურს ლუდი ედუდა, ბლომად არაუი გამოეხადა, გულ-უხვობა გამოიჩინა, კარკად დაუხვდა სტუმრებს. ჯგუფ-ჯგუფად მსხდომ ფშავლების წრიდან გაისმა სიმღერა, „ლექსობა“ — ერთმანერთთან ლექსით საუბარი, შეჯიბრება.

წიწით კარატეული ვარ, ვაჭ თუ რაღა არ გამომადგეს
ხარტალს დაფალ ღამბოფათა*) ქურდიც იქნას, კახზიცა.

*) ქალის სათხოვნელად ღამით სიარული.

ნეფემ ხელი ჩამოუსვა ბაღლი არი, გალადდება,
დედუფალის საუელოსს. ეგებ ვაშლები*) დახელოს და სხვ.

ზოგები ჩონგურს უკრავდნენ. გარეთ ქალები გარმონს (ბუზი-
კანტი) აჭურტუნებდნენ, გარმონის ხმას ხანდახან სტვირის ბუბუნის
სჩრდილავდა. ქალები ბიჭებს იწვევდნენ გარეთ სათამაშოდ. გაიმართა
ღვინის—თამაშობა, რომელმაც თითქმის გათენებამდე გასტანა.

მეორე დღეს გამახარეს მოყვანილა ჭედელა დაქვას, სადალი
გაკეთეს და მოწვეული ხალხი დაჯარდა სახლის იანსუ. სასძლო
და სამეფო დასხეს ერთად, გვერდის-გვერდ; გაშლეს სუფრა, მოი-
ტანეს დიდის გობიის სავსე ღვინო და დადგეს დანიშნულების წინ,
სადაც თავ-შიშველი ხევისბერი იდგა, ხელში ანთებული სანთლე-
ბი ეჭირა და აკრავდა ღვინიანს გობზე. ამოიღო გობიდან რამდენ-
იმე თასი ღვინო უანწებით თუ კონჩხებით და დაურთა, გადას-
ცა საშატიო ზირთ, ქალისა და ვაჟის ახლო ნათესავეებს; ღვინოსთან
ერთად მიაწავდა ანთებული სანთლები. ეველა ესენი, როგორც თავ-
გად ხევისბერი, ფეხზე იდგნენ, დანარჩენი ხალხი კი, როგორც სას-
ძლო და სამეფო, ისინი ტახტად გადებულ ფიცრებზე, სანთლები
და თასები ნეფე-დედოფალსაც ეზურათ ხელში; ეგვლანი ქედებს ის-
დიან. ხევისბერმა დაიწყო ლოცვა**): „დიდება შენდა ღმერთო, დიდად
სახსენებლო, დიდება შენდა „მუნის“ ანგელოზო, ლაშარის ჯვარო,
დიდება შენდა ღვთიშობებლო, დედავ ღვთისაო, დიდება შენდა თამა-
რო დედოფლო, საქართველოს დამრიგებლო, გუხვეწებიანთ აქვეს
საუმოშიით (სახელები) ნაგონარი საქმე კეთილად მოუხდინოთ, არა
შეანანოთ, რანიც ერთად შუუარნეთ ერთ სასთაულზე დაუბერეთ, ქა-
ლის ზატრონს დღეს ქალის ქორწილი აქვ, ხვალ ვაჟისა მიეცით, ვა-
ჟის ზატრონს ვაჟის ქორწილს ნუ მუშლით. დასცევით, დაიფარეთ
ლადის მტრისაგან, მწარე სიკვდილისაგან. უმატეთ ამათ სახლისა
ღონესა, ქონესა, კაცსა-კაცრიელობასა, აგრემც გაემარჯვება თქვენს
ხმალსა, თქვენს ძალსა და სამართალსა... გაუმარჯოს!“

*) ძუძუები იგულისხმება.

**): ამას „მუნის“ ანუ ლაშარის ჯვრის სადიდებულო ჰქვიან. ის
მუნა იგულისხმება, რომელზედაც ციდან მოსული ოქროს ჯაჭვი იყო
მობმული და რომელიც ზურაბ ერისთავმა მოსჭრა.

„გაუმარჯოსო!“ დაიგრილა ერთხმად ხალხმა და ეკვლამ, ვინც კი იყო და ფეხზე იდგა, გაიმეორა ხევისბერის ნათქვამი, რამდენადაც უის შექძლო, ზოგმა კძლად, ზოგმა მოკლედ და დანარჩენმა ხალხმაც ადღეგრძელა დანიშნულები, უსურვა ბედნიერება და დღეგრძელობა.

ამის შემდეგ ამოიჩიეს „მეფარები“, ერთი სანუფოს და მეორე სსძლოს მხრით, რომლებიც „სანაწეო“, —სახუქარს, შესაწევარს ჩამოართმევდენ, ფულსა თუ ჩითეულს ჩამოართმევდენ სტუმრებს და გადასცემდენ სსძლოს, დაუწეობდენ წინ გაშლილს ხელსახოცზე სიტყვის წარმოთქმით, თუ ვისია შესაწევარი და რამდენი, საჯაროდ, და თანაც ოხუნჯობდენ, აცინებდენ ხალხსა. ნიმუშად მეტი არ იქნება მოვიყვანოთ: „გახსლათ ჩემი თავი ფოცხვერამ შავერდაშვილმა—ძმა გამახარე და რძლო ანუკაო, მართალია ცხვარი დამეღია, ვიზარალო, მაგრამ იმდენი კიდევ დამჩხო, რო ერთი ჯანადაგი გამეყიდა და არ გამოფრეულიყავ მეზობლებში, სწორ-ამხანიცებშიო. თან ისიც ვიფიქრე, კაცმა სისწორით უნდა თქვას, დაფარული ეშმაკისა არიო, ბეწინტურის ქალს ავ-კაცს ამბობდენ, გამეგონა მოჩხუბარიაო და მე, როგორც წყემსი, ნახევართ ხან შინა არა ვარ, თავ-დანებებული ჯალაფობა მუაჟ, ამ თავიდავე მოვიმადრილო ჩემზე კაი გული ჩაიდვას, ერთი მწერელ-ჩვილი (საწეალი) დედაკაცი მუაჟ, მეზობლობაში ათასჯერ გაუხდება დედაკაცებს, არ მიმიბნიდოსო!.. შამაუწევია ერთი ოქრო (თუნდ ერთი მანათი იყოს), დმერთმა ააშენოს! „ააშენოს, ააშენოს“, ისმის ხმები აქეთ-იქიდან. იტყვის რა ამას, ფულს სსძლოს წინ გაშლილს ხელსახოცზე დააგდებს.

ფშავში ქალი მდიდრისა იყოს, თუნდ დარიბისა, უქრთამოდ ახრავდება. ქალის ქრთამი ის არის, რაც „სანაწეო“ ქორწილში და „სახლის სანახავში“ დაუდგება. აგრეთვე ისა, რაც იმის „სათავნო“ ფულად რამ ექნება, თუ საქონელი ეუოლება... მზითვეს უმატებს ქალი, თუ შეძლებული კაცისაა, იქიდან, რაც „სანაწეო“ დაუდგება, და ღარიბი კაცის ქალი ხომ მარტო „სანაწეოთი“ გამოდის იოლად. დანარჩენ ფულზე, ქრთამზე საუბარი ქალის მშობლებთან უხერხული, უადგილოა. „როგორ? ქალიც მივცე და ქრთამიც? სად გაგონილა, სად თქმულა?!“ ამბობს ფშაველი. ასე რომ ფშავლისთვის ქალების ყოფა საზარალო კი არა, პირ-იქით ხელ-საყრელია, რადგან შრომით,

მხნეობით ფშავლის ქალს დედამიწაზედ ადამიანი ვერ შეედრება და ნადღელი ბურჯია ფშავლის ოჯახისა. საქმე არ არის საოჯახო, რომ იმის ხელით არ კეთდებოდეს, საკაცო საქმე იქნება, თუ სადედაკაცო, ამიტომ ფშაველს, ვიდრე კარგად არ მოხნიანდება ქალი ოჯახში, იმის გათხოვება, „გასტუმრება“ ძალიან ეძნელება და ქალის წაწლობასაც, ვგონებ, ადვილად ამის გამო ურიგდება.

სასძლას 80 მანეთამდე ნადლი ფუფი მთუგრავდა, გარდა ფარ-თლისა, ეს ფუფი სასძლას საკუთრებას, მაგრამ ამ საჩუქარს ის მუქ-თად არ იღებს, არამედ სამაგიეროს თავდაც უხდის, არ შეიძლება დაუსაჩუქრებლად ვინმე დასტოვოს: ზოგს უნდა ჭრელი წინდები მის-ცეს, ზოგს საფურხები (ხელთათმანები), სხვას ხელსახოცი. ამრიგად, ხალხმა იფხინა, იმხიარულა და სადამო ხანზე საქმრო თავის მხლებ-ლუბით დაბრუნდა სახლში. წამოსვლის დროს ქალის ჰატრანებმა გა-მთუცხადეს მოუფრებს, რომ ქალს მეორე შემოდგომამდე ვერ წაგა-ეგანინებთო. მიზუნად სხვადასხვა გარემოება დაუსახელეს. ესენიც წი-ნაღმდეგს უმტკიცებდენ, მოუხერხებლად, თავის სახლის საზარალოდ სიფლიდნენ ამგვარ წინადადებას, მაგრამ ქალის ჰატრანები მაინც მტკიცედ იდგნენ თავიანთ აზრზე. რა გაეწობოდა, სამეფოს ოჯახს ხელ-ახლად სჭირდებოდა შუაკაცები, ხვეწნა-მუდარა, სიარული და ათასნაირი ხრიკები, როგორმე მოეხერხებინათ წელს შემოდგომის-თვის წაეყვანათ ქალი და ქორწილი გადაესხათ.

VII

ზოგი ჭირი მარკებელიაო, ნათქვამია. ერთმა ამისთანა ჭირმა, ერთმა გარემოებამ, რასაკვირველია, არა-სასიამოვნომ, შეუწუო ხელი გამახარეს მიედწია მიზნისთვის, აესრულებინა თავისი წადილი. თუ ეს გარემოება არა, იქნება მეორე შემოდგომამდის კი არა მარტო, მესამე შემოდგომამდინაც ელთდნა. რა იყო, რა მოხდა? მოხდა ის, რაც ფშავში ხშირად ხდება: გავარდა ხმა, რომ, დამერთმანი, გამახარეს დანიშნული, ბეწინტურის ქალი, ვიღაც ფუნჩურაშვილს გაუტაც-ნიაო; ეს ამბავი ერთ წამში მოედვა მთელ სოფელს. შექნათ კარა-ხელაინთ დიდი ჩიჩქოლი. გამახარე და დვთისო იანაღში გამოეწევი-

ნენ, რამდენიმე მომხრე იშოვნეს, სასიამოვნო ბეწინტური თავის თავად შეჭირვებულის სახით მოიჭრა სასიძოსთან და განუცხადა თავისი უბედურება და მეორე დამეს დაესხნენ თავს ფუნჩურაშვილს სოფ. უკანათუშაში და, თქვენს მტერს, რაც იმის ოჯახს დღე დააწიეს: ერთი ცეცხლი არ წაუკიდებიათ მხოლოდ, სხვა არათუ არ დააკლეს. „სად არი, სადა ჩემის ცოლის წამუგანი, ერთი მჩვენეთ თვალით!“ ამბობდა თვალებ-დასისხლული გამახარე. მაგრამ გამახარეს სხვალით ვინ აჩვენებდა, იგი ქალს ჭყარულაობდა ტყეში, ერთ მიურუბულს ადგილას. ზასუნის-გება თავის მეზობლებს დაავალა. „მჩვენეთ, მათუგანეთ ჩემი შვილი, თვალით მჩვენეთ. იქნება ძალით არავინ წამიუგანა და თავის ნებით გამაჭყვავ, ვკითხო, გავიგო“. ამბობდა თავის მხრით ბეწინტური. ნათქვამს ადასტურებდა როგორც ქალის მხრით მოსული მღვდარი, ისე გამახარეს მომხრეები. ვიდრე ქალს არ მოიუგანდენ, არ აჩვენებდენ თვალით ქალის ჰატრონებს, აქედან შინ წამსვლელი არავინ იყო. „ზეკუცი“-ს უფლებით იუვენ შემოსილნი, რაც კი სახლში მოიგდეს, არა ჰზოგავდენ გასათუტებლად, შესაჭმელს—საჭმელად, სსმელს—შესსმელად, გასატეხს—დასამტვრევლად. გამოიუგანეს ბაკიდან ხარი და დაკლეს, გამახარემ უელი თავად გამოსჭრა და თან ეს სიტყვები დაატანა: „გაუკაცი ცოლზე მოკვდება მამულსა საკუთარზე დაო!“ ფუნჩურაშვილის ნათესავები—ბიძა, ბიძაშვილები, დედაპატიკი უწევდენ წინააღმდეგობას, მაგრამ ველარაფერს ხდებოდენ ამ გაათურებულ, თავზე ხელ-ალებულ ხალხთან. იმათი წინააღმდეგობა ჩლუნგი, ზასნიური იყო, რადგან ნამტურარში ფეხი ედგათ, თავს დამნაშავედ ჰკრძნობდენ. დაღონდა, შეწუნდა ფუნჩურაშვილის მამუკას ოჯახი, შეიქნა ფუსფუსი, მიღენ-მოღენა და ბოლოს, როგორც იყო. ქალი მოიუგანეს, რომელმაც დაინახა—რა თავისიანები, თავის საქმრო, მორთო ქვითინი. ეს კი იმის ნიშანი იყო, რომ ქალი ძალ-დატანებით იყო წაუგანილი. ქალმა საჯაროდ აღიარა, რომ მამუკამ იგი ძალ-მომხრეობით წამოიუგანა და ფუნჩურაშვილს ცოლად არ დაუჯდება. გამახარეს, რა თქმა უნდა, გაუხარდა, როცა ქალმა ეს გამოაცხადა; მისმა ჯავრმა და დარდმა ამ განცხადების შემდეგ ნახევარი მინც ჩამოიკლო, თუმცა მამუკას მიმართ შურისძიების გრძნობა გულში სავაოდ დაჰტრია და როცა დრო, შემთხვევა, გარემოება ნებას მისცემდა, ჯავრს

ამოიერიდა თავის ნამუსის შეურაცხმყოფელისას. დღეს არ შეიძლო, რადგან ფუნჩურაშვილი ჰგონობდა-რა თავის შეცდომას, ჰგონობდა-რა, რომ ანგარიშში მოტყუვდა, ტურასავით ტყეში იმალებოდა, ვერ დაენახებოდა ქალის პატრონებს „ცხელ-გულზე“, რადგან ცოცხალი არ გადურჩებოდათ. რას მოიფიქრებდა თუ ქალი ზირში ჩაღას გამო-აგლეძდა თავ-მოძწონე ბიჭს, უელს გამსჭრიდა. ქალის მხრით ვინც კი მდევრად წამოსულიყო ნათესავი, თუ მეზობელი, უველა ამთ ერთის ზირით, ერთხმად, ბეწინტურს, ქალის მამას, აღარც კი ჰკითხეს და აქვე თავად გადასწვიტეს, საქმე რითაც უნდა გათავებულყოფ, სთქვეს: „აი შენი ცოლი წაიყვანე, გამახარე, და უპატრონე, თორთ შაიძლება ხვალ სხვამ გაიტაცოს, ესლა აღარც დედ-მამას და არც თემს, სოფელს არაფერი გვეთქმისო“. ქურდს რა უნდა? ბნელი დამეო. —ნათქვამია. გამახარესაც ეს უნდოდა, არც ქალი იყო წინააღმდეგი. ესლა, მამასაღამე, საჭირო იყო მხოლოდ საყდარი, მღვდელი და კვირგვინები, საითკენაც მთელმა დაშქარმა იბრუნა ზირი და მიატრავა აფორიაქებული ფუნჩურაშვილის ოჯახი.

VIII

ანუკას, გამახარეს საცოლეს, გატაცება აგვისტოს მიწურულ რიცხვებში მოხდა. გამარჯვებული მღვწარი საქუბარის ჰოვნიტ დამყოფი ფილიოლი მოდიოდა სოფ. ვანხევისკენ ზოგნი ცხენიანები, ზოგნი ქვეითადა. დაზღანდარობდენ, მხიარულობდენ, მღეროდენ. პატარადი მანქანს დვთისოს ეჭდა ცხენის გაფაზე. გამახარეს ცოლისთვის ხმაც არ გაუცია და არც ხმას პატარადი იღებდა, ჩიქილის ტოტით ზირ-არული მღუმარებდა. დაშქარს ქვეითად გამახარეს ბიძა რაიბული მოუძღვებოდა, თავ-მოძწონედ ურძნის ჯოხს მოიბჭენდა. იმას თან მისდევდა გამახარე აბჯარში გამწეობილი. ძმისწულმა ბიძას რამდენჯერმე სთხოვა: „მოდი, პატარა ხან ცხენზე შეჯე, მუხლი შეასვენე, მე ჯილი ვარ, ფენითაც არა მიშავო“. რაიბული არა სთანხმდებოდა, —თქვენს ცხენებთან კიდევ შამილიან ვიარო, არც ისე დავბერებულვარო. სხვებმაც სთხოვეს, მაგრამ მოხუცმა არავის თხოვნა არ შეიწყინა. — „ბერის ხარისა რქანიც კი ეწვიანო“ — წარმოსთქვა მან და

ამით გამოხატა ის გულის ნადები, რომ, რაკი არ შავრცხვით, ქაღა დაკვრჩა და ხელ-ცარიელები არ დაგბრუნდით, მტრის ჯაფრი არა ვკვამეთ, ათი ამოდენა გზაც რომ გვეტონდეს სავალი ქვეითად, სიარული მინც არ გამიჭირდება. ის იყო მზე დაბანდა, რომ მგზავრებს თავის სათემო ხატი დაუჩნდათ, დიდი იფნებით და მუხებით დაჩრდილული. რაიბული მოუბრუნდა და მიჰმართა თანამგზავრებს დინჯას ხმით და შთაგონების კილოთი.

— ბიჭებო, — სთქვა რაიბულმა: — აბა ჩამოხედით ცხენებიდან, ცოტა ცხენებმაც შაისვენონ, მოძოონ რამა, ჩვენც ჩვენის ადგილის დედის (ხატის) სადიდებულთ უნდა დავლიოთ. ჩვენს რჯულს, ჩვენს წესს ხო არ გადავადებთ?!. მამა-პაპათ ასე იცოდენ.

— ოჰ, ძალიან კარგი იქნება, რომ მეტიც არ იყოს! — გაისმა საერთო ხმა ფშავლებისა. ეველანი ცხენებიდან ჩამოხტენ, წამოჰყარეს ადვირები და ლილის ფრად ამწვანებულს მინდორზე გაუშვეს სიძოვრად. ღვთისოს ხურჯინიდან ამოაძვრეს არაყიანი ტიკტორა, თან მოაუოდეს მისი მეფვარე-ყანწი. ამ ჟამად ტიკტორის დანახვა ისე გაუხარდა ეველას (გარდა სანეთოსი, რა თქმა უნდა), რომ არც მკანდად პატარძლის წამოყვანა და მისი იქ უოლა. ეველანი ფეხზე იდგნენ, წირე გააკეთეს. პატარძლმა შუაზე ხელსახოცი დაუფინა და ზედ ზური, ეველი და დამბალი ხაჭო დაწყო. მერქითეუდ ღვთისოს დადგა, სანანდრის სტვირის გუდასავით ამოეჩარა არაყიანი ტიკი ილდასში და ასხამდა ყანწზე არაყს. პირველი თასი, რომეორც უფროს კაცს, რაიბულს მიართო. იმანაც მოიხადა ქუდი, დაიწერა პირჯვარი და დაიწყო: „დიდება ღმერთსა დიდად სახსენებელსა, დიდებულნი ღმერთი შეეწიოს და ეს ჩვენი ადგილის დედა, ჩვენი წმინდა გიორგი ჩემს ძმისწულეს — გამახარეს, ღვთისოს, იმათ ნაცონარს საქმეს: ნაფიქრალი კეთილად მუხდინოს, ნურა წაუხდინოს, უშველთს ამათ მეშველებსაც, თქვენ ეველასა, სადიდებულთ აი ჩვენი ხატონის, ჩვენის წმინდა გიორგისა იყოს და სამწყალობნო თქვენის თავისა“.

— ამინ, გაგიგონოს ღმერთმა. — დაუდასტურეს იქ მეოფთა. სთქვა რა ეს რაიბულმა, გადიწურა ყანწი, რომელმაც ჩამოუარა ეველას სათითად რამდენჯერმე. ეველანი რაიბულის ვაიდაზე ილოცებოდენ, ხუმრობდენ, იცინოდენ.

— თქვენ რო კაის გულადა ხართ, ბიჭო და კარგა სცლით მს უანწებს, ახლა ფუნჩურაშვილის გულში ჩაიხედეთ, რა ამბავია-და! — სთქვა ერთმა.

— დედა უტირა თავისმა მამამ: წავიდეს, საცა თავის დაიკუ- ხოს, იქავ ჩკენიცა თქვას. მე მგონავ, გატაცებას ვინ იტყვის, ძა- ლითაც რომ ვინმე მისდევდეს ცოლად გამოგვებიო, დაემალს. — მთაყოლა მეორემ. ამ სმაში და ლაზარაკში გაისმა ფშური მღერაც. ერთი ამბობდა ლექსს, ხოლო სხვანი ბანს ეუბნებოდნენ:

ცოლსა ნუ ჰხელავ, რეგვენო, თავს უკეთესის უმისას,
გაგიგებს, გაგიჯურდება, ვადას მატყინებს ხმლისას.

ახლა მეორემ დაიწყო:

თუ მკითხავთ, კიდევ გაიმობთ ჩემსა და ჯიმშელისას,
ა იქ სამ შავიყარენით სამზღვარსა მუხრანისას.

ბური მთხოვა და ვაჭმიე, ურჩევი თათუხისას,
დვინო მთხოვა და ვასმიე, ურჩევი ბადაგისას,
ხორცი მთხოვა და ვაჭმიე, ვურჩევი ხობობისას.

ახლა ცოლს გადამეშარა, ქალსა გაზღილსა სხვისას.
აბა ცოლს როგორ მივცემდი, რას ვიკისრებდი იმას,
ადგა და ხელი ჩავლო ნატყანსა ქალის თმისას.

ქალმა დაიწყო ტირილი: „ვაჭ ცოლსა ცუდის უმისას!“
შამცხვა და ხელი გავიკარ¹⁾ ნაჩუქარს ცოლის ძმისას;
მაგრამ იმანავ დამასწრო, ელვას ჰგვანდა ცისას.

ახლა მე გადაუქნიე, რისვასა ჰგვანდა ცისას: \
ცხენ-მხედარნ დაწვევებინენ, წვერი უწვდინე ქვიშას,
ცოლი შინ წამოვიყვანე, ის იქავა სჯამს მიწას.

უკვლა იმ დღის შესაფერს ლექსს მესამემ მთაყოლა:

წამუელ, სურვილ²⁾ გამამევა ერთის ლამაზის ქალისა.

— გამამევე, გადაგიუღებ, ჯავრსა ნუ მაჭმევ მტრისას,
ქისტითში გადავვარდები, სახელად ვიტყვი წიქასა,
ჩავიცემ ტანისამოსსა ლეგ-ლეგა ქისტებისას.

— მე შენავ არ მექმერები³⁾, ბიჭო, ნუ ამბობ ბრიყვად:

1) ხმაღზე. 2) სიყვარული. 3) მემეტები.

ეგ რო გაგიგოს ჩემ ქმარმა, დაგადეს თოფის ღიშნისა,
 შეგ ბატკანივით თავს მამჭრის, სისხლი არ უმძიმს მიწასა.
 — ცხეზე მიფარევინებ მარჯვენას შენის ქმრისასა,
 ჩამოდიოდეს ნაწკეთი, ღიბოს აღნობდეს ქვისასა,
 ჯამაზს სასახლეს აგიტეპ სუ მარმარილოს ქვისასა,
 შიგ უაჭ-აბრაშუმს გაგვიდეპ საჩრდილობელსა მზისასა.

ისე გაჩაღდა მღერა, რომ რაიბულსაც გადაეკიდნენ — არ შიძლე-
 ია. უნდა შენც შეგვიმღერნოყო. რაღას იზამდა, დაიწყო იმანაც
 დანჯირეულის ხმით:

შვიდს ძმისა, მერვეს ბიძასა მთას ვეფხვი გადმოგვეკიდა,
 შვიდთაჲ ვესროდეთ შვიდ-შვიდი, ვეფხვს ერთიც არ შეეკიდა¹⁾,
 ერთი ესროლას ბიძამა, ვეფხვი ბწყლით²⁾ ჩამეკიდა³⁾.
 ნეტამც ჩვენ⁴⁾ თოფ-იარაღნი ჭაღას მურყანზე⁵⁾ დაჰკიდა.
 ანამც გვაქცია ქაღადა, უნდაურ⁶⁾ ქმრებიმც აგვეკიდა⁷⁾,
 ანამც გვაქცია ხუცადა, გულზე ოღრებიმც დაგვეკიდა.

რაიბულმა ისეთი ლექსი უმღერა, რითაც უმტკიცებდა ჯეილებს,
 რომ მოხუცებული ბერს შემთხვევაში სჯობია მათო. მაგალითს თვით
 ლექსი აძლევდა და ბერი დამტკიცებაც საჭირო არ იყო. იმან ხომ
 ადიდა ადგილობრივი ხატო, მაგრამ იმასთან ერთად მოიგონა ვეველა
 ფმაე-ხევისურეთის სალოცავები და იმათი სადიდებულო ერთად და-
 ღია. აღდგომელა ანუკა და გამახარეც (ერთად შაურიღნი, ახალ-უთი-
 ღნი), რაც გაიმეორა ეველამ. ბინდამც მოატანა და ცხენებიც გაამ-
 ზადეს წასასკელად. ეველანი იმ დამეს გამახარეს მიჰყუნენ სახლში.
 მიაციდეს ნუე-დელოფალი და ვახშმადაც იქვე დარჩნენ, რადგან გა-
 მახარემ არავინ ჰურ-უჭმელი შინ არ გაუშვა. ჩქარა ფიცარზე ხანჯრის
 კაკა-კუკა გაისმა, ეს იმის ნიშანი იყო, რომ სახინკლე ხორცი იკე-
 თებოდა. მართლაც კერის ჰირას დაუფინა ხმელი ცხვრის ტყავი
 ღკთისოს, ზედ ხორცის საკეფი ფიცარი იდო, გვერდით ხონით
 (გობი) მწვანად გამოჭრილი, ორი კვირის დამარილებული ხორცი
 ედგა, ჰკეუდა, ჰკეუწადა წერილად ხორცს ისე, როგორც საკატლე-

¹⁾ არ მოხვდა. ²⁾ ბრჯალლით, თათით. ³⁾ მოკვდა. ⁴⁾ ე. ი. ო
 ჯეილებს. ⁵⁾ ხეა. ⁶⁾ რომელიც სძულს. ⁷⁾ შეგვროთ.

ტელევიზიონი მზარეულია. ცენტრზე საკიდრით დიდა სახალაფოა ქაბა იყო ჩამოკიდებული, რაშიც, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, 80 ხინკალი მანც მონხარშებოდა. ხოშია და მისი რძლი ანუკა მიმსხ-დარიუხენ ერთს ურუში, თან ტუტუნებდენ და თანაც წუწუნებდენ. თუნჩურაშვილის უოფა-ქცევამ ძალიან გააბრაზა ხოშია, რომელიც ცოდრობით უგზავნიდა წუგელა-კრულვას. მადლობელი კი არც ძლისა იყო, რომ გახდა იმისთანა „ძაღლის სათრეველად“. ჰატარძლის სანხკად მეზობლის ქალებმა მოიყარეს თავი. უგელას ნახვა ენიაზებოდა, რომ საქებურს რასმე ჰნახედენ თუ საკილავს, დანარჩენი ხალხისათვი-საც ეცნობებინათ თუ როგორი „ჰატარძალი მოიუყანა გამახარებს“. მივიდნენ და მიესალმნენ ჰატარძალს, შემოერთუნენ რძლ-დედამთილს გარსა. მაგრამ დედამთილმა მალე იმათ საქმე გაუჩინა. გადმოალო ვარცხლი და შეუგვეთა ქალებს ფქვილის გაცრა და ხინკლის ქერქად ცომის მოზულა, რომელიც ჰატარძალმა იკისრა. სანდო არსადა სჩანდა სანლში; ,,კარეთ უოფისა“, ,,ბოსელში უოფნა“ (რიგში უოფნა) იყო მიზეზი, რომ საცხოვრებელ სანლში, მინამ არ ,,დაირცხებოდა“. შამოსელა არ შეძლო; მთხოვარასავით, საცოდავად მომჭადარი-ყო დერეფნის ბოძთან და იქიდან ადევნებდა თვალს შინურსა და გარეულსა, ცდილობდა ცოტაოდენი რამ ნალაჰარაკევიდან გაეგონა, უურა რისთვისმე მოგვრა.

ქალები გაფაციცებით ხინკლის ქერქებს აკეთებდენ და ბიჭები კადე ცძელ ხონჩებზე, რომლებიც კალთაში ედგათ ახვევდენ გაფაციცებით ხინკალს. ახვევდენ ხინკალს და თან ლექსებს ამბობდენ:

ვაჭმე, ხინკალო, ხინკალო, მემრე მარწევასთან წოლო!
 ერთ წუთს არ დასვენებო, გათენებამდე ბრძოლო!
 დატინებია, ხინკალო, გამოგაღვიძებს ჭაბანი,
 წამოდგა გაჯავრებული, წამამიღირა ხანჯარი.

იკონებდენ ამბებს ძველსა და ახალს ხინკლის შესახებ. „ის ვის ვისთვი უთქვა, რო აჭანჭუარებ, ძმობილო, რომენშიით-ლა გინდა აარჩიო ე ხინკალიო?“ — ჰკითხავდა ერთი მეორეს. თხიკლეთ დათვის უთქვა ნაკვეთაურთ ელისბარისადა, მასწინძლისადა. წელწად დღეს თუ დაჰატარძა ელიზბარმა დათვისა. ხინკალი ჩაუარეს. ერთი ხონჩა ხინ-

კალი სუ თუ მოწმინდეს, ერთ ა ხინკალაი-ლა თუ დარჩა სუფრასუ. აილო ელიზბარმა, მიიტანა უურის ჰირთანა და აჭანჭყარებს, უნდა გაიგოს წვნიანია, თუ არაო. მაშინ ეთქვა ბეჩავს დათვიას: „რომენ-შიით-ლა ჭფიქრობ აარჩიო, ძმობილო, ე ხინკალიო?“

„კახებისათვის (ბარის ქართველები) ვის-ლა შეეხარშა ი ცომა ხინკალიო?“ — რამაზასა, ან რას იჭმოდან? კახს, ბიჭო, ვინ გააძღეს ხინკალითა. ერთი ქობი ხინკალი რო მიუტანო, მასჭამს, გაძღომას ვერ გაიგებს. ჩვენ სათვალავი ვიცით, იმათ არ იცან. მანამ ხონჩა-ზე ხინკალსა ჭხედავს, იმას ლებიოთანი ჯამი ჭკონია, — ფიქრობს სუ ჭამა უნდაო, თუ არ აართვი, როცა დაატყობ, ახლა კი ეყოფაო, შაი-ძლება ჭამაში მოკვდეს“ ... — ამობდენ ბარელების აუგს და თან იცინოდენ: „იმას ახად ექნა, როცა მუცლები ასტკვიდებოდათ, მაშინ იცოვოდენ — გვეუოფაო“ !..

... ე ხინკალს ეუოფა, ჩაიშლება, კარგა ხანია რაცა დუღსო, — სთქვა მესამემ: — ხინკალი არ ჩაჭმალათ, თორო თქვენ კახებზე უარესი საქმე დაგემართებათო. ჭუოფდენ ქვაბში თითს და ისე ჭინჯავდენ ხინკლებს. „ეუოფა, ეუოფა“, — დაიძახეს რამდენიმეთა: „დადა აქე მოსულიო!“ — გადმადიეთ, გადმადიეთ — ისმოდა ხმები აქეთ-იქიდან, შეიქნა ფაცა-ფუცი. დარეცხილი გძელი ხონჩები ზედ ჯვარედინად ქაუქირ გადადებულ ელოდებოდენ ხინკლების ქვაბიდან ამობინებს. ქვაბი საკიდლიდან ორმა ბიჭმა გადაილო და დაუწიეს ამოღება ხონჩებზე. ხოშია აი დროს ხელადაში არაყს ასხამდა და სწილენძის თუნგიში წყალს; თიკვში გამოკრული სარკმელიც იზოვნა; იგი თავის წესს და ჩუეულებას არადროს არ ულალატებდა: როცა ოჯახში ჯერისთავი (კარგი საჭმელი) გაკეთდებოდა, ხოშიას მკვდრებისათვის უნდა „სახელი შეადვა“ (საჭმელ-სასმელი შეწინა). როცა ხონჩებზე ხინკალი ამოიღეს, იმან არაუიანი ხელადა და წყალი თუნგით გვერდით მოუდგა ხონჩებს. შემდეგ საფხეკელზე დაუარა ნაკვერჩხლები, ზედ საკმელი; ამ საფხეკელს მარჯვენა ხელით წისქვილის ტრიალივით თავზე ავლებდა გამართულს სუფრას და ჩუეულებორეს ღოცვას ამბობდა. უველაზე მეტად კარახელი, თავისი მეუღლე, ჭყავდა სახეში და ფიქრობდა, დღეს ისიც განარებულ იქნება, რომ მტრის ქვეშ არ დარჩენ და გამახარეს ცოლი არ წაუვიდა, სხვის იღბლად არ განდა.

ქვაბი ისევ საკიდელზე კვიდა, ხოლო ხინკლიანი ხონჩები სტუმრების წინ ელაგა და ხინკლის წუნის ხრახა-ხრუბი შორს გაისმოდა. ვახშამთ უკან ზოგები წავიდნენ თავ-თავიანთ სახლში და ზოგნი იქ დარჩნენ. გამახარე ჯერ-ჯერობით არც ჯვარის წერაზე და არც ქორწილზე არაფერს ფიქრობდა, რადგან ამისთვის მომზადებული არ იყო. ქორწილი უნდა ოქტომბრის ნახევარ-რიცხვებში გადაეხადა, მანამდე ცოლი შინ ჯვარ-დაუწერლად უნდა ჰყოლოდა.

IX

ეს ისეთი დრო იყო, რომ განა მარტო კარახელიანთ, სხვასაც ეგვილას, სამუშაო მთასა თუ ბარს ბევრი ჰქონდა: უნები მოსამკალი, თივა გასთიბი, თუ ასხეეტი. ამ საქმეს არ ეღალატებოდა, ამიტომ კაცი თუ დედაკაცი, დიდი თუ პატარა თავ-გამოდებით მუშაობდა, ხოლო არც კი იმას იფიქრებდნენ, რომ ქორწილის გადაუხდელობაც არ შიძლება, არ შიძლება „არ ექნათ ქორწილი“. ამის თავდარიგს ხოშია ეწოდებოდა: საარაყესა ჰფქავდა იმ ვარაუდით, ოთხის „ქობის“ მანინ უნდა საარაყე გაეკეთა, გამოეცნო, ჩაეყენა, გამოეხადა. ერთ საპალნეს ღვინოს მანინ კახეთიდან მოიტანდნენ და იოლად გამოფიდობდნენ. სხვა ოჯახის წევრები სამკაღს, სათიბ-სახეეტს გაებრძობდნენ. ეშურებოდნენ მალე მოეწესრიგებინათ ყველაფერი, რომ ქორწილი უფრო დაარხებულად გულით გადაეხადათ. არაყს გარდა ქორწილში პურიც იყო საჭირო, რომელიც საკმაოდ ძველი არ მოეპოვებოდა, თუ ახალს არ მიუმატებდნენ. გაღეწა არ შიძლება, რადგან დიდი წინააღმდეგობა გამოიჩინა ხოშიამ: „როგორ შიძლება მოსავალს დადებული ჰირი მიაგებოს კაცმა?! უბარაქობა იცისო“. ამიტომ გადასწევიტეს, რომ ღვინოსთან ერთად „ერთის ცხენის“ პურიც მოეტანათ. კახეთში წასასვლელად რაიბული, გამახარე და ელიზბარი ემზადებოდნენ. ოქტომბრის ერთი კვირა რომ ჩამოვიდა, კარახელიანთ ფაცა-ფუცი შეუდგათ: დადიოდნენ ტიკების სათხოვნილად, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა და არ არის სირცხვილად მიჩნეული, თითო-ორთა ტიკობით მოაჭურეს. თხოვლობდნენ აგრეთვე ცხენებს, რაც არ დაეჭირება ამ დროს მეზობლისაგან მეზობელს. რაიბული ამზა-

დებდა სხაღნის ასაკიდებელს წნელებს, ჰკრესდა და ერთი-ერთმანეთ-ზე აწეობდა. ჩაღთობს (თასმა მოზეელილი) ჰპობდა ღუმით. ტიკებ-სა ჰკრეცხდა და რომელსაც წყალი გასდიოდა თავისებურად აკოწიწებ-და, დახუეს ჰირების კანაფით უკრავდა, ზოგან თხილს ატანდა, ზო-გან კაკალს ზოლორჭიკის მაკვირად... შაბათი დღე იყო, გამახარე და ელიზბარი არსადა სჩანდენ, ორი ცხენი აკლდათ ვარაუდით, სულ რვა ცხენი უნდა მოექუჩებინათ. ფშავლების სადილობა, 9—10 საათი, გა-დასული იქნებოდა, რომ არსადა სჩანდენ დილით ადრე წასულები. რაიბულს კი გული უწუხდა, უნდოდა ისეთ დროს წასულიყვნენ, რომ დღესვე იორზე გადასულიყვნენ, რათა კვირას ახმეტისათვის დაეკრათ თავი და ჭაშნიკები გაესინჯათ. რაიბულს ღვინის „მცნობარის“ სახე-ლი ჰქონდა გავარდნილი და ამით თავი მოსწონდა, თუმცა მისი ღვი-ნის ცნობა ისე ჰირის გემოვნებაზე არ იყო დაფუძნებულ-დამოკიდე-ლი, როგორც დასორსლებულ წმინდა სანთლის ნაჭერზე, რომელსაც რაიბული აკლებდა ღვინიან ჭიქაში მას შემდეგ, როცა გემოს გაუ-სინჯავდა. თუ კარგა მალლა მოიკლებდა სანთელს, ეს ნიშანი იყო იმისა, რომ ღვინოში წყალი არ ერივა და თუ ჩასძირავდა, აშკარად სჩანდა ღვინის სიუაღბე, „წყალ-ნარეობა“.

შუადღე იქნებოდა, რომ მოვიდენ გამახარე და ელიზბარი, ცხე-ნები მოსსხეს, თანაც ბაღნის ტომრები და ხურჯინებიც მოიტანეს ღვინიანი ტიკების ჩასაწეობად.

— სადა ხართ, ბიჭო, სადა, აქამდი. ნუ ვიღვეთ დღე-ჟამს. კაცი თუ წამსვლელი სადმეა, უნდა წავიდეს, თუთუნ-ფუფუნე მუჯავ-რება. „გზა უივის წამავალისა, დამწოლელისა ღოგინიო“, — ჭკვიან-თავან არის ნათქამი, — სთქვა მრისხანე კილოთი რაიბულმა.

— ვეცადენით, ბიძავ, დმერთის მადლმა, რაც კი ჩვენგან ში-ძლებოდა, და მეტი ვერ შავძლეთ. ჰურიც კი არცად გვიჭამავ, თორც სასმელს ვინ იტყვის. ბევრკან გვაპატოჯეს, მაგრამ, აბა, უარს ვეუ-ბნებოდით. განა ისე გიყიდა ვარ, რომ არ ვიცოდეთ გზისა და მგზა-ვრობის ანგარიში და ვარაუდი?

— უნდა იცოდეთ, მამ, ცოლი თუ გინდა, ცოლს ცხოვრებაც უნდა, შვილო; ცხოვრებას კიდევ გარჯა და ჭკვა, — სთქვა რაიბულმა.

— არა, არა, ღვთის წინაშე არ დაგვიკვიანია უსაქმოდ არსად.

მთაში მოგვიბდა წასვლა, იქა ჰყოლიოთ ცხენები და, აბა, განა ცოტა გზა არი; მინამ დავიჭერდით, მინამ შავგამზავდით, ხანი გავიდა, — დადასტურა ელიზბარმა.

— რაც არი არი, ამას იქით ნულარ დავიგვიანებთ, დროით აღკილას მივადრწითთ თვალ-ნათლივ, რო ცხენების საცხოფრისიც იუოს და ჩვენიცა. — სთქვა რაიბულმა და ერთი ტიკტორა გადაუგდო გამხარეს: — ე მაკაში ცოტადღენი არაუი ჩასხით, ბიჭო, დიღ-დიღ მაქსომს კაცი, კარგია, რა ვიცი, ან ავად ვინ გავხდეთ, შავგვიდესო...

— ძალიან კარგი იქნება, თუ არას გააკეთებს, არაფერს წახედენსო, — სთქვა გამახარემ ელიზბართან ერთად და გაქციეს ტიკტორა ხოშისთან, რომელსაც „ეკითხებოდა“ არაუისა თუ სხვა რამ სანოვაციის საქმე ოჯახში. არც დიასახლისმა დაუწუნა აზრი „მეღვიენთა“ და ერთი ხელადა, მეტი თუ ნაკლები, სულადის არაუი ჩაუსხა; საგძალიც მოუშზადა, ეველი და ჰური ჩაუწო ხურჯინში.

— ბარეველ სუფრა შაიტანე, რძალო, ჩვენც შავნურდებით და წავაღთ, გვიანობისა აღარ არიო, — უთხრა ხოშის რაიბულმა.

იმანაც აღარ დაავიანა, შაიტანსა გძელი ხის ხონჩახე მთელი კეცი ჰური შუაზე კახლებილი, ზედ ეველი იღო და ჯამით ახალი ხაჭო. ერთი ჩარქვა არაუიც მოაყოლა. ჰურის ჭამა რომ გაათავეს, ცხენებიც იქვე მარჯვენს ჰუვდათ თაკებით დაბმული, ხელდახელ მორეკეს, ზოგს ხურჯინებით ტიკები აჭვიდეს, სხვებს სანაღნის წნელები. ცხენები თითო „საფერხვად“*) ჰუვდათ და სხვები უგან გამოიბეს, ვისაც რამდენი შაჭხვდებოდა. მგზავრები, რა თქმა უნდა, არც იარაღს ივიწიებდენ, ვისაც რა მოეპოვებოდა: რაიბულს დიდი ლურსა დანა ეკიდა ქარქაშით ხანჯრის მაგივრად, ხოლო ხელში შუბი ეპურა, რომელსაც ჯოხდაც ხმარობდა და, თუ გაუჭირდებოდა, მტერსა და მგელსაც მოიგერიებდა. ელიზბარს ხანჯარს გარდა, წელში გარჭობილი ჰქონდა ძველებური ქართული დამბახა. ხოლო გამახარეს დამბახის მაგივრად თოფი ჰქონდა ბანჯგლიან ჩულში ჩამჯდარი. ცხენის ტახტაზე ჩამოკვიდა და ისეთი გძელი იყო წვეკრს მიწაზე სტეშიდა.

*) ზედ საჯდომად.

— აბა მზადა ხართ უველანი?— დაიძახა რაიბულმა, რომელსაც ერთი ცხენი აღვირით ხელში ეჭირა და ამ ცხენზე ორი სხვა ჭვესან-და გამობმული საბლით ერთი მეორეზე.

— მზადა ვართ, მზადა, ეს არის!— მიუგო გამახარებ ბიძას. შემდეგ მიუბრუნდა დედას, რომელიც გულ-ხელ დაკრეფილი იჭვე ეუღდა:— ხეთშაბათს თუ ვერ შეუდით ჩვენ, დედავ, ჰანასკევეს მანც მუაღთ და მანც. მანამდე რაც მოსამზადები გაქვთ, სუვეელათური დაამზადეთ. მოხატოჯებიც გაგზავნეთ უველასთან, ზოგებს მე შევატყობინებ...

— ჩვენ ჩვენს ვეცდებით და აბა თქვენი თქვენ იცით. ცხენებს გუთთხილდით, ხუმრობა საქმე არ არი, არცად მაჰკარგოთ, გავინადლოთ სახლურად. მშვიდობით წადით, ჯვარი გეწეროსთ, — მიაყოლა თან ხოშიამ.

— ფიქრი არ არი, ჩვენ არას დაგვარგავთ. მშვიდობით ივევინით!— გაისმა მეღვინეების მიერ ზასუხად.

რაიბულმა ქუდი მოიხადა, დაეუღდა პირ-ხატისაკე, გადაწერა სამჯერ პირჯვარი:— დმერთო და ჩვენო ღვთიშობელო, შენ შაგვეწიე და მოგვიმართე ხელი!— სთქვა რა ეს, გაუღვა გზას და სხვანიც მიჭვენენ კვალ და კვალ. თანახმად ჩვეულებისა ცოტადღენი მანძილი ქვეითად გაიარეს, მერე შესხდენ ცხენებზე და გასწიეს წეროებივით გამწკრივებულბმა კახეთისკე.

პირველად ახმეტაში ჩავიდნენ. რაიბულმა თითქმის მთელი სოფელი შემოიარა. ჭაშნიკები ვევეგან გასინჯა, ბევრგანაც მოწონა ღვინო, მაგრამ ფასში ვერ მოურიგდა: ჩაფში ერთ-ორი შური მეტი ხდებოდა მიზეზად მოურიგებლობისა. რაიბულს ის აზრი ჰქონდა, რომ ღვინოც კარგი უეიდნა და ფასიც ცოტა მიეტა. ან კი რა ექნა; საუკეთესო ღვინო ჩაფი აბაზად ბევრჯელა ჰქონდა ნაყიდი თავის ჯეილობაში და დღეს ექვს, შვიდ აბაზად უფასებდენ. რაიბულს ჯავრი მოსდიოდა: ჭვესანა გადაბრუნდაო, — ბუტბუტებდა გაჯავრებული ცისმარე დღეს; ბუზღუნით გადადიოდა კომლიდან კომლთან და როცა იმედი გადასწევიტა ახმეტაში პირიანად ღვინის უიდვისა, განუცხადა გამახარეს და ელიზბარს:— ჩვენ აქ ღვინის უიდვა ხელს არ მოგვეცემს, უნდა გადმა მხარში წავიდეთო. რაიბულს იმედი ჰქონდა,

ღვინოს იაფად შილდაში იყიდდა. ამხანაგებმა დასტური დაჭროეს და პირდაპირ გასწიეს დანიშნულ ადგილისაკე. შილდაში რაიბულს ნაცნობები და მეპურ-მარილე ბევრი ჰყავდა, გაცნობილი ახალგაზდობაში, როცა ცხვარში დადიოდა და ხანადირევით უმასპინძლდებოდა იაფის შეგობრებს. კითხულობდა სოფელში ამ ნაცნობებს და ზოგი თუ შეკვდარი აღმოჩნდა, სხვა ისევ იარებოდა სამზეს. ნინიკო ერთგულაშვილმა და რაიბულმა მალე იცნეს ერთმანერთი და განახლეს ძველი შეგობრობა. ცხენებს მოჰხადეს, რა თქმა უნდა, ნინიკოს თხრენიო, და სძოვარზედაც იქვე გაუშვეს. ღვინოც ნინიკომ აყიდვინა სხვაგან, რადგან თავისი იმდენი არ აღმოუჩნდა, რამდენიც უნდა ამათ კეიდანათ: ჩაფი წითელი ღვინო მანათად, ხოლო თუარი თხს აბაზად. ხუთშაბათისთვის გამზადეს უველაფერი ცხენების საკიდვარი: დალით ადრე აჰკიდეს, გამოემშვიდობნენ მასპინძელს და გამოსწიეს საფეხოდ. ცხენებს გამახარე და ელიზბარი ქვეითად მოუძღვებოდენ. რაიბულის ცხენს საგზაო ღვინო ეკიდა და თავდაც ზედა ჯდებოდა. საგზაო ღვინოს ისე ნუ გაიკებთ, ვითომ ეს ღვინო, რაც საგზაოდ ჩაისხეს, მარტო თავის სასმელად წამოედოთ? არა. ამ ღვინით უმასპინძლდებოდენ უველა ნაცნობს, ვინც კი გზაში ჰხვდებოდათ; ხშირად შუა შარში აჩრებდენ აკიდებულს ცხენებს, რომ ნაცნობისთვის ღვინო დაეღვინებინათ. დიდ სირცხვილად მიიჩნდათ გასცილებიყვნენ პირზე მურ ჩამოსმულები, ჩვეულებას ხომ ვერ უღალატებდენ. ასე რომ ვიდრე შინ მოვიდოდნენ და ღვინოს მოიტანდენ, გზაში სამ ჩათამდე ღვინო დაეხარჯათ, მაგრამ ეს ხარჯი ხარჯად არ მიიჩნდათ და ღმერთსა და ხატს მადლობას სწირავდენ, რა ასე იაფად გადაჭრენ.

შაბათ დიღას, პირობისამებრ, შინ მივიდნენ და თავის მოსვლის ამბავი სოფელს და შინაურებს შორიდანვე თათვის გასროლით აუწყეს. სახლში გამახარეს უველაფერი მზად დაუხვდა: პური გამომცხვარი, არაუები გამონდილი. რაც დარჩენილი მზითუვი იყო ანუკასი, გამახარეს მოეტანა; მოეუყანა აგრეთვე სამი ძრთხა სათავნო ჰატარძლისა.

მეღვინეების მოსვლისათნავე ცხრა-ათი კაცი, მეზობლების მხრიდან, შეგროვდა და დაუყონებლივ გაიმართა ღვინის სმა, ხელადების ტრიალი. ქორწილი ესლავე დაიწყო, გაჩნდა ხონჩაზე უველი და ქორ-

წილის ღვაწში. სტუმრები ღვინოსა ჰსვამდენ და თან ღირსეობაზე
ბასობდენ. შეხურდენ კარგად, მზეც გადიხარა და ფშური სიმღერაც
გაისმა:

„ღვინოვ, შე ჭაჭანისძევე, უცეცხლოდ ამსდუღდები,
ჭკვიანს კაცთანა ბრძენი ხარ, უჭკოსთან ამოჭქუნდები“.

„შავს ლუღსა, წითელს ღვინოსა განა ერთფერად სმა უნდა?“

ენაზე მომდგარს სიტყვასა, განა სუეველს თქმა უნდა?!“

მღვდელი უკვე განზრახეს, რომ საღამოზე ჯვარს ვიწერთ და მღ-
ურიგდა თვით რაიბული ერ თუმნად, ჯვარის სწერს, როგორც რა-
თა შუა შეძლების კაცი. ბინდის ხანს, „ობისკიც“ გააკეთეს და ე-
მართნენ ეკლესიაში ჯვარის დასწერად, სადაც აურებულ ქალსა და
რძლს მოეყარათ თავი-თავს. ნახევარ საათის შემდეგ თოფის გას-
როლამ ამცნო სოფელს, რომ გამახარემ ჯვარი დაიწერა... ნეთე და
დედოფალი ეჯიბ-მეჯვარის ხლებით მიდგნენ სახლის კარებთან, სა-
დაც კარების თავზე ხმალი და ხანჯარი იყო გადაჯვარადინებული და
რის კაცს ეჭირა ხელში—ერთს ხმალი, მეორეს ხანჯარი, ხოლო
ხოშის თათლიანი ჯამი, შიგ ერბო-გარეული, ეჭირა ხელში და კოვ-
ზით ატყევედა ხან მეფეს, ხან დედოფალს და თან ამ სიტყვებს ეუ-
ბნებოდა: „ღმერთმა ტკბილად დაგაბეროსთ, ერთმანერთს შაგა-
ბეროსთ“.

ნეთე-დედოფალს უკან აურებული ხალხი მოსდევდა და ისევე
აურებული ხალხი დარბაზში იყო, შინ უფრო მამაკაცები იყვნენ.
როცა თათლ-ერბოთი დააბერა ხოშიამ შვილი და რძალი, დალოცა და
უსურვა ბედნიერი ცხოვრება, შემდეგ მეფე შეუძღვა შინ. დარბაზის
კერასთან ორ-პირად დამდგარი ხალხი ელოდა. კერას წადმა უვ-
ლიდენ კარშიმეო ნეთე-დედოფალი და ქალის მყრები, საკიდელს*).
რომელსაც მყრები ქალისა ხანჯრებს და ხმლებსა სცემდენ, ხოლო მღ-
მღერალთა ორი გუნდი—ერთი კერის მარჯვნივ და მეორე მარცხნივ
მდგომარე, ამ დროს სიმღერას ამბობდა. რასაც ერთი გუნდი იტყო-
და სიტყვებს, იმავე სიტყვებს იმეორებდა მეორე. განსაკუთრებული
ღეჰსი ჯვარის წერისა ფშავლებს არა აქვს. რომელი ღეჰსიც შეჭნე-

*) რკინის ჯაჭვი, ქვაბის დასაკიდები.

დებით, იმ ლექსს იმღერებენ, ხოლო საგმირო ხასიათისა უნდა იყოს და რამდენიმე სტრიქონის შემდეგ ჩატანებენ ამ სიტყვებს: „დასწერეთ ჯვარი, დმერთო, ახალ-ყოილთა“!..*) ჭაღის მყრები ცდილობენ საკიდელი ან მახვილით გაჭრან და ან გაწევიტონ, არ მოეშვებიან, ვიდრე გულის წადილს არ აისრულებენ. საკიდელი ჭაღის მყრების საერთო დავლას და უნდა მეთვის ოჯახმა დაიხსნას. სახსარი დვინო, ან არაუი იქნება, როგორც მოჭრიკდებიან, მაინც ერთ თუნგზე ნაკლები არ შეიძლება იყოს. ეს ჩვეულება და ვერც ვაჟის მყრები, ვერც ოჯახის წევრნი ვერ დაუშლიან ჭაღის მყრებს საკიდლის ჩამოწევიტას და დატევიტებას. ბევრი ხმლისა და ხანჯრების ჩახაჩუნის შემდეგ, როგორც იყო მყრებმა ჩამოკლიჯეს საკიდელი და დაიძახეს: „გაუმარჯოსო!..“ შემდეგ მეფე-დედოფალი გაშლილ ნაბედაზე და ფარდაგებზე დაბძახეს, ეჯიბი, მეჯვარე, მდადი და ჭაღის მყრები მოუსხდენ კარშემო „ახალ-ყოილთა“. ვაჟის მყრები მეორე მხარეს ისხდენ. თავისთვის ედგათ სუფრა, დანარჩენი ხალხიც კერის თავსა და ბოლოს იყო ჩამწკრივებული და ეველას საკუთარი ხონჩები ედგათ წინ და მეღვინეც საკუთარი ადგათ თავზე და საღვინეც საკუთარი ჭქონდათ. მეფე-დედოფლის წინ მაშხალა იყო გამართული, ორი ჯვარი ერთად შეკრული და ზედ ჭქონდა შემოცმული ჯვრებს ტოტებზე მსხალი და ვაშლი, წინ თათლ-ერბოიანი ჯამი ედგათ. ვახშმად მხოლოდ ეველი, ჰური და მწვადი ჭქონდათ სტუმრებს, თუმცა ამ ოცი-ოცდაათი წლის წინად უმს ხორცს ურიკებდენ სტუმრებს და ეველას თავისი კერძი თავადვე უნდა შეწვა. რომ ცეცხლისთვის არ დადობებულიყვნენ, კარეთ ეზოში ახადებდენ დიდრონ ცეცხლსა. ეს ჩვეულება დღეს შეცვლილს და უფრო კეთილშობილური ფერი მიუღია. მწვადის შემწველი ცალკე მზარეულებად არჩეული ახალგაზდები იყვნენ. არაფითარი წესი ამ სმა-ჭამის დროს არ სუფევდა. ვისაც რა სადღეკქლო ჭსურდა, იმას ჭსვამდა, რაც ესამოფნებოდა, იმას ამბობდა, მღეროდა. რამდენიმე ჰირად მღეროდენ, ლექსობდენ კარეთ, ეზოში ჭალ-ვაჟები ღხინობდენ, ისმდა კარმონის ჭეუტუნნი და სტვირის ბუბუნნი. სმაში და ჭამაში ეველას თავისუფლება ეძლევა, ვისაც რამდენი უნდა, იმდენსა ჭსვამს და სჭამს. მხოლოდ ერთხელ არის

*) ნეფე-დედოფალს.

ძალდატანება, ეს, როცა მეფეს და დედოფალს „ჯარზე“ დაქსიმენ: მათელი წვეულები მოიყრან ერთად თავს, რაც თმავლებს ძალიან ეჯავრებათ, და ათ-ოც ზირად იმართება „კამანის“ და სუფრა; შეკოდან გულუხვობაზე და მოკიდებულნი, რომელ კამანისასაც უფრო ბევრს ღვინოს გაუგზავნის. მეკოდე განსავით ის პირი, რომელსაც ღვინო და არაყი ახარია. იმან უნდა გასწიოს სასმლის ვარაუდი, ყველას ჰატივი სცეს, როგორც თავად მოინდომებს, გაწვდინოს სასმელი და ეცადოს ქორწილის გათავებამდე არ გაათავოს. ამიტომ, როცა რომელიმე „კამანის“ გაუთავდება სასმელი, თავის წრიდან ჰგზავნიან ისეთ ზირს, რომელსაც მეკოდე ხათრს გაუწევს. „აბა, წადი, შენ არ გაწივნილებს კეკრა*), შეხვეწე, დეგბე ერთი საღვინე კიდევ აგვივსოსო“.

მეორე დღეს რომ გათენდა, მეფე-დედოფალს არ დაუძინიათ, მთვრალი ხალხი ჭერეხივით ეუარა ზოგი საღ და ზოგი საღ; თავის ტყავ-ჩოხის ინახარას დაჩენილიყვნენ. ან კი ქვეშაკებს იმდენს ხალხს ვინ გაწვდენდა. ეძინათ ზოგებს მწვანეზე, სხვებს სახლის ბანზე, საბძლის უერუმც; ზოგნი საბძელს შაჰკედლებიყვნენ, სხვანი საფუტკრეს. მაგრამ ბევრთ ჯერ არ დაუძინათ და სასმლისა და უძილობისაგან მიკნავებული, დახჯდრეული ხმითა მღეროდნენ... კარგად რომ გათენდა და დღის მზის სხივმა მთების თხემები გაწითლა, ხასხამლარი ხალხი შმუშინითა დგებოდა ფეხზე, მასპინძლებიც აღვიძებდნენ. ახლად გაღვიძებულნი არაყსა თხოულობდნენ: „სიცვიე შამჯდომია გულში, არაყის მეტი არაფერი მიშველისო“.

— ეს ოკერი ფინთს გუნებაზე რაღამა ვარ, — იძახის მეორე.

— არაყია მაგის წამალი ძმაო, არაყი, ნუ გეძინიან, ერთი ორიოდე მიაყოლე, კარგა გაჰკედებიო, — ეუბნება მასპინძელი.

კვირა დღეს გათენდა და სტუმრებს, ჩვეულებისამებრ, სოფელში გამოუჩნდნენ მასპინძლები: ხუთმა თუ ექვსმა კომლმა გაიყო ხალხი და მიიპატიჟა ხინკალზე. მეფე-დედოფალს და ზოგიერთა მყურებს მუჟგარემ დაჰპატიჟა. ასე რომ სადილის ხარჯი კარახელაანთ სოფელმა მოჰხადა. ხოლო შუადღის დროს მთელმა ხალხმა მოიყარა თავითავს და კარახელაანთ სახლის ბანზე, სადაც ზოგან ფიცრები იყო

*) კაცის სახელია.

სკამებზე დაწოებილი და სხვაგან ნაბლები და ფარდაგები ზედ დასასხდომად, ცოტა მაღლობზე მეფე-დედოფალი, ეჭიბ-მეჭვარე და მადლი დასხდენ. შემდეგ მოჭყენენ ქაღის მურები. მეფე-დედოფალის ზირდაზირ ჩამწკრივდენ სპატიო პირნი და მათ შორის ხევისბერი ბეწინიკა. ესლა დაიწყო ზღნობა. მოჭქონდათ „ზღენი“ ჯერ დედაკაცების ხონჩაზე დაწოებილი, ვისაც რა გაემეტა: წინდები ჭრელი (საკაცო, ან სადედაკაცო), სკაბე, ან საჩიქილე, ან სხვა რამ ფართალი; იუ ზღენს აკლად, მაშინ მეზღენე აუოლედა თან ფუფს ნაკლის შესავსებლად. მეფე-დედოფალის წინ იდგა „მეფიარნი“, რომელიც ჩამოართმევდა ეგელას ზღენს, საჯაროდ გამოაცხადებდა მის სხეულ და გვარს, ეტუოდა, როგორც ვიცით, შესაფერს სიტუვას. იგი თავისუფალია ამ დროს, არავის არ ერიდება და შემწირველის, მეზღენის დირსება-ნაკლუეუვანებას და იმ საშუალებას, რითაც მას სიმდიდრე შეუძენია თუ ფული, შესწირავი უშოვნია, იმაზე უთითებს. „ახალ-უოილნო“, — ამბობს მეფიარნი და თან ხელში უზურია მანათიანი: „ჩემი თავი გაახლათ ქურსიკა ჩაღხოშვილმა — მართალია ქურდს შექსნიანო, ხევესურებმა ჯორების დახარვა დამაბრალეს და იმაზე ქვეყანამ მეჯორია მამაქვივნო, ღვთისა წინაშე, ქურდიცა ვარ, ვერ დავმაჯავ, დამალული ეშმაკისა არიო. ამის გულისთვის დამიჭირეს კიდევ, ცინეშინც ვიჭე, ჩემ სხში გამკეთებელი ადარავინ იყო და ცინეშით, კარგა იცით, რა ფული მამევებოდაო. დმერთმა უმეველს ჩემს დედაკაცს თეთრუას, შანახა ჩემთვის ეს ერთი ოქრო, ვინ იცის, როგორ დაგჭირდეს, გამოკადგებო. მურთმევი ერთი ოქრო, დმერთმა ააშენოსო!“

— ააშენოს, ააშენოს, — გაისმა ხმა აქეთ-იქიდან. ფუფს გაშლილს ხელსახოცზე დააკდებს.

მოდის სხვა მეფიართან და აძლევეს, თან ეუბნება: შუაზე გაუყავიო.

— „სმენა იუოს და გაცონება, ჯარო და ჯამათო!“ — იძინის მეფიარნი: — „ჩემი თავი გაახლათ, ახალ-უოილნო, ხუტა დაღოლაშვილმა, — მართალია ჯალათი განაჟარი ვარ, ძმებმა გადამაგდეს. სახლიდან გამამაგდეს, მაგრამ დაილოცა დმერთი, დმერთმა არ დამკარგა, სახლიც გავიკეთე, ჩემთვის დაუბინავდი და როგორც წინად ალაღს ღუკ-

მას ვეჭმდი, ეხლაც ისივ ალაღს ლუკმას ვეჭამ და, ღმერთმა დაში-
ფაროს, არამი რამ გაურიო ჩემს ოფელშიო. გამიხარდა, ძმაო გამა-
ხარე, შენი გვირგვინობა და წამუელ ქორწილში, თარო სდა მცა-
ღიან ქორწილში სავადად. სად უნა მაქვ სამკალი, სად სახვეტი, სად
ცხვარი და ძროხა თავ-განებებული. ჩემი დედაკაცი ჭკრაობას ვერა
ჭრჩება და შვილები ტაშ-ფანდურზე, არიფანაზე სიარულსაო. მურ-
თმევიო ორი ოქრო, ღმერთმა ააშენოსო“.

— ააშენოს, ააშენოსო, — ადასტურებს ხალხი.

მოდის გასათხოვარი ქალი და მიაწვდის მუეფარს ხონჩას, რა-
მელზედაც დევს წინდები, თავ-მოსახვევი, რადაც სხვა ფართალი და
ერთი ხის ჯამი თხილ-გაკლით სავსე. მუეფარი ართმევეს და იწ-
ეებს უეფას: „სმენა იუოს და გაცონება:—ჩემი თავი გაახლათ მანუ-
რის ქალმა ეთერმა:—ძმაო გამახარე, შენი ბედნიერობა, გვირგვინობა.
ერთის მხრით მამა, მკრამ მეთრე მხრით მეწეინა: ვფიქრობ, ვაი
თუ ჩემს რძალმა ანუკამ დამიშაღოს ქმართან წოლაო. მოკითხვა წე-
სია და საჭიროც იუო მომეკითხე, რო ჩემზე გული არ გამოგეცვა-
ლა. მე მინც მიუვარხარ, შენის გულისად ჯალათთ გამოგეპარე შაა-
შიით და აი ეს ზღვენიც, ეს ფარჩეული მოხარულის კარაქით ვიცი-
დე მიხანისგან; განა ან კი არ მეკეთნოდა? ამ ზაფხულ მემთე მე
ვარ და ან ჩემ ჯალათთ რად უნდა იწეინონ, რო თავის მოკეთე გაი-
გოს კაცმა და ზატვი სცესო?! მურთმევიო ერთი წევილი წინდა, ერ-
თი ბაღდადი, ერთი სკაბე, ერთი დარაიას სახალეუხე, ბატარძლისად
ერთი საქათიბე. ღმერთმა ააშენოს!“

— ააშენოს, ააშენოს!

— „სმენა იუოს და გაცონება!“—იძინის კვალად მუეფარი:—ჩე-
მი თავი გაახლათ ჩვენმა დიაკონმა ბესომ: მართალია კრიფანგს მეძა-
ხის ქვეუნა და არცა სტუუისო, წელი გავა, რო უცხო კაცი შინ არ
შავიუფანო და ზური არ ვაჭმიო, თავის ცოლ-შვილსაც სუ კარტონი-
ლითა ვკვებავ და იმას ვარიგება, რომ რაც შაიძლება ცოტა ჭამონო.
ნათქამია, მუცელს აქორება, ქორია, აღორება—ღორიო, და სხვას რო
ვერა ვცე ზატვი, რა საკვირეულია. თან დედეღმა მიხეიღმა გამიჭირა
საქმე, შემოსავლის მეოთხედი წლისა და წლის თავზე მათხოვე. კა-
ნონი ისე არიო. ესეც მძლივ დავადრწიე, აუხსენ, ჩავაგონე: მამაო,

მეც ქაღების ჰატრონი ვარ, ხელი ხელსა ჰბანს, ზირი ორივესა,—
დეღამთილმა და რძალმა სარკეში ჩაიხედეს: დეღამთილმა ჰკითხა: რო-
გორა მხედავ, როგორც შენაო, უზასუხა რძალმა. თუ მე არავისა ვეც
ჰატოვი, არც მე მცემენო. მართამეგია ერთი ოქრო, ღმერთმა ააშე-
ნოსო!“

ამისთანეებს ათასს ამბობდა მეუფარი, ხოლო ამ დროს ხევის-
ბერი თავის საქმეს აკეთებდა: ყველასთვის სახთლები დაერიცა, მიეცა
ხელში ვინც მახლობელი იყო მეფე-დედოფლისა, წინ დიდი გობით
ღვინო ედგა და იქვე ხალხის შუაში სასუე ტიკები ეყარა, ამწეალო-
ბნებდა მეფე-დედოფალს. მის ნათქვამს იმეორებდენ სხვანაცა. გობი-
დან ის იღებდა ეანწებითა და ჯამით ღვინოს და ურიკებდა იმათ, ვინც
მეფე-დედოფლის ამაღას შეადგენდა, ე. ი. სახატო ზირთა. „ახალ-
ყოილთ“, ვიდრე გვირგვინები ედგათ თავზე, მათ წინ სუფრა შემ-
კობილი იყო მაშხალით და სხვა საწავაკესთან ერთად თათულ-ერბოი-
ნი ჯამი ედგათ. სუფრა გაშლილი ჰქონდათ წინ და დიდის ხონით
„მრიკე“ დადიოდა და ურიკებდა მოხარშულს ხორცსა, სხვანი წვნიან
ჯამებს ურიკებდნენ ორ-სამს ერთად და ლავაშსა. ეს სმა-ჭამა შეზა-
ვებული იყო სიმღერებით, ლექსობით, მახვილ-სიტყვაობით. სმა-ჭა-
მის შემდეგ გაიშართა ღვინი. გაკეთდა წრე, წრეში თამაშობდა ახალ-
გახდა ბიჭი, ხელში ქელი ეჭირა და ევიროდა: „შაბაშ, შაბაშ!“ ვი-
საც რამდენი ემეტებოდა, აძლეუდენ, უერიდენ ქელში; ხოლო ხევის
და ეკელას, ვინც კი ითამაშებდა, ღვინოს ასმეგდა, ხელში ეხურა სა-
ღვინე. ეს მეფის და ან წაწალი უნდა იყოს მეფისა, ანდა მისი ვინმე
ახლო ნათესავი ბიძაშვილი, ან დედიდაშვილი... ამ დროს დედოფ-
ლისთვის ხომიამ, მეფის დედამ, მონინდომა ეშოვნათ სადმე ბაღლი-
ვაჟი: ჩვეულებისამებრ კალთაში ჩაესვათ, ვითომ დაულოცათ, რომ
ღმერთმა ვაჟიშვილები მოგცეს და ნაყოფიერი გამოყოფოს... დიდად
დალონდენ, გაჭირდა ბავშვის შოვნა ახლო-მახლოს, უამისოდ კი არ
შაიძლებოდა. ფშავლებს ამაზედ შიგა და შიგ ეცინებოდათ და ხელად
იქვე შაირიც გამოკანკლეს და ჩუმად იმღეროდენ:

ვანხევს ბაღდ ვეღარ მოკელეს კალთაში ჩასსმეგდა,
ერთ ბაღლის დედა მამგვარეთ, ბაღდ გავაკეთო ხელადა.

როგორც იყო იშოვნეს ეს ბაღლიცა და ჩუხვა დედოფალს კაღ-
თაში მღაღმა და დალოცა: „ღმერთმა გაბედინოს და სუ ესეთა ვა-
ჟები მოგცესო!“

მაგრამ, ხომ იცით, ცხოვრება აღმინათა ისეა მოწყობილი, რო-
საცა სიტკობა, იქვე მწარე გამოჩნდება, ვარდი უეკლოდ არ მოიკრი-
ფება, სითბოს სიცივე მოსდევს, სიცოცხლეს სიკვდილი და სხვ.
ქორწილშიაც იზინა თავი ამ უღმობელმა ბუნების კანონმა. ცოტა-
დენი კინკლაობა, მუშტაობაც გაიმართა. რამდენიმე ფშაველს მოუხდა
შელაპარაკება დანაღვივის თაობაზე.

— უღმერთო ხარ, უღმერთო, — ეუბნებოდა ქავთარა მჭედელას:
— არა იცი დანანება ჭირნახულისა, არ იცი ცოდვა-მადლი, უცოდვა-
მადლო ხარ. დაგიდის უპატრონოდ საქონი, აღარ იფიქრებ იმას, შე
ლორო, რო ძროხა იმის ძროხას, რასაც შაჭხვდება, თუ შასჭმელისა,
შასჭამს, განა იმას იტყვის, ეს სეფისკვერია, ამის ჭამა შე არ შე-
კუთვნისო. რა თქმა უნდა, გცენზურო სიტყვები აქეთ-იქით მხრიდან
ბევრი გაიგონებოდა...

— დაფასებინე და გაძღვე, თუ დაამტკიცებ, რო შე დავალები-
ნე, შე თავად ღორო და სულ-ძ—ო, — უკებდა ჰასუხად მჭედელას, რო-
მელსაც ცოტადენი სისხლიც ეტუებოდა შუბლზე.

დგთისა მადლით საქმე მადე სულ სხვანაირად მოტრიალდა: ხა-
ხევარ სათსაც არ გაუფლია, რომ მჭედელას და ქავთარა ისევ ერთად
ისხდნენ, ერთმანერთს ჰირში ჰკოცნიდნენ და იმდეროდნენ კიდევ. ჩხუბ-
სა და ღანძღვა-გინებას ჩაიღურის წყალი დაეღია, მათ მიღამოს არ
იბადებოდა შხამი და ბოროტება.

როსტომ თქვა: გმირი მეც ვიყავ, ჯირითი შამოვისრიე,
სოფელში ამაყობას ისევ დათმობა ვირჩიე.

ეს ლექსი მჭედელამ „შუმდერა“ ქავთარას, ხოლო ქავთარამაც შა-
სივე მსგავსი ლექსით გასცა ჰასუხი.

ხმალს ნუ ჩაჭხვდავ, მოყმეო, ხმალი მშიერა მკელას:
გაგიჭრის, გაგიხაღისებს, ბოლოს სამარის მთხრელია.

—
რა კარგია კაი კაცი, კარგს ანდებედ აკებულდი:
სოფელი ჰქუე მადლიერი, სწორის გული მოგებულდი.

მათ მღერას და ერთად საუბარს სიყვარულისა, თანხმობისა და ეშვიდობიანობის სუნი მოსდიოდა, იმასაც ხანობდენ, რაც ერთმა შე-
ორკეს აწუენინა. ეს იმათ ასე ადვილად შარიგება არავის არ უკვირდა,
რადგან ანდაზა—, „სისხლით კი არა წყალით დაიბანებაო“, — ისე არ-
სად მართლდება, როგორც თქვამდებიან მიერ. ჩხუბს მალე შარიგება
მოსდევს. სმა-ჭამაში, მღერა-თამაშში დაუღამდა ხალხს ეს მიორე
დღეცა. მესამე დღეს რიცხვმა ხალხისამ იკლო: ემშვიდობებოდენ მას-
ზინძელს თავ-თავიანთ სახლში წასასვლელად. მასზინძელის ხვეწნას ქა-
ლის მარები ეურს აღარ უკლებდენ დარჩენაზე: „დროა, ხანია ჩვე-
ნის წასვლისათა“ — იძახოდნენ. მასზინძელი უველას სათითაოდ ტაკე-
ში საგზაო ღვინოს უსხამდა, ჩვეულებისამებრ, არა ნაკლებ ერთი
თუნგისა, — უღებდა ხურჯინებში საგაღს — უველას და ჰურას. მუა-
დღემ რომ მოატანა, მეფე-დედოფალი ისევ ბანზე დასხეს — ეს დღე
გვირგვინების ახლის დღე იყო. ამიტომ ჯერ უველამ ადღეგარქულა
მეფე-დედოფალი და შემდეგ მეფვარემ აჭხადა ორივეს გვირგვინები.
მეფვარეს მარჯვენა ხელში ეჭირა ხმალი, ხოლო მარცხენაში ხანჯარი
და ხანჯრის და ხმლის წვერი აუგლო ჯერ მეფის გვირგვინს და ისე
მოჭხადა, შემდეგ დედოფლის გვირგვინს. მეფე გვირგვინის ახლას
გულის ფანქვალით ელოდა, რომ გაქცეულიყო და დაჭმალვიყო მის
შესაპურობად გამზადებულ ჭილეებს, რომელთაც განტებ სპილენძის
თუღუნით წყალი მოზიდეს და ლაფი გააკეთეს, რომ გვირგვინ ახ-
დილი მეფე ამოეთხუზნათ ამ ლაფში.

X

გამახარემ როცა გვირგვინი აჭხადა, მეფვარემ დააპირა გაქცევა,
მაგრამ ვეღარ მოახერხა, უოველ მხრიდან გზა ჭქონდა შეკრული და
აუსრულეს ის წესი, რაც ჩვეულებად აქვთ. ხალხი სიცილით ეტკეპუ-
ბოდა გამახარეს ამოთხუზნას ლაფში და არც კი ძალიან თავდასწრინ-
და, თავდაც იცინოდდა. „კარგით, ბიჭო, დაიკარგენით, აღარა მაქვ
იმდენი ძალა, თქვენ მოგიშორათ თავიდან? თუ მეფე არა ვარ, ნამე-
ფარი ხო ვარა?“ — ეუბნებოდა გამახარე, მაგრამ მისი რისხვა არა-
ვის ესმოდდა.

დედოფალი ქალებს გაიყვანეს თავის წრეში და ათამაშებდნენ, აღზინებდნენ. ეს შესამე ღღეც იმავე უოფით დაღამდა, როგორც წინა დღეები და ხალხიც თანდათან გაიკრიფა. ვინც სტუმრები დარჩნენ, იმათ განუცხნდა გამახარებ, რომ საკუთარი, შინაური ჰური უნდა ვჭამოთ, „ჭაღათ“ (ოჯახობას) კიდევ ის განუცხნდა, რომ ხინკალი უნდა „ხავეუკართო“. შინაური ჰურისჭამა ამაში გამთინაშტებოდა... ხინკალი გააკეთეს და კარგი დროებაც გაატარეს; იმ დამეს ბევრი „შენი ჭირი“, „შენი კვებისა“, „ჭირი მოგზარე“, „აგრემც დამიტირებ“, „აგრემც დამმარხავ“, „მიწასმც დამაური“, „წერა მოგხადე“, „შენი ჭირი და შენი სატკივარი მეო“, — ისმოდა ერთისა მეორისადმი მიმართული, რა იმ დამეს, რა წინა დღეებში. რაიბული ქეთიფიანად იყო, ქალებს უფლიდა: — ქალებო, დაუკართ ე ბუზიკანტი, უნდა ვითამაშოთ. უკუვას ესამოფნა რაიბულის თამაშობა: — აბა, ბიძავ, აბა, შენი სულის ჭირიშეო, — გაისმა ხმები აქეთ-იქიდან.

— დმერთო, ნუ დაჭმელი ამ სახლში ღზინსა და გახარებასა, ქალების განტუმრებასა, ვაუების ქორწილობასაო. დმერთო, მიბუნდირე ძმისწულიცა და რძლიცა, ამობდა ქუდ-მობდილი რაიბული და ვითომ ვთამაშობო, ფეხებს აცოდვილებდა, თანაც რძლს, ხოშისა, იწვევდა სათამაშოდ: — მოდი, რძლო, ჩამაიარე, შვილის ქორწილი გვაქვ; მიდის ქორწილი, სახლი რო გეწვებოდეს, ხელები მაინც მოითბეო. რძლიც ამოუდგა რაიბულს გვერდში, არ აწყენინა, თუმც თამაშობით არ თამაშობდა, მაგრამ სათამაშო ალაგას უოფნით თამაშობის ვაღს იხდიდა, მაზღს ამხნეებდა: — იქეთფე, მაზლო, დროება გაატარეო! — ეუბნებოდა რაიბულს ხოშისა.

— დმერთო ჯვარი დამიწერე ემ ბინას და ემ ბინაში მცხოვრებელთა, დმერთო, თუ რამ შაცტოდე, მაშატე, შენის მადლისა და სახელის ჭირიშეო, — წარმოსთქვა რაიბულმა მადლა თვალების ახურობით. დაინურა ქუდი და მოქეთფე ხაღსს შეუერთდა.

ეს დამეც იმავე უოფით გაატარეს, როგორც წინა დამეები, გააენდა მეოთხე დღე და მაინც კიდევ რამდენიმე კაცი ისევ შეჭბრუნავდა კარახელაანთ ოჯახს; ან კი როგორ შაიძლება თუშველმა კაცმა ააფი დაანებოს მექორწილის ოჯახს, მანამ ტიკებს სასმლის სუნი მოსდის და ვიდრე მასპინძელი არ დაითხოვს და არ ეტყვის, გათავდა,

სასმელო ადარ არით, მაგრამ არც მასწინძელს დაენდობა, ვიდრე თავად არ შეამოწმებს ტიკებს დგა-ლა რამ შიგ, თუ არა. დიად, შეჭბრუნავდენ გამახარეს ოჯახს რამდენიმე კაცი, როგორც ფუტკრები, რამდენიმე ცოცხლად გადარჩენილი, დათვის ან კვერნისაგან გატეხილს მათ სკას. საბრადონი დიდხანს ვერ ანებებენ მტრისაგან აკლბულს ბინას თავსა. შეჭბზუიან, შესტირიან. რა ქნას მასწინძელმა, ადვილი არ არის სახლიდან სტუმრის დათხოვა, მით უმეტეს ფშავლისათვის. საქორწილოდ გამზადებულს საჭმელ-სასმელს ხალხი ისე უცქერის, როგორც სოფლის, თემის საკუთრებას, რომელსაც თავად უნდა განაგებდეს ისე, როგორც მოისურვებს ყოველი მათგანი. როგორ გკონიათ? სწორედ ასე ფიქრობდა თვითვეული იმ ფუტკართაგანი. დანარჩუნება ღვინისა და არაყისა არ შიძლებოდა, რადგან ხალხისთვის იყო შეწირული, უნდა გაეთავებინათ. მანამდე სახლში წასვლას არ აზიარებდენ.

მხოლოდ ახალგაზრდებს მოსწეენოდათ ღვინო-არაყით ქეიფი და სხვა ჯერა ქეიფისთვის მიეყოთ ხელი. ღვთისოს გამოეტანა თავისი წიგნები — „ვეფხისტყაოსანი“, დავით გურამიშვილის თხზულებანი, „კალმასობა“ იოანე ბატონიშვილისა; მიმსხდარიყვენ საბძლის გვერდში. ღვთისო უკითხავდა იმათ „კალმასობაში“ *) იმ ადგილს, სადაც სელაშვილი შაჰხედება ბახტრიონისაკე მიმავალს ფშავლებს და მოუყვება შაჰაბასის მიერ საქართველოს აკლების და ქეთევან დედოფლის წაშების ამბებს. სხვები ყურს უგდებდენ. „აი, ბიჭებო, წინანდელია ფშავლები როგორი ბოდრეები ყოფილან, დამიგდეთ ყური, ამ წიგნში რა სწერია ფშავლებზე და იმათ ვაჟკაცობაზე, როგორი ბოტები ყოფილან მამა-პაპანი, რა საქმე დაუწევია თათრებისადა“. კითხულობდა დინჯად, მაგრამ მკათოდ და კარკვევით: „მიმავლობას შინა იხილათ რანი ფშავლები ბახტრიონისაკე და მათ იცნეს იოანე, რომელიც ენახათ ალავერდს, და მოვიდენ იოანესთან და შენდობა მოითხოვეს. მაშინ ერთმა მათგანმა უთხრა იოანეს, უცხოდ აამე გულს ჩემსა და ჩვენი დედოფალი კარგად აქეო, მე ეს არ ვიცოდი, თუ ამდენის სატანჯველით იმ წიგნელმა შაჰაბასთან ჰსტანჯა ჩვენი დედოფალიო. ის

*) კალმასობა გვ. 406—407—408.

დედოფალი ლაშარის ჯვრის მოსაფი იქნებოდა, რასაკვირველია. რამ ლაშ გიორგის ქალობა ეთქმოდა და იმან მოგატყვიათ თქვენ. რამელიც იქ ფეშეში ჰმარხია და თავის უნჯ უმად გამოგელოდათ. ეს დედოფალიც, ქეთევან, თქვენის გულისთავის ეწამა და სისხლი დაატყა, წუეულმან შაჰბას რომ კახეთი მოახრია, მერე თქვენზედ გამოგზავნა ჯარი. ზირველად ბანაღზედ წამოვიდნენ და თქვენ იმ ფეშავის გადასვალში დაჰხვდით და გამოახბრუნეთ და მერე გაჯავრებულმან კიდე ფეშავის არაგვის წყალზედ ასი-ათასი კაცი გამოგზავნა თქვენ წასახდენად და ის ჯარი მოვიდა შუათხის ქვევით რომ წყალის ზირზედ დიდი კლდის ქვაბია, იქამდის მოაწივა იმათმა მხედრობამ და თქვენ წმინდის ლაშარის ჯვრის და წმინდის ქეთევან დედოფლის მადლით ჰსძლიეთ და გაატყიეთ იქილამ ის მტერი და ესეოდენი მტერი გასწევიტეთ, რომელ მთლად ის წყალი სულ სისხლმან ასე შეაღება, რომ აღარ დაილეოდა და სულ ხოცით მოჰყვეით ეინვალის ხილამდისინა და მას აქეთ თქვენთავის ველარავის შემოუბედინათ. ეს სულ იმათის მადლით არის და უნდა ძლიერ გიუვარდეთ ბატონობებში, რომ თქვენთავინ ასე თავდადებით უოფილან და თქვენ ჰყვარებიხართ და სხვ.

— ბიჭოს, ბიჭოს, რა ამბები უოფილან და ჩვენ არაფერი არ ვიცით, — წარმოსთქვენს ახალგაზდა ფეშავლებმა: — როგორი ქება ჩვენს ვერ უუერებთ?!

— მაშ როგორ გეგონათ თქვენ? — მიუგო მათ ღვთისომ თავმომწონელა: აღბათ იუვნენ ძველები საქეობანი, თორთ არავინ შატკეობდა. ეგ რად გინდათ, აბა ,,ვეთხის-ტყალსანი“ წაკითხეთ, თუ ის არა სთქვამთ, დიდი საკვირველია, თუ ეს ფეშავლის დაწერილი არ არიო, სწორედ ფეშური კილთა, სიტყვებიც — ,,ძოდანთა“, როგორც ჩვენ ვიტყვით, ,,ასმთის ჯუბა“, როგორც ჩვენი დელაკატები იცმენ და სხვა რამდენი.

ამ დროს სახლიდან, სასმლისაკან გათელილ-გალახული და მილეჟ-მოლეჟილის ხმით მოისმოდა ფეშური მღერა. სჩანდა ტიკები ჯერ არ დატლილიყო. გამახარეს მოსწეინდა ამდენი ღამის თევა, უნდოდა გულით გაჰმორებოდენ სტუმრები, რადგან დრო იყო იმათ წასვლისა, მაგრამ ვერაფერს ეუბნებოდა, დიდ სირცხვილად მიანდა. დედა,

ხოშია, ეძველებოდა შეიღსა და ცდილობდა დაესნსა გაჭირებულ მდგომარეობიდან და ისეთ უაიდაზე ლაპარაკობდა, როგორც იტყვიან: ძაღსა სცემდენ, ზატონს ასმენდენო: „შვილო, გამახარე, ვაჰმე რა ბევრი საქმე გვაქვ, ბიჭო, ჩვენ ხო მოვიშრიტენით, დავიდუშენით, ყანას თოვლი დაიმწევედკვს, რაღა გვეშველება, ხო ამოგვძვრა სიმშლით სულეები.

— რა უუოთ, დედავ, კიდევ მოვმკით, ღმერთი მოწყალეა. ხვალ, ხვალე ზეგ სუ საქმის დედა, ვეცნეთ და მოვმკოთ. ურის ერთი დღე მიერკო, ისიც შაბათიო. ქორწილს ვეშურებით, დედავ, ქორწილსა, რა ვქნათ, განა არ იცით, ფშავლები ვართ!

დედა-შვილის მასწავთი გალოთებულ სტუმრებს ისე მისდილობდა უურებში, თითქოს იმას კი არ ეუბნებოდა, დროა თავის სახლის კარები გაიგოთ, არამედ ეპატივებოდა—„თუ ღმერთი გწამთ, კიდევ დარჩით, დროება გაატარეთ და ნუ აჩქარდებითო“.

მოქვიფეების საუბედროდ, საიდღანაც გაჩნდა მეღანია, ოთხმოცის წლის ბებერი დედაკაცი, რომელსაც უკვდავ-უბერებულს ეძახდენ და „ავ-კაცს“. კარახელანთ სახლში ფეხი რომ შესდგა, გაფითრდა და კერის ბოლოში, საცა იდგა უღლის ხარის მოტანილი ქელი, იქიდან წარმოსთქვა: „მევე! ღმერთო, დამწერე ჯვარი და ი ჩემის მამის სალოცავო, აქ რაღას აკეთებთ, ბიჭო, კი დაგაფიწყდათა, როცოლ-შვილი გუავისთ, თავის სახ-კარი აღარ იცითა? რასა სჩადი, დედაკაცო, მიჰმართა ხოშიას,—რაზე სდგები ამ ბეჩავების ცოდვაში, სად გაგონილა ამდენ ხანს სხვაგან ყოფნა. არ უნდა გაიგოსა კაცმა თავის სახლი და საქმე. მე თუ შენა, იმ ჩემს ცხონებამა და ჩემთ მკვდართ იაღობამა ავიდებდი ერთს ჯოხსა და ცუბით სუ წელეებს დავწევეტდი. საუდრის კარი ღია იყო და ძაღს ნამუსი არა ჰქონდაო! ამ ბაღღმა, უჩვენა გამახარეზე,—რომ არა გითხრასთ, თქვენ ვერ უნდა გაიგოთ თქვენი წასსულელი გზა? ღმერთო შამიწყალე და ჩემის მამის სალოცავო! ადგით, ადგით, ადგით წადით!..—უჯავრდებოდა მოხუცი.

— შენი რა იხარჯება, ბებერო, რა გაღონებს? გასწი შენ, აი ხბუებს მიჰხედე. — უთხრა ერთმა მათგანმა.

— ვაჟო, მე ვიცი რაც მუბნებს, ხო უეუერე ამ ჯოხსა, შიგ თავშია გღებ, წადი და მიჩიფლე, თუ ბიჭი ხარ! — უზასუხა მელანია.

ზოგებს თუმც ეწეინათ მოხუცი მანდილოსნის შენიშვნა, მაგრამ ზოგებს ჭკვაში დაუჯდათ და, ვინც იწეინა, იმათაც ასუსუებდენ ეს უკანასკნელნი. ბოლოს შიგ და შიგ ჩურჩულიც დაიწეს: „უთუოდ ეგ ბებერი არა ტყუის, წავიდეთ, კაცებო, მივხედოთ ჩვენს ბეჩაობასო!“ — წარმოსთქვა ერთმა და წამოდგა ფეხზე, აჭყვა იმას მეორე, მესამე და ამსობაში ნელა-ნელა ხალხი გაიკრიფა მექორწილეთა ოჯახიდან. დარჩენ მხოლოდ შინაურები — სახლში, — დატუსული, გამჭრალი მუგუზლეები, ზოგი დერეთანში, სხვა სახლის ყურეებში მოთანტული, ჩიბუხის მოსაკიდებლად მიტანილი და გარეთ ქოფაკი ძაღლები, რომელიც ადამიანთაგან ნახრავ-ნუხრავს ძვლებსა ჰხრავდენ ისე გულეურად, როგორც სამი დღის მშეიერი ჰურის ყუას. კალთში მამალი ეიოდა, თითქოს წასულებს გზას ულოცავდა: „მშვიდობით წადით, ჯვარი გეწეროსთ, ღმერთმა ნსომ-ნაჭამი შაკარგოსთ, ძილი და ვახშიში გაამოსთო!“

XI

— ღვთისო, ძმაო, აბა, რა ვქნათ? ეს ქორწილიც ხო მოიშორეთ, ეხლა საქმე უნდა გავიგოთ. რას იტყვი? რა ვაკეთოთ? — ეკითხებოდა გამახარე თავის ძმას ღვთისოს.

— რაკი, არა გვაქვ საქმე, შენი ძმა გენაცვალოს, ზოგებმა კიდევ გალეწეს მთაში ქერები და ჩვენ უნაც კიდევ გვიკლავ მოსამკალი, — ნათიბი გვაქვ ასახვეტი. ე მას სუეველას კაცის კელი ეჭირება, გაკეთება უნდა.

— ჰაი, ჰაი, რო გაკეთება უნდა, მაშ ისე ხო არ გაუშვებთ. და ეს უნდა ვქნათ ჩვენა, — განაკძო გამახარემ: — შენ და შენი რძალი და სანდო უანის სამკალად წადით, მე სახვეტს წავალ, ხვალა და ხვალეზეგ, თუ ამინდი იქნა, იქნება ავხვეტო. თქვენ სამნი ვერას იზამთ და ეგებ შაბათისათვი მიჭატიჯ-მოჭატიჯოთ ვისა და მუშა (მამითადი) მოფახერხოთ, ითროო საქმე უკვე დაგვრჩება; ეს სასმელი

ხო გვაქვს, საცა ეს ამოდენა ხარჯი გაუწიეთ, ერთი ჩხტაც (ციკანი) ზედ დავადგათ შაბათის სანათლად.

სხვა და სხვა თემს ფშავში სხვა და სხვა დღე აქვს უქმად დადებული, ვითომ „ღვთისთვის შეწირული“. ეს დღე ყველამ უნდა იუქმოს, ე. ი. საქმე არავინ არ უნდა გააკეთოს, არ იმუშაოს. ამისთანა დღეს „ნაკვეთი“ ჰქვიათ. ვინც იმუშაებს და ან მუშას ამუშავებს, ამ დღის ჰატონსაგებლად უნდა საკლავი დაკლას. ამას უწოდებს „სანათლი“ და ამისთანვე უნდა კელაპტარიც ანთოს.

დიად, ჩხტას გამახარე შაბათის სანათლად თხოულობდა და ძმისგანაც თანხმობა მიიღო.

— კარგს იზამთ ძალიან, დედაშვილობამა, — მოუწონა ჩოქიამაც შვილებს ფიქრი: — კაცმა უნდა საქმე მოაკილოვოს. საქმეს ძალი კი არა, კილო აკეთებს. ღმერთმა გიშველოსთ, რო „მუშა“ მაიგონეთ, ეგ სასმელიც ტუეილად გაგიღისთ, ტუეილად ქვეყანა შავსომს და ისა არა სჯობია, როცა რამ ისმევა და იტმევა იმის ფასისა საქმეტა კეთდებოდეს?! ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსთ, — დაამთავრა თავისი რჩევა ამ სიტყვებით ჩოქიამ.

ეს განზრახვა, ფიქრი გამახარესი ყველამ მოიწონა და ისე გადასწვიტეს, რო შაბათისთვის მთაში ქერის სამკალად „მუშა შეყარათ“.

ამ დღეებში კარახელანთ ოჯახში ღირს-შესანიშნავი არაფერი მომხდარა იმის მეტი, რომ მოდიოდნენ მეზობლები და ვისაც რა ეთხოვინათ, მიჰქონდათ თავ-თავიანთ სახლში, ზოგს ჯამ-კოვზი, სხვას საღვინე ხელადები, ტიკები და სხვ. და სხვ.

მეც ამ ქორწილში გახლდით, ყველაფერი ჩემის თვალითა და ეურით გავიგონე, რასაც ფშავლები ამ დროს ღექსებს თუ ანდაზებს ამბობდნენ, ჩემად ქალადი და კარანდაში მეჭირა და, ვიწერდი ჰატონს რვეულში. ვგონებ არ უნდა იყოს ურიგო, თქვენც გაგიზიაროთ ეს ღექსები.

1. ქორწილის გამახარებულო, დაუწვი ეგ შენი ქალობა,
არ იცი თავისიანი, თუ კი შეატყე ფშავლობა*).

*) ე. ი. არ აბედნებ, ყველასთან დასწვებიო.

2. ქორწილსა და შხადობს, ნეტავი მომცა მღაღობსა,
ეჯობისან დაუკვდებოდი, მაგრამ არა აქვ დანდობა.
3. დმერთო, ნუ მაჰშლი ამ სახლში ღზინსა და განარებასა,
ვაუების ქორწილობასა, ქალების გასტუმრებასა.
4. რად გვიწერებოდი ძოღანა, რად გვაწიბილებდი ღათაო (ღებსო),
ვაჰმე რა ძნელად დავწუნდი, აღმე ავხუდავ გზასაო,
თოვლი მოიდა ტიალი, ველარ გადმოსვალ მთასაო,
რა მოხვალ, ჩვენსა წამოდი, აგრემც დაჰმარხავ დასაო ¹⁾.

ა იმ მთაზედა დაგვენიტე შენი ჩაურილი თხილია,
წამუელ შარახეგშია, სუ ძროხებშია ვტირია,
ნეტარ ველარა ვნახთა შენი ღამაში ვირია? ²⁾

5. თხამ მგლის სიკვდილი გაიგო, დაიკივინა, გაიქცა,
— თხაო, რად გაგხარებია, განა სამგლეთი დაიქცა?!..
6. — ჩონქარავ, რასა ჰუიქრობდი, ბატარქალთან რო სწვებოდი?
— თბლობით შენანებოდა, დაუჩვეველსა ვჩვევდოდი,
ისეთ გულ მქონდი, გენაცვლე, ვითამ ჟოღ-მაუვალს ვკრეფდოდი.
— ჩვენ ტოკა ³⁾ გვემატებოდა, შენ რომ კუნტრუშთა სძრევედოდი.
— მაშინ თუ ვიღუშებოდი, დაუმარხავი ვრჩებოდი ⁴⁾.
7. — შენ დრო-ჟამ შარცხვეს, კოკაო, შენ ფაიტონით მგზავრობა,
ვითამ გენჯელაშვილი ხარ, შაგირცხვა ჩამომავლობა.
— ნეტარ რო არა გიჭირდეს, კაცო, რად იცი ჯავრობა?
სუ გერ დავალის კოკაი, მაგრამ არ უშლის მთავრობა,
თავის ფუელს აძლევს კუჩერსა, შენგან არ უნდა ვალობა.
8. დაიზარდენით, ქალებო, ძუძუებ გამაიჭირეთ,
თითოჯერ უველამ მაკოცეთ, ჩონქარა ჩამაიტირეთ.

¹⁾ ქალის შეთვლილი.

²⁾ ბიჭის პასუხი.

³⁾ კაცია.

⁴⁾ ე. ი. უშვილო იმიტომ თუ ვარო

9. ჩონქარაი ვარ ღვერათი, დავდივარ როგორც კერატი,
წაწლს დავზირდი წულებსა, მითამ თავადა ვკერავდი.
10. არ გიუვარვარა, ქალაო, არ მოგიდისა სულ-გული?
შოდი, დამაწვეე გულზედა ტიპტორასავით ძუძუნი!..
11. თავის ზატრონი ენაცვლოს თავის თვალ-უვითელ ციცასა,
დაძვრება მეზობლებშია, დამბაღს ხაჭოსა ჭზიდავსა,
ხსნილ-მარხვა გამაგებინა, ეგემც დამაურის მიწასა,
შოდინს საჩივრელადა: „ბრიყვად ნუ ავლეე ციცასა!“
დაახამს თავის ზატრონი, დააკაწრინებს მიწასა,
ვინც მაგას წკეწლას დამიკრავს, ეკ იყოს იმის მკვდრისადა.
12. თოფმა თქვა: ჩემსა წამალსა სამ-პირად უნდა დუდილი,
შორს ვიცი კაცის სიკვდილი, დიდი ჭექა და ქუხილი.
13. შენი დაბრძობა გავიგე: ჩემ წილ ქვეუნა დაქცა,
გული არ გამიავლება. მაინც მიუვარხარ, მაინცა.
14. ნეტავი, ჩემო სწორაო, იმ შენის კარკა ყოფნითა,
სუ გაგწვევტიყო ცხვარ-ძროხა, არ გაგმაკვიყო კოპიტა¹⁾,
თროღს აბეშოკს გააჩენს, აივრო ქვეუნის ცოდვითა²⁾,
თრი სოფელი მოთხარა: წითურანიცა და კორკიცა,
სად არი ჯაღაბური³⁾, წავიდეო, მოვკლათ თოფითა.
15. დამასტეს ხენი აყოფდეს ძირადა ერთის ხისანი,
შესახვევებელად მამინდეს, მკლავნი თუ იყვნენ დისანი,
რად-რათი გამიწერებოდეს თვალნი ზეითის დთისანი,
არ დამფარვიდეს მიწანი ბარისანი და მთისანი,
ცრემლნი არ მელირსებოდეს ქალისანი და რძლისანი⁴⁾.

¹⁾ დედაკაცის სახელია.

²⁾ რადგან აბეშოკსა ჰყვარობდაო.

³⁾ გვარი საყვარლისა.

⁴⁾ ს. დამასტედან პატარაობისას ტყვედ წაყვანილი დები შეჭხვედ-
რიან ერთმანერთს დაღისტანში, მოსწონებიით ერთმანერთი და ბიკს შერ-
თვა განუძრახავს დისა; მგერამ, როცა ლაპარაკი გაუბამთ ერთმანეთის

16. ამირან ჩამოტიროდა ცხენ-ოხრის ჩამოგდებულნი,
წინ დედა გაშეკვება: სადა ხარ გაჯავრებული?
— განა ღმერთი ვარ, დედაო, სუ ვიყო გალაღებული.
17. თოფმა თქვა: ჩემთა წამალთა შვიდ რიგად უნდა დუდილი.
მასის ბერში დამნაუნ, მეძრ ნახონ ჩემი ქუხილი,
წამიღონ ჭიუხებშია, ნახონ შუნ-ჯიხვთა წუხილი.
18. ბევრ ქალ კი შავაუინტრავე თხილობა-შვიდნობაჩია,
ბევრ-ბევრა დამემადრიფლა: „მოგხმარდეს მშვიდობაშია,
ნეტავი შაკესნებოდეს, ჩავლებდი კიღობანშია!“
19. შილდის თავს ქორი ნადირობს, შილდის ბოლოზე არწივი:
ქორი უბარებს: — ჩამოვალ! — „არ ჩამოგიშვი!“ — არწივი.
ერთურთს ნუ დავაღვიებთ, თავ-თავად მივცეთ ადგილი.
20. ქარი ჰქრის საქაროვნესა, ღურბელნი ელავდიანო,
ციბალაი და თოთელი ერთურთსა ჰზვეკრავდიანო,
ხმლები დატეხეს ცემითა, ხანჯრებით სჩხვეკრავდიანო.
21. ნეტავი შენა, მთვარეო, რა ბევრს რასამა ჰხედავო,
გავხედნებ შირაქშიითა, სათიბთ ველები ჩნდებაო,
ფშავშიით არი ქორწილი, ტოშიით სადა ტუფრებაო,
თამამის წითელ-კაბაი, რაკი არ შახუნდებაო,
მაჭრეხება თამაშობასა, წაწალს წინ გაუძღვებაო,
მივადის სახლის კარზედა, კარ მოჯრილ დაუნხდებაო,
მახვევს ფანჩოს ძველასა, საბძლისაკ აუძღვებაო,
მივადის საბძლის კარზედა, მამალიც აჩქამდებაო,
„ჩვენიმც ცოლვა გაქვ, მამალო, წინაკიმც აგანჩდებაო“.
22. ცხვარი ჰუავ ფშავლის ჩობნებსა ნაპირსა ალაზნისასა,
გადმუცვიოდენ თათრები, ფერს ვერ უცვლიან მგლისასა.
უაეიჩი შავერდაშვილი ქორსა ჰგავ მადლის მთისასა,
ხმაღ და ხმაღ გადმუფრინდა: „ჯავრსა არ შავჭამ მტრისასა,

ვინაობაზე და გამორკვეულა მათი დაძმობა, მაშინ ბიჭს უთქვამს ეს ლექსი.

რად მიგიდისო, ძაღლებო, ვაღსა რად მადებო სხვისსა.
 თოფ დაჭკრეს უქშერებელსა სისხლითა ჰლებავს ქვიშას,
 ჩობნების ტირილს გაჭკვირდენ, ჭექასა ჰკავის ცისსა:
 „ვინ ჩაკა სათათროშია, კვალს ვინ ჩაჭეუება ცხვრისსა,
 ვინ გაგვიბრუნებს ბელადსა ურჯულთათრებისსა!“

23. ქალაქში ხორგელა განდა, იორზე მუსრი ძროხისა,
 ან ჭირი საქონს დამილეკს, ან ხორგელაი ცოლ-შვილსა.
24. ერთმა ზირ-ქუშმა ვაჟკაცმა ცხენ-ხეთქით ჩამაიარა:
 ხელი გამიკრა გუთანსა, ზღვას გაღმა გამისრიალა.
 დმინი ქნა, კბილი გამოხნდა, შექმა მთა გადაიარა.
25. ჩამოტიროდა ბაყაყი, მასთრავდა ტიტველ ფაშია.
 —დაჯე, მიაშბე, ბაყაყო, რა ამბავია ფაშეშია?
 დაჯდა, დაიწყო ტირილი: „წასვლა მამერგო ჯარშია,
 არცა მაქვ ტყვია-წაშალი, არც საყიდელი ფასია“.
 —შე იმას გირჩევ, ბაყაყო, რო გადაჭტორინდე წყალშია.
26. შაირს გაიმბოთ, სწორებო, არაგვზე ფაშეეთისსა,
 მოღის, მოტირის ტიალი, გვერდს ალბობს საღის კლდისსა,
 კლოვით აცხადებს არაგვი უბედობასა მთისსა,
 ფაშელების დამარცხებასა, გამარჯვებასა მტრისსა.
 ჩამდინარს მგზავრებს უამბობს სიკვდილსა კაის უმისსა,
 ფოლადის გული გაუღნავ, ვაჭ დედას ერთიანსა!..
 თოფიც დუშმანმა გასტაცა, ხანს ვერ გავიდა ცდისსა.
 ვაჟკაცის სისხლით შაღებილს დედა დასტირის მიწასა:
 იმის სახლის კარს დუშმანი ჭერებსაც უმტვრევს ხისსა.
 ხევსურავ, ქისტაურელო, მადღს შაკახვეწებ დთისსა,
 კიდეთ დაგრჩენ მოძენი; სისხლს აიღებენ ძმისსა.
 გცხვენოდეს, ქისტაურელნო, იმედს დაგდოთ სხვისსა;
 ე მაგის მოლექსებელი ჩამოვალ ახუთისსა,
 თოფი მაქვ ჩაშლილ-მოშლილი, ჭახრავს უკეთებ ხისსა,
 ჩარგაღელი ვარ, ვინ მიცნობს, გამწერაღსა დედ-მამისსა,
 ჩემი ამბავი გაიმბოთ, გულს გაჭხეთქს საღის კლდისსა.

27. გამიწოდა სხსენებელი, ძველ-დების არე-მარეო,
ბეერი ვიღონე, ვიგონე, ველარსად დავიმალო,
დამდეგდის შავ-გვრემალაი: „ჩოხა კაიდგრე, მალეო“,
გავიხადე და გაღუგდე: — „მშვიდობას მიხმარეო!“
მეთე ჩემ ჩოხა ჩადვეს, მე სუ კარგადა ვთავალო *).
28. — შინ წასვლა იქნებ გეწადოს, თევდორე, რასა სწუხდება?
— მწადიან, წავალ კიდევცა, თუ იორს გადაურჩები.
— ეგბე დაგლიოს იორმა, მე დამჩებს შენი კუფრები!
— ჩემ კუფრებს ვერა ხმარობენ, კოკავ, შენ ფერა ქურდები.
29. ამაში ივანეური დღეშეუგ **) გაჭლესავს ხმაღსაო.
დედა უცხოობა საგძალსა, მამა უბანდავს ჯღანთაო,
მამიდა გამაისტუმრებს, ლამაზა დასწერს ჯვარსაო:
„წადმ ჩაჭევე, წმინდავ გიორგი, თავის წულს, თავის ემასო!“
მალედავ ჩამეეწია ლამარის ჯვარის ემათაო (ფშავლებს),
ხელითა სტა ელარტიაულთა, ფეხით მაჭლახავს მეგდარსაო,
მასდედა ზირშიშეკლავი, ცხვრებულა სჭრიდა თავსაო,
შავარდა საღუდეშია (ხატი), წელთით დაჭკეტავს კარსაო,
მივიდა ხომარეული, შუაზე გასტეხს კარსაო.
მარცხით კელაპტარს შაიტანს, მარჯვით— შიშეკლავ ხმაღსაო,
მუქნეკს ივანეური გაუქრობს კელაპტარსაო,
მუქნეკს ხომარეული, გააგდებინებს თავსაო.
ივანეურის სახელი ნავით გავიდა ზღვასაო,
ივანეურის ფრანგულსა ქალაქს უსინჯვენ ფხასაო:
„ბასრი ჰეოფილხარ, ტილო, იმით თუ ჰევენტდი ძვადსაო“.
30. დათვმა თქვა ბუზანზარელმა: „ჭალა გამოფხარ სხლიანი,
მამზარებიოეა ემაწვილი ბატარა, მშვილდ-ისრიანი,
მე ტოტით, იმან— ისრითა დღე დავადამეთ მზიანი,
მეორე დილა გათენდა, გალო გამოფხარ წვნიანი“.

*) ყაჩაღების გატარებული.

**) დღე-გმომშვებით, ორ დღეში ერთხელ.

31. დათო, აქვი, შენს რჯულზედა, ვინ უფრო გეომეობდა?
—ვაჟკაცი შავგვრემანაი ტოტ და ტატ მეტანებოდა,
ვაჟკაცი, ქალის ჰირაი, გორის ჰირს ეფარებოდა.
32. —ჩემთან რად არ გადმაჰქედები, შილნიანავ, ტიტველაო?!
შენ კაცს კიდევ დაიბრიყვებ, აუ რო გული გიჩვენაო,
დამენახლავე, გადმოვხდე ზეით შენა, ძირს შენაო,
ნიგზურს ხელი წამოგივლო, დადგეს ცეცხლის ჩინხსელაო,
გავედინნეთ სკაროდა უკვენ მე და წინ შენაო,
ასეთ მკლავებ დაგიქნით, როგორც თინის ძირხვენაო,
მოგეწიო და დაკარტვა, დაგწვას, როგორც ჭინჭველაო,
უკვენ ხალხი მოგძახოდეს: „სირმამ ვერა გიშველაო!“
33. —ღვთისო ვარ, იმერლიშიელი, ბატარქალის გაზდილი,
ასე ამოუერი ლექსებსა; რო თებერვალში დანძილი.
—ფოშტის ფულ ველარ გიშოვნავ, ხან ნაცვალ დაგდეგს, ხან
გზარი.
—რა უეთო, ღვთისო გენაცვლოს, საშოვნ არ არი ადვილა:
იჭრება ჰეტერბულშია, მე იქ ფულისად საღ ვილი?
34. ორნივ წისქვილში დავხელენ: ბატარქალი-დ, ნააული,
მაკოცე, ბატარქალაო, თუ ხარ იორზე წამსვლელი,
შამოვიგორე გულზედა, უბეში ვკარი ცალ ხელი,
თუ წახვალ, ბატარქალაო, აქავ დამრჩება ჩათელი.
35. —აქათ გადმოხე, ჯანანო, ამ თავის დედი-ძმემთანა.
—მოგიკვალთ, ჯანან გენაცვლოსთ, რას-რა მიაშობთ ნეტარა?
ნეტავი მამცა პრიჭკაი, თქვენთვი ცეცხლ შამამეუარა,
თქვენდ ე ცხვირ-პირი ჩამეწვა, ჯავრ იმით ამამეუარა:
კიდევ აწვენთა ქისტონას¹⁾ ბაღლიათ თინიბეგაანა²⁾?
ლიშოზე ჩამოვიარე, დატუსვილ ბოძებ ეუარა.
—ეგ სო ეტუეუნა ჯანანსა, ტუედილ მ—რი ეკამა:
ერას ხომელს ურო ექნია, მეორეს თავი ეფარა.

1) ქალია. 2) ვაჟია.

36. ღვთაისა ვარ იმერლიშვილი, გამჭრეელი, გულით მაგარი,
 დავწყო ზირქვა და ვიფიქრე, რო ხმაღსა სჯობავ ხანჯარი,
 ორივე ტიალად დამრჩალა, მომხმარე აღარსად არი,
 კოშკებში ¹⁾ მოსვლა შეღირსა, ღმერთსა ვეც საღამ-თაყვანი,
 დაჰვიწყებოდა მდიდარსა გლეხობის გადახარა;
 მთელის კოშკების ფასია ეოფხელის გერის სხლ-კარი, —
 იქიას გვერდზე ზვარი აქვ, აქაიას გვერდზე ბაზარი,
 დაფერილია კრასკითა, არ მიუდგება ადარი,
 ორი ჰყავ ხელის ჰოერი, შესამე იმათ სარქალი;
 ერთი სამოვარს შამაჰდგამს, სხვას შაქვ ჩი-შაქარი,
 სუ მუდამ გადადებული სადილად თითო ბატკანი,
 საამურს სტოლზე დაბანდა, რო ქალაქს ღურბელსატარი,
 ეოფხელის გერის ჰასუხი არვის გეგონოსთ მართალი,
 თუ გერე მდიდარი იუას, სსიმიბილეს ქვეშ რად არი?
 მინდროთ რო ქარად ასტელება შიგ შაქვ თოფნა და ქარი,
 ღობე რა ნაქარს დაიჭერს, ღობეა წნელით ნაწნავი.
 დაჰქროლნებს, შიკუნჭება, რო ნაშაღაის ბაწარი,
 ჭიღობის ძველას მაჰზიდნებს, სახურავ აღარსად არი,
 საგანებულში ჩავარდა ქეთევან, ჩემ თავ-მამკვდარი ²⁾.
37. ქებით შავანდენ ცაშია ჯაბანსა, თავის ძმობილსა,
 მინდროს აზობენ საგსეა მაგის ცხვრითა და ძროხითა,
 ასობით სამდენ იქნება, სწორად არ ვიცი, რო გითხრა,
 შვიდ წყემსი ქიზიუელი ჰყავ, მომართულები ჯოხითა,
 კახეთს უქებენ მამულსა, სუ მუდამ ღვინო მოღისა,
 შიგ თორმეტ იმერელი ჰყავ ბარებითა და თოხითა.
 ხომის ძირს დუქან გამართა, სუ მუდამ მუშტარ მოღისა,
 შიგ ოროლ დახლიდარი ჰყავ, წკაპი-წკუპი დგა ჩოთქისა,
 ხომს სასანლეებს უქებენ, ქარვასლეებსა სჯობისა,
 ბაღკომზე მიდგებ მოდგება სირშიანის ჩოხითა.
 — მაგის სამყოფოს სახ-კარსა საბოსლო ქოხი სჯობისა

¹⁾ სოფელია.

²⁾ ქეთევან — „ყოფხელის გერის“ ცოლი.

მინ რო მიუგა სტუმარი ჰურსაც კერა სჭამს ცოდვითა,
დათამაშობენ თავგები, ფხაწი-ფხუწი დგა ხოკრისა.

38. ჰაპო, შე მალაღაშვილო, შენს სახს თავადითა ვხედავო;
ორ თავგეს რო ჩხუბად გაუხდეს, მეშველ არ მოთავსდებაო.

39. მალღა ხოვანის ტუეშის თოფმა მოჭზინდა მიწასა,
ეგ იქნებოდა გრიგოლი, ხარს მოგვიკლავდა დიდ-რქასა,
ტუავ-ხორცს დუქანში გაჭყიდის, ბოძუე მიაკრავს კირჩხასა.
სწორებ უღოცდვენ სახელსა, ეველა ამბავს ჰკითხავს
დიდ-გულადა ზის გრიგოლი, ჰაპიროზსა სწევს, სწინტავსა,
ფშავში ენაცვლელს ქალები იარადს ვაჟკაცისასა,
ნეტარ როდის-რა მოგვივა, ამბავს იკითხვენ უმისასა,
ან საჩიქილეს მოგვიტანს, ან ბუჭედს ვარშავისასა.
ე მაგის მოლექსებელი ზურგით ნეკერსა ჰზიდავსა,
სუ ჩაკვიკუტა საქონი, კუდით ვაუენებ ღთისასა¹⁾,
წაბლიაც²⁾ ეგრე გახდება, ისეთსა ვხედავ ლიშინსა.
თემურაზი მუავ ძმობილი, ეგ მძღლებინებს, მირთავსა,
თავადიშვილის ფერია, სუ საზნით ხელ-პირს იბანსა,
ახლა ჰაპიროზს გავმართავთ, კეთილ ცხოვრება გვიუვარსა,
სიმინდის ჰურსა არ ვკადრობთ, სუ ჯურზე ვხარშავთ ხინკებსა;
დავალის ტუეში, ნადრობს, დღეში ოროლსა ჰზიდავსა;
ერთს დამრწავლს ირემს მიადგა, იმასაც დაჭრილს სხვისასა.
ავა და ჩავა კახეთსა, ფშავით ამბავსა ჰზიდავსა.
ისრ ამაშურნა ჯალათნი, თვალს მარისხებენ ღვთისასა,
სანამღი ირშებსა ვხოცდი, კვდებოდენ ჩემის დღისადა,
ცხენსაც ლამაზად მიჭმევდენ, მენაც მაწვენდენ უინხადა;
ენლა არ შამამხედნებენ, როგორც გატუსვილს ციცასა,
იწვევენ საცემნელადა ძმისწულიცა და ბიძაცა.
მტუენანს კაცს ძალიან ვშურობ, სანამეტნაოდ მფიცავსა,
თავადაც ეკეთაი ვარ, მაგრამ ვერ ვითმენ სხვისასა,
ფშავშიაც უხნავ დაურჩები, ჩემ მოქმედება მტრის კარსა,
რამდენიც წავა კახეთსა, ეველაიმც ეგრე იზამსა.

1) ხარია. 2) ფურის სახელი.

40. ღვთისთ გუნცეფოს, ძოძიაფ, მწარე ხარ, როგორც ზიმშილი,
გეწადა, კიდეც მოგერგო სოფლებში ცხენით კინკილი,
გვერდზე დახურვა ქედისა, კარგას ქალასთან სიცილი;
დასწველე მამიდეები, შენზე უროლ, შენზე ვიცინი,
გარეუნილს ბაღლივით გაგვიხე, ძუძუს დაუწეე ზილილი.
41. ა იმ მთაზედა უორნები უსხდომლად არ იშლიანო,
რა ვქნა, რა არ გამოგახედნო თვაღნი არ დაიშლიანო.
42. ჩემს მტერსამც დაულამდეა ავჯალასა და მცხეთასა:
შინაც არავინ შუშეებს, სიცივე მატკლავს ბეჩავსა.
43. რამ შამოგთავალა, თანდურო, ძახილი მაუწყინარი,
სხვას ეველას საქმეს შავმსწრადვარ, წყალი დადგება მდინარი.
არათერია ქალები, მაგათ მიმეოლ კაც ვინ არი?
თოფი და ხმალი ვაუებსა, იმას ჭევერობდენ წინანი,
ხელზე საფუხარ ჩაცვენეს, ფეხზე დაკარნეს რკინანი,
გაჭხედეთ, სერებს გავიდეს ჭიხვნი რქა-ჭახტეობიანი,
თან მონადირე მისდევდა ჯღანზე ფეხ-წრიაპიანი,
ესროლა, ვერას გამაჭრჩა, დაბრუნდა გულ-ჭავრიანი,
დაჯდა და ბევრი იტირა, შინ მივა თვალ-ცრემლიანი.
44. ნუ იტუვით დაკვეხნებსა, გაიმბობთ ჩემის ცდისსა,
თუშავით მომწერეთ წერილი, გადმასუოლეთ ცისკარსა.
ახლა რუსეთით მე მოგწერთ ცხოვრებას სულდათისსა:
ორ მანათ ნახევარს ვიღებ ჯამაგირს მთელის წლისსა,
ლეგას ტოლომანს გააძლევენ, ჩექმასა კამბეჩისსა,
მინდვრად ვართ გამწკრივებულნი, ვაუენებთ თოფის ლიშინსა,
გავხედავთ გრანდიცაზელა მოსავალს ჩვენის მტრისსა,
მტრის მოსვლა, ჩვენი დახვედრა, ელვასა ჭკავის ცისსა,
გააქვის კაცის თაფ-ფეხი ტუფისა ზარბაზნისსა,
დაბლა გამაჭევენს ზაღტოსა ლამაზის აფიცრისსა.
დაიძახებენ რუსები: „სული დმერთს, ლეში მიწას!“
დაიცათ, იაპონლებო, არც კი ჩვენ ვაცდენთ ლიშინსა,
ზირდაპირ გვიდგა ჯარები, ფარებსა ჭკავის ცხვრისსა.

ერთხელ სროლაზე ოცს მოგვედგოთ ვაჟკაცსა ოცის წლისსა,
 ერთბაშად დაეცემიან, გააწითლებენ ქვიშას.
 დაშართეს ჰარახოტები, წამოგვივიდენ ზღვისსა,
 ვერცაით ზღვაზე წაუფლენ ჩვენის ზარბაზნის ღიშინსა,
 სამოც ჰარახოტ ჩაუგდეთ, ზირს აბრუნებდა ზღვისსა,
 ცხრა სუ მთლიანად წავართვით, ამბავს იკითხვენ ტუფისსა,
 კაზეთებს კზავნა დაუწვეს ჩვენთანა ზავის ქნისსა,
 საყმოს ნუ დაგვიზარალებთ, ნუ ჩამოგვართმევთ მიწასა.
 კაი დახვედრა სდომნია მტერს ჩვენის ხემწიფისსა!..
 დღეში წუაღსა ესომთ ერთხელა, ზურსა ვგზამთ თითო მისხდას,
 წინ და წინ დაგვაყენებენ ნამსახურს ხუთის წლისსა,
 საჩუქარს გვაძალადებენ, ფულით გვივსებენ ქისასა,
 გვერდში მამარტყეს ტუფიაი, ნამტვრევს გაიტანს ძველისსა,
 თან კი ვერ გადამიუოლა, ვერც გულს აკრილებს უმისსა,
 ხუთით გატენილ აოფი მატკე, ჯავრს როგორ შავგზამ მტრისსა?
 ოთხი კი კარგა ვესროლე, ვუჭერდი გულის აფიცარს,
 მეხუთე დამრჩა უსროლი, —ბნელად-და ვხედავ ღიშინსა.
 სახეს არ ვიუფ ცნობილი მე ჩემის ჰაზისსა¹⁾,
 მოიდა, ხელი ჩამავლო, ძალს მავედრებდა ღთისსა,
 ხელში ეჭირა მაჯარი²⁾, შუქს აყენებდა მზისსა,
 მხარ-ილლივ ხმალი კვიდა, წვერ უწვდებოდა ქვიშას,
 როგორღაც ამბავს მიაშობს ძველებურ ჯარებისსა,
 კარგა ვერ გამოვიტანე, ვიტყოდი სიმართლისსა.

45. ხან შასმა უნდა ღვინისა, ხანდახან შამღერნებო,
 ხან ომი უნდა ძლიერი, ხანდახან შასვენებო.
46. შეიღს ძმათა, მერვეს ბიძასა მთას ვეფხვი გადმოგვიკვიდა,
 შეიღთავ ვესროლეთ შეიდ-შეიდი, ვეფხვს ერთიღ არ მოკვიდა,
 ესროლა ბერმა ბიძამა: ვეფხვი ბწკლით ჩამოვიკვიდა.
 ნეტავ ჩვე თოფ-იარაღნი ჭაღას მურგანზე დაჭკვიდა,
 ანამც გვაქცია ქაღადა, უნდაურ ქმრებიმც აკვიდა.

1) ეჩვენება. 2) ქართული თოფი.

ა ნ დ ა ზ ე ბ ი

1. ვირის წიხლი რა საწეენია?
2. ვირი ჩაბოდა ცხენთანა, მეც ბუდაური შენთანაო.
3. ქრისტე ღმერთი თუ გუთნის დედა შექნება, გუთანი არ მომეშლებათ.
4. ქრისტე ღმერთი ჭკვით იცნესო.
5. ბრიუკის საგძალი მალე შაჭამიანო.
6. სოფელი ვნახე უძაღლო, უჯოხომ გავიარეო.
7. ძაღლს ჰატრან დახედულადა სცემდენო.
8. ავი ძაღლი არც თაჟადა სჭამს, არც სხვას აჭმევსო.
9. ავს ნუ იზამ, ავისა ნუ გეშინიანო.
10. ერთხელ ხო მ—ან ე—ე დიდო, მეორედ გაგიფრთხილდებიო.
11. ჰატარძალს დიდით აშინებდენო.
12. აქლეშის საშაღნე ისე არ დაშატარაუდებს, ვირისა აღარ გამოვიდესო.
13. რამდენიც დედას გაჭვარდა, იმდენი ნახირში შავარდაო.
14. იწილო-ბიწილო, ღობეს ჭვრიტილო.
15. ბატკანი ერთი ბლაოდა, ძუძუ ათასსა ჭშიოდაო.
16. ახლისა ნახანაღლევს ბებრისა სჯობდა ნაჯღანო.
17. ურიას ღორის ხორცი სძულდა, მიუტანეს და წინ დაუდევსო.
18. როგორიც ალ-ხანა, ისეთი ჩაღხანაო.
19. როგორიც მღუღელი, ისეთი ერიო.
20. დიდს აღმართს დიდი დაღმართიცა აქვსო.
21. ძაღლი სამსკედლოდან რას გაიტანსო?
22. ძაღლი ქალაქს მიდიოდა, რა მიჭქონდა, რა მოჭქონდაო.
23. საუღრის კარი რო დია იუოს, ძაღლს ნამუსი უნდა ჭქონდესო.
24. ფიცი შწამს, ბოლო მაკვირვებსო.
25. ქურდს რა უნდა? —ბნელი ღამეო.
26. ეგელამ სხვისა ჭამა, ქურდმა თავისიო.
27. მძამეს ხელი იცნობს, მსუქანს უელიო.
28. დედა იკითხეო, კვიცი იუიღეო.
29. ავი შვილი დედ-მამის მაგინებელიაო.

30. ჭამა ქონაზედა ჰკიდიაო.
31. მოიდა სომეხია, მაიტანა სხვა მეხია.
32. ამოელს აჭევე, დამოელს დაჭევეო.
33. საცა წახვიდე, ქედი იქურად დაიხურეო.
34. ხარი ხართან დაბი, ან ზნეს იცვლის, ან თეკისაო.
35. კუს ბაკანი შამამტურიეს, ჭირადაც ეკოფა, ლხინადაცაო.
36. შამეყარა ხატუაო, ვატეუე და მატეუაო.
37. მტეუნს რა ხეირი აქვსო?—ისა, რომ მართალსაც ადარ და-
უჯერებენო.
38. მგელი რო დაბერდა, თხამ უერში ჩ—აო.
39. ცხვარი ცხვარია, იუ გაცხარდა ცხარიაო.
40. ტრედს სიმშვიდით ნისკარტი მოაჭრინაო.
41. დილაზე ამდგარს უმაწვილს ღმერთი უმზადებს სადილსა.
42. დათვი საძაღლედ განდაო, იმისი საქმე წახდაო.
43. აზამბურელი თათარი ღორის თავს მეცილეობდაო.
44. კარგ მთქმელს კაი გამგონეც უნდაო.
45. ვინც თავისთვის ავიაო, იმის სული შავიაო.
46. აზნაურის სტუმრობაო, ნუ გკონია ხუმრობაო.
47. ბალახი ნაგზაურისა, მ... აზნაურისა.
48. მიწამც მაყრის დიდის გორისაო.
49. სხვისა ჭირი—ღობეს ჩხირიაო.
50. მუქთი სვი და მუქთი ჭამე—შახტი ბიჭო, ითამაშეო.
51. ზანღური განა მეტკინება, მეწუინებაო.
52. ქურდს რო უერი უგდო, დღეში ცხრაჯერ გატუდებო.
53. ნემსისა და აქლემის ქურდი ორივე ერთიაო.
54. მუნჯის ენა მუნჯის დედამ იცისო.
55. კამეჩმა ზაქი მოგვიგო: ურქო, უკუდო, უუურო,
რა ვქნა რო არა გითხრა-რა, როდემდის უნდა გიუურო?
56. ბედაური ცხენი მთრახს არ დაიკრავსო.
57. კატამ შაჭამა ძეხვიაო, ამაიკუთა თეხიაო.
58. კატა ვერ შესწვდა ძეხვსაო, ზარასკეგია დღესაო.
59. ქათამი რო წყალს დაჭლევეს, ღმერთს შაჭვლენებსო.
60. ძაღლი საცა სალაფავსა ჰსვლევენსო, იქვე ჰეუენსო.

61. ვერ არ იყო ძმარიო, ზედ დასხეს წყალიო.
62. უათრინე ალალიო, რაც არ არი, არ არიო.
63. სირცხვილი მოგადცა, სიკვდილი განატრაო.
64. ვაჟკაცი საცა შარცხვება, იმის სმარე იქ არიო.
65. „მამა მოგიკლა სიმშილმა!“ — შენდა და არ ვაჭმიეო?
66. ჭჩაღი სვარცხლის გაძვირებსა ჩიოდაო.
67. დედაკაცის შარი—მოყარდნილი ღვარი.
68. სოთელი ვინ და ერთი კაციო.
69. მელამ თავისი კული მოწმად მოიყვანაო.
70. თურმა იწველა, იწველა, ბოლოს წიხლი ჰქრა და დაღვარაო.
71. შაქიან ღებიღაი (ძროხა), შაჭმივიან—მკელიაო.
72. წამწემიდა წახედულობამაო.
73. შურმა დაღუბა ქვეყანა, ძახილმა ააშენაო.
74. მოყვრის ინბარას თართოდ ღოგინს ნუ დააკებო.
75. როგორც დამიკრავ თანდურსა, ისე მე დაგიროკდებიო.
76. ეს ქათამი აქა კაკანებს, სხვაგან კვერცხსა სდებსო.
77. ერთის წლის სიბურწით ძროხა არ დაიწუნებო.
78. ვირი რო უფროსადა გეუანდეს, „ახიობას“ ნუ ჰკადრებო.
79. ვისაც უფროსისა არ ესმისო, იმის ვენახს არ ესმისო.
80. დედის წინ მორბინალს კვიცს მკელი შისჯამსო.
81. ნაჩუქარს ცხენს კბილი არ ესინჯვისო.
82. ქუდი მრუდია ციხელთი, შუშხარი—შეენიერიო,
რაცა აქვ, ტანზე აკრია, შინ სახლი ცარიელიო.
83. სახლი გედგეს თანხიტო, შიგ რამ გედვას თარსაგიო (გამო-
სადეგო).
84. ცხენს ვერაფერი დააკლეს, უნაგირს დაუშინესო.
85. ჭალს ხატობაში ნუ ჰჭეუერავ: ტანთ ნათხთვარი აცვია.
ჭალი თუ გინდა ლამაზი, დაჭკულიე ქერის მკაშია.
86. გამქცევი და მიმწევი ორივე ღმერთს ეხვეწებოდაო.
87. ადგილის კურდღელს ადგილის მწეარი დაიჭერსო.
88. კოჭლმა მწეგარმა რო კურდღელი მოგობრუნოს, დაჭერაში ჩა-
უყარდებო

89. ღორის თავი ხალიჩაზე დადვეს, იგორავა, იგორავა და ლაფუ-
ში ჩავარდაო.
90. საცა ქორი ბუღობს, იქ ტრედს რა უხარიახო?!
91. უვაყსაც თავის ბახალა მისწონსო.
92. ბუზურა ბევრი ბზუნისო, ფუტკართან უგელა სტუეისო.
93. ბაღდაღში ვირი კიტრადა ღირდა, მოყვანა ჭირდაო.
94. კაი ღვინის ხაძირალი, კაი კაცის ნაცოლარიო.
95. კარგისა ძვირად უიღვა სჯობ, არ დანანებო ფასისაო.
96. ვირმა ხარი მოიტანა, დაჯდა, თითოხვე დახვრიმაო.
97. ვირო, აღმართი-დაღმართი, შენთვის არ არი წადმართი.
98. გიჟი თავის ნებო არიო.
99. უბედი რამ მოლალა და მუნჯმაო.
100. სნეულის ჯაგრი მანამდენვე ამაიყარე, მინამ ლოკინშია წეკსო.
101. მჩხავანა კატა თავგს ვერ დაიჭერსო.
102. მე რო გაქცეული კურდღელი მინახავს, ღმერთმა იმის ხორცი
მე ნუ მაჭამოსო.
103. ცუნტრუკა ცხენი მანძილს ვერ გაივლისო.
104. ბატონმა გული-გულში სიმღერა თქვა და უმუბი გაწევიტა:
რატომ ბანს არ მეუბნებიტო?!
105. ომი სჯობ შაგნებულთანა, შაგნებულთან ნადიმსო.
106. ეს თონი კარგია, მაგრამ ერთ ადგილას არჩობსო.
107. სიბურე როსტამსაც კი მოჭრევიაო.
108. ნათლიავ, შენსა ჩემი მირჩეენია, სხვისს შენო.
109. ირემმა ირემს ბალახი აუშვირა: მართალია, არ გაკლია, მაგ-
რამ გულს დაგვადებო.
110. შინ რო ბაღღებს გიშოდეს, კარეთ ტაბლას რა ხელი აქვსო.
111. ჯერ თაო და თაო, მერე ცოლო და შვილოო.
112. ობლის კვერი ცხვა, ცხვა, კვიან გამოცხვა, მაგრამ როცა გა-
მოცხვა, კარგად გამოცხვაო.
113. ბებრის ხარისა რქანიც კი ეწევიანო.
114. მკამზავს უგანიდან უნდა მოვლა, მწინლავს წინადანაო.
115. კიდეუ მიდგება ქაჩალი მჭედის კარზედაო.
116. ზურგ წამხლარი ცხენი ცაში კატკატსა ჭხედავსო.

117. ნაბოზარს დედამთილს რძალი არ გაუბოზდება.
118. მელას რაც აგონდებოდა, ის ესისმრებოდა.
119. უნიფხის ცხრა ნიფხავი ეზმანებოდა.
120. ქამარს რა გზდიან, ჩოხასა გზდიანო.
121. სხვა სხვის საქმეში ბრძენიაო.
122. ვირი მოგებაზე წავიდა, ყურებიც იქ დასხაო.
123. ნუ დასცინი სხვასაო, გადაგზდება თავსაო.
124. სამოთხეში არ მიშებენ და ჯოჯოხეთში ხელს მიქნევენო.
125. ზოგსა კაცსა კაცა ჰქვიან, ზოგსა კაცსა—კაცუნაო,
ზოგს დედაკაცს -- დედაკაცი, ზოგს დედაკაცუნაო.
126. ცარიელი ტომარა ფეხზე არ დადგებაო.
127. ქვევრს რასაც ჩასახებ, იმას ამოგახებსო.
128. ბებერო, წუწინ თვალში იმიტომ გაკონცებ, კვერი გამომცხროვო
129. კვიცი ფიშზე ხტისო.
130. სახარე ხბოს სასკარეში შეეტუბაო.
131. დელა ნახე, მამა ნახე; შვილი ისე გამონახეო.
132. ადე, ნახე ჭირიო, დაჯე, ნახე ღხინიო.
133. ვისაც თევზი უნდა, ფეხიც სველი უნდა უნდოდესო.
134. კატის მანძილიო—საბძელიო.
135. ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო.
136. ხარმა ხარი წახხვერა — თივაზე მიაგდოო.
137. გველმა სთქვა: კბუნა არ ვიცოდი, კაცმა მასწავლაო
138. ხევსურს შინ არ უშეებდენ, ფარ-ხმალი ზემო თავში დამიკიდეთო.
139. უხეირთ ვაჭროვო, შენი შენგე გაჭამოვო.
140. რძალი დედამთილს ჩიქილის ტოტით ჩაჭხვიანო.
141. ავი კაცი აღდგომასაც ავიო.
142. ვირმა ზალო მოაძრო, ერთი სხვასა ჰკრა და ათასი თავად იკრაო.
143. ევაკს ბახალა მოუკვდა, ბუს მიუგდო: დიდი თავი გაქვ, შენ
იტირეო.
144. გველის ზმანებაში ფსლიქვი გაწვევტილაო.
145. კარგისა უმისა მცემელო, თავდაც გინდა ფარებაო.
146. ქოთანი დაგორდა, სარქველი მოხელაო.
147. ცხივე შიგნითათა ტუდებაო.

148. ჭამამ ვერ გამძღო, ღოკა რას გამძღებდა.
149. უარუემი რა მოკლას და თაფის ენაშა.
150. ვისაც ემძახლეო, იმას ემსტაჟსეო.
151. საქონელი თუ ჰატრონს არა ჰგავ. არამიაო
152. აზნაური მჭადს არა სჭამს, მაჰშიფდება ფეხს შაიჭამსო.
153. ნუ გასწირავ ძველს გზასა, ნურცა ძველსა შეგობარსსო.
154. ხმაღს არ უშდის სიმოკლე, ფეხი წინ წადგი, დასწვდებაო.
155. აზნაურები ჩადისო, ჩემი აღარა გადისო.
156. ძალი რო მოფიდა, სამართალი უკანა კარებიდან გაიპარაო.
157. ძალა აღმართსა ჰხნავსო.
158. ძალად გამღერებენ ჭაღას ვარდათაო.
159. წაფაღ-წაფაღ სტუმარი სახლის ამბეღებიაო.
160. ავი არ მაკადრიანო, კარგიც არ მაღირსიანო.
161. საცა ბოლი მაღალიო, მეც იმ სახლის შუარიო.
162. ნემს-მახას მჯილით (მუჭით) არ ეცემია.
163. ზურად-ძვირ მასწინძელს მარილი მეტი ესარჯებოდაო.
164. მტერი რო არა გეგანდეს, მისს გაუარე, მტერი გაგიჩნდებაო.
165. კაცი არ ვარცა უმტერო, არც მეტად მტერ-მორეულიო.
166. ეგულა წაღში რო ჩაფურთხო, რომელი-ღა უნდა დაჭლიო?
167. სოფელში დიარება ჰატარა მატეუარაო,
ორჯელ რო შე დაგჰატიყო, ერთხელ შენ რატომ არაო?

ვაჟა-ფშაველა

შეცდომების გასწორება ვაჟა-ფშაველას მოთხრობაში „ფშაველი და მისი წუთი სოფელი“:

გვერდი	სტრიქონი	დაბეჭდილია	უნდა იყოს
277	13 ზვიდან	შემიძლიან	შამიძლიან
281	8 "	გაკეთებული, ან	გაკეთებული სანთელი, ან
283	3 "	გალახულს	გალახულს
286	2 ქვეიდან	დაიწვიდეთ	დაიწვიოდეთ
"	10 "	მკვდები	მკვდრები
290	7 ზვიდან	ბუტულა	ბუტულა
294	9 "	ბთას	მთას
295	5 "	გაჩაღებული	გაჩაღებული
295	6 "	ცხრილიდან	ცხრილს
297	15 "	ღვინო გამოხადა	ღვინო მოიტანა კახეთიდან
299	3 "	მოქმა-ზარით	მოთქმა-ზარით
304	3 ქვეიდან	კარატიული	კარატიელი



შესწორებული და დამატებული

მ. ჯანაშვილის სტატიისა „საინგილო“.

გვ. სტრ.

72 6: ჰანდარა საყდარი კეკენშია, პატარას დელის სერზედ. მის საკმაოდ მოზრდილს ეზოში ორი უზარმაზარი მრავალ საუკუნოვანი ჰანდარია. ეკლესია პატარაა, დანგრეული. საყდრის წინ ანდრია ყულოშვილს ეპოვნა ქვა, რომელსაც ასომთავრულით აწერია: **ԿԿ ԶՓԳԹ ԿՎ ԾՆ ԿԿԹԻԿ-ԾԻԿ ԸԹԾԻՆԻՆ ՆՎՆԻՆԿԻՄԻՆՆՆ...** (დანარჩ. გადალექულა). ჰანდარა საყდარს ქვემო თეთრი საყდრის და ლურჯი საყდრის ნანგრევებია უწინდელ სასაფლაოთი. ამთ ქვემო ყუმის მინდორ საპონჩის ეკლესია, სიგრძით 12 და სიგანით 10 ადლი, აგურ-ნარევი ქვით აგებული. თალი ჩამონგრეულია. სამი კარი აქვს. საკურთხეველი ორ სვეტზე ყოფილა დანდობილი. სამივე ნაწილს აერთებს შუა კარები. აქ დარჩენილა მალალი ფანჯარა. მისგან ჩამოვარდნილ ქვაზე გავარჩიეთ: **ԾՎԾՎ**. ამისთანა და ამოდენავე საყდარი ყარამეშის თავს, კაკის ბინებზე.

73 17: დიაკონი—დიაკონობისაც.

კ რ ე ბ უ ლ ი . . . კრებული სულ 441 ფურცელია. დაწერილია ლამაზის ხუტურით 15—16 ს-ში. აქვს ხის მაგარი ყდა. მასშია: **ლოცვანი**, ჟამნი (გვ. 46). 114/2 გვ. გამოხატულია იოანე ოქროპირი სახარებით. 188/2 გვ. მიწერილია ასოები ასე (თავ-ბოლოდ): **ქ: აჯ: ბპ: გბ: დქ: ეწ ეძ ზც: პი თშ იყ: კლ: ლქ მფ: ნუ ოტ პს ყრ. გვ. 206.** არა დედნის ხელით: **ოლო ივ ქე შუ ფრ ცი თტთა. თვენი** (გვ. 253). 14 იან. იბაკოა (გვ. 288): მოციქული ქრისტესაგან გამორჩეული, ქადაგი სიტყვსა ლ"ა განსწავლული, მახარებელი ცხოვრებისა, წინა მძღვარი ქართველთა ერისა გზათაჲ სიმართლისთა, დედისა ლ"ა საკუთარი მოწაფე ნინო შევემკოთ დღეს ყოველთა ძნობითა მეოხი მხურვალე, მცველი დაუძინებელი. 288/3: მზეებრ დაუალი მზე, მზისა ქადაგი, სანთელი, ელვაჲ, შარავანდელი. ვარსკვლავი. მთიები, მთვარე. ეთერი, ნათელი, სოფლით ოქრო; მიწით საუნჯე დღეს ნი-

- ნოჲ საფლავით სურნელებს მოძღვარი ჩ'ნი, ქრისტეს ლ"ჲ მოციქული. 319 გვ.: განგება მარხვათა და ბატიკთანი. 323 გვ.: დასდებელნი აღდგომისანი.
- 74 მეზუთე სტრიქონად: ამასვე წელიწადსა დაჯდა ალავერდელად ჩოლაყაშვილი ნიკოლოზ თუესა იანვარსა ზ ქ"კსა ტპი მეფის ერეკლეს ეამში (=1702 წ.).
- " 5: ღმერთმა—ღმერთმ.
- " 6: მღვდელს—მღრდელს.
- " 7: ისწავოს—ისწავლოს; კირ-სონ—კირიელეისუნ.
- " 8: ვ. კონდაკი—2. კრებული ტყავზედ დაწერილი ხუცურად თევდორეს მიერ (გვ. 50: სულსა თევდორესსა შ"ნ ლ. ო ო ო). შინაარსი: საკითხაეები სახარება-ფსალმუნნიდამ, კალანდრა, ოხითა, იბაკონი აღდგომისანი. პატარა წიგნია ტყავ გადაკრულ ხის ყდით.
- " 7 სტრ. ბოლოდგან: აზნაურში უწინ ცხოვრებულან მხოლოდ აზნაურები. დღეს ეს შვენიერი ადგილი იხმარება საძოვრად და სახნავად. აქეს თავისი წყალი.
- 76 7 ბოლოდგან „და სხვის“ შემდეგ: ჩარდახში დღეს ცხოვრობენ ლეკები. აქ არის ძლიერი ციხე. და აქედგანვე მოჩანს მალა ვარდიანის ციხე (=ფერიყალა). გაბრ. ჩხეტიანისთვის ჩარდახელ ლეკს წელოვს ეამბნა: ჩვენ ისეთი ბუმბერაზი წინაპრები გვეყოლია, რომ ამ ციხიდან აიძ (ვარდიანის) ციხელებს ყოველ დღე გადასძახებდნენ: „აი ბიჭო, როგო ხართა?“ და იქიდგანაც ხმას მოსცემდნენ: „კარგა ვართ, კარგა!“ ეს გადმოცემა მამა-პაპიდამ მოდის, ხოლო დღეს აღარ ვიცით თვით ამ სიტყვების მნიშვნელობაო. მეტად გაუკვირდაო წელოვს, რომ ვუთხარი: ეგ სიტყვები (ბრჭყალებში ჩასმულები) წმინდა ქართულებიაო.
- 19: ზარნას საყდარი ისევ მთელია. აქვე არის უწინდელი მარანი (ორ რიგად 100-მდე ქვევრიაო).
- 77 " თალაში, მთის ძირს დარჩენილა ვახუშტის მიერ მოხსენებული საყდარი ფიფინეთი, რომელსაც დღეს ადგილობრივი ლეკები ეძახიან ფიფანას.
- 79 21: ნაწილს შეადგენდა. ქართველობის მოსაგონებლად აქ დღესაც ქალაქის მდინარეს ჰქვიან გურჯანა და ერთს ნაწილს გურჯი—ობა (ქართველთა უბანი).
- 87 13: ფაფარ—ჯაფარ.
- 88 21: კაკაბეთი—კახაბერი.

218 4 სტრ. ბოლოდგან: თამაზაშვილის—ასლამაზაშვილის.

ლექსიკონისთვის:

აქამ=აკ მამე.

ახლიებში, ახლოებში, მალე დროს.

განება, ძალიან კარგა გააკეთა.

დარქვა, დარიუა. რიგედ აქცია.

ერცხე, ერთიკ სხვა; უცხოდ, უცხად, მოულოდნელად. ინგ. სხოჲ
=ხევს. ცხო. შეად. უცხო (გურულ. ურცხო), უცხოეთი.

ეჭნტუხ = კინწიბ (ინ. ზემო ლექს.).

ღქღკტტ = ღვეღვეცი (ხეა).

სქუფელ=სოფელ, სქუფლებში=სოფლებში (ორივენიარად გამო-
ითქმის).

ბგერათათვის (ზემო გვ. 225):

ინგილოურში არის ხმა, რომლის გამოსატქმელად ქართულში ნი-
შანი არ მოიპოვება. ცხადად მოისმის იგი სიტყვაში **პრ**: ა-სა და რ-ს
შორის რაღაც გადატეხილი ბგერაა, რომელიც არც ნახევარი **ხ-ა** და
არც სრული **ჰ**: აჯრ.

ყორანის (გვ. 75) აღწერაში გამოგვრჩა აღგვენიშნა მის ბოლო-
ზედ, სოფ. აღმალოს მხრივ მყოფი მიწის ქვეშეთი ქალაქი თორფალ-ყა-
ლა (=მიწის-ციხე), ხოლო განუხის აღწერაში (გვ. 79) იქაურ ბაშ-
შაბალუთის ნანგრევები.

—

P. S. შემოდგომა უკეთესი დროა საინგილოს ნაშთების დასათვა-
ლიერებლად და შესასწავლად. ზამთარში ეს ნაშთები თოვლით დაფა-
რულია, ხოლო ზაფხულობით მათს მიკარებასა და შესწავლას აჭირებს
გველიანობა, მიუვალობა ბრძამლ-ეკლიანობის გამო და საშინელი სიცხე.



განყოფილება მესამე

ეთნოგრაფია:

სახალხო პოეზია

თ უ შ უ რ ი ლ ე ქ ს ე მ ი

შეკრებილნი ივანე ბუჭურაულის მიერ.

თ უ შ ი .

1

თუშთ არ ცტან, ვითარცა
ვინ არის მონა, ბატონი.
თვითონ არიან თავის
ბძანებელი და ბატონი.

2

თუში ვარ მთაში გაზდილი,
მტერსაც არ დაუფარდები,
უჭედოთ ქვეყნათ არ ვივლი
კლდეზედაც გადავფარდები!..

თ უ შ ი ს ქ ა ლ ი .

3

თუშის ქაღმა სთქვა: „შევირთავ
ბასრის ხმლის ამომღებელსა,
სულ უწინ ომში ჩამსვლელსა,
სახელის შინ მომტანელსა“.

ქმარი ვარჩიე, ვაჟ დასა!..
თოფი მთხოვე, ძმაო, არ მოგეც,
ქმარი ვარჩიე, ვაჟ დასა!..
ხმალი მთხოვე, ძმაო, არ მოგეც
ქმარი ვარჩიე, ვაჟ დასა!..

4

ქაღიმ ვინ მოხვედ ჰეშოსა,
დმერთმა გაცხონოს შკვლარიო,
ლეკი მოკალი ბელადი,
მედროშე დალისტინისაო.

თუ რომ მიმეცა ბეჩავსა,
დღესაც სკამს შეჟდა, ვაჟ დასა!..
—ქაღო, ნუ სტირი, ბეჩავო,
თავს ვეღარ იპოვნ ძმისაო;
ძმა, ქაღო, თათრებმ მოგიკლეს,
შტოს გაგიფლელს წელისაო...

5

მზე წინ-წინ გომბორს მოჰხვდუ-
შუქი ალავერდს დადგება. [ბა,
ალავერდს ჯაჭვი ჰკიდაა
წმიდის გიორგის კარზედა.
ქაღმა შეხედა—ატირდა:
„ჯაჭო, ხარ ჩემი ძმისაო,
შვიდ წელსა ომში ნაცვეთო
პირტიტველას უმისაო.
ცხენი მთხოვე, ძმაო, არ მოგეც,

6

ჰელოში დედან ატირდნენ:
ჩვენ მტერმან შეგვაშინაო,
კარზედ მოგვდიანთ ძლითა,
სტუმრულათ დიან შინაო.
ნეტავ ჩვენსა მეთოფეებს
ძლით ვინმ დააძინაო,
პირიმც წულით გაალობინა,
თოფეებმც დაუკრილაო.

სამციხელების თოფებმა
 ჰედომსაც შამაიხულაო.
 ქავთარმა ლუხუმის ძემა
 ხმა-წვრილად შამაივიფლაო:
 ის ჩვენი ფშაველ-ხევსურნი
 აქამც ჩამაჩინაო;
 ხევსურთ ფარ-ხმალი, უწიმი
 ჰედოს თავს ჩამაბდღვინაო.
 მიქელიმა ზურაბის ძემა
 რა საქმე მოახდინაო:
 თვითონ დახტა ცოლ-შვილი,
 სულეთი წახდინაო.
 დღენიცა ერგოს იგეთი,
 ვინც მიქელს გაუტინაო!..

7

ჩილოს წისქვილში ასტირდა
 ნანა თორღვიანის ქალია:
 გებრალებოდეთ, სწორებო,
 მივდივარ უტებარია.
 შენ მამა ჩემო, თორღვაო,
 წელს ნულარ გერტყას ხმალია,
 ნულარც გიხტავ ლეკები,
 ნულარც გიღვენავ ჯარია.
 გამომიყვანეს ლეკებმა,
 გამომიჯარეს კარია.
 შინშე მომიკლეს, ლევანი,
 სასხლისა დადგა ტბანია.
 დაფქე და ბევრი ვიტირე,
 ზედ გადავაფარ თმანია...
 მისწრესა მარჯვენა ხელი,
 უბეში ჩამიდექსაო,
 დამხურეს შინშესა ქუდი:
 ქალო, მოიკალ თავიო.

ჩამატვეს ლეკური ტყავი,
 სალეკოთ მამხადებენო.
 ავედით სალეკო მთაზე,
 უკუდმა ბრუნავდ ქარიო:
 ქარია, არცა ქარია—
 ლევანის ცოდვა-ბრადია...
 ავისსენ საურ-ბეჭედი,
 მითი დავნიშნე გზანია,
 მკლავით ვიუარე ზადტები—
 მღევართ გაიგონ კვადიო.
 უთხროდეთ ჩემსა საქმისა,
 მადლა მოირტყას ხმალიო,
 მამულთა ჩილოლეებსა
 აგებ უჭირონ მხარიო.
 სოფლად ხომ ვერას ჩამოხვადთ,
 მთიდან წასხით ცხვარიო;
 სახსარსა ნუ დადონდებით,
 სათუშო აღარ ვარიო.
 რჯულისა ხელ-უხლებელი
 ურჯულსა ნებას ვარიო...
 მაჭმევენ ცხენ-კვიცის ხორცსა,
 ქალი ბუსურბან ვარიო...
 სანამ ლექსს დაფათავებდი,
 ხიწომ უწოდა ხმალიო.
 გადმოჰეუებოდა ღოკოელი
 ძმურათ უჭირავს მხარიო.
 მოგიხარიათ, ლეკებო,
 ნადავლი თუშის ქალიო,
 თუ თქვენ ეგ წაგაყვანით,
 წელს ნულარ მერტყას ხმალიო.
 მაცადეთ, ლეკის შვილებო,
 ხურთთ აგიგოთ მკვდარიო.
 წინდაწინ დაჰკრა ბელადსა,

ხურთთ ააკეს მკვდარიო,
„თუშო, გაგიცვდეს ველობა,
ზვაფი ჩაკიტუდეს მთისაო,
ან თოფ გეკვრებოდ, ან ხმალი,
ან ზვაფი მაღალ მთისაო!..“

8

(ვარიანტი).

ტუტარიკს წისქვილს ასტიჟდა
ნანა თორღუაის ქალიო:
კარად გამოსვლა მომიხდა,
ვაიმე დამეცნეს ცანიო.
გვერდით მომიკლეს ძმაილა
სისხლის მიბრუნავს ტბანიო.

გამმართეს ლეკეთისაკენ,
უბეს ჩამიწევეს ხელებიო.
ქავთრისა მთასა გადავუელ,
უკან მამბრუნებდ ქარიო.
ქარიცა, არცა ქარია,
ტუგეების ცოდვა-ბრადიო!
დავლექენ საურ-ბეჭკედი,
მით დავილიშნე გზანიო.
მითქვიდით ჩილოელებსა,
ხახონს უჭირეთ მხარიო.
წაუყუვევარ აქვარელსა,
ერთხელ მომავლთ თვალიო;
თუ სოფლად ვერას ჩამოვლენ,
ცხვარ-ცხენთ დაუჭრან უელიო.

გ ა უ კ ა ც ო ბ ა .

9

ცინეს ჩაზდისა ჩარდახნი,
ლიბო ირღვევა მითაო,
რად არ მოკვდება დუჟაი
ქალებთან ლოკინობასა.

კაი უმა მაშინ მოკვდება
სწორებთან ზჯობინობასა,
დალაღებულნი ცხენები
რომ გადიოდნენ გან-განსა!..

თუშეთის გმირები.

10

ქონთიოს ციგუს სულთანი
აზნაურია უმიანი;
გირევეს ხოსიკის ივანე—
დილბანდი დიჩინისაი.
ფარსმაში აუს ალუდა—
კოშკია სიმაგრისაი;
ქემოს აბალოს დავითი—
ხმალია ბასრის ფხისაი;
დანოში თავებრაიძე—

ზურ-წყალი თუშეთისაი;
ჩილოს ქაზნიძე მეშველე—
ხემწითის დროშაიანი;
კვავლოში თილის ძე გიორგი—
შიშია შორის მტრისაი;
დართლოში თადიაური—
მემეტე თუშეთისაი;
დიკლოში აბულის ქორთოში
უამირობს უანასავითა,

კარზე მისულის მობადეს
 აბრუნებს ნასიქსავითა.
 არ დაგაბერა, ქორთოშო,
 ფშოლას ბაშტის ყურებაშო,

კბილებ არ დაგაყრევინა
 დიღ-დიღ ციფის წყლის სმამაო;
 ხმალი არ ჩაგაგებინა
 აჭყაელთ ზაობამაო.

თუშეთის წმინდანები.

11

პირველად დმერთი ვახსენოთ,
 ის უფრო დიდებულია,
 მემრე ნასიქარ კვირაე
 დეთის კარზე მდგომიარე;
 მემრინას ბერი სამება,
 წოვათას ბრძანებულია,
 მემრინას ლაშას გიორგი,
 ლაშქართა წინამძღოლია;
 მემრინას გმირი კოპალა
 ეგ-ქაჯთა პირის მშლელია;
 მემრინას ხახმატ გიორგი,
 გაჭირდეს, მშველებელია,
 მემრინას მაგეხ გიორგი,

მთაზედა ყარაულია;
 მემრინას წმიდა თევდორე,
 ხორციელთ შემბრალბულია.
 უმას უმატე, სამებაე,
 თუ უჩი გინდა რქიანი;
 ქერსა უმატე, სამებაე,
 თუ კოდნი გინდა სავსენი.
 წმიდა გიორგის კარზედა
 ხე ალვად ამოსულია,
 ზედა დაჭსხმია უერძენი
 საჭმელად შემოსულია,
 იმის ნახვევი ქალ-ვაჟი
 შავდა შემოსილია...

ლაშარის გიორგი, კოპალა, ხახმატის გიორგი,
 მაგეხ გორგი, თევდორე და სამება—ყველა ესენი მთის წმი-
 დანები არიან, ყველა ამათ სხვა და სხვა ალაგებში სალოცავეები აქვთ,
 სადაც ყოველ წელს მკათათვეში დღესასწაულები იმართება. იყრებიან
 არამც თუ თუშ-ფშავ-ხევსურები, არამედ მოდიან ბარელი ქართველები
 და ქისტებიც. ჰხოცავენ სამხვეწრო კურატებს, სვამენ ხატების დღეობი-
 სათვის გამოხდილ ლუდს. ლაშარის გიორგი პატრონია ფშავლებისა,
 ხახმატის—ხევსურებისა და სამება—წოვა თუშებისა. დღეობის წესის ამ-
 სრულებელნი არიან დეკანოზები.

თუშის ხმალი.

12

ხმალმა სთქვა, განჯას ნაჭედმა:
 ფრანგში ოსტატმა დამჭედა,

რამთენამც ხელში ამიღო,
 სულ ეველამ ჯვარი დამწერა.
 კაის უმის დაჭრა, დაკუწვა—

სხვა ღმერთმა არა დამწერა,
 დედის-ერთაის სიკვდილი
 ნეტავ ღმერთმ არა დამწერა.
 ჭალაქში ხმლისა მჭედლები
 ერთი გასძახის სხვასაო:
 ვინ იყო ამის ოსტატი,
 ნეტარ აღარ სჭედდ სხვასაო;
 ბასრი უოფილჳ, ფოლადი,
 მით გემით სჭამდა ძვალსაო.
 ბიჭო, გუფი გაგდიდებია,
 ჯაჭვი ტანთ გეცვია ქერქაო;
 მოუფე შენდ არ ვინ შემოყრილ
 ფრანგულ შემორტეულ წელზეო;
 კისერსაც მოგაგდებინებს
 ჯაჭვი შემოყრილ მხარზეო;
 ხმლებთა ვერ შამაშინან,
 თუშებთ გამხეთქეს შიშითო,

უთხრიდით ჩემსა ჰატრონსა,
 ჭალას გამრეცხოს ჭვიშითო!..

13

უმა იშვიათად გაღლესავს
 იანგარშია ხმაღსაო;
 უმა იშვიათად ჩაგდებს
 ჩარლუმის ღელეს ცხენსაო;
 კანთში შვიგდებს სოფლის კარ,
 შეათელიებს ქერსაო;
 სამხრად გამოიღებენ
 ალოდაურის ხმაღსაო.
 ხმაღო, განჯაში ნაჭედო,
 ჭალაქს ფრანგისა ნაფერო,
 კის უმის დაჭრა, სიკვდილი,
 სხვა თუ ღმერთმ არა დაგწერა,
 დედის ერთაის დაჭრა და
 სიკვდილი რადღა დაგწერა.

თუშის ცხენი.

14

ცხენი ეტეოდა ჰატრონსა:
 ცხენთ წინ ნუ დამაყენებო,
 ცხენთ უკან დამაყენიდი,
 ვითომც დაგივარდ გზაზეო.
 ცხვარსაც ნუ გამაყოფიდი:
 ჯანგ არ მომკიდოს ნაღზეო;
 სველია ცხვრისა ბილიკი,
 თუხი დამიცვდებ ნამზეო.
 თუშო რამ გაუშონ თარეში,
 ლაკამ დამადგე თაფზეო,
 ტქელსა შარსა დამაყენ,

მამინ დაგოტეებ ნაღზეო;
 წინ წამიყვანე ბაკის კარ,
 თვალ მქონდეს მოჭერეზეო;
 მოჭერე ღმერთმა არ მოგვცეს,
 წეემსებს გაუფლოთ განზეო.
 სხელსაც მოგატანინებ,
 თუ მღერა გინდა ჯარზეო.
 სწორებ არ დაგივიწეებენ,
 ლეკურს გაფიდნეთ მთებზეო;
 ჭალებ შაირში გათვლიან,
 თუშეთს მბრუნანნი ბანზეო.

წოწრეს მ ა მ ა .

15

ვინამც სთქვა, ენა გაჭხმება—	სიანლე ხელთა სჭერია:
„წოწრეს პაპაი ბერია“,	ცხენზე შეჯდება—ქორსა ჭკავ,
ბერია, არც-რა ბერია,	დაუქვევითებს—მტკლია.

გ ა ნ ა ქ ი თ ი ლ ა ი ძ ე .

16

თოვლი თოვლს ვესტმის მთაზე-	წინ ცხენი ჩუქდგებაო,
დაბლა სოფლადა შრებაო, [და,	ფეხს იცემს, შეიჭიხინებს,
ავათ არს ქოთილთა განა,	შეჭხედავს—ატირდებაო!..
გულს უწადინოთ კვდებაო.	დამარხეს მელეკე განა,
ნუ მოჭკლავ, დამბადებულო,	კუბო გამართეს რვლისაო,
სოთუელსა ეტლი ჭხდებაო;	მოქარგეს ოქროს მკერდითა,
განასა დელა ბეჩავი	შუქნი ადგება მზისაო.
ბერი ბნელეთსა ჯდებაო.	ოქროს შემუტებ ჩაუშეეს,
ბრალთა განას დიაცი	შუქნიმც დადგება მზისაო;
სანთელივითა დნებაო.	ცხრა დაუეჩეს ხუცესი,
გამართეს დასამარხავათ,	ცოდო მოჭხადონ მტრისაო!..

კ ო ჭ ა უ რ შ ე ე ლ ა ი ძ ე .

17

კახეთში ყივის გუგუელი,	გუდას მიგიკრავთ ველარავ;
ყივილით სქდება ველარავ;	თუშეთში, თუშთა ბიჭებო,
ავად არს შევლათ კოქაურ,	წინ გაგიძღვებით ველარავ;
კვდების, მორჩება ველარავ.	შილდის თავს, გრილო წყაროვო,
მთებს შემოჭხედავს თუშეთის:	თავსთან დაგიჯდებ ველარავ;
მთანო, დაგლანავთ ველარავ.	ქარშია, ჭარულთ ბიჭებო,
დედის ჩაყრილო საგალო,	თვალსა მოგავლეთ ველარავ.
ველად გაგიღებ ველარავ;	სშენდობა შევლათ კოქაურს,
ცოდის დაკერილ ჩითანო,	სადაც გარიგდეს ჯარია.

მიქელ ხალიაიძე.

18

მიქელმა სთქვა ხალიაიძემ:	ლეკებიც ბევრი ვხატენი
ბევრჯელ გავსუღვარ ველადა,	გუთანის თავის მთაზეო;
ნაბად მქონია მსუბუქი,	მოჯერე ბევრი მომიკლავს,
მძიმე მიტარებ გუდაო;	მოჯერე ბაკის კარაო.
სადილიც ბევრჯელ მიჭამავ	ბინისკენ მოვბრუნებულვარ,
შილდის თავს გრილ წყაროზეო;	გულდიდათ მივლი მთებზეო.
ბევრჯელ მეძინა, ტიალი,	არცა ვარ კოხტა აბუნი,
კარის თავს ცივსა ქვაზეო;	არც ქუდი მხურავ რქაზეო!..

გორგი თილიძე.

19

მთათა ლეკურთა უორანო,
ვერც რას დაჭეუთავ სხვასო!..
გორგი წასულა საგელათ,
გაფეხნეთ ვმაგის კვალსო.
შურაში ჩავა ხიდზედა,
ვიწროს შუგრავს გზასო.
ანთაი თავებრიძეი —
ვაჯვაცი სცდიდა თავსო;
დავითი თარეჯანიძე
ხმალსა აჭრედა ძალზეო.
კითხვაც არ გინდათ, უორნებო,
ჩადითო ნამარზეო;
დალოცეთ ხმალსა მქნეულები,
ნაჭერ საც იყოს ტანზეო.
შიდ წელს არ მოვიდ ბაღახი
თილიძის ნამარზეო...

20

თილის ძე ლოპოტაშია
ვოლსა სჭამს, მავვალს ახდურებს.

„ან შინ მიგიღებ, სახელო,
ან, თავო, გადაგახდურებ“.

21

ლოშარს ჩაუღლის თილის ძე,
გულდიდათ დაჯდებ ხარიო,
გარ შემოურტყენ ფშავლები,
როგორც რომ ბატონს უმანიო.
— აქ არ მოგესვლებოდ, თილის ძე,
დიდი ჰქენ ცოდვა-ბრადიო:
დასწვი, დადაგე ხოშარა,
ცამდვის აუშვი ალიო;
დაც-უმაწვილებ ბევრი დახოცე,
კალთ გალეწე მკვდარიო!..
— მაცალეთ, ფშავლის შვილებო,
მალოცეთ ლაშრის ჯვარიო,
სალოცავადა მოვსუღვარ,
თეთრი მომიუვანავ ხარიო.
მაგის მემრ გიამბოთ, ფშავლე-
[ბო,
როცა გამომრეს მთანიო.

მთა გაშრეს, მიწა გამოჩნდეს,
 ლურჯამ მოჰკიდოს ნალიო,
 მთამან დაისხას ბალახი,
 ლურჯამ დაბდერტოს ნამიო.
 ტუქემან დაისხას ფოთოფი,
 მსედარმ დამალეს თაგოი,

უბის დეჯეს უნდა გადადიოდეს
 თქვენი ცხვარ-ხაროფანიო.
 იქვე უნდა ნათობდეს
 თილის ძის ლურჯას ნალიო.
 უკან მიმდევდეთ, ფშაულებო,
 საით რა მავის კვადიო?!

თ ო რ დ გ ა

22

მოდი, ვაზუზი, დაგვეხსენს,
 თუშეთის გეოფი ზიანი,
 ახლა ხევესურეთს გადადი,
 ხმალი დაგხვდება ფხიანი.
 გზათ თორღვა შემოგვეყარა
 დეთისკან დოვლათიანი,
 ფარი და ხმალი შენ მოქცა,
 დაშნა დამალა ფხიანი,
 მარჯვნიდგან წამოვირბინა,
 მარცხნიდან დაგკრა ზიანი.
 გულის ჰიკს დაგცა დაშნაი,
 ბორტვი დაკმიჩე მტვრიანი;
 ჩაგიტან დაგლოვანასა,
 ნაბად დაგხურა ცვრიანი,
 თავით დაგისხა ეორნები,
 ძვალ ახრეინა წინიანი!..
 თორღვა, ვაზუზის მომკლავო,
 ნეტარ რა გქონდა ფარადა?..

კახეთს გიბარებს ბატონი:
 ერთხელ ჩამოდი ბარადა.
 ტანთ გამოგიცვლის ხალათსა
 ხევესურთ ბიჭების ჯავრადა.
 ცხენსა გიბოძებს ისეთსა,
 შინ წაგიუყვანოს ჩქარადა.
 ემავის მოშირეი
 ქალ გომეწრელთ ვარ თმიანი,
 შეიტყო, გამომიგზავნე
 საურე გუგუმიანი.
 საცოლეთ არას მიკადრებ,
 აზნაური ხარ უმიანი.
 ჩემის ქებით თავს ნუ გაიდებ,
 თორ-
 მამა მეც მეყვანდა ხმლიანი. [ღვაო,
 კარ-ბელოქნიდან მოუდიოდა
 ფიჩი, ვატები რქიანი.
 იკითხავდითა გომეწარშია
 ვერხოვანს ქავთარ მქვიანი.

გარდმოცემა მოგვითხრობს, რომ თორღვა იყო ბაგრატიონთ ნაბი-
 ჰვარი, სცხოვრობდა სოფელ მუცოში, რომელიც მდებარეობს პირაქით
 ხევესურეთში, მდინარე არგუნის სათავეში. მთაში, მძინარეს თავს დას-
 დგომია თორღვას ქისტების გამოჩენილი ბელადი ვაზუზი, რომელიც ში-
 შის ზარსა სცემდა მთელ მთა-ბარს და დაუტყვევებია. როდესაც ერთ
 კლდის პირას ბილიკზე მიდენილან, უცბათ უძვრია თორღვას საცვეთი-
 დან ხანჯალი, დაუცია ვაზუზისათვის გულში, გადამბტარა კლდებზე და

თავისათვის უშველია. ფშაველებს და ხევსურებს ხარჯი უძლევიანთ თორღვა-სათვის და ერთხელ ხარჯის ალებს დროს ფშაველს მოუკლავს იგი ის-რით. ეს სჩანს ფშავეურის ლექსიდან, რომელიც მოყვანილი აქვს ხიზანა-შვილს ფშავეურ ლექსებში.

მანხვა გაბრიძის ამბავი.

23

ქისტო, ვინ ხარი ქისტეთსა,
ქისტო, ვინ ბრუნავ ბანზედა,
აღარც გამოხვალ სამჯნოს,
აღარ დაგვიჯდებ ჯარზედა...
ამოხვედ ნაყაიროზე,
სახლებ შეგიურივ მხარზედა;
ჩამოხვედ გუდანთის მთაზედა,
ხელი წაგიდის ხმაზედა.
მანდ მარხვას დასძინებია
დამშვრალს, დაღაღუღს მთებზედა.
ქისტო, რათა ხელავ მიინარსა,
რად არ აღვიძებ ცდაზედა,
თუმი იყო, წამოიღვიძებდ,

ადგებოდ ხანჯრის ტარზედა.
სულეთში გაბრიძე მარხვა
ჩივილით შამოდიოდა.
ამას ჩიოდა მანხვაი:
ერთხელ ვინმ გამაცოცხლო,
სად სახლობს ციხეშიაძე,
კარიმც ვინ ჩამავლეგინა:
ორნივე ერთად შეგვეყარა,
თავებიმც გაგვაცდევინა;
შორიდან სწორებს ახედვია,
ბორტეიცა გაგვავლეგინა.
თუ ვერ მოგვკლავდი მომკლავსა,
მომკლან, იქ დამაწვინაო.

ღანაში ბორძიკიძის ამბავი

24

მთას იქით არწივთ გაგზდიან,
მთას აქეთ განადირებენ,
ღანიშო ბორძიკის ძეო,
ორხევით არას გიშვებენ;
სახმლეუთაც ვერას გაგბედვენ,
ტუეიას დაგკრიან ჩქარსაო;
თან გახლდა თუშის შვილები,
გათქმულნი ღაშქრებაშიო.
შეთეი ზივინის ძეი
სულსაც აურიდა მგლისაო;
თოფ დახვრა ლეკის გაზდილსა,

ნაპირ აწითლა წელისაო!..
ლეკეთს შეიტუეს ლეკებმა
სიკვდილი ღანიშისაო,
სამახარობლოდ გაიღეს
სამოდღასაში ცხვრისაო.
მოუკლავ ბორძიკიძეი,
სრულ მჭერელ ჩვენის გზისაო.
მთაში შეიტუეს შუნ-ჯიხვებთ,
გუელდიდად სძოვდეს ჩრდილსაო.
მოუკლავ ბორძიკიძეი,
არცვის მოგვტანებს გზებსაო!..

ნაკულა გამარბის მოკვლა

25

ნაკულა, გამარბის ძეო,
კახეთს რა გქონდა სავალი,
ვერცხლი შინ გქონდა, ოქროი,
ცხვარი მთას გედგა მრავალი,
შინ გეჟდა გოიძის ქალი,
მზე ზღვაზე ამომავალი.

მოგტაცეს ტუის თავის ტერი.
ვიწრო გაქვს ამოსავალი.
სახმლეოთაჲ ვერას გაგბედვენ.
თოფებს უმატონ წამალი.
ნაკულავ, შენსა მომკლავსა
დეგობთ აძლიონ სალამი.

გიგის ლაგაზის გმირობა

26

წოვათას გიგის ციხეო,
ქვაც ნუ გდებია ქვაზედა;
ქაჩუს გადმოდის ჯარები,
ციხეჲ, შენს მუქარაზედა;
თუშეთი შემომტერია,
თუშო, მოგდიან კარზედა!
ცოლს ეტყვის გიგის ლაგაზი:
წამალ ამიწყე ხანზედა;
ტყუია თუ შემოკაკლდება,
დიდი აიჭერ ტანზედა;
თუ ლეკებს წაგაუყანინო,
წვერმიც ნუ მესხას ებაზედა;
ამიშურებენ სწორები,
არც მიმიშვებენ ჯარზედა,
არც მიტირებენ დედანი,
მეგდარი რომ ვეგდო გზაზედა!..
ცოცხალი ციხეს არ შივცემ,
ცაც რომ დამექცეს თავზედა...
რომ მომკლან, ჩემი სიათა
მადლა დაჰკიდონ ქვაზედა;
დაურთონ ტყუია-წამალი,

რომა დაყარონ ტანზედა.
ნადირზე ნუ ვინ იხმარენ,
ნახეგვი არის მტერზედა.

27

(ვარიანტი)

წაროს თავს, გიგის ციხეო,
ნაკებო ხოხი ქვისათ,
ქისტეთს იურება ჯარები,
ციხეჲ, შენს მუქარაზედა.
გადმოდის წაროს თავსა,
გადმამაშვეს მთანიო;
პირდაპირ ჩამოგიყვალის
ციხეჲ, შაკეძრა ტანიო;
შამოგეხვივნენ ქისტები,
ციხეო ლაგაზისაო.
შიგა ზის გიგის ლაგაზი
უამიც არა აქვს მტრისათ.
თოფს ესვრის გიგის ლაგაზი,
ქისტო მოგორავს კლდეზედა;
ცოლს ეტყვის გიგის ლაგაზი:
წამალ ამიწყე წამზედა,
თუ ქისტებს წაგაუყანინო,

ნულარ მიტირებთ მკვლარზედა.
 ტყვია თუ შემოგაკლდება,
 მძივ ხომ ბევრ გასხვ ეელ-
 ზედა!..

მარტოკა გიგის ლაგაზი—
 ვეთხვი გვიმაგრებს ციხესა.
 გაკვირვებულან ქისტები
 ლაგაზის თოფის სრლასა:
 ტყვია რომ მოდის უწყალო,
 არც სცდება გულის ზირასა.
 იღებდა მთელსა გომეწარს
 წაროსი თოფის ჩქამიო.
 ტყვია გაუთავდ ლაგაზსა,
 ცოლს აჭრის ვერცხლის დილ-
 გაიგეს ქისტის შეიღებმა, [საო.
 ლაგაზს გაუთავდ ტყვიაო.
 ავია შე, გიგის ციხეო,
 დღე გაგითენეს შავიო!..
 მოიღეს შეშის სანკალი,
 გაგზვიეს ცეცხლის აღშეო.
 შიგად ატირდა ქალ-რძალი:
 ვაი, დაგვეცა ცანიო,
 ჩაიქცა ციხის ბანები,
 დაბრუნდა ცოდო-ბრალიო:
 სამოცდა შეიდი ჩაიწო
 თუშის ქალი და რძალიო!..
 დაღონდა გიგის ლაგაზი,
 დაბლა დახრა თავიო:
 რა დიდი ცოდო ვიხილე
 ამ სიბურისა ხანზეო,
 ცეცხლში დალევა ხაღხისა,
 გაუგონარი მზეზეო.

ციხიდ გადმოფრინდ ლაგაზი,
 არწივმ გამალა მხარნიო,
 ქისტებთ ვერ დამორჩილეს,
 მხარმა გაიღო გზანიო.
 ბოლოში, ხუცის ციხეო,
 ქვაი ნუ გედოს ქვაზედა!..
 შიგა ზის ქალი თმანი,
 ცრემლი ჩამოზდის თვალებზედა..
 ძმა მოჰკვდომია საბრალოს,
 მტირალი უზის გვერდზედა:
 ვაიშე, ძმაო, რად წამიხველ
 მარტოკა მუჟანდი მზეზედა,
 წაროს თავს ჯარი ჩამოღვა
 ვინ მიეკებოს გზაზედა!..
 შინ არ არიან წოვანი,
 ჰელოს წასულან ომზედა,
 ქალ-რძალი შემოეთვარა
 ამ ოხერ ჩვენსა ციხესა.
 შენი იმედი კიდევ აქვსთ,
 მებრძოლიც იუავ მტერზედა;
 მანდილი უნდა გადავიგდო,
 ქალმანა ვცადო თავია.
 ძმის იარაღი აისხა,
 ქალი ეომა ქისტებსა,
 ციხე არ ჩაატეხინა,
 ღვთისგან რა ჰქონდა ძალია....
 წითლად შეღებეს ქვიშანი
 ქალის ნახოცმა ქისტებმა...
 მე მაგის მოლექსებელი
 გომეწრის ქალი ვარია,
 ზირდაზირ სეირს ვუჟურე,
 წაროს დახვიეს აღია...

მეფე ერეკლეს სიკვდილი.

28

ვერ შაიტუეთა, ქართველნო,
 რკინის შაკენსნათ ხმალიო,
 მოგიკვდათ მეფე ერეკლე —
 ბაკრატიონთა გვარიო.
 ცოლსამ ვინ ეტყვის — დედო
 იმერეთ მეფის ქალია... [ფაღს —
 ატირდა ერეკლეს ცოლი:
 ვაი, შვილებ, თქვენი ბრალიო,
 წაგერთვათ საქართველო —
 მამის თქვენისა უმანიაო...]

29

გალაღებულხარ, კახეთო,
 მეფე ერეკლეს ხმლითაო;
 აღარ გეავს მეფე ერეკლე,
 არც მეომარი მისაო.
 მცხეთას რომ ბრალის კოშკი
 შიგ ნათობს კელაპტარიო; [დგას,
 შიგ ასვენია ერეკლე,
 გმინვით ათენებს დამესა.
 თავზე დასტირის დედოფალ —
 იმერეთ მეფის ქალია:
 — ადექი, მეფეო, ადექი,
 ადექი, რა დავმართებია,

გადმოსულაე რუსეთი,
 მამის გერთმევა უმანია!..
 — არ დაშლილაე მწერელი,
 არ დაშლილ, რაღა იქნება;
 სანამ ვიუფე, კარგი ვიუფე;
 მივძარ-მოვძარი ზღვანია,
 შვილებს დაუგდე ვეფთარი,
 ჰირ-სისხლიანი ხმალია,
 აკებ თქვენც შინახილით
 ქალაქის მოედანია.
 — დაიბარდი, მეფეო, თუშები —
 შენი ნაუნჯნი უმანია,
 გადმოვლენ, მოგვეშველებსა,
 რაშინა გამოცდილები.
 თან გამოჭყენუნა თუშალები,
 ისინიც მათი ძმანია...
 რით ვერ გაიკეთ, ქართველნო,
 რით ვერ შეიტუეთ, საწელებო:
 მოგიკვდათ მეფე ერეკლე,
 რკინის გაგიტუდათ კარიო.
 ვაი თქვენ, ქართლის შვილებო,
 მოგივათ რუსთა შვილები,
 მოგივათ რუსის ბატონი,
 გერთმევათ მიწა-წყალიო!..

ბახტრიონის აღება თუშთაგან.

30

ბახტრიონს სხედან თათრები,
 სიტუვას ამბობენ ძნელსაო:
 ახმეტას გავსჭრით ვენახსა,
 შიგ დაფასახლებთ ელსაო...

შეიტუეს თუშის შვილებმა,
 მადლ შემოირტემენ ხმალსაო;
 ჯერ შუაღამე არ ქმნიდა,
 ნაქერალს გროვდებიანო.

შველაო შველაიძეო,
 პანკისს გასტეხე წყალიო;
 უკუღმ დაესტეღოთ ცხენები,
 დაფამაღვინოთ კვალნიო;
 საგათენებლოთ დაფეცნეთ
 ბასტრიონს გალავანზედა.
 — გარეთ გამოდი, სულთანო,
 თუშნი გისხედან კარზედა,
 თუ ნებით შენ არ გამოხვალ,
 გამოგიუფანენ ძალზედა.
 მეტი ვარ საღირიშვილი,
 ნუ მიშურთ ტალავარზედა,
 გადავალ, გადაფურინდები
 ბასტრიონს გალავანზედა,
 შვიდი არ მოფეკვას ხმაღ და ხმაღ,
 გამცვალეთ თათრის ქალზედა...

გობ-გავლეული ფრანგული
 კაბას რა კარგად სჭრისო.
 ჯიშით ზფობინხარ, ფრანგულო,
 მჭრელი ხარ, თავითფერულო...
 ალთეს და ჩაღთეს თათრები,
 წითლად ჩაღიოდ წყალიო;
 ალოვანში ცინეს ატებენ
 ხოჯა თათრისა ძელისო.
 ლიბოდ უკდებენ გალოსა
 ნაწყრეტის ფრანგულისო...
 დაგაკდებინეს ალაენი,
 თუშთ არის საკუთარიო;
 ჯერ ღმერთი, მერე ბატონი,
 სხვა არფინა ჰყავს მცილაფი;
 ვინც აფვანს უარესობდეს,
 ცოღმ შემოუხსნას ხმალიო...

ბასტრიონის აღების და თათრებთან ბრძოლის შესახებ თუშების ზეპირ-გარდმოცემა მოგვითხრობს შემდეგს: ალვანი, სადაც ეხლა თუშები სცხოვრობენ და რომელიც მდებარეობს კახეთში ალაზნის მარცხენა ნაპირას, ეჭირათ თათრებს; ჰქონდათ გამაგრებული ორი ციხე: ბასტრიონისა—ალვანის თავში და ალავერდისა—ალვანის ბოლოში. კახეთის მეფეთ იყო ამ დროს ლევანი, რომელიც სცხოვრობდა სოფ. შილდაში (უნდა იყოს გრემში). ალვანის თათრები სცხოვრობდნენ ხენა-თესვით და მოჰყავდათ ბევრი ბრინჯი (ეხლაც ეტყობა სარწყავი არხები). თუშეთიდან ჩამოვიდა ერთი თუში ალვანში პურის სასყიდლათ (სხვა ვარიანტი ორი მონადირე). თათრებმა დაიჭირეს ეს თუში და გააუპატიურეს. გაუპატიურებული თუში დაბრუნდა თუშეთში, ჩაიკო ქალის ტანისამოსი და დაჯდა მანდილოსნებში. იმ სოფლის თუშებმა გამოკითხვით გაიგეს თუ რასა ნიშნავდა ამნაირი მოძმის მოქმედება. იტკიცეს ხელი შუბლში. შეურცახყოფა და შერცხვენა მათი მოძმისა იყო შეურაცხყოფა და შერცხვენა მთელი თემისა, მთელი თუშეთისა. თუშის ამაყი გული ამ შერცხვენას ვერ აიტანდა.

„ან შურის ძიება, ან გმირული სიკვდილი!..“ შესძახეს თუშებმა. გაგზავნეს კაცები ფშავ-ხევსურეთში, იწყეს მზადება სალაშქროთ. დანიშნეს პაემანი და ადგილი, სადაც უნდა შეყრილიყო შეერთებული ლაშ-

ქარი. გაგზავნეს რამდენიმე კაცი მეფესთან შილდაში. იყო შუა ღამე, როდესაც თუშების დესპანები მივიდნენ მეფის სასახლესთან. სთხოვეს კარის დარაჯს გაეღვიძებინათ მეფე. მეფემ მიიღო დესპანები. თუშებმა აუხსნეს ლევანს თავიანთი გულის წადილი. მეფე ყოყმანობდა და გაიძახოდა: „რა ვქნა, მტერი დიდია, ვერ ვძლევთ; განრისხებული თათარი ამიბუგავს კახეთს, ქვას ქვაზე აღარ დაანარჩუნებს, ხალხი ამოწყდება. მეფე ვარ და დიდ ცოდვაში ჩავდგები...“ არა, მეფევე,—უთხრეს თუშებმა,—ცოდვა ჩვენ კისერზე იყვეს და ჩვენ ხმაღზე, თუ ვერ გავიმარჯვებთ. ჩვენ ვერ ავიტანთ ამ სირცხვილს; ან სულ ამოვწყდებით—შენი ერთგული ყმები, ან შევვლავთ ალვანის მინდორს უწმინდურის თათრის სისხლით... ჩვენ ისინი ვერ გვაჯობებენ, მხოლოდ შენ გაუხიე კახელები სხვა და სხვა სოფლებში მდგარ თათრებზე, გააჟღერე და ჩვენ თუშ-ფშავ-ხევსურებმა ვიციტ როგორ მოვუღოთ ბოლო ალვანის თათრებს“. მეფე დათანხმდა. დანიშნეს პაემანი—დილის რიჟრაჟი. მეფეს სოფლებში მდგარი თათრები უნდა ღამე გაეწყვიტა და თუშ-ფშავ-ხევსურებს-კი უნდა აეღოთ ბატრიონი და ალავერდის ციხეები.

დანიშნულ დროზე ნაქერლის მთაზე შეიკრიბა თუშ-ფშავ-ხევსურების ლაშქარი. ცხენები უკუღმა დაჭედეს, რომ აერიათ თათრებისათვის კვალი. ლაშქარი გაიყო შუაზე: ერთი ნაწილი წამოვიდა პანკისზე ბატრიონის ასაღებათ და მეორე ალავერდის ასაღებათ. პანკისს იღგა თათრის დარაჯი. დარაჯებმა შენიშნეს მხედრობის კვალი, რომელიც მთისკენ ხევიზე მიდიოდა. გაჰყვნენ კვალს. ამ დროს ლაშქარი-კი ბატრიონის ახლო-მახლო ტყეებში დამალული ელოდა დილის რიჟრაჟს.

აჰა დაჰკრა დანიშნულმა სანატრელმა ჟამმა, დილის სიომ დაჰბერა. დაიძრა ლაშქარი ციხისაკენ. გზა და გზა თუშის ბელადმა—ზეზვა გაფრინდაულმა გააკეთა რამდენიმე პალო და ჩოხის კალთაში ჩაალაგა. მივიდნენ ციხესთან. თათრების დარაჯებს დასძინებოდათ. ზეზვა გაფრინდაულმა ჩაასო კედელში პალო, შედგა ფეხი, ჩაასო მეორე—შედგა მეორე ფეხი, ჩაასო მესამე, მეოთხე და ავიდა ციხის კედელზე. კედლიდან გადახტა შიგნით, ამოხოცა დარაჯები, გაალო კარები და ისე შევიდა ლაშქარი. გააფთრებულნი, შურის ძიებით აღტურვილნი თუშ-ფშავ-ხევსურნი, ეკვეთნენ თათრებს. დადგა ნამდვილი ღეთის რისხვა თათრის თავს. მძინარე თათრები ისე აირივნენ, რომ ვეღარ არჩევდნენ ვინ იყო მტერი და ვინ არა. გულ-გახეთქილნი აღარ ფიქრობდნენ ციხის დაცვაზე, მხოლოდ ცდილობდნენ როგორმე დაეხწიათ თავი განრისხებულის ქართველის მთიულებისაგან. თათარმა იმ იმედით, რომ შევეფარები ალავერდის ციხეშიო, თავი დაანება ციხეს და გაიქცა ალავერდისაკენ. თუშ-ფშავ-ხევსურები მისდევდნენ უკან ხოცვით. ალავერდშიაც ეს ამბავი ხდებოდა ამავე

დროს. ის ციხეც აეღოთ, იქიდანაც გამოსულიყვნენ თათრები და წამოსულიყვნენ ბახტრიონისაკენ. ორივე ციხეებიდან გაქცეულნი თათრები შეიყარნენ ალვანის მინდორში. თათარი მოემწყვდია შუაში. აქ შეიქნა უღვთო, უწყალო ქლეტა თათრებისა. თუშების თქმით იმოდენა ეხოცათ თათრები, სანამდის ერთი თათრის გვამი ყირამალა არ დამდგარიყო თათრების მკვდრების გროვაში. მაშინ ზეზვას შეეჩერებინა მტრის ზოცვა, რადგანაც გვამის ყირამალა დადგომა ცოდოთ მიაჩნდათ. იმ ალაგას, სადაც თათრები ამოწყვიტეს, ეძახიან ეხლაც თუშები გაწყვეტილას.

თუშების თქმით, თათრები, რომელნიც სცხოვრობენ სოფ. ახტალაში (თელავის მაზრა), მაშინდელნი დარჩენილნი არიან. ამ თქმულობითვე, მეფე ლევანს მიუტია თუშებისათვის ალვანი ბახტრიონიდან ტახტის ბოგირამდინ და ფშავ-ხევსურებისათვის-კი მათივე თანხმობით ნადავლი.

ექვს გარეშეა, რომ ეს ამბავი შეცდომით არის მიწერილი მეფე ლევანის დროს. არც ერთ კახეთის მეფე ლევანის დროს ამნაირი ამბავი არა მომხდარა რა. ეს უნდა ყოფილიყო 1658 წ. კახეთის მართველის სელიმ ხანის დროს, როდესაც ქსნის ერისთავმა შალვამ, მისმა ბიძამ ელიზბარამ და ბიძინა ჩოლოყაშვილმა შეკრიბა ერთგულნი, მოიმხრო თუშ-ფშავ-ხევსურნი და განდევნა კახეთიდან სპარსელები.

ზეზვა გაფრინდაული.

31

ბახტრიონს ერთსა თათარსა
ენას უბნობენ ძნელსაო:
ახმეტას გავსჭრი ვენახსა,
შიგ დაფასხლგებ ელსაო.
არცა ჰკითხავდა თუშებსა,
არცა ზეზვიას ცხენსაო.
თუშთ ნაქერლები ცხენები
აღაზანს გროვდებიანო:
არ მოგვიფიდა ზეზვაი,
წინამძღოლს ღონდებიანო.
ზეზვამ სთქვა გაფრინდაულმა:
ხევსურნი ნუ მოვლიანო;
ზოკთა სთქვეს, თან გავიყოლოთ,

გაჭირდეს, გამოდგებიანო.
დათხოვნილ იუენენ ფშავლები,
პურ ჭამს ვერ რჩებიანო...

32

ზეზვაო გაფრინდაულო,
ცოტა მოკლეო ენითა,
საცა-კი შეიურებიან,
ამოგირჩევენ ხელითა.
კარზე მოსულსა მოძადეს
ირეკავ ნახირსავითა.
თათრებს ნუ ენდობი, ზეზვაო,
დაკაბალითებენ ენითა,
პურ-ღვინოს მაკათს ნუ ენდობი,
გიდალატებენ მაკითა.

ზეზვანო, დავიმორჩილეს,
 თუშო, უნდ გაჭევე ნებითა;
 ციე-გომბორს გადაგატარეს
 თათრის ძუე-ღებელ ცხენითა...
 ჩავიუვანესა ქალაქში,
 ბაკეს მისკამდი კბილითა.
 მოდიან თათრის აღლარნი:
 ზეზვა გვაჩვენეთ თვალითა.
 ზეზვასა ნახვა არ უნდა,

დალატით დაჭერილია;
 ზეზვასა მაშინ ნახავდით,
 ბახტრიონს რომ ბრუნავდა ცხენი-
 მოგდევდათ, მოგაწუხებდათ, [თა,
 გჩხვლეტდათ შუბისა წვეკითა,
 აღვანის მინდორი ავსო
 თქვენის თათრების ძვლებითა,
 აღვანიც დაგაკლებინათ
 თავის თხიანი ხმალითა.

როგორც ამ ლექსიდანა სჩანს, თუშების გმირი, ლაშქრის წინამ-
 ძლოლი—ზეზვა გაფრინდაული მოტყუებით დაუპერიათ სპარსელებს და
 ჩამოუყვანიათ ძუე-ღებელ ცხენით ტფილისში. ექვს გარეშეა, რომ ამა-
 საც ის ბედი ეწოდა, რა ბედიც ეწია ქსნის ერისთავებს შალვას და
 ელიზბარს და ბიძინა ჩოლოყაშვილს, ე. ი. წამება. თუმცა ქართული მა-
 ტიანე არას მოგვითხრობს ამაზე, მაგრამ ეს გასაკვირველი არ არის,
 რადგანაც ქართველი მემატინენი, როგორც საზოგადოთ სხვა ხალხისა,
 მხოლოდ მეფეებზე და თავად-აზნაურებზე სწერდნენ, დანარჩენებს ყურად-
 ლებას იშვიათად აქცევდნენ.

თუშების ბრძოლა ქისტებთან.

33

დიკლო დაწვეს, შენაქო,
 ცამდის აუშვეს აღიო,
 იქიდან შემომდინარდა,
 ბოქორნას მისცეს ცეცხლიო.
 კაცი გაგზავნეს ლევანთან:
 ლევან, გვიბოძე უმანიო.
 ლევანმაც გამოუგზავნა
 ათასი შეომარო.
 მოდიან გძელსა ყანასთან,
 ცხენსა გააქვის გრიალი;
 ამოდიან ნაქერლის გორსა,
 დმერთო, დასწერე ჯვარიო.

ჩამოდგა ხილთანის ვაკეს,
 როგორც ნაკუბარ წყალიო;
 ჯვარბოსლის ძირით აღაზან
 შიშით შეაქან ზარმაო.
 გადმოდიან ნაყაეჩოსა,
 გადმოიარეს მთანიო.
 —ფარსმის ძირს წყალსა ვინ
 [განვადთ,
 ვაჟთა ვის მოგწონთ თავიო?..
 ფარსმიდან გაიქც მურთაზი
 გირევს დაჭყარა ხმალნიო!..
 გირევს კითხვიდეს ქალები:
 —მურთაზ, ვინ წაგართვ ხმალიო?

— დაჯექ, ძმობილო, მიაშბე
ცდა შენი დ ყიბრაგისაო.

— დაჯდებ, ძმობილო, გაიშობი:
პური მთხოვ, პური ვაჭამე,
ირჩევდა სიმინდისაო;
ხორცი მთხოვდ, ხორცი ვაჭამე,
ირჩევდა ხოხობისაო...
ღვინო მთხოვ, ღვინო ვასვი მე,
არჩია ბადაგისაო...

ახლა ცოლს მომკიდებია,
გაზარდულ სხვისა შეიღისაო...
უბრაგმა ხელი ჩაავლო,
ვეფხვი ჩაგავ ბწასაო.
ქალმა დაძრახა ბეჩავმა:
იმედო ჩემო მხრისაო!..
უბრაგმა გადმომიქნია,
ელვას დამგზავს ცისაო.
ერთი მეც გადაუქნე,
ელვას დავგზავს ცისაო.
ცხენ-მხედარ გააწვევტინე,
წვერი მიწას სწვდისაო!..
მე ცოლს ვერას გაატანდდ,
ხათრი მქონდ სიდედრისაო,
წელს მერტუა ქამარ-ხანჯალი,
ნაჩუქარ ცოლის ძმისაო...

34

როსტომმ სთქვა: შავწუხებულ-
შემოვლა მწადის მთისაო, [ვარ,
არჩევა კაის ბიჭების,
ქარუს გადავლა მთისაო;
ჩატანა, ამობრუნება
ხულოანტელთ ხაროვნისაო;
გულ-ხელად გამობრუნება,

კალთათა ხვეენა ხელთაო;
გადმოსვლა ჩილოს ხაასა,
შუგულ არს თუშეთისაო.
არ მომგონდებოდ ლაღატი
ემაგა თუშებისაო;
აცაღეთ, ჩილოელებო,
სოფელ აგივსოთ მტრითაო...

35

გამზდელიც დაილოცება
თუშისა როსტომისაო,
ახაზნის თავზე შემოდის,
წუემსი გვეგონა ცხვრისაო.
გადაიარა ბორბალო,
ყამიც არა აქვს მტრისაო.
ჩამოდის ქისტის ქალაზედ,
სწავლა არ უნდა გზისაო;
გავიდა ქორვის მთაზედა,
ნამი გაბღერტა მთისაო.
მარტო ჩავიდა ახეაში,
თან კვალი ჩაჭევა მგლისაო.
როსტომს სისხლის მძებნელსა
იმედი აქვს ხმლისაო.
თოფსა არ ისვრის როსტომი,
გატეს არ უნდა ხმისაო,
მოკლა ხაწეთა ბათირი,
მომკლავი ძმობილისაო.

36

აქორელია მთაზედა
ღურჯა სძოვდ იაღაღზედა,
ხანდისხან შეთამაშდებოდ,
შეგოგდებოდა ნაღზედა.
ზედ ზის თოთოს ქედაი,
ჩაჩან უელავს თავზედა.

—გამოდით, აქოროელნო,
 ელვა დაეცა ცხვარზედა,
 ცხვარი გარეკეს თუშებმა,
 ჭექა დაეცა ცისათ,
 დათოფეს მეცხვარეები,
 რისხვა დაეცა ცისათ!..

37

თუშეთს მოვიდა მურთაზი,
 გირეეს დაუარა ხმანია;
 თან მოჰყვა მძიმე ლაშქარი,
 თუშეთს დაჰხურა ცანია.
 სირცხვილ დაადო თუშეთსა,
 ბეგრათ მოსთხოვა ქალია:
 „ქალი მომეცით ქალწული,
 ქალი საკადრი ჩემია“.
 წოვათელ დევდრის ანთაი
 თარსმას მურთაზსა სჭერია,
 წინ უდგა ოქროს ლამბაქი,
 ზედ კვიციის ხორცი აწევია.
 ზედ აზის დანა ჯაფარი,
 ტარი გიშრისა აგია.
 შიან და ვერ უჭამია
 რჯულები ვერ დაუგდიაო.
 —ან ხორცი ჭამე, ანთაო,
 ან ბეგრათ მომეც ქალიო;
 ძალა ხომ ვერას გაგივათ
 მრავლის ხემწითე ვარიო.
 შაქუჩდნენ თუშის შვილები,
 დაუარეს იარაღიო.
 ჯერა სთქვეს: არ შეიძლება
 ბეგრათ მიცემა ქალისა,
 მემრე სთქვეს, ჩარა არ არის,
 მტერმანა გვიყო ძალიო.

წილებსა ჰურთან თუშები,
 მურთაზს უნდ მისცენ ქალიო;
 რგებია ომალოელსა.
 ქალმა დასწევლა ძმანია:
 მამული ან მიზატონეთ,
 ან წელს შემარტეით ხმალიო,
 არ გადაუყვები მურთაზსა
 რჯული მაქვს ქრისტიანისა!..
 ასულა მალლა ციხეზე,
 ქალმა მოიკლა თავიო.
 გაიგო ითაბანულმა
 წელს შემოირტა ხმალიო,
 ადგა შეკმაზა საღრაი,
 მუხლად ჰყავ ნიაფ-ქარიო.
 ამბავი ესე დაუგდო:
 შაბათს მიჭირეთ თვალიო,
 სამეინვრეს ვახშმის ხანზედა
 ავანთებთ მამხალეებისა,
 ეცადეთ, რაც შეგიძლიანთ,
 ნულარ დაზოგავთ წამალსა,
 მეომარ მომედინება,
 ლალი ლევანის უმანიაო.
 ღამე ბნელ გადაიარა
 საკახეთოსი გზანიო.
 ლევანს მიუვიდ თელავში,
 მამლის უივილის ხანია.
 —მოგვიზატონე, ბატონო,
 თუშნი ვართ შენი ძმანია;
 თუშეთში ჯარი ჩაკვიდგა,
 უთვლედი ქრისტის უმანია,
 ბეგრათ იღებენ ქალებსა,
 მიუდის დადესტანშია!
 ეს რომ გაიგო ლევანმა,

დაბლა დახარა თავიო,
 — მარღათ ვინ წავა ქიზიუში,
 რომ შეგვიყაროს ჯარით.
 გაგზავნა ისევ ითაბან,
 ცხენი რომ ჰქვანდა ჩქარია,
 ჯერ არ ქმნილ გათენებაი,
 თელავს დაჰქვარეს ჩქარია.
 ჯარი სჩქარათ მოსულა—
 ღადი ქიზიუელთ ემანია.
 — წადით, ერთგულათ ეომეთ,
 თუშებს უჭირეთ მხარია!..
 ამოდის გძელ ყანაზე,
 ნალებს ანათებდინათ;
 საკურის გორას ამოდის,
 დმერთო, დასწერე ჯვარით!..
 ნაქერალზედა შემოდგენს,
 აღარ ნებდება გზანით;
 ცხენი მოუკვდა ითაბანს,
 ის ოხერ ნიავ-ქარით;
 სამყინვრის ლელეს გადმოდის,
 ცის არ გასწვდება ნამით.
 გადმოდის გომეწრის უბეს,
 ქალებთ დასწერეს ჯვარით.
 ჩამოდგებ ბიჭიურთის ძირს,
 აღმ შამაბრუნ წყალიო;
 გადმოდის ნაყავეროზე,
 როგორც მდინარე ჯანლიო.
 თარსმის ძირს ჩამოდგებოდა,
 როგორც ვარსკვლავი ცაშიო.
 ადიდებულად დაუხვდა
 ებ პირიქითის წყალიო.
 ვინა ხარ შენა, მომეტევ,
 მომეტევ ჯარებისაო?

იქნება სავინაშვილი,
 მამაც არს მოუცდარიო!..
 წინ-წინა მავან გაბედა
 ადიდებულსა წყალშიო.
 თარსმისა მთაზე ავიდნენ,
 ომი ასტეხეს ცხარით;
 მურთაზის კარავ დაკაფეს,
 მით შეურცხვიბეს გვარით!..
 რა დიდი ცოდვა დაბრუნდა,
 შიშით ქანობენ მთანით,
 ერთ კვირას ერთ-ერთ ეომენს,
 ცამდის აუშვეს ალიო.
 დაჭრეს, დაკუწეს ურჯულად,
 მკვდრებით ავისო მთებით;
 არც იყო მთებზე ჯანლია,
 ცა მოწმენდილი არიო.
 თოფისა ჯანლი ჩამოწვა,
 აღარ ჩანდა მთანით;
 ხანდისხან დაილეუებდა
 გადაქნეული ხმალიო;
 სისხლის ალაზან ზდიოდა,
 აღარ ისმებოდ წყალიო;
 წყურვილით ისტეობდა
 ემანდით შეომარით.
 დმერთსაცა ძრეულ ეწეინა.
 ამბავ გადააქვთ ომისა!..
 მურთაზის ცოლი მიეკებ,
 თვალთ ლამაზი ქალიო.
 — ჩემი ქმარ მურთაზ რა იქნა
 მთელი ქისტეთის თავიო?
 — მურთაზი თუშებმ დაკაფეს,
 კარავს დაკადეს მკვდარიო;
 შეომრებიც გაუწვიტეს,

მოამბეც ადარ არიო!..
 — ბევრი ვეუბენ: ნუ წახვალ,
 ქალმა ვაჯობე ჭკვითაო.
 მოგველენა თუშის შვილები,
 ხმარებ იციან ხმლისაო!..

38

(ვარიანტი)

ომში ახირობს მურთაზი,
 ეიდულაბს წარბაზანსაო:
 უნდა წავიდე თუშეთში,
 ფარსმას დავაფლო თვალიო.
 ქაჩუსა დელეს გადმოდის,
 ცის არ გასწვდება ნამიო;
 ჩამოდგებ ფარსმისა თავსა
 დიდი მურთაზის ჯარიო.
 ფარსმას წვერიან ციხეო,
 თოფის დაგზვიეს ალიო;
 ჩამოგვიყარეს ჩარდახი,
 რით ვერ დაგიძრეს ტანიო.
 შიგა ზის ალოს ალუდა,
 ქორი აფეთებს თვალსაო;
 გვერდით უსხედან ბიჭები—
 თუშთ ახალ მეომარიო.
 ქალმანა კახოს თინამა
 ბიჭების უჭირა მხარიო,
 ქისტებს მოუკლა ბელადი
 სამის ხეობის თავსაო.
 ხევსურეთს კაცი გაგზავნეს:
 ფარსმას დაეცა ცანიო,
 ფარსმაში თუშის ციხეებს
 ქისტის ესვევა უმანიო.
 ქვახილში ჩამოგვივლებდის
 ხევსურთ ჭრელ ხირიმებიო.

ახლა თქვის ალოს ალუდამ:
 ხევსურთ მოსულან უმანიო.
 კართან გამოვა ალუდა,
 თან გამოვუვება უმანიო;
 ხირიმებს, მურთაზ, არას გაკად-
 [რებსთ

მაყრებით შეგიჯერებსთო.
 ჯერ ხომ ჩვენ გეომებით,
 ახლ მოვა თუშთა უმანიო.
 თოფი დაგვიკრეს ალუდას,
 ციხით შენ გვიზენ რადიო.
 ბეროსა გოგითაიძეს
 ესვეოდინ ცხრანო;
 კალთას ჩაჭევა მარჯვენა,
 ჩასტირიდიან დანიო.
 ხოგორას იერებიანა
 ფშავ-თუშნი, ხევსურთ უმანიო;
 შუა-დღისი ხან შეიბნენ,
 მზეო, დაავლე თვალიო.
 ქაჩუსა ძირას დეეწვენ,
 ჩალად დაყარეს მკვდარიო.
 საბაკეზედა გადავა,
 აბაიშვილი ვარიო.
 ვარსკვლავით დაეღვდებოდა
 ბაწარაულის ხმალიო.
 მათ გაიქცა მურთაზი,
 გირეგს დაყრა ხმანიო;
 ქაჩუსა დელეს გადადის,
 ჩასტირის რეგორც ქალიო..
 უკან გაუფლან ამბობენ
 ნოტოსი ღაშქარისაო,
 ბევრი არს, არცა ბევრია,
 სუველა ოცდაათიო.

გზას ცოლი მურთაზს მოეგებ,
 თვალად ღამაზი ქალია:
 — მურთაზ რათ გამოქცეულხარ,
 რათ შეირცხვინე გვარიო?!
 — ჯარ თუშებ დამიხრციან,
 მოვდივარ სირცხვილიანი...
 — სირცხვილიანის მოსვლას
 სიყვდილ სჯობდ ნამუსიანი...
 მე მავის მოლექსობელი
 გიჩაღ ვარ ბეროშვილიო,
 თქვენთან დატანა მეც მეწად,
 საკაცით ღება მკვდრისო!..

39

წოვათას ციხეს აკებენ,
 ციხეს აღმასისო;
 აკაშენებენ ხურონი,
 ღამაზ ნაკებო ქვისო.
 შიგნით მართავენ ოთახებს
 საომრად ბიჭებისო.
 ქისტეთში ქისტებ გაიგეს,
 მძიმეთ მიდგ-მოდგებისო:
 წავიდეთ ჩვენა, ჩავტყნოთ
 ციხეებ წოვათისო;
 ცხენ-ძროხა შემოვირეკოთ,
 დავლას მიწოდებთ ბევრსო;
 საკვეხურად მოვიყოლოთ
 მარჯვენა თუშებისო.
 წოვათას ვერას ჩასტყნავთ,
 კოკა არ არის წულისო.
 წოვათას წოვათ ბიჭებს
 უამი არა აქვთ მტრისო.
 შეერიდა ქისტის ჯარები,
 ნამ არ გადასწვდებ ცისო.

გადმოდის მაგახის ღელეს
 წოვათის მუქარაზედა.
 გალაღებულა ბეჯადი,
 ჭკვაზე არიკებს ჯარსო:
 საცოლეთ აგარჩევილებთ
 ქალ-რძალსა წოვათისო.
 საგირთას ჩამოდგებიან
 ცისკრის ამოსვლის ხანსო.
 გაიგეს საგირთელებმა,
 სიცილ მოუვათ ჰირსო;
 ციხეში შექუჩდებიან
 ვეფხვები საღის კლდისო...
 გამაგრდი, ციხეე, ტიალო,
 ხურთ ნაკებო ქვისო;
 შემოგეხვივნენ ქისტები,
 თოფის დაკვეყვენ აღსო.
 ელიან მოშეელებას
 ბიჭების ინდურთისაო,
 მზის ამოსვლის ხანს მოჰკიფლენ
 არწივებ მადლის მთისო:
 მოვდივართ ახალგაზდები,
 ჯავრს არ შეგაჭმევთ მტრისო!
 ოთხივე კუთხივ მოკადგენ
 მეომარ თუშებისო.
 ომი არს საგირთაშია,
 ჩამოტყნვას ჰტავს ცისო;
 თოფის ჯარ არს გარჩევა,
 ხლმით კუწვენ ერთმანეთსო...
 ბევრისი სისხლი დაიდვარ
 ამ ოხერ წოვათისო,
 წითლათ შედებეს ტიალი
 აღაზან წოვათისო.
 გაბრუნდნენ დამარცხებულნი

ჯარები ქისტებისა;
 გადადის, ამას სწივიან
 ნახოცთა თავის მკვდრისა:
 ავი ყოფილა ნაჭერი,
 ნაჭმევი თუშის ხმლისა,
 ნახევარ ვეღარ მოყუდიოთ
 ამ ჩვენსა ქვეყანასა;
 მესამე მკვდარი დაჭყუდეს
 მაგების ციხესთანაო.
 მე მაგის მოლექსებელი
 შუ(ა) წაროში ზისაო,
 სამი მეც მერგო მარჯვენა
 მანდ ნახოც ქისტებისა;
 ორმოცი ჩვენც კი მოგვიკლეს
 სავიკრთის ომობასაო.
 ბევრისი დედა ატირა,
 ცრემლით იბანენ ზირსაო,
 ორმოცი ერთ დღეს დავმარხეთ,
 ვინლა მოგვივა შინაო!..
 ნუ სტირით, ჩვენო დედებო,
 წესია დრთებისაო,
 მომკვდარი დმერთმა აცხონოს,
 სულეთს გაიღებს გზასაო,
 ვინც დარჩებ სხელთფანებს,
 არ გაუტუდებო მტერსაო...

40

მთა გაშრა, ქვიშა გამოჩნდა,
 ახლა ველობის ხანია;
 ზამთარში ნაკვეხნ ვაჟისა
 ახლა ცხადების ხანია.
 თუშნი ლაშქარდა გავიდნენ,
 ქისტეთს გაიღეს გზანიო,
 ჰარჩის თავსა გადინედეს,

კარგათ გაიგეს გზანიო..
 ჩაუშვეს იმათ თარეში
 სწორე ვახშობის ხანსაო,
 ცხენი და ძროხა მორეკეს
 დიდ ბათიროელთ ცხვარიო..
 ბათირს ვინ შეატუებინა,
 ლურჯაი ჭეფანდა ჩქარიო;
 მღევრათ ბათირი გამოუდგა,
 ლურჯას მადლ უჭირ თავიო..
 გზიდან დაბრუნდა ბათირი,
 ლურჯამ დააკლო ნაღიო.
 წინ ცოლი მიეკებება,
 თვალით ლამაზი ქალიო,
 —ბათირ, რა უყავ ცოლის ძმა
 ანუ თავისი ცხვარიო?
 —ნუ მკითხავ, ქალო, დამეხსენ,
 ჩემი მიუყოფა ჯაფრიო,
 ბევრ ხანი ვდივე თუშებსა,
 ვეღარ მოგვიდე თვალიო;
 ცოლის ძმა გზაზე დამიხვდა
 დაჭრილი, როგორც მხალიო!..
 — ეჭე, ბათირო, ოხრად დაგირ-
 ებ შენი ლურჯა ცხენიო, [ჩეს
 ცხვარიცა შენი კარეკეს,
 სამ ფარად გედეგა მთაზედა;
 წუმსებიც შენი დახოცეს,
 მკვდარნი გიწვევან მთაზედა...

41

ჩილოს თავს ბერი არწივი,
 ყორნისად დაუფერება;
 ქოსაი ღ მეშველ ველობას,
 უდროთ დაუბერება.

აქვარის თავა მთაზუდა
 ცხვარიმ რად ფთხევა ტიალი;
 ძილი დაუფთხვათ წყემსებსა;
 მთა არ მოგვეიდა მგლიანი;
 ნაზირ ვინ ჩამოგვიარა,
 თუშეთს ვინ იყო ხმლიანი?
 ქოსა იქნებოდ მეწველი,
 ბევრჯელ უქნია რიალი.
 შულამეს შესტანებიან,

ბინა გაწირეს კვდრინი.
 მაცნე აქვარეს წაუა:
 თუშეთ დახოცეს წყემსები.
 მღევარ გამოუდგ აქვარელთ,
 ცხენ-ქარქაშ-დილიფიანი;
 ნუ მოგვდევთ, აქვარელებო,
 მთებ გადავიარეთ კვდრინი;
 შინ წაუვიდნენ დედებსა,
 მგლებია ზირ-სისხლიანი!..

თუშების ბრძოლა ლეკებთან.

42

თუშთ ბიჭებთ დაუბარებაჲ
 ლეკთ ბიჭებთანა ქადინი:
 თუ მოვლენ, მალე მოვიდნენ,
 თვარ მოგვეწინა ღოდინი.
 ცხენებ გვიდგანან კარზედა,
 დატყუერიმეს ლაგმის ტარები;
 ჩვენც მაგათ მოლოდინზედა,
 ადარ მოგვეწონდა ხმალები.

43

ქაჩუსა თავსა გადმოდის
 დიდის ნუტალის ჯარიო,
 ჩამოდგა გირევის ვაკეს,
 როგორც ნაგუბარ წყალიო.
 წოვა დევდარის ანთაი
 ნუცაღს მიუა კარზედა,
 დაუდგეს ოქროს ტაბაკი,
 ზედ კვიციის ხორცი აწუვია:
 დანა ზედ უძევეს ჯავარი,
 გიშრისა ტარი აგია.
 სჭამდის და ვერა ძღებოდის,

ღვთისგან მოელოდ შეველასა.
 შეიტყო ითაბანულმა
 ლურჯას დააკრა ხალები,
 სკათენებლად ჩავალის
 გრემს ბატონისა კარზედა.
 —ლევანო, ჩვენო ხემწიფეჲ
 ჩვენს გვიბოძე უმანიო.
 ლევანმა ჯარი შეუარა,
 ათასი მეომარიო.
 ანთო მამხალეები,
 დამით გაიხნო გზანიო.
 გადადის ნაყაყეროსა,
 დმერთო, დასწერე ჯვარიო!..
 ითაბანულის ლურჯაი
 ნაყაყერს გდია მკვდარიო,
 გვერთ უზის თავის ჰატონი,
 დასტიროდ როგორც ქალიო!..
 ვინ განვალთ გირევის წყალსა,
 ვინ გაიმეტებთ თავსაო?!.
 ვინ გავიდ გირევის წყალსა
 ვაჟი ლურჯ ჰერანგინი.

იქნებოდ საგინაშვილი,
ვისაც ანდერაზ ჰქვიაანი:
ჩავიდა, ჩამოერია
სახლთ-ხუცის მარქათეთაო,
ნუცაღს ჩაუჭრა კარავი
ნაკუდაურთის ზმლითაო.
ცოლი ნუცაღის ტირიდა:
ნეტარ ნუცაღი რა იქნა—
ნუცაღი ანდერაზმ მოკლა,
ეორნებს ჩაჰქვანდა ბრჭყაღითა!..
ლეკთა სტირინან ქაღები:

აღარ მოგვივლენ ქმარები,
ცხენებთ რა უერთ? ტიაღთა
დაწვეიტეს ლაგამთ ტარები.
ზოგთა სთქვეს: ბაშტებს შევეარათ,
მაგრა დავგუღოთ კარები.
ზოგთა სთქვეს: მთაზე გაუშვათ,
თავზე წავეარათ ლაგამები.
ზოგთა სთქვეს: უეუღმ შევემზოთ,
ზედ თავად შევსხდეთ ქაღები,
გადვიდეთ თუშეთისაკენ,
იქავ შევიერთოთ ქმარები.

თუშების გარდმოცემით ანდერაზ საგინაშვილი იყო კახეთის თავადი-შვილი. რალაცა მძიმე დანაშაულობისათვის მეფე ლევანმა ჩასო ანდერაზი საპყრობილეში და როდესაც ქართველი ჯარი მიდიოდა თუშეთში, საგინაშვილმა სთხოვა მეფეს, რომ მისთვისაც მიეცა ნება წასულიყო თუშეთში. მეფემ დართო ნება საგინაშვილი გაჰყვა ჯარს სახლთხუცის მარქათით (ცხენით). მტერი შეჰხვდა ერთმანეთს სოფ. გირევის ვაკეზე, პირიქით თუშეთში. ბრძოლის წინ გამოასკუპა ცხენი ლეკების მომეტემ — მურთაზმა და დამოიხმო საბრძოლველად ქართველების მომეტე. გავიდა საგინაშვილი. მურთაზმა მისცა საგინაშვილს წინადადება, რომ შებრძოლებოდნენ ერთმანეთს შიგ პირიქით თუშეთის ალაზანში, რომელიც გირევის ბოლოში ნამეტნავათ შფოთავს და ღრიალებს, როგორც დაჭრილი მუცი. საგინაშვილი დასთანხმდა. თავის ცხენს გამოუცვალა მოსართავი. ტყავის მოსართავის მაგიერად შემოუჭირა აბრეშუმისა, რომ წყალში უფრო გამაგრებულიყო. ტყავისა ხომ და ბოშ დებოდა და უნაგირი გვერდზე მოექცეოდა. ორივე მომეტემ ჩაყარა ცხენები წყალში. შუბებით ეკვეთნენ ერთმანეთს. საგინაშვილმა გაჰყრა შუბი, ლეკს უნაგირი გვერდზე მოექცა. მურთაზი წყალში ჩაეარდა და დაიხრჩო.

44

ლეკეთში ლეკი გადიდა,
უშიშრათ დადის მთებზედა:
აქაც შემყარა ზეზეაი,
აქედან შუა გზებზედა,
ან შემყარ კვირიტის ლუხუმი

მძიმეთ მოდბიჯეგდ გზებზედა.
ეკ რომ შეიტყო ლუხუმმა,
აღარ დაგვიჯდებ ჯარზედა;
ეუბნებ თუშის შვილებსა:
გავიდეთ ლეკის მთებზედა.
თუშნ მოემზადნენ სდაშქრად,

წინ ლუხუმ გაიმსდვარეს.
 მაცნე წაუ ლექებსა:
 თუშნი მოგდინ ცხვარზედა...
 ეგ რომ შეიტყო ლექთ ხაწემ,
 ქედს დაიხურევდ რქაზედა,
 მხარს გადიკიდა ხირიმი,
 წელს შემოირტყა ხმალით:
 ახლ მომივიდნენ თუშები,
 ხაწე დავხვდები პწკალზეო.
 ჯერ არ ქნულ შუალამეი,
 თუშთა მოისმის ჩქამიო.
 შეუვარდ ჭვრიტის ლუხუმი,
 ხელ დაავლ ხაწეს მხარზეო,
 წელიდან ხმალი შეუხსნა,
 მხარზე აუგდო თოფით;
 გაბორუნ ლეკის ხაწეი,
 ცხვრითვე მოჭყავისთ გზაზეო.
 ნეტავ შენ, ჭვრიტის ლუხუმო,
 დაჯდომა გიდირს ჯარზეო,
 უველამ აგრ მოიხდინოსა,
 ვინც დაიკვების ქალშიო!..

45

არწივო, საით მოხვალდი,
 დადღილ-დამშრალო გზაზედა?
 იქნებოდ ჩეთათ გორგაი,
 ცხენს მოაგოგებდ ხაწზედა.
 შეუელეს ანწუხბელები
 გორგაის თაობაზედა:
 დანდობით მოფეკლათ გორგაი,
 თვარ თუშ გაგვიდგებ განზედა.
 ეგ რომ შეიტყო ბაკურიმ,
 თუშ ალარ დაჯდებ ჯარზედა;
 ადგა წავიდა დაღისტანს,

ღურუჯის დაჯდა წაღზედა.
 ღურუჯში ანწუხბელები
 დასხდნენა ღვინის სმაზედა.
 წავიდ და ბაკურ კითხულობს:
 მოლლა რომელ ზის ჯარზედა.
 — მოლლა მანდა ზის ჯარზედა,
 ქუდი რომ ხურავს რქაზედა;
 თუში ხარ ჭირის პატრონი,
 გეტუობა ლაპარაკზედა.
 ასრია გამთავოვრა,
 წამაწვინა ბანზედა.
 ახლ ეგ გეუთვათ, ლექებო,
 ხომ შავიურებით გზაზედა.
 ვაჟკაცმა უველამ აგრე ქნას,
 გუელ რომ სტკიოდეს ძმაზედა!..

46

არქალოს სჩივიან თუშის შვი-
 მართალია, არ სტყუისათ, [ლუბი:
 ჩამოქცევასა ამბობენ
 არჭალოს შავის კვდისათ.
 კარს შემოხვევას ამბობენ
 მაგ კარელთ შვილებისათ,
 ქვეშ დატანებას ამბობენ
 სამ-სამის წოვანისათ.
 თოფის სრლლა გაჭკვირებით
 მაგ ჯანლას მიქაისათ.
 თოფს გვესვრის ჯანლას მიქაი,
 მანძილზე გვიწვიანს შველარსათ.
 ბრალი ხარ საგის ანთათ,
 მარტოს გვხვევა რფანიო;
 ხმალ და ხმალ ანთამ შაბედა,
 ტყვიამა უყო ძალიო:
 მამაღიმ შაანის შეიღმა

უმაწვილმ დასცადა თავიო.
 ამხანაგთ ეუბნებოდა:
 ფერ ვიღოთ ლეგა მგლისაო,
 სასაცილოთაც გვიგდებენ
 ჩაღმ-გომეწრელთა უმანო;
 სიცილსაც აღარ დაგვაჯერებენ,
 დაგვაშაირებენ ქაღნო...

47

ინდურთას ხუცის ციხეო,
 ქვამც ნუ გდებია ქვაზედა.
 მუცალამ ჭარი შეუარა,
 ციხეგ, შენს მუქარაზედა.
 ზავ მისცეს აღმა სამციხელთ,
 გზა ნებას დარჩათ ტიალი.
 წავიდეთ წოვათ მინდორში,
 ციხეს დაუწოთ ომია;
 წოვათ უხოცოთ ბიჭები,
 ცამდინ აუშვათ ალია.
 წოვათით დაგვრჩეს ქალ-რძალი,
 გადგავალინოთ მთანიო,
 გადვიდეთ ალაზნის თავსა,
 იქაც მოვაგულთ თვალიო.
 დავბღერტოთ ალაზნის მთანი,
 ცხენ-ცხვრიან-ხაროვანია.
 წოვათ ავიღოთ ცხენ-ძროხა,
 გზა-გზა გვიგვლიონ კვალია.
 ციხეგ, შენ ვეღარ გაკტეხენ,
 მუქარით გაშინებენა.
 ყანკიაე ყანკიაურო,
 ხმლით ცემას გიჰირობენა;
 სახმლეოთაც ვერას გაგბედვენ,
 უმაწვილ ხარ, გაშინებენა.
 შემოდის ჩაღმთა ლაშქარი,

გზა არ სცაღდებათ ტიალი.
 შეიბნენ შუა ლამისს,
 ბორტვი შებღერტეს ცვრიანი.
 მაშინ გაიქცა მუცალი,
 ქალი მისტიროდ თმინი.
 შეხედვენ, მაკერის მთაზე
 თოფების დაღვა ტურიალი.
 შეხედვენ, მზე ჩასვლის დროსა.
 ხმლებისა დაღვებ ზრიალი.
 მუცალის ცოლი ტიროდა:
 მუცალს ევაგი სჯობდ ჭკვითაო.
 ადგა წავიდა თუშეთსა,

48

თუშეთს მოვიდა ლაშქარი,
 დიდის დაღესტნის ჭარიო,
 ჩამოდგა აფორაშია,
 არ გადასწვდება თვალიო.
 რაზმი დაწვეს ლეკებმა
 სიერცე-სიმორით განიო.
 თოფი შაკშეკნისთ წოვანო,
 ტანთ მოწყობილი მხარიო.
 შანქიმა შავხელიძემა
 ცხენ შამაიბრუნ ჩქარიო,
 გამოერია კითხულაბს:
 დენგა სად არის ძაღლიო.
 თვალით ნახ, სახლმეთ ვერ უწიგ,
 თოფით დაჭხვია ბოლიო;
 შანქისა ცხენმა ტიაღმა
 მუხლთ დაიხვია ქარიო;
 სახეოს დაწვეს სანგაღი,
 ცამდინ აუშვა ალიო.
 შაიტყო ითაბანულმა,

წელს შამიარტყა ხმალით,
სავახშმეთ ლევანს ეწვია:
ბატან, გვებოდე უმანიო.
მეფე ლევანმა უბოძა
ათასი მეომარიო.
დაუნთო მამხალაები,
ღამით ინათეთ გზანიო.
შამოდის თმავლის თავზედა,
ცხენებ ანათებს ხალიო;
ამოგლენ ნაქერლის მთაზედ,
ღვთისა ზედ დადგა თვალიო.
გადმოდის გომეწრის უბეს,
როგორც ნაკუბარ წყალიო.
ჩამოდებო ვაკის ძირს მინდორს,
ქალებით დასწერეს ჯვარიო.
გამოდის ციხის ღელესა,
ადარ ნებდებათ გზანიო.
ხილთანეს ჩადგეს კარავი,
ღმერთო, დაწერე ჯვარიო.
შედიან ჯვარბოსლის ძირა,
ადმ დაბორუნეს წყალიო;
გადადის ნაყაიჩოზე,
მიწა ეხევათ ზეარიო.
ფარსმის ძირ წყალს ვინ გახველ,
ვაჟსა ვის მოგწონდ თავიო:
იქნებოდ სავინაშვილი,
ვაჟს არღაზიან მქვიანო.
მანდით გაიქცა მურთაზი,
გირევეს ჩაყარა ხმანიო.
გირევეს ამბობენ ქალები:
ვინ შამოგვართვა თვალიო.
ის იყო თუშთა მოვრავი,
მკელამ დამიკრიფნა ცხვარნიო,

მიჭყევენ და ისე მიხატეს,
ჩაღად დაყარეს მკვლარიო.
ფარსმის ძირ ჩამოდოდა
სისხლ-ნარევე ალაზანიო!..
ქაჩუსა მთაზე გადასტირს.
მურთაზი, როგორც ქალიო:
თუშთ გამოწვივითეს ლაშქარი,
შინ მოვალ სირცხვილიანი!..

49

რამ აგაშენა, წოვითავ,
ემპრე ბედიანიო,
სათქმით გასულხარ ხმელეთსა.
მეომარ თუ გეჟავ ავიო.
გამრავლებულა ინღურთა
საქონლითა და ხალხითა,
გადმა-გამოდმა ციხეებს
ღობო ჩაუდგეს რკინისა;
ხატიც დიდი ჰეჟავს — სამება,
გამარჯვებული უთელითა;
ტანზე ჩაუტყვამთ ვეფთარი,
მორთული იარაღითა;
არ გამიღასხოს მტერმანა,
მუდამ წინ უძღვის უმასაო!..
მაცნე მოვიდა დადისტნით,
შეურას ამბობენ ჯარსაო:
წავიდეთ, გადავიაროთ,
წოვითას დავცეთ ცანიო;
დაჯლა ხომ ბევრი გვერგება,
სოფლებ მოვსთხაროთ ძირითა;
ნება ხომ ჩვენნი იქნება,
ხელით ვარჩიოთ ქალები.
ზოგნი უშლიან: ნუ წახვალთ,
მეომარი ჰეჟავთ მრავალი,

სოფელში შესვლა ძნელია,
 მუქით უყრიათ წამალი.
 სოფლის თავს სამი ციხეა,
 გალავან ახლავ მაგარი,
 გამოდმით, მინდის ციხეა,
 ტანთ თუ ჩაკაცვეს ჯაჭვიო.
 არ დაიშლა ბელადმა,
 წინ გამოუძღვებ გზაზედა,
 დიღ-გვერდი გამოიარეს,
 გადმოფ ალანის თავზედა;
 სამშაბათ საკათენებლთ
 ინდურთას დასცეს ცანიო;
 ინდურთის გადმით ჩამოდგნენ
 დიდ ბუსურბნისა ჯარიო.
 გაიგეს ინდურთელებმა,
 აისხეს იარაღიო.
 გამოდმივ, მინდის ციხეა,
 ჯერ შენა გიუვეს ძალიო.
 სოფლის თავს, სამი ციხეა,
 მემრ შენ დაგხვეს ალიო.
 ომი ასტეხეს უწყალო,
 ატირებულა მთანიო.
 თოფის ალი ზდგას ინდურთას,
 ჩამოქცეულა მთანიო.
 ციხიდან გამოჰკვიფიან
 ახლები ინდურთისაო.
 „ხლმით გადავიდეთ ჯარშია;
 დრო მოგვივიდა ცდისაო;
 ვინც კაცა არის — გამოჩნდებ,
 სისხლით დაიბანს ვირსაო;
 ბევრი კაცია ქალური,
 კვეხულაბს ბრტობასაო;

ვაჟკაცნი გამოჩნდებიან,
 თუ ვინ არ არის ქალიო!..“
 გადმოდიანა ციხიდან,
 ქაღნო, გაკვიდეთ კარიო.
 ინდურთის არე-მარეში
 დამდგარა სისხლის ტბანიო.
 ერთმანეთისა ჯაბრზედა
 ბევრმა მოიკლა თავიო;
 სისხლის სულისგან ითვრება
 ინდურთის მეომარიო.
 გაწყვიტა დადესტნის ჯარი,
 მთამბეთ დარჩა სამიო;
 სამსავ დაჭრეს ხელები,
 გაგზავნეს დადესტანშიო.
 —წადით დადესტანს უამბეთ
 დახვედრა წოათისაო,
 როგორიც სეირი ნახეთ,
 დახვედრა ახლებისაო.
 გაკვირებულა დადესტან
 წოათის მეომრისაო,
 ზედ მოდის შუბლ-შეკრულები,
 არ ერიდება ტუფიასაო.
 ემაგის ფრანგულეების
 ცამდის წვდებოდა ალიო.
 ინდურთის მანდილფანები
 ნინფით ხვეტავდნენ ტუფიასა.
 მე მაგის მოლექსებელი
 ინდურთის გადმით ვარიო,
 სეირი დიდი ვიხიდე,
 მეტათ არს შესაზარიო.
 წოფათის შენახირე ვარ,
 ჩაღმა ვარ გომეწირელიო.

50

ამბობენ, არა სტეუიან,
 ლექეთში ჯარებს ჰყრიანო:
 დიღო დიღოზე გადმოდის,
 დაიძრა დაღესტანით.
 ჩამომდგარ(ა) ხისოს ლაქში
 როგორც ნაგუბარ წყალიო;
 ამბობს და ლაშარაკობენ:
 საით გავიდეთ გზანიო.
 ზოგთა სთქვეს, მთაზე გავიდეთ,
 გვეყოფა ხაროვანიო;
 ზოგთა სთქვეს, ცხვარზე დავე-
 შემოვათეთროთ მთანიო. [ცეთ,
 მეძრე სთქვეს სოფლად ჩავიდეთ,
 ხისოს ჩავლექნით ქაფნიო...
 მეორე დილა გათენდა,
 ხისოს დახურეს ცანიო.
 შინ დახვედრიან ვეფხვები—
 გამარონ სამნი ძმანიო;
 ასრე უხრცავ ლექები,
 როგორც რომ ნადირს ცხვარიო.
 დავნატრე დამბადებელსა
 ომიან ბაკურისაო,
 დედამ რომ შვილი გაზარდოს,
 გულ უნდ დაუდოს ქვისაო.
 მოუკლავ შებაირახე,
 ბაღღმა რა იცოდ ცდისაო.
 ჩივიან ლექის ნაიბებ:
 მეომართ გვიყო ძალიო.
 მუჭით უყრია წამალი,
 ტყვია რამ მოდის ჩქარიო,
 იახის ნაცხრითაი
 ქუმელაურთას ხმაიო,

თოფის ხმა ქუმელაურთას,
 მანდაც შამოსულ ჯარიო.
 გიოსა ბექურაიძეს
 ტყვიით მოსტყეს მხარიო.
 ციხე დამრჩალა უგაცოთ,
 მეომარ არ ვინ არიო.
 ძლიან გარჯას ამბობენ
 ბექურათ ერთი რძლისაო:
 გადმოდის მარდის ქვაი,
 ციხის კარ უყრავს მკვდარიო.
 ჯაოი ბერიკაიძე
 ცით ჩამოსული ჯვარია,
 იგრე მიდიოდ ტყვიანი,
 როგორც რომ ტყვია ცხარიო.
 წარტკა ბერიკაიძემ
 შუა ჩახია ჯარიო.
 —ჯაო ვარ ბერიკაიძე,
 ქალო, გამილე კარიო.
 ციხეში შეუვარდებოდ
 ბერიკაიძე ხარიო;
 ესროლა, ჩამოაგორა
 ბერიკაიძე ვარიო.
 მეორეს გამოუღიშნა,
 ტყვიავე, გამოხარ ძვალიო;
 მესამეც თან მიაყოლა:
 ლექები(ო), ეზიდეთ მკვდარიო.
 უგანა თვალი ევლეობოდ,
 ახლ წოვით მოსვლის ხანია.
 ლააში იურებიანა
 წოვა-გომეწრეთ ემანია.
 მხარი აუკრეს ლექებსა,
 ჩალად დაუარეს მკვდარიო;
 ზოგმ ერთი მოკლა, ზოგმა ორ,

ბევრ ჩემისთანამ სამიო.
 ჰარამ სახელის წამლებსა
 რისხვიდეს ხანმატის ჯვარიო,
 კულაჲ ნუ გაამარჯვინოს,
 საცა წავიდეს ჯარშიო!..
 მანდ რა ლექები დახატეს,
 სამისს დაკვდა სამიო.
 მე მაგის მოღუქსებელი
 კახეთში ცხვარში ვარიო,
 თავადებს ჰქონდათ ლაშარაკ(ი),
 ხმა შორს გაგ(ა) კაი უმისაო:
 „ჩვენ რამ არ გვეყანდნენ თუშე-
 ქათმებ ვართ ლექებისაო, [ბი,
 შუა დადესტანსა დგანან,
 გალაფანს გვანან ქვისაო“.
 თუ მაგით ვერას მინიშნებთ,
 ჩუნთიანთ გიო ვარიო;
 შენდობა ჩუნთიანიძეს,
 საც რამ დარიგდეს ჯარიო!..

51

(ვარიანტი)

შუა ზაფხულში დავარდა:
 დაიძრა დადესტანიო,
 ხისოს ლაშში ჩამოდგა,
 როგორც ნაკუბარ წყალიო.
 დასხდეს, აზრობდეს ლექები
 საით გავიდეთ გზანიო:
 ზოგთა სთქვეს ხისოს ჩავიდეთ,
 ჩავლექოთ ხისოს ქვანიო;
 მანდით მოვრეკოთ ტუვეები—
 ლამაზი, ქალი დ ზაღანიო;
 ზოგთა თქვეს, მთებში წავიდეთ,
 მოვრეკოთ ძროხა-ცხვარნიო.

იძახეს ნაცისვრიდანა:
 ქუმელაურთას არს ჩქამნიო,
 ქუმელაურთასა ციხესა
 შემოეხვია ჯარიო;
 ბექურათ სახლსა, ციხესა
 ცამდინ აუშვეს ალიო.
 ხმაღ და ხმაღ ომსა ამბობენ
 ბექურათ ქალი დ ზღისაო.
 კაც მოხკლა ხაჩოს გიორგიმ,
 სოფელში დარჩა მკვლარიო;
 ლექებ ჩახოცა შეთეს დავითმა,
 რად უარმებენ სხვანიო,
 არმის სახელის წამლებსა
 გაუწერეს ჰირი დეთისაო.
 ჯალი ბერიკიძე
 ცით ჯვარი ჩამოგვიჩნდაო,
 ცხენ და ცხენ შედვარდ ლექებში,
 შესია ლექის ჯარიო!..

52

დღეიმც ნუ გათენებულა,
 დღე ოთხშაბათი მიზინი:
 დაბერტეეს აბანოს ხორხი
 ცხენ-ცხვრიან-ხაროფნიანი.
 შეიტეეს ივანაურელით,
 ცხენებთ მოიდეს გრიალი;
 მეორეთ ხეცურელით ბიჭებთ,
 აბჯართ მოიდეს ჟრიალი;
 მესამეთ წოვათ ბიჭებთა,
 ტუვია-წამლითა მრავალნი.
 დასწევი წყაროანასა,
 ჩაღად დაუარა მკვლარიო;
 ცხენი ურეგდა მკერდამდინ,
 მსუდარი უზანგამდინო.

ვინა ხარ წყაროანასა,
 სისხლში ვინა ღრუვდ ხმალსა?
 მოზაი რაინაული—
 ის ღებუვდ სისხლში ხმალსა.
 გძელ ყანას მიეგებება
 მამამთილს თავის რძალით:
 — მამამთილ, შვიდი რა უეფ—
 თინიბეგ ჩემი ქმარიო?!
 — თინიბეგ იქვე გავწირე
 დაჭრილი, როგორც მხალიო;
 ფეხთით დაუბი ღურჯაი,
 დასტიროდ როგორც ქალიო;
 თავთით დაურჯვი საღიშნე—
 თუშთ ნამტვრევე შუბის ტარიო!..

53

(ვარიანტი

შამილის შვილმა შეკმაზა
 სალაშქროთ ცხენი შავიო,
 ჩამოვიდოდა ნაქერალს,
 ტბათანს დაავლო თვალიო.
 ტბათანას ვერას შეუხვალ,
 ვეფხვებთ შეგიკრეს გზანიო;
 ე მათ დაბრუნებულმა
 წყაროანს დაჭხურ ცანიო.
 წყაროანაში აიღო
 ცხვარ-ცხენი კაროვანიო;
 ძალი თან გაჭყვა ოხერი,
 თეთრი ჭედანა ქვიანო.
 შეგიტეო ივანაურმა,
 ახვარს გაჭქონდა წკრიალი,

შეგიტევეს გომეწრელებმა,
 ცხენების დადგა კრიალი,
 შეგიტევეს წოვათ შვილებმა,
 სამებას დაჭკრეს ზარები,
 წელთა აისხეს ახვარი,
 ცხენთ ჩანათეს ნალიო.
 მეწევიან წყაროანასა,
 უწვიმოთ ჰქუხდა ცანიო.
 თუშნი და ლეკნი ომობენ,
 ნისლით შემოსეს მთანიო;
 სისხლისა ღვარი დაბრუნდა,
 გაწითლდა ნაწიდარიო,
 ალთეს და ჩაღთეს ლეკები,
 ჩაღად დაუარეს მკვდარიო...
 ასოცდაათი ლეკისა
 თოთხმეტ წავიდა საღიო!..
 გძელ ყანას მოეგებება
 მამამთილს თავის რძალით:
 — მამამთილო, შვიდი რა უეფ —
 თინიბეგ, ჩემი ქმარიო?
 — თინიბეგ წყაროანას გავწირე,
 დაჭრილი როგორც მხალიო,
 თავთა დაუსვი ნიშნდა
 ნამტვრევეი შუბის ტარიო.
 ფეხთა დავაბი შავრაი,
 ტიროდა როგორც ქალიო;
 სატირლად ჩამოსდიოდა
 შავი ყორანის ჯარიო;
 ჩამოსხდებოდნენ თავითა,
 ტიროდნენ როგორც ღანიო!..

შამილი—განთქმული დაღესტნის იმამი, რომელიც მედგრად ებრძოდა რუსეთს 25 წლის განმავლობაში. შამილის შვილი—ყაზი მაჰამა, რომელიც ღირსეულად მხარს უჭერდა სახელოვან მამას დაღესტანში

და შემდეგ მამასთან რუსეთში წავიდა. რუსეთში სამსახურში შევიდა. 1877 წ. გადავიდა ოსმალეთისაკენ და იქიდან ებრძოდა რუსებს. ომის დროს ბათუმის კომენდანტათაც-კი იყო.

54

ამბობენ დაღესტანშია:
 ახლა დავლობის ხანია,
 მოვიდა შუა ზაფხული,
 თუშთა დავლახნოთ მთანია.
 სპეროზას შეიდი ფარა ზღვას,
 იქით გავიღოთ გზანია;
 ცხვარ-წყემსებ შემოვყოლოთ,
 ადვილი საშოვარია.
 დაიძრა, გამოიმართა
 დიდი ბუსურბნის ჯარია,
 ჰარასკეეს, შუადმის ხანს,
 სპეროზას დაჭურ ცანია.
 დაწიოკა ცხვარ-წყემსი,
 ვაი რა ცოდვა-ბრალა.
 ვინც დაჭნვდა გულის მტკივნა,
 ცხვარზე მოვილა თავია.
 სულ ერთად შემოაქუჩეს
 შეიდივე ფარა ცხვარია;
 გზა შორს ჰქონდ სახვევრინი,
 კლდის ხორაჯის თავია.
 კაცი მოვიდა წოვათას:
 ლეკის დაგვეტა ჯარია;
 სპეროზით ცხვარი წაიღეს,
 შავად დაბერტეს მთანია.
 გაჯავრდნენ წოვათ ბიჭები,
 აბრჯრის გამოდის ჩქამია;
 სწრაფ გადაიარეს მთის წვერი,
 დმერთო, დასწერე ჯვარია.
 წინ უძღვის ბერი სამება,

უნდა გავლახო მტერია.
 თან გაჭევა ჩაღმა პიროქით:
 მშურათ ვუჭიროთ მხარია.
 სადილობისას ნაქერალს
 ლეკებს მოსტაცეს გზანია.
 ნაქერლის თავსა, ვაკეში
 შემოდგა ლეკის ჯარია;
 შემოდგა, შემოიწიეს,
 როგორც მძოვარი ცხვარია.
 თუშთა ჩასძახეს ლეკებს:
 ახლა უნდ ვცადოთ თავია,
 ხმალ-ხანჯლის ფხანი გავშინჯოთ,
 ვის უფრო დარჩებ მკვდარია.
 მამაძღლ ლეკის შეილებმა,
 არც მაგათა თქვეს არიო;
 დეერევიან ერთმანეთს,
 მზეო, გეჭიროს თვალიო!..
 ომია ალეღებუღი,
 ცამან დაყარა ნამიო.
 ხმალ-ხანჯლის ჩქამი გამოდის,
 იტყვი, დაიძრა ზვავიო.
 იმდენი დარჩა ნახოცი,
 როგორც რიეზე ქვანიო.
 ხელი დაგრიათ, ლეკებო,
 სისხლით შედებეთ მთანია!..
 ტიროდა ლეკის ბელადი:
 ვაი დედა ჩვენის ბრალა,
 ამდენი ხალხი აქ დარჩა,
 დაღესტანს როგორ ჩავიდუ.
 ნუ სტირი, ლეკის ბელადო,

დავლობისაჲ წესია.
 თხასი ლექის მარჯვენა
 შემოაქუნეს თუშებმა!..
 მე მაგის მომღუქსობელი
 წოვათას თუშის ქალაი.
 ლალიცა არ ვის გეკონთ,
 ტირილით ვიმჯავრ ჯავრია.
 შვიდმეტო შემოკვიზინეს
 სკაცით წოვათაშია,
 თცდათორმეტოც დატრილი
 ნაქერლოის თმობაშია.
 ჩაღმა-პირიქით ვინ იცის
 მომკვდარი ლექის ხელითა...
 ახლანდელ თუშის ტანჯვაში
 ნუ ჩავარდება მტერიცა:
 არა გვაქვს შინ მოსვლის ხანი,
 მუდამ ვართ სისხლის ღვრაშია.
 გვაწუხებს ლექი, ჩანანი,
 ვართ მუდამ დაშქრობაშია;
 აღარ უხარის დედას
 გაზდილი ვაჟიშვილია.
 წაგაღის სადმე მღვეარსა,
 შინ მოიყვანენ მომკვდარსა.
 ცოტა-ღა გვაკლავ დიაცებს,
 აბჯარ ავისხათ ტანზედა...
 ცოტა ვართ თუშის შვილები,
 გარს გვიდგა ბუსურბანია;
 ხმაღ-ხანჯლის ძალითა ვცხოფ-
 რაც ვაჟკაცობის წესია. [რობთ,
 კახეთს აწუხებს თათარი,
 ბეგრათ იღებენ ქალებსა;
 ტახტის ბოჯირთან თათრები
 ახლად მართავენ ქალაქსა;

საზაფხულთ ბახტრიონზედა
 ციხეს აგებენ მაგარსა!..

55

ჯარების მოსვლას ამბობენ,
 გატეხას ჩაღმის მთისასა;
 დადგომას ყველურთის სოფელს,
 უკუღმ ჩახდომას მზისასა;
 გადმოსვლას ქვათენთის მთაზედ,
 ზედ დახურვას ცისასა.
 ჭანჭანით შესვლას ამბობენ,
 გატეხას გაღაუნისასა;
 შიგ დატანას ამბობენ
 სამოცის ვაჟკაცისასა.
 ჩახდევდიან ალაზანს:
 პირ-აღმამც ამოდბრუნათ,
 ამ ჩვენებს მეთათეუებსა
 თათეებიმც დაუტრილაო...
 ანამც ვინ წელითა დაგვაძლო,
 ან ძილი დაგვაძინათ.
 შორი-შორს სრევას ამბობენ.
 ქუროეთ სიათისათ,
 ციხის კარ არ მოშებასა,
 ნანაის ხიზიერისათ.
 ბრალი ხართ, ხვესურთ ბიჭებო,
 ადგილსა ხვედებით სხვისათ,
 თვარ თუშეთის ქვეყნის ვაჟკაცი
 ადგილს არს მამ-მამისათ.
 ქვათენთის ციხე მაღალო,
 ქაყით ქვედ ჩამოღებულო,
 შიგ შესრულთ დიაცთ, უმაწვილთა
 გზა უკუღმ გამომღებულო.
 ხმლითა გამოსვლას ამბობენ

ქოთილათ განაისაო,
 გაფრინდებ გოგრულთის
 [ჩრდილზე,

მგელი შემოდგრავს ჰწკაფსაო.
 შენდობა ქვათენთას ნახოცთ,
 სად დასხდენ სწორნი სმაზეო.

თუშების გარდმოცემით, დიდი უბედურება სწევია თუშეთს. დლისტნის ჯარი შემოსევია და მიწასთან გაუსწორებია თუშების სოფლები და მის ავლა-დიდება. ხალხი შეხიზნულა ციხე-კოშკებში და სიმაგრეებში. სამოცი ვაჟაკი თავიანთ დიაც-ყმაწვილებით შეხიზნულან ქვათენთის ციხეში, რომელიც განთქმული ყოფილა იმ დროს მთელ თუშეთში თავის სიმაგრით. დროთა-ვითარებით მოსულა თუშეთში რამდენიმე ხევსურცი და მომწყვედეულა ამ ციხეში. ლეკებს ალყა შემოურტყავთ ციხისთვის, მიუციათ ნაღმი და აულიათ. ციხის უფროსი, განა ქოთილაიძე, გამოსულა, სანამ ნაღმს მისცემდნენ, ციხიდან დიაცურად ჩა-ცმული (ქოსა ყოფილიყო), მოუკლავს რამდენიმე ლეკი და გავარდნილა „გოგრულთის ჩრდილზე“. ქვათენთის ციხის ნანგრევები ეხლაც მოსჩანს.

56

ქვათანას მეცხვარეებმა
 ვახშამი ჭამეს გვიანი.
 ჯერ შუაღამე არ ქნია,
 ლაშქართ მოიღეს გრიადი.
 მანგისს უთურგაიძეს
 ხანჯალ წელთ არტყავ ფხიანი.
 ამას ჩიოდა მანგია:

თოფ ვერ ავიდე ხმიანი,
 ქოთაკთა მქონდის იმედი,
 ოხრებთ არა ქმნეს ყეფანი.
 მამას მითქვიდით უთურგას,
 ჩემიდ ნურა სწუინს ზიანი,
 ცხვარი მთას გადაშირეკეს,
 მე ვწევარ მკლავ-სისხლიანი.
 სამისა დელა ვატირე—
 იჩუში ქალი თმიანი;
 მეოთხე თან გავყოფდე,
 მიჭყავისთ ნაჭრევიანი.

კახეთში შამიტობიეთ,
 მიუფარდის ცხენთა გრიადი.
 ზეზუაი გაფრინდაული
 გორ-გორ ამოდის ხმლიანი;
 თუ, ლეკებ, შემოგეწივნეს,
 გულის მოგივით ფრიადი;
 თუ სახლმეთ საქმე გავიდეს,
 მემრ ნახეთ ხლმისა კრიადი.

57

ლეკო, ვინა ხარ ლეკეთში,
 კახტათ გამოხვალ ჯარზედა;
 რამტვენსაც მთებსა გადიფლი,
 სახლებს შეიური მხარზედა;
 გადახვალ დიდგვერდისკენა,
 მანდ დაიძინებ ძიღსაო.
 კადგზაუნა ლეკმა მზვერავი,
 თუშთ სად უდგ ყარაულიო?
 წაუა მახარობელი
 მამაძაღლ ლეკის შვიღსაო:

თუშთ ორწყალს ჰყოფივ უარაულ,
 ფიქრიც არ ჰქონივ მტრისაო.
 ჯერ თენების ხანი არ ქნილა,
 სამყინვრეს ჩამოდგ ჯარიო,
 გარს შემთერტყა ჯამრულსა
 ბიჭები ლექებისაო.
 „ვაჭმე, რა ძნელი ყოფილა
 ნაწოლს ზედ მოსვლა მტრისაო;
 თარეშისეუ მოსვლაზე
 დროიც არ მქონდა ცდისაო“.
 კიმოთე ამირაიძე
 ირემსა ჰგვანდის მთისაო;
 ხმალს იქნევს ამირაიძე,
 წიქვა გამოდის ხმლისაო.
 ფილა არს მეშვლის გაზდილი,
 ნათოტ ამოდის ძვლისაო.
 შამლის ბერდ და ლექი შაბმუ-
 რიეუ აწითლეს წიქლისაო, [ლან,
 მამა-შვილს დაუხოცნია,
 მოემე აღარ დარჩ ძირსაო.
 თუშებს ვინ შავიტყობინებს,
 იმედ ვისა გაქვსთ მუხლშიო?!
 შეიტყეს თუშის შვილებმა,
 გრილ არს ცხენებისაო.
 გიგა მოჭქუხის მექვებაური,
 არწივ მოჭკიოდ მთისაო,
 ლექს მიღვარდება ხელდახელ,
 სისხლ ხანჯალს ჩამოზდისაო.
 ბაბოსა თავბერიძისა
 იმედ აქვს სიათისაო;
 ესროლა, გამოაგორა,
 ქვიშა აჭმია მთისაო.
 მთერალაი, ქისტის გაზდილი,

საჩქაროთ გადადისაო,
 ორი მოუკლა ლექებსა,
 ერთ დაჭრილ გაყოლაო.
 ცალ-ცალკე ვერას გაქებდეთ,
 დედა ატირეთ მტრისაო;
 გული თქვენ ბევრსა გერჯოდათ,
 ნოტო მოსხლეტა მტრისაო;
 მანდით გაქტეულ ლექებსა
 გზა წითლად გადაუფიქსო.
 თქვენთან დასწრება მეც მინდოდ,
 მოკრეფა ბარგ-ბანდისაო.
 მაგისი მომლექსობელი
 ჩობანი ვიუფ ცხვრისაო;
 არცა ვარ გალაღებელი,
 მეც ჯაური მჭირდა მტრისაო;
 მამა მომიკლეს შენაქოს
 ცოგიძის ცხენშიგაო!..

58

ორწყალში უარაულებსა
 ქადინი მოზდისთ მტრისაო:
 გამარო მოვიდ გოგნელი,
 ორწელთ აჭყარეთ ცხვარიო.
 შაბალი ბაიძის შვილი
 ხელ-გულით შაკვრისაო,
 მზე-ამოსვლისას დაეცათ
 დადესტნის ლექის ჯარიო.
 ორნი ჩახოცნა მამა-შვილნ,
 ცხენ-ცხვარ გადაუეწ მთასაო;
 ამას სჩიოდა შაბლის ბერდ,
 ხანი არ დამცალდ ცდისაო;
 ბრადი ხართ ბაიძიანო,
 სამარხ არ დაგრჩათ კვდრისაო...
 ფილაი, კიმოთ ჩახოცნა,

ხევი აწითლეს წყლისაო.
 ხმაღ და ხმაღ გადმოუტანს
 კიბოთეს ვაჟკაცს თუშსაო.
 მღევარ მოსწვეი ლეკებსა,
 ქუხილსა ღვანდის ცისაო.
 მიზღვეგნ თუშნი, მიხოცენ,
 ჩაღად დაუარეს კვდარიო;
 დედა გიტირეთ, ლეკებსა,
 ჯაგრი არ გვამეთ მტრისაო!..

59

საქიონელთა ჯარები
 წაროს თავს იურებიანო.
 ლაზარაკობენ დიდონი:
 ნეტავ გარაი შინ არი?
 თუ შინ დაგვიხდებ, იცოდეთ,
 სადილს გაგვატანს მწარესა.
 შინ არის კეხუს გარაი
 ვაი, დიდონ, თქვენი ბრალთა.
 მამა აღვიძებს გარასა:
 სოფლად ჩამოვიდ ჯარითა.
 წამოდგებ კეხუს გარაი,
 ჩარდახებმ შექმნეს ჩქამითა;
 გამოუღიშნა რამეღსაც,
 იმ წამსვე დასცა ძირსაო.
 მამა ჩემ, კარგათ შეხედე,
 სისხლი გუფიდან ზდისაო.
 ჩემ ნახოცთ ეზიდებიან,
 ხევი იუსება მკედრითაო,
 თრ ძმას გვიქებენ—აბულის,
 ისინი სად არიანო?
 ისინ ყოფილან ციხეში,
 ლამაზად ამობდისაო.

მაგათ ნახოცთა დიდოებს
 მარხილით ზიდევდისაო.
 ჩივიან დაღესტნელები
 თმობას სამის უმისაო,
 არ სცდება მაგათ ნახოცთა,
 შამოდის გულის ზირსაო.
 გავბრუნდეთ, ჩვენთვის წავიდეთ,
 თორ დაგვიხრულებს დღესაო.
 გაბრუნდებ ლეკის ბელადი,
 უნდა გადვიდეთ მთანიო.
 კანთოს კმდურგუნ ბიჭები:
 კანთომ არ გვიჭირ მხარითა;
 არ ისმის მაგის თოფის ხმა,
 არც მაგის მალაღ ჩქამითა.
 კანთომან ჩქარა მოსტაცა
 მთის წვერა თირთვილიანი;
 ესროლა, ჩამოგორა
 ბელადი ჩექმანიო.
 თან გაიუღლა ბიჭები,
 თმი ჰქონია მწარითა;
 ახლა ჩვერგე ლეკებსა,
 ჯარში ტრიალდობს ხმლიანიო.
 ხუთს გამოხეგვეს კალთაში
 მარჯვენას ლეკებისაო.
 ჩამოვიღოდა სოფელში,
 სიცილი მოზდის ზირსაო;
 თქვენ მეტი დაგიხოცნათ,
 აუგს ნუ იტყვიით ჩემსაო.
 მეცა ხომ კარგათ დაუნვდი,
 ბელადი მოვკალ მტრისაო.
 შავადებიანეთ სისხლითა
 გზები ამ წარას მთისაო.

60

დიკლოს მოვიდა დილოი,
დენგამ შაყრა ჯარიო;
არ სჯერან დიკლოელებსა,
თეთრათ დათოფლნა მთანიო.
.ოტშაბათ სკატენებლეთ
დიკლოს დაცნეს ცანიო;
დიკლო აიღეს, შენაქო,
.ომალო ნაყლად ქნიანს;

კესელო ჩამაშაყეს,
ქალ-ვაჟიანი თქვიანა;
მანდით გამოსულ ლექებმა
ბოქორმა ცუცხლად ქნიანა.
სახეოს დასწევს დარბაზი,
ცამდის აუშევს ალიო.
კაცის უურს ნულარ სმენია,
ნულარცა ნახავს თვალიო!...

61

(ვარიანტი)

ჯარი იურება დადისტანს,
დადუზვა დგუღავს დიკლოსი,
კადმოდის ხუშეთის ლექეს,
ნამ არ დასწვდება ცისაო.
შემოდის ბიკების ჰირსა,
ჰირ დახკრა თენებისაო;
.ოტშაბათს თენებისას
დიკლოს ჩაგვეცნეს ცანიო;
ხელ-უქტევს სიკვდილს ამბობენ
ნარჩეუბის ვაჟაგისაო.
.ომობდა ოსურაიძე,
სანგალს იხვევდა კვდრისაო;
.ხეცო და ცოტო ამბობდნენ
ერთმანეთ მუტობაზეო:
ძმისწული მტერმა მოგვიკლა,
მზე წითლად ამოდისაო.
.რადამ გვიანად ამოდის
სიათა ქურაძისაო?
მტრისა ხოცვას ამბობენ
ვარდიძის ჯამრულისაო,

გიოი მოზაიძეი —
ვაჟკაცი თავსა სცდისაო,
თავიცი იძია, სხვაცაო,
სულს იხსნის მამ-შაპისაო.
სულეთს აძლევენ სალამს
გიოსა მოზაშვილსაო.
დაო, ამბობდა ქოთაძე,
სისხლისა ტაში ზისაო.
სულეთში ღვთისოს იჩუა
ჩივილით შემოდისაო:
„ხანჯლით დავხოცენ ცოლ-დანნი,
სულეთს არ მომესვლებაო“.
.ომობდა კახიძის შვილი,
თოფის ხმა გამეკვირდისაო.
ბეროს ნახოცთა ლექებსა
დადისტანს გახვევდისაო.
ბარაქალ, კახიძის შვილო,
სახელ ხქენ ადგილისაო;
დადისტანს ქარუმიშვილი
ტირლით შემოდისაო:

ჯარი გავსწირე დიკლოში,
სამ-სამი ნაბისაო.

შენდობა დიკლოს ნახტოთა,
სად დასხდეს ხაღხი სმაზოა!..

თუშების გარდმოცემით, ორმოცი საპატრო ვაჟაკი გამოეტყუებიათ
ლექებს, ვითომ მოსალაპარაკებლათ, და ლალატით ყველასთვის თავები
გაეყრევინებინათ.

62

(ვარიანტი)

შენაქოს მოვიდ დიდიო,
დენგამ შაყარა ჯარიო;
არ სჯერან შენაქოელებს,
თეთრად დათოფნა მთანიო.
ათხშაათ თენებისას
შენაქოს დასცეს ცანიო.
ქვე უბანს შემოუგოფეს,
ზე უბანს დახკრეს ზარიო;
ხელიაძისა ციხესა
ცამდინ აუშვეს ალიო.
ბეროსა ხელიაძისა
ჩაუხვევიან ცხნანიო;
დასტრიალდ ხელიაძეი,
მკელმა დაფანტა ცხვარიო.
ახალს უბანსა გადავიდეთ,
ელანს მოვაგლოთ თვალიო.
— კარათ გამოდი, ელანო,
ხელთ გამოიყოფ ხმალიო.
— მე კარეთ ვერას გამოვაღ,
კვლარი ბევრ მიური კარზეო.
კარათ გამოვიდ ელანი,
შუა გახია ჯარიო,
მომკლავს-კი, კარეთ მოგხკლავდე,
ვადაზე გაწედა ხმალიო.

63

(ვარიანტი)

დიკლოს დალუვა ვინა სთქო,
ან განრისხება ღვთისაო,
კოგიძის ციხის დაქცევა,
შედება ჩანჩანისაო?!.
შიგა ზის თისო კოგიძე,
ვეფხვია საღის კვლისაო.
ეუბნებოდა ბიჭებსა:
ტირილ მაწუხებს დისაო;
ცოფს ამას უჯავრდებოდა:
რას მეფეებეი ჰირსაო,
ტუფია თუ გამოთავდება,
ფარკულს აგაჭრი დილსაო.
შეთემ სთქვა ქუმელაურმა:
დღეს დღე არ მირჩევს ცდისაო.
ხმლით გავაღ, გადავერევი,
ჯავრი მჭირს ლეკებისაო;
ხუთამდინ თქვიდით ნახტო,
გაჭრა ვინ იცის ხმლისაო.
დიკლოს შემოფენ ლეკები-
ახალ წელისა დღესაო;
ხელშია დიკლო, შენაქო,
ომალოს დარეკ ზარისაო!..
ომალოს, ბრძლის ციხეო,
შიშით გაქანებს ქარიო;

შიგ სხედან თუშის ბიჭები,
 ჰირს ასდის თოფისა ალიო.
 დმერთმან გაცხონოს, საბედლო,
 სუელი იაღაღმთაც არიო!
 მანდილი უკან გაიკრა,
 წელს შემოირტუა ხმალიო,
 გამეკრია ლეკებსა,
 ჩაღად დაუარა მკვდარიო;
 თანაც გამთჰყვენენ ბიჭები,
 დასურვეინეს მკვდარიო;
 ეშველებ წასნის გიორგი,
 ლეკებს შაუკრა გზანიო;
 არ შამოუშვეს ომაღოს,
 დაბრუნდა დაღესტანიო...

64

ზამთარმა გამოიხმელა,
 ვინ იცის ვისად ჭირდა.
 ბაგვაზში ლეკებ ამბობენ:
 ლუხუმს მოვავლათ თვალია.
 ოთხშაბათს თენებისას
 ბაკის გაგიღეს კარია,
 — წამოდექ, ლუის ლუხუმო,
 ხელთ აიყოლე ხმალია.
 ვერას წამოდებ, ლუხუმო,
 ძიღმ დაგატანა ძალია;
 მძინარს დაგაწვა ლაბაზან,
 ცხრან დაგეხვიენეს თავზედა;
 ხელებს შეგიკვრენ, ლუხუმო,
 გაგამგზავრებენ გზაზედა;
 უცხო ჰქვეყნებსაც გაიფლი
 დაღისტნის არე-მარესა,
 წინ ცხვარსაც გაგირეკავენ,

იმგზავრებ შორის გზაზედა.
 ქიბდურის მთაზე, ტიალი,
 უკან გაბრუნებს ქარია,
 არცა გაბრუნებს ქარია,
 ცოლ-შვილთ გქონდ ცოდო-ბრადა.
 ბაგვაზს ჩამოგსვეს შუ უბანს,
 გარს მოგეხვია ჯარია.
 გადახედ ლეკის ჯარებსა,
 თვალზე ჩამოგდის ცრემლია,
 არც გქონდა ხელი ნუბსა,
 მუხლთ წაეკვეთნეს წვერნია.
 ქაღმა შეხედა, ასტირდა:
 მეც შენაქოელ ვარია,
 ლუხუმ, აქ რადამ მოგიყვან,
 შენაქოს მიუვირად ხარია.
 მაგ ქაღის ცოდო-ბრადითა
 აღმური აგდის სახესა...
 აქ ჩაგდეს თოფის სალიშნეთ,
 მწვავეთ გესროლენ ტყვიასა.
 დღეს ლეკებ დაღამებენ,
 ერთ ვერა დაგკრეს ტანზედა.
 — სალიშნეთ, წამოიძახა,
 ჩემი მესროლეთ თოფია!..
 თოფმა, ტიაღმა, პატრონსა
 ლუხუმს დაჭხვრიტა ტანია.
 უთხროდეთ დიკლო-შანაქოს,
 ხვარშნლოთ ნუ მისცენ ზაფია;
 თუ სოფლად ვერას გამოხვალთ,
 მთაში უხოდეთ ცხვარია.
 ამ ლექსის მომლექისობელი
 შენაქოს ვზივარ ქალია,
 მომაგონდება ტიალი
 დიკლო-შენაქოს დრონია;

გზივარ და მწარეთა ვსტირი,
თვალებზე მამდის ცრემლია.
დიკლო-შენაქოს წახდენით
დაბრუნდა ცოდო-ბრადია,
აღარ ვინ დარჩა კაცის ძე,

დიკლო და შენაქო ახლო-ახლო მდებარეობენ. ორივე სოფელი ერთ დროს ააოხრეს ლეკებმა.

65

(ვარიანტი)

ზამთარმა გამოიხმელა,
ნეტარ ვისიმე ჭირადა;
ქიბდურში ლუის ლუხუმი,
ე მაგისტვის არს ცუდათა.
ბრადი ხარ, ლუის ლუხუმო,
მტერმ შემოგართვა თვალია;
არა ქნილ შუადამეი,
ბაკის გაგიღო კარია;
ხელი მოაფლე თავის თოფს,
ტიალ, გამართულ ხარია,
ლეკებმ შეგიკრეს ხელები,
ცდის აღარ მოგცა ხანია.
ვებუსა მთასა გადადის,
მუხლით იკეთებ უფვაშსა;
თოფის საღიშნეთ ჩაგდგინ,
სამოც გესვრიან სამიო.
ბავვაზში ქალი ასტირდა:
შენაქოს სოფელედ ვარია;
აქ რათ მოსულხარ, ლუხუმო,
შენაქოს მუვირალ ხარია. [სა,
ხელ-შაკრულს ნუ ხედავთ ლუხუმ-
ხელ-შაკრულ სიკვდილ ბრადია!
ლუხუმის თოფმა, ტიალმა,
პატრონს მოსჭვრიტა ტანია!..

ვაი დაგვეცა, ვადალა.
სოფელად ბუდობენ უორნები,
მწარედ დაჭევევენ ბრადია;
ნურც დავესწრობით ამ დროსა,
კაცი ნუ ხახავს თვალია!..

66

(ვარიანტი)

გადიარა ზამთარმა,
ნეტავ ვის თუშის ჭირადო;
ბოსელთას ლუის ლუხუმი,
ავაი, თუ მაგის ჭირადო.
მთაზედა მოუკიდებავ
ლეკთ მონადირეს თვალიო,
გაუღეს შუადამის ხანს
ლუხუმის ბოსლის კარიო.
გამოიძიეს ბოსელი,
ლუხუმ მოხედეს კარიო.
— ავაიმე თქვენსა ლუხუმას,
თოფსა დამიწეეს ტალიო,
აღარც გადმომეფა ხანჯარი,
მედინ სისხლისა წყალიო.
გამოიფანეს ლუხუმი,
ვიწროთ შეუკრეს მხარნიო;
გამართეს ლეკეთისაკენ,
წინ დაუეჩეს ცხვარნიო;
შემასხდინეს მთაზედა,
თუშეთს დასწერე ჯვარიო.
— ავაიმე, ჩემო თუშეთო,
გელარ მოგივალ მთელიო.
ჩამოიფანეს ლეკეთში,
შემოეხვია ჯარიო.

—ესა თუ იუო ლუხუმი,
 ჩვენი იუო ნიაღვარიო.
 იუიდა ჭირის ჰატრანმან,
 სულ გაიტანა რვალიო;
 საფლავზედ შამახდინეს,
 როგორც ხაკურთხი ხარო.
 ქალმა შეჭხელა, ასტირდა:
 —ლუხუმს ნუ მოჰკლავთ ბრალის!
 —ქალო, შენც თუში, მეც თუში,
 ჩემი სიკვდილი გწყენია,
 კიდევ დარჩება თუშეთში,
 მადლა შეირტყას ხმალია!..

67

აშაკანიძის ლაშქარი
 თავს ყიდურს გროვდებისო,
 გაგვიძეხ, ბეჭურის ძეო,
 შენ უფრო იცი გზისაო.
 გაუძღვის ბეჭურის ძეი,
 გზა ჰირკვან შეჭხარისაო;
 აქვერის მთაზე გადადის,
 ხმაღს სწუნობს, გაუცვლისაო.
 თოფსა სწუნობდა, შაშხანსა,
 ჭრელს დაზღვედ კირიმისაო.
 ბეჭურის ძისი ლაშქარმა
 ფიცი ჰქნა შეუფისაო:
 ნუ ვუღალატოთ ერთურთსა,
 დროშის ქვეშ ფიცავდისაო.
 თუშნი ჩაცვივდნენ სისხლშია,
 ფშავლებ შორით ხედავდისაო;
 ემაით დაბრუნებულნი
 შინ ცოლებს რას ეტყვისაო.
 შინ ცოლებს შოატყებენ,
 გარეთ სწორში რას იტყვისაო?!

თუშნი და ლეკნი ომობენ
 აქვერის სოფლის ჰირსაო;
 სისხლისა დვარი დაბრუნდა,
 დადგა სოფლისა ძირსაო.
 ლეკთ ხოცავს მანქარაულიო,
 მარჯვენას არა სჭრისაო,
 აქვერელთ დიაც-უმაწვილნი
 ბელლით გამოუდისაო;
 აქვერელთ ცხვარ-კართვანი
 თუშეთში გადმოდისაო;
 უკან მოსდევენ დიაც-უმაწვილნი,
 ცრემლით იბანენ ჰირსაო!..

68

მთასა შავხელე—მშობლია,
 ჭლას ჩამოწვა ზვავია.
 უველამ გამართა აზარი,
 თუშთა გაღესეს ხმალია.
 კაცი გაგზავნეს სოფლადა:
 თუშნო, გავიდეთ ველადა,
 მთა გაშრა, ქვიშა გამოჩნდა,
 ახლა ველობის ხანია.
 სოფლად შეურიღან თუშები,
 ლაშარაკობენ ჭკვაზედა:
 წინა გაგვიძეხ, ქავთარო,
 თუშო, გაგვიდე გზანიო;
 ქვევითა ჩვენა ჩავიდეთ,
 ლეკთ მრავალ უდგა ცხვარიო.
 წინა გაუძღვა ქავთარი,
 თუშთა ნარჩევი არიო.
 ქარის თავს თუშნი ჩავიდნენ,
 მთა-მთა ჩაიდეს გზანიო.
 ჭარის თავს ჩაითარიძეს,
 დილა ბინდისა ხანია.

ცხვარი ბეგრი მოაქუჩეს,
 ექვსასი ფაროვანია;
 წუემსებიც ბეგრი დახოცეს,
 ბაკებს გაუღეს კარია,
 ცხენი და ძროხა მოაქუჩეს,
 მრავალი სსშოვარია.
 გამართეს თუშეთისაკენ,
 ღმერთო, მოგვმართე გზანია!..
 თილისძემ—ღედის ერთამან,
 სიზმარი ნახა ძნელია:
 თუშებო, გელიშნებოდესთ,
 დღე გაგვიტენდებ ცდისაო.
 თუშების მუქარაზედა
 შეურიღ დაღისტინის ჯარია,
 მადლა ანწუხის მთაზედა
 თუშებს მოუჭრეს გზანიაო.
 შორიდან ლეკებმ იძახეს:
 თუშნო, გაწირეთ ცხვარიო!
 უარს არიან თუშები,
 ლეკნო, დაგვიგდეთ გზანიაო!
 ძაღზედა დგანან ლეკები,
 თოფისა დაღვა ალიო...
 ბაჩოი, თუშის გაზდილი,
 წოვა თუშების თვალია.
 ბაჩომან ლილის ფრანგულსა

თუშები რომ სამტაყებლოთ პარამდის ჩალიოდნენ, გვიმტკიცებდნენ ის, რომ თუშეთიდან დაწყებული პარის თავამდის სულ მთა-მთა, უმთავრეს კავკასიონის ქედის ზურგზე ჩადის საცალფეხო ბილიკი, რომელსაც „სათუშო ბილიკს“ უწოდებენ. ეს ბილიკი ეხლაც ატყვია. პარის თავში ერთ მთაზე დევს დიდი ქვა, რომელზედაც თუშები თარეშობის დროს სპედავდნენ ცხენებს

69

თუშეთს შესწუხდნენ თუშები:
 გვიან გამოდის მთანიო,

ნაქებს უშინჯა ფხანია:
 —ფრანგულო, გასჭერ, გამიძებ,
 ახლ გაჭირების არია!..
 ხმაღ და ხმაღ თუშნი ჩავიდნენ,
 ღმერთო, დასწერე ჟვარიო!..
 ხმლის ქნევას ეცილებიან,
 წკრეზე დაუარეს მკვდარიო;
 დახოცეს ლეკის შვილები,
 ჩაღათ დაუარეს მკვდარიო;
 ლეკნი მანდავე დაღიეს—
 დიდი დაღისტინის ჯარია;
 ცხვარიცა თუშეთს კარეკეს,
 მაგ ლეკთა მონაგარიო...
 ეგე შეიტყეს ლეკებმა,
 თავზე დაეცათ ცანიო:
 —თუშნო, თქვენცა ნუ იქნებით,
 ნურც თქვენი სახლის ქვანიაო.
 მოკუთი რაღათ მოკალით,
 ეგ დაღესტინის სარდალიო;
 უფროსი იყო დაღისტინის,
 ვინდა გაგვიდოს გზანიაო!..
 ჭარის თავს დაჭკრეს მიღარი,
 თუშთა დაიგდეს მთანიო;
 მთებს ჩამოითარეშებენ,
 წინ დამდგომ ვინდა არია!

მიდიან ქედაიძესთან:

გულუხვ, გაგვიძებ წინაო.
 ქუმელაურთას გასძახეთ

ჯაოს ბერიკაშვილსაო:
 ადექ, ჯაო, ველად გავიდეთ,
 ერთხელ გაუძღვეთ მზირსაო;
 აგეურთასა გასძახეთ,
 იმ ქოროლლისა შვიდსაო:
 ადექ და ველად გამოდი,
 მაჟარ გადიკიდ მხარზეო.
 ხისოს შექუჩდეს ლაში,
 დილა ამოსვლის მზისაო,
 დღე მანდვე დაუღამდებთ
 თოფების მართებსაო.
 მზირიც მანდ მოუქუჩდება,
 ჯოგი შურილი მგლისაო;
 გადავიდეს ვადაით შთას
 დამ დაბნელებას მზისაო;
 ჩავიდეს ქაბდის ხეობას,
 მარჯვე არს ადგილ მტრისაო.
 არ ქნილა შუადღის ხანი,
 ლაშქარ ლევთ შაიმწუგდისაო;
 გულუხვით ჩიოს ბიჭებთა
 ხიდიც მოსტაცა წყლისაო.
 ლექებ ხიდს ვერას გამოვლენ,
 ზვავ შორად მოუხვევსაო.
 გულუხვამ გადუშე ბიჭები,
 ჯაომ დასწერა ჟვარიო;
 ჯაომა ქოროლლიშვილმა
 მაჟარს გადააგულ თვალიო.
 თოფ დახკრა ლეკის ბელადსა,
 სულ მაისხენა ძმისაო:
 „ლეკომც, იქნები გიოსად,
 შინ რომ მომიკალთ მჯდომიო“.
 ნაკუდა გულუხვადიქე—
 ირემ-წყაღს გავარდისაო:

აცა, ლეკო, ვერას წამისვალ,
 ქვიშა უნდ ჭამო წყლისაო!
 შეიბნეს ლეკი დ ნაკუდა,
 რიეე აწითეს წყლისაო.
 ხმალო, მოგიკვდეს მტკედელი,
 ვადის ვინ აგაგო ტარიო!..
 მიქა თმობენ ჯუშაალ,
 ერთკვადის მჯობობაზეო.
 თოფ დახკრეს ლეკის გაზდილსა,
 სულსაც ხსენობენ ძმისაო:
 „იქნები ჩაგაათ გუგოსად,
 ორხევთ რომ მოხკალთ გზაზეო“.
 დაბრუნდეს ნასხელები,
 დაჭრილ მძიმედ უავთ გზაზეო,
 დედას მაგ ნაკუდაისად
 ვინ გაუბედავს ზირსაო:
 შვილიც დაგიჭრეს ნაკუდა,
 ნაჭერ მძიმედ არს ტანზეო!..

70

წაროს იურება თუშები:
 სამტროთ გავიდეთ ველად,
 მოგვწეინდა სოფელში სხდომა,
 იარად ვისხათ ტანზედა;
 ჩავიდეთ ქარ-ბელაქანში,
 შავზეერთთ ლეკის შვილები;
 წინა გაგვიძებს, დილოძიძე.
 ნასხელარო მტერზედა.
 ლაშქარს შეჭურიდა დილოძი,
 იარადს ისხავს ტანზედა,
 წინა გაუძღვა დილოძი,
 დმერთო, დასწერე ჟვარია!
 გაკვამარჯვინე, სამებავ,
 მსხვერპლით მოგივალ კარზედა...-

ჩავიდა, თვალი დახელო
 ჯარზედა, დაღისტანზედა;
 დღე-ღამე უარყოფენ,
 ლექებს უსხედან გზაზედა.
 ავი დრო მაგათ დაეცა,
 ჯანდ დაეხვია მთაზედა.
 თოვლი თოვლს მაწების ღელეს,
 ადექი, დილოძეო;
 თუშის ბელადო, ადექი,
 კვალი გადადის ლექისა;
 გამთაღვიძე ბიჭები,
 გაყოლა გინდა მდევრადა.
 ბიჭებს ადვილებს დილოძეო:
 აბჯარ აისხით ტანზედა.
 შაფხინანა ბიჭები,
 ჰირს დაუწერა ჯვარია:
 მოღით და მალე მომევეით,
 გადაზდენით ტყეები;
 ფესშიშველები უოფილან,
 ქართლისა სჩანან ქალები.
 ლექებს მიზღვედა დილოძეო
 შუა დაღისტანის არესა.
 თვრამეტი მიზღვეს ახალგაზდა,
 ვეთხენი დამდგარან ჰწკალებდა;
 მტრის სისხლი მოსწურობია,
 ომს უპირობენ ძალზედა.
 ლექნი ჩავიდნენ ტყისა ჰირს,
 იქ ანთებდიან ცეცხლებსა.
 სტირიან ქართველის ქალები:
 „ვაი, დედავ, ჩვენი ბრალა,
 გაბუსურბნებას გვიპირებს,
 გვაჭამოს ცხენის ხორცია;
 როგორ უნდ გავძლოთ დაღისტანს,

დავითმთ ჩვენი ქართლია!..“
 შვიდნი უოფილან, სტირიან,
 ცხარე უერიათ ცრემლია.
 ლექნი უუურობს სიცილით,
 მასხელარნი მტერზედა.
 ადარც ფიქრობენ მდევარზე,
 გამოყოფვას კვალზედა.
 დამსხდარან ჰურის ჭამაზე,
 ბედის უქროდათ ქარია.
 შამჩნდებ სერის ჰირსზედა
 ბელადი თუშებისაო.
 დაუტოვ დილოძეო,
 ლაშქარს არიგებს ჭკვაზედა:
 „დაჭკარით, თუშის შვილებო,
 სახელ ვის გინდათ მტერზედა,
 მიუკდეთ მეფე ერეკლეს
 სახელთგანი მტერზედა!..“
 ჩეთამაშებ თუშები,
 ლექებს კუწავენ ძალზედა;
 გადიან თითო-თითონი,
 მკვდარი მოგორავს კლდეზედა;
 ომობენ თუშნი, ლექები,
 მიწა შიძრავ ჰუარია.
 ბარაქალ, თუშის შვილებო,
 ჩალად დაყარეთ მკვდარია;
 დახოცეთ, ადარ გაუშვით,
 ნაქები დაღესტანია,
 ოცდაცამეტი მარჯვენა მოსჭკრით—
 სახელი დაღესტანისა.
 ბრალი ხართ, დაღესტნელებო,
 ელდა დაგკნათ ცისაო,
 არა გეგონათ ზარალი,
 თავზე დაცემა მტრისაო;

გეწადათ, ვერ აასრულეთ
 გარეკვა ტუეეებისაო.
 წინ-წინ მოგიკლათ ბელადი,
 ბინაზე დარჩა მკვდარიო,
 ქართველები არას გეგონოსთ,
 თუშის შვილები არიო.
 დავლა აიდეს თუშებმა,
 რაც ღვეის ბარგი არიო;
 ტუეეთაც გაუხსნა ხელები,

თვალთა შაიშრეს ცრემლიო;
 გამამგზავრეს კახეთში
 ქალები ქართველებისაო.
 მოუფლენ შეუე ერეკლეს
 სიცილით თუშნი კარსაო:
 „შეუე ერეკლეგ, მოვასხით.
 ქალები თქვენი მხრისაო,
 დავაურეგინეთ ღვეებსა,
 როგორც ჩიტები ქარსაო“!..

დილოიძე ის ვაჟაკია, რომელმაც ისეთი ვაჟაკობა და გმი-
 რობა გამოიჩინა ასპინძის ომში, რომ მეფე ერეკლემ, როგორც გვაუწუ-
 ყებს გადმოცემა თუშებისა, შეაძლია მთელი წალკის ხეობა საშვილის-
 შვილოთ, მაგრამ მან არ ინდომა. ეს წყალობა და სამაგიეროთ სთხოვა.
 ერთი ხვესურის ხმალი. ერეკლეს აესრულებინა თხოვნა. ეს ხმალი დი-
 ლოიძის შვილის-შვილებიდან გადავიდა ერთ თუშის ხელში, რომელსაც
 დღესაცა აქვს.

სხვა ვარიანტით ომიდან შინ დაბრუნების დროს ერთს თავადი-
 შვილს მოეკლა დილოიძე უჯარმის ახლო-მახლო ღალატით ხმლის გუ-
 ლისათვის.

71

გუფადნო. ომალოელნო,
 რად ენდობოდით ძიღსაო;
 რად არ იცოდით დიდონ დაგ-
 [ღვედათ,
 არ გენდობდათ ზირსაო?!.
 თუშთაც ვერ შავატუობიეთ.
 ნაცადი სიათისაო.
 ბრადი ხარ, იკირაულო,
 ღვინისა ძალი გჭირსაო.
 ხუნჩალე იკირაულთა
 ძმათ უარესად სცდისაო:
 თავიცა სცადა, ძმებიცა,
 თავს იოგინასა სცდისაო.
 ხუნჩალეს ცოლის ნაცადსა

დადისტან გაჭკვირდისაო.
 ბრადი ხარ, თურქოს ღეთისიაე;
 ვერ დაერჩიე ძიღსაო.
 გიჩალე გოჩიკაიძე
 დათვის სოროში ზისაო;
 დღეიმცა გაგუთენუბიუო
 ჩვენის და თქვენის ცდისაო;
 ან თუშებ ჩამოგვიჩინდენ,
 მორთუფნი ცხენ-აბჯრითაო.
 ხვედევსა თიბელაიძეს
 ჩახევევან გმირსაო;
 ვაჟ დედას ხვედევისასა,
 ფრანგუფიე აღარ სჭრისაო..
 ჩივიან ხვედევის ძენი:
 რადაა ჩვენის ცდისაო,

ერთი რა მოსაკლავია
 ბეჯადი ლეკებისა;
 აქ დავიტანეთ ხუტური,
 ნამტვრევი ფელადისა;
 ვაჟ დედას ხუტურისაჲ,
 ვადა არ ეჭირ ხმლისა.
 ფშაველაიძის სიათა
 გვიანთ გამოდისა,
 მოუკლავს თავის მომკლავი,
 სულეთს შინ შუქდვისა.
 იკითხვენ თათრულაიძის,
 ჯაფრი მაგისა გვეჭირსა.
 შინ აღარ დახვდით დავითი,
 შვილ მამსავით სცდისა.
 გადაერვივნენ მოზათ სხხლს,
 აღი თავს გადაჭხვიესა;
 შინ აღარ დახვდით ჰატრინი,
 დავლათი თქვენი სჭრისა.
 თურქია ინაურაიძე—
 ვაჟკაცი კარგა სცდისა.
 ზილონა ნაბაიძე
 ლაშახს იბრუნებს ზირსა.
 მთვრალაი თორხილაიძე
 ხედავდა მიწა-წყალსა,
 ადგილსა გაახრებულსა,
 საბნეშა გადმოყრილსა.
 შეუარეს დაც-უმაწვილნი,
 ცრემლ წყაროდ ჩამოდისა;
 წვრილთა უმაწვილთა ცოდვანი
 ცის ნამად ჩამოდისა.
 შენდობა რმალის ნახცტთ,
 სად ლუღებ იდგნენ სვისა.

ხუთშაბათს თენებისსა,
 ზირია ბინდობისა;
 დიკლოს შუ უბან ჩამოსტედა
 ზირი ლურჯისა ცისა!..
 ზე უბანს შემოხვივიან,
 ქვე უბან დახვევენ ზარსა.
 ზე ადგებ ხიოს დართლოელ,
 ტანთ აისხამდა აბჯართთ,
 მოღკუღავს ციხის კარებსა,
 უამი არა აქვს მტრისა:
 „შინაღ შემოდით, ლეკებო,
 ხანი მომეცით ცდისა!“
 შუ უბანს მოდის თოფის ხმა,
 ქურაიძისა არსა.
 ჯერ რმობს ქურაიძის შვილი,
 მემრ დაცემა მუნღზეო.
 დანი ასტირდებ ნანაი,
 შუქ ჩამობნეღდებ მზისა:
 გზასა რთგორდა გაიღებ
 ცოდვით რ-რის დისა!..
 ზე უბანს რა ამბავია,
 ზირი შემოდგა ზღვისა...
 ზე ადგებ ხაჩოს ნაკულა,
 ჯარებს უბრუნებს ზირსა;
 ნატევიარ არ ეტეობოდა,
 ნატერ ძალს ატანს ხმლისა.
 ნეტარ თათარა რა იქნა,
 ხმა იყო ციხის კარზეო?
 თათარა ქერხოსა ბრუნავს,
 ვეფხვი გმინვასა ჰურისა:
 „თოფსა ვინ მომცემს მორთულსა,

ან ვადას კარგის ხმლისაო,
 ჯალახინც ლექებმ კარეკეს,
 როგორც ნოტოი ცხვრისაო“.
 თათარაისა ნანელმა
 ნაწნავ ჩამილ თმისაო.
 მოუკლავს ჩუენი ნაკულა,
 მოვლა მინდ დაღისტნისაო,
 დაი თან მამდეგს ბეჩაფი,
 ორნ წინ მიდგ მამის ძმისაო;
 ბერ დედა აქვე მამიკლეს,
 ხელ არ იკადრა მტრისაო...
 ომობდა ბეწუნაიძე—
 ვეფხვი საღისა კლდისაო.
 თოფი დაგვიკრა ხითაძემ
 ლექსა ბეჭისა ჰირსაო;
 ცალ-ცალკე ვერას გაქებდეთ,
 ორნივე თავსა სცდისაო.
 მხარ-გვერდზე სეუნავ ხაპარი,
 დღეს ხელავ სიკვდილისაო.
 ასტირდა იროს ზობაი,
 ცას ცვარი ჩამოზღისაო:
 ეს ქნილა, გაგონილაი,
 უკუდმ გადაება გზისაო.
 ბერომა კახიძის შვილმა
 ხმლით მხარი დაუჭირაო,
 გვერდს სტანავ ცოლი თამარი,
 ერთგულად უჭირ მხარიო;
 ლექსა ბერომა გააუფლ
 ნაჭერი ფრანგულისაო,
 მადლა მთის წვერზე დააწვინ
 მსახური თავის ძმისაო:
 „მანდ დაჯე, ლეკო, ვერ წახვალ,
 მანდ ჭამე საგაღ გზისაო“!..

ომობდა მოზას ივანე,
 ლეკვი გაზღილი მკლისაო,
 სოფლის ნაპირას დააწვინ,
 მიწა აჭმია მტრისაო:
 ლეკო, იქნები ხაპრისთეინ,
 სულეთს მიმტანი წყლისაო,
 დიკლოს თავსა ვინ მოხკალ
 უფროსი დაღისტნისაო?
 შვიდ მამამდ გუეთ სახელი
 შეილთა და შეიღის-შვილთაო.
 ამ ამბის გამლექსობელი
 დიკლოში ქალი ზისაო.

73

ამობებენ, არა სტუფეინ,
 უსუფი ჯარებს ურისაო;
 სანადიროში ჩაუფლენ
 ღამის მას თილაურსაო.
 „ვაჟ დედას ივანესასა,
 ბინდი მებურა ჰირსაო,
 თორემ შინ ვერას გაგიშვებდ,
 სარდალო უსუფისაო.“
 ახლ ვეველას გუეურებოდეთ,
 მთას ნუ ენდობით ძიღსაო.
 გადაღის დიღვეერდისაკენ,
 ფარა დაზვერეს ცხვრისაო;
 შუ ღამეს ჩაეხვევიან
 მეშელის გიორგის—გმირსაო;
 ხუთთ სცემდის მეშელის გაზღილი,
 ვადა უმღერის ხმლისაო!
 გიგოლე ვანოს გაზღილმა
 უავლი გაათავ ცხვრისაო.
 იძახეს გომეწორის უბით:
 ფარა წაიღეს ცხვრისაო.

ჩაღის-თერ მგელაურიძეს
 ირემს ღკავს, გაფრინდება;
 ზედ იჯდის მგელაურიძე,
 თუშმა იცოდა ცდისაო;
 მთის ძირზე მიეწეოდა:
 საით მირეკავთ ცხვარსაო?
 თოფ დახკრა მგელაურიძეს,
 ცისკარი ჩაქრა ღდისაო.
 სანგლეთა ვინა ამობდი,
 სახელ თქვის ზურაბისო;
 თოფ დახკრეს გორგის ზურაბსა,
 ნაპირი მოსტყდა ცისაო!..
 წიწო ამობდი, დარქიზან
 ბიძაშვილთ შეტობაზეო;
 წიწო, ვინ მოხვალ ხაღიძე,
 ვალ ვინ დაიდევ მკლისაო,
 მოგწონდა იარაღზეა,
 ქება შორს წავა მტრისაო.
 სამღევროთ ჩაღმათ ბიჭები—

არწიენ მოხვიენ მთისაო,
 ზეთავ დათამაშდ თუშები;
 დღე გათენდ ჩვენის ცდისაო.
 მტრის გუნდი მიუდიოდა
 დავით ბილოძის შვილსაო,
 დედაცა ბევრის ატირე,
 ცოდო დაიდევ მტრისაო.
 ომაი კელესაური—
 ქარი მოხვიენ მთისაო,
 აქის მოუშვით, თუშებო,
 ნარჩომი თქვენის ხმლისაო!..
 ხუთნ ჩახვიენენ ომასა,
 მომკლავ ხარ ორ-ორისაო.
 ღვენი ჩივიან უსუთთან
 თავის და თუშთა ცდისაო:
 თუ ჩვენ თუშთ მთანი დავლან-
 ნოთ,
 შვილს დავსწევთ შვილის-შვილ-
 [თაო!..

თუშების შეტაკება შირაქში ჭარულეთთან და თათრებთან..

74

დაიძრა, გამოიმართა
 დიდი ბუსურბნის ჯარიო;
 ჭეჟა გულხადარა ბელადთ,
 აღაზანს ჩამომდგარაო.
 გაკზავნეს მაკათ მზვერავი:
 ჩეთმას დაავლეთ თვალიო.
 გალაღებულნი შოვიდნენ:
 ადვილი საშოვარია,
 შევზვერეთ ჩეთმის მინდორზედ
 თორმეტი ფარა ცხვარიო.

გადავიდნენა ქედზედა,
 გადაჭრულეს მთანიო;
 ორშაბათ დილა გათენდა,
 ჩეთმას დაჭხურეს ცანიო.
 რად არ გვექსნებით, ძაღლებო,
 ჩეთმა ხომ ჩვენი არიო...
 წინ-წინ გომპარას ეწვივნენ,
 მასპინძლად დახდო თავიო;
 წინ მომავალსა თოფი ჭკრა,
 ნაწიდარს დაწვა მკვდარიო,
 თვითონ თუფეებს შემოურბინა,

თოფის ავიდა ალიო.
 — შეეშველენით, თუშებო,
 ბევრთანა მარტო ბრადია!..
 ქავთარმა ოსმალიძემ
 ფერი დაიდვა მგლისათ:
 — აცალებთ, ჭარულთ შეილებო,
 დაჭრილ არ გაგვეთ ტანიო;
 მანდ ორნი ძმანი ომობენ—
 უთურის ძენი ორნიო.
 გიორგი ეტუოდ გივასა:
 — ძმაო, აიღე თავიო,
 რაღა დრო არის წოლისა,
 მტერმა წაგვიღო ცხვარიო;
 ჩვენ ვაცებს უური დაუბღე,
 ეუენის გამოდის ჩქამიო;
 ჩვენ ჩვენ ცხვარზე დავილევეით,
 წუემსნო, ვაი თქვენი ბრადიო!..
 — თუ თქვენ თქვენ ცხვარზე ილეუ-
 [ვით,
 თქვენთან ჩვენც გვეთმოს თავიო...
 წამოიწია გიგამა, წამაიუღლა ხმა-
 დაერია და ჩააფრთხო, [ლიო,
 როგორც ნადირმა ცხვარიო.
 წინ-წინ დაგვიკრეს გიორგის,
 გიგას მისტუხეს მხარიო.
 თოფს დაუმატა წამალი,
 ტუფიას გაჭეუება ძალიო.
 შვიდი გიორგის შესწირა,
 ხელეთს უზიდეთ წუალიო,
 თითო წუემსებსაც შესწირა,
 აბრუნებინეთ ცხვარიო.
 მერ ბეჭად გამოიმეტა,
 გულზე დაჭხვია ალიო.

შენ ჩემი უმცროს იყავი,
 თუ მეც აქ დავსთმო თავიო!..
 მულანლოს ფონზე ჩამოდგა
 თორმეტი ცხვრისა ფარაო,
 დაატრიალეს ვაცები,
 დაბორიელდა ცხვარიო.
 გაქეჩეს გიგას ვაცები,
 ეუენს გაჭეუნდა ჩქამიო;
 ბელაქანშია ამოხნდა
 გიგას ვაცის რქანიო.
 გიგას ბაღთა-უაწიმსა,
 სისხლის დაედვა ფერიო;
 ემაგის ნომარშია
 შვიდ წელს არ მოვა ბაღასი;
 თუ მოვა, მწვანეთ არ მოვა,
 სისხლის ამოჭეუებ ფერიო.
 გიგამა ცხენი შეკამაზა,
 ლაგმის ჩაუდვა ტარიო.
 — იარე, ლურჯავ, იარე,
 ალფანს დავაგდოთ ჩქამიო...
 ემაგის მოშირევი
 ალფანს თუშის ქალ ვარიო,
 ხელში მიჭირავს ჩხირ-წინდა,
 ცრემლი მზდის, როგორც წუალიო;
 უძმთ გამზარდა დედამან,
 მეც იქ მომიკლეს ქმარიო!..
 75

განჯას კადილდა თათარი,
 სიტუვას იტუოდა ჭევაზედა:
 შეიფარენით ახლებო,
 თულად გავიდეთ ველზეკა.
 კადვიდეთ, თვალი დავაფლოთ
 წინა-მხარს — ალაზანზედა.

დაუშლის ქალი და რძალი:
 სიტყვა არ მოგლით ჭკვასება,
 შეგიტუბოსთ თუშის შვილები,
 არ გატარებენ ჭკვასება.
 არ იშლის თათრის სარდალი:
 მეტი ვინ იქნებ ჩვენსება?
 სარდალმ შეუარა ახლები,
 გამოუძღვება გზასება;
 ძილიჩას გადმოიფლიდა,
 შამოკლებ ალასანსება;
 მანდით დასტაცა ცხენები
 მზის ჩაბძნების ხანსება;
 შამოკლებ შირაქის ქელსება
 შამგლის თერების ხანსება.
 გძელაა შირაქის გული,
 გაუთენდ შუა გზასება.
 თვალი მოჭკიდეს თუშებმა
 მზის ამოსვლის ხანსება.
 ეველამ დაკმაზა ცხენები,
 ძუა უნასკენეს ძირსება.
 ბელადათ, დაღონდებოდნეს,
 ვინ უნდ გაგვიძღვეს გზასება,
 ველად გასულსა ლაშქარსა
 რიგება გვინდა ჭკვასება.
 დემეტრე ბელადიშვილო,
 უჯეროდ მოდგენენ შენსება,
 ჯიში მოგდევს მამ-მამით,
 ნასახელარი მტერსება.
 გაჯაგრდებ ბელადიშვილი,
 ქორი შეჯდებოდ ცხენსება;
 ლაშქარსა წინ გაუძღვება,
 თულებს მიზდევდა კვალსება.
 ნახარლის ევლსება გამოჩნდა

თათრების შექარასება;
 ნახარლის ბოლოს ჩადებოდ,
 თვალი ეჭირა მტერსება.
 თულებსა თვალი მოჭკიდა
 დაბლა თელიისის წყალსება;
 ცხენის გაუშვეს თარეში,
 დაეწვიან გზასება.
 დაუბრუნდ თათრის შვილები,
 რმი გამართეს ძალსება.
 ლაშქარს დასძახის დემეტრე,
 დაარიგებდა ჭკვასება:
 დაჭკარით, თუშის შვილებო,
 სხელ ვის გინდათ მტერსება!..
 გოგომა ყრილიაშვილიმა:
 სხელ მე მინდა მტერსება.
 ივანე აფშინაშვილსა
 ხელი ზედ ედო ხმალსება;
 თოფს ისროდ შიო ჯანთოს ძე,
 ტყვია არ ვარდებ ბანსება;
 აბდულა, ლეკის გაზდილი,
 უფრო მეტია სხვასება;
 სროლას სტოდნოდა თოფისა,
 ლამაზად ხმარობდ ცხენსება;
 იწევდა შალაფიშვილი,
 როგორც ნადირი ცხვარსება.
 ბელადი გაუჯაგრდებოდ,
 დაარიგებდა ჭკვასება:
 ზედ ნუ იწევი, მგლის ლეკვო,
 თავს რასა იკლავ ძალსება.
 ნაქებსა ქება რად უნდა—
 ზურაბსა ვანეშვილსაო,
 ჩავიდოდ ჩაუსვლელშია,
 ფეხ-ქვეშ გაუფლის ქარიო!..

თავ-თავად ვერას შეგაქვით,
 უველანი თავის ცდაზედა.
 ალთეს და ჩალთეს თათრები,
 მკვდარი დაუარეს მკვდარზედა;
 ემაგ თათრების ტირილი
 მაღლა ადიოდ ცაზედა:
 განჯას რაც გვითხრა ქალ-რძალმა,
 ახლა გადაგვხდა თავზედა!..
 გაბრუნდით თუშის შვილებო,
 ნასახელარნო მტერზედა;

თქვენ ხომა კარგნი უოფილხართ,
 ნურც აუგს იტყვიო ჩვენზედა...
 ამ ლექსის მომღებელი
 წვემსი ვარ თრიალეთზედა.
 დამიღვა ცუდი ამინდი,
 დამეს ვათენებ ფეხზედა:
 კარშემომადგენ თათრები,
 მოლოდინი მაქვს ძაღზედა;
 ცხვარიც არ მიღებ ბინაში,
 მაღლა იწვევ მთაზედა...

ჩიღოს წახდენა მტერთაგან.

76

ჩაირიშვილის ღაშქარი
 ხმას იგდებს, შამოდისაო,
 ოთხშაბათს, თენებისასა,
 ღელეზე შამოდისაო;
 ღელეზე გადმონადენი,
 ჩიღოს ძირ ჩამოდისაო.
 ჩიღოს ქორწილ აქვს კიცვასა,
 სტუმარიც ბევრი ჰქვასაო;
 სტუმრებს უხვდება კიცვაი,
 სიკეთეც აკონდებაო.
 ჩიღოს რომ თეთრი ციხე დგას,
 თოფის ხმაც გამოდისაო,
 ქორ-შავარდენტა ჩიღოელთ

აღ მხარზე გადაზდისაო.
 ჩიღოელთ ვაჟკაცთ ნახოცნი
 ციხის კარ გადმოდიანო;
 ჩიღოს ძირ წყალი დაწურა,
 აგეურთ ძირ ადარ ზდისაო.
 სულეთში ჩიღოელები
 ჩივილით შამოდინაო:
 არ მოგვეშველა თუშეთი,
 ჯავრი გვაჭამეს მტრისაო,
 ჩიღოელთ დიაც-უმწვილნი
 ტირილით მიუდისაო,
 ჩვენის წახდენის მიზეზით,
 რისხვამც გქონდესთ ღვთისაო!..

თუშების გარდმოცემით, ისე აუოხრებია მტერს ჩიღოს სოფელი, რომ ერთადერთი შვიდი-რვა წლის ბალდი-და გადარჩენილა მტრის მახვილს; იმასაც დასძინებოდა და გველის ნაკბენისაგან მომკვდარიყო. ამ სოფლის აოხრების დროს თუშეთი არ მიშველებია სიავკაცის მოგონებით...

გ ე რ ხ ო ვ ა ნ ი ს ც ი ხ ე .

77

ვერხოვანს, წერილო ციხეო, თოფს ესურის ჯობინობაზე,
 ქვაი ვინ გაწუო ქვაზედა, ტუვია გაგვერშოთ ტანზედა.
 ექვს ოთახზედა აგაკეს, ვერხოვანს, ბუჩაის თოფო,
 სიში დაგხურეს თავზედა? წამალი დაგიობდება,
 ჰირდაჰირ ჯარის ჩამოსვლა, მუჭით გაურიან სწუაოს,
 რა-კი არ გაგიხარდება, კან ტუვია გაგივარდება;
 ქავთარაი და პაპაი შენი ნასროლი ტუვივისა
 უმანი გიდგენან ძალზედა. ქება არს დალესტანშია...

ტუვე ქალის მოთქმა.

78

ტანად ალფი ვარ, ჰირად მზე, ჩამიუვანის დალესტანს,
 ქალი ნაქები თემისა; ლეკის მუხვევა ქალისა;
 კარზე მიდგენან მთხოვარნი, „ნეტავ კიდევ-ღა იქნების,
 ვირჩიე ლერწამ ტანისა. თუშში შენისთან ლამაზი?“
 ვაჟია სახელოვანი, საქრმო იქ ამომირჩიეს,
 მებრძოლი დალესტანისა. ლად დალესტნელთა უმანია,
 საქორწილეთ მოგვამზადეს, მამნათლეს, როგორც უნდოდათ,
 რაც ქრისტიანის წესია; დამაკარგვინეს რჯულია;
 გელოდით შაბათ დილასა, ტირილით ვერა ვიშეელე,
 უნდა დაგწერონ ჯგარია. ქალმან მოვიკლა თავია.
 შუალამის ხანს გაგვილეს ვაბარებ ჩემსა საქრმოზე;
 ლეკებმა ციხის კარია; თუშო, რად გინდა ხმალია?
 გამომიუვანეს საბრალო, კადმოდო დალესტანშია,
 ნაქები თუშის ქალისა. მტრის იყარე ჯგურია;
 გადამაგლიეს მთის წვერი, სოფლად თუ ვერას ჩამოხვალ,
 ცრემლით ვასგელე გზანია; მთაში უტაცე ცხვარია.

ფხვილიას მაერ ტუგე ქალას გათავისუფლება.

79

დიკლოს ვინამ ხარ ჰატრონი,
 ვინამ დაჭბუი ბანზედა,
 ზამთარსა დაჭლეე ჴირითა,
 გაზაფხულს ჩახედე ცხვარზედა?!.
 ჴვითხაუდი ხახაბოელებს,
 მტერი სად დადის გზაზედა.
 ვინამ ხარ ჴირის ჰატრონი,
 გეტუობა ლაშარაკზედა;
 თუ ჴირის ხარ მამბარი,
 დეკეს დუჭექე წუალზედა;
 იქ გადადიან ასახოელნი,
 ხაშმით ტუგეებ მიუდით ძალზედა.
 ქალი მოჭევიანდათ ხაშმელი,
 დილას თირთვილიანზედა;
 იქნებოდ ფეხშიშველადი,
 ცრემლებ მოზდიოდ უბაზედა.
 შეხედა, გაიცინა ბელადმა:
 „ბრადი არ ვიცი ტუგეზედა“.
 — ნუ სტირი, ქალო, ხაშმელო,
 ფხიკლია გიზის გზაზედა;
 თუ ლეკებს წაგაუვანინო,

წვერი ნუ მისმია უბაზედა.
 ჴერ თოფი დაჭკრა ბელადსა,
 ხელი მოისვა ხმაღზედა,
 შესწირა თავის მამასა:
 „მამაე, გაგზავნე წუალზედა“;
 მეორე ნაკუდაიძესად:
 „ვებუს დაგვიტელთ გზაზედა“;
 მესამე ივანაიძესად:
 „ლას მოგვიტელთ ცხვარზედა“.
 მეოთხეს ნაჭერ აუოლ:
 „სუღეთს იქნები ჩემზედა“!
 დაკლებინა ხაშმელი,
 მამას მოჭევიანა კარზედა.
 დედამა სკამი მოართვა,
 ფხიკლი ჩამოჭდა სკამზედა;
 მერე მოართვა ხალათი,
 ფხვილიმ ჩიცო ტანზედა;
 მამამ ცხენი უბოძა,
 ნახამი იუო ქერზედა,
 გადმოატარა ციუ-კომბორს,
 შინ მოვიდოდა წაშედა!..

ნანოზე მკელოძის ამბავი.

80

ახვას შუ უბან ასტორდა
 ნანა მკელოძის ქალიო.
 ქალო, ნუ სტირი, ნანაო,
 ნუღარ იბარებ მშასაო,

ნუღარ მშიდა, ვეღარა,
 ნუღარ იშაგებ თავსაო;
 მთასა რო ცხვარი გადმოდის,
 ფარა არს შენის მშისაო.

გზათ ნანა მიეგებება:
 ხელი მიჩვენეთ ძმისაო,
 თუ მომიკალით ძმადლა:
 ზირი გაგიწერეთ ღვთისაო!..
 —ჩვენ ხელი ვერ გამოვიღეთ,
 ხანი არ გვექნა ცდისაო;
 კაცი მოგვიკლა ივანემ,
 შიში ჰქონდ ნანოზისაო.
 ივანესა და ნანოზეს
 მზე წითლად ამოუდისო;
 მთის ძირზე შემოგვეწია,
 მტელადის ნადირ ვარო,
 დაღვივლ და ჭარი დაგვიფუთხვინ:

საით მიგიდისთ ცხვარო;
 უერთოდ აღარ დაბრუნდებ,
 უნდა ვაწითოთ გზანიო.
 მაღუგე დავაბრუნდიოთ,
 შაუმოკლიდით გზანიო;
 დიკლოსა მთაზე გაუსწირეთ,
 არწივს მოვსტეხეთ მხარიო.
 —მე თუშეთს ველარ მოვდივარ,
 დიკლოს გაუსწირავ წილსაო,
 შვიდ წელს ვიწყემსეთ სამ ძმათა,
 ვერ მოვიხმარეთ თავსაო;
 ვერც დავიხსენით ტუგენია,
 ვერც მოვახმარეთ კვდართაო!..

ჭ ა მ რ უ ლ ი .

81

აღვანში ფუნჩათ ჯამრულ-
 შუბო, გითეთრებს ტარსაო; [სა,
 ბორბლისა მთებსა დახედავს:
 ცხენ ვერ მოხკიდებს ნაღსაო,
 ტუემან მოისხას ფოთოფი,
 მხედარმ დაღმაღას თავიო.
 ჭაღო, შენ ქარსამაულო,
 ქმარს რად უჭარგავ ტუავსაო?

თუში ბევრია, გულ-დიდი,
 ჯამრულ მოგიჭრის თავსაო,
 ჩამოგსვამს ალის გორშია,
 ჩამოგიჭაზნავს თმასაო;
 ზირდაზირ ციხეს მიაკრავს
 შენის ქმრის მარჯვენასაო;
 შემოვიდოდეს, ტიროდეს,
 ცრემლით იბანდეს ზირსაო!..

შაძილისაგან ყვარელის აღება.

82

გვიქებენ ბელეშიშვილსა,
 ყაზიზე მეტის-მეტსაო;
 დაიარება კახეთში,
 ვერა მოუღობს ტუეესაო.
 დაწვა, დადაგა ყვარელი

ფერისცვალობის დღესაო.
 ბევრი დახცა ვაჟაკი,
 მკვდარს ვერ აუქტევ ფეხსაო;
 გარეკა ქალი და რძალი,
 გადააყენა მთებსაო;

სულ ფეხშიშველს გარეკა,
ქოში არ აცვის ერთსაო.
იკვეხის ბელეშიშვილი,
მე ვიბეჯადე დღესაო,
საბელადოსაც ავიღებ,
შიგ ამოვარჩევ ერთსაო.
შევიდა, გამოიყვანა,
ღამეს ანათებს ბნელსაო.
— შენი ჭირიმი, ღამაზო,

ნუ მოიგონებ ძმებსაო,
ელამდინ ოქროში ჩაცვამ,
მარგალიტს ნახავ ბევრსაო.
— დახედე, წუწკას ალიას,
სიტყვა გამოდის მურალით;
ძმებსა დამიჭრა უღებო,
მამას მიცემა ხმალით;
როგორ არ მომაგონდებო
საწყალი ჩემი ქმარო.

თუშები რუსთა ღაშქრობაში.

83

ქალაქში ჩვენსა მთავრობას
ქაღალდე მორდისაო:
ადექ, ჯარები შეუარე,
ხალხი გადგ ფდვის ჰირისაო.
შეუარეს რუსის სალდათი,
ხმა მოდის ჩექმებისაო,
თან დაჭევა ტყვია-წამალი,
პოვოსკებ ფარბაზნისაო.
ადელდა ფილაურიძე,
ხმალ შაირტე მამ-ჰაზისაო;
ბაბოსა დიდლოიძესა,
ჯიშ მონღევს არწივისაო;
გიოი მარხეაიძეი—
მიმინო მადლის მთისაო;
ღავითი კვესიაიძე—
ერთგული ხემწითისაო.
წინ გაუძღვება მთავრობა,
ჰირი ახსენეს ღვთისაო;
ჩავიდნენ ინდოეთშია,
ჯარი დახვდ ბუსურბნისაო.

ვერ სტეხვენ თექის გაღავანს,
გარს რომ წყალ ჩამოზდისაო;
ნადბით შევიდნენ თუშები,
კუთხე დაგლიჯეს ქვისაო.
იძახიან ურასა,
ქუხილ დგა ფარბაზნისაო;
თოფი დაგვიგრეს პეტრესა
ფილაურიძის შვილისაო.
„შვიდობით, ამხანაგებო,
სულეთს ვარ წამავალიო,
არ დამცადდ, ომი მეწადა,
ტყვიამა მიუო ძალიო;
მსახური გამომყოფეთ,
მოვატანინო წყალიო“.
ბაბო და გიო ომობენ,
თოფის გამოდის ჩქამიო.
რა იქნა კვესიაიძე?
წკეპა გამოდის ხმლისაო;
თათარ და დავით შებეულან,
ადგილსა ბუსურბნისაო.

თათრო, დავითს ვერ მოჰქვავ,
 არწივსა თუშეთისაო.
 დაბრუნდნენ გამარჯვებულნი,
 ყოვილ დგა ტყვეებისაო.
 წამოვიდ კვესიაიძე,

ნაჭერ გამოჰყვა ხმლისაო.
 ჯვრებ თუშებს გამოუვიდათ—
 წყალობა ხემწითისაო,
 ტემლაკი კვესიაიძეს,
 ვადა განათდა ხმლისაო!..

თუშების და საზოგადოთ ყველა მთიელების რწმენით, მტრის ხელით მომკვდარს ესაჭიროება საიქიოს მსახური, რომ წყალი მოატანიონ და საზოგადოთ იმსახუროს. უამისოდ სული მკვდრისა იტანჯება. მსახური უნდა იყოს მომკლავთაგანი; თუ თვითონ მომკლავი არა, მისი ნათესავი, ან სხვა მისი თანამოდმე მაინც; აქედან წარმოსდგა „სისხლის ძიება, სისხლის აღება“, რომელიც ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარი მთიელებს, ნამეტნავათ ბუსურბნებს...

84

არამ დამძახათ, ბიჭებო,
 სიტყვანი გითხრათ ძმურია.
 ვაჟო, სადა ვართ? ალღანთან
 დიდათ შორს არის გურია.
 მომწუხრდა ღვინო კახური,
 დიაცთ ნამცხვარი ჰურია...
 და თქვენცა ბძანეთ, მოძმენო,
 უმცროსს დაუკლეთ უურია.
 ძმაო, შენც კახსოვს წითელი
 სიუმაწვილური ზნეობა;
 მოდით, აქ შევიკრიფენოთ,
 გვმართებს საქმისა რჩეობა;
 ბიჭობით ყველან მჯობინართ,
 გიცდიათ ლეკთა მტერობა.
 სახელი დაგვრჩეს გურიას,
 თუშებმა ქნეს მხნეობა.
 ომის დრო არის, ვაჟკაცნო,
 ცხენთა დავაკრათ ნაღია;
 ზღეკით, დავემზადნოთ,
 უკვლამ დაგჩინოთ ხმალი;

ვინც უკან დარჩეს ამხნაგთ,
 იუთს ახმატის ქალია,
 და მოკვდეს, ქვაზე დავწეროთ:
 „სიცოცხლითაე მხდალია“!..
 ვაჟო, რას ამბობ, მეწინა,
 დიაცთ წესია რიდება,
 ქალის ლეჩხქი დავხუროთ,
 ვისც არ უნდ, ომი სწეინდება...
 კაცი გავგზავნოთ სარდალთან:
 ბიჭებს აქ უოფნა სწეინდება,
 თუ არ გვაჩხუბებ თათართან,
 თუშნი აქ რაღად გინდება?!
 ვინცა გავგზავნეთ, მოვიდა:
 სარდალმა გაიცინაო;
 ებძანა: „დილით ივანე
 ჯარს გაუძღვება წინაო“.
 უღვაშის გრეხით, თამამად,
 საკვირლად მოიღხინაო.
 მეწინავედა გვიბრძანეთ,
 გავსცურავთ, საცა წყალია;

შორით მოვსუფავართ, რიგია,
პირველთ ვაცნობოთ ძალია,
თუ ვარკა შენი თუშები,
ან მათი გორდა ხმალია.

ვითხოვოთ, პირველთ მივიდეთ,
ეს არის ჩვენი თხოვანი,
შენი ვართ აღვანთ თუშები,
კაზმუელ-იარადოვანი.

თუში თუ უკან დარჩება,
ვისგან ედირსოს კლოვანი

და ხომ დაგვძრახავს მოსაზღვრე:
ფშაენი, კევსურნი, წოვანი.

გამოსაღმებით დაუკოცნოთ,
დღეს არის საომარია,
რაზმით მივმართოთ ერთიან,
საცა ურდიან ჯარია;

ცეცხლათ აუხნდეთ შუაში,
ავტეხოთ სისხლის ღვარია;
ვაჟკაცად ვინცა მოკვდება,
ღმერთო, აცხონე მკვლარია!..

ეს ლექსი გამოთქმულია „ოზურგეთის ომის“ შესახებ, სადაც თუშები დიდ მონაწილეობას იღებდნენ. ეს ომი მოხდა 1854 წ. საქართველოს ყველა კუთხიდან შეიკრიბა აქ ჯარი და ივანე მაღლაზის ძის ანდრონიკაშვილის წინამძღოლობით საშინლად დაამარცხეს ოსმალები.

ამ ლექსში მოხსენებული გმირი ივანე არის ივანე ელიზბარიძე, თუშების რაზმის უფროსი. ამ უბრალო, უსწავლელმა მეცხვარე თუშმა ისეთი ვაჟკაცობა გამოიჩინა შამილთან და სხვა ომებში, რომ კაპიტნის ჩინი და ვლადიმირის ჯვარი მიიღო. თუშების თქმით, თექვსმეტი ჭრილობა ჰქონია ელიზბარიძეს წელს ზემოთ. ივანე ელიზბარიძე იყო სოფ. ჯვარბოსლიდან.

მეცხვარის ეოფა-ცხოვრება.

85

საქინ ჰვლეს ხეობაზედა
რა დიდი ნიაფღვარია;
სიკვდილმა ჩამოიარა,
მეცხვარეს ახკრა მხარია.
ჩნუ მომკლავ, ტიალ სიკვდილო,
ალოენისკენ მივალ მგზავრია...
— შენ აღვანს ველანას ჩახვად,
აქავ გითავდებ დღენია...
დღისა თენებას ადგება,
მუხლთ მოკლია ჯანია.

„სამყურის დეღეს გადადის
ეგ ტიალ ჩემი ცხვარია.
შვიდობით, ამხანაგებო,
ღმერთმა დაგწეროსთ ჯვარია.
მითქვიდით ჩემსა ხაზეინს,
ცხვარს არ მინებოს თავია.
ეგ ტიალ ბევრი მოკვდება,
თეთრ-წითელ შიშაქ ცხვარია“.

ნაყაიჩოსა გადადის,
უკან აბრუნებს ქარია;
ქარ იყო, არც რა ქარია.

ლეონის ცოდო-ბრალთა.
 თარსმას ჩაქცა ციხეი,
 უორნებთ ჩამოყარ ჩქამია;
 მოგვიკვდა ქვეთრის ლევანი,
 ცაო, ჩამოყარ ნამია!..

86

შირაქში ერთმა მოყმემა
 სიზმარი ნახს მხრანნი:
 ამ სსმ დღეს ან მე მოგვედები,
 ან ცხვარს მოყვა ზიანი.
 ორშაბათ დილა გათენდა,
 ცხვარ გაყო წყემსებთან ზიანი,
 დაიჭირ ლურჯა, შეკმაზა,
 ზედ შეჯდა ბორბოტანი.
 ადვანის ბოლოს შემოვა,
 ლურჯა ვისია ტიალი...
 ცოლმა დახედა და იცნო,
 მიეკებ თვალ-ცრემლიანი.
 გაუშალ თბილი ლოკინი,
 ზედ დაწვა ბორბოტანი.
 ლურჯასა ძუა გაუხსნეს
 ჟინჯლიანი და ჩხრანნი.
 შეიდობით, ქალო და რძალო,
 სულეთს ვარ წამამავალი!..

87

ხუთშაბათ ქისტებ გადმოფლენ
 თუშის ცხვრის მუქარაზედა,
 მოატანენ ხუტისა
 შუადამისა ხანზედა.
 თოფი დაგვიკრეს ხუტისა,
 ბოლო გაუშალეს თავზედა.
 თოფი აიღო ხუტისა,
 ხირიმი გაიდვა მკლავზედა:

„თოფო, მოგიკვდეს მჭედელი,
 მარჯვენას გაჭხში მკლავზედა!..“
 სოფელში კაცი მოვიდა:
 ქისტებ დაგვიცნენ თავზედა.
 სოფლიდან მღვეარ გავიდა,
 გააკრეს საკაცზედა.
 წინ დედა მოეკებება,
 ცრემლებ ან შეშრებ თვალზედა:
 „თოფი ვინ დამიკრ ხუტისა
 ზარიმ ვინ დამცა თავზედა“.
 — მითქვიდით ბიძაშვილებსა:
 თმას ნუ უშეებენ თავზედა,
 ნუცა-და დიდხანს მიგლოფონ,
 ჯდომს მეც მეწად ჯარზედა.
 მე წინავ სიზმარი ვნახე:
 გვირგვინი მედგა თავზედა,
 ჩვენ სხლში შამოხიზნულნი
 ჯვარსა იწერდა სხვაზედა.
 მე მეგონ ჩემი ჰატრონი,
 თვალში მეჩვენა ქადადა!..
 ვალ დაგიდვით, ქისტებო,
 ბერის მგლისავე თავზედა.
 დემეტრე ისევ ცოცხალ არს,
 მალ-მალ ამოვა მთაზედა.
 რაღამ მოხვედით, ქისტებო,
 დედის-ერთაის ცხვარზედა;
 გზა სხვაგან მიგიდიოდათ,
 ბევრი ცხვარ იდგა მთაზედა...
 მე მაგის მოშაირეი,
 ხეახილ მივიღვარ ცხვარზედა,
 თუ სხნელდობრივ გინდოდეთ,
 მამასახლისის ცხვარზედა...
 შენდობა დემეტრეს ხუტისა,

საც რომ გარიგდეს ჯარია;
ჩემიცად შენდობაი თქვით,
თავად გასწიეთ ღხინია.

88

ქალმანა ჰკითხა მეცხვარეს:
მაგრე რამ დაგაბერაო,
თავს თეთრი გამოგრევი,
ბუნებაც დაგმძიმებია?!.
— როგორ არ დამაბერებდა
ამ ოხერ ცხვრისა დევნამა,
ჩამოთოფილმა შირაქმა,
ცხვრისა ვერ გადენამანა.
ღამით მოდენა ქურდების,
ძილის ვერ ძინებამანა;
ფარეხში ცხვრისა ვიფილმა,
კარში ნახუქის დებამა;
კალთაში ხვევნა ბატნისა,
ეულის ჭრა შიშაქ ცხვრისამა;
ცოდვით ნაქონმა ოხრებმა,
ხვეების ამოესებამა.
მემრე წინამხრის მგზავრობამ,
დღე-ღამე ცხვრისა რეკამა;
დადენა მშიერ-მწუერვალთ,
ღამის ტეხვაი ბნელისა;
გზაზე ცვივნაი ლუბების,
გულის თან მიდევნამანა!..
იმასა ვინ დააბერებს,
ვინც არ ეოფილა ცხვარშია,
ბნელი არ უნახავ ღამე,
ძილ არ უნახავ ჯოხზედა;
არც სჭირდეს მთაზე გადასვლა,
დიდის გატეხვა თოფლისა...
ქალებსა რა დაგაბერებსთ,

შინ სხდომა-ღამაზობამა;
თქვენი ბოროტი ეს არის—
გონება ბიჭებისაო.
ჩამოიჭანვანავთ ნაწნავებს,
პირზე წაისვამთ ფერსაო:
ნეტავ ვის მოვეწონებით,
რომ ჩაუგორდეთ მკლავსაო;
სუეველა მზა შინ მოგვივა,
წესია ქალებისაო.
თქვენ მაგისა გაქვთ ბოროტი,
ჩვენ-კი ცხვრის ჯაფრი გვაბერებს!..
მეცხვარე წინა მხარისა,
გადაუღუქი მთასაო;
ცუდი მაწუხებს ამინდი,
ცხვრის თრობა იულისაო.
დაჯექ და ლექსი გამოეთქვი,
ამით ვიმჯავრებ ჯავრსაო!..

89

ძნელია სხვათა შეიღობა,
შეხედვა აღებისაო,
დღე-ღამე ჯოხზე უუდილი,
ძობა ბატკნებისაო,
პურანგში მარილის ხვევა,
უსატნოთ კალის ჭამაო,
დაჯდომა თითო წყაროზე,—
წყალია მადლის მთისაო,—
კალის გაზელა მარილით,
კონხოთი ხერეტა წელისაო,
ახლა გასვლაე იმ გორზე,
ტირილი ქალიფითაო,
აკრე ჩამოურა ცრემლების,
შეღარვა ღრუბლებისაო.

ან რად გამზარდა დედამა?
 ველარც ვიკლავდი თავსაო.
 რამ მოგვედუ, ვინ-ღა მიტირებს
 ობოლსა, სხვათა შეიღსაო?!.
 უცრემლოთ ჩავალ სათულავში,
 დაუშორდებ სამზეკასაო;
 სამზეკის ისევ ბნელში ვარ,
 კორკია წოათისაო.
 არცა-რა ტანზე მაცვია,
 მალ-მალ შეხედავ მზეკასა:
 მზეკო, შენ მანც ნუ ჩახვალ,
 ღრუბლები იურება ცასაო,
 აარევიან ღრუბლები,
 სეტყვას მატყვენ თავსაო.
 ძველი მხურია ნაბადი,
 დამეს ვათენებ ბნელსაო;

გავალ-გამოვალ გორზედა,
 ჩახედავ წოათისაო:
 ღხინობენ ჩემი სწორები,
 აჯირითებენ ცხენსაო.
 მანდ ყოფნის ღირსსა ვინ გამზდის
 ობოლსა, სხვათა შეიღსაო.
 ამომიდულდა გუნება,
 ფერი დამედვა მკვდრისაო,
 წავალ და პირქვე დავწვები,
 მოვიგონ სიობლესაო.
 სიღარიბე და ობლობა,
 რად გაუჩინავ ღმერთსაო?
 ეს ლექსი მისთვის გამოვსთქვი,
 სახსოვრად სამზეკასაო,
 მომლექსებულსაც განიშნებთ—
 სანღროსა ძეოდესაო.

ჯ ა გ რ ი ა ნ ი გ უ ლ ი .

გულო, ჯავრისგან მოკლულო,
 რა დაგუარო წამალი?
 არც დაგუერება წამალი,
 არც მოკედგებება ექიმი.
 ეს ჩემი გული ორია:
 ერთში სწვიმს, ერთში დარია...
 ავტირდი, შევერი ღრუბლებსა;
 რამ გავიცინო, დარია.
 ეს ერთი გული მეტყოდა:
 მოკვდი, რათა ხარ მთელია!
 მეორეც ამას მეტყოდა:
 იყავ, აჯავრე მტერია!..

ეს ჩემი გული რასა ჰგავს?
 ცასა ჰგავს შემოდრუბულსა
 საწვიმრად მომზადებულსა;
 ჭაღსა ჰგავს ქმარყოფ-მოშლილსა,
 მამისს დაბრუნებულსა;
 კმალსა ჰგავს ზატრონ-მომკვდარსა,
 პირყანგიანსა, ოკერსა!..
 ცხენსა ჰგავს ზატრონ-მომკვდარსა,
 სადავე-ჩამოშვებულსა;
 წისქვილს ჰგავს მიშლილ-მოშ-
 [ლილსა,
 სათავე-გადაგდებულსა!..

ჩქარს მდინარეზე ჩივილი.

91

თურსიელ წყარო მდინარო,	ზედ ჰერად წამომღებულო
გრილო, მადლისა მთისაო;	ქედისა, მათრახისაო,
ჩამთქმულო თეთრის ცხენისა,	დღე-ღამე საგონებულო
ზედ კაის ჭაბუკისაო.	ქალისა ლამაზისაო.

მიცვალებულის გლოვა.

92

დალა თქვით, დალაი, მხედრე-	ჰურ-წყალო თუშეთისაო,
დალაი, დალაი!..	[ბო, შენი დედაი ბეჩავი
ძნელი არს დალაობაი,	სანთლებურ ჩამოდნებაო;
დალაი, დალაი!	ეგ შენი ცოლი ბეჩავი
ბრალი ხარ იჩუკაიძეე,	სუროსვით ექანებაო;
შენი ულაშქროდ სიკვდილი.	ეგ შენი გვარის ქალ-ზადნი
ლაშქარს გიკითხვენ სწორები,	შავითაც იმოსებაო;
წინ აღარ გაუძღვებია,	ეგ შენი ნაცომ-ნამოსნი
მდევარს არ უბრუნდებოდე	დარბაზს არ იცვითებაო;
თავის სიათის თოფითა...	ეგ შენი წვერი, უღვაში
მტერთან ხმაღ-ამოდებულო,	ია-ვარდივით ევაგისო.
სწორში თავ-გამოდებულო;	ნეტავ შენ, საიჭიოსა
სულ მამა-პაპის დროიდან	შიგ შეხვალ მტრედის ფერადო;
მტრისთვისა რისხვის მიმცემო.	სულეთს გიდგენან კოდები,
ჭკვიანო, საქციედიანო,	გადმომდინარე ჰერადო;
გამჭრელო, მოსამართლეო;	სუთრა გიდგ კარიგებუდი,
იმედო თავის ქვეუნისა,	გაკეთებუდი თეთრითო;
გამრიგეე თუშეთისაო.	ზედ გიდგან მეღვინეები
კარზე გიდგენან სტუმრები,	ხუცითა, დიაკვნებითა;
სტუმართ არ დაუხვდებიო?	ამოიდებენ, დალევენ,
სტუმართა დღეო მზიანო,	დმერთმა გაცხონოს სულითა!..

აქ გვარი იჩუკაიძეა, მაგრამ საზოგადოთ ამ ალაგას მკვდრის სახელს და გვარს ხმარობენ, ვინც იქნება.

ეს ლექსი სამგლოვიაროა. მკვდრის ხარჯზე (რიგზე) სალოლოთ მოშადებული მხედრები დადგებიან, სადაც ცხედრის, ჩვეულებისამებრ, ტა-

ნისამოსია გაშლილი და ერთი წამოიძახებს: „დალაი თქვით, დალაი, მხედრებო!“ სხვა მხედრები ერთხმად ბანს მისცემენ: „დალაი, დალაი!..“ პირველის ყოველი სტრიქონის წამოძახების შემდეგ მხედრობა „დალაი-დალაი“-თ ბანს აძლევს. გაათავებენ ამ ლექსს თუ არა, გაიმართება დოლი.

მეფე ერეკლეს გლოვა „აღზდეგ, გმირთ გმირო“-ც სამგლოვარო ლექსია. ამ ლექსის დამღერით იგლოვებს თუშებმა თავიანთი საყვარელი მეფის ცხედარი.

93

(ვარიანტი მე-17 გვერდზე დაბეჭდილ ლექსისა ხევსურეთში ჩაწერილი მიხეილ შამანაურის მიერ).

შემომეყარა უიფჩაგი
ბოლოს მუხრანისსა.
პური მთხოვა და ვაჭამე,
ვურჩევდი თავთუხისსა;
ღვინო მთხოვა და ვასმიე,
ვურჩევდი ბადაგისსა;
ხორცი მთხოვა და ვაჭმიე,
ვურჩევდი ხოხობისსა;
ცოლი მთხოვა და არ მივე,
მიმუყადა მამა-ძმისსა.
წამოდგა, ხელი წაავლო
ნაჯახსა ქალის თმისსა.

ქალმა შასტირნა, შაჭკივლა:
„იმედს ვარ ცუდი ქრმისსა!“
დამრცხვენდა, ხელი დავიდე
ვადას ფრანგულის ხლმისსა.
ჯერ უიფჩაგმ ჩამომიქნია,
რისხვასა ჰგვანდა ცისსა;
მერე მე გადავუქნე,
წვერი უწვდინე ქვიშასა.
უიფჩაგის თავი გაგორდა,
ვაი დედას უიფჩაგისსა!
ქალ, ავდექ, წამოვიყვანე,
შინ მივიყვანე ძმისსა.

94

(ამის ქართლური ვარიანტი ჩაწერილი სოფელ დილომში იროდიონ სონ-ლულაშვილის მიერ).

ამბავსა მკითხამ, გიამბობ,
ნეტავ იმ ჯიჯიბისსა!
ჩვენ სამნი შავიყარებით
სამზღვარსა მუხრანისსა.
ამბავსა მკითხამ, გიამბობ,
ნეტავ იმ ჯიჯიბისსა!..

პურს მთხოვდა და ვაჭმევდი,
ვურჩევდი ქაბაბისსა;
ღვინოს მთხოვდა და ვასმევდი,
ვურჩევდი ბადაგისსა;
ხორცს მთხოვდა და ვაჭმევდი,
ვურჩევდი კაკაბისსა;

ცოლი მთხოვა და ვერ მივე,
 მიმეყანდა სიმაძრისას.
 ხელი გადასდო, აკოცა
 ნაწნავსა გიშრის თმისას.
 ფრანგულსა ხელი გავიკარ,
 ნაჩუქებ ცოლი ძმისას;
 ერთი ისეთი შემოვკარ,

წვერმა უწია ქვიშას.
 ერთი იმნაც შამამკრა,
 ელვასა ჰგვანდა ცისას.
 აქეთ მე ვკვდები, იქით ის,
 ქალი წავიდა ძმისას.
 შანდობას მაინც იტყვიან
 მე და იმ ჯიჯიბისას!

ხალხური ლექსები

(შეკრებილი 1883—1887 წლებში გარეთ-კახეთში, სოფ. პატარძელში
 ზ. გ. ბილანიშვილის მიერ).

ისტორიული ლექსები.

ბატონიშვილს ერეკლეს
 ირმის ძუძუ უწონია,
 წყალი უსვამს ალკეთისა,
 თრიალეთზე ¹⁾ უძონია.
 დაკარგულა სახალეში ²⁾,
 მონადირეს უპონია.

ჯაჭვის პერანგი ჩააცვეს,
 გაჰკრა ხელი და გახია.

ზაალ თუმანიშვილი ³⁾).

მეფე ერეკლეს უთქვამს:
 ვინც რომ კაცია, ჩოხაც ჯაჭვია,
 ქუდიც ნაბდისა ჩაბალახია.

შენ, ზაალ თუმანიშვილო,
 გაზრდილო მეფის კარზედა,
 მებალახობა ვინ მოგცა
 იმ ზემო-ქართლის ცხვარზედა?
 უსამართლობა იხმარე:
 ორ-ორს იღებდი რვაზედა.

ჩენი ბატონი ერეკლე
 ერთი ჰატარა კახია,

მივიდნენ, ბატონს ⁴⁾ შესჩივლეს
 თუმანიშვილის თავზედა:

¹⁾ ზოგი იტყვის: მაშრაველი უძონია.

²⁾ სახალეში—ჩალაში, ჩალიან ადგილას.

³⁾ თუმანიშვილის ლექსი სრულად არაა ჩაწერილი: ბევრს ვეცადე, მაგრამ არც სოფ. პატარძელში, არც სხვაგან სადმე არაფერი შემხვდა მისი სრულად მცოდნე.

⁴⁾ ბატონს—მეფე ერეკლესაო, ამიხსნა მთქმელმა

უსამართლობა იხმარა,
 ორ-ორს იღებდა რვაზედა.

ბატონმა მეხლმეს უბძანა:
 ხმალი გაღესე წამზედა.
 დაჯდა, გაღესა ფრანგული
 ტერი აუსო ფხაზედა.
 — წადით ¹⁾ და იქ მოიხმარეთ
 თუმანიშვილის თავზედა;
 იმისი თავი დაჭკიდეთ
 იმავ მეცხვარის კარზედა ²⁾.

დათუნი ბოსტაშვილი.

ერეკლე ჩვენმა ბატონმა
 შეჭყარა დიდი ჯარია:
 ორ-პირ აავსო ქიზიყი,
 ხელთ მისცა წინა მხარია.
 ალაზანს გასდო ჯაშირი ³⁾,
 ზედ გადის ჩვენი ჯარია.
 ალაზანს გაღმა გავედით,
 პატარა ნაბახჩარია.
 შიგ იმაში დამალულა
 ჭარ-ბეღაქნელთა ჯარია.
 მივედით, — გამოგვაქცის,
 როგორც ნადირმა ცხვარია.
 ბატონსა ცხენი მოუკლეს,
 ფერდში ჰკრეს ზარბაზნაია.

ქვევითი მოჩანჩალებდა
 ჩვენი ერეკლე ხანია;
 ქვევითი მოჩანჩალებდა,
 ხელში ეჭირა ხმალია.
 ეს ბოსტაშვილი დათუნი
 ცით ჩამოსული ჯარია:
 ბატონსა ცხენი მართო,
 ოთხითაც ⁴⁾ დაჭკილია.
 — ცხენზე შებძანდი, ბატონო,
 თუ გიუვარს ჩემი თავია!
 ცხენზე შებძანდა ბატონი,
 ქვეშ უქრის ნიაჯ-ქარია,
 ერთი მათრახიც გადაჭკრა,
 ქიზიყს ამოყო თავია.
 — დათუნი, ქალაქს ჩამოდი,
 თუ გინდა საჩუქარია.
 ქალაქს ჩავიდა დათუნი,
 ეხვევა დედოფალია.
 — შენი ჭირიშე, დათუნი,
 შენ მამირჩინე ჭმარია —
 აზნაურობა უბოძა,
 მამული საკუთარია.

* *

ამილახვარო, რა ხარო,
 ხარ-კამეჩივით დახვალო! ⁵⁾

¹⁾ ამ სიტყვებს თითონ ბატონი 'მეფე' ბძანებს.

²⁾ ზოგი იტყვის: იმავ ფარების კარზედა.

³⁾ ჯაშირი — სამხედრო, სახელდახელო ხიდი.

⁴⁾ მეფე ერეკლეს დროს იშვიათად სჭედავდნენ ცხენებს ოთხივე
 ფეხით.

⁵⁾ ეს ლექსიც სრულად ვერ ჩავწერე; გამოთქმულია იმ ამილა-
 ხვარზე, მეფე ერეკლეს რომ ეურჩებოდა.

* *
*

ეენი გაჯაგრებულა,
უცემნია უულისთვინა,
ღორის ხორციც უჭმევია
საქართველას გულისთვინა.

**ბატონ-ყმობის გადავარდ-
ნისა ¹⁾.**

ბატონ-ყმობა გადავარდა.
ასე როდი მეგონა,
თუ ხემწითე ტუუილს იტყვის,
ასე როდი მეგონა.
მეგონა, მეგონა,
ასე როდი მეგონა,
თუ ხემწითე ტუუილს იტუ-
ასე როდი მეგონა. [ვის,

საგმირო ლექსები.

შალვასა, ანუ შავლეგოსი ²⁾.

შალვა იყო ვაჟიკაცი,
ქამარ-ხანჯლით შეტედილი.
შალვას ჭეყანდა კარგი ცხენი,
კოჭ-მალაღი, გავა-სქელი.
შალვა ცხენს მოაგოგებდა
ვიწროსა და ავს ალაგსა.
შალვას ცხენი წამოექცა
ვიწროსა და ავს ალაგსა.

¹⁾ ხალხს იმედი ჰქონდა, რომ ბატონ-ყმობა მთლად გადავარდებოდა; არ ეგონა, რომ მღოთხელობა და სხვა ბევრნაირი ბეგარა და ხარჯი დაწესდებოდა ბატონების სასარგებლოდ. ეს ლექსიც ამაზეა გამოთქმული, ეგაა სამწუხაროდ, სრულად ვერ ჩავწერე.

²⁾ შალვა, შალვეგო, ანუ შავლეგო. ამ ლექსს მე-70 და 80 წლებში ხშირად მღეროდნენ გარეთ-ქანეთში. იმღერება ორიპირად ფერხულის ხმაზე. ყოველ მუხლის (რვა მარცვლის) შემდეგ დასძახიან: შავ-შავლეგო, ლეგო, ლეგო შავლეგო.

ასე მღერიან: შალვას და ცხენი წამოექცა, შავლეგო.

შავ-შავლეგო, ლეგო, ლეგო, შავლეგო.

ხალხმა შალვაზე მხოლოდ ის იცის, რომ უწინ გმირი ყოფილა, სახელად შალვა და ერთს გმირ თურქს ებრძოდაო.

თავსა თურქი წამოადგა
ვიწროსა და ავს ალაგსა.
— დაშკარ, თურქო, რასა ჭშიშობ,
თუ გული გაქვს მამაცისა!
დაჭკრა თურქმა, დასჭრა შაღვა
თეძოსა და ავს ალაგსა...
დედას კაცი მოუვიდა:
„შენი შავლეკ მოგიკლეს“.
შაღვას დედა მოტიროდა,
მოიშლიდა გიშრის თმას:
— ჩემსა შაღვას რა მოჭკვლავდა,
თუ არ იყო ბედის წერა¹⁾.
ას-ორასი მაგისტანა²⁾

ხორასნიდან ტუვე მოჭყევანდა;—
არცა თოფო, არცა ხმალო,
სულ მათრახნიდან გადმოჭყევანდა!
(დედა მოთქმით ტირის)
შაღვაგ, შენი უაწიშები
გულხადარაზე³⁾ ვნახეო;
შავლეკ, შენი თეთრი ჩოხა
შავად შეგინახებოია...
* *
წადი, ჭკითხე დიაგვანსა,
ქოროღლის ხმალი რა სჭრიდა:
გურტნიან აქლემს დაჭკვრიდა,
წვერი მიწასა დასწვდიდა.

ხ ა ო ჯ ა ხ ო ლ ე ქ ს ე ბ ი .

იქსო ქრისტემ დასწვევლთს ეხლანდედი ქალის რჯული
სანამ გასათხოვარია, კერაზე ზის გაბურთული;
როცა კი გაათხოვებენ, მაშინ მიეცემა გული:
დედამთილს მუშტი გააულო, მაზღს გააწირვინა სული.
ქმარი ტუეში გაისტუმრა, ხელში მიაგება ცული:
— „წადი, ძღზედ იმუშავე, ამოირთვი ძაღლი სული“.
კიდობანს კლიტე დაადო, არავის აჭამა ზური.
— „ჩემი ქრმის მონაგარია, გამოიჩინეწვეით უური“.

* *
*

წუალზე ქალი მიდიოდა, თან გაუადევნე თვალია.
ავსო კოკა-კუტალი⁴⁾, შიგ გაუყარა თმანია.

1) ზოგი იტყვის: თუ არ იყო ღვინით მთვრალი.
2) ე. ი. თურქისტანა.
3) გულხადარა—დალისტნის ლეკი.
4) კუტალი—ხის კოკა, ლულიანი.

მოდის და მოდუდუნებდა: „ღმერთო! მომიკალ ქმარია!
 ციხის საკებლად გავგზავნო, ზედ დასცემოდნენ ქვანია.
 მასხარობელი მამსვლოდეს:—ქალო, მოგიკვდა ქმარია.
 სამასხარობლო გავიღო, სამასი სული ცხვარია;
 იმასაც არ დავაჯერო, გაუგდო ნიშა ხარია,
 მეკე სხვა ქმარი შევიერთო, მას შევაყვარო თავია!“

* *
 *

ახალი ზატარძალი ვარ, ჭკუა ვერ მოვიგონეთ;
 ჩიქილით¹⁾ სახლი დაგვავე, ცოცხი ვერ მოვიგონეთ,
 ადგილზედ ცომი მოვზიდეთ, ვარცლი ვერ მოვიგონეთ;
 კვლეზედ ზური დავაკარ, თონე ვერ მოვიგონეთ;
 საცერი ცეცხლსა მოვარქვი²⁾, კეტი ვერ მოვიგონეთ.

* *
 *

აჰ, ქალო, მძივი, რა მძივი, სათმეულისა შინაო,
 —არ შინდა, შენი ჭირიმე, მიჯვარდებიან შინაო:
 ქმარი მცემს, მაზლი მამწარებს, მუღი მილესავს დანასა,
 თუ დედამთილმაც შემიტყო, გამომასლამებს უველასა.

* *
 *

ზოგიერთი წუწკი კაცი
 ცოლით გაეურება ძმასა,
 წავა და გომში დადგება,
 კვერდზე გამოუღებს კარსა.
 ძმა მაშინ მოაკონდება,
 როცა წავა უნის მკასა:
 თითონ წყაღზე³⁾ გაიქცევა,
 ხელეური მიაქვს ქარსა.

* *
 *

ძმაო, რაი სჯობს ძმობასა,
 ერთმანეთისა უმობასა.
 ერთმანეთი ვერ ვიცანით,
 დახე ჩვენს უკონობასა.
 ძმა მაშინ მოაკონდება,
 შეიდნი რომ გცემდნენ მარტოსა,
 მაშველებელი არ იყოს,
 ეთარებოდე ფლატოსა.

¹⁾ ჩიქილა—ლეჩაქი.

²⁾ მივარქვი—მივადე.

³⁾ წყაღზე გაიქცევა—წყლის მოსატანად გაიქცევა.

* *
*

ვაჟაკის ცოლის სიავე
შუა გზას მთაგანდება,
სათუქრობელი წაიდებს,
წაფა, კლდეს გადავარდება.

* *
*

ღმერთო, ნუ შეჭერი ვაჟაკის
ცოლსა ებედსა და მძინარსა:
ის შეჭმლის, ის დაბუკებს,
ის მისცემს წყალსა მძინარსა.

* *
*

ქალი, ქრმის დაწუნებული,
სამშობლოს მიშავდებოდა;
სამშობლომ შინ არ შეუშო,
პირი რამ უშავდებოდა.

* *
*

ღამაზი ცოლის პატრონსა
უნდა ჰყვანდეს ძაღლი ფრთხილი,
ან უნდა ძაღლი ფრთხილობდეს,
ანუ ცოლის დედამთილი.

* *
*

პირად ხიჩური¹⁾ ცოლი სჯობს
ღამაზსა, სხვისა ზიარსა.

* *
*

კაცი მოკვდება ცოლზედა,
მამულსა საკუთარზედა.

* *
*

ასეთია კაცის გული,
ვით მორევი შავის ზღვისა:
რაც უნდა კაი ცოლი ჰყვანდეს,
მაინც მოუნდება სხვისა.

* *
*

კარგისა უმისა ცოლობა
ნუ გინახიან ქალაო:
წაფა და ლაშქარს მოკვდება,
დარჩები ცარიელაო.

* *
*

დავწვრილშვილდი — დავიწიე,
მომეზარდნენ — ავიწიე.

* *
*

დიდ-ჯალობობა — დიდ-ბატობობაო.

* *
*

დალაღმე, ქვრივის ქორწილთ,
ჩემ-ჩემად გინდა დიდინი.

* *
*

სიძისა შავგრემანობა
სიდედრს უმძიმდა, ნანობდა;
მაგრამ რადან უშველიდა,
ცხენს ეჯდა²⁾, გზასა შერობდა.

¹⁾ ხიჩური — უღამაზო, გონჯი.

²⁾ იგულისხმება: სიძეს თავისი ცოლი (სიდედრის შვილი) ეჯდა ცხენსაო.

* *
*

* *
*

ელემის მინდორზედა
 ღურჯი ცხენი მოგოგაჟდა;
 ზედა იჟდა ვაჟიკაცი
 უღვაშ-კოკობა, ქერაო.
 უკან მოსდევს კოჭლი ქალი,
 ესევეა, მომიცადეო.
 —მე შენ როგორ მოგიცადო,
 კოჭლი ხარ და ვერ მომდევო!
 —სიკოჭლითა რაზე მწუნობ,
 კურდღელს ხომ არ მადვენობ!
 ჯამ-ჭურჭელს კარგად დაგირეტხ,
 თაროს ჩაგიკრიალებო.
 ხალხუს კარგად შეგიკერ,
 დიღებს ჩაგიწკრიალებო.

* *
*

მობძანდი, მჭადო კორიელ¹⁾,
 თუ ჩემი ბედი დირსაო;
 წისქვილში ზურგიით წაგიღებ,
 აღარ გაკადრებ ვირსაო.
 —მე მადრიელი²⁾ არა ვარ
 ზოგიერთ ჰატარძლისაო.
 ისე მიმირეგს-მომირეგს,
 არც-კი მოიხოცს ცხვირსაო;
 მალი-მაღ შემომაგინებს:
 „საჭმელო ძაღლებისაო!“

შენ ჩემო კარის ვენახო!
 რა დიდი რთველი გდიოდა,
 გცემდი და გიბრაგუნებდი,
 წვეთი არ გამოგდიოდა!
 —არ იცი ბარი, ნიჩაბი,
 ნეხვი არ შემომდიოდა,
 შენ რომ სტუმარი მოგდევდა,
 მე ცხარე თფლი მდიოდა!

შინაურ და გარეულ ზარუ-
ტყუპებსე.

ხარო, ხარი³⁾ ვინ დაგარქო,
 ხარო, სახე მშვენიერო,
 ჩვენ ნუტეშად მოვფენილო,
 ქედ-ხაკურთხო, ღონიერო!

* *
*

ხარო, დადგა მისი,
 ახლა ხორციით გაიფსი.
 წყალია და ბალახი,
 გასუქდი და გალადდი.

* *
*

მოზვერი ვიყავ, მოზვერუკი,
 უღელს მოვწივი, მოვდრიკი.

¹⁾ კორიელი—გამხმარი.

²⁾ მადრიელი—მადლიერი.

³⁾ გლენ-კაცებს ჰგონიათ, რომ ხარის სახელი წარმოსდგება შემწე-
ობით ზმნის აწინდელ დროის მეორე პირისაგან: ხარ-ი.

* *

მოზვეურო, მოგაგონდება
დეკულების¹⁾ დეგნაო.

* *

ისევ გერჩინა, კამერო,
მუნრანს გეძონა ბაღანი,
გენახსა ხილად და ხილად
აგლაბარი და ქალაქი.

* *

კამერო, ღონიერი ხარ,
უღლივ აჭიბიდავ გუთანსა,
თუ გაგიჭირდა, წაიღებ
თავისასა და სხვისასა.

* *

ჭო ტბრუ, კამერო ღომაო²⁾,
შეკრულა ვარდის კონაო.

* *

მოკვდა კამერი ბეხია³⁾,
შეუშვერია ფეხია.
— წადი, უთხარი ჩემს ზატრონს:
დანა გაიჭკოს წელშია.
მე მაშინ მოგაგონდება,
დიდი აღმართის უელშია,
შეკებას წვრილი მოზვრები,

იგრიხებოდნენ წელშია,
„ატატატას“, იძახოდე,
„სული მოვიდა უელშია!“

* *

ქვემო მხრიდან ცხვარი მოდის,
მწუემსი მოსდევს მხარაკვრითა,
ხანდახან ჯოხსა აუქნევს,
ხან დასძახის წვრილი ხმითა.

* *

შე, დალოცვილო მეცხვარეგ,
ძაღლებს არ დამაკლევჯინო,
ზატარა მატული მარუქე,
გოგოების დაგაჩეჩინო.

* *

ღმერთო, შემასწარ დროებას —
წინ დაუძღოდე ღორებსა,
საჭმელი ბეგრი ეუაროს,
ვიჯდე და ვთლიდე სოლებსა.

* *

გადმიდანა ცხვარი სძოვდა,
გამოდმიდან მკელი ბჭობდა:
— მეცხვარეგ, ცხვარი მარუქე,
ე მანდ ნაზირას რომ სძოვდა.
— გუშინაც ერთი წამართვი,
სამს მაგისთანასა სჯობდა.

¹⁾ დეკუელი—ორი წლის ძროხა.

²⁾ ღომა—კამერის სახელია.

³⁾ ბეხია—კამერის სახელია.

* *
*

ორდობე ამოვიარე¹⁾
ჩემის უომრადის ჩოხითა,
ბურვაკებს წამოგეპარე,
საღამი მივეც ჩოქითა.
უკან მეღორე მომდევდა
თავის ჭრელ-ტარა კომბლითა.
—მე ხომ შენსა ჰირს არ ვახლებ,
ეურსა მოჭრილსა მორვითა²⁾).

ნ ა დ ი რ ო ბ ი ს ა .

ქალო, რას გამოგადგება
მონადირისა ცოლობა:
გაეშო თბილი ღოგინი,
ნისლიან მთასა სწოლოდა.

* *
*

რას დასდევ ნადირობსა?
გამოგიხტება მშუელია,
გაცრეებული წამოხვალ,
გაწუწული და სველია.

* *
*

ტუეში დორმა დაიკვება:
ეველგან გავიკეთე ბინა;
მე რომ კბილებს გავილესავ,
ვერვინ დამიდგება წინა;
ვერცანას თოფი დამაკლებს,
თუ არ არის უარბინა.

* *
*

აი, სესიავ³⁾, სესიავ,
შენ წამიუვანე ტუეშია,
ნადირის ქებას მომიუე
თეთრობიანის⁴⁾ ფერდშია!

სესიამ უთხრა ტურიას:⁵⁾
„იარ⁶⁾, წავიდეთ ტუეშია,
ღორი გასწავლო ისეთი,
დიდი არის და მრეშია!⁷⁾
მე მაღლა სერ-სერ წამოვალ,
შენ წახვალ ფერდობეშია“.

ტურიას ღორი აუღვა,
დიდი არის და მრეშია.

¹⁾ ეს მგლის ლექსია.

²⁾ ე. ი. შენს ღორებს ყურის წვერი მოჭრილი აქვთ მორვიით სწორდაო.

³⁾ სესია—სახელია: სესე, იოსები.

⁴⁾ თეთრობიანი—მთის სახელია.

⁵⁾ ტურია—კაცის სახელია.

⁶⁾ იარ—იარე.

⁷⁾ მრეში—გარეული ღორი მომეტებულ ნაწილად სულ მრეში ფერისაა.

თოფი დასცა, არ გავარდა,
ხანჯალი წაჭკრა ფერდშია.

შემოუქნია ¹⁾, შემოჭკრა
ამ სისხო ბარძაყებშია.

ასი გვერდა აირბინა,
ერთი არ დაუხვებია ²⁾.

შინ მოვიდა, დაიხვნეშა:
ვაიმე, დედავ, წელშია! ³⁾

— შვილო, დედამ რა გიშველოს,
მონადირის წესია:

შენისთანა მონადირე
ტახს ბევრი გაუსრესია...

ტურჩის ცოლი ტირიდა,
გამომჯდარიყო მზეშია:

— ვაი, შენ ჩვენო სიათავ ⁴⁾,
ჩაჯანგებულო ჭერშია,

რამდენი ირემი მოჭკალ
მარამობის თვეშია!

ვილას დაუცხოთ ზურები,
ვის გაფატანოთ ტეეშია!..

ს უ ფ რ უ ღ ი .

ჩვენი მასხინძლის სსსხლქ
ტურფად ნაკები ხეაო;

შივ არის სმა და ღრეობა,
ნიადავ კარი ღიაო.

* *
*

ჩვენი მასხინძლის კარზედა
ხეივანი ამოსულიყო,
ზედ ბუდეშერი დაჭსხმოდა,
საჭმელად შემოსულიყო ⁵⁾.

* *
*

ზურსა სჭმენ და ღვინოს სმენ,
სიმღერას არ იტყვიანო.

არ ვიცი, რასა გლოფობენ,
არ ვიცი, არ იციანო.

* *
*

ღვინოსა ვსვამდი მარგულსა,
არც თავსა მტკენდა, არც გულსა.

* *
*

მთას ირემი არა დგება,
ბარში იკეთებს ბუნავსა.
თუ ჩემი ღვინო არა სჭრის,
ეს სტუმარი რათ ბღუნავს?

* *
*

შენ, მეღვინეო, ღვინო მსვვი,
შენი ტიკის ნაპირადი.

— არცა შენი ღვინო მინდა,
არცა შენი ნაპირადი.

¹⁾ ტანმა ეშვი შემოუქნია ტურჩიას.

²⁾ ტურჩია გაექცა ღორსა და ასი გვერდა ისე აირბინა, რომ ერთი არ დაუხვებია.

³⁾ ე. ი. ტანმა ეშვი გამომკრა წელშიო.

⁴⁾ სიათა—ერთნაირ ჯურის თოფია.

⁵⁾ საჭმელად შემოსულიყო—საჭმელად დამწიფებულებიყო.

* *
*

სმა უმდერალი არ ვარკა,
ჭახუკი დაუთრობელი.

* *
*

დმერთო, ნუ მოჭული ამ სახლში
ღხინსა და თამაშობასა,
ვაჟების ქორწინებასა,
ქალების გასტუმრებასა.

მ უ შ უ რ ა.

შენ ღვინო დამაღვინე,
უნაც მომკილი გებონოს;
ნახა ¹⁾ წყაღს დამაღვინებ,
ნულარც მომკილი გებონოს.

* *
*

ბიჭები მკიან უნასა,
ნარიასა და ჩაღასა;
სიცხეს შეუწუხებია,
ვეღარ ატანენ ძაღასა.
მაღი-მაღ შეაგინებენ
მარამისა და ნანასა.

* *
*

ასე ჰგონია დუშმანსა,
არცა ჰხვინენ, არცა სთესვენო,
არცა უბიათ ხარები,
არცა კაღოსა ჰღეწვენო.

* *
*

მომეწეინა მეხრება,
ლაღვა შავი ხარებისა.

* *
*

დმერთმა ხომ იცის, გუთანო,
შენი მიუღლა ძნელია:
დღისით გიგრიხო წნელები,
დამე გავტეხო ბნელია!

* *
*

შენი ჭირიმე, გუთანო,
მაგ შენი მრუდე უკლისა,
წამოუწეუბი ფლატოსა,
მოუყანა იცი ქერისა.

* *
*

შენი ჭირიმე, გუთანო,
გათლილო სუფთა ხისო,
შენ აჭმევე ზურსა ცოცხაღასა,
დამმარხველი ხარ მკვდრისათ.

* *
*

ურემო ფერსო-მაღალო,
ღერძი გიურია გიშრისა,
ხარი, კამეზი კარგი გუაგს,
მაგრამ ტაღახი გიშლისა.

¹⁾ ნახა—რახან, რაკი.

**სალოცავი ადგილები და
მათი ძალა.**

წმინდი გიორგის შვენება
შორს მიაღებდა გორასს,
შორით მოიუფანს მლოცავსა,
გაიხდის თაყვის მოხასს.

* *
*

ქალი რომ ავად განდება,
იქ წაიუფანენ არბოსა,
ერთს მაინც შეითამაშებს,
რაც უნდ რომი არა არგოსა.

* *
*

წმინდი დავითის უდაბნო
გამოჭრილია კლდისათ;
იქ რომ ბერები არიან,
მადიდებელი დვთისათ,
წირვა და ღოცვა იმათი,
გალობა გერონტისათ.

* *
*

ქალებო, თქვენი დღეობა—
ხვალ არის მარიამობა.

**ლექსები და ანდაზები
სხვა-და-სხვა მხრის ხალხზე.**

პატარძეულო ნაქებო,
წელითა, წისქვილით მარჯვეო,

წინ მინდორო, უკან ტუეო,
გვერდზე ტაშირო ვაკეო.

* *
*

კაკალი და მაჭარიო—
კახი კაცის საგზადიო.

* *
*

აკერ მოდიან ბიჭები
ხოდაშენელები აწყვერსა¹⁾.
—ჩვენ კაკალი მოგვიტანეთ,
პური და უველი გავწვენსა.

* *
*

მანაუერმა²⁾ კაცმა იცის:
კაძლება და ტაკორდება;
რაც უნდ კაი ღვინო ასო,
მაინც წველა³⁾ აგონდება.

* *
*

ქართლელი კაცი მგელსა ჰგავს,
კახელი კაცი ტურასს;
კახელი კაცის ჭირიძე,—
ჩაარაკაკებს კულასა.

* *
*

ზემო ქართლელ კაცს გამგზავსე
ჩოხა ბოლო-განიერსა;
რაც უნდა გასო, გაჭამო,
ვერ გაგზავნი მადლიერსა.

¹⁾ ხოდაშენი და აწყვერი, ანუ აწყური—სოფლებია შიგნით კახეთში.

²⁾ მანაი—სოფელია გარეთ კახეთში.

³⁾ წველა—მაწონი.

* *
*

იმერეთს ბევრი ფუტკარი,
კახეთში ბევრი დორია.

* *
*

კამეჩო, დოდით ¹⁾ გარდილო,
შე იმერულთ—დომითა.

* *
*

იმერული ვარ გაზრდილი
[დომითა;
ქართლელი კაცი ვერა მჯობეს,
გინდა რომ მოკვდეს დონითა.

* *
*

შე იმერეთში ნავალი
ქალი მინახავს მრავალი,
ჩაცმული და დახურული
მოვის ²⁾ ჰერანგით ნავალი.

* *
*

მიტყევიღსა-მოტყევიღსა,
იმერულს.

შენ—შენი და მე—ჩემიო, უთქვამს

* *

იმერულმა სთქვა: ცარიულ ჰურს რათა ვჭამო, მოვითელი და ისე
ვჭამო.

* *

დმერთო, ცეცხლს ნურც სააქას მომაკლებ, ნურც საიქიოსო,
უთქვამს იმერულს ³⁾).

* *

იმერულმა წაღდი დაკარგა და ცუდიც თან გადაყოლა.

* *

იმერული (რაჭველი) რომ გაუჩინა დმერთს, თან ცუდი დაუ-
ტანებია.

* *

მხდალ იმერულს უთქვამს: საცა ცხელი დომიო,
ნახე ჩემი ომიო;
საცა ხმალი შიშველიო,
მე იქ ვერას გიშველიო.

¹⁾ დოდი—ახლად ამოსული, ქორთა ჩალა. ძლიერ უყვარს კამეჩს.

²⁾ მოვი—წმინდა აბრეშუმის ფარჩაა.

³⁾ ეს ანდაზა იმაზე ნათქვამი, ვითომ იმერლებს ცეცხლი და სით-
ბო უყვართ ძლიერაო.

* *

ლეკი მეგობრე ჭარული,
შე წუწყო გულხსადარაო¹⁾).

* *

თათარსა თარაქმასს
ცხვარი ჰეავს მეტის მეტია;
იმას გერავინ წაართმევს
მალალი ღმერთის მეტია.

* *

თათრის სიტყვა²⁾ დალოცვილია.

* *

სომეხო, რჯული ვინ მოგცა,
წიგნი ვინ დაგიწერაო.
შაფათი სასტუმელოდ მოგცა,
კვირა არ გაგიტენაო³⁾).

* *

ჩემს მტერსაც დაუღამდება
არეზის აღმართებშია.

* *

ფიქრი არ არის გურჯისა⁴⁾,
წამოიკიდებს ხურჯინსა.

* *

ქართველი რომ გასომხდება,
სომეხზე უარესი განდება.

სხვა-და-სხვა წოდებაზე.

აზნაურობა მიუვარდა,
გვერდზე დახურვა ქედისა,
სოფელში გავლა-გამოვლა,
უველგან ატენს ჩხუბისა.

* *

აზნაურო, განა გლეხო,
კაი-კაი გაგაგრიხო.

* *

ამილახვრიანთ ბიჭებსა
შორით იცნობენ ქედზედა⁵⁾).

* *

ქართლი იმისთვის დავაგდე,
თოფლს დასდებს, აღარ აიღებს;
რაც რომ მოსავალი მოვა,
მოვა ბატონი, წაიღებს.

¹⁾ გულხსადარაო—დაღისტინის ლეკია.

²⁾ სიტყვა—აქ იგულისხმება ანდაზები, აფორიზმები, იგავები და სხ.

³⁾ სომეხები იხსნილებენ დიდ შაბათს (მწუხრის შაბათს) და აღლ-
გომის გათენებას აღარ უცდიან.

⁴⁾ გურჯისა—ქართლისა.

⁵⁾ დაგლეჯილი ქულები ეხურათ მულამაო.

* *
*

* *
*

საწყალსა კაცსა ვინ მისცემს
ადები-დამეს დვინოსს,
მჭადი ჭმოს და წყალი სოს,
დაწვეს და დაიძინოსს.

ზღვაში ხომალდი რათ მინდა?
მოფუცურდები, გაუალო;
არც არავის ბატონი ვარ,
არც არავისი უმა ვარო.

ო ჩ ხ ა რ ი¹⁾.

ერთს თავადიშვილს ოჩხარი ჰქონია. გაუმართავს დიდი წვეულობა, დაუპატიუნია საქონლის პატრონები. მოსულან თავადები, აზნაურები და გლეხები. ყველანი თავ-თავიანთ საკადრის ადგილას დაუსხავთ სუფრაზე. ბოლოს მოსულა ერთი გლეხი, ტანზე ძველმანები აცვია, თავზე ნაბლი-ძველა ჩამოუფხატავს. ესეც სულ სუფრის ბოლოში დაუგდიათ. ჩამოუვლია კაცსა და უკითხავს სტუმრებისთვის: აბა, ვინ რას შეაწევთ თავადიშვილსაო. ყველას თავის საქონლის დაკვალად შეუწევნია: ზოგს თორმეტი ცხვარი შეუწევნია, ზოგს—ათი, ზოგს—ხუთი და ასე ამნაირად. ბოლოს კაცი მისულა იმ საწყალ გლეხთანაც, სუფრის ბოლოში რომ დააგდეს და სიცილით უკითხავს: აბა, აბა, შენ რაღას აჩუქებო? გლეხი წამომდგარა, თავადებისკენ ზიუხედნია, წელში გასწორებულა და ომახიანად დაუძახნია:

რა მოგახსენოთ, ბატონო,
არრატ²⁾ დიდი მთა არის.
სამსი³⁾ სული ძროხა მუავს,
იმისი ხბონი სხვა არის.
ათასი სული ცხვარი მუავს,
იმის ბატკანი სხვა არის.

კექსასი სული ღორი მუავს,
იმისი გოჭი სხვა არის.
ორმოცი სული მწვემსი მუავს,
მოზღაფათე სხვა არის.
ასა მეც მომირთმეუვია,
ვითომ თავს ჯდომს რა არის?

ასე კი შეარცხვინა თურმე გლეხმა⁴⁾ თავადები.

¹⁾ ოჩხარი—ჩვეულებაა კახეთში. უსაქონლო კაცი მოიწვევს საქონლის პატრონებს, გაუმართავს სადილს და სთხოვს ცო-ცოტა საქონლის ჩუქებას. საქონლის პატრონებიც აჩუქებენ, ვის რამდენი შეუძლიან, და ამნაირად უსაქონლო კაცი საქონლის პატრონი ხდება.

²⁾ არრატის მაგივრად ზოგი იტყვის ალგეთს.

³⁾ საქონლის რიცხვს სხვადასხვანაირად იტყვიან ხოლმე.

⁴⁾ ზოგი დაატანს ხოლმე, რომ ეს გლეხი ფშაველი ყოფილაო.

* *
* *

აფსუს, ბიჭო ახლგაზღავ,
რომ შენ დასდევდე ღორებსა,
უნდა იჯდე თავადებში,
უწრუწუნებდე ქორებსა.

* *
* *

მეხრე უნდა მეხრეობდეს,
ქარავანი ქარავნობდეს,
შენისთანა კარგი ბიჭი
ქალაქს უნდა ფალავნობდეს.

* *
* *

შე დალოცვილო ზაფხულო,
მომწეინდა შენი ღოდინი,
როდის იქნება მეღირსოს,
გარეთ დამეგოს ღოგინი.

* *
* *

მოდო, თუ მოხვალ ზაფხულო,
მომწეინდა შენი ღოდინი,
როდის იქნება გათენდეს,
გარეთ დამეგოს ღოგინი!

წელიწადის დრონი.

ეს კათათვე მობძანდება
ქვეუნი დაზღვინებული:
ვაჟაკებსა დამიძახეთ,
ნამგლებს წამოაფლონ ხელი.

* *
* *

შემოდგომა მობრუნდება,
იმას მოსდევს დამე გრძელი;
მაშინ რაღა გავაკეთოთ?
ქალებს უნდა მივეუთო ხელი...

* *
* *

იანვარსა რვასა,
ნუ გამოხვალ კარსა,
ნურცა წახვალ დისასა,
ნურცა ცოლი-ძმისასა.
თუ წახვიდე დისასა,
ხელი გაჭკარ ქისასა.

სატრფიალო ლექსები.

—ბიჭო ბრიუვო, ხელს ნუ მახლეპ,
თორემ დედა გაჯავრდება.
—სინამ დედა მოგიდოდეს,
ჩვენი საქმე გათავდება.

* *
* *

—სადაური ხარ, სად მიხვალ,
საითკენ მიეშურები?
მობძანდი, უურძენი ჭამე,
თითა და ბუდეშურები.
—არ მინდა, შენი ჭირიშე,
მივალ, გზას მივეშურები.

* *
* *

მიხვიდოდე, მოხვიდოდე,
განა წლისა სავალია?
ცოტა რასმე მომიტანდე,
უკვდავების წამალია!

* *

გაზაფხულისა პირზედა
შაშვმა დაიწყო გალობა.
როგორც მე დამწვი-დამღატე,
დაიწვას შენი ქალობა.

* *

ამოიქროლე, ნიაფო
ქვევითი მინვდვრებისაო,
თან მოიტანე სურვილი
ლამაზი ქალებისაო!

* *

პატარა ხეობაზეა
პატარა ღარი-ღართული.
ქალოვ, ნეტავი ჩამაცვა
შენის ხელებით ღართული.

* *

ავფერინდები, შენთან მოვალ,
შავარდენი შევიქნები,
შენ — ბატონი მწუალობელი,
მე ერთგული ემა ვიქნები.

* *

პატარა ხარ, ეგეთი ხარ,
გაიზრდები, რა იქნებ!
შენ — ბატონი მწუალობელი,
მე — ერთგული ემა ვიქნები.

* *

ხომალდში ჩაუჯექ, ზღვას გა-
ფრანგის ქვეენები ვნახეო, [ველ,

სულ დავიარე ხმელეთი,
ვერ ვნახე შენი სახეო.

* *

ადექ და ჩემკენ წამოდი,
გადმოიარე ბანები,
კარს უკან ჩემი საწოლი,
ღია დაგხვდება კარები,
ასწიე უუთნის¹⁾ საბანსა,
ზედ გადმომხვიე მკლავები,
შენი გუნების საქმე ქენ,
მტერს დაუეხე თვალები.

* *

ლამაზო, შენსა ხეგენაში
ღილი შემაწიდა პერანგსა,
მიზოვნე, გამომიგსაფნე,
მაგ შენი ძმების ღხენასა.

* *

გზა სიარულმა დაღია,
სიზის ქვა წყალთა დენამა,
ლამაზი ახალგაზდანი
ერთმანეთისა ცქერამა.

* *

აჰ, ქალო, ვაშლი, რა ვაშლი,
უბეს ნადები, ნასეტუვი!
ამაღამ შენთან წამოვალ,
გულის ჭირიმი, რას მეტუვი?

¹⁾ ყუთნი — ბამბა-ნარევი აბრეშუმია. ცალი წვერი აბრეშუმია, ცალი წვერი ბამბა.

* *
*

იმერეთი დამიფლია,
ქართლი შემიჯერებია, —
არ მინახავს შენისთანა,
ეელი მოგიღერებია!

* *
*

ღამაზო და მშვენიერო,
ღვინის ფერო მდინარეო,
მე რომ შენკენ წამოგეღა,
თავი მოიმძინარეო.

* *
*

ამოდუღდი, მარგალიტო,
ნაგუბარში ჩადექ, წყალო,
არც ეგეთი ღამაზი ხარ,
რა თავს იზვიადებ, ქალო!

* *
*

გავალ, გაგიჯდები
კალმა მზვარესა,
სიტყვას გამოგტეორცნი
მწარე-მწარესა.

* *
*

ქალო კრულო, გებგეწები,
წელიწადი გამოსულა,
გასტვიფნია ხეს ფოთოლი,
სხვა ახალი შემოსულა.

* *
*

აქამდი გულით . გიუვარდი,
ეხლა დამიწვე თულუბა;
ნეტავი შემატეობინა,
რამ შეგიცვალა გუნება!

* *
*

ანთებულ სანთელს გამგზავსე,
ცისკრის ლოცვაზე გნახეო.
ხელში გეჭირა უმაწვილი
ფარსაგ ¹⁾ ვერ დაგინახეო.

* *
*

დაბრუნდი, თუ დაბრუნდები,
ვით ხარატულის ჯარაო,
მშობელი შენი ვაცხონე,
გამდელი შენი ლალო.

* *
*

შემოგხედავ: ლერწამს ჰკეგხარ,
ტანი წვრილად აგიურია,
ცხრა ნაწნავნი—გიშრის თმანი
ზედ ბეჭებზე გადგიურია.

* *
*

ზღვაში კურდღელი შეცურდა,
თან მელა შეჭევა ტიფითა.
ქალო, შენი სიუვარული
მაბრუნებს ხარატითა.

¹⁾ ფარსაგ, ანუ ფარსაგად,—რიგიანად. ზოგი ირკვირს: სწორედ ვერ დაგინახეო.

* *
*

ხელსახოცსა გადმოგიგდებ,
ოქრომეგრდით მოქარგულსა,
ჩემსა გულსა შიგ გაფახვევ,
შენგნით დამწვარ-დადაგულსა.

ა ფ ო რ ი ზ მ ე ბ ი .

წუთია წუთის ქვეყანა,
წუთის წებოთი ¹⁾ იწვეება.
ზოგი ღზინსა, თამაშს,
ზოგი უცეცხლოთ იწვეება.

* *
*

სოფელა მიეტ-მოეტა,
საბრუნაფისა მახელ!
ზოგსა ცათამდის აიუფან,
ზოგსა უკუდმა დაჭხუკო.

* *
*

კაცსა ვინ მისცა ამ ქვეყნად
სრული ბედნიერობა:
მიდის და მოდის ტანჯვაში
მთელი ქვეყნიერობა.

* *
*

ნეტავ რა ზნე სჭირს სიკვდილ-
ვერ მიჭხვდა ჩვენი გონება! |სა,
შიგ ამოარჩევს ვაჟკაცსა,
რომელიც მოეწონება!

* *
*

წადი და ჰკითხე მცხედარსა,—
ნეტავ რა მიექნება?
სამი ადლი ტილო მიაქვს,—
ის არის მისი ქონება.

* *
*

სინამ ცოცხალვარ, ასე ვიქ:
ვახარებ ჩემსა იასა ²⁾;
მოგვედები, გაუხარდეა
სამარის კარსა ქიასა.

* *
*

წუთი-სოფლის სტუმრები ვარა,
ჩვენ წაფალთ და სხვა დარჩება,
რაც ერთმანეთს გაფახარებთ,
იმის მეტი რა შეგვრჩება!

* *
*

წუთის სოფლის სტუმრები ვარა,
ჩვენ წაფალთ და სხვა დარჩება,
კარგი ვსოთ ³⁾ და კარგი ვჭამოთ;
ამის მეტი რა შეგვრჩება!

* *
*

როსტომ თქვა: ჩემი ზასუხი
ჩინეთის ქვაზედ სწერია:
ვისთვისაც ვკვდები, ხმაღს ვიქნევ,
ის გახდა ჩემი მტერია.

¹⁾ წებოთი—შეხებით.
²⁾ ზოგი იტყვის: ქიასა.
³⁾ ვსოთ—ვსცავთ.

* *

როსტომ თქვა: ჩემი ქართული
ცინარის ქვაზედ სწერია:
ვისთვისაც ხმალსა ვიქნევდი,
ის უფრო ჩემი მტერია.

* *

კაცს კაცის უსამართლობა,
იტოღე, რომ არ შერჩება:
რაც კაი სახლი ააგოს,
დაუწველი არ დარჩება.

* *

წყალი იქ უნდა მოსძებნო,
საცა რომ მილი მილობდეს.
ან უნდა კაცი კაცობდეს,
ან უნდა გვარი შეილობდეს.

* *

ჰაი გიდი, მუხრანელო,
შენ მითვლიდი მუქარასა!
არ იცო, რომ დაგხვდებოდი
ფარინი უფაროსა!

* *

არ ვარგა ჭირში გატეხა,
თუ კაცი გონიერია:
წავა და უველგან დარჩება, —
სოფელი ღონიერია.

* *

არცა უველასა თქმა უნდა,
თუ კაცი გონიერია:

წავა და სხვაგან დარჩება, —
სოფელი ღონიერია.

* *

ნამუსისთვინა გამოვა
უღვაშები და წვერია,
რაც გინდა ელაპარაკე,
თუ კი კაცს არა რცხვენია.

* *

სუფრავ გაშლილო, ღვინო ხარ,
ჭკვავ, ჩავარდი გონებასა!
ნამუსი უველას სჯობია,
ასის თუმნის ქონებასა.
ერთხელ სჯობია სიკვდილი
სულ მუდამ დაღონებასა.

* *

არ გათვრდება უორანი,
რაც უნდა რომ ხეხო ქვიშითა,
მტერნი არ შეგვიბრალებენ
ტირილითა და ვიშითა.

* *

ტირილითა და ვიშითა
მტერნი არ შეგვიბრალებენ:
მოვლენ, დაგვწვენ და დაგვდაგვენ,
მზე იუოს, დაგვიბნელებენ.

* *

სტუმარო, შენი სტუმრობა
მე გულში არა მდებია;
არც წასვლა შენი მწეუნია,
არც მოსვლა გამხარებია.

* *
* *
*

საწუთროსა სავი ვთხოვე:
ენა-პირი ხელოვანი,
ზედ საჯდომად მალი ცხენი,
წინ მინდორი ველოვანი,
საკოცნელად თეთრი ქალი,
ტან-წვრილი და თეროვანი.

* *
* *
*

ვაჟკაცს რას გამოადგება
სოფელს შენება თავისა?
ხმაღს უნდა აჭრევიბედეს,
იმედი ჰქონდეს მელავისა.

* *
* *
*

ვაჟკაცსა გული რკინისა,
აბჯარი უნდა ხისაო,
ხარი, კამეჩი თავისი,
ცოლი უევარდეს სხვისაო.

* *
* *
*

კარგი ემა მაშინ კარგია,
ხმაღი რომ შეიქს ელვასა,
მოციქულობდეს ისარი,
შუბი აგდებდეს ენასა.

* *
* *
*

ძნელი ყოფილა სიბერე |
სიზნის ქვას შეეწონება:
დაჯდება, ვეღარ ადგება,
არგანზედ *) დაეკიდება.

* *
* *
*

რას დასდევ შავსა ჰეპელას;
გაგიფრინდება, წაგოვა,
არც ხორცი გამოგადგება,
არც ტყავი თასად გაგოვა!

ნ ა რ ე ვ ი .

ეს ბიჭი კარგად თამაშობს,
თითის წვერებსე ღებობა.
ამან რომ თუხი იტყინოს,
ის ხომ ჩვენ დაგვბრალდებაო.

* *
* *
*

ნეტავი ერთი მანატრა,
ეს ნატურა ამისრულაო:
ქართლი-კახეთი უმად მომცა,
ქალაქში დამაბინაო.

* *
* *
*

ჭირი მოგჭამოს დედამ,
შვილო თავ-შეუღებარო,
დაჭრილო და დაკუწვილო,
თავს წამალ-დაუღებარო.

* *
* *
*

სოფლისა თავსა ვესახლე,
განა სოფელი ჩემ თავსა.
ის-კი ითვისა სოფელმა,
მას რომ სოფელი ეთვისა.

*) არგანი—დასაბჯენი ჯოხი, ყავარჯენი.

* *
*

თუ მოყვარე ხარ, მიმოყურე,
კალთა გავაბათ კალთასა.
მტერი ხარ? შემატყობინე, —
ან მთას დაგიხვდეს, ან ბარსა.

* *
*

ჩავეარდი საგონებელსა,
ვით რომ კამეჩი მორევსა,
ვიწევ და ვერ ამოვსულვარ,
ვამე ჩემსა ღონესა!

* *
*

წყალი მწუერიან, წყალ დავლეკ,
დავეწაფეი გუბესა.
წყალ და ჩავეხუტები
ღამაზი ქალის უბესა.

* *
*

კამეჩები კამეჩობენ
და მოზვრები მოზვრობენ;
ქალები რა გავამტყუნო,
დედაბრები ბოზობენ.

* *
*

(ქალის ნატვრა.)
ქალმა თქო გასათხოვარმა:
ნეტავი ჩემი ღოგინი
ზედ შარა-გზაზე¹⁾ დამეგო,
გამეღელ და გამოძლეულისა
სულ ვეღლას გული მომეგო.

* *
*

(ცოლის ჩივილი)
რა ვქნა, რა ვუყო თავსაო,
ამ ჩემ ჰატარა ქმარსაო:
არც რეუქლიან შენხვავ,
არც დამხნებებს თავსაო.

* *
*

ამას-იმისობაშია,
წავალ თათრის ობაშია,
თათრის გოგოს შევიყვარებ,
ჩავეარდები უოთაშია.

* *
*

იმერეთს ღორი წავასხი,
მთა და ბარი ჩამომექცა.
ერთი გრუნა ღორი დამრჩა,
ისიც უკან გამომექცა.

* *
*

გაღმიდან დედელი იხვი
გამოღმა გამოჭანჭრობდა,
დაედო ოქროსა კვერცხი,
შუა ბახარში ვაჭრობდა.

* *
*

რა ვქნა, რა ვქნა, როგორა ვქნა:
როგორ ავიღო ცხრა ჩხირი?
ცხრა დადე და ცხრა აიდე,
ისე აიდე ცხრა ჩხირი.

1) ზოგი იტყვის—ჯვარედინ გზაზე.

* *
*

წუთი-სოფელმა ჩემი დღე
ძიმწარა დამაღვიანა,
მატირა ცხარის ცრემლითა,
ზღვისთვინაც შემარევიანა,
არც მოშკალა, არც დამარჩინა,
არც სული დამაღვიანა.

* *
*

თავსა სევდასა ნუ მისცემ,
კულს ხავსი მოეკიდება.
კაცი ცრუ, ამზარტავანი
სილაღეს მოეკიდება.
ის უფრო ცრუი იქნება,
ვინც იმას წაეკიდება.

* *
*

ღვინს ნურა გვირჩევიანა რა,
სინამ ერთმანეთს ვგუდავდეთ;
წადექ და მეც წამოვდებები,
სინამ ხმალს მოვიღვსავდე.

* *
*

ვაი რა დიდი ბრალა,
შავარდენი ჰვავს ძერასა:
გაუფრინდება, წაუვა,
შორით დაუწიებს ცქერასა!

* *
*

შავი ხარ, შავ ცხენზე ფინარ,
შავი თექალთო გიღვია,

ამხნავს არა ჰკადრულობ.
ცუდი ვხე შემოგიღვია.

* *
*

შენი ძმობა, სიყვარული
გუნებაში ჩამიგდია;
ჭორი ბევრი გავიგონე,
მაგრამ ვური არ მიგდია;
თუ რომ გუფით არ მიყვარდე,
ჩემი რჯული დამიგდია.

* *
*

ბებერმა წველა¹⁾ დამისსა,
თითმა ვერ მიუთ კოვზობა,
სხვაგანაც გამოგადგება
ეგ შენი ფილოსოფობა.

* *
*

ჩვენს მეფეს გაუმარჯვნა
თათარავანის ტბაზედა,
მოუკლავს ხარი-ირეში,
საისრე უღევს მკლავზედა.

* *
*

შუალამის ვარსკვლავი
ეუბნებოდა ცისკარსა:
ღმერთო, მალე გამითიქე,
ნუღარ მიმიფან მტრის ვარსა.

* *
*

ტყიდან ურემი მომქონდა,
ზედ მეღო ვაშლის კალათა.

1) წველა — მაწონი.

ურეპი გადამიბრუნდა,
ქვეშ მოიტანა კალათა.

* *
*

იგი მთასა იგი მთასა,
გორმასისსა¹).
იგი სძოვდა, იგი სძოვდა
ირმისა ჯოჯი.

მას ჩასდევდა, მას ჩასდევდა
თითო ციკანი.
მას ჩავგლიჯე, მას ჩავგლიჯე
თითო ბაღანი.
მას ჩავქსოვე, მას ჩავქსოვე
ჩოხა-შაღვარი,
რაც რომ იმას გადამიჩნა,
წინდა-პაჭიჭი.

ანდამები და სიტყვის მასალა *)

(შეკრებილი 1883—1887 წლებში გარეთ-კახეთში, სოფ. პატარძელუშო
ზ. გ. ბილანიშვილის მიერ).

ა

1. აფრინე ალაღი, რაც არ არი, არ არი
2. აგანგაღა, განგაღა.
3. აღმანს ხან მჭადის სახელიც დაავიწყდება.
4. აღრე ამდგომსა კურდღელსა, მწევარი უნდა ქარისა,
მისდევს და ვერ მოსწევნია, იქავ და იქავ არისა.
5. ავადმოფესა ჭკიოხეგნ.
6. ავი მუშა კვირა ძალზე გამხნეულება.
7. ავიფურთხავ უღვაშსა, დავიფურთხავ—წვერსაო.
8. ავიც შეუძლიან, კარგიც.
9. ავკარგიანი კაცია.
10. ავ მთქმელს კაი გამგონე უნდა.
11. აღილო და—ხვაღაო. (ვარიანტი: აღდგომა და ხვაღაო).

¹) გორმასი ჰქვიან უნაყოფო, ტინიან, ქვიან ადგილს.

*) ანდაზები და სიტყვის მასალა გაცილებით მეტი გამოგონია, მაგრამ აქა ვწერდი მხოლოდ ისეთებს, რომლებიც არ არის მოქცეული განსვენებულ პეტრე უმიკაშვილის კრებულში, ან რიომე განსხვავდება.
ზ. ბ.

12. აღხანა წავიდა, ჩაღხანა მოვიდა.
13. ამირან გულში მღეროდა. — „უმანო ბანი მითხართო!“
14. ამ წუთისთვის ვინ შეჭბურებია?
15. ამდენი მგელთა ღმუილი ¹⁾ უამბოთ არ გადასწყდება.
16. ამოღეს აჭეე, დამოღეს—დაჭეე.
17. ანაბარი მგელმატ იცის.
18. ანაღვლე ბუღიას, ბზე ქარსა, ჰური ურის! ²⁾
19. ანგელოზები რომ შენგენ იყვნენ, ეშმაკი ვერას დატაკლებს.
20. ანს დაჭხედე, ბანს დაჭხედე,
სიციქს და განს დაჭხედე!
21. არას ვარგა სამიძარი, უსარკებლთ ცრემლითა დენა.
22. არ ვარგა კაცი უმტერო, არც კერე მტერ-მორეული.
23. არ გაგივიდა, თარხანო, ნიდაგ შენი ტუეილი.
24. არზრუმს არა ვუოთიღვარ, აზრით ვიცი.
25. არზრუმს ვირი კიტრადა ღირს, ჯორი სატილად მოუნდება.
26. ასარ-ბასარ-ეურქედანასავით ³⁾ ეცა.
27. ასე ჭტონია, აღა-აღა იუოს!
28. ასღის ჰური ჯერ არ მეჭამა, მუცელსა მგვრემდა.
29. ასტუდები, აღარ დაჭდგები ოხერ ზენა-ქარივითა.
30. ასწიე მძიმე-მძიმესა, სუმბუქი რაღა მეტია!
31. ასწიე ღონესა ჭქვიანს, დაუშვი უღონობასა.
32. აქაო და რბილიაო, აბა უღაპე, ნინიაო!
33. აქე და ერიდე.
34. აქლემის თამაშობა ⁴⁾ ხიდზე გამოჩნდება.
35. აქლემის საზაღნე ისე არ დაზატარავდება (ანუ არ დამცირდება),
რომ ვირის საზაღნესთან (ანუ საზაღნის ოღენს) კიდე არ იუოსო.

¹⁾ ღმუილი—ყმუილი.

²⁾ რა ენაღვლება ბუღიას (ხარის სახელია), თუ ბზე ქარს მიაკვს და პური ურისაო (მოვალესაო).

³⁾ ასარ-ბასარ-ეურქედანა—ძაღლების სახელია ერთს ხალხურ ზღა-პარში; მეტად კაპასი ძაღლები ყოფილან და ვისაც კი მათი პატრონი მიუსევდა, ცოცხალს აღარ გაუშვებდნენ.

⁴⁾ თამაშობის მაგიერად ზშირად იტყვიან: შუშპარი.

36. აქლემს საცხერი დაადგეს, — დაწვაო; აცაღეს, — ადგაო¹).
37. აღუ, ნეჭუ არ მიკმინო²)
38. ახალი ცოცხი კარგა ჰგვის, ძველი მოატანს ნაგავსა.
39. ახალი ცოცხია.
40. ახალს თხოულობს³).
41. აჯაფ-სანდალი გახდა⁴)

ბ

1. ბატონი (ანუ კაცი) გადაგიდგეს, სოფელს შეეხვეწე, სოფელი გადაგიდგეს, მთას გადაიხვეწეო.
2. ბატონო, ჩხიკვი მოკვდაო. — თქვენმა მზემ, მე დაბადებაც არ შემიტყვიოაო.
3. ბატონს მეღვინე მოუკვდა და რაღა ეშველებო? ვაი მკვდარი მეღვინის ბრადი, თორემ ბატონს ბევრი მეღვინე გამოუზნდა.
4. ბატონს ემა უნდოდა უსმელ-უჭმელი, ტანთ ჩუტმელი, შინ მიუსვლელი.
5. ბებერი ხარისა რქანიც ეწევიან.
6. ბევრის მნდომე ცოტასაც დაჭკარგავს.
7. ბევრის მჭამელს ცოტას მჭამელმა აჯობა.
8. ბევრი ფაცია-კალო გადაჭხედია.
9. ბევრი ხელას ჭირიმე, ერთი ჰირისა (ე. ი. ბევრი გამკეთულის ჭირიმე და თანხმობისაო).
10. ბევრი ხელის ჭირიმე, ცოტა ჰირისაო (ე. ი. ბევრი გამკეთულის ჭირიმე და ცოტა მჭამელისაო).

¹) ამ ანდაზის აზრი ის არის, რომ მცირე სიმძიმეს, პატარა საპალნესაც მნიშვნელობა აქვსო.

²) მიკმინო — მიკმინო.

³) როცა ტანისამოსი ან ფეხსაცმელი გაცვდება, ან შენობა დაძველდება, იტყვიან: ახალს თხოულობსო.

⁴) ვითომ საქმე აჯაფ-სანდალივით აირიაო. აჯაფ-სანდალი მოზრაკული საქმელია, რომელიც მზადდება პადრიჯნისა, ოქრო-ვამლისა (პამიდორისა) და ქართოფილისაგან.

11. ბეგრი ჭო-ჭოო ხარს გაგიყებს. (ვარიანტი: ბეგრი ჭი-ჭუი ხარს უკუღმა წაიყვანსო).
12. ბელაურ ცხენს გაკრეჭილ კვიცს არ გაუტყენენ¹⁾).
13. ბეჟანმა²⁾ თქვა: გაგონილი ნახულაანა არ იქნებოა.
14. ბერიკაცისა სიზმარიც დაიჯერება.
15. ბზობის უფაუაით დაიკარგა.
16. ბოდბელო, შეგატყე ებ შენი ძაღლოა.
17. ბრმა ყვავს დმურთი აუგებს ბუდესა.
18. ბრმა ღობეს მიადგა, შენს იქით გზა არა მაქვსო.
19. ბუტიას შეუტყამენ, მძინარეს შეუნახვენ.

3

1. გესმოდეს, თარო-კედელო, ბანიდან მუურბელო.
2. გოჭსა სიმინდი თუნდა ქეჩოში, თუნდა ცხრა მათს იქით.
3. გაძღომას გაწდომას სჯობია.
4. გოშია აქეს, ძაღლესს შეაჭამეს.
5. გასათხთფარმა ქაღმა უთხრა დედასა: სიძე მოგდისო.—ახა სად არიო?—მოგატყუიდეო.—შენს თავს მოატყუიდეო.
6. გაწედე, საცა წვრილია!
7. განა ნინიას ბაკია!
8. გარედამ მტერს უბრმავეებს თვალებს, შიგნიდამ ჰატრონს.
9. განა ბებერი ცხენი ქერს არა სჭამს?
10. გინდ მკვლარი, გინდ შინ მიუსვლედი.
11. გამგები გაიგებს.
12. გარეული მოვიდა, შინაური გააგდოო.
13. გიჟი დასაქმე და შენც თან გაჭეო.
14. გაჟა ქორწილში შევიდა: ჩვენს სახლს ესა სჯობიაო.
15. გიჟი მიუშვი ნებასა, თვით შეეერება ვნებასა.
16. გლახა აშპარტაფანი დმერისაც სძულდა და კაცსაცაო.

¹⁾ რომ ვინიკობაა არ აჯობოს და არ შეარცხინოს.

²⁾ ბეჟანი—„ბეჟანიანის“ გმირი, გივის შვილი, როსტომის ძმის-წული.

17. განიე და გათხრიწე—ორიე ერთიაო.
18. გამოსაშეები სისხლი უნდა გამოიშოს.
19. გამოსარწევი მუწევი უნდა გამოირწვას.
20. გული შიგნიდამა აქვს (უღვეს).
21. გული გულის ადგილას აქვს.
22. განა ვირს კურტანი მოუხდება?
23. გველსა ხერელით გამოიუვანს ენა ტკბილად მოუბარი.

ღ

1. დათვის ვენახი მიაბარეს. შიგ არავინ არ შაუშო, აღარცა რა შიგ გაუშოო.
2. დათვო! ჰანტა გიშწიფსო და კიდევ გიჭირსო.
3. დათვის ჰხედავდნენ და კვალს უკვლევდნენ. ახლა ერთმა კაცმა უთხრა: რაღას ეძებთ, — ეს დათვი და ეს კვალიო!
4. დამზალი ვერა უძლებს რა!
5. დედამიწას ვინ შეჭებუბია?
6. დედაკაცს ძაღლიც არ დაჭეუეს.
7. დიბა სტავრა ჩიოდა: ვაი თუ გლეხმა გამცვითოსო, [როსო. უჯილაგოდ გამოიჭრას, უიღუთოდ¹⁾] შამკუ-
8. დოვლათი ბრმა: ბუზივით ხან ვარდს დააჯდება, ხან ნეხვს.
9. დროც არის ჰაზინებისა!
10. დედაკაცმა გაიწია, ცხრა უღელს ხარმა ვერაო²⁾.
11. დავარდნასც³⁾ მიშლი?
12. დასარჩენი დარჩეს, წამსვლელი წავიდეს (ამ ანდაზას უფრო ხშირად თათრულად იტყოდნენ ხოლმე: გელანი გალსინ, ყალანი ყალსინ).
13. დაუკრეთავში ნუ დაჭდინარ.
14. დაბალი დობეა.
15. დაჭრილი ირემია.
16. დიდ აღმართს დიდი თავდადმართი მოსდევს.

¹⁾ ილეთი—ზნო.

²⁾ იგულისხმება: ვერ აჯობაო.

³⁾ დავარდნა—დაქანცვა, დაღალვა.

17. დიდ ქვაბში არ ეტეოდა, ჰატარაში ლაღე იუოო.
18. დილის შარი სჯობია საღამოს ხეირს.
19. დაადარე მსხალი ჰანტას, მაღაჩინი ¹⁾ მაყალოსს.
20. დედის წინ მარბუნალ კვიცს ან მგელი შესჭამს, ან ტურა.
21. დრონი მეფობენ და არა მეფენი.
22. დიდი ძვლიდან დიდი ტვინი გამოვა.
23. დიდ ცეცხლს დიდი ბერვა უნდა.
24. დომხადივით აირია.
25. დიდ საუდარში განა ჰატარა წირვა არ იწირვის?
26. დროული კაცისა სიზმარიც დაიჭერება.

ე

1. ერთს ღვდელს ჰკითხეს: ღვდელი, რა გირჩევენია: ქალი, ქადა, ქათამი თუ ღვინო?—ქალმა ქადა და ქათამი მარანში წამომიღოსო, უნასუხა ღვდელმა.
2. ერთხელ იქნება ნაგუბარში წუალი ჩადგება.
3. ერთი აღიღუია ხუცესსაც შესცდებოა.
4. ერთი ხისა ბარიც გამოვა და ნიჩაფიცა.
5. ერთი ხისა ჯვარიც გამოვა და ნიჩაფიცა.
6. ერთმა პირმა ცხვარმა ხეს შეჭბლავლა და ხე განმაო.
7. ერთი რომ ჰტქო, მეორეც უნდა ჰტქო.
8. ერთია ცეცხლი, მეორე ნავთი!
9. ეს ძველი და სხვა ახალი.
10. ეს ქალაქი რადა ღირსო?—ერთ გულის ჯავრის ამოურადაო, უთქვამს ფშაველს. (ზოგი მოკლედიტევის ხოლმე: ერთ გულის ჯავრადაო).
11. ერთ ქალს უთქვამს: ნეტავი ზემოდამაც მე მქნა და ქვემოდამაცაო.
12. ეს დღე ხომ კატას არ შეუჭამია!
13. ენათ მრავალმა აჯობა მუხლთ მრავალსაო.
14. ეშმაკი ძლიერია!

¹⁾ მაღაჩინი—ერთნაირი ჯიშის კომში, ბია.

15. ერთ ქვეყანაში მუცლის ტკივილი იყო. ვისაც სტკიოდა, ის ხომ ამობდა და ამობდა: მუცელი მტკიოდა; ვისაც არა სტკიოდა, ის უფრო უფროდა: მუცელსა მგერესო.
16. ერთხელ იყოს, თხა მგელთ იყოს.
17. ერთხელ იქნება, თხა მგელთ იქნება.
18. ერთ გასათხოვარ ქალს უთქვამს: გასათხოვრად ზატარას შეძახიან და წყლის საზიდად კი დიდსო.
19. ერთი რძალი თავს იბანდა. იმისმა უმძრახმა მზღლის ცოლმა ჯარა დაამტვრია და ცეცხლს შეურთო, ჩემ რძალს არ შესცივდესო.
20. ერთი მთაა, რაც ღმერთს ქვეყანა გაუჩნია, მას აქეთ იმუქრება: გადმოვინგრევი, გადმოვინგრევიო, მაგრამ დღესაც თავის ადგილას დგას უძრავად.
21. ეგრე, ჩემო თინანი, მიუვარს მაგისთანანი.
22. ეკლესიის კარი ღია იყო, მაგრამ ძაღლმაც იმოდენა ნა'უსი გამოიჩინა, რომ შიგ არ შევიდაო. (ვარ.: ეკლესიის კარი ღია იყო და ძაღლს ნამუსი არა ჰქონდაო).
23. ერთი დრო არავის შერჩება.
24. ეს სოფელი ასეთია—მიეტი და მოეტია.
25. ერთს ქვეყანაში მშუშე იყო. შუშები ბევრი ჰქონდა სულ ერთი ზომისა, აღმასი კი არა ჰქონდა. როცა დაუძახებდნენ, მოვიდოდა; თუ გამოადგებოდა ფანჯარას შუშა, ჩაჰსვამდა, თუ არა და ცარიელი უკან ბრუნდებოდა, იმიტომ რომ აღმასი არა ჰქონდა.
26. ეს ბურთი და ეს მოედანი!
27. ენას ძვალი არა აქვს.
28. ენა უძვლო-უფხოა.
29. ეს ქათამი ჩვენსა კაკანებს, კვერცხს სხვაგანა სდებს.

3

1. ვისაც ზური არა აქვს, საქმეც არა აქვს.
2. ვისაც სამსთო უნდოდა, ცხვარს ამობდა, ვისაც არა და კამეჩსო. (ერთ ადგილას სამსთო უნდა გადაეხადათ. შეიყარნენ. ვისაც გულით უნდოდა სამსთო, ის ამობდა, ცხვარი დაუკლათო. ვისაც სამსთოს ჩაშლა უნდოდა, ის ამობდა, ცხვარი რას გაგვიბდება, უნდა

კარგი მსუქანი ზაქი-კამეჩი წამოვაქციოთ, რომ ეველას ეეოსო. მსუქანი ზაქი ვერ იშოვებს, არც თუ იმისი საუადელი ფული ჰქონდათ და დარჩა სამხთო გადუხდელი).

3. ვინც თავისი თავის ჰატივი არ იცის, არც სხვისა ჰატივი ეცოდინება.
4. ვირი ხბორებში!
5. ვინ აგებს და ვინ აქცევს?
6. ვაი თქმავ, ვაი უთქმელობაო!
7. ვაი ქონავ, ვაი უქონლობავ!
8. ვირს რასაც აჰკიდებენ, განა სულ თითონ შეატყვევენ?
9. ვირს რომ ზურგი აჰქავა, პატონის კარზე მივა.
10. ვაიმე, დედავ, დედაო, რა დიდი ღორი კვდებაო!
– შეიღო, შენ რა გენადვლება, ჩიჩია ბევერი გვრჩებაო¹⁾.
11. ვის შერჩენია ერთი დრო?
12. ვისაც სახლი არ აუშენებია, დედაბოძი მიწიდან ამოსული ჰგონია
13. ვისი ტყე, ვისი ხარები, ვისთავის რა საშურველია!
14. ვალი ჭურჭრუტანიდამ შეძვრება და კარებიდამ ვეღარ გამოვა (ანუ გამოეტევა).
15. ვანც ანავი არა თქვა, იმან ბოლო.
16. ვინც თავდაში ხელს ჩაჰყოფს, თითხ მანც გაილოკოსო.
17. ვირის წიხლი არ მეწინება. (ვარ.: ვირის წიხლი კი არ მეწინება, მეტკინება).
18. ვინც იცის, იცის, ვინც არ და ბაკლა ცერვი ჰგონაო.
19. ვაი სიკეთის მქნელსო!
20. ვირის კუდივით არცა გრძელდება, არცა მოკლდება.
21. ვერიდებოდი ღოღოსს, იქ დამხვდა სოფლის ბოლოსს.
22. ვისი ტიკი-ტომარა ხარ?
23. ვის უთქვამს, დედა-ჩემი ბოზიაო?

ზ

1. ზოგი თხისკენ, ზოგი მგლისკენ.
2. ზოგი ღვთისკენ, ზოგი ეშმაკისკენ.

¹⁾ ზოგი იტყვის: რჩებაო.

3. ზღვა ფაფად გადმოვარდა, უველამა ჭამა, მაგრამ უბედურმა კოვზი ვერ იშოვა, რომ მისულიყო და ეჭამა.
4. ზოგჯერ ტყუილი მართალს სჯობია.
5. ზოგისა ბამბა ჩხრიალებს, ზოგისა კაკალიც არაო.
6. ზოგი კაცისას ძაღლიც არას შესჭამს.
7. ზენა ქარია! (იტყვიან უბედზე, ან შევირალაზე).

თ

1. თამაშობას ხერხი უნდა, დათვმატ იცის ძუნძული.
2. თუ მეცხვარეს უნდა, ცხვრის უვერიდან გამოიღებს უველსაო.
3. თხა გავვიდე, თხა ვიყიდე, სარგებელი ვერა ვნახე.
4. თავის სიტყვის ბატონია, სხამ უღვაშს გამოსცდება (სიტყვა).
5. თვალი სჭამს საჭმელს.
6. თუ იუოს—იუოს, თუ არა და წყაღმა რიუოს.
7. თათარს რომ ჩუჩა მიაჭრა—მადლია, მაგრამ განა სულ ძირში!
8. თხა კიკინით გამოვიდა, ცხვარმა ფეხები გაშალა.
9. თავად არ იყო ძმარიო, ზედ გადასხეს წყაღიო.
10. თავის ქება თავის ტეხაა.
11. თუ კაცს გულში არ უღვეს, რიუეზე ქვას ვერ დაინახავს.
12. თხამ სანეკრე იშოვა, სახტომი კი ვერა.
13. თუ ის არის ხერხში, არც მე დაუდივარ ტყეში.
14. თავს ჰატივი დასდე!
15. თეთრი კბილი და შავი გული არავისთვის არა ჰშურს.
16. თეთრი ცხვარი მსუქანი ეგონათ.
17. თათარი ჩემს საცაღოს თავის ჩუვალს ¹⁾ ეძახდაო.
18. თავისი კაღო გაუღეწია.
19. თავისი ალო გამოუყვანია.
20. თუ მასპინძელი არ ღზინობს, სტუმარსაც მოეწეინება.
21. თუ კაცს ჭამის შნო არა აქვს, არც საქმის შნო ექნება.
22. თვალს წყაღი დააღვეინა.

¹⁾ ჩუვალი—თათრულად საცაღოა.

23. თითო კაცს თითო რამის შნო აქვს. (თათრულად: ბირ ადამ ბირ უნარ ვარ).
24. თათარმა თქო, ფლაფი სჯობსო, სომეხმა— მახოხიო. დანადლეგედენ. თათარმა გააკეთა ფლაფი, სომეხმა— მახოხი. სომეხმა აინიჟა¹): არა, მახოხი სჯობსო. თათარმა უთხრა: ქატოში— ბრინჯიო და ამ ერბოსი აღარა გრცხვენანო?
25. თვალში უზის.
26. თავის ჭიას ახარებს.
27. თიფასთან ცეცხლი არ მიიტანება.

0

1. ისევ ის თომა, ისევ ის ტუფი აცვია.
2. ის თვალის დადგეს, რამაც თვალმა ბუზი ბაღდადამდის არ დაინახოსო.
3. ისევ წახვალ გუდამაყარს, მამა-პაპის ალაგასა.
4. ისეთი ტუფილი უნდა სთქვა, რომ ფეხები ჰქონდეს²).
5. იარე, მოგეწევიან, თავი ნუ გემარტოება.
6. იპოვნა კოვზი თაროზე.
7. ირემმა ირემს ბაღანი აუშვირა:— მართალია, არც შენ გაკლია, მაგრამ თავაზა კიდევ სხვა არისო.
8. ისე გაება, როგორც ჩიტი გაკანათში.
9. იმის ბედს ძაღლი არ დაჰყუთს.
10. ისე ეჯვრება, როგორც ურიას ღორის ხორცი.
11. ისე უუვარს, როგორც ურიას ღორის ხორცი.
12. ისე უხდება, როგორც ვირს კურტანი.
13. იერუსალიმში განა ძაღლები არ არიან?
14. იერუსალიმში განა ძაღლი არა ჰყუთს?

¹) აინიჟა— აიყინა, ანუ დაიყინა.

²) რომ დადგომაც შეეძლოს და სიარულიც, რომ გასტრას, გავიდესო.

კ

1. კაი ხარი სახრეს არ დაიკრავს.
2. კაცს თავსა სჭრიდნენ, მუწუკს ჩიოდაო.
3. კაცი კიდეც გაიქცა, კიდეც გაიცრცუნა.
4. კაცი სცადე და სახლი ააზატე¹⁾.
5. კაცი დედამიწას ეუბნებოდა და ცას ემდუროდაო²⁾.
6. კაცი ზატვისა შინა იყო და არა გულის ხმას იყო.
7. კუდა კამეზი გავუიდე ქებითა და დიდებითა
შეხებდე, უკან მოჰყავდათ ღანძღვითა და ცინებითა.
8. კითხვის კითხვით ინდოეთს წავლიან.
9. კუდავ, ჩემო საყვარელო, გუთნას მასუგძუგებელო!
—არც ისე შესლისება, ძალად მასუგძუგებენო!
10. კამეზო, მუხრანელი ხარ, უღელი გეცოდინება.
—შე მუხრანელი არა ვარ, უღელი შენითირება.
11. კოსე-კოსე სიტყვის გამმარაქიანებელია.
12. კომბლეს³⁾ ვირი არა ჰყვანდა, იუიდა და იყოლია.
13. კატის გაქცევა საბძლამდისინა.
14. კაცი უნდა ხერსი იყოს, გაჭქანდეს და გამოჭქონდეს,
არც ისეთი ეჩო უნდა, სულ თავისკენ გამოჭქანდეს.
15. კაი კაცის ნაცოლარი, კაი ქვევრის ნაძირალი.
16. კატა ვერ შესწვდა ძეხვსაო, ზარასკევია დღესაო.
17. კაცია და გუნებაო, თავში ებრაგუნებაო.
18. კაცი ხარ, ქუდი გხურავ.
19. კარგი ხარ, კარგო უთფაო,
კარგო ცხვარო და ძროხაო!

1) აზატი—თავისუფალი. ე. ი. კაცსა სთხოვე და თუ ხელი არ გაგიპართა, შენი სახლი აზატი გახდება, შენც ნება გექნება, ხელი არ გუშართო, თუ იმას დასჭირდა შენი თავიო.

2) მაგალითად, სოფელურ კაცი ეხვეწება მამულს: კარგი მოსავალი მომიყვანეო და როცა მოსავალი არ მოვა, ცას ემდუროს ხოლმე.

3) კომბლე—ქართულ ზღაპრების გმირია, თან მოსულელო, თან მოხერხებული.

20. კოჭივით მუდამ ალჩუსა ზის.
21. კიკოსავით ¹⁾ მარტოკა დარჩა.
22. კაცს წართვის სუფურაც მოჰბეზრდება.
23. კაცს ნიადაგ ქორწილიც მოჰბეზრდება.
24. კაცს ქვეშიდან ხალიჩას გამოაცდის.
25. კაცს უურზე ხელს წააგლებს, წუალზე წაიყვანს, დააღვეინებს და ამოიყვანსო.
26. კატას თავში ძეხვი დაჰკრესო.

ლ

1. ლამაზო ქალო, შენ გეტრფი, თუთხუმო, გამოჰყვარდები.

მ

1. მე და ჩემმა ქმარმა ვინგარიშეთ, ჩემს მაზლს არა ერგო რაო.
2. მოდღე-ხვადიესა თოვლი მოუვა კარზედა.
3. მორჩა ბერი ცხონებასა, მოლოზანი წაწუმედას! (ერთს უდაბნოში ერთი სულის საცხონებლად შემდგარი ბერი შესცდა ერთს მოლოზანზე და დაიძახა: მორჩა ბერი ცხონებასა, მოლოზანი წაწუმედასო. ე. ი. მე ვეღარ ვცხონდები და მაღაზონი აღარ წაწუმდება, რაკი ასეთი მადლი ქნაო).
4. მძღარი მშიერს წვრილად უფხვნიდა, თან დასძახოდა: ცოტა ჭამეო!
5. მამავ! გიყვარდა ურემი, დაწექ და დაიძინეო.
6. მზევე, ჩადი და ალოვ, გადი!
7. მე წველას ვთხოვდი, ის დოს მოატლავუნებდა.
8. მცონარა ადგა და აღარ დადგა.

¹⁾ კიკო—სათამაშო ქალღმრთის სახელია, ერთი ნიშანი რომ უზის, ეხლა ტუხს ეძახიან.

9. მკელმა ცხვარი მოიტაცა:—„ჩემი სერისა იყო“¹⁾.
10. მკელმა უთხრა ძაღლს: სიტყვა ეგ კი არ არის, რომ მიერბი-
ვარ და მომღვეო, სიტყვა ის არის, მოგიბრუნდე, მაშინ დამ-
ხვდეთ.
11. მივდიე—ვერ დავეწიე, დავექე და დაუცადეთ.
12. მწოლიარე დევს მაწანწალა მელამ აჯობათ.
13. მოყვარე, მოყვრის მოყვარე²⁾ მტერზედან უფრო მტერია.
14. მოკლას ხარი თივამა.
15. მკვდარი ფური ბევრს მოიწველის³⁾.
16. მელამ ზღვაში ჩააფსა, შენც აქ ჩაჭხუოდეთ.
17. მტერს ხმალი, ვაჭარს თეთრი.
18. მე ქორწილში წავეთრევი, შენ წისქვილში წაბძნდი.
19. მოტეხილს მოჭტეხიანთ.
20. მკელმა თქვა: ეს ოხერი და ეს ტიალი, ჩემს სოროშიაც ვერა
ვთქვა რათ!
21. მგორავი ქვა ხავსს ვერ მოიკიდებს.
22. მუცლად მშიერმა აჯობა ტანად ტიტველს.
23. მამალი რომ ფრთას შემოჭკრავს, იცოდეთ, რომ გათენდება.
24. მასზინდლის მარილი მეტი წავა⁴⁾.
25. მკვახეს ესროდნენ, მწიფე ცვიოდა.
26. მე რომ ვხედავ ნიშნსა, ხარს დაგვიკლავს ნიშნსა.
27. მოხველი, მოსულა გვიამა, დანახვა შენი პირისა.
28. მჭადში ნახშირს ვერ გამოარჩევს.
29. მსხვილად დამრთავი და წვრილად დამრთავი ორივე ერთად გა-
მოვიდათ.
30. მსხვილად დამრთავს და წვრილად დამრთავს ერთი ფასი ჭქონდათ.
31. მე რომ კურდღლის გაჭტევა მინახავს, დამერთმა იმისი ხორცი
ნუ მაჭამოსო,— უთქვამს სომეხს.

1) სერი—ნიშანი საქონლის ყურზე.

2) შორიული ნათესავი.

3) ფური რომ მოკვდება, ზოგი მაშინ დაუწყებს ქებას, ამდენ-ამ-
დენს იწველიდათ.

4) წავა—დაიხარჯება.

32. მიჭყე-მოჭყე სოფელსა, ნეტავ რა დაგიშვდება.
33. მიჭყე მიხედულობასა, თვალის მიკებულობასა.
34. მთელი ეს ქვეყანა სესხი და ვაღია.
35. მუქთ კუბოში ჩაწვება.
36. მჯობთა მჯობი არ დაილევა.
37. მოგება და ზარალი ორივე ძმები არიან.
38. მეღისსავით გააგრძელა (ანუ გააბა).
39. მიმზარავი ძაღლია.
40. მეცხვარემ ცხვარი გაუშო, ჰატონმა კი არაო.
41. მეტის-მეტი — თავში რეტიო!
42. მუქთად ჰურს არავის აჭმევს, ბანს მაინც გაატკეპნინებს.
43. მზეს უეურებს, როდის ჩავაო.
44. მიწა გრილია, მალე გააგრილებს გულსა.
45. მარტო კაცი ჰურიჭამაშიაც ბრალია.
46. მშრალზე უოჩადია.
47. მამის ნაჭამმა ტყემაღმა შვილს მოსჭრა კბილებიო.
48. მე კი უშვებ, მაგრამ ეს აღარ მიშვებსო. (ერთი მონადირე დათვმა მოიგდო ქვეშა და ჰბუბნის. ამხანაგმა დაუძახა: კაცო, გაუშვი, მოეცაღეო. — მე კი უშვებ, მაგრამ ეს აღარ მიშვებსო, უძახუნა წაქცეულმა მონადირემ).

6

1. ნისია — სხვისია.
2. ნუ მატუეუბ, სარქისაო¹⁾, აგრემც ღმერთი კაცზრდისაო.
3. ნაღოსავით აეთრია.
4. ნაგუბარში წყალი ჩადგება.
5. ნაზუქის სული დაგახრჩობს!

მ

1. ორი უოჩის თავი ერთ ქვაბში არ მოიხარშება.
2. ოსტატი მელა ოთხივე ფეხით გაებმება მახეში.

1) სარქისა — სომხის სახელია.

3

1. ჰატარძლი ბუღდა ¹⁾, ისევე თითონ ტუეოდა.
2. ჰატარა უმაწვილის ნაწილაჲი ღობეზედ ეკიდა და კიდეჲ ფორთხა-ღობდა.
3. ჰატარ-ჰატარობით ჰატარძლი დაიწყოდა.
4. ჰატა-ჰატაო, ჰატით კვერი გამოცხვიაო.
5. შირობა კაცს ცოლს წაართმევს.
6. ჰატარძალს ქრით აშინებდნენო.
7. შირში სუფი ჰქუერს.
8. ჰატარა ²⁾ კაცს გული უელში ჰჭრია.
9. ჰურსა სჭამ, ბაღახს ხომ არა სძოვ?
10. შირს მუწუკი მოკრიდება.
11. ჰურ-მარილი ქვაზე დადე; გაიარე, წინ დაგხვდება.

6

1. რძლეებმა ერთმანეთისა ზვერითა სახლი აავსეს ნაკვითა (ანუ ნუხვითა).
2. რაცა გავა გავაო, ფერდიც გავად გავაო.
3. რასაც ვირი ეწეოდა, ორ იმოდენას ვირის ჰატარნიო.
4. რაც ვჭამე, ის შემეჩნაო, რაც არა—ოხრად დამეჩნაო.
5. რაც იდგომლა, ის იხტომლაო.
6. რთველში ძაღლსაც მოხსნიან კონკილას.
7. რბილი ეკალია.
8. რასაც კაცი თავის თავს უზამს, ჰვეუნა რომ მიადგეს, ვერ უზამს.
9. რწეილს შაშაღი ჰკრეს და ჰირათაც ეუო და ღხინათაცაო.
10. რა ჭალი მოედება ენაზე?
11. რაც სახელია, ის სახრავი არ არის.

¹⁾ ბუღდა—იბუტებოდა.

²⁾ ჰატარა—ტანად დაბალი.

12. როგორც გიჭირდეს, ისე გიღირდეს.
13. რაც გინახავს, ვეღარ ნახავ.
14. რაც მოგივა, დავითათ, უველა შენი თავითათ.

ს

1. საცა მჭამს, იქ კი არა მთხანდა!
2. სად ახმეტა, სად წილკანი,
სად თხა სძოვდა, სად ციკანი!
3. სამგორის მინდორზე სამი ბებური ვერ ეტეოდა.
4. სულ უდღობას დედი-ნაცვალი სჯობია.
5. საციქველი ¹⁾ ვის დაუბრუნებია!
6. საქმე მაშინ წახდა, დათვი რომ საძაღლედ გახდა.
7. სევდას ნატურით ინელუბენ.
8. სულელ კაცს ახალწელიწადს რომ ჰკითხო, იანვარი როდის და-
დგებაო, ვერ გეტყვის.
9. სიკეთე ქვაზედ დადე, გაიარე, წინ დაგხვდება.
10. საუბარ-საუბარო, ეს დღე კი გაიზარაო.
11. სახლი უარესთა.
12. საზიარო ფეტვი ჩიტმა მოჭამა.
13. სახლის ჰატრონისა მარილი მეტი წავა.
14. სხვას იტყვის, სხვას მოიგონებს, სხვას გამოაბამს კილოსა.
15. სულს სული იცნობს.
16. საწუთროს მონახევრე ხარ, ჩემო კახურო ჩოხაო! უთქვამს კა-
ხელ თავადიშვილს.
17. სიცილით დაკარგული ტირილით ვეღარ დაიბრუნესო.
18. საიდან სადაო, წმინდაო საბაო.
19. სად ერეკლე და სად თეკლე!
20. სახრე სამოთხიდან არის გამოსული.
21. სახრე დმერთს დაულოცნია.
22. სოფელში რომ მიხვიდე, იქაური ამბავი უმაწვილს ჰკითხე, ის
უფრო სწორეს გეტყვის.

1) საციქველი—ნათხოვარი ნივთი, ვეჯი.

23. საცა ბოლი მადლია, ის იმისი მუარია.
24. სიკეთისთვის სიკეთე ვის უქნია?
25. საქებურმა შავმა ძაღლმა ნიახურზე გადააფსაო.
26. სტუმარო, ხელი გაძარ, შენი სახეთქიც არისო.
27. სხვისა ხელით ჭკლეჯს ნარს.
28. სხვისა ხელით ნარი არ მოიგლიჯება.
29. სოფელი კაი სათლედი დუმია.
30. სადაც ბუზი გაიზრდება, იმის ბაღდადი ის არი.
31. სული კბილით უჭირავს.
32. საწუალი კაცის განენაში დმერთი როდი გარეულა.
33. საძაღლ-ღორედ გახდა საქმე.
34. სად არის დმერთი, სად არის სამართალი?!
35. სად არის ქვეუანა, სად არის სამართალი?!
36. სველი ენა რას არ იტყვის!
37. სახელია, სახრავი კი არა.
38. სოფელი გაიქცეს, გაიქე; დადგეს — დადქი.
39. სიბერემდე სიქახლე გეწეროსო.

ტ

1. ტერტერ, ცოლსა გრთამენო, და ჭიმი ჰიტიო¹⁾).
2. ტუეებ-ტუეებაში ლევრელებს გაუთენდათ.
3. ტაში, ნინო, ბანი, მართა, თამაშობა გაიმართა!
4. ტაშტი გატედა, ხმა დიდი გავარდა.
5. ტეეში არ წახვიდე!
6. ტეუილი კაცს შეარცხვენს.
7. ტეუებ-ტეუებით ზატარძალი დაოქსულდაო.

უ

1. უფალო! ჩხიკვი მოკვდაო. — თქვენმა მზემ, მე დაბადებაც არ შე-
მიტყუიაო.
2. უხეირო ბუზი ფილტვს დააჯდება.

¹⁾ ჭიმი ჰიტიო — სომხურად ნიშნავს: მეც ეგ მინდაო.

3. ურიგო ტირილი მკვდარს ფეხებს გააქნევინებს.
4. უხნავ-უთესი კაცი ღმერთს ემდურება.
5. უგვარო გლეხსაო თავში დაარტყმენ მესხსაო.
6. უგვარო ცხენსა ნუ აჭმევ ქერსაო.
7. ურიამა თქვა: ღმერთო! ჩემს შვილს, ზირგელად საქმეზედ რომ დადგება, ხელს ნუ მოუშრთავ, თორემ წაქეზდებაო.
8. უთებსო ტყუილია.
9. უნახვმა ნახაო, ცხრა შთა გადალახაო.
10. უნამუსო ვირზე შესვეს: ჭახი, არაფერიო (ანუ: ჭახი, ჭახის იახლოდაო).
11. უნიფხოსა ნიფხავს ჭხდიდნენ, რაც არ ეცო¹⁾, რას გაჭხდიდნენ.
12. უჩუმარი ქამანდი იცის.
13. უდელოდ დარჩება.
14. ურმითა ჭდევს კურდღელს.
15. უგვდავ-უბერებელი არავინაა.
16. უმატრონო ეკლესიას ეშმაკები დაემატრონებინ.
17. უგლოვ ვარდი ვის მოუწვევტია?

ფ

1. ფაცხამც იუოს, შიგ რამც იუოს.
2. ფია-ფუა უმაწვილსა, დიდი ლუკმა დედასა.
3. ფური მოკვდა, ხანულობა გადავარდა.
4. ფთხილი მელა ორივე ფეხით გაუმეხა.
5. ფურმა იწველა, იწველა, ჭკრა წინელი და სულ დაღვარა.
6. ფეხები უკანა რჩება.
7. ფეხები ფაფისა აქვს.
8. ფაფა კარებამდინაო.

ქ

1. ქვაცა აქვს და კაკალიცა, თავში შემოსაკრავიცა.
2. ქვა აქვს და კბილი ეწვალის.

¹⁾ ეცო—ეცვა.

3. ქმარი ლსქსრს იყო და ცოლი ამბავს ეუბნეოდაო.
4. ქალო, შენი სილამაზე, იცოდე, რომ არ შეკრჩება.
5. ქონებაუ, სად მიხვალო?—და საცა ბეგრია, იქ მივალო.
6. ქალი ქმარსა სწუნობდა, იყო მის სინამარა¹⁾.
7. ქმართან დიდი ლუგმა შეჭამე, მაზლთან ზატარა.
8. ქალი ქრმითა, ცხვარი მითია.
9. ქალი თმითა, ცხვარი რქითა.
10. ქალი ქებით გათხოვდება, რძალი ვის უნახავს კარგი?
11. ქუნილით წვიმა არ მოვა, ხმა დაგდებითა ლსქსარი.
12. ქუდი დადე და სამართალი ისე გასჭერ.
13. ქათამმა თქვა: მარლს ღვღლის ცოლის მეტი ვერავინ მომს-
წრობსო.
14. ქვეითი²⁾ ცხენიანს დასცინოდაო.
15. ქვიდან გამოძვრა, სინში შეძვრა.
16. ქჩალი კაი ექიმი იუოს, თავის თავს მოარჩენს.
17. ქოფავმა ძაღლმა რომ კერდღელი მოგიბრუნოს, დაჭერაში ჩა-
მოერთმევაო.
18. ქვრივი დედაკაცივით წუწუნებს.
19. ქვეუნაა და სამართალი.
20. ქათამივით ორი ფეხი აბია.
21. ქვეუნა ჩალით ხომ არ არის დახურული?
22. ქუდი მტვრიანი მანახეს და სახელი „მეწასქვილე“ დამარქვესო.
23. ქრისტე ღმერთი დადაოდა, რათ იცნესო?—და ჭკვით იცნესო.

ღ

1. ღორსა სიმიბდი გინდა ქჩოში, გინდა ცხრა მთას იქით.
2. ღვღელო, ტაბლა მოაქეთო.—მე რაო?—შენთან მოაქეთო.—
შენ რაო?
3. ღმერთი დაბერებულა, უნდა გამოცვალათო, უთქვამს ქიზიუელს.

¹⁾ სინამარა—ანაბარა, ამარა.

²⁾ ქვეითი, ან ქვევითი—ფეხით მიმავალი.

4. ღვდელს ჭილობშიაც იცნობენ.
5. ღვთის წყალობას ვერ გტყვი, ისეთი კაცია.
6. ღმერთი ჭკუით იცნეს.
7. ღორივით მადლს ვერ აიხედავს.
8. ღმერთმა ქნას, თქვენს თხას ტყუები მოგოს.

ჟ

1. უვაგს შავარდნადა ზრდიდნენ, იმას ისევ „ურუნტ-ურუნტ“ გაუდიოდაო (ანუ: ის ისევ „ურუნტ-ურუნტს“ იძახოდაო).
2. უველამ გულისთ იხარა, ცეცხლმა კი არა.
3. უბედი ვინ მოღალა? და მუნჯმაო.
4. უველი და ჰური—კეთილი გულიო.
5. უველასთან ქურდი ვარ, შენთან სწორე ვარ, თათრისა არ იყოს.
6. უველას თავის დრო აქვს, უველას თავის ვადა აქვს.
7. უოველ კაცს ერთი რამ შნო აქვს.
8. უოველ კაცს ერთი რამ წუნი აქვს.

ზ

1. შინ კატა ვერას შეუჭამს, გარეთ ძაღლი.
2. შენს სულგრძელობას ჩემი დღეგრძელობაც უნდა მოსდევდეს-და!
3. შუაკაცის¹⁾ გული ხალვათიაო.
4. შავ ღორას გინდა აღმა ჩაჭუხანე, გინდა დაღმა.
5. შენს მუცელში ქორწილია, ჩემში ნიშნობაც არ არი.
6. შენ რომ სქელი ტანი გქონდეს, ჩემმა შეიდიშმა რა ქნასო.
7. შვილი მამასა შვილის გაკეთებას ასწავლიდაო.
8. შინაური ქალი ელამია.
9. შენ ვინა გკითხავს ბარი ათ შაურად, თოხი სამ აბაზადაო.
10. შიშველი ასთ ცარცვეს, ცარცვეს, ვერ გაცარცვეს.

¹⁾ შუაკაცი—შუამავალი.

11. შიშველი ასჯერ გაცარცვიანო.
12. შინ რომ უმაწვილებს ჭშიოდეთ, გარეთ ტაბლას რა უნდაო (ანუ: რა ხელი აქვსო).
13. შენგან არ მიკვირს?!
14. შორს მოუარე, შინ მშვიდობით მიდი.

ჩ

1. ჩემს დღეში რომ სხელი ვაკო, შიგ როდისღა შევიდეთ.
2. ჩხირი კედელს!
3. ჩიტო ნარზუდ¹⁾ იჯდა და ბოლოს არიდებდა.
4. ჩემი ვირი კი მოკვდა და ეს ქალაქი რილის ქალაქიაო.
5. ჩემმა ენა ტიტამა თავში მდრიკაო.
6. ჩემმა გაჭირვებამ დიბა-სტაურა ატლასი მაცვეთინაო.
7. ჩემი შეჭედელი ხატის ამბავი მე უფრო ვიცი.
8. ჩემი არ გითხრა, გული რით დაგწო.
9. ჩენი წველა ტალივითა, მეზობლისა წყალივითა.
10. ჩაილულის წყალი დალია.
11. ჩიტის სკლინტი აბაზიანი ჭგონია.

ც

1. ცოლი გაეშო, ცოლის მამიდასა ჭეუარობდა.
2. ცხვარი რომ მობრუნდება, კოჭლი წინ მოექცევაო.
3. ცოდო—ჰატარძლია!
4. ცხრასი წელი, ვითარცა ერთი წამიო, უთქვამს ნატუსაღას²⁾.
5. ცეცხლი და ნავითა!
6. ცოდ-ქმართ გამერკლია!
7. ცრუ და მავნე შეიყარა.

¹⁾ ნარი—ეკლიანი ბალახი.

²⁾ ნატუსალა—„დაბადების“ მათუსაილი.

8. ცხენს ვერა დააკლიან რა, უნაგირს გადასწვდიანო.
9. ცხვირ ზევეით არ აიციდენს.
10. ცოტა რამ კვერის ¹⁾ დამკვერელის ხელშიაც არის.
11. ცარიელ ჯამში ხელს არ ჩაჭეოფს.
12. ცარიელ კაცს საბაჯოზე მიუხაროდა.
13. ცარიელი სახელია, სახრავი კი არა.

დ

1. ძმამ ძმის ხორცი ღოდნა და ვერ ჩაულაშა.
2. ძაღლს ძვალი არც ეთმობოდა, არც უხრობოდა.
3. ძმას ძმობილი რითა სჯობს, ძმაც არის და ძმობილიცა.
4. ძაღლი კოჭლობით არ მოკვდება.
5. ძაღლსაც დიდი გული აქვს თავის კარებზე.
6. ძალი მოვიდა, სამართალი ბანში ავიდა.
7. ძაღლი ჰატრინს ვერა სცნობს.

ვ

1. წადგა მშიერი და ვერა ტიტველი.
2. წმინდი-გიორგის ცხვრისთვის მგელს თვალები სცვიოდაო.
3. წელიწადმა მოიტანა, ზეპულები წაიკიდნენ.
4. წული წულია, წულსაც მოტანა უნდა.
5. წულნი წაღუნ და წამოღუნ, ქვიშანი დარჩებიანო.
6. წითელი ვაშლი, შენ გესერი, თეთრო, შენ ჩამოჭვარდები.
7. წინანი—უკანა, უკანანი—წინაო.
8. წასვლა სჯობს წამავალისა, არ დახანება ხანისა.
9. წითელ კიდობანში შეინახა (ე. ი. შეჭამა).
10. წითელი ხარო, ვერ შესძლებ შავი კამეჩის ბრძოლასა.
11. წვევლა უწვევარი არ არის და ლოცვა უღოცველი.
12. წვევლა მწვევარსა.

¹⁾ კვერი—ჩაქუჩი.

13. წართვის სუფრაც მოკბეზრდება კაცსა.
14. წითელი კვერცხი აღდგომისთვისაო.
15. წმინდა აზნაურშილია (არაფერი არ ახადიაო).

ჟ

1. ჭკუამ მოჭამა სოფელი, ვერც ხმაღმა ამოღებულმა.
2. ჭიანჭველას თვალები არა ჭქონდა და ღმერთს ეხვეწებოდა, ფრთები გამომასხიო.
3. ჭკუას ძაღს ატანს.
4. ჭირისუფალი არა ტირის, მოტირადს რა ატირებსო.
5. ჭირთ, შეზობელთასაო.
6. ჭირი და ღვინი ორივე ძმები არიან.

ხ

1. ხეკაკუნისა¹⁾ კაკუნი ბევრი გამოგონია, გათლილი ხე კი არ მინახავს.
2. ხატს შეეპუე, თავისი თავი ცხოველი ეგონება.
3. ხუცესმა უთხრა ხუცესსა: ალაში არის რუსეთსაო. — არ შეშორება-კია, თუკი არ მეჭორებაო.
4. ხუცესმა უთხრა ხუცესსა: ქორწილი არის რუსეთსაო. — შორი არ არი, თუ ჭორი არ არიო.
5. ხმა და რიხი როსტომს გიგავს, ტანადობა ტარიელსა.
6. ხარი სხვისა, სახრე ტუისა, დაჭკარ და გააწევინე.
7. ხემა თქვა: მე ცუელი ვერას დამაკლებს, ჩემი გვარისა რომ შიგ არ ეჩაროსო.
8. ხელი ფათასა! (ე. ი. ხელი არ ახლოო).
9. ხარი ხართან დაბი, ან ფერს იცვლის, ან ფნესაო.
10. ხვადაც ამ თვისსა.
11. ხელი ხელსა ჭბანს, ორივე ხირსა.

¹⁾ ხეკაკუნა—კოდალა.

12. ხობობივით თავსა ჭმაღავს, ბოლოსა ჭშლის.
13. ხილი ჭამე, მეხილეს რას ჭკითხულობო?

ჯ

1. ჯერ არ ვარგა ნავში ჯდომა, მერე მენავესთან ბრძოლა¹).
2. ჯერ დედის ხსენი არ შეჭმრობია.
3. ჯერ აკიდებულს არ უგლია.

სამეურნეო ანდაზები.

1. მამულ-მორეულს მტერ-მორეული სჯობია.
2. ჰატივმა თქვა: ერთსა ორად კი ვერ გავხდი და ორს კი დავამჯობინებო²). (ზოგი იტყვის: და ერთს კი დავამჯობინებო).
3. მიწას მიწა დააყარე, ჰატივად დაედებო.
4. მიწა იოხან ნაგზაური, ყანა მოვა აზნაური.
5. ცოტა და კარგი ნახნავი სჯობს ბევრსა ხარვეჯიანსა³).
6. ყანა უფრო კარგი მოვა ნაღრისაგან ნაზურგზეა.
7. ანეული—არეული, ფეტვი ზეზე მოხნული⁴).
8. მიწამ ყანა გაგვიკეთოს—ნუ ჩამოკვიდები, მოგიცდინოს—ნუ შემოსწერები.
9. შეიღს მაისს რომ შეიდი ძირი ყანა იდგეს, ნურც აქებ და ნურც ასებ⁵).
10. შენ რას იკვირი, მამულო, ყანა ამინდის შეიღია.

¹) ჯერ არ უნდა ჩაპჯდე ნავში და თუ ჩაპჯდები, მენავეს არ უნდა ეჩხუბო, თორემ გკრავს ხელს და წყალში გადაგადგდესო.

²) ე. ი. ერთს რიცხვით ორად ვერ ვაქცევ, ღირსებით კი ორს დავამჯობინებო.

³) ხარვეჯი (ქართლში იტყვიან—ხარვეზი, ფშავში—ხავეზი)—ნახნავში რომ მოუხნავად აღგილი დარჩება, იმასა ჰქვიან.

⁴) იგულისხმება: უნდაო.

⁵) იგულისხმება: ყანასა, ანუ მოსავალსაო.

11. უნამა თქვა: ახრლში ფეხი ავიდგი, მასში თავი წავისხი, თი-
ბათვეში გული ჩავიდუ და კათათვეში მოვიმკეო.
12. ჭოი, უნაო, უნაო, შენ აქ რამ მოგიუყანაო?
— ხარმა მხნა, კაცმა დამთესა, მეუთემ მომიუყანაო.
13. გამარჯვებულმა გუთანმა 'ამოცი ') კვალი მოხნაო.
ან ხარმა როგორ შეიძლო, ან მეხრემ, ან გუთნის-დედამ რა ქნაო!
14. აჩემ 2) უთხრა გუთანს: გუთანო, ზური მიტეხეო.
— აჩეჩე, მაშინ სად იუავ, მე რომ უამირი გავტეხეო.
15. გუთანს მომეტებული ხარი, წისქვილს მომეტებული წყალი არ
მოსჭარბებდა.
16. მტერს— ხმალი, ვაჭარს— თეთრი, წისქვილს— წყალი, გუ-
თანს— ხარი 3).
17. მოკლე მიწა თვალს ასარბებს, გქელი მიწა ორმოხსაო.
18. მიწას უთქვამს: ცუდად მომხან, კარგად დამოარცხეო.
19. გვიანა ნათარცხი რომ გაგიკეთდეს, შვილს ანდერძად ნუ დაუტლებ.
20. ოცსა (ენკენისთვეში) ზოგი (თესლი) უნდა ჩადიოდეს, ზოგი
ამოდიოდეს.
21. ქერმა თქვა: ლაუში ჩამთალ, — ხოფში 4) ჩაკულამო 5).
22. კაბდომ იცის სამართალი: მალაღს-დაბაღს გაასწორებს.
23. ნახნავი ასეთი უნდა, თვალი ვერ გადაგიწვდესო,
გაკეთებულსა ვენახსა ხალიჩაც გადაგიწვდესო.
24. ვაზმა თქვა: ნეტავი მე რომი უვაჯილში შევიდუ, ჩემი ჰატრონი
ავად გახდეს: ვერც თითონ შემოვიდეს, ვეღარც სხვა შემოი-
უყანოსო.
25. ნაწვენი შემოდგომისა, ნაბარი გაზაფხულისა 6).
26. კარგი ხარ, კარის მამულო, რომ არა გჭამდეს ქათამი.

1) ზოგი იტყვის: სამასი კვალი. ჩვეულებრივი გუთანი ჰხნავს
22—30 კვალს.

2) აჩეჩა—სახენელი, ორხელა.

3) იგულისხმება: უნდაო.

4) ხოვი—ხვავი.

5) ე. ი. ქერი სველ მიწაში უნდა დაითესოსო.

6) იგულისხმება: უნდა.

27. ვენახში შეხვალ—შეგვეება, გამოხვალ—გამოგვეება.
28. წისქვილი სჯობს ვენახსა, რა გინდ წვრილად დაიფქოს.
ახა მალაზარაკე, სიტევა სწორედ გაიგე.
29. სავსე ქვევრზე ბამბის ქულასაც არ დახვლიან.
30. თივა მთისა სჯობს, რეგვენო, ჰური და ღვინო ბარისა.
31. ძველი თივა ცუცხლია, ძველი ბზე - ვერცხლია.
32. სოლი - სამის წლისა, მორგვი—სამის დღისა, იერსო მის-
ჭერ და ჩამოაგდე.
33. ფუტკარი ასი თვალი გვეანდეს—ერთი თქვი და ერთი გვეან-
დეს—ასი თქვი.
34. ხბო უნდა თებერვალისა, ციკან-კრაფი მარტისა,
თუ რომ სადმე გაიზრდება, ტახი იანვარისა.
35. კაი მუშა და მძლე ხარი სადამო ხანს მოუმატებს.
36. ხარმა თქვა: ხარი ვერ მომკლავს,
თუ მეხრემ არ მილალატა,
თუ მეხრე შემხვდა ხეთიანი.
37. ხარმა თქვა: ხართან შემაბი, ხარულად გამაწვევინე,
ოღონდ ტოლს კი ნუ დამიდებ, დამკარ და გამაწვევინე.
38. ხარმა ხარს დაჰმატიჟა და თივა მიართვა.—ნარი კი არ ურევია
და რა გემო უნდა ჩავატანო!
39. კაი ხარი სახრეს არ დაიკრავს.
40. ბებერი ხარისა რქანიც ეწვეიან.
41. ხარი მჭლე, ორმო მსუქანი¹⁾.
42. ერთის წლის ბერწობით ფური არ დაიკვლის.
43. კამეჩმა ჰკითხა კამეჩსა: მინდორში იუაფი და როგორი ბალახიაო?
— ჭიანჭველა დაიმალებაო.—ოჰ, მამ გემო აღარ ექნებაო.
44. კამეჩმა თქვა: რაკი ბალახში ჭიანჭველა დაიმალება, გემო წაუვაო.
45. კამეჩსა კალანჩით ბზე არას უზამსო.
46. თუ გინდა რომ ფაქი კარგი კამეჩი დადგეს, საჯდომში²⁾ ნუ
შეაბამო.

¹⁾ იგულისხმება: უნდა.

²⁾ საჯდომი იმ უღელსა ჰქვიან, რომელზედაც მეხრე დაუჯდება
ხოლმე.

11. უანამ თქვა: ახრილში ფეხი ავიდგი, მაისში თავი წაყისნი, თი-
ბათვეში გული ჩაყიდუ და კათათვეში მოვიშვეო.
12. ჰოი, უანო, უანო, შენ აქ რამ მოგიყვანაო?
— ხარმა მხნა, კაცმა დამთესა, მეუფემ მომიყვანაო.
13. გამარჯვებულმა გუთანმა 'ამოცი ') კვალი მოხნაო.
ან ხარმა როგორ შეიძლო, ან მეხრემ, ან გუთნის-დედამ რა ქნაო!
14. აჩეჩამ ²⁾ უთხრა გუთანს: გუთანო, პური მიტეხეო.
— აჩეჩავ, მაშინ სად იყავ, მე რომ უამირი გავტეხეო.
15. გუთანს მომეტეპული ხარი, წისქვილს მომეტეპული წყალი არ
მოსჭარბდება.
16. მტერს— ხმალი, ვაჭარს— თეთრი, წისქვილს— წყალი, გუ-
თანს— ხარი ³⁾.
17. მოკლე მიწა თვალს ახარბებს, გძელი მიწა ორმოსაო.
18. მიწას უთქვამს: ცუდად მომხან, კარგად დამფარცხეო.
19. გვიანა ნათარცხი რომ გავიკეთდეს, შვილს ანდერძად ნუ დაუგდებ.
20. ოცს (ენკენისთვეში) ზოგი (თესლი) უნდა ჩადიდეს, ზოგი
ამოდიოდეს.
21. ქერმა თქვა: ღაფში ჩამუფა, — ხოფში ⁴⁾ ჩაკუფამო ⁵⁾.
22. კაბდომ იცის სამართალი: მაღალს-დაბალს გასწორებს.
23. ნახნავი ასეთი უნდა, თვალი ვერ გადაგიწვდესო,
გაკეთებულს გენახს ხალიჩაც გადაგიწვდესო.
24. ვაზმა თქვა: ნეტავი მე რომ უვაფილში შევიდე, ჩემი ჰატრონი
ავად გახდეს: ვერც თითონ შემოვიდეს, ვეღარც სხვა შემო-
ვიანოსო.
25. ნაწვენი შემოდგომისა, ნაბარი გაზაფხულისა ⁶⁾.
26. კარგი ხარ, კარის მამულა, რომ არა გჭამდეს ქათამი.

¹⁾ ზოგი იტყვის: სამასი კვალი. ჩვეულებრივი გუთანი ჰხნავს
22—30 კვალს.

²⁾ აჩეჩა—სახუნელი, ორხელა.

³⁾ იგულისხმება: უნდაო.

⁴⁾ ხოფი—ხვავი.

⁵⁾ ე. ი. ქერი სველ მიწაში უნდა დაითესოსო.

⁶⁾ იგულისხმება: უნდა.

27. ვენახში შესვალ—შეკეება, გამონვალ—გამოკეება.
28. წისქვილი სჯობს ვენახსა, რა გინდ წვრილად დაიფქოს.
აბა მალაპარაკე, სიტუვა სწორედ გაიგე.
29. სავსე ქვევრზე ბამბის ქულასაც არ დაახლიან.
30. თივა მთისა სჯობს, რეკვენო, ჰური და ღვინო ბარისა.
31. ძველი თივა ცეცხლია, ძველი ბზე – ვერცხლია.
32. სოფი – სამის წლისა, მორგვი—სამის დღისა, ფერსო მის-
ჭერ და ჩამოკლე.
33. ფუტკარი ასი თვალი გეგანდეს—ერთი თქვი და ერთი გეგან-
დეს—ასი თქვი.
34. ხბო უნდა თებერვალისა, ციკან-კრავი მარტისა,
თუ რომ სადმე გაიზრდება, ტახი იანვარისა.
35. კაი მუშა და მძლე ხარი სადამო ხანს მოუმატებს.
36. ხარმა თქვა: ხარი ვერ მომკლავს,
თუ მეხრემ არ მიდალატა,
თუ მეხრე შემხვდა ხეთიანი.
37. ხარმა თქვა: ხართან შემაბი, ხარულად გამაწვეინე,
ოდონდ ტოლს კი ნუ დამიდებ, დამკარ და გამაწვეინე.
38. ხარმა ხარს დაჰმატიჟა და თივა მიართვა.—ხარი კი არ ურევია
და რა გემო უნდა ჩავატანო!
39. კაი ხარი სახრეს არ დაიკრავს.
40. ბებური ხარისა რქანიც ეწვეიან.
41. ხარი მჭლე, ორმო მსუქანი¹⁾.
42. ერთის წლის ბერწობით ფური არ დაიკვლის.
43. კამეჩმა ჰკითხა კამეჩსა: მინდორში იუავი და როგორი ბალახიაო?
— ჭიანჭველა დაიმალებაო.—ოჰ, მაშ გემო აღარ ექნებაო.
44. კამეჩმა თქვა: რაკი ბალახში ჭიანჭველა დაიმალება, გემო წაუვაო.
45. კამეჩსა კალანჩით ბზე არას უზამსო.
46. თუ გინდა რომ ზაქი კარგი კამეჩი დადგეს, საჯდომში²⁾ ნუ
შეაბამო.

1) იგულისხმება: უნდა.

2) საჯდომი იმ უღელსა ჰქვიან, რომელზედაც მეხრე დაუჯდება
ხოლომე.

47. ცხენი მწოლიარე, ხარი მდგმოიარე¹).
48. ქორთღლიმ თქვა: უარაიის მინდორი კარგ ცხენს ეუოთა ერთ გაჭენებაზედაო.
49. ქორთღლის ჰკითხეს: კოჭ-მაღლი ცხენი სჯობია, თუ კოჭ-დაბალიო?—კოჭ-დაბალიო.—მაშ როგორ უოთუილა, რომ კოჭ-დაბალს უჯობნიაო?—ნაბიჯი დიდი ჰქონიაო.
50. კაი ცხენი მათრახს არ დაიკრავს.
51. ბებური ცხენის თავი იერუსალიმში ცხრა ჯაჭვით აბია.
52. უგვარო ცხენსაო ნუ აჭმევ ქერსაო.
53. ქალი ქრითა, ცხვარი მთითა (ანუ რქითა).
54. ცხვარმა თქოო: ღმერთო, ჩემს ზატრონს ისე ნუ გადარიბებ, რომ შემოდგომასე მუცელი გამიზარსო, და ნურც ისე გამდიდრებ, რომ გაზაფხულზე არ გამიზარსო.
55. ცხვარი შევიდა სახლში, დაინახა სიღარიბე და უთხრა: ადუ სიღარიბეე, ამ სახლიდან გამეცალეო. სიღარიბემ უზასუხა: ცალ მხარეზედ მე დავდგები, ცალ მხარეზედ შენაო.—არაო, სულ უნდა დამიცალეო.—მაშ ერთი უნჭული მაინც დამანებე, რომ მივიუნჭოო.—არა, არა, ვერც ერთს ვერ დავანებებ, სულ მე მინდაო.—რათ გინდაო?—აი ამისთვის მინდაო: ცალ უნჭულში მე უნდა დავდგო, ცალ უნჭულში ბატკანს დავაუენებო; ცალ უნჭულში მატული უნდა დავდო და ცალშიაც ვეელიო.—მაშინ კი გაეცალა სიღარიბე.
56. მარტი კარგად გასულა და ერთს მეცხვარეს ბღავანი არ დაჰკლეუბია. მეცხვარეს დაუკეხნაა:
 „ისე გავიდა მარტო,
 ვერ მოკლა ციკნის ბღარტო!“
 მარტს მოუვიდა მეცხვარეზედ ჯაფრი, წავიდა გაჯაფრებული და სამი დღე ისესხა თებერვლისაკან²). იმ სამს დღეს მარტმა ააყენა საშინელი ქარიშხალი, თოვლ-ჭყაპი და ბუქი.

¹) ე. ი. კარგია, რომ ცხენს წოლა უყვარდეს, ხარს—დგომაო.

²) ამისათვის აკლია თებერვალს დღეებიო. ზოგი იტყვის ხოლმე: აპრილისაგან ისესხაო.

მეცხვარემ ვეღარ გაუშო ცხვარი ფარესიდგან და შიმშილით ეხოცებოდა. მაგრამ აი რა მოახერხა მეცხვარემა: ერთი კატა ჰქვანდა, ჩამოჰკვიდა ის კატა ფარესის შუა ბოძზედ, ტრიალებს ეს კატა და ჩხავის. ცხვარმა კატას დაუწყო უურება: იმ სამს დღეს თვალი არ მოაშორა, ამ უურებაში გაერთო, აღარ ამოი-ცოხნა, აღარ მოიშვივა და უზარალოდ გამოვიდა. მეცხვარემ აჯობა მარტსა.

57. ღორმა თქო: თუ შემინახავ, მეც შეგინახავ, თუ არ შემინახავ და აღარც მე შეგინახავო.
58. ღორმა თქო: დამკალ და დამათასყო.
59. ერთ კაცს გაუგზავნია მეორისთვის კაცი: კაი ჯილაგის ღორი გუაუს და გამიცვალო. იმას ერთი ხელსახოცი სიმინდი გაუგზავნა: აი ეს აჭამე და შენც კარგი გეყოლებო.
60. ღორსა ჭერო უსველდებოდეს, გავა უსჭელდებოდეს.
61. გიორგობულა¹⁾ გოჭიო—გაზაფხულზედ ღორიო.
62. გოჭსა სიმინდი ერთი კოდი უნდა გაუთავდესო²⁾.
63. ღორი საღორეში არ შევა, სინამ ზურგზედ თოფლი არ დაუდინებო.
64. სამი დღის გოჭი სამი დღის სავალზედ წავაო.
65. ღორმა მოგება იცის კოჭამდის, ზარალი ეელამდის.

ანდამები ამინდსა და დრომზე.

1. ახალ-წელიწადს დღესა ვირმა ბაგაზე შეატეო, რომ დღეს მოემატეო.
2. თებერვალი დადგა, ხეში წვალი ჩადგა, ჩიტმა-ჩიორამა საძირკველი გადგა.
3. თებერვალში დღეს იმდენი ემატება, რასად ბიჭი-ბატკანი გადახტება.

¹⁾ გიორგობულა გოჭი—გიორგობისთვის გოჭსა ჰქვიან.

²⁾ სიმინდის ჭამას რომ დააწყებინებენ, იმ დროდამ, ვიდრე გოჭი მინდორზე გავიდოდეს.

4. ბზობას და ადღგომას ერთნაირი დღე იცის.
5. გაზაფხული არ დადგება, სინამ გურჯი ძვალს არ გასტყვისო, უთქვამს ფათარს.
6. მარტი რომ წინ გედოს, ხაშთარს ნურც აქებ და ნურც აძაკებ.
7. მარტი ვარ ქალი ლაშაზი, დღეში ცხრაჯერ მოვირთვები.
8. დღე გრილი შემოდგომისა, დამე ბნელია, ტიალი.
9. ქრისტეშობისთვის თოვლი — გამოსული ღორი.
10. ბედნიერს უთოვლდეს (ანუ უწვიმდეს), უბედურს უქროდეს.
11. სინამ ღვდელი ჩაიცომს, ცაც შეიმოსება.
სინამ გაიხდის, ცაც გადიურის.
12. ცის ქლეა და დედაკაცის მუცლის ტკივილი ერთია.

გ ი მ მ რ ს ტ შ უ ლ ი: ლ მ ე ს მ ბ ი - ს ი მ. ლ მ რ მ ბ ი

(შეკრებილი აფრასიონ ჯაფარიძის მიერ).

I

დიგორსა დასხდენ დიდი ვე-
რჩეული ბადელუანი, [ზირნი
მათ გამორჩევა შეეჩნათ:
ღები¹⁾ გეუავს საქონლურნი.
გზანი და გზანი არჩიეს
საფადად კირტიშანი²⁾,
კირტიშოს რომ ჩამოვიდენ,
გზანი დაუხვდათ წელიანი, —
წელიანი, ტალახუანი.
ზემართით კაცი მთვიდა,
რომელს გაგნია ჭქვიანო,
ფიცხლავ შინისკენ გაფრინდა,
ვით შავარდენი. ფრთიანი,

ცინის სადგურას გავიდა,
მალლა დაიწყო ხმინი:
ვაყებო ფრთხილად იეგენით,
საქმიე, დალატურნი.
ჭვემართით ვაუნი მოვიდენ
შეკაზმულ ჯაფარუანი;
თან ახლდათ გამურელუანი.
გამურელისკა აქებუნ,
რომელს იასე ჭქვიანო,
ფრანგული ხრმალი გასტყვა,
სისხლი უუას აცხიანო.
გაუბედურდენ ოსები,
ღორის ხათხარში ჭყრიანო.

¹⁾ ღები — სოფელი ²⁾ კირტიშო — ადგილის სახელია.

გიჟობდა ჯანსოფიდან,
არ წასრულიყო. დედასა,

გეჟამის ქერის ქარჯინა¹⁾,
ქვე მოსდგომოდე ცხვრებსა.

II

მადლა მთას, მოდგა
უცხო ფრინველი
თეთრი ფრთიანი.
ქლეკეს²⁾ ჩამოდგა
დიდი ღაშქარი,
დიდი ღაშქარი—ოსი და დეაღი.
ომი შეიქმნა ცისკრისა ჟამსა,
ცისკრისა ჟამსა, გათუნისა:
ქნევა ხმალისა, ძეგრა შუბისა.
ხმალი ორ ზირო სისხლში-სტურავდა,
შუბის ხალეწი ზეცას ცვიოდა,
მესამე დღეს ჩამოცვიოდა.
ვაჟკაცთ უვირილით მიწა იძროდა,
სისხლისა ღვარსა კაცნი მოჰქონდა.
ჯათარ გაიქცა, ვით რამ კაკაბი,

ოსი მოსდევდა, ვით რამ არწივი.
ჯათარ, ვერ წახვალ
შინა მშვიდობით,
ცოლს ვერ მიუტან
ღაშქრულს ანბავსა,
ღაშქრულს ანბავსა, წითელ კაბასა.
სიტყვა გათავდა, ჯათარ წაიქცა,
ჯათარ წაიქცა სვეტი ოქროსი.
ომი გათავდა, ომი გათავდა,
აკერ მოდიან მოწითულეზო.
ჯათარ მთაუფე:
თავი გოდრითა,
ტანი ღასტითა,
წვრილი წელეები—
ხელკადათითა.

III

ადგომის სიმღერა

ქრისტე აღსდგა, გვიხაროდეს!
მადლი მახრობელსაო.
რომელსა და რომელსაო?
ჩვენსა მახრობელსაო.
გაიხაროს უოვლმა სულმა,
უოვლმა სულმა—სულეირმა—

სულ უველამ გაიხაროსო.
ჭინჭველა ფოლადრცისმა,
იმანაც გაიხაროსო.
გუშინ ბიჭმა დედა-ბოძმა
ზეცის კარი გადარა—
ტანსა ეცვა თეთრი ჩოხა,

1) ქარჯინა—პური ოსურათ—ქერის ფქვილისაგან გამომცხვარი პური. 2) ქლეკე—სოფელია ოსებში.

ქუდი მოეყარდინა.
 ნიაგმა შეურხიათ.
 ნიაგ-წვრილი მზეს ჭეგარობს
 და ქარ-ბუქი ავსა დარსა.
 ავსა დარსა წვიმიანსა
 კარგი დარი გვირჩეუნია.
 ავსა კაცსა ბიწიერსა

სათნო კაცი გვირჩეუნია.
 ბერსა ქალსა ბებერასა
 ხალგაზრდა გვირჩეუნია.
 გვირჩეუნია, გვირჩეუნებია.
 დიდსა ქვეყნსა ცარიელსა
 ჰატარ საფსე გვირჩეუნია.
 გვირჩეუნია, გვირჩეუნებია.

IV

ქალსა ვისმე ერქვა შრუშანა,
 ხუთსა თითსა ეცვა ბეჭედნი.
 ბეჭდის თვალსა მოლი მოსრულა.
 მოლთა შუა ნაძვი ასრულა.
 ნაძვის წვერსა ქორს ბუდე ედგა,
 ბუდე ედგა აბრეშუმისა,
 კვერცხი ჰქონდა იაკუნდისა.
 შვილი ჰყავდა მარგალიტისა.
 ღმერთო! ერთი ჩემთვისა გაზარდე,
 გაზარდე და კარგად მიმოუფე,
 სანადიროს გზა გაუწაფე.

ვისადილე, ვისადილე—
 ნასადილეგს მოგვალ ირემი.
 — ჩემო ცოლო, ხოხობო ჭრელო,
 ამ ირემსა ბეწვი წაჭკლიჯე,
 შენ იმისი ჩოხა დამირთე,
 რა გადარჩეს— წინდა-ჰაიჭი.
 — ჩემო ქმარო, ღამო და გმირო,
 ალვის ხესა ტოტი მოსტეხე,
 შენ იმისი სხელი დამიდგო,
 რაც გადარჩეს— წისქვილ-ბუდელი.

(ვარიანტი, ჩაწერილი დ არაყიშვილის მიერ. Народные пѣсни
 Западной Грузии, стр. 122).

ქალსა ვისმე ერქვა შრუშანა;
 ხუთსა თითსა ეცვა ბეჭედი.
 ბეჭდის თვალსა მოლი მოსრულა;
 მოლის ჰინსა ბოსტანა იდგა;
 ბოსტანასა ნაძვი ასრულა;
 ნაძვის წვერსა ქორ-ბუდე იდგა;
 ბუდე იყო აბრეშუმისა;
 კვერცხი ედგა იაკუნდისა;
 შვილი ჰყავდა მარგალიტისა.

ღმერთო! ერთი ჩემთვისა გაზარდე,
 სხვა ათასი სხვისთვისა გაზარდე, —
 გაზარდე და გზა გაუწაფდე,
 სანადიროთ წასუფიუოს,
 მოკლას ირემი,
 მოიკიდოს, შინ წამოიღოს.
 ჩემო რძალო, ღერწამ ტანისა!
 ამ ირემსა ბეწვი წაჭკლიჯე,
 ამ ბეწვისა ჩოხა და შართი.....

(ამავე ლექსის ვარიანტი, სვანეთში ჩაწერილი ზ. ფალია-
შვილის მიერ).

ქალსა ვისმე ერქვა შურშანა; ნაძვის წვერსა ქორს ბუდე ეკო—
ხუთსა თითსა ეცვა ბეჭედი, ბუდე იუო აბრეშუმისა;
ბეჭდის შუა ბოსტანა იდგა, კვერცხი ჭქონდა მარგალიტისა,
ბოსტანას შუა ნაძვი ასრულა; შვილი ჭყავდა იაკუნდისა.

ხ ა ლ ხ უ რ ი ლ ე ქ ს ი ბ ი

(სამეხსეთოში შეკრებილი ვინმე მესხის მიერ).

მკითხავი, მოპასუხე და დამსწავლი,
ეს სამნი ამხანაგნი არიან.

მოდო ვნახოთ ვენახი, რამ შეჭამა ვენახი?

თხამ შეჭამა ვენახი.

თხა, თხა, თხამ ვენახი შეჭამა.

მოდო; ვნახოთ თხა, რამ შეჭამა თხა?

მგელმა ჭამა თხა.

მგელი, მგელი, მგელმა თხა, თხამ ვენახი შეჭამა.

მოდო, ვნახოთ მგელი, რამ შეჭამა მგელი?

დათვმა ჭამა მგელი.

დათვი, დათვი, დათვმა მგელი, მგელმა თხა, თხამ ვენახი შეჭამა.

მოდო ვნახოთ დათვი, რამ შეჭამა დათვი?

თოფმა ჭამა დათვი.

თოფი, თოფი, თოფმა დათვი, დათვმა მგელი, მგელმა თხა,
თხამ ვენახი შეჭამა.

მოდო ვნახოთ თოფი, რამ შეჭამა თოფი?

ჟანგმა ჭამა თოფი.

ჟანგი, ჟანგი, ჟანგმა თოფი, თოფმა დათვი, დათვმა მგელი,
მგელმა თხა, თხამ ვენახი შეჭამა.

მოდო ვნახოთ ჟანგი, რამ შეჯამა ჟანგი?
მიწამ ჯამა ჟანგი.

მიწა, მიწა, მიწამ ჟანგი, ჟანგმა თოფი, თოფმა ღათფი, ღათფ-
მა მკვლედი, მკვლამა თხა, თხამ ვენახი შეჯამა.

მოდო ვნახოთ მიწა, რამ შეჯამა მიწა?
თავგამა ჯამა მიწა.

თავგი, თავგი, თავგამა მიწა, მიწამ ჟანგი, ჟანგმა თოფი, თოფ-
მა ღათფი, ღათფმა მკვლედი, მკვლამა თხა, თხამ ვენახი შეჯამა.

მოდო ვნახოთ თავგი, რამ შეჯამა თავგი?
კატამ ჯამა თავგი.

კატა, კატა, კატამ თავგი, თავგამა მიწა, მიწამ ჟანგი, ჟანგმა
თოფი, თოფმა ღათფი, ღათფმა მკვლედი, მკვლამა თხა, თხამ ვენახი
შეჯამა.

მოდო ვნახოთ კატა, რამ შეჯამა კატა?
მელამ ჯამა კატა.

მელა, მელა, მელამ კატა, კატამ თავგი, თავგამა მიწა, მიწამ
ჟანგი, ჟანგმა თოფი, თოფმა ღათფი, ღათფმა მკვლედი, მკვლამა თხა,
თხამ ვენახი შეჯამა.

მოდო ვნახოთ მელა, რამ შეჯამა მელა?
ძაღლამა ჯამა მელა.

ძაღლი, ძაღლი, ძაღლამა მელა, მელამ კატა, კატამ თავგი, თავ-
გამა მიწა, მიწამ ჟანგი, ჟანგმა თოფი, თოფმა ღათფი, ღათფმა მკვ-
ლედი, მკვლამა თხა, თხამ ვენახი შეჯამა.

მოდო ვნახოთ ძაღლი, რამ შეჯამა ძაღლი?
ვეფხუმ ჯამა ძაღლი.

ვეფხვი, ვეფხვი, ვეფხუმ ძაღლი, ძაღლამა მელა, მელამ კატა,
კატამ თავგი, თავგამა მიწა, მიწამ ჟანგი, ჟანგმა თოფი, თოფმა ღათ-
ფი, ღათფმა მკვლედი, მკვლამა თხა, თხამ ვენახი შეჯამა.

მოდო ვნახოთ ვეფხვი, რამ შეჯამა ვეფხვი?
ვიგრამ ჯამა ვეფხვი.

ვიგრი, ვიგრი, ვიგრამ ვეფხვი, ვეფხუმ ძაღლი, ძაღლამა მე-
ლა, მელამ კატა, კატამ თავგი, თავგამა მიწა, მიწამ ჟანგი, ჟანგმა თო-
ფი, თოფმა ღათფი, ღათფმა მკვლედი, მკვლამა თხა, თხამ ვენახი შეჯამა.

მოდო ვნახათ ვიგრი, რამ შეჯამა ვიგრი?

ლომმა ჯამა ვიგრი.

ლომი, ლომი, ლომმა ვიგრი, ვიგრმა ვეფხვი, ვეფხვმა ძაღ-
ლი, ძაღლმა შელა, შელამ კატა, კატამ თაგვი, თაგვმა მიწა, მიწამ
ჟანგი, ჟანგმა თოფი, თოფმა დათვი, დათვმა მკელი, მკელმა თხა,
თხამ ვენახი შეჯამა.

მოდო ვნახათ ლომი, რამ შეჯამა ლომი?

ხმაღმა ჯამა ლომი.

ხმაღი, ხმაღი, ხმაღმა ლომი, ლომმა ვიგრი, ვიგრმა ვეფხვი,
ვეფხვმა ძაღლი, ძაღლმა შელა, შელამ კატა, კატამ თაგვი, თაგვმა
მიწა, მიწამ ჟანგი, ჟანგმა თოფი, თოფმა დათვი, დათვმა მკელი,
მკელმა თხა, თხამ ვენახი შეჯამა.

მოდო ვნახათ ხმაღი, რამ შეჯამა ხმაღი?

ცეცხლმა ჯამა ხმაღი.

ცეცხლი, ცეცხლი, ცეცხლმა ხმაღი, ხმაღმა ლომი, ლომმა
ვიგრი, ვიგრმა ვეფხვი, ვეფხვმა ძაღლი, ძაღლმა შელა, შელამ კა-
ტა, კატამ თაგვი, თაგვმა მიწა, მიწამ ჟანგი, ჟანგმა თოფი, თოფ-
მა დათვი, დათვმა მკელი, მკელმა თხა, თხამ ვენახი შეჯამა.

მოდო ვნახათ ცეცხლი, რამ შეჯამა ცეცხლი?

წაღმა ჯამა ცეცხლი

წაღი, წაღი, წაღმა ცეცხლი, ცეცხლმა ხმაღი, ხმაღმა ლო-
მი, ლომმა ვიგრი, ვიგრმა ვეფხვი, ვეფხვმა ძაღლი, ძაღლმა შელა,
შელამ კატა, კატამ თაგვი, თაგვმა მიწა, მიწამ ჟანგი, ჟანგმა თოფი,
თოფმა დათვი, დათვმა მკელი, მკელმა თხა, თხამ ვენახი შეჯამა*).

ამიწანის ლექსი

სანადიროდ გაემგზავრენ ამიწან და ქმნი მისი,
მთას ირემი ჩამოუხტათ, ცქრო იყო რქანი მისი,
ამიწანმა ბოძალი ჰქრა, დაუკოდა მწარი მისი,
გაქტა და დაეღვენენ, სულ არ გაწედა კვალი მისი.

*) ეს ლექსი ვარიანტია უკვე ცნობილის და „ღელა-ენაში“ დაბე-
ჭდილის ლექსისა ბ-ნ ი. გოგებაშვილის მიერ. რედ.

ცხრა მთა გადაარბეინეს, მეთუ არს ასურისი,
 მინდარს ერთი კოშკი ჰქონეს, ცას სწვდებოდა წვერი მისი,
 კარ მოუარეს, უზოვნეს დაკლიტული კარი მისი,
 ამირანმა წიხლი დაჰკრა, შეამტვრია კარი მისი.

—

კარს უკანა მკვდარი ნახეს, თურმე იუო ადამ წლისი,
 ხელშიგანა წიგნი ჰქონდა, დანაწერი ქაღალდ მისი,
 წაიკითხა ამირანმა, შიგ ეწერა გვარი მისი,
 არც ისე დაკარგული ვარ, ძმის წული ვარ უსუბისი.

—

სანამ ვიყავ მტერი ვსრისე, მე არ წამუფა ჯავრი მისი,
 ერთი ბაუბაუ დევი დამრჩა, არ დამცაღდა მოკვლა მისი,
 ვინც რომ მე იმას მომიკლავს, ჩემი ხმალი იუოს მისი,
 ვინც ჩემს ცოლ-შვილს შკინახავს, ჩემი საყმომ ჰაღალ მისი.

—

შვილდ-ისარი ღახტ-ფართთა მიმიცია, იუოს მისი,
 კარებს უკან შუბი არის, იუოს ის შუბიცა მასი,
 უგელაფერი მიმიცია, ჯაღე-აბჯარიც იუოს მისი,
 უგელას ვალი გარდუხადე, წამყოლია არაფისი.

—

ამირანმა მოიხედა, მთანი გრგვინვამდენ, კიოდენ,
 დადგა მტვერა სსშინელი, სულ ქვა და ლოდი ცვიოდნენ,
 ამირანი შეიჭურვა, გამარჯვებისთვის ცდილობდნენ,
 მტერა მოადგა ანაზად, კოდალ-ბოძალნი წვეილობდნენ.

—

ამირან დევი შეიბნენ, მთა-ბარს გაჰქონდა გრიალი,
 ფარ-ხმალი ლეწეს, ანხვრიეს, მოიღრუბლა ცა კრიალი,
 ამირანმა დეუს აჯობა, ადგილი შესვდა ფრიალი,
 დასცა და ბეჭი მოსტესა, დაწეებინა ღრიალი.

—

აპარული სიმღერა პახმთის დარბეზავში¹⁾.

ეური დამიგდეთ, ხაღხნო, გაიმბობ ჩვენის მხედრების მამაცობასა, კახეთში რომ გამოიჩინეს.

შეკმაზეს ინდირეში ნარჩევი ცხენები, დაადგეს უცხო ჩერქეზული უნატირები, აიჩნეს დაუცდენელი ვირიმის თოფები, შემოირტყეს ბასრი ხმლები, ჩაირტყეს ქამარში დამბახები და გასწიეს მცირე რაზმად შორეულ კახეთისაკენ. წინ მიუძღოდათ კოჭლი რაჯბადინ. მათი მოუსვენარი, ლაგმის მღრღნელი ცხენები კაცებს დასჭამდნენ.

გაუიღნენ ალაზანს, გაიარეს შირაქი, გაუიღნენ ქაბრსა (იორსა) და შევიდნენ მამაცნი შიდა-კახეთში. დაარბიეს შიდა-კახეთი და იპოვეს უხვი დაულა. აიკლეს ოქროს ჩარდახიანი კოშკები; შეიპურეს ღამაზი ქალები, თმა-შეღებილები; დახოცეს ვაჟ-კაცი, უღვამ-შეღებილები; მელორე ბიჭები ხელ-შეკრულნი წინ გაიგდეს; და ღამაზი ქალები კოშკებში ნატუვევები უკან შემოისვენ.

ასეთის ალაღის ნადავლით მცირე რაზმი მოკლე გზით რომ შინისკენ მოდიოდა, შეკრთა რაჯბადინ და სთქვა: „ღმერთმა დასწევულოს ეს ქვეყანა!“ ვირმა ქართველებმა თურმე წინ უგელეს: ცალ მხრივ შეფე ერეკლეშ, ცალ მხრივ აზნაურებმა.

მუსაფ ადალოვის რჩევით მამაცნი საფრების აკეპას შეუდგნენ, და კოჭლი რაჯბადინის ბძანებით ხმლებს ღესვა დაუწიეს.

შეუთვლის რაჯბადინ მტერსა: „ძლიერო შეფე ერეკლე, მოგვეც გზა, დედის ერთანი ვართ! ჩამოდექით, აზნაურებო, ჩვენის ერთგულ ცოლების სასურველნი ვართ!“

¹⁾ ეს სიმღერა გადმომცა ბ-ნმა ფირ-ალი ემიროვმა, ტომით ლეკმა და დალესტნის ოლქის მოხელემ. ალ. სარაჯიშვილი.

— თუ დედის ერთანი ხართ, შუაზე დაგჩხვთ და ორად გაქცევთ; თუ თქვენის ერთგულ ცოლების სსურველები ხართ, თქვენს ტანს აქ დაგაგლებთ, თავებს კი იქ გაფუტხავნით.

ასეთი მკაცრი ზასუნი რომ გაიგო, შედგა რაჯბადინ მალაღ გორაზედ და ვაჟკაცებს გადმოსძახა: „თავი გამოიჩინეთ, მამაცნო! ვინც დღეს მტერს შეაგუდება, მისი ხსნელი ხამუდამოდ გაითქმის!“

ხანჯლებით დასჭრეს ბელტები და ააკეს საფრები. საცა დააკლდათ საფარი, დაჭკლეს ცხენები და ამაფსეს. საფრებზედ ამართეს ბაირალები.

ვინც შიმშილმა შეაწუხა, ცხენის ხორცი სჭამა; ვინც წურვილმა შეაწუხა, ცხენის სისხლი სვა; ვინც წელღუღამა შეაწუხა საფრებში ჩაწვა. დაიკეს ნაბდები, ზედ წამოყარეს ტყვიან-წამალი, და უშიშრად ისროდნენ შორი-შორს, მაგრამ დუცდენედად.

საკვირლად იბრძოდნენ კოჭლი რაჯბადინ და მისი მამაცი ამხანაგები მუსულ-აღალოვ, ალიბეგილოვ და ისაღ-მაჭამა. ამ ოთხის ვაჟკაცის გულადობისა და სიმარჯვის მნახველი, გაიხვნა ცა და კოცუბული ჭურიები¹⁾ და ანგელაზები მათ დასცქეროდნენ.

მათი ბრძოლა უჭუდის ბრძოლას არ ჩამოუყარებოდა²⁾ რაჯბადინის ზმადი აღის ზურთუყანს არ ჩამოუყარებოდა³⁾.

ასე რომ იბრძოდნენ, მთქმით ურეკლე მეფის ძახილი: „სადაურია ეტ მცირე რაზმი? ვინ არის და სადაურია თქვენნი მამაცი ბელადნი?“

— ეს მცირე რაზმი უნსუკულებისა და ბალახსელებისა, და ბელადად გუყუტს გულადი რაჯბადინ.

— არ ვიცოდითო, ეუზნება ქრეკლე, რომ უნსუკულები უოფილხართ, ხუნზახსელები გვეტონეთ. რომ გუყუტდნოდა, ბალახსელები უოფილხართ, სულად არ გეომეხლათ. მტლარ, რაჯბადინ, შეგჩიკდეთ, ჩვენს მამ-მამებსაც ზავი შეუყარავთ. განათავისუფლეთ ჩვენი ტყვეები,

¹⁾ სამოთხის ახალგაზნა ქალები.

²⁾ უჭუდის მთა, სადაც მამადი ებრძოდა მექელებს და დაიჭრა.

³⁾ ზილ-ჭუხარ—ხმალი, რომელიც ღმერთმა ჯიბრეილ ანგელოზის ხულით მოსცა მამადს. მოციქულმა ეს ხმალი არტყა თავის სიძეს ხალიფას აღოს.

ჩვენს მამა-ბაბებსაც უთავისუფლებათ. თუ ვერცხლს გინდა, ჩინახთ მოგცემ, თქვენი იარაღის შესაჭვლად; თუ თქნო გინდა, მუცთი მოგცემ, თქვენი ქალების სწრაფად; ქალები გინდა, მისეთ-უნახავებს მოგცემ, უმარადი ვაცები გინდა, ახვადიშვილებს მოგცემ.

— არ მინდა, ფირო ქართველი, არაფერი შენი შავი. შენ რატოსა და ვერცხლს იძლევი, დმურთი კი, ჩვენ რომ ლავინოტყობთ, თვინაუხს 1) მოგვცემს. შენ გოგო-ბიჭებს იძლევი, დმურთი კი, ჩვენ რომ დავინოტყობთ, ჰურნიუსს მოგვცემს. ჩვენს შორის შავი გრძელი ხაზებისა, ერთმანეთს მიჯახებული. ჩვენი მოფერობა, მამა-ბაბის ხაზდერძევი, ერთმანეთში გაფლანდილი ტყვიას.

კვლავ გაგრძელდა ომი. მეტად შეაწუხა ჩვენი მამაკები ტყვიასა, ზვედიან რომ მოდიოდა და გულში ხალებოდა. შეხედეს, ნახეს მალას ხეზედ შემჯდარა ამაფი მტერი და გძელი შესხანა მოუძარჯუნია. რაჯბადის ქქინდა თეთრ-კონდისანი, ზარნიშნანი სტამბული. ახსენა დმურთი, დაუმიზნა და სტორცა ტყვიას მტერს გულში. იმ წამსვე ეირამლა ჩამოვარდა ხიდან მტერი.

მაშინ დაიკვივდა რაჯბადინ: „აბა, ბიჭებო, ვადრცვეთ ევა! აბა დაუშინეთ თათვი, კაჟსვით ხმალს! დმურთმა მოგვხვდა! მამაკების მარჯვე სრლამ და ხაზის ქნევამ თავხარი დასცა ერეკლე მეფეს, სრულებით დაიბნა და თავში წაიშინა.

ავტო უტყუარის იფრინდის ქალაქში დევან ბატონიშვილსა, სთხოვს ჩქარა მოასივლას რაც რამ ჯარი ჰქვას. მეფის ჯარები დახანკებულან ფარავის კარვებში და თვით ერეკლეს თავის ხალათების კარავი დაუდგამს. კარვების სიძარავლე თითქო ღურჯ ცაში ვარსკვლავიაო.

ახლაღ მოფიდნენ ჯარები, სიძრავლით თითქო თოთოლი ჩინის ტყვისაო. თან მოაქვთ მრავალი სხადნე ბაჯდლად ოქრო, სურსათი და ტყვიას წამალი. მოაქვთ გეგა ზარბაზნებიც დის კამარის ქვეშ მტრგვინავი, საზარელი თვინათ-მუხები მიწის გამცლევი.

რაჯბადინმაც სწრაფად შეემანა ცხენი და თავის ძმას უთხრა: „წადი, ძმაო, ქარულებთან. ჩემ მაგიერ მოივითხე. უხანარ, ქართველები კარს შემოგვხეფიან-თქო. ხვალ შენდღემდის აქ განდინენ, შენდღეს არამც და არამც არ გადახდილან. ტყვიას წამალი გამცვლევთ

1) სამოთხე.

და ხმლები დაგემსწერევა-თქო. მეტად შევიწროებულვართ თქვენი მოყვრები-თქო“.

თავით ფეხამდე შეიარაღებული უმცროსი ძმა შემოხატა თეთრ-ქანჩინის ცხენსა და გაქანა ველის ქარსავით. სამი დღის სავალი შუადღემდის გაიარა. შუადღეს მივიდა ჭარსა, სალამი მისცა ჭარულ ვაჟ-კაცებს და მათის მოყვრების გაჭირება უამბო.

რა შეიტყეს ჭარულებმა რაჯბადინის გაჭირება, თერმა გადაჭკრა. დაუწვეეს კაზმა ნასუქს ცხენებსა, თან ხელებს უტყაპუნებდნენ. შუადღემდის დატყდეს. შუადღის უკან ჰური გამოაცხეს და, რა შებინდდა, გაელაშქრნენ.

ძმის მომლოდინე რაჯბადინ ამბობს: „ღაჩიქილი ვისვრი დაუღალავად, რატომ არ მოდის ჩემი ძმა? თავზედ ქულები დაგვაგლიჯეს, რატომ არ მოაჭენებენ ჭარულები?“ არ ასვენებენ რაჯბადინს ახალგაზდა ამხანაგები, ომის შეუწყველნი.

ღმერთს შეევედრა: „დიდებულო, ძლიერო ალლაჰო, მოგვეც ძლევა უურანისკან დაწვეულილის მტრისა! მოგვეც ღონე გავუწიოთ დაზავათი და დაუხობოთ ბელადები!“

ამ დროს უცბად მოისმა ქედის ძირს გრიალი. მოიხელა რაჯბადინ, ნასა მოჭქრის ფოთოლსავით თეთრ-ქანჩინის ცხენი, ზედა ზის უმცროსი ძმა სწრაფი ელვასავითა, უკან მოსდევენ, ვით სეტყვა ელვას, უოხალი ჭარულები.

უმცროსმა ძმამ რაჯბადინს მისცა თუ არა სალამი, დაეცა ვირს-ქართველებსა, ვით არწივი ფრთა-შეკვდილი, და ცხენის ფეხით გასთელა ერეკლე მეფის კარავი.

ჭარულები დაერივნენ ქართველების ბანაკსა, ვით მკლები თარეხსა, და მათს ბელადებს ველი გამოსჭრეს. როგორც შემოდგომის ქარი გაბნევს ფოთლებსა, ისე გაიფანტნენ დამარცხებულნი ქართველნი.

იუოს ხსენება გულადის ბელადებისა. მოღლაჩილოვ საუკუნოდ დარჩა შიდა-კახეთში; მუსალ-ადალოვს თავი მოსჭრეს; ალი-ბეგილოვ კაატუჟეს და კოჭლს რაჯბადინს ტყვეთ მუხლი გაუხვრიტეს.

ნუ თუ შენ, მუსალ-ადალოვ, მსგავსა ღომისავ. ოქროს მაგალითო, დარჩი შიდა-კახეთში? ნუ თუ შენ, ნორჩო ღომო, ისლამაჭამა, დარჩი კახეთში? დაიქცეს ალაზნის ჰირი, სადაც შენ ბევრჯელ გიდავლია! განმეს შირაქი, სადაც ბევრჯელ გინაზარდნია!

იმავე სიმღერის ვარიანტი

შეგმაზეს მამაცებმა ცხენები, ჩინში ნარჩევი; დადგეს ლამაზი
 ყაბარდოული უნაგირები.

ამოირჩიეს დაუცდენელი ყირიმის იოფუები, შემოირტყეს ბასრო
 ხმლები და გასწია რაჯბადინ შორეულ კახეთისაკენ.

აღაზნის პირს გარდაიხდა ნამაზი, იორის პირს ილოცა და შე-
 ეგუდრა აღლაჰს მოეცა ლაშქრობის ბედი, როგორც სარდალს ზირარ-
 სა მოციქულის დროს.

დაეცნენ მახლობელ კახეთსა და მოხვეჭეს უხვი დაფლა.

შერე დაეცნენ შორეულ კახეთს, დატრიალდნენ გრიგალსაგით.
 რაჯბადინმა მალაღ კოშკიდან ჩამოიყვანა ამაყი თავადის ქალი და ცხენ-
 ზე უკან შემოისვია, სხვეებმა შეიპურეს მისი მოახლეები.

წინ გაიგდეს დიდრონი, რქა-გრძელი ხარები.

აღაღის და ძვირფასის ნადვლით წამოსულნი, უღელტუხილის
 ძირს ჩამოხდნენ დასასვენებლად. დაღაღულს მამაცებს მალე დაეძინათ.
 აი სიზმარში ხედავს რაჯბადინ, კლდის-კარი ზვაგით ამოვსებულა,
 შარა-გზა მტერს საფრებით გადაუჭრია.

შეერთა რაჯბადინ. ნახა მოდიან აზნაურები, დაუყვირა ამხანა-
 გებსა: „ადექით, მეგობრებო, მოგვეწია მღვვარი! არიქა, ძმებო. შე-
 მოგვეხვივნენ აზნაურები!“

სწრაფად წამოხტნენ ყველანი, ს:ომრად გაეწევნენ და მტერს
 შეუთვალეს: „გაკვიშვით ჩვენს გზას, ნუ დაგვაუფნებთ, დედის ერ-
 თანი ვართ და ჩვენის ერთგულ ცოლების სასურველნი“.

მტერმა ასე უპასუხა: „თუ დედის-ერთანი ხართ, შუაზედ დაგ-
 ჩხთ და ორად გაჭევთ; თუ თქვენის ერთგულ ცოლების სასურ-
 ველნი ხართ, თავებს დაგაჭრით და სჩუქრად გაუგებზავნით“.

რა ნახეს მამაცებმა რომ მტერი არ დაინდობს, გაითანტნენ მა-
 ლაღს გორებზე და გაიკეთეს საფრები. სავა საფარი დააკლდებოდათ,
 ლამაზს კახელ ქალებს უელს გამოსჭრიდნენ და ამოაკებდნენ, ან მძი-
 მედ დაჭრიდეს ამხანაგს დასდებდნენ. მსუბუქად დაჭრიდნენ კი თო-
 ფებს უტენავდნენ.

ვით ლომი იბრძვის ქედზე შემდგარი, ისე იკერებდა მტერსა

ჩვენი კოლეგი რაჯობადან, და ვითა ღამის დევერები ღამის მიხედვით იბრძვიან, ისე ისროდა ამაყად თოფსა მისი მცირე რაზმი.

მათის სროლითა და ხმლის ქნევით გაგვირგებულა მტკერი იძახის: „ვისია ეგ მამაცი რაზმი? ვინ არის და სადაურია მისი უჩინადი ბელადი?“ და უპასუხებენ: „მამაცი რაზმი ბალახნალებისა და უნსუკულებისა, და უჩინადი ბელადი კოლეგი რაჯობადინია!“

და კვლავ გაგრძელდა ომი. მტკერმა გატყავინა იფრინდა ტიფლისს ერეკლე მუთუხთან. აცნობეს: გულადს: მთიულეებს: მსალა: მთუბი დაუტყრიათ, მიუვალ ქედზე ჩასაფრებულან და ვერ დაგვიხვედრებო.

აკერ გამოჩნდა გულთიციხელი ერეკლე, მოჭყეპს ჯარებს კორდის მოღსავით მრავალი, მოაქვს საზამთროები ცის ვარსკვლავებისავით მრავალი, შეუთვალის მთიულეებს მუჭარას: „თუ თრინვლებსავით თურთუბი არ გასხიათ, თავზე ხომ ვერ გადაგვათრინდებით; თუ თავუტისავით მიწაში არ ჩაძვერთ, ხომ ვერსად წავგიხვალთ, ჩვენს ქვეყნის მძარცველნი?“

და რაჯობადინმა: „განა თრთუბად არ გამოგვადგება ჩვენი მისროლი ხმლები, ქართველ ქალებზედ გაცხელი? განა მიწაში არ გავაძვრენს ჩვენი თეთრ-კანდახიანი ყირობები, ქართველ ვაჟაგის, თასად ნაყიდი?“ და კვლავ შეუბა თიციხლად მტკერს:

რა ნახა მტკერმა რაჯობადინის სიმარჯვე, დანიშნო უფროდი: „სადაურია ეგ შეუდრეკელი რაზმი? ვინ არის და სადაურია მისი უჩინადი ბელადი?“

— ეს შეუდრეკელი რაზმი ბალახნალები და უნსუკულები არიან; და მათი უჩინადი ბელადი კოლეგი რაჯობადინია!

მტკერი ეხვეწება: „თქვენს ელვარე ხმლებზე ხუმსახელები გვეგონეთ, არ ვიცოდით, რომ ბალახნალები უოთიღობართ: არა სჯობს, რაჯობადინ, შეურიგდეთ? თუ ქალები გინდა, მოგცემთ ღამაზეში რკულეებს, ტან-წერწეტებს, კაბაში გამოჭიმულებს. თუ ვაჟები გინდა, მოგცემთ თვალ-ტანად ვაჟაგებს, ჩექმებიანებს. თუ ხაზინა გინდა; მოგცემთ საზაღბებით, ღებრთი ავივსებთ უგელას ხურჯინებს.“

უპასუხებს რაჯობადინ: „არ გვინდა თქვენთან არაფერი ხაზი. საიქიოს ჭურბები გვიჩვენია თქვენს ღამაზე ქალებს და ვაჟებს; თორღაუზ სამოთხე გვიჩვენია უგელა თქვენს ხაზინას და საუნჯეს, ჩვენს

შორის ზაფი თმში ტუვიის გაცვლას, სხვა ზაფი ჩვენს წინაპრებსაც არა სტოლდნიათ. კარგი ზაფი ჩვენს შორის ხმლის ტრიალით შეიკვრის.

სთქვა და იწვდა ხმალი რაჯბადინ და გრიგალსავით დაეცა მტერსა, დაერია. ვით არწივი გნოლებსა; მას მიჰყვა მისი მცირე და მარჯვე რაზმი ვით არწივის ქულა არწივისა.

რა ხახა მტერმა მთიულების გულადობა და შეუშოვრობა, დაუწყო ფიცვა რაჯბადინს ჭვრისა და სხხარებისა, ამ ჟამად ხელს არ გახლეპთ და ავს არას გიზამთო.

დაუჯერა რაჯბადინმა ურჯულად ვირებს ქართველებსა და თამამად და ამხუდ წადგა მტრის რაზმის წინ. გაფითრდა მტერი რა ხახა გმირი. ერეკლემ კი უთხრა: „აბა რაჯბადინ, გვიჩვენე შენი ბასრი ხმალი, რომელითაც იმდენი მტრის თავი მოგიკვეთია და იმოდენა სისხლის ღვარი გიდენია“.

იმ წუთშივე იწვლო ხმალი რაჯბადინმა და დაუგლო წინ მტერსა. უფრო გაფითრდნენ ურჯულად ქართველები და შიშით აკანკალბულმა მეფე ერეკლემ სთხოვა რაჯბადინს ისევე ჩაეგო ქარქაშში თავისი საშინელი ხმალი.

ბრძოლის დროს რაჯბადინს სტვივა ნახერწყალი, თითქო რკინით შეკვდილიაო; თავზე ასდის აღმური, თითქო გახურებული ქვაბიაო.

შ ე ნ ი შ გ ნ ა.

ამ სიმღერაში აწერილი დარბეჯა კახეთის ერეკლე მეფის ხანგრძლივს მეფობაში მომხდარა და, თუ დავიჯერეთ სიმღერის სიტყვა, ვითომც მეფემ გაჭირებულს ბრძოლაში საშველად იხმო თავისი შვილი ლევან, მაშინ დარბეჯის დრო მეფრამეტე საუკუნის სამოცდაათიან წლებს უნდა ეკუთვნოდეს, რადგან ლევან ბატონიშვი მოკვდა 1781 წელს, ოცდახუთის წლის ვაჟაკი. სამოცდაათიანი წლები იმითაც არის უპრიანი, რომ ამ დროსვე, სხელდობრ 1774 წ., ერეკლე მეფემ დააწესა თავისი მორიგი ღაშქრობა, და შესაძლებელია, კოჭლი რაჯბადინის უჩალების ბრბოს სასტიკი დამარცხება ამ ახლად დაარსებულმა მორიგემ მთაყენა და იმიტომაც დარჩათ ლეკებს ეს ამბავი აქამდის სახსოვრად.

რაც უნდა იყოს „ქართლის ცხოვრებაში“ არ იმაგება არც ამ დარბევის ამბავი, არც ბელადის კოჭლი რაჯბადის ხსენება და არც მისის ოთხის ამხანაგისა, ამ დარბევის დროს რომ დახოცილან. ალბათ ეს დარბევა ერთი იმ მრავალთაგანია, რომლითაც სავსეა ერეკლე მეუფის დრო და რომელიც თავის თავად არაფრით არ გაიჩვენა სხვებში.

თუ ზემოთხსენილი სიმღერა ვერ გვანიშნებს განკერძოებულს ისტორიულს ფაქტს, მაინც ჩვენთვის საყურადღებოა, მით რომ ტიპიურად გვიხატავს ჩვენის წარსულ ცხოვრების ხანგრძლივს და განუწყვეტელს მოვლენას, ჩვენს საუკუნო ბრძოლას ლეკებთან. ავარული სიმღერა ამოწმებს ამ ბრძოლის საერთო ხასიათს, რომელიც ცხადად სჩანს „ქართლის ცხოვრებაში“ ნამბობის მრავალ ნარბევიდან.

ზირგული საერთო თავისება ლეკების დარბევისა ის იყო, რომ ყველა მათი მტარცველი ბრბო ჰოულობდა შველასა და საფარველს ჭარში. ეს ლეკებითვე დასახლებული დონიერი სოფელი ბრბოს გალასქრებისათვის საუცხოო სამუარო იყო, კახეთის კარზე მიუენებული.

მეორე თავისება იყო სრული უმწეობა და მოუშხადებლობა საქართველოსი ამ დარბევების ასაცილებლად. ლეკები დატეპმოდნენ დაუბრკოლებლივ რომელსაჟე მხარეს, აიკლებდნენ, დაატევევებდნენ ქალსა და კაცს, წასხმდნენ საქონელს და წავიდოდნენ ნაღვლით დატვირთულნი. მაშინდა გამოვიდებდით ხელსა და გამოვეკიდებოდით მძარცველებს და თუ ნაღვლს დაფარევენებდით, დიდს გამარჯკუებად მივიჩნევდით. იმისთვის კი რომ არ მიგვეშვა ლეკები აკლებამდე, წინ დახვედროდით და გაგვეწვეტა ავაზაკების ბრბო, არა გვეჭნდა არც შეძლება და არც უნარი. ასე ვიგერებდით უძლურად ლეკების დარბევას და მათზე გალასქრებასა და მათის ბუნაკების ამოფხვრას ვინდა გაბედავდა!

დასასრულ, შესანიშნავია ის დვარძლი, მტრობა და ზინზდი ქართველებისა, რომლითაც გაჟღერთილია ეს ავარული სიმღერა: ქართვლის სხელს ისე არ ახსენებს, რომ ვირი არ დაუმტრას; თავისი ხმალი ან თოფი ისე არ მოაკონდება, რომ არა სთქვას ქართველის ქალზე ან ვაჟზეა კაცვლილიო. ეს თავისებური ალებ-მიცემა ლეკებს აქამდინაც არ დავიწყებთ.

ალ. სარაჯიშვილი.

თუშუს რექსეში ნახმარის სიტყვების განმარტება.

(ფრჩხილებში ანნიარად არიან შემოკლებულნი სიტყვები: **სწ.**==სოფელი, **ს.**==სახელი აღამიანისა. **გგ.**==გვარი, **ადგ.**==ადგილი, **მ.**==მთა, **მდ.**==მდინარე, **თ.**==თემი, **ქ.**==ქალაქი).

- | | |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <p>აბალო (ს.) 10.
 აბანოს ხორხი (ადგ.) 52.
 აბული (ს.) 10. 59.
 აბუჩი 18, უმაქნისი.
 აბჯარი 52. 53. 54. 68. 70.
 72. საომარი იარაღი და სა-
 აგება 7. აშენებს. [ცმედი.
 აგეურთა (სფ.). 69. 76.
 ალაზანი (მდ.) 37. 75. ზირიქი-
 თის ალაზანი (მდინარეა).
 ალვანი (სფ.) 30. 74. 81. 84. 85.
 ალვი 78. ადვის ხე.
 ალთვა 30. 53. 75. ჭრა.
 ალია (ს.) 82.
 ალისგორი (ადგ.) 81.
 ალო (ს.) 38.
 ალუდა (ს.) 10. 38.
 ალუდაური (გგ.) 12.
 ანდერაზ (ს.) 43.
 ანთა (ს.) 19. 37. 43. 46.
 ანწუხი (მხარე ლეკეთში) 45. 68.
 არას 24. არ.</p> | <p>არამი 51. ტეუიდი, უწესო, ურიგო.
 არდაზიანი (გგ.) 48.
 არმება 51 ტეუილად, უწესად,
 ურიგოდ ჩათვლას.
 არქალო (სფ.) 46.
 ასახო (სფ.) 79.
 აუ (ს.) 10.
 აუგი 59. 75. ცუდი საქმე, სა-
 ძრახი საქმე, ძრახვა.
 აფორა (სფ.) 48.
 აქვერი (სფ.) 67.
 აქვარი (სფ.) 8. 41.
 აქორელი (მ.) 36.
 აქორო (სფ.) 36.
 აღლარი 32. თათრის წარჩინე-
 ბულის წოდების კაცი.
 აშურება 26. შეტულება.
 აჭვა (სფ.) 10.
 ახალი 75. ახალგაზრდა.
 ახვა (სფ.) 35. 80.
 ახმატი 84. თათარი.
 ახმეტა (სფ.) 30.</p> |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|

ბაბო (ს.) 57. 83.
 ბაგე 32. ტუჩი
 ბაგვაზი (სფ.) 64.
 ბათირი (ს.) 40.
 ბათიროელი (გვ.) 40.
 ბაკური (ს.) 45. 50.
 ბაღთა 74. ქამრის მორთულობა.
 ბარგ-ბანდი 57. ბარგი-ბარხა.
 ბაჩო (ს.) 68.
 ბაშტი 10. 43. ბოსელი.
 ბაწარაული (გვ.) 38.
 ბახტრიონი (სფ.) 30. 31. 54.
 ბერდი (ს.) 57. 58.
 ბურნი 11. 15. შახუცი.
 ბერო (ს.) 38. 62. 72.
 ბელელი 67. სწავთრო სხატ.
 ბეჩავი 5. 16. 33. 72. 92.
 უბედური.
 ბინდობა 72. მკრთალი სიბნელე.
 ბიქიურთა (სფ.) 37.
 ბიჭეხი (სფ.) 61.
 ბნელეთი 16. ბნელი ადგილი.
 ბოროტი 88. დარდი.
 ბოროტიანი 86. დარდიანი.
 ბოსელთა (სფ.) 66.
 ბოწბალო (მ.) 35. 81.
 ბორტვი 22. 23. 47. ბელტი
 ბოკორჩა ანუ ბოკორჩა (სფ.) 33
 60. [სწავთრო].
 ბრალი 16. 58. 71. 74. 92. შე-
 ბუსურბანი 7. 54. 74. 83. შე-
 ბუჩაი (ს.) 77. [სწავთრო].
 ბწალი 33. ბრჭყალი (?).

გაბლერტვა 35. ლაპერტევა, გა-
 ცვიუნება.
 გაბუსურბნება 70. გამუსულმანე-
 გაგერშვა 77. გაწვრთხა. [ბა.
 გადაკვალვა 47. გადასვლა.
 გადახდურება 20. გადადება, გა-
 დაუნა.
 გაღენა 88. გარეკვა.
 გახვლა 14. შახსენება.
 გალაღება 29. 39. 57. 74. გა-
 ნებიერება, გაკადნიერება, უღარ-
 დელად უთუნა.
 გალო 30. შვალდი. [ბა.
 გამართვა 16. წასვენება, გაკეთე-
 გამოლიშვნა 50. 59. დაშიშვნა.
 გამოსვლა 69. მოტიტყეობა.
 გამოსხმელობა 64. 65. აშრობა,
 გამოდარება.
 გამოჯარება 7. გამოკეტვა.
 გამწრივე 92. რიგის დაშვება.
 განა (ს.) 16. 55.
 განჯა (ქ.) 12. 75.
 გარაი (ს.) 59.
 გაქერება 74. წინ წყურა.
 გაცდევინება 23. გამოცდევინება.
 გაცველა 7. გაცუდება, წახდენა.
 განა 43. გადება, გასსნა.
 გაფრინდაული (გვ.) 31. 56.
 გემი 12. გემო.
 გიგა (ს.) 57. 74.
 გიგი (ს.) 26. 27. 75.
 გიგორე (ს.) 73.
 გიო (ს.) 50. 61. 69. 83.

გირევი (სოვ.) 10. 33. 37. 38. 43.
 გიჩალ (ს.) 38. 71.
 გოგი (ს.) 75.
 გოგნელი (ს.) 58.
 გომარო (გვ.) 50. 58.
 გომეწარი (ადგ.) 22. 27. 46. 53.
 გომეწარის უბე (ადგ.) 37. 48. 73.
 გოგლურთის ჩრდილი (ადგ.)
 გორგა (ს.) 45. [55.
 გორდა 84. ერთგვარი ხმალი.
 გომბორი (მ.) 5.
 გოშპარა (ს.) 73.
 გოხი 30. სალესავი ქვა.
 გოხ-გავლებული 30. გალესილი.
 გრემი (სოვ.) 43.
 გრძელი ყანა (ადგ.) 33. 37.
 გუგო (ს.) 69. [52. 53.
 გუგუმი 22. ღითონის სხვილი
 გუდანთი (მ.) 23. [შივი.
 გუთნის ფავი (მ.) 18.
 გულდირ 24. უშიშარი.
 გულვა 61. განძახვა.
 გულუხვ (ს.) 69.
 გულხადარა 74. ლეკი.

დაბალითება 32. მოტყუება.
 დაბორიღლება 74. შეგუბება.
 დაბუება 79. მოთქმით ტირილი.
 დაბღერტვა 21. 47. 54. და-
 ბერტყვა. მთის დაბღერტვა
 მთის დაჟლა, შემოვლა.
 დაგლოვანა (ადგ.) 22.
 დაგულვა 43. დაკეტვა.

დადენა 88. სიარული.
 დაელვება 37. 38. პრიალი.
 დაგლათი 71. ედბალი.
 დავლობა 54. დავდის შოვნა.
 დათოფვა 36. თოფით დახვრეტა.
 დაკრეფა 48. დაღუბვა.
 დალა 92. ღმერთი (ჩაჩხურად
 დაღ — ღმერთი).
 დალალეზული 9. თავისუფლად
 მიშეებული.
 დალახვა 17. 54. 73. გადავლა.
 დალევა 27. 63. 68. 71. 74.
 79. გათავება, დაღუბვა.
 დალიშენა 8. დახიშენა.
 დამრჩალი 50. დარჩენილი.
 დამშვრალი 23. დამაშვრალი, და-
 დანო (სოვ.) 10. [დაღუღი.
 დაო (ს.) 61.
 დარევა 54. ხელის დარევა —
 დარტლო (სოვ.) 10. [ჯობნება.
 დარქიზან (ს.) 48.
 დარჩევა 71. მორევა.
 დატანა 38. დასწრება.
 დატყვრება 42. დამტყვრება.
 დალონება 7. დარდობა, ზრუნვა.
 დაჟუღვა 39. დადგმა, დაეხება,
 დასვენება.
 დაშნა 22. სწორი ხმალი.
 დაშაირება 46. შაირში მოხსენება.
 დევდაჩი (ს.) 37. 43.
 დენვა (ს.) 48. 60. 62.
 დიაცი 16. 21. დედაკაცი, ცოლი.
 დიდგვერდი (ადგ.) 49. 57. 73.

- დიდო 50. 59. 60. 62. 71. დი-
ლოელი.
- დიკლო (სფ.) 10. 33. 60. 61.
63. 72. 79.
- დილბანდი 10. მოენე.
- დიჩინი 10. ჩაჩანი.
- დოვლათიანი 22. იბლაიანი.
- დოქოელი (ს.) 7.
- დურუჯი (მდ.) 45.
- დუყა 9. მსდალი.
- ევქაჯი 11. ეშმაკი.
- ელანი (ს.) 62.
- ელვა 36. ჰრიალი.
- ელი 30. 31. კრი.
- ემით 67. მანდედგან.
- ემანდით 37. ემანდედგან.
- ერთკვადი 69. ერთმანერთი.
- ეტლი 16. მნათობი, ვარსკვლავი.
- ვადა 69. 71. ჯვარედინი ტარი.
- ვადაითი (მ.) 69.
- ვაზუზი (ს.) 22.
- ვაკისძირი (სფ.)
- ვანო (ს.) 73.
- ვებუ (ადგ.) 65. 79.
- ველი 18. 68. 69. 70. 75. ვე-
ლად გახვლა—ლაშქრად წა-
სვლა.
- ველობა 7. 40. 68. ლაშქრობა.
- ვერას 7. ვერ.
- ვერხოვანი (სფ.) 22. 77.
- ვეფთარი 29. 49. ჩაჩანი.
- ველარავ 17. ველარ.
- ზალი 92. რძალი.
- ზალტა 7. სასოკადოდ სალტე,
კერძოდ მკლავზე გასაკეთებუ-
- ზაობა 10. ზავი. [ლი სალტე-
ზეზვა (ს.) 31. 44. 56.
- ზიდონა (ს.) 71.
- ზილიჩა იხ. ძილიჩა 75.
- ზმა 38. ქმნა.
- ზობაი (ს.) 72.
- ზჯობინობა 9. ჯობინობა.
- თადიაური (გვ.) 10.
- თავგამოდებული 92. გამჩენი-
თავთავად 75 ცალ-ცალკე. [ლი.
- თავითფერული 30. ერთგვარი
თათარა (ს.) 72. [ხმალა.
- თარეში 14. 40. 57. 75. იერი-
ში, თავდასხმა.
- თევდორე 11. წმინდანია.
- თეთრი 92. უველი, ხაჭა.
- თელისი (მდ.) 75.
- თეფე 74. ჰატარა გრანკი მინდორ-
თექე (ქ.) 83. [ში.
- თილი (ს.) 10.
- თინიბეგ (ს.) 52. 53.
- თირთვილიანი 59. 79. რთვი-
თისო (ს.) 63. [ლიანი.
- თოთო (ს.) 36.
- თორ 59. თორეჟ
- თორღვა (ს.) 7. 8. 22.
- თურსიელი (ადგ.) 91.
- თურქია (ს.) 71.
- თურქო (ს.) 71.

იალაღმთაც 63. მოსვენებითა, კმა-
 უფიქვად, ნეტარებით.
 ივანაური (გვ.) 52. 53.
 ითაბან (ს.) 37.
 ითაბანული (გვ.) 37. 43. 48.
 ინლოეთი (ქვეყანა) 83.
 ინდურთა (სფ.) 39. 47. 49.
 იოგი (ს.) 71.
 იჩო (ს.) 72.
 იჩუ (სფ.) 56.
 იჩუა (ს.) 61.
 იქირაული (გვ.) 71.
 კანთო (ს.) 59.
 კახო (ს.) 38.
 კელესაური (გვ.) 73.
 კესელო (სფ.) 60.
 კეხუ (ს.) 59.
 კვავლო (სფ.) 10.
 კიმოთე (ს.) 57. 58.
 კიცვა (ს.) 76.
 კოდი 11. 92. ჭურჭელი სსმე-
 ლისთვის.
 კოპალა 11. წმინდანია.
 კოჩხო 89. ხის ჭურჭელი წელის
 კოკაურ (ს.) 17. [სსმელად.
 ლაა ან ლაე 50. 69. 79. ზე-
 ლაბაზან (ს.) 64. [დაველა.
 ლაგაზი (ს.) 26. 27.
 ლალი 37. 54. 78. თავისუფა-
 ლი, კადნიერი, გამბედავი, მხი-
 არული, უღარდელი.

ლაშარი (სფ.) 21.
 ლაშარ გიორგი 11. წმინდანია.
 ლეგა 46. ნაცრის ფერი.
 ლიბო 9. 30. 49. საძირკველი.
 ლილი (ს.) 68.
 ლიშნება 68. ნიშნება.
 ლოგინობა 9. ლოგინში წოლა.
 ლოპოტა (მდ.) 20.
 ლუბი 88. გამხდარი .
 ლუი (ს.) 64. 65. 66.
 ლურჯა 21. 36. 40. 43. 52.
 86. ცხენი (ფურჯი).
 ლუხუმი (ს.) 6. 44. 64. 65. 66.
 მაგახის ლელე (ადგ.) 39.
 მაგეხის ციხე (სფ.) 39.
 მაგეხ გიორგი 11. წმინდანია.
 მაით 38. 53. მანდელჯან.
 მაკერი (მ.) 47.
 მოკუთი (ს.) 68.
 მამადი (ს.) 46.
 მანგია (ს.) 56.
 მანდილი 27. 63. მოსსხამი, მო-
 მანჭააული (გვ.) 67. [სხვევი.
 მაყარა 38. 69. ერთგვარი თოფია.
 მართება 69. გამართვა, მომარ-
 მარქათა 43. ცხენი. [თვა.
 მარხვა (ს.) 23.
 მასახელარი 70. ანუ ნასახელა-
 რი--სხველგათქმული.
 მაცნე 41. 44. 49. მოამბე.
 მაწეხის ლელე (ადგ.) 70.
 მბრუნავი 32. მოარული.

მღევარი 40. 54. 58. 70. 92.

მტკრზელ გამოდევნებული კაცი ან ჯარი. გამოდევნება.

მელეკე 16. ლეკების წინამძღვრებელი.

მემეტე 10. 37. ფაღვანი ბრძოლმემრ 72. შერმე. [ლაში.

მერ 74. შერმე.

მერმინას 11. შერმე.

მეტი 30. უფროსი, უმჯობესი.

მეტობა 61. უმჯობესობა.

მექვაბაური (გვ.) 57.

მეშველი (ს.) 10. 41. 57. 73.

მზირი 69. ლაშქარი.

მთვრალი (ს.) 57. 71.

მილარი 68. სამანი, მიჯნა.

მიქა (ს.) 46. 69.

მკერდი 16. ძაფი.

მოგოგება 45. მოჭენება.

მოგულვა 72. მოხურვა.

მოზაი (ს.) 52. 71.

მოუცდარი 37. დაუმარცხებელი.

მოძალე 10. 32. ძალის მხმარებელი.

მოქვრეტა 65. გახვრეტა.

მოჯერე 14. 18. ღამის ცხერის დარაჯი.

მულანლო (სფ.) 74.

მურთაზ (ს.) 33. 37. 38. 48.

მღერა 73. თამაშობა.

მცილაფი 30. მოცილე.

მწერელი 29. ბედისწერა.

მხალი 40. 53. ბაღახი. ერთ-

გვარი საჭმელი ბაღახი, რა-
მელსაც მომზადების დროს
დაჭკუწვენ ხოლმე.

მჯობობა 69. ჯობნა, ჯობინება.

მხრიანი 86. მნიშვნელობიანი, რი-
სამე მომასწავებელი.

ნაბუქი 88. ნამქერი, ქარისკან მო-
კროფილი თოფი.

ნადავლი 7. მოტაცებელი.

ნავლი 60. ფერფლი.

ნაზარალი (ადგ.) 75.

ნაიბი 61. დადესტანში მზრის
უფროსი.

ნაკუდა (ს.) 25. 69. 72.

ნაკუდაურთა (ს.) 43.

ნანა (ს.) 7. 8. 72. 80.

ნანელი (ს.) 72.

ნანოზე (ს.) 80.

ნაომარი 19. 74. ადგილი, სა-
დაც ომი მომხდარა.

ნარჩევი 61. 68. რჩეული, არ-
ჩეული.

ნასახელარი 70. 75. სახელმძუქ-
ნილი, სახელ-გათქმული.

ნასახელეები 69. იგივე.

ნაუნჯი 29. ნაცადი, ერთგული.

ნასისკარ კვირაე 11. წმინდანია.

ნაქერალი 31. ქერ-ნაჭამი.

ნაქერალი (მ.) 30. 33. 37. 48.
53. 54.

ნაღბი 83. ნაღმი, ლაღუმი.

ნაყავიჩო ანუ ნაყაინო (მ.) 23.
33. 37. 43. 85.

ნაცადი 71. ნამოქმედარი.
 ნაცინნარი ანუ ნაციხვარი (სფ.) 50.
 ნაწილარი 53. 74. ალაგი, სა-
 დაც ცხვარს ზუნებენ.
 ნაწვრეტი 30. ნახვრეტი.
 ნაქერი 39. ჭრილობა.
 ნაქრევიანი 56. დაჭრილი.
 ნიავ-ქარი 37. შარდი, შვეირცხლი.
 ნოტრ 38. 57. 72. ნაწილი.
 ნუცალი (ს.) 43.

ომი (ს.) 50. 73.
 ომალო (სფ.) 37. 60. 63. 71.
 ორწყალი (ადგ.) 57. 58.
 ორხევი (ადგ.) 24. 69.

პანკისი (ხეობას) 39.
 პაპი (ს.) 15.
 პერი 91. 92. ქაფი.
 პირი 72. ნაზირი, ბოლო.
 პირიქითი (თ.) 37. 54.
 პურწყალი 10. 92. ზურადი.
 პყარი 48. 70. მაგარი.
 პყალი 44. 55. 70. ბრჭყალი;
 პყალზე—მზად.

ყველურთა (სფ.) 55.
 ყინული 86. ყინულის ლუფა.
 ყინულიანი 86. ყინულიანი.
 ყოლი 20. მთის ხილია.
 ყრიალი 52. აბჯრის ხმურობა.

რადამ 61. 87. რატომ.

რანაული (გვ.) 52.
 რალი 38. იხ. რალი (?).
 რამტვენი 57. რადენი.
 რვალი 16. 66. სპილენძი.
 რიალი 41. დაცემა, დასხმა.
 რქა 18. 44. 45. ქუდნი რქა-
 ზედ—ქუდი გვერდზე.

საამჯნო 23. შესაკრებელი ალაგი.
 საბაკე (მ.) 38.
 საბედო (ს.) 63.
 საგათენებლოდ 30. 43. 49.
 60. გათენებისს.

საგი (ს.) 46.
 საგირთა (სფ.) 39.
 საველოთ 19. სალაშქროდ.
 საკაცე 38. 54. შვედრის გადა-
 სატანი.

საკურის გორა (მ.) 37.
 სათქმო 49. სალაშარაკო.
 სალიშნე 52. 64. სანიშნე, ნი-
 შანი.

სამება 11. 53. 49. 70. ხა-
 ტია. 54. კატის სახეაია.
 სამზეო 89. საჯაო.
 სამყინვრე (მ.) 57.

სამყინვრის ღელე (ადგ.) 37.
 სამყურის ღელე (ადგ.) 85.
 სამციხე (სფ.) 6. 47.

სანგალი 27. 48. 61. 73. შე-
 მოფლებული სიმკრე კედლის
 სანდრო (ს.) 89. [მსგავსად.
 საქიონელი (ხალხია) 59.

- საქცივლიანი** 92. ზრდილობიანი. **უსუფი** (ს.) 73.
საღრა 37. ნიშა ცხენია. **უწადინოთ** 16 უსურველად.
საჭინჭვლე (ადგ.) 85.
სახეო (სფ.) 48. 60. **ფარგული** 63. გულ-საფარი.
სახვევრიანი 54. მიხვეულ-მო-
 ხვეული. **ფარსმა** (სფ.) 10. 33. 37. 38.
 48. 85.
სახსარი 7. დას. ხსნელი საშუალება. **ფილა** (ს.) 57. 58.
სიათა 55. 57. 61. 71. 92. თა-
 სიახლე 15. სიუმაწყვილე. [უფი. **ფილაური** (გვ.) 73.
სიპი 77. ქვაა. **ფრანგი** 12. 13. ფრანგი, ს-
 ფრანგეთი.
სპეროზა (მ.) 54. **ფრანგულა** 49. ხმალია.
სრევა 45. 55. სრულა. **ფრანგული** 12. 30. 68. 71.
სულეთი 23. 39. 61. 71. 74. 72. ხმალია.
 79. 86. 92. საქია. **ფშაველი** (სფ.) 48.
სულთანნი (ს.) 10. **ფშლა** (სფ.) 10.
სულის ყრა 24. სუნის ადგება. **ფხა** 10. 54. 68. მკრელი ზი-
 რი იარაღისა
ტალავარი 30. ტანისმოსი. **ფხიანი** 22. 32. 56. მკრელი.
ტახტის ბოგირი (ადგ.) 54. **ფხიკლია** (ს.) 79.
ტბათანი (მ.) 53.
ტუტარიკი (ადგ.) 8. [რი. **ქაბდის ხეობა** (ადგ.) 69.
ტუისთავის ცეცი 25. ტუის ზი-
ტყრიალი 47. ტატა-ტატვი. **ქადინი** 42. 58. შუქარა.
უერთოდ 80. უერთმანეთოდ. **ქავთარი** (ს.) (მთ.) 6. 22. 68.
 74. 85.
უთურგა (ს.) 56. **ქავი** 50. 55. გაღაფანი(?)
უთური (ს.) 74. **ქანქანი** 55. 63. ხვრელი.
უკანამხარე (ადგ.) იურის მხარეს
 ექსიან. **ქარსამაული** (გვ.) 81.
ურდიანი 84. მრავალი. **ქაჩუ** (მ.) 26. 38. 48.
უსატნოდ 89. შესატანებელის
 უქანელად. **ქერქა** 12. ზემოპირი.
ქედაი (ს.) 36.
ქედანა 53. ძაღლია.
ქვათანა (სფ.) 56.
ქვათენთა (სფ.) 55.

ქიბდური (მ.) 64. 65.
 ქმარყოფ-მოშლილი 90. ქმრის
 ოჯახითგან • მშობლებთან და-
 ბრუნებული ქალი.
 ქორცი (მ.) 35.
 ქორთოში (ს.) 10.
 ქოროლლი (ს.) 69.
 ქოსაი (ს.) 41.
 ქუმელაურთა (სფ.) 50. 51. 69.
 ქუმელაური (გვ.) 63.

ღვთისია (ს.) 71.
 ღვთისო (ს.) 61.
 ღილიფიანი 41. დილეფიანი.
 ღონეზა 31. დარდი, ზრუნვა.

ყაზი (ს.) 82.
 ყამი 27. 35. 39. 72. შიში,
 რიდი.
 ყამირობა 10. ამაყობა, მაგრობა.
 ყანა 10. მიწა.
 ყანკია (ს.) 47.
 ყანკიაური (გვ.) 47.
 ყაწიმი 6. 74. მოსართავი იარა-
 ღისა ან ქამრისა.
 ყიბდური ან ყიდური (ადგ.) 67.
 ყიბრაგი (ს.) 33.
 ყვარელი (სფ.) 82.

შაბალი (ს.) 58.
 შავრაი ცხენია.
 შამალი (ს.) 57.
 შანქი (ს.) 48.

შ თე (ს.) 51. 63. ~
 შემორთმევა თვალისა თვალის
 მოკვრა.
 შენაქო (სფ.) 33. 57. 60. 62.
 63. 64.
 შევლა (ს.) 30.
 შილდა (სფ.) 17. 18.
 შინშე 7. დეიდაშვილი.
 შირაქი (ადგ.) 75. 86. 88.
 შიშაქი 85. 88. ორის წლის დე-
 დალი ცხვარი, რომელსაც ჯერ
 არ უშობია.
 შტო 5. წყლის შტო—წყლის
 შუ 80. შუა. [ტოტი.
 შურა (ქ.) 19. თემირჩანშურა.
 შუშუტი 16. მილი

ჩათარეშება 68. თარეშით მი-
 სვლა. იხ. თარეში.
 ჩალთვა 30. 53. 73. დაკუწვა.
 ჩამობდღვინება 6. ჩამოშუქება.
 ჩამოჩინება 6. 71. გამოჩინება.
 ჩამოჭაპნვა 81. 88. დაწვნა.
 ჩამოკვივლება 38. ხმის ჩამო-
 სვლა.
 ჩარდახი 9. 38. 59. სხურავი.
 ჩარღუმის ღელე (ადგ.) 13.
 ჩაღმა ანუ ჩაღმი (თ.) 46. 47.
 49. 54. 73.
 ჩეთმა (ადგ.) 74.
 ჩეო (ს.) 69.
 ჩითა 17. ბაწრით მოქსოვილი თუხ-
 საცმელი.

- ჩილო (სუ.) 7. 8. 10. 41. 76. ჩარი (ქვეუხა) 17. 18. 46. 68.
 ჩილოს ხა (ადგ.) 34. ჩარ-ბელაქანი (ქვეუხა) 22. 70.
 ჩობანი 57. შვემსი. კანთი (ადგ.) 13.
 ჩქაში 27. 37. 44. 51. 54. 59. კერხო 72. ჭერი.
 74. 83. 85. ხმურობა. კეშო (სუ.) 4. 10.
 ჩხარი 86. ჭირხლი კერიტი (ს.) 44.
 ჩხრიანი 86. ჭირხლიანი. კირკვან (ადგ.) 67.
 კონთიო (სუ.) 10.
 კრევა 19. გაჭრევიება.
 ხანზედა 25. დროზედა.
 ხანჯარი 23. ხანჯალი.
 ხაპარი (ს.) 72.
 ხაროვანი 21. 34. ხარების ჩა-
 ხაშში (სუ.) 79. [ხერი.
 ხაჩო (ს.) 51. 72.
 ხაწე (ს.) 35. 44.
 ხახაბო (სუ.) 79.
 ხახმატი (ს.) 50.
 ხახმატ გიორგი 11. წმინდანია.
 ხახონი (ს.) 8.
 ხდომა 16. მოხდა.
 ხდურება 19. მუსრვა.
 ხელუკაცევი 61. ხელშეუბრუნ-
 ბელი.
 ხელის დარღვა 54. მორევა.
 ხეცო (ს.) 61.
 ხეცური (სუ.) 52.
 ხვარშნელი (ადგ.) 64.
 ხვახიდი (მ.) 87.
 ხვედეგი (ს.) 71.
 ხიზივარი (ს.) 55.
 ხილთანე (ადგ.) 48.
- ციერი 25. ნაპირი.
 ცვრიანი 22. სველი.
 ციფუ (ს.) 10.
 ციფ-გომბორი (მ.) 32. 79.
 ციხის ღელე (ადგ.) 48.
 ცოტო (ს.) 61.
 ცხადება 40. გამოცხადება.
 ძილიჩა (ადგ.) 75.
 ძმაილა 8. 80. ძმა.
 ძუფ-ღებილი 32. ძუ-შუღებილი.
 წაშხედა 27. სწრაფად.
 წარო (სუ.) 27. 39. 70.
 წახნი (ს.) 63.
 წიფება 80. გაწიფება.
 წინამხარი (ადგ.) 75. 88.
 წიწო (ს.) 73.
 წარე 68. წრე.
 წოვა (თ.) 27. 43. 46. 47.
 53. 54.
 წოვათა ან წოათა (სუ.) 11. 37.
 39. 47. 49. 54. 89.
 წოწრე (ს.) 15.
 წუარონა (მ.) 52. 53.

- ხილთანის ვაკე (შეტდ. ხილთა-
ნის ვაკე) (ადგ.) 3.
ხიო (ს.) 72.
ხირიმი 38. 44. 67. 87. თოყია.
ხისო (სფ.) 50. 51. 69.
ხიწო (ს.) 7.
ხოსიკი (ს.) 10.
ხოგორა (ადგ) 38.
ხორაჯის თავი (მ.) 54.
ხოშორა (სფ.) 21.
ხოხი 27. სადესი ქვა.
ხულანტი (სფ.) 34.
ხუნჩალე (ს.) 71.
ხუროთ 7. ერთმანერთზედ.
ხუტი (ს.) 87.
ხუტილო (ს.) 87.
ხუტური (ს.) 71.
ხუშეთი (სფ.) 61.
ხუცი (ს.) 27. 47.
კალი 89. ქვეყელი. [ცა.
კორკი 89. მთაში დაცემული ალა.
- ჯაბრი 49. ჯიბრი.
ჯაფარი 37. 43. ჯრეჭი, ბრჭინ-
ვალების გამომტეში.
ჯამრული (ს.) 57. 61. 81.
ჯანგი 14. ჯანგი.
ჯანთო (ს.) 75.
ჯანლა (ს.) 46.
ჯანლი 37. ნისლი.
ჯაო (ს.) 50. 51. 69.
ჯარი 14. 22. 44. 48. 53.
57. 87. კრება; კრილობა,
შეკროვილი ხაღხა.
ჯვარბოსელა (სფ.) 33. 48.
ჯობინობა 77. ჯობნა.
ჯუმაალ (ს.) 69.
პარამი 50. ახ. არამი.
პარჩი (მ.) 40.
ჰელო (სფ.) 6. 27.

თუშურს ლექსებში ხმარებულის საკუთარის სახელების
და გვარების მიჩვენებულა.

- აბალო (ს.) 10.
აბაიშვილი (გვ.) 38.
აბდულა (ს.) 75.
აბული (ს.) 10. 59.
ალია (ს.) 82.
ალო (ს.) 38.
ალუდა (ს.) 10. 38.
ალუდაური (გვ.) 13.
ამირაიძე (გვ.) 57.
ანდერაზ (ს.) 43.
ანთაი (ს.) 19. 37. 43. 46.
არდაზიანი (გვ.) 48.

- აუ (ს.) 10.
 აფშინაშვილი (გვ.) 75.
 აშახანიძე (გვ.) 67.

 ბაბო (ს.) 57. 83.
 ბათირი (ს.) 35. 40.
 ბათიროელი (გვ.) 40.
 ბაიძე (გვ.) 58.
 ბაკური (ს.) 45. 50.
 ბაჩოი (ს.) 68.
 ბაწარაული (გვ.) 38.
 ბელადიშვილი (გვ.) 75.
 ბელეშიშვილი (გვ.) 82.
 ბერდი (ს.) 57. 58.
 ბერიკაიძე (გვ.) 50. 51.
 ბერიკაშვილი (გვ.) 69.
 ბერო (ს.) 38. 62. 72.
 ბეროშვილი (გვ.) 38.
 ბექურაიძე (გვ.) 50. 51.
 ბექურის ძე (გვ.) 67.
 ბეწუნაიძე (გვ.) 72.
 ბილოძე (გვ.) 73.
 ბორძიკიძე (გვ.) 24.
 ბუჩაი (ს.) 77.

 გაბრიძე (გვ.) 23.
 გამარის ძე (გვ.) 25.
 გამარო (გვ.) 50. 58.
 განა (ს.) 16. 55.
 გარა (ს.) 59.
 გაფრინდაული (გვ.) 31. 32. 56.
 გიგა (ს.) 57. 74.
 გიგო (ს.) 26. 27. 75.

 გიგოლე (ს.) 73.
 გიო (ს.) 50. 61. 83.
 გიორგი (ს.) 10. 51. 63. 73.
 გიჩაღე (ს.) 38. 71. [74.
 გოგი (ს.) 75.
 გოგითაიძე (გვ.) 38.
 გოგნელი (ს.) 58.
 გოიძე (გვ.) 25.
 გორგა (ს.) 45.
 გორგი (ს.) 19. 20. 21. 73.
 გოშპარა (ს.) 73.
 გოჩიკაიძე (გვ.) 71.
 გუგო (ს.) 69.
 გულუხვ (ს.) 69.
 გულუხვაიძე (გვ.) 69.

 დავით (ს.) 10. 19. 51. 73.
 დაო (ს.) 61. [83
 დართლოელ (ს.) 72.
 დარქიზან (ს.) 73.
 დევდარი (ს.) 37. 43.
 დემეტრე (ს.) 75. 87.
 დენგა (ს.) 48. 60. 62.
 დიდოიძე (გვ.) 83.
 დილოიძე (გვ.) 70.
 დოჭოელი (ს.) 7.

 ელანი (ს.) 62.
 ერეკლე (ს.) 28. 29. 70.

 ვაზუზი (ს.) 22.
 ვანო (ს.) 73.

- ვანეშვილი (გვ.) 75.
 ვარლიძე (გვ.) 61.
 ზეზვა (ს.) 31. 32. 44. 56.
 ზილონა (ს.) 71.
 ზივინიძე (გვ.) 24.
 ზობაი (ს.) 72.
 ზურაბი (ს.) 6. 73. 75.
 თადიაური (გვ.) 10.
 თავბერაიძე (გვ.) 10. 19.
 თავბერიძე (გვ.) 57.
 თათარა (ს.) 72.
 თათრულიაძე (გვ.) 71.
 თამარი (ს.) 72.
 თევდორე (ს.) 11.
 თიბელაიძე (გვ.) 71.
 თილი (ს.) 10. 19. 20. 21. 68.
 თილიძე (გვ.) 10. 19. 20. 21.
 თინიბეგ (ს.) 52. 53. [68.
 თინა (ს.) 38.
 თისო (ს.) 63.
 თოთო (ს.) 36.
 თორღვა (ს.) 7. 8. 22.
 თორხილაიძე (გვ.) 71.
 თურქია (ს.) 71.
 თურქო (ს.) 71.
 ივანაიძე (გვ.) 79.
 ივანე (ს.) 10. 71. 73. 75.
 80. 84.
 ითაბანული (გვ.) 37. 43. 48.
 ითაბან (ს.) 37.
 ინაურიძე (გვ.) 71.
 იოგი (ს.) 71.
 იჩო (ს.) 72.
 იჩუა (ს.) 61.
 იჩუკაიძე (გვ.) 92.
 იჭირაული (გვ.) 71.
 კახრიძე (გვ.) 61. 72.
 კანთო (ს.) 59.
 კახო (ს.) 38.
 კელესაური (გვ.) 73.
 კეხუ (ს.) 59.
 კვესიაიძე (გვ.) 83.
 კიმოთე (ს.) 57. 58.
 კიცვა (ს.) 76.
 კოჭაურ (ს.) 17.
 ლაბაზან (ს.) 64.
 ლაგაზი (ს.) 26. 27.
 ლევან (ს.) 7. 33. 37. 43. 85.
 ლილი (ს.) 68.
 ლუი (ს.) 64. 65. 66.
 ლუხუმი (ს.) 6. 44. 64. 65.
 [66.
 მამადი (ს.) 46.
 მანჭარაული (გვ.) 67.
 მარხვა (ს.) 23.
 მარხვაიძე (გვ.) 83.
 მანგია (ს.) 56.
 მგელაურიძე (გვ.) 73.
 მგელოძე (გვ.) 80.
 მექვაბაური (გვ.) 57.
 მეშველი (ს.) 10. 41. 57. 73.

- მინდი (ს.) 49.
 მიქა (ს.) 46. 69.
 მიქელ (ს.) 6. 18.
 მთვრალაი (ს.) 57. 71.
 მოზაი (ს.) 52. 71.
 მოზაიძე (გვ.) 61.
 მოზაშვილი (გვ.) 61. 71.
 მოკუთი (ს.) 68.
 მურთაზ (ს.) 33. 37. 38. 48.
 მუცალა (ს.) 47.
- ნაბაიძე (გვ.) 71.
 ნაკუდა (ს.) 25. 69. 72.
 ნაკუდაიძე (გვ.) 79.
 ნაკუდაურთა (ს.) 43.
 ნანა (ს.) 7. 8. 72. 80.
 ნანაი (ს.) 55.
 ნანელი (ს.) 72.
 ნანოზე (ს.) 80.
 ნუცალი (ს.) 43.
- ომაი (ს.) 73. 50.
 ოსმალიძე (გვ.) 74.
 ოსურაიძე (გვ.) 61.
- პაპაი (ს.) 15. 77.
 პეტრე (ს.) 83.
- რაინაული (გვ.) 52.
 როსტომ (ს.) 34. 35.
- საბედო (ს.) 63.
 საგი (ს.) 46.
- საგინაშვილი (გვ.) 37. 43. 48.
 სამება (ს.) 54.
 სანდრო (ს.) 89.
 საღირიშვილი (გვ.) 30.
 სულთანი (ს.) 10.
- უთურგა (ს.) 56.
 უთურგაიძე (გვ.) 56.
 უთური (ს.) 74.
 უსუფი (ს.) 73.
- ფარეჯანიძე (გვ.) 19.
 ფილაურიძე (გვ.) 83.
 ფილაურიძე (გვ.) 83.
 ფილა (ს.) 57. 58.
 ფილაური (გვ.) 73.
 ფუნჩაიძე (გვ.) 81.
 ფშაველაიძე (გვ.) 71.
 ფხაკლია (ს.) 79.
- ქავთარი (ს.) 22. 68. 74. 85.
 ქავთარაი (ს.) 77.
 ქაზნიძე (გვ.) 10.
 ქარსამაული (გვ.) 81.
 ქარუმიშვილი (გვ.) 61.
 ქედაი (ს.) 36.
 ქედაიძე (გვ.) 69.
 ქოთაძე (გვ.) 61.
 ქოთილაიძე (გვ.) 16. 55.
 ქორთოში (ს.) 10.
 ქოროლლი (ს.) 69.
 ქოროლლიშვილი (გვ.) 69.
 ქოსაი (ს.) 41.

ქუმელაური (გვ.) 63.

ქურაიძე (გვ.) 72.

ქურაძე (გვ.) 61. 72.

ლანიში (ს.) 24.

ღვთისია (ს.) 71.

ღვთისთ (ს.) 61.

ყაზი (ს.) 82.

ყანკია (ს.) 47.

ყანკიაური (გვ.) 47.

ყიბრაჯი (ს.) 33.

ყიზილაშვილი (გვ.) 75.

შაჰისშვიდი (გვ.) 46.

შაბაღი (ს.) 58.

შაღაფიშვილი (გვ.) 75.

შავხელიძე (გვ.) 48.

შამალი (ს.) 57.

შამილის შვილი (გვ.) 53.

შანქი (ს.) 48.

შეთე (ს.) 24. 51. 63.

შველა (ს.) 30.

შველაიძე (გვ.) 17. 30.

შიო (ს.) 75.

ჩაგაიძე (გვ.) 69.

ჩაირიშვილი (გვ.) 76.

ჩეო (ს.) 69.

ჩეთაძე (გვ.) 45.

ჩუნთიაიძე (გვ.) 50.

ციგუ (ს.) 10.

ციხეშიძე (გვ.) 23.

ცოგიძე (გვ.) 57. 63.

ცოტო (ს.) 61.

ძეოძე (გვ.) 89.

წასნი (ს.) 63.

წიწო (ს.) 73.

წოწრე (ს.) 15.

ჭვრიტი (ს.) 44.

ჭირკვან (ს.) 67.

ხაღიძე (გვ.) 73.

ხაღიაიძე (გვ.) 18.

ხაპარი (ს.) 72.

ხაჩო (ს.) 51. 72.

ხახმატი (ს.) 50.

ხახონი (ს.) 8.

ხეცო (ს.) 61.

ხელაიძე (გვ.) 62.

ხაწე (ს.) 35. 44.

ხვედგეი (ს.) 71.

ხიზივარი (ს.) 55.

ხითაძე (გვ.) 72.

ხიო (ს.) 72.

ხიწო (ს.) 7.

ხოსიკი (ს.) 10.

ხუნჩალე (ს.) 71.

ხუტი (ს.) 87.

ხუტური (ს.) 71.
 ხუტილო (ს.) 87.
 ხუცი (ს.) 27. 47.
 ჯანო (ს.) 75.

ჯანლა (ს.) 46.
 ჯამრული (ს.) 57. 61. 81.
 ჯაო (ს.) 50. 51. 69.
 ჯუმაალ (ს.) 69.

შენიშვნა. როგორც ამ სიითგან ჩანს, თუშურის გვარების დაბოლოვებანი არიან: **შვილი, ქე, ური, ული** და **იანი**. ხშირად გვარის მაგიერ ლექსებში მოხსენებულია მამის სახელი ამნაირად: **ქავთარი ლუხუშის ქე, მიქელ ჯურაბის ქე** ან **ციგჳს სულთანი** (ე. ი. ციგუს ძე სულთანი), **ხოსიკის ივანე** (ე. ი. ივანე ხოსიკის ძე) **აბალოს დავითი** (ე. ი. დავით აბალოს ძე), **აბულის ძორთოში** (ე. ი. ქორთოში აბულის ძე). ალაგ-ალაგ დარჩენილია პირვანდელი ფორმა გვარისა, მაგ. **თილის ქე** (ნაცვლად ფორმისა **თილიქე**), **ბეძურის ქე** (ნაცვლად ფორმისა **ბეძურიქე** ან **ბეძურიქე**). იხმარება აგრეთვე გვარის ფორმა, მსგავსი ქართლურის და მესხურისა: **ძოთილთა განა** (განა ქოთილადე), **შველათ კოჭაურ** (კოჭაურ შველაიძე), **ჩეთათ გორგანი** (გორგა ჩეთაძე), **ბეძურათ ქალი** (ბეძურაძის ქალი), **გულუხვათ ბიჭვი** (გულუხვაძის ბიჭვი), როგორც ქართლში და მესხეთში იტყვიან: **ციცინათე შმა, ტლაყანთე კეტი, ლუქანთე დავითი, თამარათ მიქელ** (აქედგან: **მიქელ თამარათი**).

